

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი  
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალფრედ  
კურატაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის

## **მასალების კრებული**

**XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური,  
ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები**

**ECONOMIC, SOCIAL, ECOLOGICAL AND TECHNOLOGICAL  
CHALLENGES IN XXI-ST CENTURY**

### **PROCEEDINGS OF MATERIALS**

of International Scientific Conference

Dedicated to the 80th Birth Anniversary of

Doctor of Economic Sciences, Professor Alfred Kuratashvili

თბილისი

Tbilisi

2021



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი  
**IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**  
**PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS**

---

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის  
დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი  
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის  
მასალების კრებული

“XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და  
ტექნოლოგიური გამოწვევები”

(3-4 ივლისი, 2021)

**Proceedings of Materials  
of International Scientific Conference  
Dedicated to the 80<sup>th</sup> Birth Anniversary of  
Doctor of Economic Sciences, Professor Alfred Kuratashvili**

**“ECONOMIC, SOCIAL, ECOLOGICAL AND TECHNOLOGICAL  
CHALLENGES IN XXI-st CENTURY”**

(3-4 July, 2021)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა  
**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

თბილისი Tbilisi  
2021

UDC (უპკ) 338(47+57)33(479.22)(063)

პ – 645

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში 2021 წელს გამართულ საეთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

**Materials of reports made at the international scientific conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2021**

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), დ. ასლანიშვილი, თ. არნანია-კეპულაძე, თ. ბერიძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ლ. თოთლაძე, ი. კინდზერსკი, თ. ლაზარაშვილი, მ. მუხიაშვილი, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ა. სილაგაძე, ა. სულაბერიძე, ქ. ქველაძე, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

**Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), T. Arnanian-Kepuladze, D. Aslanishvili, T. Beridze, G. Berulava, N. Bibilashvili (Executive Secretary), V. Burduli, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, R. Javakhishvili, E. Kakulia, Y. Kindzerskiy, K. Kveladze, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, M. Muchiashvili, V. Papava, S. Pavliashvili, A. Silagadze, A. Sulaberidze, L. Totladze**

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული  
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli  
Doctor of Economic Sciences G. Berulava**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2021

© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2021

ISBN 978-9941-491-53-5

### სამეცნიერო-საორბანიზაციო კომიტეტი:

რამაზ აბესაძე (თავმჯდომარე) – ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი  
ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი  
ავთანდილ სილაგაძე – აკადემიკოსი, თსუ პროფესორი  
ნოდარ ჭითანავა – საქ. ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
პაატა კოლუაშვილი – საქ. ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
ანზორ აბრალავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
ევგენი ბარათაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
გივი ბედიანაშვილი – ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი  
თეიმურაზ ბერიძე – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, პროფესორი  
გიორგი ბერუღაძე – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი  
ვახტანგ ბურდული – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი  
რევაზ კაკულია – თსუ პროფესორი  
მურმან კვარაცხელია – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი  
ელგუჯა მქეპაბიშვილი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, პროფესორი  
სოლომონ პავლიაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი  
ავთანდილ სულაბერიძე – დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, პროფესორი  
თეიმურაზ შენგელია – თსუ პროფესორი  
ლალი ჩაგელიშვილი – გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ნათია წიკლაშვილი – ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ეთერ ხარაიშვილი – თსუ პროფესორი  
მიხეილ ჯიბუტი – საქ. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი  
თამილა არნანია-კეკელიძე – ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ნანა ბიბილაშვილი – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი  
ბადრი გეგბია – ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ლინა დათუნაშვილი – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი  
გულნაზი ერქომაიშვილი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასოც. პროფესორი  
გოჩა თუთბერიძე – ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი  
ეთერ კაკულია – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი  
ნაზირა კაკულია – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასოც. პროფესორი  
თეა ლახარაშვილი – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი  
გივი ლემონჯავა – ქართული უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი  
მარინა მუჩიაშვილი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასოც. პროფესორი  
დადი სოლოღაშვილი – ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ფატი შენგელია – სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია, ასოც. პროფესორი  
მამუკა ხუსკივაძე – თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, აკად. დოქტორი

### სამეცნიერო-საორბანიზაციო კომიტეტის უცხოური წევრები

ფრენკ არაუჰო – კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი, პროფესორი (აშშ)  
ლარისა ბელინსკაია - ვილნიუსის უნივერსიტეტი, პროფესორი (ლიეტუვა)  
იოშუა ბერნშტეინი - ნიუ იორკის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)  
მიხაილ გოლოვინი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (რუსეთი)  
რუსლან გრინბერგი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (რუსეთი)  
სიმონე გუერჩინი - ფლორენციის უნივერსიტეტი, პროფესორი (იტალია)  
ბარნი ერედია - საგანმანათლებლო კონსორციუმ ინსტიტუტი, პროფესორი (აშშ)  
ვოლფგანგ ვენგი - ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (გერმანია)  
ტომას დ. ვილელი - კლემონტის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)  
ელდარ ისმაილოვი - კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი, პროფესორი (აზერბაიჯანი)  
გინდრა კასნაუსკინე - ვილნიუსის უნივერსიტეტი, პროფესორი (ლიეტუვა)  
სტივენ კოენი - კოლუმბიის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)  
დავით კურტანიძე - პროფესორი (აშშ)  
სლავომირ პარტიცკი - იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (პოლონეთი)  
მიხეილ როკეტლიშვილი - საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (აშშ)  
გალინა სავინა - ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (უკრაინა)  
ჯეფრი საქსი - კოლუმბიის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)  
დაროდ ჯ. სტენლი - პეპერდაინის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ)  
ალექს სტუანიცკი - ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი, პროფესორი (უკრაინა)  
ადამ ნიუმენ ტიორნერი - ლესტერის უნივერსიტეტი, პროფესორი (დიდი ბრიტანეთი)

### კონფერენციის საორბანიზაციო ჯგუფი:

თეიმურაზ გოგოხია (ხელმძღვანელი), გოჩა გოგუაძე, ნინო კელია, ეთერ ჯაბანაშვილი

## SCIENTIFIC-ORGANIZING COMMITTEE:

**Ramaz Abesadze** (*Chairman*) – Director of Institute, Doctor of Economics, Professor  
**Vladimir Papava** - Academician, Professor of TSU  
**Avtandil Silagadze** - Academician, Professor of TSU  
**Nodar Chitanava** – Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences  
**Paata Koghuashvili** - Academician of Georgian Academy of Agricultural Sciences  
**Anzor Abzalava** – Georgian Technical University, Professor  
**Evgeni Baratashvili** – Georgian Technical University, Professor  
**Givi Bedianashvili** - European University, Professor  
**Teimuraz Beridze** – TSU, Faculty of Economics and Business, Professor  
**George Berulava** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Professor  
**Vakhtang Burduli** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Professor  
**Revaz Kakulia** – TSU, Professor  
**Murman Kvaratskhelia** –TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Professor  
**Elguja Mekvabishvili** - TSU, Faculty of Economics and Business, Professor  
**Solomon Pavliashvili** - Georgian Technical University, Professor  
**Avtandil Sulaberidze** - Institute of Demography and Sociology, Professor  
**Teimuraz Shengelia** –TSU, Professor  
**Lali Chagelishvili** - Guram Tavartkiladze Teaching University, Professor  
**Natia Tsiklashvili** - BSU, Professor  
**Eter Kharashvili** - TSU, Professor  
**Mikheil Jibuti** – President of Georgian Academy of Economic Sciences, Professor  
**Tamila Arnania-Kepuladze** - A.Tsereteli State University, Professor  
**Nana Bibilashvili** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor  
**Badri Gechbaia** – BSU, Professor  
**Lina Datunashvili** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor  
**Gulnazi Erkomaishvili** – TSU, Faculty of Economics and Business, Associate Professor  
**Gocha Tutberidze** - European University, Professor  
**Eter Kakulia** – TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor  
**Nazira Kakulia** - TSU, Faculty of Economics and Business, Associate Professor  
**Tea Lazarashvili** – TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor  
**Givi Lemonjava** – Georgian University, Associate Professor  
**Marina Muchiashvili** - TSU, Faculty of Economics and Business, Associate Professor  
**Dali Sologhashvili** - A.Tsereteli State University, Professor  
**Pati Shengelia** - Teaching University, European Academy, Associate Professor  
**Mamuka Khuskivadze** - TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Academic Doctor

## SCIENTIFIC-ORGANIZING COMMITTEE (FOREIGN MEMBERS)

**Frank P. Araujo** – University California at Berkeley, Professor (USA)  
**Larisa Belinskaia** – Vilnius University, Professor (Lithuania)  
**Joshua Bernstein** - New York University, Professor (USA)  
**Steven Cohen** - Columbia University, Professor (USA)  
**Barney Eredia** – Educational Consortium Institute, Professor (USA)  
**Mikhail Golovnin** - Institute of Economics of RAS, Corresponding Member of RAS (Russia)  
**Ruslan Grinberg** – Institute of Economics of RAS, Corresponding Member of RAS (Russia)  
**Simone Guercini** – University of Florence, Professor (Italy)  
**Eldar Ismailov** – Caucasus Institute of Strategic Researches, Professor (Azerbaijan)  
**David Kurtanidze** – Professor (USA)  
**Gindra Kasnauskiene** – Vilnius University, Professor (Lithuania)  
**Slavomir Partycki** – The John Paul II Catholic University of Lublin, Professor (Poland)  
**Mikhail Roketlishvili** – Foreign Member of the Georgian National Academy of Sciences (USA)  
**Jeffrey D. Sachs** – Columbia University, Professor (USA)  
**Galina Savina** – Kharkiv Technical University, Professor (Ukraine)  
**Darrol J. Stanley** – University of Pepperdine, Professor (USA)  
**Oleksiy Stupnitsky** – Taras Shevchenko National University of Kyiv, Professor (Ukraine)  
**Adam Newman Turner** – Leicester University, Professor (United Kingdom)  
**Wolfgang Weng** – Technical University of Berlin, Professor (Germany)  
**Thomas D. Willet** – Claremont Graduate University, Professor (USA)

## ORGANIZING GROUP OF THE CONFERENCE:

**Teimuraz Gogokhia** (*Head*), **Gocha Gogvadze**, **Nino Kedia**, **Eter Jabanashvili**

**პროფესორი ალგორედ კურატაშვილი**  
**80**



**1941 – 2020**

# პროფესორ ალფრედ კურატაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეუფასებელი წვლილი მიუძღვის ეკონომისტთა მრავალ თაობას. ამ დარგის სისტემური მეცნიერული აღორძინების ხანა მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებიდან იღებს სათავეს. ნიშანდობლივია ის, რომ საქართველოს ისტორიის წიაღში მრავლად მოიძებნება ეკონომიკური აზროვნების ბევრი მაგალითი, რომელმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა ქვეყნის წინსვლა-აღორძინების მამულიშვილურ საქმეში. ქართული ეკონომიკური აზროვნების გვირგვინად შეიძლება ჩაითვალოს დიდი ილია ჭავჭავაძე, რომლის წინასწარმეტყველური მინიშნებები დღესაც ღირებულია და საპატიო ადგილს იკავებს ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

ძველ გიგანტურ აზროვნებაზე მდგარი თანამედროვე ქართული ეკონომიკური აზრიც მდიდარია პროგრესულად მოაზროვნე მაღალი რანგის მეცნიერთა პლეადებით, რომელთა თანამედროვე თეორიული მემკვიდრეობა არის და ყოველთვის იქნება ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების აუცილებელი და საჭირო პირობა-ფაქტორი. მიუხედავად საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარებული ტემპისა და ახალი მსოფლიო მიღწევების ინოვაციური პროგრესისა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ეკონომიკური აზროვნების სიღრმეები ყოველთვის ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს თავის მისიას ახალი სახელმწიფოს აშენებასა და ეპოქის შესატყვისი იდეების ჩამოყალიბებაში.

ეკონომიკური აზრი, ზოგადად, პრაგმატულ მოვლენებზეა აგებული. თუმცა თეორიული ნააზრევი ყოველთვის ასრულებს სათანადო საზრდოს ფუნქციას პრაქტიკისათვის, მათი სინერგიული ეფექტი საზოგადოების პროგრესის საფუძველსაც წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული ეკონომიკური აზროვნების თანამედროვე მდგომარეობა დინამიკურია, ვითარდება და აისახება იმ მაღალი რანგის მოაზროვნეთა შრომებში, რომლებიც მომავალი თაობებისთვის საინტერესო და ღირებული იქნება. ჩვენი აზლით, სწორედ ასეთ ეკონომისტთა კოჰორტაში მოიაზრება ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, მრავალი ეკონომიკური თეორიის ავტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიურ და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალფრედ კურატაშვილი.

ალფრედ კურატაშვილი დაიბადა 1941 წელს. 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი საქონელმცოდნეობის კვალიფიკაციით. ამ პერიოდიდან იწყება უკვე მისი მეცნიერული მოღვაწეობა. 1973 წელს ვადაზე ადრე ამთავრებს ლენინგრადის ენგელსის სახელობის ვაჭრობის ინსტიტუტის ასპირანტურას პოლიტეკონომიის სპეციალობით და იცავს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის დისერტაციას. 1978 წელს ენიჭება დოცენტის წოდება. 1990 წელს ხდება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პოლიტიკური ეკონომიის დარგში. ამავე წელს ხდება პროფესორი საზოგადოებრივ მეცნიერებაში. 2013 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობაზე საჯარო სამართლის მიმართულებით.

პროფესორი ალფრედ კურატაშვილი თავისი აქტიური მოღვაწეობით თვალსაჩინო როლს ასრულებდა როგორც სტუდენტი-ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში, ასევე იყო მაღალ პროდუქტიული მეცნიერ-მკვლევარი. მან თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე ოთხ ასულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა. მისი კვლევის სფერო იყო ეკონომიკური თეორია, საჯარო სამართლის სფერო და ფილოსოფიის ცალკეული ასპექტები.

პროფესორი ალფრედ კურატაშვილი თავის ძირითად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ეწეოდა. 2011 წლიდან უკვე მოღვაწეობას აგრძელებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგისა და მთავარი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. 1992 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხოლო 2017 წლიდან სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საინტერესოა პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მოღვაწეობა კერძო სამართლის დაწესებულებებში. 1991 წლიდან 2010 წლამდე ეკავა თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა. მისი აკადემიური ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი პერიოდი იყო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დოცენტის, ხოლო მოგვიანებით, პროფესორისა და კათედრის გამგის თანამდებობები.

ფართო და მრავალმხრივი იყო პროფესორ ალფრედ კურატაშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო. მის კალამს ეკუთვნის ისეთი თეორიული კვლევები, როგორცაა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მართვის რევოლუციურად ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური, თეორიულ-პოლიტიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების შემუშავება, რომელთა დანერგვა საერთაშორისო მასშტაბით უზრუნველყოფს სოციალურ პროგრესს მთელ მსოფლიოში ყოველი ადამიანის საკეთილდღეოდ. ეს, უნდა ითქვას, რომ სერიოზული მეცნიერულ-თეორიული განაცხადია მომავალზე ორიენტირებული.

მნიშვნელოვანია პროფესორ ალფრედ კურატაშვილის, როგორც მეცნიერის საერთაშორისო ფორუმებზე თუ კონფერენციებში მონაწილეობა. მას მიღებული აქვს 243 საერთაშორისო, რესპუბლიკურ თუ სხვადასხვა რანგის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სადაც უმრავლეს შემთხვევაში გამოდიოდა სამეცნიერო მომხსენებლის სტატუსით.

მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე პროფესორ ალფრედ კურატაშვილს გამოქვეყნებული აქვს 473 სამეცნიერო ნაშრომი ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა პრობლემებზე. ასევე თავისი მეცნიერული კვლევებით მნიშვნელოვნად ამდიდრებდა სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკური მენეჯმენტის სფეროებსაც.

ცალკე აღინიშნის ღირსია პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მიერ გამოქვეყნებული ოცი მონოგრაფიული გამოკვლევა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მისი სამეცნიერო შრომები რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებშია გამოქვეყნებული. ამათგან საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში 137 დასახელების სამეცნიერო ნაშრომი. აქედან, ამერიკის შეერთებულ შტატებშია მარტო 10 ნაშრომი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ ალფრედ კურატაშვილს 2008-2018 წლებში, მხოლოდ 10 წელიწადში გამოქვეყნებული 320 ნაშრომიდან 104 საზღვარგარეთის ქვეყნებზე მოდის. უნდა ითქვას, რომ ასეთი რაოდენობის მაღალი ხარისხის მეცნიერული პროდუქტის შექმნა მეტყველებს მის დიდ ნიჭიერებასა და დაუღალავ შრომისმოყვარეობაზე.

მრავალმხრივი და მისაბამია პროფესორ ალფრედ კურატაშვილის თანამშრომლობა საზღვარგარეთის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან. ის აქტიურად თანამშრომლობდა უკრაინის, კერძოდ კიევის, დონეცკის სამეცნიერო დაწესებულებებთან, იყო მათი წამყვანი ჟურნალებისა და სხვადასხვა გამომცემლობების რედკოლეგების წევრი, ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციების სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტების წევრი.

პროფესორი ალფრედ კურატაშვილი საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერია. ის სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და ნამდვილი წევრი იყო. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის, რუსეთის სანკტ-პეტერბურგისა და, ასევე, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი.

განსაკუთრებული აღნიშვნისა და აღიარების ღირსია პროფესორ ალფრედ კურატაშვილის როლი ახალგაზრდა მეცნიერთა თაობების აღზრდის ჰუმანურ საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია 20 სადისერტაციო ნაშრომი, როგორც მეცნიერთა კანდიდატების

რანგში, ასევე დოქტორების აკადემიური ხარისხის მიღებაში. სადოქტორო დისერტაციები დაცულია ეკონომიკურ თეორიაში და საერთაშორისო სამართალში.

პროფესორ ალფრედ კურატაშვილის ღვაწლი და მისი თავდაუზოგავი შრომა სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე, სახელმწიფოს არ დარჩენია უყურადღებოდ. ის დაჯილდოებული იყო საქართველოს პრეზიდენტის მიერ ღირსების ორდენით 2013 წელს.

არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს პროფესორ ალფრედ კურატაშვილის ღვაწლი ეკონომიკური თეორიის განვითარების საქმეში. ამ სფეროში მისი გონების ნაყოფია მრავალი ახალი თეორია, რომელსაც, იმედია, მომავალი ეკონომისტ-მკვლევარები აუცილებლად მიუბრუნდებიან და სათანადო ადგილს მიუჩენენ საქართველოს ეკონომიკური აზრის ისტორიაში. ასეთი ერთ-ერთი თეორია სახელმწიფო მართვის პრობლემას ეხება. ამ თეორიის ძირითადი ლაიტმოტივი სახელმწიფო მართვის მნიშვნელობაა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის მეცნიერული გზების ძიებას. აქ საუბარია ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო კანონების მიღებაზე სახელმწიფოს მიერ. ამ შემთხვევაში ხალხის პრობლემები ნაკლებადაა მისაღები სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო არასოდეს არაა თვითკრიტიკული საკუთარი კანონების მიმართ, ამის შედეგია სწორედ ხალხის მდგომარეობის მუდმივი გაუარესება. ამ თეორიაში აქვს პროფესორ ალფრედ კურატაშვილს „მზარეპეტიციების“ სახით მომზადებული სახელმწიფო მართვის უზრუნველყოფის, სოციალური და სხვა უძრავი სახის პრობლემების გადაჭრის გზები, რაც ესოდენ აქტუალურია სახელმწიფოსთვის დღევანდელ პირობებში.

როგორც აღვნიშნეთ, პროფესორ ალფრედ კურატაშვილმა ათეულობით ახალი მეცნიერული თეორია დაგვიტოვა, რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი მათგანი. ესენია: ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია; ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია; ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს თეორია; ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების ძირითადი სოციალურ - ეკონომიკური კანონის თეორია; საკუთრების ჭეშმარიტად საზოგადოებრივი შინაარსის თეორია, რომელიც განისაზღვრება საკუთრების ფუნქციონირების სოციალური მიმართულებით მისი ფორმის მიუხედავად; მატერიალური სტიმულირებისა და ეკონომიკურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თეორია; საბაზრო ურთიერთობების გენეტიკურად ანტაგონისტური ბუნებისა და ხალხის ინტერესებისთვის მათი ფუნქციონალური გამოყენების მექანიზმის თეორია; არაეკონომიკური ექსპლუატაციის თეორია; ადამიანის უფლებების მითვისების თეორია; თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება-საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია; სოციალურად გამიზნული კომუნიკაბელური საზოგადოებისა და სახელმწიფოს თეორია; ხალხის ეკონომიკური გენეტიკის თეორია; ხალხის ეკონომიკური გაუპატიურების თეორია.

ყველა ეს თეორია პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მიერ სიღრმისეულად გააზრებულია და მისი მეცნიერული მიგნებები, ჩვენი ღრმა რწმენით ახალგაზრდა მკვლევართა მიერ სიღრმისეულ შესწავლასა და გააზრებას, რაც მომავალი თაობების ვალდებულებაა და დიდი პასუხისმგებლობაც. ვფიქრობთ, არც ქვეყანას და არც მეცნიერებას ქართულ ეკონომიკური აზრის ისტორიის საღად და ღრმად მოაზროვნე მეცნიერის ნააზრევს დაკარგვის უფლება არა აქვს. მის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიებში იკვეთება სახელმწიფოს დიდი როლი და პასუხისმგებლობა მომავალი კეთილდღეობისა და სამართლიანი საზოგადოების აშენების საქმეში.

პროფესორ ალფრედ კურატაშვილმა, მიუხედავად მისი არცთუ ისე ახალგაზრდული ასაკისა, ეს ლამაზი წუთისოფელი დატოვა მაშინ, როდესაც იყო გამოცდილებითა და სიბრძნით დახუნძლული, მასში ჩაბუდებული ბოობქარი ენერჯია იმისი გარანტი იყო, რომ ბევრი მის გონებაში დაბადებული და გაფილტრული აზრები, რომელთა გადმოცემაც მან ვერ მოასწრო, დიდად წაადგებოდა მომავალში ქართული საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის კეთილშობილურ საქმეს. რომ არა ვერაგი ვირუსი, პროფესორი ალფრედ კურატაშვილი დღესაც სრული შემართებით იდგებოდა მეცნიერებისა და პაატა

გუგუშვილის ინსტიტუტის მეცნიერული მიღწევების სადარაჯოზე. მაგრამ გვჯერა, მის მიერ დატოვებული ეკონომიკური მოძღვრება სამეცნიერო ნაშრომების სახით მომავალი თაობების კვლევისა და შთაგონების წყარო გახდება. ეს კი მისი სახელის უკვდავების უცილობელი გარანტიაა.

*მურმან კვარაცხელია*

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის  
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

## კლენარული სხლემა

რამაზ აბესაძე  
ნანა ბიბილაშვილი  
ეთერ კაკულია

### XXI საუკუნის ეკოლოგიური გამოწვევები

**ანოტაცია.** ნაშრომში გამოკვლეულია გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც გადაუჭრელი რჩება XXI საუკუნეშიც. კერძოდ: მსოფლიო ოკეანის, გეოფონდის განადგურებისა და განადგურების, ატმოსფეროს დაბინძურების, ოზონის ფენის დარღვევის პრობლემა და და სხვა პრობლემა.

**საკვანძო სიტყვები:** კოევილოცია, ბიოციფერო, ნეოსფერო, კლიმატის ცვლილება, სათბური გაზები.

### შესავალი

დღეისათვის კაცობრიობის წინაშე მკაცრად დგას პრობლემა ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და ბუნების კვლავწარმოების პროცესების დარღვევისა. ამ პრობლემას მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისიდან მიექცა, რასაც არაერთი საერთაშორისო ღონისძიება მიემდგნა (1972 წლის სტოკ ჰოლ მის (“ნულოვანი ზრდა”) და 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს (“დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის”) გარემოსა და განვი თარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, გაეროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კო მისიის მოხსენება (1987) – “ჩვენი საერთო მომავალი” და სხვ., რომლებზედაც გამოითვა შემფოთება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპებისა და წარმოების არსებული ტექნოლოგიების შენარჩუნების შემთხვევაში, კაცობრიობას კატასტროფა დაემუქრებოდა. შედეგად მიღებული იქნა მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა გაგრძელდეს ეკონომიკის უწყვეტი განვითარება ახლანდელი თაობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გასაუმჯობესებლად, ოღონდ მომავალი თაობების არსებობისათვის ზიანის მიყენების გარეშე. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერგიის რაციონალური გაცვლა, რომ ეკონომიკის განვითარება დაემყაროს ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებებს, ანუ მოხდეს საზოგადოებისა და ბუნების განვითარების კოევილოცია, რომლის დროსაც ხდება ჩვენი პლანეტის ბიოსფეროს გადასვლა ახალ თვისებრიობში – ნეოსფეროში, მოაზროვნე გარსში, სადაც ადა მიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს (Abesadze R. 2017). მიუხედავად მსოფლიოს მირ გარემოს დაცვისადმი გამოჩენილი ძალისხმევისა, XXI საუკუნეშიც ბევრი გადაუჭრელი პრობლემა რჩება.

### XXI საუკუნის ეკოლოგიური პრობლემები

ერთ-ერთი ფაქტორი ეკოლოგიური პრობლემების არსებობისა XXI საუკუნეში არის **მოსახლეობის ზრდა**, ვინაიდან ის იწვევს: ბუნებრივი რესურსების გამოყენების მოცულობის ზრდას; ამცირებს ბუნებრივ საფარს ეკონომიკისა და საყოფაცხოვრებო ფართობების ზრდის გამო (სახნავ-სათესი ფართობები, შენობები, გზები, ნაგავსაყრელები და სხვა). დედამიწის მოსახლეობა კი სწრაფად იზრდება. 10000 წლის წინ დედამიწის მოსახლეობა შეადგენდა 5 მილიონს. მოსახლეობის რიცხოვნობამ პირველ მილიარდს კი მიაღწია 1804 წელს, 2 მილიარდს 123 წლის შემდეგ (1927), 3 მილიარდს 33 წლის შემდეგ (1960), 4 მილიარდს 14 წლის შემდეგ

(1974), 5 მილიარდს 13 წლის შემდეგ (1987), 6 მილიარდს 12 წლის შემდეგ (1999), 7 მილიარდს კვლავ 12 წლის შემდეგ (2011)<sup>1</sup>. 8 მილიარდს, სხვადასხვა პროგნოზით, დედამიწის მოსახლეობა კვლავ 12 წლის შემდეგ, 2023 წელს მიაღწევს<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, თუ პირველი მილიარდის მიღწევას ათასწლეულები, ბოლო მილიარდის მიღწევას მხოლოდ 12 წელი დაჭირდა.

დედამიწის მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სხვადასხვა სახის მავნე გავლენა გარემოზე: ოზონის ფენის დარღვევა; რადიოატიური დაბინძურება; CO<sub>2</sub>-ის ატმოსფეროში გამოფრქვევის მოცულობის ზრდა; ნიადაგის დაბინძურება პესტიციდებით; მსოფლიო ოკიანის დაბინძურება, ცხოველთა და მცენარეთა ათასობით სახეობათა გაქრობა; ტყის საფარის გამუდმებული შემცირება; ატმოსფეროს ტოტალური დაბინძურება, სუფთა ჰაერის დეფიციტი; ოზონურ შრეში (რომელიც იცავს ადამიანებს სასიკვდილო კოსმოსური გამოსხივებებისაგან) ხვრელების გაჩენა; მსოფლიო ოკეანე სულ უფრო და უფრო ნაკლებად არეგულირებს ბუნებრივ პროცესებს [Актуальные... 2019] და სხვ.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოხმარებული ენერჯის რაოდენობა. ივარაუდება, რომ 2100 წლისათვის ენერჯის წარმოება უნდა გაიზარდოს 4-ჯერ, განვითარებულ ქვეყნებში კი 10-ჯერ, რაც გამოიწვევს ნახშირბაქდის დიოქსიდის ატმოსფეროში გამოტყორცნის მნიშვნელოვან ზარდას.

**გეოფონდის განადგურება და გაღარიბება.** ეს მთელი მსოფლიოს უზარმაზარი ეკოლოგიური პრობლემაა. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ბოლო 200 წლის განმავლობაში დაიკარგა 9 000 სახეობის მცენარე და ცხოველი, თანდათან მცირდება სასარგებლო წიაღისეულთა რაოდენობა. ბიოლოგიური მრავალფეროვნობის შემცირება გამოწვეულია: ბინადრობის გარემოს დაკარგვა; ბიოლოგიური რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაცია; გარემოს დაბინძურება და სხვ [ТОП-8... 2013]. **ტყეების გაჩეხვა იწვევს ატმოსფეროში ჟანგბადის კონცენტრაციისა და დედამიწაზე წყლის რესურსების შემცირებას.**

**მსოფლიო ოკეანის პრობლემა.** მსოფლიო ოკეანეს უჭირავს დედამიწის ზედაპირის 2/3-დი ნაწილი. მისი ქიმიური დაბინძურება ძლიერ საშიშია, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს წყლისა და საკვები რესურსების ძლიერი შემცირება და ჟანგბადის ბალანსის დარღვევა ატმოსფეროში. ძლიერ იზრდება მსოფლიო ოკეანის დაბინძურება ენერგეტიკის, ქიმიური და სამხედრო მრეწველობის პროდუქტებით.

**ატმოსფეროს დაბინძურება.** იზრდება მავნე გამონატყორცნების რაოდენობა და იგი ვრცელდება მთელ ატმოსფეროში და ღებულობს გლობალურ ხასიათს, მჟავე წვიმები დიდ ზარალს აყენებს ტყეს. ასევე გლობალურ ეკონომიურ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი ლანდშაფტების ზედაპირების დაბინძურება და დამახინჯება. 9 მილიარდ ტონაზე მეტი სათბობი (ნავთი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, მეთანი და სხვ.) იწვის ყოველწლიურად [Глобальные... 2020].

**ოზონის ფენის დარღვევა.** ოზონის ფენის დარღვევა ძლზე საშიშია, ვინაიდან იგი იცავს ადამიანებს მომაკვდინებელი ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან. პირველი ასეთი ხვრელი აღმოაჩინეს 1982 წელს. შემდეგ გაირკვა, რომ ოზონის ფენა ნადგურდება თვითმფრინავების, კოსმოსურ ხომალდთა და თანამგზავრთა რეაქტიული ძრავების მიერ.

**კლიმატის ცვლილება.** კლიმატი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: საშუალო ტემპერატურა, ნალექის რაოდენობა, მზიანი დღეების რაოდენობა და სხვა. კლიმატის ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს მზის ნათების, დედამიწის ორბიტისა და ღერძის დახრილობის, ატმოსფეროს გამჭვირვალობის, სათბური გაზების კონცენტრაციის, დედამიწის ზედაპირის ამრეკლი უნარისა და სხვათა ცვლილებებმა. მან შეიძლება გამოიწვიოს გლობალური ნეგაყური მოვლენები: ლანდშაფთა ტენიანობის შემცირება; კლიმატური და მცენარეული ზონების გადაადგილება; ყინულების, მყინვარებისა და მარადი გაყინულობის ღლიობა; მსოფლიო ოკეანის დონის აწევა; ოკეანეთა წყლის ცირკულაციისა და მთლიანი ჰიდროლოგიური ციკლის დარღვევა; სოფლის

<sup>1</sup> <https://countrymeters.info/ru/World>

<sup>2</sup> <https://www.google.com/search?client=opera&q=когда+станет+мировое+население+8+миллиардов&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>

მეურნეობის პროდუქციის წარმოების ძემცირება; მტკნარი წყლის დეფიციტს (ამჟამად 1 მილიარდი ადამიანი განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს წყლის დეფიციტის პირობებში [Глобальные...2019], რაც ასევე ეს წარმოშობს ცუდ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს). ამ პრობლემის გადასაწყვეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სათბური გაზების შემცირებას, ვინაიდან ისინი იწვევენ იონური ხვრელების წარმოქმნასა და კლიმატის ცვლილებებს, დედამიწაზე საშუალო ტემპერატურის ზრდას და და შედეგად ოკიანის დონის მატებას.

**ტოქსიკური ნივთიერებების ატმოსფეროში გამოშვება.** არსებობს ტოქსიკური ნივთიერებების სხვადასხვა სახეობა: წარმოშობის მიხედვით: სამრეწველო შხამები; შხამქიმიკატები; სასუქები; მედიკამენტები; საყოფაცხოვრებო ქიმიკატები და მომწამვლელი ნივთიერებები; მცენარეული და ცხოველური შხამები. ტოქსიკური ზემოქმედების მიხედვით: ნერვულ-პარალიტიკური; კანის; მსუთავი; ცრემლმდენი; ფსიქოლოგიური; საერთოტოქსიკური<sup>3</sup> და სხვ. ასეთი<sup>9</sup> ნივთიერებების წარმოებისა და მოხმარების პროცესში ისინი ხვდებიან ატმოსფეროში და შემდეგ კი ადამიანის ორგანიზმში.

**ნარჩენების ზრდა.** მე -20 საუკუნეში წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების რაოდენობა იმდენად სწრაფად გაიზარდა, რომ მათი ფორმირება მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. ნარჩენები განსხვავდება: წარმოშობის მიხედვით: წარმოების ნარჩენები (სამრეწველო ნარჩენები); მოხმარების ნარჩენები (საყოფაცხოვრებო); სამხედრო ნარჩენები. შემადგენლობით: ბიოლოგიური წარმოშობის ნარჩენები; ადამიანის მიერ შექმნილი ნარჩენები; აგრეგატიული მდგომარეობის მიხედვით: მყარი; თხევადი; აიროვანი. ნარჩენების საშიშროება განისაზღვრება მათი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით, აგრეთვე მათი შენახვის ან გარემოში განთავსების პირობებით<sup>4</sup>.

**ნიადაგის დეგრადაცია** არის პროცესების ერთობლიობა, რაც იწვევს ნიადაგის ფუნქციების ცვლილებას, მისი თვისებების რაოდენობრივ და ხარისხობრივ გაუარესებას, ნიადაგის თანდათანობით გაუარესებასა და ნაყოფიერების დაკარგვას. გამოყოფენ მოცემულია ნიადაგის დეგრადაციის ყველაზე მნიშვნელოვან სახეებს: ტექნოლოგიური (ხანგრძლივი გამოყენების შედეგად); ნიადაგის ეროზია; დამლაშება; გაწყლოვანება; ნიადაგის დაბინძურება; გაუდაბნობა.

**ნიადაგის გაუდაბნობა** არის დამუშავებული ნაყოფიერი სარწყავი მიწების უწყლო და უსიცოცხლო უდაბნობად ტრანსფორმაციის პროცესი ნიადაგისა და მცენარეულობის ნაყოფიერების დაკარგვით. ნიადაგის გაუდაბნობის მიზეზებია: წყლის სიმცირე; გვალვა; კლიმატის ცვლილება; ტყეების გაჩეხვა; პირუტყვის მიერ გადაძოვება; ბიოლოგიური სიკვდილი; სადრენაჟების ნაკლებობა; მარილის დაგროვება; მიწისქვეშა წყლების დონის შემცირება; მორწყვის შეწყვეტა; წყალსაცავის წყლის ბალანსის დარღვევა; ნაყოფიერების დაკარგვა.

**ტექნოგენური კატასტროფა** არის უდიდესი უბედური შემთხვევა ადამიანის მიერ შექმნილ ობიექტში, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მასიური მოსპობა და ეკოლოგიური კატასტროფაც კი. ტექნოგენური კატასტროფების ერთ-ერთი მახასიათებელია მათი შემთხვევითი ხასიათი. ადამიანის მიერ გამოწვეულმა კატასტროფებმა შეიძლება გამოიწვიოს პანიკა და ტრანსპორტის კოლაფსი. მსოფლიოში ყოველწლიურად ათობით სხვადასხვა მასშტაბის ტექნოგენური კატასტროფები ხდება. მაგალითად, 2011 წლის 11 მარტს იაპონიის ისტორიაში ყველაზე ძლიერი მიწისძვრისა და შემდეგ ცუნამის შედეგად მოხდა ძლიერი ბირთვული ავარია ატომურ სადგურ „ფუკუსიმაში-1-ში“. 2000 წლის ივლისში, ბრაზილიაში, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მომხდარი კატასტროფის შედეგად, მილიონზე მეტი გალონი ნავთობი (დაახლოებით 3180 ტონა) ჩაედინა მდინარე „იგუასუში“. 2015 წლის 12 აგვისტოს, ჩინეთის პორტში ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვის დროს, უსაფრთხოების დარღვევის შედეგად, მოხდა ორი უზარმაზარი აფეთქება, რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობით მსხვერპლი, ასობით დანგრეული სახლი და ათასობით განადგურებული მანქანა [Крупнейшие... 2020].

<sup>3</sup> [https://studme.org/260257/ekologiya/klassifikatsiya\\_toksichny](https://studme.org/260257/ekologiya/klassifikatsiya_toksichny)

<sup>4</sup> <https://ru.wikipedia.org/wiki/Отходы>

## დასკვნები

1. მიუხედავად მსოფლიოს ქვეყნების, ევროკავშირის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გარემოს დაცვისადმი გამოჩენილი ძალისხმევისა, XXI საუკუნეშიც ბევრი გადაუჭრელი პრობლემა რჩება.

2. ერთ-ერთი ფაქტორი ეკოლოგიური პრობლემების არსებობისა XXI საუკუნეში არის **მოსახლეობის ზრდა**, ვინაიდან ის იწვევს: ბუნებრივი რესურსების გამოყენების მოცულობის ზრდას; ამცირებს ბუნებრივ საფარს ეკონომიკისა და საყოფაცხოვრებო ფართობების ზრდის გამო (სახნავ-სათესი ფართობები, შენობები, გზები, ნაგავსაყრელები და ხხვა). დედამიწის მოსახლეობა კი სწრაფად იზრდება.

3. XXI საუკუნის ეკოლოგიური გამოწვევებიდან შეიძლება გამოიყოს: გეოფონდის განადგურება და გაღარიბება; მსოფლიო ოკეანის პრობლემა; ატმოსფეროს დაბინძურება; ოზონის ფენის დარღვევა; კლიმატის ცვლილება; ტოქსიკური ნივთიერებების ატმოსფეროში გამოშვება; ნარჩენების ზრდა; ნიადაგის დეგრადაცია; ნიადაგის გაუდაბნობა.

4. XXI საუკუნის ეკოლოგიური გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელია: მწვანე და წრიული ეკონომიკის გაძლიერება, მომავლის რესურსების გამოვლენა და ათვისება.

5. მსოფლიო მასშტაბით უნდა მოხდეს პროცესების მართვა ეკონომიკის ისეთ დარგებში როგორცაა: ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, სოფლისა და ტყის მეურნეობა, ნარჩენები და წყლის მეურნეობა. გამონაბოლქვის შესამცირებლად დამატებით შემოღებული უნდა იქნეს სტანდარტები, ეკოლოგიური გადასახადები, წახალისადეს ეკოლოგიურად სუფთა რექნოლოგიების შექმნა და გამოყენება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze R. 2017. Modern global trends and problems of sustainable developmen. Proceedings of Materials of International Scientific Internet Conference - "Curent economic trends of sustainable development". Paata Gugushvili Institute of Economics TSU
2. David E. Lorey. 2002. Global Environmental Challenges of the Twenty-First Century. 2002. Rowman & Littlefield Publishers, Pages: 312
3. Бурко Р., Терёшина Т. 2013. Экологические проблемы современного общества и пути их решения. <https://moluch.ru/archive/58/8206/>
4. Актуальные проблемы экологии и способы их разрешения. <http://problems21centry.blogspot.com/p/blog-page.html>
5. Глобальные экологические проблемы и приоритеты XXI века. 2019 <https://baribar.kz/student/23779/globalnye-ekologicheskie-problemy-i-prioritety-xxi-veka/>
6. Глобальные экологические проблемы XXI века. 2020. <https://ecoaig.kz/info/Globalnyie-ekologicheskie-problemyi-XXI-veka-2822>
7. Крупнейшие техногенные катастрофы XXI века. 2020. <https://bigpicture.ru/krupnejshie-texnogennye-katastrofy-xxi-veka/>
8. Методы снижения выбросов токсических веществ в атмосферу. 2020. <http://energetika.in.ua/ru/books/book-5/part-3/section-2/2-3>
9. ТОП-8 экологических проблем земли нашего времени. 2013. <https://xn----stbmju3c.xn--p1ai/a224466-top-ekologicheskikh-problem.html>

## ENVIRONMENTAL CHALLENGES OF 21ST CENTURY

**Annotation.** *Into article are examined the global environmental problems that have been unresolved in 21st century. In particular: the problem of the world oceans, destruction and depletion of the gene pool, air pollution, ozone layer disturbances and other problems.*

**Keywords:** *the coevolution, biosphere, neosphere, climate change, greenhouse gases.*

### Introduction

Nowadays the mankind rigidly faces problems on exhaustion of resources and violation of natural processes. These problems have drawn attention of the whole world since the end of 60s and beginning of 70s of the last century and many international actions and events had been held for finding solutions (like international conferences devoted to environmental issues and development, for example, in Stockholm "The zero growth" in 1972 and in Rio de Janeiro "The agenda of the 21st century", in 1992, the report of international commission for sustainable environment development, in 1987 - "Our common future" and etc., where concern had been expressed on the fact that the mankind is threatened by disaster in case of preservation of the existing rates of economic growth and industrial technologies. Therefore, the concept of sustainable development the essence of which consists in continuation of development economy for reaching requirements of present necessity and without damage of living circumstances of future generations. For this purpose it is necessary to make a rational metabolism and energy consumption between society and nature where development of economy should be based on strict regularities of self-reproduction of nature that should be focused on the coevolution of society and nature which would be a transition of biosphere of our planet to new issue – the neosphere where people will be thinking to reduce negative results of own activities not only for themselves, but also on destructive natural power of negative impact onto biosphere (R. Abesadze, 2017). Despite of some useful efforts of mankind to protect environment, many unresolved problems have been remained in 21-st century.

### Environmental problems of XXI century

One of the main factors of environmental problems in 21st century is population growth which leads to increase the usage of natural resources and reduction in natural cover, due to the growth of economic and household areas (like grasslands, buildings, roads, landfills, etc.). Nowadays population of the Earth is growing rapidly. For example, 10000 years ago, population of the Earth was 5 million people. Population reached its first billion in 1804, 2 billion after 123 years (in 1927), 3 billion after 33 years (in 1960), 4 billion after 14 years (in 1974), 5 billion after 13 years (in 1987), 6 billion after 12 years (1999), 7 billion again after 12 years (in 2011)<sup>5</sup>. According to various forecasts, the world's population will reach 8 billion people again after 12 years, in 2023<sup>6</sup>. As we can see, it took the millennia to reach the first billion, but only 12 years to reach the last one.

With increasing population of the Earth, different negative issues of surrounding environment have been grown: disorder of the ozone layer; radioactive contamination; increase in CO<sub>2</sub> emission in the atmosphere; soil contamination with pesticides; problems of world's oceans, extinction of species of animals and plants; permanent concealment; huge pollution of the atmosphere, fresh air; appearance in the ozone layer (protecting people from a deadly cosmic reflection); The world's oceans regulate the natural processes of the Earth and etc [Актуальные... 2019].

The amount of energy consumed increases with population growth. It is assumed that by 2100 energy production should increase up to 4 times, and in developing countries up to 10 times which will lead to a significant increasing of carbon dioxide emissions into atmosphere.

---

<sup>5</sup> <https://countrymeters.info/ru/World>

<sup>6</sup> <https://www.google.com/search?client=opera&q=когда+станет+мировое+население+8+миллиардов&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>



**Destruction of gene pool and impoverishment.** It is a huge world environmental problem. Scientists have established that within the last 200 years more than 9 000 species of plants and animals have been lost, the amount of minerals also is gradually reduced .

Decreases in biodiversity are caused by: loss of habitation; overexploitation of biological resources; environmental pollution, and etc. [TOP-8 ... 2013].

Deforestation leads to decreasing of oxygen concentration in atmosphere and a serious reduction of the water resources.

**Problems of the world's oceans.** The world's oceans cover 2/3 part of the Earth's surface. The chemical pollution of oceans which is a very dangerous process as it can cause strong reduction of water and food resources and highly violating of oxygen balance in the atmosphere. Pollution of the world's oceans strongly grows up by producing products of the energetic, chemical and military industries.

**Atmospheric pollution.** The number of harmful emissions increase and it extends on all processes in atmosphere and nowadays it accepts the global character, the acid rains cause extensive damage to the forests. A very serious global economic problems also are pollution of surfaces of natural landscape and its distortion. More than 9 billion tons of fuel (oil, natural gas, coal, methane, etc.) are burned annually [Глобальные... 2020].

**Violation of the ozone layer.** Violation of the ozone layer is a quite dangerous as it protects people from deadly ultra-violet radiation. The first such hole was founded in 1982. Later it has become clear that the ozone layer is collapsed by jet engines of planes, spacecrafts and satellites.

**Climate change.** It can cause changes of sunlight, terrestrial orbit and bent of the Earth axis, transparency of the atmosphere, concentration of greenhouse gases, abilities of reflection of the Earth's surface, etc. It can cause the global negative phenomena: reduction of humidity of landscapes; movement of climatic and planting zones; thawing of the ice, glaciers and eternal glaciers; rise of world's oceans level; violation of circulation of oceanic water and a full hydrological cycle on the Earth; reduction of agricultural production; freshwater shortages (Currently 1 billion people in developing countries live in water scarcity [Глобальные...2019], which also causes the poor sanitary-hygienic conditions and other. For solving these problems the reducing of greenhouse gases has a particular importance as they cause ionic holes and climate change, increase the average temperature of the Earth, and consequently increase the world's oceans levels.

**Release of toxic substances into atmosphere.** There are different types of toxic substances. Origin: industrial poisons; poisonous chemicals; fertilizers; medications; household chemicals and toxic substances; planting and animal poisons; for toxic effects: nerve-paralytic; cutaneous; suffocating; lacrimal; psychotic; general toxic<sup>7</sup>, and etc. In the process of production and consumption of such substances there is a very important process of their storage, they are founded in atmosphere, and as well as in the human body.

**Waste growth.** In 20th century, the amount of production and consumption wastes grew so rapidly that their formation became an important problem.

Wastes differ: by origin: production waste (industrial waste); consumption waste (household); military waste; by composition: waste of biological origin; man-made waste; by state of aggregation: solid; liquid; gaseous and etc. The hazard of waste is determined by their physical and chemical properties as well as by conditions of their storage and/or placement in the environmental areas<sup>8</sup>.

**Soil degradation** is a set of processes that lead to changes in soil function, quantitative and qualitative deterioration of its properties, gradual deterioration and loss of fertility. The following are the most significant types of soil degradation: technological (as a result of long-term usage); soil erosion; salinization; waterlogging; soil pollution; desertification.

**Soil desertification** is the process of transformation of cultivated fertile irrigated lands into waterless and lifeless deserts with the loss of soil and vegetation fertility. Reasons for soil desertification: water scarcity; drought; aridity of the climate; deforestation; overgrazing of livestock; biological death; lack of drainage; salt accumulation; decrease in the level of groundwater; termination of irrigation; violation of water balance in the reservoirs; loss of fertility •.

**Technogenic disasters** a man-made disaster is a major accident at a man-made facility, resulting in massive loss of life and even an ecological disaster. One of the features of man-made disasters is their randomness (this is how they differ from terrorist attacks). Usually man-made are opposed to natural disasters. However, like natural disasters, man-made disasters can cause panic and transport collapse. Dozens of man-made disasters of various scales occur in the world every year. For example, on March 11, 2011, as a result of the strongest earthquake in the history of Japan and the subsequent tsunami, there was a major radiation

<sup>7</sup> [https://studme.org/260257/ekologiya/klassifikatsiya\\_tokichny](https://studme.org/260257/ekologiya/klassifikatsiya_tokichny)

<sup>8</sup> <https://ru.wikipedia.org/wiki/Отходы>

accident of the maximum, 7th level, by the International Scale of Nuclear Events, at Fukushima 1 NPP. ... In July 2000, in Brazil, as a result of a disaster at the oil refinery, more than a million gallons of oil (about 3,180 tons) flowed into the Iguazu River. On August 12, 2015, as a result of a safety violation during the storage of explosives in a Chinese port, two huge explosions thundered which led to a large number of victims, hundreds of destroyed houses and thousands of destroyed vehicles.

### Conclusions

1. Despite of the outstanding efforts from developed countries as well as the European Union and international organizations, many unsolved problems remaining in 21st century;
2. One of the main factors in the current ecological problems of XXI century is population growth, as it leads to increasing in the usage of natural resources; reduces natural cover due to economic and household growth (grasslands, buildings, roads, landfills, etc.);
3. Among the ecological challenges of XXI century can be having the high priorities: destruction and impoverishment of the gene pool; the problems of the world's oceans; air pollution; ozone depletion; climate change; release of toxic substances into atmosphere; waste growth; soil degradation and desertification;
4. For solving the ecological challenges of XXI century, it is necessary to: strengthen the green and circular economy, identify the limitation of resources for future and reduce their usage;
5. Processes in areas of economy such: energy, transport, agriculture and forestry, waste and water management should be managed scrupulously worldwide. To further reduce emissions, standards, environmental taxes, incentives should be create and actively using the environmentally friendly technologies and tools.

### References

1. Abesadze R. 2017. Modern global trends and problems of sustainable developmen. Proceedings of Materials of International Scientific Internet Conference - "Curent economic trends of sustainable development". Paata Gugushvili Institute of Economics TSU
2. David E. Lorey. 2002. Global Environmental Challenges of the Twenty-First Century. 2002. Rowman & Littlefield Publishers, Pages: 312
3. Бурко Р., Терёшина Т. 2013. Экологические проблемы современного общества и пути их решения
4. <https://moluch.ru/archive/58/8206/>
5. Актуальные проблемы экологии и способы их разрешения.
6. <http://problems21centry.blogspot.com/p/blog-page.html>
7. Глобальные экологические проблемы и приоритеты XXI века. 2019
8. <https://baribar.kz/student/23779/globalnye-ekologicheskie-problemy-i-prioritety-xxi-veka/>
9. Глобальные экологические проблемы XXI века. 2020.
10. <https://ecoair.kz/info/Globalnyie-ekologicheskie-problemyi-XXI-veka-2822>
11. Крупнейшие техногенные катастрофы XXI века. 2020.
12. <https://bigpicture.ru/kрупnejshie-техногенные-катастрофы-xxi-века/>
13. Методы снижения выбросов токсических веществ в атмосферу. 2020.
14. <http://energetika.in.ua/ru/books/book-5/part-3/section-2/2-3>
15. ТОП-8 экологических проблем земли нашего времени. 2013.
16. <https://xn---stbmju3c.xn--p1ai/a224466-top-ekologicheskikh-problem.html>

## ЭКОЛОГИЧЕСКИЕ ВЫЗОВЫ XXI ВЕКА

*Аннотация.* В статье исследуются глобальные экологические проблемы, которые остаются нерешенными и в XXI веке. В частности: проблемы мирового океана, разрушение и истощение генотипов, загрязнение воздуха, разрушение озонового слоя и другие проблемы.

*Ключевые слова:* коэволюция, биосфера, неосфера, изменение климата, парниковые газы.

### Вступление

На сегодняшний день человечество воочию стоит перед проблемами недостаточности ресурсов и нарушения природных процессов. Эта проблема привлекла внимание всего мира с конца 60-х и начала 70-х годов XX века, чему было посвящено не одно международное мероприятие (международные конференции, посвященные вопросам окружающей среды и развития - Стокгольм «Нулевой рост» в 1972 году, Рио-де-Жанейро «Повестка дня XXI века» в 1992 году, доклад международной комиссии по окружающей среде и развитию «Наше общее будущее» в 1987 году и другие, где была четко выражена озабоченность по поводу того, что человечеству угрожает катастрофа в случае сохранения существующих темпов экономического роста и технологий производства. Следовательно, была принята концепция устойчивого развития, суть которой заключается в продолжении развития экономики в целях удовлетворения требований нынешнего поколения без нанесения весомого ущерба существованию будущих поколений. Для этого необходимо сделать рациональным обмен веществ и энергии между обществом и природой, чтобы развитие экономики основывалось на строгих закономерностях самовоспроизводства природы, то есть должна произойти **коэволюция** общества и природы, во время которой происходит переход **биосферы** нашей планеты в новое качество – в **неосферу**, **мыслящую оболочку**, где люди сокращают деятельность результаты которой имеют разрушительный природный эффект и тем самым негативно влияют на биосферу (Р. Абесадзе, 2017). Несмотря на весомые международные усилия по защите окружающей среды, в XXI веке остается много нерешенных проблем.

### Экологические проблемы XXI века

Since the first years of independence, reform measures to reduce the insurance premium rate in mandatory state social insurance from 35% to 25% and systematize the regulatory framework for mandatory state social insurance by improving the social insurance legislation in Azerbaijan have had a positive impact on entrepreneurship development. The fund has given impetus to the expansion of pension resources from both the public and especially from non-public sectors. Development in this area has improved the pension dependency ratio, one of the main indicators used to assess the financial sustainability of the pension system. However, as in similar pension systems based on the principle of global solidarity and financed only by mandatory state social insurance premiums, the existing pension mechanisms in Azerbaijan should focus on increasing or at least maintaining the ratio between pensioners and the number of active insurers (pension dependency ratio). This problem should be more addressed in terms of ensuring financial sustainability through the regulation of long-term deficits in the pension system the demographic problems that become increasingly important in recent years.


Increase in the individual account of the insured in the personal accounting system until the right to a pension based on the inflation rate in the sense of conditional maintenance of the value of capital accumulated in individual accounts, which has played a role in increasing the amount of pensions to date, and assuming that a pension consists of single insurance component the application of the dual indexation methodology, which is in line with the annual growth rates of the average monthly nominal wage, provided that the conditional capital accumulated in individual accounts is converted into future real pension expenditures, also have a costly effect on the system.



If the share of mandatory state social insurance contributions in the cost of payments to the population, including pensions and benefits paid at the expense of the mandatory state social insurance, varied approximately from 63% to 73% in 2016-2020, the progress was a very positive trend in the short term. It also increases the importance of keeping the problem in focus in terms of the above mentioned macro approach.

Achieving a reduction in the use of state budget funds in the financing of pension expenditures is considered a positive factor in financial sustainability. The size of collected mandatory state social insurance contributions have increased significantly in recent years (Graph 2.).

**Graph 1. Revenue-expenditure dynamics of SSPF in 2005-2019**



Note regarding years: 1-2005, 2-2010, 3-2015, 4-2016, 5 -2017, 6-2018, 7-2019


**Source:** Implemented (and contained figures calculated) by the author based on released annual report material's statistics (<https://www.sosial.gov.az/uploads/yhs.pdf>).

Due to the first semiannual results of 2020, the share of transfers in the Fund's revenues has dropped from 38% to 26% as a result of measures taken to increase transparency and optimize the pension system in the last two years [13].

Based on the obtained formula and a brief structure of at the beginning of the article we can calculate the notional financial sustainability ratio for pension provision system in Azerbaijan in recent 15 year period that can provide an overall view on regulation of financial management within insurance-pension system in the country. But the indicators reflected could not be used as a prove to say that the tendency will remain for the next 15 years too. This may occur, however the assesment of financial sustainability problem in relation to pension provision system need to take the period of up to next 30-50 years in order to make projections on it.

### Graph 2. Financial sustainability ratio (calculated)

(The ratio of financial sustainability in relation to pension provision is calculated based on - own funds of SSPF (the amount of mandatory state social insurance contributions) divided into pension expenditures and the ratio of financial sustainability in relation to SSPF management is calculated based on own funds of SSPF divided into SSPF total expenditures).



Note: The points consequently corresponding to the years: 1.-2005, 2.-2010, 3.-2015, 4.-2016, 5. -2017, 6.-2018, 7.-2019/ Source: Calculated by the author based on released annual report material's statistics (<https://www.sosial.gov.az/uploads/yhs.pdf>).

As seen from the graph above, for the timeperiod of near 15 years (2005-2019) the trendline for the ratio of financial sustainability in regard to pension provision tends to increase. But for the period of 2005-2015 the line has a negative inclination. So, as a complex and uncertain phenomenon even, the problem of financial sustainability assessment of pension provision requires longterm and multifactorial analyses and calculations to make predictions on it.

Considering that the existing pension system in Azerbaijan still belongs entirely to the category of single-tier pension systems (Pay-as-you-go (PAYG) system) based on mandatory state social insurance premiums, mandatory state social insurance fee fund paid under the state social insurance system can be assessed as a direct factor in the financial sustainability of the pension system within the existing institutions in Azerbaijan. Adequate competence in the organization and management of mandatory state social insurance in the country so far has resulted in a fairly good level of collection of mandatory state social insurance contributions and the absence of a current deficit in the financing of current pension liabilities. Against the background of overall economic growth in Azerbaijan, the dynamic growth of the mandatory state social insurance fund so far, as well as the diversification of sources of pension financing in 2017 due to changes in the above-mentioned pension legislation due to the growing financial capacity of the state budget meeting the part of pension liabilities not financed by mandatory state social insurance premiums at the expense of the state budget did not create a financial burden to the extent that would put pressure on the state budget.

In Azerbaijan, despite the long-term growth dynamics of mandatory state social insurance premiums, the mandatory state social insurance premium fund that still not considered due to the possibility of evaluating the system as a financial resource in terms of dividends as in international practice (corresponding to the second pension stage) or other private financial sources, the lack of opportunities for voluntary (additional) pension provision with the attraction of funds makes it increasingly important to take measures related to the prospects of financial sustainability of the pension system.

At present, in order to ensure the long-term sustainability of the pension system for the next 30 years or more that requires the application of actuarial-mathematical calculations and methods to forecast the income and expenditure balance of the pension system, which provides optimal options for forecasting the long-term pension system and is considered an indispensable factor for conducting necessary regulatory reforms. In this regard, the experience of cooperation in the framework of the World Bank's PROST project is already an important source of information in determining the main contours of the future of the pension system in Azerbaijan.

International experience in this area proves that it is essential to ensure the financial sustainability of the system and increase its financial capacity in order to maintain the long-term growth rate of the pension system. Thus, only on the basis of the development of a three-tier pension system, it is possible to solve the

problems that pension systems will face in the future. Many developing countries have already tested the quality of pension provision and have long-term experience that can improve the well-being of the population. In these countries, along with the level of pension provision based on the system of solidarity based on the mandatory state social insurance system (Pay-AS-You-Go (PAYG) principle), there is a functioning voluntary (additional) pension system, which plays an important role in general pension provision. At the same time, international experience shows that it is very difficult to achieve high pensions with the introduction of a system based only on mandatory state social insurance. The existence of a number of unsuccessful experiences with the mandatory or voluntarily allocation of some part of the mandatory state social insurance contributions in regard to activation of the funded part of pension, which is the second stage of the pension system, is a prudent approach to this element of pensions in Azerbaijan, and further, it is necessary to improve pension provision and achieve higher pension amounts through commercially interested pension institutions based on the use of paid insurance premiums, which set the third stage of the pension system.

### **Conclusion**

In this article, we list some of the main problems related to pension provision as the main goal of the insurance-pension system in Azerbaijan. The main strategic directions should be identified around the following issues, focusing on the issue of financial sustainability at this stage, taking into account the factors affecting the financial sustainability of the pension system in a complex intersectoral relationship:

- reconsideration of the regulation of non-insurance pension expenses, preferential guarantees or expenses related to pension provision;
- taking measures to achieve a favorable pension dependency ratio in relation to pensioners and insured persons (individuals who is active in terms of contributions payment), who are the main driving force or participants of the pension system;
- Ensuring the dividend of investment-oriented use of funds left over from the use of mandatory state social insurance funds and the use of the proceeds to improve the pension system and pension security;
- non-insurance expenditures create an increasing (expected) financial burden for the long-term financial sustainability of the pension system, and its share in pension expenditures has not yet been reduced to a minimum, thus preventing an increase in the tendency to deviate from the principle of social justice among pensioners;
- Adaptation of the population's pension provision to modern requirements increasing in quantity and quality, and at the same time to create a three-tier pension system in accordance with international requirements by activating the funded part of labor pensions, but has not been implemented yet, which was conceptually envisaged at the time of laying the pension legislation in 2006, in order to achieve the solution of the problem (task) of ensuring the long-term sustainability of pension systems as a result of its establishment;
- Achieving the solution of the problem (task) of ensuring the long-term sustainability of pension systems, as a result of adapting the pension provision of the population conceptually envisaged in the social insurance and pension legislation to modern requirements of increasing quantity and quality and at the same time establishing a three-tier pension system in accordance with international requirements that will lead to expansion of financial market segments as a result of the creation of a new economic infrastructure ring in the country as an external effect, thus contributing to the development of the financial market itself, achieving the development of investment-oriented management of the insurance-pension system;
- As a result of comprehensive and consistent reforms, although the insurance-pension system still does not face problems in financing the costs, but the trends surrounding the system (expected growth of demographic aging, weakening of the financial capacity of the pension system, changes in the nature of labor relations, global challenges, etc.) requires to control the system as a whole through long-term forecasting of the pension system (for the next 30-50 years) by achieving the creation of an adequate decision-making mechanism through the assessment of long-term effects.

### **References**

1. Concept of pension reform in the Republic of Azerbaijan approved by the Order of the President of the Republic of Azerbaijan No. 767 dated July 17, 2001 (in aze. language);
2. "State Program on Development of Insurance and Pension System in the Republic of Azerbaijan for 2009-2015" approved by the Presidential Decree dated December 30, 2008 (in aze.);

3. "Concept of pension system reform in the Republic of Azerbaijan in 2014-2020" approved by the Order of the President of the Republic of Azerbaijan dated November 4, 2014 (in aze.);
4. Law of the Republic of Azerbaijan No. 221-IIQ of February 27, 2001 "On individual accounting in the state social insurance system"
5. "Instructions on the rules of collection of compulsory state social insurance premiums" approved by the decision of the Board of the State Social Protection Fund of the Republic of Azerbaijan dated July 9, 1997 N 7/1 (in aze).
6. Law of the Republic of Azerbaijan "On Social Insurance" dated February 18, 1997 № 250-IQ (in aze.)
7. Law of the Republic of Azerbaijan No. 54-IIIQ of February 7, 2006 "On Labor Pensions" (in aze.)
8. Law of the Republic of Azerbaijan No. 1378-IVQ of October 20, 2015 "On the budget of the State Social Protection Fund of the Republic of Azerbaijan for 2016"
9. Law of the Republic of Azerbaijan No. 449-VQ of December 16, 2016 "On the 2017 budget of the relevant executive authority implementing social security and protection" (in aze.);
10. Law of the Republic of Azerbaijan No. 904-VQ of December 1, 2017 "On the 2018 budget of the relevant executive authority implementing social security and protection" (in aze.);
11. Law of the Republic of Azerbaijan No. 1350-VQ of November 30, 2018 "On the 2019 budget of the relevant executive authority implementing social security and protection" (in aze.);
12. Law of the Republic of Azerbaijan No. 1697-VQ of November 29, 2019 "On the 2020 budget of the body (institution) determined by the relevant executive authority implementing social security and protection" (in aze.);
13. [https://www.sosial.gov.az/post\\_360210](https://www.sosial.gov.az/post_360210) (27.07.2020)

**დავით ასლანიშვილი**  
**დავით შაქარაშვილი**

### **COVID-19 ეპოქა და მისი გავლენა საერთაშორისო ფინანსურ დანაშაულზე მსოფლიოში**

*ანოტაცია. 2020 წელს დაწყებულმა კორონავირუსის გლობალურმა პანდემიამ (COVID-19) მკვეთრად შეცვალა მსოფლიო საზოგადოების ყოფა-ქცევა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულება. კარდინალური ცვლილება განიცადა როგორც ყოფითმა და ადამიანურმა, ასევე ბიზნეს ურთიერთობებმა. ამ მხრივ მრავალი კვლევა და დაკვირვება ხორციელდება სამეცნიერო წრეებსა და ლიტერატურაში, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ქართულ სინამდვილეში.*

*თუმცა, ჩვენი კვლევის საგანი ახალია ქართული სინამდვილისთვის, რამეთუ ჩვენ შევეცადეთ თავი მოგვეყარა და გაგვეანალიზებინა პანდემიურ (წინა და არსებულ) პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი ფინანსური დარღვევა/დანაშაული, რათა საქართველოს ფინანსური ბაზარი უფრო მომზადებული იყოს პოსტპანდემიური სამყაროსთვის. ჩვენ გავაანალიზეთ თუ რა გავლენა მოახდინა პანდემიამ ფინანსურ ურთიერთობებზე, საზოგადოებაზე, საკუთრივ კი ფინანსურ დანაშაულზე მსოფლიოში, რა ახალი გამოწვევის წინაშე დგას ფინანსურ – ეკონომიკური ურთიერთობები და რა გველის პოსტპანდემიურ პერიოდში.*

*ამ მხრივ აღნიშნული კვლევა მოიცავს საერთაშორისო ბაზრის კვლევას, მიმოხილვას და მსოფლიო გამოცდილების ადგილობრივი ქართული ფინანსური ბაზრისთვის გაცნობის და შემზადების ფუნქციას ატარებს.*

***საკვანძო სიტყვები:** ფინანსური დანაშაული, კორონავირუსი, პანდემია, მსოფლიო გამოცდილება, საქართველო*

2020 წელს დაწყებულმა კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებული კვალი დაამჩნია ფინანსურ სამყაროს. ჩვენი კვლევა ეფუძნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი ფინანსური დანაშაულისა და მისი რეაგირების ანალიზს, რაც უდაოდ სასარგებლო იქნება პოსტპანდემიური საქართველოსთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლა

საკანონმდებლო დონეზე მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებით გამძაფრდა 2018 წლიდან მოყოლებული და პანდემიის პერიოდში მან განსაკუთრებული დატვირთვა მიიღო.

კვლევის პროცესში მსოფლიო მასშტაბით ჩვენს მიერ აღმოჩენილ და აღწერილ იქნა რიგი სახის ფინანსური ქეისი, რომელიც გასათვალისწინებელია პოსტპანდემიურ საქართველოში:

**1. HMRC (მისი უდიდებულესობის შემოსავლების და საბაჟო სამსახური) გამოძიება დიდი ბრიტანეთის უმდიდრესი ადამიანების მიერ გამოყენებულ ოფშორული კომპანიების საკითხებზე.**

ქვეყნის უმდიდრესი ადამიანების ფინანსური საქმეები შეიძლება გამოძიებულ იქნას საგადასახადო გამომძიებლების მიერ მას შემდეგ რაც The Telegraph- მა სააშკარაოზე გამოიტანა თუ როგორ ცდილობენ ისინი თავი დაიკვან ინფორმაციის გაჟონვისაგან. მთელი რიგი მაღალი რანგის ბრიტანელი ბიზნესმენის ფინანსური მაქინაციები ბერმუდის კუნძულებზე არსებულმა იურიდიულმა კომპანიამ გადამალა და შემდგომში აღიარა, რომ პანდემიის დროს მათ კომპიუტერზე განხორციელდა ჰაკერული შეტევა, რის შედეგად ეს ინფორმაცია საჯარო გახდა. სავარაუდოდ HMRC-მ გარკვეული წილად იცოდა ამ ინფორმაციის გაჟონვის შესახებ და აღნიშნული წყაროს გამჟღავნება მათთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა (წყარო: <http://www.telegraph.co.uk/news/2017/10/25/hmrc-target-britains-richest/>)

**2. ფულის გათეთრებასთან ბრძოლა: ავსტრიის „აქტი ბენეფიციარი მფლობელების რეესტრის შესახებ“**

ავსტრიის მონაცემთა დაცვის რეგულაციების საკითხებზე გამართულ ბიზნეს შეხვედრაზე, განხილული იყო ბენეფიციარი მფლობელების რეესტრის შესახებ ახალი აქტის დეტალები, რამაც ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ბიზნეს საზოგადოებაში. თუმცა რა გასაკვირია, დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს შეიძლება დაეკისროთ ჯარიმები 200 000 ევრო (განზრახ ჩადენის შემთხვევაში) და 100 000 ევრო (უხეში დაუდევრობის შემთხვევაში). ექსპერტების თქმით, კომპანიებმა სასწრაფოდ უნდა დაიწყონ მოქმედება, ვინაიდან რეესტრის წესები და რეგულაციები ძალიან რთულია, ამასთან ბენეფიციარი 2018 წლის 1 ივნისისთვის უკვე დარეგისტრირებულები უნდა ყოფილიყვნენ ამ რეესტრში, თუმცა ჯარიმის არ არსებობა ამ ვალდებულების აღსრულებას ხელს უშლიდა. ავსტრიის კომპანიების, კერძო ფონდებისა და კონცერნების ბენეფიციარი მფლობელების რეესტრის შექმნა, ევროკავშირის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეროვნული კანონმდებლობისთვის მიცემული დირექტივების შედეგია. იურიდიული პირები ვალდებულნი არიან წარადგინონ მონაცემები თავიანთი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ და განაახლონ ეს მონაცემები ყოველწლიურად. (წყარო: [http://www.mondaq.com/article.asp?article\\_id=710478&email\\_access=on](http://www.mondaq.com/article.asp?article_id=710478&email_access=on))

**3. აშშ: ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის ქსელი (Financial Crimes Enforcement Network- FinCEN) ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ე.წ. „წითელ ალმებზე“, რომლებიც ასოცირდება საერთაშორისო კორუფციასთან.**

აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის ქსელმა (FinCEN), გამოსცა რეკომენდაცია რომელიც განმარტავს, თუ როგორ ახერხებენ პოლიტიკური ფიგურები ამერიკის ფინანსურ სისტემაში შეღწევას. რეკომენდაციაში აღწერილია: (1) რა რისკებს შეიცავს ამერიკის ფინანსური ინსტიტუტების მიერ პოლიტიკური ფიგურებისთვის და მათი ფინანსური პარტნიორებისთვის საბანკო სერვისების მიწოდება, (2) საექვო ტრანზაქციების ტიპები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს შეტყობინების ვალდებულება ბანკის საიდუმლოებების აქტის ფარგლებში. რეკომენდაცია შეიცავს FinCEN-ის აქცენტირებული მოქმედებების მიმოხილვას, რომლებიც გამიზნულია იმისკენ, რომ საერთაშორისო კორუფციისა და ადამიანის უფლებების დარღვევების ფასილიტატორებმა (შუამავლებმა) ვერ მოახერხონ ამერიკის საბანკო სისტემაში შემოღწევა.

(წყარო: [http://www.mondaq.com/article.asp?article\\_id=710532&email\\_access=on](http://www.mondaq.com/article.asp?article_id=710532&email_access=on))

#### 4. მალაიზია: კორპორაციული პასუხისმგებლობა კორუფციაზე

მინიმუმ ოთხი წელია, რაც მალაიზიაში გაჯღერდა იდეა მექრთამეობასა და კორუფციაზე კორპორაციული პასუხისმგებლობის შემოღებაზე. 2018–2020 წწ მალაიზიის ანტიკორუფციული კომისიის კანონპროექტები (შესწორება) მიღებულ იქნა მალაიზიის პარლამენტისა და სენატის მიერ. კანონპროექტი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც ის მიიღებს სამეფო თანხმობას და გამოქვეყნდება სახელმწიფო პრესაში. კანონპროექტი, წარმოდგენილია ახალი მუხლი 17A, რომელიც ძირითადი აქტის საფუძველზე ითვალისწინებს მექრთამეობასა და კორუფციაზე კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხს. კომერციული ორგანიზაცია, რომელიც ჩადიდენს დანაშაულს ეკისრება ჯარიმა, რომელიც გულისხმობს არანაკლებ ათმაგ ღირებულებას ან თანხას, ქრთამისა რაც არის დანაშაულის საგანი, სადაც ქრთამი არის შეფასებადი, ან აქვს მატერიალური ღირებულება, ან RM 10 მილიონი, რომელიც უფრო მეტია. ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 20 წლამდე ან ორივე.

(წყარო: [http://www.mondaq.com/article.asp?article\\_id=707706&email\\_access=on](http://www.mondaq.com/article.asp?article_id=707706&email_access=on))

#### 5. ბელგია: საკანონდებლო ცვლილებები

რეგულირებას დაქვემდებარებულ უძრავი ქონების კომპანიების (B-REITs) შესახებ მარეგულირებელი 2014 წლის 13 ივლისის დირექტივების შესწორებები გამოქვეყნდა. ამ შესწორებების მიზანს წარმოადგენს:

1. REIT-ებს შორის, ასევე REIT-ს და ბაზრის სხვა მონაწილეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება;

2. აქტივების კლასების გაფართოება, რომლებშიც B-REIT-ებს შეუძლიათ განახორციელონ ინვესტირება, რომლებიც მოიცავს კერძო და საჯარო პარტნიორობებს (PPPs) ინფრასტრუქტურის და ეგერგეტიკის სექტორებში;

3. „სოციალური REIT“-ის, როგორც ახალი ტიპის საჯარო REIT-ის დანერგვა, რომელიც ინვესტიციების განხორციელების საშუალებას იძლევა, უძრავ ქონებაში რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის და ჯანდაცვის სექტორში.

გარკვეულ პირობებში, მაგალითად, €100,000 ან მეტი ინვესტიციის შემთხვევაში, კერძო პირებს უფლება აქვთ „ინსტიტუციონალურ B-REIT“-ში ფლობდნენ წილს. შედეგად, საოჯახო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნას ინსტიტუციონალური B-REIT-ის მიერ, რის შედეგადაც ის ისარგებლებს იმავე გამჭვირვალე საგადასახადო რეჟიმით. (წყარო: [http://www.mondaq.com/article.asp?article\\_id=724324&email\\_access=on](http://www.mondaq.com/article.asp?article_id=724324&email_access=on))

#### 6. კაიმანის კუნძულები: ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ოფიცრების დანიშვნა

კაიმანის კუნძულების მონეტარულმა უწყებამ (Cayman Islands Monetary Authority - CIMA) ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა სახელმძღვანელო მითითების განმარტება, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულაციების თაობაზე, იმისათვის რომ ყველა ფონდისთვის (მიუხედავად იმისა, რეგულირდება თუ არა CIMA-ს მიერ ამ ფონდის საქმიანობა) რომელიც აწარმოებს „შესაბამის ფინანსურ საქმიანობას“ კაიმანის კუნძულებზე, გასაგები ყოფილიყო ის ფაქტი, რომ მათ მოეთხოვებათ დანიშნონ პიროვნებები, რომლებიც იმოქმედებენ როგორც - ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან შესაბამისობის ოფიცერი (Anti-Money Laundering Compliance Officer - AMLCO), ფულის გათეთრებაზე ანგარიშგების ოფიცერი (Money Laundering Reporting Officer - MLRO) და ფულის გათეთრებაზე ანგარიშგების ოფიცრის მოადგილე. CIMA ასევე მოელის, რომ ყოველი ფონდი საკუთარი შეთავაზების დოკუმენტში აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ფონდმა დანიშნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ოფიცრები და ასევე დეტალებს, რაც საშუალებას მისცემს მომავალ ინვესტორებს მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია ამ ოფიცრებთან დაკავშირებით. AMLCO თვალყურს ადევნებს ფონდის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პროცედურებს და კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობას, პერიოდულად ახორციელებს მონიტორინგს და იღებს ანგარიშებს მომსახურების მომწოდებლებისგან (მაგალითად ადმინისტრატორი და საინვესტიციო მენეჯერი), რომლთაც დელეგირებული აქვთ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული

ფუნქციები, ასევე არის საკონტაქტო პირი სახედამხედველო და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან. MLRO არის საკონტაქტო პირი, რომელიც იღებს შეტყობინებას ფონდის შიგნით არსებული ყველა საექვო საქმიანობის შესახებ. DMLRO ასრულებს იგივე ფუნქციებს MLRO-ს არყოფნის შემთხვევაში

(წყარო:<http://www.mondaq.com/caymanislands/x/739158/Money+Laundering/Appointment+of+AML+Officers+in+the+Cayman+Islands>)

## 7. ნიდერლანდების სამეფო: კიურასაოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების გავლენა

2018 წლის ივნისში, კიურასაოს (წარმოადგენს ნიდერლანდების სამეფოს იურისდიქციაში შემავალ ქვეყანას) პარლამენტმა დაამტკიცა ახალი კანონმდებლობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა ეროვნული საგადასახადო დაბეგვრის შესახებ ზოგად განკარგულებაში, მოგების გადასახადის 1940 წლის განკარგულებასა და ეროვნულ განკარგულებაში. ყველაზე მეტი ცვლილება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას (OECD) გააჩნია სახელმძღვანელო პრინციპები შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმებისთვის. ისინი დააკვირდნენ კიურასაოს და მიხვდნენ, რომ საგადასახადო კანონმდებლობა არ იყო მათ რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაში. კიურასაომ განახორციელა აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ადრე არსებული ნორმების OECD-ის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანის საშუალებას იძლევა. მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები გავლენას ახდენს ძირითადად დაბეგვრის სპეციალური რეჟიმის კომპანიებზე. ამ სუბიექტებს სავარაუდოდ მოუწევს გარკვეული ცვლილებების გატარება, რათა მოვიდნენ საკანონმდებლო ნორმებთან სრულ შესაბამისობაში. ცვლილებები ზეგავლენას მოახდენს ე.წ. e-zone კომპანიებზე (*რომლებიც ელექტრონულ, ვირტუალურ სივრცეში ფუნქციონირებენ*). ამ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ძალაში შესვლამდე ამ კომპანიებს ელექტრონული მომსახურებით და საქონლით ვაჭრობის უფლება ჰქონდათ. ახლა კი მხოლოდ საქონლით ვაჭრობას შეძლებენ. ეს კომპანიები უნდა მოერგონ ახალ კანონებს. მაგალითად, ონლაინ თამაშების კომპანია უკვე ვეღარ განახორციელებს e-zone-ში ვაჭრობას და ასე რომ, მათ მოუწევთ სხვა სახის კომპანიებად გარდაქმნა. ამჟამად არსებული საგადასახადო დაბეგვრის შეღავათების რეჟიმის მქონე კომპანიები გარდაიქმნება კიურასაოს საინვესტიციო კომპანიებად, ხოლო არსებული ექსპორტის რეჟიმი დაექვემდებარება შემდგომ ცვლილებებს. ეს ცვლილებები გლობალური მასშტაბით გაათანაბრებს თამაშის წესებს კიურასაოსთვის. ამ საგადასახადო ცვლილებებმა საგრძნობლად არ უნდა იმოქმედოს ამჟამად მოქმედ იურიდიულ თუ კერძო პირთა ბიზნესებზე, მაგრამ ამ ახალი საგადასახადო კანონების გააზრება და შესწავლა აუცილებელია იმისათვის, რომ კომპანიის საქმიანობა სრულ შესაბამისობაში იყოს ახალ რეგულაციებთან. (წყარო: [http://www.mondaq.com/article.asp?article\\_id=744170&email\\_access=on](http://www.mondaq.com/article.asp?article_id=744170&email_access=on))

ამ ქეისს აქვს პირდაპირი ბმა საქართველოს სინამდვილესთან. 2021 წლის 19 მაისს ანალოგიური შემთხვევა საქართველოს ფინანსური სისტემაში დაფიქსირდა. აღმოჩენილ იქნა 10 წლის წინანდელი საკანონმდებლო ხარვეზი და მასზე მიმდინარეობს გამოძიება და რეაგირება.

**ვირტუალური ზონის პირი** - ასე ჰქვია იმ სტატუსს, რომლის მოპოვებითაც საქართველოში მოღვაწე საინფორმაციო და ტექნოლოგიური სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს დღგ-ისა და მოგების გადასახადების 0%-მდე შემცირება შეუძლიათ. ეს საგადასახადო შეღავათები 2010 წლის დეკემბერში - “საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების” შესახებ მიღებული კანონით და საგადასახადო კოდექსით არის განსაზღვრული. კანონის მიხედვით, ნულოვანი საგადასახადო მოსაკრებელი საქართველოში IT სერვისების განვითარების ხელშესაწყობად არის მიღებული.

ვირტუალური ზონის პირის სტატუსს კომპანიებს ფინანსთა სამინისტრო ანიჭებს. კანონის მეექვსე მუხლის მიხედვით - “ვირტუალურ ზონაში საქმიანობას მიეკუთვნება იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმართული იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნასთან.”

გასული 10 წლის განმავლობაში საქართველოში ამ სტატუსით 1,000-ზე მეტი იურიდიული პირი დარეგისტრირდა. საგადასახადო პრაქტიკის მიხედვით, კომპანიებს არ მოეთხოვებოდათ უშუალოდ საქართველოში დასაქმებულთა ყოლა და უშუალოდ საქართველოს ტერიტორიიდან მომსახურების გაწევა. თუმცა, რამდენიმე კვირაა რაც შემოსავლების სამსახურმა საკუთარი პრაქტიკა რადიკალურად შეცვალა და კომპანიებისგან წინა წლებში მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების გადახდას ითხოვს.

**ვირტუალური ზონის პირების** შესახებ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა ბრძანა, რომ შემოსავლების სამსახურმა საკუთარი პრაქტიკის შეფასებისას აღმოაჩინა, რომ მათ ვირტუალური ზონის პირების შემოწმება არცერთხელ არ აქვთ ჩატარებული, საკითხის უფრო დეტალურად გაანალიზებით კი გაირკვა, რომ ქვეყანაში ამ სტატუსით რეგისტრირებული 1,025 კომპანიიდან ფაქტობრივად არცერთი არ ახორციელებს უშუალოდ საქართველოს ტერიტორიიდან უცხოეთში ციფრული სერვისების მიწოდებას. ამასთან, შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსანი აცხადებს, რომ საკონსულტაციო, აუდიტორული და იურიდიული ფირმები, რომლებიც უცხოურ კომპანიებს საქართველოში ვირტუალური ზონის სტატუსის მიღებას ურჩევდნენ, ამ კომპანიებს ატყუებდნენ, რადგანაც კანონში ნათქვამია, რომ ამ სტატუსის მქონე კომპანიამ მომსახურება უშუალოდ საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გასწიოს. რომან ბუღაძის თქმით, არსებული რეალობა სრულიად განსხვავებულია და 1,025 კომპანიიდან ფინანსთა სამინისტრომ დაკავშირება მხოლოდ 50 კომპანიასთან შეძლო, დანარჩენ კომპანიებს კი ქვეყანაში საფოსტო ყუთიც კი არ გააჩნიათ.

"დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია ვირტუალური ზონის პირის სტატუსის 1,025 კომპანია. ეს ციფრი ისეთია, რომ თუ მარტო რაოდენობრივად შევხედავთ შეიძლება ჩავთვალოთ რომ პროექტმა გაამართლა. თუმცა, მათი შესწავლიდან გამოიკვეთა, რომ ამ ობიექტების ადმინისტრირების პრაქტიკა არ არსებობს, ანუ არცერთი ამ ობიექტიდან დღემდე შემოსავლების სამსახურის მიერ შემოწმებული არ არის. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ითვლებოდა რომ ამ სფეროში არ იყო რისკები არ ხდებოდა ამ კომპანიების შემოწმება. თუმცა საკითხის უკეთესად შესწავლით აღმოჩნდა, რომ ამ 1,025 კომპანიიდან კომუნიკაციის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ 50 კომპანიასთან. დანარჩენი კომპანიები ფაქტობრივად არ იძებნება და შემოსავლების სამსახურმა მათ საქართველოში ვერ მიაკვლია.

მეტან ვერ გავდივართ კომუნიკაციაზე. მხოლოდ ამ 50 კომპანიის ინფორმირება მოხდა. დანარჩენი კომპანიებიდან მათი წარმომადგენელიც არაა ნამყოფი საქართველოში. მხოლოდ წერილი აქვთ გამოგზავნილი და ისე დარეგისტრირდნენ ამ სტატუსით. ყველა ეს კომპანია სარგებლობდა კერძო აუდიტორული ფირმების მიერ შეთავაზებული განმარტებით. თუმცა, ჩვენმა კონსულტანტებმა და აუდიტორებმა მყარად გვითხრეს რომ საგადასახადო მიზნებისთვის ამ კანონის ჩანაწერის გამოყენებაც უნდა მოხდეს, სადაც მკაფიოდ წერია რომ საქართველოდან უნდა იყოს სერვისის მიწოდება. თუმცა, საკონსულტაციო ფირმები უცხოურ კომპანიებს ეუბნებოდნენ, რომ მთავარია აქ სტატუსი მიეღოთ, რისი მიღებაც მარტივია და მთავარია პროდუქტი გაყიდო ქვეყნის გარეთ ანუ ის რომ ინდოეთიდან საქართველოში პერსონალი ჩამოეყვანათ ამაზე ეუბნებოდნენ, რომ ეს საჭირო არ იყო,"- აცხადებს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი.

კითხვაზე რა შეიძლება მოხდეს თუკი ეს კომპანიები საქართველოდან გავლენ, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი პასუხობს, რომ მათი გასვლით ქვეყანა არაფერს დაკარგავს, რადგან ამ ფირმებს საქართველოში საფოსტო ყუთიც კი არ გააჩნდათ. "[თუკი ეს კომპანიები გავლენ] რა ინვესტიცია უნდა დაგვარგოთ, მათ საფოსტო ყუთიც კი არ აქვთ საქართველოში. ვილაცამ არასწორი კონსულტაცია გაუწია მათ რომ შეუძლიათ იყვნენ და რეალურად საქმიანობდნენ ინდოეთში, საქართველოში აიღონ ეს იურიდიული სტატუსი და აქ მეტი შემხებლობა არ ჰქონდეთ.



რაც შეეხება იმ კომპანიებს (50 კომპანიას), რომლებიც ნამდვილად არიან აქ წარმოდგენილი, ისინი მიხვდნენ, რომ ნამდვილად მოტყუვდნენ კონსულტაციებით. ეს კომპანიები გვეუბნებიან, რომ აქ აიყვანენ პერსონალს, ბუღალტერს, დირექტორს და სხვებს. თუმცა - ბოდიში, მაგრამ ეს პროექტი იმისთვის არ შექმნილა რომ აქ დამლაგებელი ან ბუღალტერი აიყვანონ, ეს პროექტი შეიქმნა იმისთვის, რომ ინტელექტუალური ხალხი დასაქმებულიყო.”- განაცხადა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა.

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი განმარტავს, რომ მეთოდოლოგიური გზამკვლევი ამ მხრივ ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა ის 1 თვის ვადაში შეიქმნება. მან ასევე განაცხადა, რომ შემოსავლების სამსახური “ვირტუალური ზონის პირებთან” წინა წლების გადასახადების ამოღების პროცედურებსაც დაიწყებს და კომპანიებს შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობა უკვე “სასამართლოში მოუწევთ”.

“50 კომპანიასთან გვქონდა კომუნიკაცია. მათგან 24-მა მაშინვე გაასწორა ეს ნაწილი და 2.5 მილიონამდე მათ სასწრაფო წესით დაადეკლარირეს. ამას გარდა ჩვენ ანალიტიკური სამსახურიდან მივიღეთ დავალება, რომ სასწრაფოდ გზამკვლევები გაკეთდეს. მივიღეთ დავალება, რომ ყველა სპეც რეჟიმზე გაკეთდეს ეს გზამკვლევი. დაახლოებით 1 თვე დასჭირდება ამ გზამკვლევის გაკეთებას. როდესაც არ სჯერა გადამხდელს რომ წესი არის ესეთი, შემდეგ ეს პროცესი გადაიზრდება საგადასახადო შემოწმებაში, რომელიც შედეგის სახით დადგება და შემდეგ ჩვენ უკვე არა ტელევიზიაში, არამედ სასამართლოში შევხვდებით ამ გადამხდელს.”- აცხადებს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი.

იურიდიული და აუდიტორული კომპანიების შეფასებით, მთავრობის მიერ “ვირტუალური ზონის პირებთან” მიმართებით საგადასახადო პრაქტიკის რადიკალური ცვლილება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რის შედეგადაც არაერთმა ინვესტორმა ქვეყანა შეიძლება დატოვოს. აუდიტორული ფირმები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ აქამდე სახელმწიფოს მხრიდან ამ საკითხის ან კანონის თაობაზე არავითარი კომუნიკაცია არ გამართულა. იურისტების შეფასებით, სადავო საკითხი რომ სერვისის შექმნა უშუალოდ საქართველოდან უნდა მოხდეს წერია "საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ" კანონში და არა საგადასახადო კოდექსში, ხოლო საგადასახადო ადმინისტრირებისთვის სახელმწიფომ არა "საინფორმაციო ტექნოლოგიების კანონი", არამედ საგადასახადო კოდექსი უნდა გამოიყენოს. (წყარო: 10 წლის კანონში მთავრობამ ხვრელი “აღმოაჩინა” და 1,000 კომპანიისგან გადასახადს ითხოვს | BM.GE)

#### **8. ევროკავშირი: ევროკავშირის კომისიის შეთავაზებით შესაძლოა ევროპის საბანკო უწყებას (EBA) გაეზარდოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მანდატი**

ევროკომისიას აქვს შეთავაზება რომლის მიხედვითაც საჭიროა გაზარდოს ზედამხედველობა ფინანსურ სექტორზე ფულის გათეთრების დანაშაულის სიხშირის ფონზე. ევროკომისიამ ახლა ხანს წარადგინა შეთავაზება, რომლის მიხედვითაც ევროპის საბანკო უწყებას (EBA) გაეზარდება მანდატი და მასვე დაეკისრება ფინანსურ სექტორში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება. ხსენებული სიახლის შეთავაზება ევროპის ბანკებში ფულის გათეთრების ბოლოდროინდელი შემთხვევების საპასუხოდ იყო გამოწვეული, რომელთა თანხობრივი გამოხატულება ასობით მილიარდი ევროა. ამ შემთხვევებმა გამოავლინა ევროკავშირის საზედამხედველო უწყებების ქსელის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ბაზის სისუსტეები და ხარვეზები. ევროკავშირის დონეზე, ევროპული საზედამხედველო უწყებები ("ESAs") უზრუნველყოფენ ევროკავშირის პრევენციულ და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო წესების თანმიმდევრულ, ქმედით და ეფექტურ გამოყენებას. წინადადებების თანახმად, ევროპის საბანკო უწყება (EBA) მიიღებს უფრო და სრულმასშტაბიან მანდატს, რათა უზრუნველყოს ევროკავშირის ფინანსური სისტემის მდგრადობა და ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსების რისკების ეფექტურად და თანმიმდევრულად გაერთიანება

ყველა შესაბამის ორგანოს საზედამხედველო სტრატეგიებსა და პრაქტიკაში. ახალი მუდმივი კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ ეროვნული საზედამხედველო ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი არიან ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის წარმართვაზე. ევროპის საბანკო უწყება (EBA) ასევე ითანამშრომლებს ევროპის ფასიანი ქაღალდების და საფონდო ბაზრების უწყებებთან, ევროპულ სადაზღვევო და დასაქმებულთა პენსიების მართვის ორგანოებთან ევროპული საზედამხედველო უწყებების (ESA) არსებული ერთობლივი კომიტეტის ფარგლებში.

(წყარო: [http://www.mondaq.com/article.asp?article\\_id=742108&email\\_access=on](http://www.mondaq.com/article.asp?article_id=742108&email_access=on))

### 9. შვეიცარია კორპორაციული საგადასახადო რეფორმების პაკეტს ამტკიცებს

პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმები გაუქმდება იმ ჰოლდინგებისთვის, კომპანიებისთვის რომელთა იურიდიული მისამართი შვეიცარიაშია (დომიცილებული კომპანიები) და შერეული კომპანიებისთვის და მათ ასევე შეუმცირდებათ გადასახადები. დიდი დებატების შემდეგ, შვეიცარიის საგადასახადო შეთავაზება 17 (ან როგორც ამას ახლა უწოდებენ, საგადასახადო რეფორმის ფედერალური აქტი და AHV-დაფინანსება - „TRAF“) პარლამენტმა 2018 წლის 28 სექტემბერს დაამტკიცა.

სავარაუდოა, რომ TRAF-ი შექმნის სათანადო ბალანსს საერთაშორისო მოლოდინების შესაბამისად ქვეყნის საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებასა და შვეიცარიის ბიზნესისთვის მიმზიდველობის შენარჩუნებას შორის, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოსთვის საკმარისი ოდენობით საგადასახადო შემოსავლებს. კორპორაციული საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის დამტკიცების პროცესი საკმაოდ გაჭიანურდა და ქვემოთ შეჯამებული ის საკითხები, რომლებსაც ახლა „მწვანე შუქი აუნთეს“:

#### TRAF-ის ძირითადი ელემენტები

- პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმების გაუქმება

კანტონური საგადასახადო პრივილეგიები იმ ჰოლდინგებისთვის, კომპანიებისთვის რომელთა იურიდიული მისამართი შვეიცარიაშია (დომიცილებული კომპანიები) და შერეული კომპანიებისთვის გაუქმდება. ხოლო ფედერალურ დონეზე, მოგების განაწილების წესები შვილობილი საწარმოების დაფინანსების მიზნით გაუქმდება ძირითადი კომპანიებისთვის.

- კანტონური კორპორაციული საშემოსავლო გადასახადების განაკვეთის შემცირება

TRAF-ის დანერგვასთან დაკავშირებით, იმისათვის რომ მიმზიდველი დარჩეს, კანტონების უმეტესობა შეამცირებს გადასახადების კომბინირებულ განაკვეთს. არსებული მოლოდინებია, რომ გადასახადების ოდენობა 12 დან 18%-მდე ფარგლებში იქნება განსხვავებული კანტონების მიხედვით.

- კაპიტალზე საგადასახადო შეღავათი

ეს იქნება კანტონების შეხედულებისამებრ, რათა უზრუნველყოს კაპიტალზე საგადასახადო შეღავათი, რომელიც დაკავშირებულია ბაზრის კვალიფიციურ მონაწილეებთან, პატენტებთან და საავტორო უფლებასთან და აგრეთვე ჯგუფის შიდა სესხებთან.

- უცხოური კომპანიების მუდმივი წარმომადგენლობები შვეიცარიაში

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, უცხოური კომპანიების მუდმივი დაწესებულებები შვეიცარიაში შეძლებენ მოითხოვონ ხარჯების მთლიანი საგადასახადო გამოქვითვები. (წყარო: [http://www.mondaq.com/article.asp?article\\_id=743492&email\\_access=on](http://www.mondaq.com/article.asp?article_id=743492&email_access=on))

### 10. კანადა: ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისია გვაცნობს მამხილებელთა (ინფორმაციის მომწოდებელთა) ახალ პოლიტიკას

2018 წლის 19 ნოემბერს ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისიამ ("ASC") დაანონსა მამხილებელთა ახალი პროგრამისა და მამხილებელთა ახალი ოფისის შექმნა ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისიის 15-602 პოლიტიკის ფარგლებში - მამხილებელთა პროგრამა ("პოლიტიკა") ფასიანი ქაღალდების აქტის ცვლილებებთან ერთად. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ დასაქმებულებმა ან "მამხილებლებმა" აცნობონ ალბერტას „ფასიანი ქაღალდების აქტის“

პოტენციური დარღვევის შესახებ და ხსენებულ პიროვნებებს მიეცეთ გაძლიერებული დაცვის შესაძლებლობა ასეთ შემთხვევებში. ონტარიოს უსაფრთხოების კომისიის პროგრამისგან განსხვავებით, ალბერტას უსაფრთხოების პროგრამა არ სთავაზობს ფინანსურ კომპენსაციას მამხილებლებს. თუმცა, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მამხილებლები თავად არიან „ჩართულნი“ უკანონო ქმედებებში, პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ კონკრეტული გარემოებების მქონე საქმეებში მამხილებლებს მიეცეთ შესაძლებლობა მიიღონ კომპენსაცია, ე.წ. ანაზღაურება "თანამშრომლობისათვის".

ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი ქმნის ინფორმაციის მიწოდების მარტივ პროცესს მამხილებლებისათვის, რაც პროგრამის ფარგლებში შეიძლება მოიცავდეს დასაქმებულებს, დირექტორებს ან კომპანიის კონტრაქტორებს. მამხილებელმა შესაძლებელია მიაწოდოს კონფიდენციალური ინფორმაცია სტანდარტული ფორმის წარდგენით პირდაპირ ელ.ფოსტის, საფოსტო გზავნილის, უშუალოდ ფიზიკური პირისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით, ან ადვოკატის მეშვეობით. მამხილებლებს ასევე შეუძლიათ დაუკავშირდნენ "მამხილებელთა ოფისს" განსაზღვრული სატელეფონო ნომრის მეშვეობით, რათა დასვან შესაბამისი შეკითხვები პროგრამის შესახებ.

ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისია უზრუნველყოფს, მაგრამ არ მოითხოვს, რომ ეს კონფიდენციალური ინფორმაცია მამხილებელთა ოფისისათვის წარდგენამდე შიდა პროცედურების მეშვეობით გაეცნოს დასაქმებულებს. "მამხილებელთა ოფისი" გადახედავს ყველა მიწოდებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, ამასთანავე მათგან ყველა არ აისახება საგამოძიებო პროცედურებში. პოლიტიკა განსაზღვრავს დამატებით დეტალებს, თუ რა ინფორმაცია უნდა შედიოდეს ამ კონფიდენციალურ ინფორმაციაში. მამხილებელთა დაცვის ანონიმური და კონფიდენციალური ინფორმაციები მიღებული იქნება "მამხილებელთა ოფისი"-ს მიერ. თუმცა, პოლიტიკა აღნიშნავს, რომ ანონიმურად წარდგენილმა კონფიდენციალურმა ინფორმაციებმა შესაძლებელია შეზღუდონ ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისიის შესაძლებლობა ჩაატაროს სრულყოფილი გამოძიება. მაშინ, როდესაც მამხილებლები აირჩევენ, რომ მოახდინონ თავიანთი თავის იდენტიფიცირება, პროგრამა ქმნის დაცვის მთელ რიგ მექანიზმებს.

პროგრამის ფარგლებში მამხილებლის პიროვნება კონფიდენციალურია და არ შეიძლება მის თაობაზე ინფორმაცია გამოტანილი იქნას ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისიისგან „ფასიანი ქაღალდების აქტის“ თანახმად. თუმცა, მამხილებლის პიროვნება შესაძლებელია არ იყოს კონფიდენციალური განსაზღვრულ შემთხვევებში, იმის ჩათვლით, როდესაც ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისია ან სასამართლო განსაზღვრავს, რომ გამჟღავნება აუცილებელია იმის დასამტკიცებლად, რომ ამ პიროვნებას არ დაურღვევია ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობა. ასეთი გამჟღავნება მოხდება მხოლოდ იმ პირთა წრისათვის, რომლებიც კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე საჭიროდ მიიჩნევიან.

პროგრამა უზრუნველყოფს ასევე დამსაქმებლის მხრიდან რეპრესიული ქმედებებისაგან დაცვას, რაც ასევე ვრცელდება მამხილებლის ოჯახის წევრების წინააღმდეგ რეპრესიების აკრძალვაზე. დაცვა ასევე შეეხება რეპრესიული ქმედებების ისეთ შემთხვევას, სადაც პიროვნება გამოხატავს სურვილს, არასწორი ქმედების შესახებ აცნობოს ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისიას. როდესაც მამხილებელი არის მისი დამსაქმებლის მხრიდან რეპრესიული მოქმედებების ობიექტი, ზემოხსენებული აქტი აწესებს კომპანიის წინააღმდეგ ქმედების უფლებას. პროგრამა ასევე ნებას რთავს ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისიას, რომ განახორციელოს სამართალდაცვითი ქმედება და დააწესოს სანქციები, იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელმა განახორციელა საპასუხო ქმედებები დასაქმებულის ან მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ.

დამატებით, კანონმდებლობა კრძალავს დასაქმებულისათვის ხელის შეშლას, იმოქმედოს როგორც მამხილებელმა, რომელიც ეძებს რჩევას, მამხილებლის საქმიანობის შესახებ ან ეხმარება გამოძიებაში.

### **დასკვნა:**

პროგრამა განხორციელდა იმისათვის, რათა მამხილებლებს გაუადვილდეთ ინფორმაციის მიწოდება და ახალი სამართლებრივი დებულებები იქნა ამოქმედებული, რათა გაძლიერდეს კონფიდენციალურობის დაცვა, აკრძალოს რეპრესიები და უზრუნველყოფილი იქნას სამართლებრივი დაცვის უფლება ასეთ შემთხვევაში.

პროგრამა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან დაცვას მამხილებლებისათვის, თუმცა ჯერ დასაკვირვებელია ალბერტას ფასიანი ქაღალდების კომისიის პროგრამა იქნება თუ არა უფრო ეფექტური სხვა იურისდიქციებთან შედარებით (*ონტარიო ან აშშ*), სადაც მამხილებლებისათვის გათვალისწინებულია ფინანსური წახალისება.

(წყარო: <http://www.mondaq.com/canada/x/768092/Securities/Alberta+Launches+Whistleblower+Program>)

### **11. ფედერალურმა უწყებამ JPMorgan Chase-ის საქმის ინფორმატორი რეკორდული 30 მლნ აშშ დოლარით დააჯილდოვა**

ფლორიდის შტატის ფინანსური გამომძიებელი ფედერალური სასაქონლო ბირჟების მარეგულირებლისგან მიიღებს 30 მლნ აშშ დოლარს, იმისათვის რომ მან მიაწოდა ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ JPMorgan Chase-ის საქმეზე. ბ-ნმა სიდლიმ, რომელიც ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის (SEC) ყოფილი ადვოკატი იყო და შემდეგ გახდა სასამართლო ექსპერტი (გამომძიებელი), ასევე აცნობა SEC-ს ბანკის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ცოტა ხნით ადრე SEC-მა დაადასტურა 48 მლნ აშშ დოლარის გადახდა ბ-ნი სიდლისთვის, რაც იმას ნიშნავს რომ ეს გაბედული გამომძიებელი საერთო ჯამში მიიღებს 78 მლნ აშშ დოლარს. ბ-ნმა სიდლიმა, რომელმაც აღმოაჩინა რომ საპენსიო ფონდები ბენეფიციარებს ზედმეტ ხარჯებს აკისრებდნენ, აცნობა მარეგულირებელს რომ მიმდინარეობდა ორმხრივი თაღლითობა JPMorgan Chase-ის მიერ 2011 წელს. 2011 წლის კანონი, რომელმაც დააწესა ინფორმაციის მომწოდებელზე 10%-დან 30%-მდე ჯილდო იმ ჯამური თანხიდან, რომელსაც სამართალდამცავები მიიღებდნენ ღონისძიებების ჩატარების შედეგად, კრძალავს სააგენტოების მიერ ინფორმაციის მომწოდებლის სახელის გასაჯაროებას. ბ-ნმა სიდლიმა განაცხადა, რომ იგი აგზავნიდა ორ განაცხადს წელიწადში მას შემდეგ რაც ზემოხსენებული ჯილდოების პროგრამა ამოქმედდა და არ უფიქრია იმაზე რომ მყისიერად მიიღებდა ჯილდოს. ის გეგმავს თანხის გამოყენებას, რათა Wall Street-ის ბოროტმოქმედებზე წნეხი შეინარჩუნოს. „დიდი ჯილდოს მიღება საშუალებას მომცემს მეტი გამოძიებების ჩასატარებლად“ - განაცხადა მან. (წყარო: <https://nypost.com/2018/07/12/feds-award-jpmorgan-chase-whistleblower-a-record-30m/>)

### **12. დიდ ბრიტანეთში საექვო ტრანზაქციებთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია**

დანაშაულთან ბრძოლის ნაციონალური სააგენტოს (National Crime Agency - NCA) ანგარიშის მონაცემებით ბრიტანეთის ხელისუფლებამ 2017-2018წ.წ. საექვო ფინანსურ აქტივობებთან და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული 500 ათასზე მეტი საჩივარი მიიღო.

დიდ ბრიტანეთში 2017-2018წ.წ. თითქმის ორჯერ გაიზარდა საექვო ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი შეტყობინებების რაოდენობა.

2017 წლის აპრილიდან 2018 წლის მარტამდე პერიოდში, ბრიტანეთის ხელისუფლებამ მიიღო საერთო ჯამში 463.9 ათასი მოთხოვნა საექვო ფინანსური აქტივობების შემოწმების თაობაზე. ეს თითქმის 10 %-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს.

ასევე 20%-ით გაიზარდა თხოვნები ფულის გათეთრებასთან კავშირის არსებობაზე გადამოწმებელიყო ფინანსური ოპერაციები. მოცემულ პერიოდში საერთო ჯამში, ბრიტანეთის მოქალაქეებმა მსგავსი შემთხვევების გადამოწმების თხოვნით NCA-ს მიმართეს 22,200-ჯერ. ამასთან NCA-ს ცნობით, ასეთი შემოწმებების შედეგად აღიძრა 31 სისხლის სამართლის საქმე.

დანაშაულთან ბრძოლის ნაციონალური სააგენტო (NCA) შემოწმების ჩატარების თხოვნებით მიმართვის დიდ ნაწილს (საერთო რაოდენობის დახლოებით 80%-ს) ღებულობს

ბანკებისგან, ხოლო მეორე ადგილზე მიმართვების რაოდენობით არიან სამშენებლო კომპანიები (4.2%).

2018 წლის თებერვლის შემდეგ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ ასევე მიიღო კანონი, რომელიც მოქალაქეებს აძლევს სუფლებას წარადგინონ შემოწმების მოთხოვნები უცხოეთის მოქალაქეების გაურკვეველი წარმოშობის ქონების არსებობის თაობაზე (Unexplained wealth orders - UWO). იმ შემთხვევაში თუ უცხოეთის მოქალაქე ვერ წარმოადგენს £ 50,000-ზე მეტი ღირებულების ქონების წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ბრიტანეთის ხელისუფლება შეძლებს მათი აქტივების გაყინვას.

2018 წლის ივნისის მონაცემებით, ლონდონი აწარმოებდა გამოძიებას უცხოეთის 120-140 მოქალაქეზე, რომელთა ქონების წარმომავლობაზეც დაეჭვდნენ შემმოწმებელი ორგანოები.

2018წ. ოქტომბერში ლონდონმა პირველად გამოიყენა აქტივების გაყინვის უფლება. ამ კანონის საფუძველზე მოხდა აზერბაიჯანის მოქალაქის ზამირა ჰაჯიევის აქტივების გაყინვა. ეს ქალბატონი გახლდათ ჯახანგირ ჰაჯიევის მეუღლე რომელიც თავისმხრივ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელია და მას 2016 წელს ბაქოში 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

(წყარო: <https://www.rbc.ru/finances/10/01/2019/5c377d019a794701102f1bec>)

### **13.აშშ: მამხილებელთა შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა**

ინფორმაცია მამხილებელთა შესახებ წარმოადგენს პერიოდულ ანგარიშს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან საქმეებს, გადაწყვეტილებებს, წინადადებებს და კანონმდებლობას, რომელიც დაკავშირებულია მამხილებელთა სტატუტებთან/დებულებებთან და როგორი გავლენა შეიძლება მათ იქონიონ თქვენს ბიზნესზე. უკანასკნელი ანგარიში მოიცავს:

**ა) 2018 წლის დაწინაურების ტენდენციები “ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების შესახებ კომისიის“ (შემდეგში- კომისია) პროგრამის მიხედვით, მამხილებელთა დაცვასთან დაკავშირებით**

დაწინაურების ტენდენციები გაგრძელდა მომდევნო წლისათვის. 2018 წელს კომისიამ, მამხილებელთან დაკავშირებით გასცა იმაზე მეტი ჯილდო, ვიდრე ამ პროგრამას გაუცია წარსულში, ჯამურად ყველა წლის გათვალისწინებით. კომისიის 2018 წლის მამხილებელთა პროგრამის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, 30 სექტემბრისთვის, პროგრამას 13 მამხილებელისთვის ჯილდოს სახით გადაცემული ჰქონდა დაახლოებით 168\$ მლნ. ეს აბსოლუტურად აღემატება ბოლო 7 წლის განმავლობაში, 46 მამხილებლისთვის ჯამურად გაცემულ 158 \$ მილიონს.

ერთჯერადად გაცემული ჯილდოს ყველაზე დიდი რაოდენობა 2018 წლის მარტში დაფიქსირდა, როდესაც 50 მილიონი აშშ დოლარი გაიყო ორ მამხილებელზე, რომელთა დახმარებითაც, კომისიამ 145 მლნ აშშ დოლარი ამოიღო „მერილ ლინჩისგან“<sup>23</sup>.

კომისიამ ასევე მიუთითა, რომ მამხილებელთა პროგრამამ მიიღო 5200-ზე მეტი ინფორმაცია მამხილებელთაგან, რაც 20%-ით აღემატება 2017 წლის შედეგს. და 75%-ით აღემატება 2012 წლის შედეგს, მაშინ, როდესაც პროგრამამ გასცა პირველი ჯილდო.

კომისიის მითითებით, მცირედი ზრდა შეინიშნებოდა მამხილებელთა მიერ გაცემულ ინფორმაციაში 2018 წლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რომლითაც მიეთითა, რომ მამხილებლებმა უმჯობესია ინფორმაცია მიაწოდონ კომისიას და არა რომელიმე სხვა სამთავრობო უწყებას ან მათ დამსაქმებელს, რათა დაცულნი იქნენ შურისძიებისგან.

2018 წელს, ყველაზე „პოპულარული“ დანაშაულები, რომელთა თაობაზეც მამხილებლებმა მიაწოდეს კომისიას ინფორმაცია, იყო თაღლითობა (20%), ინფორმაციის გამჟღავნება და ფინანსური ანგარიშგება (19%) და მანიპულაცია (12%). ინსაიდერულმა ვაჭრობამ და ფასების საკითხებმა შევასო ტოპ 5 კატეგორია.

<sup>23</sup> ამერიკული საინვესტიციო კომპანია, რომელიც შექმნა „ამერიკულმა ბანკმა“ (Bank of America) თავისი აქტივების სამართავად

კომისიამ მიუთუთა, რომ მიიღო ინფორმაცია კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული 39 ინფორმაცია. ამიტომაც ამ ტიპის ინფორმაცია დაამატა თავისი ონლაინ- ანგარიშის სისტემაში. ასევე აღნიშნა, რომ ინფორმაცია კერძო პირებისგან მიიღეს 72 უცხო ქვეყნიდან.

**ბ) სასამართლომ უარი თქვა დოდ-ფრანკის<sup>24</sup> კანონის მოქმედების გავრცელებაზე მამხილებელთა დასაცავად იმ საჩივრებისგან, რომლებიც წარმოებულია სასაქონლო ბირჟის შესახებ კანონმდებლობის დაცვით**

2018 წლის ოქტომბერში, აშშ-ის ილინოისის საოლქო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო სასაქონლო ბირჟის შესახებ კანონის (შემდეგში- „აქტი“) მოთხოვნების დაცვით მომზადებული სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა კერძო პირებისთვის აკრძალვას კომისიასთან ურთიერთობა.

მოსარჩელე და მოპასუხე ერთად ფლობდნენ დიდშემოსავლიან ფირმას, სადაც მოსარჩელე იყო დირექტორი რისკების მართვის საკითხებში, ხოლო მოპასუხე ხელმძღვანელობდა სავაჭრო საკითხებს. იყო ვარაუდი იმისა, რომ მოპასუხე მონაწილეობდა საბაზრო მანიპულირების სქემაში და „სასაქონლო სავაჭრო კომისიამ“ (სსკ) დაიწყო გამოძიება. მოსარჩელე გამოძიებაში იყო მოწმე, თავიდან მხარს უჭერდა მოპასუხეს, თუმცა შემდგომ შეცვალა თავისი პოზიცია და ჩვენებას აძლევდა მის საწინააღმდეგოდ. მას შემდეგ, რაც მოპასუხემ მოითხოვა მოსარჩელისგან, რომ შეეწყვიტა ეს ქმედება, იგი ჩამოაშორა და აიძულა ხელი მოეწერა შეთანხმებაზე, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელე ვალდებული იყო ფირმისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ მას დაუკავშირდებოდნენ მარეგულირებელი როგანოები და იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ან მოპასუხე დაჯარიმდებოდნენ რომელიმე ორგანოს მიერ 1 მლნ აშშ დოლარზე მეტით, მოსარჩელეს შეუწყდებოდა მოგების მიცემა.

მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა „აქტის“ შურისძიების საწინააღმდეგო დებულების მიხედვით, რომელიც კრძალავს უმართებულო ქმედებებს იმ პირების მიმართ, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას ან თანამშრომლობენ „სსკ-სთან“. მოსარჩელემ აღიარა, რომ აღნიშნული რეგულაცია არ გამოიყენება მის შემთხვევაში, თუმცა ამტკიცებდა, რომ სასამართლომ უნდა გაავრცელოს ძირითადი წესები, რომლებიც უკრძალავს პირებს ხელი შეუშალოს პოტენციური ინფორმატორის ქმედებას, მათ შორის შეთანხმების ფორმით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კომისიის რეგულაციის აქტში ჩართვის მცდელობა იყო „აბსოლუტურად დაუსაბუთებელი“, რადგან „აქტის“ ენა იყო პირდაპირი და არაორაზროვანი და ის არ იცავდა პოტენციური ინფორმატორების ინტერესებს.

**გ) ნიუ-იორკის ფინანსური დეპარტამენტი აქვეყნებს კომპანიებისთვის სახელმძღვანელოს მამხილებელთა პროგრამებზე**

სტატიის ძირითად თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკური ანალიზის მეთოდებთან ერთად წარმოადგენს რეგიონალიზმის, პანდემოლოგიის ზოგადი თეორიის და მის ცალკეული დარგების მეთოდები. საქმე ისაა, რომ პანდემოლოგიის, როგორც ინტერდისციპლინალური მეცნიერების ცალკეულ დისციპლინათა (დარგთა) სისტემაში შემავალი მეცნიერული დისციპლინების (დარგების) როლი ურთიერთგანსხვავებულია და წარმოგვიდგებიან შესაბამისი დარგის სახელით. მაგალითად, *პანდემიის ეკონომიკა*, *სოციოლოგია*, *დემოგრაფია*, *ფსიქოლოგია*, *გეოგრაფია* და ა.შ. აღნიშნული შესაძლებლობას გვაძლევს ცალკეული დარგებისა და პერიოდების მიხედვით გამოვავლინოთ და გავაანალიზოთ, როგორც საერთო, ასევე თითოეული პანდემიის თავისებურებანი და შევიმუშაოთ მომავალში მოსალოდნელი პანდემიის და ეპიდემიის მართვის პრევენციული ღონისძიებები [სულაბერიძე ა., 2021:41]. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, როდესაც პანდემიის, როგორც გლობალიზაციის საზღაურის [Папова В., 2020] წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ გამოიწვია გლობალური ძალების გაერთიანება. რამდენადაც მისი კვლევის ობიექტი ცალკეულ პერიოდებში წარმოქმნილი ცალკეული პანდემიებია, მათი ფუნდამენტურად და ყოველმხრივ შეწავლის მიზნით, თითოეულს უნდა მივაკუთვნოთ მოცემულ პერიოდში არსებული პანდემიის სახელწოდება. გარდა ამისა, პანდემიის სახელის მითითება ხსნის გარკვეულ გაუგებრობას თუ პანდემიის რომელ სახეს მიეკუთვნება მოცემული დარგობრივი კვლევა. საქმე ისაა, რომ პანდემიის ცალკეული დარგების (პანდემიის ეკონომიკა, პანდემიის სოციოლოგია და სხვ.) მიხედვით კვლევა, როგორც ზემოთ აღნიშნულ, ზოგადია და მოიცავს სხვადასხვა დროს არსებულ პანდემიასთან ერთობლიობას, ხოლო პანდემოლოგიის დარგზე პანდემიის სახელწოდების მინიჭება აკონკრეტებს არსებული პანდემიის სახეს.

ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური მეცნიერების დარგში საინტერესოა შრილანკელი პროფესორის აჯით დე ალვისის მიერ შემოტანილი ახალი ტერმინი „კორონომიკსი“ და მოგვიანებით გამოჩენილი სხვა მსგავსი ტერმინი – „კორონანომიკა“ [პაპავა ვ., 2020] და ქართველ მეცნიერთა შორის გამოყენებული ტერმინი „კორონაეკონომიკა“, რომელთა მიზანია კორონავირუსის პერიოდში და მის მომდევნო პერიოდში ეკონომიკური პრობლემების შესწავლა მათი გამოყენებით.

პანდემოლოგიის ზოგადი თეორია რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: როგორ განვითარდება პანდემია და რა რისკები და საფრთხეებია მოსალოდნელი? განსაზღვროს განმეორების პერიოდებულობის და მუტაციის პროგნოზი, რა და როგორი უნდა იყოს მასთან ბრძოლის მენეჯმენტის ფორმატი? პანდემიის „ტყვეობის“ პირობებში როგორ განვითარდება ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება და კულტურა და სხვ.

## გამოკვლევის ზოგადი შედეგები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტმა 5-15 ოქტომბერს ჩაატარა მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოკვლევის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში ინფორმირების, და სოციალური(თვითმოვლითი) ქცევის დონესთან ერთად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის შესწავლა. შერჩეულ იქნა შემდეგი ქალაქები: თბილისი (დიდი ქალაქი), ქუთაისი (საშუალო ქალაქი), ბათუმი (საკურორტო) და ხაშური (პატარა ქალაქი). ამასთან, შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა იმ დროისთვის კონორა ვირუსის გავრცელების დონე, რის შედეგადაც 500 რესპოდენტიდან თბილისში გამოკითხულ იქნა 250, ქუთაისში – 150, ხოლო ბათუმში და

ხაშურში – 50-50 რესპოდენტი. კორონა ვირუსის რისკის გათვალისწინებით, რესპოდენტები შერჩეულ იქნა სამი გამსხვილებული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით: 21 წლამდე – 20.4%, 21-60 წლისა – 58.5% და 60 წლის ზემო ასაკებში – 21.1%. გამოკითხულთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ – 57.7%. გამოკითხვა ანონიმური ხასიათის იყო და დაცული იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები (დისტანციის დაცვის და პირბადის აუცილებლობა).

სოციოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო იყო რესპოდენტთა თვითმოვლითი ქცევა და შესაბამისად ჯანმრთელობის მდგომარეობა კორონა ვირუსის პირობებში. მათი ჯანმრთელობა ხუთბალიანი სისტემით თვითშეფასების საფუძველზე შეფასდა საშუალოდ ოთხი ბალის დონეზე (თუ უფრო ზუსტი ვიქნებით, 3.94 ქულის დონეზე). ამასთან, თბილისსა და ბათუმში რესპოდენტთა ჯანმრთელობის თვითშეფასების საშუალო ქულა თანაბარი იყო - 3.94-3.94, ქუთაისში იგი შეადგენდა 3.97-ს, ხოლო ხაშურში - 3.56-ს).

**ცხრილი 1**

**რესპოდენტთა საკუთარი ჯანმრთელობის თვითშეფასება ხუთბალიანი სისტემით (%)**

|                            | თვითშეფასება ხუთბალიანი სისტემით |     |      |      |      |
|----------------------------|----------------------------------|-----|------|------|------|
|                            | 1                                | 2   | 3    | 4    | 5    |
| <b>სულ გამოკითხულთაგან</b> | 2.4                              | 7.5 | 18.2 | 37.4 | 34.4 |
| მამაკაცი                   | 2.5                              | 7.0 | 18.9 | 40.7 | 30.9 |
| ქალი                       | 2.4                              | 8.1 | 17.2 | 33.0 | 39.2 |

გამოკითხულთა თითქმის მესამედს (32.8%) აწუხებდა ესა თუ ის ქრონიკული დაავადება (ქალებში რამდენადმე უფრო მაღალი დაფიქსირდა აღნიშნული მაჩვენებელი – შესაბამისად, 34.7% და 30.1%), დანარჩენებისთვის, საბედნიეროდ, ამგვარი სიმპტომი არ იყო დამახასიათებელი. ამ მხრივ ყველაზე ჯანმრთელად თავს ბათუმელი რესპოდენტები მიიჩნევდნენ – მათგან მხოლოდ 22 პროცენტი აცხადებდა, რომ არ აწუხებთ რაიმე სახის ქრონიკული დაავადება. ეს მაჩვენებელი დაბალია: დაახლოებით 1,5-ჯერ – დედაქალაქის საშუალო მაჩვენებელზე (33%) და 2,3-ჯერ – ხაშურის მაჩვენებელზე (50%).

რესპოდენტთა 9/10 თვლიდა, რომ საქართველოში კორონა ვირუსის საფრთხე სერიოზულია. მათ შორის 35.8%-ის აზრით, საფრთხე ძალიან სერიოზულია და მხოლოდ 9.5% მიიჩნევდა, რომ საფრთხე არ არის სერიოზული. საფრთხის აღქმა რამდენადმე უფრო მაღალი აღმოჩნდა ქალებში მამაკაცებთან შედარებით. ქალების 77.5 პროცენტი მიიჩნევდა, რომ საფრთხე სერიოზული ან ძალიან სერიოზული იყო; მამაკაცებში ასეთი განწყობა გამოკითხულთა მხოლოდ 66.0 პროცენტში შეინიშნა. საფრთხის ნაკლებად სერიოზულობასა და არასერიოზულობაზე აპელირებდა ქალთა მხოლოდ 22.5 და მამაკაცთა - 34.0 პროცენტი.

ქალები ასევე მამაკაცებზე უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი კორონავირუსის სიმპტომებზე. ქალებში მათი წილი, ვინც არ იყო ინფორმირებული აღნიშნული ვირუსის სიმპტომზე, 2,1-ჯერ ნაკლები აღმოჩნდა მამაკაცების მაჩვენებელთან შედარებით (შესაბამისად, 5.6% და 12.0%). კორონავირუსის სიმპტომებზე ყველაზე უკეთ ინფორმირებულნი იყვნენ ბათუმში (100%), ყველაზე ნაკლებად – ხაშურში (84.0%). ამ ქალაქში მათი რაოდენობა, რომლებმაც არ იციან, თუ რა სიმპტომები ახასიათებს კორონავირუსს, თითქმის ორჯერ აღემატებოდა საშუალო მაჩვენებელს ქვეყანაში (შესაბამისად, 16.0% და 8.4%). ამასთან, კორონავირუსის შიში ქრონიკული დაავადების მქონეთა შორის 1,7-ჯერ უფრო მაღალი აღმოჩნდა იმათთან შედარებით, ვისაც ამგვარი ტიპის დაავადება არ ახასიათებდა (შესაბამისად, 84.6% და 49.1%).

მოსახლეობის გამოკითხვამ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა მაღალი კორელაცია კოვიდ-19-საგან მომავალ საფრთხის აღქმასა და ინფექციონისტების მიერ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების დონეთა შორის. ვინც აღნიშნულ საფრთხეს ძალიან სერიოზულად აღიქვამდა, მათგან 97.2% იცავდა მედიკოსების რეკომენდაციებს, ხოლო მათ

შორის, ვინც საფრთხეს სერიოზულად არ აღიქვამდა, აღნიშნულ რეკომენდაციებს ითვალისწინებდა მხოლოდ 38.3%.

**ცხრილი 2**

**რესპოდენტთა დამოკიდებულება ინფექციონისტების რეკომენდაციებზე**

| მათგან, ვინც თვლის, რომ კოვიდ-19-ისაგან მომავალი საფრთხე: | ინფექციონისტების რეკომენდაციებს იცავს: |                              |
|---|--|------------------------------|
|   | მუდმივად ან ხშირად                     | იშვიათად ან საერთოდ არ იცავს |
| ძალიან სერიოზულია   | 97.2                                   | 2.8                          |
| ნაკლებად სერიოზულია                                       | 72.7                                   | 27.3                         |
| სერიოზულია  | 93.4                                   | 6.6                          |
| არ არის სერიოზული   | 38.3                                   | 61.7                         |

რესპოდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას გაცნობიერებული ჰქონდა მედიკოსების რჩევების გათვალისწინების აუცილებლობა კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, აქაც სამედიცინო-ჰიგიენური რეკომენდაციების დაცვის მხრივ ქალები უფო მეტ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და დისციპლინას ამჟღავნებდნენ მამაკაცებთან შედარებით. ინფექციონისტების რეკომენდაციებს საერთოდ არ იცავდა ან იშვიათად იცავდა ქალების მხოლოდ 9.1 პროცენტი და მამაკაცების 20.8 პროცენტი (საშუალოდ – 14.1%). ამასთან, რესპოდენტთა საახლობლოში (ოჯახის წევრი, ახლობელი, ნაცნობი) ვინც არ იცავდა მედიკოსების რეკომენდაციებს, დაინფიცირების შემთხვევათა რაოდენობა 5-ჯერ მაღალი იყო იმათთან შედარებით, ვინც იცავდა მედიკოსთა რეკომენდაციებს.

მართალია, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლიდა, რომ იცავდა იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც იძლევიან ინფექციონისტები (96.2%), მაგრამ მათგან მხოლოდ ნახევარი ახორციელებდა ამას მუდმივად, რაც ასევე უნდა ჩაითვალოს ინფექციის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად. ამასთან, აღნიშნული სახის რეკომენდაციების მუდმივად დამცავი რესპოდენტების წილი ქრონიკული დაავადების მქონეთა შორის 1.7-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე დაავადების არმქონეთა შორის (შესაბამისად, 64% და 38%; საშუალოდ – 46%). ამ შემთხვევაშიც ქალები გაცილებით პასუხისმგებლიანად ეკიდებოდნენ ექიმების რეკომენდაციებს – მათში ამ რეკომენდაციების უგელვებელყოფის დონე 2.1-ჯერ უფრო დაბალი აღმოჩნდა მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

რესპოდენტები ძირითადად გათვითცნობიერებულნი არიან კოვიდ-19-ის სიმპტომებზე. გამოკითხულთა 91.7% თვლიდა, რომ იცის კორონა ვირუსის სიმპტომები და მხოლოდ 8.3% მიიჩნევდა, რომ არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და ინფორმირებულობა.

გამოკითხული პირების აბსოლუტური უმრავლესობა (92.1%) სისტემატურად ეცნობოდა მონაცემებს ქვეყანაში კორონა ვირუსით დაავადებულთა რაოდენობაზე. მიუხედავად ამისა, რესპოდენტთა მხოლოდ 3/5 აღიარებდა, რომ გააჩნია შიში კოვიდ-19-ის მიმართ (60.8%), მაშინ როდესაც 17.8% თვლიდა, რომ გაზვიადებულია ინფორმაცია კორონავირუსის თაობაზე და ამიტომ არ აქვს შიში მის მიმართ. ამის გარდა, გამოკითხულთა კიდევ 1/5-ზე მეტი (21.5%) თვლიდა, რომ არ ეშინია ვირუსის იმიტომ, რომ საკუთარ თავს აბსოლუტურად ჯანმრთელად მიიჩნევს.

კოვიდ-19-ის მიმართ ასეთი ინფანტილურ და არასერიოზულ დამოკიდებულების მქონე პირთა საკმაოდ მაღალ მაჩვენებელში (გამოკითხულთა 39.3%) უნდა ვეძებოთ მეორე და მესამე ტალღისას საქართველოში აღნიშნული ვირუსით ინფიცირებულთა სწრაფი ზრდის ძირითადი მიზეზი.

გამოკითხულთა 26.9%-ს ჰქონდა პირდაპირი ან ირიბი შეხება დაინფიცირებულთან. იმის გათვალისწინებით, რომ დაინფიცირებულთა წილი საქართველოს მოსახლეობაში, ბოლო მონაცემებით, დაახლოებით 3%-ია, გამოდის, რომ ერთ ინფიცირებულთან არანაკლებ 9 პირს

გააჩნდა პირდაპირი და არაპირდაპირი შეხება, რაც ასევე ინფექციის სწრაფი გავრცელების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ.

გამოკითხულთა 22.1%-ის ინფორმაციით, მათი ახლობელი, ნაცნობი ან ოჯახის წევრი იყო დაინფიცირებული კორონა ვირუსით, რომელთაგან 1/3 ჯერაც დაინფიცირებული იყო და აგრძელებდა მკურნალობას, ხოლო 2/3 – გამოჯანმრთელდა.

ინფექციონისტთა რეკომენდაციებიდან, რესპოდენტები ყველაზე მეტად (ხშირად) ახორციელებდნენ პირბადის ტარებას დახურულ სივრცესა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში (დაახლოებით 46.8%); ყველაზე ნაკლებად კი – სოციალური დისტანციის დაცვის (10.2%) და ანტისეპტიკური ხსნარით ხელების დამუშავების (12.6%) რეკომენდაციებს.

რესპოდენტთა 41.5% თვლიდა, რომ კორონა ვირუსით გამოწვეული ზარალის დასაძლევად საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ზარალის მასშტაბების ადეკვატურია. ამასთან, გამოკითხულთა მხოლოდ 5.9% მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ღონისძიებები ზარალის მასშტაბებს აღემატება, რაც 6-ჯერ ნაკლებია იმათთან შედარებით, ვინც თვლიდა, რომ გატარებული ღონისძიებები ზარალის მასშტაბებს საგრძნობლად ჩამორჩება. ამასთან, კორონავირუსით გამოწვეული ზარალის დასაძლევად საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს ზარალის მასშტაბების ადეკვატურად მიიჩნევდა იმ რესპოდენტთა თითქმის ნახევარი, ვისთვისაც კოვიდ-19 სერიოზული საფრთხის მატარებელია და მხოლოდ 21.5% იმ კონტინგენტისა, ვის მიერაც აღნიშნული გარემოება სერიოზულ საფრთხეს (ან საერთოდ რაიმე საფრთხეს) არ წარმოადგენდა.

რესპოდენტთა 76.7% მიიჩნევდა, რომ საქართველოს ხელისუფლების ყველაზე წარმატებული ნაბიჯი კორონა ვირუსით ქვეყნის ეკონომიკისათვის მიყენებული ზარალის დასაძლევად და ანტიკრიზისულ ღონისძიებათა შორის იყო შინამეურნეობათა კომუნალური ხარჯების სუბსიდირება.

ამასთან, პოზიტიური შეფასების დონე მაღალ კორელაციაშია რესპოდენტის დასახლებული პუნქტის ურბანიზაციის დონესთან. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კომუნალური ხარჯების პოზიტიურად შეფასების დონე განსაკუთრებით მაღალი აღმოჩნდა თანამედროვე ურბანულად დატვირთულ თბილისსა და ბათუმში და შედარებით ნაკლებად – ხაშურში (ცხრილი 3).

### ცხრილი 3

**შინამეურნეობათა კომუნალური ხარჯების სუბსიდირების ყველაზე წარმატებულ ღონისძიებად მიჩნეული დონე ქალაქების მიხედვით (%)**

|                 | საქართველო | თბილისი | ქუთაისი | ბათუმი | ხაშური |
|-----------------|------------|---------|---------|--------|--------|
| <b>პროცენტი</b> | 90.2       | 96.1    | 84.6    | 97.1   | 75.0   |

მეორე ადგილზე წარმატების მიხედვით დგას 17 წლამდე ასაკის ბავშვებზე 200 ლარიანი დახმარების გაწევა (69.4%), ხოლო მესამეზე – უმუშევრად დარჩენილთათვის ფულადი დახმარება (51.4%). იმის გამო, რომ რესპოდენტებს შეეძლოთ რამდენიმე ღონისძიება დაესახელებინათ წარმატებულად, ასეთი ღონისძიებების საერთო ჯამმა 100 პროცენტს საკმაოდ გადააჭარბა.

კორონა ვირუსით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა დააზარალა გამოკითხულთა 76.1%; ზარალს გადაურჩა მხოლოდ ყოველი მეოთხე შინამეურნეობა. დასახლებული პუნქტების მიხედვით დაზარალების ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა ქუთაისში (გამოკითხულთა 9/10-ზე მეტი), ყველაზე ნაკლები – ბათუმში (44.0%).

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მეთხედზე მეტმა კოვიდ-19-ის გამო დაკარგა სამუშაო (27.2%), თუმცა მათზე თითქმის ორჯერ მეტია (53.4%) იმათი რაოდენობა, ვისაც მართალია, არ დაუკარგავს სამსახური, მაგრამ მოუწია არასრულ შრომით საქმიანობაზე გადასვლა ან სამუშაო დროის ერთეულში ნაკლები ანაზღაურების მიღება.



მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი (30.4%) ვერ ასახელებდა დროს, თუ როდის დაუბრუნდება მათი ოჯახის შემოსავალი კრიზისამდელ 2019 წლის დონეს. გამოკითხულთა 17% მიიჩნევდა, რომ ამისათვის ორი წელიც არ იქნება საკმარისი, ხოლო 17.4% თვლიდა, რომ 2019 წლის დონეს მათი ოჯახების შემოსავლები საერთოდ ვეღარ დაუბრუნდება. ამ მხრივ, ყველაზე ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი ბათუმელები (რესპოდენტთა 44% თვლიდა, რომ ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა ერთ წელზე ნაკლებ დროში დაუბრუნდება კრიზისამდელ მდგომარეობას; შედარებისათვის – საშუალოდ ქვეყნის მასშტაბით ასე ფიქრობდა მხოლოდ 19.4%). ყველაზე პესიმისტურად იყვნენ განწყობილნი ხაშურელები, სადაც ყველაზე მაღალია პესიმისტურად განწყობილი და გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩენილი რესპოდენტები.

გამოკითხვამ გამოავლინა კიდევ ერთი საგულისხმო გარემოება: რაც უფრო კარგია რესპოდენტის ჯანმრთელობა, მით უფრო ოპტიმისტურია მის მიერ საკუთარი (შინამეურნეობის) ეკონომიკური პერსპექტივების შეფასება. ასე მაგალითად, საკუთარი ჯანმრთელობის ხუთი ქულით შემფასებლებში (ხუთბალიანი სისტემით) იმის ვარაუდი, რომ კრიზისით გამოწვეული შინამეურნეობათა გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა დაუბრუნდება კრიზისამდელ 2019 წლის დონეს, 4-ჯერ აღემატება საკუთარი ჯანმრთელობის სამი ქულით შემფასებლების ანალოგიურ პროგნოზს.

**ცხრილი 4**

**კრიზისამდელ 2019 წლის დონეზე შინამეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობის დაბრუნების მოლოდინის პერიოდი რესპოდენტთა ჯანმრთელობის თვითშეფასების დონის შესაბამისად (%)**

|  | დაუბრუნდება უახლოესი 6 თვის მანძილზე | არ დაუბრუნდება |
|--|--------------------------------------|----------------|
| <b>საკუთარ ჯანმრთელობას ხუთბალიანი სისტემით აფასებს:</b> |                                      |                |
| - 3 ქულით  | 11.1                                 | 29.1           |
| - 5 ქულით  | 41.7                                 | 27.9           |

ამასთან, იმის მიუხედავად, თუ რამდენად სერიოზულად აღიქვამს კოვიდ-19-სგან მომავალ საფრთხეს, რესპოდენტების ეკონომიკურ მდგომარეობაზე აღნიშნული პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა თანაბრად ნეგატიური გავლენა მოახდინა – ყოველი ოთხი რესპოდენტიდან სამის, მიუხედავად მათი ასაკობრივი მდგომარეობისა, ეკონომიკური მდგომარეობა კორონავირუსის გამო გაუარესდა. ამასთან, იმ პირთა ოჯახებში, რომლებსაც ჰქონდათ პირდაპირი ან ირიბი შეხება ინფიცირებულებთან, კორონავირუსით გამოწვეული კრიზისით განცდილი ზარალი რამდენადმე უფრო მაღალია, ვიდრე მათი, ვისაც ამგვარი შეხება არ ჰქონიათ (შესაბამისად, 85% და 72.9%; საშუალოდ – 76.1%).

ინფექციონისტების მიერ მოცემულ რეკომენდაციებს გაცილებით მეტად იცავენ ის პირები, ვისაც ჰქონდა პირდაპირი ან ირიბი შეხება დაინფიცირებულებთან. ინფიცირებულებთან კონტაქტში მყოფი პირების მიერ რეკომენდაციების დაცვის მაჩვენებელი თითქმის 1.5-ჯერ უფრო მაღალია იმ კონტიგენტის წარმომადგენლებთან შედარებით, ვისაც არ ჰქონია რაიმე სახის პირდაპირი ან ირიბი შეხება კოვიდ-19-ით ინფიცირებულებთან (შესაბამისად, 60.9% და 41.6%).

აღნიშნული გამოკვლევა იძლევა საკმაოდ მყარ და ობიექტურ ინფორმაციას არა მარტო კოვიდ-19-ის გავრცელების, მოსახლეობის მიერ მისგან წამოსული საფრთხეების აღქმის ხარისხსა და რეაგირებაზე, არამედ მას საკმაოდ მაღალი გამოყენებითი ღირებულება გააჩნია ხელისუფლების ანტიპანდემიური და ანტიკრიზისული ღონისძიებების პაკეტის შესამუშავებლად და მათი ეფექტიანობის ასამაღლებლად.

## დასკვნა

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში პადემია მოსახლეობის მიერ არაერთგვაროვანად იქნა აღქმული. მოსახლეობის უმეტესობის მიერ პანდემიის საფრთხე სერიოზულად არ იქნა გაცნობიერებული და იგი მოკლევადიან მოვლენად მიიჩნია. გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია ხელისუფლების მიერ პანდემიის წინააღმდეგ გატარებულმა პრევენციული ღონისძიებების (ლოკდაუნი, კარანტინი და სხვ.), შედეგად ეკონომიკის სწრაფი ტემპით დაცემამ და შინამეურნეობათა მკვეთრად გაუარესებულმა ცხოვრების დონემ. აღნიშნულმა გარკვეული თვალსაზრისით ხელი შეუწყო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიურ და სხვა სახის დისკომფორტს, რამაც საზოგადოებაში გარკვეული მნიშვნელობით სტრესი განაპირობა. მკვეთრად შეიცვალა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და თვითმოვლითი ქცევა. პანდემიის საფრთხის შესახებ მოსახლეობის შეხედულებები განსხვავებული აღმოჩნდა დასახლებული პუნქტების მიხედვით. საფრთხის აღქმა პირდაპირპროპორციული აღმოჩნდა დიდი, საშუალო, საკურორტო და პატარა ქალაქების ინფიცირების დონესთან. კორონავირუსით დაინფიცირების რისკს მამაკაცებთან შედარებით ქალები უფრო ემოციურად აღიქვამდნენ და უფრო სერიოზულად მიიჩნევდნენ კორონა ვირუსის საფრთხეს. პირდაპირპროპორციული კავშირი აღმოჩნდა ინფექციონისტების მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვის დონესა და კოვიდით ინფიცირების საფრთხის აღქმას შორის. კერძოდ, საფრთხის აღქმის დონე ბევრად განაპირობებდა ეპიდემიოლოგების რეკომენდაციების შესრულებას. მოსახლეობაში პანიკას და შიშს კორონავირუსისადმი, სამწუხაროდ, ხელს უწყობდა მედიასაშუალებების დიდი ნაწილის საინფორმაციო პოლიტიკა.

საქართველო ღია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყანაა და როგორც ასეთი, მაღალ კორელაციაში იმყოფება როგორც გლობალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრეფერენციებთან, ისე აღნიშნული მდგომარეობიდან წარმომავალ გლობალურ საფრთხეებთან. ამის მკაფიო მაგალითია კოვიდ-19-ის გავრცელება საქართველოში, რომელმაც უკვე გადაიტანა აღნიშნული პანდემიის ორი ტალღა და ფაქტობრივად, მესამე ტალღის გამოწვევების წინაშე დგას.

აღნიშნა, რომ გავლილი ორი ტალღის ნეგატიური შედეგები საქართველოს ეკონომიკისა და მოსახლეობის ჯანდაცვაზე განსხვავებული ზემოქმედებისა და მასშტაბების იყო. კერძოდ, პირველი ტალღის დროს მთავარი დარტყმა მიიღო ქვეყნის ეკონომიკამ – ლოკდაუნმა და საკარანტინო რეჟიმმა ეკონომიკის მასშტაბები 2020 წლის აპრილში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შეამცირა 16.6 პროცენტით, მაშინ როდესაც კოვიდით გამოწვეული მოკვდაობის მაჩვენებელი პანდემიის პირველი ექვსი თვის მანძილზე ორ ათეულს არ აღემატებოდა.

პანდემიის მეორე ტალღამ ნეგატიური შედეგებით პირველისაგან არსებითად განსხვავებული სურათი წარმოაჩინა: 2020 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ეკონომიკის ყველაზე ღრმა ვარდნა არ აღემატებოდა 7.9 პროცენტს, რაც 2.1-ჯერ ნაკლებია 2020 წლის აპრილთან შედარებით, მაშინ როდესაც ამ პერიოდზე მოვიდა პანდემიის დაწყებიდან მთელს მომდევნო პერიოდში კოვიდინფიცირებათა საერთო რაოდენობის 78.4 პროცენტი და ლეტალური შემთხვევების 95.1 პროცენტი.

აღნიშნული ვითარება უნდა ჩაითვალოს იმის განმაპირობებელ ფაქტორად, რომ პირველად მრავალი ათეული წლის მანძილზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს, საქართველოში დაფიქსირდა ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებელი. ამასთან, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, გარდაცვალებათა მთელი მატების თითქმის 2/3 კოვიდ-19-ით გარდაცვლილებზე მოდიოდა.

პანდემიამ უმძიმესი დარტყმა მიაყენა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას და კეთილდღეობას. ქვეყნის მშპ 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 6.1 პროცენტით, მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობის დონე და შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის გამოკითხვამ საქართველოს რამდენიმე ქალაქში (თბილისი,

ქუთაისი, ბათუმი, ხაშური) 2020 წლის შემოდგომაზე დააფიქსირა ყოველი ოთხი გამოკითხულიდან სამის შემოსავლების დაცემა პანდემიის პირობებში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ი. (2020). კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტ-ეკონომიკური ასპექტი). თბილისი, „მწიგნობარი“. გვ. 43-52.
2. არჩვაძე ი. (2020). სახელმწიფოს ფუნქციის ტრანსფორმაცია პოსტპანდემიურ პერიოდში. *ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“*, №2 გვ. 63-67.
3. გომელაური ნ. (2020). საქართველო მესამე ეპიდემიოლოგიური გადასვლის პერიოდში. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები და გადაჭრის გზები"*. გვ. 172-177
4. პაპავა ვ. (2020). კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი. *ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“*. №2 გვ. 13-16.
5. სულაბერიძე ა. (2020). *პანდემოლოგია – მეცნიერების უახლესი დარგი?! ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული „დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები“*. გვ.135-150.
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სოციოლოგიური გამოკვლევა „კორონა ვირუსის პანდემიის საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ ინფორმირებისა და თვითმომავლით ქცევასთან დაკავშირებით“. 2020 წ. ოქტომბერი.
7. Alwis A. de. “Coronomics–Plan Your Eggs and the Basket!” Daily FT, 2020, February 25, [www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109](http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109)
8. Bedianashvili, G., Maglakelidze A. (2020). The Digital Economy and Business in a Pandemic Situation. *Abstracts of the 15th International Academic Conference*. Daugavpils. P.7
9. Papava V. (2020). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. *Eurasia Review. Journal of Analysis and News*, March 29.
10. Sulaberidze A. (2021). On Formation and Development of Pandemology as an Interdisciplinary Branch of Science. *ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“*, № 1. გვ. 37-55
11. Папава В. (2020). Новые вызовы экономической науки в условиях пандемии COVID-19. *ჟ. „ეკონომისტი“* №4, გვ. 19-30.
12. Сулаберидзе А. Арчвадзе И. Демографические аспекты пандемии и трансформация государственной функции в период постпандемии. *Институт развития человеческого потенциала в условиях современных вызовов. Том I. Екатеринбург, Россия*, сс. 246-251.

*Avtandil Sulaberidze  
Josef Archvadze  
Nino Gomelauri  
Vladimer Suaberidze*

### CORONASOCIOLOGICAL AND CORONAECONOMIC RESULTS OF THE START OF THE PANDEMIC IN GEORGIA

#### Summary

*“We must urgently revise our views about the world”  
Albert Camus, “The Plague”*

At any stage of societal life a certain occurrence exerts a significant, in some cases essential, existential influence on the development of a society and determines the correction of humans' behavior. After the World Health Organization recognized a new epidemic of coronavirus (COVID-19) as a pandemic on March 11<sup>th</sup>, 2020, the world population once again faced the necessity of fighting against the pandemic. Its global character reduced the pace of societal progress and brought about regress. Consequently, it became a crucial part of the agenda to study at length societal losses caused by the pandemic and formulate preventive measures. It is necessary not only to study the nature of the previous and current pandemics but also to ana-

lyze possible scenarios and trends of the post-pandemic world. This calls forth the inevitability of creating an interdisciplinary field of science called pandemology. In this regard, we present the results of the sociological and economic researches in the direction of the fields of pandemology, namely, sociology and economy of the pandemic in Georgia according to the initial stage of the coronavirus. The worker views the level of self-preservative behavior or preventive behavior against the background of the populations' knowledge and perception of risks concerning the threat of the pandemic. In addition, we analyze the consequences of self-preservative and economic behavior of the population under the socio-economic conditions caused by the pandemic.

**Keywords:** *Pandemology, Corona sociology, Corona economics, the threat of pandemic, Self-preservative behavior.*

თეიმურაზ შენგელია

**ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში**

**ანოტაცია.** 2020 წლიდან მსოფლიო აღმოჩნდა ახალ გლობალურ კრიზისის წინაშე და შესაბამისად გაიზარდა ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის ხარისხი, რომელიც იმდენად მაღალია, რომ შეუძლებელი გახდა პანდემიის მესამე ტალღის ეკონომიკური შედეგების პროგნოზირება. პანდემიით გამოწვეულ კრიზისს თან ახლავს არა მხოლოდ გლობალური ხასიათის დანაკარგები, არამედ მათი კომპენსაციის შეზღუდული წყაროები. ასეთი კრიზისი ბოლო 100 წლის განმავლობაში კაცობრიობის ყოფაში ყველაზე უპრეცედენტო მოვლენაა, რომელმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ქვეყნების ბიზნესის განვითარებაზე. გამონაკლისი არ აღმოჩნდა საქართველო. მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანას COVID-19-ით გამოწვეული კრიზისი არსებითად შეეხო. ეკონომიკის დაპაუზების გამო, მნიშვნელოვნად გაუარესდა ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების დინამიკა. არაარსებითი აღმოჩნდა ეკონომიკის მხარდაჭერის სამთავრობო ღონისძიებანი, რომლებიც არ გამოიჩვენა მნიშვნელოვანი შედეგიანობით.

**საკვანძო სიტყვები:** *კორონავირუსის პანდემია, კრიზისი, ბიზნესის განვითარება, კორონავირუსის გავრცელება, საქართველო, სამთავრობო პროგრამა.*

კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვნად აისახა საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. 2020 წლის გაზაფხულზე ქვეყანაში შეიზღუდა: ტვირთების გადაზიდვა, მიმოსვლა, საკუთრების უფლება, საქმიანობის უფლება, რის გამოც ბიზნესსექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

ცხრილი №1

**საქართველოს ბიზნესსექტორის მაჩვენებელთა ცვლის დინამიკა 2014 -2020 წლებში**

| მაჩვენებლები                     | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019  | 2020 |
|----------------------------------|------|------|------|------|------|-------|------|
| ბრუნვა მლრდ.ლარი                 | 50.1 | 57.0 | 64.1 | 71.7 | 86.6 | 109.0 | 77.5 |
| გამომშვებული პროდუქცია მლრდ.ლარი | 26.1 | 30.0 | 34.2 | 38.2 | 41.6 | 47.5  | 10.3 |
| დამატებული ღირებულება მლრდ.ლარი  | 12.8 | 14.8 | 16.8 | 19.0 | 20.7 | 23.3  | -    |
| ფიქსირებული აქტივები მლრდ.ლარი   | 23.2 | 24.8 | 28.2 | 34.9 | 33.8 | 36.8  | -    |

|  |       |       |       |        |        |        |       |
|--|-------|-------|-------|--------|--------|--------|-------|
| დასაქმებულები ათასი კაცი                                     | 592.1 | 626.7 | 666.8 | 706.2  | 734.2  | 756.9  | 631.8 |
| დაქირავებულთა და დასაქმებულთა საშ. თვიური ანაზღაურება (ლარი) | 800.5 | 896.8 | 938.0 | 1101.3 | 1161.7 | 1227.0 | 893.0 |

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/195/biznes-sektori>

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 2020 წელს საგრძნობლად შემცირდა. თუ 2019 წელს ის 109 მლრდ. ლარს შეადგენდა, 2020 წლის 77,5 მილიარდია. მკვეთრი რეგრესით ხასიათდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაც, 2014 წლიდან ის ყოველწლიურად იზრდებოდა, 2020 წელს კი 47.5 მლრდ-დან 10.3-მდე შემცირდა. COVID-19 პირველ ტალღის დროს, თვითიზოლაციისა და საკარანტინო რეჟიმის შემოღების შედეგად, ყველაზე მეტად მცირე ბიზნესმა განიცადა ზარალი. მოთხოვნის შემცირება არის COVID-19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი გვერდითი მოვლენა, რომელმაც საწარმოების 65%-ში შემოსავლის 60%-ით შემცირება გამოიწვია. ყველაზე მეტად დაზარალდა სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, სადაც ეს მაჩვენებელი 75%-ს აღწევს. მოთხოვნის შემცირებამ, კლიენტების მხრიდან დაგვიანებულმა გადახდებმა და ზოგადად მომხმარებელთა ქცევის შეცვლამ, გაამწვავა კომპანიების ლიკვიდობის პრობლემა. მცირე კომპანიების 28%-ს უკვე შეექმნათ სერიოზული პრობლემები არსებული ვალდებულებების გასტუმრებასთან დაკავშირებით. მოთხოვნის შემცირებისა და ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემების საპასუხოდ კომპანიებს თანამშრომლების რაოდენობის შემცირება მოუხდათ. მცირე საწარმოების 50%-ზე მეტმა სხვადასხვა მასშტაბით უკვე შეამცირა დასაქმებულთა ოდენობა. მათ შორის ყველაზე დიდი შეკვეცები სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესში შეინიშნება. აღნიშნულ სექტორში კომპანიების 60%-ზე მეტმა გაათავისუფლა ყველა დასაქმებული. ამ თვალსაზრისით სოფლის მეურნეობის სექტორი ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. პანდემიის პირველი ტალღის შემდეგ მცირე კომპანიების უმეტესობა 79% დამატებითი დაფინანსების მოძიების გამოწვევის წინაშე დადგა. ამ პირობებში მათ 85%-ს არ მიუმართავს ფინანსური ინსტიტუტებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად. ხოლო იმ სეგმენტიდან, რომელმაც მიმართა საფინანსო ინსტიტუტებს, უმეტესობას უარი ეთქვა [Georgia Covid-19 survey Report 2021]. ბიზნესი, რომლებმაც ვერ შეძლო გადასვლა საქონლისა და მომსახურების ონლაინ ფორმატზე, გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა. კორონავირუსის გავრცელებამ შეაფერხა ის პოზიტიური ტენდენციები, რომლებიც წინა წელს დაფიქსირდა. 2019 წელს ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა შეადგინა 3.3 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 18.4%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა - 3.8 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 21.2%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა - 1.5 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 8.4%). აღნიშნულის შედეგად, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და მშპ-ის 5.1% შეადგინა. კორონავირუსის პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა 2021 წლის განმავლობაში 4%-ით შემცირდება. 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლები წინა წელთან შედარებით შემცირდა 26%-ით. ჯამში, 2020 წელს მოსალოდნელია მომსახურების ექსპორტის 55%-იანი კლება, სადაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ვიზიტორებიდან მიღებული შემოსავლების შემცირება დაახლოებით 70%-ით. ტურიზმის შემცირება უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის სხვა სექტორებზე, მათ შორის, მშენებლობაზე და უძრავი ქონებით ვაჭრობაზე. 2020 წლის აპრილში, საქართველოს ექსპორტი შემცირდა 28%-ით, ხოლო იმპორტი 39%-ით. ექსპორტის შემცირებაზე პანდემიით განპირობებული შემცირებული მოთხოვნის გარდა, ასევე გავლენას ახდენს ნავთობის ფასების ვარდნა, რაც ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების შემოსავლებს და შესაბამისად მათ მოთხოვნას

კიდევ უფრო ამცირებს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ზრდის ზეწოლას გაცვლით კურსზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2021 წელს მოსალოდნელია ექსპორტის შემცირება 24.2%-ით, ხოლო იმპორტი შემცირდება 21.1%-ით [gov.ge/COVID-19angarishi].

მოთხოვნის შემცირება და ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი უარყოფითად აისახება ფულადი გზავნილების მოცულობაზე. ფულადი გზავნილები შიდა მოთხოვნის მნიშვნელოვანი კომპონენტია და შესაბამისად მისი შემცირება უარყოფით გავლენას ახდენს შიდა მოხმარებაზე. 2020 წლის აპრილის მონაცემებით, ფულადი გზავნილების მაჩვენებელი შემცირდა 42.3%-ით, მათ შორის კლება შეინიშნება ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა: რუსეთი (-61.8%), იტალია (-27.5%), საბერძნეთი (-37.9%), აშშ (-33.6%), ისრაელი (-48.4%).

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის. აღნიშნული მიზნებისათვის დამატებით საჭირო ხარჯები 3 მლრდ. ლარზე მეტს შეადგენს. ზემოთ ღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ დონორებისგან მიიღო მნიშვნელოვანი ფულადი რესურსები. შედეგად, ჯამში მოზიდულ იქნა, 1.5 მლრდ. აშშ დოლარი საბიუჯეტო დახმარება, მათ შორის: IMF – 200.0 მლნ. აშშ დოლარი; ADB – 400.0 მლნ. აშშ დოლარი; WB – 250.0 მლნ. აშშ დოლარი; AFD – 200.0 მლნ. აშშ დოლარი; KfW – 250.0 მლნ. აშშ დოლარი; EU – 200.0 მლნ. აშშ დოლარი; AIIB – 100.0 მლნ. აშშ დოლარი. 1.5 მლრდ. აშშ დოლარის ფინანსური რესურსი ხელმისაწვდომი გახდა კერძო სექტორისთვის [gov.ge/COVID-19angarishi].

პანდემიამ შესაძლებელი გახადა ბიზნესპროცესების მნიშვნელოვნად შეცვლა. გაიზარდა ელექტრონული კომერცია - 2020 წლის იანვრიდან აპრილამდე ამ ბაზრის მოცულობა გაიზარდა 27% (შედარებისთვის, მთელი 2019 წლის ზრდა იყო 16%). ანალიტიკოსები ასევე ელიან, რომ ელექტრონული კომერციის ბაზარი მომავალშიც მნიშვნელოვნად გაიზარდება იმ მომხმარებლების ხარჯზე, რომლებიც არ იყენებენ ონლაინ მაღაზიების მომსახურებას [T.Shengelia 2020].

პანდემიის კიდევ ერთი მახასიათებელი არის ის, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება (განსაკუთრებით ჯანდაცვის სისტემა) პანდემიის კრიზისს არაადეკვატურად მოუმზადებლები შეხვდნენ, ხშირად მათ არ გააჩნდათ მასთან ბრძოლის აუცილებელი გეგმა. დღევანდელ რეალობაში საქართველოში რთულია ისეთი ინსტიტუტების ან ორგანიზაციების პოვნა, რომლებიც არ დაზარალდნენ COVID-19-ის შედეგად. ზოგადად, საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული ანტიკრიზისული ღონისძიებების პაკეტი მოიცავდა: ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებას, საგადასახადო წახალისებას, ფინანსური დახმარების ზომებს, ქონების მხარდაჭერის ზომებს.

ვითარების უპრეცედენტო გამოიხატება იმაშიც, რომ COVID-19 არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები. 2020 წლის პირველ კვარტალში საქმიანობის დონე შემცირდა ყველა მსხვილ ეკონომიკაში, მათ შორის ჩინეთში, შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და ევროკავშირის ქვეყნებში, რადგან ისინი ცდილობენ განსხვავებული მიდგომებით გაუმკლავდნენ პანდემიას. მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2020 წლის პირველ კვარტალში გლობალური მშპ უფრო მნიშვნელოვნად შემცირდა, ვიდრე გლობალური ფინანსური კრიზისის დროს (-11,2% - ით). წლიური მშპ-ს დინამიკა მსოფლიო ქვეყნების მიხედვით ასახულია №2 ცხრილში.

**ცხრილი № 2**

**წლიური მშპ-ს დინამიკა მსოფლიო ქვეყნების მიხედვით %-ში 2017-2020 წლებში**

|             | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|-------------|------|------|------|------|
| მსოფლიო მშპ | 3,3  | 3,0  | 2,4  | -7,7 |

|                         |      |     |      |       |
|-------------------------|------|-----|------|-------|
| განვითარებული ქვეყნები: | 2,5  | 2,1 | 1,6  | -8,4  |
| აშშ                     | 2,4  | 2,9 | 2,3  | -7,9  |
| ევროკავშირი             | 2,5  | 1,9 | 1,2  | -10,1 |
| იაპონია                 | 2,2  | 0,3 | 0,7  | -6,8  |
| განვითარებადი ქვეყნები: | 4,5  | 4,3 | 3,5  | -6,6  |
| ჩინეთი                  | 6,8  | 6,6 | 6,1  | -4,9  |
| თურქეთი                 | 7,5  | 2,8 | 0,9  | -6,8  |
| პოლონეთი                | 4,9  | 5,3 | 4,1  | -7,8  |
| ბრაზილია                | 1,3  | 1,3 | 1,1  | -10,0 |
| მექსიკა                 | 2,1  | 2,2 | -0,3 | -8,7  |
| საუღის არაბეთი          | -0,7 | 2,4 | 0,3  | -5,7  |

წყარო: The World Bank. Pandemic, Recession: The Global Economy in Crisis. URL: <https://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects#>.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, გლობალური მშპ-ს დაცემა 2020 წელს 3%-ია, რაც დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ის პროგნოზის თანახმად, 2021 წლის ბოლოს მსოფლიო ეკონომიკისთვის კორონავირუსის პანდემიისგან ჯამური ზიანი დაახლოებით 7 ტრილიონ დოლარს მიაღწევს. მშპ-ს უფრო მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა 2020 წლის მეორე კვარტალში - აშშ-ს მშპ ჩამოიშალა 32,9% -ით, ევროკავშირი - 14,4% -ით და დიდ ბრიტანეთში - 21,7% -ით [cbr.ru/Collection].

### ცხრილი № 3

#### მსოფლიო ქვეყნების მაკროეკონომიკური ინდიკატორები

| ქვეყნები       | საქმიანი აქტიურობის ინდექსები |             |                    |             | უმუშევრობა, % |      |
|----------------|-------------------------------|-------------|--------------------|-------------|---------------|------|
|                | მრეწველობა                    |             | მომსახურების სფერო |             | 2019          | 2020 |
|                | იანვარი 2020                  | აპრილი 2020 | იანვარი 2020       | აპრილი 2020 |               |      |
| აშშ            | 51,9                          | 36,1        | 53,4               | 26,7        | 3,7           | 10,4 |
| დიდი ბრიტანეთი | 50,0                          | 32,6        | 53,9               | 13,4        | 3,8           | 4,8  |
| ევროკავშირი    | 47,9                          | 33,4        | 52,5               | 12,0        | 6,3           | 8,3  |
| გერმანია       | 45,3                          | 34,5        | 54,2               | 16,2        | 3,2           | 3,9  |
| საფრანგეთი     | 51,1                          | 31,5        | 51,0               | 10,2        | 8,5           | 10,4 |
| იაპონია        | 48,8                          | 41,9        | 51,0               | 21,5        | 2,4           | 3,0  |
| ჩინეთი         | 51,1                          | 49,9        | 51,8               | 44,4        | 5,1           | 5,3  |

წყარო: Jones L., Palumbo D., Brown D. Coronavirus: A visual guide to the economic impact. BBC News, 29 June 2020. URL: <https://www.bbc.com/news/business-51706225>;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა საქმიანი აქტიურობის ინდექსები, რაც მსოფლიოს ქვეყნებში სხვადასხვა სიჩქარით მიმდინარეობდა (ცხრილი 2), რაც ბუნებრივად აისახება უმუშევრობის დონის ზრდაში, რომელიც შეიძლება რიგი ქვეყნებისათვის უპრეცედენტო გახდეს. მაგალითად, შეერთებულ შტატებში მხოლოდ 2020 წელს უმუშევრობა, სამჯერ გაიზარდა და 10.4% შეადგინა, ხოლო უმუშევრობის უმნიშვნელო ზრდა მოსალოდნელია იაპონიაში, ძირითადად საქმიანი აქტიურობის მომსახურების სფეროში შემცირების გამო. როგორც OECD-ის სტატისტიკურ კვლევაშია ნათქვამი [OECD, 2020], მცირე და საშუალო ბიზნესის წილი უმუშევრობის საერთო მაჩვენებელში ყველაზე მაღალია ეკონომიკის იმ სექტორებში, რომლებიც სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიან. ფაქტობრივად, ეს არის სამუშაო ადგილების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 40% OECD-ს

ქვეყნებში, მათგან საშუალოდ 75% მცირე და საშუალო საწარმოა. ესენია: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, საჰაერო ტრანსპორტი, სასტუმროს ბიზნესი, კვება, უძრავი ქონება და სამომხმარებლო მომსახურება. Covid 19-ის გავრცელების შედეგად შესყიდვების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მცირე ბიზნესზე. ქვეყნების მიხედვით, ეს კლება იყო შემდეგი: ჩინეთი 32%, იაპონია 37%, გერმანია 49%, საფრანგეთი 50%, აშშ 52%, იტალია 54%, კანადა 72%, დიდი ბრიტანეთი 78%, მექსიკა 80% [OECD, 2020]. თუ მოთხოვნა არ აღდგება, მაშინ ეს პროცესი გაღრმავდება. ამის შედეგი იქნება სამუშაოების მასიური დანაკარგები, სიღარიბის ზრდა და ეკონომიკური უთანასწორობა.

პანდემიურმა კრიზისმა შეზღუდა ბიზნესის ტრადიციული, ამასთან შექმნა ახალი შესაძლებლობები. ყველაზე რთული პრობლემა იყო ღირებულების ჯაჭვი. როგორც წესი, მცირე ბიზნესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომხმარებლებზე და მიმწოდებლებზე. ღირებულების ჯაჭვის ნებისმიერ ადგილას განხორციელებულ ცვლილებებს დაუყოვნებლივი გავლენა გააჩნია მის ყველა მონაწილეზე. ეროვნული საზღვრების დაკეტვამ გამოიწვია ლოჯისტიკური ქსელის მოშლა, ხოლო მარაგების შემცირების შემდეგ, საფრთხე დაემუქრა ამ ქსელის თითქმის ყველა მონაწილეს.

ბიზნესის მრავალი უპირატესობის მიუხედავად, COVID 19-ის კრიზისმა აჩვენა, რომ აუცილებელია შემუშავდეს საგანგებო სიტუაციაში საქმიანობის ალტერნატიული გეგმები [Rapaccini M. and Ets., 2020]. მიუხედავად ამისა, პანდემია მნიშვნელოვნად შეამცირა ბიზნესის შესაძლებლობები, მისი განვითარების და აღდგენის პოტენციალი.

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა კორონავირუსის გავრცელების პირველ ეტაპზე, 2020 წლის გაზაფხულზე შემუშავდა. ეს გეგმა მოიცავდა შემდეგ სამ ძირითად კომპონენტს: მოქალაქეებზე ზრუნვას და მათი სოციალური მხარდაჭერას (1 მილიარდ 35 მილიონი ლარი); ეკონომურ განვითარებასა და მეწარმეობის მხარდაჭერას (2 მილიარდ 110 მილიონი ლარი); ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებასა და პანდემიასთან ბრძოლას (350 მილიონი ლარი). ეს ჯამში 3.5 მილიარდ ლარს შეადგენდა. მოგვიანებით მთავრობამ გამოაცხადა პანდემიასთან ბრძოლის ღონისძიებათა მესამე ეტაპი, რომლითაც გრძელდება დაგეგმილი ანტიკრიზისული ღონისძიებები. მნიშვნელობის მიუხედავად სამთავრობო გეგმაში წარმოდგენილი ანტიკრიზისული ღონისძიებანი მოითხოვდა უფრო სერიოზულ გააზრებასა და სიღრმისეულ არგუმენტაციას.

ასე მაგალითად, ტურიზმის ბიზნეს-სუბიექტების საშემოსავლო და ქონების გადასახადების მხოლოდ 4 თვით გადავადდა 2020 წლის 1 ნოემბრამდე. დაუსაბუთებელი ოპტიმიზმით სავსე განცხადებები ზაფხულის განმავლობაში ფრენების აღდგენისა და ტურისტებისათვის „უსაფრთხო ზონების“ მოწყობის შესახებ, კარგად ასახავს იმას, რომ მთავრობას პრობლემის სიმწვავე სრულად გაცნობიერებული არ აქვს.

გაუგებარია სამუშაო ადგილზე გაცემული სუბსიდიის ეკონომიკური შინაარსი. საქართველოს ეკონომიკაში მხოლოდ ორი დარგია, სადაც საშუალო ხელფასი 750 ლარზე ნაკლებია. აქედან პირველია განათლება, სადაც სამუშაო თითქმის არავის დაუკარგავს, მეორე კი სოფლის მეურნეობა, სადაც მეტწილად არაფორმალური დასაქმება დომინირებს. ამის გათვალისწინებით, საშემოსავლო შეღავათები მოსახლეობის მცირე სეგმენტს შეეხება.

ანტიკრიზისულ გეგმაში გაზაფხულზე დაფიქსირებული აგროკრედიტები და სასოფლო-სამეურნეო სესხები უკვე კარგა ხანია გამოიყენება ამიტომ გაუგებარია თუ რაში მდგომარეობს მათი ანტიკრიზისული ბუნება. არაარგუმენტირებულად გვეჩვენება სამელიორაციო ვალდებულებებისაგან გათავისუფლება 2020 წელს და წინა დავალიანებების სრული ჩამოწერა.

მოსახლეობის კომუნალური ხარჯების დაფინანსება გარძედა 2020 წლის ბოლოს შემოდებული ახალი შეზღუდვების შემდეგაც. ამასთან, ეკონომისტებისათვის კრიზისამდე ცხადი იყო, რომ კომუნალური სფეროს სტაბილური ფუნქციონირებისთვის უახლოეს მომავალში აუცილებელი გახდებოდა ტარიფების ზრდა, რაც ობიექტური ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. მაგალითად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 29 დეკემბრის



გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერჯის ტარიფი. ასეთ პირობებში კომუნალური სფეროს სუბსიდირება არის ფასების ტარიფების ზრდის კომპენსაცია და არა ანტიკრიზისული ღონისძიება.

იმ ადამიანებისთვის ვინც დაკარგა სამსახური თვეში 200 ლარის კომპენსაცია ბიუჯეტში 6 თვის განმავლობაშია გაწერილი, ხოლო ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ფაზაში – მხოლოდ 2 თვეა. პირველ შემთხვევაში გათვალისწინებულია დაახლოებით 350 000 ათასი მოქალაქე, ხოლო შემდეგ – 125 ათასი. ამასთან გაუგებარია ბენეფიციართა შემცირების მიზეზები.

ხელფასდაკარგულთა დახმარების სქემები, რომლებიც COVID-19-ის პერიოდში ამუშავდა, ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ი. ამასთან, საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ამ სქემების რეალიზაციის ფინანსური რესურსები. გარდა ამისა, ხსენებულ ქვეყნებში ამ სქემებით ხელფასების მინიმუმ 80% ანაზღაურდება (იხ. furlough scheme ბრიტანეთში), საქართველოში კი მხოლოდ 20% და ისიც შერჩევითად. გაუგებარია, რა ლოგიკით ეძლევათ თვითდასაქმებულებს ერთჯერადად მხოლოდ 300 ლარი.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის დაფინანსება განახლებულ ბიუჯეტში წარმოდგენილია 330 მილიონი ლარით. ეს სქემა და შესაბამისი ფონდი ჯერ კიდევ 2019 წლის პირველ კვარტალში შეიქმნა, თუმცა ბოლომდე გაუგებარი გახდა ფონდის პრიორიტეტები და დაფინანსების მიზნობრიობა.

რთული დასადგენია მცირე გრანტებისა და სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის ანტიკრიზისული ღონისძიებები. სამშენებლო სექტორს ბოლო წლებში ლიკვიდობისა და მოთხოვნის პრობლემა არ ჰქონია, ამიტომ გაუგებარი იყო მისი დაფინანსების პრიორიტეტულობა.

ბიუჯეტის ცვლილების მიხედვით, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის დამატებით გამოყოფილი 139 მილიონი ლარიდან 69 მილიონი მიმართულია რთველის დასაფინანსებლად, რაც პანდემიის კონტექსტში წინააღმდეგობრივი მუხლია. მითუმეტეს, რომ ეს მექანიზმი მეღვინეობის სექტორიათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგებით არ გამოირჩევა. სოფლის მეურნეობაში ანტიკრიზისულ ღონისძიებად ფერმერთა 200 ლარიანი დახმარება, ტექნიკისა და სარწყავი სისტემის თანადაფინანსება და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების სუბსიდირება არ შეიძლება ჩაითვალოს.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა და განახლებული ბიუჯეტი, არაერთგვაროვან შთაბეჭდილებებს ტოვებს. ერთის მხრივ, მიგვაჩნია, რომ სწორია მოსახლეობის დაუცველი ფენებისათვის დამატებითი დახმარების გაწევა და ბანკების ლიკვიდობის შენარჩუნების მიზნით დამატებითი რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ხოლო დანარჩენი ღონისძიებების რელევანტურობა სათუოდ რჩება.

## დასკვნა

კორონავირუსის პანდემია აისახა საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. 2020 წლის გაზაფხულზე ქვეყანაში შეიზღუდა: ტვირთების გადაზიდვა, მიმოსვლა, საკუთრების, საქმიანობის უფლება, რის გამოც ბიზნესსექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მისი ბრუნვის მოცულობა საგრძნობლად შემცირდა, მკვეთრი რეგრესით ხასიათდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაც, მოთხოვნის შემცირება არის COVID-19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი გვერდითი მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი. კლიენტების მხრიდან დავგიანებულმა გადახდებმა და მომხმარებელთა ქცევის შეცვლამ, გაამწვავა კომპანიების ლიკვიდობის პრობლემა, მათ შეექმნათ სერიოზული პრობლემები არსებული ვალდებულებების გასტუმრებასთან დაკავშირებით. ბიზნესი, რომლებმაც ვერ შეძლო გადასვლა საქონლისა და მომსახურების ონლაინ ფორმატზე, გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ანტიკრიზისული ღონისძიებების მნიშვნელობის მიუხედავად, სამთავრობო ანტიკრიზისული გეგმა მოითხოვდა უფრო სერიოზულ გააზრებასა და სიღრმისეულ არგუმენტაციას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. თ.შენგელია (2020). გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი № 1, 2020
2. თ.შენგელია. კორონავირუსის მსოფლიო გეოგრაფია და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები.“ თბ., 2020
3. T.Shengelia (2020). The post-coronavirus economy of the world and Georgia.// Economic and Business№ 12
4. T. Shengelia (2017). The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system
5. T Shengelia. (2020) Export potential of Georgia. World economy and international economic relations 3, 29-33
6. T Shengelia (2014). Tendencies of The Capital International Movement and Its Influence on the Economy of the Sovereign State. International Journal of Science, Technology and Medicine 6 (1), 49
7. T Shengelia (2017). The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system
8. Jones L., Palumbo D., Brown D. Coronavirus: A visual guide to the economic impact. BBC News, 29 June (2020). URL: <https://www.bbc.com/news/business-51706225>;
9. Rapaccini M., Sacconi N., Kowalkowski C., Paiola M., Adrodegari F. (2020), Navigating disruptive crises through service-led growth: The impact of COVID-19 on Italian manufacturing firms // Industrial Marketing Management. vol. 88, pp. 225-237.
10. Georgia Covid-19 survey Report 2021
11. [http://gov.ge/files/76338\\_76338\\_444796\\_COVID-19angarishi...pdf](http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf)
12. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/195/biznes-sektori>
13. The World Bank. Pandemic, Recession: The Global Economy in Crisis. URL: <https://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects#a>.
14. [http://cbr.ru/Collection/Collection/File/27911/OFS\\_20-01.pdf](http://cbr.ru/Collection/Collection/File/27911/OFS_20-01.pdf).

*Teimuraz Shengelia*

### **BUSINESS DEVELOPMENT PROSPECTS IN THE CONTEXT OF THE COVID PANDEMIC CRISIS Summary**

The coronavirus pandemic has affected business development in Georgia. In the spring of 2020, the country restricted: cargo transportation, municipal transport, property rights, the right to operate business, which led to significant changes in the business sector. Its turnover has decreased significantly, the number of products produced is also characterized by a sharp regression, the decline in demand is the most pronounced side effect caused by COVID-19, which has significantly affected the hotel and restaurant business. Late payments from customers and changes in consumer behavior have exacerbated the liquidity problem of companies, causing them to face serious problems in meeting existing obligations. Businesses that were unable to switch to an online format for goods and services were in danger of bankruptcy.

Anti-crisis measures taken by the government of Georgia, despite their significance, required a more serious and in-depth argumentation.

## **THE WAYS OF HR MANAGEMENT DURING THE CRISIS PHENOMENA IN SOCIAL AND ECONOMIC SPHERES IN THE WORLD AND UKRAINE**

***Annotation.** The article investigates the main modern trends in personnel management systems development. It analyses the foreign experience of using the latest management practices and their application in Ukraine. The interrelation between HR trends, their dependence on a social and economic situation, and their influence on the enterprises have been determined. The authors identify the global trends seen as the most promising for implementation at Ukrainian enterprises to improve their performance.*

***Keywords:** personnel management, trends, technology, human resources, development.*

Due to various objective and subjective reasons, such as economic development, globalisation, culture, competition, instability, etc., there is no unified approach to human resources management in global management practice. At the same time, the current society tendencies determine the emergence of specific trends in this sphere. These trends can be both positive and negative and can have different impacts on business processes. Analysis of such movements is crucial to understand their significance, necessity of application and consequences. Identification of advanced world HR technologies and the results of their implementation will be helpful for particular domestic enterprises. The relevance of the research stems from the need to find new effective ways of HR management to ensure maximum productivity of work processes during the crisis phenomena in social and economic spheres.

### *1. Using different technologies to lessen the load on employees.*

The current crisis conditions and global digitalisation and automation of processes are causing the need to make employees freer, becoming a common global trend. In many foreign countries, this method of dismissal is considered the most effective because, in addition to assistance to the downsized employee, it includes measures designed to preserve the company's reputation and business secrets. For example, up to 90% of UK companies provide support to redundant staff. Some Italian enterprises practice providing the redundant employee with a separate office equipped with a personal computer, fax machine, Internet, etc., to make it easier to find a new job. The employee comes to "work" in this office every morning and can also use the services of an in-house psychologist until they find a new job placement.

Currently, in Ukraine, outplacement is hardly applied due to economic, social, cultural and other factors. Employees' dismissal might have a negative impact on the company's image and may become a reason for the dissemination of confidential information or lawsuits. A dismissed employee may lose self-confidence and his/her social importance, and a negative emotional state can cause a decrease in professional qualification level and lead to more severe consequences, such as depression [2, pp. 430-435].

Based on those mentioned above, taking measures to help adapt a downsized employee is crucial to enhancing the company's image and reducing human resources loss. It is the second factor that makes it necessary to implement the method described in this article in Ukraine. Ensuring early employment of the laid-off person will contribute to the country's labour market development, where there is a significant outflow of professional staff and the general ageing of the nation.

*2. Finding ways to attract staff.* Recently, in international companies, the critical success factor is the competent use of outsourcing of labour resources, which ensures certain functions or processes at the enterprise at the expense of employees of a third-party organisation. Outstaffing is becoming more and more popular in foreign companies, that is, removing personnel from the employed list. Domestic companies are also interested in this management method, which allows them to respond to crisis challenges more flexibly. This method provides for the registration of company personnel or hiring employees in a separate specialised agency. Thus, it is possible to quickly change the actual number of employees involved without changing the employee's composition [2, p. 443-453].

It ought to be noted that there is an interconnection between this and the previous trend. The dismissal of personnel caused by certain relevant factors may cause the need to attract additional labour resources in the future. At the same time, there is no need to get other employees, since there is a possibility of their temporary involvement to perform particular tasks. A topical service provided by recruiting agencies is the search for specialists using the headhunting method. People are selected who are valuable qualified specialists and professionals in the field, for example, representatives of the legal, financial, management spheres

[4, p. 9]. In Ukraine, specific categories of workers, such as cleaners/janitors, are already employed by companies on a lease basis. However, the practice of leasing labour has not yet become widespread. The development of this trend will lead to a reduction of unemployment by bringing freelancers to work, on the one hand, and to an increase in the capacity of companies, which will use additional labour capacity to perform large-scale tasks, on the other hand.

### *3. Use of innovative technologies in human resources management.*

Driven by modern technology development, the trend of human resource management is digitalisation using social, analytical, mobile, cloud and other technologies. Paper-based, time-consuming, and labour-intensive HR functions are transformed into a streamlined, operational, digital one [5, p. 56].

Modern technology is increasingly penetrating into various spheres of activity, including adjusting the processes of organising work with personnel. Digital technologies make it possible to keep personnel records, working time and rest time, monitor the employee's efficiency, evaluate performance, share information and experience, create and update document and knowledge bases, improve the employee's professionalism, use social networks to perform certain tasks, strengthen the confidential information protection and create other promising opportunities.

### *4. The growing importance of the individual among the company's priorities.*

The 21st century is characterised by a change in value orientations and the prevalence of a humanistic concept of personnel management, when not a person is adjusted to the organisation, but the organisation functions for the person. The digitalisation of production processes shifts priorities from physical work to the need to use intellectual work achievements. Personnel management under this concept becomes qualitative and implies the need to develop the full potential of each employee. To this end, the company creates the ideal conditions for employees to perform their job duties and training and development.

Thus, there is a certain correlation between artificial intelligence capabilities development and the active use of the humanistic approach in personnel management. Therefore, typical basic processes can be automated, which frees up human resources. At the same time, the importance of intellectual activity, the ability to create new things that the human mind can only realise, is constantly increasing. In other words, automation allows more time for creative tasks. However, to produce a qualitatively new product, employees must fulfil themselves, be developed and motivated, which is why many world companies are reorienting towards managing people, not human resources as a whole. This approach is not widely used in Ukraine, so it is proposed to consider a gradual transition of domestic companies to the concept of "human resource management", which is the most promising direction of human resources policy today.

### *5. Capacity development of human resources.*

Employee's professional training and development is an essential principle of human resource management system formation. The increasing role of the human factor leads to the fact that investing appropriate funds in personnel development becomes the main task of HR specialists [12, p. 25]. In Ukraine, many enterprises, including structural units of public authorities, take measures to train employees to improve their competence and professional skills. However, coaching is hardly ever used as a means of encouragement. It is suggested that training courses of interest to all staff or specific professionals, to improve their job duties performance, have to be considered a way of motivation and a reason to pursue a career in the respective enterprise. Alternatively, it can be learning a foreign language, taking self-defence courses, training in relationship psychology and others.

### *6. Team building.*

Teams are becoming a crucial modern group phenomenon in organisations. The trend towards integrated quality management has led to a shift in focus from individual managers and employees to organising multifunctional management groups focused on solving complex problems. Summarising the various definitions, it can be concluded that a team is a group of interacting individuals whose coordination is aimed at achieving a specific common goal.

Accordingly, the more broadly these aspects are represented in a particular team, the more productive cooperation between its members can be. Effective teamwork, in its turn, contributes to higher productivity and achievement of better results in the short run. The ability to build and work in a team becomes a vital competence for employee recruitment and appraisal and is included in development programmes as part of staff training.

### *7. Developing emotional competence (EQ).*

Crises of various kinds, globalisation processes, the accelerated pace of life and the fast-paced introduction of changes in production make emotional intelligence increasingly relevant. The ability to handle conflict, promote trust, inspire and motivate is now a real advantage for leaders and employees at all levels. Developing the emotional intelligence of team members directly impacts the atmosphere within teams, their

motivation and productivity. Thus, there is a definite link between team building and the organisation's emotional intelligence as a whole: an effective team is an important component of an organisation's EQ. A comfortable, tolerant and peaceful work environment positively impacts an individual's personal life and society as a whole. Increasing the level of emotional intelligence of the organisation as a whole and each employee in a contemporary, constantly stressful environment seems to be a significant trend.

#### *8. Employee performance appraisal.*

The substantiation for performance appraisal is driven by the individual assessment of employee competence, which is the most common trend in human resource management systems development today. Various methods and criteria can be used to carry out a personal appraisal of an employee based on the nature of the work and the requirements set. However, appraisal and feedback should undoubtedly be an essential part of any modern enterprise's human resources management system.

*Conclusion.* Considering the leading current trends in personnel management systems development globally and their application in Ukraine, the authors conclude.

Improving enterprise efficiency can occur in various ways. In particular, it is possible by reducing the number of staff and optimising the distribution of labour, attracting additional specialists to work on specific projects, enhancing existing specialists' professional capabilities, and the use of modern technologies.

The excessively fast pace of life, crises, economic, political and social issues make the concept of emotional intelligence relevant. It is becoming an international trend to take this competence into account when recruiting people, appointing to higher and more responsible positions, assigning responsible tasks, determining development trajectories, assessing an employee and making dismissal decisions. A high level of emotional intelligence becomes a significant advantage for the employee, and for the company, it becomes the key to success. Ukrainian organisations generally support this global trend.

The world pandemic situation has made staff optimisation a major trend for most companies in all industries. Advanced foreign organisations prefer leasing to employing a staff member, with all the consequences. Developing workforce resources is seen as a significant opportunity for improving the HR management systems of domestic companies.

The trend of outplacement, i.e., adaptation of released personnel, remains understudied regarding the necessity and possibility of its implementation in the Ukrainian market. Possible ways and consequences of introducing this practice in Ukraine are seen as a prospect for further research.

A socially significant trend in managerial activity is the transition from the administration of human resources to human management, i.e., creating working conditions when employees have the opportunity to develop, self-actualise and realise their potential. This trend is manifested in a company atmosphere, motivation methods, performance evaluation, encouragement, training, and innovative technologies. In Ukraine, this approach is still not widespread due to several reasons. Therefore, the study of the humanistic concept in terms of readiness and ability of the Ukrainian market to implement it is a promising area for scientific activity.

## **References**

1. The social enterprise in a world disrupted – 2021 [Electronic resource]: Deloitte international research / Deloitte Development LLC. – 2021. – 64 p. – Access mode: [https://www2.deloitte.com/content/dam/insights/us/articles/6935\\_2021-HC-Trends/di\\_human-capital-trends.pdf](https://www2.deloitte.com/content/dam/insights/us/articles/6935_2021-HC-Trends/di_human-capital-trends.pdf)
2. Technologies of Personnel Management / [Havrysh O., Dovhan L., Kreidych I., Semenchenko N.]. - M.: NTUU "Igor Sikorsky Kyiv Polytechnic Institute", 2017. - 558 p.
3. Pohorelova, T. Innovative technologies in personnel management at the enterprise / T. Pohorelova // Bulletin of National Technical University "Kharkiv Polytechnic Institute" (Economic Sciences). - 2018. - № 15 (1291). - P. 101-104.
4. Kychko I. Innovations in Personnel Management and Modern Labour Market: Aspects of Interaction / Irina Kychko, Maryna Horbachenko // Problems and Prospects of Economics and Management. - 2017. - № 1 (9). - P. 7-14.
5. Braun E. HR trends at the beginning of the 21st century / Emese Braun, Klára Veresné Valentinyi // Business trends. – 2019. – № 3. – P. 54-61.
6. Pysarevska I. Trends in digital technologies in personnel management / I. Pysarevska // Bulletin of Kherson State University. - 2021. - № 41. - P. 54-60.
7. Frederic Laloux. Companies of the Future / Frederick Laloux [translated from English by R. Klochko]. - Kharkiv: Family Leisure Club, 2017. - 544 p.

8. Transformation of the HR management system of enterprises / [Brich V., Borysyak A., Bilous L., Halish N.]. - Ternopil: IPC "Economic Thought TNEU", 2020. - 212 p.
9. Karminska-Belobrova, M. Features of modern concepts of personnel management / M. Karminskay-Belobrova // Bulletin of National Technical University "Kharkiv Polytechnic Institute" (Economic Sciences). - 2018. - №. 37 (1313). – P. 36-40.
10. Ways and characteristics of employee motivation in modern conditions / B. Gechbaia, N. Tchilaia, K. Goletiani, Z. Muskudian // Social and labour relations: theory and practice. – 2020. – № 10. – P. 25-32.
11. Strategic Orientation of European Management in the Conditions of Globalisation / V. Milićević, N. Backović, A. Sofronijević // Strategic management. – 2015. – № 2. – P. 49-57.
12. Lavruk A., Lavruk V. Methodological approaches to the formation and implementation of the personnel management system of public administration [Electronic resource] / A. Lavruk, V.V. Lavruk // Public administration: improvement and development. - 2018. - № 9. - C. 21-27. - Access mode: <http://www.dy.nayka.com.ua/?op=1&z=1305>

## *რევაზ ჯავახიშვილი*

### **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები საქართველოში გლობალიზაციისა და პანდემიის თანამედროვე ეტაპზე**

*ანოტაცია.* გლობალიზაციის ეპოქაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც კაპიტალის მოძრაობის საერთაშორისო ფორმა, უდიდეს როლს ასრულებს როგორც მსოფლიოს განვითარებულ, ისე განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებაში. ნაშრომში გაანალიზებულია გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის ძირითადი ტენდენციები. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური მასშტაბით პანდემიით გამოწვეული პრობლემების დაძლევისა და მართვის მექანიზმების შემუშავებისა და პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობაზე.

*საკვანძო სიტყვები:* ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო, საინვესტიციო პროექტები, ეკონომიკური შოკები, სტაბილური ინვესტირება, საინვესტიციო აქტივობა.


\* \* \*

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე უცხოური ინვესტიციები იქცა როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც დიდ როლს ასრულებს როგორც ინვესტორი, ისე რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციაში. კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნებისთვის იგი წარმოადგენს შემოსავლების მიღებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან, ხოლო კაპიტალიმიმღები ქვეყნებისთვის კი – ეკონომიკის განვითარების, საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ძირითად (ზოგჯერ ერთადერთ) წყაროს.

საქართველო, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა, სისხლხორცეულად არის დაინტერესებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ინვესტიციების მოზიდვის წახალისებისა და დაცვისთვის საკანონმდებლო ბაზის და, შესაბამისად, სამართლებრივი გარანტიების შესაქმნელად.

დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე საქართველოში ინვესტიციების შემოსვლა იყო ძალზე მცირე, რაც განპირობებული იყო ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით. შემდგომ ის თანდათანობით მატულობდა, თუმცა ამ საუკუნის დასაწყისშიც მისი დონე კვლავ დაბალი იყო, რაც ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი დონით, არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობითა და ინვესტირების სხვა არახელსაყრელი გარემოებებით უნდა აიხსნას.

ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების, მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და საინვესტიციო იმიჯის გაუმჯობესების კვალდაკვალ, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც კარგად ჩანს 1-ლი დიაგრამიდან.



**დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2005-2020 წწ. (მლნ აშშ დოლარი) [7]**

მონაცემებიდან ჩანს, რომ მოცემულ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ზრდა განსაკუთრებით მაღალი იყო 2007 წელს, როცა მან 2 მლრდ დოლარს გადააჭარბა და წინა წელთან შედარებით 69,2%-ით გადიდდა. ეს განპირობებული იყო ბოლო პერიოდში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით, ქვეყნის გავლით ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობასა და რეაბილიტაციასთან, საპორტო ნაგებობების, აეროპორტებისა და სხვა მსხვილი ობიექტების პრივატიზაციასა და მშენებლობასთან დაკავშირებით, ქვეყანაში მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების შემოსვლით. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობის დასაქმების ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებასა და, საერთოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეულ გაუმჯობესებას.

რაც შეეხება მომდევნო 2008 წელს, საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, წინა წელთან შედარებით, თითქმის ნახევარი მლრდ დოლარით, ანუ 23%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო 2008 წლის აგვისტოს საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებით, კერძოდ, საქართველოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიით, რამაც საგრძნობლად გააუარესა ქვეყნის საინვესტიციო იმიჯი და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეამცირა ინვესტიციების შემოსვლის მოცულობა. კერძოდ, 2008 წლის მე-3 კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა 605,4 მლნ დოლარიდან 134,7 მლნ დოლარამდე, ანუ 77,8%-ით შემცირდა. საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით და განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2008 წლის მე-4 კვარტალში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის ზრდის მიუხედავად, ასეთი ტენდენცია 2009 წელსაც გაგრძელდა, როცა ქვეყანაში შემოვიდა სულ 658,4 მლნ დოლარის ინვესტიცია, ანუ წინა წელთან შედარებით 2.4-ჯერ, ხოლო 3-ჯერ და უფრო მეტად ნაკლები, ვიდრე 2007 წელს.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების ზრდა შეიმჩნევა 2010 წლიდან. 2012, 2013 წლებში მისი გარკვეული შემცირების მიუხედავად, შემდგომ კვლავ შეიმჩნევა მათი ზრდა, კერძოდ, 2014 წელს ამ მაჩვენებელმა 1836,9 მლნ დოლარს მიაღწია, რაც 2-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე 2012 წელს. მომდევნო 2015 და 2016 წლებში ქვეყანაში, მიუხედავად მისი შემოდინების უმნიშვნელო შემცირებისა, 2017 წელს მან 1962,6 მლნ დოლარს მიაღწია, რაც 1 მლრდ-ით, ანუ 2,2-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე 2012 წელს.

2018-2020 წლებში კი, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა საგრძნობლად შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებულია ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული და საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების (კერძოდ, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი) დასრულებით, აგრეთვე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების ვალდებულებებისა (საკრედიტო დავალიანების დაფარვა) და რეინვესტიციების მოცულობის შემცირებით. გარდა ამისა, ეს მდგომარეობა უნდა აიხსნას ბოლო დროს საქართველოში მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და პოლიტიკური სიტუაციის გაუარესებით, კერძოდ, შიდაპარტიული კონკლაობისა და ბრძოლის გამწვავებით, რამაც საგრძნობლად გააუარესა ქვეყნის საგარეო იმიჯი, მისი საინვესტიციო გარემო და მნიშვნელოვნად განსაზღვრა უცხოური ინვესტიციების შემოსვლის შემცირება.

გარდა ზემოაღნიშნული გარემოებებისა (ენერგეტიკული პროექტების დასრულება და პოლიტიკური კრიზისის გაღრმავება), 2020 წელს ინვესტიციების შემოდინების დიდი ზომით (53%-ით) შემცირება განსაზღვრა მსოფლიოს მასშტაბით კორონავირუსის სწრაფად გავრცელებამ. ამ ფონზე, წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) კლებამ 7,7% შეადგინა, ხოლო 2020 წლის პირველი ნახევრის საშუალო მაჩვენებელი 5,8%-ის დონეზე დაფიქსირდა. პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, საგრძნობლად გაზარდა ინფლაციის, უმუშევრობისა და სიღარიბის დონე.

ეპიდემიამ რადიკალურად შეარყია ქვეყნის ეკონომიკის ყველა სექტორის ფუნქციონირება, მაგრამ მან მაინც ყველაზე დიდი დარტყმა, პირველ რიგში, ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს მიაყენა. ამის ნათელი დადასტურებაა 2020 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის საგრძნობი შემცირება, კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ექსპორტი 16%-ით, ხოლო იმპორტი 19,1%-ით შემცირდა. სავაჭრო დეფიციტმა კი 2047,0 მლნ დოლარი, ანუ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 40,5% შეადგინა [7].

კორონავირუსის პანდემიამ განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ტურისტულ მეურნეობას. აღსანიშნავია, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში საქართველოში ტურიზმი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2019 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ქვეყანაში 7,3%-ით გაიზარდა და 7725,8 ათასი შეადგინა, საკუთრივ ტურისტული ვიზიტების რაოდენობა კი 6,8%-ით გადიდა და 5080,5 ათას მლნ-ს გადააჭარბა. 2019 წელს მოგზაურობიდან შემოსავლებმა 3268,7 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 1,4%-ით (46,6 მლნ დოლარით) აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება მიმდინარე წელს, კორონავირუსის გავრცელების გამო, მოსალოდნელია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება.

პანდემიის გამო საგარეო მოთხოვნის და ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შენელება უარყოფითად მოქმედებს ფულადი გზავნილების მოცულობაზეც, რომელმაც რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია 2019 წელს, როცა იგი წინა წელთან შედარებით 9,7%-ით გაიზარდა და 1733,3 მლნ დოლარი გახდა. კორონავირუსის ფონზე კი, 2020 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, იგი 4,6%-ით შემცირდა და შეადგინა მხოლოდ 769,0 მლნ დოლარი [7].

საერთოდ კი, 2020 წელს, კორონავირუსის ეპიდემიის გამო ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვანი შემცირების, საგარეო ვაჭრობისა და ფულადი გზავნილების შესუსტების



ფონზე, მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება სავაჭრო და მომსახურების ბალანსის გაუარესებაში. ყოველივე ეს კი განაპირობებს გლობალური საინვესტიციო აქტივობის შესუსტებასა და, შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებას.

ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გამოიყენებოდა მის ცალკეულ რეგიონებში. ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი გამოყენებულ იქნა თბილისსა და აჭარაში, სადაც ყველაზე მეტად ხორციელდებოდა საწარმოო, სამშენებლო, საგზაო-სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული თუ სოციალური დანიშნულების მსხვილმასშტაბიანი პროექტები. 2019 წელს ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 4/5 სწორედ ამ ორ რეგიონზე – თბილისსა (64,7%) და აჭარაზე (16,3%) მოდის. შემდეგ არის სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და სამეგრელოს, ზემო სვანეთის რეგიონები. რაც შეეხება კახეთს, გურიას, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს, აგრეთვე შიდა ქართლს, ამ რეგიონებში ეს მაჩვენებლები შედარებით დაბალია, რაც უნდა აიხსნას აქ 2017-2018 წწ. შედარებით მსხვილმასშტაბიანი პროექტების დასრულებით.

ყურადღებას იმსახურებს უცხოური ინვესტიციების გამოყენება ეკონომიკის ცალკეული სექტორებისა და დარგების მიხედვითაც. 2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 616,9 მლნ დოლ. ყველაზე დიდი ნაწილი – 400,3 მლნ დოლარი, ანუ მთელი ინვესტიციების 64,8%, საფინანსო სექტორმა მიიღო. შემდეგ მოდის სამთომომპოვებითი მრეწველობა (16,4%), უძრავი ქონება (11,6%), დამამუშავებელი მრეწველობა (11%), მშენებლობა (10%), ინვესტიციები ძალზე მცირე რაოდენობით განხორციელდა ტრანსპორტზე (1,9%), ჯანდაცვაში (1,6%), ენერგეტიკაში (0,94%). განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა სასტუმროებისა და რესტორნების საქმიანობა, სადაც იგი უარყოფითი მაჩვენებლის დონეზე (-221,5 მლნ დოლ) დაფიქსირდა.

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების გეოგრაფიას, ანუ მსოფლიოს ცალკეული ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულ ინვესტიციებს, იგი საკმაოდ განსხვავებულია (იხ. ცხრ. 1).

მონაცემებით დასტურდება, რომ 2020 წელს სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიანად ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების 95,3% შეადგინა. აქედან პირველ ადგილზე იმყოფება გაერთიანებული სამეფო (49,9%), მეორეზე – ნიდერლანდები (27,9%), ხოლო მესამეზე კი თურქეთი (17,5%).

რაც შეეხება ინვესტორი ქვეყნების სტაბილურობის მაჩვენებელს, იგი გაანგარიშებულ იქნა ძირითადი ინვესტორი ქვეყნების მიერ 2015-2020 წწ. განხორციელებული ინვესტიციების საშუალოწლიური მაჩვენებლის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ცხრილში მოყვანილი ძირითადი (ყველაზე დიდი) და სტაბილური ინვესტორი ქვეყნების თანმიმდევრობა (რიგითობა) ერთმანეთს არ ემთხვევა და ზოგჯერ ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

აღნიშნული ყველაზე სტაბილური ქვეყნების სიაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებს იკავებს გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები და თურქეთი, რომლებიც გასულ წელს სათავეში ედგნენ საქართველოს ყველაზე მსხვილ ინვესტორ ქვეყნებს. ლუქსემბურგმა, რუსეთმა და პანამამ კი ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყნების სიის დაბალი (შესაბამისად, მე-6, მე-7 და მე-10) საფეხურიებიდან ყველაზე სტაბილური ინვესტორი ქვეყნების სიის უფრო მაღალ (შესაბამისად მე-4, მე-6 და მე-8) საფეხურებზე გადაინაცვლეს, ხოლო აშშ, მალტა და გერმანია კი შედარებით მაღალი (მე-4, მე-5 და მე-8) ადგილებიდან უფრო დაბალ (შესაბამისად მე-5, მე-7 და მე-10) ადგილებზე ჩამოქვეითდნენ. დანია კი კვლავ მე-9 ადგილზე დარჩა. სამომავლოდ, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის გეოგრაფიაში მოსალოდნელი ცვლილებების გამო, ბუნებრივია, ცალკეული ქვეყნების მიხედვით ინვესტიციების სტაბილურობის მაჩვენებლები კვლავაც შეიცვლება.

საქართველოს ყველაზე დიდი და სტაბილური ინვესტორი ქვეყნები  
2015-2020 წწ. (მლნ აშშ დოლ.) [7]

| ყველაზე დიდი ინვესტორები  |        |        |        |        |        |        |        | ყველაზე სტაბილური ინვესტორები |                            |                          |
|---------------------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|-------------------------------|----------------------------|--------------------------|
| ქვეყნები                  | 2015   | 2016   | 2017   | 2018   | 2019   | 2020   | 2020 % | ქვეყნები                      | ინვესტიციები 2015-2020 წწ. | საშ. წლიური ინვესტიციები |
| სულ                       | 1728,8 | 1652,6 | 1978,3 | 1306,3 | 1310,8 | 616,9  | 100,0  |                               | 8593,7                     | 143,2                    |
| მ.შ. გაერთიანებული სამეფო | 399,3  | 87,8   | 249,0  | 182,8  | 236,6  | 307,8  | 49,9   | გაერთიანებული სამეფო          | 1463,3                     | 243,9                    |
| ნიდერლანდები              | 164,9  | 77,3   | 355,2  | 210,2  | 100,4  | 172,1  | 27,9   | ნიდერლანდები                  | 1080,7                     | 180,6                    |
| თურქეთი                   | 74,9   | 220,3  | 156,2  | 49,9   | 175,3  | 108,1  | 17,5   | თურქეთი                       | 884,7                      | 147,5                    |
| აშშ                       | 18,9   | 89,8   | 79,1   | 103,6  | 111,5  | 93,5   | 15,1   | ლუქსემბურგი                   | 489,1                      | 81,5                     |
| მალტა                     | 28,1   | 24,4   | 10,0   | 15,7   | -11,1  | 27,6   | 4,5    | აშშ                           | 462,2                      | 77,7                     |
| ლუქსემბურგი               | 127,3  | 115,7  | 100,7  | 50,1   | 68,8   | 26,5   | 4,3    | რუსეთი                        | 285,8                      | 47,6                     |
| რუსეთი                    | 52,4   | 28,5   | 51,3   | 73,6   | 54,5   | 25,5   | 4,1    | მალტა                         | 99,7                       | 16,6                     |
| გერმანია                  | -2,6   | 24,3   | -94,5  | 40,3   | 21,9   | 23,7   | 3,8    | პანამა                        | 58,9                       | 9,8                      |
| დანია                     | 12,1   | -7,3   | -4,5   | 15,2   | 2,8    | 22,0   | 3,6    | დანია                         | 52,1                       | 8,7                      |
| პანამა                    | 9,5    | 77,7   | 27,2   | 77,0   | 76,8   | -209,3 | -33,9  | გერმანია                      | 13,1                       | 2,2                      |

საერთოდ კი, როგორც უკვე აღინიშნა, მიმდინარე 2020 წელს როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში, თავისუფალი ფინანსური სახსრების – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობა, კორონავირუსის გავრცელების გამო, საგრძნობლად შეიზღუდა. პანდემია გლობალური გამოწვევაა მსოფლიო მასშტაბით, რასაც შედეგად მოჰყვა ეკონომიკური აქტივობის საგრძნობი შენელება. კორონავირუსით განპირობებული კრიზისი და რეცესია თავისი მასშტაბითა და ზომით უფრო მეტია, ვიდრე 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისი. ამასთან, პანდემიურ კრიზისთან დაკავშირებული გაურკვეველობა გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იყო ფინანსური კრიზისის დროს.

პანდემია უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასა და მისი საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი არხებით, რაც არსებითადაა დამოკიდებული გლობალურ ეკონომიკურ აქტივობასა და მოლოდინებზე. კლასიკური ეკონომიკური კრიზისებისგან განსხვავებით, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ეკონომიკურ ფაქტორსა თუ სექტორთან, პანდემიური კრიზისი (შოკი) ზემოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე და საფრთხეს უქმნის მთლიანად ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას. იგი უარყოფით გავლენას ახდენს გლობალური და, შესაბამისად, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, რაც საგრძნობლად ამცირებს მოთხოვნას ქართულ ექსპორტზე. ამ მხრივ, ძალზე საყურადღებოა ნავთობზე ფასების შემცირება, რაც ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების – რუსეთისა და აზერბაიჯანის შემოსავლებისა და მოთხოვნის შემცირებას განაპირობებს. პანდემია უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ საგარეო, არამედ შიდა მოთხოვნაზეც. ამ დროს, პირველადი მოხმარების საგნებსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირებასთან ერთად, მნიშვნელოვნად სუსტდება საინვესტიციო აქტივობაც. მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური შოკი, მოთხოვნასთან ერთად, გავლენას ახდენს მიწოდებაზე და იწვევს გლობალური მიწოდების ჯაჭვის შეუფერხებელი ფუნქციონირების დარღვევას.

გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში ვირუსების გაჩენა-გავრცელება და პანდემია მომავალშიცაა მოსალოდნელი. ჩვენ უნდა სათანადოდ გავაცნობიეროთ და ვისწავლოთ ნებისმიერ ვირუსთან თანაარსებობა და თანაცხოვრება არა მხოლოდ მისი პრევენციის, გავრცელების შეკავებისა და დამარცხების თვალსაზრისით, არამედ მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისებისა და შოკების მართვისა და დაძლევის თვალსაზრისითაც. ეს კი თავიდან აგვაცილებს პანდემიით გამოწვეულ მწვავე ეკონომიკურ კრიზისებს, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნესის კეთებასა და ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს, გაზრდის ინვესტიციების შემოდინებასა და მათი გამოყენების ეფექტიანობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2017.
2. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2018.
3. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015.
4. Гриффин И., Пастей М., Международный бизнес, М., 2006.
5. Уильям Ф. и др. Инвестиции, М., 2004.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2019, თბ., 2020.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური ანგარიშგებითი მასალები. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წლიური ანგარიშგებითი მასალები. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
9. [www.geoeconomics.ge](http://www.geoeconomics.ge).

**FOREIGN DIRECT INVESTMENT TRENDS IN GEORGIA  
AT THE CURRENT STAGE OF GLOBALIZATION AND PANDEMIC  
Summary**

Foreign direct investment plays an immeasurably large role in reforming and reviving the economies of both developed and developing countries.

The paper analyzes the main trends in the dynamics of foreign direct investment in Georgia at the current stage of globalization and the indicators of its use in sectoral and regional contexts. It focuses on the development and practical application of both global and local pandemic-induced mechanisms. The paper emphasizes that we must properly understand and learn to coexist and coexist with any virus not only in terms of its prevention, containment and eventual defeat, but also in terms of managing and overcoming the economic crises and shocks caused by it.

**სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციის ჩამოყალიბებისა და განვითარების თეორიული საფუძველი**

*ანოტაცია.* სტატიაში განხილულია თეორიული შეხედულებები, რომლებმაც სათავე დაუდეს სოციალური საბაზრო მეურნეობის დამოუკიდებელ თეორიას; იმ მეცნიერთა მოსაზრებები, რომელთაც შექმნეს თეორია და სისტემაში მოიყვანეს მისი დებულებები; სპეციალისტთა შეხედულებები, რომლებმაც განავითარეს აღნიშნული თეორია. შემოთავაზებულია თეორიული პოზიციების თანამედროვე პირობებში გამოყენებისას წარმოქმნილი წინააღმდეგობების მიმოხილვა და ავტორთა შეხედულება ამ წინააღმდეგობათა ბუნებასთან დაკავშირებით.

*საკვანძო სიტყვები:* სოციალური საბაზრო ეკონომიკა; სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია; ორდოლიბერალიზმი; ნეოლიბერალიზმი; წესრიგის პოლიტიკა; სოციალური საბაზრო მეურნეობის პრაქტიკული მოდელი.

**შესავალი**

არცერთი ცალკე აღებული ეკონომიკური ან სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია არ წარმოიქმნება არაფრისგან - მას აუცილებლად უდევს საფუძვლად (ამა თუ იმ დოზით) ადრე შემუშავებული თეორიები, უკვე გამოთქმული თვალსაზრისი. სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია გამონაკლისს არ წარმოადგენს, ამიტომაც მისი სრულად კვლევისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია საბაზისო თვალსაზრისების წინასწარი დახასიათება (კვლევის ცენტრალური თემის გათვალისწინებით - მხოლოდ მისი ძირითადი დებულებების ფარგლებში).

**ძირითადი ნაწილი**

საბაზისო თეორიების ზოგადი შეფასება. გერმანული სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციის (Soziale Marktwirtschaft) ბაზას წარმოადგენს ორდოლიბერალიზმის თეორია (Ordoliberalismus). ამასთან, ორდოლიბერალიზმი, არსებითად, წარმოადგენს ნეოლიბერალიზმის თეორიის (Neoliberalismus) გერმანულ ვარიანტს<sup>33</sup>, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია კლასიკური ლიბერალიზმის (Liberalismus) თეორიაზე. პირველ რიგში, ისტორიულად ჩამოყალიბებული რიგითობის შესაბამისად, განვიხილავთ ლიბერალიზმის თეორიას.

ეკონომიკური ლიბერალიზმის თეორია, როგორც შეხედულებათა სისტემა, სათავეს იღებს ინგლისელი კლასიკოსების ადამ სმიტისა და დავიდ რიკარდოს ნაშრომებიდან, სადაც წამოაყენეს მოთხოვნა: მიეცით ადამიანებს საშუალება აკეთონ ის, რაც მათ სურთ. ლიბერალიზმი აღიარებს პირადი ინტერესებით განპირობებული ინდივიდუალური საქმიანობის წამყვან როლს. თეორიის ძირითადი პრინციპია მეურნე სუბიექტების მაქსიმალური თავისუფლების უზრუნველყოფა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მკაცრად შეზღუდვა (Laissez faire-ს პოზიციის ერთგულება).

ლიბერალიზმის მომხრეთა თეორიული მრწამსი შეიძლება გამოიხატოს შემდეგ დებულებებში:

- მეურნეობრიობის ყველაზე ეფექტიან სისტემად მიიჩნევა საბაზრო სისტემა - იგი ქმნის საუკეთესო პირობებს ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის;

<sup>33</sup> Мюллер-Армак А. Принципы социального рыночного хозяйства / Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии. - СПб.: Экономическая школа, 1999).

• საბაზრო სისტემას გააჩნია თვითრეგულაციის უნარი, რითაც უზრუნველყოფს „ბუნებრივი წესრიგის“ (Ordnung) არსებობას;

• ბუნებრივი წესრიგი აყალიბებს და ინარჩუნებს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ოპტიმალურ კომბინაციას;

• თავისუფალ საქმიანობას ხელს უშლის მონოპოლიების წარმოქმნა და (ან) სახელმწიფოს ჩარევა;

• სახელმწიფო ვალდებულია მხოლოდ უზრუნველყოს კონკურენციის პირობები.

საბაზრო მეურნეობის სხვადასხვა კონცეფციებს საფუძვლად უდევს ლიბერალიზმის კონკრეტული სახეები (რომელთაც საინტერესოდ განიხილავს პ. კოზლოვსკი)<sup>34</sup>. ჯერ ერთი, ეს გახლავთ ტრადიცია, რომლის ისტორიაც იწყება ადამ სმიტისა და შოტლანდიური სკოლის წარმომადგენლებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ ა. სმიტის გავლენა საკმაოდ ბევრ სკოლაში შეინიშნება), რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კერძო ინტერესებს. მეორე, საზოგადოებრივი გონისა და ლოგიკის პრინციპზე დაფუძნებული ტრადიცია, რომელმაც ასახვა ჰპოვა იურგენ ჰაბერმასის (Jürgen Habermas) ნაშრომებში. მესამე, ქრისტიანული, განსაკუთრებით კათოლიკური დოქტრინა, რომელიც ბაზარს აღიქვამს კოორდინაციის მექანიზმად, მაგრამ მოითხოვს, რომ ინსტიტუციონალური და სოციალური პოლიტიკის გათვალისწინებას (ავგუსტინესა და თომა აკვინელის შრომები). პიტერ კოზლოვსკის მოსაზრებით (Peter Koslowski), სოციალური საბაზრო მეურნეობის მექანიზმის კონცეფცია ყალიბდება კლასიკური და ქრისტიანული ეკონომიკური შეხედულებების საფუძველზე (თითქმის თანაბარი პროპორციით).

ნეოლიბერალიზმი უნდა გავიგოთ როგორც ლიბერალების კლასიკური შეხედულებების ვარიაცია, რომელიც გამოხატავს ტოტალიტარული საზოგადოებრივი სისტემების მიუღებლობას და უშვებს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ელემენტების არსებობას. ნეოლიბერალური ეკონომიკური და სოციალური პროექტები აუცილებლად შეიცავენ მონოპოლური ძალაუფლებისგან კონკურენციის დაცვის კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნას. ისინი განსხვავებულია იმ მიმართულებების შემუშავების თვალსაზრისით, რომლებიც იძლევა პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას თავისუფლებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფენების მხარდაჭერის აუცილებლობასთან შეთავსების საფუძველზე. ნეოლიბერალური მიაშრომება წარმოადგენს სხვადასხვა შეხედულებების სისტემას. თანამედროვე პირობებში რამდენიმე „ნეოლიბერალური“ სკოლაა. მათ მიაკუთვნებენ ჩიკაგოს (ფრენკ ნაითი, მილტონ ფრიდმენი), ლონდონის (ლუდვიგ ფონ მიზესი, ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი), ფრაიბურგის (ვალტერ ოიკენი, ლუდვიგ ერჰარდი) სკოლებს.

ჩიკაგოს სკოლის დამფუძნებელია ეკონომისტი და სოციოლოგი ფრენკ ნაითი (1885-1972). ნაითის შეხედულებით, ეკონომიკური თეორიის უპირველესი დანიშნულებაა წმინდა ეკონომიკური პროცესების განხილვა ტექნოლოგიური, სოციალური და სტრუქტურული ელემენტებისგან აბსტრაგირებულად. მის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „უნიკალური გაურკვევლობის“ ფაქტორს, რომელიც დაკავშირებულია კონიუნქტურულ რხევებთან. მოგება არის რისკისა და წარმატების შედეგი, სტაციონარულად რეგულირებადი ეკონომიკის პირობებში იგი მიუღწეველია. ფ. ნაითი პრიორიტეტულად მიიჩნევდა მხოლოდ „კონკურენტულ ეკონომიკას“. ფ. ნაითის მიმდევრები არიან მილტონ ფრიდმენი და ჯორჯ სტიგლერი (1911-1991).

ნეოლიბერალიზმის ლონდონის სკოლა ითვლება კლასიკურ სკოლად. მისი დამფუძნებელია ლუდვიგ ფონ მიზესი. ლუდვიგ ფონ მიზესი (1881-1973) ძირითადად განიხილავდა ცვალებად ეკონომიკურ პირობებში კონკურენციის საკითხებს და ეკონომიკური წონასწორობის პრობლემებს. იგი ამტკიცებდა<sup>35</sup>, რომ ცენტრალიზებულად რეგულირებადი

<sup>34</sup> Козловски П. Виды капитализма – виды либерализма / Социальное рыночное хозяйство и разновидности капитализма // Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии. - СПб.: Экономическая школа, 1999

<sup>35</sup> Костюк В.Н. История экономических учений. - М.: Центр, 1997

ფასები შეუძლებელს ხდის ეკონომიკური წონასწორობის მიღწევას გეგმური ეკონომიკის პირობებში. ამის შედეგად, ცენტრალიზებული ეკონომიკა (თავისუფლად ცვალებადი ფასების მიღმა) არ ითვალისწინებს ეფექტიანი დაგეგმვის ინსტრუმენტების არსებობას. ცენტრალიზებული გეგმიური სახელმწიფო ეკონომიკის სისტემებს მან „დაგეგმილი ქაოსი“ უწოდა.

თუკი ლ. მიზესი მიჩნეულია ლონდონის ნეოლიბერალიზმის სკოლის ფუძემდებლად, მის წარმომადგენელს ფ. ჰაიეკს (1899-1992), ლ. მიზესის მოსწავლეს, უწოდებენ ნეოლიბერალიზმის მამამთავარს. ჰაიეკის შეხედულებით, ბაზარი, როგორც სისტემა, უზრუნველყოფს უკიდურესად კონკრეტული ცოდნის სინთეზს უკიდურესად აბსტრაქტულ ცოდნასთან. პირველის ქვეშ იგულისხმება დროის, ადგილისა და მოქმედებათა ვითარების სპეციფიკური პირობების ინდივიდუალური ცოდნა<sup>36</sup>. ამ პირობების გამოყენების უნარი საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ინდივიდუალურ უპირატესობებს. თავისუფალი ბაზარი ქმნის წინაპირობებს ამ ცოდნის გამოყენებისთვის და ანიჭებს მფლობელს მისი განკარგვის უფლებას.

კონკურენცია ჰაიეკის შრომებში დინამიური პროცესია, ხოლო ცნება „სრულყოფილი კონკურენცია“ გამორიცხავს შესაძლო კონკურენტულ საქმიანობას<sup>37</sup>. კონკურენცია განიხილება ახალი ცოდნის წარმოქმნის მეთოდად. ამას ხელს უწყობს აქამდე ყველასთვის უცნობი ახალი მოთხოვნილებების და მათი დაკმაყოფილების ახალი საშუალებების აღმოჩენა. გარდა ამისა, ეკონომიკური აგენტები იგებენ თუ რა შეუძლიათ რეალურად სხვებთან შედარებით. დასკვნა: კონკურენციის ხელოვნური შეზღუდვა ამცირებს საზოგადოებისთვის მისაწვდომი ცოდნის მოცულობას. ჰაიეკის აზრით, კონკურენტული წესრიგის დაცვა არ უნდა იქნეს დაყვანილი Laissez faire-ის იდეამდე. სახელმწიფოს შეტევის შეჩერება შესაძლებელია, თუკი ლიბერალები დამოუკიდებლად შეიმუშავენ და ამოქმედებენ თანამედროვე სამყაროში ამჟამად არსებული სიძნელეების აღმოფხვრის ღონისძიებებს. „კონკურენცია არის შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესი: ინფორმაციის გავრცელების გზით იგი ქმნის ეკონომიკური სისტემის ერთიანობასა და სინქრონულობას“<sup>38</sup>. სახელმწიფოს ჩარევა ხელს უშლის ინფორმაციის გავრცელებას, ამიტომაც მისი ფუნქციები მკაცრად უნდა იქნეს შეზღუდული<sup>39</sup>.

ორდოლიბერალიზმის პოზიცია. მეოცე საუკუნის 40-50-იანი წლების გერმანიის ლიბერალურ მოძრაობაში პარალელურად არსებობდა თანამოაზრე ეკონომისტების ორი ჯგუფი. ერთი მხრივ, ორდოლიბერალები, ანუ ფრაიბურგის სკოლის წარმომადგენლები - საკუთრივ ლიბერალები ვალტერ ოიკენისა და ფრანც ბიომის მეთაურობით, მეორე მხრივ კი - სოციალური საბაზრო ეკონომიკის მომხრეები, რომელთა შორის იყვნენ ალფრედ მიულერ-არმაკი (Alfred Müller-Armack, 28.06.1901 - 16.03.1978) და ლუდვიგ ერჰარდი (Ludwig Erhard, 4.02.1897 - 5.05.1977). სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციის ჩაოყალიბებისა და რეალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ალექსანდრ რიუსტოვმა (Alexander Rüstow) და ვილჰელმ როპკემ (Wilhelm Röpke), ჰუმანისტური ტრადიციის ნეოლიბერალიზმის მომხრეებმა<sup>40</sup>.

აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელთა შეხედულებების ერთიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოების პიროვნული თავისუფლება თავისთავად წარმოადგენდა ფასეულობას. ამის გამო, სოციალური საბაზრო ეკონომიკა მათი მხრიდან განიხილებოდა არა დანგრეული ეკონომიკის აღდგენისკენ მიმართული რეკომენდაციების ნაკრებად, არამედ

<sup>36</sup> Капелюшников Р. Свободный ум в несвободную эпоху. - М.: Изограф, 2001

<sup>37</sup> Хайек Ф.А. Конкуренция как процедура открытия // Мировая экономика и международные отношения. - 1989. - №12; Хайек Ф.А. Смысл конкуренции / Индивидуализм и экономический порядок. - М.: Изограф, 2001

<sup>38</sup> Хайек Ф.А. Смысл конкуренции / Индивидуализм и экономический порядок. - М.: Изограф, 2001

<sup>39</sup> Хайек Ф.А. Пагубная самонадеянность: Ошибки социализма. - М.: Новости, 1992

<sup>40</sup> Социальное рыночное хозяйство в Германии: Истоки, концепция, практика / А. Ю. Чепуренко (общ. ред.) – М.: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЭН), 2001

პოლიტიკური, ეკონომიკური წესრიგისა და იმ სფეროების ჩამოყალიბებისკენ მიმართულ პროგრამად, რომელთა თავისუფლებაც წარმოადგენს ეფექტიანობის ძირითად პირობას<sup>41</sup>.

გერმანულ ორდოლიბერალიზმს, ფრაიბურგში (Freiburg), 1930-იანი წლების დასაწყისში, საფუძველი ჩაუყარა ეკონომისტმა ვალტერ ოიკენმა (Walter Eucken, 17.01.1891 - 20.03.1950) და ოურისტმა ფრანც ბიომმა (Franz Böhm, 16.02.1895 - 26.09.1977).

ორდოლიბერალიზმის მოძღვრება აგებული იყო კონკურენციის პრინციპებზე, ანუ იმგვარ სიტუაციაზე, როდესაც გამყიდველების დიდი ნაწილი უპირისპირდება მყიდველების დიდ ნაწილს და ვერცერთი ინდივიდუმი, ასევე მათი გაერთიანება ვერ მოახდენს გავლენას საბაზრო ფასზე. ორდოლიბერალებს სწამდათ, რომ მხოლოდ ყოველი ინდივიდუუმის თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ სამეურნეო (ან ეკონომიკური) წესრიგს (Wirtschaftsordnung) შესწევს ძალა უზრუნველყოს საზოგადოება შეზღუდული სიკეთეებით და განუხრელად აამაღლოს საყოველთაო კეთილდღეობა. თანამედროვე ლიბერალური საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად განიხილება კონკურენციის დაცვა. მიიჩნევა, რომ კონკურენციის პოლიტიკა სამართლიანი უნდა იყოს ყველასთვის: უნდა იქნეს მიღებული უნივერსალური კონკურენციის პრინციპი, რომელიც დაუპირისპირდება კერძო პირებისა და სახელმწიფოს მხრიდან ბაზრის მონოპოლიზაციის ნებისმიერ მცდელობას. მათი აზრით, კონკურენტული ბაზრის განვითარებული სისტემა საზოგადოების ნებისმიერ წევრს აძლევს ღირსეულად ცხოვრების შესაძლებლობას, მათი სოციალური სტატუსის მიუხედავად.

კერძოდ, ვალტერ ოიკენი ამტკიცებდა, რომ ყოველი კონკრეტული სისტემა ეყრდნობა ადამიანთა მოთხოვნილებების, ბუნებრივი პირობების, სამუშაო ძალის, სასაქონლო მარაგების, ტექნიკური ცოდნის, სამართლებრივი და სოციალური წესრიგის (წესრიგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება) კომბინაციას. წესრიგი თავისთავად არ მყარდება, მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებს სახელმწიფო, რის შედეგადაც იგი ბუნებრივი ხდება, ვინაიდან მას მოსდევს სრული კონკურენციისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარება, რაც შეესაბამება თავად ადამიანის ბუნებას და ეკონომიკური თავისუფლების ძირითად პრინციპებს<sup>42</sup>.

ვალტერ ოიკენი ერთმნიშვნელოვნად უპირატესობას ანიჭებდა თავისუფალ საბაზრო მეურნეობას. მან შემდეგნაირად ჩამოაყალიბა კონკურენციის ძირითადი პრინციპები:

- კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა;
- ფულისა და ეროვნული ვალუტის სტაბილური მიმოქცევა;
- ღია ბაზრები;
- ყველა გარიგებებისა და ხელშეკრულებების თავისუფლება, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთა მიზანია კონკურენციის შეზღუდვა;

• ყოველი ინდივიდუუმის პასუხისმგებლობა მის მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე (ანუ ფიქტიური კომპანიების დაუშვებლობა);

- ეკონომიკური პოლიტიკის მუდმივობა.

არგუმენტირებულადაა წარმოდგენილი თვალსაზრისი, რომ ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც წესრიგისა და რეგულირების პოლიტიკა. წესრიგის პოლიტიკა (Ordnungspolitik) გულისხმობს რეალური წესრიგის დამყარებასა და სრულყოფას, რომლის არსებობის პირობებშიც ხორციელდება ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობა. სახელმწიფოს ჩარევა ამ სფეროში არა მხოლოდ დაშვებული, არამედ წახალისებულია, ვინაიდან მისი მთავარი ფუნქციაა ეკონომიკური კონიუნქტურის რხევების ნეიტრალიზაცია, მონოპოლიების ძალაუფლების შეზღუდვა. თუმცა, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ორი პრინციპი: აუცილებელია არსებული გავლენიანი საბაზრო სუბიექტების (მონოპოლიების) კონტროლი და ასევე საჭიროა შეიქმნას ეკონომიკური კონკურენტული წესრიგი (Wettbewerbsordnung) და არ მოხდეს ბუნებრივი ეკონომიკური პროცესების უბრალოდ რეგულირება<sup>43</sup>. რეგულირების პოლიტიკა

<sup>41</sup> Ватрин Х. Социальная рыночная экономика – основные идеи и их влияние на экономическую политику Германии / Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии. - СПб.: Экономическая школа, 1999

<sup>42</sup> Ойкен В. Основные принципы экономической политики. - М.: Прогресс - Универс, 1995

<sup>43</sup> Ойкен В. Основы национальной экономики. - М.: Экономика, 1996



არის სამეურნეო განვითარებაზე ზემოქმედების პოლიტიკა, სადაც დაუშვებელია სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა ეკონომიკურ პროცესში. ძირითადი მნიშვნელობა აქ ენიჭება სამართლებრივ და სოციალურ წესრიგს.

*სოციალური საბაზრო მეურნეობა: კონცეპტუალური მიდგომების ვარიანტები. ალფრედ მიულერ-არმაკის თავისუფლებისა და სოციალური გათანაბრების პრინციპები.* ვ. ოიკენისა და ფ. ბიომის შრომებმა განსაკუთრებით შეუწყო ხელი სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულების ჩამოყალიბებას.

ტერმინი „სოციალური საბაზრო მეურნეობა“ (Soziale Marktwirtschaft) 1946 წელს პირველად დაასაბუთა და ბრუნვაში შემოიღო ალფრედ მიულერ-არმაკმა, ეკონომიკის პროფესორმა, ევროპის საინვესტიციო ბანკის მმართველთა საბჭოს წევრმა 1958-1977 წლებში, ლუდვიგ ერჰარდის - გერმანული „ეკონომიკური სასწაულის“ შემოქმედის უახლოესმა თანამოაზრემ. იგი აღნიშნავდა, რომ აღნიშნულმა ფორმულირებამ თავდაპირველად გაცემა გამოიწვია, ვინაიდან 1946 წელს დამახასიათებელი იყო სოციალური უზრუნველყოფის სფეროს ეკონომიკური კონტროლი და უცნაური იყო საბაზრო ეკონომიკაში მოსახლეობის ფართო მასებისთვის უკეთესი წესრიგის ფორმირების პროცესის დანახვა. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას, რომ „სოციალური საბაზრო მეურნეობა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ წესრიგს“, რომლის დროსაც „თავისუფალი ბაზრის მიზანმიმართულად ორგანიზებული ეკონომიკა ნარჩუნდება სისტემის მარეგულირებელი კონკურენციის მეშვეობით და იძლევა სოციალური პროგრესის საიმედო გარანტიას - განსაკუთრებით იმის გამო, რომ უფრო ეფექტიანად შეიძლება ორგანიზებულ იქნას სოციალური პროგრესი თავისუფალი სისტემის ბაზაზე ამ სისტემის პრინციპების შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების და სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით შემოსავლების გადანაწილების გზით, როცა კონკურენციის განვითარება ქმნის ეკონომიკურ ბაზას სოციალური ღონისძიებებისთვის“<sup>44</sup>.

მიულერ-არმაკი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო რეგულირების ელემენტების მქონე არსებული ეკონომიკური სისტემები გარდაუვლად იწვევენ ცალკეული ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების შეკვეცას და არღვევენ საბაზრო ფასწარმოქმნის მექანიზმს<sup>45</sup>. მხოლოდ სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ხედავდა იგი ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფას სახელმწიფოასთან, მეწარმეებსა და დაქირავებულ მუშახელთან მიმართებით. მხოლოდ სოციალურ საბაზრო ეკონომიკას ძალუმს ყოველმხრივი ეკონომიკური ზრდის საუკეთესო შესაძლებლობების გარანტირებული განხორციელება, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს სოციალური სამართლიანობის პრინციპი.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის შესაქმნელად აუცილებელ პირობებს შორის იგი განსაკუთრებით გამოყოფდა:

- ცენტრალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ორგანოების შექმნას, რომლებიც საკუთარი პასუხისმგებლობით განახორციელებენ ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკას;
- საგადასახადო რეფორმის გატარებას საგადასახადო ტვირთის იმ დონემდე შემცირებით, რაც სტიმულს მისცემს პიროვნულ ეკონომიკურ დაინტერესებას წარმოების გაფართოებისთვის;
- ფინანსური სისტემის რეფორმის გატარებას დანახარჯების რადიკალური შემცირებისა და დავალიანებების აღსაკვეთად საბიუჯეტო წონასწორობის უზრუნველყოფის გზით;
- ანტიმონოპოლური პოლიტიკის გატარებას ეკონომიკაში ძალაუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების დასაძლევად;
- დანგრევის პირას მისული ტოტალურად რეგულირებული ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლებით.

ალფრედ მიულერ-არმაკი სოციალურ საბაზრო მეურნეობას განიხილავდა ეკონომიკური (Wirtschaftspolitik) და სოციალური (Sozialpolitik) პოლიტიკის განმსაზღვრელ საფუძვლად.

<sup>44</sup> Мюллер-Армак А. Принципы социального рыночного хозяйства / Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии. - СПб.: Экономическая школа, 1999

<sup>45</sup> Мюллер-Армак А. О свободе и социальной справедливости / Предложения по осуществлению социальной рыночной экономики / Социальное рыночное хозяйство // Политэконом. - 1996. - №1

საკვლევი კატეგორია მან დაახასიათა როგორც წესრიგი, რომელიც ისრუტავს ფასეულობებს, მაგრამ თავად არ ადგენს მათ, რასაც უწოდებს სოციალური პრობლემების გადაჭრის ერთგვარ საშუალებას. სოციალური საბაზრო მეურნეობის არსს იგი ხედავდა „წარსულის შემნარჩუნებელი პოლიტიკის გატარების ან საზოგადოებაში თავისუფალი ინიციატივის შემაფერხებელი ეკონომიკური კონტროლის დაწესების ან არაკონტროლირებადი საბაზრო მექანიზმის შემუშავების სანაცვლოდ სოციალური გადაწყვეტილების შეთავაზებაში, რომელიც გააერთიანებდა ყველა მიზანს ქმედით, რეალისტურ ჰარმონიაში“. ამასთან, მოცემული ფორმულირების ფასეულობას იგი ხსნიდა მითითებული კურსის პრაქტიკული რეალიზაციის პრინციპული შესაძლებლობით.

ლ. ერჰარდის სოციალური საბაზრო მეურნეობის პრაქტიკული მოდელი. თანამედროვე პირობებში სოციალურ საბაზრო მეურნეობაში (სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში) იგულისხმება ეკონომიკური საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის (*Marktwirtschaft*) მაღალეფექტიანობას და მის საფუძველზე ქვეყნის მოქალაქეების მაქსიმალური სოციალური სამართლიანობის, უზრუნველყოფის დონისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გარანტირებას<sup>46</sup>. თეორიის ამგვარი განმარტება იდეალური გვეჩვენება. აქედან გამომდინარე, ლუდვიგ ერჰარდის დამსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ მან მოახერხა პრაქტიკაში სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდელის გამოყენება. „ვერანაირი ეკონომიკური სიტუაცია ვერ იქნება იმდენად უიმედო, რომ ხალხის ურყევი ნება და პატიოსანი შრომა ვერ გაუმკლავდეს მას - ასეთია ლ. ერჰარდის შეხედულება, რაც ხაზს უსვამს მის რწმენას გლობალური საწარმოს წარმატებასთან დაკავშირებით. „აღდგენის წარმატება იმ ადამიანების ძალისხმევითა და შრომით შედგება, რომელთა მცდელობითა და თავდადებათაც შეიქმნა ის, რასაც დღეს მთელს მსოფლიოში „გერმანულ სასწაულს“ უწოდებენ“. თუმცა, თავად ერჰარდი ამტკიცებს: „მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ვისაუბრო რაიმე სახის გერმანულ „სასწაულზე“. ჩვენ დავწინაურდით სრულიად რეალური ძალებისა და ფაქტორების გავლენით“<sup>47</sup>.

ლ. ერჰარდი შემდეგნაირად განსაზღვრავს სოციალური საბაზრო მეურნეობის პოზიციას. სოციალურ საბაზრო მეურნეობას საფუძვლად უდევს ინდივიდუუმის თავისუფლება და პასუხისმგებლობა. საბაზრო მეურნეობა, საქმიანობის ობიექტური შედეგებისთვის ბრძოლაზე დაფუძნებული კონკურენციის ძალით, გამორიცხავს სახელმწიფოს ნებისმიერ მცდელობას ბოროტად გამოიყენოს სამეურნეო ძალა როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ინსტრუმენტი. სახელმწიფო წესრიგის პოლიტიკის ამოცანას წარმოადგენს თავისუფლების, წესრიგის, ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ჰარმონიული ერთიანობა საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად. მიზანია ყოველი ინდივიდუუმის უზრუნველყოფა აუცილებელი მინიმუმით და ისეთი პირობების შექმნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერმა შეძლოს სასურველი მაქსიმუმის მიღება. არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ადამიანებისთვის თავისუფლების მინიჭების, მისი ენერჯის, ინიციატივისთვის სარბიელის შექმნის, ღირსეული არსებობის უზრუნველყოფის, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ერჰარდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ტერმინ „სოციალურის“ არსს. სოციალურობა დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისთვის. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობას არ განსაზღვრავს მისი მასშტაბი. სწორი სოციალური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ყოველი ცალკე აღებული ადამიანის პოზიციების მხარდაჭერაზე: სახელმწიფოს მზრუნველობისგან დამოუკიდებელი მოქალაქე გადაიქცევა თავისუფალ ადამიანად. კეთილდღეობის ზრდის პირობებში სოციალური თვალსაზრისითაც გამართლებულია ცალკეული ადამიანებისთვის საკუთარ თავზე, ოჯახზე პასუხისმგებლობის დაკისრება. და ბოლოს, რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, მით ნაკლები ადამიანი საჭიროებს სახელმწიფოს მიერ გაცემულ სოციალურ სიკეთეებს.

<sup>46</sup> Васина Л.Л. Социальное рыночное хозяйство: Словарь терминов. - М.:ИНФРА-М, 1997

<sup>47</sup> Эрхард Л. Полвека размышлений: Речи и статьи. - М.: Руссико: Ордынка, 1993 (к 90-летию Людвиг фон Мизеса).

თანამედროვე შეხედულება სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიაზე. ლუდვიგ ერჰარდის ფონდის პრეზიდენტი, ო. შლექტი აღნიშნავს, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობის იდეამ წინ წამოიწია ჰუმანისტური და ქრისტიანულ-სოციალური პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც ცენტრალური დაგეგმვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სახელმწიფო ეკონომიკისა და წმინდა კაპიტალიზმის (laissez-faire) თავისუფალი და ჰუმანური ალტერნატივა<sup>48</sup>. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა მიმართულებით მაღალგანვითარებული საზოგადოების შესაქმნელად - ეკონომიკის განვითარების არცერთი მოდელი არ ითვალისწინებს ამას. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ეკონომიკა ვერ იფუნქციონირებს, ვინაიდან ადამიანი უპირველესად ცდილობს საკუთარი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. რაც უფრო მაღალია საზოგადოების განვითარების დონე, მით მეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობას. გარკვეულწილად სწორედ ამ აუცილებლობით არის განპირობებული საზოგადოებრივი განვითარების დონე.

ბ. ბატრინის, კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორის მოსაზრებით, სოციალური საბაზრო ეკონომიკა განსხვავდება უფრო ძველი კონცეფციებისგან იმით, თუ როგორ წყდება განვითარებული საზოგადოების ძირითადი პრობლემა: უნდა იყოს თუ არა სოციალური საკითხები სახელმწიფოს საქმე? - არა. თუ გამოვდივართ თავისუფალი საზოგადოების იდეალის შესახებ წარმოდგენიდან, უნდა განმტკიცდეს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დამოუკიდებლობა. მოქალაქეებმა დამოუკიდებლად უნდა აკონტროლონ აღნიშნული სისტემის ორგანოები, თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები<sup>49</sup>.

კ.ვ. ნორი, ტიუბინგსკის უნივერსიტეტის პროფესორი, მიანიშნებს შესასწავლი კონცეფციის ერთგვარ ორმხრივობაზე. ერთი მხრივ, ბაზარი მოწოდებულია შექმნას და გაადიდოს საზოგადოებრივი პროდუქტი. ამ მიზნით ხდება ბაზრის სუბიექტების მოქმედებათა კოორდინირება - მათ უნდა იმოქმედონ თავისუფლად. მეორე მხრივ, ბაზრის პირობებში წარმოიქმნება „სახელმწიფო ღონისძიებათა ზონა“, რომლის გაკონტროლება პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად, სოციალური საბაზრო მეურნეობა წარმოადგენს მოქნილ, ცვალებად კონცეფციას<sup>50</sup>.

სოციალური საბაზრო მეურნეობის მიმზიდველ არსს ერთგვარი ირონიით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ე. იასაი: სოციალურ საბაზრო მეურნეობას „გარკვეულწილად გადმოაქვს კაპიტალიზმიდან... კერძო საკუთრების პირობებში მოგების მიღებისკენ სწრაფვა, თუმცა, იმავდროულად, ცდილობს მოგების გამოყენებას კეთილშობილური მიზნებისთვის, როგორცაა სოლიდარობა, სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა... ეს კი თავისუფალ ბაზარზე სოციალური პროდუქტის ეფექტიანი წარმოების მყარ გარანტიას წარმოადგენს“<sup>51</sup>. ამასთან, მისი აზრით, მოცემული დებულებების პრაქტიკულ რეალიზაციას ნეგატიური შედეგები აქვს. ასე მაგალითად, როცა „იცავენ უნიციტატივობს, დაჰფოფინებენ მრეწველობის სუსტ დარგებს“, აქტიურად იცავენ სამამულო წარმოებას უცხოელი კონკურენტებისგან, იწყება ეროვნული მეურნეობის ჰარმონიული სტრუქტურის თანდათანობითი რღვევა, იზრდება წარმოების ხარჯები, მცირდება სამუშაო ადგილების რაოდენობა და მათი შექმნის სტიმულები, რეალური ხელფასი. და ბოლოს, „წარმოიქმნება მოჯადოებული წრე: რაც უფრო ნათლად წარმოჩინდება უყარათობა, მით უფრო ხმამაღლა გაისმის მოწოდება სოციალური ხასიათის ზომების მისაღებად და უსამართლობის შესარბილებლად“. შედეგი კი ასეთია: იქმნება მაღალდანახარჯიანი ეკონომიკა, რომელსაც არ შესწევს პერსპექტიული განვითარების ძალა. ამასთან დაკავშირებით, ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ა. მიულერ-არმაკის მიერ გაკეთებული შენიშვნა სოციალურ სამართლიანობასთან (Soziale Gerechtigkeit) დაკავშირებით:

<sup>48</sup> О.Шлехт. Этическое содержание социального рыночного хозяйства. - СПб.: Экономическая школа, 1999

<sup>49</sup> Ватрин Х. Социальная рыночная экономика – основные идеи и их влияние на экономическую политику Германии / Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии. - СПб.: Экономическая школа, 1999

<sup>50</sup> Нерр К.В. Социальное рыночное хозяйство и правовой порядок Германии. - СПб.: Экономическая школа, 1999

<sup>51</sup> Э Ясаи. Социальное рыночное хозяйство: социализм в иной форме / Социальное рыночное хозяйство // Политэконом. - 1996. - №1

„სოციალური სამართლიანობა არ ნიშნავს ყველას - თანაბრად, არამედ ყველას - თავისი წილი, ანუ მისი საქმიანობის შედეგების შესაბამისად“<sup>52</sup>. „სოციალური სამართლიანობისა“ და „სოციალური უზრუნველყოფის“ ცნებების აღრევა, მისი აზრით, წარმოადგენს ადამიანებისთვის პირადი სამეურნეო პასუხისმგებლობის მოხსნისა და კოლექტიური დაცულობით ჩანაცვლების მცდელობას.

1991 წ. პირველად გამოქვეყნდა ე. იასაისა და ი. შტარბატის დისკუსია, სადაც თანმიმდევრულად გაანალიზდა და დაბალანსდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიის წინააღმდეგობები, რომლებიც შეეხებოდა წარმოებისა და განაწილების ბუნებას, „სოციალური საბაზრო ეკონომიკის „სოციალისტურ საფუძველს“, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის ეფექტიანობას. გვსურს ცალკე შევჩერდეთ კერძო დასკვნაზე, რაც გააკეთეს დიალოგის მონაწილეებმა.

ი. შტარბატი საუბრობს იმაზე, რომ „ამჟამად რეალიზებადი სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმა ახდენს ეფექტიანობის დაქვეითების პროვოცირებას და გარდაუვალს ხდის კონცეფციის გადახედვას“. თუმცა, დიალოგის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში განიხილება ძირითადად ეკონომიკური ეფექტიანობა: საუბარია კონკურენციის შესუსტებაზე, ბაზრის ნგრევაზე, რომელსაც წარმოქმნის სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის გარკვეული ფენების მხარდაჭერა. აღნიშნულ მტკიცებასთან დაკავშირებით უნდა მოვიშველიოთ ლ. ერჰარდის თვალსაზრისი: „როცა სოციალური პოლიტიკის მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ ნებისმიერი ადამიანი... დაცული იყოს ცხოვრებისეული განსაცდელისგან... არ შეიძლება მოვითხოვოთ მათგან... ისეთი თვისებების საჭირო დოზით გამოვლენა, როგორცაა სასიცოცხლო ძალა, ინიციატივა, მიღწევები მწარმოებლურობაში და სხვა საუკეთესო თვისებები“<sup>53</sup>. მას მხარს უჭერს და მოსაზრებას ავითარებს ვ. გუტნიკი: „საუკეთესო სოციალური წესრიგი არსებობს არა იქ, სადაც საზოგადოებრივი პროდუქტის გადანაწილების გზით უზრუნველყოფილია მაქსიმალურად ფართო სოციალური მხარდაჭერა, არამედ იქ, სადაც ასეთი დახმარება მოქალაქეთა მინიმალურ რაოდენობას სჭირდება“<sup>54</sup>. სასტარტო შესაძლებლობების თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა საზოგადოების ყოველ წევრს ახალგაზრდულ ასაკში - შრომითი საქმიანობის დაწყებისას. იქმნება პირობები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის უნარების განვითარებას და მათ რეალიზაციას პიროვნებისთვის სასურველი ზომით. შემდგომ კი, პიროვნული წარმატების ხარისხი დამოკიდებულია მხოლოდ უნარების განვითარების დონესა და მათ რეალიზაციაზე დახარჯულ ძალისხმევაზე.

## დასკვნა

მოსაზრება „ამჟამად რეალიზებადი სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ ფორმასთან დაკავშირებით უმეტესად სამართლიანია, მაგრამ მხოლოდ კონიუნქტურული მიდგომის გათვალისწინებით - სად, რა პირობებში რეალიზებად ფორმაზე? სწორედ რეალიზაციის პირობები განაპირობებენ საბოლოოდ საწარმოს წარმატებას (გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი ერჰარდის სიტყვები). ამიტომაც, ვფიქრობთ, თეორიის განვითარების თანამედროვე მიმართულებები პირველ რიგში ორიენტირებული უნდა იყოს მეურნეობრიობის სისტემის კონიუნქტურასა და ეროვნულ მენტალიტეტზე და მხოლოდ ამის შემდგომ - კონცეფციის გადახედვაზე შესაბამის ჭრილში.

აღნიშნული საკითხი დღემდე სადავოა. კერძოდ, აღნიშნული გარემოება განპირობებულია ა. მიულერ-არმაკის თვალსაზრისით. იგი იხრებოდა იმ აზრისკენ, რომ სოციალური საბაზრო

<sup>52</sup> Мюллер-Армак А. О свободе и социальной справедливости / Предложения по осуществлению социальной рыночной экономики / Социальное рыночное хозяйство // Политэконом. - 1996. - №1

<sup>53</sup> Эрхард Л. Благополучие для всех: Репринт. воспроизведение: Пер. с нем. / Авт. предисл. Б.Б. Багаряцкий, В.Г. Гребенников. - М.: Начала-Пресс, 1991

<sup>54</sup> Гутник В.П. Социальное государство / Социальный порядок и проблемы его реформирования // Политика хозяйственного прядка в Германии / В.П. Гутник; РАН, Ин-т мир. Экономики и межд. Отношений. - М.: ЗАО «Издательство «Экономика», 2002.

მეურნეობა არ უნდა იქნეს განხილული ნეოლიბერალიზმის სახესხვაობად, თუმცა, მისივე სიტყვებით, ეს გამართლებულია. სოციალური საბაზრო მეურნეობა მრავალ მნიშვნელოვან იდეას იღებს ნეოლიბერალიზმიდან, თუმცა „სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია სხვა ფესვებიდანაა აღმოცენებული. ეს ფესვებია დინამიკურ თეორიასა და ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში, რომლებიც წარმოიქმნა ოციან წლებში სახელმწიფოზე სხვაგვარი შეხედულების გავლენით და ცხოვრების წესის კონცეფციის განვითარებასთან დაკავშირებით, რასაც მნიშვნელოვნად უარყოფდა ნეოლიბერალიზმი“.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლუდვიგ ერჰარდი. კეთილდღეობა ყველასათვის. თბილისი 2011.
2. Мюллер-Армач А. Принципы социального рыночного хозяйства / Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии. - СПб.: Экономическая школа, 1999.
3. Козловски П. Виды капитализма – виды либерализма / Социальное рыночное хозяйство и разновидности капитализма // Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии. - СПб.: Экономическая школа, 1999.
4. Хайек Ф.А. Конкуренция как процедура открытия // Мировая экономика и международные отношения. - 1989. - №12; Хайек Ф.А. Смысл конкуренции / Индивидуализм и экономический порядок. - М.: Изограф, 2001.
5. Ойкен В. Основные принципы экономической политики. - М.: Прогресс - Универс, 1995.
6. Мюллер-Армач А. О свободе и социальной справедливости / Предложения по осуществлению социальной рыночной экономики / Социальное рыночное хозяйство // Политэконом. - 1996. – №1.
7. Эрхард Л. Полвека размышлений: Речи и статьи. - М.: Руссико: Ордынка, 1993 (к 90-летию Людвиг фон Мизеса).

*Grigol Abralava*

### THEORETICAL BASIS OF FORMULATING AND DEVELOPMENT OF THE CONCEPT OF SOCIAL COUNTRY FARMING

#### Summary

The article discusses the theoretical views that led to the independent theory of social market economy, those scholars opinions that formed the theory and brought the provisions into the system; the views of the specialists who developed this theory. It is shown the contradictions arising from the application of theoretical positions in modern conditions and the author's views on the nature of these contradictions.

*ნუნუ აჩუაშვილი  
სესე ხატიაშვილი*

### მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება როგორც ღირსეული ცხოვრების აუცილებელი პირობა

*ანოტაცია.* ბიზნესი ქმნის დამატებით მატერიალურ სიმდიდრეს ეკონომიკური საქმიანობით. განვითარებული მსოფლიო სტატისტიკა აჩვენებს, რომ ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა მცირე და საშუალო ბიზნესია. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ჩამორჩენის, სიღარიბისა და უმუშევრობის დასაძლევად, ჩვენი ქვეყნის მთავრობამ უნდა შექმნას ყველა პირობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და საზოგადოების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია.

*საკვანძო სიტყვები:* მცირე ბიზნესი, საშუალო ბიზნესი, უმუშევრობა, რეფორმა, საქარმო.

საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ცენტრალიზებული ეკონომიკის დასრულების შემდეგ ბიზნესი გახდა. მისი ფართოდ გავრცელების შესაძლებლობებს სწორედ საბაზრო ეკონომიკა ქმნის. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებაში ბიზნესს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მნიშვნელოვანია მისი როლი ეკონომიკის ასიმეტრიულობის დაძლევაში რეგიონალურ და დარგობრივ ჭრილში. ბიზნესი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებით ქმნის დამატებით მატერიალურ დოვლათს, ახალ სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს ისეთი მწვავე პრობლემის დამარცხებას რასაც უმუშევრობა ეკია.

მოსახლეობის ძირითადი მასის ცხოვრების დონის ამაღლება და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის ქვეყნების მიზანს წარმოადგენს. რომელიც გლობალური პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა და ეფუძნება: სიღარიბის და კრიმინალის შეჩერებას; საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაციას; ეკოლოგიური პროცესის გაჯანსაღებას; შრომის უსაფრთხოებას და სხვა.

მსოფლიოს ყველა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების სტატისტიკა ადასტურებს, რომ ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა მცირე და საშუალო ბიზნესია. ჩვენს ქვეყანაში უახლესი ისტორიის განმავლობაში ბიზნესის განვითარების და მხარდჭერისათვის მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, რასაც შედეგად მოყვა ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივება და მისი მთლიანად ელექტრონულ რეჟიმზე გადასვლა. რეგისტრაციის გამარტივებამ ბიზნესის სფეროში ბევრი ადამიანი მოიზიდა, მაგრამ მარტო სურვილმა და შესაბამისი უნარ-ჩვევების და გამოცდილების არ არსებობამ შედეგად მოიტანა ის, რომ საწარმოები კი იხსნება, მაგრამ ძალიან დიდი ნაწილი მალე იხურება.

საქსტატის მონაცემების მიხედვით ბრუნვის წილი საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წელს პროცენტებში შემდეგნაირად გამოიყურებოდ: მსხვილი ბიზნესი - 55,5%; საშუალო ბიზნესი - 19,3% და მცირე ბიზნესი - 25,2%. პროდუქციის მოცულობა რომელიც 2019 წელს შეიქმნა 47494,7 მილიონი ლარია. აქედან მსხვილმა ბიზნესმა შეიქმნა - 19765,9 მილიონი ლარის პროდუქცია, საშუალო ბიზნესმა - 12535,6 მლნ. ლარის, ხოლო მცირე ბიზნესმა კი - 15193,3 მლნ. ლარის პროდუქცია.

დღეისათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ძლიერ კრიზისში იმყოფება, ყველაზე დიდი გამოწვევა უმუშევრობა, სიღარიბე და სიღატაკეა. აღნიშნული პრობლემის გამწვავება 2020 წლის დასაწყისიდან გამოიწვია კორონა ვირუსის მსოფლიო პანდემიამ, რომელმაც მოსახლეობის ჯანმრთელობას და მის კეთილდღეობას სერიოზული დარტყმა მიაყენა, ხოლო, საწარმოების მიზანი კი გახდა, არა განვითარება და გაფართოვება, არამედ თავის გადარჩენა. აღნიშნული პრობლემების დაძლევა კი, მხოლოდ, ეკონომიკური ზრდით მიიღწევა. ეკონომიკური ზრდის შეფერხებაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორც საშინაო, ისე საგარეო. ამ და სხვა მავნე ფაქტორების გავლენით ბიზნესი შოკურ სიტუაციაში აღმოჩნდა, ზოგიერთმა ნაწილობრივ მოახდინა ადაპტაცია და დისტანციურად შეძლო საქმიანობის განხორციელება. გარემოში მიმდინარე ეს უარყოფითი მოვლენები უფრო მეტად აისახება ეკონომიკის ისეთ დარგებში და სექტორში, რომლებიც სხვა ქვეყნის ეკონომიკიდან ჩვენს ეკონომიკაში დოვლათის გადმოსვლის არხებია. ესენია ტურიზმი (რომელიც ბოლო ხანებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა), ფულადი გზავნილები, უცხოური ინვესტიციები და საგარეო ვაჭრობა.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილ რთულ ეკონომიკურ სიტუაციას კარგად ახასიათებს ცხრილი 1.

**ცხრილი 1**

| მაჩვენებლები                         | 2017წ. | 2018წ. | 2019წ. | 2020წ. |
|--------------------------------------|--------|--------|--------|--------|
| მშპ. მიმდინარე ფასებში მილიარდი ლარი | 40,8   | 44,6   | 49,3   | 49,4   |
| მშპ-ს რეალური ზრდა %                 | 4,8    | 4,8    | 5,0    | -6,2   |
| მშპ. მიმდ.ფასში მილიარდ. აშშ\$       | 16,2   | 17,6   | 17,5   | 15,9   |

|  |         |         |         |         |
|--|---------|---------|---------|---------|
| სამუშაო ძალა ათასი კაცი                                      | 1641,4  | 1605,2  | 1572,8  | 1523,7  |
| უმუშევრობის დონე %   | 21,6    | 19,2    | 17,6    | 18,5    |
| ინფლაცია საშ, წლიური წინა წლის საშ<br>წლიურთან               | 106,0   | 102,6   | 104,9   | 105,2   |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები<br>მლნ. აშშ \$                | 1978,3  | 1306,3  | 1310,8  | 616,9   |
| საგარეო ვაჭრობის სალდო                                       | -5310,9 | -5981,8 | -5718,5 | -4688,4 |
| სიღარიბის აბს-ურ ზღვარს ქვევით<br>მცხოვრები მოსახლეობის წილი | 21,9    | 20,1    | 19,5    |         |

როგორც ცხრილში მოცემული მონაცემები მოწმობს მშპ 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ძალიან უმნიშვნელოდ - 0,2%-ით არის გაზრდილი. სამუშაო ძალა ამავე პერიოდში შემცირებულია - 49,1 ათასი კაცით და რაც შეეხება უმუშევრობის დონეს გაზრდილია - 0,9%-ით. ინფლაციის მაჩვენებელი გაზრდილია 0,3%-ით. სხვა დანარჩენი მაჩვენებლებიც მხოლოდ გაუარესებისაკენაა მიმართული.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხასიათდება სტაბილური კლებით. ცხადია ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა ასახვას საინვესტიციო კლიმატზეც ახდენს და ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს. საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. 2019 წლის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის არის აშშ, ჩინეთი და იაპონია.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ 2019 წლის ადამიანის განვითარების ანგარიშში ( NDR) საქართველო 189 ქვეყნიდან 70-ე ადგილს იკავებს. რაც ნიშნავს რომ ჩვენი ქვეყანა ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით საშუალო კატეგორიას მიეკუთვნება. უთანასწორობა ადამიანის განვითარების ანგარიშში გამჭოლი თემაა და სიღარიბის, შიმშილისა და ავადობის წინააღმდეგ მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქვეყნები სათანადოდ ვერ ფუნქციონირებენ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების კომფორტულ მოწყობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, ცხოვრების დონე ჩვენს ქვეყანაში ჯერ ისევ დაბალია. ყველაზე მწვავე გამოწვევა უმუშევრობა და სიღარიბეა. წარმოება ძალიან ნელი ტემპით, თითქმის არ იზრდება. ბაზარი ძირითადად დამოკიდებულია იმპორტზე, მას კი უარესად ამვირებს ბოლო პერიოდში კატასტროფულად გაუფასურებული ლარი დოლართან და ევროსთან მიმართებაში. ამ და სხვა მიზეზების გამო განსაკუთრებით გაუსაძლისი გახდა შეჭირვებული ადამიანების ცხოვრება ისეთ პროდუქტებზე ფასების ზრდით, რომელიც ადამიანთა სიცოცხლეს უკავშირდება. კერძოდ: 2019 წელს 2015 წელთან შედარებით სურსათისა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები გაიზარდა - 8,9%-ით; საცხოვრებელი სახლის წყალი, ელექტროენერგია, აირი, სათბობი - 6,2%-ით და ჯანდაცვაზე - 14,1%-ით. სამწუხარო ისაა, რომ ფასების ზრდა ახლაც ყოველდღიურად მიმდინარეობს.

საქსტატის მიერ წარმოდგენილი მიგრაციის სალდოს მიმართულება კარგად ახასიათებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოძრაობას დუხჭირი ცხოვრებისგან თავის დაღწევის მიზნით. ისინი სხვადასხვა კონტინენტზე არსებული განვითარებული ქვეყნებისაკენ მიემართებიან საკუთარი თავის და ოჯახების გადარჩენის მიზნით, რასაც კიდევ ამძაფრებს მთლიანი საგარეო ვალის მოცულობის ზრდა. ამ უამრავი პრობლემური საკითხის გამო ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური გამოწვევებიდან უმნიშვნელოვანესია სიღარიბე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება უმუშევრობას. ეკონომიკის არასათანადო განვითარება ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას და ადამიანები იძულებულნი ხდებიან სამუშაო ქვეყნის გარეთ ეძებონ.

დღეისათვის ვირუსისგან თავდასაცავად მკაცრი იზოლაცია (ე.წ. ლოკდაუნი) და სოციალური დისტანცირება გამოიყენება. რაც ასევე მკაცრად აისახა ჩვენს ეკონომიკაზე. გვიწევს ბრძოლა ერთის მხრივ სიცოცხლის გადასარჩენად და მეორე მხრივ ვაჩერებთ ეკონომიკურ

აქტივობას, რაც რეცესიის პროცესს აჩქარებს. გაჩერდა წარმოების და მომსახურების სფეროს გარკვეული ნაწილი, რამაც დასაქმება და უმუშევრობა კიდევ უფრო გაამწვავა.

დღეისათვის ვირუსის ორი ტალღა გადავლილია და მიმდინარეობს მესამე. ცხოვრების ჩვეულ რიტმზე დაბრუნებისათვის არსებობს მონახაზები თუმცა, როგორ და რა პირობებში გავაგრძელებთ ეკონომიკურ აქტივობას ეს ბუნდოვანია. პანდემიას თან ერთვის პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან სწრაფ განვითარებას.

ცხოვრების დონის რეგულირება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ კარგად შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით (შრომის ანაზღაურების სისტემით, სოციალური განვითარების პროცესების მართვა კარგად შემუშავებული სოციალური სტანდარტებით). სტიმულირება გულისხმობს საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ხელფასის დონის შემცირებას, დასაქმების ხელშეწყობას და სამუშაო ადგილების შექმნას.

ცხოვრების დონის რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტებია: საგადასახადო სისტემა, ინფლაციური ღონისძიებები, ანტიმონოპოლისტური პოლიტიკა და ა.შ. საარსებო მინიმუმი სიღარიბის აბსოლუტური ზღვარია და საჭიროებს მკაცრ კონტროლს. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ფეთქებადი ხასიათი მოითხოვს სწორად დაისვას ამოცანა და რეალურად განხორციელდეს სიღარიბის დაძლევის კომპლექსური გეგმის შემუშავება-განხორციელება.

იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა საქართველოს მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა-განვითარებას და ეს საკითხი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა გახდეს. ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლების მიდგომები გადმოცემულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში, რომლის მთავარი მიზანი არის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში.

აღნიშნული სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისათვის საფუძვლის შექმნა. სწორედ ინკლუზიური განვითარების მოდელი წარმოადგენს საშუალებას ეკონომიკის ზრდის პროცესში ყველა ფენის ჩართულობისა და წარმოების შედეგების ყველასათვის განაწილებისა.

იმისათვის, რომ განვითარდეს მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა შეიცვალოს სამეწარმეო, სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო. რეფორმები, რომლებმაც გაამარტივეს ბიზნესის დაწყება და წარმოება შემდეგია: საგადასახადო პოლიტიკა, საბაჟო პოლიტიკა, ლიცენზიები და ნებართვები, სახელმწიფო მმართველობა. დასახული მიზნის მიღწევა რომ მოხდეს, საჭიროა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების კოორდინირებული განხორციელება და შესრულების მონიტორინგი, აუცილებელია ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა. მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, როგორც რესურსების მობილიზების, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიზნესი-საქართველოში ეკონომიკური ზრდის ძირითადი დეტერმინანტი, უშანგი სამადაშვილი, 2017. გვ. 421-426.
2. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.
3. Geostat.ge
4. [https://eprc.ge/uploads/brosh/COVID\\_\\_fin-geo.p](https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.p)



## **DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS AS A NECESSARY CONDITION FOR A DIGNIFIED LIFE**

### **Summary**

Business generates additional material wealth through economic activities. Developed world statistics show that the driving force of the economy is small and medium-sized businesses. In order to overcome economic backwardness, poverty and unemployment in our country, the government of our country must create all the conditions for the development of small and medium-sized businesses, cooperation with international donor organizations and financial institutions and public involvement are very important.

*Salome Bestaeva*

## **THE IMPACT OF DOMESTIC TOURISM ON THE ECONOMY IN THE PANDEMIC REALITY**

***Annotation.** In 2020, the world faced a new challenge. The coronavirus, which in a few days turned into a pandemic, completely changed human consciousness and lifestyle. The pandemic also affected the tourism sector, which led to some changes. In the conditions of the pandemic, the borders in Georgia were closed, as a result of which Georgian citizens were restricted from traveling abroad. The closure of the borders prompted the development of domestic tourism in Georgia. Most popular became Ecotourism trips to the mountainous regions. The article examines the features of the growth of tourist flows on the example of Tusheti as a result of restrictions during a pandemic. After the spread of the Covid-19, domestic tourism has become the most interesting and developing direction of tourism. Almost all the states tried to solve the economic and social problems caused by the closed borders at the expense of domestic tourism. The role of domestic tourism in the economy is great. It is especially important to develop domestic tourism and establish a culture of traveling within the country, because as the Corona virus has shown us, the modern world is full of surprises, so to maintain the sustainability of tourism. I would like to point out that the development of domestic ecotourism is especially important for the development of peripheral regions, where lower-income people live compared to other large regions, whose living conditions are quite harsh, they have to solve quite severe problems at the beginning of each tourist season. This article clearly discusses the problem of low education, which hinders the development of domestic tourism in Georgia and the growth of economic income of the population living in tourist areas. To investigate this problem, we selected the method of quantitative research and qualitative analysis. A group of people who traveled to Tusheti in the summer of 2020 were selected for the study.*

***Key Words:** Ecotourism, Development of domestic tourism, Domestic tourism education COVID 19*

### **Introduction**

The impact of the coronavirus on tourism and related sectors has been hard. The pandemic had a negative impact on all sectors of the economy, especially in tourism, epidemiological fears and closed borders have paralyzed this economy field. According to the information provided by the Georgian National Tourism Administration, tourist flows have decreased by 0.7% only in February, The damage caused by the pandemic has not been determined yet, as we still have to fight with the virus and live with the restrictions. Due to the current situation, many countries retain hope for the development of domestic tourism. The National Statistics office of Georgia has not yet published the statistics of the second quarter of 2020 local tourism, although compared to the first quarter, the number of tourist arrivals will certainly be reduced.

The aim of our study was to determine the impact of the pandemic on the development of domestic tourism, as it is not yet possible to calculate the damage caused by the pandemic to the tourism industry in Georgia. In our opinion, it is quite relevant and interesting to understand the opinion of domestic tourists towards the ecotourism routes in Georgia. Our main goal was to find out if local tourists would travel to Tusheti if was not pandemic. According to the World Tourism Organization (UNWTO), international tourist traffic is reduced by up to 3%, which indicates that revenues from international travel will be reduced by 30-50 billion dollars. According to the same organization, the countries of the Asia-Pacific region suffered the most, where the number of international tourist trips fell by 9-12%.

## Main Text

In September 2020, the UNWTO published a BRIEFING NOTE – TOURISM AND COVID-19 outlining the domestic tourism development methodology and its importance for maintaining economic sustainability in a pandemic. Pandemics, border closures, and routine changes have caused many psychological and social problems in humans. At the initial stage of the pandemic, people were locked up, but after a while, people woke up to the desire to travel, so they started looking for safe tourist places inside the country, which led to the movement of domestic tourists. Burton Katie's article „When the borders shut” discusses the psychological changes that have led to the closure of borders and the interest in tourist destinations within the country. Many researchers consider domestic tourism as one of the most important tools for the development of the country. In many European countries, domestic tourism is a major source of income for the country as more and more people try to get to know their country better. The educational institution teaches young people the culture of getting to know and traveling their own country. For a developing country like Georgia, the development of domestic tourism is vital. The development of domestic tourism leads to the improvement of the social and economic situation of the country's population, it contributes to the development of roads and infrastructure in places of interest and inaccessibility.

When talking about the importance of ecotourism development, the most important issue is to raise the awareness and education of the local population in this area. Both formal and non-formal education are essential to increase the population's awareness and education, leading to a love of traveling within the country and protecting the nature. „Ecotourism as a learning tool for sustainable development. The case of Monviso Transboundary Biosphere Reserve, Italy“ It is an interesting research and article in this direction. (Mondino E. Beery T. 2018)

Ecotourism guarantees the sustainable use of environmental resources, while generating economic opportunities for the local people (Farrell & Runyan 2001; Bhattacharya, Chowdhury and Sarkar, 2011).

Rob Gilbert interestingly discusses ecotourism and education in his article. The first issue he discusses in this article is the environment as a subject to be studied and explored as an independent subject. The second issue that the author discusses is education which includes knowledge about the environment around us. The third issue that the author addresses is nature as a wealth in our environment. All three types of education are essential in ecotourism in order to preserve and protect the environment around us. The author also attaches great importance to the importance of informal education in ecotourism, which in itself is an important issue for our article. (Gilbert R. 2003)

The article of Sander B. “The Importance of Education in Ecotourism Ventures: lessons from Rara Avis ecolodge, Costa Rica” - is an interesting study in the field of ecotourism education. Where the importance of formal and non-formal education is studied in detail. The article discusses the methods and practical examples of ecotourism education, which in itself has helped us a lot in understanding the problems in the reality of Georgia.

We have reviewed all the important articles in the field of ecotourism education, we have analyzed the importance of education in the development of ecotourism, which is a prerequisite for the development of mountainous regions.

The development of domestic tourism contributes to the development of rural and agro-tourism, thanks to which people living in the highland region are given the opportunity to receive additional income in their places of residence. The importance of domestic tourism in the conditions of the pandemic was especially important. The borders were closed in Georgia, which forced people to travel inside the country.

One of the aims of our research was to show the impact of closed borders on the development of domestic tourism. In the conditions of the closed borders during the summer season, many resorts and tourist destinations were given the opportunity to continue their business activities at the expense of receiving domestic tourists. For the development of domestic tourism and the formation of a domestic tourism culture among the population, it is necessary for the state to develop appropriate educational programs that will shape the culture and awareness of traveling within the country for the next generation.

Although many scientific articles have been devoted to the impact of the pandemic on tourism, no article or study has yet been found that directly examines the impact of the pandemic on domestic tourism, which in turn underscores the importance of our research.





In our research, the target group was people who visited Tusheti in the summer of 2020, 32 people were interviewed by a snow ball principle, they were sent a pre-designed questionnaire that included a questionnaire. Each module of the questionnaire consistently allowed us to identify the main provocative factors that contributed to the travel of tourists to Tusheti. According to the survey, 40% of people traveling to Tusheti believe that the pandemic facilitated their arrival in the region and that if not the closed borders

they would not have traveled to Tusheti, which was unexpected news for us. People living in Tusheti who are in the tourism business said in an individual survey that they predicted a fall of the tourist season, This is evidenced by the fact that the tourist season started later, because they did not expect high interest of the local population in the tourist routes of Tusheti.

The seventh module of the questionnaire included a question – *"In your opinion, does Tusheti need to provide more information to domestic tourists in the development of ecotourism?"*- 100% of respondents believe that the popularity of Tusheti ecotourism routes will increase among domestic tourists if they are provided with more information about ecotourism routes in the region. The research showed that it is possible to increase tourist flows in Tusheti with more interest from the local population, however, it should be noted that tourists named difficult roads as one of the most challenging factor to travel to Tusheti, the rehabilitation of roads will also contribute to the growth of tourist flows in Tusheti.

Our research shows that the pandemic contributed to the development of domestic tourism in Georgia,. Module 5 which included question *-If the borders were not closed in the country, would you spend summer vacations in Tusheti?* 56.3% of the respondents indicated that they would not travel in Tusheti, if borders were not closed.

One of the goals of the research was to determine the interest of tourists visiting Tusheti to travel again in the future. To the question *- will you travel to Tusheti again in the future?* 62.5% of the respondents indicated that they will travel to Tusheti again, which indicates the uniqueness of the region. Based on the results of this module, the problem of informatics in the population of Georgia was once again identified.



Our small research has revealed new opportunities for the development of domestic tourism in conditions of pandemics. The research also revealed the problems that exist in the development of ecotourism routes in Tusheti. The study revealed that the main obstacles to the formation of ecotourism routes in Tusheti are lack of information, low level of education in the field of domestic ecotourism and faulty roads.

## Conclusion

The pandemic has affected all sectors of the economy. Its consequences for the tourism industry are especially dangerous. Coronavirus put in front of the World a lot of new challenges, Georgia is still struggling to maintain economic stability, which in turn involves investing more resources in the development of domestic tourism. Our research has shown that there is a tourism resource in the country that can provide relief from the critical situation and have a positive impact on the incomes of the local population. It should be noted that despite the pandemic, the tourist season in Tusheti took place and the population was able to earn some income. Of course, open borders would be an opportunity for them to earn more income, but the development of domestic tourism in the face of pandemics has made a major contribution to maintaining economic stability. In our opinion, after the epidemic, the necessary tourist information should be provided to the local population, as well as tourist routes should be created based on the opportunities of the local population.

The Involvement of state services and the effectiveness of the measures taken by them for the education of the population and the formation of a culture and awareness of traveling within the country are very important for the development of domestic ecotourism. As discussed in Sheyvens R. 1999. „Ecotourism and the empowerment of Local communities” – A local community which is optimistic about the future, has faith in the abilities of its residents, is relatively self-reliant and demonstrates pride in traditions and culture can be said to be psychologically powerful. In many small-scale, unindustrialised societies, preservation of tradition is extremely important in terms of maintaining a group sense of self-esteem and well being. (Mansperger, 1995).

“Putting tourism on a sustainable path is major challenge, one that also presents a significant opportunity.”

Klaus Töpfer, UNEP Executive Director

## References

1. Bochorishvili E. Kavtaradze L.2020. “Georgian Economy Ongoing Recovery Despite Labor Market Weakness and Tough Times for Tourism” 1-9
2. <https://www.unwto.org/> (Statistical analysis of coronavirus damage) UNWTO BRIEFING NOTE – TOURISM AND COVID-19, ISSUE 3
3. Burton Katie. „When the borders shut” 2020.*Geographical (Geographical Magazine Ltd.)*.Vol. 92 Issue 9, 36-41
4. Kelly Dr. Bricker S. 2011. „ Trends and Issues for Ecotourism and Sustainable tourism” 9-10
5. Wood M.E.2002,„ECOTOURISM: principles,practices and policies for sustainability”17-19
6. Sheyvens R. 1999. „Ecotourism and the empowerment of Local communities” 240-250
7. Brian Archer .1973. The Impact of Domestic Tourism2-5
8. Urias D. Russo A. 2009. „Ecotourism as an Educational Experience“ 1-8
9. Mondino E. Beery T. 2018 „Ecotourism as a learning tool for sustainable development.The case of Monviso Transboundary Biosphere Reserve, Italy“ 107-121
- 10.Sander B. 2012. The Importance of Education in Ecotourism Ventures: lessons from Rara Avis ecolodge, Costa Rica. 22-34
- 11.Gilbert R.2003. Ecotourism and Education for Sustainability: A Critical Approach 10-15

ნინო გორგაძე

## COVID 19 პანდემიის გავლენა პროექტების მართვაზე - გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

**ანოტაცია:** სტატიაში განხილულია პანდემიის დაწყების პერიოდიდან პროექტების მენეჯერების და პროექტული ორგანიზაციების მიერ განვლილი ეტაპები პროექტების მიწოდების კუთხით, პრობლემები, გამოწვევები და მათი ეფექტური გადაჭრის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, პროექტების მართვა, მოქნილი ორგანიზაციები.

## შესავალი

2020 წლის დასაწყისში, კორონავირუსის პანდემიამ მოულოდნელად და ძალიან სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, შეეხო საქმიანობის ყველა სფეროს და შეეხო ყველა ინდივიდს; შეცვალა თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებისა და მუშაობის სტილი. არაა გასაკვირი, რომ პანდემიამ დიდი გავლენა იქონია პროექტების მენეჯერებზე, პროექტების შესრულებასა და მართვის სტილზე.

პანდემია უკვე ერთ წელზე მეტია მძვინვარებს და პროექტების სფეროში რიგი კომპანიები და პროექტები გაჩერდა, რიგმა კი პირიქით შეძლო გადარჩენა და განვითარება.

### პროექტების მართვის თანამედროვე მიდგომები

პროექტების მართვის ინსტიტუტი (Project Management Institute, PMI) განმარტავს პროექტს, როგორც დროებით ძალისხმევას, უნიკალური პროდუქტის, მომსახურების ან შედეგის მისაღებად. ხოლო, პროექტების მართვას როგორც ცოდნის, უნარების, ინსტრუმენტებისა და ტექნიკის გამოყენებას პროექტის საქმიანობისთვის, პროექტის მიზნების მისაღწევად [5].

პროექტების მართვის ძირითადად ორ მიდგომას გამოყოფენ. პირველია ტრადიციული ანუ კასკადური (waterfall) მიდგომა ხოლო მეორე მოქნილი ანუ ეჯაილ (Agile) მიდგომა. თითოეული მიდგომის ფარგლები არის რამდენიმე მეთოდი.

ტრადიციული ანუ კასკადური მეთოდი გულისხმობს პროექტის დაყოფას მკაფიო, თანმიმდევრულ ფაზებად, თითოეული ახალი ფაზა იწყება მხოლოდ წინა ფაზის დასრულების შემდეგ, ხოლო გუნდის წევრები ხაზოვნად მუშაობენ დასახული საბოლოო მიზნის მისაღწევად [1].

2001 წელს გამოქვეყნდა „ეჯაილ მანიფესტო“ (Agile Manifesto for Software Development), რომელშიც ეჯაილ მიდგომის 12 პრინციპია გაწერილი და საფუძველიც ჩაეყარა ამ მიდგომის გავრცელებას უპირატესად ციფრული ტექნოლოგიების სფეროში.

სიტყვა ეჯაილი (Agile, მოქნილი, სწრაფი) ლათინურიდან გამომდინარეობს - agere - ნიშნავს "ქმედებას, მოქმედებას", გულისხმობს საკუთრების შეგრძნებას და რაიმეს წინწაწევის უნარს.

თანამედროვე ბიზნეს სამყაროში ეჯაილს გააჩნია სამი მახასიათებელი, რაც მნიშვნელოვანია პროექტების მართვისთვის:

- საკუთრების შეგრძნება და უფლებამოსილება;
- მიმართულების სწრაფი და მარტივი ცვლილება და
- მოხერხებულობა და ადაპტირებადობა [2].

პროექტების ეჯაილ მართვა არის განმეორებითი (იტერაციული) მიდგომა პროექტის განხორციელების მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. განმეორებითი ან ეჯაილ სასიცოცხლო ციკლი შედგება რამდენიმე იტერაციისგან ან ინკრემენტული ნაბიჯისგან პროექტის დასრულებამდე [1] [2].

ბოლო წლებია ეს ორივე მეთოდი ხშირად ჰიბრიდულად გამოიყენება, ხოლო ეჯაილ მართვის პრინციპები სულ უფრო პოპულარული ხდება სხვა სფეროებშიც გარდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა.

პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა პროექტების მართვის მიდგომებზე, მეთოდებზე, არტეფაქტებზე, გუნდის წევრებზე, მათი მუშაობის სტილზე და ზოგადად ბიზნეს პროცესებზე.

### პანდემიის გავლენა პროექტების მართვაზე

2020 წლის დასაწყისში, COVID-19 პანდემიამ მოულოდნელად და ძალიან სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, შეეხო საქმიანობის ყველა სფეროს, შეეხო ადამიანებს და მათი ცხოვრების და ქცევის სტილს. არაა გასაკვირი, რომ პანდემიამ დიდი გავლენა იქონია პროექტებზე, პროექტების მართვის სტილზე, პროექტის მენეჯერებზე, პროექტების ბიზნესზე და პროექტების

მართვის ოფისებზე. გლობალურად ითვლება, რომ პროექტიფიკაციის ინდექსი (პროექტების წილი მთლიან შიდა პროდუქტში) 33%-ს შეადგენს და შესაბამისად, გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია ბიზნეს საქმიანობის კუთხიდან [8].

უკვე ერთ წელზე მეტია რაც პანდემია ციკლური ხასიათით მძვინვარებს, სფეროს მკვლევარები და პრაქტიკოსები საუბრობენ ახალ რეალობაზე (New Normal) პროექტების მართვაში და ცხადი გახდა, რომ პანდემიის შედეგად შეცვლილი მსოფლიო (მათ შორის პროექტების მართვის პრაქტიკა) აღარასოდეს დაუბრუნდება პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას [3].

## ზოგადი გავლენა

მიმდინარე კრიზისის დროს, პროექტების მართვაში სამი რამ შეიძლება ვთქვათ დარწმუნებით:

1. პროექტები იქნება ყოველთვის. დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში კი პროექტის მენეჯმენტის უნარების საჭიროება სულ უფრო იზრდება.

2. პროექტის მენეჯმენტი ცნობილია იმით, რომ ის არის ერთ – ერთი ყველაზე გადაცემადი უნარი.

3. პროექტის მენეჯერები და პროექტის მენეჯმენტი შეუცვლელ როლს შეასრულებენ პანდემიის და განსაკუთრების შემდგომი აღდგენის პერიოდში [6]. მეთოდები და პრაქტიკა გამოყენებულ იქნება რესურსების დაგეგმვისა და მართვის, რისკების მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის, შეზღუდვებში მუშაობის და ბევრი ჩართული მხარის კოორდინაციაში სასურველი მიზნის (მიზნების) მისაღწევად [3].

COVID-19 პანდემიამ კიდევ უფრო დაგვანახა, რომ ჩვენი სამუშაო გარემო ხასიათდება ძლიერი არასტაბილურობით, გაურკვეველობით, კომპლექსურობითა და ბუნდოვანებით, რასაც VUCA სამყაროს უწოდებენ ხოლმე. პანდემიის პერიოდში სხვადასხვა ორგანიზაცია, სხვადასხვა ქვეყანასა და სფეროში, თავისებურად რეაგირებდა და უმკლავდებოდა პანდემიის გავლენას. კორონავირუსის (COVID-19) ზემოქმედებამ შეამოწმა ორგანიზაციების უნარი და შესაძლებლობა ეფექტურად მართონ პროექტები და პროგრამები.

კვლევების შედეგად გამოიყო რეაგირების 4 ეტაპი, ესენია:

**ეტაპი 0 – რეაქცია.** უშუალო გამოწვევების მოგვარება და პროექტის გუნდისა და დაინტერესებული მხარეების როლის სიციხადის უზრუნველყოფა.

დისტანციურად მუშაობაზე სწრაფმა და მასშტაბურმა გადასვლამ მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებში, რამაც მოითხოვა პროექტების მართვის მეთოდების მოულოდნელი შეცვლა, პროცესების გსნახლება, ზოგიერთ პროექტში საჭირო გახდა მუშაობის მეთოდებში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება.

**ეტაპი 1 - მდგრადობა.** დარღვეული საქმიანობის აღდგენა და პროექტის მდგრადი განხორციელების მოდელის დანერგვა.

მუშაობის დისტანციურად ან შერეულად მიმდინარე რეჟიმზე ადაპტაციისათვის, პროექტების მართვისას მოხდა პროექტის შინაარსის და გარე გარემოს ცვლილებაზე რეაგირების გზების გადაფასება.

**ეტაპი 2 – აღდგენა.** პროექტების ადაპტირება განახლებულ ბიზნეს მოდელებთან.

ახალი მიმართულებების დასახვის და მოდელების დანერგვის შემდეგ, პროექტის მენეჯერებმა შექმნეს გზები და საშუალებები, რათა შესაძლებელი გახდეს პროექტების მდგრადი და დროული მიწოდება, პანდემიის პერიოდის აშკარა ნაკლოვანებებისა და უპირატესობების გამოყენებით.

**ეტაპი 3 – ახალი რეალობა.** შექმნან სტრატეგიული ვარიანტები და სცენარების კომპასი გრძელვადიან ზრდის უზრუნველყოფისათვის.


როდესაც დაუბრუნდებით ახალ რეალობას, სავარაუდოდ, მუშაობის ბევრი გზა სამუდამოდ შეიცვლება, შეიცვლება მიდგომა ორგანიზაციებში პროექტების შერჩევისა და მართვის შესახებ და პროექტის ლიდერებზე უნდა მოერგონ მუშაობის ამ ახალ წესებს [4].

პრაქტიკოსები ამჟამად მოძრაობენ მეორე და მესამე ეტაპებს შორის, ხოლო პანდემიის დასრულების შემდეგ გადავინაცვლებთ მეოთხე ეტაპზე, რომელიც ტავისთავად საკმაოდ ბუნდოვანია როგორც შინაარსის ასევე დროის ჭრილობი, და თავად გადასვლაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებო იქნება [4].

### კორონავირუსის ნეგატიური გავლენა

2020 წლის მაისში პროექტების მართვის ინსტიტუტის (Project Management Institute, PMI) და ბიზნეს პროექტების ფონდის (Project Business Foundation, PBF) მიერ ჩატარდა კვლევა, რომელშიც ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე მოქმედმა 254-მა პროექტის მენეჯერმა მიიღო მონაწილეობა. მათ შეაფასეს პანდემიის ნეგატიური გავლენა პროექტების მართვის სფეროზე [6] (იხ. სურათი 1).

სურათი 1



წყარო: Project Management Institute & Project Business Foundation (2020). *The Impact of the COVID-19 Crisis on Project Business: Cooperative Survey of Project Management Institute (PMI®) and the Project Business Foundation*. PMI White Papers.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ნეგატიური იყო გავლენა ბიზნეს სფეროზე, პროექტების შესრულებაზე, პროექტების შესრულების სისწრაფეზე.

ამ კვლევის შემდეგ, თითქმის ერთი წელი გავიდა, პანდემია კვლავ მძვინვარებს, მაგრამ პროექტების მართვის სფეროში რიგმა კომპანიებმა არათუ გადარჩენა, არამედ განვითარებაც კი შეძლეს.

### პროექტების მართვის სფეროს ახალი მომავალი და გამოწვევებთან გამკლავების გზები

ამ უპრეცედენტო ეპოქაში ორგანიზაციები მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენენ. გლობალური პანდემიისა და ღრმა ეკონომიკური პრობლემების ფონზე ორგანიზაციებმა შექმნეს მუშაობის ახალი გზები და გააუმჯობესეს პროექტის შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დაგეგმილი პროექტი შეჩერდა, გაგრძელებული პროექტების მეტმა წილმა მიაღწია


მიზნებს და ბიზნეს ჩანაფიქრს, და უფრო მეტიც დასრულდა ბიუჯეტის ფარგლებში და დროულად, ვიდრე 2019-2020 წლების მონაცემებით ჩანდა Project Management Institute's Pulse of the Profession® გლობალური პროფესიული კვლევის მიხედვით [7].

პანდემიის შედეგად სრულიად შეცვლილ სამუშაო გარემოში, ახალი სამუშაო ეკოსისტემები გაჩნდა. მან დააჩქარა მუშაობისა და ღირებულების მიწოდების ახალი გზები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ნელი ტემპებით ვითარდებოდა და გამოიყენებოდა (იხ. სურათი 2). პანდემიამ გეომეტრიული პროგრესით დააჩქარა ციფრული განვითარების ტემპი და მასშტაბი, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ტალანტებზე და საჭირო გახდა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება. ყოველივე ამან აიძულა ორგანიზაციები სწრაფად „გადახედონ“ მომავალს [7].

ბოლო ერთი წლის (იგულისხმება დაახლოებით 2020 წლის ანვრიდან - 2021 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდი) განმავლობაში, წინა ერთ წელთან შედარებით, პროექტების მენეჯერების შეფასებით ბიზნესში ყველაზე დიდი ცვლილებები განხორციელდა ციფრული ტრანსფორმაციის, სტრატეგიის ცვლილებისა და ორგანიზაციის ადაპტაციის უნარის ზრდის მიმართულებით (შესაბამისად 68%, 64% და 61%) [7], (იხ. სურათი 2).

**სურათი 2**

პანდემიის გავლენით მომხდარი ყველაზე დიდი ცვლილებები ორგანიზაციებში




წყარო: www.pmi.org (2021)

ცხადია ყველა სექტორი ერთნაირად არ ვითარდებოდა, მაგალითად საჯარო სექტორი ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს (ნორმას), ხოლო ციფრული ტექნოლოგიების და ფინანსური სექტორი ლიდერია ამ მიმართულებით. ასევე განსხვავებაა რეგიონალურ ჭრილშიც, სამხრეთ აზია და სამხრეთ აფრიკა ლიდერობენ ამ მიმართულებით და ნორმაზე მაღალი მაჩვენებლები გააჩნიათ, ხოლო ევროპას საშუალო მაჩვენებელზე (ნორმაზე) ქვემოთ არსებული ზრდის მაჩვენებლები [7].

საინტერესოა სურათია პროექტების შესრულების კუთხითაც, კვლევის თანახმად, ბოლო ერთი წლის (იგულისხმება დაახლოებით 2020 წლის ანვრიდან - 2021 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდი) განმავლობაში, წინა ერთ წელთან შედარებით, რიგმა ორგანიზაციებმა უკეთესი შედეგებით დაასრულეს პროექტები, რამაც უკეთესი შესრულებსი მაჩვენებლები გვაჩვენა ბევრი მიმართულებით [7] (იხ. სურათი 3).



## პროექტების შესრულება/მიწოდება



წყარო: [www.pmi.org](http://www.pmi.org) (2021)

როგორც ჩანს, რიგი ორგანიზაციები არათუ სტაბილურად უმკლავდებიან პანდემიის შედეგად გამოწვეულ გლობალურ კრიზისს, არამედ კიდევ ახერხებენ მაჩვენებლების და პროექტების შედეგების მიწოდების გაუმჯობესებას, ხოლო რიგი ორგანიზაციები კი ამას ვერ ახერხებენ. საინტერესოა რამ გამოიწვია ეს და რა არის წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზი.

PMI 2021 Pulse of the Profession®- ის კვლევის შედეგად პირველად დაინდეფიცირდა ეგრეთ წოდებული მოქნილი ორგანიზაციები (Gymnastic Enterprises), ეს ორგანიზაციები და მათი საპროექტო გუნდები ხასიათდებიან მოქნილობისა და ლავირების შესაძლებლობის მაღალი დონით. ძველი სტილით მომუშავე ორგანიზაციებს კი ტრადიციული ტიპის ორგანიზაციები ეწოდათ, მიუხედავად იმისა რომელი მეთოდით მუშაობენ ისინი - კასკადურით თუ ეჯაილით. მოქნილი ორგანიზაციების ყველაზე მნიშვნელოვანი გასხვავება ტრადიციულისგან არის ის, რომ იქ გამოიყენება ყველა მეთოდი და მათი კომბინაცია, საჭიროებისა და გამოწვევების შესაბამისად და არ ხდება რომელიმე ერთი დადგენილი მეთოდის ხისტად გამოყენება [7].

მოქნილი ორგანიზაციები უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ შედეგის მიღწევაზე, ვიდრე პროცესზე ანუ ამ შედეგის მიღწევის გზებზე მაგრამ ამასთან არსებული გზებიდან ყველაზე ოპტიმალურს ირჩევენ. ანალოგიური მიდგომა აქვთ პრობლემების გადაწყვეტის მიმართაც - იყენებენ ყველა შესაძლო მეთოდს და საშუალებას. ტრადიციული ორგანიზაციები კი შებოჭილები არიან ძველი და დადგენილი, ხშირად რომელიმე ერთი ხისტი მეთოდით.

მოქნილი ორგანიზაციები სწრაფად ახორციელებენ საჭირო ცვლილებებს და განსაკუთრებულ ყურადღებას თანამშრომლებს აქცევენ, ვინაიდან ორგანიზაციული საქმიანობა ესაა ინდივიდების კარგად ორკესტრირებული და ქორეოგრაფირებული ცეკვა.

კვლევის თანახმად, მოქნილი ორგანიზაციები ჯამში უფრო მეტ წარმატებას აღწევენ ვინაიდან შედეგების მისაღწევად სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს იყენებენ სიტუაციის შესაბამისად. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ პროფესინალებმა 30% ტრადიციულ ორგანიზაციაში მუშაობდა, ხოლო 32% ახალი მოქნილ ორგანიზაციაში. დანარჩენებს ამ ორი მეთოდის შერეული სქემა ახასიათებდა.

მოქნილი ორგანიზაციები, ტრადიციულთან შედარებით განსაკუთრებით ბევრ ცვლილებებს ახორციელებენ ციფრული ტრანსფორმაციის (მოქნილი 73%, ტრადიციული 62%), ბიზნეს სტრატეგიისა (მოქნილი 70%, ტრადიციული 57%) და ორგანიზაციის ადაპტაციის უნარის ამაღლების (მოქნილი 70%, ტრადიციული 53%), ოპერაციული ეფექტურობის (მოქნილი

65%, ტრადიციული 52%), ინოვაციების (მოქნილი 65%, ტრადიციული 46%) და სხვა კომპონენტების თვალსაზრისით. მოქნილი ორგანიზაციები ასევე გაცილებით უკეთეს შედეგებს დებენ პროექტის მიწოდების თვალსაზრისით [7].

შეგვიძლია ვთვათ, რომ მოქნილი ორგანიზაციები არიან ლიდერები პროექტულ ეკონომიკაში (The Project Economy), მაგრამ როგორ აღწევენ ამ წარმატებას?

პირველ რიგში **თანამშრომლების გაძლიერებით** და გადაწყვეტილებების მიმღებებად მათი ტრანსფორმაციით - განურჩევლად როლისა გააჩნიათ შესაძლებლობა ახალი იდეებისა და ცვლილებების განხორციელებისა.

მოქნილი ორგანიზაციები საშუალებას აძლევენ თავის თანამშრომლებს უფრო ჭკვიანურად იმუშაონ სამი საკვანძო მიმართულებით:

- მუშაობის განსხვავებული გზები - ექაილი, ტრადიციული, ჰიბრიდული; ტექნოლოგიების გამოყენება;
- ადამიური უნარების განვითარება ეფექტური ლიდერობისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფისათვის;
- თანამშრომლების მრავალმხრივი განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შექმნა.

ორგანიზაციულ ჭრილში წარმატებისა მისაღწევად აღსანიშნავია მეორე ფაქტორი - **მაღალი დონის მოქნილობა**, რაც მუშაობის და შედეგის მიღწევის მეთოდების არჩევის თავისუფლებას და სისწრაფეს უკავშირდება. მესამე მნიშვნელოვანი წარმატების ფაქტორია **ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება**. მოქნილი ორგანიზაციები ტრადიციულთან შედარებით უფრო იყენებენ ქლაუდ გადაწყვეტილებებს (cloud solutions), ინტერნეტის შესაძლებლობებს (the Internet of Things), ხელოვნურ ინტელექტს (artificial intelligence (AI), და 5G მობილურ ინტერნეტს. ისინი უფრო იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს მუშაობის პროცესში, კერძოდ პრობლემების გადაჭრის კომპლექსურ ტექნიკას (complex problem-solving techniques), ხელოვნური ინტელექტის საშუალებებს (AI-driven tools), მიკროსწავლის აპლიკაციებს (microlearning apps) და კარიერის შეფასების ინსტრუმენტებს (career assessment tools) [7].

## დასკვნა

მიუხედავ არსებული კვლევებისა და ბევრი წარმატებისა, მომავალი და სამომავლო პექსპექტივები მთლიანობაში მაინც გაურკვეველია, ვინაიდან კრიზისის ხანგრძლივობა და მისი საბოლოო გავლენა გაურკვეველია და ხალხმა არ იცის როგორი იქნება გარემო და ბიზნესი კრიზისის შემდეგ.

მიმდინარე პანდემიის დასაძლევისათვის, განვითარებისათვის, ახალ გარემოსთან ეფერქტურად შესახვედრისა და მასთან ადაპტაციისთვის ორგანიზაციებსა და ინდივიდებს ესაჭიროებათ მოქნილობა, ციფრული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, ახალი უნარების განვითარება და გამძლეობა.

კვლევებმა ცხადჰყო, რომ მოქნილი ორგანიზაციები გაცილებით წარმატებულია ვიდრე ტრადიციული და მათი წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები არის ის რაც პანდემიის და პოსტ-პანდემიურ ეპოქაში შედეგიანად მუშაობს. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის და განსაკუთრებით საქართველოსთვის, ვინაიდან სწრაფი ზრდა და განვითარება უფრო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და დანერგვადია, ვინაიდან აქ ნაკლებად გვხვდება მაღალი სიმწიფის მქონე ხისტი მართვის სტრუქტურები და ტექნოლოგიების მიმართ განსაკუთრებით მაღალი რეზისტენტულობა.

პანდემიის შედეგად გამოწვეული გამოწვევების და პრობლემების გადაჭრის გზები პროექტების მართვის სფეროში შეგვიძლია რამდენიმე პუნქტად მოკლედ შევაჯამოთ:

1. გამძლეობა: პანდემიით გამოწვეული ცვლილებების დასაწყებად, გასატარებლად და შესანარჩუნებლად.
2. გუნდის წევრების გაძლიერება: მიეცეთ შესაბამისი ცოდნა და საშუალება გამოიყენონ საჭირო მეთოდი საჭირო ადგილას რათა მიღებულ იქნას სასურველი შედეგი, იქნება ექაილი, კასკადური თუ ჰიბრიდული მიდგომა და მათი მეთოდები.

3. თანამედროვე ტექნოლოგიების მაქსიმალური გამოყენება: ტექნოლოგიები ეხმარება ადამიანებს უკეთ გააკეთონ საქმე, მეტი დრო დაუთმონ სიახლეებს, გადწყვეტილებებს და განვითარებას, ვინაიდან ნაკლები დრო იხარჯება რუტინული საქმის კეთებაზე და ზოგადად საქმის კეთება ხდება უფრო ეფექტური და მარტივი.

4. გუნდური მუშაობის ელემენტის გაძლიერება: პროექტული საქმე გუნდურია და შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ კომპონენტის გაძლიერება და ხელშეწყობა ორგანიზაციის ლიდერების მხრიდან. განსაკუთრებით როდესაც გუნდი არაა კოლოკაციაში და დისტანციურ ანდა შერეულ სისტემით მუშაობს. გარდა ტექნოლოგიური კომპონენტისა აქ ადამიანური ფაქტორებიც იკვეთება და მნიშვნელოვანია გუნდის ყველა წევრი ხედავდეს ინდივიდუალ კონცრიბუციის როლსა და საერთო მიზნის მიღწევის მნიშვნელობას. ასევე შესაძლებელია ერთგვარი ცვლილებების ინიციატორების გუნდების ფორმირება.

5. ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობის გაზრდა: ყველა ზემოთჩამოთვლილი კარგად მუშაობს თუ ორგანიზაციაში ჩამოყალიბებულია შესაბამისი ორგანიზაციული კულტურა, განსაკუთრებით ისეთ არელებში როგორებიცაა მომხმარებლის ღირებულება, ორგანიზაციული ღირებულებები და ციფრული გადაწყვეტილებები. მნიშვნელოვანია განსხვავებულობის, შესაძლებლობების თანასწორობისა და ჩართულობის განვითარება და რაც ახალისებს კოლაბორაციას და ანგარიშვალდებულებას გუნდში.

საბოლოო ჯამში ყველაფერი დამოკიდებულია ინდივიდებზე და ინდივიდების მიერვე იქმნება, ამიტომ პასუხისმგებლობის და თავისუფლების გაზრდით, ხელშეწყობითა და განვითარებით შესაძლებელია პანდემიის პერიოდის გადატანაც და პანდემიის შემდგომი განვითარებაც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Davis, B. (October 1, 2012). Agile Practices for Waterfall Projects, J. Ross Publishing.
2. Griffin, C. Roldan, M. (2013). Swimming up the waterfall: agile processes in a waterfall world. Paper presented at PMI® Global Congress 2013—North America, New Orleans, LA. Newtown Square, PA: Project Management Institute.
3. Jiwat, R. (2020) From pandemic to prosperity: The post Covid-19 life PM focus, International Project Management Association. <https://www.ipma.world/from-pandemic-to-prosperity-the-post-covid-19-life-pm-focus/>
4. McKay, G. Jager A, (2020), Transformation Program Management. COVID-19: The new reality for project and program management, KPMG, <https://home.kpmg/au/en/home/insights/2020/05/coronavirus-covid-19-project-program-management-new-reality.html>
5. PMBOK® Guide – Sixth Edition (2017), Project Management Institute (PMI)
6. Project Management Institute & Project Business Foundation (2020). The Impact of the COVID-19 Crisis on Project Business: Cooperative Survey of Project Management Institute (PMI®) and the Project Business Foundation. PMI White Papers.
7. www.pmi.org (2021) available at [https://www.pmi.org/learning/library/beyond-agility-gymnastic-enterprises-12973?fbclid=IwAR24oXduVtqHKYXp62UYitbbjZ1HGv-789abT7LDC\_dgRWvY1Ays4v1gWpo] accesses on 01/05/2021.
8. Schoper, Y. Wald, A. Ingason, H. Fridgeirsson, T. (2017). Projectification in Western economies: A comparative study of Germany, Norway and Iceland. International Journal of Project Management. 36. 10.1016/j.ijproman.2017.07.08.

*Nino Gorgadze*

## COVID 19 PANDEMIC IMPACT ON PROJECT MANAGEMENT – CHALLENGES AND SOLUTIONS

### Summary

In early 2020, the coronavirus pandemic suddenly and very rapidly swept across the globe, affecting all areas of activity and affecting every individual; Changed the lifestyle and work of each of us. Not

surprisingly, the pandemic has had a major impact on project managers, project delivery and management styles.

The pandemic has been raging for more than a year and a number of companies and projects in the field of projects have stalled, while a number have been able to survive and develop.

Coronavirus (COVID-19) exposure tested organizations' ability and ability to effectively manage projects and programs.

The studies identified 4 stages (Horizons) of response, namely:

Stage 0 - Reaction. Address immediate challenges and ensure clarity on the role of the project team and stakeholders.

Stage 1 - Sustainability. Restoration of disrupted activities and introduction of a sustainable project implementation model.

Stage 2 - Recovery. Adapting projects to updated business models.

Stage 3 - New Reality. Create strategic options and compass scenarios to ensure long-term growth.

When we return to the new normal, many ways of working are likely to change forever, the approach to project selection and management in organizations will change, and project leaders must adapt to these new rules of operation.

Organizations are undergoing significant changes in this unprecedented era. Amid the global pandemic and deep economic problems, organizations have created new ways of working and improved project performance. While many planned projects have stalled, more of the ongoing projects have achieved their goals and business intentions, and more have been completed within the budget and on time.

The PMI 2021 Pulse of the Profession study first identified the so-called Gymnastic Enterprises, which are characterized by a high degree of flexibility and maneuverability. Old-fashioned organizations were called traditional enterprises, regardless of which approach they worked with – Waterfall, Agile or Hybrid. The most important difference between flexible organizations and traditional ones is that they use all the approaches and methods and their combinations according to the needs and challenges and do not use any of the established methods rigidly.

The ways to solve the challenges and problems caused by the pandemic in the field of project management can be summarized in a few points:

1. Resilience.
2. Strengthen team members.
3. Maximum use of modern Information Technologies.
4. Strengthen the teamwork.
5. Increase the importance of organizational culture.

Ultimately, everything depends on individuals and is created by individuals, so by increasing, promoting and developing responsibility and freedom, it will be possible to survive during the pandemic period and growth further on.

*მარიამ ებრალოძე  
მაია სოსელია*

### **ლაბორატორიული შეცდომების მონიტორინგის მნიშვნელობა კლინიკური ლაბორატორიის მენეჯმენტში**

*ანოტაცია. კლინიკური ლაბორატორიული ტესტების გამოყენება დიაგნოზის დასმის პროცესში გადაწყვეტილების მისაღებად, წარმოადგენს კლინიკური მედიცინის განუყოფელ ნაწილს. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა 60-70% დაფუძნებულია ლაბორატორიული კვლევების შედეგებზე, შესაბამისად ლაბორატორიულ ტესტების საიმედოობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციამ, სტანდარტიზაციამ და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ლაბორატორიული ტესტების ანალიტიკური საიმედოობა, ლაბორატორიულ შეცდომებს მაინც აქვს ადგილი ტესტირების პრენალიტიკურ, ანალიტიკურ და პოსტანალიტიკურ სტადიებზე. ლაბორატორიის მენეჯერის მოვალეობაა შეამციროს ამ შეცდომათა რიცხვი.*

ლაბორატორიაში, ტესტირების ნებისმიერ ეტაპზე დაშვებული შეცდომის გამო ხდება ნიმუშის უარყოფა, რაც, თავის მხრივ მოითხოვს ნიმუშის ხელახალ შეგროვებასა და ტესტირებას, რაც იწვევს პასუხის დაგვიანებით გაიცემას. ნებისმიერ შეყოვნებას შეიძლება ჰქონდეს საზიანო შედეგი პაციენტის ჯანმრთელობაზე. შესაბამისად ლაბორატორიული შეცდომების მონიტორინგი და კონტროლი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კლინიკური ლაბორატორიების მენეჯმენტში, სარწმუნო და დროული პასუხების გაცემა, ლაბორატორიის მომსახურების ხარისხის მაჩვენებელს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** კლინიკური ლაბორატორიის მენეჯმენტი; ლაბორატორიის მენეჯერი; ლაბორატორიული შეცდომების მონიტორინგი; ლაბორატორიული მომსახურების ხარისხი.

## შესავალი

აშშ-ს მედიცინის ინსტიტუტის მოხსენებაში სათაურით „შეცდომა არის ადამიანური“ ნათქვამია, რომ ყოველწლიურად 98000 ადამიანი იღუპება პრევენცირებადი შეცდომების გამო. ამ დაკვირვებიდან 10 წლის შემდეგ, აშშ-ს მომხმარებელთა კავშირმა გამოაქვეყნა მოხსენება სათაურით „შეცდომა არის ადამიანური-დაგვიანება არის მომაკვდინებელი“ საგანგაშო ქვესათაურით „10 წლის შემდეგ, მილიონობით დაკარგული სიცოცხლე, მილიარდობით გაფლანგული დოლარი“.

კლინიცისტებისთვის ხელმისაწვდომი ლაბორატორიული ტესტთა რაოდენობა მუდმივად მზარდია. დღესდღეობით, საცნობარო ლაბორატორიების მიერ შესრულებული კვლევების რაოდენობა 3000 შეადგენს, ჩვეულებრივ შეკვეთილი ტესტების გარდა (მაგ., სისხლის საერთო ანალიზი; ნატრიუმის, კალიუმის კონცენტრაციის განსაზღვრა და ა.შ), რომლებიც მუდმივად სრულდება საავადმყოფოებში არსებულ ლაბორატორიათა უმეტეს ნაწილში. ლაბორატორიული ტესტების რაოდენობის და სირთულის მუდმივი ზრდა იწვევს არასაჭირო და შეუსაბამო ტესტების შეკვეთის შესაძლებლობას. ამგვარმა პრაქტიკამ, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ღირებულების გაზრდის გარდა, შეიძლება შეაფერხოს დიაგნოზის დასმა და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა.

კლინიკური ლაბორატორიული ტესტების შედეგების გამოყენება დიაგნოზის დასმის დროს წარმოადგენს კლინიკური მედიცინის განუყოფელ ნაწილს. პეციენტის მიღება, გაწერასა და მედიკამენტების შესახებ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა 60-70% დაფუძნებულია სწორედ ლაბორატორიული ტესტების შედეგებზე. შესაბამისად, ლაბორატორიული კვლევების ხარისხის უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციამ, სტანდარტიზაციამ და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ლაბორატორიული ტესტების ანალიტიკური საიმედოობა, ლაბორატორიულ შეცდომებს მაინც აქვს ადგილი ტესტირების პრენალიტიკურ, ანალიტიკურ და პოსტანალიტიკურ სტადიებზე.

## კვლევის მიზანი

ლაბორატორიის ხარისხი იზომება ტესტის TAT (turnaround time)-ის მიხედვით, იგი წარმოადგენს დროის ინტერვალს ტესტის შეკვეთიდან პასუხის გაცემამდე.

ლაბორატორიული მომსახურების მაღალ ხარისხზე მიუთითებს: მინიმალური TAT, საიმედო და ზუსტი შედეგით.

იმისათვის, რომ ლაბორატორიამ მიღწიოს მინიმალურ TAT-ს, სარწმუნო რეზულტატით, აუცილებელია შემცირდეს უარყოფილი ნიმუშების რაოდენობა. ნიმუშების უარყოფა, კვლევის ჩატარების ნებისმიერ ეტაპზე, საჭიროებს ნიმუშის ხელახალ შეგროვებას და მის ანალიზს, რაც, შესაბამისად აფერხებს პასუხის გაცემას. გარდა ამისა, ნიმუშების ხელახალი შეგროვება ლაბორატორიისთვის დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, რადგან საჭიროებს დამატებით რესურსებს, რაც აისახება ლაბორატორიული მომსახურების ხარისხზე. ლაბორატორიული

შეცდომების კონტროლი, ტესტირების თითოეულ ეტაპზე, წარმოადგენს ლაბორატორიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, გამოვკვეთოთ მენეჯერული გამოწვევები, რომლებიც ისახება ლაბორატორიების ხარისხის კონტროლისას, მათი ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

### ლაბორატორიული შეცდომები

მიუხედავად იმისა, რომ შეცდომათა რიცხვი ლაბორატორიულ მედიცინაში ზოგადად დაბალია, ლაბორატორიაში დაშვებული ნებისმიერ შეცდომის გამო შესაძლებელია პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნას, არასწორი დიაგნოზის ან არასაკმარის მკურნალობის დანიშვნის გამო. ბოლო წლებში, როგორც CLIA, ასევე აკრედიტაციული ორგანიზაციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც, ხარისხის კონტროლს ასევე, ლაბორატორიული რისკის მენეჯმენტს.

ლაბორატორიულ ტესტირების მთლიანი პროცესის თითოეული ეტაპის გაანალიზება წარმოადგენს კრიტიკულ ნაწილს ლაბორატორიული მომსახურების გაუმჯობესებისა და შეცდომების შემცირების პროცესში. ტესტირების მთლიანი პროცესი მოიცავს 3 ძირითად ეტაპს:

- **პრეანალიტიკური ფაზა:** იგი მოიცავს პერიოდს ნიმუშის შეგროვებიდან, მათ ლაბორატორიაში მოხვედრამდე.
- **ანალიტიკური ფაზა:** მოიცავს უშუალოდ ტესტირებას, კვლევის პროცესს და შედეგის ინტერპრეტაციას.
- **პოსტანალიტიკური ფაზა:** მოიცავს კვლევის შედეგის გაცემას.

ლაბორატორიული შეცდომები ხდება ტესტირების საერთო პროცესის თითოეულ ეტაპზე. დადგენილია, რომ შეცდომათა უდიდესი ნაწილი ვხვდებით ნიმუშების შეგროვების ფაზაში, რაც გამოწვეულია სტანდარტიზაციის პროტოკოლების სიმცირით. ძირითად მიზეზს, კი წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რთულია ანალიტიკური პროცესის იმ შემადგენელი ნაწილების კონტროლი, რომლებიც უშუალოდ ლაბორატორიის დაქვემდებარების ქვეშ არ არიან მაგ: ფლუბოტომისტი (პირი, რომელიც სისხლის ნიმუშს იღებს).

ლაბორატორიებში დაშვებულ შეცდომათა 84.5% სწორედ პრეანალიტიკურ ეტაპზე გვხვდება. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებაა შეცდომათა სიხშირეში სტაციონარულ და ამბულატორიულ პაციენტების კვლევებს შორის, რაც ძირითადად დაკავშირებულია ადამიანურ ფაქტორთან, სისხლის ნიმუშის აღების უნართან და პაციენტთა რაოდენობასთან.

ნიმუშთა უარყოფის მეორე ყველაზე ხშირ მიზეზს, კი სისხლის არასაკმარისი რაოდენობა წარმოადგენს (ცხრილი 1).

*ცხრილი 1*

### ლაბორატორიული შეცდომები- პრეანალიტიკა

| შეცდომის ტიპი                            | ნიმუშთა სიხშირე | %           |
|--|-----------------|-------------|
| ჰემოლიზური ნიმუში                        | 508             | 53.2        |
| არასაკმარისი რაოდენობის ნიმუში           | 72              | 7.5         |
| გაურკვეველი ხელნაწერი                    | 69              | 7.2         |
| არასწორი იდენტიფიკაცია                   | 44              | 4.6         |
| შეკვეთის მიმართვა ნიმუშის გარეშე         | 16              | 1.7         |
| ცარიელი სინჯარა                          | 10              | 1.0         |
| ლიპემიური ნიმუში                         | 7               | 0.7         |
| ცენტრიფუგაში გატეხილი სინჯარა            | 6               | 0.6         |
| ექიმის მიერ შეკვეთილი გამორჩენილი კვლევა | 4               | 0.4         |
| <b>პრეანალიტიკური ფაზა სრულად</b>        | <b>736</b>      | <b>77.1</b> |

იმის მიუხედავად, რომ ავტომატიზაციამ, სტანდარტიზაციამ და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა საგრძნობლად გაზარდეს კვლევების ანალიტიკური საიმედოობა და სიზუსტე, მაინც ვხვდებით შეცდომებს ანალიტიკურ ფაზაში (ცხრილი 2).

**ცხრილი 2**

**ლაბორატორიული შეცდომები - ანალიტიკა**

| შეცდომის ტიპი                  | ნიმუშთა სიხშირე | %          |
|--------------------------------|-----------------|------------|
| სისტემური შეცდომები            | 36              | 3.8        |
| შემთხვევითი შეცდომები          | 15              | 1.6        |
| კალიბრაციის გადახრა            | 10              | 1.0        |
| შეუსაბამობა QC-სთან            | 6               | 0.6        |
| რეაგენტის კონტამინაცია         | 8               | 0.4        |
| <b>ანალიტიკური ფაზა სრულად</b> | <b>75</b>       | <b>7.9</b> |

პოსტანალიტიკურ ეტაპზე, ყველაზე ხშირად ვხვდებით შემდეგ ცდომილებებს: მცდარი შედეგის დადასტურება, შედეგების დაგვიანებული გაცემა, არ გაცემა ან გაცემა არასწორ ადრესატზე. კვლევებით დადგენილია, რომ პოსტანალიტიკური შეცდომები, საერთო შეცდომების 14.9% შეადგენს.

ლაბორატორიული შეცდომები, აღმოჩენის შემთხვევაში, იწვევენ ნიმუშის უარყოფის აუცილებლობას, ხდება ნიმუშის განმეორებით შეგროვება და ანალიზი, რაც იწვევს შედეგების დაგვიანებულ გაცემასა და დამატებითი ხარჯების გაწევას ლაბორატორიის მხრიდან. ყოველივე ზემოთხსენებული, გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხსა და მომხმარებლის კმაყოფილებაზე. შესაძლებელია დაშვებული შეცდომა არ იქნას აღმოჩენილი, რაც გავლენას მოახდენს პაციენტის ჯანმრთელობაზე არასწორი მკურნალობის კურსის დანიშვნის გამო.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლაბორატორიაში დაშვებულ შეცდომებს აქვს გავლენა ფინანსებზე, მომსახურების ხარისხზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პაციენტის ჯანმრთელობაზე. მსგავსი შეცდომები ამცირებს ლაბორატორიის რენტაბელობას, შესაბამისად ლაბორატორიული შეცდომების მინიმიზაცია ლაბორატორიის მენეჯმენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

ლაბორატორიული შეცდომების მონიტორინგი და კონტროლი წარმოადგენს ძალზედ ეფექტურ და მნიშვნელოვან კომპონენტს ლაბორატორიული საქმის მართვაში. ეფექტური მენეჯმენტი ინდიკატორია საიმედო შედეგების მიღებისათვის.

**დასკვნა**

კვლევაში ჩვენ გავაანალიზეთ ლაბორატორიული ოპერაციები მთლიანი ტესტირების თითოეულ ეტაპზე (პრე, პოსტ, ანალიტიკური). გამოვყავით შესაძლო შეცდომები თითოეულ ეტაპზე და ხაზი გავუსვით ლაბორატორიული შეცდომების კონტროლის აუცილებლობას ნიმუშის უარყოფის შემცირების მიზნით, რომელთაც პირდაპირი გავლენა აქვთ ლაბორატორიული მომსახურების ხარისხზე.

ლაბორატორიული კონტროლის ჩასატარებლად, აშკარაა, რომ აუცილებელია მოხდეს შეცდომების რეგულარული მონიტორინგი. იგი მოითხოვს ყველა შეცდომის და ასევე, ამ შეცდომის მიზეზების დოკუმენტაციის დეტალურ წარმოებას. ლაბორატორიის მენეჯერის მოვალეობაა, მოთხოვოს ლაბორატორიის თანამშრომლებს, აღრიცხონ ყველა შეცდომა და მათი გამომწვევი მიზეზები. დოკუმენტირებული შეცდომების ანალიზი და მაკორექტირებელი ზომების მიღება მომავალში ამგვარი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, ხელს შეუწყობს ნიმუშის უარყოფის მინიმიზაციას და ამრიგად, ტესტირების საიმედო შედეგების უმოკლეს დროში გაცემას. ლაბორატორიული შეცდომების მონიტორინგი და კონტროლი ხელს შეუწყობს ლაბორატორიის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Solomon DH, et al (1998): Solomon DH, Hashimoto H, Daltroy L, Liang MH. "Techniques to improve physician's use of diagnostic tests: a new conceptual framework". *The Journal of American Medical Association*; Vol. 280, No.23, pp 2020-7.
2. Stankovic AK, (2004). "The laboratory is a key partner in assuring patient safety". *Clinical Laboratory Medicine*; Vol.24, No.4, pp 1023-35.
3. Steindel SJ and Novis DA, (1999). "Using outlier events to monitor test turnaround time: a College of American Pathologists Q-Probes study in 496 laboratories". *Archives of Pathology and Laboratory Medicine*, Vol.123, pp 607-14.
4. Valentin PN et al, (2006): Valentin PN, Raab SS, Walsh MK. "Identification errors involving clinical laboratories: a college of American Pathologist Q-Probes study of patient and specimen identification errors at 120 institutions". *Archives of Pathology and Laboratory Medicine*; Vol.130, pp 1106-13.
5. Wians FH, (2009). "Clinical laboratory tests: which, why and what do the result mean?" *LAB MEDICINE*, Vol. 40, No.2, pp 105 -113.
6. Wiwanitkit V, (2001). "Types and frequency of pre-analytical mistakes in the first Thai ISO 9002:1994 certified clinical laboratory, a 6-month monitoring". *BMC Clinical Pathology*; Vol.1, No.5
7. Wolcott J et al, (2008): Wolcott J, Schwartz Amanda, Goodman C. "Laboratory Medicine: A National Status Report".

*Mariam Ebralidze  
Maia Soselia*

### **THE IMPORTANCE OF LABORATORY ERROR MONITORING IN CLINICAL LABORATORY MANAGEMENT**

#### **Summary**

Clinical laboratory tests present indivisible part in clinical diagnostic. Majority, approximately 60-70% of important decisions in diagnostics are based on various tests performed in laboratories. Considering the role that these tests have in clinical medicine, it is clear that their reliability is highly important.

Standardization, automation and technological advances highly improved analytical reliability of laboratory tests, however laboratory errors still occur daily at all stages of the total testing process.

Managing and preventing these errors are one of the most important jobs that lab managers have.

At any stage during testing process, lab errors have serious consequences, it calls for sample rejection, which leads to collecting new samples and repeating the testing, therefore results are delayed. As stated previously, lab tests play important role in diagnosis, so delays in results can have major influence on patient's health.

Producing reliable test result with minimal TAT and cost is the main objective of any clinical laboratory, therefore monitoring of lab errors and quality control are important challenges that lab managers face.



## საწარმოთა დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხვის სრულყოფა

*ანოტაცია.* წინამდებარე სტატია ეხება საწარმოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხვის პრობლემებს, გადმოცემულია მათი სწორად აღრიცხვის მნიშვნელობა. გამოვლენილია მათ აღრიცხვაში ნაკლოვანებები და შემოთავაზებულია დავალიანებების აღრიცხვის სრულყოფისათვის რეკომენდაციები რეგისტრების წარმოების სახით სს „ქართული ლუდის კომპანია“-ს მაგალითზე.

\*\*\*

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა ბუღალტრულ აღრიცხვაში აქტივებისა და ვალდებულებების ობიექტური შეფასებისათვის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების სწორად ასახვა. დებიტორული დავალიანება თავისი არსით არის სხვა ორგანიზაციების, მომუშავეების და ფიზიკური პირების დავალიანებები მოცემული საწარმოს მიმართ. დებიტორული დავალიანება წარმოადგენს მოთხოვნას კრედიტით მიწოდებაზე, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება [1]. დებიტორული დავალიანებები ყოველთვის განარიდებენ სახსრებს ბრუნვიდან, ხელს უშლის მათ ეფექტურად გამოყენებას, რის შედეგადაც საწარმოში იქმნება ფინანსური დამაბულობა. მით უფრო, იგი უარყოფითად მოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, ამიტომ აუცილებელია მისი ამოღების ვადების შემცირება.

კრედიტორული დავალიანება არის მოცემული ორგანიზაციის დავალიანებები სხვა ორგანიზაციების, მომუშავეების და ფიზიკური პირების მიმართ. დავალიანებების სწორად აღრიცხვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე და მისი ფინანსური მდგომარეობების ცვლილებებზე. გარკვეული ზომით კრედიტორული დავალიანება საწარმოსათვის სარგებლიანია, რამდენადაც მას ეძლევა შესაძლებლობა დროებით სარგებლობისათვის მიიღოს სხვა ორგანიზაციის კუთვნილი ფულადი სახსრები. კრედიტორული ვალდებულებები წარმოადგენენ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებით წარმოქმნილ მოკლევადიან ვალდებულებებს, ანუ კრედიტორულ დავალიანებებს [1].

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება დღეს არსებული ფულადი ანგარიშსწორების სისტემის უშუალო შედეგია, რომლის დროსაც ყოველთვის აქვს ადგილი დროის რღვევას საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტიდან. სამწუხაროდ, სხვა შემთხვევებში გადახდის შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტიციური პროექტების შემცირება, ვალის აღების აუცილებლობა და შესაძლოა, გაკოტრებაც კი.

ამიტომ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების შიდა კონტროლის მნიშვნელობა ძალზე მნიშვნელოვანია: მისი დახმარებით შესაძლებელია ქონების დაცვის, აღრიცხვის ხარისხის და ანგარიშგების სისწორის უზრუნველყოფა, შესაძლებელია სამეურნეო სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის ფინანსების სფეროში არსებული რეზერვების გამოვლენა და მობილიზაცია [3].

კონტროლის გატარებული ღონისძიებებით შესაძლებელია სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელებმა და მესაკუთრებებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია საფინანსო-ეკონომიკურ და სამეურნეო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ, შესაძლებლობას იძლევიან სწორად შეფასდეს ფულადი და მატერიალური რესურსების ფაქტიური გამოყენება, ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის და ანგარიშგების მდგომარეობა, დადასტურდეს საქმიანობის ბიზნეს-გეგმებში და პროგრამებში შეტანილი ღონისძიებების შესრულების სისრულე.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მოძრაობაზე კონტროლის განხორციელება აუცილებელია საანგარიშო-საგადადამხდელო დისციპლინის გაუმჯობესებისათვის.

წინამდებარე სტატიის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მართვის ეფექტურობა, მათი აღრიცხვის მეთოდების სრულყოფა საწარმოს საქმიანობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხვის მეთოდების გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციები შევიმუშავეთ სს „ქართული ლუდის კომპანია“-ს მაგალითზე.

სს „ქართული ლუდის კომპანია“ ერთ-ერთი მსხვილი და წამყვანი საწარმოა ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში. იგი შეიქმნა 2011 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება. მისი პროდუქცია იყიდება საქართველოში და საზღვარგარეთ. კომპანიის მფლობელია შპს „მიქსორი“ (63,5%), შპს „ქართული სამრეწველო ჯგუფის ჰოლდინგი“ (24,1%), შპს „პსპ ფარმა“ (12,39%).

კომპანია აღჭურვილია ევროპული წარმოების ყველაზე თანამედროვე ტექნიკით. საწარმოო პროცესის ხარისხი კონტროლდება მუდმივად და მკაცრად. კომპანია აწარმოებს ქართული ტრადიციული და უცხოური სახეობის ლუდს. მისივე მონაცემებით ლუდის მოხმარების უდიდესი ნაწილი ქართულ ტრადიციულ ლუდზე მოდის, თითქმის მთელი მოხმარების 66,1%-ს შეადგენს. კომპანიის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების მონაცემებით კომპანიის დებიტორულმა დავალიანებამ 2018 წელს შეადგინა 17,115 ათ.ლარი, 2019 წელს იგი გაიზარდა და შეადგინა 23,548 ათ.ლარი. ასევე გაზრდილია კრედიტორული დავალიანებაც, შესაბამისად 2018 წელს შეადგინა 10,270 ათ.ლარი, 2019 წელს - 13,036 ათ.ლარი. ამის პარალელურად აღსანიშნავია, რომ კომპანიას 2019 წელს წინა 2018 წელთან შედარებით შეუმცირდა ბალანსის მუხლი „ფული და ფულის ექვივალენტები და 2019 წელს მან შეადგინა 0,652 ათ.ლარი. ეს კი ადასტურებს როგორც კომპანიის დებიტორული დავალიანების ზრდას, ასევე კრედიტორული დავალიანების ზრდასაც. ბუნებრივია, კომპანიაში ფულადი ერთეულების შემცირებამ გავლენა მოახდინა მის გადახდიუნარიანობაზე და კრედიტუნარიანობაზე.

კომპანიის დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მდგომარეობის შესწავლამ გამოავლინა შემდეგი ნაკლოვანებები:

- დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადების დარღვევა, დებიტორებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის არ არსებობა;
- ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების არსებობა, მომწიდებლებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შესახებ ანალიტიკური მონაცემების არსებობა;
- საქვეანგარიშო თანხების დაბრუნების ვადების დარღვევა.

გამოვლენილი ნაკლოვანებების ძირითადი მიზეზია ის ფაქტი, რომ კომპანიაში გამოყენებული აღრიცხვის ავრომატიზირებული სისტემა სათანადო დონეზე ვერ უზრუნველყოფს ანალიტიკურ აღრიცხვას და დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ ოპერატიული მონაცემების არსებობას, ასევე არასათანადო დონეზეა კონტროლი მათი დროულად დაფარვის მდგომარეობაზე.

დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადების დარღვევებთან, დებიტორებთან საქმიანობისა და ანგარიშსწორების მდგომარეობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის არარსებობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად საჭიროდ მიგვაჩნია:

1. ცალკეულ რეგიონალურ სადისტრიბუციო კომპანიებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრის შექმნა (ცხრილი 1). ეს კომპანიას საშუალებას მისცემს აკონტროლოს დებიტორული დავალიანების დაფარვა რეგიონების მიხედვით, რამდენადაც აღნიშნულ რეგისტრში მოცემული ინფორმაცია საშუალებას მისცემს კომპანიას დააკვირდეს ანგარიშსწორების მდგომარეობას ყოველი საანგარიშო თარიღისათვის. ფულადი სახსრების შემოსვლის შეფერხების შემთხვევაში კომპანიას ეძლევა შესაძლებლობა დროულად მიიღოს ზომები მიმდინარე დავალიანების დაფარვის მიმართულებით და არ დაუშვას ვადის გადაცილება.

რეგიონთან ანგარიშსწორების აღრიცხვის ანალიტიკური რეგისტრი

| პერიოდი | დავალიანების ნაშთი პერიოდის დასაწყისში |         | გადატვირთული პროდუქცია საანგარიშო პერიოდში |             |           |     | გადატვირთულ პროდუქციაზე მიღებული ანაზღაურება |             | დავალიანების ნაშთი პერიოდის ბოლოს |         |
|---------|--|---------|--|-------------|-----------|-----|--|-------------|-----------------------------------|---------|
|         | დებეტი                                 | კრედიტი | ანგარიშსწორების თარიღი და ნომერი           | თანხა, ლარი |           |     | ბანკის ამონაწერის თარიღი და ნომერი           | თანხა, ლარი | დებეტი                            | კრედიტი |
|         |  |         |  | სულ         | ამონაგები | დღგ |  |             |                                   |         |
| 1       | 2                                      | 3       | 4  | 5           | 6         | 7   | 8  | 9           | 10                                | 11      |
|         |  |         |  |             |           |     |  |             |                                   |         |

კომპანიაში ანგარიშსწორების აღრიცხვა რეგიონების მიხედვით წარმოებს საანგარიშო თვის ფარგლებში. ყოველი თვის დასასრულს თითოეული რეგიონის მიხედვით დგება ანგარიშსწორების აქტი, რომელშიც ფორმირდება თითოეული რეგიონიდან მისაღები ამონაგების თანხა. აქტის მონაცემები დოკუმენტური საფუძველია წარსადგენი რეგისტრის ფორმირებისათვის.

2. არაპროფილური სახის საქმიანობის მყიდველებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრის ფორმირება (ცხრილი 2). არაპროფილური სახის საქმიანობის მყიდველებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრების წარმოებით ორგანიზაციას ეძლევა შესაძლებლობა ასახოს ინფორმაცია დებიტორული დავალიანების წარმოშობის და დაფარვის შესახებ თითოეული დებიტორის მიხედვით აღრიცხვის ობიექტის ჩვენებით, რომლის გამოც წარმოიქმნა დავალიანება. რეგისტრში ასახული ინფორმაცია არის ვალდებულების ვადაში დაფარვის და ორგანიზაციის დებიტორებთან მაქსიმალურად ეფექტურად მუშაობის კონტროლის საფუძველი.

მოცემული რეგისტრის ფორმირება რეკომენდირებულია განხორციელდეს ქონების არამატერიალური აქტივების, ფინანსური დაბანდებების, დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დებიტორებთან ანგარიშსწორების წარმოებისას.

არაპროფილური სახის საქმიანობის მყიდველებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრი

| დებიტორის დასახელება | ხელშეკრულების თარიღი ნომერი | დავალიანების ნაშთი პერიოდის დასაწყისში |         | დავალიანება წარმოიქმნა არაპროფილური სახის საქმიანობით |     |           |     | დებიტორული დავალიანების დაფარვა |           | დებიტორული დავალიანების ნაშთი პერიოდის ბოლოს |         |
|----------------------|-----------------------------|--|---------|---|-----|-----------|-----|---------------------------------|-----------|--|---------|
|                      |                             | დებეტი                                 | კრედიტი | საფუძველი   | სულ | ამონაგები | დღგ | საფუძველი                       | სულ, ლარი | დებეტი                                       | კრედიტი |
| 1                    | 2                           | 3                                      | 4       | 5   | 6   | 7         | 8   | 9                               | 10        | 11   | 12      |
|                      |                             |  |         |   |     |           |     |                                 |           |  |         |

3. მყიდველებთან და შემკვეთებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის კრებსითი რეგისტრის ფორმირება (ცხრილი 3). მყიდველების და შემკვეთების დებიტორული დავალიანების კრებსითი რეგისტრი იქმნება 1410 ანგარიშის „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ ბრუნვისათვის ინფორმაციის დაჯგუფებისათვის. რეგისტრი იხსნება საანგარიშო წელზე და მთელი წლის მანძილზე მასში შეიტანება ინფორმაცია ყოველთვიურად.

**ცხრილი 3**

**მყიდველებთან და შემკვეთებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის კრებსითი რეგისტრი**

| პერიოდი | დებიტორული დავალიანება რეგიონებთან ურთიერთობიდან, ლარი |         |           |         |                      | დებიტორული დავალიანება არაპროფესიული სახის საქმიანობიდან, ლარი |                           |         |           |         |                      |         |
|---------|--|---------|-----------|---------|----------------------|--|---------------------------|---------|-----------|---------|----------------------|---------|
|         | ნაშთი პერიოდის დასაწყისში                              |         | წარმოქმნა | დაფარვა | ნაშთი პერიოდის ბოლოს |  | ნაშთი პერიოდის დასაწყისში |         | წარმოქმნა | დაფარვა | ნაშთი პერიოდის ბოლოს |         |
|         | დებეტი   | კრედიტი |           |         | დებეტი               | კრედიტი  | დებეტი                    | კრედიტი |           |         | დებეტი               | კრედიტი |
| 1       | 2  | 3       | 5         | 6       | 7                    | 8  | 9                         | 10      | 11        | 12      | 13                   |         |
|         |  |         |           |         |                      |  |                           |         |           |         |                      |         |

ანგარიშსწორების აღრიცხვის კრებსითი რეგისტრის წარმოება გვიჩვენებს მყიდველების და შემკვეთების, ასევე არაპროფილური სახის საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების თანხის შესახებ მონაცემების აღრიცხვას. რეგისტრში ინფორმაციის დაჯგუფებით შესაძლებელია ვაკონტროლოთ დებიტორული დავალიანების ნაშთები თვის დასაწყისში და თვის ბოლოს, ვაკონტროლოთ მონაცემების მოძრაობა 1410 ანგარიშზე „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით ფორმირებული რეგისტრისა და აღრიცხვის მონაცემების საკონტროლო შედარების გზით.

ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების არსებობასთან, მომწოდებლებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შესახებ ანალიტიკური მონაცემების არსებობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასთვის საჭიროდ მიგვაჩნია შემენილი ფასეულობების, შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურების, ასევე შენობის და მოწყობილობის იჯარით აღებასთან დაკავშირებულ მომწოდებლების მიმართ წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრების სისტემის ფორმირება, რომელშიც ინფორმაცია დაჯგუფებული იქნება შემდეგი ნიშნებით:

- ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრები მატერიალური ფასეულობების შექმნაზე, მშენებლობის, რემონტის მომსახურებაზე, მოწყობილობის და მასალების შექმნაზე;
- ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრები კომუნალურ მომსახურებაზე - სააღრიცხვო მონაცემების ფორმირება საწარმოს წყალმომარაგებით, ენერგორესურსებით მომარაგებაზე გაწეულ მომსახურებაზე კრედიტორული დავალიანების მოძრაობაზე;
- ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრები იჯარაზე - ქონების სახელმწიფო იჯარაზე და მოწყობილობის ლიზინგზე ანგარიშსწორების ინფორმაციის ასახვა.

მშენებლობის და რემონტის მომსახურების მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრის წარმოებით (ცხრილი 4) შესაძლებელია დაჯგუფდეს ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების მოძრაობის შესახებ 3110 ანგარიშზე „მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი ვალდებულებები“ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე, ვაკონტროლდეს წარმოშობილი სესხის თანხები და მათი დაფარვის ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვა.

**მშენებლობის და რემონტის მომსახურების მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრი**

| მომწოდებლის დასახელება | ხელშეკრულების თარიღი და ნომერი | ნაშთი პერიოდის დასაწყისში |                                   | ანგარიშსწორება კაპიტალური მშენებლობის და რემონტის მომწოდებლებთან |             |           |                                    |                      |    | ნაშთი პერიოდის ბოლოს |         |
|------------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------------------------|--|-------------|-----------|------------------------------------|----------------------|----|----------------------|---------|
|                        |                                | დებეტი                    | კრედიტი                           | ვალდებულების წარმოქმნა   |             |           |                                    | ვალდებულების დაფარვა |    | დებეტი               | კრედიტი |
|                        |                                |                           |                                   | საფუძველი  | თანხა, ლარი |           | ბანკის ამონაწერის ნომერი და თარიღი | თანხა, ლარი          |    |                      |         |
|                        |                                |                           |                                   |  | სულ         | მათ შორის |                                    |                      |    |                      |         |
|                        |                                |                           | სამუშაოს, მომსახურების ღირებულება | დღგ  |             |           |                                    |                      |    |                      |         |
| 1                      | 2                              | 3                         | 4                                 | 5  | 6           | 7         | 8                                  | 9                    | 10 | 11                   | 12      |
|                        |                                |                           |                                   |  |             |           |                                    |                      |    |                      |         |

საწარმო-მატერიალური მარაგების და მოწყობილობების შეძენასთან დაკავშირებით მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრის წარმოებით (ცხრილი 5) შესაძლებელია საწარმომ აწარმოოს ანალიტიკური აღრიცხვა შეძენილ საწარმო-მატერიალურ მარაგებზე, ბრუნვისგარეშე აქტივებზე და მოწყობილობებზე, ოპერატიულად განსაზღვროს დაუფარავი ვალდებულებების ნაშთები.

**საწარმო-მატერიალური მარაგების და მოწყობილობების შეძენაზე მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრი**

| მომწოდებლის დასახელება | ხელშეკრულების თარიღი და ნომერი | ნაშთი პერიოდის დასაწყისში |         | საწარმო-მატერიალური მარაგების და მოწყობილობების შეძენაზე ანგარიშსწორება |             |                              |                                    |                      |    |    | ნაშთი პერიოდის ბოლოს |         |
|------------------------|--------------------------------|---------------------------|---------|---|-------------|------------------------------|------------------------------------|----------------------|----|----|----------------------|---------|
|                        |                                | დებეტი                    | კრედიტი | ვალდებულების წარმოქმნა  |             |                              |                                    | ვალდებულების დაფარვა |    |    | დებეტი               | კრედიტი |
|                        |                                |                           |         | საფუძველი   | თანხა, ლარი |                              | ბანკის ამონაწერის ნომერი და თარიღი | თანხა, ლარი          |    |    |                      |         |
|                        |                                |                           |         |   | სულ         | საწარმო-მატერიალური მარაგები |                                    |                      |    |    |                      |         |
|                        |                                |                           |         |   |             |                              |                                    |                      |    |    |                      |         |
| 1                      | 2                              | 3                         | 4       | 5   | 6           | 7                            | 8                                  | 9                    | 10 | 11 | 12                   | 13      |
|                        |                                |                           |         |   |             |                              |                                    |                      |    |    |                      |         |

რეგისტრში ფორმირებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა ჩატარდეს საკონტროლო შედარება ანგარიშების 1620 - „ნედლეული და მასალა“, 2160 – „ოფისის აღჭურვილობა“, 2150 – „მანქანა-დანადგარები“, რომლებიც ეკორესპოდენტებიან შესაბამის 3110 ანგარიშის ქვეანგარიშებს.

ლიზინგის მომწოდებელთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრი საჭიროა შედგეს საანგარიშო თვეზე, რეგისტრში მონაცემები აისახება ცალკეული მომწოდებლის დასახელებით, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება ლიზინგზე.

მომწოდებელთან სალიზინგო გადასახდელის ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრის წარმოება (ცხრილი 6) საშუალებას აძლევს საწარმოს აწარმოოს ხელშეკრულებით გაფორმებული ლიზინგის მომწოდებელთან ანგარიშსწორების ანალიტიკური აღრიცხვა, გააკონტროლოს გადასახდელების ნაშთები, თვალყური ადევნოს მიმდინარე ყოველთვიური სალიზინგო გადასახდელის დაფარვის ვადებს და სისრულეს.

**ცხრილი 6**

**ლიზინგის მომწოდებელთან ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრი**

| მომწოდებლის დასახელება | ხელშეკრულების თარიღი და ნომერი | სახელშეკრულებო დავალიანების ნაშთი პერიოდის დასაწყისში | დარიცხულია მიმდინარე გადასახდელი |             |                       |                             | დავალიანების დაფარვა მიმდინარე გადასახდელებით |     | სახელშეკრულებო დავალიანების ნაშთი პერიოდის ბოლოს |
|------------------------|--------------------------------|---|----------------------------------|-------------|-----------------------|-----------------------------|---|-----|--|
|                        |                                |   | საფუძველი                        | თანხა, ლარი |                       | ამონაწერის თარიღი და ნომერი | თანხა, ლარი                                   |     |  |
|                        |                                |   |                                  | სულ         | მათ შორის             |                             |   |     |  |
|                        |                                |   |                                  |             | სალიზინგო გადასახდელი |                             |   | დღბ |  |
| 1                      | 2                              | 3   | 4                                | 5           | 6                     | 7                           | 8   | 9   | 10   |
|                        |                                |   |                                  |             |                       |                             |   |     |  |

საქვეანგარიშო თანხების გადახდის ვადების დარღვევებთან დაკავშირებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციისათვის საჭიროდ მიგვაჩნია შევქმნათ ანგარიშვალდებულ პორტა ანგარიშსწორების აღრიცხვის რეგისტრი (ცხრილი 7). ეს უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულ პირთან სახსრების დროულად დაბრუნებაზე ჯეროვან კონტროლს, რამდენადაც რეგისტრში ასახული იქნება საქვეანგარიშო სახსრების გაცემის და დაბრუნების თარიღი, ასევე მიმდინარე დებიტორული დავალიანება. თუ საანგარიშო თვის შედეგებით დადგინდა, რომ ანგარიშვალდებულ პირს ერიცხება ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება, ბუღალტერი გაანგარიშების მიხედვით ხელმძღვანელის სახელზე ადგენა ცნობას დავალიანების არსებობის შესახებ, რომლის განხილვის შედეგების მიხედვით მიიღება ღონისძიებები საქვეანგარიშო თანხების დაბრუნების ან დაკავების შესახებ.

ანგარიშვალდებულ პირთან ანგარიშსწორების ანალიტიკური აღრიცხვის რეგისტრი

| მომუშავის სახელი და გვარი | ნაშთი პერიოდის დასაწყისში |         | გაცემულია საქვეანგარ-იშოდ |             | საქვეანგარიშო თანხის ხარჯვა          |                    |                   |                                       |     | გაცემულია უკან დაბრუნებით | დაბრუნებულია სალაროში | ნაშთი პერიოდის ბოლოს |         |
|---------------------------|---------------------------|---------|---------------------------|-------------|--------------------------------------|--------------------|-------------------|---------------------------------------|-----|---------------------------|-----------------------|----------------------|---------|
|                           | დებეტი                    | კრედიტი | საფუძველი                 | თანხი, ლარი | საფინანსო ანგარიშის თარიღი და ნომერი | სამვლენებო ხარჯები | სამეურნეო ხარჯები | საწარმო-მატერია-ლური მარაგების შექმნა | დღე |                           |                       | დებეტი               | კრედიტი |
| 1                         | 2                         | 3       | 4                         | 5           | 6                                    | 7                  | 8                 | 9                                     | 10  | 11                        | 12                    | 13                   | 14      |
|                           |                           |         |                           |             |                                      |                    |                   |                                       |     |                           |                       |                      |         |

დებიტორული და კრედიტორული დავალიანების სრულყოფის წარმოდგენილი რეკომენდაციები საწარმოს შესაძლებლობას მისცემს:

- მნიშვნელოვნად აამაღლოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ანგარიშსწორების ანალიტიკური აღრიცხვის ხარისხი;
- უზრუნველყოს კონტროლი კრედიტორების წინაშე მიმდინარე ვალდებულებების დროულად დაფარვაზე და დებიტორებთან სახსრების დროულად ამალღებაზე;
- შექმნას ინფორმაცია კრედიტორული და დებიტორული დავალიანების მდგომარეობისა და მათი არსებობის შესახებ საანგარიშო პერიოდის ნებისმიერი თარიღისათვის;
- დროულად მიიღოს ზომები კრედიტორული დავალიანების დაფარვის და დებიტორული დავალიანების ამოღების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საწარმოს აქტივების და პასივების სტრუქტურას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ხარაბაძე ე., ფინანსური აღრიცხვა, სახელმძღვანელო, თბ. 2018, გვ. 325.
2. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., - ბუღალტრული აღრიცხვა: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, რედ. რ. ძაძამია. გამომც. მერიდიანი, თბ. 2017, გვ. 605.
3. Врублевский Н.Д. Управленческий учет издержек производства и себестоимости продукции в отраслях экономики: учеб. пособие для вузов: М.: Бухгалтерский учет, 2004, ст. 376.

*Mariam Zubiashvili  
Tamar Kiladze*

**ENTERPRISE RECEIVABLES AND PAYABLES  
PERFECTION OF ACCOUNTING  
Summary**

The present article deals with the problems of accounting for receivables and accounts payable of the enterprise, outlines the importance of their proper accounting. Deficiencies in their accounting have been identified and recommendations for improving debt accounting have been proposed in the form of the production of registers on the example of JSC Georgian Beer Company.

## საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის შეფასების პრობლემები

*ანოტაცია.* სტატიაში განხილულია საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების და მართვის თავისებურებები. გამოყოფილია ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები. წარმოდგენილია საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ამაღლების რეკომენდაციები.

\*\*\*

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების როლი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა აუცილებელი გახადა აღნიშნულ სფეროში მოწესრიგებული სისტემის ფორმირება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის განვითარება ეფექტური მეთოდებით. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი ეხება არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ეკონომიკის ყოველ ცალკეულ სუბიექტს, რამდენადაც გარე სფეროს ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კრიზისული გამოვლინებები.

საწარმოს განვითარების ეფექტური სტრუქტურის შერჩევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საინფორმაციო ბაზა, რომლის საფუძველზეც ტარდება საწარმოს შესაძლებლობების და გარე სფეროს საფრთხეების ანალიზი და შეფასება. ამგვარი ინფორმაცია აკუმულირდება საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის და შეფასების სხვადასხვა მეთოდების, ასევე განვითარების შესაბამისი მოდელების გამოყენების ფარგლებში [4].

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის მეთოდების გამოყენების პროცესში, მიღებული ინფორმაცია სრულად უნდა ასახავდეს საწარმოს სხვადასხვა სეგმენტების მიხედვით საქმიანობის ფაქტიურ ფინანსურ მდგომარეობას, რომელიც ინფორმაციის მომხმარებლის ყველა საინფორმაციო მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ესე იგი, უნდა იყოს „გამჭვირვალე“, სრული და უტყუარი სახელმწიფოსათვის, აქციონერებისათვის, ინვესტორებისათვის და მენეჯერებისათვის. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის თანამედროვე მოდელების გამოყენებით შესაძლებელია გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ საწარმოს საფინანსო საქმიანობაში ნაკლოვანებები და მოინახოს კომპანიის ღირებულების ზრდის რეზერვები [3].

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზისათვის და მდგომარეობის გამოვლენისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს ბუღალტრული ანგარიშგება. ანგარიშგება და ბუღალტრულ ბალანსთან განმარტებები ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა და ბუღალტრული ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ეკონომიკური უსაფრთხოების ასპექტში გამოყენების ობიექტს წარმოადგენს.

კვლევის ობიექტად შერჩეულია სს „ქართული ლუდის კომპანია“. კომპანია მოგების მიღების მიზნით შექმნილი კომერციული ორგანიზაციაა. კომპანიის საქმიანობის ძირითადი სახეა უალკოჰოლო სასმელების წარმოება. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასებისათვის შერჩეულ იქნა შემდეგი მაჩვენებლები:

- საწარმოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლები;
- მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლები;
- შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლები;
- შრომითი რესურსების უზრუნველყოფის ეფექტურობის მაჩვენებლები;
- ლიკვიდურობის მაჩვენებლები;
- ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები;
- საწარმოს რენტაბელობის მაჩვენებლები.



მაჩვენებელთა ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფს მიეკუთვნება ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ბოლო სამი. უფრო დეტალურად განვიხილოთ გაანგარიშებით მიღებული შედეგები.

ლიკვიდურობის მაჩვენებელთა ანალიზისათვის შევადგინეთ ცხრილი 1.

მოცემული მაჩვენებლების გაანგარიშების მონაცემებისა და ზოგადმიღებული ნორმების საფუძველზე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ უარყოფითი გადახრა აღინიშნება მხოლოდ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის მიმართ 2019 წელს, ე.ი. ამ პერიოდში კომპანიამ მის ხელთ არსებული ფულადი თანხებით ვერ მოახერხა მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა.

*ცხრილი 1*

**სს „ქართული ლუდის კომპანია“-ს ლიკვიდურობის მაჩვენებლები**

| მაჩვენებლები                        | 2018 წ. | 2019 წ. | 2020 წ. | ნორმატიული მნიშვნელობა |
|-------------------------------------|---------|---------|---------|------------------------|
| მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი  | 1,2     | 1,7     | 2,2     | 1-დან 2-მდე            |
| სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი     | 1,3     | 1,0     | 1,0     | 1-დან 1,5-მდე          |
| აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0.42    | 0,03    | 0,4     | >0,2                   |

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ამ მაჩვენებელთა დინამიკა 2018-2020 წლებში, რომელიც ხასიათდება თავისი არაერთმნიშვნელობით. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას საბრუნავი აქტივებით, იმყოფება ნორმის ფარგლებში, და უფრო მეტიც, მას აქვს ზრდის ტენდენცია. თავის მხრივ, სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი რა თქმა უნდა ნორმის ფარგლებშია, თუმცა 2019 წლიდან წინა წელთან შედარებით კლების ტენდენციით ხასიათდება. მოცემული მაჩვენებლების ცვლილებები შეიძლება აიხსნას მარაგების ზრდით, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის აქტივების ლიკვიდურობას.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს შედარებით სტაბილურ სიდიდეს, რომელიც ჯდება ნორმის ფარგლებში. ლიკვიდურობის კოეფიციენტები მჭიდრო კავშირში არიან ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტებთან და განსაზღვრავენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

ცხრილი 2 გვიხასიათებს საწარმოს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლებს.

ავტონომიის კოეფიციენტის განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ იგი დინამიკაში შემცირებულია. ასეთი უარყოფითი ფაქტი აიხსნება კომპანიის ბალანსში საკუთარი სახსრების წილის შემცირებით 2018 წელთან შედარებით. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანების ზრდა.

*ცხრილი 2*

**სს „ქართული ლუდის კომპანია“-ს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები**

| მაჩვენებლები                     | 2018 წ. | 2019 წ. | 2020 წ. | გადახრა            |                     |
|----------------------------------|---------|---------|---------|--------------------|---------------------|
|                                  |         |         |         | 2019 წ. 2018წ.-თან | 2020 წ. 2019 წ-თან. |
| ავტონომიის კოეფიციენტი           | 0,51    | 0,48    | 0,43    | -0,03              | -0,05               |
| ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი | 0,85    | 0,87    | 0,85    | +0,02              | -0,02               |
| კაპიტალიზაციის კოეფიციენტი       | 0,40    | 0,42    | 0,40    | +0,02              | -0,02               |
| მანევრირების კოეფიციენტი         | 0,34    | 0,30    | 0,29    | -0,04              | -0,01               |

რაც შეეხება ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტს, იგი ნორმის ფარგლებშია, თუმცა 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 0,02 ერთეულით. ასეთი ტენდენცია თუ გაგრძელდა, კომპანია სულ უფრო დამოკიდებული გახდება კრედიტორებზე. ასეთი უარყოფითი ტენდენცია რომ შეჩერდეს, კომპანიამ საჭიროა გაატაროს ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებები, როგორებიცაა: შეამციროს საკრედიტო სახსრები, გაზარდოს საკუთარი კაპიტალი დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციის გზით. უარყოფითი დინამიკით გამოირჩევა მანევრირების კოეფიციენტი. აღნიშნული მაჩვენებელი 2018-2020 წლებში ნორმის ნახევარსაც (ნორმა 0:1) კი არ შეადგენს, ეს ნიშნავს, რომ კომპანიის საკუთარ საბრუნავ სახსრებში თავისუფალი ფულადი სახსრები მხოლოდ მესამედს შეადგენს, რაც უდავოდ არ არის კარგი მაჩვენებელი.

მოგების ცვლილებამ განაპირობა რენტაბელობის მაჩვენებლების ცვლილება (ცხრილი 3).

კომპანიის საერთო რენტაბელობა 2020 წელს 2018 წელთან შედარებით შემცირდა 0,02%-ით, ე.ი. ამ პერიოდში კომპანიის საწარმოო ფონდების ყოველ ერთ ლარზე მოდის 0,06 ლარი, რაც 2018 წელთან შედარებით 0,02 ლარით ნაკლებია.

**ცხრილი 3**

### კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები

| მაჩვენებლები   | 2018 წ. | 2019 წ. | 2020 წ. | გადაზრა             |                     |
|--|---------|---------|---------|---------------------|---------------------|
|  |         |         |         | 2019 წ. 2018 წ.-თან | 2020 წ. 2019 წ.-თან |
| საწარმოო ფონდების საერთო რენტაბელობა (წმინდა მოგების შეფარდება ძირითად ფონდებთან და საბრუნავ საშუალებებთან), % | 0,08    | 0,05    | 0,06    | -0,03               | +0,01               |
| გაყიდვების რენტაბელობა (რეალიზაციიდან მოგების შეფარდება ამონაგებთან), %  | 1,34    | 0,97    | 0,92    | -0,37               | -0,05               |
| პროდუქციის წარმოების რენტაბელობა (რეალიზაციიდან მოგების შეფარდება სრულ თვითღირებულებასთან), %                  | 0,77    | 0,73    | 0,70    | -0,04               | -0,03               |

ამასთან ერთად, გაყიდვების რენტაბელობა და პროდუქციის წარმოების რენტაბელობა 2018-2020 წლების პერიოდში შემცირების ტენდენციით ხასიათდებიან, რაც ადასტურებს მოგების შემცირებას მაჩვენებელთა ცვლილებების სტრუქტურაში.

ამგვარად, სს „ქართული ლუდის კომპანია“-ს ეკონომიკური უსაფრთხოების გამოყოფილი მაჩვენებლებისა და ანალიზის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების სახით შეიძლება განისაზღვროს დაბალანსებული მაჩვენებელთა სისტემის პროექტის შემუშავება. აღნიშნული პროექტის შემუშავება უპრიანია ისეთ პირობებში, რომელშიც იმყოფება ორგანიზაცია მოცემულ მომენტში, რამდენადაც სწორედ ეს სისტემა გულისხმობს საწარმოს მიმდინარე საქმიანობის დეტალურად და ყოველმხრივად შესწავლას და მათი გადაჭრის გზებს ბიზნეს-დაგეგმვის ფარგლებში.

დაბალანსებული მაჩვენებლების სისტემის პროექტის შემუშავების დროს აუცილებელია გვახსოვდეს ფაქტორთა თითოეული ჯგუფის მნიშვნელობა, ასევე გავითვალისწინოთ კომპანიის ფაქტიური მონაცემები, რათა არსებულ სიტუაციაში სწორედ გამოვავლინოთ მნიშვნელოვანი მაჩვენებლები.

საწარმოს განვითარების სტრატეგიის ფორმირებისას, მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომა, რომლითაც შესაძლებელია საქმიანობის ყველა ასპექტის გათვალისწინება, რაც გამორიცხავს დისბალანსს [2].

ამგვარად, გამოკვლეული საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლების გზებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- მოკლევადიან მიზნებთან ერთად შემუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, მათი კონკრეტიზაციის ჩვენებით;

- განვითარების „საგზაო გეზის“ ფორმირება, შიდა და გარე ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით;

- მისაღწევი შედეგების კონტროლის მიზნით ზღვრული მნიშვნელობების განსაზღვრა;

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების რეალიზაციაში მიზნებსა და დადგენილ ბიუჯეტებს შორის ბალანსის მიღწევა.

ამგვარად, საწარმოს ეკონომიკური დაცვის ამალგების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებისას აუცილებელია დავეყრდნოთ პრაქტიკაში გამოყენებულ მეთოდებს, საწარმოს ეკონომიკური, რესურსული, ტექნოლოგიური და სხვა შემადგენელი ნაწილების გათვალისწინებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი მ., საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობებში, თბ. 2006, გვ. 273;

2. ოთინაშვილი რ., საქართველოს ეკონომიკის უსაფრთხოების ზოგიერთი თავისებურებები., საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, შრომების კრებული, V ტომი, თბ. 2000, გვ. 122;

3. Одинцева Н.А. Особенности экономической безопасности субъектов хозяйствования. Вестник Таганского института управления и экономики, 2019 №1(29), с. 31-35;

4. Белкин Д.В. Способы обеспечения экономической безопасности предприятия. Вестник Московского университета МВД Россия, 2018, №4, с. 236-239.

*Mariam Zubiashvili  
Nino Mghvdeladze*

### ENTERPRISE ECONOMIC SECURITY MANAGEMENT EVALUATION PROBLEMS Summary

The article discusses the peculiarities of economic security assessment and management of the enterprise. The main indicators reflecting the level of economic security are separated. Recommendations for raising the level of economic security of the enterprise are presented.

*ლია თოთლაძე  
გივი ვეშაპელი*

### ციფრული ტრანსფორმაციის შრომასა და შრომის ბაზარზე გავლენის საკითხისათვის

**ანოტაცია.** ოცდამეერთე საუკუნის გლობალური ეკონომიკა ინოვაციების, ტექნოლოგიების, პროდუქტიულობის, ახალი ცოდნისა და უნარების ეპოქა გახდა, რომელიც ორიენტირებულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე. ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად კი მუდმივად ვითარდება და იცვლება შრომის ბაზარი. ტექნოლოგიური ცვლილებები გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებაზე, აქედან გამომდინარე მას დიდი გავლენა აქვს ადამიანებზე, ბიზნესზე, დასაქმებაზე, ხელფასზე.

ნაშრომში გადმოცემულია ტექნოლოგიურ განვითარებასა და შრომის ბაზარს შორის დამოკიდებულები, აგრეთვე განხილულია, რობოტებით ადამიანების ჩანაცვლების თანამედროვე ტენდენციები.

ოცდამეერთე საუკუნის გლობალური ეკონომიკა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს თითოეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას. ტექნოლოგიების გავლენით გამოწვეული ცვლილებები აისახება ყველა სფეროზე, ეკონომიკის რეალურ სექტორზე, განათლებაზე, შრომის ბაზარზე.

ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ციფრული ბაზრების ჰარმონიზება თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა. ევროკავშირის მიერ ინიცირებული „EU4Digital: ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ მხარს უჭერს ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების ძირითად სფეროებს ევროკავშირის ნორმების და პრაქტიკის შესაბამისად. ციფრული პროცესების გავლენით მნიშვნელოვნად იცვლება ცხოვრების ყველა ასპექტი და ეკოსისტემის პლატფორმა.

აღსანიშნავია, რომ რამდენადაც მაღალია ქვეყნის ციფრული მზადყოფნა, მით უფრო სწრაფად ხდება ციფრული ეკონომიკის ფორმირება. კორონავირუსის პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა მსოფლიო (და რა თქმა უნდა საქართველოს) ეკონომიკას, ამავდროულად მნიშვნელოვანი ბიძგი გახდა ციფრული ეკონომიკისთვის. ამ დროს კი როდესაც მთელი მსოფლიო უპრეცედენტო ეკონომიკური გამოწვევების წინაშეა და ეძებს არასტანდარტულ, გზებს ეკონომიკის მოდიფიცირებისთვის, გადამწყვეტი როლი ენიჭება მთელი ეკონომიკური სექტორის გაციფრულებას.

ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ გამოხატულებად შეგვიძლია განვიხილოთ შრომის ავტომატიზაცია და შესაბამისად შრომის ბაზრის ტრუქტურისა და დინამიკის შეცვლა. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, შრომის ავტომატიზაციას, თავისთავად აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა ბაზარზე. შრომის ავტომატიზაციაში ჩვენ ვგულისხმობთ ტექნოლოგიების დანერგვის პრაქტიკას, ადამიანური რესურსების ჩანაცვლების ხარჯზე, გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად. შრომის ავტომატიზაციაში, ხშირად მოიაზრებენ ხოლმე ხელოვნური ინტელექტსა და მანქანურ სწავლებას.

ნახაზი #1-ზე წარმოდგენილია გაერთიანებული ერების მიერ 2015 წელს შემუშავებულ მდგარი განვითარების მიზნები 2030 წლისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, გარკვეული პერიოდის შემდგომ ამ მიზნების ამ კონკრეტული თარიღისათვის მიღწევა შეუძლებლად მიიჩნეის (გაეროს მიერვე). მიზნებს შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს ინოვაციური სექტორს. გაეროს მიერ დასახული მიზნების მიღწევის რეალისტურობისა და რეალიზაციის შესაძლებლობას ეძღვნება აშშ წამყვანი საინვესტიციო კომპანიის ARK Invest ის მიერ გამოქვეყნებული კვლევა „Is Innovation the Key to Accelerating Progress toward the United Nations’ Sustainable Development Goals?“ [1], რომელშიც გაანალიზებულია გაეროს მიერ განსაზღვრული მიზნები და ტექნოლოგიების როლი ამ მიზნების მიღწევაში. ამ კვლევაში კარგადაა ასახული თუ რა დადებითი გავლენა აქვს ტექნოლოგიურ განვითარებას (ზოგადად უნდა აღინიშნოს რომ რომ საინვესტიციო კომპანიის ARK Invest-ის კვლევითი ცენტრის კვლევები ორიენტირებული არიან ინოვაციურ ტექნოლოგიებზე).

ნახაზი #1




წყარო: <https://ark-invest.com>

ARK invest-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (რომელიც ეყრდნობა 5 ინოვაციურ სექტორს), ზემოთაღნიშნული 17 მიზნის მიღწევა სავსებით შესაძლებელია.

დღეისათვის, გარკვეულ სექტორებში, რობოტებმა უკვე ჩაანაცვლეს ან ანაცვლებენ ადამიანებს. მაგ: Autonomous mobility - ჩაანაცვლებს მიტანის სერვისში დასაქმებულ ადამიანებს, ასევე, ტაქსისტებს. უფრო რომ განვავრცოთ, თვითმავალი ავტომობილების დანერგვით აღარ იქნება მძღოლების დაქირავების საჭიროება, მიტანის სერვისი კი დრონების საშუალებით განხორციელდება, ეს უკანასკნელი უფრო და უფრო პოპულარული ხდება. 3D Printing - ჩაანაცვლებს ადამიანებს, რომლებიც სამშენებლო ადგილებში მუშაობენ, უმეტესწილად დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე (ყოველწლიურად ამერიკაში 150 000 ათასი მშრომელი ზიანდება და საშუალოდ 1000 იღუპება სამშენებლო ადგილებში. ლოგიკურია კომპანიებისთვის უფრო სარგებლიანი იქნება 3D პრინტერებმა ჩაანაცვლონ ადამიანები, რაც უფრო უსაფრთხო და მომგებიანი იქნება, დამატებული ამას ეს ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდებიან და ნელ-ნელა ხშირდება მათი პრაქტიკაში გამოყენება, მაგ: ჰოლანდიაში უკვე ააშენეს სახლი 3D პრინტერის საშუალებით, სადაც უკვე შეიძლება ცხოვრება). მოცემული ტექნოლოგიებიდან, ვფიქრობთ, ყველაზე საინტერესოა ბლოკჩეინ ტექნოლოგიები და ციფრული საფულეებია, ეს უკანასკნელი დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ამაზე უკვე მრავალი მეცნიერი წერს. თუმცა, ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული საფულეების განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ვინაიდან:

ციფრული საფულეების განვითარება ხდება ბანკების მომხმარებლების ხარჯზე, ანუ უფრო მეტი და მეტი ადამიანი (აღსანიშნავია, რომ უფრო ახალგაზრდებში არის ციფრული საფულეები პოპულარული) სცილდება ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებს და იყენებს ციფრულ საფულეებს. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ციფრული საფულეების ზრდის ტენდენცია 2008 წლის შემდგომ პერიოდში გამოკვეთილია და კარგად ჩანს გრაფიკულ გამოსახულებზე (ნახ.#2).

ნახაზი #2




წყარო: <https://ark-invest.com>

ბანკებს გარდა, ციფრული საფულეების საშუალებით თანხის გადახდა მარტივდება, რაც გამოიწვევს სუპერმარკეტებში და სხვა სერვის სექტორში, ადამიანური პერსონალის დასაქმების საჭიროების კლებას (მაგ: Amazon Go - ამაზონის სუპერმარკეტის ქსელი მომსახურე პერსონალის გარეშე)

შრომის ავტომატიზაციის აშკარა ტენდენციაზე მეტყველებს რიგ სექტორებში რობოტიკაზე გაწეული დანახარჯების მზარდი დინამიკაც. თუ 200 წელს მთლიანი დანახარჯები შეადგენდა 7,4 მლრდ. აშშ დოლარს, 2020 წლისათვის ამ დანახარჯებმა 42,9 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა (ნახ.#3)

დანახარჯები რობოტიკაზე მსოფლიოში



წყარო: <https://data.worldbank.org>

როგორც ზემოთაღნიშნულ გრაფიკულ გამოსახულებაზე ვხედავთ, დანახარჯები რობოტიკაზე იზრდება და სავარაუდოდ მომავალშიც გააგრძელებს ზრდას. ეს კი იმაზე მეტყველებს რომ კომპანიები ცდილობენ განავითარონ ცოდნა ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიკაში, რათა ამ ტექნოლოგიური ინოვაციებით მიაღწიონ შემდეგს:

- 1) შეამცირონ ხარჯები;
- 2) გაზარდონ მოგება;
- 3) შექმნან ახალი ბიზნეს მოდელები;
- 4) შემოგვთავაზონ ახალი პროდუქტი/სერვისი.

ცხადია ეს მიზნები აუცილებელია კომპანიის განვითარებისთვის, რომელიც იგულისხმება ადამიანური შრომის ჩანაცვლებაც. ზემოთაღნიშნული ადასტურებს მაღალკვალიფიციური ადამიანური შრომის რობოტულით ჩანაცვლების რეალურ სურათს, ხოლო რაც შეეხება დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებს, ამ შემთხვევაშიც იგივე შეიძლება ითქვას (თუმცა ამ შემთხვევაში არ ჩანს ცალსახად შრომის ჩანაცვლება, არამედ უფრო ადამიანური და რობოტური შრომის შერწყმა). მაგალითად, ამაზონის საწყობებში დასაქმებულია 100,000 რობოტი და მათი რიცხვი უფროდაუფრო იზრდება, რაც ამ კომპანიის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საწყობებში ადამიანებიც არიან დასაქმებული და დაბალკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებენ. აქაც კარგად ჩანს, რომ შრომის ავტომატიზაციასთან ერთად, რომელიც რასაკვირველია დროთა განმავლობაში დაჩქარდება.

ციფრული ტექნოლოგიების უფრო აქტიურად გამოყენების, ტექნოლოგიური ცვლილებების აქსელერატორის როლი შეასრულა პანდემიამაც. სულ უფრო მოთხოვნადი ხდება ციფრული სერვისები (და შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნა დისტანციურად მომუშავე პროფესიონალებზე), რეალურ საწარმოო პროცესებში კი ავტომატიზაციის ხარისხი სულ უფრო მეტად იზრდება.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიური განვითარება შეუქცევადი პროცესია, ეს უკანასკნელი კი თავის თავში მოიცავს შრომის ავტომატიზაციას, უფრო და უფრო მეტი რობოტის დანერგვას. ეს კი შრომის ავტომატიზაციის წინაპირობას წარმოადგენს. და ცხადია ინოვაციურ სექტორის გაფართოებით და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით ადამიანებისთვის სამუშაოს დაკარგვის საფრთხე რეალურია.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Big Ideas Report 2021. Research Paper of ARK Investment Management, Available at: <https://ark-invest.com/big-ideas-2021/>;
2. Goos, M., Arntz, M., Zierahn, U., Gregory, T., Carretero Gómez, S., González Vázquez, I., Jonkers, K., The Impact of Technological Innovation on the Future of Work, European Commission, Seville, 2019, JRC117212;
3. Vivarelli, M. Innovation and employment. IZA World of Labor 2015: 154 doi: 10.15185/izawol.154;
4. <https://www.businessmodelsinc.com>
5. <https://data.worldbank.org>

*Lia Totladze  
Givi Veshapeli*

### CONCERNING THE ISSUES OF THE INFLUENCE OF THE DIGITAL TRANSFORMATION ON THE LABOUR AND LABOUR MARKET Summary

The twenty-first century global economy has become an era of innovation, technology, productivity, new knowledge and skills focused on sustainable and inclusive growth. With technological development, the labor market is constantly evolving and changing. Technological changes affect the demand and supply of labor, hence it has a great impact on people, business, employment, wages.

The paper discusses the relationship between technological development and the labor market, and also evaluates the current trends in the replacement of humans by robots.

*დავით კბილაშვილი*

### კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) მნიშვნელობა თანამედროვე მომხმარებლებისთვის

*ანოტაცია:* მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში, მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მოპოვება უფრო და უფრო დიდი გამოწვევა ხდება კომპანიებისთვის. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ, თანამედროვე მომხმარებელი უფრო გათვითცნობიერებული გახდა და დღევანდელი მსოფლიოს წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ. შედეგად, მათ აქვთ კომპანიების მხრიდან ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური კონტრიბუციის მოლოდინი.

*საკვამო სიტყვები:* კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, მდგრადი კონკურენტული უპირატესობა, თანამედროვე მომხმარებელი, დაინტერესებული მხარეები.

### შესავალი

CSR არის კომპანიებისა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსების პროცესი. ეს არის კომპანიების მოხალისეობრივი სურვილი, რომ თანხვედრაში მოიყვანონ კომპანიის და საზოგადოების ინტერესები ერთმანეთთან და აირიდონ კონფლიქტი დაინტერესებულ მხარეებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ CSR-ი აქტუალური გასული საუკუნის 90-ან წლებში გახდა, ინდუსტრიულ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტებს და მის მნიშვნელობაზე ხაზგაზმას XIX საუკუნის დასაწყისშიც ვხვდებით. კერძოდ აშშ-ს ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, როცა მუშახელის სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე დაიწყო განხილვები სხვადასხვა ინდუსტრიების დაინტერესებულ მხარეთა შორის. ამავე საუკუნის ბოლოს, ბიზნესმენ და ფილანტროპისტი ენდრიუ კარნეგის (Andrew Carnegie) მემკვიდრეობით, ბიზნესების სოციალური პასუხისმგებლობა უფრო აქტუალური გახდა, თუმცა

მაშინდელი დროისთვის, აღნიშნული, მთლიანობაში ქველმოქმედებასთან ასოცირდებოდა<sup>55</sup>. ტერმინი Corporate Social Responsibility-CSR, ოფიციალურად პირველად გაქდერდა ამერიკელი ეკონომისტის ჰოვარდ ბოუვენის მიერ, მის 1953 წლის ნაშრომში Responsibilities of the businessman. სწორედ ჰოვარდ ბოუვენი ითვლება CSR-ის ფუძემდებლად ბიზნეს სამყაროში. 1971 წელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ სფეროსთვის, რადგან აშშ-ს ეკონომიკის განვითარების კომიტეტმა მიიღო ბიზნესსა და საზოგადოებას შორის სოციალური კონტრაქტის კონცეფცია, რომელმაც წინ წამოწია იდეა, რომ ბიზნესი ფუნქციონირებს საზოგადოებისთვის და რომ მას გააჩნია ვალდებულება იზრუნოს საზოგადოების საჭიროებებზე.

XX საუკუნის 90-ანი წლები კი, ისეთი პროფესორების დამსახურებით როგორებიც არიან დონა ჯეი ვუდი და არჩი ქაროლი, ასოცირდება CSR-ის პრაქტიკაში ასახვასთან. დონა ჯეი ვუდის (Donna J Wood) გამოცემაში Corporate Social Performance Revisited, ავტორმა შექმნა CSR პროგრამების შეფასების მოდელები, რომლებიც ეხმარებათ დაინტერესებულ მხარეებს შედეგების გაზომვაში. არჩი ქაროლის (Archi Carrol) ნაშრომი The Pyramid of Corporate Social Responsibility, კი ეხმარება კომპანიებს იმ მიმართულებების გამოყოფაში, სადაც მისი აზრით, CSR პროგრამების განხორციელება აუცილებელია. უკვე 2000-იანი წლებისთვის დაგროვდა საკმარისი ემპირიული მტკიცებულებები იმისა, თუ რა ზიანი მოაქვს კომპანიისთვის სოციალურად უპასუხისმგებლო პრაქტიკას და როგორი მდგრადი კონკურენტული უპირატესობა იქმნება სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ბიზნეს მოდელით.

\* \* \*

ბიზნეს სამყარომ იხილა კომპანიების არაეთიკური ნაბიჯებით გამოწვეული არაერთი სკანდალი, რის შედეგადაც კომპანიებმა იზარალეს იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე მოიგეს კონკრეტული საზოგადოებისთვის საზიანო ნაბიჯით. მატერიალურ ზარალზე ბევრად უფრო საზიანო შედეგი კი შელახული რეპუტაციაა, რომელსაც უფრო გრძელვადიანი ნეგატიური ეფექტი აქვს კომპანიის აქციის ფასებზე.

მიუხედავად იმისა, რომ 90-ანი წლები CSR-ის აღზევებასთან არის ასოცირებული, ბიზნეს სამყაროში ის მაინც დამატებით, არასავალდებულო ხარჯთან იყო გაიგივებული, ვიდრე ბიზნესის მომავლისთვის აუცილებელ ინვესტიციასთან. მოგების მაქსიმიზაცია და კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობა, თითქოს კონფლიქტში მოდიოდა ერთმანეთთან და ეს დამოკიდებულება იგრძნობოდა წამყვანი უნივერსიტეტების ბიზნეს პროგრამებშიც, სადაც ეთიკას ბიზნეს სახელმძღვანელოების ერთი თავი თუ ეთმობოდა. სწორედ უნივერსიტეტები არიან შრომითი ბაზრის მთავარი მომწოდებლები და ამ დამოკიდებულებით განათლებული წამყვანი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები, ხდებოდნენ სწორედ იმ კომპანიების აღმასრულებელი დირექტორები, რომლებიც ადრე თუ გვიან ეხვეოდნენ არაეთიკური ნაბიჯით გამოწვეულ სკანდალებში. მაგალითისთვის არაერთი ცნობილი კომპანიის მოყვანა შეგვიძლია.

Volkswagen-ის 2015 წლის სკანდალი<sup>56</sup>, რა დროსაც კომპანია აშშ-ში ამხილეს გამონაბოლქვის რეალური დონის გაყალბებაში. შედეგად კომპანიის აქციების ფასები მსოფლიო საფონდო ბირჟებზე მესამედით შემცირდა. BP-ის 2010 წლის სკანდალი, რა დროსაც მექსიკის ყურეში მილიონობით ტონა ნავთობი ჩაიღვარა. მიზეზი კი რისკების შეფასებისას ხარჯების დაზოგვა აღმოჩნდა, რის შედეგადაც კომპანიამ ვერ უზრუნველყო ნავთობმოპოვების პროცესის უსაფრთხოება. შედეგად კომპანიის აქციის ფასები 50%-ით შემცირდა და დამატებით 17 მილიარდი დოლარის ზარალის ანაზღაურება მოუწია. Uber-ის 2017 წლის სკანდალი თანამშრომლების სექსუალური შევიწროვების შესახებ, რომლის შედეგადაც ასევე გაიფადა კომპანიის აქციის ფასები, მიუხედავად იმისა, ჯერ კიდევ არ იყო აქციები საჯაროდ ხელმისაწვდომი. Apple-ის აქციის ფასები, კი მას შემდეგ შემცირდა, რაც კომპანია დაადანაშაულეს ოპერაციული სისტემის ხელოვნურად შენელებაში, რათა მოეხდინათ

<sup>55</sup> <https://www.thomasnet.com/insights/history-of-corporate-social-responsibility/#:~:text=Although%20responsible%20companies%20had%20already,as%20the%20father%20of%20CSR.>

<sup>56</sup> <https://www.ig.com/en/news-and-trade-ideas/top-10-biggest-corporate-scandals-and-how-they-affected-share-pr-181101>



მობილურების ახალი მოდელის გაყიდვების სტიმულირება. Facebook ამხილეს მომხარებელთა მონაცემების გაზიარებაში სხვა კომპანიასთან, მათი ნებართვის გარეშე. შედეგი ასევე შელახული რეპუტაცია და აქციის ფასების 30%-ზე მეტი ვარდნა. Valeant Pharmaceuticals სკანდალში თავისი ბიზნეს განვითარების სტრატეგიის გამო გაეხვა. კერძოდ კომპანია ყიდულობდა მცირე ზომის ფარმაცევტულ კომპანიებს, უმცირებდა მომხარებელს არჩევანს და იყენებდა ამას მედიკამენტებზე ფასების ზრდისთვის. ამ მიზნის გამოაშკარავების შემდეგ, კომპანიის აქციაზე ფასები იმდენად დაეცა, რომ გადაწყდა მისი რებრენდინგი და ამჟამად კომპანიას Bausch Health Companies-ის სახელით არის ცნობილი. Enron-ს კი საერთოდ გაკოტრება მოუწია ფინანსური მაქინაციების და აქციონერების მოტყუების გამო. კომპანია თავს მომგებიანად ასაღებდა, მაშინ როცა სინამდვილეში წამგებიანი იყო და ამის დაფარვას თავისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით ახერხებდა, რომლებსაც სწორედ ვალების დაფარვისთვის იყენებდა. ყველასათვის ცნობილი ბრენდი Nike სკანდალში კამბოჯაში ქარხანაში სახელფასო ხარჯების შემცირების მიზნით ბავშვების დასაქმების გამო. McDonalds, Starbucks, KFC 2014 წელს გაეხვენენ სკანდალში ჩინეთის ბაზარზე<sup>57</sup>, როცა ამხილეს თავიანთ პროდუქტებში ვადაგასული ხორცის გამოყენებაში, რის შედეგადაც საფონდო ბირჟებზე მათი აქციის ფასები დაეცა.

ეს ცნობილი ბრენდების მიერ სოციალურად უპასუხისმგებლო ნაბიჯების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია და როგორც ვნახეთ, ყველა შემთხვევაში კომპანიამ იზარალა მეტი, ვიდრე მოიგო უმეტესად ხარჯების დაზოგვის მიზნით გადადგმული არაეთიკური ნაბიჯით. შესაბამისად დავდივართ მარტივ არითმეტიკამდე, რომ სოციალურად უპასუხისმგებლო ნაბიჯს კომპანია მიყავს წაგებამდე, ბიზნესი კი მომავალზე ორიენტირებული, მოგებაზე გათვლილი საქმიანობაა. სწორედ ამ დასკვნამდე მივიდნენ წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მომავალი ბიზნესმენებისთვის შექმნილ პროგრამებში CSR-ის მეტი ინტეგრაცია მოახდინეს. დღესდღეობით CSR და ბიზნეს ეთიკა, არა მხოლოდ ერთი თავია სახელმძღვანელოებში, არამედ ცალკე საგნად ისწავლება. ის ბრენდები კი, რომლებმაც არაეთიკური ნაბიჯის მტკიცებელი გაკვეთილი მიიღეს თავის დროზე, დღეს ახდენენ საზოგადოების ინფორმირებას თავიანთი საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტების შესახებ ყოველწლიური CSR რეპორტების მეშვეობით. საინტერესო იქნება გავეცნოთ აშშ-ში CSR-სადმი დამოკიდებულების შესახებ მნიშვნელოვან სტატისტიკურ ინფორმაციას, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა ღვინის მოხმარების მხრივ და ამასთანავე აღიარებულია, როგორც ჩვენთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაზარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აშშ ითვლება CSR-ის, როგორც ბიზნესის მართვის ფილოსოფიის გამავრცელებლად მსოფლიოში. კვლევების მიხედვით<sup>58</sup>:

- თანამშრომლებს, რომლებსაც ეძლევათ სამსახურში ქველმოქმედების საშუალება, უფრო ბედნიერები და პროდუქტიულები არიან.

- CSR პროექტებში ჩართული თანამშრომლები 19%-ით უფრო თანახმანი არიან დამატებითი სამუშაო დრო დაუთმონ კომპანიებს.

- კომპანიებს, რომლებსაც გრძელვადიანი და მკაფიო ხედვა აქვთ, საერთაშორისო ბაზარზე წარმატების 50%-ით მაღალი შანსი აქვთ.

- მილენიალების 50% თანახმაა ნაკლებ ხელფასზე იმუშაოს იმ კომპანიაში, რომლის ღირებულებებიც ემთხვევა მათსას.

- ახალგაზრდა თაობის ნახევარზე მეტი დაიცავს იმ კომპანიის ინტერესებს, რომელსაც მათი ინფორმაციით აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო გრძელვადიანი ხედვა.

- აშშ-ს მომხარებლების 71% ელის კომპანიის მხრიდან საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტებს.


- მომხმარებლების 40% ეძებს გრძელვადიანი ხედვის მქონე ბრენდებს და ენდობა მათ კეთილსინდისიერებას.

<sup>57</sup> <https://money.cnn.com/2014/07/21/news/companies/kfc-mcdonalds-china/>

<sup>58</sup> <https://www.globalgiving.org/learn/listicle/csr-facts-you-need-to-know>

- მილენიალი მომხარებლების 76% ელის CEO-ების პირდაპირ ჩართულობას და მოხალისეობრივ ინიციატივებს საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტების მხრივ.

- უფრო და უფრო მეტ კომპანიას სურს მისი ბრენდის ასოცირება ფართო საზოგადოებისთვის სასარგებლო ბრენდად.



წყარო: ავტორი

## დასკვნა

და მაინც, რამ განაპირობა თანამედროვე მომხმარებლებში CSR-ის მნიშვნელობის ზრდა? უპირველესი მიზეზი ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაა. ასევე ინფორმაციის გავრცელების სისწრაფის ზრდა. ერთმა ვირუსულად გავრცელებულმა ვიდეომ, შეიძლება კომპანიის წლობით ნაშენები რეპუტაცია გაანადგუროს. მომხმარებელს დღესდღეობით აქვს უკეთესი საშუალება გადაამოწმოს კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, შეადაროს კონკურენტებს და გახდეს უფრო რაციონალური შესყიდვის გადაწყვეტილებისას. ინფორმაციაზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის შედეგად, გაიზარდა ცნობადობა იმ გამოწვევების შესახებ, რის წინაშეც დღესდღეობით დგას კაცობრიობა იქნება ეს გლობალური დათბობა, გარემოს დაბინძურება, სიღარიბე, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სხვა. აღნიშნული გამოწვევები თავმოყრილია გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნებში (UNSDGs). მსოფლიოში იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სერიოზულად აღიქვამენ ამ გამოწვევებიდან წამოსულ საფრთხეებს და კომპანიების მხრიდან ელიან გაზრდილ პასუხისმგებლობას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სომსანეტი, 2019. CSR-ის მოკლე ისტორია. ელექტრონული წყარო: <https://www.thomasnet.com/insights/history-of-corporate-social-responsibility/#:~:text=Although%20responsible%20companies%20had%20already,as%20the%20father%20of%20CSR.>
2. კ.ონილი. (2020). 16 CSR ფაქტი, რომელიც უნდა ვიცოდეთ. ელექტრონული წყარო: <https://www.globalgiving.org/learn/listicle/csr-facts-you-need-to-know>
3. <https://www.ig.com/en/news-and-trade-ideas/top-10-biggest-corporate-scandals-and-how-they-affected-share-pr-181101>

4. ბლუმბერგის სტატია (2018). ტოპ 10 CSR სკანდალი. ელექტრონული წყარო: <https://www.ig.com/en/news-and-trade-ideas/top-10-biggest-corporate-scandals-and-how-they-affected-share-pr-181101>
5. ტ. პელაჩია, (2019). ღვინის ინდუსტრიის ალტერნატიული თავსახურები. ელექტრონული წყარო: <https://www.forbes.com/sites/thomaspellechia/2019/04/11/three-studies-take-a-look-at-various-wine-bottle-closure-preferences/?sh=3b045cc0598e>
6. ს. პიკარდი (2019). ალტერნატიული თავსახურების გავლენა გარემოზე. ელექტრონული წყარო: <https://www.winemag.com/2019/04/23/wine-closures-pros-cons/>
7. CNN სტატია (2014). მაკდონალდსის და ქეიფსის სკანდალი ჩინეთში. ელექტრონული წყარო: <https://money.cnn.com/2014/07/21/news/companies/kfc-mcdonalds-china/>
8. ა.სპიგა (2020). Dose Sustainability Push to Reshape Business Models? Evidence from the European Wine Industry. Published in journal Sustainability MDPI.
9. გ.ჯოუნს (2020). Green Business Are Incredibly Difficult to Make Profitable. Try it Anyway. Harvard Business School სტატია. ელექტრონული წყარო: <https://hbswk.hbs.edu/item/green-businesses-are-incredibly-difficult-to-make-profitable-try-it-anyway>
10. ფ. ვეგა (2015). Sustainability in the global wine industry. ელექტრონული წყარო: <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2210784316300067>
11. ე.ლანდინ (2012). A closer look at CSR in the wine trade. Published in Meininger's Wine Business International, Issue 3.
12. რ.ლეინ (2018). How Companies Can Increase Market Rewards for Sustainability Efforts. Harvard Business School სტატია. ელექტრონული წყარო: <https://hbswk.hbs.edu/item/how-companies-can-increase-market-rewards-for-sustainability-efforts>

*David Kbilashvili*

## THE IMPORTANCE OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY FOR CONTEMPORARY CONSUMERS

### Summary

Due to the fast technological advancements, pressures regarding environmental sustainability and social responsibility have become inseparable part of various industries. Along with a high quality, modern and future consumers will expect the business practices to be environmentally friendly and sustainable. According to research, an ethical image of the company will play an important role in decision-making of consumers and other internal and external stakeholders as well. There is an obvious trend of integrating CSR into the business practices of the majority of international industries and so called *going green* becomes the popular strategic shift. CSR is still a developing field. However, contemporary business world is full of empirical evidence of the opportunities and threats provided by CSR. This paper outlines opportunities and threats coming from CSR and provides empirical evidences of its importance for contemporary consumers.

**Key words:** CSR, sustainable competitive advantage, business strategy, contemporary consumer, stakeholders.

*თამარ კილაძე  
მარიამ ზუბიაშვილი*

### მარკეტინგის სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის როლი ფირმაში

**ანოტაცია.** დღეს, სოციალურ-ეკონომიკური ზრდის და განვითარების პრობლემის გადაჭრისას, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო საზოგადოება მოიცვა, განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სოციალურ მარკეტინგს. რესურსების გამოყენების გამკაცრების, ეკოლოგიური და სოციალური შეზღუდულობის პირობებში ის შეიძლება განვითარდეს შეცვლილი მარკეტინგის დონეზე და გამოყენებული იქნეს, როგორც ეფექტიან ინსტრუმენტად

მენეჯმენტში. რამდენადაც ცვლილებების დასაწყისი ძირითადად კრიზისულ სიტუაციებს უკავშირდება, სოციალური მარკეტინგი აქტუალურია სწორედ მარკეტინგული პრინციპებისა და ტექნოლოგიების დროული გამოყენებისათვის, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების ქცევის ცვლილებას.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, სოციალური ეკონომიკა, მენეჯმენტი, მარკეტინგი, სოციალური მარკეტინგი.

## შესავალი

მარკეტინგი, როგორც ბაზრის მნიშვნელოვანი კატეგორია განსაზღვრავს მწარმოებლის საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოთხოვნის სამართავად. მარკეტინგის კონცეფცია ემყარება მარტივ ორიგინალურ იდეას: მწარმოებელი აწარმოებს იმას, რაც საჭიროა მომხმარებლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და რაშიც იგი იხდის ფასს. მარკეტინგი წმინდა საბაზრო კონცეფციაა. მისი ფუნქციაა მწარმოებლებს, საცალო მოვაჭრეებსა და მომხმარებლებს შორის კონკრეტულ ბაზარზე ურთიერთკავშირის და საქონლის ურთიერთგაცვლის ორგანიზაცია.

სოციალური მარკეტინგი, როგორც შედარებით ახალი მიმართულება, გამოჩნდა მარკეტინგის ევოლუციის პროცესში და წარმოადგენს მისი მომავალი პერსპექტიული განვითარების ახალ ეტაპს, რომელსაც გააჩნია საკუთარი კონცეფცია, კლასიფიკაციის ობიექტები და აღმოჩენის პირობები.

ეს გამოწვეული იყო მთელი რიგი მიზეზებით. მარკეტინგის განვითარების ეტაპების ანალიზისას ნათელი ხდებოდა, რომ ფორმები ბაზრის შესახებ გადაწყვეტილებებს თავდაპირველად უკავშირებდნენ მოგების მიღებას. ამის შედეგად მიმდინარეობდა მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სტრატეგიული მიზნის რეალიზაცია, რამაც ჩამოყალიბა სოციალური მარკეტინგის კონცეფცია.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მარკეტინგის ქვეშ ხშირად იგულისხმება სტანდარტული მარკეტინგის მეთოდების გამოყენება არაკომერციული მიზნების მისაღწევად და განსახორციელებლად, სოციალური მარკეტინგის გაგება საკმაოდ მარტივია.

მთავარი კითხვა ასე ჟღერს: რა არის სოციალური მარკეტინგის პროდუქტი? არსებობს პროდუქტის განსაზღვრის ორი მიდგომა. უპირველესი უძველესი მიდგომაა -- ყველა საქმიანობიდან ინტერესის არსებობა. ამ შემთხვევაში, პროდუქტი პრაქტიკულად ფულია. ის შეგიძლიათ უბრალოდ დაიბეჭდოს. ზოგადად, ეს არის რეგრესი, ჩამორჩენილობა და სიღარიბე. კოტლერმა დანერგა 4P ფორმულა მარკეტინგებში და გვასწავლა პროდუქტის მარკეტინგისა და მომსახურების მარკეტინგის გამოყოფა.

\*\*\*

ეპოქის ცივილიზაციის ტენდენცია არის სრულყოფილებისკენ მიმავალი გზა. მის კონცეპტუალურ კონტექსტში იქმნება სწორედ სოციალური მარკეტინგი, რომელიც წყვეტს უამრავ პრობლემას. პროდუქტი ამ შემთხვევაში არის ადამიანების შემოქმედებითი ქცევის ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს სოციალურ და ეკონომიკურ წარმატებას.

დღეს სოციალური მარკეტინგის, როგორც მართვის ტექნოლოგიის და ცოდნის სპეციალური სფეროს ყურადღება განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრობლემის გადაჭრის საერთო პროცესით, რომელმაც მოიცვა თითქმის მთელი მსოფლიო საზოგადოება. ამ პროცესის არსი მდგომარეობს მთელ რიგ ტენდენციებში:

- რესურსების შეზღუდვები და ეკოლოგია, გარემოს განადგურება, ბუნებრივი რესურსების შემცირება, მოსახლეობის სწრაფი ზრდა, შიმშილი, სიღარიბე, სოციალური და სამედიცინო დახმარების არარსებობა;

- სამთავრობო ორგანიზაციების, არასათანადო ყურადღება საჯარო სექტორის, ბიზნესის და ადამიანური პოტენციალის მიმართ.

ფილიპ კოტლერი, სოციალური მარკეტინგის ერთ-ერთი ფუძემდებელი ასე განმარტავს ამ ფენომენს: "სოციალური მარკეტინგი არის ადამიანების გაგება და მათთან კომუნიკაცია, რაც იწვევს ახალი შეხედულებების ათვისებას. პოზიციის შეცვლა მათ აიძულებს შეცვალონ საკუთარი ქცევა, რაც გავლენას ახდენს იმ სოციალური პრობლემის მოგვარებაზე, რომელშიც თქვენ მონაწილეობთ."<sup>59</sup> პირველად ფ. კოტლერმა ჩამოაყალიბა სოციალური მარკეტინგის, როგორც სოციალური იდეების მარკეტინგის იდეა, რომელიც გამოყენებულ იქნა და შემდგომ განვითარდა სხვა ავტორების ნაშრომებში. იგი ყურადღებას ამახვილებს მომხმარებლების ორიენტაციის პრინციპზე და ცდილობს გააცნობიეროს, რატომ აქვთ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს დეტერმინული დამოკიდებულება რაიმეს მიმართ და რა პრობლემები წარმოიქმნება ამ დამოკიდებულებების შეცვლასთან დაკავშირებით. ის სოციალურ მარკეტინგს უწოდებს მარკეტინგს არაკომერციული ორგანიზაციებისათვის. ფ. კოტლერი ახორციელებს ტრადიციულ მარკეტინგში რამდენიმე აუცილებელ დამატებას. მისი აზრით, სოციალური მარკეტინგი არის არა ორმხრივი (მიმწოდებელი - მომხმარებელი), არამედ სამხრივი ურთიერთობების პროცესი (მიმწოდებელი - მომხმარებელი - საზოგადოება), ვინაიდან მომხმარებელთა საჭიროებები, სურვილები და ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა მთლიანად საზოგადოების ინტერესებს.

სოციალური მარკეტინგი, ისე როგორც ეკონომიკური სოციოლოგია შეისწავლის ეკონომიკური ფაქტორების გავლენას ადამიანებზე, მცირე და დიდ სოციალურ ჯგუფებზე. სოციალური მარკეტინგისათვის უფრო მნიშვნელოვანია ხალხის საჭიროებები, წარმოების საჭიროებებთან შედარებით.<sup>60</sup>

სოციალური ურთიერთობის მარკეტინგის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ეწევიან საბაზრო საქმიანობას, შეუძლიათ გაზარდონ მისი ეფექტურობა მარკეტინგის საშუალებების გამოყენებით. მეორეს მხრივ, ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ტრადიციული მარკეტინგი უკვე პრობლემატურია და უნდა შეიზღუდოს.

სოციალური მარკეტინგის განსაზღვრისას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მახასიათებელი:

- სოციალური მარკეტინგი განიხილება, როგორც სისტემური გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც ეფუძნება სიტუაციების ანალიზს და მიზნების ფორმულირებას;

- სოციალური მარკეტინგი მიზნად ისახავს საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებას;

- სოციალური მარკეტინგი მიეკუთვნება არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის მრავალმხრივ ფორმებს პოლიტიკური და რელიგიური კულტურის გარემოდან.

სოციალური მარკეტინგს შეუძლია გადალახოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესთან შეუსაბამობა და ბუნდოვანება, რომელიც ორიენტირებულია ნებისმიერი ტიპის რესურსების ჰუმანურ და ფრთხილ დამოკიდებულებასთან, გარემოს დაცვასთან.

ფუნდამენტური განსხვავება სოციალურ მარკეტინგსა და კომერციულ მარკეტინგს შორის მის სპეციფიკურ პროდუქტშია – სოციალურ იდეებში, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ საქონელს და საბაზრო ბერკეტების დახმარებით ვრცელდება, როგორც გაცვლითი პროდუქტი.

სოციალური მარკეტინგის მიზანი, სოციალური პასუხისმგებლობის ახალი კონცეფცია, არის საზოგადოებაში სოციალური ეფექტის მისაღწევად ყველა ძალისხმევის ფოკუსირება. იგი გამოიყენება მოსახლეობის მაღალი რისკის ჯგუფების ქცევაში ცვლილებების შესატანად, არაკომერციული ორგანიზაციების პოზიციებისა და მათი შესაძლებლობების გასამყარებლად.

სოციალური და ეთიკური მარკეტინგის ძირითადი ინსტრუმენტი უფრო ფართოა, ვიდრე კლასიკური. იგი მოიცავს: მარკეტინგ მიქსს, მომხმარებელთა კვლევას, სოციალურ და ეკოლოგიურ კვლევას, რომელიც გამოწვეულია საქონლის წარმოებით და მომსახურებით.<sup>61</sup>

მარკეტინგის გაგების არსებულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა არსებული სოციალური პრობლემების სხვაგვარად გადახედვა. მან თანაბარი გახადა ბაზრის ყველა მონაწილე რათა საზოგადოება იყოს უკეთესი და ამასთან არ იფიქროს მხოლოდ საკუთარ და ორგანიზაციის

<sup>59</sup> Ф. Котлер К Кетинг: „Маркетинг Менеджмент“. Питер.. 2008г.

<sup>60</sup> M. Mercedes Galan-Ladero, Helena M. Alves. Case Studies on Social Marketing: A Global Perspective. 2019.251 p.

<sup>61</sup> Nancy R. Lee, Philip Kotler. Social Marketing: Behavior Change for Social Good. 2019. 624 p.

სარგებელზე. მეცნიერები ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ სოციალური მარკეტინგის განხორციელება შეუძლია: ნებისმიერს ფიზიკურ პირს, არაფორმალურ ჯგუფებს თუ ოფიციალური ორგანიზაციებს, როგორც კომერციულს, ისე არაკომერციულს. პროფესიონალები, რომლებიც კომერციულ ორგანიზაციაში ამ თანამდებობაზე არიან დაკავებული პასუხისმგებელი არიან კორპორაციულ საქველმოქმედო საქმიანობაზე, ორგანიზაციაში კონფლიქტების მართვით და ა.შ.

ამიტომ, ჩვენი აზრით, იმის მტკიცება, რომ ზოგადი გაგებით, სოციალური მარკეტინგი არის სოციალური პრობლემების გადაჭრის ტექნოლოგია და საზოგადოების თვალში კომპანიის იმიჯის ამაღლება, სწორედ სოციალური მარკეტინგის არსია თანამედროვე პირობებში.

ამ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება სოციალური და კლასიკური მარკეტინგის შედარება.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზაციის თვალსაზრისით, სოციალური მარკეტინგი არის მიზნობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების ტექნოლოგია, რომლის მიზანი შემოთავაზებული პროდუქტი ან ქველმოქმედებაა. აქ არ უნდა აგვერიოს სოციალური მარკეტინგი და ქველმოქმედების ცნება. თუ ჩვენ ვსაუბრობთ სოციალურ მარკეტინგზე, მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ძირითადად კომპანიის იმიჯის ამაღლებას და ამ მიზნით კორპორაციის ბრენდის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, ხოლო ქველმოქმედება შესაძლებელია ორგანიზაციის მარკეტინგული ძალისხმევის გარეშე.<sup>62</sup>

ასევე არსებობს ცნება „სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესი“ და, ჩვენი აზრით, სოციალური მარკეტინგი წარმოადგენს მის იდეალური ტიპის პრაქტიკულ გამოხატულებას. სოციალური მარკეტინგის ძირითადი მიმართულებები მოიცავს შემდეგს:

- აუდიტორია;

- მარკეტინგული საკომუნიკაციო საშუალებების მთელი ნაკრების გამოყენება (რეკლამა, გაყიდვების პოპულარიზაცია, გამოფენები, ბაზრობები, პროპაგანდა და ა.შ.);

- კომპანიის რეალური, და არა წარმოსახვითი მიღწევების საფუძველზე სტრატეგიული იმიჯის კონცეფციის შემუშავება და თანმიმდევრული განხორციელება;

- ინფორმაციული კრიზისული სიტუაციების მოლოდინი;

- კომპანიის ყველა თანამშრომლის ინფორმირება კომპანიის საჯარო მისიის შესახებ;

- ადამიანის უნივერსალური მორალური სტანდარტების დაცვა.

ხშირად, ბიზნესმენები "ეჭიდებიან" მხოლოდ თავიანთი საქმიანობის დაფინანსების ძიებას, ავიწყდებათ რა მათი ფუნქციონირების ძირითადი მიზანი – ბაზრის განვითარება თანამედროვე პირობებში. სამწუხაროდ, ცოტა თუ აცნობიერებს, რომ მარკეტინგული საქმიანობა ეხმარება ბიზნესს რესურსების შეგროვებაში და მოზიდვაში.

სოციალური მარკეტინგის შესაძლებლობების ოპტიმალური გამოყენებისათვის საჭიროა შეიქმნას სოციალური და ეთიკური მარკეტინგის საკომუნიკაციო მოდელი, მისი ფორმირების შემდეგი ძირითადი პრინციპების საფუძველზე:

- ჰარმონიული ატმოსფეროს შექმნა ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობაში, რაც მიიღწევა ურთიერთსარგებლობის, ურთიერთგაგების, პასუხისმგებლობის ნორმების უპირობო დაცვით;

- გადაწყვეტილების მიღების ყველაზე სრულყოფილი ინფორმაციული ბაზის ფორმირება;

- თანამშრომლების მოტივაცია მარკეტინგის კონცეფციისა და თითოეული კონტრაქტორის პირადი ეფექტურობის პრინციპის შესაბამისად;

- ფსიქოლოგიური კლიმატის გათვალისწინებით.

ამრიგად, სოციალური და ეთიკური მარკეტინგის საკომუნიკაციო მოდელი გულისხმობს მარკეტინგული კომუნიკაციების განხილვას, როგორც პარტნიორებთან საბაზრო ურთიერთობის განუყოფელ სისტემას იმ პარამეტრებით, რომელთა შორის ძირითადია ინფორმაცია საქონლის გადაადგილების, ბაზრის კონიუქტურაში ცვლილებების, მომხმარებელთა მოთხოვნების და ქცევის, ტექნოლოგიების გაცვლის, ცოდნის და გამოცდილების შესახებ. გარდა ამისა, სოციალური ტექნოლოგიები, რომლებიც იცავს სოციალური და ეთიკური მარკეტინგის ნორმებს

<sup>62</sup> Jeff French, Ross Gordon. Strategic Social Marketing. 2015. 421 p.

ისწრაფვის იმისკენ, რომ კომპანია გაუმკლავდეს სოციალურად მნიშვნელოვან პრობლემებს (სპონსორობა, ქველმოქმედება, ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობა), გაითვალისწინოს სახელმწიფო ინტერესები, მონაწილეობა მიიღოს სოციალური პრობლემების მოგვარებაში. ასეთ საქმიანობას თან უნდა ახლდეს მიმდინარე აქციების კომპლექსი.

მონაწილეობა არაკომერციულ, მაგრამ სოციალურად მნიშვნელოვან პროექტებში კომპანიის სტრატეგიულ და მიმდინარე გეგმებში უნდა შედიოდეს. კომპანიის რეალური მონაწილეობა საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში, რომელიც გათვლილია მომავალზე, წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიული იმიჯის საფუძველს.

მრავალფეროვანი პრობლემები, რომელიც უნდა გადაწყვიტოს სოციალურმა მარკეტინგმა, მოითხოვს ნებისმიერი გავლენიანი ორგანიზაციის ფორმირებას, იქნება ეს კორპორაცია, პოლიტიკური პარტია, ფინანსური თუ დომინანტი სტრუქტურა, ასეთი სამსახურების არსებობა არ გამორიცხავს კომუნიკაციებს სააგენტოებთან და კერძო პრაქტიკის კონსულტანტებთან თანამშრომლობას. საკუთარ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის არსებობის უპირატესობები შემდეგია:

- დეპარტამენტის შტატიანი თანამშრომლები - გუნდის ნაწილი, რომლებიც აღიარებენ "კორპორაციულ იდენტურობას";
- მუდმივი თანამშრომლები, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ მედიასთან;
- გუნდის არაფორმალური საკომუნიკაციო სტრუქტურა, რომელიც ადვილიდ უმკლავდება შიდა მარკეტინგს;
- თანამშრომლების ადვილად ცვლილების ხარჯზე, დიდი რაოდენობის ოპერატიული და გრძელვადიანი ამოცანების გადაჭრა პირადი პასუხისმგებლობით.

სოციალური მარკეტინგის პროგრამები მოითხოვს თითოეული კომპონენტის მიმართ თვალის დევნებას, პროგრამის მიმდინარეობის დროს აღმოჩენილი სისუსტეების და მოულოდნელი დაბრკოლებების გამოვლენის მიზნით, რათა პროგრამა დარეგულირდეს პირდაპირ რეჟიმში. სოციალური მარკეტინგის პროგრამების შედეგები ასევე მჭიდროდ უნდა კონტროლდებოდეს, რათა დადგინდეს, რამდენად სწორად ხდება მათი განხორციელება და როგორია საბოლოო შეფასება.

მარკეტინგის კონცეფცია ასევე მოითხოვს მომხმარებლების მოთხოვნილებების ღრმა და მუდმივ ანალიზს და ცვლილებას მათ ქცევებში. ამიტომ, ყველა დაგეგმილი პროგრამის მიზნების განსაზღვრის წინაპირობების ანალიზიდან უნდა გამომდინარეობდეს მომხმარებლის სურვილები და მოთხოვნილებები. მომხმარებლის შესახებ არსებული კვლევა ფირმის ორიენტაციის საფუძველია. ეს კვლევა ხორციელდება პროგრამის დაწყებამდე და გამოიყენება მიზნობრივი აუდიტორიის საჭიროებების, მისწრაფებების და ღირებულებების გამოსავლენად ყოველდღიური ცხოვრების უფრო ღრმად გააზრების მიზნით. განსაკუთრებით საინტერესოა მომხმარებლის მიერ "პროდუქტის", "მოგების", "ხარჯების" და სხვა ფაქტორების აღქმა (მაგალითად, აღქმული საფრთხეები, დამოუკიდებლობა, სოციალური გავლენა), რაც ხელს უწყობს რეკომენდებული ქცევის მიღებას.

სოციალური მარკეტინგის საგნის განმარტების თავისებურებაა ის, რომ ის ვრცელდება სოციალური სფეროს სექტორებზე. არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგის ან სოციალური მარკეტინგის ქვეშ, ხშირად გულისხმობენ სპორტის, ჯანდაცვისა და განათლების სფეროების მარკეტინგს. ამ სფეროს რეალური მახასიათებელია მომსახურებისათვის ფასიანი და უფასო მიწოდება პირობითი კონკურენტების მიერ.

## დასკვნა

ბაზარმა გააიგივა მაღალი სოციალური მისიის მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფირმებთან. ამიტომ, დღეს სწორედ ის ფირმები აგრძელებენ არსებობას, რომლებმაც იციან თუ როგორ მოიტანონ სარგებელი თავისი ახალი მდგომარეობით, გამოიყენონ სოციალური მარკეტინგი და ეფექტურად იურთიერთონ გარემოსთან.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანდათან იძენენ შესაძლებლობას განსაზღვრონ საკუთარი ადგილი ბაზარზე, გააცნობიერონ კლიენტების საჭიროებები და გაავრცელონ საკუთარი შეხედულებები, რაც ხელს უწყობს მხარდამჭერების და მოხალისეების მოზიდვას მათ რიგებში.

სოციალური მარკეტინგი იყენებს მარკეტინგის პრინციპებს და მეთოდებს სოციალური მიზნის, იდეის ან ქცევის ხელშესაწყობად. ეს კი გულისხმობს ისეთი პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას და კონტროლს, რომლებიც მიმართულია სოციალური იდეის ან პრაქტიკის ამოქმედებისაკენ, რასაც სარგებელი მოაქვს საზოგადოებისათვის. სოციალურმა იდეებმა შეიძლება მიიღოს დარწმუნების, შეხედულების და ღირებულების ისეთი ფორმა, როგორცაა ადამიანის უფლებები. გარდა ამისა, სოციალური მარკეტინგის ორგანიზაციებმა მუდმივად უნდა გაითვალისწინონ თავიანთი გარემოს ცვლილებები და შეძლონ ადაპტირება ამ ცვლილებებთან.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ.თოდუა, ბ. მღებრიშვილი „მარკეტინგის საფუძვლები“ თბ. 2009წ.
2. გ. ნადირაძე. ჩ. ჯაში „სამრეწველო წარმოებისა და საქონლის მარკეტინგი“ თბ. 2000წ.
3. Ф. Котлер К Кетинг: „Маркетинг Менеджмент“.питер.. 2008г
4. Nirmalia kumar, Marketing As Strategy: TheCEO,s Agenda for Driving Gnowth and innovation (Boston: Harvard School press, 2004);
5. M. Mercedes Galan-Ladero, Helena M. Alves. Case Studies on Social Marketing: A Global Perspective. 2019.251 p.
6. Nancy R. Lee, Philip Kotler. Social Marketing: Behavior Change for Social Good. 2019. 624 p.
7. Jeff French, Ross Gordon. Strategic Social Marketing. 2015. 421 p.

*Tamar Kiladze  
Mariam Zubiashvili*

## ROLE OF MARKETING SOCIAL-ECONOMIC CONCEPT IN FIRM

### Summary

Currently at solution of increasing and development of social-economic problem that includes LMOAT II world society, special role has the social marketing. In the conditions of tightening of application of resources, economic and social restrictions it would be developed on the level of changed marketing and would be applied as effective tool in management. As the origination of changes is mainly related with crisis situations, the social marketing is actual rather for the timely application of marketing principles and technologies that stipulates at changes in behavior of society.

*ქეთევან კიწმარიშვილი*

### ინოვაციური საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო საკითხები

*ანოტაცია. ინდუსტრიულად განვითარებულმა, ასევე დინამიურად განვითარებადმა ქვეყნებმა უკანასკნელ წლებში მთამბეჭდავ შედეგს მიაღწიეს უმეტესად წარმატებული ინოვაციურ-ტექნოლოგიური საქმიანობით. დღეისათვის საქართველოში ინოვაციური კლიმატი აღნიშნული საქმიანობისათვის არასახარბიელოა. არ არსებობს ერთიანი ინოვაციური სახელმწიფო პოლიტიკა, სუსტია ინოვაციური ინფრასტრუქტურა, შეზღუდულია ინოვაციის ბაზარი და ამ პროცესების მართვის ნორმალური ეკონომიკური სტიმულირების საშუალება. ფინანსურმა სიძნელებმა სამრეწველო სფეროში, სათანადო გარანტიების არ არსებობამ და თანამედროვე და განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური წარმოების შექმნის სირთულეებმა, განვითარების არასტაბილურმა ტემპებმა კიდევ უფრო შეამცირა ინოვაციური საქმიანობისადმი ინტერესი და გამოიწვია მისი თანდათანობითი*



შეკვეცა. და ეს მაშინ, როდესაც ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება წარმოადგენს იმ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის წარმატებული განხორციელება განაპირობებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების ფართო სპექტრის გადაწყვეტას და არის ის ქმედითი საშუალება, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს ეკონომიკური წინსვლა, და, რაც მთავარია ბაზრის შევსება საკუთარი წარმოების სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიანი პროდუქციით.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერვენცია. ინტელექტუალური პროდუქტი, ინსტიტუცია, ინოვაციური ტექნოლოგია.

## შესავალი

საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ინოვაციური საქმიანობა საკმაოდ დაბალ დონეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს მაღალკვალიფიციური კადრები, შესაბამისი სამეცნიერო-საწარმოო ბაზა, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მარაგები და სხვა, უკიდურესად სუსტია ორიენტაცია ინოვაციური პოტენციალის, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში და საქმიანობის სხვა სფეროებში რეალიზაციისკენ. რაც შეეხება ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ მდგომარეობას დარგობრივ ჭრილში, ნებისმიერი დარგის უპირველესი პრობლემა დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებების, როგორც ბიუჯეტური, ისე არაბიუჯეტური წყაროებით დაფინანსების უკმარისობასთან, მათ შორის მოზიდული სახსრების შეზღუდვასთან. წარმოების მოცულობის შემცირებისა და ფინანსების მუდმივი დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება ფულადი რესურსების გამოყოფა ინოვაციური საქმიანობისთვის.

\*\*\*

მიმდინარე ეტაპზე უდიდეს მნიშვნელობას იძენს საქართველოში ინოვაციური საქმიანობის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, როგორცაა მცირე ინოვაციური, ინჟინირინგული, კონსალტინგური და ინფორმაციული სამსახურები, ტრენინგ-ცენტრები, ლიზინგური მომსახურების კომპანიები, ინოვაციური მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო და არასახელმწიფო ფონდები და სხვა.

ამ მიზნით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო-საზოგადოებრივი მხარდაჭერის სისტემის შექმნა;
2. ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების საკონკურსო სისტემის შექმნა და მცირე და სწრაფად გამოსყიდვისუნარიანი ინოვაციური პროექტების რეალიზაციის სახელმწიფო მხარდაჭერა;
3. ინოვაციურ სფეროში მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაცია და წარმართვა;
4. ინოვაციური პროგრამებისა და პროექტების პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციები, რომელთაც გააჩნიათ ეროვნული მნიშვნელობა;
5. საქართველოში ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი გარემოს ჩამოსაყალიბებლად, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთტრანსფერს და "ნოუ-ჰაუ"-ს გამოყენებას;
6. კერძო ინვესტორებისათვის, რომლებიც წარმართავენ საქმიანობას მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში, ინოვაციის ათვისების პერიოდში სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა საგადასახადო შეღავათების დაწესებით;
7. ინოვაციური საქმიანობის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად დაბეგვრის სისტემის რეფორმირება ამორტიზაციის ანარიცხების მექანიზმების შეცვლის, დაბეგვრის ბაზის დაზუსტების და სხვა საკითხების გადაწყვეტივით;
8. საგარეო-ეკონომიკური ღონისძიებების ხელშემწყობა უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივ საწარმოთა შექმნისა და მეცნიერებატევადი პროდუქტის წარმოებისთვის, საზღვარგარეთ ინფორმაციისა და რეკლამის გავრცელება სამამულო ინოვაციათა შესახებ.

საგამოფენო საქმიანობის სრულყოფა, უცხოურ კრედიტებში ინოვაციური ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისი კვოტების უზრუნველყოფა და სხვ.;

9. ბიუჯეტური და არაბიუჯეტური სახსრების აქტიური მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური პროდუქტის ბაზის ჩამოყალიბებას. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დამუშავებას;

10. ინვესტორების ინტერესის გაზრდის მიზნით პრაქტიკაში შემოღებულ უნდა იქნეს ფინანსური და ტექნიკური რისკების დაზღვევა, რომლებიც დაკავშირებული არიან ინოვაციური პროექტების რეალიზაციასთან;

11. დახმარების გაწევა უცხოური და ადგილობრივი იურიდიული პირებისთვის ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტიციების განსახორციელებლად;

12. ინფორმაციული სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს მონაცემებს ინოვაციური საქმიანობის შესახებ;

13. სახელმწიფო ინოვაციური ფონდის შექმნა. მას, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ მოწინავე ქვეყანაში, შესაძლოა ეწოდოს "სახელმწიფო ინოვაციური ფონდი", "ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი" და სხვ. ასეთი სახელმწიფო ფონდების ეფექტიანი საქმიანობა კარგადაა ცნობილი ბევრ ქვეყანაში.

ყოველივე აღნიშნულის ორგანიზაციის, წარმართვისა და ხელმძღვანელობისთვის, ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების კოორდინაციის მიზნით, საქართველოში როგორც საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, უნდა ჩამოყალიბდეს ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ეროვნული სამსახური.

**ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო-სამართლებრივი პირობების ფორმირება.** ინოვაციური საქმიანობის განვითარების სტრატეგიის აღნიშნულ მიმართულებებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინსტიტუციონალურ გარდაქმნას (პრივატიზება, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების შექმნა, ინოვაციურ სფეროში დემონოპოლიზაცია, მცირე მეწარმეობა და სხვ.), რომლებიც მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნისკენ, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოების ზრდას და ახალი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ათვისებას.

ინოვაციური პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რომელიც განსაზღვრავს ამ საქმიანობას ყველა მიმართულებით. ინოვაციური საქმიანობის საკანონმდებლო ბაზა ეყრდნობა ფუძემდებლურ კანონებს საავტორო უფლებების, საპატენტო და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, ინვესტიციების შესახებ, საგადასახადო, საბაჟო, ანტიმონოპოლიური რეგულირების, ფასებისა და ფასწარმოქმნის, მეწარმეთა და პრივატიზების შესახებ და სხვ. ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება თანხმდება შრომის კანონმდებლობასთან, ბიუჯეტური პროცესებისა და მოწყობის კანონმდებლობასთან, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი პროდუქტის მიწოდებისა და სახელმწიფო საიდუმლო კომერციული საქმიანობის კანონმდებლობასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა სრულად ვერ პასუხობს ინოვაციური პოლიტიკის განხორციელების ამოცანებს და ამ საქმიანობის სწორად წარმართვისათვის საჭიროებს მის გაფართოებას, შევსებას ახალი კანონებით.

გასატარებელია ღონისძიებათა კომპლექსი წმინდა საბაზრო სტრუქტურების შექმნისთვის, მათ შორის ინოვაციური პროდუქტების რეალიზაციის, ინოვაციური ბირჟების ორგანიზაციისთვის. შესამუშავებელი და მისაღებია კანონი "ინოვაციური საქმიანობის და ინოვაციური პოლიტიკის შესახებ".

**ინოვაციური საქმიანობის საწარმოო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა.** ამჟამად ინოვაციურ-ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სიდიდის, პროფილისა და სპეციალიზაციის წარმონაქმნები, როგორცაა ტექნოპარკები, ბიზნეს-ცენტრები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები, კონსალტინგური, ინჟინირული და ლიზინგური საწარმოები და

სხვა სტრუქტურები, რომელთა საქმიანობა განეკუთვნება ინოვაციური ციკლის სხვადასხვა ეტაპს.

სხვადასხვა ქვეყნის ინოვაციურ-სამეწარმეო საქმიანობის ინფრასტრუქტურის – ტექნო-პარკების, მეცნიერულ-სამრეწველო პარკების, კოოპერატივებისა და სხვათა გამოცდილებამ დაგვანახა:

➤ ისინი წარმოადგენენ მეცნიერებისა და წარმოების დაახლოების ეფექტიან ფორმას და რადიკალურად წყვეტენ დანერგვისა და კომერციალიზაციის პრობლემას; მინიმუმამდე დაჰყავთ "კვლევა-დამუშავება-წარმოების" ციკლის ხარნგმლივობა;

➤ მასში კომერციულ საწყისებზე წარმატებით გამოიყენება არსებული მოწყობილობანი და ინტელექტი, რომელსაც განაგებს წარმოება და მეცნიერულ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები;

➤ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებისა და მეცნიერთა გამოკვლევების ორგანიზაციას და მათ მეტად საჭირო კონტაქტებს;

➤ ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური სტიმულირების თანამედროვე მიმართულებას, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას, მათ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას;

➤ საქართველოს პირობებში ინოვაციური სამუშაოების კომერციალიზაციის ყველაზე ეფექტიანი გზა არის მცირე ინტეგრაციული ინოვაციური ფირმების ("ბიზნეს-სათბურები", ტექნო-პარკები, ინოვაციური კოოპერატივები და სხვ.) განშტოებულ ქსელზე დაყრდნობა, რომელსაც გააჩნია უნარი მოკლე დროში, მინიმალური დანახარჯებით დაამუშაოს კონკურენტუნარიანი, მეცნიერებატევადი პროდუქცია.

**პერსონალის მომზადება და გადამზადება ინოვაციური მენეჯმენტის სფეროში.** ინოვაციურ სფეროში საქმიანობის აქტივიზაციის უმთავრეს პირობას წარმოადგენს ამ სფეროში მომუშავე პერსონალის მომზადებისა და გადამზადების საკითხი.

თანამედროვე ბიზნესმენები და მენეჯერები მოქმედებენ სულ სხვა გარემოში, ვიდრე 10-20 წლის წინ. ბევრი მათგანი მწვავედ გრძნობს ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენის აუცილებლობას. ამიტომ, პირველ რიგში, აუცილებელია ქართული გარემოს თავისებურებებიდან გამომდინარე ადგილობრივი კადრების აღზრდასა და განათლებაზე ყურადღების ყოველმხრივი გააქტიურება, მართვის თანამედროვე კულტურის დამკვიდრება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მართვის ეფექტიანობა, მისი ფორმები უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის სპეციფიკასთან, მის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ტრადიციებთან და სხვ.

ღონისძიებები პირველ რიგში მიმართული უნდა იყოს შემდეგ საკითხებზე:

➤ ინოვაციური საქმიანობისთვის პერსონალის (ხელმძღვანელობა, მეცნიერულ-ტექნიკური პერსონალი) მრავალსაფეხურიანი მომზადება და გადამზადება;

➤ რეგიონული საგანმანათლებლო ქსელის მხარდაჭერა; კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით მასწავლებლების, კონსულტანტების კვალიფიკაციის ამაღლება;

➤ სასწავლო პროგრამების რეგიონებზე გავრცელების მიზნით, ინტერაქტიული პროგრამებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების მომზადება ელექტრონული და დისტანციური განათლების სისტემის განვითარებისთვის;

➤ კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის, განსაკუთრებით აქტუალური სასწავლო კურსების, სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა;

➤ ინოვაციურ-ტექნოლოგიური საქმიანობისა და ინოვაციური მეწარმოების მხარდაჭერის საკითხებში რეგიონული ადმინისტრაციული კადრების მომზადება.

**ინფორმაციულ-კომუნიკაციური უზრუნველყოფა.** უნდა შეიქმნას ერთიანი ინფორმაციული ციკლი "მეცნიერება-წარმოება-ბაზარი". ეფექტიანი ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ამ ციკლის ყველა ეტაპზე აუცილებელი ინფორმაციული უზრუნველყოფით. ინოვაციური საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის პოტენციური მეწარმოებლებისა და მომხმარებლების დიდ ტერიტორიაზე დაშორებულების პირობებში.

აღნიშნული საქმიანობის ჩარჩოებში ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია:

➤ ინფორმაციული ქსელის პროგრამული და აპარატული მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთმოქმედ სტრუქტურების საქმიანობას;

➤ მონაწილეთა ინფორმაციული ურთიერთქმედება, მათ შორის გლობალური ქსელის (ინტერნეტი) მეშვეობით;

➤ ინოვაციური პროცესის ძირითადი ნაწილების (პროექტები, ფირმები, კადრები, რესურსები, პროდუქცია და ბაზრის კონიუნქტურა და ა.შ.) ინფორმაციულ მონაცემთა ბანკების შექმნა;

➤ ინფორმაციული რეგლამენტებისა და ფორმატების შემუშავება; მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო ანალოგებთან;

➤ გადაწყვეტილების გამომუშავების უზრუნველყოფისა და მიღებისათვის ინოვაციური სფეროს სტატისტიკური და ანალიტიკური კვლევა;

➤ სარეკლამო და საპრეზენტაციო საქმიანობა.

**ინოვაციური საქმიანობის განვითარების ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები.** მკაცრი ფინანსური პოლიტიკის პირობებში საწარმოები იძულებულნი არიან რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენონ მოქმედი წარმოების მიმდინარე საქმიანობების დაფინანსებაზე და იშვიათ შემთხვევაში ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მენეჯერებატევადი კონკურენტუნარიანი პროდუქციის ათვისებისთვის.

აქტიური ინოვაციური პოლიტიკის გატარებისთვის საჭიროა მივიღოთ არაორდინალური ზომები.

ბიუჯეტური სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელ კონკრეტულ ღონისძიებებს უნდა მიეკუთვნოს:

1. მხოლოდ იმ ინოვაციური პროექტების დაფინანსება დაუბრუნებლობის საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ ზოგად-ეროვნული ხასიათი და გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ზრდაზე;

2. ნებისმიერი ფორმის საკუთრების მქონე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ინოვაციური პროექტების სარეალიზაციოდ ბიუჯეტური სახსრების განთავსების საკონკურსო პრაქტიკის გაფართოება, იმ პირობით თუ წარმოდგენილი პროექტები წინ უსწრებენ მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო და მოზიდული კერძო ინვესტიციები გამოიყოფიან პარიტეტულ საწყისებზე.

პროექტების საკონკურსო შერჩევის სისტემის განვითარება მოხდება საწარმოო ინოვაციების ეროვნული ფონდის მეშვეობით, დაბრუნებადობის საფუძველზე.

ინოვაციური პროექტების მხარდამჭერ ეფექტიან საბაზრო საშუალებად უნდა გახდეს კრედიტი გირაოს გამოყენებით.

აუცილებელია ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების, მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების და ექსპერტის ეროვნული პროგრამის შემუშავება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

1. ინოვაციური საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის, ინსტიტუციონალური გარდაქმნების, ინოვაციურ სფეროში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის და სტიმულირების მექანიზმის შემუშავებას;

2. ინოვაციურ სფეროში დაფინანსების სისტემის განვითარების, სახელმწიფო, კერძო და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;

3. ინოვაციური პროექტების შერჩევისა და ფინანსების დაბრუნებადობის საკონკურსო სისტემის შემუშავებას;

4. რეგიონებში და საზღვარგარეთ ინოვაციური ცენტრების, ასევე ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტების ქსელის შექმნას;

5. სრული ინოვაციური ციკლის ერთობლიობის და მემკვიდრეობითობის უზრუნველსაყოფად, ინოვაციური პროექტების მართვის ინსტიტუტის შექმნას.

**ინოვაციურ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება.** ინოვაციურ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

ბოლო წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთული დინამიკა უკიდურესად ნეგატიურად აისახა საქართველოს ინოვაციურ-ტექნოლოგიურ სფეროზე. ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ინტელექტუალური პოტენციალის ემიგრაციის გააქტიურება, მეცნიერულ-საკონსტრუქტორო კადრების დენადობა, უმუშევრობა. მიმდინარეობს ინტელექტუალური კოლექტივების დაშლა.

## **დასკვნა**

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სირთულეები, რეფორმების კოორდინაციის არასრულყოფილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების გატარების პირობები და სხვა, განაპირობებენ, უცხოეთში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ინოვაციებისა და სამრეწველო ტექნოლოგიების უკონტროლო გადინებას. ამასთან, ექსპორტზე კონტროლისა და მისი რეგულირების შესახებ საქართველოში მიღებული აქტები და გადაწყვეტილებები შემოიფარგლება მხოლოდ სტრატეგიული ნედლეულისა და ტექნიკური საშუალებების ექსპორტზე კონტროლით, სამოქალაქო დანიშნულების მაღალეფექტიანი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ექსპორტი კი საერთოდ არ რეგულირდება. მეცნიერულ-ტექნიკურ და ინოვაციურ-ტექნოლოგიურ სფეროში შეიქმნა რამდენადმე ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაცია, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ინფორმაციათა გაცვლის ობიექტური აუცილებლობით ამ სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არარსებობით, რომელიც აუცილებელია მაღალეფექტიანი სამამულო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის ქვეყნის გარეთ არასანქცირებული გადინების აღსაკვეცად.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016 წ.
2. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგელია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ., 2011 წ.
3. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
4. Иновационный менеджмент, под ред. В. Горфинкеля, М., 2007.
5. <http://www.russba.ru/>

*Ketevan Kitsmarishvili*

## **MEASURES NEEDED FOR THE DEVELOPMENT OF INNOVATIVE ACTIVITIES**

### **Summary**

Industrialized as well as dynamically developed countries have achieved impressive results in recent years with mostly successful innovative-technological activities. At present, the innovative climate in Georgia is unfavorable for these activities. There is no unified innovative state policy, weak innovation infrastructure, limited innovation market and the means of normal economic stimulation of the management of these processes. Financial difficulties in the industrial sector, lack of proper guarantees and difficulties in creating modern and especially high-tech production, unstable pace of development further reduced the interest in innovative activities and led to its gradual shortening. And this is when the activation of innovative activities is a priority, the successful implementation of which leads to the solution of a wide range of economic and social development problems and is an effective tool that can ensure economic progress, and, most importantly, fill the market with competitive products of its own production.

**პროფესორ ალფრედ კურატაშვილის სამეცნიერო შეხედულებები  
სახელმწიფო მართვის პრობლემების შესახებ**

*ანოტაცია. სტატიაში განხილულია პროფესორ ალფრედ კურატაშვილის სამეცნიერო შეხედულებები სახელმწიფო მართვის პრობლემების შესახებ.*

ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე დგას სახელმწიფო მართვის პრობლემა, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა ხალხის სამსახურში ყოფნა და ხალხის ინტერესების დაცვა, კერძოდ, იმ ხალხის სამსახურში ყოფნა, რომლის მიერაც არის არჩეული ესა თუ ის ხელისუფლება.

საყოველთაოდ ცნობილია, აგრეთვე, რომ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ხალხის ინტერესების დაცვა-რეალიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მართვას.

სახელმწიფოთა მიერ მათ წინაშე მდგარი მრავალი სხვადასხვა სახის პრობლემა გადასაწყვეტი, რომელთა წარმატებით გადაჭრის მეცნიერული გზების მუდმივ ძიებაში იმყოფება თითოეული სახელმწიფო.

სახელმწიფოთა წინაშე მდგარი პრობლემები განსხვავებულია ამ სახელმწიფოთა მასშტაბებისა და მათი განვითარების დონიდან გამომდინარე. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნების პრობლემები ძირითადად მდგომარეობს ეკონომიკის განვითარების, ჯანდაცვის მომსახურებისა და განათლების დაბალ დონეებში – მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, საგარეო ვალების გადაუხდელობაში, ფართომასშტაბიანი მიგრაციის პროცესებში, სოციალურად დაუცველი ფენების არსებობაში და ა.შ. რასაც თავის მხრივ ემატება ისეთი პრობლემები, როგორცაა მოსახლეობის დიდი ნაწილის ბანკებზე, ნარკოტიკულ საშუალებებსა თუ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, კორუფცია, ნეპოტიზმი, დემოგრაფიული პრობლემა, აგრეთვე ეკოლოგიური და სხვა ისეთი სახის პრობლემები, რომლებიც პლანეტის მასშტაბით სახელმწიფოთა ერთიანი ძალისხმევით უნდა გადაიჭრას, რადგან, ცალკე აღებულ არცერთ სახელმწიფოს მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ ფინანსური მდგომარეობისა და განვითარების დონის მიუხედავად არ ძალუძს ასეთი მასშტაბური პრობლემების გადაწყვეტა.

ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაანახა ყველას, თუ რა პატარაა მსოფლიო და რამდენად საერთოა პრობლემები. კერძოდ, მხედველობაში მაქვს 2019 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩინეთში დაფიქსირებული ახალი ტიპის კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიის გავრცელების გამო, 2020 წლის 30 იანვარს “საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობის” გამოცხადება, ხოლო 2020 წლის 11 მარტს კი გადაწყვეტილების მიღება მისი პანდემიად გამოცხადების შესახებ. ცნობილია, აგრეთვე, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ბოლოს 2009 წელს იყო გამოცხადებული პანდემია H1N1 ვირუსის გამო, თუმცა, მაშინ მსოფლიოს მასშტაბით ისეთი მკაცრი ზომები არ ყოფილა მიღებული, როგორც ეს ახალი ტიპის კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებით მოხდა [1]. ფაქტიურად, პანდემია უმოკლეს დროში, როგორც იტყვიან “ელვის უსწრაფესად” მოედო თითქმის მთელ მსოფლიოს, ისე, რომ მან ზესახელმწიფოებსაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

სრულიად აშკარაა ისიც, რომ სახელმწიფოს ეფექტიანი მართვა შეუძლებელია მისი სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფის გარეშე. თავის მხრივ, სახელმწიფოს სამართლებრივი უზრუნველყოფის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა სამართლებრივი ნორმების აღსრულების მექანიზმების გამოყენებასთან ერთად წარმოადგენს სახელმწიფოში არსებული სხვა პრობლემების ასევე წარმატებით გადაწყვეტის რეალურ საფუძველს. რადგან, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანებზე ყველაზე უარყოფითად და დამთრგუნველად მოქმედებს უსამართლობის განცდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოში, რომლის ხელისუფლებისთვისაც უმთავრესია ხალხის ინტერესები, ამ ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფო მართვა სათანადო საკანონმდებლო ბაზის მეშვეობით. ხოლო, კანონები – ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა უნდა გამოიყენებოდეს, როგორც ხალხის ინტერესების დაცვის საშუალება. არის შემთხვევები, როცა ხელისუფლებას ისე გაიტაცებს ხოლმე საკუთარი ძალაუფლებით ტკბობა კანონების აღსრულებისას, რომ მას ყურადღების მიღმა რჩება მთავარი საკითხი – რამდენად კანონიერი და სამართლიანია და რამდენად ხალხის სასარგებლოდ არის შექმნილი თვითონ კანონები – ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა? რადგან, თვით “დემოკრატიის ტალღების გუგუნის” დროსაც კი შეიძლება აღმოჩნდეს ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა და “ხალხზე ზრუნვით შეპყრობილმა” ხელისუფლებამ შეიძლება სრულიად ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო კანონები მიიღოს, მით უმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში ხალხის გულისტკივილი გაუგებარია ხელისუფლებისთვის და ხალხის ხმაც ვერ აღწევს ხელისუფლების ყურამდე, ყოველ შემთხვევაში მორიგ არჩევნებამდე მაინც. ანუ როგორც ჩვენს ბრძენ წინაპარს უთქვამს; “რაც არ უნდა მინდისაო, ყურშიც მიმიმედ მიდისაო.” ყველა ადამიანს სამართლიან კრიტიკაზე უფრო მეტად სიამოვნებს იმის მოსმენა, რაც ყურს “საამოდ ხვდება” და ამ მხრივ არც ხელისუფლება წარმოადგენს გამონაკლისს.

კრიტიკა და მით უმეტეს თვითკრიტიკა ყოველად მიუღებელია ხელისუფლებისთვის, პირიქით, გატაცებით ყვებიან თავიანთ წარმატებულ საქმიანობაზე. “წარმატებული ხელისუფლებები” მოდიან და მიდიან, თუმცა ზოგჯერ “რჩებიან” კიდეც, ხალხის მდგომარეობა კი უარესდება და უარესდება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის, სოციალური თუ სხვა უამრავი სახის პრობლემების გადაჭრის გზები, რაც ყველა სახელმწიფოსთვის აქტუალურია, ერთგვარი “მზა რეცეპტების” სახით აქვს მომზადებული **პროფესორ ალფრედ კურატაშვილს** თავის მეცნიერულ თეორიებში, რომელთა შორის განსაკუთრებით არის აღსანიშნავი:

- ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია;
- ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია;
- ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების თეორია;
- ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს თეორია;
- ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური კანონის თეორია;
- საკუთრების ჭეშმარიტად საზოგადოებრივი შინაარსის თეორია, რომელიც (საკუთრების საზოგადოებრივი შინაარსი) განისაზღვრება საკუთრების ფუნქციონირების სოციალური მიმართულებით მისი ფორმის მიუხედავად;
- მატერიალური სტიმულირებისა და ეკონომიკურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თეორია;
- საბაზრო ურთიერთობების გენეტიკურად ანტაგონისტური ბუნებისა და ხალხის ინტერესებისათვის მათი ფუნქციონალური გამოყენების მექანიზმის თეორია;
- არაეკონომიკური ექსპლუატაციის თეორია – ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მითვისების თეორია;
- თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება – საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია;
- სოციალურად გამიზნული კომუნიკაბელური საზოგადოებისა და სახელმწიფოს თეორია;
- ხალხის ეკონომიკური გენოციდის თეორია;
- ხალხის ეკონომიკური გაუპატიურების თეორია [2. გვ. 8-12].

**პროფესორ ალფრედ კურატაშვილის** მიერ შექმნილი ათეულობით თეორიიდან ეს არის მოკლე სია – მცირე ჩამონათვალი იმ თეორიებისა, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფოთა მმართველებმა, თუ მათ ნამდვილად ექნებათ სურვილი ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოსა და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების შექმნისა, რომელ სახელმწიფოსა და საზოგადოებაშიც უმთავრესი – გაბატონებული იქნება ხალხის ინტერესები, რომლის მუდმივ სამსახურშიც უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო ხელისუფლება, რამეთუ სახელმწიფო ხელისუფლების უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა, მისი მთავარი ფუნქცია და დანიშნულება არის სწორედ ადამიანების – საზოგადოების – ხალხის ინტერესების დაცვა, რაც მთავარ და ძირითად საკითხს წარმოადგენს **პროფესორ ალფრედ კურატაშვილის** მთელ მეცნიერულ შემოქმედებაში.

დიდ ყურადღებას იმსახურებს **პროფესორ ალფრედ კურატაშვილის** კრიტიკული მოსაზრება საერთაშორისო მასშტაბით ფართოდ დამკვიდრებულ ტერმინ – “კანონის უზენაესობა”-სთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც იგი წერს:

“ხოლო თუ კანონის უზენაესობაში იგულისხმება, რომ კანონი ემსახურება ხალხის ინტერესებს, მაშინ უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში უნდა ეკუთვნოდეს ადამიანის ინტერესებს – ხალხის ინტერესებს, და არა კანონს, რამეთუ კანონის უზენაესობა საზოგადოებაში და სახელმწიფოში პირდაპირ და უშუალოდ ნიშნავს კანონის უზენაესობას ადამიანზე – ნიშნავს კანონის უზენაესობას ხალხზე, რასაც არ შეიძლება ჰქონდეს არავითარი გამართლება.

მაშასადამე, საზოგადოებაში და სახელმწიფოში კანონის უზენაესობის შემთხვევაში, კანონი ბატონობს ადამიანზე – კანონი ბატონობს ხალხზე.

ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ხალხზე ბატონობს სახელმწიფო ხელისუფლებაც, რომელიც ღებულობს კანონებს და სხვა სამართლებრივ აქტებს, და აგრეთვე აკონტროლებს მათ აღსრულებას, და რომელსაც ზოგჯერ შეუძლია მიიღოს ისეთი კანონები, და შეუძლია მოითხოვოს ისეთი კანონების აღსრულება, რომლებიც არა მარტო არ იქნება ხალხის სამსახურში, არამედ გამოყენებული იქნება როგორც ხალხის ძარცვისა და დამონების საშუალება, გამოყენებული იქნება როგორც ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი გენოციდის საშუალება” [3, 114-115].

მაშასადამე, – სავსებით სამართლიანად აღნიშნავს **პროფესორი ალფრედ კურატაშვილი**, – სრულიად უსაფუძვლოა, იმის გაფიქრებაც კი, რომ თითქოს ხალხის ინტერესების უზენაესობა წინააღმდეგობაშია სახელმწიფო მართვის სამართლებრივ უზრუნველყოფასთან, რამეთუ სახელმწიფო მართვა და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს მხოლოდ ხალხის ინტერესების უზენაესობის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ საშუალებას [3].

**პროფესორ ალფრედ კურატაშვილის** მიერ შექმნილი “ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია” ყველა სახელმწიფოს ხელისუფალთათვის, თუ ისინი ნამდვილად აპირებენ ხალხის სამსახურში ყოფნას, კონსტიტუციასთან ერთად უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ ძირითად სამოქმედო დოკუმენტს და თუ მოახერხებენ ამ თეორიის პრაქტიკულ რეალიზაციას, მაშინ ხალხი გაცილებით უფრო უკეთესად იცხოვრებს.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია, აუცილებელი პირობაა, რომ მოხდეს სახელმწიფო მართვის სათანადო სამართლებრივი უზრუნველყოფა, რადგან შეუძლებელი და წარმოუდგენელიცაა ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია – პრაქტიკული განხორციელება სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის გარეშე.

ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებით, **პროფესორ ალფრედ კურატაშვილის** მიერ შექმნილი ზემოთ ჩამოთვლილი თეორიებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია, რომლის ქვესათაურია – “პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი”. ფაქტიუ-



რად ამ პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორიის სათაურშივე ყველაფერი ნათლად არის გადმოცემული. კერძოდ, ნათლად ჩანს, რომ თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია წარმოადგენს ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის პრაქტიკული რეალიზაციის თეორიულ-ინტელექტუალურ საფუძველს [4].

ამრიგად, სახელმწიფო მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის, სოციალური და სხვა სახის პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას ერთმნიშვნელოვნად მივყავართ **პროფესორ ალფრედ კურატაშვილის** მიერ შექმნილ მეცნიერულ თეორიებამდე, რომლებშიც მარტივი და გასაგები ენით არის ახსნილი აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზები, რასაც სჭირდება სახელმწიფოს კეთილი ნება – რომ სახელმწიფოში უმთავრესი იყოს ხალხის ინტერესები, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს სოციალური მიზანი, რომლის რეალიზაციისთვისაც, ისევ **პროფესორ ალფრედ კურატაშვილის** სიტყვებით რომ დავამთავროთ, “ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი გამორიცხავენ ანტი-სოციალურ, ანტიჰუმანურ, ანტიხუმბრივ მოვლენებს” [5, გვ. 93]. აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე **პროფესორ ალფრედ კურატაშვილს** ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა გამოქვეყნებული არაერთი სამეცნიერო ნაშრომი [2. გვ. 305].

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კოზმანაშვილი ლ., ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ზოგიერთი ცვლილების შესახებ. სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემები. XXXIV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (09.11.2020). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2020. გვ. 80-81.

2. კურატაშვილი ალფრედ. პოლიტიკური მენეჯმენტის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები. *მმართველობითი სამართალი და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმსაზღვრელი თეორიული ბაზისი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2003. \_ 720 გვ.

3. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2003. \_ 336 გვ.

4. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2003. \_ 256 გვ.

5. Кураташвили Альфред А. Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: "Актуальные проблемы теории" (15-16 мая 1980 г.). Тбилиси: "Мецниереба", 1980. – с. 79-104.

*Lia Kozmanashvili*

### PROFESSOR ALFRED KURATASHVILI'S SCIENTIFIC VIEWS ON PUBLIC ADMINISTRATION PROBLEMS

#### Summary

The aim of the article is to study the ways of legal provision of public administration, solution of social and other problems according to the scientific theories of Professor Alfred Kuratashvili.

The article discusses the scientific theories of Professor Alfred Kuratashvili. The article focuses on the theory of the supremacy of the interests of the people and the theory of balancing the rights and responsibilities of officials: the theory of the supremacy of the interests of the people - as a fundamentally new scientific direction and the theory of governance law and the legal system of a truly human society; And the theory of balancing the rights and responsibilities of officials - as well as a fundamentally new scientific direction, which is the theoretical-intellectual basis for the practical realization of the theory of the supremacy of the interests of the people.

**Keywords:** *problem of legal provision of public administration, scientific theories, supremacy of people's interests, protection of people's interests, rule of law.*

**ზურაბ ლიპარტია**  
**ბესიკ შერაზადიშვილი**

### **სტრატეგიული მენეჯმენტი ეფექტური რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა)**

**ანოტაცია.** საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონის რესურსული პოტენციალის, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რეგიონის ეკონომიკის განვითარების რაციონალური მიმართულებების განხილვის საკითხებს. საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაგეგმვის უპირატესობის გამოყენება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სწრაფი რეაგირება საბაზრო შესაძლებლობებზე, რისკის პრობლემებსა და უსაფრთხო განვითარებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** *სტრატეგიული მენეჯმენტი; რეგიონების სტრატეგიული განვითარება; რეგულირების მენეჯმენტის ინსტრუმენტები.*

### **შესავალი**

სტრატეგიული მენეჯმენტი ორგანიზაციის მართვაა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანთა პოტენციალზე, რომლის დროსაც საწარმოო პროცესი ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნილებებზე, მოქნილად რეაგირებს და ახორციელებს სათანადო ცვლილებებს ორგანიზაციაში, ზუსტად პასუხობს გარემოს გამოწვევებს, აღწევს კონკურენტულ უპირატესობებს და იძლევა ხანგრძლივი პერსპექტივის საშუალებას და იმავდროულად ახორციელებს ორგანიზაციის მიზნებს.

საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონის რესურსული პოტენციალის, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რეგიონის ეკონომიკის განვითარების რაციონალური მიმართულებების განხილვის საკითხებს: ა) გლობალიზაციის პროცესის მიზეზებისა და მამოძრავებელი ძალების ანალიზს; ბ) ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრას; გ) რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწავლის სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების შეჯერებას; დ) კლასტერების კონცენტრაციის თეორიული საფუძვლების შემუშავებასა და რეგიონის კონკურენტუნარიანობაში მათი როლის განსაზღვრასა და ე) რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასებას.

ამრიგად, საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში მნიშვნელოვანია საწარმოთა გადარჩენის სტრატეგიის ფორმირება და სტრატეგიული დაგეგმვის უპირატესობის გამოყენება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სწრაფი რეაგირება საბაზრო შესაძლებლობებზე, რისკის პრობლემებსა და უსაფრთხო განვითარებაზე.

## სტრატეგიული მენეჯმენტი ეფექტური რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა)

სტრატეგიული მენეჯმენტი შედგება ორგანიზაციის დანიშნულებისა და მთავარი მიზნისაგან; ორგანიზაციის გარემომცველი გარემოს ანალიზისაგან; ორგანიზაციის სტრატეგიის შერჩევისა და დამუშავებისაგან; ორგანიზაციის ორგანიზაციული სტრუქტურის შერჩევისაგან; ორგანიზაციის საქმიანობის ცალკეულ სფეროებში ფირმის პოლიტიკისა და მოქმედების ნორმატივების დადგენისაგან; კომპანიის შედეგებსა და სტრატეგიაში უკუკავშირების უზრუნველყოფისაგან; სტრატეგიის, სტრუქტურისა და მართვის სრულყოფისაგან.

ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება ეყრდნობა იმ პირობების გამოვლენას, შეცნობასა და გამოყენებას, რომლებიც განსხვავებული (უნიკალური), და ღირებულია ამ კომპანიისათვის და რომლებიც ვერ იქნება გამოყენებული სხვა კომპანიების მიერ. ზოგიერთი მოდელის ჩარჩოებში სტრატეგიის შემუშავება განიხილება, როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის ფორმირების პირველი ნაბიჯი. ამ პროცესის მეორე ელემენტია სტრატეგიის რეალიზაცია. მასში ჩართულია: კომპანიის ამოცანების განსაზღვრა, მუშახელის მოზიდვა (რომლებიც მზად იქნებიან სანიმუშოდ შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები), ასევე მათი ანაზღაურების სისტემის შემუშავება. მესამე და ბოლო ელემენტია ის გარემო, რომელშიც მოქმედებს კომპანია და რომელიც აუცილებლად განიცდის ცვლილებებს დროის განმავლობაში. ყველა ასეთ შემთხვევაში კომპანიამ უნდა გადახედოს თავის მიდგომებს და შეიტანოს კორექტივები არჩეულ სტრატეგიაში, რათა დაბრუნდეს ეფექტიანობის უფრო მაღალ დონეზე.

მიღებულია, რომ კომპანიის სტრატეგიაზე უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ მაღალი რგოლის მენეჯერებს, რომლებიც მართავენ კორპორაციის ბიზნესსა და სტრატეგიას. ბიზნეს-მენეჯერებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბიზნესის სტრატეგიულ ელემენტებზე. დივერსიფიცირებულ კომპანიებში, რომლებიც მოქმედებენ ბიზნესის რამოდენიმე სფეროში, ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბიზნესის სტრატეგიულ ელემენტებზე, მართავენ ბიზნესს და იკავებენ რიგ თანამდებობებს, ბიზნეს-მენეჯერის, განყოფილების ხელმძღვანელის ან ბიზნესის სტრატეგიული ხელმძღვანელის თანამდებობის ჩათვლით.

სტრატეგიის ფორმულირება და რეალიზაცია განიხილება როგორც კორპორაციული სტრატეგიის ურთიერთდაკავშირებული ელემენტები. კორპორაციული სტრატეგია წარმოადგენს ორგანიზაციულ პროცესს, რომელიც ბევრ რამეში განუყოფელია კომპანიის სტრუქტურის, მოქმედების და კულტურისაგან (რომლის ფარგლებშიც ხდება მისი განხორციელება).

**სტრატეგიული ჯგუფების გამოვლენა:** დარგის ზოგადი ანალიზის ჩატარების შემდეგ საჭიროა ფირმის მთავარი კონკურენტების გამოვლენა. როგორც აღნიშნული იყო, მცირე ბიზნესის ფარგლებში დარგი განისაზღვრება კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში მდებარეობის მიხედვით, ამიტომ გამოვლენილი უნდა იყოს სტრატეგიული ჯგუფები იმ გარემოს ფარგლებში, რომელშიც მოქმედებს ფირმა. სტრატეგიულ ჯგუფს უწოდებენ ისეთი ბიზნესკომპანიების გაერთიანებას, რომლებიც ატარებენ ანალოგიურ სტრატეგიას მსგავსი რესურსების საფუძველზე. რაიმე დარგში მოქმედი ფირმების დაყოფა სტრატეგიულ ჯგუფებად სასარგებლოა, რადგან იძლევა კონკურენტული გარემოს უკეთ შეფასების საშუალებას.

ნებისმიერ ორგანიზაციაში რესურსების მთავარი დანიშნულებაა ზედმეტი ღირებულების უზრუნველყოფა: განსხვავება საწყისი მასალების ხარჯებსა და მიღებული შედეგის საბაზრო ღირებულებას შორის. ამ თვალსაზრისით ორგანიზაციას შეუძლია ღირებულების დამატება ან მიღებული შედეგების ღირებულების დამატებით (პროდუქტის ან მომსახურების საბაზრო ფასის), ან კომპანიების მიერ გამოყენებულ მასალებზე ხარჯების შემცირებით (მაგალითად, ნედლეულის ღირებულების, ხელფასის დონის).

თუ კომპანია მოქმედებს რამოდენიმე რეგიონში, მან უნდა მიმართოს საორგანიზაციო სტრუქტურას გეოგრაფიული პრინციპის საფუძველზე. ეს პრინციპი ეფუძნება კომპანიის საქმიანობის მოწესრიგებას ლოკალური (ადგილობრივი) ბაზრის პირობებში. სტრუქტურის ამ

ტიპის ჩარჩოებში კომპანიის ყველა ფუნქციას კონკრეტულ რეგიონში ხელმძღვანელობს ქვედანაყოფის მენეჯერი (რეგიონალური დირექტორი). მაგალითად, **ეროვნულ ან საერთაშორისო ბაზარზე** მოქმედ კომპანიას შეუძლია დაყოს მთელი თავისი ბაზარი გეოგრაფიულ მხარეებად და ყოველ მხარეში ააგოს დამოუკიდებელი საორგანიზაციო სტრუქტურები. გეოგრაფიულ სტრუქტურას უამრავი უპირატესობა აქვს. კომპანია თავის რესურსებს ანაწილებს სხვადასხვა რეგიონებს შორის, ამით ის (კომპანია) უზრუნველყოფს უფრო მეტ მოქნილობას და ხდება უფრო მგრძობიარე გარემოს ცვლილებების მიმართ და უფრო სწრაფად რეაგირებს საქმიანობის ლოკალური გარემოს ცვალებადობაზე ყოველი განყოფილების კატარა ზომებისა და მათი ორიენტაციის გამო კონკრეტული ბაზრის კონკრეტულ მოთხოვნილების მიმართ შესაბამისად იზრდება კონკრეტული ადგილობრივი მომხმარებლის მოლოდინისა და მოთხოვნის აღრიცხვის ხარისხიც. ამის გარდა, ამ ტიპის სტრუქტურა უმაღლესი ხელმძღვანელობის კვალიფიკაციისა და ზოგადი ხელმძღვანელობის სრულყოფის საშუალებას იძლევა. კომპანიის ყოველ ხელმძღვანელს შეუძლია ყურადღების კონცენტრაცია ცალკეული რეგიონალური განყოფილებების საქმიანობის პრობლემებზე. ვინაიდან **რეგიონალური მენეჯერები** უფლებამოსილნი არიან ადგილობრივ დონეზე მიიღონ გადაწყვეტილება, კომპანიის მმართველს შეუძლია ჰქონდეს მართვის კონტროლის შეზღუდული შესაძლებლობები.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების წარმატებით დამკვიდრებისათვის აუცილებელია რეგიონული რესურსული, ტექნოლოგიური, სოციალური, საკანონმდებლო და სხვა პრიორიტეტების გამოვლენა, რომელიც უნდა დაეფუძნოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზსა და თანამედროვე მდგომარეობის შეფასებას, რომელიც მიმართული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაზე, როგორცაა: რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საწარმოო ინფრასტრუქტურა) და მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება; ძირითადი სამეურნეო დარგების ჭრილში შრომითი რესურსების გამოყენებისა და უმუშევრობის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა; რეგიონთაშორისი და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი; წარმოების საექსპორტო რეზერვის გამოვლენა და სხვა.

კვლევები მოწმობს, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ადგილი აქვს რეგიონთაშორისი უთანაბრობის ზრდას, როგორც მატერიალური წარმოების დარგების განვითარებაში, დასაქმებისა და ცხოვრების სფეროებში, რაც ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მოითხოვს რადიკალური ღონისძიებების გატარებას რეგიონთაშორისი უთანაბრობის დაძლევის მიმართულებით. ამასთანავე, ფრიად მნიშვნელოვანია **საზღვარგარეთული ქვეყნების გამოცდილებათა** გააზრება და მათი გათვა-ლისწინებით თანამედროვე ეტაპზე საქართველოში რეგიონების განვითარების არსებული კონტრასტული დისპროპორციების აღმოფხვრისა და რეგიონების (მუნიციპალიტეტების) შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის კონკრეტული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება-დამკვიდრება ქვეყნის სამეწარმეო-ბიზნეს პრაქტიკაში.

**რეგიონული თეორიების** პრიორიტეტულ მიმართულებებად რეგიონების ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების თეორიის, ეკონომიკური ზრდისა და რეგიონული განთავსების თეორიის საფუძვლები გვევლინება, რომელთა კვლევების ძლიერი ეროვნული სკოლები საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვედეთში, აშშ-სა და საფრანგეთში ჩამოყალიბდა [აბესაძე რ., 2018: 6].

ცნობილია, რომ საზღვარგარეთული ქვეყნის სამეურნეო პრაქტიკაში რეგიონული განვითარების რეგულირების ინსტრუმენტებს მათი უნივერსალობისა და შესაძლებლობათა სივრცის ხარისხის მიხედვით **ორ ჯგუფად ყოფენ:**

1) საერთო ეკონომიკური რეგულირების მაკროინსტრუმენტები, ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით წარმოადგენენ რეგიონების მიხედვით დიფერენციალურ ზოგიერთ პარამეტრს (დაბეგვრის, დაკრედიტების, საინვესტიციო, სოციალურ და სხვ.), რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ გარკვეული ტერიტორიის სუბიექტებზე;

2) სამისამართო ზემოქმედების რეგულირების მიკროინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენებიან სამეურნეო სუბიექტებზე უშუალო ზემოქმედებისათვის. საგულისხმოა, სხვა საბაზრო ინსტრუმენტებიდან ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებების გამოყენებასაც. ასევე, რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირების, კრიზისული სიტუაციის დაძლევისა და სპეციფიური ლოკალური პრობლემების ეფექტიანად გამოყენების მიზნით რეგიონების ორიგინალური სტილის გამოყენება, რომელიც მოიცავს ეკონომიკური მოღვაწეობის რეგულირების განსაკუთრებულ ფორმებსა და მექანიზმებს. ამ მხრივ პრაქტიკულად უფრო მეტად არის გავრცელებული ე.წ. პრობლემური რეგიონები, სპეციალური ზონები (მათ შორის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მეწარმეობისა და ტექნიკურ-დანერგვითი).

არსებითად მნიშვნელოვანია გასულ საუკუნეში ინტეგრაციული პროცესების შედეგად წარმოქმნილი ევროკავშირის ევოლუციის გააზრება, რომელიც, ფასეულია ქვეყნების (რეგიონების) ეკონომიკური ინტეგრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების დაახლოების თვალსაზრისით. ასევე, სასარგებლოა ევროკავშირის ერთიანი რეგიონული პოლიტიკა იმ თვალთახედვითაც, თუ როგორ ხორციელდება მის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის ეროვნულ პოლიტიკასთან ჰარმონიზაცია.

**რეგიონების** განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირება რეგიონების მიმდინარე და საინვესტიციო მხარდაჭერის მექანიზმებს მოიცავს. კერძოდ, მიმდინარე მხარდაჭერა ძირითადად ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რაიონულ (ქვემდგომ) ბიუჯეტებზე ფინანსური დახმარების გაწევას გულისხმობს.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჭითანავა აღნიშნავს, რომ „საქართველოში ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში 1990-2019 წლებში უძრავი ქონების - მიწის პრივატიზაცია დარღვევით ჩატარდა, მიწის დაცვისა და ნაყოფიერების ამალგების ღონისძიებები არ ხორციელდება. მიწის ბალანსი არ დგება, დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდა სასურსათო უსაფრთხოება, ასევე ქვეყანაში ობიექტურად არაა გათვალისწინებული რეგიონული და დარგობრივი თავისებურებები. წარმოების დონე დაბალია, მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი გამართულად არ მუშაობს. ქვეყანაში მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური წინამძღვრების მომზადების დაჩქარებისთვის აუცილებელია კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისთვის გარღვევის სტრატეგია, რომელიც იმპორტჩანაცვლებისა და საექსპორტო პროდუქტის ზრდის მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაზე იქნება ორიენტირებული“ [ჭითანავა ნ., 2020: 7].

რეგიონული განვითარების თეორიებისა და რეგულირების საერთაშორისო გამოცდილებათა განზოგადებასა და საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე ვასკვნიტ, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია: ა) სახელმწიფო მოწყობისა და რეგიონების როლის განსაზღვრა; ბ) რეგულირების ინსტიტუტების სამართლებრივი საფუძვლების დამკვიდრება; გ) მარეგულირებელი ინსტრუმენტების ფორმირება და დამკვიდრება სამეწარმეო-ბიზნეს პრაქტიკაში; დ) განსაკუთრებული რეგიონული ფორმების (თავისუფალი ეკონომიკური ზონების) დამკვიდრება-განვითარება [კურატაშვილი ა., 2019: 5].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე **აქტუალურია** ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროგრამების ფორმირების პროცესში **შედარებითი მენეჯმენტის ინსტრუმენტების** გამოყენება მართვის ქართული სტილის მქონე სისტემაში, რომელიც გულისხმობს საქმიანი კულტურების თავისებურებების ანალიზს, სოციალური კვლევების მონაცემებისა და სპეციალისტების მოსაზრებების გათვალისწინებით, ქვეყნებს შორის პრაქტიკული ურთიერთქმედებების შედეგების შეგროვებას და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას მენეჯმენტის სისტემის სრულყოფის მიზნით.

საქართველოს პრიორიტეტული **საგარეო პოლიტიკური ინტერესები**, გამომდინარე და

განხილული სტრატეგიული ამოცანების კონტექსტში, მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საგარეო პირობების უზრუნველყოფაში, საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებაში, ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მოქალაქის გარანტირებული უფლებისა და თავისუფლების დაცვაში. გლობალიზაციის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, საქართველოს ინტერესებს უდავოდ პასუხს გლობალიზაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა და ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ახალ პირობებთან, ახალ შესაძლებლობებთან და გლობალიზაციის ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია [ლიპარტია ზ., 2021: 7].

შესაბამისად, საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონის რესურსული პოტენციალის, რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რეგიონის ეკონომიკის განვითარების რაციონალური მიმართულებების განხილვის საკითხებს, როგორცაა: ა) გლობალიზაციის პროცესის მიზნებისა და მამოძრავებელი ძალების ანალიზს; ბ) ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრას; გ) რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწავლის სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების შეჯერებას; დ) კლასტერების კონცენტრაციის თეორიული საფუძვლების შემუშავებასა და რეგიონის კონკურენტუნარიანობაში მათი როლის განსაზღვრას და ე) რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასებას. ამასთანავე, საქართველოში ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მის საბაზრო სპეციალიზაციასა და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსში რაციონალური და დაბალანსებული ეფექტიანი მექანიზმების გამოყენება-დამკვიდრებაზე ქვეყნის ბიზნეს პრაქტიკაში.

## დასკვნა

ზემოთ გაანალიზებული გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის თანამედროვე ტენდენციების ფონზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალური ტრანსფორმაციის პირობებში, მსოფლიო მეურნეობაში თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ადგილის დამკვიდრებისათვის ფრიად აქტუალური შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და რეალიზაცია. საქართველოს გააჩნია იმის სერიოზული პოტენციალი, როგორც გეოპოლიტიკური, ასევე რესურსული (ვგულისხმობთ ინტელექტუალურ, შრომით, ეკონომიკურ და ბუნებრივ რესურსებს) თვალსაზრისით, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და, ამავე დროს, ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაციით შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა. შესაბამისად ვასკვნით, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია: 1) სახელმწიფო მოწყობისა და რეგიონების როლის განსაზღვრა; 2) რეგულირების ინსტიტუტების სამართლებრივი საფუძვლების დამკვიდრება; 3) მარეგულირებელი ინსტრუმენტების (დაგეგმვა-პროგნოზირება, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და სხვ.). ფორმირება და დამკვიდრება სამეწარმეო-ბიზნეს პრაქტიკაში; 4) განსაკუთრებული რეგიონული ფორმების (თავისუფალი ეკონომიკური ზონების) განვითარება და სხვ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. - “გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე”. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, საქართველო, თბილისი 26-27 ოქტომბერი, 2018. გვ. 28-32.

2. ჭითანავა ნ. - „მიწის რესურსების მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა); ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ N2; (ივლისი-დეკემბერი) 2020. თბილისი. გვ. 6-32.

3. კურატაშვილი ა. - „ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისა და ეფექტიანობის თეორიული პრობლემები“, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. I. თბილისი, „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2019, გვ. 83-93.

4. ლიპარტია ზ., შერაზადიშვილი ბ. - „საქართველოს რეგიონების სტრატეგიული განვითარების კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ასპექტები“ “The Conceptual-methodological aspects of Strategic development the regions of Georgia“ (სტატია ინგლისურ ენაზე). VI Международная научно-практическая конференция «Европа и тюркский мир: наука, техника и технологии» г. Бурса (Турция) 5-7 мая 2021 г.

*Zurab Lipartia  
Besik Sherazadishvili*

## **STRATEGIC MANAGEMENT IN THE CONTEXT OF EFFECTIVE REGIONAL POLICY (CONCEPTUAL-METHODOLOGICAL APPROACH)**

### **Summary**

Strategic management is the management of an organization based on human potential, in which the production process is focused on customer needs, flexibly responds and implements changes in the organization, accurately responds to environmental challenges, achieves competitive advantages and enables long-term and achievable goals.

In fact, Georgia should pay special attention to the resource potential of the region, economic and social development of the regions, rational directions of economic development of the region: a) analysis of the causes of the globalization process and driving forces; b) determination of the essence of competitiveness in relation to territorial units; c) reconciling different methods and approaches to the study of regional competitiveness; d) to develop the theoretical basis for the concentration of clusters and to determine their role in the competitiveness of the region; and e) to assess the competitiveness of the regions on the basis of the main economic indicators of the region.

Thus, due to the current economic situation in Georgia, in the conditions of economic crisis, it is important to form a strategy for the survival of enterprises and use the advantages of strategic planning, through which it is possible to respond quickly to market opportunities, risk problems and safe development.

*დალი მაგრაქველიძე*

### **გაკოტრება და მისი პროგნოზირება ალბათური მოდელების გამოყენებით**

*ანოტაცია. გაკოტრების პროგნოზირების მოდელების შემუშავებაში სხვადასხვა მეთოდი იქნა დანერგილი. მათ შორის, ალბათური მოდელები გამოყენება კომპანიის გაკოტრების ადრეული გაფრთხილების უზრუნველსაყოფად. განვიხილავ ორ განსხვავებულ ალბათურ მოდელს, ერთი უფრო მარტივი და უფრო მეტი ვარაუდების მომცემია, ხოლო მეორე, რომელიც გარკვეულწილად უფრო რთულია, მაგრამ ნაკლებ ვარაუდებს აკეთებს. ორივე მოდელს შეუძლია ზუსტი პროგნოზების გაკეთება ისტორიული მონაცემების დახმარებით სავარაუდო ალბათობების შესაფასებლად. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ უფრო რთული მოდელი ძალიან კარგადაა დაკალიბრებული ალბათობების შესაფასებლად. ნაჩვენებია იყო, რომ გულუბრყვილო ბაიესის ქსელები კარგად ასრულებენ გაკოტრების პროგნოზირებას. წარმოდგენილი მოდელი ეყრდნობა ამ შედეგებს და იყენებს გულუბრყვილო ბაიესის ქსელს. ვფიქრობ, რომ ასეთი მოდელი აუდიტორის განსჯის პროცესში სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას წარმოადგენს.*

*საკვანძო სიტყვები: გაკოტრება, ბაიესის ქსელი, გულუბრყვილო ბაიესი, აპოსტერული ალბათობა, გაკოტრების პროგნოზირება*

## შესავალი

დღევანდელ დინამიურ ეკონომიკურ გარემოში, გაკოტრების საქმის წარმოების რაოდენობა და სიდიდე მნიშვნელოვნად იზრდება. აუდიტორებიც კი, რომლებმაც კარგად იციან ფირმების მდგომარეობის შესახებ, ხშირად ვერ აკეთებენ ზუსტ დასკვნას ფირმების საქმიანობის პირობების შესახებ. ამიტომ, გაკოტრების პროგნოზირების მოდელები გახდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დამხმარე საშუალება ორგანიზაციების დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის აუდიტორებისთვის, კრედიტორებისთვის და აქციონერებისათვის. ამ ნაშრომში განვიხილავ ბაიესის ქსელის (BN) გამოყენებას გაკოტრების პროგნოზირებაში.

გაკოტრების პროგნოზირების მოდელების შემუშავების ტექნიკა განვითარდა მარტივი უნივარირებული ანალიზით (Beaver 1966) და მრავალი დისკრიმინაციული ანალიზით (MDA) (Altman, 1968) 1960-იან წლებში, logit და probit მოდელებით 1980-იან წლებში (Ohlson 1980, Zmijewski 1984), ნეირონული ქსელის მოდელებზე (NN) (Tam and Kiang 1992), უხეში სიმრავლეთა თეორია (McKee 1998), დისკრეტული საშიშროების მოდელები (Shumway 2001), Bayesian network (BN) მოდელები (Sarkar and Sriram 2001) და გენეტიკური პროგრამირება (McKee and Lensberg) 2002). ამ ტექნიკას შორის, BN მოდელებს აქვთ მრავალი მიმზიდველი თვისება. ისინი ადვილად ინტერპრეტირდებიან, კარგად ასრულებენ კლასიფიკაციის ინსტრუმენტს, არ აქვთ შეზღუდვა ცვლადების ფუნქციონირებაზე და არ აქვთ სრული ინფორმაცია.

ზოგიერთი ადრეულ შრომებში (მაგ., Sarkar and Sriram 2001; Kotsiantis et al. 2005) გაკოტრების პროგნოზირების მცდელობის მიუხედავად, მაინც არ არსებობს სათანადო მითითებები ცვლადების შერჩევისა და უწყვეტი ცვლადების დისკრეტიზაციის თვალსაზრისით. ეს კვლევა ცდილობს შეავსოს სიცარიელე. იგი ფოკუსირებულია ერთი ტიპის BN მოდელებზე: გულუბრყვილო ბაიესებზე, რომელთა განხორციელება მარტივია და გაკოტრების პროგნოზირებას კარგად ახდენენ (Sarkar and Sriram 2001). პირველ რიგში, არსებობს გაკოტრების პოტენციური პროგნოზების დიდი ჯგუფი, მათ შორის სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტები, ინფორმაცია ბირჟაზე, ინდუსტრიის 3 დონის ფაქტორები და ა.შ.

შემოთავაზებულია ევრისტიკული მეთოდი, რომელიც ეფუძნება წრფივი დამოკიდებულების დაშვებას, რომელიც იზომება ცვლადებს შორის კორელაციებით. აღნიშნული მეთოდი მიზნად ისახავს ძირითადი პროგნოზების იდენტიფიცირებას და ზედმეტი ან შეუსაბამობის აღმოფხვრას. მეორეც, BN მოდელები ზოგადად იყენებენ დისკრეტული ღირებულების ცვლადებს. დისკრეტიზაციის საშუალებით უწყვეტი ცვლადები გარდაიქმნება დისკრეტულ ცვლადებად რამდენიმე მდგომარეობით. ხდება იმის გარკვევა, ახდენს თუ არა გავლენას BN მოდელების მუშაობაზე მდგომარეობის ის რაოდენობა, რომელშიც ხდება უწყვეტი ცვლადების დისკრეტიზაცია, შემდგომ ხდება იმის გამოკვლევა, შეუძლია თუ არა ამ ცვლადების დისკრეტიზების ნაცვლად, უწყვეტი ცვლადების მოდელირებას გააუმჯობესოს მოდელის მუშაობა.

გაკოტრების პროგნოზირების მოდელების შემუშავებაში სხვადასხვა მეთოდი იქნა დანერგილი. ბივერმა (1966) გამოიყენა ცალმხრივი ანალიზი, გაკოტრების წინა ხუთი წლის განმავლობაში 29 კომპანიის ნიმუშების შედარებისთვის. წარუმატებელი ფირმების ნიმუშისთვის, იმ ფირმების საკონტროლო ჯგუფთან შესადარებლად, რომლებიც არ გაკოტრებულან. გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და მთელი 70-იანი წლების განმავლობაში გამოყენებული იქნა მრავალი დისკრიმინაციული ანალიზი (MDA) გაკოტრების პროგნოზირების მოდელების შესაქმნელად. გაკოტრების პროგნოზირების ორი ცნობილი მოდელი, Altman's Z- ქულა (Altman 1968) და ZETA (Altman et al. 1977) შემუშავდა MDA-ს გამოყენებით. 1980-იანი წლებიდან გამოყენებული იქნა შეფასების უფრო მოწინავე მეთოდები, როგორცაა logit (Ohlson 1980) და probit (Zmijewski 1984).

90-იანი წლების განმავლობაში გაკოტრების პროგნოზირებაში ნეირონული ქსელის (NN) მოდელი დაინერგა. კვლევამ აჩვენა წინააღმდეგობრივი შედეგები NN-ის უპირატესობასთან დაკავშირებით ხაზობრივ მოდელებთან მიმართებაში (Altman et al. 1994; Tam and Kiang 1992). მოგვიანებით, სარკარმა და შირამმა (2001) შეიმუშავეს ბაიესის ქსელის (BN) მოდელები ბანკის




წარუმატებლობის ადრეული გაფრთხილების მიზნით. მათ დაადგინეს, რომ როგორც გულუბრყვილო BN მოდელს, ასევე კომპოზიციურ ატრიბუტ BN მოდელს აქვს შედარება კარგად ცნობილი გამოწვეული გადაწყვეტილების ხის კლასიფიკაციის ალგორითმთან. გაკოტრების პროგნოზირების არეალში ასევე შემოტანილია ზოგიერთი სხვა ტექნიკა, როგორცაა უხეში სიმრავლეთა თეორია (მაკკი 1998), დისკრეტული საშიშროების მოდელები (Shumway 2001) და გენეტიკური პროგრამირება (მაკკი და ლენსბერგი 2002).

ადრეულმა კვლევამ აჩვენა, რომ BN კარგად ასრულებს კლასიფიკაციისა და პროგნოზირების ინსტრუმენტს სხვადასხვა დომენში. რეგრესიული ტექნიკის უმეტესობისგან განსხვავებით, BN-ებს არ აქვთ რაიმე მოთხოვნა ცვლადების ფუძემდებლურ განაწილებაზე. BN-ებს შეუძლიათ მარტივად შექმნან რთული ურთიერთობები ცვლადებს შორის, მათ შორის ნაწილობრივი შუამავლები და "ურთიერთქმედების ეფექტები". დაკვირვებისთვის BN-ებს არ სჭირდებათ სრულყოფილი ინფორმაცია. დაკვირვება, რომელსაც აქვს რამდენიმე ცვლადი, კვლავ შეიძლება გამოყენებულ იქნას BN მოდელების მოსამზადებლად ან შესამოწმებლად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია გაკოტრების კვლევებისთვის, რადგან გაკოტრების ნიმუშები, როგორც წესი, მცირეა და გაკოტრების მქონე ფირმებს, როგორც წესი, აქვთ დაკარგული ინფორმაცია. BN არის დინამიური და ინტერაქტიული. მათი ადვილად განახლება ხდება ახალი ინფორმაციით, მისი შეტყობისთანავე. ადამიანის სუბიექტური ცოდნა მარტივად შეიძლება ჩაირთოს მოდელებში. სხვა მანქანური სწავლების ტექნიკასთან შედარებით, როგორცაა ნეირონული ქსელები, BN მოდელები უფრო გამჭვირვალე და ინტუიციურია, რადგან ცვლადებს შორის ურთიერთობა აშკარად წარმოდგენილია პირდაპირი აციკლური გრაფებით. მომხმარებლები აცხადებენ, რომ BN-ს წარმომადგენლობები საკმაოდ ინტუიტიური და ადვილად გასაგებია (კონონენკო 1990).

\*\*\*

განვიხილოთ, როგორ შეიძლება ალბათური მოდელების გამოყენება კომპანიის გაკოტრების ადრეული გაფრთხილების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორულ ლიტერატურაში ჩატარებულმა ადრეულმა გამოკვლევებმა აღიარა ბაიესური რწმენის გადასინჯვის ჩარჩოს გამოყენება მრავალი აუდიტორული დავალებისთვის, ემპირიული მტკიცებულებები იმაზე მიუთითებენ, რომ აუდიტორების გადაწყვეტილების პროცესები ხშირად არღვევს ალბათობის აქსიომებს. მიგვაჩნია, რომ ადამიანი აუდიტორის ზოგიერთი კარგად დოკუმენტირებული შემეცნებითი შეზღუდვის ანაზღაურება შესაძლებელია ავტომატიზირებული სისტემით. კერძოდ, ოფიციალური რწმენის გადასინჯვის სქემა შეიძლება ჩაირთოს ავტომატიზირებულ სისტემაში, რათა უზრუნველყოს კომპანიის გაკოტრების ადრეული გაფრთხილების საიმედო ალბათობა. ავტომატიზირებული სისტემა იკვლევს ფინანსურ კოეფიციენტებს, როგორც კომპანიების საქმიანობის პროგნოზირებას და აფასებს მათი ფინანსური მდგრადობის აპოსტერიულ ალბათობას (სხვაგვარად, ფინანსური კრიზისის ალბათობას). განვიხილავთ ორ განსხვავებულ ალბათურ მოდელს, ერთი უფრო მარტივი და უფრო მეტი ვარაუდების მომცემია, ხოლო მეორე, რომელიც გარკვეულწილად უფრო რთულია, მაგრამ ნაკლებ ვარაუდებს აკეთებს. ორივე მოდელს შეუძლია ზუსტი პროგნოზების გაკეთება ისტორიული მონაცემების დახმარებით სავარაუდო ალბათობების შესაფასებლად. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ უფრო რთული მოდელი ძალიან კარგადაა დაკალიბრებული ალბათობების შესაფასებლად. ვფიქრობთ, რომ ასეთი მოდელი აუდიტორის განსჯის პროცესში სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას წარმოადგენს.

ნაჩვენები იყო, რომ გულუბრყვილო ბაიესის ქსელები კარგად ასრულებენ გაკოტრების პროგნოზირებას [Sarkar and Sriram, 2001]. აქ წარმოდგენილი მოდელი ეყრდნობა ამ შედეგებს და იყენებს გულუბრყვილო ბაიესის ქსელს. ამიტომ თავიდან განვიხილავთ ასეთ ქსელებს, ხოლო შემდეგ შევიმუშავებთ გაკოტრების პროგნოზირებისათვის გულუბრყვილო ბაიესის ქსელს.



ნახ 1. გულუბრყვილო ზაიესის ქსელი

გულუბრყვილო ზაიესის ქსელი არის ზაიესის ქსელი ერთი ფესვით, ყველა დანარჩენი კვანძი წარმოადგენენ ფესვის შვილობილ ელემენტებს და სხვა კვანძებს შორის არ არის წიბოები. ნახ. 1-ზე ნაჩვენებია გულუბრყვილო ზაიესის ქსელი. ისევე როგორც ნებისმიერი ზაიესის ქსელის შემთხვევაში, გულუბრყვილო ზაიესის ქსელში წიბოები შეიძლება წარმოადგენდეს ან არ წარმოადგენს მიზეზობრივ გავლენას. ხშირად გულუბრყვილო ზაიესის ქსელები გამოიყენება კლასიფიკაციის პრობლემის მოდელირებისათვის. თითოეულ პრობლემაში ფესვის მნიშვნელობას წარმოადგენენ შესაძლო კლასები, რომლებსაც შეიძლება მიეკუთვნოს არსი, ხოლო ფოთლები – ეს არის კლასების ნიშნები ან პრედიკატები. მიმდინარე დავთარში არის ორი კლასი: ერთი, რომელიც შედგება იმ კომპანიებისაგან, რომლებიც კოტრდებიან, ხოლო მეორე იმ კომპანიებისაგან, რომლებიც არ კოტრდებიან. მახასიათებლები – ეს ცვლადებია, რომელთა მნიშვნელობები განსხვავებული უნდა იყოს სხვადასხვა კლასის კომპანიისათვის. რამდენადაც გაკოტრებას არ მივყავართ ნიშნების გამოჩენამდე, რომლებსაც შეუძლიათ გაკოტრების პროვოცირება, ამ დავთარში კიდეები არ წარმოადგენენ მიზეზებს.

შემდეგ გაკოტრების პროგნოზირებით იქმნება გულუბრყვილო ზაიესის ქსელი. თავიდან ვსაზღვრავთ შესაბამის ცვლადებს. შემდეგ შევისწავლით ქსელის სტრუქტურას. საბოლოოდ, ვიღებთ პარამეტრებს ქსელისათვის.

შემდეგ ვაჩვენებთ, ქსელის სტრუქტურა როგორ იყო მიღებული მონაცემებიდან. პირველ რიგში განვიხილავთ ნიმუშს, რომლიდანაც იქნა მიღებული მონაცემები და შემდეგ წარმოვიდგინებთ შესწავლის მეთოდს ამ მონაცემებით. წინასწარ განსაზღვრული იყო, რომ ზაიესის ქსელი გულუბრყვილო იქნებოდა. ამგვარად, „სასწავლო სტრუქტურაში“ ვიგებთ, თუ რომელი ცვლადები უნდა ჩავერთოთ ქსელში.

ცხრილი 1


პოტენციალური პრედიქტორული ცვლადები გაკოტრებისათვის

|                     | განსხვავება | Var.   | რას გამოხატავს ცვლადი?   |
|---------------------|-------------|--|--|
| ფინანსური ფაქტორები | ზომა        | TA   | ln(მოლიანი აქტივები)/(GNP არაცხადი ფასის ინდექსი)  |
|                     | ლოკვიდაცია  | CA   | (მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები)/(მოლიანი აქტივები)  |
|                     |             | CR   | (მიმდინარე აქტივები)/მიმდინარე ვალდებულებები   |
|                     |             | OF   | (ოპერაციული ფულადი ნაკადები)/(მოლიანი ვალდებულებები)   |
|                     |             | LM   | $(L + \mu) / \sigma$<br>L = ნაღდ ფულს+მოკლევადიანი საბაზრო ფასიანი ქაღალდები<br>$\mu, \sigma$ = საშუალო, სტანდარტული გადახრა კვარტალური ცვლილებები L-ში 12 კვარტლის განმავლობაში |
|                     |             | CA   | (მიმდინარე აქტივები)/(მოლიანი აქტივები)  |
|                     |             | CH   | ნაღდი ფული/(მოლიან აქტივებთან)   |
|                     | ლევერიჯი    | TL   | (მოლიანი ვალდებულება)/(მოლიანი აქტივები)   |
|                     |             | LTD  | გრძელვადიანი ვალი/მოლიან აქტივებთან  |
|                     | ზრუნვა      | S  | გაყიდვები/მოლიან აქტივებთან  |
|                     |             | CS   | მიმდინარე აქტივები/გაყიდვები   |
|                     | ალბათობა    | E  | შემოსავალი გადასახადებამდე და პროცენტებამდე/მოლიანი აქტივები   |
|                     |             | NT   | წმინდა შემოსავალი/მოლიან აქტივებთან  |
|                     | IT          | თუ წმინდა შემოსავალი ბოლო 2 წლის განმავლობაში <0, =1, ან =0  |  |
|                     | RE          | გაუნაწილებელი მოგება/მოლიანი აქტივები  |  |
|                     | CHN         | $(t \text{ წლის წმინდა შემოსავალს} - \text{წმინდა შემოსავალი } t-1 \text{ წელს}) / (\text{Abs}(\text{წმინდა შემოსავალი } t \text{ წელს}) + \text{Abs}(\text{წმინდა შემოსავალი } t-1))$ |  |
| ბაზრის ფაქტორები    |             | M  | ln(ფირმის ზომა დაკავშირებული CRSP NYSE/AMEX/ /NASDAQ ბაზრის კაპიტალიზაციის ინდექსი)  |
|                     |             | R  | ფირმის აქციებიდან შემოსავალი t-1 მიწუს ღირებულება-შეწონილი CRSP NYSE/AMEX/NASDAQ ინდექსზე შემოსავალი t-1 წელს  |
| სხვა ფაქტორები      |             | AU   | თუ კომპეტსტატ კოდის აუდიტორების მოსაზრება არის '1': არაკვალიფიციური = 0, სხვა = 1  |
|                     |             | IFR  | ინდუსტრიის ჩაჯარდნის მაჩვენებელი გამოთვლილი როგორც გაკოტრების საშუალო განაკვეთი გაკოტრების განაკვეთი არის (#გაკოტრება ორობით SIC ინდ.)/(#ფირმები ინდ-ში)                         |

სწავლების ევრისტიკული მეთოდიკა. მიზანს წარმოადგენს ისეთი ბაიესის ქსელის შესწავლა, რომელიც შეიცავს გაკოტრების პროგნოზირებისათვის კვანძებს, თითოეული შესაბამისი ცვლადისათვის კვანძი ცხრილ 1-შია. ამის გასაკეთებლად ყველაზე სწორი გზა იქნებოდა ბაიესის ქსელის შესწავლა იმ მეთოდით, რომელიც 1997 წელს შეიმუშავა Meek-მა. მან შექმნა ევრისტიკული ძებნის ალგორითმი, რომელსაც ეწოდება **Greedy Equivalent Search (GES)** და გააჩნია შემდეგი თვისებები: თუ **DAG** იქნებოდა **P** სანდო, მაშინ **P** სანდო **DAG** -ის მოძებნის ალბათობის ზღვარი იქნებოდა 1-ის ტოლი, რადგანაც მონაცემთა სიმრავლის ზომა მიისწრაფის უსასრულობისაკენ. **Tetrad** პროგრამულ პაკეტს ასევე გააჩნია მოდული, რომელიც იყენებს ამ ალგორითმს ბაიესური ინფორმაციის კრიტერიუმთან (**BIC**) ერთად იმისათვის, რომ შეისწავლოს ბაიესური ქსელი მონაცემებიდან. თუ უმეტესობა ფირმისათვის არ არსებობს 20-ვე ცვლადით მონაცემები ალტერნატივის სახით, ჩვენ შეგვეძლო შეგვესწავლა მიზნობრივი ცვლადებით (გაკოტრება) მარკოვის დაფარვა. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ ნაკრებში ცვლადები იცავენ მიზნობრივ ცვლადებს სხვა ცვლადების გავლენისაგან. ამიტომ, თუ ვიცით მათი ყველა მნიშვნელობა, სხვა ცვლადებს არა აქვთ კავშირი მიზნობრივი ცვლადების პირობით ალბათობებთან. მეორეს მხრივ, თუ ხშირად ვკარგავთ მნიშვნელობებს მარკოვის დაფარვაში, ასევე გვინდა შევისწავლოთ ქსელის შემცველი სხვა ცვლადებიც. ბევრ შემსწავლელ პაკეტს (მაგალითად **Tetrad**) ასევე შეუძლიათ განსაზღვრონ მონაცემებიდან მარკოვის დაფარვა.

ის მოდელები, რომლებიც ამ სასწავლო პაკეტებით შეისწავლება, ჩვეულებრივ მოითხოვენ ძალიან დიდი ზომის შერჩევას, თუმცა გაკოტრებული ფირმების ძალიან დიდი არჩევანი არ იყო.

ამის ნაცვლად მათ შეიმუშავეს ევრისტიკული მეთოდი, რომლის მიხედვითაც ახდენენ მარკოვის დაფარვის გაკოტრების ცვლადებიდან არჩევას. შემდეგ ისინი გამოიყენებენ ამ ცვლადებს გულუბრყვილო ბაიესის ქსელში შთამომავალის სახით, რომელშიც გაკოტრების ცვლადი იყო ძირეული.



ნახ. 2. არსებობს წიბო ორ ცვლადს შორის თუ ისინი კორელირებული არიან

მათი მეთოდი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მათ ჰქონდათ 20 პრედიკატორი (პროგნოზირებადი) ცვლადი და 1 მიზნობრივი ცვლადი, კერძოდ გაკოტრების მდგომარეობა, რის შედეგადაც გაკეთდა საერთო 21 ცვლადი, ხოლო ნიმუში შედგებოდა 7827 ჩანაწერისაგან, რომელშიც მოცემული იყო ამ ცვლადების მნიშვნელობები. ამ ნიმუშზე დაყრდნობით მათ განსაზღვრეს კორელაციის კოეფიციენტი 21 ცვლადიდან თითოეულის სხვა 21 ცვლადს შორის. თუ კორელაციის კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა იყო  $>0,1$ -ზე, ისინი ადგენდნენ, რომ ორი ცვლადი კორელირებული იყვნენ<sup>63</sup>. ამ კრიტერიუმის თანახმად მხოლოდ 8 ცვლადი იყო დაკავშირებული გაკოტრებასთან. ნახ. 2-ზე ნაჩვენებია შესაბამისი ცვლადები. ორ პრედიკატს შორის არსებობს კიდე თუ ისინი კორელირებული აღმოჩნდებიან. შესაძლებელია,

<sup>63</sup> ასევე გამოსცადეს 0,05, 0,15 და 0,2. 0,1-ის ჩაჭრით გამოყენებისას გამოვლინდა მოდელი, რომელიც საუკეთესო პროგნოზირების შესაძლებლობას იძლეოდა, ხოლო ცვლადების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდა.

მაგალითად **CHN** კორელირებს **B**-სთან მხოლოდ **R**-ის მეშვეობით. ანუ ჩვენ შეიძლება გვქონოდა:

$$I_P(CHN, B|R).$$


თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ **CHN** არ იქნებოდა აუცილებელი მარკოვის დაფარვისთვის. ეს რომ განესაზღვრათ, გამოთვლილი იყო პირობითი კორელაციის ყველა კოეფიციენტი. ამ კონკრეტული ცვლადებისათვის დადგენილი იქნა, რომ:

$$Corr(CHN, B|R) = -0,22.$$

კორელაციის კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობისათვის 0,1 ჩაჭრის გამოყენებით მიღებული შედეგი მიგვითითებს იმაზე, რომ **CHN** არა დამოკიდებული **B** პირობით **R**-ზე, ამიტომ **CHN** უნდა დავტოვოთ ქსელში. ყველა შესაბამისი პირობითი კორელაციის კოეფიციენტის ანალოგიურმა შემოწმებამ აჩვენა, რომ არცერთი ცვლადი არ უნდა გამოირიცხოს ქსელიდან.

გულუბრყვილო ბაიესის ქსელის შემაჯამებელი სტრუქტურა გამოსახულია ნახ. 3-ზე. საყურადღებოა, რომ არ ჩატარდა არავითარი შემოწმება იმაზე დასარწმუნებლად, რომ პირობითი დამოუკიდებლობა დაკმაყოფილდა ქსელის მიერ. მაგალითად, ქსელი გულისხმობს:

$$I_P(AU, IT|B).$$



ნახ. 3. მარტივი ბაიესის ქსელის სტრუქტურა გაკოტრების პროგნოზირებისათვის

ნახ. 2-დან ჩვენ ვიცით, რომ **AU** და **IT** დამოკიდებული არიან. შესაძლოა ისინი **B** -ზე პირობითად დამოკიდებული დარჩებიან.

უმეტესობა პრედიქტორული ცვლადებისა უწყვეტია, მაგრამ მიზნობრივი ცვლადი (გაკოტრების) დისკრეტულს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია პროგნოზირების უკეთესი შედეგები მივიღოთ უწყვეტი ცვლადის დისკრეტიზაციის გზით. ეს იყო მიმდინარე მოდელისათვის შერჩეული გზა. როდესაც ვცდილობთ გავაკეთოთ პროგნოზი, გაკოტრდება თუ არა კომპანია, უჩვეულოდ დაბალი ფულადი ნაკადი წარმოადგენს ამის მაჩვენებელს, მაშინ როცა უჩვეულოდ მაღალი ფულადი ნაკადი მიუთითებს, რომ ისინი არ გაკოტრდებიან [Mckee and Lensberg, 2002]. სამუალო მნიშვნელობები არ წარმოადგენენ ინდიკატორებს ამა თუ იმ ფორმით. ასეთ შემთხვევებში ხშირად ვიღებთ უკეთეს შედეგებს, თუ მნიშვნელობებს დავაჯგუფებთ თითოეულ კუდში ერთად, და ამას აკეთებს **Pearson – Tukey** მეთოდი.

**Pearson – Tukey** მეთოდში უწყვეტი ალბათობის განაწილების ფუნქცია  $F(x) = P(X \leq x)$

იყოფა სამ ინტერვალად შემდეგნაირად:

1. განესაზღვროთ  $x_1, x_2$  და  $x_3$  წერტილები იმგვარად, რომ:

$$P(X \leq x_1) = 0.05$$

$$P(X \leq x_2) = 0.50$$

$$P(X \leq x_3) = 0.95$$

2. განვსაზღვროთ დისკრეტული ცვლადი  $D$  შემდეგი ალბათობებით:

$$P(D = x_1) = 0.185$$

$$P(D = x_2) = 0.63$$

$$P(D = x_3) = 0.185$$

ეს მეთოდი ცვლის უწყვეტი  $X$  შემთხვევითი სიდიდის დიაპაზონს სამი დისკრეტული მნიშვნელობით. მოდელში ამ მნიშვნელობებს წარმოადგენს დაბალი, საშუალო და მაღალი.  $X$ -ის ალბათური განაწილების 18,5 პროცენტის ქვემოთ  $X$ -ის მნიშვნელობები იცვლება დაბალი მნიშვნელობით, 18,5 და 81,5 პროცენტებს შორის მნიშვნელობები იცვლება საშუალო მნიშვნელობით, და 81,5 პროცენტზე მეტი მნიშვნელობები - მაღალი მნიშვნელობით. ამგვარად,

$$P(\text{low}) = 0,185$$

$$P(\text{medium}) = 0,63$$

$$P(\text{high}) = 0,185.$$

### დასკვნა

როგორც ვნახეთ, ბაიესის ქსელზე აგებული მოდელები საკმაოდ ეფექტურია არა მარტო ფინანსური რისკების შეფასებისათვის, არამედ სხვა სფეროებშიც. პრაქტიკოსი არ უნდა დაიბნეს ალგორითმის ყველა იმ რაოდენობით, რომლებიც ჩამოყალიბდა ბაიესის ქსელში პაკეტების სახით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Neopolitan R.E., Jiang X. *Probabilistic Methods for Financial and Marketing Informatics*. Elsevier Inc., 2007, 432 p.
2. Hastie T., Tibshirani R., Friedman J. *The elements of statistical learning: data mining, inference, and prediction*. Second Edition, Springer, New York, 2008, ISBN 978-0-387-21606-5, 745 p.
3. მაგრაქველიძე დ. ალბათობის მეთოდები ინფორმატიკისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018.

*Dali Magrakvelidze*

## BANKRUPTCY AND ITS PREDICTION USING PROBABILISTIC MODELS

### Summary

Bankruptcy forecasting models in financial risk analysis have become an important decision support tool for stakeholders in organizations, including auditors, lenders, and shareholders. It has been shown that naive Bayesian networks perform well in predicting bankruptcy. The presented model relies on these results and uses a naive Bayesian network.

Various methods have been introduced in the development of bankruptcy prediction models. Including probabilistic models used to provide early warning of a company's bankruptcy. I will consider two different probabilistic models, one that is simpler and makes more assumptions, and the other that is somewhat more complex but makes fewer assumptions. Both models can make accurate predictions with the help of historical data to estimate the probable probabilities. In particular, it was found that the more complex model is very well calibrated to estimate the probabilities. It has been shown that naive Bayesian networks perform well in predicting bankruptcy. The presented model relies on these results and uses a naive Bayesian network. I think such a model is a prerequisite for making a useful decision in the auditor's decision making process.

სავაჭრო კომპანიის კომუნიკაციური პოლიტიკა და მისი თავისებურებები საქართველოში

*ანოტაცია. ნაშრომში განხილულია სავაჭრო კომპანიის კომუნიკაციური პოლიტიკა და მისი თავისებურებები საქართველოში.*

საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესი იწვევს წარმოებისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პროცესის გარდაქმნას, საბოლოო მომხმარებლების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. სხვადასხვა უცხოური ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ამოცანის გადაჭრის ერთ-ერთ საუკეთესო გზას კომუნიკაციური სისტემის დანერგვა და გამოყენება წარმოადგენს.

ბოლო წლებში მუდმივად მიმდინარეობს, მარკეტინგის, ისე როგორც მარკეტინგული კომუნიკაციების როლის ზრდა. გაყიდვების მოცულობის გაზრდისა და მოგების მიღებისათვის, კომპანიისათვის უკვე აღარ არის საკმარისი მხოლოდ კარგი საქონლისა და მომსახურების წარმოება. ამისათვის, პირველ რიგში აუცილებელია მომხმარებელამდე მივიტანოთ ინფორმაცია, და დავანახოთ მათ ის, თუ რა სარგებელი შეუძლია მიიღოს მან მათ მიერ წარმოებული საქონლის/მომსახურების შესყიდვით. ამიტომაც, მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს კომპანიისა, რადგანაც, სწორედ იგი უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდებას და მათი ეფექტურობის დასაბუთებას კონკურენტის მსგავს ან იდენტურ საქონელთან მიმართებაში [კოტლერი 2015: 336-340].

იმისათვის, რომ სავაჭრო სფეროში მოღვაწე კომპანიებმა შეინარჩუნონ კონკურენტული უპირატესობა, ამისათვის ისინი იყენებენ სხვადასხვა მიდგომებს. ისეთებს, როგორცაა მაგალითად: მომხმარებლების ინფორმირება საქონლისა და მომსახურების შესახებ; არსებითი გავლენის მოხდენა მომხმარებლის ცნობიერებაზე, რათა დაარწმუნოს მომხმარებელი, რომ შეიძინოს მხოლოდ ამ კომპანიის მიერ წარმოებული საქონელი/მომსახურება; „აიძულოს“ მომხმარებელს შეიძინოს ის საქონელი, რაც ამ დროისათვის არის ბაზარზე და არ გადადოს მისი შესყიდვა სამომავლოდ და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამ მიზნებს, აუცილებელია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენება, მაგ: რეკლამა, გამყიდველები, ვიტრინების გაფორმება, შეფუთვა, უფასო ნიმუშების დარიგება და სხვა მრავალი საშუალებები<sup>64</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მიერ კომუნიკაციური პოლიტიკის განხორციელება დამოკიდებულია მათი ფუნქციონირების გარემოებებზე. გლობალური ციფრულიზაცია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მიერ მარკეტინგული კომუნიკაციის სისტემის მოდელის გამოყენებაზე. იმისათვის, რომ სავაჭრო კომპანიებმა შეინარჩუნონ კონკურენტული უპირატესობა, ამისათვის აუცილებელია რომ კომპანიამ ჩამოაყალიბოს ხარისხიანი კავშირი მომხმარებლებთან, როგორც ონლაინ, ასევე, ოფლაინ ფორმატში. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ყველა კომპანიამ მაქსიმალურად უნდა ეცადოს დახვეწოს კომუნიკაციური პოლიტიკა და რაც შეიძლება ეფექტური კავშირი დაამყაროს მომხმარებელთან, გამომდინარე იქედან, რომ მწვავე კონკურენტულ გარემოში, მომხმარებლების დაინტერესება და მოზიდვა დღითი დღე უფრო რთულდება. თანამედროვე სამყაროში მომხმარებლები ეცნობიან სხვადასხვა ინფორმაციას ყიდვაზე გადაწყვეტილების მიღების დროს და შესაბამისად სავაჭრო კომპანიები ცდილობენ, რომ შეიმუშაონ და გამოიყენონ რეკლამისა და მარკეტინგის ისეთი კომპლექსი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მიზნობრივი აუდიტორიის დაინტერესებას და მოზიდვას.<sup>65</sup>

<sup>64</sup> <https://be5.biz/ekonomika1/r2014/2859.htm>

<sup>65</sup> [https://www.researchgate.net/publication/329553649\\_Osobnosti\\_kommunikativnoj\\_politiki\\_roznicnyh\\_torgovyh\\_predpriyatij\\_v\\_sovremennyh\\_usloviyah](https://www.researchgate.net/publication/329553649_Osobnosti_kommunikativnoj_politiki_roznicnyh_torgovyh_predpriyatij_v_sovremennyh_usloviyah)

რაც უფრო ეფექტური კომუნიკაციური პოლიტიკის ფორმირება მოხდება კომპანიის მხრიდან, მით უფრო მეტი იქნება შანსი კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა.

დღესდღეობით, გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, კომპანიების მხრიდან კომუნიკაციური სისტემის გამოყენებამ განიცადა გარკვეული გარდაქმნა და შეიძინა განსხვავებული სახე. ასევე, სავაჭრო სფეროში არსებულმა კონკურენტულმა გარემომ განაპირობა სხვადასხვა ტენდენციების ფორმირება, რომელიც ახასიათებს მარკეტინგულ კომუნიკაციებს. ეს ტენდენციებია:

- **კომუნიკაციური წნეხის გაძლიერება** - ამის ნათელი მაგალითია მარკეტინგული კომუნიკაციების სხვადასხვა სახეების აქტუალური გამოყენება სავაჭრო სფეროში. ეს ინფორმაცია იმდენად ბევრია, რომ ინდივიდებისათვის საკმაოდ რთულია ყველა არსებული ინფორმაციის შეცნობა და აღქმა, შესაბამისად, რაც უფრო განსხვავებული, ორიგინალური და კრეატიული იქნება მწარმოებლების მიერ საკომუნიკაციო არხებით მიწოდებული ინფორმაცია, მით უფრო მეტი შანსი ექნება კომპანიას წარმატებული გაყიდვების ფორმირებაში;

- **ტრადიციული საკომუნიკაციო არხების ეფექტურობის დაქვეითება** - შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებლები უკვე თითქმის ვეღარ ამჩნევენ სატელევიზიო და გარე რეკლამებს, ხოლო შეტყობინებებს და შესაბამისად აღარ რეაგირებენ მასზე. ამ გარემოებას ისიც ემატება, რომ რეკლამის მიმართ საზოგადოებამ დაკარგა ნდობა და უპირატესობა მიანიჭა სხვა საკომუნიკაციო არხებს<sup>66</sup>;

- **მასიური საკომუნიკაციო არხებიდან ინდივიდუალურზე გადასვლა** - სავაჭრო სფეროში დასაქმებულმა კომპანიებმა დაიწყეს უფრო კონკრეტული კომუნიკაციის არხების გამოყენება, რომელიც უფრო მკაფიოდ არის მორგებული მიზნობრივ აუდიტორიაზე. მსგავსი მიდგომა პირდაპირი მარკეტინგი, რომელიც დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება;

- **საკომუნიკაციო არხების მიზნობრიობის გაზრდა** - საკომუნიკაციო არხების გამოყენებით ხდება საზოგადოების გარკვეული სეგმენტის ინფორმირება. მაგ: კონტექსტური რეკლამის სოციალურ ქსელში გამოყენება, რომელიც მიეწოდება ინდივიდუალურად სხვადასხვა ასაკის, სქესის, ტერიტორიული განლაგების და სხვა მახასიათებლების მიხედვით დაყოფილ მომხმარებლებს<sup>67</sup>;

- **კომუნიკაციების ინტერაქტიულობის გაზრდა** - ერთ-ერთი თანამედროვე ტენდენციაა. კომუნიკატორები ცდილობენ გადასცენ არა უბრალოდ ინფორმაცია, არამედ მათ დაუყონებლივ უნდა მოახდინონ მომხმარებლის მოტივირება საქონლის შესაძენად. ტრადიციული სარეკლამო საშუალებები უკუკავშირზე არ არის გათვლილი, და შესაბამისად კომუნიკაცია ხდება ცალმხრივი და დროთა განმავლობაში მისი ეფექტურობა ეცემა. მოცემული გარემოება, კომპანიებს აიძულებს გამოიყენოს კომუნიკაციის ახალი მეთოდები, რომელიც მომხმარებელთან დიალოგის გამართვის შესაძლებლობას მოგვცემს;

- **BTL (below the line) კომუნიკაციების წილის გაზრდა** - დღითი დღე იზრდება ე.წ. BTL - კომუნიკაციების წილი. სხვადასხვა მეცნიერების შეფასებით, ბოლო წლებში BTL-ის ბაზარი გაიზარდა 15-20%-ით და არც ზრდის ტემპი კლებულობს. კომპანიები აქტიურად იწყებენ ისეთი ახალი ტექნოლოგიების გაცნობას და პრაქტიკაში გამოყენებას, როგორცაა ვირუსული მარკეტინგი, ლოიალურობის პროგრამები და ა.შ.<sup>68</sup>;

- **ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების როლის გაძლიერება** - ბოლო წლებში შეიმჩნევა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების როლის გაძლიერება და მათი ადაპტაცია მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნებთან. კომპანიები ცდილობენ კომუნიკაციაში ჩადონ მაქსიმალური ძალისხმევა და ინფორმაცია ეფექტურად მიაწოდონ საზოგადოებას [ბელჩი 2013: 155-160];

როგორც ვხედავთ, ტრადიციული საკომუნიკაციო არხების ძირითადმა ნაწილმა დაკარგა თავისი აქტუალობა, ხოლო თანამედროვე მარკეტინგულ სამყაროში მოხდა ახალი

<sup>66</sup> <https://www.webfx.com/blog/marketing/current-marketing-trends/>

<sup>67</sup> <https://marketingcommunications.wvu.edu/industry-insights/2020-trends-for-marketing-communicators>


<sup>68</sup> <https://be5.biz/ekonomika1/r2014/2859.htm>

ტენდენციების ფორმირება. თუ თავდაპირველად, გარკვეულწილად აქტუალური იყო ერთდროულად მასიური საკომუნიკაციო არხების გამოყენება, თანამედროვე ტენდენცია აჩვენებს, რომ კომპანიებმა უპირატესობა მიანიჭეს ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას, რადგანაც პრაქტიკული თვალსაზრისით მათ უფრო ეფექტურად მიიჩნევენ.

მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემასთან მიმართებაში, საინტერესო იქნებოდა ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების და შეხედულების კვლევა სხვადასხვა სავაჭრო კომპანიების მიერ გამოყენებულ კომუნიკაციურ პოლიტიკასთან მიმართებაში. კერძოდ, იცნობენ თუ არა ისინი საქართველოს საბაზრო სივრცეში მოღვაწე კომპანიების კომუნიკაციურ პოლიტიკას, ახდენს თუ არა მათ მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხები მათ ქცევაზე გავლენას საქონლის შეძენის დროს და კონკრეტულად რომელი კომპანიის კომუნიკაციურ პოლიტიკას მიანიჭებდნენ უპირატესობას. იმისათვის, რომ მეტნაკლებად ნათელი გაგვეხადა ეს გარემოება, ჩვენ ჩავატარეთ მცირე ონლაინ მარკეტინგული კვლევა, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი ინფორმაცია.

კვლევის ფარგლებში, პირველ რიგში განვსაზღვრეთ მომხმარებლის სქესი. რესპოდენტების 61.1% იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 38.9% მამრობითი. მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის დადგენაც გვსურდა, იყო ის, რომ ზოგადად, რამდენად ფლობენ ინდივიდები ინფორმაციას მარკეტინგული კომუნიკაციების მნიშვნელობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტების 52.8% ფლობს ინფორმაციას თუ რა მნიშვნელობა აქვს მარკეტინგულ კომუნიკაციებს კომპანიისათვის, 44,4% ნაწილობრივ ფლობს ამ ტიპის ინფორმაციას, ხოლო 28% არ ფლობს მსგავს ინფორმაციას (იხ. დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1. მარკეტინგული კომუნიკაციების მნიშვნელობის შესახებ მომხმარებლის ინფორმირებულობის მაჩვენებელი**




**წყარო:** ავტორისეული კვლევის შედეგი

მარკეტინგული კომუნიკაციური სისტემის ეფექტური განხორციელებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალფეროვანი მეთოდები, რეკლამა, შეფუთვა, პერსონალური გაყიდვები და ა.შ. მოცემულ პუნქტთან მიმართებაში, ჩვენთვის საინტერესო იყო დაგვედგინა, თუ არსებული საკომუნიკაციო არხებიდან, რომელს ანიჭებს მომხმარებელი უპირატესობას. კვლევის შედეგად მივიღეთ შემდეგი ინფორმაცია: რესპოდენტების 77.8%-თვის ეფექტურად მიიჩნევა რეკლამა და ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული კომუნიკაცია, 47.2% ასახელებს საზოგადოებასთან ურთიერთობას, 19.4% - პირდაპირ მარკეტინგს, 5.6% პერსონალურ გაყიდვებს, ხოლო სხვა არხებს ასახელებს ასევე 5.6%. (იხ. დიაგრამა 2).




**დიაგრამა 2: კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური სახე მომხმარებლის თვალთახედვით**



წყარო: ავტორისეული კვლევის შედეგი

ერთია ის ფაქტი, რომ საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი კომპანიები აქტიურად იყენებენ კომუნიკაციურ პოლიტიკას, ხოლო, მეორეა, თუ რამდენად ეფექტურად მიიჩნევენ მას ქართველი მომხმარებელი. ამისათვის, ჩვენ, კვლევის ფარგლებში რესპოდენტებს დავუსვით კითხვა, თუ რამდენად ეფექტურად მიიჩნევენ ისინი ქართული სავაჭრო ობიექტების მიერ განხორციელებულ კომუნიკაციურ პოლიტიკას. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტების 75% ნაწილობრივ ეფექტურად მიიჩნევენ მათ კომუნიკაციურ პოლიტიკას, 16.7% თვლის რომ არ არის ეფექტური, ხოლო 8.3% კი ეფექტურად მიიჩნევენ (იხ. დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3: ქართული სავაჭრო ობიექტების მიერ განხორციელებული კომუნიკაციური სისტემის ეფექტურობა მომხმარებლის თვალთახედვით**



წყარო: ავტორისეული კვლევის შედეგი

კვლევის ფარგლებში მომხმარებელს ვთხოვეთ დაესახელებინათ საქართველოს საბაზრო სივრცეში არსებული სავაჭრო ობიექტებიდან, რომლის კომუნიკაციური სისტემა მიაჩნიათ ყველაზე მიმზიდველად და საინტერესოდ? პასუხები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, თუმცა ყველაზე ეფექტურად მომხმარებლებმა მიიჩნიეს „კარფურის“ კომუნიკაციური პოლიტიკა. ასევე დასახელებული იყო ტექნო ლაბი, ალტა ოქეი, კოკა-კოლა, PSP სააფთიაქო ქსელი, ალტერსოქსი, აიპლიუსი, კომპანია ნატახტარი, კომპანია ზუმერი, ჯი-პი-აი ჰოლდინგი, საქართველოს ბანკი, ნიკორა, მაგნიტი და ბარამბო, თუმცა მცირე პროცენტული მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი. ასევე გამოვლინდა რესპოდენტები, რომელიც აღნიშნავენ, რომ ვერც-ერთს ვერ გამოარჩევდნენ ამ კუთხით, რადგან არ თვლიან რომ რომელიმე მათგანი ეფექტურია.

როგორც ვხედავთ, კომუნიკაციური პოლიტიკის გამოყენება კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და შესაბამისად,

სავაჭრო კომპანიები აქტიურად ცდილობენ ამ მიმართულებით გარკვეული აქტივობების წარმართვას. ქართული სავაჭრო კომპანიები საკმაოდ მრავალფეროვანი საკომუნიკაციო საშუალებებით ხასიათდებიან და რესპოდენტების გარკვეული ნაწილი მათ დადებითად ახასიათებს და აღნიშნავენ რომ მოცემული საკომუნიკაციო არხები ახდენენ გავლენას მათ მსყიდველობით ქცევაზე. გამომდინარე აქედან, რაც უფრო კარგად შევისწავლით მომხმარებელს და რაც უფრო მორგებულ საკომუნიკაციო არხებს ჩამოვაყალიბებთ მომხმარებელთან მიმართებაში, მით უფრო უკეთესად შევძლებთ მათ მოთხოვნებზე მორგებას და შესაბამისად კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კოტლერი ფ., არმსტრონგი გ., „მარკეტინგის საფუძვლები“ მე-14 გამოცემა, თბილისი 2015
2. ბელჩი ჯ., ბელჩი მ., „რეკლამა და პრომოცია - ნტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ხედვა“, გამომცემლობა დიოგენე 2013;
3. <https://be5.biz/ekonomika1/r2014/2859.htm>
4. [https://www.researchgate.net/publication/329553649\\_Osobennosti\\_kommunikativnoj\\_politiki\\_roznicnyh\\_torgovyh\\_predpriatij\\_v\\_sovremennyh\\_usloviyah](https://www.researchgate.net/publication/329553649_Osobennosti_kommunikativnoj_politiki_roznicnyh_torgovyh_predpriatij_v_sovremennyh_usloviyah)
5. <https://www.webfx.com/blog/marketing/current-marketing-trends/>
6. <https://marketingcommunications.wvu.edu/industry-insights/2020-trends-for-marketing-communicators>
7. <https://be5.biz/ekonomika1/r2014/2859.htm>

*Nino Mamuladze*

## COMMUNICATIVE POLICY OF TRADING COMPANIES AND ITS CHARACTERISTICS IN GEORGIA

### Summary

Formatting an effective communication system with customers is one of the most important factors to gain a competitive advantage. Consequently, every company should try to use effective communication channels or refine its existing communication policies, because, in a highly competitive environment, it is becoming difficult to interest and attract customers.

In the modern world, consumers are searching for different information when making a purchase decision, and therefore trading companies try to use such kind of advertising and marketing complex, that maximizes the interest and attraction of the target audience. Those trading companies, which will use effective communication policy will gain a competitive advantage and will become one of the most famous da requested companies.

*მარინე მინდორაშვილი  
ნინო აბესაძე  
სიმონ გელაშვილი*

### მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე COVID-19-ის გავლენის სტატისტიკური შესწავლის პროგრამულ-მეთოდოლოგიური საკითხები

*ანოტაცია. სტატია<sup>69</sup> მიზნად ისახავს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე მიმდინარე პანდემიის გავლენის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მეთოდოლოგიური საკითხების გაშუქებას, რაც ითვალისწინებს როგორც სათანადო მონაცემების შეგროვებას და*

<sup>69</sup> სტატია მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2021 წლის სამეცნიერო საგრანტო პროექტის „COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე“ ფარგლებში.

კვლევის ინფორმაციული ბაზის ფორმირებას, ისე მიღებული ინფორმაციის დამუშავებას და ადეკვატური მაჩვენებლების გაანგარიშებას; პანდემიის შედეგად მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობისა და სტრუქტურული ცვლილებების დადგენას; მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის კომპლექსურ თვისებრივ და სტატისტიკურ ანალიზს.

კვლევა მთლიანობაში ორი ეტაპისგან შედგება: პირველი, კვლევის პროგრამულ-მეთოდოლოგიური, საორგანიზაციო და სავლე ეტაპი ხოლო მეორე - მოპოვებული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავებისათვის საჭირო ცხრილების მაკეტებისა და ალგორითმების შედგენას, რომლებშიც მოთავსდება ციფრობრივი შედეგები.

**საკვანძო სიტყვები:** ცხოვრების სტანდარტი, შინამეურნეობა, სტატისტიკური კვლევა, მეთოდოლოგია, სტატისტიკური ანალიზი.

## შესავალი

2020 წლის დასაწყისიდან COVID-19 პანდემია, მეტ-ნაკლები მასშტაბით, გავრცელდა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში და მან მნიშვნელოვანი ზომით გაუთვალისწინებელი ნეგატიური გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით ეკონომიკაზე და ადამიანთა სოციალურ ყოფაზე. შესაბამისად, უფრო გამწვავდა ქვეყნის დემოგრაფიული, ეკონომიკური, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მდგომარეობა. ყოველივე აღნიშნულს თან ერთვის საქართველოს მცირე და სუსტი ეკონომიკა და მეტად შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები. მსოფლიო ისტორიაში პირველად, მიმდინარე ლოკალური, რეგიონული თუ გლობალური ეკონომიკური კრიზისის მთავარი გამომწვევი ფაქტორი არა უშუალოდ ეკონომიკაში ან მის მართვაშია, არამედ განპირობებულია სხვა, მეტად ძლიერი ეგზოგენური ფაქტორის - COVID-19 პანდემიის ზემოქმედებით. ეს გავლენა მრავალმხრივია და კომპლექსურ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ ანალოგიური კვლევა საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა. ასეთი კვლევის შედეგები კი ხელს შეუწყობს კონცეპტუალური და რეალური პოლიტიკის შემუშავებას, დასაბუთებული და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას (მათ შორის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში) ყველა იერარქიულ დონეზე, რასაც იმავდროულად პრევენციული ხასიათიც ექნება.

## კვლევის ობიექტი, საგანი და მეთოდოლოგია

მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის სტატისტიკური შესწავლის ობიექტია საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების (უსდ) სტუდენტთა შინამეურნეობები, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს მათი შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა სტატისტიკური მეცნიერების თითქმის ყველა მეთოდი, კერძოდ: შერჩევითი დაკვირვება, მონაცემთა ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური დაჯგუფებანი, შეფარდებითი, საშუალო, ვარიაციის და კორელაციური ანალიზის მეთოდები, აგრეთვე სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამა SPSS.

კითხვარი 27 კითხვისგან შედგება და სამ ნაწილად არის გაყოფილი, მაქსიმალურად არის მორგებული რესპონდენტების ინტერესებზე და ტვირთის შემსუბუქების მიზნით შევსების ხანგრძლივობა 1-დან 12 წუთამდე მერყეობს. კითხვარის პარამეტრების, შევსების სირთულეებისა თუ ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მივიღეთ მისი გატესტვის შედეგად ფოკუს-ჯგუფებში, რომლებიც შეიქმნა სტუდენტების სწავლების საფეხურის შესაბამისად და მათ მუშაობაში ჩართული იყვნენ მშობლებიც.

კითხვარის პირველ სექტორში წარმოდგენილია შეკითხვები სტუდენტების დემოგრაფიული და სოციალური მონაცემების (სქესობრივ-ასაკობრივი, ეთნიკური,


საცხოვრებელი ადგილის, უმაღლესი სასწავლებლის მდებარეობის, სტუდენტური სტატუსის, განათლების საფეხურის, შინამეურნეობაში მცხოვრებთა, მათ შორის სტუდენტების, სკოლამდელი, სასკოლო და ხანდაზმულების რაოდენობის, მშობლების საშუალო ასაკის, სწავლის გადასახადის დაფინანსების სახის და დასაქმების) შესახებ. მეორე სექტორი იკვლევს სტუდენტის მოსაზრებას მისი შინამეურნეობის შემოსავლისა (დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაზრიდან), პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები, უცხოეთიდან მიღებული გზავნილებიდან, საჩუქრად მიღებული ფულიდან, ქონების გაყიდვა, ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენებიდან) და ხარჯების (სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, საოჯახო მოხმარების საქონელზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე, ტრანსპორტზე, განათლებაზე, სხვა სამომხმარებლო ხარჯებზე, სასოფლო-სამეურნეო ხარჯებზე, ტრანსფერტებზე, დაზოგვაზე ან გასესხებაზე, ქონების შექმნაზე) სტატუსს, პანდემიის პირობებში დაფიქსირებულ ცვლილებებს შემოსავლებსა და ხარჯებში, ასევე ცხოვრების სტანდარტის ცვლილებას მატერიალური და არამატერიალური ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე სტუდენტის სამომავლო შეხედულებას მისი შინამეურნეობის შემოსავლის სტატუსის შესახებ. მესამე სექცია მშობლების მოსაზრებაზეა აგებული და იგივე კითხვებზე პასუხს ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებზე, რაზეც სტუდენტებმა უპასუხეს.

სტუდენტების შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრა მოხდა კომბინირებული წესით, საფეხურობრივი თანმიმდევრობით: ჯერ სტუდენტების საერთო რაოდენობის მიხედვით.

როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს სასწავლებლებში - 148 803<sup>70</sup> (2019/20 სასწავლო წლის მდგომარეობით, საქსტატი). შემდეგ მოხდა მათი გადანაწილება სწავლის საფეხურის მიხედვით: ბაკალავრიატი - 111 187, მაგისტრატურა - 33 925 და დოქტორანტურა - 3 011 სტუდენტი. ასაკობრივ ჭრილში ასე განაწილდა: 19 წლამდე ასაკის - 27.5%, 20-24 წლიანთა ინტერვალში - 60.3% და 25 წელზე ზევით - 12.1%. ბოლოს, სქესის მიხედვით სტუდენტების კონტინგენტი თანაბარი სქესობრივი განაწილებით ხასიათდება, ანუ 50/50.

კვლევაში, რომელიც გუგლის ჩაშენებული აპლიკაციის დახმარებით ელექტრონულად განხორციელდა, მონაწილეობა მიიღო 1067-მა სტუდენტმა (95%-სანდოობით, როდესაც ნდობის ინტერვალი 3-ის ტოლია, შერჩევის ზომამ 1060 შეადგინა); მათგან 775 ქალია (72.8%), ხოლო 290 კაცი (27.2%). ასაკობრივ ჯგუფებში სტუდენტების განაწილება არათანაბარია. როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევაში უმეტესობა წარმოდგენილია 20-24 წლიანთა კატეგორიით, სადაც ასევე სჭარბობენ ქალები (71%).

**დიაგრამა 1. რესპონდენტების განაწილება სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით<sup>71</sup>**



**წყარო:** დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

<sup>70</sup> <https://www.geostat.ge/media/36191/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%2C-2020.pdf>

<sup>71</sup> აქ და შემდეგ მოტანილი დიაგრამები აგებულია ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით.

ასევე, კვლევაში სტუდენტების დაჯგუფება მოხდა რეგიონული ნიშნით. კერძოდ, უსდ-ების წილის მიხედვით განისაზღვრა საუნივერსიტეტო ქალაქების სტუდენტთა მოსალოდნელი რიცხოვნობა:

**ცხრილი 1**


**კვლევაში მონაწილე უსდ-ების სიხშირული განაწილება**

|          | რესპონდენტების ფაქტობრივი რაოდენობა | %     | რესპონდენტების დაგეგმილი რაოდენობა | გადახრა |
|----------|-------------------------------------|-------|------------------------------------|---------|
| თბილისი  | 435                                 | 40.6  | 643                                | -208    |
| ქუთაისი  | 124                                 | 11.6  | 70                                 | 54      |
| ბათუმი   | 112                                 | 10.5  | 156                                | -44     |
| თელავი   | 89                                  | 8.3   | 52                                 | 37      |
| გორი     | 76                                  | 7.1   | 52                                 | 24      |
| ზუგდიდი  | 20                                  | 1.9   | 52                                 | -32     |
| ახალციხე | 211                                 | 19.8  | 35                                 | 176     |
| სულ      | 1067                                | 100.0 | 1060                               |         |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

კვლევაში მონაწილე სტუდენტების უმეტესობა ეთნიკურად ქართველია, რიცხოვნობით მეორე ადგილზე სომეხი ეროვნების სტუდენტები არიან, ხოლო შედარებით მცირერიცხოვანნი - „დანარჩენის“ კატეგორიაში მოხვდნენ (აზერბაიჯანელი, ოსი, ქისტი, უკრაინელი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები). მათი კონკრეტული ხვედრიწილები წარმოდგენილია შემდეგ სექტორულ დიაგრამაზე:

**დიაგრამა 2. სტუდენტების განაწილება ეროვნების მიხედვით, %**




**წყარო:** დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

კვლევის მონაწილეთა 66% ქალაქში ცხოვრობს და 3.2%-ის გარდა, ყველას აქტიური სტუდენტის სტატუსი აქვს. მათი 81% ბაკალავრიატში სწავლობს, თითქმის ყოველი მეორე სტუდენტის შინამეურნეობაში 4-5 წევრია, შინამეურნეობების 67%-ში 1 სტუდენტი და 1-2 სკოლამდელი, სკოლის მოსწავლე ან 60 წელს გადაცილებული ცხოვრობს. სტუდენტების უმრავლესობის (57%) მშობლების საშუალო ასაკი 41-50 წელია, მათი 58% სრულად ან ნაწილობრივ სახელმწიფო დაფინანსებით სარგებლობს. პანდემიამდე სტუდენტების უმრავლესობა (55.3%) არ მუშაობდა, დაახლოებით 11%-მა დაკარგა სამუშაო, ხოლო კვლავ დასაქმდა 6%-მდე. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ მათი შინამეურნეობები საშუალო შემოსავლის მქონე (57%) ან დაბალშემოსავლიანია (43%). ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ გამოკითხული სტუდენტებიდან არცერთმა არ აღნიშნა, რომ მათი შინამეურნეობა მაღალშემოსავლიანია.

რესპონდენტების 2/3-ზე მეტის (70%) აზრით, პანდემიის პირობებში მათი შინამეურნეობების შემოსავლები ძირითადად შემცირდა, ხოლო 27%-ის პასუხით, უცვლელი დარჩა. შემოსავლები შემცირდა დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონებიდან გაქირავებიდან, ხოლო ძირითადად არ შეცვლილა შემოსავლების პროცენტი ანაბრიდან, სტიპენდიები, დახმარებები, უცხოეთიდან მიღებული გზავნილები, საჩუქრად მიღებული ფული, ქონების გაყიდვიდან, ფულის სესხებიდან ან დანაზოგის გამოყენებიდან. უმნიშვნელოდ გაიზარდა ნომინალური პენსიების სიდიდე.

გამოკითხული სტუდენტების თითქმის ნახევარი (47%) აღნიშნავს, რომ პანდემიის პირობებში შინამეურნეობების ხარჯები გაიზარდა. მხოლოდ 19,7%-ის აზრით, ისინი უცვლელი დარჩა (იხ. დიაგრამა 3):


**დიაგრამა 3. შინამეურნეობის ხარჯები პანდემიის პირობებში**



**წყარო:** დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

სტუდენტების აზრით, ხარჯები გაიზარდა კონკრეტულად სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე, საოჯახო მოხმარების საქონელზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე, ტრანსპორტზე; ასევე გაიზარდა სხვა სამომხმარებლო ხარჯები და სასოფლო-სამეურნეო ხარჯები. უმნიშვნელოდ შემცირდა ხარჯები ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, უცვლელი დარჩა განათლებაზე, ტრანსფერტებზე, დაზოგვაზე ან გასესხებაზე და ქონების შეძენაზე (იხ. დიაგრამა 4):


**დიაგრამა 4. შინამეურნეობის ხარჯები პანდემიის პირობებში**



**წყარო:** დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

პანდემიის პირობებში სტუდენტთა უმრავლესობის (66%) ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გაუარესდა, არ შეცვლილა 29%-ისთვის და მხოლოდ 5%-ისთვის გაუმჯობესდა. საგულისხმოა, რომ სტუდენტები ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს, რადგან მათგან 60.3%-ს მიაჩნია, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში მათი შინამეურნეობები საშუალოშემოსავლიანი იქნება, ხოლო 9 პროცენტი მაღალშემოსავლიანთა კატეგორიაში გეგმავს გადანაცვლებას.

**დიაგრამა 5. ცხოვრების სტანდარტის ცვლილება**



**წყარო:** დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

### დასკვნა

გამოკვლევის პროგრამა, მათ შორის კითხვარი, საშუალებას იძლევა თაობათა შეხედულებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოვახდინოთ მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის მაჩვენებლების პრეპანდემიური, პანდემიური და პოსტპანდემიური ტენდენციების გამოვლენა და შედარება, დავადგინოთ მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობის დიფერენცირებული ტენდენციები, გამოვავლინოთ შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის სტრატეგიული ტენდენციები, განვსაზღვროთ მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის მახასიათებელი სპეციფიკური სტატისტიკური მაჩვენებლები და გავიანგარიშოთ საშუალოვადიანი პროგნოზები.

ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს კვლევითი პროექტის მდგრადობას, რაც განპირობებული იქნება მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგების მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობით, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული (მმართველობითი) მიზნებიდან გამომდინარე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ნ., მინდორაშვილი მ., ფარესაშვილი ნ. უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯები საქართველოში. მონოგრაფია, თბილისი, თსუ, 2018.  
[https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/ucxoeli.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/ucxoeli.pdf)
2. გელაშვილი ს., კორონასტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირების შესახებ. ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #10, თბ., 2020, გვ. 63-69.
3. გელაშვილი ს., თოდრაძე გ. დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. თსუ, თბ., 2020, გვ. 107-114.

4. მინდორაშვილი მ., აბესაძე ნ., გიორგობიანი მ. სტუდენტების სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლების სტატისტიკური ანალიზი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული, თბილისი, 1-2 ნომბერი, 2019, გვ. 265-269. [https://old.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/konf%20IV.pdf](https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf)

5. მინდორაშვილი მ. შემოსავლების კომპონენტების სტატისტიკა საქართველოში. სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში. საიუბილეო სამეცნიერო გამოცემა. ეძღვნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 100 წლის იუბილეს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019, გვ. 173-184.

6. მინდორაშვილი მ. შინამეურნეობის სტატისტიკის მიკრო და მაკრო ასპექტები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.“ კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. შრომების კრებული, თსუ, 26-27 ოქტომბერი, 2018, გვ. 263-267. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/konference.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konference.pdf)

7. მინდორაშვილი მ. შინამეურნეობების სექტორის საკვანძო მაჩვენებლების როლი მაკროეკონომიკურ ანალიზში. სამეცნიერო გამოცემა „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., გვ. 122-130, 2018, ISBN 978-9941-26-270-8 [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/statistika\\_61265.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika_61265.pdf)

8. Simon Gelaschwili, Matthias Theodor Vogt. Aspekte der Armut in modernen Georgien. GÖRLITZ-ZGORZELEC JG. XIX (2015/16), BEITRAG 1.

9. საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა. მონოგრაფია, ავტორთა კოლექტივი. თბილისი, თსუ, 2020, ISBN 978-9941-13-937-6. [https://old.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/demografia.pdf](https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/demografia.pdf)

10. უმაღლესი განათლება <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatileba>

11. შინამეურნეობების შემოსავლები <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi>

12. შინამეურნეობების ხარჯები <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/51/shinameurneobebis-kharjebi>

*Marine Mindorashvili  
Nino Abesadze  
Simon Gelashvili*

## **PROGRAM-METHODOLOGICAL ISSUES OF THE STATISTICAL STUDY OF THE IMPACT OF COVID-19 ON THE STANDARD OF LIVING**

### **Summary**

The article aims to cover the methodological issues of quantitative and qualitative assessment of the impact of the current pandemic on the standard of living of the population, which includes collecting relevant data and forming a research database, as well as processing the received information and calculating adequate indicators; To determine the volume of income and expenditure of the population as a result of the pandemic and structural changes; Complex qualitative and quantitative analysis of the living standards of the population; Besides, the calculation of medium-term forecasts of living standards of the population.

The research methodology consists of two stages: first, the program-methodological, organizational and field stage of the research (includes: developing a research questionnaire, determining a selective set, conducting a survey of respondents remotely (online), receiving and controlling data, preparing it for computer processing), And secondly, the compilation of spreadsheets and algorithms required for the computer processing of the obtained information, in which the digital results (sorting, filtering, decoding, cross-



tabulation, preparation of group and combination tables) are placed. Also, at the same stage, various statistical indicators of the living standard of the population will be calculated and appropriate forecasts will be developed.

The object of the statistical study of the living standard of the population is the households of students of Georgian higher education institutions, and the subject of research is the volume and structure of incomes and expenditures of these households.

Almost all methods of statistical science will be used in the research process, namely: selective observation, typological, structural, and analytical groupings of data, relative, mean, variation and correlation analysis methods, as well as statistical computer program SPSS.

A total of 1,066 students participated in the study (with 95% confidence when the confidence interval was equal to 3, the sample size was 1,060), of whom 72.8 were female (775) and 27.2% were male (290). The distribution of students in age groups is unequal. As expected, most of the study is represented in the 20-24-year-old category, in which women also predominate by 71%.

Most of the students in the study are Georgians, the second-largest number are students of Armenian nationality, while the rest in the category of Azerbaijani, Ossetian, Kist, Ukrainian and other nationalities.

66% of survey participants live in cities and all but 3.2% have active student status. 81% of them are studying for a bachelor's degree, almost every second student has 4-5 members in the household, 67% of the households have 1 student and 1-2 preschoolers, a schoolboy or over 60 years old. The average age of parents is 41-50 years in most of them (57%), 58% of them enjoy full or partial state funding, the majority of them did not work before the pandemic 55.3%, about 11% lost their jobs and still employed up to 6%. Students believe that their households are middle-income (57%) or low-income (43%). According to the respondents, in the conditions of the pandemic, the incomes of their households were mainly reduced (70%) or remained unchanged (27%). Income from hired labor, self-employment, sale of agricultural products decreased, while income from property (rent, interest deposit), pensions, scholarships, allowances, remittances, gift money, sale of property, borrowing money, or borrowing from. 47% of students report that household costs have increased in the face of the pandemic. Specifically, food, beverages, tobacco, household goods, health care, housing, water, electricity, gas and other fuels, transport, as well as other consumer and agricultural expenditures increased. Costs on clothing and footwear were reduced, education, transfers, savings or borrowing, and property purchases remained unchanged.

During the pandemic, the standard of living of the majority (66%) deteriorated significantly, did not change for 29%, and even improved by 5.2%. They are optimistic about the future, as 60.3% believe that their households will be middle-income in the next 2-3 years, while up to 9% of them plan to relocate to the high-income category.

*ცირა მიქატაძე  
ნინო გრიგოლაია*

### **ტრანზაქციული ხარჯები: გამოწვევები და შესაძლებლობები მენეჯერებისთვის**

*ანოტაცია* სტატიაში განხილულია ტრანზაქციული დანახარჯების წარმოშობა და მნიშვნელობა. მაღალი ტრანზაქციული ხარჯები იწვევენ საქმიანი აქტივობის შემცირებას და ფირმის ქცევის სერიოზულ მოდიფიცირებას. ამიტომ საჭიროა ოპტიმუმის ძიება. ასვე საჭიროა სწორი არჩევანი ბაზართან ურთიერთქმედებისას წარმოშობილ დანახარჯებსა და ამ ტრანზაქციების ფირმის შიგნით განხორციელებსთან დაკავშირებულ დანახარჯებს შორის, რათა შემცირდეს დანახარჯების ჯამი და საერთო ეკონომიკური მიზანი იქნეს მიღწეული.

*საკვანძო სიტყვები:* ტრანზაქცია, პარტნიორობი, კონტრაქტი, ალტერნატივა, განუსაზღვრელობა, აუტსორინგი.

\* \* \*

ბაზართან ურთიერთქმედებისას ფირმაში წარმოიშობა ტრანზაქციული ხარჯები. მათი აღმოჩენა ეკუთვნის როლანდ კოუსს 1937 წელს. ამ ხარჯებს მიეკუთვნება: პარტნიორთა მოძიება და კონტროლი, ხელშეკრულების შესრულება, თავდებობა, გარანტია ხარჯების

სორტირებაზე, აგენტთა დაქირავება, შუამავლების ანაზღაურება. ამ ხარჯებს ხშირად ადარებენ ენერჯის ხარჯს ხახუნის დაძლევაზე მექანიკურ სისტემაში. ხახუნის დაძლევა, მაგალითად, საათის მექანიზმის მუშაობის მიზანი არ არის, მაგრამ მის გარეშე საათი გაჩერდება.

ზოგადად, ტრანზაქცია ასახავს ეკონომიკური დოვლათის ან მასზე უფლების გადაცემას ერთი პირიდან მეორეზე. ტრანზაქცია შეიძლება იყოს როგორც შიგა საფირმო, ასევე საბაზრო. საბაზრო და შიგა საფირმო ტრანზაქცია ხშირად ხდება ერთმანეთის ალტერნატივა. მაგალითად, ფირმას შეუძლია მანქანის ზოგიერთი კვანძი აწარმოოს ფირმის შიგნით და შესაბამისად, წარმოიშობა შიგა საფირმო ტრანზაქცია. მაგრამ ასევე შეუძლია გარეთ შეიძინოს იგივე კვანძი, რის საფუძველზეც წარმოიშობა საბაზრო ტრანზაქცია. ამგვარი ალტერნატივა ბადებს შესაბამის ხარჯებს და ფირმა არჩევანის წინაშეა, რომელი ხარჯი იქნება უფრო მცირე. ტრანზაქციების სიძვირის წყაროდ მიჩნეულია:

- ინფორმაციის მოპოვების ტევადობა. მომხმარებლის მიერ ინფორმაციის დანახარჯები, რომლებიც ძირითადად დახარჯული დროით იზომება. ფირმას შეუძლია რეკლამის ინფორმაციული ფუნქციით გადაწყვიტოს მწარმოებლისთვის უფრო ფასეული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს მონაცემებს მოთხოვნაზე, გემოვნებაზე, ტექნოლოგიებზე, კონკურენტებზე, რომელთა მიღება უკავშირდება თანამშრომლების, შუამავლების, კონსულტანტების ანაზღაურებას და დაჯილდოებას.

- მეორე წყაროა ოპორტუნუზი - ინფორმაციის დამალვის, დამახინჯების, მოტყუების მექანიზმების გამოყენება. რთულია პარტნიორების არაკეთილმოსურნეობითი ძალისხმევის ამოცნობა.

- მესამე არის ის, რომ ეკონომიკის სუბიექტთა ანალიტიკური შესაძლებლობები შეზღუდულია რაციონალურობით (ირჩევს საუკეთესოს იმათ შორის, რაც მოიპოვა).

ტრანზაქციული ხარჯების არსებობა განისაზღვრება სუბიექტური ფაქტორებით და ძლიერდება ისეთი ობიექტური ფაქტორებით, როგორცაა: ტრანზაქციის რიცხვის ზრდა, განმეორებადობის სიხშირე, გაურკვეველობა, მომავლის განუსაზღვრელობა და აქტივების სპეციფიკურობა. ამ უკანასკნელს მაშინ აქვს ადგილი, როცა მყიდველს სპეციალიზებულ პროდუქტზე ერთ გამყიდველთან აქვს კონტრაქტი, რომელიც, თავის მხრივ, სპეციალიზებულ მოწყობილობას იყენებს. მათი ასეთი მჭიდრო კავშირის გამო მომავლის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ოპორტუნისტული ქცევა, როცა ერთი მხარე ცდილობს მეორეზე უპირატესობის მოპოვებას. ამ შემთხვევაში ტრანზაქციის დანახარჯები ძალზე მაღალია. როცა ტრანზაქციის დანახარჯები მაღალია, მაშინ კომპანიამ თავად უნდა აწარმოოს პროდუქცია ან მომსახურება. თუმცა, ფირმის შიგნით ოპერაციების განხორციელება უკავშირდება გარკვეულ დანახარჯებს, როგორცაა: თანამშრომლების დაქირავების, სამუშაოს შესასრულებლად მონიტორინგის და ხელმძღვანელობის დანახარჯები. დამქირავებლებს შეუძლიათ, სტიმულების გამოყენების გზით, შეამცირონ ეს დანახარჯები, ეფექტიანობის გასაზრდელად გამოიყენონ ბონუსები, სხვადასხვა სახის სარგებელი და დანამატი ან კიდევ, თანამშრომლებისთვის აქციების ყიდვა ოფციონით. ასეთი პოლიტიკა ახალი თანამშრომლების მოსაზიდადაც გამოიყენება. მომგებიან კომპანიებში აქციების ზრდის კვალობაზე იზრდება თანამშრომლების კეთილდღეობა.

როგორც ირკვევა, გარე ტრანზაქციების და შიდა ტრანზაქციების დანახარჯები ქმნის მთლიან დანახარჯებს და იგი მცირდება მაშინ, როცა კომპანია აღმოაჩენს, რომ ზოგიერთი ოპერაციის ინტერნალიზაცია ეფექტიანია. მენეჯერმა რესურსები ისე უნდა გაანაწილოს გარე ტრანზაქციებსა და შიგა ოპერაციებს შორის, რომ მთლიანი დანახარჯები მინიმუმამდე დაიყვანოს. თუ ტრანზაქციის დანახარჯები კონკრეტულ პროდუქტსა და მომსახურებაზე უფრო მაღალია, ვიდრე შიგა აქტივობის განხორციელების დანახარჯი, მაშინ კომპანიისთვის ამ კონკრეტული აქტივობის განხორციელება ხელსაყრელია ფირმის შიგნით. ბაზრის ზრდის კვალობაზე გაფართოებული მოთხოვნა ახალ ფირმებს საშუალებას აძლევს დასპეციალდნენ იმ საქმიანობაში, რომელსაც ადრე სხვა ფირმები თავიანთი საჭიროებისთვის აკეთებდნენ, შედეგად ჩნდება ახალი კომპანიები და ინდუსტრიები. მაგალითად, დასუფთავების სერვისი, უსაფრთხოების სერვისი იმართება სპეციალიზებული ფირმების მიერ.

ჯორჯ სტიგლერის დასკვნით, ინდუსტრიის გაფართოების კვალობაზე კომპანიები, რომლებიც ყველაფერს აწარმოებდნენ ფირმის შიგნით, განიცდიან „ვერტიკალურ დისინტეგრაციას“, რასაც მოჰყვება ტრანზაქციული დანახარჯების შემცირება.

ახალ ფენომენად მიიჩნევენ ბიზნესის ძირითადი საქმიანობის აუტსორინგს. მიუხედავად იმისა, რომ არამძირითადი აქტივობების აუტსორინგი დიდი ხანია არსებობს, საკმაოდ გავრცელებულია მაღალტექნოლოგიური პროდუქციის და მომსახურების აუტსორინგი და ეს ხორციელდება მხოლოდ ერთი ქვეყანაში, შიგნით.

ცნობილია, რომ პროდუქციის და მომსახურების გაადგილებას სხვა ქვეყანაში ოფშორინგს უწოდებენ. დღეს გაიზარდა ტექნიკური სერვისის ქოლცენტრების, ადამიანური რესურსების და სამართლებრივი მომსახურების, ინჟინერინგის, კვლევების ოფშორინგი. მათი უპირატესობის საკითხი ეკონომისტებს შორის ძალზე წინააღმდეგობრივია.

არსებობს ტრანზაქციული ხარჯების კლასიფიკაციისადმი რამდენიმე მიდგომა. პირველი ეხება მათ დაყოფას სამომხმარებლო და საწარმოო ხარჯებად. მომხმარებლის როლში არა მხოლოდ კერძო პირები გამოდიან, არამედ ფირმებიც. ამიტომ თითოეული ფირმა ორივე ტიპის ხარჯებს გასწევს.

ტრანზაქციული ხარჯები შეიძლება იყოს მუდმივი და ცვალებადი. ცვალებადი იზრდება ტრანზაქციათა რიცხვის ზრდის კვალობაზე. მუდმივი არაა დამოკიდებული ტრანზაქციის მოცულობაზე და შედგება გარიგებათა მართვის სტრუქტურების შექმნის ხარჯებისგან. განასხვავებენ გარიგების წინ და გარიგების მიმდინარეობისას წარმოშობილ ტრანზაქციულ ხარჯებს.

გამოყოფენ სპეციფიკურ და აგენტთა ურთიერთდამოკიდებულების ხარჯებსაც. სპეციფიკური უკავშირდება იმ სპეციფიკურ აქტივს, რომელსაც მაღალი მწარმოებლურობა აქვს და მისი მფლობელისათვის რისკის მატარებელია. კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია მისი სხვა მიზნისთვის გამოყენება ან რეალური ფასით გაყიდვა. სპეციფიკური აქტივების დასაცავად საჭირო ხდება გრძელვადიანი კონტრაქტები, გარანტიები. აგენტთა ურთიერთქმედების ხარჯები მაშინ წარმოიშობა, როცა ერთი მხარე (აგენტი) მოქმედებს მეორე მხარის სახელით ან დავალებით (პრინციპალი). პრინციპალმა იცის რა თეორიული შესაძლებლობა დაქირავებული თანამშრომლის არაკეთილსინდისიერი ქმედებისას, იყენებს კონტროლის სისტემას. დაქირავებულმა შეიძლება გარკვეული ხარჯი გასწიოს იმისთვის, რომ პრინციპალს დაუმტკიცოს მისი კეთილი ძალისხმევა.

ტრანზაქციული ხარჯები ახდენს ფირმის ქცევის სერიოზულ მოდიფიცირებას. ამისთვის აუცილებელია ოპტიმუმის ძიება, რადგან ამ ხარჯებს რეალურ ეკონომიკაში საკმაოდ დიდი ზომები აქვს. ოპტიმუმის ახალი გააზრება გაიგივებულია არსებულის მიღწევის გააზრებული ალტერნატივების არჩევანთან, არა როგორც ობიექტურად საუკეთესოსთან, არამედ მისაღებთან, როგორც საუკეთესო ვარიანტთან. ადაპტაციური ეფექტიანობა არის უნარი ამ შემთხვევაში პრობლემის გადაწყვეტისა. მიუხედავად არჩევანის სიძნელისა, გადაწყვეტილებათა ჯაჭვს უნდა ჰქონდეს სწორი, ზუსტი მიმართულება.

პრაქტიკიდან ცნობილია, რომ მაღალი ტრანზაქციული ხარჯების გამო მეწარმეები ბევრ საქმიან წინადადებაზე უარს ამბობენ და ხშირად ამის გამო ამ ხარჯებს აისბერგს ადარებენ. წარმოების რეალური მოცულობა დადებითი ტრანზაქციული ხარჯებისას ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე იდეალურ მოდელში. ამ დროს პროდუქციის ერთეულზე ხარჯი მეტია, რაც იწვევს მიწოდების მრუდის მარცხნივ და ზემოთ გადაადგილებას. ამას კი მოჰყვება წონასწორობის ფასის გაზრდა და წონასწორობითი რაოდენობის შემცირება, ანუ ტრანზაქციული ხარჯები იწვევს საქმიანი აქტივობის შემცირებას და მეწარმეები უფრო ნაკლებ გარიგებას ახორციელებენ.

შიგა ოპერაციების დანახარჯებსა და გარე ტრანზაქციებს შორის არჩევანი რელევანტურია. თუმცა რეგულაციურმა გამოგონებებმა ინტერნეტის სახით მნიშვნელოვნად შეამცირა ტრანზაქციის დანახარჯები და უფრო მარტივი და ეფექტიანი გახადა კომპანიებისთვის, მათი საქმიანობის ნაწილის იმ ფირმებისთვის გადაბარება, რომლებიც კონკრეტულ ოპერაციებზე სპეციალიზდებიან. პარტნიორის მოძიება და კვლევა მნიშვნელოვნადაა გამარტივებული, ასევე სწრაფად და მარტივადაა შესაძლებელი პოტენციური მომწოდებლების მოძიება,

ხელმისაწვდომია ინფორმაცია კრედიტუნარიანობაზე, სანდოობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე. სპეციალისტების აზრით, რ. ქოუზს სჯეროდა, რომ ამ დანახარჯების ახსნა ახალ ეკონომიკაში ფირმებს საშუალებას მისცემს მოახდინონ სპეციალიზაცია და გაზარდონ წარმოების მოცულობა, რადგან უფრო ეფექტიანი ხდებიან. წარმოიშობა უფრო მეტი მცირე ფირმები, ხოლო მსხვილი ფირმები კიდევ უფრო განმსხვილდებიან, რადგან შეეძლებათ აქცენტი გადაიტანონ თავიანთ ძირითად საქმიანობაზე და სხვას გადააბარონ ის, რისი კეთებაც არც თუ ისე კარგად გამოსდით.

ფირმა აკეთებს არჩევანს ბაზართან ურთიერთქმედებისას წარმოქმნილ დანახარჯებსა და ამ ტრანზაქციების ფირმის შიგნით განხორციელებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს შორის, რათა შეამციროს ამ დანახარჯების ჯამი. ეს კი შეესაბამება ფირმის საერთო ეკონომიკურ მიზანს.

ტრანზაქციული ხარჯების შემცირებას ახდენს შემდეგი ფაქტორები: სამართლებრივი სისტემის მიერ შექმნილი ეკონომიკური სტიმულები, სიმარტივე და წესების უნივერსალურობა, კორუფციის დაბალი დონე, მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, ეკონომიკის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, ოპტიმალური საგადასახადო სისტემა, ეფექტიანი არაფორმალური წესები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. პოლ გ. კიტი; ფილიპ კ. იანგი. სტივენ ი. ერფლი, მენეჯერული ეკონომიკა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019
2. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე., ფირმის ეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011
3. ხარაიშვილი ე., მიქატაძე ც., დამენია ნ, დარგობრივი ბაზრების ეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010
4. Oliver E. Williamson, Transaction-Cost Economics: The Governance of Contractual Relations, „Journal of Law and Economics“, 22 (October, 1979)

*Tsira Mikatadze  
Nino Grigolaia*

### TRANSACTION COSTS: CHALLENGES AND OPPORTUNITIES FOR MANAGERS

#### Summary

The article discusses the origins and significance of transaction costs. High transaction costs lead to a reduction in business activity and a serious modification of the firm's behavior. It is therefore necessary to search for the optimum. It is also essential to make the right choice between the costs incurred in dealing with the market and the costs associated with carrying out these transactions within the firm in order to reduce the sum of costs and achieve a common economic goal.

*თამარ როსტიაშვილი  
გვანცა ფოფხაძე*

#### ადამიანის ქცევის შესწავლა ნეირომარკეტინგის ტექნიკით

**ანოტაცია.** კვლევის ტრადიციული მეთოდები საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან რესპონდენტების შესახებ, თუმცა პასუხები შემოსაზღვრულია გარკვეული ჩარჩოებით. ადამიანის ქცევის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაგება შეუძლებელია მხოლოდ გარეგანი ნიშნულებითა და გამოხატულებით, რადგან საბოლოო ქცევის ფორმირება ხდება ქვეცნობიერში და ეს პროცესი გაუაზრებელია ადამიანისთვის, შესაბამისად, არ შეუძლია მისი ვერბალურად გადმოცემა. ამკარაა, რომ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია, ვიდრე ეს ტრადიციული მეთოდებით ხერხდება. ამიტომ, თანამედროვე მიდგომების მიზანია ქვეცნობიერის ფარული და გამოუკვლეველი ტერიტორიის შესწავლა საიმედო შედეგების გაზომვით, რაც უფრო ღრმა ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს

რესპონდენტის გადაწყვეტილების შესახებ. სინამდვილეში. შინაგანი ფაქტორების გასაზომად გამოიყენება ნეირომარკეტინგული კვლევები, ბიომეტრული სენსორების გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** ნეირომარკეტინგი, მომხმარებლის ქცევა, ემოციური მარკეტინგი, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ბიომეტრული სენსორები.

## შესავალი

ნეირომარკეტინგი არის მარკეტინგის ახალი მიმართულება, რომელიც სამედიცინო ტექნოლოგიების დახმარებით იკვლევს ტვინს და მის რეაქციებს მარკეტინგულ სტიმულებზე. იგი ყურადღებას ამახვილებს რატომ და როგორ ხდება ყიდვის გადაწყვეტილების მიღება, რამდენადაც ეს პროცესი ქვეცნობიერია, სჭირდება სიღრმისეული შესწავლა. ნეირომარკეტინგი განისაზღვრა, როგორც კვლევის მესამე განზომილება, რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევებთან ერთად.

ნეირომარკეტინგის ტექნიკა ბიომეტრული სენსორების გამოყენებით ზომავს, ყურადღების დონეს, ჩართულობას, მოტივაციის მაჩვენებელს, ეს ყველაფერი ტვინის მიდამოს სპეციფიკური აქტივაციის საშუალებით ხორციელდება. ეს არის სფერო, რომელიც პასუხს სცემს იმ კითხვებზე, სადაც უძლურია ტრადიციული კვლევები. მარკეტინგის ეს მიმართულება იყენებს ტვინის კვლევებს, რათა უკეთესად აღიქვას მომხმარებლის ქცევა და მოთხოვნილებები.

\*\*\*

აკადემიური და კომერციული მკვლევარები მიზნად ისახავენ უფრო ღრმად გაიგონ, როგორ მოქმედებენ ადამიანები, როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს, გეგმავენ და იმახსოვრებენ. სენსორის ტექნოლოგიის მიღწევებთან ერთად, მთელ მსოფლიოში მკვლევარებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადამიანის ტვინისა და გონების მანამდე უცნობ საიდუმლოებებს. ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა მდგომარეობს სისტემატურ დაკვირვებასა და ინტერპრეტაციაში, თუ როგორაა განაწილებული ტვინის პროცესები ჩვენს ბუნებრივ, აქტიურ და მოქნილად ცვალებად ქცევასა და შემეცნებაში.

ჩვენ ყველანი ვართ აქტიური აგენტები, რომლებიც მუდმივად ვცდილობთ შევასრულოთ სხეულის საჭიროებები და გონებრივი სურვილები რთულ და მუდმივად ცვალებად გარემოში. რა არის ქცევა კონკრეტულად? მარტივად რომ ვთქვათ, ნებისმიერი დაკვირვებადი მოქმედება (ან აქტიური მოძრაობა) შეიძლება ჩაითვალოს ქცევად: ყავის სმა, ტელეფონზე საუბარი, მანქანის მართვა, ბინის დალაგება. ქცევის ამ დეფინიციის შესაბამისად, გასაკვირია, რომ როდესაც მშობლები შვილს ეუბნებიან როგორ "მოიქცეს", როგორც წესი მათ სურთ, რომ იჯდნენ მშვიდად და დაემორჩილონ სოციალურ მოლოდინს ("რესტორნებში არ დარბიან") - ფაქტობრივად, საპირისპიროა აქტიური ქცევისგან.

ადამიანის ქცევა რთული პროცესია, სამეცნიერო კვლევებში განისაზღვრება როგორც სამი კომპონენტისგან შემდგარი ერთობლიობა: **მოქმედებები, შემეცნებები და ემოციები.**

**მოქმედებები არის ქცევა.** მოქმედება აღნიშნავს ყველაფერს, რაც შეიძლება დავინახოთ შეუიარაღებელი თვალით, ან გავზომოთ ფსიქოლოგიური სენსორებით. მოქმედება, როგორც ინიცირება ან ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა. ჩვენი სხეულის მოძრაობა, რომელიც ცნობიერიც კი არ არის შეიძლება ჩაითვალოს მოქმედებად. ეს პროცესები სხვადასხვა ტვინის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა დროში ხდება, თუმცა ამ პროცესების ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს ადეკვატურად ვუპასუხოთ გარემოცვას და ავყვეთ ჩვენ სურვილებს. მოქმედებები ასოცირდება აღქმის პროცესებთან, მაგალითად: ჩვენ ხმას ვუწევთ ჩვენ საყვარელ სიმღერას, ან ვხუჭავთ თვალებს, როდესაც ჩვენ წინ საყვარელი კერძი ჩნდება და ჩავისუნთქვათ მის სურნელს.

**შემეცნება არის ქცევა.** შემეცნება აღწერს აზრებს და გონებრივ სურათებს, რომლებიც მუდამ გონებაში გაქვთ, ისინი შეიძლება იყოს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური. მაგალითად, "სასურსათო პროდუქტების შეძენა არ დამავიწყდეს" ან "მაინტერესებს, თუ რას ფიქრობს იგი ჩემზე" შეიძლება ჩაითვალოს ვერბალურ შემეცნებად. ამის საპირისპიროდ, წარმოდგენა, თუ როგორ გამოიყურება თქვენი სახლი განახლების შემდეგ, შეიძლება ჩაითვალოს არავერბალურ შემეცნებად.

შემეცნება სცილდება ყველა იმ ენას, რომელზეც ლაპარაკობთ, ობიექტებს-რომლებთანაც ურთიერთობთ და ადგილებს, რომლებიც გახსოვთ. შემეცნება საშუალებას გაძლევთ შექმნათ სრულიად ახალი რამ, იფანტაზიოროთ ალტერნატიული მომავლის ან სამყაროების შესახებ ან უბრალოდ გამოიგონოთ არარსებული სამყარო.

გეგმები, სურვილები, იდეები და ინტერპრეტაციები ჩვენი შემეცნებითი უნარების ნაკრების შედეგია. შემეცნება მოიცავს პრობლემის გადაჭრის სტრატეგიებს, ინტელექტსა და ჩვენს პიროვნებას, ყველაფერს რაც ჩვენ საკუთარ თავად გვაყალიბებს.

შემეცნებითი განვითარება და პლასტიურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თქვენს სხეულზე, რომლის საშუალებითაც აღიქვამთ გარემოცვას. უსინათლო ადამიანი შეიძლება კოგნიტურად სრულიად სხვაგვარად წარმოაჩინოს თავისი სამყარო, ვიდრე მან, ვინც თვალით ხედავს მას. ქმედებებისაგან განსხვავებით, შემეცნებას პირდაპირ ვერ დავაკვირდებით, ვერ გავზომავთ მას, ეს შესაძლებელია მხოლოდ ირიბი ხერხებით, თუ შევისწავლით ქცევას.

**ემოციები არის ქცევა.** ემოცია არის ნებისმიერი, შედარებით ხანმოკლე გამოცდილება, რომელსაც ახასიათებს მძაფრი გონებრივი აქტივობა. როგორც წესი, ის არის პოზიტიური (სასიამოვნო) ან ნეგატიური (უსიამოვნო).

ემოციები არის ის, რაც ადამიანად გვაქცევს. სახის გამომეტყველებაზე ძლიერ გავლენას ახდენს ემოციები, როგორცაა სიხარული, სიბრაზე, გაკვირვება, შიში, ზიზღი, ან მწუხარება - ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება და შესაძლებელია მასზე დაკვირვება.

ფსიქოლოგიის სხვა ასპექტები, რომლებსაც მიაწინებენ ემოციურ პროცესებზე არის გულისცემის გაზომვა ან გაზრდილი ალგზებით გამოწვეული სუნთქვის სიხშირე - ეს პროცესების როგორც წესი ჩვეულებრივი თვალისთვის შეუმჩნეველია. შემეცნების მსგავსად, ემოციების დაფიქსირება შეუძლებელია პირდაპირ. ამის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ირიბად სახის ელექტრომიოგრაფიული აქტივობის (fEMG) თვალყურისდევნებით, სახის მიმიკის ანალიზით, აგზნების მონიტორინგი ელექტროკარდიოგრაფიით, გალვანური კანის რეაქციით (GSR), სუნთქვის სენსორებით ან თვითრეპატირებული ზომებით.

მოქმედებები, შემეცნებები და ემოციები არ იმართებიან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად - მათი სათანადო ურთიერთქმედება საშუალებას გაძლევთ აღიქვათ გარშემო მყოფი სამყარო, მოვუსმინოთ თქვენს შინაგან სურვილებს და სათანადო რეაგირება მოვახდინოთ ჩვენს გარემოცვაში მყოფ ადამიანებზე. ამასთან, რთულია მიზეზისა და შედეგის დადგენა, მაგალითად როდესაც თავს ვამოძრავებთ (მოქმედება) და ვხედავთ ნაცნობ სახეს, ამან შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი სიხარული (ემოცია), რომელსაც შეიძლება თან ახლდეს შინაგანი რეალიზაცია (შემეცნება):

**მოქმედება = ემოცია (სიხარული) + შემეცნება („ნახე, ნინო მოდის“)**

სხვა შემთხვევებში, შეიძლება შეცვალოს მიზეზისა და შედეგის თანმიმდევრობა, მაგალითად, იმის გამო, რომ თქვენ ხართ მოწყენილი (ემოცია) და ურთიერთობაში პრობლემის გამო გაბრაზდებით (შემეცნება), გადაწყვეტთ გასეირნება რათა განიავდეთ და მოეშვათ (მოქმედება).

**ემოცია (მოწყენა) + შემეცნება („სასეირნოდ უნდა წავიდე“) = ქმედება**

სამეცნიერო კვლევებმა გარკვევით აჩვენა, თუ როგორ მოქმედებს კოგნიტური უნარები სხეულის პროცესებზე, როგორ ცვლის ქცევა შემეცნებას და როგორ ცვლის ქცევას ემოციური ცნობიერება.

თითოეული ეს პროცესი ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული, თითოეული მათგანი სხვაზე ზემოქმედებს. ეს ნიშნავს, რომ თუ გვსურს ქცევის გაგება, უნდა გამოვიკვლიოთ სხეულის პროცესები, შემეცნება და ემოციები. ანალოგიურად, თუ გვსურს გავიგოთ ემოცია, უნდა გამოვიკვლიოთ შემეცნება, ქცევა და სხეულის პროცესები. ასევე, არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კოგნიტური აქტივობა და ტვინის ცვლილებები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

**სისტემა 1 და სისტემა 2.** კანემანის<sup>72</sup> თეორიები ეხება იმას, თუ როგორ ამუშავებენ ადამიანები ინფორმაციას. მისი ინფორმაციით არსებობს ორი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებები: სისტემა 1 - სწრაფი, მაგრამ შედარებით არაზუსტი და სისტემა 2 - ნელი, მაგრამ უფრო ზუსტი. თეორიის თანახმად, ჩვენი ყოველდღიური გადაწყვეტილებები ხორციელდება ამ ორიდან ერთ ერთი სისტემით, დილის ყავის ყიდვიდან დაწყებული, კარიერული არჩევანის გაკეთებამდე. ჩვენ ვიყენებთ განსხვავებულ მიდგომებს გარემოებების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, ჩვენ ვიყენებთ ნელ, მაგრამ სანდო სისტემა ორს - რადგან, სავარაუდოდ, ჩვენ უფრო მეტი დრო გვაქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შეგვიძლია მეტი ძალისხმევა ჩავდეთ, რათა უფრო სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ. მეორეს მხრივ, ყოველდღიური, ჩვეული გადაწყვეტილებები, სავარაუდოდ, ჩვენი სისტემა ერთიდან მოდის, ამიტომ ჩვენი ტვინი უფრო სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას.

ადამიანის ქცევა საკმაოდ რთულია, რადგან მასზე შესაძლებელია ზემოქმედების მოხდენა, მოდულირდება. ის ყალიბდება მრავალი ფაქტორის მიერ, რომელსაც ხშირად ადამიანი ვერც კი აცნობიერებენ. ცნობიერება შინაგანი აზრებისა და გრძნობების გაცნობიერებული მდგომარეობაა ის საშუალებას იძლევა სწორად აღიქვას და აითვისოს ინფორმაცია თქვენი გარემოდან. ამის საპირისპიროდ, ყოველთვის, როდესაც ავტომატიზირებულად მოქმედებთ (ან სადაც გაინტერესებთ "რატომ მოვიქცით ასე?"), თქვენი ქცევა შეიძლება ცნობიერი კონტროლის მიღმა იყოს და ურთიერთქმედებდეთ ქვეცნობიერად. ჩვენი ქცევის უდიდესი ნაწილი ქვეცნობიერი პროცესებით ხელმძღვანელობს. აისბერგის მსგავსად, ინფორმაციის უმეტესი ნაწილი ფარულია და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ჩანს შეუიარაღებელი თვალით.

ადამიანის ქცევის აღსაწერად და ინტერპრეტაციის მიზნით, აკადემიურმა და კომერციულმა მკვლევარებმა შეიმუშავეს რთული ტექნიკა, რომელიც საშუალებას გვამძლევს შევაგროვოთ მონაცემები, რომლებიც მიუთითებს პიროვნული თვისებების, კოგნიტურ – აფექტური მდგომარეობებისა და პრობლემების გადაჭრის სტრატეგიების შესახებ.

როგორც წესი, ცოდნა მიიღება ემპირიული პროცედურების საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ მეცნიერები აგროვებენ მონაცემებს ლაბორატორიული, სავლე და ბუნებრივი ექსპერიმენტების საშუალებით. ექსპერიმენტულ ჩარჩოებში შეიძლება განისაზღვროს კონკრეტული ჰიპოთეზა სტიმულ-საპასუხო ურთიერთობების შესახებ. ზოგადად, მეცნიერების მიერ გამოყენებული კვლევის ტექნიკა შეიძლება კლასიფიცირდეს ხარისხობრივ და რაოდენობრივ პროცედურებად.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ჩვენი შეგნებული აზრებისა და ემოციების გაგებაში, ადამიანის ქცევას უფრო მეტი რამ გააჩნია, ვიდრე თვალში საცემია. ქვეცნობიერი გონება განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება ჩვენი ქცევა საბოლოოდ და ამის მხოლოდ მცირე ნაწილია ხელმისაწვდომი ტრადიციული მეთოდოლოგიიდან - გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების გამოყენებით.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, ჩვენი მოქმედებების 90%-მდე ქვეცნობიერიდანაა მართული. რა თქმა უნდა, დანარჩენი 10%-ც მნიშვნელოვანია, მაგრამ აშკარაა, რომ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი, ვიდრე ეს ტრადიციული მეთოდებით ხერხდება. თანამედროვე მიდგომების მიზანია ქვეცნობიერის ფარული და გამოუკვლეველი ტერიტორიის შესწავლა, საიმედო შედეგების გაზომვით, რაც უფრო ღრმა ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს რესპონდენტი სინამდვილეში.

ბიომეტრიული სენსორები. აშკარა ქცევის დაკვირვების გარდა, შეგიძლიათ გამოიყენოთ ბიომეტრიული სენსორები და საზომი ხელსაწყოები იმის გასაგებად, თუ როგორ ურთიერთქმედებს გონება, ტვინი და სხეული. ბიომეტრიკა იძლევა სხვაგვარად დამალულ პროცესებზე წვდომას. ამ ჩვეულებრივ ფარულ პროცესებს (მინიმუმ დამკვირვებელს) შეუძლია მიუთითოს აზროვნების

<sup>72</sup> \*დენიელ კანემანი - მკვლევარი, რომელმაც თავი მიუძღვნა ადამიანის ქცევის შესწავლას. დენიელ კანემანი ისრაელ-ამერიკელი ფსიქოლოგია, რომელიც შეისწავლიდა განსჯის ფსიქოლოგიას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქცევით ეკონომიკას. 2002 წელს ნობელის პრემია მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებებში. 2011 წელს გამოიცა მისი წიგნი Thinking, Fast and Slow, სწრაფად გახდა საერთაშორისო ბესტსელერი.

პროცესების შესახებ, რომლებსაც დანიელ კანემანი აღწერს, რომ მიეკუთვნება სისტემას 1 - სწრაფად და მეტწილად ემოციურად განპირობებულ რეაქციებს. ეს რეაქციები არის სწრაფი პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენი გადაწყვეტილებისა და შედეგად მიღებული ქცევის დიდ ნაწილს.

**აი ტრეკინგი<sup>73</sup>** წარმოუდგენელ მონაცემებს გვაწვდის ვიზუალური ყურადღების შესახებ, რისი მიღებაც ფაქტობრივად წარმოუდგენელია სხვა მეთოდების საშუალებით. აი ტრეკინგი ჩვეულებრივ გამოიყენება იმისთვის, რომ თვალყური ვადევნოთ, თუ სად მივმართავთ თვალის მხერას დროის გარკვეულ მომენტში, ის ასევე აკონტროლებს გუგის გაფართოების მონიტორინგს.

თვალის გუგაში ცვლილებები ხდება, როდესაც სტიმულის მასალის სიკაშკაშე შეიცვლება - როდესაც მზის შუქისგან ბნელ ოთახში გადავდივართ, გუგები ფართოვდება და უფრო მეტ სინათლეს უშვებს. დილატაციის მსგავსი ეფექტი ხდება მაშინ, როდესაც სტრესულ სიტუაციებში ვხვდებით, ან როდესაც ჩვენ ვგრძნობთ აღზნებულ სტიმულს ან აზრებს - დილატაციის რაოდენობა პროპორციულია აღზნების სიმძლიერეზე. რადგან გუგების დილატაცია ავტონომიური პროცესია, მისი გაკონტროლება შეუძლებელია შეგნებულად<sup>74</sup>. ამრიგად, თვალის გუგის დილატაცია შესანიშნავი მეთოდია დაუყოვნებელი ემოციური აღზნების შესაფასებლად.

**EEG-ელექტროენცეფალოგრაფია<sup>75</sup>** არის ნეირო გამოსახულების ტექნიკა, რომელიც იზომება თავის ტვინის მიერ თავის ტვინის მიერ წარმოქმნილი ელექტრული აქტივობისგან სკალპის ზედაპირიდან სენსორების (ელექტროდების) და გამამძლიერებელი სისტემების გამოყენებით. ეს მეთოდი იდეალურია ტვინის აქტივობის შესაფასებლად, რომელიც დაკავშირებულია აღქმასთან, შემეცნებასთან და ემოციურ პროცესებთან.

ყველა ბიოსენსორს შორის, EEG-ს აქვს ყველაზე მაღალი დროის რეზოლუცია, რაც ამჟღავნებს მნიშვნელოვან ცოდნას ტვინის ქვე-მეორე დინამიკაში ჩართულობის, მოტივაციის, იმედგაცრუების, შემეცნებითი დატვირთვისა და სტიმულის დამუშავებასთან, მოქმედების მომზადებასა და შესრულებასთან დაკავშირებულ შემდგომ მეტრიკაში.

EEG შთამბეჭდავად გვაწვდის ინფორმაციას ტვინის ფუნქციონირების პროცესების შესახებ, როდესაც ჩვენ ვასრულებთ დავალებას ან გარკვეულ სტიმულს ვგრძნობთ. სახის გამომეტყველების ანალიზისგან განსხვავებით, EEG-ს შეუძლია დააკვირდეს ადამიანის გლობალურ ემოციურ მდგომარეობას, რომლის გაკონტროლება შეუძლებელია - შეგიძლიათ გააყალბოთ ღიმილი, მაგრამ ვერ მოატყუოთ თქვენი ტვინი. ორი მოდალის კომბინირება საშუალებას გაძლევთ გაეცნოთ ემოციურ გამოხატულებაში მომენტალურად შეცვლილ ცვლილებებს, ასევე ემოციურ მდგომარეობებში არსებულ ვარიაციებს უფრო ხანგრძლივად.

**GSR<sup>76</sup> / EDA ელექტროდერმული აქტივობა (EDA)**, ასევე მოხსენიებული, როგორც გაღვანური კანის რეაქცია (GSR), ასახავს ოფლის ჯირკვლების ოფლის გამოყოფას ჩვენს კანზე. გაზრდილი ოფლიანობა იწვევს კანის მაღალ გამტარობას. ემოციური სტიმულაციის შემოქმედებისას, ჩვენ „ემოციურად ვოფლიანობთ“ - განსაკუთრებით შუბლზე, ხელზე და ფეხებზე. ისევე, როგორც თვალის გუგების გაფართოება, კანის გამტარობა კონტროლდება ქვეცნობიერად, ამიტომ გვთავაზობთ უზარმაზარ შეხედულებებს ადამიანის უფილტრო, მიუკერძოებელ ემოციურ აღზნების შესახებ.

GSR გაზომვები შეიძლება გაკეთდეს მსუბუქი და მობილური სენსორებით, რაც მონაცემთა მოპოვებას ძალიან ამარტივებს. გარდა ამისა, მონაცემთა ანალიზის ავტომატური პროცედურები იღებს საკვანძო მაჩვენებლებს, რაც საშუალებას მოგცემთ დაუყოვნებლივ გამოიყენოთ ემოციური აღზნების ძირითადი ცვლილებები.

**სახის გამომეტყველების ანალიზი.** ვინაიდან მიმიკა მიზნულია ჩვენს შინაგან ემოციებზე და ჩვენი ემოციები განაგებს ჩვენს ქცევას, მიმიკის შესწავლა ჩვენი მოქმედების მიზეზების გარკვევის საშუალებას იძლევა.

<sup>73</sup> Duchowski, A. T. (2007). Eye tracking methodology: Theory and practice (Vol. 373). Springer.

<sup>74</sup> <https://imotions.com/blog/eye-tracker/>

<sup>75</sup> Onton, Delorme, & Makeig (2005). Frontal midline EEG dynamics during working memory. *Neuroimage*, 27(2), 341-356.

<sup>76</sup> Wang, Nie, & Lu (2011). EEG-based emotion recognition using frequency domain features and support vector machines. *Neural Information Processing*, 734-743.



თუ გაინტერესებთ რესპონდენტები ნამდვილად გამოხატავენ თუ არა პოზიტიურ დამოკიდებულებას დაკვირვებადი ქცევის დროს, ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ ბიომეტრიული სენსორების ჩამონათვალში სახის გამომეტყველების ანალიზური და ქცევითი კვლევის შესასწავლად.

სახის გამომეტყველების ანალიზი არის არაინტრუზიული მეთოდი, რომელიც აფასებს თავის პოზიციას და ორიენტაციას, მიკრომიპრესიებს (როგორცაა წარბების აწევა ან პირის ღრუს გახსნა) და ძირითადი ემოციების სახის (გული, სიბრაზე, გაკვირება და ა.შ.) რესპონდენტის წინაშე განთავსებული ვებკამერის საშუალებით. სახის მონაცემები ძალზე სასარგებლოა ჩართულობის, დატვირთვის ან ძილიანობის მაჩვენებლების შესასწავლად.

ადამიანის, ქცევისა და ყიდვის გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორების შესასწავლად რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევის მეთოდებთან ერთად ბიომეტრიული სენსორების გამოყენება მთლიან სურათს იძლევა.

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები საინტერესო მონაცემებს გვაწვდიან, შემოისაზღვრებიან რესპონდენტის შეგნებული ემოციების გაგებით. ადამიანის ქცევის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაგება შეუძლებელია მხოლოდ გარეგანი ნიშნებითა და გამოხატულებით. ქვეცნობიერში ხდება ჩვენი საბოლოო ქცევის ფორმირება და ეს პროცესების გაუაზრებელია ადამიანისთვის, შესაბამისად არ შეუძლია მისი ვერბალურად გადმოცემა. ამკარაა, რომ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შესაძლებელი, ვიდრე ეს ტრადიციული მეთოდებით ხერხდება. თანამედროვე მიდგომების მიზანია ქვეცნობიერის ფარული და გამოუკვლეველი ტერიტორიის შესწავლა, საიმედო შედეგების გაზომვით, რაც უფრო ღრმა ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს რესპონდენტი სინამდვილეში.

სწორედ აქ იჩენს თავს ნეირომარკეტინგის მნიშვნელობა, როგორც ადამიანის ქცევის შესწავლის ტექნიკა, რომელიც ავსებს გეგს და გვამლევს წვდომას იმ მნიშველოვან პროცესებზე, რასაც ქვია ადამიანის ქცევა და ყიდვის გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მარტინ ლინდსტრომი „Buy ოლოგია: მითი და რეალობა იმის თაობაზე რატომ ვყიდულობთ“. გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ., 2019წ.
2. Rensvold, P. (2007). Neuromarketing: Understanding the Buy Buttons in Your Customer's Brain. Thomas Nelson Inc.
3. Zurawicki, L. (2010). Neuromarketing: Exploring the brain of the consumer. Springer.
4. Pirouz, D. (2004). The Neuroscience of Consumer Decision-Making.
5. <https://www.neurosciencemarketing.com/blog/articles/what-is-neuromarketing.htm>
6. Constantinos Pantidos, “Living Brands : How Biology & Neuroscience Shape Consumer's Behaviour & Brand Desirability, LID Publishing, Publication date 11 Dec 2018;
7. <https://hbr.org/2019/01/neuromarketing-what-you-need-to-know>
8. <https://imotions.com/blog/eye-tracker/>
9. Onton, Delorme, & Makeig (2005). Frontal midline EEG dynamics during working memory. *Neuroimage*, 27(2), 341-356.
10. Wang, Nie, & Lu (2011). EEG-based emotion recognition using frequency domain features and support vector machines. *Neural Information Processing*, 734–743.
11. Duchowski, A. T. (2007). Eye tracking methodology: Theory and practice (Vol. 373). Springer.

## STUDY OF HUMAN BEHAVIOR THROUGH NEUROMARKETING TECHNIQUES

### Summary

Traditional research methods provide interesting data about respondents, although they are limited to understanding conscious responses. Understanding human behavior and the decision-making process is impossible only through external signs and expressions. The formation of our final behavior takes place in the subconscious and these processes are incomprehensible to human, therefore unable to convey it verbally. It is obvious that more information can be obtained than is possible with traditional methods. The aim of modern approaches is to study the hidden and unexplored area of the subconscious by measuring reliable results that provide deeper information about what the respondent actually thinks. Neuromarketing studies using biometric sensors and are used to measure internal factors.

**Keywords:** Neuromarketing, Ethics, Consumer, Emotional marketing, Decision making, Biometric sensors.

მკვლევარი  
ლალი მამუკაძე

### ციფრული მარკეტინგი პანდემიის პირობებში

**ანოტაცია.** ნაშრომში ნაჩვენებია ციფრული მარკეტინგის არსი, ტრადიციული მარკეტინგისა და ციფრული მარკეტინგის შორის განსხვავება. ასევე განხილულია მომხმარებლის ქცევის ცვლილება და ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული მარკეტინგი, მომხმარებლის ქცევა, პანდემია, COVID-19.

### შესავალი

მარკეტინგის კონცეფცია მუდმივად ტრანსფორმირდება ახალი ტექნოლოგიების ზემოქმედებით. 2020 წელი გახდა კრიტიკული როგორც მარკეტინგის ისე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. ახალმა ვირუსულმა ინფექციამ აიძულა დედამიწის მოსახლეობა მაქსიმალურად შეეზღუდა კონტაქტები და მოეხდინა იზოლაცია. ამან შექმნა ახალი რეალობა. საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ერთი მხრივ ადამიანთა სიცოცხლე, მეორე მხრივ მრავალი კომპანია. ამიტომ კომპანიები მალევე გადაეწყვიტა ციფრული მარკეტინგით.

ის კომპანიები, რომლებიც ადრე ახდენდნენ ციფრული ტექნოლოგიების იგნორირებას, დღეს ვალდებული არიან მოარგონ თავისი სტრატეგია და ორგანიზაციული კულტურა შეცვლილ რეალობას.

ციფრული მარკეტინგი არის ზოგადი ტერმინი, რომელიც გულისხმობს საქონლისა და მომსახურების მიზნობრივ და ინტერაქტიულ მარკეტინგს, რომელიც იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს პოტენციური მომხმარებლების მოსაზიდად და მათ შესანარჩუნებლად. ციფრული მარკეტინგის ძირითადი მიზნებია ბრენდის პოპულარიზაცია და გაყიდვების ზრდა სხვადასხვა ტექნიკის საშუალებით. ციფრული მარკეტინგი მოიცავს მრავალფეროვან მარკეტინგულ ტექნიკას, პროდუქტების, მომსახურების და ბრენდების პოპულარიზაციის მიზნით.

XXI საუკუნე მომხმარებლის საუკუნედ მიიჩნევა, რადგან დღეს ნებისმიერი კომპანიის არსებობა დამოკიდებულია იმაზე თუ რას ყიდულობს მომხმარებელი. დღეს ნებისმიერი კომპანიის მარკეტინგის სტრატეგიის მთავარი ამოცანაა მომხმარებელთა საჭიროებისა და მოთხოვნილებების განსაზღვრა და მათთვის მოსაწონი საქონლის შეთავაზება. ახალ საუკუნეში შეიცვალა მომხმარებლის ცხოვრების წესიც. თუ წლების წინ მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტ

დროს უთმობდა ერთმანეთთან უშუალო კომუნიკაციას, სავაჭრო ობიექტებში იძენდა საჭირო პროდუქტს, ან სასურველი სერვისის მისაღებას რიგებში ლოდინი და დროის ხარჯვა უწყევდა, დღეს ურთიერთობისა დაა ოპერაციების ფორმატმა ელექტრონული სახე მიიღო. ონლაინ სივრცე ის ადგილია, სადაც მომხმარებელს შეუძლია დროისა და ფულადი სახსრების მინიმალური დანახარჯებით მიიღოს მისთვის სასურველი პროდუქტი ან მომსახურება.

დღეს როდესაც მსოფლიო ვითარდება არნახული სისწრაფით, ნებისმიერი ბიზნესის წარმატებისთვის საჭიროა თანამედროვე ინოვაციებისთვის ფეხის აწყობა, მათი მაქსიმალურად გამოყენება საკუთარი პროდუქციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისათვის, პოტენციურ მომხმარებლებთან კავშირის დამყარებისა და მათი მოზიდვისათვის. ამის საშუალებას ძალიან მარტივად იძლევა ონლაინ სივრცე, რომელიც კომპანიებს აკავშირებს თითქმის ყველა სახის მომხმარებლებთან. კომპანიებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება ინტერნეტი, როგორც კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალება. ისინი ქმნიან საკუთარ ვებგვერდებს, ინტერნეტშივე აწყობენ კონკურსებს, აქციებს, აქტიურობენ სოციალურ ქსელებში. ამგვარად, ინტერნეტი პროდუქტის შეთავაზების საუკეთესო საშუალებად იქცა. ინტერნეტს აქვს სწორედ ის უნიკალური თვისებები რომელიც მას განსაკუთრებულს ხდის მარკეტოლოგებისთვის. მათ შორის აღსანიშნავია: სწრაფი კომუნიკაციის დამყარების, ინფორმაციის წამიერად მიწოდების და ონლაინ გაყიდვების განხორციელების უნარი. ეს კი შესანიშნავი შესაძლებლობაა ნებისმიერი კომპანიისათვის, რომელსაც სურს პროდუქციის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა და საკუთარი პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობის სწრაფი ზრდა [ციფრული მარკეტინგი გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე].

ყოველივე ამან მიგვიყვანა მარკეტინგის განვითარების ახალ ეტაპამდე – ციფრული მარკეტინგის განვითარებამდე, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს. ციფრული მარკეტინგი, რომელიც დაფუძნებულია მომხმარებელთან ელექტრონული საშუალებებით კომუნიკაციაზე, ყველაზე უფრო მძლავრი და ეფექტური საინფორმაციო რესურსია. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ციფრული მარკეტინგის სათავე სწორედ ინტერნეტს უკავშირდება და მისი განვითარების ისტორია პირადად არის დაკავშირებული ერთიანი მსოფლიო კომპიუტერული ქსელის შექმნასთან.

ციფრული მარკეტინგის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიამ განაპირობა ის, რომ დღეს ციფრული მარკეტინგი არ გულისხმობს მხოლოდ ონლაინ გაყიდვების საიტებს და ონლაინ რეკლამას, არამედ ყველა სახის ციფრული არხის გამოყენებით სამომხმარებლო ბაზრის კვლევას, პროდუქციის მიზნობრივი ჯგუფების იდენტიფიცირებას, სწორი რეკლამირებისა და გაყიდვების სტიმულირებას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა კომპანიებს სმარტფონების, თანამედროვე სახის კომპიუტერული ტექნიკისა და საოჯახო ტექნიკის პლატფორმების გამოყენებით მომხმარებელთან კავშირის დამყარების შესაძლებლობა მისცა. სხვადასხვა ქვეყნებში წარმატებული მარკეტოლოგები იყენებენ განსხვავებულ მიდგომებს, თუმცა მათი მიზანი ერთია: შეიმუშაონ ციფრულ არხებთან დაკავშირებული სტრატეგია და დაუკავშირდნენ იმ მომხმარებლებს, რომლებიც დიდ დროს ატარებენ ონლაინ სივრცეში, თავის სმარტფონებთან, კომპიუტერებთან და სხვა სახის თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ამისათვის ისინი იყენებენ ციფრული მარკეტინგის სხვადასხვა ბერკეტებს, როგორებიცაა: ციფრული რეკლამა, იმიელ მარკეტინგი, ონლაინ ბროშურები და ა.შ.

ტრადიციული მარკეტინგისგან განსხვავებით, ციფრული მარკეტინგი კომპანიას ეხმარება მომხმარებელთან დიალოგის დამყარებაში, ის გაცილებით მცირეხარჯიანია და ქმნის პროდუქტისა თუ მომსახურების მომხმარებელთან სწორად მიტანის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ მარკეტინგსა და ინტერნეტმარკეტინგს შორის არის მსგავსება და მათ აქვთ მსგავსი მახასიათებლები, თუნდაც მჭიდრო კავშირი ინტერნეტთან, ციფრული მარკეტინგი მაინც უფრო ფართო ცნებაა და გარდა ონლაინ არხებისა ის იყენებს ქვემოთ ჩამოთვლილ არხებს: 1. ლოკალური და სოციალური ქსელები; 2. ვებგვერდები; 3. ოფლაინ მაღაზიები; 4. ციფრული ტელევიზია, კომპიუტერები და პლანშეტები; 5. სმარტფონები და მობილური აპლიკაციები; 6. ციფრული ხელოვნება და ციფრული გაგეტები; 7. თვით-მომსახურების და POS ტერმინალები. ციფრულ მარკეტინგს გააჩნია თავისი ინსტრუმენტები,

ესენია: E-mail მარკეტინგი - ციფრული მარკეტინგის ყველაზე ძველი, შეიძლება ითქვას პირველი ფორმა. ვებგვერდი, სოციალური მედია, ონლაინ რეკლამა, მობილური აპლიკაციები, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ბლოგები, ვირუსული მარკეტინგი და სხვა.

ციფრული მარკეტინგის არსი არ არის რაც შეიძლება მეტი ახალი ტექნოლოგიის დანერგვა. ეს ტექნოლოგიები ორგანიზაციებს წარმატების მიღწევის საშუალებას აძლევს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი ბრენდების ციფრული ტრანსფორმაცია ხდება შეგნებულად და მიზანმიმართულად. ციფრული მარკეტინგის მოწინავე ინსტრუმენტების გამოყენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების მიღება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მარკეტოლოგები იცნობენ თავიანთი მომხმარებლებს, მათ გამოწვევებს და ფარული საჭიროებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავარია არა ის, რომელ ინსტრუმენტებს ვიყენებთ, არამედ რატომ და როგორ ვიყენებთ მათ [Маркетинг в эпоху цифровых технологий 2020].

კორონავირუსთან ბრძოლის ღონისძიებებმა მოითხოვა უნივერსალური თვითიზოლაციის რეჟიმის შემოღება. საკმაოდ კარგად განვითარებული სატელეკომუნიკაციო და IT სექტორის ფონზე, მომხმარებელთა თვითიზოლირებამ და საკარანტინო ზომებმა, რომლებიც გულისხმობს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მონახულების აკრძალვას, სამომხმარებლო ჩვევების შეცვლა გამოიწვია. ამ ყველაფერმა თავის მხრივ გავლენა მოახდინა სამომხმარებლო ბაზრის სტრუქტურაზე.

პანდემიამ მოახდინა მომხმარებელთა ქცევის ახალი მოდელის ფორმირება. დღეს მომხმარებლები ნაკლებს კი არ ხარჯავენ, არამედ მათ უბრალოდ სხვაგვარად დაიწყეს ხარჯვა. ფუფუნების საგნების ნაცვლად, ისინი უპირატესობას ანიჭებენ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქონელს და მომსახურებას. შექმნილ ვითარებაში, მაღაზიაში ყოველი წასვლა ან საქმიანი შეხვედრის ორგანიზება აჩენს შფოთის შეგრძნებას, დაკავშირებულს პანდემიასთან. ამ რეალობაში აღსანიშნავია, რომ აშშ – ს მომხმარებელთა 62% უფრო ხშირად ყიდულობს საქონელს ინტერნეტის საშუალებით ვიდრე COVID – მდე. ამერიკელი მომხმარებლების 74,6% თავს იკავებენ ხალხმრავალ სავაჭრო ცენტრებში სიარულისგან, ხოლო 52,7% თავს არიდებს ზოგადად მაღაზიებს; 2020 წელს მოდის სფეროში ელექტრონული გაყიდვების ყველა ძირითადი მაჩვენებელი 2019 წლიდან შემცირებულია. ხოლო ტანსაცმლის, სამკაულისა და აქსესუარების გაყიდვიდან შემოსავალი საბაზისო მაჩვენებელზე 30%-ზე მეტით შემცირდა. კომპანიის მფლობელები თავიანთი ბიუჯეტის მეტ ნაწილს აბანდებენ მარკეტინგში, რათა არ დაუშვან გაყიდვების დაეცემა [obzor-statistiki-vliyanie-koronavirusa-na-marketing-2020].

როგორ შეცვალა პანდემიამ მომხმარებელთა ქცევა საქართველოში? პანდემიის პერიოდში ძირითადი მოთხოვნა და საერთო გაყიდვების 60% თავის მოვლის საშუალებებზე მოდიოდა. რაც შეეხება ლოქდაუნის შემდგომ პერიოდს, როდესაც გადაადგილება და სურსათთან წვდომა მომხმარებლისთვის შედარებით გამარტივდა, ეს ტენდენციაც შეიცვალა და საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნის პროცენტულმა მაჩვენებელმაც იკლო. გაიზარდა მოთხოვნა ელექტროტექნიკაზე, ტანსაცმლის კატეგორიაზე, თავის მოვლის საშუალებებზე და სხვა [Маркетинг в эпоху цифровых технологий 2020].

ზაფხულის სეზონის მიწურულს ძალიან აქტუალური გახდა სასწავლო წლისთვის მზადება. მომხმარებელს შესთავაზეს 70%-მდე ფასდაკლებები 50-მდე პარტნიორი მაღაზიის მიერ წარდგენილ 2000-ზე მეტ აქტუალურ პროდუქტზე. გამომდინარე აქედან გაიზარდა მოთხოვნა ისეთ კატეგორიებზე, როგორცაა: საკანცელარიო, წიგნები და სახელმძღვანელოები, ლეპტოპები და კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტელეფონები და მათი აქსესუარები, სასკოლო ჩანთები, ტანსაცმელი, აქსესუარები და სხვა [https://commersant.ge/ge/post, პანდემიამ მომხმარებელთა ქცევა შეცვალა 2020].

კორონავირუსით გამოწვეულმა ცვლილებებმა ბიძგი მისცა კომპანიებს, სწრაფად მოეხდინათ გადაწყობა ციფრულ პლატფორმებზე, გაეკეთებინათ სწორება ელექტრონულ კომერციაზე. თუმცა, მარკეტოლოგებმა ეს რეაქცია შეაფასეს როგორც, გარკვეულწილად, დაგვიანებული, გარედან იძულებით ნაკარნახევი. მათი აზრით, ელექტრონული კომერციის დაუფასებლობამ და ციფრული მარკეტინგის გადავადებამ ბიზნესს წლები დააკარგვინა. ბევრ

სექტორში მარკეტინგმა რეალობაზე რეაგირება დააგვიანა. გაციფრულების გამოწვევა COVID-ამდეც ცხადი იყო, თუმცა ბევრმა ბიზნესმა და ბევრმა მარკეტერმაც ტრადიციულ ფორმატში დარჩენა ამჯობინა. მაგალითისთვის: ელ-კომერციის სერვისის მოხმარება აქამდეც ხელმოსაწვდომი იყო თუმცა ბევრ კომპანიას არათუ ელექტრონული გაყიდვა და მიწოდება, ვებგვერდიც არ ჰქონდა. მივიწყებული იყო ის სიგნალები, რომელსაც ბაზარი ამკარად აგზავნიდა და მხოლოდ კრიზისთან შეჯახების დროს მოხდა ბევრ რამეზე რეაგირება. მარკეტინგმა უკვე მიიღო გაერთიანებული სახეის აღარ მოიაზრება ცალკეულ და დამოუკიდებელ ერთეულად, არამედ ის აერთიანებს ბრენდს, მენეჯმენტს, მომხმარებლებს და მასთან დაკავშირებულ გამოცდილებას [ა. მირიო, 2020].

## დასკვნა

ბოლო წლებში აქტიურად იცვლება მარკეტინგი, მისი ინსტრუმენტები და ტექნიკა. პანდემია გახდა ძლიერი კატალიზატორი ამ ცვლილებებისა. COVID-19- ის შემდგომი სამყარო იგივე არ იქნება, თუმცა არავინ იცის ზუსტად როგორი იქნება ახალი რეალობა. ამკარაა, რომ სამყარო არ დაუბრუნდება თავის წინა მდგომარეობას. ამიტომ მარკეტოლოგებმა სისტემატურად უნდა აკონტროლონ ტენდენციები და მაჩვენებლები, უნდა ისწრაფონ თამამი ცვლილებების შეტანისკენ მარკეტინგის სტრატეგიაში, რათა უზრუნველყონ ორგანიზაციის მოქნილობის გაზრდა. ნებისმიერი კრიზისი, პირველ რიგში, შესაძლებლობებია, ჩვენ უბრალოდ უნდა დავინახოთ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ციფრული მარკეტინგი გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე - პროექტი ზრდა საქართველოში USAID 2018 <http://zrda.georgiane.org/Files/cifruli%20marketingi-pdf>
2. ა. მირიო. ფორსმაჟორულ სიტუაციაში მომხმარებლის ქცევის შესწავლა ქართულ ბაზარზე, 2020.
3. <https://act-global.com/news> COVID 19 – შესაძლებლობები, თუ გამოწვევები მარკეტერებისთვის?
4. <https://commerciant.ge/ge/post>, პანდემიამ მომხმარებელთა ქცევა შეცვალა 2020 16.19
5. <https://www.croc.ru/resources/marketing-in-the-digital-age/> Маркетинг в эпоху цифровых технологий 2020
6. <https://vc.ru/marketing/118008-obzor-statistiki-vliyanie-koronavirusa-na-marketing-elektronnyu-kommerciyu-i-reklamu> 2020

*Maka Sosanidze  
Lali Osadze*

## DIGITAL MARKETING IN A PANDEMIC

### Summary

The marketing concept is constantly being transformed by new technologies. 2020 has become a critical year for the development of both marketing and the global economy as a whole. The new viral infection forced the Earth's population to limit contacts and isolate themselves as much as possible. Therefore, companies soon switched to digital marketing.

Companies that previously ignored digital technology are now forced to adapt their strategy and organizational culture to new realities.

Today, when the world is developing at an unprecedented pace, the success of any business requires modern innovations, their maximum use to spread information about their products, connect with potential customers and attract them. This is made possible very easily thanks to the online space that brings companies together with almost all types of users.

Marketing, its tools and methods have been actively changing in recent years. Pandemic

Has become a powerful catalyst for these changes. The post-COVID-19 world will not be the same, although no one knows for sure what the new reality will be.

## ფირმათა ადაპტაციული სტრატეგია

**ანოტაცია.** ფირმათა ადაპტაციული სტრატეგია ნაწილობრივ გარანტად მიიჩნევა მომავალი წარმატებისათვის. ის სერიოზული იარაღია თანამედროვე უმკაცრესი კონკურენციის პირობებში. ადაპტაციური მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობა იყო საწარმოს ადაპტაციის სტრატეგია, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს მოქმედებების სხვადასხვა ალტერნატივას და ეს იღებს ერთგვარი სამოქმედო გეგმის სახეს. მსგავსი გეგმა შემუშავებულია საწარმოს მიერ ცვალებად ბიზნეს გარემოსთან შესაგუებლად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ყველაფერი მიმართულია ფირმის როგორც კონკურენტუნარიანობის ასევე მაღალი ფინანსური მომგებიანობის უზრუნველსაყოფად და ბაზარზე პოზიციების კიდევ უფრო გასამტკიცებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ადაპტაციური მენეჯმენტი, სტრატეგია, ბიზნეს გარემო, კონკურენტუნარიანობა, ფირმა, ეკონომიკური სუბიექტი.

## შესავალი

დღესდღეობით ეკონომიკის განვითარების ეტაპებს თან სდევს საკმაოდ რთული და მრავალმხრივი პროცესები, რაც თავის მხრივ გამოიხატება ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესსა და ახალი ტექნოლოგიური წყობის ჩამოყალიბებაში. ამის პარალელურად მუდმივად იზრდება ხელმისაწვდომი რესურსების დეფიციტი და მომხმარებელთა მოთხოვნები და პრიორიტეტებიც გამუდმებით იცვლება. სწორედ ამ ყველაფერმა უბიძგა ფირმებს ეზრუნათ გრძელვადიან მომავალზე, უზრუნველყოთ მდგრადი და ეფექტიანი განვითარება, რაც თავის მხრივ განისაზღვრება უნარით - რაც შეიძლება სწრაფად მოახდინო ადაპტაცია გარემოს მხრიდან გენერირებულ ცვლილებებზე.

## ფირმის ადაპტაციური მენეჯმენტის შემუშავების პრობლემა

არსებული პრობლემის რაობა ფირმებისგან მოითხოვს სტრატეგიულ მიზნობრივ ორიენტაციას და გარე ფაქტორების გავლენის სიღრმისეულ და არასტანდარტულ დიაგნოსტიკას. უფრო მეტიც, ეს ყველაფერი აუცილებელია, რათა განისაზღვროს თანამედროვე ადაპტაციური მენეჯმენტის კონკრეტული მეთოდები და მიდგომები და პირველ რიგში მათი გამოყენების აუცილებლობა.

ჩვენ ვიზიარებთ იდეას, რომ თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ფირმის ეფექტიანი მართვის წინაპირობაა მისი ელემენტებისა და ქვესისტემების მყისიერი ადაპტაცია გარემო ცვლილებებისადმი. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მენეჯმენტის ეს სისტემა სრულყოფილად არ არის შესწავლილი და დამუშავებული. როგორც წესი, ყურადღება გამახვილებულია უფრო მეტად ცალკეულ ელემენტებზე და არაა გათვალისწინებული მათი სისტემური ურთიერთკავშირი. ამ საკითხის სასწაფი შესწავლა აუცილებელია, რათა შედეგად არ მივიღოთ არა მხოლოდ ცალკეული ფირმების გაკოტრება, არამედ სრული დესტაბილიზაცია და ეკონომიკის რეცესია.

გარე ფაქტორების არასტაბილურობა მოითხოვს სწრაფი მობილობის უნარს, მოქნილობას და სრულ მზაობას დაკმაყოფილდეს ბაზრის ცვალებადი მოთხოვნილებები. რომ შევაჯამოთ - საბაზრო სიტუაციის ცვლილებებზე დროული და ადეკვატური რეაგირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფირმების გადასარჩენად და გრძელვადიან პერსპექტივაში მათი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. მეორე მხრივ, საბაზრო პირობებთან ადაპტაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ტექნიკური და ეკონომიკური მოქნილობის უზრუნველყოფა.

ადაპტაციური მენეჯმენტის შემუშავებისათვის ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ფირმის ტექნოლოგიასა და ორგანიზაციის სრტუქტურას, არამედ მნიშვნელოვანია მისი ფინანსური მდგომარეობა, გასაღების ქსელი, მარკეტინგული სტრატეგია და მსგავსი დეტალები. მსგავსი დამოკიდებულება ორი შედეგის მომტანია: ერთი - ნარჩუნდება ეფექტიანი წარმოება და მეორე - ყალიბდება ცვლილებებისადმი ადაპტაციის ფუნქციები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ადაპტაციურ მენეჯმენტთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად არაა შესწავლილი. ასევე არ არსებობს თეორიის ყოვლისმომცველი დეფინიცია, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებს. ასევე არ არის გამოყოფილი მისი სახეები, ტიპები, მიმართულებები და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ - არ არსებობს ადაპტაციური მენეჯმენტის კომპლექსური სისტემა.

რადგან კლასიფიკაცია და კლასიფიკატორთა გამოვლენა ადაპტაციის მოვლენის უკეთ შესწავლისთვის უპირობო პროცესია, შევეცადეთ კლასიფიკაციის სისტემის სინთეზირებას. კლასიფიკაცია მომავალში დაგვეხმარება ადაპტაციის მრავალმხრივი პროცესის უკეთ აღქმაში და გაამარტივებს დაკვირვების პროცესს დასკვნების გამოსატანად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფირმის ადაპტაცია საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული მისსავე მოქნილობასთან და ხშირ შემთხვევაში სინონიმებადაც აღიქვამენ. რეალურად, ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. ადაპტაცია თავის მხრივ უფრო ფართო და ყოვლისმომცველია ვიდრე მოქნილობა. ის გულისხმობს მიზნებისათვის გარემომცველი გარემოს შეცვლის უნარსაც მაშინ როდესაც მოქნილობა ცვალებად პირობებთან შეგუებასთან ასოცირდება. ადაპტაცია თავის თავში მოიცავს მოქნილობას, ხოლო თავად „ადაპტაციის პროცესი“ აერთიანებს ისეთ საქმიანობებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია: შედეგებისკენ სწრაფვა; ადაპტაციური ღონისძიებების ერთობლიობის განხორციელების ვადების მკაცრი შეზღუდულობა; სხვადასხვა დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება და კოორდინირება.

*ადაპტაციის მიმართულებები.* ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია განვავრცოთ საკითხი და ადაპტაციის მიმართულებები ადაპტაციის სახეებში გავაერთიანოთ და გამოვყოთ შემდეგი ტიპები: ორგანიზაციულ-მმართველობითი; ეკონომიკური; ტექნიკურ-ტექნოლოგიური; სოცილურ-შრომითი; და არატრადიციული. საბოლოო ჯამში, ამ მიმართულებების გაერთიანებითა და გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადაპტაციის პროცესი საჭიროების შემთხვევაში შემდეგი სამი ძირითადი ეტაპია ფირმისათვის: გადარჩენა, სტაბილური მდგომარეობა და მდგრადი განვითარება. ეს არის გზა - კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლა და ძველი გარემოს აურის შექმნის მიზნის დასახვა. პირველ ეტაპზე ხდება კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლა და შესაფერისი წინაპირობების უზრუნველყოფა მომავალი სტაბილიზაციისათვის, რათა მზად იყო გარემოს ნემისმიერი ცვლილებისათვის. შემდგომ უკვე დინამიკური წონასწორობა მიიღწევა და ბოლოს მივდივართ სასურველ შედეგამდე - მიიღწევა გრძელვადიანი დაბალანსებული ზრდა. ეს არის დინამიური პროცესი, რომელიც მიმართულია ლიდერული კონკურენტული პოზიციის უზრუნველსაყოფად.

გრძელვადიანი კონკურენტული პოზიცია თავისთავად ყველა ფირმის მიზანია, ნიშნავს მაქსიმალურად ეფექტიან ფუნქციონირებას და შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური სუბიექტების მდგრადობის პირობებში. ეკონომიკური სუბიექტის, როგორც სისტემის მდგრადობა - ეს არის პირველ რიგში გარემოსთან ადაპტაციის დახმარებით პოზიციების შენარჩუნება და ასევე ბაზარზე გრძელვადიანი არსებობის გარანტი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას დამატებით ისიც, რომ მდგრადობაც და განვითარებაც ცვალებად გარე ფაქტორებთან მიმართებით ფირმის შიდა ცვლილებების ადეკვატურობის ფუნქციებს წარმოადგენენ.

## დასკვნა

ფირმათა ადაპტაციისადმი მიძღვნილი ნაშრომები არასაკმარისია საკითხის განსაზოგადებლად და ზოგადად ადაპტაციის პროცესიც არ არის ბოლომდე სრულყოფილად შესწავლილი. მისი აუცილებლობა საბუთდება იმით, რომ ფირმებს რეალურად საკმაოდ

ცვალებად გარემოში უწევს საქმიანობა და ადაპტაცია მათთვის ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გადარჩენისთვის. წარმატებული საქმიანობისათვის ფირმებმა პირველ რიგში უნდა შეიმუშაონ ადაპტაციური მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური საფუძვლები, შექმნან ამ სისტემის მუშაობის სტრუქტურა, შეისწავლონ ფუნქციები და ამოცანები და მთელი ამ თავმოყრილი ინფორმაციის გადამუშავებით მიაღწიონ დასახულ შედეგებს - სტაბილურობასა და კონკურენტულ უპირატესობას გარემო ფაქტორების მაღალი გაურკვევლობის ხარისხის პირობებში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Matthew Baker, Making the (Business) Case for Adaptive Management: Three Tips from the Private Sector, Learning Lab, July 2017;
2. Brian Nyberg (1999), An Introductory Guide to Adaptive Management (for Project Leaders and Participants), Canada;
3. Аакер, Д. Стратегическое рыночное управление / Д. Аакер. СПб. :Питер, 2007. - 496 с
4. Андерсон, Б. Бизнес-процессы. Инструменты совершенствования. / Б.Андерсон. -М.: Стандарты и качество, 2007. - 272 с.
5. Медынский, В. Г. Инновационный менеджмент: учебник / В.Г.Медынский. - М.: ИНФРА-М, 2002

*Maia Soselia  
Tamar Begdarashvili*

### ADAPTIVE STRATEGY OF COMPANIES

#### Summary

The firm adaptive strategy is seen in part as a guarantee for its future success. It is a serious privilege especially in the face of modern competition. A prerequisite for the formation of the adaptive management system was the enterprise adaptation strategy, which in turn combines different alternatives of actions and it takes the form of a kind of action plan. A similar plan has been developed by the enterprise to adapt to the changing business environment. Most importantly, in the long run, all this is aimed at ensuring both the firm's competitiveness as well as high financial profitability and further strengthening its market position.

*იამზე სურმანიძე*

### აჭარის ბიზნეს სექტორში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

**ანოტაცია.** სტატიაში შესწავლილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა, გამოვლენილია ეკონომიკური საქმიანობის სახეებიდან წამყვანი დარგები დასაქმების მიხედვით. შეფასებულია ამ დარგებში შრომის პროდუქტიულობის დონე, მისი დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენა ფიქსირებული და სტრუქტურული ძვრების ინდექსების გამოყენებით. სტატიაში ასევე წარმოდგენილია მთლიანი შიდა პროდუქტის და დასაქმების წილობრივი მაჩვენებლების დინამიკის შედარებითი ანალიზი დარგების მიხედვით. გამოვლენილია დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებები რეგიონალურ და მუნიციპალურ ჭრილში.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნეს-სექტორი, დასაქმება, შრომის პროდუქტიულობა.

#### შესავალი


საქართველოში შრომის ბაზრის შესასწავლად საკმაოდ ბევრი კვლევაა განხორციელებული. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



ყოველწლიურად ატარებს შრომის ბაზრის ანალიზს, რომლის მიზანაც დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულეებით არსებული ტენდენციების ანალიზია, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომელშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა. შრომის ბაზრის განვითარება ანუ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა პირდაპირ კავშირშია ბიზნეს-სექტორის განვითარებასთან. საქართველოში დასაქმების ძირითად წყაროს ბიზნეს-სექტორი წარმოადგენს (სემგს, 2019).

აჭარა საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობების პრიორიტეტულობისა და პერსპექტიულობის თვალსაზრისით. წინამდებარე ნაშრომში განხილულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორში დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი, დარგობრივ, გენდერულ და მუნიციპალურ ჭრილში (იხ. დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1. ბიზნეს სექტორში დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში**



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის მონაცემებით, აჭარაში დასაქმებულია 158,1 ათასი კაცი, აქედან ბიზნეს სექტორში დასაქმებულია 74,8 ათასი ანუ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წილი 58,4%-ს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5 ერთეულით აღემატება. დასაქმებულთა განაწილება აჭარის მუნიციპალიტეტების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სექტორში დასაქმების დონე საკმაოდ მაღალია, ვიდრე მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, რაც აჭარაში აქტიური ურბანიზაციის შედეგია. სამუშაო ადგილები ძირითადად თავმოყრილია ქალაქებსა და დაბებში, სადაც საწარმოების უფრო მეტი რაოდენობაა (იხ. ცხრილი 1). აჭარაში ურბანიზაციის დონე და უმუშევრობის მაჩვენებელიც მაღალია საქართველოს სხვა რეგიონებთან განსხვავებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ რეგიონის ეკონომიკურ სტრუქტურაში დიდი წილი მშენებლობაზე და ტურიზმზე მოდის, რაც ხელს უწყობს დროებით და არა მუდმივ დასაქმებას.

**ცხრილი 1. დასაქმებულთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით**


|                            | 2014          | 2015          | 2016          | 2017          | 2018          | 2019          |
|----------------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| <b>აჭარა</b>               | <b>54 655</b> | <b>57 555</b> | <b>66 597</b> | <b>70 087</b> | <b>70 292</b> | <b>74 804</b> |
| ქ. ბათუმი                  | 45 742        | 47 078        | 54 637        | 58 153        | 58 591        | 62 449        |
| ქედის მუნიციპალიტეტი       | 292           | 494           | 561           | 705           | 873           | 909           |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტი   | 4 484         | 5 221         | 5 785         | 7 088         | 6 929         | 6 956         |
| შუახევის მუნიციპალიტეტი    | 772           | 1 634         | 1 804         | 621           | 537           | 955           |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 2 717         | 2 777         | 3 387         | 2 971         | 2 687         | 2 719         |
| ხულოს მუნიციპალიტეტი       | 648           | 350           | 424           | 549           | 674           | 816           |

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2019 წლის მონაცემების მიხედვით აჭარაში ეკონომიკური საქმიანობის სახეებიდან წამყვანი ადგილი ვაჭრობას, მრეწველობას, მშენებლობას, სასტუმრო-რესტორნებს და ტრანსპორტირებას უჭირავს როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ისე ბრუნვისა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით.

დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობების რეიტინგული სია ასე გამოიყურება (2019 წლის მონაცემების მიხედვით): ყველაზე მეტი დასაქმებული ვაჭრობაში და ავტომობილების რემონტშია (21%), შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა (16%) და მშენებლობა (14%), ტრანსპორტირება-დასაწყობება და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (11%), სხვა საქმიანობების წილი შედარებით დაბალია და ცალკეულად ვარირებს 0-5% დიაპაზონში (იხ. დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2. დასაქმების წილი მთლიან დასაქმებაში დარგების მიხედვით**




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით

საინტერესოა დასაქმების დინამიკა რეიტინგული ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, ამასთან დაქირავებულთა რაოდენობის და შრომის ანაზღაურების დინამიკა. ეს დარგებია: მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და დასაწყობება (იხ. ცხრილი 2).

2011 წლამდე მრეწველობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა სხვა დარგებში დასაქმებულთა რაოდენობას, ხოლო სასტუმროების და რესტორნების სექტორი ბოლო პოზიციას იჭერს ამ ხუთეულში. 2011 წლიდან წინა პლანზე წამოიწია ვაჭრობის დარგში დასაქმებამ, მრეწველობის დარგში დასაქმებამ იწყო შემცირება, ხოლო სასტუმროების და რესტორნების სექტორში დასაქმება გაიზარდა. ბოლო წლებში დასაქმებაში ლიდერობენ ვაჭრობის, მრეწველობის და მშენებლობის დარგები (იხ. დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3. დასაქმებულთა განაწილება დარგების მიხედვით**



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით

**შრომის პროდუქტიულობა.** ბიზნესში სამუშაო ძალის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომის პროდუქტიულობა, რომელიც განსაზღვრავს დროის ერთეულში პროდუქციის წარმოების უნარს. შრომის პროდუქტიულობის სტატისტიკის

ამოცანებია განსაზღვროს შრომის პროდუქტიულობის დონე, დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები.

შევაფასეთ დასახელებულ 5 დარგში შრომის პროდუქტიულობის ცვლილება შრომის პროდუქტიულობის ინდექსების გამოყენებით. შრომის პროდუქტიულობა გამოითვლება წარმოებული პროდუქციის მოცულობის შეფარდებით დასაქმებულთა რიცხვზე:

$$P = \frac{\sum Y}{\sum L}$$

სადაც P არის შრომის პროდუქტიულობა (Productivity), Y არის წარმოებული პროდუქციის მოცულობა, L - დასაქმებულთა რიცხვი (Labor).

შრომის პროდუქტიულობის დინამიკა დავახასიათოთ ინდექსით:

$$I = \frac{P_1}{P_0} = \frac{\sum Y_1}{\sum L_1} : \frac{\sum Y_0}{\sum L_0}$$

სადაც  $P_1$  და  $P_0$  შრომის პროდუქტიულობის დონეებია საანგარიშო პერიოდის ბოლოს და დასაწყისში.

თუ ამ ფორმულაში შევიტანთ Y-ის მნიშვნელობას  $Y = \sum PL$ , როგორც შრომის პროდუქტიულობის და დასაქმებულთა რიცხვის ნამრავლი, მაშინ მივიღებთ:

$$I = \frac{\sum P_1 L_1}{\sum L_1} : \frac{\sum P_0 L_0}{\sum L_0}$$

ეს არის შრომის პროდუქტიულობის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი.

შევაფასეთ შრომის პროდუქტიულობის დინამიკა ცალკეულ დარგებში. მასზე მოქმედებს ორი ფაქტორი-შრომის პროდუქტიულობის დონეთა ცვლილება დარგებში და დასაქმების სტრუქტურული ძვრები. ამ უკანასკნელის გავლენა იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ დარგში შრომის პროდუქტიულობის უცვლელობის პირობებშიც კი საერთო შრომის პროდუქტიულობა გაიზრდება, თუკი გაიზრდება იმ დარგებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი, რომელშიც მაღალია შრომის პროდუქტიულობა. შრომის პროდუქტიულობის დინამიკაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება გავზომოთ შრომის პროდუქტიულობის ფიქსირებული და სტრუქტურული ძვრების ინდექსით.

**ფიქსირებული ინდექსი (Fixed Index)** განსაზღვრავს შრომის პროდუქტიულობის ცვლილების გავლენას საერთო შრომის პროდუქტიულობაზე და გამოითვლება ფორმულით:

$$FI = \frac{\sum P_1 L_1}{\sum L_1} : \frac{\sum P_0 L_1}{\sum L_1}$$

**სტრუქტურული ძვრების ინდექსი (Structural Index)** განსაზღვრავს დასაქმების მასშტაბური სტრუქტურის ცვლილების გავლენას საერთო შრომის პროდუქტიულობაზე და გამოითვლება ფორმულით:

$$SI = \frac{\sum P_0 L_1}{\sum L_1} : \frac{\sum P_0 L_0}{\sum L_0}$$

შევაფასეთ დარგებში შრომის პროდუქტიულობის დონის, დინამიკის და მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენა (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2. დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა აჭარაში**

|   | 2006         | 2007         | 2008         | 2009         | 2010         | 2011         | 2012         | 2013         | 2014         | 2015         | 2016         | 2017         | 2018         | 2019         |
|---|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| <b>დასაქმებულთა რიცხოვნობა სულ</b>                                | <b>32271</b> | <b>30523</b> | <b>29229</b> | <b>31325</b> | <b>31847</b> | <b>39975</b> | <b>44691</b> | <b>49759</b> | <b>54655</b> | <b>57555</b> | <b>66597</b> | <b>70087</b> | <b>70292</b> | <b>74804</b> |
| <b>მრეწველობა</b>   |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |
| დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)                                     | 6 726        | 5 732        | 5 161        | 6 742        | 6 980        | 7 130        | 8 244        | 7 752        | 8 670        | 9 494        | 10 422       | 10 858       | 10 920       | 10 466       |
| დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)                                    | 6 380        | 5 276        | 4 930        | 6 401        | 6 705        | 6 792        | 8 133        | 7 468        | 8 423        | 9 129        | 10 022       | 10 463       | 10 280       | 10 016       |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)             | 212,0        | 257,5        | 317,9        | 287,8        | 314,6        | 367,1        | 377,2        | 447,4        | 515,9        | 544,5        | 575,0        | 623,5        | 701,8        | 824,0        |
| <b>მშენებლობა</b>   |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |
| დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)                                     | 4 951        | 4 750        | 5 359        | 5 629        | 4 099        | 6 292        | 8 202        | 8 793        | 10 276       | 10 494       | 10 272       | 9 777        | 10 217       | 10 458       |
| დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)                                    | 4 777        | 4 593        | 5 187        | 5 491        | 3 952        | 6 234        | 8 175        | 8 720        | 10 103       | 10 425       | 10 174       | 9 512        | 9 774        | 9 912        |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)             | 310,0        | 401,3        | 553,0        | 606,2        | 845,7        | 750,6        | 756,6        | 883,9        | 930,6        | 1 537,6      | 1 653,2      | 1 414,3      | 1 527,0      | 1 826,2      |
| <b>ვაჭრობა</b>  |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |
| დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)                                     | 4 682        | 4 727        | 4 398        | 4 819        | 4 696        | 7 688        | 8 033        | 9 351        | 10 741       | 12 360       | 13 464       | 14 057       | 14 607       | 16 647       |
| დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)                                    | 3 049        | 3 497        | 3 442        | 3 814        | 3 670        | 6 143        | 6 868        | 8 298        | 8 866        | 10 043       | 10 326       | 11 135       | 11 087       | 12 255       |
| დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი) | 144,6        | 193,7        | 240,7        | 243,8        | 294,4        | 325,8        | 391,2        | 411,6        | 468,5        | 505,2        | 547,1        | 553,7        | 676,7        | 667,0        |
| <b>სასტუმროები და რესტორნები</b>                                  |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |
| დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი                                      | 2209         | 1978         | 1700         | 1816         | 2278         | 2379         | 4109         | 5826         | 6002         | 6082         | 6510         | 7327         | 7654         | 8185         |
| დაქირავებულთა რაოდენობა, კაცი                                     | 1932         | 1687         | 1451         | 1607         | 2011         | 2283         | 3923         | 5615         | 5778         | 5334         | 6268         | 7185         | 7152         | 7899         |
| დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება, ლარი   | 96,2         | 180,5        | 226,0        | 241,9        | 401,5        | 369,8        | 420,2        | 358,4        | 362,3        | 553,1        | 644,7        | 675,8        | 711,3        | 802,7        |
| <b>ტრანსპორტი და დასაწყობება</b>                                  |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |              |
| დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)                                     | 4194         | 3224         | 3057         | 3428         | 3041         | 3109         | 3762         | 4247         | 4115         | 4216         | 5853         | 7670         | 7826         | 8163,2       |
| დაქირავებულთა რაოდენობა (კაცი)                                    | 4056         | 3130         | 2977         | 3367         | 3016         | 3056         | 3652         | 4012         | 3938         | 3969         | 5360         | 6817         | 6877         | 7524,8       |
| დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი) | 405,1        | 495,1        | 784,8        | 788,5        | 893,8        | 1021,6       | 980,1        | 993,3        | 1032,8       | 1238,9       | 1163,6       | 1176,3       | 1134,2       | 1111,3       |

წყარო: (საქსტატი)

ცხრილი 3. შრომის პროდუქტიულობის დონის დინამიკა დარგების მიხედვით

|                     | გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი |        | დასაქმებულთა რაოდენობა |       | დასაქმებულთა % წილი |      | შრომის პროდუქტიულობის დონე |        | ცვალებადი ინდექსი |
|---------------------|---------------------------------|--------|------------------------|-------|---------------------|------|----------------------------|--------|-------------------|
|                     | 2010                            | 2019   | 2010                   | 2019  | 2010                | 2019 | 2010                       | 2019   |                   |
|                     | $Y_0$                           | $Y_1$  | $L_0$                  | $L_1$ |                     |      | $P_0$                      | $P_1$  | $I$               |
| ვაჭრობა             | 74,5                            | 516,6  | 4696                   | 16647 | 15%                 | 22%  | 15865                      | 31033  | 1,96              |
| ტრანსპორტი          | 122,6                           | 523,8  | 3041                   | 8163  | 10%                 | 11%  | 40316                      | 64166  | 1,59              |
| მშენებლობა          | 222,9                           | 1152,1 | 4099                   | 10458 | 13%                 | 14%  | 54379                      | 110164 | 2,03              |
| სასტუმრო-რესტორნები | 37,3                            | 338,7  | 2278                   | 8185  | 7%                  | 11%  | 16374                      | 41381  | 2,53              |
| მრეწველობა          | 160,4                           | 706,3  | 6980                   | 10466 | 22%                 | 14%  | 22980                      | 67485  | 2,94              |
| სულ                 | 714,6                           | 4426,1 | 31847                  | 74804 | 100%                | 100% | 22439                      | 59169  | 2,64              |

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

გამოთვლებიდან ჩანს, რომ 2010-2019 წლებში შრომის პროდუქტიულობის დონე აჭარის ბიზნეს სექტორში 22439 ლარიდან 59 169 ლარამდე გაიზარდა. მათ შორის უფრო მეტად მშენებლობის და მრეწველობის დარგებში.

ცხრილის ბოლო სვეტში გაანგარიშებულია შრომის პროდუქტიულობის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსები მთლიანად და ცალკეული დარგისთვის. რაც იმას ნიშნავს, რომ შრომის პროდუქტიულობა 2019 წელს მთლიან ბიზნეს სექტორში 2,64-ჯერ გაიზარდა 2010 წელთან შედარებით, მრეწველობაში-2,94-ჯერ, სასტუმრო-რესტორნებში - 2,53-ჯერ, მშენებლობაში - 2,03-ჯერ, ვაჭრობაში - 1,96-ჯერ და ტრანსპორტში - 1,59-ჯერ. ამრიგად, შრომის პროდუქტიულობა ყველაზე მეტად მრეწველობაში გაიზარდა. გამოვთვალოთ:

$$\frac{\sum P_1 L_1}{\sum L_1} = 59169,3; \quad \frac{\sum P_0 L_1}{\sum L_1} = 22438,5; \quad \frac{\sum P_0 L_0}{\sum L_0} = 22438,5$$

შრომის პროდუქტიულობის ფიქსირებული ინდექსი  $FI = \frac{59169,3}{22438,5} = 2.64 = 264\%$ , ხოლო სტრუქტურული ძვრების ინდექსი  $SI = \frac{22438,5}{22438,5} = 1 = 100\%$ .

ჩატარებული გამოთვლებით მივიღეთ, რომ აჭარის ბიზნეს სექტორში შრომის პროდუქტიულობა 2010 წლიდან 2019 წლამდე გაიზარდა 264%-ით, რაც გამოწვეულია განხილულ 5 დარგში მთლიანად პროდუქტიულობის დონის ზრდით და არა დასაქმებულთა სტრუქტურის ცვლილებით.

ფიქსირებული და სტრუქტურული ძვრების ინდექსების ნამრავლი  $2,64 \cdot 1 = 2,64$  არის შრომის პროდუქტიულობის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი. მაშასადამე, შრომის პროდუქტიულობა განხილულ დარგებში მთლიანად განსაზღვრავს შრომის პროდუქტიულობას ბიზნეს სექტორში, ხოლო სტრუქტურული ძვრების გავლენას შრომის პროდუქტიულობა არ განიცდის.

ამრიგად, შრომის პროდუქტიულობის დონე ყველაზე მეტად მშენებლობის და დამამუშავებელი მრეწველობის დარგებში გაიზარდა, რაც იმას უკავშირდება, რომ ამ დარგებში ერთ დასაქმებულზე კაპიტალდაბანდების მეტი წილი მოდის. მრეწველობის ყველაზე დიდი ქვესექტორი აჭარაში დამამუშავებელი მრეწველობაა, რომელშიც ლიდერობს საკვები პროდუქტებისა (სასმელების ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება, სამშენებლო მასალებისა და სხვა არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება, ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოება. აღსანიშნავია, რომ ამ დარგების საექსპორტო პოტენციალი საკმაოდ


მაღალია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ინვესტიციების გაზრდა ამ დარგების გაფართოებისთვის.

საქსტატის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, დამამუშავებელ მრეწველობაზე აჭარის მშპ-ს 14% და დასაქმების 16% მოდის. ამ სექტორში დასაქმებულთა 60% ქალია და 40% კაცი, ხოლო დასაქმებულთა ანაზღაურება ქალების-616 ლარი, კაცების-1018 ლარი (იხ. დანართი 2.3), რაც ნაკლებია მრეწველობის სხვა ქვესექტორებში დასაქმებულთა ანაზღაურებაზე. მრეწველობის სექტორში მოქმედი საწარმოების 88% მცირე საწარმოა და დასაქმებულია დასაქმებულთა 33%. 2017-2019 წლებში ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 7%-ით შემცირდა. მრეწველობის სექტორის საწარმოთა დაახლოებით 60% ბათუმშია, შემდეგ ხელვაჩაურში, ქობულეთში და მცირე რაოდენობით წარმოდგენილია მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში, სადაც აქტიურია ღვინის წარმოება, ხილის გადამამუშავება, თევზისა და რძის პროდუქტების წარმოება. ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში ფართო ასორტიმენტის პროდუქციის წარმოება ხდება, მათ შორის, მეტწილად სამშენებლო მასალების წარმოება. ზოგიერთი სამრეწველო საწარმო სახელმწიფო პროგრამების („აწარმოე საქართველოში“ და „შეღვათიანი აგრო კრედიტი“) და დონორი ორგანიზაციების ბენეფიციარია. ტექსტილის წარმოების განვითარებას აჭარაში ხელი შეუწყო თურქულმა ინვესტიციამ და აქაურმა იაფმა მუშახელმა. ბათუმს მნიშვნელოვანი სამრეწველო და სატრანსპორტო პოტენციალი გააჩნია პორტის და ნავთობტერმინალის არსებობის უპირატესობით.

საქსტატის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, მშენებლობის დარგზე მოდის აჭარის მშპ-ს 14% და დასაქმების 16%. ამ სექტორში დასაქმებულთა 10% ქალია და 90% კაცი, ხოლო დასაქმებულთა ანაზღაურება ქალების-1133 ლარი, კაცების-1912 ლარი (იხ. დანართი 2.3). მშენებლობის ბუმი აჭარაში გამოიწვია ტურიზმის ბიზნესის განვითარებამ და მეტწილად აჭარის ზღვისპირა ზოლში, ბათუმსა და ქობულეთში გააქტიურდა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ქალაქებში სწორედ მშენებლობაშია დასაქმებული.

რაც შეეხება დასაქმებულთა ხელფასებს ამ დარგებში, მშენებლობაში და მრეწველობაში დასაქმებულთა ხელფასები აღემატება ვაჭრობისა და მომსახურების დარგებში დასაქმებულთა ხელფასებს (იხ. დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4. დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები დარგების მიხედვით**




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ეფუძნება ეროვნულ სტატისტიკურ კლასიფიკატორს, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის სტატისტიკური ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community ბაზაზე (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი, 2016).

თუ შევადარებთ დასაქმების და მთლიანი შიდა პროდუქტის წილობრივ მაჩვენებლებს ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, შევნიშნავთ, რომ აჭარის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ყველა სექტორში ყოველთვის არ განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას (იხ. დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5. დასაქმების და მშპ-ს წილის დინამიკა დარგების მიხედვით**



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

დამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმების წილის დინამიკა და მთლიან შიდა პროდუქტში გამოშვების წილის დინამიკა 2013 წლიდან თითქმის ერთნაირია. მშენებლობის დარგში დასაქმების წილი 2017 წლიდან შემცირდა, თუმცა მისი წილი მშპ-ში საგრძნობლად გაიზარდა. საბითუმო და საცალო ვაჭრობაში მათი დინამიკებიც თითქმის ერთნაირია, თუმცა 2017-2019 წლებში ამ დარგში დასაქმების წილის ზრდასთან ერთად მცირდებოდა მშპ-ს წილი. ტრანსპორტირება-დასაწყობების დარგში საპირისპირო სიტუაციაა, 2015-2017 წლებში დასაქმების წილი მკვეთრად გაიზარდა, მშპ-ს წილი შემცირდა. სასტუმროებისა და

რესტორნების დარგში, 2015 წლიდან ამ სიდიდეებს თითქმის ერთნაირი ზრდის დინამიკა აქვთ, მანამდე კი საპირისპირო დინამიკა შეიმჩნეოდა.

საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში შეინიშნება წარმოების ფაქტორების არასწორი განაწილება, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილები დაბალი პროდუქტიულობის სექტორებში ვლინდება, ხოლო მაღალი პროდუქტიულობის სექტორები ცოტა სამუშაო ადგილს ქმნის, ან ეს ადგილები არ არის საკმარისი დასაქმების გასაზრდელად (პოსადას პ. ..., 2018).

აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სექტორში დასაქმების დონე საკმაოდ დაბალია სხვა მუნიციპალიტეტებთან (ბათუმი, ხელვაჩაური, ქობულეთი) შედარებით, სადაც თავმოყრილია საწარმოთა უმრავლესობა. მაღალმთიანეთში ძირითადად სოფლის მეურნეობის დარგში არიან დასაქმებულები. ამიტომ როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (აჭარის ა.რ. მთავრობა, 2019), ისე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების (UNDP საქართველო) მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობ პოლიტიკას. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროგრამების განხორციელება მიმართულია იქეთკენ, რომ ხელი შეუწყოს ადგილობრივი კადრების დასაქმებას, შემცირდეს სამუშაო ძალის მიგრაცია, შემცირდეს სიღარიბის დონე.

კორონავირუსით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ადგილობრივ წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. პანდემიის დროს ყველაზე მეტად დაზარალდნენ შემდეგი საქმიანობები: ხელოვნება, გართობა და დასვენება; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები; ტრანსპორტი და დასაწყობება; მშენებლობა; მრეწველობა, კვების და ფარმაცევტული მრეწველობის გარდა; საბითუმო და საცალო ვაჭრობა, სასურსათო მაღაზიების და აფთიაქების გარდა. შედეგად, ქვეყნის მასშტაბით ამ სექტორებში შემცირდა დასაქმებაც და შემოსავლებიც (საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი, 2020). შესაბამისად მეტად მნიშვნელოვანია იმ ქვედარგების განვითარებაზე აქცენტის გაკეთება, რომლებსაც ყველაზე დიდი პოტენციალი აქვთ აჭარაში, იქნება ეს სოფლის მეურნეობის, თუ გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები. არსებული შეზღუდული რესურსების ფარგლებში შესაძლებელია ბიზნეს სექტორის პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებების განვითარება. მიგვაჩნია, რომ ადგილობრივ რესურსებთან ერთად, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის სტარტაპ პროგრამებისა და საგრანტო პროექტების მხარდაჭერით, სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური თანადგომით, ნოვატორული იდეების წახალისებით, შესაძლებელია ადგილობრივი ბიზნესის განვითარების და პროდუქტიულობის ამაღლების ხელშეწყობა.

## დასკვნა

ამრიგად, აჭარის ბიზნეს სექტორში გამოვლინდა პრიორიტეტული დარგები: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტირება, სასტუმროები და რესტორნები, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ისე ბრუნვისა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით. ამ დარგებში შრომის პროდუქტიულობის ზრდამ განაპირობა აჭარის მთლიან ბიზნეს სექტორში შრომის პროდუქტიულობის დონის გაზრდა. ბოლო წლებში შრომის პროდუქტიულობის დონე ყველაზე მეტად მშენებლობის და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში გაიზარდა, რაც იმას უკავშირდება, რომ ამ დარგებში ერთ დასაქმებულზე კაპიტალდაბანდების მეტი წილი მოდის. შესაბამისად შრომის ანაზღაურების ზრდაც ამ დარგებში უფრო მიმდინარეობს სხვა დარგებთან შედარებით.

ბიზნეს სექტორის სხვადასხვა დარგში დასაქმების და მშპ-ს წილის დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ზოგიერთ დარგში შეინიშნება წარმოების ფაქტორების არასწორი განაწილება ანუ სამუშაო ადგილები დაბალი პროდუქტიულობის სექტორებში ვლინდება, ხოლო მაღალი პროდუქტიულობის სექტორები ცოტა სამუშაო ადგილს ქმნის, ან ეს ადგილები არ არის საკმარისი დასაქმების გასაზრდელად.



მნიშვნელოვანია აჭარაში პრიორიტეტული და პერსპექტიული დარგების განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება, რაც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი კადრების დასაქმებას და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ასევე ბიზნეს სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. EPPM. (2013). უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე. თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი.

2. UNDP საქართველო. (ნ.დ.).

Получено из:

[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty\\_reduction/agriculture-development-in-ajara.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty_reduction/agriculture-development-in-ajara.html)

3. აჭარის ა.რ. მთავრობა. (2019). აჭარის ა.რ. საშუალოვადიანი (2020-2023) სამოქმედო გეგმა.

4. თსუ. (2013). სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის (ლექციების კურსი). თბილისი: თსუ.

5. პოსადას პ. ... (2018). დასაქმება საქართველოში: სამუშაო ადგილების ლანდშაფტის შეფასება. Washington: World Bank Group. Получено из:

<https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/29955/126461GEORGIAN.pdf?sequence=4&isAllowed=y>

6. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი. (2016). ეკონომიკური საქმიანობის სახეები (რედაქცია 2). თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Получено из [https://www.geostat.ge/media/5368/NACE-Rev-2\\_Georgian\\_Aug-3\\_2016\\_Final.pdf](https://www.geostat.ge/media/5368/NACE-Rev-2_Georgian_Aug-3_2016_Final.pdf)

7. საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი. (2020). Covid-19-ის შესაძლო გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. GPRC. Получено из:

[http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136520/08\\_Viewpoint\\_2020-05-04\\_Covid\\_19\\_and\\_Georgian\\_economy](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136520/08_Viewpoint_2020-05-04_Covid_19_and_Georgian_economy)

8. საქსტატი. (ნ.დ.). ბიზნეს სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია.

9. სემგს. (2019). საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი. Получено из:

<http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd>

10. UNDP საქართველო. (თ. გ.). მოპოვებული:

[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty\\_reduction/agriculture-development-in-ajara.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/poverty_reduction/agriculture-development-in-ajara.html)-დან

*Iamze Surmanidze*

### STATISTICAL ANALYSIS OF THE SECTORAL STRUCTURE OF EMPLOYMENT IN THE BUSINESS SECTOR OF ADJARA AUTONOMOUS REPUBLIC

#### Summary

Adjara differs from other regions of Georgia in the priority and perspective of economic activity. This article examines the statistical analysis of the sectoral structure of employment in the entrepreneurial sector of the Autonomous Republic of Adjara in the sectoral, gender and municipal context.

According to 2019 data, 158.1 thousand people are employed in Adjara, of which 74.8 thousand are employed in the business sector or 58.4% of those employed in the business sector, which is 5 units more than in the previous year. The distribution of employees by municipalities of Adjara shows that the level of employment in the business sector of the municipalities of Batumi, Kobuleti and Khelvachauri is quite high than in the mountainous municipalities, which is a result of active urbanization in Adjara. Jobs are mainly concentrated in cities with more enterprises. The level of urbanization and unemployment in Adjara is also high compared to other regions of Georgia, which is due to the fact that construction and tourism account for

a large share in the economic structure of the region, which contributes to temporary rather than permanent employment.

The leading industrial sectors in Adjara during the Soviet period, such as oil refining, car manufacturing, were replaced by construction, trade, tourism, and services after the transition to a market economy. There is a transformation of the economy in terms of demand for labor resources. The service economy is developing rapidly in recent years.

Survey of Labor and Employment Statistics in Adjara showed that the share of employees in the business sector has increased by 42% since 2003.

According to the data of 2019, trade, industry, construction, hotels, restaurants and transport occupy a leading place among the types of economic activity in Adjara in terms of the number of employees, as well as the number of turnovers and manufactured products.

The ranking of economic activities by the number of employees is as follows (according to data for 2019): the majority of employees are employed in trade and car repair (21%), followed by manufacturing (16%) and construction (14%), transport, warehousing and placement and delivery of food (11%), the share of other activities is relatively low and fluctuates separately within the range of 0-5%.

One of the most important indicators of the use of labor in business is labor productivity, which determines the ability to produce products per unit of time. The tasks of labor productivity statistics are to determine the level of labor productivity, dynamics and factors affecting it.

We estimated the change in labor productivity in the 5 named areas using labor productivity indices. Labor productivity in 2019 in the business sector as a whole increased 2.64 times compared to 2010, in industry - 2.94 times, in hotels - restaurants - 2.53 times, in construction - 2.03 times, in trade - by 1.96 times and in transport - by 1.59 times.

Thus, the level of labor productivity increased the most in the construction and manufacturing industries, which is due to the fact that these industries account for a large share of capital investments per worker. The largest subsector of industry in Adjara is the processing industry, leading in the production of food products (including beverages) and tobacco, the production of building materials and other non-metallic mineral products, the production of textiles and textile products. It should be noted that the export potential of these sectors is quite high, so we consider it necessary to increase investments to expand these sectors.

With regard to the wages of workers in these sectors, the wages of workers in the construction and industrial sectors are higher than those of workers in the trade and services.

A study of the dynamics of employment and the share of GDP in various sectors of the business sector showed that in some sectors there is an incorrect distribution of factors of production or jobs are identified in sectors with low productivity, while in sectors with high productivity few jobs are created or these jobs are insufficient. to increase employment.

The level of employment in the business sector of the mountainous municipalities of Adjara is rather low compared to other municipalities (Batumi, Khelvachauri, Kobuleti), where most of the enterprises are concentrated. In the highlands, they are mainly engaged in agriculture.

The economic crisis caused by the coronavirus has shown that local production is of great importance. Therefore, it is very important to focus on the development of the subsectors that have the greatest potential in Adjara, be it agriculture or manufacturing. Within the framework of the available limited resources, it is possible to develop priority and promising business areas. We believe that with the help of local resources, support for start-up programs and grant projects for small and medium-sized enterprises, financial support from the state and donor organizations, the encouragement of innovative ideas, it is possible to contribute to the development and productivity of local businesses.

*თამაზ გამსახურდია  
თეიმურაზ ფესტკენიძე*

### **ეფექტური მენეჯმენტი - ძლიერი სახელმწიფო**

*ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ხელისუფლების ძირითადი ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებს ქვეყნის ძლიერებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, რომელიც დამოკიდებულია გამოცდილების, კვალიფიკაციის, პროფესიული დონის ამაღლების, ფიზიკური და გონებრივი შრომის ეფექტურად გამოყენების უნარზე. ხაზგასმითაა აღნიშნული,*

რომ ეფექტური შრომითა და გონივრული გადაწყვეტილების შემუშავების გზით, უზრუნველვყოთ საკუთარი და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობა.

აქვე აღნიშნულია, რომ ჩვენი დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ჩვილბავშვიანი დედების მიმართ და რაც შეიძლება მეტი ინვესტიციები მიმართოს ამ დიდი მამულიშვილური საქმისადმი, რომელიც ქვეყანას უდავოდ დიდ ეფექტს მოუტანს. აქვე აღნიშნულია ინვესტიციების ნაკლებობაზე ლექტორ-მასწავლებელთა საპენსიო განაკვეთების ზრდის თაობაზე.

ნაშრომში საუბარია ქვეყნის ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრის მნიშვნელობაზე და მისი მოპოვება-გამოყენების ეფექტიანობაზე ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის.

გამახვილებულია ყურადღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის დისბალანსზე იმპორტის მხრივ, მის მიზეზებსა და აღმოფხვრის გზებზე.

\*\*\*

ნებისმიერი ხელისუფლების ძირითადი ამოცანა უნდა იყოს დღენიადაც ქვეყნის ძლიერების განმტკიცებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია თითოეული მათგანის გამოცდილების, კვალიფიკაციის, პროფესიული დონის ამაღლების, ფიზიკური და გონებრივი შრომის ეფექტურად გამოყენების უნარზე, რომელთა ხარჯზე შესაძლებელია მიღწეულ იქნას წარმატებები, რაც ქვეყნის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საფუძველია.

ქვეყანაში, ბევრი მოუგვარებელი პრობლემის გამო, მაღალია უმუშევრობის მაჩვენებლები და ღარიბია მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამ შემთხვევაში ადამიანი იმაზე ფიქრობს რა გზას დაადგეს და რითი ირჩინოს თავი. ღარიბი ხარ თუ მდიდარი, მთავრობის წევრი ხარ თუ რიგითი მუშაკი, უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, უნდა იყო პატრიოტი და იზრუნო ქვეყნის აღმშენებლობისთვის. მივბადოთ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, როდესაც სამშობლოს უჭირდა ერი და ბერი ერთიანდებოდა და ერთსულოვნების ხარჯზე აღწევდნენ წარმატებებს. ბევრჯერ ააოხრა და გააპარტახა მტერმა ჩვენი სამშობლო, მაგრამ ის მაინც ახერხებდა ფეხზე დადგომას. ეფექტური შრომითა და გონივრული გადაწყვეტილების შემუშავების გზით, უზრუნველვყოთ საკუთარი და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობა. ამისათვის საჭიროა გავათვითცნობიეროთ, რომ სხვისი შემყურე ცხოვრება შეუძლებელია. ადამიანის ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სწორად შეაფასოს მასში არსებული უნარ-ჩვევები და შეარჩიოს პრიორიტეტები, რათა მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოიყენოს ხელთ არსებული რესურსი, რომ დაძლიოს მის წინაშე არსებული პრობლემები.

დღეს ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის ზღვარზეა მისული, ამავე დროს მძვინვარებს უხილავი და დაუძინებელი მტერი პანდემიის სახით. სწორედ ამ ბრძოლაშია ჩაბმული ხელისუფლება, მაქსიმალურად ცდილობს გამოვიდეს მძიმე მდგომარეობიდან და მშრომელთა კეთილდღეობა უფრო და უფრო წინ წასწიოს. ამ ეტაპზე გვერდში ამოდგომის მაგივრად ოპოზიცია გაუთავებლად კინკლაობს, რომელიც დამანგრეველად მოქმედებს სახელმწიფოს განვითარებაზე. ამ ვითარების დასაძლევად საჭიროა გონივრულად განსაჯოს პოზიციამ და ოპოზიციამ აღნიშნული პრობლემა. უნდა გვახსოვდეს, რომ ორივე მხარეს ბედკრული საქართველოს შვილებია. არ დავივიწყოთ სამშობლოს სიყვარული. საქართველო უპირველეს ყოვლისა.

ქართველი ერი ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობით, სხვისი პატივისცემითა და დაფასებით ყველგან და ყველგან. მიუხედავად უმძიმესი ეკონომიკისა, ქართველი კაცის ღირსება არასოდეს ისეთი ამაღლებული არ ყოფილა, როგორც საბჭოთა ეპოქაში. უფროს თაობას კარგად ახსოვს, როგორ ხვდებოდნენ ქართველებს მოსკოვსა და ლენინგრადში (ახლანდელი სანკ-პეტერბურგი). ჩვენი მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება ისე ყვაოდა, რომ მთელი საბჭოთა კავშირი შემოგვნატროდა. ქართველს, თუნდაც ვიღაც ბოგანო რომ ჩამოსულიყო რუსეთში, უკრაინასა ან ნებისმიერ მოკავშირე რესპუბლიკაში, ყველა პატივს სცემდა.

ქართველს თავისუფლად შეუძლია იამაყოს თავისი ერის წარსულით, სახელოვანი მამულიშვილებით, მწერლებით, პოეტებით, მეცნიერებით, კულტურის მოღვაწეებით, სპორტსმენებით და სხვა, რომლებმაც ჩვენი სამშობლოს სახელი და დიდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანეს, გააცნეს მსოფლიოს ჩვენი ქართული გენის სიდიადე. როგორ ლამაზად ჟღერს რასიოლოგიისა და ანთროპოლოგიის ფუძემდებლის, ფრიდრიხ ბლუმენბახის შეფასება. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მას შემთხვევით როდი უღიარებია ქართველები მსოფლიოში ულამაზეს ხალხად და თეთრი რასის ფუძემდებლად.

ჩვენმა დაკვირვებამ მოგვცა შესაძლებლობა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ისტორიულად ქართულ ოჯახში დაბადებული და გაზრდილი ბავშვები პატარა ასაკიდან ეჩვეოდნენ შრომას, იცოდნენ მისი ფასი და ათვითცნობიერებდნენ იმას, რომ შრომისა და გარჯის გარეშე ყოფაცხოვრება შეუძლებელია.

პატარებს შრომა აჩვევს, აწრთობს და ხელს უწყობს კარგ პიროვნებად და ადამიანად ჩამოყალიბებაში. უდავოდ, ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მშობლებს, მაგრამ შვილის აღზრდაში ლომის წილი უდევს დედას. როგორც ვაჟა ბრძანებდა: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა“-ო. დედას მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს, როგორც შვილის გამზრდელს. პირველ რიგში, ეს დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობით უნდა გამოიხატებოდეს. დედას უნდა ჰქონდეს უფრო მეტი დრო შვილის აღსაზრდელად. მოსამსახურე დედებს, უმეტეს შემთხვევაში, ძიმა ჰყავთ აყვანილი შვილის მომვლელად, რაც კარგ მიდგომად არ მიგვაჩნია. შვილის აღზრდელი დედა სოციალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რაშიც ხელისუფლებამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს. დედის პირითად მოვალეობად უნდა ითვლებოდეს შვილის გარკვეულ ასაკამდე აღზრდა და ამ საქმეში უდავოდ დიდი ინვესტიციების ჩადებაა აუცილებელი, რაც უდავოდ დიდ ეფექტს მოუტანს სახელმწიფოს. საინტერესო პროექტია - „პატარების დიდი შოუ“, სადაც ვიხილეთ ნიჭით დაჯილდოვებული და გამორჩეული ბავშვები. იმედია, მათი ნიჭი უფრო გაიფურჩქნება, მაგრამ მშობლებმა არ უნდა მოადუნონ ყურადღება და ხელშეწყობა ასეთი ნიჭით გამორჩეული შვილების მიმართ. მიგვაჩნია, რომ განათლების სამინისტროსთან შეიქმნას ცალკე რომელიმე დეპარტამენტი ან ბიურო, რომელიც უხელმძღვანელებს ნიჭით გამორჩეულ ბავშვებთან საქმიანობას. ჩვენ გვჯერა, რომ ამით მომავალში ვიხილავთ მცოდნე და მაღალკვალიფიციურ ახალგაზრდა თაობას, რომლებიც 21-ე საუკუნეში უდავოდ დიდი საქმის განხორციელების ავტორები იქნებიან.

საამაყო, თუ როგორი მონდომებითა და რუდუნებით შრომობდნენ ჩვენი სასიქადულო წინაპრები. ეპოქის ამა თუ იმ პერიოდში დიდ თაოსნობას იჩენდნენ, თუ როგორ დაეცვათ სამშობლო მტრებისაგან, როგორ შეექმნათ უკეთესი ცხოვრების პირობები და ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ, რომ უწყვეტად ეკეთებინათ დიდი მამულიშვილური საქმეები და ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით უდგებოდნენ სამშობლოს სიყვარულს. სწორედ დაულალავი შრომის შედეგია ის დიდი მიღწევები, რომლებიც განუმეორებელი ძეგლების სახით დაგვიტოვეს, როგორცაა: ვარძია, სვეტიცხოველი, გელათი, ხახული, შიო მღვიმე, ჯვარი, საფარა, მარტვილი და მრავალი სხვა მატერიალური ძეგლი, რომლებიც ჩვენი საამაყო წარსულის მემკვიდრეა და ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია.

საქართველო თავისი მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებით და წიაღისეული სიმდიდრით, თავის ადგილს იკავებს მსოფლიოს თანავარსკვლავედში. ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია თავისი ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრეებით. მსოფლიოში ცნობილი მაღალი დონის მეცნიერმა ალექსანდრე ჯანელიძემ 1933 წელს შექმნა ქართული გეოლოგიური სკოლა. მას საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავდა ცნობილი მეცნიერები საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის შესასწავლად. სწორედ მათ აღწერეს მთელი საქართველოს გეოლოგიური რუქა. როგორც ირკვევა, დღეს ხელისუფლებაში სრულყოფილად არ იციან საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და მისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. კვლევებიდან ჩანს, რომ საქართველოში თითქმის 73 სახეობის წიაღისეული სიმდიდრეა აღმოჩენილი, რომლებიც შეიცავს მენდელეევის თითქმის მთელ სისტემას, ესენია: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, თუთია, ტყვია, რკინა, ბარიტი და

ასე შემდეგ. როგორც ცნობილია, ჩვენი ქედები, როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით შეიცავს ისეთ წიაღისეულს, როგორცაა ლოპოტის მარმარილო, რომელიც ხარისხით არ ჩამოუარდება იტალიურ მარმარილოს, სალიეთის მარმარილოზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ სამწუხაროდ, დიდი მოცულობით არ ხდება მისი მოპოვება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სალიეთის მარმარილოთა მოპირკეთებული მოსკოვის მეტროპოლიტენის მთელი რიგი სადგურები. გარდა მარმარილოს, გვხვდება გრანიტი, ბაზალტი, მთელი ვულკანური ქანების ბევრი სახეობა. მთელი კავკასიონი ხომ ამოუწურავი სიმდიდრეა. რუსეთის უდიდეს ტერიტორიაზე ისტორიულად ერთ-ერთი მდიდარი მხარეა ურალი. მიუხედავად მისი საუკუნეობრივი ინტენსიური ექსპლოატაციისა, ის მაინც ინარჩუნებს პირველ ადგილს რუსეთის გეოლოგიაში. ჩვენ ხელუხლებელი გვაქვს ურალზე უფრო მდიდარი საბადოები. საქართველოში მარტო ოქრო რომ ავიღოთ, დაწყებული პატარა მდინარე გლდანულადან თითქმის ყველა მდინარეების სილა-ლორდი შეიცავს ოქროს და მრავალ სასარგებლო ქანებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში.

საქართველო უმდიდრეს ქვეყნად ითვლება, რადგან ფლობს დიდი რაოდენობით რესურსებს. კერძოდ, აღსანიშნავია შავი ქვა, რომლის მაქსიმალური გამოყენება დიდ ეკონომიკურ ეფექტს მისცემს სახელმწიფოს. საბადოს აუზი ზესტაფონიდან საჩხერემდე გრძელდება, რომელიც შეიცავს მაღალი ხარისხის მადანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის მოპოვება საქართველოში არ ხდება (დაწყებული ჭალადიდან-კახეთამდე მთელი რიგი ტერიტორიები მდიდარია ნავთობით). სამწუხაროდ, ძალიან პასიურობენ და არავენ ფიქრობს ნავთობის მოპოვების საქმეს ხელი მოჰკიდონ, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ფინანსური რესურსების განვითარებაში გარკვეული როლი ითამაშოს.

როგორც ცნობილია, საქართველოში გამოვლენილია 2000-ზე მეტი მინერალური წყლის წყარო, რომელსაც მაღალი სამკურნალო თვისებები გააჩნია. აგრეთვე უნიკალური დასალევი წყაროს წყლით დაინტერესებას გამოხატავს მთელი რიგი სახელმწიფოები, რომლებიც სხვა ქვეყნის სასმელ წყლებთან შედარებით მაღალი საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა. ეს ჩვენი სიმდიდრე არ არის? ჩვენი სიმდიდრეები ეფექტურად და რაციონალურად რომ გამოვიყენოთ, ამისათვის საჭიროა კარგად მოფიქრებული მენეჯმენტი, რომელიც დიდ შრომასა და ენერჯიას მოითხოვს, რომ ექსპორტს მივცეთ სწორი მიმართულება, რასაც სახელმწიფოსთვის დიდი შემოსავლის მოტანა შეუძლია.

ახალი ჰესების მშენებლობის შესახებ გვინდა ჩვენი მოკრძალებული მოსაზრება გამოვთქვათ, რომ მრავალი ჰესის მშენებლობის მიუხედავად, როგორც აღნიშნავენ, მაინც იგრძნობა ელექტროენერჯიის დეფიციტი. სანამ ნამოხვანჰესის და სხვა მშენებლობის იდეის პრაქტიკულად განხორციელებას შევუდგებოდეთ, აუცილებელია სპეციალისტები და ექსპერტები გაეცნონ აღნიშნულ პროექტს და ბოლოს მოხდეს მისი გაცნობა-განხილვა საზოგადოების წევრებთან. იქ დაისმებოდა კითხვები: ვინ არის ინვესტორი, რა ვადით შემოდის საქართველოში, რა სიმაღლის კაშხალი იქნება ადმართული, მიწის რა ფართობს დაიკავებს, რა გავლენას მოახდენს ეკოლოგიაზე და ა.შ. ქვეყანაში რომ შენდება ჰესები, ფაქტია, ქვეყნის ძლიერებაზე მეტყველებს, მაგრამ არავის გახსენებია, რომ ნამოხვანის შემოგარენი რა მრავალფეროვან სიმდიდრეს ინახავს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მომავალში რა ბედი ეწევა მას! არ ითვალისწინებენ ყველაზე მნიშვნელოვანს, რომ საქართველოს ტერიტორიის 30% არის მხოლოდ სავარგულები და ისიც წყლით უნდა დაიფაროს? მეტი გონება რომ მოგვეხმო და მოქმედამდე მოზომვა აგვერჩია, ასეთი დამაბულობა და პერმანენტული აქციები არ მოჰყვებოდა ამ საკითხს. ამ შემთხვევაში მოვუხმობთ ბრძნულ აზრებს, შევიმუშავოთ ოპტიმალური ვარიანტები, რომ მოგებული დარჩეს ქვეყანა და მადლიერი იყოს ქართველი ხალხი.

ხელისუფლება უნდა გრძნობდეს სწავლა-განათლების პრიორიტეტულობას, რადგან განათლებული ადამიანი არის ქვეყნის უდიდესი რესურსი და სიმდიდრე. გაუნათლებელი ადამიანი ფიქრობს მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე და არა ქვეყნის მომავალზე, ან არასწორად ჩაებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში და ან საერთოდ არ მიიღებს აქტიურ

მონაწილეობას მასში. ამიტომ თითოეულმა ადამიანმა თავისი ინტერესისა და სურვილის შესაბამისად უნდა მიიღოს განათლება, რომ გახდეს კარგი ადამიანი, აქტიური მოქალაქე და სამშობლოს პატრიოტი. ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვთ უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერ-პედაგოგებს, რომელთა მიზანია, თითოეული კურსდამთავრებული იყოს მეტად კრეატიული და გონებაგახსნილი ახალგაზრდა, რომელიც იქნება აქტიური, საქმის მოყვარული და თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებაში. როგორც სულმანათი ილია ბრძანებდა: „ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ჰყავს“-ო. სწორედ ეს არის დღეს ჩვენი ქვეყნის გადაუდებელი პრობლემა, როცა ქვეყანა განიცდის მაღალკვალიფიკაციური გონებაგახსნილი და განათლებული ადამიანების დეფიციტს.

როგორც აღვნიშნეთ, უმაღლესი კურსდამთავრებულების ჩამოყალიბებაში უდავოდ დიდი და ფასდაუდებელი ამაგი კეთილსინდისიერ მეცნიერ-პედაგოგებს მიუძღვით, რომლებსაც მთელი ცხოვრების დიდი ნაწილი უმაღლესი სკოლის კედლებში აქვთ გატარებული. ისმის კითხვა, როგორ აფასებს ხელისუფლება უმაღლეს სასწავლებლებში თუ სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგ-მეცნიერების მოღვაწეობას? საპენსიო ასაკს მიღწეულ მეცნიერ-პედაგოგებს, რომლებიც საბოლოოდ სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელიდან გადიან, არ იკითხავთ, რამდენია მათი პენსია?! იმდენი აქვს, რამდენიც მუშაობის სტაჟის არმქონე პენსიონერს. ეს ხომ ცინიზმია, სასაცილო რომ არ იყოს, სატირალია. რესურს ამოწურული უმაღლესი სკოლის პედაგოგები (ლექტორები) სახელმწიფოსგან ნამდვილად მივიწყებულნი არიან. დღევანდელ პირობებში, როცა კატასტროფულად იზრდება ყველა სახის პროდუქტზე ფასები, როგორ შეუძლია საპენსიო მიზერული თანხებით შეიძინოს სამკურნალოდ საჭირო პრეპარატები? მომავალში უმაღლეს სკოლებში მომუშავე ლექტორ-მასწავლებლების შრომა უფრო მეტად მოტივირებული და დაფასებული თუ არ იქნა, უმაღლესი სკოლები კრიზისულ მდგომარეობაში და ჩიხში აღმოჩნდება. ნიჭიერი ახალგაზრდობა უმაღლესი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და საერთოდ პედაგოგიურ საქმიანობაზე უარს იტყვიან.

მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები და იფიქროს იმაზე, რომ ზემდგომ ორგანოებში დააყენოს საკითხი და მეცნიერ-პედაგოგების მიმართ გამოიჩინონ მეტი ყურადღება პენსიების გაზრდის თაობაზე, რომლებიც ხელისუფლებისა და საზოგადოებისაგან დიდ სიყვარულს და დაფასებას იმსახურებენ. აუცილებლად უნდა შეიცვალოს ემერეტუსის წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების წესი. ის არ უნდა ანაზღაურდეს უმაღლესი სკოლის ბიუჯეტის ხარჯზე, რადგანაც ემერეტუსები არამარტო ცალკეულ უნივერსიტეტს ემსახურებიან, არამედ მთელი ქვეყნის საზოგადოებას.

კვლევებმა და დაკვირვებამ გვანახა, რომ ახალგაზრდობის სწორად აღზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელ მიზეზად მიგვაჩნია კაზინოები, ტოტალიზატორი და ონლაინ აზარტული თამაშების მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ადვილი ხელმისაწვდომობა. როგორც ცნობილია, ონლაინ აზარტული თამაშები ამერიკაში აკრძალულია. ამ სენის წინააღმდეგ რუსეთიც იბრძვის. საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით რადიკალური ზომები არ ტარდება. მცირერიცხოვანი ერისთვის ეს მავნე სენი თუ არ იქნება მინიმუმამდე დაყვანილი, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. დაგვიანებულია კიდევ და საჭიროა ჩამოვკრათ განგაშის ზარი, რათა ვიხსნათ ჩვენი მომავალი თაობა დაღუპვისაგან.

ახალგაზრდობის სწორად აღზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელ მიზეზად მიგვაჩნია აგრეთვე ქვეყნის მასშტაბით განქორწინების რიცხვის ზრდაც. განქორწინების რიცხვი თითქმის ქორწინების რიცხვს გაუთანაბრდა, ამას ემატება მშობლების ემიგრაციაში წასვლა და მოზარდების მოხუცებული ბებია-ბაბუის იმედზე დატოვება. ჯერ-ჯერობით ამ მაჩვენებლების კლების ტენდენცია არ შეიმჩნევა. გაურკვეველია, თუ რა უნდა ვიღონოთ ასეთ შემთხვევაში.

ახლახანს გამოქვეყნებულ დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, დემოგრაფი ანზორ თოთაძე განგაშს ტეხს და აცხადებს, რომ ქვეყანა კატასტროფის ზღვარზეა. იგი აღნიშნავს, რომ 2020 წელს საქართველოში 46 520 ბავშვი დაიბადა, ანუ 1776 ბავშვით ნაკლები, ვიდრე 2019

წელს. თუ ამას 2014 წლის მონაცემებს შევადარებთ, როდესაც 60 635 ბავშვი დაიბადა, დავინახავთ, რომ სურათი კიდევ უფრო მძიმეა. ფაქტია, 2014-2020 წლებში ანუ შვიდი წლის განმავლობაში, 14 ათას 115 ბავშვით ნაკლები დაიბადა.

თუ ეს ტენდენცია ასე გაგრძელდა, 2028 წლისთვის ქვეყანაში 30 ათასამდე ბავშვი დაიბადება, აქედან ვაჟი დაახლოებით 15 ათასი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ჯარის დაკომპლექტებაც კი გაჭირდება, რაც ქვეყანას საშიშროების წინაშე დააყენებს. საერთო ჯამში, დემოგრაფიული პროცესების მხრივ, მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა. მიუხედავად ამისა, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით შემცირდა განქორწინებულთა რაოდენობა, სულ 7643 განქორწინება მოხდა, მაშინ, როდესაც 2019 წელს 11205 წყვილი განქორწინდა ანუ შესაბამის პერიოდთან შედარებით 31,8 პროცენტით შემცირდა განქორწინებულთა რაოდენობა. მცირერიცხოვან ერში აღნიშნული პროცენტით განქორწინების შემცირების მიუხედავად, ეს მაჩვენებელი მაინც დიდია, რადგან მტკიცე და ძლიერი ოჯახები დადებით გავლენას ახდენენ პატარების აღზრდა-განათლების საქმეზე. განქორწინებულთა ოჯახების მიმართ საჭიროა მეტი ყურადღების გამახვილება, რადგან არ დაიჩაგრონ და არ გახდნენ ბულინგის მსხვერპლი ბავშვები. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ იმედის მომცემ მომავალ თაობას მაქსიმალურად შეუწყოს ხელი.

ცხადია, რომ ნებისმიერი - სოფელი იქნება თუ ქალაქი - მოსახლეობის თანდათან კლება, დასაწყისია გაუკაცრიელობის, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის წინსვლაზე და წარმატებაზე. მოსახლეობის ბუნებრივ კლებაზე არანაკლებ საშიშია მიგრაციული პროცესები. მაგალითად, 2002-2004 წლებში ქვემო სვანეთში მოსახლეობის ბუნებრივ კლებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა სწორედ ამ პერიოდში მოსახლეობა 9 ათასიდან 4500-მდე შემცირდა. არა ერთი სოფელი გაუკაცრიელდა და ძირითადად დიდ ქალაქებს მიაშურეს. როგორც სტატისტიკიდან ჩანს, საქართველოში 4488 სოფლიდან 700 მთლიანად დაცარიელებულია, ხოლო 800 სოფელში მხოლოდ პენსიონრები ცხოვრობენ.

სამწუხაროდ, მიგრაცია უარყოფით გავლენას ახდენს ნებისმიერი ადამიანის გუნება-განწყობაზე. სწორედ ამის მიზეზია ცუდი სოციალურ-ეკონომიკური პირობები. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ვაწარმოებთ იმდენ პროდუქციას, რამდენიც საჭიროა ქვეყნისათვის ერთი წლის განმავლობაში, საჭირო ხდება არასაკმარისი პროდუქციის იმპორტი. მოვუხმთ სტატისტიკას: საქართველო ერთი წლის მანძილზე მოიხმარს 700 ათას ტონა ხორბალს, მაგრამ აწარმოებს მხოლოდ 107 ათას ტონას და დანარჩენი უცხოეთიდან იმპორტის სახით შემოგვაქვს. მოვიხმართ 270 ათას ტონა სიმინდს და ვაწარმოებთ 194 ათას ტონას. მოვიხმართ 220 ათას ტონა ბოსტნეულს, ვაწარმოებთ 142 ათას ტონას, 108 ათასი ტონა კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. მოვიხმართ 30.5 ათას ტონა მსხვილფეხა საქონლის ხორცს და ვაწარმოებთ 22.8 ათას ტონას, 7.4 ათასი ტონა კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. მოვიხმართ 40 ათას ტონა ღორის ხორცს, ვაწარმოებთ მხოლოდ 17.6 ათას ტონას, ხოლო 22.8 ტონა კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. მოვიხმართ 69 ათას ტონა ფრინველის ხორცს, ვაწარმოებთ 22.6 ათას ტონას, 51.8 ათასი ტონა კი უცხოეთიდან შემოგვაქვს. რძესა და რძის პროდუქტებს მოვიხმართ 68.3 ათას ტონას, ადგილზე კი ვაწარმოებთ 55.5 ათას ტონას და 13.3 ათასი ტონა უცხოეთიდან შემოგვაქვს. მოვიხმართ 640 მილიონ კვერცხს და ვაწარმოებთ 635 მილიონს და 11 მილიონი უცხოეთიდან შემოგვაქვს.

ქვეყნისთვის საჭირო კვების პროდუქტების პრობლემური საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მეცნიერების მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს კანონიერებას და სამართლიანობას, ასევე არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რაც საჭირო პროექტების მიზანმიმართული განხორციელების აუცილებელი პირობაა. ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ხვედრითი წილით მოწინავე ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს ბევრად ჩამორჩება. უახლოეს წარსულში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მაჩვენებელმა ცხოვრებაში მხოლოდ ქალაქებზე და არა პრაქტიკულად ჰპოვა ასახვა.

ბოლო წლებში მცირე და საშუალო ბიზნესს შესაბამისი ყურადღება არ ექცევა, ზეწოლას განიცდის ან სამთავრობო სტრუქტურებთანაა გაიგივებული მსხვილი ბიზნესი. როგორც საბითუმო, ასევე საცალო ბაზარზე გაბატონებულია ოლიგარქიული და კარტელური გარიგებების ტენდენციები. სრულიად იგნორირებულია, როგორც მეცნიერების, ასევე გამოცდილი პროფესიონალების აზრი. რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო სამეცნიერო აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების რეფორმირება, მაგრამ არა მათი სრული იგნორირება და მათი ფაქტობრივად სასიკვდილოდ განწირვა. ისინი თავის დროზე დიდძალ კვლევით სამეცნიერო სამუშაოებს ატარებდნენ და მათი საქმიანი რეკომენდაციები მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა ქვეყნის მრავალგვაროვანი ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას.

ცხადია, ხელისუფლებამ ბევრი და კარგი ინფრასტრუქტურის ხორცშესხმაში დიდძალი ინვესტიციები ჩადო, რაც გამოიხატება იმაში, რომ თითქმის რესპუბლიკის ყველა სოფლის მისასვლელი თუ შიდა გზა მოასფალტებული თუ მობეტონებულია, რომელმაც მისცა ბიძგი ადამიანებს, რომ დაბრუნებოდა სოფელს. ერთ-ერთმა წინანდალელი ქალბატონმა, რომელსაც უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ აქვს მიღებული და ცხოვრობდა თბილისში, ერთ დღეს გადაწყვიტა თავისი სოფლის მონახულება და თავისი თვალთ იხილა და მოეწონა კეთილმოწყობილი გზები, თანაც იქაურობაც და გადაწყვიტა საცხოვრებლად დარჩენილიყო სოფელში და დაუღალავი შრომის ფასად ადადგინა გაპარტახებული სახლ-კარი, კიდევაც ბაღნარად აქცია ეზო-გარემო. ყველა შენატრის მის ნახვა-დათვალიერებას. ქალბატონი მოუწოდებს მოსახლეობას, რომ თბილისში ერთოთახიან ბინაში ცხოვრებას სჯობს დაუბრუნდნენ მიტოვებულ საკუთარ კარ-მიდამოს და საკუთარი შრომით მიღებული შედეგებით დატკბნენ.

სოფელში თითქმის ყველა ოჯახი გაზიფიცირებული და ელექტროფიცირებულია. მოსახლეობა წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია, სარგებლობს ინტერნეტით, მაგრამ ძალზე ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ შემცირდეს მიგრაცია, მოსახლეობის უმრავლესობა მყარად იყოს ფეხმოკიდებული თავის მამულში. ხელისუფლების დახმარებით შექმნილია და იქნება ოჯახური ფერმერული მეურნეობები, სადაც გაერთიანებული იქნებიან ოჯახის წევრები და საჭირო შემთხვევაში შესაძლებელია მოიწვიონ მეზობლები და ჩაერთონ ოჯახური ფერმერული მეურნეობის საქმიანობაში. ჰარმონიული შრომის შედეგად შესაძლებლობა ეძლევათ დაძლიონ ოჯახური პრობლემები, საშუალება ექნებათ აწარმოონ მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ქვეყნის მოსახლეობის კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი საშუალებაა ნაყოფიერი მიწის მქონე რეგიონებში ფართოდ გაიშალოს მუშაობა ოჯახური ფერმერული მეურნეობის შექმნის თაობაზე, რაც მოგვცემს საშუალებას საგრძნობლად შევამციროთ იმპორტირებული პროდუქციის ხვედრითი წილი. ხელისუფლებამ აქტიური როლი უნდა შეასრულოს იმისათვის, რომ ფერმერები უზრუნველყოს ტექნიკით, მანქანა-იარაღებით და ხელი შეუწყონ პროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის მოგვარებაში, რათა სოფლის მოსახლეობამ იგრძნოს ოჯახური ფერმერული მეურნეობის სიკეთე.

როგორც ირკვევა, ქართველი მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მტკიცებით, საქართველოს თავისი სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების კლიმატური პირობებისა და ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით 10-12 მილიონი ადამიანის გამოკვება შეუძლია.

ქვეყნისა თუ პიროვნების წარმატების საწინდარი იყო და არის შრომის გონივრული დისციპლინა, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ არმიას არ მიუღწევია წარმატებისათვის, ვისაც არ ჰქონდა შეგნებული და მკაცრი წესრიგი, როგორც კი მოეშვებოდა დისციპლინა, იმ წუთში მარცხდებოდნენ. ვერც ერთი რგოლი წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ იქ დისციპლინა არ არის. დისციპლინის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მომჭირნეობა და ფულის სწორად ხარჯვის ცოდნა. ჩვენი დაკვირვებით და ანალიზით ირკვევა, რომ ხელისუფლების შტოებში უყარათოდ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, ხელფასების განუსაზღვრელი ოდენობით დანიშვნაში, ძვირადღირებული



პირადი მომსახურების ავტომობილების შეძენაში, კაბინეტების მოწყობასა და სხვა. მოვუხმით გონებას, სანამ კრიზისში ვართ, ყოველი თეთრი მიზანმიმართულად დავხარჯოთ. ვისწავლოთ ეკონომიური ტრანსპორტით გადაადგილება, რათა ხელი შევუწყოთ ქვეყნის აღმავლობას. ხელი მოვკიდოთ და განვაკითხოთ ისეთი ბიზნესი, რომლის პირობებიც არსებობს ჩვენში და ასევე, რაც მთავარია, ერი რომ არ გადაშენდეს, დემოგრაფიული მდგომარეობა პრიორიტეტულად გავხადოთ.

ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როცა ხელისუფლების მმართველობით სტრუქტურებში თანამდებობებს იკავებენ ცივი გონებისა და სუფთა ხელების მქონე ადამიანები, რომლებსაც აქვთ მაღალი კვალიფიკაცია, კარგი გამოცდილება, მენეჯერული აზროვნება, რომლებსაც შეუძლიათ ძლიერი მოთამაშეებისაგან ჩამოაყალიბოს კარგი გუნდი და ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილების შედეგად მიაღწიონ ახალ-ახალ წარმატებებს. ამიტომაც საჭირო, რომ ადამიანის კეთილდღეობაზე დღენიდაღ მოფიქრალი ცენტრალური თუ მუნიციპალური ხელისუფლება ჰყავდეს ქვეყანას. როგორ იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები, რას არ აკეთებდნენ იმისთვის, რომ ძლიერი ყოფილიყო ხალხი და ქვეყანა. რაინდული შემართების მეფე დემეტრე თავდადებული ღამლამობით სახლიდან ჩუმად გადიოდა ფულიანი ქისებით და ხალხში მოწყალეობას არიგებდა. დღეს რომელი ქართველი მილიონერი მიბამავს სახელოვან დემეტრე თავდადებულს. ჩვენი წინაპრები დიდ საქმეებს აკეთებდნენ ერის ბედნიერებისათვის.

იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქართველი ერის კეთილდღეობისთვის მათხოვრობასაც არ თაკილობდა. ასეთი იყო ნიკო ცხვედაძე, რომელსაც ზოგი გიჟს და გადარეულს ეძახდა. თვითონ ღატაკი და უქონელი დადიოდა ხვეწნა-მუდარით, ლამის მათხოვრობით ფულს აგროვებდა, უარს არავინ ეუბნებოდა, რადგან მის პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. მას ფული ქართული უნივერსიტეტის შენობის ასაგებად სჭირდებოდა. ნიკო იყო გულმხურვალე ქართველი პატრიოტი, რომელსაც პირად ინტერესზე მაღლა მუდამ ქართულ სახელმწიფოებრივ საქმეს აყენებდა. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული დიდი ქართველი, ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრაციაში ყოფნის დროს პარიზში ერთი მარჩენალი თხა ჰყავდა და იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მხოლოდ ნახევარი ბოთლი რძით და პურით არსებობდა. შიმშილობისა და ავადმყოფობისგან მეუღლე გარდაეცვალა, მაგრამ მან ქართული განძის არცერთი ექსპონანტი გასაყიდლად არ გაიმეტა. ქართული განძის მცველი და გადამრჩენელი, ექვთიმე თაყაიშვილი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ყველასგან მივიწყებული მარტოობაში გარდაიცვალა. მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო თავის სამშობლოს, რომელსაც სიცოცხლეში ღირსეული პატივისცემა და დაფასება არ ჰქონია. როგორც დიდ ერისკაცს და მამულიშვილს, ტანჯულ ექვთიმე თაყაიშვილს, ღირსეული პატივი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მიაგეს და ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

აღსანიშნავია უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთი გამოჩენილი, ნიჭიერი მეცნიერის, სერგო ბერიას მიერ დამუშავებული ტექნოლოგია, რომელსაც თავის დროზე მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონდა. მან ბაზალტის ქვისაგან დაამზადა ძაფი და ამ ძაფისგან შექმნილი ქსოვილი დიდ სიმხურვალეს უძლებს. ეს გახლავთ გასაოცარი ტექნოლოგია. ამ ქსოვილისგან დამზადებული კომბინიზონით ადამიანი ცეცხლში რომ შევიდეს, აბსოლუტურად უვნებელი გამოვა. ბაზალტისგან აგრეთვე ამზადებდნენ სპეცბლოკებს, რომლებსაც სტრატეგიული ობიექტების მშენებლობაში იყენებდნენ, ასევე ანტიკოროზიულ მილებს და უამრავ საჭირო მასალას, რომელიც სარაკეტო მშენებლობაში გამოიყენება. დიდი მეცნიერი, სერგო ბერია საქართველოში აპირებდა ამ უნიკალური და საჭირო ტექნოლოგიის დანერგვას და ბაზალტისგან სტრატეგიული ძაფისა და შესაბამისი ქსოვილის დამამზადებელი ცენტრის შექმნას. მისი პირველი ცდა იყო, როცა მან ნავთლულში ქარხანა ააშენა, სამწუხაროდ, გადაწვეს. მეორე ქარხანა თელავში უნდა აეშენებინა, მაგრამ იქაც არ გაახარეს. კაცი თვითონ აფინანსებდა, როგორც თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილი. საქართველოსთვის ეს იქნებოდა ძალიან მომგებიანი პროექტი, რომელიც ქვეყანას სხვა სიმაღლეზე აიყვანდა, მაგრამ მტრებმა შესანიშნავი იდეის განხორციელების საშუალება არ მისცეს. მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი საქართველოდან გულმოკლული გააქციეს. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენს

სინამდვილეში, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის წინსვლაზე და ცუდ იმიჯს უქმნის სახელმწიფოებრიობას. ხელისუფლების წარმომადგენლები თუ თითოეული მოქალაქე მოკრძალებას უნდა გამოხატავდეს თავისი სამშობლოს მიმართ, იყოს სახელმწიფოებრივი აზროვნების მქონე პიროვნება, პატივს სცემდეს კანონს, უნდა ჰქონდეს კანონმორჩილების შეგრძნება, იბრძოდეს ქვეყანაში გამეფებული ნეპოტიზმის წინააღმდეგ, რომელიც ჰყვავის მმართველობით სტრუქტურებში, რის ნაყოფსაც აშკარად ვიძივით. როგორც ჩანს, ქვეყანაში ნელ-ნელა იშლება ქვეყნის მმართველობითი ბერკეტები, რომელიც ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან. საშიშროების წინაშეა ქვეყნის დამოუკიდებლობაც კი. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეებისთვის და არა ამქვეყნიური კეთილდღეობისთვის!

საქართველო ძლიერი და სტაბილური ქვეყანა მაშინ იქნება, როცა თითოეული მოქალაქე კანონმორჩილი იქნება. კანონის წინაშე ყველა ერთნაირად თანასწორი უნდა იყოს, თანამდებობებისა და წოდებების მიუხედავად. როცა კანონი არ კანონობს და საქმე უხარისხოდ სრულდება, ქვეყანა წინ ვერ წავა. მაღალი თანამდებობის პირებმა და ცნობადმა პერსონებმა თვითონ უნდა უჩვენონ საზოგადოებას კანონმორჩილებისა და შრომის დისციპლინისადმი პატივისცემის მაგალითები. თვალი გადავავლოთ განვითარებული ქვეყნების კანონიერებას, სადაც ნახავთ, იქ მცხოვრები ადამიანები და ხელისუფლების წარმომადგენლები როგორ სცემენ პატივს კანონსა და პიროვნებას. ისინი აქტიურად არიან ჩართული ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რადგან მათ სჯერათ სამართლიანობისა და კეთილი მომავლის. ქვეყანაში თუ კანონების, დისციპლინის მაღალი პასუხისმგებელი და შემსრულებელი ვიქნებით, მაშინ თითოეულ ადამიანს მიეცემა მეტი შესაძლებლობა, თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში და მისი იდეების რეალური განხორციელებისათვის. ამით მოსახლეობის დიდი ნაწილი დაუბრუნდება თავიანთ საცხოვრისს და მეტი საზოგადოებრივი პროდუქციის მწარმოებლები ვიქნებით. ადამიანების ურთიერთ პატივისცემა, კეთილგანწყობა და სიყვარული უფრო მაღალ დონეზე იქნება აყვანილი. ადამიანებს გაუჩნდებათ მოტივაცია თავის საქმიანობაში ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებაზე, გამოცდილებების ურთიერთ გაცვლაზე და ახალი იდეების შექმნაზე დაიწყებს ფიქრს. ყოველივე ეს გამოიწვევს მენეჯმენტისადმი მეტად გაზრდილ მოთხოვნებს. ეფექტური მენეჯმენტი, გუნდურობა, გამჭვირვალობა, დროის მენეჯმენტი, უახლესი ტექნიკა-ტექნოლოგიები, მაღალი შრომის დისციპლინა და პასუხისმგებლობა ძლიერი საფუძველი გახდება ღონიერი, ეკონომიურად გამართული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

*Tamaz Gamsakhurdia  
Teimuraz Pestvenidze*

## **EFFECTIVE MANAGEMENT - A STRONG STATE Summary**

The paper deals with the main tasks of the government, the aim of which is to strengthen the country and improve the well-being of the population that depends on the ability to use experience, qualifications, and professional development, physical and mental labor effectively. It is emphasized that through effective labor and the development of wise decisions, you can provide the well-being of yourself and the country as a whole.

It is also mentioned here that due to our demographic situation, the government should pay more attention to the mothers of infants and invest as much as possible in this great patriotic issue that will obviously have a great impact on the country. It also mentions the lack of investment and the increase in lecturer-teacher retirement rates.

The paper discusses the importance of the country's natural and mineral wealth and the efficiency of its extraction-use for the prosperity of the country's economy.

## მშენებლობის რისკების გავლენა საინვესტიციო ხარჯებზე

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია ახალი ობიექტების მშენებლობის დაწყებისას ყველა შესაძლო რისკების გათვალისწინების აუცილებლობა, რომელიც ბოლო ხანებში განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა. მაგალითად, გასულ წელს საერთოდ არავინ არ ელოდა, რომ პანდემიის გამო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უამრავი უნიკალური ნაგებობის მშენებლობა გაჩერდებოდა. აქედან გამომდინარე, ყველაფრის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია, მითუმეტეს, რომ ძალიან გახშირდა მშენებლობის რისკები, რომლებიც შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური ან გეოლოგიური თვალსაზრით იყოს გამოწვეული

**საკვანძო სიტყვები:** ობიექტი, ინვესტიცია, რისკი, ხარჯი, მშენებლობა.

### შესავალი

ტრადიციულად მშენებლობის რისკების გათვალისწინებლობა პირდაპირ კავშირშია საინვესტიციო ხარჯების ზრდასთან, რაც დამფინანსებელსა და მშენებელს შორის ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენს. არატრადიციული რისკების შემთხვევაში, როდესაც სამუშაოთა გაგრძელება შეუძლებელია მშენებლობასთან არანაირი კავშირის მქონე სუბიექტური მიზეზების გამო, ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ინვესტორებისათვის გაწეული დანახარჯების ანაზღაურება. აღნიშნული რისკების სწორად მართვისთვის, აუცილებელია მსგავსი შემთხვევების კარგად შესწავლა და სათანადოდ გაანალიზება. ნებისმიერი ახალი ობიექტის მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია ყველა შესაძლო რისკების გათვალისწინება, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სამუშაოების წარმოების გართულებასთან. წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების შედეგად, თითქმის შეუცდომლად შეიძლება განისაზღვროს ტრადიციული რისკები. მათ მიეკუთვნება დაფინანსების, მომარაგების და მანქანა-მექანიზმებით არასათანადო უზრუნველყოფა, საპროექტო, გეოლოგიური ან გეოდეზიური უზუსტობები და სხვა წინააღმდეგობები, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მშენებლობის პროცესის დაუბრკოლებლად წარმართვას. განსაკუთრებით ხშირია გრუნტის წყლების, მეწყრული მოვლენების, ცალკეულ უბნებში არამტკიცე ქანების და სხვა გამოვლენის ფაქტები. მათ სალიკვიდაციოდ ხშირად საჭირო ხდება სერიოზული გამოკვლევების ჩატარება და ძვირადღირებული ღონისძიებების განხორციელება. ყოველივე ეს მნიშვნელოვან, ძალიან დიდ გათვალისწინებულ ხარჯებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ასეთ ვითარებაში ინვესტორი ცდილობს მინიმალური დანახარჯები გასწიოს, ხოლო მშენებელი ითხოვს ყველა დამატებითი სამუშაოს დროულ და სრულფასოვან ანაზღაურებას. აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებული დავა შეიძლება წლების განმავლობაში გაგრძელდეს და გაჭიანურდეს ობიექტის დასრულება. ეს, პირველ რიგში, ინვესტორს აზიანებს, რომელსაც ყოველთვის წინასწარ და ზედმიწევნით ზუსტად აქვს გათვლილი მოსალოდნელი მოგება. მართალია, დამკვეთსა და მშენებელს შორის გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაში აუცილებლად არის გათვალისწინებული ფორსმაჟორული სიტუაცია, რომელიც მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუძლებელს ხდის სამუშაოების წარმოებას და მხარეებს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ რისკების უმრავლესობა ამ პუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობას იშვიათად ეხება.

\*\*\*

თანამედროვე მსოფლიოში ისეთი პროცესები ვითარდება, რომ დაწყებული სამშენებლო პროექტების გაჩერების ან საერთოდ ჩაშლის მიზეზი შეიძლება სრულიად წარმოუდგენელი

მოვლენა გახდეს. აქედან გამომდინარე, რისკები სავსებით შესაძლებელია პირობითად ტრადიციულ და არატრადიციულ რისკებად დაიყოს. განსაკუთრებულ ყურადღებას არატრადიციული რისკები მოითხოვს, რომელთა წილი სულ უფრო იზრდება. გასულ წელს პანდემიის გამო დუბაიში მსოფლიო გამოფენა ექსპო-2020 ჩაიშლა, რომლისთვის ყველა ქვეყანა მრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდა. აღნიშნული გამოფენისათვის, დუბაის მახლობლად შენდებოდა უნიკალური, 80000 მაცხოვრებელზე გათვლილი, მსოფლიოში პირველი ენერგოეფექტური ქალაქი დისტრიქტი-2020. ასევე, უნდა დასრულებულიყო მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობის აგება, რომელიც თითქმის 100 მეტრით მაღალი იქნებოდა ცნობილ „ბურჯ-ხალიფაზე“. მიუხედავად იმისა, რომ არაბეთის გაერთიანებული საემიროები ცნობილია თავისი ფაქტიურად უსაზღვრო ფინანსური შესაძლებლობებით, მაშინვე შეწყდა ამ ობიექტების ინვესტირება და მშენებლობა. მსოფლიო მასშტაბით სატრანსპორტო მიმოსვლისა და მთელი რიგი ქვეყნების ჩაკეტვის გამო, სახიფათო გახდა რისკების შემდგომი გაწევა. უკანასკნელი მონაცემებით, პანდემიასთან დაკავშირებული მდგომარეობის შედარებითი დასტაბილიზების შედეგად მოიძებნა ინვესტირების დამატებითი წყაროები და დაიწყო სამუშაოების განახლება. მათი დასრულება მიმდინარე წლის ოქტომბერში არის გათვალისწინებული და ამავე პერიოდში იგეგმება გამოფენის გახსნა.

არატრადიციული რისკების თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქ ფხენიანში 1987 წელს დაწყებული სასტუმრო „რუგენის“ მშენებლობის ისტორია, რომელიც იმ დროს ყველაზე მაღალი (სიმაღლე 330 მეტრი, 105 სართული) იქნებოდა. ამით მთელი მსოფლიოსთვის უნდოდათ დაემტკიცებინათ არსებული პოლიტიკური სისტემის უპირატესობა. თითქოს ყველაფერი წინასწარ კარგად იყო გათვლილი და მისი მშენებლობა არავითარ რისკს არ წარმოადგენდა. მაგრამ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ ამ პროექტის განხორციელება, უკიდურესი უსახსრობის და მძვინვარე შიმშილობის გამო, ასეთ ტოტალიტარულ ქვეყანაშიც კი შეუძლებელი გახდა. თითქმის 30 წელი სასტუმროს მშენებლობა მსოფლიოში ყველაზე მაღალ და დიდ დაუმთავრებელ ობიექტად ითვლებოდა, ვიდრე ორი წლის წინ არ გადაწყდა მისი დასრულება. სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ 2000 წელს თითქმის ერთი წლით გადაიდო პარიზისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, მესამე წრიული გზის მშენებლობის დასრულება. პარიზის მერიას უამრავი გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა მოუხდა, ერთადერთ მოსახლესთან დავის გამო, რომელიც თავის კუთვნილ ტერიტორიას არ თმობდა და სასამართლოში ჩიოდა. გამოუვალი მდგომარეობის გამო ხელისუფლება იძულებული გახდა მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში შესაბამისი ცვლილებები შეეტანა და ძალიან დიდი კომპენსაციის სანაცვლოდ გაჯიუტებული მოქალაქის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაში დაებრუნებინა. ამ შემთხვევაში მშენებლობის რისკი ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების აუცილებელი დაცვით იყო განპირობებული და სამართლებრივი პოზიციებიდან გამომდინარე მეტ-ნაკლებად მსგავსი მოვლენები სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშიც გარდაუვალია.

საქართველოში ამჟამად ძალიან გავრცელებული არატრადიციული სამშენებლო რისკების განხილვამდე აუცილებელია მათი წარმოშობის ისტორიის გახსენება. საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, ტრადიციული რისკების გარდა წარმოუდგენელი იყო სხვა პირობებს შეეშალა ხელი მშენებლობისათვის. მაშინ ყველაფერი ზუსტად იგეგმებოდა და მშენებლობის დაფინანსება მხოლოდ ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა. ამასთან ერთად, ხარჯთაღრიცხვებში საკმაოდ დიდი თანხები იყო გამოყოფილი გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის. ასევე ყოველთვის არსებობდა დამატებითი სახსრების გამოყოფის შესაძლებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული სისტემით ძალიან კარგად სარგებლობდნენ ცალკეული რესპუბლიკები, მათ შორის განსაკუთრებით საქართველო. მაგალითად, გასული საუკუნის 60-70 წლებში, გაუთვალისწინებელი და დამატებითი ხარჯების გამოყოფის წყალობით აშენდა ორი გრანდიოზული ნაგებობა თბილისში: სპორტის სასახლე და ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, რომელთა მშენებლობის ღირებულება დასამტკიცებლად იმაზე ბევრად ნაკლები იყო წარდგენილი, რაც საბოლოოდ დაჯდა თითოეული მათგანი. ქვეყანაში მოქმედი

ნორმების მიხედვით, საქართველოს დედაქალაქში არსებული მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე (თბილისის მოსახლეობამ 1 მილიონს მხოლოდ 1973 წელს მიაღწია), ეს სპორტული ობიექტები დაუშვებლად ბევრ მაყურებელზე იყო გათვლილი და ცენტრალური ხელისუფლება თავიდან საერთოდ არ იძლეოდა მათი მშენებლობის უფლებას. საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყებასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა ნეგატიური დამოკიდებულება მასშტაბური მშენებლობების მიმართ და ყველა წამოწყება ამ მიმართულებით დიდი რისკის შემცველი გახდა. საზოგადოების ზეწოლის შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ შეწყვიტა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. მაგალითად, საყოველთაო პროტესტი გამოიწვია ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობამ, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით სავსებით გამართლებული იყო. მწვანეთა მოძრაობამ, ზურაბ ჭვანიას ხელმძღვანელობით კი ყველაფერი გააკეთა ხუდონჰესის კასკადის მშენებლობის შესაჩერებლად, რომელსაც დიდი როლის შეასრულება შეეძლო საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ამჟამად ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ხუდონჰესის მშენებლობის გაჩერება დიდი შეცდომა იყო

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, წლების მანძილზე სამშენებლო სფერო საერთოდ უმოქმედოდ იყო დარჩენილი. მისი აღორძინება 2000-იანი წლებიდან დაიწყო და ობიექტების მშენებლობა ძირითადად კერძო ინვესტიციების ხარჯზე ხორციელდება. სახელმწიფოს დაკვეთით და საბიუჯეტო სახსრებით ობიექტების მშენებლობისათვის შემსრულებლის შერჩევა, როგორც წესი, ტენდერების ჩატარების გზით ხორციელდება. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ, ისედაც მინიმუმამდე დაყვანილი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაზრდა, ახალი რისკების გამოვლენის შემთხვევაშიც კი, პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ყველა სახელმწიფო პროექტის დასრულება მთელ რიგ გაუგებრობებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების სათავეში ახალი პოლიტიკური ძალების მოსვლასთან ერთად მკვეთრად იცვლება სამშენებლო პროექტების მიმართ დამოკიდებულება. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია ქ. თბილისის შემოვლითი სარკინიგზო გზის მშენებლობა. საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული პროექტი სწრაფად და წარმატებით ხორციელდებოდა 2012 წლამდე. საპარლამენტო არჩევნების გზით ძველი ხელისუფლების შეცვლას მოჰყვა ახალი ხელისუფლების მიერ აღნიშნული პროექტის მიმართ ინტერესის სრული დაკარგვა. შედეგად, ისე მყისიერად მოხდა დაფინანსების და მშენებლობის შეწყვეტა, რომ მცირედი სახსრებიც არ იქნა გამოყოფილი მშენებარე ობიექტების კონსერვაციისა და დაცვისათვის. მხოლოდ ბუნებრივი ნალექების ზემოქმედების შედეგად მრავალი ესტაკადა, ხიდი, გვირაბი და სხვ. ბოლომდე დაუმთავრებელია, საინჟინრო ნაგებობა იმდენად დაზიანებულია, რომ ბევრი მათგანი სამუშაოთა განახლებამდე მოითხოვს გამაგრებას ან გაძლიერებას. განსაკუთრებით საგანგაშოა გზის ცალკეულ მონაკვეთებზე აგებული ლითონის ხიდების და საფეხმავლო გადასასვლელების მდგომარეობა, რადგანაც კოროზიის შედეგად დაზიანებულია ბევრი მათგანის მზიდი კონსტრუქციები. შექმნილი ვითარების გამო, ვერ მოხერხდა მრავალი სამშენებლო კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ანაზღაურება და გაუარესდა მათი ფინანსური მდგომარეობა. სამუშაოების განახლების შემთხვევაში პროექტის დასრულება აუცილებლად გათვალისწინებულ ღირებულებაზე გაცილებით მეტი დაჯდება.

მიმდინარე წელს მთელი საქართველო მოიცვა ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართულმა საპროტესტო აქციებმა. ბუნებისდამცველთა აქტიურობით ჩამოყალიბდა აზრი, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ობიექტის და საერთოდ რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. უკვე რამდენიმე თვეა აქტივისტთა ჯგუფები ხელს სერიოზულად უშლიან სამუშაოების წარმოებას და ეს დიდი იმედისმომცემი პროექტი გაჩერების პირასაა მისული. მართალია, მშენებლობა კერძო, თურქული კომპანიის დაფინანსებით ხორციელდება, მაგრამ საქართველოს მთავრობას ისეთი კაბალური პირობებით აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ინვესტორთან, რომ მის შეჩერებას სერიოზული საჯარიმო სანქციები მოყვება, რაც ისევ საქართველოს ბიუჯეტს დააზიანებს. სიტუაციის გამწვავების

ძირითად მიზეზად ითვლება, რომ მოსახლეობაში არ იყო წინასწარ ჩატარებული სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და ნაჩქარევად იქნა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება. ამის დასტურად შეიძლება თითქმის ანალოგიური, მაგრამ გაცილებით მცირე მასშტაბის შემთხვევის მოყვანა. გასულ წელს მარნეულში. სამშენებლო კომპანია „ინ-სი“-ს მიერ გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზული საპროტესტო გამოსვლები მოყვა. მშენებლობა მაშინვე შეჩერდა და რამდენიმე თვე მიმდინარეობდა განმარტებითი მუშაობა მოსახლეობის ყველა ფენასთან, მარნეულის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგებაში აღნიშნული ობიექტის დიდი მნიშვნელობის შესახებ. მათი დარწმუნების შემდეგ სამუშაოები განახლდა და წარმატებით მიმდინარეობს.

ეკოლოგიური პრობლემებიდან გამომდინარე, თითქმის ათი წელია სამართლებრივი დავა მიმდინარეობს თბილისში ვაკის პარკის ტერიტორიაზე კერძო ინვესტორის მიერ სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლობასთან დაკავშირებით. ქალაქის მერიამ, ყველა რეგულაციების დაცვით გაასხვისა აღნიშნული ტერიტორია, სადაც ადრე ამავე დასახელების ცნობილი რესტორანი ფუნქციონირებდა. ამ საკითხმა მაშინვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და ბუნებისდამცველთა მხარდასაჭერად სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაიწყო დავა ტერიტორიის ახალ მეპატრონესთან. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება მშენებლობის დაწყების ნებართვას იძლევა, საზოგადოების ზეწოლა იმდენად დიდია, რომ საეჭვოა საბოლოოდ ეს პროექტი განხორციელდეს. ამასთან, ქალაქის მერია, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სანაცვლოდ სხვა არანაკლებ სახარბიელო ტერიტორიის გამოყოფას სთავაზობს ინვესტორს. რომელიც მის მიერ გაწეული დანახარჯებისა და დროში ძალიან გაწელილი, გადაუწყვეტელი პრობლემის გამო, უფრო მეტ კომპენსაციას ითხოვს.

საქართველოში საბინაო მშენებლობის გარდა, ბოლო წლებში განსაკუთრებით დიდი მასშტაბებით ხორციელდებოდა ტურისტული ობიექტების მშენებლობა. ეს გამოწვეული იყო ტურისტთა ყოველწლიურად მზარდი ნაკადების არსებობით და ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში ამ სფეროს ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებული სულ უფრო დიდი მოთხოვნებით. პანდემიის პერიოდში, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად ტურიზმი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა დაზარალდა. ტურისტებისთვის დაიხურა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც. ფუნქციონირება შეწყვიტეს სასტუმროებმა, რესტორნებმა, გასართობმა ცენტრებმა, მუზეუმებმა და ყველა უკვე არსებულმა ტურისტულმა ობიექტმა. აქედან გამომდინარე, აზრი დაკარგა ამ მიმართულებით ინვესტიციების განხორციელებამ. გაჩერდა უამრავი ასეთი ახალი მშენებლობა. ინვესტორების მთავარი საზრუნავი გახდა არა მათი დასრულება, არამედ ობიექტების ფუნქციური დანიშნულების შეცვლა ან საერთოდ გაყიდვა. ბევრი მათგანი სერიოზულ პრობლემებს აწყდება უკვე განხორციელებული ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. არც თუ იშვიათია მათი სამშენებლო კომპანიებთან ურთიერთობის ძალიან გამწვავების ფაქტები, რომელთაც სრულიად მოულოდნელად მოუწიათ სამუშაოთა წარმოების მიტოვება და ინვესტორისაგან ელოდებიან მათ მიერ დახარჯული თანხების კომპენსირებას.

## დასკვნა

1. მშენებლობის რისკები შეიძლება დაყოფილი იყოს ტრადიციულ და არატრადიციულ რისკებად. ტრადიციულია ყველა ის რისკი, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ მშენებლობის პროცესთან და მათი გათვალისწინება არ მოხდა დაპროექტების ეტაპზე, გამოწვეულია ბუნებრივი ზემოქმედების ან სამუშაოთა წარმოების სიძნელეებით. არატრადიციულია რისკები, რომელთაც იწვევს პოლიტიკური, ეკოლოგიური, ეპიდემიოლოგიური ან სხვა არასამშენებლო სუბიექტური მიზეზი;

2. მშენებლობის რისკები იწვევს საინვესტიციო ხარჯების გაუთვალისწინებელ ზრდას, ახანგრძლივებს ობიექტის დასრულების ვადებს. ამასთან მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ტრადიციული რისკების არსებობის შემთხვევაში მშენებლობის დასრულება აუცილებლად

მოხდება. რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა არატრადიციული რისკებისას. ასეთ დროს მოსალოდნელია მშენებლობის დასრულების განუსაზღვრელი ვადით გადადება ან მისი საერთოდ ჩაშლა, რასაც აუცილებლად მოჰყვება გაწეულ საინვესტიციო ხარჯებთან დაკავშირებული პრობლემები;

3. ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, იზრდება არატრადიციული - პოლიტიკური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა სახის - რისკების ხვედრითი წილი. ამიტომ ახალი ობიექტების მშენებლობა ბევრად არის დამოკიდებული ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, რაც მთელი რიგი შესაბამისი ღონისძიებების წინასწარ დაგეგმასა და გატარებას მოითხოვს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ი.ქვარაია. პანდემიის პერიოდში, სამშენებლო სფეროში წამოჭრილი ძირითადი პრობლემები. თსუ. აკადემიკოს პ.გუგუშვილის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი. 2020

2. ი.ქვარაია, ქ.ქუთათელაძე, ე.მაღანია. თბილისის ძველი შენობების "ახალი სიცოცხლის" შედეგად გახსნილი სასტუმროები და მათი როლი ტურიზმის განვითარებაში. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „„გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. მოხსენებათა კრებული. 29-30 ივნისი. თბილისი. 2020

*Irakli Kvaraiia  
Ketevan Kutateladze  
Elisabed Malania*

## IMPACT OF CONSTRUCTION RISKS ON INVESTMENT COSTS

### Summary

The article considers the issue of the feasibility of taking into account all risks at the beginning of the construction of new facilities. which have recently become especially diverse. For example, no one could have imagined that last year, due to the pandemic, the construction of many unique buildings and structures was interrupted in many countries of the world. Based on this, it is impossible to accurately take into account all construction risks, especially those that are caused only by political and environmental considerations. Traditionally, neglect of construction risks was directly associated with an increase in investment costs, which has always become the cause of disagreement and disputes between the customer and the builder. When there are unconventional risks, when the continuation or complete stop of work depends on subjective reasons, a big problem for the investor is the reimbursement of costs already incurred. To take into account and properly manage all risks, it is necessary to study individual cases, some of which will be taken from construction practice as in Georgia. So it is outside of it. Before starting the construction of any new facility, it is necessary to consider all possible risks that may be associated with the complication of the work. Traditional risks can be identified almost unmistakably as a result of years of experience. These include inadequate funding, supply, and machinery, design, geological, or geodetic inaccuracies, and other obstacles that may impede the smooth running of the construction process. Facts of groundwater, landslides, unsteady rocks in other areas and other detections are especially common. To eliminate them, it is often necessary to conduct serious investigations and carry out quite expensive measures. All of this can lead to significant, very large unforeseen costs. In such a situation, the investor tries to incur minimal costs, and the builder demands timely and full compensation for all additional work. This primarily harms the investor, who always has a precise and precise calculation of the expected profit. Most rarely refer to the condition provided for in this paragraph.

In the modern world, processes are developing in such a way that the reason for stopping or ruining the started construction projects can become a completely unimaginable event. Therefore, risks can be divided into conventionally traditional and unconventional risks. Particular attention needs to be paid to non-traditional risks, the share of which is growing. Construction risks lead to unforeseen increases in investment costs, prolonging the completion dates of the facility. However, it should be taken into account that in case of traditional risks, the construction will be completed. The situation is radically different when it comes to non-traditional risks. In such a case, it is expected that the completion of the construction will be postponed

indefinitely or that it will be demolished altogether, which will inevitably lead to problems with the investment costs incurred. Due to the principles of democratic development of the country, the share of non-traditional - political, environmental, economic and other risks increases. Therefore, the construction of new facilities is very much dependent on the formation of a healthy public opinion, which requires a number of relevant measures to be planned and carried out in advance.

*ნუნუ ქიქოძე  
მედია ლომინაშვილი-ფრუიძე*

### **ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრობლემები ქართულ ბიზნესკომპანიებში**

*ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრობლემები ქართულ ბიზნესკომპანიებში.*

ადამიანური რესურსი ნებისმიერი კომპანიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობაა. კომპანიის მმართველობით საქმიანობაში მნიშვნელოვანია HR მენეჯერის და მენეჯმენტის თანამშრომლობა, რაც, სულ მცირე, ინფორმაციის დროულ გაცვლას გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში ქართულ კომპანიებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მენეჯმენტში წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თანამშრომლებს არა აქვთ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის არ ხდება ინფორმაციის გაცვლა.

რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო იხვეწება ადამიანური რესურსების მართვის გარკვეული მოდელები.

მენეჯმენტი საჭიროა მაშინ, როცა არსებობს სამართავი ობიექტი - კომპანია, რომელსაც გააჩნია მიზნები. კომპანიას კი მიზნების მისაღწევად ესაჭიროება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ახალი ტექნოლოგიები და ახალი ინფორმაცია მუდმივი გამოწვევების წინაშე აყენებს ადამიანებს, თანამშრომლებს უფრო და უფრო მეტი მოეთხოვებათ, იყვნენ პროდუქტიულები და უფრო ეფექტურები. ამისათვის საჭიროა იყვნენ მოტივირებულები. ხშირ შემთხვევაში ამას განაპირობებს კომპანიის გარემო და კულტურა, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ იყვნენ კომფორტულად და მშვიდად, შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ კომპანიებში პრობლემები ბევრია, მაგრამ განვიხილავთ იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე მეტად დამახასიათებელი და ხშირია.

ქართული კომპანიების რეალობაში არსებული პრობლემები იგივეა, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, რომლებიც განვითარების იგივე ფაზაში იმყოფებიან. თუმცა ჩვენი კულტურული თავისებურებები, ეროვნული ხასიათი, საქმის კეთების ტრადიციები და ისტორია განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქართული კომპანიების მუშაობის სპეციფიკაზე. ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ხშირად გვხვდება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 200-მდე რესპოდენტმა, რომელთაგან 55% ქალია და 45%კაცი. გამოკითხული იქნა სუბიექტები, ვინც მუშაობს ან მუშაობდნენ ქართულ კომპანიებში, ძირითადად კერძო კომპანიებში დასაქმებულები, გამოკითხულთა ასაკი არის 20 წლიდან ზემოთ.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულების 70% ადასტურებს, რომ კომპანიებში ხდება თანამშრომლებად ახლობლების, ნათესავების აყვანა,რაც ძირითადად გამოწვეულია ხელმძღვანელების არასათანადო პროფესიონალიზმით. ადამიანური რესურსების შერჩევის ასეთი მიდგომა კომპანიას ავსებს არადისციპლინირებული, არაადეკვატური და ერთმანეთის შეუსაბამო კადრებით, რასაც კომპანია უმეტესად შიდა კრიზისამდე მიჰყავს.

ასევე, საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა ადამიანების დაუმსახურებლად დაწინაურება. როგორც წესი, ხელმძღვანელობა, დასაწინაურებლად იმ ადამიანებს გამოარჩევს, რომლებმაც



თავი გამოიჩინეს ამა თუ იმ საქმის ნორმალური ხარისხით გაკეთებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იქნებიან კარგი მენეჯერები. მათი უმრავლესობა იმის ნაცვლად, რომ მისი დაქვემდებარებული ადამიანები ჩართოს და მათი მეშვეობით გააკეთოს საქმე, განაგრძობს მიღებული დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას. ეს დაქვემდებარებულების მოტივაციას და მთლიანად კომპანიის ეფექტიანობას ამცირებს. ამ ფაქტს გამოკითხულთა 60% ეთანხმება.

ქართულ კომპანიებში მსგავსი პრობლემა არასაკმარისი დელეგირება, უფლებამოსილებების გადაცემა, რაც ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. მენეჯმენტი რეალურად გადაწყვეტილებების მიღებას ვერ ანდობს ქვეშევრდომებს. უმნიშვნელო გადაწყვეტილებებიც კი მიიღება ზედა დონეზე. ხშირია, როდესაც კომპანიების უმრავლესობა ხელს უშლის ქვემოდან წამოსული ინიციატივების განხორციელებას. შედეგად ახლად მოსული და ენთუზიაზმით აღსავსე თანამშრომლებიც კი სწრაფად კარგავენ ინიციატივებით გამოსვლის ხალისს და უერთდებიან სხვა, პასიურ ცხოვრებას შეგუებული თანამშრომლების რიგებს.<sup>77</sup>

განსაკუთრებით დიდი ზომის კომპანიებში, მეტად სუსტია მენეჯმენტსა და რიგით თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია. კვლევაში ჩართულ რესპოდენტთა 40% ადასტურებს, რომ არ აქვთ მენეჯერთან გასაუბრების და თავიანთი აზრების გაზიარების შესაძლებლობა.

ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა ასევე, უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობების გაუმიჯნავი ან არასწორად გამიჯვნის შედეგი. ეს პრობლემა ხშირად გვხვდება ქართულ კომპანიებში. თანამშრომლების დიდმა ნაწილმა არ იცის, რას ითხოვენ და რას ელოდებიან მათგან. ეს პრობლემა ეხება, როგორც რიგით მუშაკებს, ისე მენეჯმენტის წევრებსაც. შესაბამისად, ისინი ხშირად უთმობენ დროის დიდ ნაწილს ერთი და იგივე საქმის კეთებას და ხანდახან, რაც აუცილებლად და სასწრაფოდ არის გასაკეთებელი, არავინ აკეთებს. ქართული კომპანიების დიდ ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა არის მათი ამოცანები, გრძელვადიან თუ საშუალოვადიან გეგმაზე, რისთვის ან ვისთვის მუშაობენ, საით მიდიან, რას უნდათ რომ მიაღწიონ. არასაკმარისი სიცხადე მიზნებსა და მათი მიღწევის გზებში, ოპერატიული გადაწყვეტილებების არათანმიმდევრულობა, ავტომატურად იწვევს კომპანიის მოქმედების ტემპის და ეფექტიანობის შემცირებას.

ქართული კომპანიებისათვის ასევე დამახასიათებელია დამფუძნებლების აქტიური ჩარევა ყოველდღიურ მართვაში, რაც აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის ართულებს მართვას, თანამშრომლებისათვის კომპანიის მართვის სქემას და იერარქიას გაუგებარს ხდის, იქმნება პრობლემები შესაბამისი გაგრძელებებით და გართულებებით.

ასევე ხშირად აწყდებიან პრობლემას, რომელიც უკავშირდება ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური დროით სამუშაოს შესრულებას, რითაც ირღვევა დასაქმებულის უფლებები.

ფართოდ გავრცელებული პრობლემებია კლიენტების ინტერესების ხშირი იგნორირება, არასათანადოდ შეფასება, დაფასება და გათვალისწინება, რომელიც სამწუხაროდ ბევრი კომპანიის სავიზიტო ბარათი შეიძლება იყოს. ხშირად ავიწყდებათ ის, რომ არსებობს კლიენტი, რომელსაც აქვს სურვილები, ინტერესები და მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მუშაობენ ისინი. ეს კიდევ უფრო ართულებს კლიენტების ლოიალობის ზრდას მათ მიმართ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ ნაკლებად ლოიალურია ქართველი მომხმარებელი არსებული ბრენდების და კომპანიების მიმართ.

კიდევ ერთ თავისებურება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს არის საქმიანი და კონკურენტული ურთიერთობების პირად ურთიერთობებზე ასახვა. ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკურენტები, მენეჯერები, რიგითი თანამშრომლებიც კი პიროვნულად ვერ იტანენ ერთმანეთს. კონკურენტია თანამშრომლებს შორის კომპანიის შიგნითაც კი, ან უთანხმოება საქმიან ნიადაგზე ძალიან ხშირად ხდება პიროვნული დაპირისპირების მიზეზი. ეს გაცილებით უფრო რთული დასარეგულირებელია, ვიდრე ერთჯერადი უთანხმოება. საქმიდან გამომდინარე, პიროვნული დაპირისპირების მოგვარება არათუ რთულია, არამედ ხშირად

<sup>77</sup> <http://strategy.ge/2009/11/23/the-most-famous-problems/> "ყველაზე გავრცელებული პრობლემები ქართულ კომპანიებში" პაპუნა ტოტიაშვილი, 2009

სწრაფი ტემპით იწვევს კონფრონტაციას, რაც შეიძლება გახდეს შიდა ორგანიზაციული კრიზისის მიზეზი. კვლევაში გამოკითხულთა 55,6 % ადასტურებს, რომ ხშირად არის შემთხვევა როცა კომპანიაში ხდება დაპირისპირებები მენეჯერებს და რიგით თანამშრომლებს შორის, რომლის მიზეზადაც რთული სამუშაო პირობები მიიჩნევა.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც გამოვლინდა ქართულ კომპანიებში, არის დირექტორის მხრიდან პერსონალისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება. უფროსი იმდენად უსამართლოა დაქვემდებარებულის მიმართ, რომ მოტივაციას უკარგავს თანამშრომლებს. კომპანიაში უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც დაქირავებული პერსონალი თავს იგრძნობს კომფორტულად, ამისათვის ხელმძღვანელებმა უნდა შეუქმნათ მათ სათანადო პირობები.<sup>78</sup>

ამდენად, მოცემულ სტატიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა კომპანიის საქმიანობის ეფექტურობა რამდენადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული პერსონალის მართვის სისტემა და რამდენად გამართლებულია იგი. ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის ხელმძღვანელის პოზიცია ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში, მათი განვითარება და მოტივაცია.

ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ კომპანიები მეტ ფინანსურ რესურს დახარჯავენ კადრის შერჩევას. ხელმძღვანელობას უნდა ახსოვდეს, რომ თანამშრომლების პროფესიონალიზმის მთავარი საწინდარი მისთვის სწორი ადგილის შერჩევაა. კონკრეტულ ვაკანსიას კონკრეტული პიროვნება უნდა შეესაბამებოდეს მისი ხასიათით, მისწრაფებებით, ცოდნის დონით და ა.შ. ამის გამო არის ხშირად, რომ ერთი კომპანიაში თანამშრომელი შეიძლება წარმატებული იყოს, ხოლო მეორე კომპანიაში გახდეს სრულიად გამოუსადეგარი.

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი:

1. ქართულ კომპანიებში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული არის არაშესაბამისი კომპეტენციის მქონე ახლობლების, მეგობრების ნათესავების აყვანა. ეს ძირითადად გამოწვეულია ხელმძღვანელების არასათანადო პროფესიონალიზმით და მნიშვნელოვნად აზიანებს კომპანიის საქმიანობას;

2. საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა არასაკმარისი დელეგირება, მენეჯმენტი რეალურად გადაწყვეტილებების მიღებას ვერ ანდობს ქვეშევრდომებს. უმნიშვნელო გადაწყვეტილებების მიღებაც ზედა დონეზე ხდება;

3. ქართული კომპანიებისათვის ასევე დამახასიათებელია დამფუძნებლების აქტიური ჩარევა ყოველდღიურ მართვაში, რაც აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის ართულებს მართვას;

4. ყველაზე ხშირად აწყდებიან პრობლემას, ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური დროით სამუშაოს შესრულებისას, რითაც ირღვევა დასაქმებულის უფლებები.;

5. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც გამოვლინდა ქართულ კომპანიებში, არის დირექტორის მხრიდან პერსონალისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება. უფროსი იმდენად უსამართლოა დაქვემდებარებულის მიმართ, რომ მოტივაციას უკარგავს თანამშრომლებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. გეჩბაია, ა. დევამე. - "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" თბილისი, 2015
2. <http://strategy.ge/2009/11/23/the-most-famous-problems/> "ყველაზე გავრცელებული პრობლემები ქართულ კომპანიებში"
3. <https://pragenti.wordpress.com/2011/06/25/> "თანამდეროვე მენეჯმენტი"

<sup>78</sup> <http://strategy.ge/2009/11/23/the-most-famous-problems/> "ყველაზე გავრცელებული პრობლემები ქართულ კომპანიებში" პაპუნა ტოტიაშვილი, 2009

PROBLEMS OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN GEORGIAN BUSINESS COMPANIES

Summary

Nowadays, any company that is trying to survive in the long run, is interested in attracting new highly qualified employees. The process of selecting and recruitment of new employees is the most important factor leading a company to success. Every company faces the problem of staff selection, however the ways to solve this problem are individual and different for each of them.

Professional personnel are the main resource of the company, which is essential for its prosperity. It may sound strange but everything is decided not only by money and technology, but also by human capital.

The prosperity of a business depends on the quality of its human capital. Therefore, the aim of the article is to show how the efficiency of the company depends on the organized personnel management system. Also, how important is the attitude of the head of the company to human resources, in terms of their development and motivation.

მაღბაზ ჩიქობავა

კლავს შვაბის „დიადი გადატვირთვა“ - გზა ნეოტოტალიტარიზმისკენ

**ანოტაცია.** სტატიაში გაანალიზებულია „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ უცვლელი თავმჯდომარის კლავს შვაბის წიგნი „კოვიდ-19: დიადი გადატვირთვა“; მისი იდეური იდენტობა მილტონ ფრიდმანთან და თანამედროვე ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე გლობალური მასშტაბით ცხოვრებაში „დიადი გადატვირთვის“ პრინციპების დანერგვის პერსპექტივები.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ნახევარი საუკუნის წინათ, 1971 წელს, რაც შეიქმნა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, დაიწყო მომზადება „კაპიტალიზმის რადიკალური რეფორმირებისათვის“, „დიადი გადატვირთვისათვის“, „ზემოდან რევოლუციისათვის“. თუმცა, ჰერბერტ უელსის ნაშრომის „ღია შეთქმულება“ და პროფესორ კლავს შვაბის წიგნის „დიადი გადატვირთვა“ შედარებისას აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო ელიტის გეგმები მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის თაობაზე თითქმის 90 წელია მიმდინარეობს, რომელმაც მხოლოდ მცირედი ცვლილება განიცადა. კლავს შვაბისეულ „ინკლუზიურ კაპიტალიზმში“ იგულისხმება ისეთი სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, რომელშიც გადაიზრდება არსებული კაპიტალიზმი, მაგრამ ამავე დროს რჩება კაპიტალიზმად.

ამგვარი კაპიტალიზმის კონცეფცია ყველაზე გულახდილად ჩამოაყალიბა ამერიკელმა ეკონომისტმა მილტონ ფრიდმანმა, რომელიც პირდაპირ აცხადებდა იმას, რის თქმასაც სხვები ერიდებოდნენ: არავითარი სხვა პასუხისმგებლობა ბიზნესს, გარდა მესაკუთრეების (აქციონერების) მიერ მაქსიმალური მოგების მიღებისა, არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს, ხოლო ნებისმიერი საუბარი „სოციალურ პასუხისმგებლობაზე“ - მხოლოდ ლაყბობაა. მილტონ ფრიდმანის სიტყვებით „ბიზნესის ბიზნესს წარმოადგენს ბიზნესი“, რომელიც მკაფიოდაა გადმოცემული მის 1970 წლის სტატიაში „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საკუთარი მოგების ზრდაა“.

სტატიაშია საუბარია „ინკლუზიურ“ კაპიტალიზმზე - ახალ უტოპიაზე, რომელშიც, შვაბის აზრით, მშრომელები არ გამოირიცხებიან საზოგადოებრივი სიმდიდრის სამართლიანი წილის მიმღებთა სიიდან, არამედ ამ რიცხვში შედიან. როგორც კლავს შვაბი წერს: „მწვავეა გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საზოგადოებას შორის დესინქრონიზაციის პრობლემა, რომელთა ჰორიზონტი ძალიან განსხვავებულია და მასთან გამკლავება პანდემიის ფონზე რთული იქნება. შოკის სისწრაფე და მიყენებული ტკივილის სიღრმე შეუდარებელია საკითხის პოლიტიკურ მხარესთან“.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, მსოფლიო ეკონომიკა და განსაკუთრებით, არსებული მსოფლიო სავალუტო სისტემა, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ კატასტროფის ზღვარზე იმყოფება.

**საკვანძო სიტყვები:** კოვი-19, ინკლუზიური კაპიტალიზმი, „დიადი გადატვირთვა“, „სოციალურად პასუხისმგებელი კაპიტალიზმი“, „უპირობო საბაზისო შემოსავალი“, ბრეტონ-ვუდსის სისტემა, ბანკორი, სესხის მიღების სპეციალური უფლება.

\*\*\*

იმისათვის რომ გავიგოთ, თუ რა ხდება და რა შეიძლება მოხდეს ჩვენს ეკონომიკაში, უნდა ვიციოდეთ, თუ რა ხდება მსოფლიო ეკონომიკაში. რა თქმა უნდა, მოვლენებისა და პროცესების მთავარი ფაქტორი, რომელიც მოხდა მსოფლიო ეკონომიკაში, იყო „COVID-19“.

2020 წლის პირველ ნახევარში ყველას აინტერესებდა, თუ საიდან გაჩნდა ეს საშინელი ვირუსი და კიდევ რამდენი ხანი გატანჯავს ის კაცობრიობას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არა თვით ვირუსისგან, არამედ ხელისუფლებების იმ პოლიტიკისგან, რომლებმაც მიიღო „Lockdown“-ის სახელწოდება და რომელიც გამოიხატება ადამიანების აიძულებითი „თვითიზოლაციით“, „დისტანცირებით“, „ნიღბების ტარების რეჟიმით“, ბიზნესების დახურვით, შეზღუდვებით, მუშაკთა დისტანციური მუშაობით და სხვ. მაგრამ, 2020 წლის ივლისში გამოვიდა საყოველთაოდ ცნობილი კლაუს შვაბის (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის უცვლელი ხელმძღვანელის) წიგნი სახელწოდებით „COVID-19: The Great Reset“ („კოვიდ-19: დიადი გადატვირთვა“). მასში პროფესორმა შვაბმა, რომელიც უთუოდ მიეკუთვნება მსოფლიო ელიტის ვიწრო წრეს და გამოხატავს მის ინტერესებს, გაამხილა მრავალი საიდუმლო.

პირველი, მსოფლიო ელიტა უკვე დიდი ხანია, რაც ამზადებს „რევოლუციას ზემოდან“, მაგრამ ამისათვის ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო მზად. 2020 წელს ის დაიწყო. მის ხილულ გამოვლინებად იქცა მასობრივი, გლობალური lockdown-ი.

მეორე, ე.წ. „პანდემია COVID-19“, რომელმაც საფუძველი შეუქმნა lockdown-ს და ადამიანებს წაართვა ნორმალური ცხოვრება. პროფესორი სვამს რიტორიკულ კითხვას: „როდის მოხდება „ნორმალური“ ცხოვრებისკენ დაბრუნება? და თავად იძლევა ცინიკურ, მაგრამ გულახდილ პასუხს: „არასოდეს“. „პანდემია“ და lockdown-ი სამუდამოდ გაგრძელდება.

მესამე, ის მცირედით აღგვიწერს იმ საოცარი ახალი სამყაროს სურათს, რომელიც უნდა წარმოიშვას „დიადი გადატვირთვის“ შედეგად.

ეს ბოლო თეზისი უფრო დაწვრილებით ავხსნათ.

კლაუს შვაბი მკითხველს აცნობებს: ყველა ის სისულელე, რომელსაც „ეკონომიკურ ლიბერალიზმს“ უწოდებენ და, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ინერგებოდა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ. კაცობრიობა მომწყვდეულია პოსტკაპიტალიზმში, სადაც ელიტა იბატონებს (პლანეტის მოსახლეობის 1% - მოსამსახურეებთან ერთად), ხოლო დანარჩენი ნაწილი (99%) მონები იქნებიან, ციფრულ საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებული.

რა თქმა უნდა, „პოლიტკორექტული“ პროფესორი შვაბი ისეთ სიტყვებს, როგორცაა: „მონები“, „საკონცენტრაციო ბანაკი“, არ იყენებს. მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით მის მიერ შემოთავაზებულ „დიადი გადატვირთვას“, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: მაგალითად, მისი წინადადება „საოცარ ახალ სამყაროში“ მოქალაქეთა მკაცრი ციფრული კონტროლის შესახებ ნიშნავს იმას, რომ ისინი იქნებიან ელექტრონული ქუდის ქვეშ, ციფრულ საკონცენტრაციო ბანაკში.

კლაუს შვაბი გამოთქვამს ლამაზ სიტყვებს „თანასწორობაზე“ მომავალ სამყაროში. დიახ, სწორედ ასე იქნება. საუბარია მონების თანასწორობაზე, ე.ი. კაცობრიობის 99%-ზე. შვაბი საუბრობს ძველი კაპიტალიზმის ისეთ „ცრურწმენებსა“ და „რუდიმენტებზე“, როგორცაა მოგება, საკუთრების უფლება, საწარმოს სააქციო ფორმა და ა.შ.. ყველაფერი ეს ლიკვიდირებულ უნდა იქნეს ნებაყოფლობით-იძულებითი წესით. კაპიტალისტ-მესაკუთრეთა ადგილას მოვა „მოსარგებლეთა ეკონომიკა“. მოკლევადიანი სპეკულაციური მოგება უნდა ჩაანაცვლოს

ღირებულების მდგრადმა და გრძელვადიანმა ზრდამ, რომელიც ვითომ მთელი კაცობრიობისათვის შეიქმნება. მაგრამ, ფაქტობრივად, მას გააკონტროლებს მხოლოდ ელიტა - იგივე „ოქროს პროცენტი“.

აქციონერული ფორმის კომპანიებს ბოლო მოეღებათ. აკი ამგვარ კომპანიებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ - ნებისმიერ ფასად მოგების მაქსიმიზაცია, აქციონერების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელთ, გარდა მოგებისა და დივიდენდებისა, არაფერი აინტერესებთ. აქციონერთა კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს ე.წ. სტეიქჰოლდერთა კაპიტალიზმად - ანუ „ყველა დაინტერესებული მხარის კაპიტალიზმად“. და ვინ არიან ეს სტეიქჰოლდერები? - მხოლოდ და მხოლოდ უმსხვილესი კორპორაციები. მათგან უმრავლესობას ჩვენ ვუწოდებთ „ტრანსნაციონალურ კორპორაციებს“. ხვალ უკვე ასეთი სახელწოდება შეიძლება არაკორექტული, აბსურდულიც კი გახდეს. რატომ? იმიტომ, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ზღვრები წაიშლება, ისინი უბრალოდ აღარ იარსებებენ.

შვების თანახმად, ეროვნული სახელმწიფო ანაქრონიზმია - ძველი კაპიტალიზმის გადმონაშთი. მისი აზრით, ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაქროთ ეროვნული საზღვრები, ეროვნული სახელმწიფოები, ხოლო „ახალ საოცარ სამყაროში“ კორპორაციები იქნება არა „ტრანსნაციონალური“, არამედ „გლობალური“. გლობალურმა კორპორაციებმა თანდათანობით უნდა აიღონ თავიანთ თავზე სახელმწიფოს ყველა ფუნქცია, სინამდვილეში იგეგმება სახელმწიფოს პრივატიზაცია.

ამასთან, სახელმწიფოს მომავლის საკითხში შვაბი ძალიან ფრთხილად მსჯელობს. გარდამავალ პერიოდში შეიძლება ელიტას ის ძალიან დასჭირდეს. ბოლოს და ბოლოს, რასაკვირველია, ყველას არ მოუნდება ნებაყოფლობით შევიდეს „საოცარ ახალ სამყაროში“ (ანუ ციფრულ საკონცენტრაციო ბანაკში). ამისათვის საჭირო გახდება ძალა, მათ შორის, პოლიცია და ჯარიც კი, რათა „დისიდენტები“ შერეკონ „ნათელ მომავალში“ და მხოლოდ ამის შემდეგ, როდესაც ყველა ციფრულ საკონცენტრაციო ბანაკში იქნება, შესაძლებელი იქნება ყოფილი სახელმწიფოების საბოლოოდ გაუქმება. უმაღლესი მმართველი ინსტიტუტი იქნება მსოფლიო მთავრობა, რომელიც დაეყრდნობა გლობალურ კორპორაციებს.

ასე რომ, შვაბი საუბრობს მსხვილ კორპორაციებზე, როგორც ახალი კაპიტალიზმის ხერხემალზე. სად არის მცირე და საშუალო ბიზნესი? - მათი ადგილი ამ კონსტრუქციაში არ რჩება. მიმდინარე lockdown-ის დროს მცირე და საშუალო ზომის კომპანიები უკვე გაწმენდილია. და რა უნდა გააკეთოს მილიონობით ადამიანმა, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ ეკონომიკის ამ სექტორში? კლაუს შვაბის აზრით, ზოგიერთი მათგანი აყვანილ უნდა იქნეს სამუშაოდ მსხვილ „სოციალურად პასუხისმგებელ“ კორპორაციებში.

მაგრამ გათავისუფლებული მუშაკების უმეტესობა ვერ დასაქმდება. უფრო მეტიც, კლაუს შვაბი მხარს უჭერს რობოტებისა და ყველა სახის ავტომატის უფრო ფართოდ გამოყენებას, რომელიც შეცვლის ცოცხალ შრომას, თანაც, არა მარტო ფიზიკურს, არამედ გონებრივსაც. პროფესორი დიდი ხანია გატაცებულია ამ რობოტებითა და ავტომატებით. მაგალითად, ავიღოთ მისი წინა წიგნი, „მეთხე სამრეწველო რევოლუცია“ (2016), სადაც იგი აღწერს ციფრული, ნანო- და ბიოტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად მოსალოდნელ ეკონომიკურ ცვლილებებს. სხვათა შორის, უკვე ამ წიგნში შვაბმა ისაუბრა კაპიტალიზმის ახალ ტექნოლოგიურ ბაზასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობის შესახებ.

იმისათვის, რომ შვაბის წინადადებათ ახალი საოცარი სამყაროს მოწყობაზე არ გამოიწვიოს ხალხში შიში და პროტესტი, ის ამშვიდებს ადამიანებს სოციალური ამორტიზატორების შემოღებაზე დაპირებებით, რომლებიც გააიოლებს წარმოშობილი გადატვირთვის გადატანას. ადამიანებს არ უნდა ეშინოდეთ სამუშაოებისა და შემოსავლების დაკარგვის, რომ შვაბის მიერ შემოთავაზებული მოდელი ატარებს „სოციალურად პასუხისმგებელი კაპიტალიზმის“ სახელწოდებას. ამგვარი „პასუხისმგებლობის“ ერთ-ერთი გამოვლინებაა ე.წ. „უპირობო საბაზისო შემოსავლის“ შემოღებაზე დაპირება. ასეთი გარანტირებული, მუდმივი, სახელმწიფოს ყველა მოქალაქეზე გავრცელებული და საარსებო მინიმუმის ტოლი შემოსავლის მიღების იდეა ათწლეულებია ტრიალებს ცალკეული პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეთა

და ეკონომისტების გონებაში. ექსპერიმენტებსაც კი ჰქონდა ადგილი „უპირობო საბაზისო შემოსავლის“ შემოღებაზე ზოგიერთი, უპირატესად ევროპული ქვეყნის ცალკეულ ქალაქებსა და რეგიონებში.

ყველაზე ახლოს „უპირობო საბაზისო შემოსავლის“ შემოღებასთან იყო შვეიცარია, სადაც 2016 წელს რეფერენდუმზე კი ჩატარდა მოცემულ საკითხზე. „უპირობო საბაზისო შემოსავლის“ პროექტი, რომელიც გატანილ იქნა საყოველთაო ხმის მიცემაზე, ითვალისწინებდა ყოველი ზრდასრული მოქალაქისათვის 2500 შვეიცარიული ფრანკის (დაახლოებით 2250 ევროს) გადახდას. მაგრამ, მრავალთათვის მოულოდნელად ალპური რესპუბლიკის მოქალაქეთა უმრავლესობამ ეს იდეა უარყო. უფრო ზუსტად, მათ არა ამ შემოსავლის, არამედ გადასახადების მოსალოდნელი ზრდის წინააღმდეგ მისცეს ხმა, რადგანაც „უპირობო საბაზისო შემოსავლის“ პროექტის პრაქტიკულად განხორციელებისათვის შვეიცარიის კონფედერაციას უნდა გაეზარდა ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი, რისთვისაც საჭირო იყო გადასახადების დაახლოებით ორჯერ ზრდა. მიმდინარე „COVID-19-ის პანდემიის“ დროს, „უპირობო საბაზისო შემოსავლის“ იდეა კვლავ პირველ ადგილზე დადგა, მაგრამ ვერცერთმა ქვეყანამ ვერ გაბედა მოქალაქეებისთვის ასეთი გარანტირებული ფინანსური დახმარების გაწევა. საუკეთესო შემთხვევაში ყველაფერი შემოიფარგლებოდა ე.წ. „ვერტმფრენის ფულის“ განაწილებით. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, სადაც 2020 წლის აპრილში ზრდასრულ ამერიკელებს, მათი სოციალური სტატუსის მიუხედავად, თითოეულს 1200 დოლარი გადაეცათ. მაგრამ ეს არ არის „უპირობო საბაზისო შემოსავალი“, როგორც ეს ჟურნალისტებმა შეცდომით განაცხადეს, არამედ ფულის ერთჯერადი განაწილებაა. კლაუს შვაბის წინადადებას „უპირობო საბაზისო შემოსავლის“ შესახებ, ზოგიერთებმა რბილად უწოდეს „შეცდომა“ ან „უტოპია“, სხვებმა უფრო მკაცრად შეაფასეს ის და მოიხსენიეს, როგორც „მოტყუება“ და „დემაგოგია“.

შვაბის პროექტში არსებობს სხვა „სოციალური ამორტიზატორებიც“. მაგალითად, ის ფრთხილად, მაგრამ „მეცნიერულად არგუმენტირებულად“ (ე.ი., ჩვეულებრივი მალთუსიანელობისა და ნეომალთუსიანელობის სულისკვეთებით) საუბრობს პლანეტაზე მოსახლეობის სიჭარბეზე. ვითომ საჭირო იყოს კონტროლის შემოღება დემოგრაფიულ პროცესებზე და მოსახლეობის რაოდენობის გეგმაზომიერი შემცირების მიღწევა. პროფესორი ძალიან წუხს პლანეტა დედამიწის ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე. მათი კონსერვაციისა და დაცვის შესახებ წინადადებები საკმარისზე მეტია. მაგალითად, ადამიანებმა უნდა შეზღუდონ თავიანთი საჭიროებები და მოხმარება. ის არ მოუწოდებს მდიდრებს უარი თქვან სუპერრეაქტიულ თვითმფრინავებსა ან ზემდირადღირებულ იახტებზე. ის, უპირველეს ყოვლისა, რჩევით მიმართავს მოსახლეობის დანარჩენ 99%-ს. მაგალითად, რეკომენდაციას იძლევა უარი ვთქვათ ხორცის მოხმარებაზე. მისი აზრით, თურმე ნაკელი, როგორც მეცხოველეობის დარგის გარდაუვალი ნარჩენი, წარმოქმნის გამონაბოლქვს... სასათბურე აირებს. ეს კი, თავის მხრივ, ათბობს ატმოსფეროს და ხელს უწყობენ პლანეტაზე კლიმატის ცვლილებას.

კლაუს შვაბის წიგნის კითხვისას ჩნდება შთაბეჭდილება იმისა, რომ პროფესორის მიერ დაპირებული „ნათელი მომავალი“ უკვე წარსულს ჩაბარდა. ის რადანაირად პირდაპირ უნისონშია კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ (1848) იდეებთან, ან კიდევ „სამხედრო კომუნისმის“ ეკონომიკურ მოდელთან, რომელიც რუსეთში არსებობდა რევოლუციის შემდეგ 1918–1921 წლებში. შვაბის მიერ შემოთავაზებული სქემა ძალიან ჰგავს მესამე რეიხის ეკონომიკის კონსტრუქციას, რომელიც გიგანტურ კორპორაციებს ემყარებოდა. მესამე რეიხის კორპორაციებს ნამდვილად არ ჰქონიათ მიზნად მოგების მიღება. მაგრამ ისინი არც გერმანელ ხალხს ემსახურებოდნენ. მათთვის უმაღლესი მიზანი გერმანიის ინტერესები იყო: Deutschland über alles. თუ უფრო ჩავუღრმავდებით, მაშინ „გერმანია უპირველეს ყოვლისა“ აბრის მიღმა იდგა მესამე რეიხის თავკაცთა ინტერესები. ინტერესები ნამდვილად არ იყო ეკონომიკური. ელიტას წყუროდა მსოფლიო ძალაუფლება.

სტეიკჰოლდერთა კორპორაციებზე კლაუს შვაბის რიტორიკის მიღმა მსოფლიო ელიტის ინტერესები იმალება. მას ნამდვილად არ ჰქირდება მოგება. მათ სურთ მსოფლიოს ბატონ-

პატრონები გახდნენ. „საოცარი ახალი სამყარო“ - მონათმფლობელური წყობილებაა, ხოლო ასეთ სისტემაში არა მხოლოდ მოგება, ფულიც კი ანაქრონიზმი ხდება.

მაშასადამე, კლაუს შვაბის წიგნი "COVID-19: The Great Reboot" არის იაფი, მაგრამ ძალზე საშიში რიტორიკა, რომელიც შექმნილია კაცობრიობის ყურადღების მოსაღებლად. „დიდი გადატვირთვის“ პროექტში ერთადერთი „დაინტერესებული მხარე“ მსოფლიო ელიტაა, რომელმაც კლაუს შვაბს მისცა სოციალური შეკვეთა პროექტის მომზადებისა და მისი პოპულარიზაციისთვის.

ამჟამად, კლაუს შვაბი თავის წიგნში, სტატიებსა და გამოსვლებში აცხადებს, რომ ნახევარი საუკუნის წინათ, 1971 წელს, მან შექმნა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი მხოლოდ იმისათვის, რათა დაეწყო მომზადება „კაპიტალიზმის რადიკალური რეფორმირებისათვის“, „დიდი გადატვირთვისათვის“, „ზემოდან რევოლუციისათვის“. აქ პროფესორმა აშკარად წაიტრაბახა. ასეთი რევოლუციის მომზადება დაიწყო ჯერ კიდევ ბევრად ადრე, სანამ ის გაჩნდებოდა ამ ქვეყნად (შვაბი დაიბადა 1938 წელს). მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ ცნობილი ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი. ბევრი ფიქრობს, რომ უელსი დაკავებული იყო რომანებისა და მოთხრობების წერით ფანტასტიკის ჟანრში. სინამდვილეში, ის იყო ბრიტანული ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის ნაწილი და მუდმივად ფიქრობდა იმაზე, თუ „როგორ უნდა გამხდარიყო სამყარო უკეთესი“. რა თქმა უნდა, ანგლოსაქსონური ელიტის ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ, დროდადრო ის ქმნიდა ნაშრომებს, რომლებიც შორსაა მხატვრული ლიტერატურიდან. ამასთან, ბევრი რამ ჩვენი მკითხველისათვის ჯერ კიდევ უცნობია. მაგალითად, 1928 წელს მან დაწერა მცირე მოცულობის წიგნი სახელწოდებით "The Open Conspiracy" („ღია შეთქმულება“).

ჰერბერტ უელსის „ღია შეთქმულების“ პროფესორ კლაუს შვაბის „ღიად გადატვირთვისათვის“ შედარებისას აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო ელიტის გეგმები მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნის თაობაზე თითქმის 90 წლის მანძილზე მცირედით თუ შეიცვალა. თუმცა, დღეს მსოფლიო ელიტა მოქმედებს უფრო თავხედურად და უფრო ღიად. სინამდვილეში, კლაუს შვაბის წიგნს ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე შეიძლება ვუწოდოთ „ღია შეთქმულება“.

„ინკლუზიური კაპიტალიზმის“ [1] ქვეშ, კლაუს შვაბი [2] გულისხმობს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს, რომელშიც გადაიზრდება არსებული კაპიტალიზმი, მაგრამ ამავე დროს რჩება კაპიტალიზმად.

არსებული კაპიტალიზმი ჩაისახა სამი-ოთხი საუკუნის წინათ, ისტორიის მანძილზე ის არაერთხელ შეიცვალა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმმა დაიწყო თავისუფალი კონკურენციის სტადიიდან მონოპოლიზმის სტადიაში გადაზრდა. XX საუკუნეში ადგილი ჰქონდა სახელმწიფოსა და მონოპოლიის შერწყმას, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. პირველი ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, კაპიტალიზმი ხასიათდებოდა სახელმწიფოს ძლიერი ჩარევით ეკონომიკაში, კეინზიანელობის იდეის გავლენით.

1980-იან წლებში დაიწყო კეინზიანელობის გამოდევნა ეკონომიკური ლიბერალიზმით, რომლის ძირითადი იდეაა: 1) ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის მინიმოზაცია, ბაზრის, როგორც სამეურნეო ცხოვრების ავტომატური რეგულირების მექანიზმის იმედად ყოფნა; 2) კერძო ბიზნესის ფოკუსირება მოგების მაქსიმიზაციაზე კაპიტალის მესაკუთრეების (აქციონერების) ინტერესებიდან გამომდინარე.

ამგვარი კაპიტალიზმის კონცეფცია ყველაზე გულახდილად ჩამოაყალიბა ამერიკელმა ეკონომისტმა მილტონ ფრიდმანმა (1912-2006). 1976 წელს ის ალფრედ ნობელის სახელობის პრემიითაც კი დაჯილდოვდა ეკონომიკაში. ფრიდმანი პირდაპირ აცხადებდა იმას, რის თქმასაც სხვები ერიდებოდნენ: არავითარი სხვა პასუხისმგებლობა ბიზნესს, გარდა მესაკუთრეების (აქციონერების) მიერ მაქსიმალური მოგების მიღებისა, არ გააჩნია და არც შეიძლება გააჩნდეს, ხოლო ნებისმიერი საუბარი „სოციალურ პასუხისმგებლობაზე“ - მხოლოდ ლაყბობაა. მილტონ ფრიდმანს უყვარდა შემდეგი ფრაზის განმეორება: „ბიზნესის ბიზნესს წარმოადგენს ბიზნესი“.

ეს ძალიან თვალნათლივად აღმოცემული მის 1970 წლის სტატიაში „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საკუთარი მოგების ზრდაა“ (The Social Responsibility of Business is to Increase its Profits) [3].

ამ სტატიის გამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ კლაუს შვაბმა განაცხადა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შექმნის თაობაზე (მაშინ მას მენეჯმენტის ევროპული ფორუმი ეწოდებოდა). 1973 წელს შვაბი გამოვიდა მანიფესტით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ბიზნეს-კომპანიები არა მხოლოდ მოგებაზე უნდა ზრუნავდნენ, არამედ აქციონერების ინტერესებისათვისაც უნდა მუშაობდნენ. ეს იყო მონახაზი იმისა, რასაც შემდგომ „ინკლუზიური კაპიტალიზმი“, ანუ „ყველა დაინტერესებული მხარის კაპიტალიზმი“ (stakeholder capitalism) ეწოდა [4].

შვაბი ამბობს, რომ „ცივილიზებულ სამყაროს“ (შვაბის აზრით, დასავლურ სამყაროს) 1970-იან წლებში რომ გადაედგა ნაბიჯი „ინკლუზიური კაპიტალიზმის“ მიმართულებით, მაშინ, ალბათ, დღეს მსოფლიო ეკონომიკაში საქმე უკეთესად იქნებოდა.

თუმცა, არ ღირს გავაზვიადოთ ფრიდმანსა და შვაბს შორის წინააღმდეგობის ხარისხი, ისინი არ არიან ანტაგონისტები, მათ უბრალოდ სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ როგორ უნდა გახდეს კაპიტალიზმი უფრო ეფექტიანი. ხოლო რაც შეეხება „სრულყოფილი“ კაპიტალიზმის დამყარების საშუალებებს, მათ საერთოდ სრულად ერთნაირი ხედვები გააჩნიათ.

მილტონ ფრიდმანი საუბრობს „შოკურ თერაპიაზე“. აქ უნდა გავიხსენოთ 2007 წელს გამოსული წიგნი „შოკის დოქტრინა: კატასტროფის კაპიტალიზმის აღზევება“ (The Shock Doctrine: The Rise of Disaster Capitalism), რომლის ავტორია ნაომი კლაინი - კანადელი ჟურნალისტი და სოციოლოგი. შოკის დოქტრინა - ხერხების უნივერსალური ნაკრებია, რომელთა დახმარებითაც ელიტები მანევრირებენ, ახდენენ საზოგადოების გადაწყობას მათთვის სასურველი მიმართულებით. მილტონ ფრიდმანმა შოკების დოქტრინებისა და ტექნიკების შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა.

მილტონ ფრიდმანის შოკური თერაპიის ფილოსოფია შეიცავს იმის აღწერას, თუ როგორი მანიპულაციები უნდა ჩაუტარდეს „საცდელ პაციენტს“ - ეკონომიკას. პირველი, უნდა გაუქმდეს ყველა კანონი და ნორმა, რომლებიც ზღუდავს კაპიტალისტის თავისუფლებას აკეთოს ფული, დააგროვოს კაპიტალი; მეორე, უნდა მოხდეს ნებისმიერი მომგებიანი სახელმწიფო აქტივების პრივატიზაცია; მესამე, გადასახადების დიდი ნაწილი კაპიტალისტებს უნდა მოეხსნათ. ერთდროულად უნდა მოხდეს ყველა სოციალური პროგრამის ლიკვიდაცია, რომლებიც ამ გადასახადებით ფინანსდება.

წინააღმდეგობები, რომლებიც ფრიდმანის შემთხვევაში არსებობს, მას არ აწუხებს. მაგალითად, კანონების გაუქმება, რომლებიც ხელს უშლის ფულის გამომუშავებას, მიანიშნებს იმაზე, რომ უნდა გაუქმდეს ანტიმონოპოლური კანონებიც, ხოლო იქ, სადაც არის მონოპოლია, არ არსებობს „სამართლიანი“ ფასები და, შესაბამისად, არ არსებობს თავისუფალი ბაზარიც.

არ არის აუცილებელი ფრიდმანის მსგავსად იყოთ ეკონომიკის პროფესორი ელემენტარული საკითხის გასაგებად: თუ ეკონომიკას ჩამოშორდება სახელმწიფო, მის ნაცვლად მონოპოლიები მოვლენ - ტრესტები, კონცერნები, სინდიკატები, კარტელები. ფრიდმანი სწორედ მათ ემსახურებოდა.

როგორ შეიძლება მილტონ ფრიდმანის შედარება კლაუს შვაბთან, რომელიც საუბრობს კორპორაციების „სოციალურ პასუხისმგებლობაზე“, კორპორაციების მიერ ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებაზე, მომავალ თაობებზე ზრუნვის აუცილებლობაზე? შეიძლება.

„პანდემია“, ამტკიცებს კლაუს შვაბი, ფართოდ უხსნის კარებს ახალ ეპოქას. წინ არის „ინკლუზიური“ კაპიტალიზმი - ახალი უტოპია, რომელშიც, ვთქვათ, მშრომელები არ გამოირიცხებიან საზოგადოებრივი სიმდიდრის სამართლიანი წილის მიმღებთა სიიდან, არამედ ამ რიცხვში შედიან. კლაუს შვაბი წერს: „მწვავეა ორ ჯგუფს (გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საზოგადოებას) შორის დესინქრონიზაციის პრობლემა, რომელთა ჰორიზონტი



ძალიან განსხვავებულია და მასთან გამკლავება პანდემიის ფონზე რთული იქნება. შოკის სისწრაფე და მიყენებული ტკივილის სიღრმე შეუდარებელია საკითხის პოლიტიკურ მხარესთან“. ნაცნობი სიტყვებია: ნამდვილად შოკისმომგვრელია! კლავს შვებში ამას მილტონ ფრიდმანი ამბობს.

შვები ღიად ავალებს პოლიტიკოსებს, არ შეარბილონ შეზღუდვები და მოუწოდებს მათ არ მოხსნან კარანტინი, როგორ წინააღმდეგობასაც არ უნდა წააწყდნენ ისინი. უფრო მეტიც - ხაზს უსვამს შვები, - დაუმორჩილებლების წინააღმდეგობა უნდა ჩაახშონ და საამისოდ უამრავი საშუალება არსებობს. არავის არ უნდა ეპარებოდეს ეჭვიც კი - ნორმალური ცხოვრების დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ეს არ მოხდება, რადგან ეს ვერასოდეს იქნება! შვები აქ ამკარად ცინიკურია [5].

შემთხვევითი არაა, რომ ნორვეგიელმა პოლიტოლოგმა პოლ სტიეგანმა, რომელმაც შეაფასა კლავს შვების „დიადი გადატვირთვა“, მას „ახალი სახით ფაშიზმის აღზევება“ უწოდა [6].

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, მსოფლიო ეკონომიკა და არსებული მსოფლიო სავალუტო სისტემა, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ კატასტროფის ზღვარზე იმყოფება. მსოფლიო ვალუტების მასა იზრდება ისე, როგორ წვიმის შემდეგ სოკოები. ოთხი ცენტრალური ბანკის - აშშ-ს ფედ-ის, ევროპის ცენტრალური ბანკის, იაპონიის ბანკისა და ჩინეთის სახალხო ბანკის ერთობლივი აქტივები 2021 წლის იანვრის ბოლოსათვის ფასდებოდა 28,8 ტრლნ დოლარის ოდენობით [7]. 2020 წლის იანვრის ბოლოსათვის არსებულ მაჩვენებელთან შედარებით ნაზრდმა 44% შეადგინა. ასეთი მთელი ათწლეულების მანძილზე არ ყოფილა.

2007 წლის დასაწყისისათვის ოთხი მითითებული ცენტრალური ბანკის ერთობლივი აქტივები შეადგენდა 5 ტრლნ დოლარს, 14 წლის განმავლობაში ისინი 5,8-ჯერ გაიზარდა! ეს გიგანტური ფულადი მასა გამოიყენება ფინანსური საპნის ბუშტების გასაბერად მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე. იქმნება მაცდური შთაბეჭდილება იმისა, რომ არავითარ ინფლაციას არ აქვს ადგილი, ვინაიდან ფასები სასაქონლო ბაზრებზე იზრდება ნელა ან საერთოდ არ იზრდება, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ მონეტარული კეთილდღეობის ილუზიაა. ადრე თუ გვიან მოხდება ფინანსური ბუშტების კოლაფსი, ჭარბი ფულადი მასა მიაწყდება სასაქონლო ბაზრებს. წარმოიქმნება ჰიპერინფლაცია და ვალუტების უსწრაფესი გაუფასურება.

შეიძლება ვიკამათოდ იმაზე, თუ როდის მოხდება ეს, მაგრამ პოლიტიკოსები და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები უკვე ამზადებენ სათადარიგო აეროდრომებს, სადაც შეიძლება გადაადგილდნენ ტრადიციული ვალუტების ჩამოშლის შემთხვევაში. ამგვარი გადაადგილების მიმართულებას წარმოადგენს აგრეთვე ოქროს სტანდარტის აღდგენა და ციფრული ვალუტების შექმნა, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მიმართულება. ესაა ერთიანი მსოფლიო ვალუტის ვარიანტი. ამაზე საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ 1944 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე ბრეტონ-ვუდსში ინგლისის დელეგაციის მეთაურმა ჯონ კეინმა მონაწილეებს შესთავაზა ომისშემდგომი სავალუტო-საფინანსო სისტემის შექმნა ბანკორის - ზენაციონალური ვალუტის საფუძველზე, რომლის ემისიასაც მოახდენდა საერთაშორისო საკლირინგო პალატა. ბანკორი უნდა ყოფილიყო ეროვნული ვალუტების დამატება, შემდეგ კი სრულად გამოდევნიდა მათ. მაშინ კეინის წინადადება არ იქნა მიღებული. მსოფლიო სავალუტო-საფინანსო სისტემის აგება დაიწყო ოქრო-დოლარის სტანდარტის საფუძველზე, რომელიც შემოთავაზებულ იქნა აშშ-ის დელეგაციის მიერ.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციის შემდეგ მეოთხედმა საუკუნემ განვლო და მოულოდნელად კეინის შემოთავაზების განხორციელება დაიწყო ცხოვრებაში. მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ე.წ. სესხის მიღების სპეციალური უფლების (Special Drawing Rights, SDR) პარტიის ემისია. ის სინამდვილეში წარმოადგენდა პირობით ერთეულს, ვინაიდან მხოლოდ უნაღდო ფორმით არსებობდა. მთავარი ისაა, რომ ის არ წარმოადგენდა უნივერსალურ ფულს. SDR-ი წარმოდგენილ იქნა, როგორც სარეზერვო ვალუტა, რომლითაც სარგებლობა შეეძლოთ

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებს თავიანთი საერთაშორისო რეზერვების ფორმირებისათვის (ოქროსა და აშშ-ის დოლარზე დამატებით), აგრეთვე ერთი ქვეყნის მონეტარული ხელისუფლების მიერ სხვა ქვეყნების მონეტარული ხელისუფლებების მიმართ ვალდებულებების შესასრულებლად. მაგრამ ფულადი ერთეული SDR-ი არ შეიძლება გამოყენებულიყო კერძო კორპორაციებისა და ბანკების მიერ სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე ოპერაციებისათვის და ის, მით უფრო, ხელმიუწვდომელი იყო ფიზიკური პირებისათვის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს SDR-ზე შეთანხმებას 1969 წლის დასაწყისში, 1969 წლის შუა პერიოდში ის ძალაში შევიდა. SDR-ის ემისია დაიწყო 1970 წლის 1 იანვარს და სამი წელი გაგრძელდა (ეს იყო SDR-ის პირველი განაწილება). 1970-1972 წლებში გამოშვებულ იქნა 9,3 მლრდ ერთეულის SDR, რომელიც მაშინ უტოლდებოდა აშშ-ის დოლარს (1 SDR=1 აშშ დოლარს), ხოლო ოქროს შემცველობა ახალ ერთეულში განისაზღვრებოდა გამომდინარე პროპორციიდან: 1 ტრუას უნცია ოქრო = 35 SDR. მითითებული თანხის ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ანაწილებდა SDR-ს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის, ფონდის კაპიტალში მათი კვოტების პროპორციულად. ემიტირებული SDR-ის დასახელებული მოცულობიდან (9,3 მლრდ ერთეული) თითქმის 7 მლრდ განაწილდა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის. 400 მლნ-ზე ოდნავ მეტი მიიღო ნავთობის ექსპორტიორმა განვითარებადმა 12-მა ქვეყანამ. დანარჩენმა 100-მა განვითარებადმა ქვეყანამ მიიღო 2 მლრდ ერთეულზე ნაკლები.

გვიყალიბდება იმის შეგრძნება, რომ ნახევარი საუკუნის წინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ SDR-ის გატარებული ემისია საცდელი პროექტი იყო. მოხდა ოქრო-დოლარის სტანდარტის შეცვლის ერთ-ერთი ვარიანტის ტესტირება [8]. მაგრამ ვალუტა SDR ვერ გახდა ასეთი შემცვლელი. 1976 წელს იამაიკის კონფერენციაზე გამოცხადდა ქალაქის დოლარის სტანდარტზე გადასვლა.

SDR-ის ემისია განახლდა 1979 წელს და გრძელდებოდა სამი წელი (SDR-ის მეორე განაწილება - 4 მლრდ წელიწადში). ჯამში, 1970 წლიდან მოყოლებული ემიტირებული SDR-ის საერთო მოცულობამ 21,4 მლრდ ერთეული შეადგინა, რომელიც განაწილებულ იქნა ფონდის 143 წევრ-ქვეყანას შორის. 1981 წლის ბოლოს ეს თანხა შეადგენდა მთელი მსოფლიო სავალუტო რეზერვის 5,5%-ს, ოქროს ჩაუთვლელად. ამ დროს ეკონომიკურად განვითარებულმა ქვეყნებმა მიიღო განაწილებული SDR-ის საერთო რაოდენობის 2/3-ზე მეტი, მათ შორის, აშშ-მა - 23%, იმდენივე, რამდენიც მიიღო 100-მა განვითარებადმა ქვეყანამ.

აღბათ, SDR-ის ემისია 1979-1981 წლებში (მეორე განაწილება) ხორციელდებოდა ქვედაზღვევის სახით. საქმე ისაა, რომ აშშ-ის დოლარის აღზევება ერთადერთი მსოფლიო ვალუტის კვარცხლბეკზე ძალზე რთული ოპერაცია იყო. ზოგჯერ წარმოიქმნებოდა საშიშროება იმისა, რომ დოლარი ჩამოიშლებოდა და იამაიკის კონფერენციის მთელი გადაწყვეტილება წყალში ჩაიყრებოდა. მაგალითად, 1980 წლის იანვარში ოქროზე ფასი აღწევდა 850 დოლარამდე ერთ ტრუას უნციაზე. ოქრო, რომელსაც არ სურდა ფულის სამყაროდან წასვლა, მზად იყო დოლარის, როგორც კონკურენტის გასანადგურებლად.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დოლარმა დაიკავა მისთვის დაგეგმილი ადგილი და SDR-ის ემისიაში წარმოიქმნა დიდი პაუზა. ის გაგრძელდა 2009 წლის 28 აგვისტომდე, როცა ფონდის მიერ განხორციელდა მესამე, SDR-ის მომენტალური განაწილება 161,2 მლრდ ერთეულის ოდენობით. ერთ დღეში SDR-ის საერთო მასა თითქმის რვაჯერ გაიზარდა! ოდნავ მოგვიანებით (2009 წლის 9 სექტემბერს) გატარდა კიდევ ერთი, მეოთხე განაწილება, ასევე ერთჯერადი, 21,5 მლრდ SDR-ის ოდენობით. საბოლოოდ, SDR-ის ემიტირებული ვალუტის საერთო მოცულობამ 204,1 მლრდ ერთეული შეადგინა.

SDR-ის მესამე და მეოთხე განაწილების მასშტაბურობა და ვადიანობა აიხსნება იმით, რომ არსებობდა ფინანსური კრიზისის მსოფლიო სავალუტო კრიზისში გადაზრდის რისკი. SDR-ის ემისია არსებითი დაზღვევა იყო იმ ქვეყნებისათვის, რომელთა სავალუტო რეზერვები ამოწურვის პირას იმყოფებოდა.

მიმდინარეობს მეთორმეტე წელი იმ დროის შემდეგ, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ბოლოჯერ განახორციელა SDR-ის ემისია. დღეს სავალუტო-საფინანსო სამყაროში სიტუაცია უარესია, ვიდრე 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს. ყველა ელოდება SDR-ის მეხუთე განაწილებას.

22 თებერვალს გამომცემლობამ The Daily Reckoning გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით The Great Reset is Here (დიადი გადატვირთვა დაიწყო) [9]. პუბლიკაციის ავტორია ჯეიმს რიკარდსი - ეკონომისტი, იურისტი, Omnis, Inc.-ის მთავარი მმართველი დირექტორი ბაზრის კვლევის განხრით. ჯეიმს რიკარდსი იყო მთავარი სამთავრობო მომლაპარაკებელი ჰეჯგიგანტის Long Term Capital Management-ის გადარჩენის მომენტში 1998 წელს. ის ავტორია წიგნის The Road to Ruin: The Global Elites' Secret Plan for the Next Financial Crisis (გზა დაღუპვისკენ: გლობალური ელიტების საიდუმლო გეგმა შემდგომი ფინანსური კრიზისის ორგანიზებაში), რომელიც გამოვიდა 2016 წელს.

რიკარდსის სტატიის დიდი ნაწილი ეძღვნება SDR-ს. თუ ავტორს დავუჯერებთ, 2009 წლის შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდი აგრძელებდა ამ ზენაციონალური ვალუტის უფრო ფართო გამოყენების მიზნით მზადებას. განიხილებოდა SDR-ისადმი ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ვარიანტი, გარდა მონეტარული ხელისუფლებისა, კერძო კომპანიებისა და ბანკების მიერ. აი, რას წერს რიკარდსი: „07.01.2011 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოსცა SDR-ით დოლარის შეცვლის გენერალური გეგმა. ის მოიცავს SDR-ის ობლიგაციების ბაზრის შექმნას, SDR-ის დილერების შექმნას და დამხმარე მექანიზმების შექმნას, როგორცაა რეპო ოპერაციები, დერივატივები, ანგარიშსწორებისა და კლირინგის არხები, აგრეთვე ობლიგაციების ლიკვიდური ბაზრის მთელი აპარატი“.

ამ დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი იყო დომინიკ სტროს-კანი. აღნიშნული გეგმის გამჟღავნების შემდეგ ოთხ თვეში, 2011 წლის მაისში, სროს-კანმა დაკარგა თავისი სავარძელი. ეს არცაა გასაკვირი: გეგმა უკიდურესად სახიფათო იყო აშშ-ის დოლარისათვის. SDR-ის გამოშვება ივარაუდებოდა არა დოლარისადმი დამატებით საშუალებად, არამედ მის შემცვლელად. ფედ-ის საბეჭდი მანქანის მეპატრონეები გაუმკლავდნენ სტროს-კანს [10].

მაგრამ, ამჟამად მრავალი ფინანსისტი და პოლიტიკოსი სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს აშშ-ის დოლარის შეცვლის მოძიების აუცილებლობაზე. მაგალითად, 2019 წლის აგვისტოში ამის შესახებ ჯექსონ-ჰოლსის (აშშ) ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე განაცხადა ინგლისის ბანკის მეთაურმა მარკ კარნიმ. ვფიქრობთ, მისმა განცხადებამ ენთუზიაზმი შესძინა რეფორმების იმ მომხრეებს, რომლებიც ფსონს დებენ SDR-ზე.

ჯეიმს რიკარდსი წერს, რომ სწორედ SDR-ი წარმოადგენს აშშ-ის დოლარის საუკეთესო ალტერნატივას: „SDR-ი შეიძლება გამოშვებულ იქნეს დიდი რაოდენობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრებისათვის და მომავალში ის გამოყენებული იქნება მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაციების შერჩეული ჩამონათვალისთვის, მათ შორის, საგადასხდელო ბალანსის მიხედვით ანგარიშსწორების, ნავთობზე ფასწარმოქმნის და უმსხვილესი მსოფლიო კორპორაციების ფინანსური ანგარიშების მიხედვით, როგორცაა Exxon Mobil, Toyota და Royal Dutch Shell“.

რიკარდს ხელი მიუწვდება დახურულ წყაროებზე და ის გვაუწყებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის გეგმებზე SDR-ის ემისიის თაობაზე, რომელთა აფიშირება არსად არ ხდება: „საერთაშორისო სავალუტო ფონდი გეგმავს მოახდინოს ახალი SDR-ის გამოშვება 500 მლრდ ერთეულით, თუმცა ზოგიერთი სენატორი-დემოკრატები ლობირებენ SDR-ს 2 ტრლნ და მეტი ერთეულით. ეს თითქმის ცხრაჯერ მეტია, ვიდრე SDR-ის რაოდენობა, რომელიც 2009 წელს იქნა გამოშვებული და მას დიდი მნიშვნელობა ექნება SDR-ის ლიკვიდურობის გასაზრდელად და გლობალისტური პროგრამების წინ წასაწევად, აშშ-ის დოლარის SDR-ით, როგორც წამყვანი სარეზერვო აქტივით შეცვლის თვალსაზრისით“.

SDR-ის ემისიის გაფართოებისა და გამოყენების სფეროს გეგმებს რიკარდსი უკავშირებს კლაუს შვაბის „დიადი გადატვირთვის“ გეგმას [11]. მისი აზრით, ეს ვალუტა

მნიშვნელოვანწილად იქნება გამოყვანილი ეროვნული სახელმწიფოების კონტროლიდან და მიმართული იქნება, მათ შორის, მსოფლიო ეკონომიკის დეკარბონიზაციისკენ: „შემდგომ რამდენიმე წელიწადში ჩვენ ვნახავთ SDR-ის გამოშვებას საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, როგორცაა გაერო და მსოფლიო ბანკი, რომლებიც დაიხარჯება კლიმატის ცვლილებების ინფრასტრუქტურაზე და ელიტებისათვის სხვა საყვარელ პროექტებზე, რომელიმე დემოკრატიულად არჩეული ორგანოების მხრიდან ზედამხედველობის გარეშე“.

ამგვარად, თანამედროვე ვირუსულ-ეკონომიკური, განსაკუთრებით, სავალუტო კრიზისის ფონზე სულ უფრო რეალური ხდება კლაუს შვაბისეული „დიადი გადატვირთვის“ გეგმის გლობალური მასშტაბით ცხოვრებაში განხორციელება, რაც პოლ სტეიგანის სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა „ახალი სახით ფაშიზმის აღზევება“ [6].

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.fondsk.ru/news/2020/12/21/inkluzivnyj-kapitalizm-kak-ideologija-velikoj-perestrojki-52523.html>
2. <https://www.fondsk.ru/news/2020/12/29/o-kapitalizme-stejkholderov-52576.html>
3. <http://umich.edu/~thecore/doc/Friedman.pdf>
4. <https://www.fondsk.ru/news/2020/12/29/o-kapitalizme-stejkholderov-52576.html>
5. <https://www.pnp.ru/politics/geopoliticheskaya-osnova-budushhego-rossii.html>
6. <https://steigan.no/2020/12/covid-19-er-en-klassekrig/>
7. <https://www.yardeni.com/pub/peacockfedecbassets.pdf>
8. <https://www.fondsk.ru/news/2019/10/19/v-planah-rotshildov-esche-raz-navjazat-miru-zolotoj-standart-49265.html>
9. <https://dailyreckoning.com/the-great-reset-is-here/>
10. <https://www.fondsk.ru/news/2011/07/26/k-voprosu-o-rasprave-nad-stross-kanom-4095.html>
11. <https://www.fondsk.ru/news/2020/12/19/covid-19-nachalo-velikoj-perestrojki-52510.html>

*Malkhaz Chikobava*

### **KLAUS SCHWAB'S "GREAT RESET" - THE ROAD TO NEO-TOTALITARIANISM** **Summary**

The article analyzes the book of the irreplaceable chairman of the World Economic Forum Klaus Schwab "Covid-19: The Great Reset", his ideological identity with Milton Friedman, as well as the prospects for introducing the principles of the "Great Reset" into global life in the current viral economic crisis.

The article notes that half a century ago, in 1971, when the World Economic Forum was established, preparations began for the "radical reform of capitalism", "the great reshuffle" and "revolution from above". However, comparing HG Wells's Open Conspiracy to Professor Klaus Schwab's The Great Renaissance, it becomes clear that the world's elite's plans for economic and political transformation have been carried out for almost 90 years with minor changes. Klaus Schwab's "Inclusive Capitalism" refers to a socio-economic model in which existing capitalism is transforming, but at the same time remains capitalism.

The idea of such capitalism was most honestly formulated by the American economist Milton Friedman, who bluntly stated what others avoided saying: no business bears or should bear any other responsibility than to extract maximum profit for its owners (shareholders). And any talk about "social responsibility" is just flattery. In the words of Milton Friedman, "business to business is business," as clearly stated in his 1970 article "Corporate Social Responsibility Increases Your Profits."

The article discusses "inclusive" capitalism, a new utopia in which, according to Schwab, workers are not excluded from the list of recipients of a fair share of social wealth, but are included in this number. As Klaus Schwab writes: "The problem of desynchronization between decision-makers and the public is very acute, and their horizons are very different, and it will be difficult to deal with in a pandemic. The speed of shock and the depth of pain are incomparable with the political side of the issue."

Against the background of all of the above, the world economy and especially the existing world monetary system can be said without exaggeration that they are on the brink of disaster.

თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის შრომითი ურთიერთობების სფეროში

**ანოტაცია.** სტატიაში დახასიათებულია თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაციის პრობლემები საქართველოს შრომითი ურთიერთობების სფეროში. განხილულია ის ნაკლოვანებები, რომელიც ამჟამად ქვეყნის შრომითი ურთიერთობების რეგულირების სფეროში არის ჩამოყალიბებული და რიგ შემთხვევაში ხელშემშლელ ბარიერებს ქმნის თანაბარი შესაძლებლობების განვითარებისა და შრომითი გარანტიების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შრომისა და დასაქმების პირობების, ასევე მათი საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში თანაბარი შესაძლებლობების განვითარებისა და სოციალური გარანტიების ჩამოყალიბების, კონკურენტული გარემოს შექმნის პრობლემებზე სახელმწიფო და კერძო სექტორის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გაანალიზებულია უმაღლესი განათლების სახელმწიფო და კერძო სექტორების განვითარებაში ჩამოყალიბებული ტენდენციები საქართველოში. დასმულია საკითხი სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის ანაზღაურებადი შვებულების, ზეგანაკვეთური სამუშაოს შეფასების, ემერეტუსის სტატუსის მიმნიჭების, საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში არსებული სოციალური გარანტიების სრულყოფისა და აფილირების წესის სრულყოფის საკითხებთან მიმართებაში. შემოთავაზებულია ავტორისეული შეხედულებები სახელმწიფო და კერძო უმაღლესი განათლების სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის თანაბარი შესაძლებლობების განვითარებისა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად. მინიშნებულია იმ მოსალოდნელი გამოწვევების შესახებ, რაც სავარაუდოა განვითარდეს განათლების სისტემის სახელმწიფო დაფინანსების დაგეგმილი ზრდის პირობებში და შესაძლებლობას ქმნის განათლების სფეროში არათანაბარი კონკურენტული გარემოს ფორმირებისა და არათანაბარი შესაძლებლობების განვითარებისათვის. აღნიშნული პროცესები განსაზღვრულ გამოწვევებს აყალიბებს უმაღლესი განათლების სისტემისა და მისი დაფინანსების მექანიზმებთან მიმართებაშიც, რაც მოითხოვს უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელის დანერგვას, ამ მიმართებით არსებული მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი განათლება, უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელები, თანაბარი შესაძლებლობების განვითარება, უმაღლესი განათლების სისტემისადმი მისაწვდომობა, კონკურენტული გარემო, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, ანაზღაურებადი შვებულება, საპენსიო უზრუნველყოფა, ემერეტუსის სტატუსის მინიჭება, აფილირების წესი.

\*\*\*

საბაზრო ეკონომიკისა და არა მარტო ეკონომიკის, არამედ საზოგადოების განვითარების საფუძველს თანაბარი შესაძლებლობების განვითარება წარმოადგენს, რაც გარანტირებულია ყველა ქვეყნის კონსტიტუციით, საერთაშორისო შეთანხმებებითა და ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით. ამის გამოხატულებას წარმოადგენს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შრომისა და დასაქმების სფეროში. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ - „საქართველო მოახდენს ეტაპობრივ საკანონმდებლო დაახლოებას ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით შემუშავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმები და ანტიდისკრიმინაციული და სოციალური დაცვის მექანიზმები, ასევე უზრუნველყოფილი იქნება სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა“. [გზამკვლევი, 2014 ].

სოციალური ჩართულობა და თანაბარი მისაწვდომობა უფრო ფართო ცნებას წარმოადგენს, ვიდრე გენდერული თანასწორობა ან ინკლუზიურობაა. იგი, უპირველეს ყოვლისა, შრომით ურთიერთობებსა და სამეურნეო პროცესებში ჩართული პირების შრომის სამართლიანი პირობებისადმი თანაბარ მისაწვდომობასა და თანაბარი შესაძლებლობების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას, კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის აუცილებელი გარანტიების შექმნასა და დასაქმებისათვის თანაბარი ანტიდისკრიმინაციული პირობების ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამის გარანტიორად კი ყველა ქვეყანაში სახელმწიფო და მის მიერ შექმნილი კანონმდებლობა უნდა იქნეს მოაზრებული.

ამ მიმართებით პირველ რიგში გადამწყვეტ როლს ასრულებს „საქართველოს შრომის კოდექსი“, რომელიც ქვეყანაში ანტიდისკრიმინაციული და სამართლიანი შრომისა და ერთგვაროვანი კონკურენტული გარემოს შექმნის გარანტიებს უნდა იძლეოდეს და არ უნდა უშვებდეს გამონაკლისებს, სახელმწიფო ან კერძო სექტორის ამა თუ იმ სფეროში დასაქმებულთათვის. გამონაკლისს არ უნდა წარმოადგენდეს და სასათბურე პირობებს არ უნდა ქმნიდეს, სახელმწიფო ან თუნდაც მისი ცალკეული დამხმარე ფუნქციების შესასრულებლად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან კერძო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ერთი და იგივე საქმიანობას ეწევიან. თუმცა, ამჟამად საქართველოში არსებული მდგომარეობის მიხედვით, შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი პირობები და კონკურენტული გარემო არ არის ერთგვაროვანი, რაც საქმიანობის ამა თუ იმ სფეროდან კერძო სექტორის გამოდევნის პირობებს ქმნის და დასაქმებული ადამიანების არათანასწორ უფლებებში აისახება.

შრომის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 14, მუხლი 31, მუხლი 32), შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობად ითვლება ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობის დადგენა [შრომის კოდექსი, 2020], რაც შეზღუდული ფორმით ან საერთოდ არ მოქმედებს 6 წლის ვადით არჩეული და შტატში მომუშავე კერძო უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებული, აკადემიური პერსონალის მიმართ. ისე, რომ თუ ზოგადი განათლების სფეროში და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ანაზღაურებადი შვებულება, ზამთრისა და ზაფხულის არდადაგების პერიოდში მიღებულ და დამკვიდრებულ ნორმას წარმოადგენს, კერძო უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეული პერსონალი, ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლებას მოკლებულია. აღნიშნულ სექტორში კონკურსის წესით არჩეული აკადემიური პერსონალი, დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების პირობების თანახმად, მხოლოდ საათობრივ ანაზღაურებას არის დაქვემდებარებული და მოკლებულია ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლებებსა და გარანტიებს.

შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით. ამასთან, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით (პუნქტი 1), რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს სხვა სფეროში დასაქმებულთათვის (მაგ., ზოგადი განათლების, სპეციალური განათლებისა და უმაღლესი განათლების სფეროებში). ამასთან, ამავე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას [შრომის კოდექსი, 2020]. საშვებულებო ანაზღაურება საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან. [შრომის კოდექსი, 2020].

გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება გაზრდილი ოდენობით, რამეთუ საკანონმდებლო დონეზე დაუდგენელია, როგორი უნდა იყოს გაზრდილი ოდენობის ზედა ზღვრის დადგენის მექანიზმი, დასაქმების სფეროების მიხედვით.

სადავოდ შეიძლება ჩაითვალოს „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი“ [კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004]. ამავე კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით. საპენსიო ასაკის შეზღუდვის ნორმა განსხვავებულია სამეცნიერო პერსონალის შემთხვევაში. განათლების შესახებ საქართველოს კანონის 37<sup>2</sup> მუხლის მეორე ბ) პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევების მქონე პირს, სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეუძლია უვადოდ. აღნიშნული ნორმა აკადემიური სამეცნიერო კვლევების საუნივერსიტეტო ცენტრებში გადანაცვლების პირობებში ამკვიდრებს ასაკის მიხედვით დისკრიმინაციისა და არათანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრების შემთხვევებს.

შრომის კოდექსის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის ან სხვა ნიშნის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას“ [შრომის კოდექსი, 2020], ხოლო შრომის კოდექსის მეხუთე მუხლის გ) პუნქტის მიხედვით, დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის პირობებზე. [შრომის კოდექსი 2020]. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნორმა საქართველოში იგნორირებულია საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში. ამჟამად, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ, ბედნიერი გამონაკლისები დაშვებულია, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, ასევე ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლების და რიგი სხვა შეზღუდული კატეგორიებისათვის, ხოლო საპენსიო ასაკის ასაკით პენსიონერთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც წლების განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართული შრომით საქმიანობაში და საპენსიო ფონდებში შენატანებს აკეთებდნენ, მათ შორის სავალდებულო ინდივიდუალური შენატანების სახით, აბსოლუტურად არიან გათანაბრებული იმ პირებთან, რომელთაც არც ერთი დღით არ უმუშავიათ, შესაბამისად არც შენატანები არ გაუკეთებიათ და უნიფიცირებულ პენსიას იღებენ სოციალური დახმარების სახით. ისინი სოციალურად დისკრიმინირებული იმ თაობის წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან, რომელთაც სახელმწიფომ წაართვა ყველა სახის გარანტია შრომითი და საპენსიო უზრუნველყოფის ჩათვლით და ხელიდან გამოაცალა კერძო დანაზოგებიც, რომელიც მათ მიერ წლების განმავლობაში იყო დაგროვილი და ქვეყანაში შიდა დანაზოგების გენერირების წყაროს წარმოადგენდა, რაც უდაოდ, სადღეისოდაც, უდიდეს ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების იმედად დარჩენილი, გარე დახმარების მომლოდინე ქვეყნისათვის.

ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი უმაღლეს სასწავლებლების პერსონალის აფილირების წესთან მიმართებაში გასარკვევია, შეთავსებით სამუშაოზე მუშაობასთან დაკავშირებული პირობები, რომლებიც ფაქტიურად მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში (სადაც აკადემიური პერსონალი 12 თვის განმავლობაში იღებს ანაზღაურებას), იძლევა შედარებით სრულფასოვან გარანტიებს, ხოლო კერძო უმაღლესი სასწავლებლების შემთხვევაში, არათანაბარ პირობებში აყენებს დასაქმებული სამეცნიერო პედაგოგიური პერსონალის აბსოლუტურ უმრავლესობას. ჩვენი აზრით, დასაზუსტებელია, რამდენად არის შესაბამისობაში აფილირების მოქმედი წესი შრომის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ, შრომითი ხელშეკრულების დადების იმ შეზღუდვებთან, რაც შეთავსებით სამუშაოზე დასაქმებას გულისხმობს. შრომის კოდექსის მე-16 მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად, დასაქმებულის უფლება დასაქმდეს ერთზე მეტ სრულ ან არასრულ სამუშაო განაკვეთზე, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს, თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს, შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია [შრომის კოდექსი, 2020]. გასარკვევია, ხომ არ ზღუდავს იგი აფილირების წესით მომუშავე აკადემიურ პერსონალს,

რომლებიც კონკურენტებთან მუშაობენ. პრინციპში ხომ ამ პროფილის ყველა მომუშავე როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს სასწავლებლებში კონკურენტებს წარმოადგენენ, კონკურენციის ნორმალური გაგების პირობებში. მითუმეტეს, რომ ამ მხრივ არსებული შეზღუდვები იმდენად მყიფეა, რომ გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული, კრიტერიუმების არარსებობის პირობებში საფუძველს არ იძლევა, რეალურად განისაზღვროს, ვინ ჩაითვალოს აფილირებულად და ვინ არა, ან რატომ და რამდენ საათზე უნდა გაკეთდეს შეზღუდვა, ან რას აძლევს აფილირება დასაქმებულს. ასეთი ვითარება არათანაბარ პირობებში აყენებს სახელმწიფო და კერძო სექტორში მომუშავე პროფესორ მასწავლებლებს.

დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რაც მოქმედი კანონმდებლობით უნდა მოხდეს მხარეთა შეთანხმებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“ [საქართველოს კონსტიტუცია, 1995].

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით“. ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, „მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით“ [საქართველოს კონსტიტუცია, 1995].

ამ მიმართებით სადაოდ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს შრომის კოდექსის ცალკეული ისეთი მუხლები, რომლებიც არეგულირებს დამსაქმებლის ვალდებულებას, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის შესახებ. შრომის კოდექსის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, დამსაქმებელი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის დასაქმებაზე უარის თქმის თაობაზე [შრომის კოდექსი, 2020]. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, „თუ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 თვეს აღემატება, აუცილებელია შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება“ (მუხლი 12, პუნქტი 2). შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება, რაც წინააღმდეგობაში მოდის აკადემიურ თანამდებობაზე 6 წლით არჩეული პერსონალის მიმართ, რომლებიც უვადო წესით არ აირჩევიან, თუმცა მეცნიერების სფეროში დასაქმებულთა მიმართ ეს მუხლი კანონმდებლობით არის დაშვებული (მოქმედებს). დაუცველობის შეგრძნებას ბადებს საჯარო სექტორში ერთი თვით ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა, რომელიც დამკვიდრებულია ცალკეულ დასაქმებულთა მიმართ და გრძელდება წლების მანძილზე. დასადგენია ვადიანი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები [საქართველოს შრომის კოდექსი, 2020].

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ამასთან, შრომის კანონმდებლობით დადგენილი აღნიშნული ნორმისაგან განსხვავებულ პირობებს ამკვიდრებს ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ თანამდებობაზე, არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი“ [კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004]. ამასთან, ეს მოთხოვნა არ ეხება კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლეს სასწავლებლებს. შეზღუდულად მოქმედებს აკადემიური პერსონალის აკადემიური წოდებების მინიჭების განმსაზღვრელი 39-



მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების წესი და პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით, ამავე მუხლით უმაღლესი სასწავლებლის წესდებით შეიძლება განისაზღვროს, ემერიტუსის წოდების მქონე პირისთვის ანაზღაურების მიცემის შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი, თავისთავად, ნაკლებ შესაძლებლობას უტოვებს კერძო უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ პერსონალს, მიიღოს ემერიტუსის სტატუსი და კიდევ ერთ საფუძველს ქმნის, არათანაბარი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ჩვენი აზრით, პენსიაზე გასვლისა და ემერიტუსის სტატუსის მინიჭების საკითხები ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით უნდა იქნეს დარეგულირებული და ფინანსურად უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და არ უნდა ამკვიდრებდეს განსხვავებულ ნორმებს მიუხედავად საკუთრების ფორმისა, თუ სხვა განმასხვავებელი ნიშნებისა. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა უნდა უზრუნველყოფდეს თანაბარი შესაძლებლობების გარანტიების შექმნას აკადემიური პერსონალისათვის, მათი კერძო თუ სახელმწიფო სექტორებში დასაქმების მიუხედავად.

გასათვალისწინებელია ის მოსალოდნელი გამოწვევები, რაც სავარაუდოა განვითარდეს განათლების სისტემის სახელმწიფო დაფინანსების დაგეგმილი, მასშტაბური, ზრდის პირობებში და შესაძლებლობას ქმნის განათლების სფეროში არათანაბარი კონკურენციული გარემოს ფორმირებისა და არათანაბარი შესაძლებლობების განვითარებისათვის. აღნიშნული პროცესები განსაზღვრულ გამოწვევებს აყალიბებს უმაღლესი განათლების სისტემისა და მისი დაფინანსების მექანიზმებთან მიმართებაშიც, რაც მოითხოვს უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელის დანერგვას ამ მიმართებით არსებული მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო, N786 რს
2. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი. თებერვალი 2014 წ. გვ.15
3. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი. თბილისი, 29 სექტემბერი 2020, N7177-ის
4. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. თბ .2004 წლის 21 დეკემბერი. N688-რს
5. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 (პროექტი). გვ. 32-38
6. ე. ბოჭორიშვილი, ნ. პერანიძე განათლების სექტორი საქართველოში საქართველო. განათლება სექტორის მიმოხილვა. გალტ@თაგარტი 28 ივლისი, 2020
7. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013. გვ.8-9
8. ირინა გურგენაშვილი, საქართველოს განათლების სისტემა. სამაგიდო კვლევა. თბილისი 2018 -99 გვ.
9. ლელა ჩახაია. უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013
10. გ. მაჩაბელი, ნ ანდლულაძე, თ. ბრგვაძე, რ. აფხაზავა, უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე (კვლევის ანგარიში). განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013
11. შორენა მაღლაკელიძე, განათლების რეფორმა და მასწავლებელთა ხელფასები. სოციალური ეკონომიკა. N3. (9) 2010. გვ. 25-30

12. *Funding Systems and Their Effects on Higher Education Systems*. Krumins Juris, Kavale Lucija, Eglite Sandra, Leduskrasta Zane, Puce Juris, Sloka Biruta, Stonis Janis, Zaksa Kristine (all University of Latvia). *COUNTRY STUDY – LATVIA*. November 2006
13. Modern Trends in Higher Education Funding Tilea Doina Maria, Vasile Bleotu *Senior Lecturer, "Dimitrie Cantemir" Christian University, The Faculty of International Business and Economics, The Faculty of Finance Accounting Banks* 5th World Conference on Educational Sciences - WCES 2013
14. Chevaillier, Thierry; Eicher, J. Cl. Higher Education Funding: A Decade of Changes. In: Higher Education in Europe , 2002, Vol. 17, No. 1-2, 2002. - pp. 89-99.
15. Estermann T, Nokkala T. & Steinel M (2011) University Autonomy in Europe II the scorecard. The European University Association
16. European Commission (2008); Higher Education Governance in Europe Policies, structures, funding and academic staff

*Elene Chikovani*

## ABOUT SOME ISSUES OF REALIZATION OF THE EQUAL OPPORTUNITIES IN LABOR RELATIONS

### Summary

The article characterizes problems of the development of equal opportunities in the field of labor relations of Georgia. Reviews existed disadvantages established in the field of labor regulations in Georgia which, in some cases, creates drawback barriers for the development of the equal opportunities and provision of the labor assurances. Special attentions are paid to the equal opportunities and guarantees in labour and employment, pension provisions, creation of the competitive environment for the academic and scientific personnel of the public and private high educational institutins. Analyses the tendencies formed in the development of the public and private sectors of education in Georgia. The problems of the regulations with respect of the perfection of payed vacation, evaluation of pay for overtime work, formalization of the status of emeritus, emprovement of the existed social guarantees in pension provision and rules of affiliation are raized. The authors proposals towards the development of equal opportunities and emprovement the social guarantees for the academic and scientific personnel of the public and private high educational institutions of Georgia are offered.

The possible challenges, which might be developed in high education of Georgia in the condition of the planned dramatic growt of the public financing of the educational system of Georgia and creates conditions for the development inequal competitive environment and unequal opportunities in high education are underlined. This processes forms certain challenges with respect of the system of high education and mechanizms of the financing of the high educational institutions. The issues of the necessity to the crossing -over to the new model of the fincing of the high education is raised.

*ციცი ცაცკორიალაშვილი*

### მცირე საოჯახო მარნების ბიზნესის განვითარების პრობლემები პანდემიის პერიოდში

*ანოტაცია.* სტატიაში აღწერილია პანდემიის პერიოდში რა სირთულეები და პრობლემები შეხვდათ მცირე საოჯახო მარნების მფლობელებს, როგორ გაუმკლავდნენ და შეინარჩუნეს ბიზნესი, პანდემიის რთულ პირობებში. გაანალიზებულია ღვინის ტურიზმისა და ღვინის ტურისტების როლი მცირე მარნების ბიზნესის განვითარებაში. სტატიაში განხილულია იტალიელი პროფესორების კვლევა, პანდემიის როლი მეღვინეობის წარმატებულ ქვეყნებში და მისი დაძლევის გზები. შედგა გასაუბრება კახეთის მცირე საოჯახო მარნების მფლობელებთან, ვიზიტის მოკლე შეჯამება დასკვნის სახით, რეკომენდაციების გაცემა ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისთვის და დამწყები მეწარმეებისთვის.

*საკვანძო სიტყვები:* ღვინის საოჯახო მარნები, ღვინის ტურისტები, ღვინის ტურიზმი, ბიზნესის განვითარება, პანდემია.

## შესავალი

კორონავირუსის პანდემიამ უდიდესი ზიანი მიაყენა მთელი მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკასა და ხალხების კეთილდღეობას. მიწასთან გაასწორა ტურიზმი და ტურიზმთან პირდაპირ კავშირში მყოფი საზოგადოება, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორი. ბევრ ქვეყანაში შეწყდა საერთაშორისო ვაჭრობა, რამაც გამოიწვია განვითარებად ქვეყნებში ხალხთა გაუსაძლისი შიმშილი და სიდუხჭირე, ჯანმრთელობის გაუარესება და სიკვდილიანობის მაჩვენებლის საგანგაშოდ გაზრდა, მცირე და საშუალო ბიზნესის მთლიანად თუ ნაწილობრივ დახურვა და განადგურება.

პანდემიამ გარდამტეხი როლი შეასრულა მცირე მარნების ბიზნესის განვითარებაზეც, ვინაიდან თითქმის ყველა ქართული საოჯახო მარანი ღვინის ტურიზმზე და ტურისტებზე გახლდათ დამოკიდებული.

პანდემიასთან საბრძოლველად სახელმწიფომ ქვეყანაში მეტნაკლებად პირველი ეტაპისთვის (საერთოდ რომ არ დახურულიყო მცირე ბიზნესი) შედეგიანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა. სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა საკმარისი ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა ბიზნესის დახმარების მიმართულებით და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. ვინაიდან პრობლემა მეტად კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, საქართველოს თითქმის ყველა დიდმა კომპანიამაც კი დიდი ზარალი ნახა, აღარაფერს ვამბობ მცირე ბიზნესზე.

დადებითი ფაქტორიც აღმოჩნდა შიდა ტურიზმის გაძლიერება, ვინაიდან ჩაკეტილ ქვეყანაში, ადგილობრივ ბიზნესში მოხდა ბიუჯეტის გადანაწილება და დაბანდება ისევ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. არ მოხდა ფინანსების გადინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს ეკონომიკური ფაქტორი ძალიან დაეხმარათ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს, შედარებით უფრო ნაკლები ეკონომიკური დარტყმა მიეღოთ.

### მცირე საოჯახო მარნების მდგომარეობა პანდემიის ყამს

გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიამ მთელი ქვეყნების ეკონომიკას უდიდესი ზიანი მიაყენა, მეტად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან მსოფლიოს 52 ქვეყანაში 19 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო მაინც არის ექსპორტირებული, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2%-ით მეტია.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 205-მა კომპანიამ განახორციელა“ (ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში, 2021 წ. I კვარტალი <https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14181>).

სამწუხაროდ, ცალკე მცირე მარნების სტატისტიკის მოპოვება ძალიან რთული აღმოჩნდა კვლევის პერიოდში, ამასთანავე არ არის რელევანტური ერთმანეთის შედარება ღვინის დიდი კომპანიებისა და მცირე საოჯახო მარნების ექსპორტის მიმართულებით. მასშტაბები ბევრად განსხვავდება და ღვინის საერთაშორისო ბაზრები, მაგალითად, ძირითადი დიდი ღვინის კომპანიების ექსპორტის წილი ისევ რუსეთზე მოდის და თითქმის მეზობელ ქვეყნებზე (უკრაინა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი). რაც შეეხება პოპულარული მცირე მარნების (ჯაყელების მარანი, მილორაულის, ლექსოს მარანი, შალოშვილის, ტოგონიძის, ბაბანეურის, ნათენაძის მარნის, მიხეილის, ყარალაშვილების მარნის და სხვა) ექსპორტს, არ არის რუსეთის ბაზარზე დამოკიდებული და ცდილობს მაქსიმალურად თავი დაიმკვიდროს უმაღლესი, განსხვავებული ქვევრის ღვინით აშშ-ს, იაპონია-ჩინეთის, ევროპის ქვეყნების ბაზრებზე. ვესტუმრეთ ზემოთ ჩამოთვლილ მარნებს და მათ წარმომადგენლებთან შედგა ჩაღრმავებული ინტერვიუ.

აღსანიშნავია, რომ მცირე მარნების უმეტესობას გაეზარდა ექსპორტი (ჯაყელების მარანი, ლექსოს მარანი, მილორაულის მარანი, ნათენაძის მარანი და სხვა), ვინაიდან პანდემიამდე ტურისტების მიღება-გამასპინძლებაზე ჰქონდათ აქცენტი გაკეთებული, ხოლო შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ტურისტების რიცხვის მკვეთრად შემცირების გამო, შეცვალეს

საქმიანობის მიზანი და ღვინის 70 % ექსპორტზე გაიტანეს, 30% კი ადგილობრივ ბაზარზე დატოვეს.

ეს, ერთი მხრივ, სასიხარულო ამბავია და პირდაპირი მოგებაა მცირე საოჯახო მარნების მფლობელებისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, ტურისტების ნაკლებობა, ღვინის ტურიზმის დარგის გაუარესება, ადგილობრივებისთვის სამუშაო ადგილების შემცირება ქვეყნის ეკონომიკისთვის არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა.

პანდემიამ, განსაკუთრებით უდიდესი ეკონომიკური ზიანი მიაყენა ახლად შექმნილმცირე მარნებს, რომლებმაც პანდემიამდე, 2019 წლის პერიოდში, დაიწყეს საქმიანობა იმ იმედით, რომ ქვეყანაში ჩამოვიდოდა ბევრი ტურისტი და მოხდებოდა ტურისტების მიღების ხარჯზე მარნის მშენებლობისთვის აღებული სესხების დაფარვა.

თუ გავიხსენებთ 2019 წლის მომზადებულ სტატისტიკას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ, ქვეყანაში საერთაშორისო 9,4 მილიონი მოგზაურების ვიზიტი განხორციელდა, აქედან კი ტურისტული ვიზიტით მყოფი 5,1 მილიონი ადამიანი აღმოჩნდა, (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (2019 წლის სტატისტიკა <https://gnta.ge/ge/>), რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია და მცირე მარნებს ნაყოფიერი, ეკონომიკურად ძლიერი წელიც ჰქონდათ ღვინის ტურიზმის მიმართულებით.

საინტერესოა სხვა ქვეყნების გამოცდილება და მაგალითები პანდემიის პერიოდში, თუ როგორ დაძლიეს პრობლემები ღვინის ბიზნესში.

იტალიელმა მკვლევარებმა **Daniele Vergamini, Fabio Bartolini, Gianluca Brunori** თავიანთ ნაშრომში: „**Wine after the pandemic? All the doubts in a glass**“ ( პანდემიის შემდეგ ღვინო? ყველა ეჭვი ჭიქაში), სადაც აღწერილია COVID19 გლობალური კრიზისისგან მიღებული შედეგები ღვინის სექტორზე, ტურიზმის ლოქდაუნი და კრიზისისგანთავის დაღწევის გზების ძიება.

„პანდემიის კრიზისის სიჩქარე და მასშტაბები ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ ღვინის სექტორი გახდეს უფრო მდგრადი, აუცილებელია მიწოდების ჯაჭვის მოთამაშეებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია გაიზარდოს და ასევე თანამშრომლობა სახელმწიფო სექტორთან.

კრიზისის შემცირებისთანავე, საჭირო გახდება ნდობის მოპოვება ამ სფეროში ჩართული ყველა ობიექტისა თუ სუბიექტისთვის, ეს იქნება დისტრიბუტორები, ღვინის მარნები თუ ვენახებისა და ღვინის მაღაზიების წარმომადგენლები, უსაფრთხოება და სანდოობა პანდემიის დასაძლევად ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი გახდება.

საინტერესოა იტალიელი პროფესორების კვლევა „მოკლევადიანი შედეგები მოკლევადიან პერიოდში“ მეღვინეობის წარმატებული ქვეყნების მიხედვით, რომელიც ასე გამოიყურება:

**იტალია (ტოსკანა)** - ღვინის ტურიზმის კოლაფსის შედეგად, სექტორში მოხდა უზარმაზარი ვარდნა, რაც გამწვავდა წინა კრიტიკული ეფექტებით, როგორცაა დაგვიანებული გადახდა და ლიკვიდურობის გაზრდა. შედეგად, იზრდება ქვეყნის ვალი. საფრანგეთისგან განსხვავებით, პანდემიის დაწყებამდე იტალიამ მოახერხა შეერთებული შტატების ტარიფის გაზრდა თავის სასარგებლოდ. ამიტომ შემდგომმა ლოქდაუნმა გამოიწვია ზარალის დაბალანსება, წინა საექსპორტო ბალანსთან შედარებით.

**ესპანეთი (რიოხა)** - ესპანეთში, როგორც სხვა ქვეყნებში, HoReCa-ს შეჩერების შემდეგ, დიდი რაოდენობით შემცირდა ღვინის მოხმარება, რამაც ძირითადად გავლენა მოახდინა წარმოების ზედა საფეხურებზე. შემცირდა მაღალი კლასის ღვინოების მოხმარება და გაიზარდა დაბალი და საშუალო კლასის ღვინოებზე მოთხოვნა. მაგრამ ძალიან დაბალი პროცენტით, რაც არ ანაზღაურებს რესტორნების დახურვასთან დაკავშირებულ ზარალს.

სტატისტიკოსების მიერ შეფასებულია მოცულობის დაახლოებით ღირებულების 40/50% - იანი და 50/60% შემცირება. 2019 წელს ყურძნის საშუალო ფასი დაახლოებით 1 ევრო /კგ იყო, ხოლო წელს პროგნოზები კვ-ზე დაახლოებით 0,5 ევროს აჩვენებს. გარდა ამისა, რამდენიმე მსხვილი ღვინის კომპანია უფრო ნაკლები რაოდენობის ყურძნის შეძენას გარისკავს.

**პორტუგალია (ლისაბონი)** - პორტუგალიაში პანდემიამ ყველაზე დიდი გავლენა ღვინის სექტორზე ექსპორტის შემცირებით მოახდინა. მსხვილი კომპანიებისთვის 15-20% დანაკარგი და

მცირე მეღვინეობებისთვის 50%-მდე ზარალია. თუმცა, ექსპორტი თანდათანობით იწყებს ზრდას აზიის, აშშ-სა და კანადის ბაზრების გახსნით (სავარაუდოდ იგეგმება ექსპორტის 15%-ით გაზრდა);

Take-away მომსახურება და სავაჭრო სუპერმარკეტები ხელს უწყობენ გაყიდვების შენარჩუნებას, ხოლო ღვინის მოხმარება იზრდება სახლში, ადგილობრივ ბაზარზე“ (Daniele Vergamini, Fabio Bartolini, Gianluca Brunori, „Wine after the pandemic? All the doubts in a glass“, University of Pisa: Dep. of Agriculture, Food and Environment, Italy, 2020).

როგორც ზემოთ აღნიშნულმა კვლევებმა ცხადყო, მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ სანდოობა იმპორტიორებთან, კომპანიებმა, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა, აქტიურად აწარმოონ პიარ-კამპანია შიდა ბაზარზე.

### **ღვინის ტურისტებისა და ღვინის ტურიზმის როლი მცირე საოჯახო მარნების ბიზნესის განვითარებაში**

ღვინის ტურიზმი მოიცავს ტურიზმის პრაქტიკას, რომლის დანიშნულებაცაა ღვინის საშუალო თუ დიდი კომპანიების საოჯახო მარნებში სტუმრობას, ღვინის ფესტივალებისა და ღონისძიებებში მონაწილეობას, ვენახების მონახულება, ყურძნის დაკრეფაში მონაწილეობის მიღება, ადგილობრივი ღვინის დეგუსტაცია და შექმნა.

უფრო კონკრეტულად კი, ღვინის ტურიზმს მსოფლიო მკვლევარები თითქმის ერთნაირად განმარტავენ და აღიარებენ, რომ „ღვინის ტურიზმი განისაზღვრა, როგორც ვენახების, ღვინის დიდი კომპანიების, მცირე მარნების, ღვინის ფესტივალებისა და ღვინის შოუების მონახულების ადგილი, სადაც ყურძნისა და ღვინის დაგემოვნება, მარნების დიზაინი და ატმოსფერო ტურისტებისთვის არის მოტივაციის მიმნიჭებელი“ (Hall et al., 2000) (CAB International 2006. Global Wine Tourism: Research, Management and Marketing (eds J. Carlsen and S. Char- ters) definitions page 1).

ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი ფაქტორების ერთობლიობით, ღვინის ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისთვის პირდაპირ კავშირშია. უფრო მეტიც, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მეღვინეობის დარგი და ღვინის ტურიზმის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი ეს სამი გიგანტი ქვეყანა, რომლის ეკონომიკაც ვითარდება ამ დარგების პროპორციულად და უდიდეს მოგების სალდოს იღებს ყოველწლიურად.

საქართველოში კი ღვინის ტურიზმი სულ რაღაც ბოლო ათი წელია, რაც დამკვიდრდა და ნელი ტემპებით ვითარდება, ვინაიდან დაბალია მომსახურების ხარისხი, პრობლემაა ენობრივი ბარიერი და არასრული ცოდნა მეღვინეობის დარგისა, რომელიც უშუალოდ ღვინის გიდებს ეხება, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ვგულისხმობ მარნამდე მწვანე მისასვლელ გზას და სხვას, უარყოფითად მოქმედებს ღვინის ტურიზმის დარგის განვითარებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის პიართან, ეკონომიკასთან, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობასთან, სამუშაო ადგილების სიმრავლესთან.

ღვინის ბიზნესის განვითარებას მხოლოდ პანდემია არ აფერხებს, დაბალი ხარისხის მომსახურება და რაც ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, ეს ყველაფერი ხელს უშლის კონკრეტულ ღვინის მარნის განვითარებაში და სახელს უტეხავს არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მომსახურების სფეროში ყველამ ვიცით, რომ „სტუმარი ყოველთვის მართალია“, იმედგაცრუებული ტურისტი, რომელიც თავის ქვეყანაში დაბრუნდება, არა მხოლოდ ის იქნება ცუდად განწყობილი, არამედ თავის მთელ სანაცნობო წრეს მოუყვება კონკრეტული იმედგაცრუების შესახებ. საერთო ჯამში კი, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის პოპულარიზაციასა და პიართან.

## დასკვნა

კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკაში უდიდესი კოლაფსი გამოიწვია, რაც ყველას დაგვანახა, თუ რაოდენ უძლურები ვართ პანდემიის წინააღმდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს არაერთი ეპიდემია ახსოვს, ეს იქნება ესპანური გრიპი, ღორის გრიპი, შავი ჭირი, ტიფი თუ ქოლერა, ყველა ეპიდემიას გაუძლო მსოფლიომ და დღეს, როცა ბევრად ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულ დონეზე ვიმყოფებით, COVID19 პანდემიასაც დავძლევთ და ისევ ფეხზე დავდგებით, თუმცა ამისთვის გარკვეული ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო, როგორც მსოფლიო ქვეყნების გაერთიანება, ასევე ადგილობრივი სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივი თანამშრომლობა.

ეკონომიკის აღორძინებისთვის საჭიროა ტურიზმის ამოქმედების, დეველოპერული სექტორის, სოფლის მეურნეობის, ბიზნესისა და სოციალური დახმარების უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმა, ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს ადამიანთა ჯანმრთელობაზე და ჯანდაცვის განვითარებაზე ზრუნვა.

რაც შეეხება ადგილობრივ მცირე ბიზნესს, ღვინის მცირე საოჯახო მარნებსა და ამსფეროში დასაქმებულ საზოგადოებას, თითქმის ყველა მცირე მარანი ღვინის ტურიზმსა და ტურისტების მიღება-გამასპინძლებას უზრუნველყოფდა.

ქვეყნის ჩაკეტივითა და ტურისტების რიცხვის მკვეთრად შეზღუდვით, მცირე მარნებმა მძიმე ეკონომიკური დარტყმა მიიღეს. ნახევარზე მეტმა ფუნქციონირება შეწყვიტა, განსაკუთრებით 2018-2019 წელს ახლად დაარსებულმა მარნებმა. მხოლოდ პოპულარული განსაკუთრებით წლების მიერ ბაზარზე მოპოვებული ნდობის შედეგად დამკვიდრებულმა მცირე მარნებმა მოახერხეს გადარჩენა და უფრო მეტიც, მთლიანად შეცვალეს სტრატეგია და გადავიდნენ 70% ღვინის ექსპორტზე, როცა პანდემიამდე დიდი მოთხოვნა იყო ტურისტების მიერ და ღვინის წარმოების 70% ადგილობრივ ბაზარზე რჩებოდა.

განვითარდა უფრო მეტად შიდა ტურიზმი და ღვინის ტურიზმს ახლა უკვე ქართველი, ადგილობრივი მომხმარებელი გამოუჩნდა. ვგულისხმობ, შატოს ტიპის სასტუმროებში განთავსებას, ღვინის ტურებში ქართველების უფრო აქტიურ ჩართულობას, ტურისტულმა კომპანიებმა შეცვალეს სტრატეგია და შიდა ტურების მოწყობას აქტიურად აორგანიზებენ. გაიზარდა ღვინის ტურზე, სათავგადასავლო და ეკო ტურებზე მოთხოვნა.

თუ გადავავლებთ თვალს მსოფლიოში ღვინის წარმოების გიგანტ ქვეყნებს (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია), მათთანაც შემცირდა ექსპორტი, თუმცა გაიზარდა ადგილობრივი შიდა ბაზარზე ღვინის მოხმარება. ადგილობრივებმა, ქართველების მსგავსად, დაიწყეს ქვეყნის ფარგლებს შიგნით მოგზაურობა, ქალაქიდან ქალაქში გადაადგილება, შიდა ტურების დაგეგმვა და ორგანიზება.

რაც შეეხება რეკომენდაციას, თუ გავითვალისწინებთ როგორც საერთაშორისო ღვინის ქვეყნების სექტორის, ისევე საქართველოს გამოცდილებას პანდემიასთან ბრძოლის მიმართულებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის საზღვრების გახსნა და სავაჭრო ურთიერთობების კვლავ განახლება, რადგან შიდა ტურიზმი და ქართული ღვინის ბიზნესი დიდი ხნით ვერ გაუძლებს ადგილობრივ ბაზარზე პოზიციონირებას და დასჭირდება კვლავ მსოფლიოს დახმარება, ექსპორტი და ტურისტების ნაკადის გაზრდა. ამისთვის კი საჭიროა ერთობლივი როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1 ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში, 2021 წ. I კვარტალი  
<https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14181>

2. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2019 წლის სტატისტიკა <https://gnta.ge/ge/%e>

3. Daniele Vergamini, Fabio Bartolini, Gianluca Brunori, „Wine after the pandemic? All the doubts in a glass“, University of Pisa: Dep. of Agriculture, Food and Environment, Italy, 2020

*Tsitsi Tsitskrialashvili*

**THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF SMALL FAMILY WINERIES BUSINESS DURING THE PANDEMIC**

**Summary**

The article describes the difficulties and problems faced by the owners of small family wineries during the pandemic, how they handled and maintained their business in the difficult conditions of the pandemic.

The role of wine tourism and wine tourists in the development of small wineries business is analyzed.

The article discusses the research of Italian professors on the role of the pandemic in successful wine-growing countries and ways to overcome it. A visit was made to the owners of small family wineries in Kakheti, a brief summary of the visit as a conclusion, giving recommendations to people interested in this field and start-up entrepreneurs.

*მარინე ცუცქერიძე*

**მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

*ანოტაცია. ნაშრომში განხილულია მსხვილ საწარმოთა ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების პროცესი, გაანალიზებულია მისი სტრატეგიული მიმართულებები, ინოვაციური ეფექტიანობისა და ბიზნესის განვითარების პერიოდებში მისი პერსპექტივა საქართველოში. გადმოცემულია მსხვილი ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები, ბიზნესის ინოვაციური პერსპექტივა, მოცემულია ევროინტეგრაციული და ინოვაციური განვითარების პერიოდებთან ურთიერთმიმართებაში, რაც თანამედროვე საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობათა გაფართოების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს და მსხვილი კომპანიების ინოვაციურობის ამაღლებით შეიძლება იქნეს მიღწეული.*

*საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, პერსპექტივა, კომპანია, ბიზნესი, ინტეგრაცია.*

**შესავალი**

თანამედროვე ბიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების გააქტიურება წარმოებისა და მომსახურების სისტემებში მმართველობითი სიახლეების, ორგანიზაციული პრინციპების გამოყენება. იგი საქართველოში არსებული მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარებისთვის საჭირო საშუალებაა. ინოვაციური განვითარება მრავალი ფაქტორის გავლენით შეიძლება იქნეს მიღწეული. ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების პროცესი და მასთან დაკავშირებული შედეგი დამოკიდებულია წარმოების, საბაზრო და მმართველობითი სისტემის ეფექტიანობაზე, რაც მსხვილ საწარმოთა, მსხვილი ბიზნესის ინოვაციურ პერსპექტივას განაპირობებს და საქართველოს ეკონომიკურ ზრდას უდევს საფუძველად. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მსხვილი ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ევრომეწარმეობის გაფართოებით, ბიზნესის სისტემის, მეცნიერებისა და ტექნიკის ინოვაციების შექმნისათვის არსებული ორგანიზაციების ინტეგრაციის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს. ძირითადია, აგრეთვე, იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც საქართველოს ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას განაპირობებენ, ასევე მის პერსპექტივასაც განსაზღვრავენ, რაც საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების გაფართოების და გლობალიზაციის გადამწყვეტ საშუალებად გვევლინება.

## შინაარსი

ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე პროცესში, ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საქართველოში არსებული ბიზნესის სისტემის შემოსავლების ზრდა, ამისათვის საჭირო ინოვაციებისა ტექნოლოგიების გამოყენების გზების და სიახლეების შემუშავება, რაც მისი საწარმოო და ინოვაციური პერსპექტივის ძირითადი საფუძველი და აუცილებელი წინაპირობაა. ინოვაციური განვითარების აღნიშნული პროცესი და მისი პერსპექტივა დაკავშირებულია საქართველოში არსებული ბიზნესის სისტემის საქმიანობის მმართველობითი სიახლეების საშუალებით წარმართვასთან, მსხვილ წარმოებათა ინოვაციურობის ამაღლებასა და ამით ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარებისათვის საჭირო მატერიალურ და ფინანსურ საშუალებათა წარმოქმნასთან, რაც ძირითადად მსხვილი ბიზნესის საწარმოო და საბაზრო არეების გაფართოებით შეიძლება იქნეს მიღწეული. აღნიშნული საფუძველს უქმნის, აგრეთვე, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესის საქმიანობაში გამოყენებისათვის, დასაქმების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების და სხვა სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის დროს. ამიტომ, ინოვაციური განვითარების პროცესის ხანგრძლივობა და პერიოდული ხასიათი განაპირობებს მისი პერსპექტივების დადგენის აუცილებლობას. ამით იგი ბიზნესის სისტემის ფუნქციონირების დროს წარმოქმნილი სირთულეების დამლევს მიზანს ემსახურება.

ინოვაციური განვითარების პერსპექტივები საქართველოში შეიძლება განხილული იქნას მსხვილი ბიზნესის საქმიანობისა და ევროინტეგრაციულ პროცესებთან ურთიერთმიმართებაში. ასევე ძირითადია მსხვილ საწარმოთა საბაზრო ურთიერთკავშირების დამყარება და ტექნოლოგიური ალიანსებისა და ინფორმაციული ურთიერთკავშირების ბიზნესის სისტემაში წარმოქმნასთან ერთად მისი გათვალისწინება.

მსხვილი ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას აქტიურად უკავშირდება: ევროინტეგრაციის პროცესი და საბაზრო ურთიერთობებისგან მტკიცებას, გლობალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭირო საწარმოო და ფინანსური შედეგების ამაღლებას და შემოსავლების ზრდის პერსპექტივაში მისაღწევად მათ გამოყენებას, ტექნოლოგიური ალიანსების ჩამოყალიბებას და ამით ბიზნესის ობიექტების ამოქმედებას ამ მიზნით საწარმოო, მეცნიერული და ტექნიკური სიახლეების დანერგვის დროს ინტეგრაციას. აღნიშნული პროცესების განსახორციელებლად აუცილებელი პერსპექტივა ძირეულად უკავშირდება საქართველოში მსხვილი საწარმოების ინოვაციურ განვითარებას, რაც შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ელემენტების საშუალებით :

1) ბიზნესის ინოვაციური განვითარების სტრატეგია, რომელიც შემუშავებული უნდა იქნეს მსხვილ საწარმოთა და მომსახურების სისტემის განვითარების მიზნით;

2) ინოვაციური ტექნიკის წარმოების გაფართოება მსხვილ საწარმოო სისტემათა ტექნიკური განახლებისთვის;

3) ბიზნესის ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და სოციალური განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს;

4) განათლებისა და ტექნიკის ინოვაციების შექმნისათვის საჭირო ცოდნის სისტემა, რომელიც ბიზნესისათვის საჭირო საწარმოო და საბაზრო პროცესების განხორციელებას უახლესი ეკონომიკური და ტექნოლოგიური მეთოდების საფუძველზე განაპირობებს.

აღნიშნული ელემენტების საშუალებით წარმოქმნილი ინოვაციური სისტემის ფუნქციონირება ძირითადად მიმართულია ევროინტეგრაციის მიღწევისა და ოცდამეერთე საუკუნის ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების, მსხვილი ბიზნესის საშუალებით ეკონომიკის პრაქტიკაში რეალიზაციის განსახორციელებლად .

ძირითადად მსხვილი ბიზნესის ინოვაციური პერსპექტივა დაკავშირებულია დიდ ფირმებსა და კომპანიებში შრომითი პროცესის ახალი მეთოდების გამოყენებასთან, რაც კომერციულსა და მმართველობაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემის



შემოღებასაც ითვალისწინებს. ბიზნესის ინოვაციური განვითარების პერსპექტივა განიხილება ამ პროცესისთვის დამახასიათებელი ისეთი ფაქტორების საფუძველზე, რომლებიც განაპირობებს ეკონომიკური და სოციალური ზრდის მისაღწევ და რეგულირების რეჟიმის, მისი მმართველობის ორგანიზაციის ამსახველ მოვლენათა აუცილებლობას. ამიტომ მსხვილი ბიზნესის ინოვაციური პერსპექტივა აქტიურად უკავშირდება:

- 1) კორპორაციების ახალი საწარმოო და მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებას;
- 2) ინოვაციების მოზიდვისა და ახალი პროდუქციის წარმოების გაფართოებისთვის საჭირო კაპიტალის გამოყენებას მაკროეკონომიკური ზრდის მიზნებისთვის;
- 3) წარმოების ზრდისათვის აუცილებელი დანახარჯების შემცირებით საბაზრო სტაბილურობის მიღწევას;
- 4) შიგა საბაზრო ურთიერთობების გაფართოებას და მნიშვნელოვან ძვრებს საწარმოო მეთოდებისა და ტექნოლოგიის ათვისებაში;
- 5) ინფორმაციული და საწარმოო ტექნოლოგიების ათვისებას, ამით კონკურენტულ გარემოს წარმოქმნას, სიახლეების შეტანას, ფირმების ადაპტაციას ევროსაბაზრო ურთიერთობის განვითარებაზე. ამით ახალ საბაზრო პოზიციის წარმოქმნას ინოვაციურთან ურთიერთმიმართებაში არსებული ბიზნესის პერსპექტივა ახალი ბიზნეს მოდელების და ორგანიზაციული ფორმების გამოყენებას მოითხოვს, რაც უკავშირდება ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკის სიახლეების ათვისებას პერსპექტივის ეკონომიკაში.

პერსპექტივა მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარებისთვის დაკავშირებულია იმ პროგრესულ მიმართულებათა განხორციელების პროცესთან, რომელიც ცოდნის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების სფეროებს მოიცავს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შექმნის მიზნისათვის, ასევე კონკურენტუნარიანი საბაზრო პროცესების შესაბამისად ბიზნესის ინოვაციური სტრატეგიის განხორციელებისათვის. ბიზნეს ინოვაციური პერსპექტივისათვის ძირითადს წარმოადგენს საბაზრო სისტემებში ურთიერთ კონკურენციაში მყოფი კომპანიების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და მათი განხორციელების გზების დასადგენად საჭირო მიმართულებების შემუშავებას. მათ შორის მთავარია:

- 1) საბაზრო სისტემისათვის განსაზღვრულ სეგმენტზე ინოვაციური სიახლეების შეტანა;
- 2) კონკურენტუნარიანი კომპანიების მიერ მაღალი საბაზრო ეფექტიანობის მიღწევა მოგების გადიდების შედეგად ან მათი დიფერენცირება ინოვაციური სიახლეების საფუძველზე;
- 3) ურთიერთგანსხვავებული საბაზრო სტრატეგიების გამოყენების გზით კონკურირებადი კომპანიებისთვის კონკურენციის არეებისა და სივრცობრივი საზღვრების მიკუთვნება;
- 4) ცოდნისა და განათლების ამოსავალი სისტემის შემუშავება, ამით საბაზრო გარემოს წარმოქმნა აღნიშნულთან დაკავშირებულია, აგრეთვე, კონკურენტული სტრატეგიის გამოყენება, რომლის მიზანია ფირმათა ინოვაციური განვითარება და პროდუქციის ხარისხის ამაღლება და გაუმჯობესება, რაც მოითხოვს მმართველობითი ხარისხის მეთოდის გამოყენებასაც. იგი დაკავშირებულია მსხვილი ფირმების დანახარჯების შემცირების პერსპექტივასთან და მოგების გადიდების შესაძლებლობასთან ,ამ პროცესების მართვის ორგანიზაციული სისტემის სრულყოფასთან.

პერიოდი, რომელიც ბიზნესის ინოვაციური განვითარების პერსპექტივასაც განაპირობებს, მსხვილი ფირმების ფუნქციონირების პროცესის საფუძველს წარმოადგენს. იგი დროის ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და მსხვილ საწარმოთა და მომსახურების საბაზრო სისტემის განვითარებისთვის საჭირო პერიოდებისგანაა შედგენილი, რომელიც ბიზნესის სისტემის ტექნიკური და ტექნოლოგიური გარდაქმნის განხორციელებისთვისაა აუცილებელი და შესაძლებელია მეცნიერული და ტექნოლოგიური პროცესების ცოდნის ზრდის საფუძველზე, მისი გადაცემა კი ინფორმაციული ტექნოლოგიების მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს, ბიზნესის ინოვაციურ პერსპექტივასთან დაკავშირებულია მისი მმართველობითი სისტემის გარდაქმნა ახალ საბაზრო მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ინოვაციური პროდუქციის წარმოების

ათვისების პროცესის და ტექნოლოგიური სიახლეების ცოდნის გავრცელებასთან ურთიერთმიმართების გათვალისწინებისას ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება ბიზნესის სისტემისათვის საბაზრო ლიდერობის მისაღწევი ძირითადი საშუალებათაგანია. მსხვილი ფირმების სტრატეგია წარმოადგენს მათი კონკურენტუნარიანობის და საბაზრო ურთიერთკავშირების მისაღწევ საშუალებას, ამასთან დაკავშირებით ძირითადია:

1) ურთიერთდაკავშირებულ ფირმათა ორგანიზება რესურსების გამოყენებისა და მათთვის აუცილებელი საბაზრო შედეგების მიღების პროცესში;

2) სტრატეგიული ლიდერი ფირმის მიერ ბიზნესის განვითარებაში უწყვეტობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც მისი ინოვაციური პერსპექტივის წარმოქმნისთვისაა აუცილებელი.

აღნიშნულის თანახმად, ბიზნესის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობანი: რესურსების ორგანიზებულობა, საწარმოო კაპიტალის სიდიდე, ფინანსური სახსრების გამოყენების პროცესში განაპირობებს თანამედროვე მსხვილი ბიზნესის წარმატებას და ინოვაციური განვითარების პერსპექტივას საქართველოში.

## დასკვნა

ბიზნესის ინოვაციური განვითარების პერსპექტივის საფუძველს წარმოადგენს მისი ტექნოლოგიური, ტექნიკური, მეცნიერული და პრაქტიკული ცოდნა, სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად ეკონომიკური ზრდის და სოციალური პროცესების განხორციელებისათვის აუცილებელი საწარმოო და საბაზრო გარემოს წარმოქმნა.

ინოვაციური პერსპექტივის დადგენა საშუალებას იძლევა განსაზღვრული იქნას საქართველოში საწარმოო და მომსახურების სისტემებისათვის ტექნიკური და ტექნოლოგიური, ასევე მმართველობითი სიახლეების გამოყენებით, ევროინტეგრაციის პროცესებსა და გლობალიზაციაში მონაწილეობის შესაძლებლობანი.

მსხვილი ბიზნესის ინოვაციური პერსპექტივა განიხილება, როგორც დიდი ფირმების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი შემადგენელი, რომელზეც დამოკიდებულია, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, საწარმოო და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობანი.

თანამედროვე ბიზნესის სისტემაში ფუნქციონირებად ფირმებსა და კომპანიებში ინოვაციური სატრანსპორტო და საბაზრო საშუალებათა გამოყენება წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური განვითარებისთვის აუცილებელ საფუძველს, საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების გარდაქმნების ვითარებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მწვანე ეკონომიკის არსი და გამოწვევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2019

2. ბერულავა გ., ცუცქირიძე მ., გოგოხია თ., თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI , თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი , 2018 .

3 . ცუცქირიძე მ., ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესში ინვესტიციების გამოყენება საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020

THE PERSPECTIVES OF INNOVATIONS DEVELOPMENT OF  
TOTAL BUSINESS IN GEORGIA

Summary

The paper discusses the process of business innovative development and its operating system the functioning processes which mainly depends on the competitiveness and market demand which is reflected on production, the purpose of their assessment is to determine the influence of production factors on business in come this is analyzed key aspects of new methods of disseminating innovation in production and organization technology transfer and its perspective necessary in business innovation development process in Georgia, deals with issues of the use of basic high technologies in business, which is the specificity of the innovative technologies economy.

ზურაბ წერეთელი

ინოვაციური ბიზნესის განვითარების  
პრობლემები და პესპექტივები საქართველოში

*ანოტაცია.* სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ინოვაციის როლი ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში და მისი პრობლემების გადაწყვეტაში.

წარმოდგენილია ინოვაციის, ტოტალური ინოვაციის, ინოვაციური ბიზნესის ცნებები, მათი ურთიერთკავშირი, ინოვაციური ბიზნესის ძირითადი პრობლემები და პესპექტივები, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ასევე საქართველოში,

აგრეთვე წარმოდგენილია რეიტინგები ინოვაციური პოტენციალის და ინოვაციების შემუშავებაში საქართველოს მიღწევების მიხედვით.

ნაშრომში ასახულია პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძიების მცდელობაც.

*საკვანძო სიტყვები:* ინოვაცია, ტოტალური ინოვაცია, ინოვაციური ბიზნესი, ინოვაციური ბიზნესის პრობლემები.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების გამოცდილება, ნებისმიერ სახელმწიფოში, მაღალგანვითარებული და ეფექტიანი ბიზნესის განვითარების აუცილებლობაზე მიგვითითებს. სწორედ ის წარმოადგენს იმ ბერკეტს, რომელსაც ეფუძნება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური აღმავლობა. სწორედ მასზეა დამოკიდებული ამა თუ იმ სახელმწიფოს წარმატებული განვითარების ბედი.

ცვლილებების განუწყვეტლად ზრდადი ტემპი გახდა ეკონომიკის ზრდის ძირითადი ფაქტორი. იმისათვის, რომ ეკონომიკური სუბიექტები დარჩნენ კონკურენტუნარიანი, უნდა შეინარჩუნონ საკუთარი ინოვაციური აქტიურობის მაღალი ტემპი. ყველა სახის ინოვაცია წარმოადგენს ერთდროულად ეკონომიკური სუბიექტების როგორც სიცოცხლისუნარიანობის, ასევე კონკურენტუნარიანობის ფაქტორს. ახალი იდეების, უახლესი პროდუქციისა და ტექნიკის პრაქტიკული გამოყენება ხელს უწყობს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ განვითარებას. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სიახლეთა დანერგვის პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკის მრავალ სფეროში. განვითარებული ქვეყნებიდან ჩამორჩენის დამლევის მიზნით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, აუცილებელია მაღალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებატევადი დარგების განვითარება.

დღეისათვის მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პრობლემად რჩება ბიზნესის, მათ შორის ინოვაციური ბიზნესის სტაბილურობის შენარჩუნება ანუ მუდმივი განვითარების მიღწევა.

ამიტომაც არის, რომ ზოგიერთი ბიზნესი ვერ უძლებს კონკურენციას და იცვლის სახეს ან კიდევ უქმდება (ქრება).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო და უფრო რთულდება ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება საწარმოებისათვის, რადგან გლობალიზაციის მზარდმა გავლენამ სრულიად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის სურათი და შესაბამისად საზოგადოებისათვის აღარ წარმოადგენს ღირებულს ის საქონელი და მომსახურება, რომელიც თუნდაც რამდენიმე წლის წინ წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, თუ ფირმებს სურთ ბაზარზე თავისი სახელის დამკვიდრება, ამ ცვლილებებს მათ ფეხი უნდა აუწყონ, შესაბამისად დღეს ინოვაციური განვითარება საწარმოების ძირითადი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა, რადგანაც ის უზრუნველყოფს ბაზარზე სრულიად ახალი და გაუმჯობესებული პროდუქტების და მომსახურების შექმნას, ზრდის ფირმის ეფექტურობას და რაც ყველაზე მთავარია, ზრდის მის რენტაბელობას.

აუცილებელი ხდება ინოვაციური ბიზნესის უპირატესობების, თავისებურებების და მისი განვითარებისა და სტაბილურობის შენარჩუნების გზების ძიების წინა პლანზე წამოწევა.

\* \* \*

საზოგადოების პროგრესი განუყრელადაა დაკავშირებული ინოვაციებთან. ინოვაციებს ადგილი აქვს ნებისმიერი წყობილების დროს, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ინოვაციები ღებულობენ უწყვეტ ხასიათს და ხდებიან განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს პროცესები მსოფლიოში დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან და განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. ამიტომაც, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკას ინოვაციურ ეკონომიკას უწოდებენ. ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს [1].

ეკონომიკურ ლიტერატურაში ინოვაციის ტერმინი სხვადასხვაგვარად განიმარტება, მიუხედავად მისი მრავალი ინტერპრეტირებისა, საბოლოო შინაარსი მაინც ერთნაირია. ინოვაცია არის ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში სიახლის დანერგვის პროცესი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება პროგრესული ცვლილებები. ტექნოლოგიური პროგრესი სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხორციელდება, რომელსაც საბოლოოდ მივყავართ საზოგადოდ მწარმოებლურობის ამაღლებასთან, ვიწრო გაგებით ფირმის, ფართო გაგებით კი – მთლიანად ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობების ზრდასთან და ა.შ.

ინოვაციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის კონკურენციაში გამარჯვების საშუალება. მაგრამ მან თანამედროვე ეტაპზე გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. იგი არის გლობალური პრობლემების (ეკოლოგიური, სიღარიბის, სასურსათო და სხვა) გადაჭრის უმთავრესი საშუალება.

კომპანიის ყველა ხელმძღვანელს სურს გაზარდოს ინოვაცია. ამისათვის საჭიროა მრავალი კომპონენტი, რომელიც ხშირად უკვე კომპანიაშია, მაგრამ სიახლეების შემოღება ვერ ხერხდება. ასეთი პრობლემების მოგვარებისთვის არსებობს ე.წ. ტოტალური ინოვაცია.

ტოტალური ინოვაცია მოითხოვს მენეჯერებისა და თანამშრომლების უნარს, რომ მუდმივად ჩაერთონ მთელი ინოვაციების პროცესში. უფრო მეტიც, წარმატება არ არის დამოკიდებული ინდივიდუალური ნიჭიერი დეველოპერების ან სამუშაო ჯგუფების მიღწევებზე. კომპანიებში, რომლებიც სრულად ინოვაციების პრინციპს იცავენ, ჩნდება სპეციალური ტიპის კორპორატიული კულტურა, რომელიც ინოვაციას ასტიმულირებს: კარგად არის ჩამოყალიბებული ახალი იდეებისა და წინადადებების შეფასების პროცესი, შრომა დაბალანსებულია, სხვადასხვა ფუნქციური სფეროს წარმომადგენლები ეფექტიანად თანამშრომლობენ სამუშაო ჯგუფებში და იყენებენ ახალ ინსტრუმენტებსა და პროცესებს, რათა უზრუნველყონ ოპტიმალური შემოქმედებითი ენერჯისა და დისციპლინის ერთობლიობა. კომპანიები, რომელთა ლიდერები თვლიან, რომ საკმარისია დროდადრო

ინოვაციებით ჩაერთვნენ, ვერ შეძლებენ ტოტალური ინოვაციების პრაქტიკის განხორციელებას [3].

ინოვაციური ბიზნესი არის ბიზნესის ის სახეობა, სადაც ინოვაციური საქმიანობა წარმოადგენს საქმიანობის ძირითად ტიპს და თავისი არსებობის, სტაბილურობისა და განვითარების წყაროდ გულისხმობს ინოვაციური შესაძლებლობების გაზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინოვაციური ბიზნესის ძირითადი მახასიათებლებია:

1. მოქნილობა, როგორც ინოვაციური ბიზნესის ნიშანთვისება, მოქნილობა გულისხმობს იმას, რომ ბიზნესს შეუძლია დროულად აღიქვას გარემო და გარემოებით გათვალისწინებული მომგებიანი წყაროები და რესურსები. გარდა ამისა, ბიზნესმა უნდა შეძლოს გაუძლოს უარყოფით ფაქტორებს, შექმნას ისეთი პროდუქტები, რომელთა გარემოცვის აღქმაც შეუძლია. ასეთ პირობებში გარემო ყოველთვის იძლევა ახალ შესაძლებლობებს. ეს არის ინოვაციური მოქნილობა. ინოვაციური ბიზნესის მოქნილობა მოიცავს 3 დონეს: ა) მოქნილობა სტრატეგიის დონეზე; ბ) მოქნილობა ორგანიზაციის დონეზე; გ) მოქნილობა წარმოებისა და მენეჯმენტის დონეზე. სამივე დონე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და მათი გაერთიანება ერთ მოქნილობაშიც შეიძლება;

2. საზღვრების ელასტიურობა. ინოვაციური ბიზნესის საზღვრები უნდა იყოს მოქნილი. გრძელვადიანი სიახლეები ხელს შეუწყობს ბიზნესის უწყვეტ განვითარებას, თუ ეკონომიკური განვითარება არ შეჩერდება, ბიზნესიც არ განადგურდება. ეს ნიშნავს, რომ ყველა სახის შეზღუდვა გამოიწვევს იმ ფაქტს, რომ ინოვაციური ბიზნესი არ იქნება კონკურენტუნარიანი, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა. ბიზნესის ინოვაციურმა ბუნებამ შეიძლება დაარღვიოს ეს საზღვრები და შექმნას ახალი ბიზნესის საზღვრები;

3. პლურალიზმი. ინოვაციური ბიზნესის პლურალიზმი გულისხმობს პლურალიზმს ორგანიზაციული სტრუქტურის დონეზე. პლურალიზმის ეს სახეობა ვლინდება ინოვაციური მოთხოვნების გამო. ინოვაციურმა ბიზნესმა უნდა შექმნას ორგანიზაციული სტრუქტურის პლურალისტული ფორმა, რათა დააკმაყოფილოს ინოვაციის მოთხოვნები. ეს არის მთავარი დამახასიათებელი განსხვავება ინოვაციურ ბიზნესსა და ჩვეულებრივ ბიზნესს შორის;

4. ხანგრძლივობა. ინოვაციური ბიზნესის სიახლე (ინოვაცია), უნდა იყოს უწყვეტი, რადგან ინოვაციური ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ბაზრის კონკურენციის მუდმივად ცვალებადი და გაურკვეველი პირობების დაცვა. ასეთ პირობებში დაჩქარებულია სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარება, ჩნდება სხვადასხვა ტექნიკური გამოგონება, მაგრამ გამოგონილი პროდუქტები სულ მცირე დროში არ იძლევა შედეგს, აუცილებელია ინოვაციური პროცესის გაგრძელება;

5. დინამიზმი. ინოვაციური ბიზნესის ორგანიზაცია ურთიერთქმედებს მის გარშემო მყოფ გარემოსთან. ეს ურთიერთქმედება გამოიხატება ბიზნესის ინოვაციური შესაძლებლობებით. სხვადასხვა ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა გზები აჩვენებს ინოვაციისა და განვითარების ტენდენციების სხვადასხვა პროცესს. ამიტომ ინოვაცია ბიზნესში უნდა იყოს დინამიური, ცვალებადი და განვითარებადი;

6. ღირებულება. ინოვაცია არის ეკონომიკური განვითარების და სოციალური ღირებულების წყარო. ინოვაციური ბიზნესის ძირითადი მიზანი უშუალოდ ინოვაციური წყაროების ძიებაა, ღირებულების აღმოჩენაა. ინოვაციური ბიზნესის ყველა საქმიანობა სწორედ ამ მიზნის გარშემო ტრიალებს;

7. რადიკალური ცვლილების უნარი. ინოვაციური ბიზნესის ერთ-ერთი განმასხვავებელი მახასიათებელია მისი ფუნქციონირების მოდელის მკვეთრად შეცვლის შესაძლებლობა, მის განვითარებაში რადიკალური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა და განვითარების საწყისი გზის პოვნა;

8. სირთულე. ინოვაციური ბიზნესის სირთულე გამოიხატება ყველა ინოვაციური ფაქტორის ერთობლიობაში, ისე, რომ ყველა ფაქტორი ავსებს ერთმანეთს. ინოვაციის

სირთულე გულისხმობს, რომ ეს არ არის მხოლოდ ცალკეული ინოვაციური ტექნოლოგიები და არა მხოლოდ ცალკეული ინოვაციები საკონტროლო სისტემაში ან რეჟიმში, ეს არის ინოვაციების ოპტიმალური კომბინაცია, როგორც ტექნოლოგიაში, ისე რეჟიმში, ეს არის ინოვაცია, რომელსაც შეუძლია სისტემის ფუნქციების შესრულება. ამრიგად, ინოვაციის სირთულე გულისხმობს ინოვაციის ოპტიმალურ კომბინაციას ტექნოლოგიაში, მენეჯმენტ სისტემაში, რეჟიმში, ცოდნაში და ა.შ., რაც ბიზნესს ინტეგრირებული სისტემური ფუნქციონირების საშუალებას მისცემს, რათა დააკმაყოფილოს XXI საუკუნის შეცვლილი ეკონომიკის, ტექნოლოგიისა და საზოგადოების პირობები.

ზემოთ აღნიშნული ინოვაციური ბიზნესი გრძელვადიან, სტაბილურ და კონკურენტუნარიან უპირატესობას უზრუნველყოფს. [4]

საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარების პესპექტივები ძირითადად გამოჩნდა 2014 წელს, როდესაც შეიქმნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიზანი საქართველოში ისეთი ეკოსისტემის ფორმირებაა, რომელიც ხელს შეუწყობს ფირმებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის. ასევე სააგენტოს შექმნამ გააუმჯობესა ფირმებისათვის ფინანსური წყაროების მოძიების, უცხოური გამოცდილებებისა და ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობა.

2015 წლის 3 თებერვალს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, რომლის თავმჯდომარე არის საქართველოს პრემიერმინისტრი, ხოლო საქართველოს რეგიონებში - ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერისათვის შესაბამისი სტრუქტურები (ინვესტიციურ-ვენჩურული ფონდები, ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები და ა. შ.). სიტუაცია ამ მიმართებით ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ინოვაციური ბიზნესის განვითარების გზაზე ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორია ინოვაციური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა (ზოგადად, ქვეყნების მხოლოდ მცირე რაოდენობას შეგვიძლია ვუწოდოთ ინოვაციურები).

მსოფლიოში ყველაზე ინოვაციური ქვეყნების რეიტინგს ძირითადად ადგენს ორი ორგანიზაცია - გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (UNO) არსებული ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO) და საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ი, თუმცა მათი მიღებული შედეგები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია ინდექსის შესადგენად 80-ზე მეტ კრიტერიუმს იყენებს. ექსპერტთა კოლეგია დაკომპლექტებულია კორნელის უნივერსიტეტის (აშშ), საფრანგეთში განლაგებული ბიზნესის მართვის ევროპული ინსტიტუტის (INSEAD) და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებით.

რეიტინგის შემდგენლები აფასებენ ქვეყნების ინოვაციურ პოტენციალს და მათ მიღწევებს ინოვაციების შემუშავებაში. 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით საქართველო ამ რეიტინგში 34,39 ქულით იმყოფება 68-ე ადგილზე.

ყველაზე ინოვაციური ქვეყნების ტოპ ათეული 2017 წელს [8] :

I ადგილზეა შვეიცარია 67,69, 2-ზე შვედეთი 63,82, 3-ზე ნიდერლანდები 63,36, მე-4 აშშ 61,40, მე-5 დიდი ბრიტანეთი 60,89, მე-6 დანია 58,70, მე-7 სინგაპური 58,69, მე-8 ფინეთი 58,49, მე-9 გერმანია 58,39 და მე-10 ირლანდია 58,13.

ოდნავ განსხვავებულია საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგი. მისი თანამშრომლები რეიტინგების გაანგარიშებისას იყენებენ მხოლოდ შვიდ პარამეტრს. ესენია: სამეცნიეროსაკვლევო ბაზის განვითარების დონე, საქონლის წარმოება მაღალი დამატებითი ღირებულებით, დიპლომირებული სპეციალისტების წილი შრომით ბაზარზე, სამეცნიერო ცენტრების კონცენტრაცია და მათი პერსონალის რაოდენობა, hi-tech ტექნოლოგიების გამოყენების დონე და გამოგონებების დაპატენტების სფეროში ბიზნესის აქტიურობა [8].

საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ის რეიტინგის მიხედვით, საქართველო ვერ მოხვდა 50 ქვეყნის სიაში, ხოლო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ინდექსის

მიხედვით კი, როგორც აღინიშნა 68-ე ადგილზე იმყოფება. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველო ჩამორჩება ესტონეთს (25-ე ადგილი), ლატვიას (33-ე), რუსეთს (45-ე), უკრაინას (50-ე), მოლდავეთს (54-ე) და სასომხეთს (59-ე ადგილი).

2019 წელს პირველად ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგის ისტორიაში საქართველო ტოპ-50 ქვეყანას შორის მოხვდა. 2019 წლის მონაცემებით, ჩვენი ქვეყანა 48-ე ადგილს იკავებდა, წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 11 საფეხურით გაუმჯობესდა. საქართველოს ასეთი მნიშვნელოვანი წარმატების მთავარი ინდიკატორები იყო მაღალტექნოლოგიური იმპორტი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების (ICT) ექსპორტი და სამრეწველო ნიმუშების დიზაინი [8].

პანდემიის პერიოდში, 2020 წლის მაჩვენებლებით, რეიტინგი 15 ადგილით გაუარესდა და საქართველო 63-ე ადგილზე ჩამოქვეითდა. გაუარესების მიზეზად მკვლევარები ქვეყნისგან დამოუკიდებელ მიზეზებს ასახელებენ, მათ შორის ახალი მონაცემების ხელმისაწვდომობას და ცვლილებებს GII-ის მეთოდოლოგიაში, თუმცა, ასევე აღნიშნავენ კონკრეტულ კატეგორიებში გაუარესებას, როგორც ინვესტიციების შემცირების, ასევე ინოვაციური პროდუქტების წარმოების თვალსაზრისით, რისი გამომწვევი მიზეზიც პანდემიაა, რომელმაც არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად გლობალური მასშტაბით ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნად დაცემა გამოიწვია. ინოვაციის გლობალური ინდექსის მიხედვით ტოპ-3 ქვეყნის მაჩვენებლებიც გაუარესებულია 2019 წლის ამავე მაჩვენებლებთან შედარებით.

საქართველოს რეიტინგი ინდექსის 7 კატეგორიიდან 5-ში საგრძნობლად გაუარესდა, კერძოდ, საბაზრო განვითარების კატეგორიაში 15-ე ადგილიდან 39-ე ადგილზე ჩამოქვეითდა, ინფრასტრუქტურის კატეგორიაში 72-დან 81-ე ადგილზე, ბიზნესის განვითარების კატეგორიაში 70-დან 79-ე ადგილზე, შემოქმედებითობის კატეგორიაში 58-დან 68-ე ადგილზე, ხოლო ინფრასტრუქტურის კატეგორიაში 72-ე ადგილიდან 81-ეზე. მცირედით გაუარესებულია ცოდნა და ტექნოლოგიების მაჩვენებლები, ინსტიტუტების რეიტინგი კი შენარჩუნებულია შარშანდელ ნიშნულზე [8].

მიუხედავად წლებგანდელი გაუარესებისა, საქართველო კვლავ მნიშვნელოვნად უსწრებს რეიტინგში სამხრეთ მეზობლებს, თუმცა საგრძნობლად ჩამორჩება დანარჩენებს.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მონაცემებით რუსეთი, უკრაინა და საქართველო რეიტინგში 46-ე, 47-ე და 48-ე ადგილებს იკავებდა.

ინდექსმა კონკრეტული ინდიკატორების მეშვეობით გამოყო საქართველოს ძლიერი და სუსტი მხარეები ინოვაციური განვითარების მხრივ. ინსტიტუტების კატეგორიაში, ქვეყანას წამყვანი პოზიცია უკავია ბიზნესის დაწყების სიმარტივის თვალსაზრისით. ადამიანური კაპიტალის კატეგორიაში დადებითად შეფასდა სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა. საბაზრო გარემოს კატეგორიაში გამოირჩევა სესხის აღების სიმარტივე და დაბალი ტარიფები, ხოლო ბიზნესგარემოს თვალსაზრისით, დაფიქსირდა პირდაპირი საგარეო ინვესტიციების მაღალი მაჩვენებელი.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, მოსწავლეებს უფიქსირდებათ დაბალი ქულები PISA-ს შკალაზე, კითხვაში, მათემატიკაში და საბუნებისმეტყველო საგნებში, ასევე მწირია მაღალ რეიტინგიანი უნივერსიტეტების რაოდენობა, რაც დაბალი ხარისხის განათლების სისტემაზე მეტყველებს [6].

მოულოდნელი კატასტროფები, როგორც რეცესიები და პანდემიებია, მთლიანად ცვლის მთავრობების, ეკონომიკისა და ბიზნესის ტრაექტორიებს.

Covid-19-ის პანდემიასთან ერთად, უკვე აშკარად შესამჩნევია ცვლილებები მომხმარებლისა და კომპანიების ქცევაში. როგორც ტექნოლოგიური, ისე არატექნოლოგიური კომპანიები უკვე იწონებენ დისტანციურ მუშაობას. ზოგიერთი ეს ცვლილება პირდაპირი, მოკლევადიანი პასუხია კრიზისებზე და როგორც კი Covid-19-ის „განეიტრალება“ მოხერხდება, მდგომარეობა კვლავ ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება. თუმცა, ზოგიერთი ცვლილება დამანგრეველ შემოქმედებას მოახდენს ციფრულ სფეროზე გრძელვადიანი პერიოდის გათვლით და ათეული წლით ადრე მისცემს ბიზნესს მიმართულებას [7].

Covid 19-ის პერიოდში ყველაზე მეტად შეიძლება გამოვარჩიოთ სამი მიკროინოვაცია:

მიწოდების გლობალური ქსელები საკმაო ხანია ცდილობს, პროდუქციის ხარისხი შეინარჩუნოს და ამავე დროს, თითოეულ ეტაპზე ხარჯებიც შეამციროს. ამან კომპანიების უმრავლესობისთვის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვია გეოგრაფიისა და მიმწოდებლების თვალსაზრისით. პანდემიის დროს აუცილებელია, მასშტაბების შენარჩუნების პირობებში იყოს კოორდინირებული საქონლის მიწოდება და მათი გაკონტროლება სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში, სხვადასხვა მომწოდებლისთვის, რაც გლობალური პლატფორმების შექმნას მოითხოვს, რომლებიც ისეთ დახვეწილ ტექნოლოგიებს იყენებენ, როგორებიცაა 5G, რობოტოტექნიკა, ფიზიკური საგნების ინტერნეტი და ბლოკჩეინი, რათა მიწოდების ქსელების საშუალებით საიმედოდ დააკავშირონ ერთმანეთს რამდენიმე მყიდველი და რამდენიმე მომწოდებელი.

უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ Covid-19 დისტანციური მუშაობისა და ონლაინგანათლების კატალიზატორი გახდა. ბუნებრივია, რომ ცვლილებამ თანამშრომელთა განწყობაზე, შრომის ნაყოფიერებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც კი მოახდინა გავლენა მთელ მსოფლიოში. ბევრ დადებით მხარესთან ერთად ცალკე განსახილველი თემაა ასეთი ფორმით განათლების ხარისხი. თუმცა რეალობას გვერდს ვერ ავუვლით.

როგორც ზემოთ წარმოდგენილ რეიტინგებიდან ჩანს, საქართველოში ერთობ დაბალ დონეზეა ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი იმის მიუხედავად, რომ 2016 წლის 22 ივნისს მიღებული იქნა, საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“, რომლის მიზანია: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა, ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით[5].

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არასათანადო ყურადღება ექცევა ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობას სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას აფერხებს, ასევე, გამოგონებების სიმცირე, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2017 წლის რვა თვის განმავლობაში საქპატენტის მიერ დარეგისტრირებული და პატენტაცემულია მხოლოდ 151 გამოგონებაზე [13].

ვენჩურული ფონდების, ტექნოპარკების და ბიზნესინკუბატორების შექმნა ავტომატურად არ უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში ინოვაციური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. შესაბამისად, საქართველოს გადაყვანა განვითარების ინოვაციურ გზაზე მოითხოვს ამ მიმართულებით დიდ ძალისხმევას ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციებს ქვეყანაში ამჟამადაც აქვს ადგილი, მაგრამ მათი რეალიზაცია საწარმოთა უმრავლესობაში არ ხდება და ბიზნესის ცალკეული წარმომადგენლების კერძო ინიციატივებია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბევრი საწარმოსა და ორგანიზაციის პერსონალი არ არის მზად მასშტაბური ინოვაციების განხორციელებისათვის, უფრო მეტიც, იგი ნაკლებად არის დაინტერესებული თავისი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ინოვაციის დანერგვისას ორგანიზაციაში. ამის მიზეზია ისიც, რომ არასაკმარისადაა განვითარებული ინფრასტრუქტურა.

იმის მიუხედავად, რომ ინოვაციური სამეწარმეო სტრუქტურებისათვის დაწესებულია შეღავათები ვენჩურული ფონდების, ტექნოპარკების და ბიზნესინკუბატორების ფუნქციონირების ჩარჩოებში, მათი მოცულობა არ არის საკმარისი ინოვაციური საწარმოო კომპანიის სტაბილური განვითარებისათვის. ამ მიმართულებით აუცილებელია ინოვაციების შემუშავებაში უმაღლესი სასწავლებლების ჩართვა, ისინი დაეხმარებიან ეკონომიკურ სუბიექტებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს პრობლემების გადაწყვეტაში ინოვაციების შემუშავების გზით.



ამ საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ რთული ამოცანაა და მოითხოვს სისტემურ მუშაობას, რაშიც უნდა ჩაერთონ როგორც სახელმწიფო, ასევე აკადემიური და სამრეწველო სფეროები. აუცილებელია შეიქმნას აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებს შორის დამაკავშირებელი რგოლი.

საქართველოს საწარმოებში ინოვაციების მიზერული რაოდენობის მიზეზი ფულადი სახსრების პერიოდული უკმარისობაა, რის გამოც შემოსული თანხებით ფარავენ მიმდინარე ხარჯებს და განვითარებას ვერ აფინანსებენ.

ამ მიზეზების დასაძლევად სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული ტენდენციები, რაც ძლიერ გავლენას ახდენს ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე და მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ეს ტენდენციებია: 1. ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერა; 2. ეკონომიკაში ინოვაციებზე მოთხოვნის გაზრდა; 3. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება; 4. გლობალურ ინოვაციურ სისტემაში ეფექტიანი ინტეგრაცია.

ამ ტენდენციებზე დაყრდნობით და ინოვაციური ეკონომიკის წარმატებით ფორმირებისათვის შემუშავებულ და რეალიზებულ უნდა იქნეს მეცნიერული და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რაც საფუძვლად დაედება სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას, იგი უნდა მიმართული იყოს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაზე:

- ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნა, რომელსაც შეეძლება ინოვაციების მასობრივი ათვისება;

- მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმის შემუშავება და რეალიზაცია;

- მეცნიერების ფუნდამენტური და გამოყენებითი სექტორების შენარჩუნებისა და დაბალანსებული განვითარებისათვის ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება;

- პირობების შექმნა, რც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეცნიერულ-ტექნიკური, ინოვაციური მეწარმეობის დაჩქარებულ განვითარებას;

- მთლიანი ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა;

- მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიღწევების ბაზაზე ეკონომიკის მოდერნიზაციის ღონისძიებების რეალიზაცია.

ჩამოთვლილი პრობლემებისა და შემაფერხებელი ფაქტორების მიუხედავად, საქართველოში ბევრი რამ კეთდება ინოვაციების შემუშავებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და მათი დანერგვისათვის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, თბილისის მახლობლად, დაბა ოქროყანაში, გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი, მას ზედამხედველობას საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უწევს. ტექნოპარკის ტერიტორიაზე განლაგებულია მცირე ინკუბატორები, სასწავლო ცენტრები და ლაბორატორიები, საერთაშორისო მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგცენტრები და საგამოფენო ოთახები, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია. ტექნოპარკის დანიშნულებაა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, ახალი გამოგონებების ხელშეწყობა და ორიგინალურ იდეათა პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტს, რომლის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკმა 2016 წლის 18 მარტს 40 მლნ დოლარი გამოყო [7].

საგულისხმოა, რომ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“ 2018 წელს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში 17 სტარტაპი დააფინანსა. თანადაფინანსების გრანტების პროგრამამ ჯამში 1,5 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. 5 ათას ლარამდე მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში 31 კომპანია, ჯამში 97 ბენეფიციარი დაფინანსდა. დაფინანსებული სტარტაპებიდან 100% აკმაყოფილებს ინოვაციურობის და მასშტაბურობის კრიტერიუმებს. ინოვაციების სააგენტოს აქტიურობა განსაკუთრებით დაიწყო 2018 წლის მეორე ნახევარში, როდესაც არაერთი საინტერესო პროექტი

განხორციელდა, როგორც სატრენინგო მიმართულებით, ასევე დაფინანსების მიმართულებით. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს შეემატა თელავის ტექნოპარკი, ახმეტის და რუხის ინოვაციების ცენტრები. გარდა ამისა, გადაიღვა კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები საქართველოში ენჯელ ინვესტორთა გაძლიერების და წახალისების მიმართულებით.

სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე. პირველ ეტაპზე მთლიანად პროგრამისთვის გამოიყო 11 მილიონი ლარი, რაც შემდეგ 35 მილიონ ლარამდე გაიზარდა. მაღალტექნოლოგიური პროექტების შემთხვევაში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივ საწარმოში პარტნიორად რჩება არაუმეტეს 7 წლის ვადით და რაც, ყველაზე მნიშვნელოვანია, არ ერევა სტარტაპის მმართველობაში [7].

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნესის მართვის სისტემის გაუმჯობესებასა და განვითარებას, რომელიც მენეჯერული სიახლეების შემუშავებითა და დანერგვის გზით ხორციელდება.

მენეჯმენტისა და ბიზნესის პრაქტიკაში მუდმივი ცვლილებების საჭიროება განპირობებულია როგორც შიდა, ისე გარე პრობლემებით. როგორც წესი, შიდა პრობლემებია:

1. ფუნქციური დისბალანსი; 2. მოძველებული მართვის სტილი და მეთოდები; 3. ქცევის არქაული სტერეოტიპები; 4. დაგეგმვისა და აღრიცხვის ხარვეზები და ა.შ.

კომპანიის შესაძლებლობა, საკუთარი რესურსების სწრაფი და ფართომასშტაბიანი მანევრირება, ბაზარზე ეფექტური პარტნიორული ურთიერთობები, მისი მაღალი კონკურენტუნარიანობის მიღწევის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. ეფექტური მართვა წარმოადგენს დომინანტურ მენეჯმენტს [2].

სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები შეიქმნა და იქმნება სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაზაზე და მუნიციპალიტეტებში; ხორციელდება მინი გრანტების პროგრამა და სხვა. მაგრამ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასაყვანად, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მცირეა ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მათ შემუშავებაზე გამოყოფილი თანხები ბიუჯეტიდან.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს როგორც 2016, ასევე 2017 წელს გამოიყო 25 მლნ ლარი, ხოლო მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამაზე 2016 წელს გამოყოფილი იყო დაახლოებით 62,7 მლნ ლარი, ხოლო 2017 წელს 62,5 მლნ ლარი [15], რაც მიგვაჩნია, რომ არის ძალიან მცირე იმ მიზნის მისაღწევად, რასაც მოითხოვს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა.

## დასკვნა

ამრიგად, სწრაფად ცვალებად სამყაროში ეფექტიანი მართვის აუცილებელი პირობაა საწარმოს ვალდებულება უწყვეტი ორგანიზაციული განვითარებისთვის. თუ საწარმო მუდმივად ახორციელებს სწრაფ და რადიკალურ ინოვაციებს, თუ მასში ბიზნესის კეთების მეთოდებისა და საშუალებების გაუმჯობესება რეგულარულად ხორციელდება, მაშინ ასეთ საწარმოს აქვს ყველა შანსი, დინამიურად განვითარდეს, გააძლიეროს თავისი საბაზრო პოზიცია და ეფექტიანად იმუშაოს.

ინოვაცია, უპირველეს ყოვლისა, პასუხია საგარეო გარემოს გამოწვევებზე. მუდმივი ცვლილებები კანონმდებლობაში, ბიზნესის კეთების პირობებსა და წესებში, კონკურენციის გაზრდა, ბიზნესის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სფეროში ახალი ცოდნის გაჩენა, მუშაკთა და მენეჯერების საფუძვლიანი გადამზადება, მათი უწყვეტი ჩანაცვლება მოტივირებული, საქმისადმი ორიენტირებული და ნიჭიერი ახალი თაობებით, ახალი ბაზრების გაჩენა, ინჟინერიის, კომუნიკაციისა და კომუნიკაციების საშუალებების განვითარება, ტექნოლოგიის პროგრესი და ა.შ. მოითხოვს, რომ საწარმოებს ჰქონდეთ ძალიან ადაპტირებული შესაძლებლობები. საწარმოს მუდმივი ადაპტაცია გარე პირობების შეცვლაზე კი ხორციელდება

მენეჯერული ინოვაციის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს ინოვაციური კომპონენტის მნიშვნელობას ბიზნესის მართვის სისტემაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყნის წინაშე დგას ამოცანა - გადავიდეს ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპზე - ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მეცნიერების, მეწარმეობის, საზოგადოების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ნაყოფიერი ურთიერთქმედებით იქნება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა და მრავალი ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბება.

საქართველოსათვის ინოვაციური ბიზნესების განვითარება - ეს შესაძლებლობაა იმპორტიორი ქვეყნიდან გახდეს მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანა. საწარმოო სფეროში ინოვაციების დანერგვა ამაღლებს არა მხოლოდ წარმოებული პროდუქციის ხარისხს და შეამცირებს დანახარჯებს, არამედ შეიქმნება პრინციპულად ახალი სახის პროდუქცია და მომსახურება, გაჩნდება გასაღების ახალი ბაზრები, გაიზრდება ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობა, ამაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, რითაც საქართველო დაიკავებს ღირსეულ ადგილს ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებს შორის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რამაზ აბესაძე. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი 2014
2. ზურაბ წერეთელი. ბიზნესი, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ბერკეტი და მასში არსებული პრობლემები. სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემები. XXXII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (09.11.2019). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2019. – გვ. 45-46
3. Севастьянова А.Е. Формирование условий для инновационного развития регионов ресурсного типа//Москва: Журнал `Регион: экономика и социология~, 2016, № 1.– С. 209-232
4. ზურაბ წერეთელი. ბიზნესის როლი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინტერნეტ-კონფერენციის მასალათა კრებული (01.11.2018 – 28.12.2018). თბილისი, 2018. \_ გვ. 185-191
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანება №1-1/66. 5 მარტი 2014 წელი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2269957>
6. საქართველოს მთავრობა. კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მთავრობის დადგენილება №32
7. <http://fablab.gov.ge/geo/static/51/GITA>
8. [https://idfi.ge/ge/georgia\\_in\\_the\\_global\\_innovation\\_index](https://idfi.ge/ge/georgia_in_the_global_innovation_index)
9. <https://www.entrepreneur.com/article/347833>
10. <https://www.globalinnovationindex.org/>
11. <https://dev.by/lenta/main/world-innovation-leaders>
12. საქართველოს კანონი. ინოვაციების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 22.06.2016. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328>
13. საქპატენტი. ოფიციალური ბიულეტენები №1-№16. <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/?subject=OFFICIALBULLETINSOFINDUSTRIALPROPERTY>
14. მსოფლიო ბანკი. მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს ინვესტირებას საქართველოს მომავალში და ინოვაციაზე და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებას. პტესრელიზი. ვაშინგტონი 2018 წლის 18 მარტი. <http://pubdocs.worldbank.org/en/846991458317907954/PR-Board-Approval-GENIE-March-2016-Geo.pdf>
15. საქართველოს კანონი „საქართველოს 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“.

**PROBLEMS AND PERSPECTIVES OF INNOVATIVE BUSINESS DEVELOPMENT  
IN GEORGIA**

**Summary**

In the scientific paper is discussed about the role of innovation in development of innovative business and solving its problems.

The concepts of innovation, total innovation, innovative business, their relationship, there are presented main problems and perspectives of innovative business, both, worldwide and in Georgia.

It also presents the ratings according to Georgia's innovation potential and innovation achievements.

The paper also reflects an attempt to find ways to solve these problems.

**Keywords:** Innovation, Total Innovation, Innovative Business, Innovative Business Problems.

*ნინო ჭამიაშვილი*

**სადაზღვევო კომპანიების აქტუარული გათვლები პანდემიის პირობებში**

*ანოტაცია.* დაზღვევა რისკის მართვის ერთ-ერთი ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია რისკის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება (სადაზღვევო საზოგადოებაზე გადაცემა). აღნიშნულ ნაშრომში საუბარი იქნება პანდემიის დროს სადაზღვევო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე, ასევე, მოყვანილი იქნება მაგალითები, სადაც ნათლად ჩანს, რა ზარალი მოუტანა, COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეულმა სიტუაციამ, მსოფლიოს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებს. რისკის სწორად შეფასებისა და მისი შემცირებისათვის, აუცილებელია შესაბამისი ისტორიული მონაცემების ქონა. მიმდინარე პანდემიურ ვითარებაში, ისტორიული მონაცემების ნაკლებობამ ხელი შეუშალა მომავალი რისკის მოვლენების მოდელირებას და მის პროგნოზირებას. თუმცა აღნიშნულ ნაშრომში მოყვანილი იქნება ის პრინციპები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ შედარებით მარტივად გადალახონ ეს კრიზისი.

*საკვანძო სიტყვები:* დაზღვევა, სადაზღვევო რისკი, პანდემიური რისკი, COVID-19, რისკების მართვა.

**შესავალი**

დაზღვევა არის შეთანხმება, რომლის თანახმადაც წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო ორგანიზაცია აგინაზღაურებთ შესაბამის ზიანს.

სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი პრინციპი ასეთია: მზღვეველი ანუ სადაზღვევო ორგანიზაცია აზღვევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს (დაზღვეული) იმ რისკებისაგან, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ და მათ სადაზღვევო პოლისსა და ხელშეკრულებას გადასცემს, რომელშიც გაწერილია დაზღვევის პირობები. დაზღვევის მისაღებად დამზღვევი პირები სადაზღვევო ორგანიზაციას წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით უხდიან სადაზღვევო პრემიას ანუ ფულად შენატანს. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ანუ წინასწარ განსაზღვრული რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, სადაზღვევო ორგანიზაცია დაზღვეულ პირებს, ხელშეკრულების პირობებისა და სადაზღვევო ლიმიტის შესაბამისად, უნაზღაურებს ზიანს. სადაზღვევო ლიმიტი კი წინასწარ განისაზღვრება და ეთითება სადაზღვევო პოლისში.

დაზღვევის, როგორც სამეწარმეო ხასიათის მქონე საქმიანობის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ელემენტის სწორად გააზრება, გათვლა და მოსალოდნელი შედეგის პროგნოზირება, რაც შესაძლებელია აქტუარული ანგარიშების წარმოებით.

ექტუარული ანგარიშები არის მზღვეველსა და დამზღვევს შორის ფინანსური ურთიერთობების განსაზღვრის საფუძველი დაზღვევის ტარიფის დადგენისას, ის არის მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდების სისტემა, რომლის გამოყენებით გაიანგარიშება სადაზღვევო მომსახურების ღირებულება და თითოეული დამზღვევის წილი სადაზღვევო ფონდების ფორმირებაში.

მაღალი კონკურენციის პირობებში სადაზღვევო კომპანიის წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია რეალური სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე, გაითვალის დაზღვევის ტარიფი, რომელიც უზრუნველყოფს მოსალოდნელ სადაზღვევო ანაზღაურებას და თვით კომპანიის ფინანსურ მდგრადობას.

ექტუარული ანგარიშები ბიზნესთან მიმართებაში პირველად გამოყენებული იქნა 1762 წელს და თანამედროვე პირობებში აქტუარის პროფესია საბანკო და სადაზღვევო სექტორში ერთ-ერთ აუცილებელ პროფესიად არის მიჩნეული. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მაღალკვალიფიციური აქტუარების მოწოდებით, ბაზრებზე ჩამოყალიბდა ჯანსაღი კონკურენცია კომპანიებს შორის და შესაბამისად, ამაღლდა მათი ფინანსური მდგრადობა.

\*\*\*

ადამიანების ჯანმრთელობაზე გავლენის გარდა, კორონავირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზეც, მათ შორის, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა სადაზღვევო ინდუსტრიაზე. მაგალითად, მსოფლიოში უძველესი ჩოგბურთის ჩემპიონატი Wimbledon, რომელიც ყოველწლიურად ტარდება დიდ ბრიტანეთში, ლონდონში ვერ ჩატარდა და შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიას მოუწია ზარალის თანხის გადახდა, რადგან ღონისძიების ჩატარება დაზღვეული ჰქონდათ. საბოლოო ჯამში, სადაზღვევო კომპანიის მიერ გადახდილმა ზარალის თანხამ შეადგინა 114 მლნ. ფუნტი სტერლინგი. ასევე, პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა ის სადაზღვევო კომპანია, რომელშიც დაზღვეული იყო ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ღონისძიების ჩატარება. ამ შემთხვევაშიც, ანაზღაურებული ზარალის თანხა საკმაოდ დიდი იყო და შეადგინა 2 მილიარდი აშშ დოლარი.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სადაზღვევო კომპანია განიხილავს და აფასებს პანდემიის რისკს სადაზღვევო რისკებში, Covid-19-ის გლობალურმა ეფექტებმა გამოიწვია რისკის მრავალი ზოგადი შეფასება და შესაბამისად სპეციალისტების შეთანხმებით, ამ მოვლენას უწოდეს "შავი გედი" („Black Swan“), როგორც რთულად შესაფასებელი და არაპროგნოზირებადი რისკი.

რისკის სწორად შეფასებისა და მისი შემცირებისათვის, აუცილებელია შესაბამისი ისტორიული მონაცემების ქონა. თუმცა ჩვენს ამჟამინდელ პანდემიურ ვითარებაში, ისტორიული მონაცემების ნაკლებობამ ხელი შეუშალა მომავალი რისკის მოვლენების მოდელირებას და მის პროგნოზირებას. გასულ საუკუნეშიც, როგორც გვახსოვს, იყო პანდემია, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით, პანდემიის რისკი სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება. ამის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ დაზღვევის ფარგლებში პანდემიური რისკის შეფასება ბოლომდე გააზრებული და დაშვებული არ არის.

უამრავი ქვეყნის მთავრობის მხრიდან გლობალური ჩაკეტვის (Global lockdown) გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ერთი მხრივ, შემცირდა კორონავირუსის გავრცელება, ხოლო, მეორე მხრივ, გავლენა მოახდინა სხვადასხვა ბიზნესსექტორზე, რომელთა წინასწარ პროგნოზირება სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ძალიან რთული იყო.

რაც შეეხება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებულ სიტუაციას, საგრძნობლად შემცირდა სამომხმარებლო მოთხოვნა ავტოდაზღვევის მიმართულებით, თუმცა გაიზარდა მოთხოვნა ჯანმრთელობის დაზღვევის კუთხით. საქართველოს ბაზარზე არსებული სადაზღვევო კომპანიების 2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წელს კერძო ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი 609,027 ადამიანს ჰქონდა, რაც 2019 წელთან შედარებით 15,214 ადამიანით მეტია. ხოლო, 2020 წელს დაზღვეული

ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 91,898 იყო, რაც წინა წელთან შედარებით 1,019 სადაზღვევო პოლისით არის შემცირებული.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიებს მოუწიათ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და გაანალიზება იმ პრობლემების, რის წინაშეც მოუწიათ დადგომა პანდემიური რისკის ფონზე. შესაბამისად, კომპანიების მხრიდან მოხდა კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვა. ყველა ორგანიზაციას და მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებს, შეუძლიათ გამოიყენონ რისკის მართვის ძირითადი პრინციპები COVID-19 პანდემიის პირობებში, რათა შეამციროს ხანგრძლივად უარყოფითი შედეგები სადაზღვევო რისკის დონეზე. თუ კომპანიას აქვს ძლიერი საწარმოს შიდა რისკების მენეჯმენტის პროგრამა (ERM) ან თუ ჯერ არ მიუმატავს რისკების ამ ტიპის მენეჯმენტისთვის, ქვემოთ მოცემული პრინციპები დაეხმარება ამ სადაზღვევო კომპანიას ამ კრიზისის გადალახვაში:

1) პირველ რიგში უნდა მოხდეს მიმდინარე და მოსალოდნელი რისკების განსაზღვრა. ორგანიზაციები რისკის მენეჯმენტს იყენებენ „არაპროგნოზირებადი რისკების პროგნოზირებისათვის“. პანდემიასთან დაკავშირებული რისკების (და შესაძლებლობების) იდენტიფიცირებისთვის, აუცილებელია, პირველ რიგში, დადგინდეს, თუ რა არის ეს რისკები. COVID-19-ის გარშემო არსებულმა განსაკუთრებულმა გარემოებებმა, შეიძლება გამოავლინეს ის რისკები, რომელიც ჯერ არ ჰქონდათ განხილული - ან შეიძლება იდენტიფიცირებულ რისკებში გამოიკვეთა ახალი გარემოებები. როგორც არ უნდა იყოს საქმე, აუცილებელია, იმ ორგანიზაციული რისკების მხედველობაში მიღება და ანალიზი რომელიც შეიძლება დადგეს შემდეგი თვის, სამი თვის, ექვსი თვის, ცხრა თვის თუ წლის განმავლობაში.

იმისათვის, რომ ეს ყველაზე ეფექტურად განხორციელდეს, უნდა მოხდეს შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ყველა სახის რისკის მხედველობაში მიღება - საოპერაციო, სტრატეგიული, ფინანსური და რეპუტაციული;
- ნებისმიერი საფეხურის თანამშრომლებისგან და დაინტერესებული მხარეებისგან (კლიენტები, გამყიდველები და ა.შ.) მოპოვებული ინფორმაცია, შესაძლოა მოიცავდეს იმ რისკებს, რომელზეც აქამდე კომპანიას არც კი უფიქრია;
- აუცილებელია პანდემიის გავლენის შედეგად დამდგარი კრიტიკული საკითხების ანალიზი გეოგრაფიული არეალის კუთხით და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გეგმა-სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაეხმარება სადაზღვევო კომპანიას რესურსების, ბიუჯეტის სწორად მართვაში. ამისათვის კი მსოფლიოში არსებული სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინება და მათ მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, შესაძლებელია დადებითად აისახოს კომპანიის სამოქმედო გეგმებზე, რადგან შესაძლებელია სხვა კომპანიების რისკები ახლოს იყოს (ან თუნდაც იდენტური) ამ კომპანიის რისკებთან და შესაბამისად, მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიების მიხედვით და მიღებული გამოცდილების შედეგად, მოხდეს სწორის სტრატეგიების შემუშავება და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა.

2) აუცილებელია სადაზღვევო კომპანია იყოს მოქნილი ნებისმიერ სიტუაციაში. აუცილებელია ორგანიზაციის როგორც შიგნიდან, ისე მის გარეთ მომდინარე თუ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების იდენტიფიცირება და ანალიზი. შესაბამისად, ამ ანალიზის საფუძველზე, კონკრეტული დასკვნის გამოტანა, რომ ისინი სიცოცხლისუნარიანია და შეუძლია მიმდინარე სტრესული მდგომარეობის მიუხედავად, წარმატებით საქმიანობა. კომპანია ყოველთვის მზად უნდა იყოს გამოწვევებისთვის და ჰქონდეს ადექვატური ნაბიჯები კრიზისულ სიტუაციაშიც კი.

3) თანამშრომლებთან სწორი და ეფექტური კომუნიკაცია, არსებული სიტუაციის მათთან ერთად ანალიზი, კონკრეტული გეგმების განხილვა, რომელიც მოიცავს რისკის მართვის სტრატეგიებს, ბიზნესის უწყვეტობისა და ანტიკრიზისულ გეგმას. მათი ჩართულობის შედეგად, ისინი მეტად მოტივირებულნი და შრომისუნარიანნი გახდებიან.

4) ძალიან ბევრმა სადაზღვევო კომპანიამ რისკების შეფასებისას მიიღო გადაწყვეტილება, რომ რისკის შემცირების სანაცვლოდ, მნიშვნელოვანი აქტივები გადაეზღვიან. ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი სწორი ნაბიჯი იყო მათი მხრიდან.

5) COVID-19-ის წარმატების ისტორიები იქნება ადამიანები და ორგანიზაციები, რომელთა რეპუტაცია გაუმჯობესდა პანდემიის პერიოდში სწორი ნაბიჯების გადადგმის შედეგად.

რეპუტაციული რისკი, არის ერთ-ერთი გაუთვალისწინებელი რისკი, რომელიც მნიშვნელოვნად გაიზარდა პანდემიის პერიოდში. სადაზღვევო ინდუსტრია უკვე განიცდის ცუდი მომხმარებლის რეპუტაციას, განსაკუთრებით იმ სადაზღვევო პროდუქტების მიმართულებით, როგორცაა: სამოგზაურო დაზღვევა და ბიზნესის შეწყვეტა, რომელთა შესახებაც მომხმარებლებმა ხშირად არ იცოდნენ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა სადაზღვევო კომპანიამ განახორციელა პოზიტიური სვლები, რამაც გაზარდა ნდობის დონე და შესაბამისად, გავლენა მოახდინა რეპუტაციული რისკის შემცირებაზე. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიებმა, რომელშიც დაზღვეული იყო ავტოსატრანსპორტო საშუალებები, დაზღვეულებს დაუბრუნა გადახდილი აუთვისებელი პრემიის თანხა სრულად ან ნაწილობრივ, მათი რისკის დონის ცვლილების შესაბამისად.

## დასკვნა

COVID-19 პანდემიამ მოულოდნელი და არაპროგნოზირებადი შედეგები გამოიწვია სადაზღვევო ბაზარზე. მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ძალიან ბევრ სადაზღვევო კომპანიას. რისკის მართვისათვის, სადაზღვევო კომპანიების ქმედება დაკავშირებული იყო რამდენიმე ფაქტორთან, როგორცაა: ლიკვიდურობის დონე, რისკის ქვეშ მყოფი პორტფელი, გადაზღვევის იმედი, თავისუფალი აქტივების დონე და სხვა. მართალია, მიმდინარე პანდემიურ ვითარებაში, ისტორიული მონაცემების ნაკლებობამ ხელი შეუშალა მომავალი რისკის მოვლენების მოდელირებას და მის პროგნოზირებას, თუმცა სადაზღვევო კომპანიები უნდა მორგებოდა არსებულ სიტუაციას და შეძლებოდა მათი დანაკარგების რაოდენობრივი შეფასება და მართვა. რადგან ყველა ცუდი სცენარის წარმოდგენა და შესაბამისი ანალიზის შემდგომ, ისინი ყოველთვის მზად იქნებოდნენ ნებისმიერი გამოწვევისათვის.

არსებულ სიტუაციაში, აუცილებელია სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ყველა სახის რისკის მხედველობაში მიღება, როგორცაა: საოპერაციო, სტრატეგიული, ფინანსური და რეპუტაციული რისკები. ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სადაზღვევო კომპანიების მიერ რისკების მართვის კუთხის გადადგმული ნაბიჯების მუდმივი ანალიზი.

## გამოყენებული ლიტერატურა

- 1) “How is coronavirus affecting the insurance industry?”, Economics Observatory. 15 October 2020
- 2) “Responding to the COVID-19 and pandemic protection gap in insurance”, OECD, 16 March 2021
- 3) “Covid-19: implications for insurer risk management and the insurability of pandemic risk”, Andreas Richter & Thomas C. Wilson, 22 September 2020
- 4) “Risk Management During the COVID-19 Pandemic”, BMS. 2021
- 5) <https://forbes.ge/sadazghvevo-seqtori-pandemiis-dros/>, სადაზღვევო სექტორი პანდემიის დროს, 12 იანვარი 2021
- 6) ა. ცინცაძე, ნ. სვანიძე, აქტუარული ანგარიშები დაზღვევაში, 2009

**ACTUARIAL CALCULATIONS OF INSURANCE COMPANIES IN PANDEMIC CONDITIONS**  
**Summary**

Insurance is one of the financial tools of risk management, through which it is possible to avoid the financial loss caused by the risk (transfer to the insurance company). This paper will discuss the current situation in the insurance market during the pandemic, as well as provide examples that clearly show the damage caused by the spread of COVID-19 to various insurance companies around the world. In order to properly assess the risk and reduce it, it is necessary to have relevant historical data. In the current pandemic situation, the lack of historical data has hindered the modeling and prediction of future risk events. However, this paper will outline the principles by which insurance companies will be able to overcome this crisis relatively easily.



### აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკა

**ანოტაცია.** პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ წინამდებარე ნაშრომი მოვამზადე ჩემი სადისერტაციო ნაშრომის სამუშაო პროცესის ერთ - ერთი ეტაპის დასრულების შემდეგ. ნაშრომის მიზანია აზერბაიჯანის, როგორც ახალგაზრდა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ეკონომიკურ სტაბილურობაზე მოქმედი ფაქტორების წარმოჩენა, ეკონომიკური პოლიტიკის მახასიათებლების განხილვა.

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე ვგაქვს ორი მთავარი საკვლევი კითხვა:

- რაში მდგომარეობს აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურება?
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას აზერბაიჯანის ეკონომიკის სტაბილურობაზე?

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ენერგეტიკული სექტორი.

### შესავალი

მოცემულ ნაშრომში, აზერბაიჯანი განხილულია, როგორც ახალგაზრდა დამოუკიდებელი, ერთ - ერთი წამყვანი ქვეყანა რეგიონში. აზერბაიჯანი გამოირჩევა, როგორც სათბობ - ენერგეტიკული რესურსების მარაგით, ისე გეოგრაფიული მახასიათებლებით. აზერბაიჯანის ეკონომიკურ კეთილდღეობას დიდწილად განსაზღვრავს ენერგეტიკული რესურსების ექსპორტისა და ტრანსპორტირების გზით მიღებული შემოსავლები.

აზერბაიჯანმა რთული და გამოწვევებით სავსე პერიოდი გაიარა დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან. აღნიშნული პერიოდი, აზერბაიჯანის მკვლევარი ექსპერტების მიერ, სამ ფაზად იყოფა: 1991 – 1993 (პირველი ფაზა); 1993 – 2003 (მეორე ფაზა) და 2003 -დან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით (მესამე ფაზა). მთლიანობაში, სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის განვითარების, სტრატეგიები და პრიორიტეტები.

მნიშვნელოვანია, აქვე ვახსენოთ ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც დეკლარირდა აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ მეორე ფაზის დროს. ეს პრიორიტეტებია: საბაზრო ეკონომიკაზე და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული პლურალისტური დემოკრატიის განვითარება; აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის უსწრაფესი აღდგენის მიზნით დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება; ქვეყნის უსაფრთხოების, პოლიტიკური დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების და ქმედებების გაქარწყლება; სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება, ლისაბონის სამიტის პრინციპებზე დაფუძნებით, ეუთოს მინსკის ჯგუფის მოლაპარაკებების ფორმატში; მეზობელ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარება; ეკონომიკის დივერსიფიკაციის დაჩქარება, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს განვითარება, აზერბაიჯანის საუკეთესო სტრატეგიული და გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენების გზით; ევროპული სატრანსპორტო კორიდორის განვითარება; რეგიონში უსაფრთხოების და სტაბილურობის გაძლიერება; იარაღის და ნებისმიერი სახის უკანონო ტვირთბრუნვის აღკვეთა; არსებული გლობალური რეჟიმების ერთგულება. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა. სამხრეთ კავკასიაში არაბირთვული ზონის შექმნა; კასპიის ზღვის დემილიტარიზაცია. ევროპული და ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ინტეგრაცია. „თანამედროვე, ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი აზერბაიჯანი, არის ლიდერი სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ამასთან, საიმედო პარტნიორია

ენერგეტიკის სფეროში, როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო მასშტაბით. აზერბაიჯანმა რთული და გამოწვევებით სავსე გზა გაიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან დღემდე. სირთულეები ობიექტურად აქვს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, და ეს დაკავშირებულია გამოცდილების, ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობასთან, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ ასპარეზზე ადგილის დამკვიდრებასთან, სახელმწიფო მექანიზმის ჩამოყალიბების რთულ და მეტად შრომატევად პროცესთან, შიდა პოლიტიკური სისტემის არა მდგრადობასთან და რაც განსაკუთრებულად ართულებდა სიტუაციას ეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობა დღემდე გრძელდება. ამ ყველაფერს, კიდევ უფრო მძიმე ბარიერს უქმნიდა საბჭოური მემკვიდრეობა და საზოგადოებაში ფესვებგადგმული საბჭოური კულტურა. აზერბაიჯანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პრიორიტეტი იყო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო და რეგიონული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება საიმედო და უსაფრთხო ენერგო პარტნიორის სახელის მოსაპოვებლად“ [De Waal. 2016].

### აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის მიმოხილვა

როდესაც ვსაუბრობთ აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობაზე, ორ ფაქტორზე შეგვიძლია გავამახვილოთ ყურადღება. პირველ რიგში, აღსანიშნავია, ენერგეტიკული რესურსები, რომლის ექსპორტისა და ტრანსპორტირების შედეგად მიღებული შემოსავლები დიდწილად განსაზღვრავენ ქვეყნის ბიუჯეტს. მეორე მხრივ კი, უნდა აღინიშნოს ის ფაქტორი, რომ აზერბაიჯანს, როგორც ახალგაზრდა დამოუკიდებელ ქვეყანას მოუწია გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პროცესის გავლა.

აზერბაიჯანი ენერგეტიკის სფეროში გამოირჩევა, როგორც ენერგო რესურსების ექსპორტიორი ქვეყანა, ისე ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტიორი. ამ მხრივ, უნდა აღვნიშნოთ: ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენი (BTC), ბაქო-თბილისი - ერზრუმის გაზსადენი (BTE), ბაქო - სუფსას ნავთობსადენი (BSP), ტრანს-ადრიატიკის მილსადენი (TAP), ბაქო - თბილისი - ყარსის რკინიგზის პროექტი (BTK), სამხრეთ კავკასიის მილსადენი (SCP), გაზის სამხრეთის კორიდორი (SGC), ტრანს-ანატოლიის ბუნებრივი გაზის მილსადენი (TANAP).

რუკის (რუკა 1) სურათზე ნაჩვენებია, ბაქო - თბილისი - სუფსის, ბაქო - თბილისი - ერზრუმის მოქმედი მილსადენების მარშრუტები, ნაბუკოს გეგმა, ბაქო - ნოვოროსისკის მილსადენის მარშრუტი. ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი, ფაქტობრივად, ქვაკუთხედიან ადნიშნული პროექტების ფუნქციონირებისთვის, აჩვენებს აზერბაიჯანის, როგორც სათბობ - ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტიორი ქვეყნის, სტრატეგიულ მნიშვნელობას.

რუკა 1



მოცემულ რუკის სურათზე (რუკა 2), ნაჩვენებია ტრანს-ანატოლიის და ტრანს ადრიატიკის პროექტების მარშრუტი.



აღნიშნულ რუკის სურათიზე (რუკა 3) ნაჩვენებია ნაბუკოს, ტრანს-ანატოლიის და ტრანს-ადრიატიკის გაზსადენების პროექტები. კარგად ჩანს აზერბაიჯანის, როგორც ტრანზიტის ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა.

რაც შეეხება აზერბაიჯანის, როგორც ახალგაზრდა ქვეყნის გამოწვევებს იმ თვალსაზრისით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მას მოუწია რთული პროცესების გავლა, რათა გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასულიყო, ამ მიმართულებით ქვეყნის პროგრესს ხელი შეუწყო ენერგეტიკის სფეროში მიღწეულმა წარმატებებმა. ამაზე საუბრობს არა ერთი ექსპერტი და მკვლევარი, მათ შორის არის ტომას დე ვალი, რომელიც თავის ცნობილ სტატიაში: „Azerbaijan at 25: A New Era of Change and Turbulence” წერს: „აზერბაიჯანის ენერგეტიკული პოლიტიკა ფორმულირებულია ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის მიერ, შემდეგ კი ის გააფართოვა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა. ყველაფერი დაიწყო 1994 წელს, როდესაც ხელი მოეწერა „საუკუნის შეთანხმებას“. პირველად ისტორიაში, აზერბაიჯანმა გადაწყვიტა კასპიის ზღვის გამოყენება მრავალეროვნულ კომპანიებთან ერთობლივი მუშაობისთვის და მან შეძლო მოეზიდა მრავალმილიარდიანი ინვესტიციები ნავთობის მრეწველობის დაწყება-განვითარებისთვის. ჯერ კიდევ მაშინ, კასპიის ზღვის რესურსების მიწოდება დასავლეთის ბაზრისთვის ფანტაზია იყო. აზერბაიჯანმა, თურქეთმა და საქართველომ ეს ფანტაზია გადააქციეს რეალობად, როდესაც მათ დაასრულეს გაზსადენის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენის მშენებლობა. სწორედ ამ პროექტების განხორციელებით დაიწყო აზერბაიჯანის მძლავრ ენერგოექსპორტიორ და ტრანსპორტიორ ქვეყნად ჩამოყალიბების ისტორია“ [De Waal. 2016].

მიუხედავად, იმისა, რომ აზერბაიჯანს, როგორც ეკონომიკური, ისე საგარეო პოლიტიკის კუთხით ენერგეტიკის სექტორში მიღწეულმა წარმატებებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა, მაინც არის საფრთხე იმისა, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკა იყოს მხოლოდ ენერგეტიკის სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული და შესაბამისად დამოკიდებული იყოს სათბობ - ენერგეტიკული რესურსების ფასებზე. სწორედ ამ საკითხებზე ამახვილებს

ყურადღებას არასტუჲ ჰაბიბელი თავის ცნობილ სტატიაში: - „Reconsidering Azerbaijan’s Foreign Policy on the 25 th Anniversary of Restored Independence“ - „აზერბაიჯანის წარმატებულმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვნად განაპირობა, როგორც ამ სფეროს, ისე მთლიანად ეკონომიკისა და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის განვითარება. ენერგეტიკამ განაპირობა აზერბაიჯანის სანდო პარტნიორად აღიარება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ექსპლუატაციაში შესვლა 2006 წელს, იყო ისტორიული ფაქტი, ეს იყო ახალი გლობალური მნიშვნელობის კორიდორის შექმნა, სიახლე რეგიონისთვის და მთელი კონტინენტისთვის. ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხში აზერბაიჯანს შეაქვს თავისი წვლილი განსაკუთრებით ევროპაში გაზის უსაფრთხო მიწოდებით. ქვეყანა გახდა მსოფლიოში უმსხვილესი გაზის ექსპორტიორი შაჰდენიზის წყალობით. მესამე ათასწლეულის მეორე ათწლეული არის მოწმე ტრანს-ანატოლიის (TANAP) და ტრანს-ადრიატიკის მილსადენების (TAP) პროექტების შექმნის. XX საუკუნეში აზერბაიჯანს სჭირდებოდა უცხოური მხარდაჭერა პროექტების განხორციელებისთვის, ახლა უკვე თავად ხდება ინიციატორი და მნიშვნელოვანი ფინანსური წვლილი შეაქვს რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბების პროექტების განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფს ევროპის ენერგომომარაგებას. ტრანს-ადრიატიკის მილსადენის არჩევა ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგებისთვის მთავარ საექსპორტო მარშრუტად, იმის დემონსტრირებაა, რომ ამ რეგიონში ნებისმიერი გლობალური პროექტის განხორციელება აზერბაიჯანის თანხმობის და მონაწილეობის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. ბოლო 12 წლის განმავლობაში აზერბაიჯანის მშპ გასამმაგდა. ბიუჯეტი კი 20-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, რთული ვითარებაა ქვეყნის რეგიონების უმრავლესობაში“ [Habibbeyli, 2017].

მკვლევარები აზერბაიჯანის ეკონომიკური ტრანზაციის პერიოდის განხილვისა და ანალიზისას ორი მიმართულებით ავითარდებენ მსჯელობას, პირველი, რეალობის შეფასება და საჭირო რეფორმების ფორმულირება, მეორე კი საბჭოური მემკვიდრეობის, როგორც ეკონომიკური განვითარების გზაზე განსაკუთრებული დამაბრკოლებელი ბარიერის ანალიზი. ავტორთა უმრავლესობა აზერბაიჯანის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად - სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიღწევას ასახელებს, ამისთვის კი ქვეყნის მოდერნიზაციას მათ შორის ეკონომიკის დივერსიფიკაციას, უპირობო აუცილებლობად განიხილავენ. ამასთან, ფართოდ განიხილება ის ხელისშემშლელი გარემოებები, რომლებიც განპირობებულია საბჭოთა მემკვიდრეობით მაგალითად: რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკა, ნაკლები ყურადღების გამახვილება მდგრად განვითარებაზე, დივერსიფიკაციაზე, სოციალური კაპიტალის განვითარების დაბალი მაჩვენებელი, ურბანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები. 2005 წლიდან, აზერბაიჯანში, მწვავედ დადგა ეკონომიკის ერთ სფეროზე დამოკიდებულების საფრთხე. პრიორიტეტული გახდა რეგიონების განვითარება.

მნიშვნელოვანია იმ ავტორების მოსაზრებები, რომლებიც მუშაობენ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინაშე არსებული გამოწვევების თემაზე. ისინი, რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას გამოყოფენ: „გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ყველაზე რთული პრობლემა სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიღწევაა“ [Erdeney Kaynak, Zenfira Nasirova. 2008]. „გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური და ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ფაქტორებზე, მაგალითად ურბანიზაციის დონეზე და სიმჭიდროვის ხარისხზე“ [Antonio Sanchez-Braza, Galyan Anna. 2018]. „სწრაფი ტრანსფორმაციის პერიოდში, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ კაპიტალს და მის განვითარებას. საინტერესო მახასიათებელი აქვთ პოსტსაბჭოური ქვეყნების უმრავლესობის ახალგაზრდობას, მათ არ აქვთ საკმარისი კონტაქტები, გამოცდილება სოციალური კაპიტალის შესაქმნელად, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის“ [Erik Lepisto. 2010]. „აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგარეო ფაქტორად მაკრო ეკონომიკური ვითარების არსებობას წარმოადგენს. სიღარიბის შემცირებისა და მდგომარეობის გამოსწორებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წინაპირობად, საშინაო ფაქტორებიდან

სამუშაო ადგილების შექმნას განიხილავს“ [Elvin N. Afandi, Gabor Pellenyi. 2014]. “მოდერნიზაცია საჭიროა მართვის მექანიზმებში. ყურადღება უნდა გამახვილდეს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე, ქვეყნის მოდერნიზაციაზე. ერთ - ერთი ამ სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებიდან არის ეკონომიკა, ის რაზეც დამოკიდებულია ქვეყნის განვითარება“ [E. Rustamov. 2014].

ამასთან, აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი, როგორც პოსტსაბჭოური ქვეყანა დამოუკიდებლობის დასაწყისში იდგა იმ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომლებიც საერთო იყო ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნისთვის. მნიშვნელოვანია, რომ საბჭოური მემკვიდრეობის დაძლევა უმთავრესი გამოწვევაა აზერბაიჯანისთვის ეკონომიკის სფეროში. რაც შეეხება, თავისებურებებს, აზერბაიჯანის, როგორც რეგიონის ერთ - ერთი წამყვანი ქვეყნის მახასიათებლებზე საუბრისას აღსანიშნავია მისი მდებარეობა, ენერგეტიკული რესურსების მარაგები, სატრანსპორტო გზები, საიმედო საერთაშორისო პარტნიორის სტატუსი. ეს სწორედ ის თავისებურებებია, რომლებიც განსაზღვრავს აზერბაიჯანის ეკონომიკას დღეს და მის სამომავლო წინსვლას.

### დასკვნა

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი, როგორც მდიდარი ქვეყანა თავისი ენერგეტიკული რესურსებით გამორჩეულია რეგიონში, ერთი მხრივ, როგორც ენერგეტიკული რესურსების ექსპორტიორი და, მეორე მხრივ, როგორც ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტიორი ქვეყანა. თანამედროვე აზერბაიჯანი არის ლიდერი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, საერთაშორისო პარტნიორი ეკონომიკის სფეროში, მდიდარი ენერგორესურსებით და წევრი საერთაშორისო საზოგადოების. აზერბაიჯანმა რთული და გამოწვევებით სავსე გზა გაიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან დღემდე. აღნიშნული სირთულეები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველი: სირთულეები, რომლებიც ობიექტურად აქვს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, და ეს უკავშირდება: გამოცდილების ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობას, საერთაშორისო ასპარეზზე ადგილის დამკვიდრებას, სახელმწიფო მექანიზმის ჩამოყალიბების რთულ და მეტად შრომატევად პროცესს, შიდა პოლიტიკური სისტემის არამდგრადობას და რაც განსაკუთრებულად ართულებდა სიტუაციას ეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაზე მუშაობა დღემდე გრძელდება. მეორე: როგორც საბჭოური მემკვიდრეობის მქონე ქვეყანა, ერთ - ერთი ასეთი მემკვიდრეობა კი სწორედ გეგმიური ეკონომიკაა, მეტად რთული რეალობის წინაშე დადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. აზერბაიჯანმა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრმა ქვეყანამ განსხვავებით, მაგალითად ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთისგან, რომლებიც, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაადგინეს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას და სამივე მათგანი გახდა ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყანა, აზერბაიჯანი შეუერთდა რუსეთის მიერ დაფუძნებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, იმ ქვეყნების უმრავლესობა კი, რომლებიც ამ გაერთიანებაში შევიდა ვერ შეძლო მტკიცე საგარეო პოლიტიკის გატარება შემდეგი ათწლეულების მანძილზე. თუმცა ამასთან დაკავშირებით, ჰაბიბილი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ: „ბალანსირებული საგარეო პოლიტიკა, მრავალვექტორულობა, თანამშრომლობა თანაბარი ურთიერთობები საერთაშორისო აქტორებთან, საიმედო პარტნიორობა, პრაგმატული პოლიტიკური კურსი, გამყარებული დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელების პრინციპით იყო ჰეიდარ ალიევის მიერ შემუშავებული ქვეყნის განვითარების საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკის სტრატეგიის საფუძვლები. აზერბაიჯანში დაიწყეს დაბალანსებული და მრავალვექტორული პოლიტიკის გატარება, ამასთან, ითვალისწინებდნენ მათ განსაკუთრებულ მდებარეობას რეგიონში. ეს იყო ძირითადი პრინციპი რომელიც დღესაც მოქმედებს. აზერბაიჯანმა გააკეთა ცხადი არჩევანი სტრატეგიის თვალსაზრისით 1993 – 2003 წლებში და ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის

წარმატება. დამოუკიდებელი პოლიტიკა დაფუძნებული ეროვნულ ინტერესებზე, წარმოადგენს აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება რთულია. აზერბაიჯანმა დაიწყო დაბალანსებული და მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის გატარება მიიღო რა მხედველობაში რეგიონში მისი მდებარეობის უნიკალურობა“ [Habibbeyli, 2017].

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელობასთან დაკავშირებული რეფორმები ფართო მასების უკმაყოფილებას იწვევს რადგან, მოსალოდნელი საერთო კეთილდღეობის ნაცვლად ისინი საზოგადოების მკვეთრად არათანაბარ გადანაწილებას და საერთო დამაბულობას ქმნის. ეს კი მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზაზე. ამას ემატება ის გამოწვევები, რომლებიც როგორც წესი საერთოა პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის: საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარდაქმნა, ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეთნიკური და კონფენსიური მშვიდობის უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი ინსტიტუტების ეფექტიანი მუშაობა დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ეკონომიკის ზრდა, რესურსების გონივრულ, მდგრად გამოყენებასთან, უცხოური კაპიტალდაბანდებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასთან, საზოგადოებრივი ინსტიტუტების გამართულ მუშაობასთან, ადამიანური კაპიტალის გონივრულ მართვასთან, არის დაკავშირებული. აზერბაიჯანმა თავისი გეოგრაფიული მდებარეობა ენერგეტიკული რესურსები მთავარ დასაყრდენად აქცია საბაზრო ეკონომიკის განვითარების საქმეში. მთლიანობაში, ნათელია, რომ ენერგეტიკის სფეროში მოპოვებულმა წარმატებამ, შეუწყო ხელი ქვეყანის, როგორც ეკონომიკის, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით პოზიციების გაუმჯობესებას. თუმცა, რჩება საფრთხე, კერძოდ ქვეყნის ეკონომიკის ერთ ძირითად სფეროზე დამოკიდებულება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Habibbeyli, Arastu. 2017. Reconsidering Azerbaijan's Foreign Pplicity on the 25 th Anniversary of Restored Independence (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემს მიერ).
2. De Waal, Thomas. 2016. Azerbaijan at 25: A New Era of Change and Turbulence (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემს მიერ).
3. Sánchez-Braza, Antonio. Galyan, Anna. 2018. Relationship between economic growth and residential energy use in transition economies, María del P. Pablo-Romero, Published online. (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემს მიერ).
4. Afandi, Elvin N. Pellenyi, Gabor. 2014. Evidence of Pro-Poor Growth in Azerbaijan, Pages 5-31. Published online. (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემს მიერ).
5. E. Rustamov, E. 2014. Principles of the Evolutionary Modernization of Transitional Economies. Pages 59-72. Published online. (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემს მიერ)
6. Habibbeyli, Arastu. 2017. Reconsidering Azerbaijan's Foreign Pplicity on the 25 th Anniversary of Restored Independence. (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემს მიერ).
7. De Waal, Thomas. 2016. Azerbaijan at 25: A New Era of Change and Turbulence. (მოყვანილი ციტატები ნათარგმნია ჩემს მიერ).
8. Breban, Dan. Mukhtarov, Elmir. 2017. The 2018 State Budget Project of Azerbaijan: From Consolidation to High Spending? CESD Press , Baku. (მონაცემები ბოლოს ნანახია 17. 01. 2021.).

*Ana Anushidze*

### THE ECONOMIC POLICY OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN Summary

First of all, I must emphasize that this article is the result of my working process on Ph.D. The purpose of this article is to identify special aspects in the sphere of the economy of the Republic of Azerbaijan.

As for our goal, the article raises two key questions:

- What are the features of the economic policy of the Republic of Azerbaijan?
- What aspects affect the economic stability of the Republic of Azerbaijan?

**Keywords:** economic policy, economic diversification, energy sector.

*ხათუნა ბერიშვილი*

## Covid 19-ის ზეგავლენა საქართველოს საინვესტიციო გარემოს ცვლის დინამიკაზე

**ანოტაცია.** ახალი კორონავირუსის (COVID-19) პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა. კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციამდე, ქვეყანაში დაავადებასთან ბრძოლის ერთადერთ მექანიზმად მიჩნეული იყო სოციალური დისტანცირება და იზოლაცია (lockdown). კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად ქვეყანაში მიღებულ იქნა ისეთი ზომები, როგორცაა: საერთაშორისო მიმოსვლის შეზღუდვა; წარმოებისა და მომსახურების სფეროების დაკაფუნება; საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერება; კომენდანტის საათის გამოცხადება და სხვა.

საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ებრძვის ახალ კორონავირუსს, დგას ჯანდაცვასა და ეკონომიკას შორის ალტერნატივის წინაშე. სოციალური დისტანცირება და გლობალური ჩაკეტვა ხელს უწყობს პანდემიის გავრცელებას, ამასთან ზღუდავს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ხელს უშლის საინვესტიციო აქტივობას.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ზრდა, პანდემია, საინვესტიციო აქტივობა, კრიზისი, დაძლევის გზები.

\*\*\*

2008 წლის მსოფლიო კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 2010-2014 წლებში საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები დინამიური ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. 2015-2016 წლებში მათი მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ხოლო, 2017 წელს ინვესტიციების ოდენობამ თითქმის 2 მილიარდ აშშ. დოლარს მიაღწია, რაც განპირობებული იყო წინა წლებში დაწყებული მეგაპროექტის, განსაკუთრებით კი შაჰ-დენიზის გაზსადენის მშენებლობით. 2018 წლიდან ქვეყანაში ინვესტიციები მცირდება, ხოლო საინვესტიციო აქტივობა 2014 წლის მაჩვენებელსაც ვერ აღწევს. 2020 წელს, საქართველოში 617 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 53%-ით (694 მლნ დოლარით) ნაკლებია 2019 წლის მონაცემებზე [https://www.geostat.ge/].

საინვესტიციო აქტივობის ანალიზის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი წილის დადგენას ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წელიწადში ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობა 2012-2013 წლებში დაფიქსირდა, როდესაც ინვესტიციებმა მშპ-ს 5.8% შეადგინა. 2014 წლიდან ინვესტიციები მშპ-ის მიმართ იზრდება და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ისინი 2016 წელს (11.4%) და 2017 წელს 12% აღწევენ, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 7.1%-ია. ამ პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების მიზეზებს შორის უმნიშვნელოვანესია ის, რომ ინვესტორთა მფლობელობაში არსებული რამდენიმე მსხვილი საწარმო გადავიდა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, ხოლო არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების მიმართ შემცირდა ვალდებულებები (სასესხო დავალიანების დაფარვა) [https://bit.ly/38RtKbu], თუმცა, ამ მიზეზების გარდა, შემცირების მთავარი გამომწვევი იყო მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, რამაც აზერბაიჯანიდან მიღებული ინვესტიციების თითქმის განახევრება გამოიწვია. ამას ემატება: დემოკრატიის, სამართლიანი და


მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისა და ინვესტიციების დაცულობასთან დაკავშირებული პრობლემები [https://econ.st/3ft3Mxw].

ბოლო პერიოდში საქართველოს საინვესტიციო გარემოს განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ანაკლიის პორტის მშენებლობის შეჩერებამ. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან გაკეთდა არაერთი განცხადება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის შეჩერების საკითხზე [https://bit.ly/2DzpfGQ]. ამ მოწოდებების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პორტის მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილება არ შეცვლილა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს საინვესტიციო გარემოს. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ახალი დიდი საინვესტიციო პროექტები აღარ დაწყებულა და ვერც ეკონომიკა იზრდება იმ ტემპებით, რომ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა მოახდინოს, შედეგად მივიღეთ ინვესტიციების კლება.

ქართველოში განხორციელებული ინვესტიციების სექტორული ანალიზის დროს აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ინვესტიცია 2020 წელს საფინანსო სექტორზე მოდის 64,9 და ეს ტენდენცია კვლავაც გრძელდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ეს სექტორი ყველაზე უკეთ არის განვითარებული.

რეგიონების მიხედვით, ლიდერია თბილისი, რომელზეც მთლიანი ინვესტიციების 63% მოდის.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები  
აკონომიკის სექტორების მიხედვით 2020\* წელს



წყარო: <https://www.geostat.ge/>

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2020 წლის მონაცემებით, 95.3% შეადგინა და ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: გაერთიანებული სამეფო- 49.9%, ნიდერლანდი - 27.9% და თურქეთი - 17.5%.

საინვესტიციო აქტივობის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია ოფშორებიდან განხორციელებული ინვესტიციების შესწავლა. ოფიციალური სტატისტიკით, 2010-2018 წლებში ოფშორებიდან საქართველოში 5 მლრდ დოლარამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც ამ პერიოდის მთლიანი ინვესტიციების 38%-ია. აქ ლიდერობს პანამა - 300 მლნ დოლარით, მალტა - 239 მლნ დოლარით, ვირჯინიის კუნძულები - 96 მლნ დოლარით, ბელიზი - 64 მლნ დოლარით და ა.შ. [T.Shengelia 2020].

ბოლო წლებში განვითარებულ ქვეყნებში აქტიურად განიხილება ოფშორებიდან მომავალი რისკების შემცირების შესაძლებლობები და ამ კომპანიების მესაკუთრეთა ტრანსპარენტულობის პრობლემა, რაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების



რების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული სააგენტოს პირდაპირი მოთხოვნაა. საქართველოში ობშორული ინვესტიციების ტრანსპარენტულობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

საინვესტიციო აქტივობის ზრდის თვალსაზრისით ქვეყანაში მნიშვნელოვანია მიმზიდველი ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შექმნა. ამ მიმართულებით ქვეყნების საინვესტიციო გარემოს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები იკვლევენ და შესაბამის რეიტინგებს ადგენენ. მათ შორის მნიშვნელოვანია: ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing business) და ეკონომიკური თავისუფლების (Heritage Foundation) ინდექსები, რომელთა შორის საქართველოს მაღალი შეფასებები აქვს. მაგალითად, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით, 2020 წელს საქართველო მსოფლიო რეიტინგში (190 ქვეყანას შორის) მე-7 ადგილზე, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში მსოფლიო მასშტაბით (180 ქვეყანას შორის) მე-12 ადგილზეა, რაც შეესაბამება უმეტესად თავისუფალი ქვეყნის პოზიციას. ამ რეიტინგებში არ აისახება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სტაბილურობა. ასევე, ქვეყნის ოკუპაციის პრობლემა, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო აქტივობაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე დემოკრატიის კუთხით არსებული პრობლემები. დემოკრატიის ინდექსის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის 89-ე ადგილს იკავებს [<https://econ.st/3ft3Mxw>].

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო მსოფლიოში მე-12 ადგილზეა, ამ ინდექსის ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმით - „საკუთრების უფლების დაცვა“ მსოფლიოში 49-ე ადგილზეა, რაც ინვესტორისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ინდექს მუდმის მიხედვით, ლოჯისტიკური წარმადობის კუთხით საქართველო 133-ე პოზიციაზეა, 2.35 ქულით, რაც საშუალოზე დაბალია [<https://bit.ly/3et8Ct4>]. საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე უარყოფითად მოქმედებს კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი [<https://bit.ly/3fryxmz>].

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას ზრდის ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, დსთ-ს ქვეყნებთან, თურქეთთან, ჩინეთსა და ჰონგ-კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულთან) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც დამატებით ღირებულებას სძენს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს. ქვეყანას გააჩნია იმისი პოტენციალი, რომ კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ჰაზად იქცეს, რაც მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პოტენციალი ამ ეტაპზე სრულად ათვისებული არ არის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით კი ამ ორ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო წლებში ლოჯისტიკური მომსახურების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ მსოფლიოში რევილუციური ცვლილებები გამოიწვია წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესებში, რამაც გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება განაპირობა. მზარდი კონკურენციის პირობებში აუცილებელი გახდა ლოჯისტიკური მომსახურების სერვისის გაუმჯობესება, რასაც განაპირობებს გამართული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ის ქვეყნები, რომლებიც ქმნიან ეფექტიან სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურას, იზიდავენ იმ საერთაშორისო კომპანიებს, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენენ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველომ მაქსიმალურად სწრაფად აუწყოს ფეხი მსოფლიო ტენდენციებს და საკუთარი ნიშა დაიკავოს მსოფლიო სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ რუკაზე, რითაც დამატებით საინვესტიციო მიმზიდველობას შესძენს ქვეყანას.

2020 წელს მსოფლიოსთვის ახალი საყოველთაო გამოწვევა კორონავირუსის პანდემია გახდა. პანდემიის მასშტაბმა და ინფექციის გავრცელების სწრაფმა ტემპმა წლის დასაწყისშივე

განაპირობა ცხოვრების ჩვეული რიტმის შეცვლა, რამაც არნახული ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. უდავოა, რომ 2021 წელს მნიშვნელოვნად შემცირდება ეკონომიკური ზრდის ტემპი მსოფლიოში. აღნიშნული კი განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის.

ქვეყნების მიერ საზღვრების ჩაკეტვამ, ეკონომიკური საქმიანობის დაპაუზებამ და საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიებების გადადებამ გარკვეულწილად შეამცირა ეკონომიკის ზრდის ტემპები. ამ მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი და პანდემიის უარყოფითი შედეგები აისახა ეკონომიკურ ზრდაზე. 2020 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად დაეცა. ასე მაგალითად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2020 წელს 616.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 52.9%-ით ნაკლებია 2019 წლის დაზუსტებულ მონაცემებზე.

მნიშვნელოვნად შემცირდა ინვესტიციები ტურიზმის სექტორში, სადაც წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით, კლება 76%-ს შეადგენს, ტრანსპორტის სექტორში - 76%, ამასთან გაიზარდა ინვესტიციები ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში (ზრდა 3%). ტურიზმი და ტრანსპორტი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საინვესტიციო პოტენციალის მქონე დარგებია, თუმცა პანდემიის ნეგატიურმა ეფექტმა ეს სექტორები ყველაზე მეტად დააზარალა [Shengelia, 2020].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კორონავირუსის პანდემიის შედეგად ეკონომიკური ზიანის შეფასების ფონზე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა - მათ შორის უკვე მომზადებული კანონის “საინვესტიციო ფონდების შესახებ” დამტკიცება და გადახდისუნარობის კანონპროექტის შემუშავება;

- მომსახურების სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია (5G) სისტემაზე გადასვლის დაჩქარება, რაც სტიმულს მისცემს ადგილობრივ და უცხოურ სტარტაპებს განახორციელონ ტექნოლოგიებზე და ინოვაციებზე დაფუძნებული ბიზნესპროექტები;

- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით ქვეყანაში მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის არსებობა;

- გამართული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის არსებობა.

ზემოთ წარმოდგენილი ღონისძიებები სრულად ვერ ასახავს ფაქტორების იმ ნუსხას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე. ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში დღეს არსებული გამოწვევების გათვალისწინებით ამ ფაქტორთა ნუსხა გაცილებით ვრცელია.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ექსპერტულ წრეებში აქტიურად განიხილება მოსაზრება ახალი კორონავირუსის გამოწვევების დამატებით შესაძლებლობებზე. მიუხედავად კორონავირუსის პანდემიისა, საქართველოს ნამდვილად წარმატებულად შეუძლია პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის და ეკონომიკური განვითარების გაჯანსაღების პროცესს.

## დასკვნა

ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში არასტაბილური დინამიკით ხასიათდება. 2017 წელს ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, თუმცა შემდგომ წლებში ის კლებით ხასიათდება. კორონავირუსის პანდემიამ მთლიანად მსოფლიოს და, შესაბამისად საქართველოს დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა. საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, ზიანი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას Covid-19-ის გავრცელებამ მიაყენა, მძიმე ნეგატიურ გავლენას იქონიებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეც. პანდემია აფართოებს კონკურენციას ინვესტიციების საერთაშორისო ბაზარზე.

იზრდება ხელისუფლების როლი შეზღუდული უცხოური საინვესტიციო რესურსების ქვეყანაში მოზიდვის თვალსაზრისით. საქართველოში ინვესტიციების შემოდინებაზე გავლენას ახდენს: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კერძო საკუთრების დაცულობა, სამართლიანი სასამართლო, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, სტრატეგიული მდებარეობა, კორუფციის დაბალი დონე, რაც მეტ მიმზიდველობას მატებს მის საინვესტიციო გარემოს. ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ ხასიათდება პოზიტიური დინამიკით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიშვილი ხ. „პუი-ის ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე“. პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნ. შრომების კრებული, ტომი 13.
2. Foreign direct investment flows in the time of COVID-19. იხ. <http://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/foreign-direct-investment-flows-in-the-time-of-covid-19-a2fa20c4/>
3. The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: <https://bit.ly/2WweW5O>.
4. T.Shengelia 2020. The post-coronavirus economy of the world and Georgia. // Economic and Business № 12
5. T. Shengelia 2017. The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system
6. T Shengelia. 2020 Export potential of Georgia. World economy and international economic relations 3, 29-33
7. <https://www.geostat.ge>
8. <https://bit.ly/38RtKbu>
9. <https://econ.st/3ft3Mxw>
10. <https://bit.ly/2DzpfGQ>

*Khatuna Berishvili*

### THE IMPACT OF COVID 19 ON DYNAMICS OF CHANGE OF GEORGIA'S INVESTMENT ENVIRONMENT

#### Summary

In recent years, foreign direct investments have been characterized by unstable dynamics in Georgia. In 2017 FDI reached a record level, although in subsequent years it has been characterized by decline. The coronavirus pandemic inflicted great economic damage to the world and, consequently, to Georgia. According to predictions of International organizations, the damage that was inflicted to the world economy by the spread of Covid-19, will also have a severe negative impact on foreign direct investment. The pandemic is widening competition in the international market of investments. The role of the government is growing in terms of attracting limited foreign investment resources to the country. The inflow of investments in Georgia is influenced by a stable political situation, protection of private property, fair trial, favorable tax regulations, cheap and skilled labor, stable macroeconomic environment, economic openness of the country, strategic location, low level of corruption, which in its turn make its investment environment more attractive. In this regard, the current situation in Georgia is not characterized by positive dynamics.

*ლია ბიბილაშვილი*

### ჰიდროენერგეტიკის განვითარების ეკოლოგიური საკითხები

*ანოტაცია:* სტატიაში განხილულია საქართველოში ჰიდროენერგეტიკის განვითარების აუცილებლობა და მისი თანმდევი ეკოლოგიური პრობლემები. საზოგადოების ინტერესები და

ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ეკოლოგიური საკითხები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. საზოგადოებას აინტერესებს, როგორ და რა გზებით მოხდება მათი ენერგეტიკული უზრუნველყოფა. საქართველო თავის მოთხოვნილებას საკუთარი ენერგორესურსებით იკმაყოფილებს მხოლოდ 34,5%-ით. საკუთარი წარმოების ენერგორესურსების ფორმირებაში წამყვანია ჰიდროენერგეტიკული რესურსი. გარემოს დაცვის პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების დროს.

**საკვანძო სიტყვები:** ჰიდროენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა, კიოტოს პროტოკოლი.

## შესავალი

ეკონომიკაში ჰიდროენერგორესურსების გამოყენების საჭიროება ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული. ახლა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტს განიცდის. თუ კაცობრიობა მომავალშიც შეეცდება ამ ენერგოდეფიციტის შევსებას მხოლოდ არსებული ტრადიციული ენერგორესურსების წარმოების გაზრდით, ეს არათუ მიუღწეველი იქნება, არამედ მკვეთრად გაამწვავებს ეკოლოგიურ ვითარებასაც. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგები ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე უფრო მეტად აჭუჭყიანებს გარემოს. ბუნება ბინძურდება ენერგორესურსების არამართო მოპოვების, წარმოების და მოხმარების დროს, არამედ ასევე ირღვევა გარემოს სითბური წონასწორობაც.

\*\*\*

ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების დროს, განსაკუთრებით მწვავედ დგას გარემოს დაცვითი პრობლემები. ცნობილია, რომ მიწის მნიშვნელოვანი ფართობი სჭირდება ენერგეტიკის, განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკის განვითარებას. ეს საკითხი, პირველ რიგში, აქტუალურია მცირემიწიანი რაიონებისთვის, მათ შორის საქართველოსათვის. ამჟამად, ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე მოდის 1,43 ჰა მიწის საერთო ფართობი; 0,64 ჰა-სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,15 ჰა-სახნავი. ეს კი ძალიან მცირეა და შესაბამისად ყოფილი სსრ კავშირის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 17,1% და 17,7%-ს შეადგენს.

მიწას კი, ბუნებრივ რესურსებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი წარმოადგენს შრომის უმრავლეს საგანთა შექმნის წყაროს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწა არა მარტო საგანი, არამედ შრომის მთავარი საშუალებაა. დედამიწას, ბიოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს თანამედროვე მდგომარეობამდე მოსაყვანად, ათასწლეულები დასჭირდა. მათი დაბინძურებით კი უვარგისი ხდება ათასობით ჰექტარი მიწა. აკად. ს. სობოლევის მტკიცებით, ნიადაგის 2,5 სმ სისქის დარღვეული ზედა ნაყოფიერი შრის აღსადგენად, საჭიროა 300-დან 1000 წლამდე. დაახლოებით ამავე აზრის იყო აკად. ნ. კეცხოველი, მას მიაჩნდა, რომ ნიადაგის ყოველი სანტიმეტრის აღსადგენად საჭიროა 100 წელი მაინც.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სამრეწველო საწარმოებით განვითარებულ ქვეყნებში, ჰიდროენერგეტიკის განვითარების გამო, საგრძნობლად მცირდება მიწის ფონდები. ეს მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილება უფრო და უფრო იზრდება. გეოგრაფ. ი. ზაბელინის გაანგარიშებით, ჯერ კიდევ 1963 წელს დედამიწაზე სრულიად უვარგისი გახდა 50 მილიონი ჰექტარი მიწა, ამჟამად კი, ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოდის ათასობით ჰექტარი მიწა.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით კი, მიწის დიდი ფართობი იფარება წყლით და უვარგისი ხდება სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისთვის. ზოგიერთ მათგანზე კი, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, შეიძლება ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება, მათ შორის ისეთებისა, რომელთა მოყვანა (ჩაის, ციტრუსების, იშვიათი ჯიშის ყურძენი) სხვაგან არ შეიძლება. ახლა საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების

წყალსაცავებს უჭირავს დაახლოებით 8800 ჰა, მათ შორის 6200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, ხოლო 1800 ჰა-ტყე.

საქართველოს პირობებში, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობების დროს უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება. ჩვენს მდინარეებს, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებიან, თან ჩააქვთ უამრავი ქვა, ღორღი, სილა და ამით წონასწორობას ამყარებენ ზღვისა და მდინარეთა ურთიერთობაში. მაგრამ, როცა მდინარე წყალსაცავში მოხვდება, ეს წონასწორობა ირღვევა. მდინარეებს ვეღარ ჩააქვთ ზღვაში მყარი ჩამონადენი და ზღვა ნელ-ნელა რეცხავს ნაპირს, თანდათანობით მიაქვს ხმელეთი.

მავენე გავლენა, განსაკუთრებით დიდია მსხვილი ჰესების მშენებლობის დროს. მსხვილ ჰიდროელექტროსადგურებს, გარდა იმისა, რომ სჭირდებათ მიწის მნიშვნელოვანი ფართობი, მათ სხვა მხრივაც, მავენე გავლენა აქვთ გარემოზე. ექსპერტთა შეფასებით, ისინი არღვევენ კლიმატურ-ეკოლოგიურ წონასწორობას. წარმოშობენ მიწისძვრისა და ზვავების ჩამოწოლის საშიშროებას. ეს კი პირდაპირ უკავშირდება დიდი წყალსატევებიდან მომატებულ აორთქლებასა და სხვა უარყოფით შედეგებს. სწორედ პასიური ეკოლოგიური პოლიტიკის გატარების გამო, აღნიშნული მოთხოვნები სრულიად არ იყო გათვალისწინებული საქართველოში მიმდინარე ჰიდრომშენებლობაში. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ მხოლოდ ფართო საზოგადოების აქტიური ჩარევის შემდეგ, 1989 წელს შეწყდა მდ. ენგურზე ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, მაშინ, როცა მშენებლობის დაწყებიდან უკვე გასული იყო 10 წელზე მეტი და დახარჯული იყო მშენებლობის საერთო ღირებულების დაახლოებით ნახევარი - 150 მლნ მანეთი.

ჰესების, განსაკუთრებით კი მსხვილი ჰესების მშენებლობის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, როგორც ბოლო პერიოდის მოვლენებმა თვალნათლივ დაგვანახა, საქართველოში ჰესების მშენებლობის დროს აშკარად არ იყო დაცული მთელი რიგი აუცილებელი მოთხოვნები. ცნობილია, რომ ენგურჰესის მშენებლობა გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე დაამთავრებდნენ პროექტს. ნაჩქარევად დაიწყო ჰუდონჰესის მშენებლობა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. ამის გამო შეწყდა კიდევ ხუდონჰესის მშენებლობა, გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა ნამოხვარჰესის მშენებლობის საკითხიც. დღესდღეობით დიდი დაპირისპირებაა საზოგადოებასა და საქართველოს მთავრობას შორის, ნამოხვარჰესის აშენების წინააღმდეგ. სადაც, როგორც ჩანს ბევრი ბუნდოვანი საკითხია, რომელიც იწვევს პროტესტს მოსახლეობაში. აუცილებელია ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი გამჭვირვალობა და საჯაროობა იყოს, რათა მოსახლეობა გაერკვეს, თუ რა ხელშეკრულებაა დადებული სინამდვილეში. მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი, ამ პროექტთან დაკავშირებით, რადგან შემდგომში არ იყოს კიდევ რაიმე გართულება.

გამოკვლევებით ირკვევა, რომ ჰიდროელექტროსადგურების პროექტის ხარისხის გაუმჯობესებისა და სათანადო ხარჯების გაღების საფუძველზე საერთოდ არ შეიძლება მინიმუმამდე შევამციროთ ჰესების მშენებლობითა და ექსპლუატაციით მიღებული ზარალიც.

ცხადია, მცირე მდინარეთა ენერგეტიკული შესაძლებლობებისა და ენერჯის ალტერნატიული წყაროების საუკეთესო პოტენციალის გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს განვითარებისათვის. სამეურნეო სარგებლობაში მათი მონაწილეობა მეტად წონადი წვლილი ექნება სათბობსა და ენერჯიაზე ქვეყნის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში.

საქართველოში კარგი პირობებია არატრადიციული ენერგეტიკის განვითარებისთვის. ამ შემთხვევაში გარემოზე მავენე გავლენა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ტრადიციული ენერგეტიკის განვითარების დროს. ჩვენ საზოგადოებაში მიღებულია, რომ ენერჯის არატრადიციული სახეების წარმოება და მოხმარება პრაქტიკულად არ აზიანებს გარემოს. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით, ცნობილია, რომ თერმული წყლების ძებნა-ძიებისა და მოპოვებისას საჭიროა ჭაბურღილები, რომლის დროსაც დიდად ზიანდება ნიადაგი. სამუშაოთა დასრულების შემდეგ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, საჭიროა სარეკულტივაციო

სამუშაოების ჩატარება. გარემო ბინძურდება თერმული წყლის უმიზნო დაღვრის დროსაც, პრობლემებია ასეთი წყლების გამოყენებისას.

ანალოგიურ მოვლენებს შეიძლება შევხვდეთ მზისა და ქარის ენერჯის გამოყენების დროსაც. მაგ., გარკვეული ფაქტორი სჭირდება მზის კოლექტორებს, ამასთან, არსებობს ხმაურის ფაქტორი ქარის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაციის დროს და ა.შ..

კიოტოს ოქმით (საქართველოში რატიფიცირებულია 1999 წლის ივლისში), გათვალისწინებული კლიმატის ცვლილებების ჩარჩო-კონვენციის განხორციელების რამდენიმე ფინანსური მექანიზმიდან, საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, უფლება აქვს ისარგებლოს: „სუფთა განვითარების მექანიზმით“ (CDM). „სუფთა განვითარების მექანიზმი“ საქართველოს საშუალებას მისცემს ჩამოაყალიბოს ენერგოეფექტიანობის ამაღლებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების მზარდი ტემპით ათვისებაზე დამყარებული ენერგეტიკის განვითარების გრძელვადიანი, მდგრადი სტრატეგია.

„სუფთა განვითარების მექანიზმის“ გამოყენებით საქართველო იღებს უნიკალურ შესაძლებლობას, რომ ნახშირორჟანგის (და სხვა თბური გაზების) ემისიების შემცირებით (სეკვესტრირებით), კიოტოს პროტოკოლის ეგიდით განვითარებულ ქვეყნებთან კოოპერირების გზითა და საბაზო მექანიზმებზე დაყრდნობით, განახორციელოს ქვეყნის ენერგოკომპლექსის რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია; ეკონომიკისა და მუნიციპალური მეურნეობის ყველა სფეროში ენერგოეფექტიანობისა და ენერგოდაზოგვის ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გატარებით გადაწყვიტოს ეკონომიკური და გარემოს დაცვითი პრობლემები.

## დასკვნა

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ჰესები აუცილებლად უნდა აშენდეს. ჩვენი მდინარეები დიდი ეროვნული სიმდიდრეა და მისი გამოუყენებლობა ყოველად გაუმართლებელია. მსოფლიოს ყველა ცივილიზებული და განვითარებული ქვეყანა წარმატებით იყენებს ამ ენერჯის საკითხის კომპეტენტური გადაწყვეტისათვის ენერგეტიკულ-ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით. თითოეული ახლად აშენებული ობიექტისთვის უნდა განისაზღვროს ოპტიმალური პარამეტრები. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ადგილობრივი პირობების, ჩვენი ისტორიული წარსულისა და ეროვნული ტრადიციების თავისებურებანი. სათქმელს თუ მოკლედ ჩამოგიყალიბებთ, ეს ისე უნდა მოხდეს, რომ საზოგადოებამ მინიმალური ზიანის პირობებში მაქსიმალური ეფექტი მიიღოს.

ჯერ-ჯერობით ჰიდრორესურსები საქართველოს მთავარი ენერგეტიკული სიმდიდრეა და ამ მიმართულებით აუცილებელია ეკოლოგიურ მოთხოვნათა სრულმასშტაბიანი გათვალისწინება. კერძოდ, საჭიროა:

- გაგრძელდეს ადგილობრივი ჰიდროენერგორესურსების ეკოლოგიურად და ეკონომიკურად ეფექტური ათვისება;
- კომპლექსური ჰიდროკვანძების მშენებლობა, რაც შესაძლებელს გახდის მდინარის ჩამონადენის დარეგულირებას და წყლის რესურსების გამოყენებას ირიგაციის, წყალმომარაგებისა და ენერგეტიკული მიზნებისათვის;
- ისეთი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენა და დაცვა, მდინარეებიდან მყარი ნატანის შემცირების გამო.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩომახიძე დ., - საქართველოს ენერგეტიკა: ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია. სტატისტიკა, თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2014.
2. გველესიანი თ., ჩომახიძე დ., - საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება (საინჟინრო ჰიდროეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები) თბ., 2011.

3. „საქსტატის“ სტატკრებულები, 2018.
4. ჩომახიძე დ., ნარმანია დ., ეკოლოგიური გამოწვევები საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2018.
5. ქოჩლაძე მ., საქართველოს ჰიდროენერგეტიკის სექტორის გამოწვევები.
6. D. Chomakhidze, D. Narmania, - Synthetic Management of Energy and Ecology in Georgia, International Journal of Investment Management and Financial Innovations, 2018.

*Lia Bibilashvili*

## ENVIRONMENTAL ISSUES OF HYDROPOWER DEVELOPMENT Summary

The article discusses the need for hydropower development in Georgia and its accompanying environmental problems. The interests of the society and the ecological issues of the development of the energy complex are closely interrelated. The public is interested in how and in what ways their energy supply will be provided. Georgia meets only 34.5% of its energy needs. Hydropower is the leading factor in the formation of energy production of its own production. Environmental problems are especially acute when using hydropower resources.

*ირინა გოგორიშვილი*

### ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები COVID19-ის პანდემიისა და პოსტპანდემიური პერიოდებში

***ანოტაცია.** სტატიაში განხილულია COVID19-ის პანდემიისა და პოსტპანდემიური პერიოდის საკითხები. გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლებლობი ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და კრიზისის დაძლევისათვის. ძირითადი პოლიტიკა და გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისა და აღდგენის ციფრიზაციის პროცესებს და ახალი ტენდენციების განხორციელებას. ნაშრომში გაანალიზებულია ცვლილებები რომლებიც იმოქმედებს ბიზნეს მოდელებზე, რაც გულისხმობს ახალი დიფერენცირებული ბიზნეს ციკლის წარმოქმნას. კვლევა ემყარება ვებგვერდებზე განთავსებულ მასალასა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებს. ნაშრომში მოცემულია ის ცვლილებები რომლებიც მიმდინარეობს საქართველოს ეკონომიკაში.  
**საკვანძო სიტყვები:** COVID 19-ის პანდემია, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, ცვლილებები საქართველოს ეკონომიკაში, უახლესი ციფრული უნარები და სპეციალობები.*

### შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების შემადგენელი ნაწილია რეალობის დაშორება სასურველი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან. ნორმატიული საკითხია თუ რა არის სასურველი და როგორ შევასდება ეს დაშორება. იმისათვის, რომ ასეთი პრობლემა დავძლიოთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ პოლიტიკაში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობა.

COVID-19-ის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი პანდემიის ეკონომიკური შედეგები მსოფლიოში და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკისთვის ბევრ ისეთ კითხვას წარმოშობს რომელზეც პასუხის გაცემა დამოუკიდებლად (სხვა ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინების გარეშე) არ ძალგვიძს. მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა უმრავლესობა აღიარებს, რომ პანდემიის შედეგად მსოფლიო აღარასდროს იქნება ისეთი როგორც იყო. ეს აღიარება გულისხმობს, რომ პანდემიით გამოწვეული კრიზისით დანგრეული მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა მიმდინარე ცვლილებათა ვიწრო გაგება იქნება. ფართო გაგებით კი ცვლილებათა მთავარ მიმართულებასა და შემადგენელს წარმოადგენს: მსოფლიო ეკონომიკის

დაჩქარებული ციფრიზაციის პროცესი, რომელიც უკვე დაიწყო და იგი ჩვენმა მოქალაქეებმაც იხილეს. Starlink-ის ვებგვერდის თანახმად, თბილისიდან თანამგზავრების (ეს თანამგზავრები 5G და 6G ფართოზოლიანი ინტერნეტის ქსელის მისაღებად არის საჭირო) დანახვა 2020 წლის 27 აპრილს 21:07 საათზე და 30 აპრილს 05:34 საათზე იყო შესაძლებელი [1].

საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ამ ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევებზე სწორი რეაგირება ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების აქტივობაზე დააფუძნოს ეკონომიკური პოლიტიკა ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებს. ამ ღირებულებებს შორის უმნიშვნელოვანესია: თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი. საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ორიენტირები ამ ღირებულებებზე სწორედ დღეს როგორც არასდროს ისე აქტუალურია.

ნაშრომის მიზანია პანდემიისა და მისი შემდგომი პერიოდის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შედეგების შეფასება და მათ საფუძველზე წარმოქმნილ ცვლილებათა გაანალიზება.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკის კანონები. კვლევა წარმართა ისეთი მეთოდების გამოყენებით როგორცაა: ლოგიკური ანალიზის, ინდუქციის, შედარებისა და ინტერნეტ-რესურსების გამოყენება.

ნაშრომში გამოყენებულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ნაშრომების მასალები მცირე მოცულობით.

### **პანდემიის შემდგომი პერიოდის ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები**

პანდემიის შემდგომი პერიოდის საქართველოს ეკონომიკის აღდგენის საკითხები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემით საქართველოს ეკონომიკა 2020 წლის განმავლობაში 4%-ით შემცირდება. უფრო მძიმე პროგნოზი აქვს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, რომელიც ეკონომიკის 5%-იან ვარდნას გვიწინასწარმეტყველებს;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემით საქართველოში ინფლაცია პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 5%-მდე გაიზრდება, ხოლო ლარის კურსი დოლართან შეფარდებით მარტის თვეში 22%-ით შემცირდა;
- განსაკუთრებული დარტყმა პანდემიამ საქართველოს საგარეო სექტორს (ტურიზმი, საგარეო ვაჭრობა, საზღვარგარეთიდან გზავნილები) მიაყენა. ტურისტების რიცხვი თებერვალში - 0,7%, მარტში - 62,3% და აპრილში - 94,5%-ით შემცირდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. საქართველოს საგარეო ვაჭრობა თებერვალ-აპრილის თვეებში 18%-ზე მეტად იკლო, ხოლო იმპორტი უკვე აპრილის თვეში 40%-მდე დაეცა. საზღვარგარეთიდან განხორციელებული გზავნილები (უცხოური სავალუტო ნაკადები) 2020 წლის თებერვალ-მარტ-აპრილ-მაისში 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით 58 მილიონი დოლარით შემცირდა;
- 2020 წლის აპრილში 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12%-ით იკლო საგადასახადო და საბაჟო შემოსავლებმა [2].

ჩვენს მიერ მოყვანილი მაჩვენებლები საკმარისია მხოლოდ პანდემიის შედეგების ყველაზე ზოგადი და ზედაპირული შეფასებისთვის. ვფიქრობთ საინტერესო იქნებოდა ის დახმარებები გაგვეანალიზებინა, რომელსაც პანდემიის შედეგების აღმოსაფხვრელად გვპირდებიან, მაგრამ ინფორმაციის სიმწირესთან დაკავშირებით ამას ვერ მოვახერხებთ. გაცილებით მნიშვნელოვანია კარგად გავერკვიოთ თუ როგორი იქნება პანდემიის შემდგომი პერიოდის ეკონომიკა. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია მოვიყვანოთ კორონა ვირუსის გავრცელების შედეგად დაზარალებული და გარკვეულ წილად დაწინაურებული დარგები. დაზარალებულ დარგებს მიეკუთვნება:

- საგარეო ვაჭრობა;
- ტრანსპორტი (საჰაერო, საავტომობილო);



- ტურიზმი, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სასტუმროები;
- ონლაინ-მომსახურება და გართობა (საპარიკმახეროები, ფიტნეს-კლუბები, სამორინეები, სპორტი, თეატრი, კინო, სადღესასწაულო შეკრებები და სხვა).

პანდემიის შედეგად დაწინაურდნენ და მოგებული დარჩა შემდეგი დარგები:

- ლოკალური e-ვაჭრობა, განსაკუთრებით პროდუქტებითა და გამზადებული საკვებით;
- ონლაინ-გართობა;
- სამედიცინო პრეპარატებისა და საშუალებების წარმოება და გასაღება;
- დისტანციური მედიცინა;
- ბუნების დაცვა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სფერო;

- საფინანსო დარგის მნიშვნელოვანი აქტივობები;

- ახალი ციფრული ლანდშაფტის დამკვიდრების მიმართულებები და სისწრაფე.

პანდემიის პერიოდში გამოიკვეთა სახელმწიფოს განსაკუთრებული მისია და როლი, რაც საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ახალ როლსა და გამოწვევებში ვლინდება. აღსანიშნავია ეკონომიკური პოლიტიკის ხუთი მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარება. ამ მიმართულებებს განეკუთვნება:

1. სახელმწიფო, როგორც ინოვაციების მთავარი შემკვეთი. ინოვაციური პროდუქტების ბაზრებზე სახელმწიფო შეკვეთების დომინირების პოლიტიკა;

2. სახელმწიფო, როგორც ინფრასტრუქტურისა და ეკოსისტემის შემქმნელი. ინოვაციური პროდუქტების ბაზრებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ეკოსისტემის შემუშავების პოლიტიკა;

3. სახელმწიფო, როგორც დაფინანსების წყარო. ინოვაციური პროდუქტების წარმოებისათვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების პოლიტიკა;

4. სახელმწიფო, როგორც ახალი კომპეტენციების შემქმნელი. ახალი კომპეტენციების შექმნისა და სამეწარმეო სფეროში მათი დანერგვის ხელშეწყობი პოლიტიკა;

5. ინოვაციათა კულტურის შექმნის სტიმულირების პოლიტიკა.

უნარები და გადამზადება.

საქართველოს ინოვაციური სამრეწველო დარგების განვითარება და კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია კვალიფიციური სამუშაო ძალის დაკომპლექტებასა და შენარჩუნებაზე. იმის გამო, რომ მოთხოვნები კვალიფიციურებული შრომითი რესურსების მიმართ იზრდება აუცილებელია, რომ განათლება და სწავლება სწრაფად შეიცვალოს როგორც განხორციელების საშუალებებით ასევე შინაარსობრივადაც. საქართველოს ინტერესი ევროპის ციფრულ ბაზართან დაახლოვებაა ამდენად აუცილებელია, რომ ევროპელთა წინაშე არსებული გამოწვევები ჩვენც გავიზიაროთ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეხლა გვაქვს ისტორიული შანსი შევამციროთ ეკონომიკური ჩამორჩენა ICT-ის შესწავლით გავრცელებით, დანერგვითა და განვითარებით. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის რეალობა გახდება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი.

მხოლოდ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ევროკავშირში 120 მილიონ ევროპელს მოუწევს ცოდნის განახლება ან პროფესიული გადამზადება. დაბალი ნახშირბადის ეკონომიკაზე გადასვლა, სავარაუდოდ, 2030 წლისთვის ევროკავშირში შექმნის 1 მილიონზე მეტ სამუშაო ადგილს. ამასთან ევროპაში უკვე არსებობს 1 მილიონი ვაკანსია ციფრული ტექნოლოგიების მცოდნე სპეციალისტებისთვის. ამავდროულად, კომპანიების 70% აცხადებს, რომ ინვესტიციებს აყოვნებს, რადგან ვერ პოულობენ სწორი უნარების მქონე ადამიანებს [3].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოს არც ხელისუფლებას და არც მოსახლეობას კარგად არ აქვს აღქმული თუ რა ელოდება ჩვენს ქვეყანას უახლოეს ათწლეულში. ციფრიზაციის პოლიტიკის ხსენება მოდური გახდა, მაგრამ ციფრულ უნარებზე საუბარი და მსჯელობა არამოდურია. ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ ის მცირერიცხოვანი სპეციალისტები, რომლებსაც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ამზადებს (თუმცა მათი უმრავლესობა თვითნასწავლია) საქართველოში არ ჩერდება და სამუშაოდ საზღვარგარეთულ კონტრაქტებს

ემებს. ამავე დროს საქართველოში ფუნქციონირებადი მცირერიცხოვანი IT ფირმები სპეციალისტებს ვერ პოულობენ.

საერთაშორისო კვლევების საფუძველზე გამოვლენილია, რომ საქართველო კვალიფიციური (ციფრული უნარების მქონე) შრომითი რესურსების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაშია. ასეთ კვლევათა რიცხვს განეკუთვნება ტალანტების კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსი 2020 (The Global Talent Competitiveness Index 2020). ამ ინდექსში მოცემულია შეფასებები, რომლებიც მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ, რათა ჩვენმა ქვეყანამ და საზოგადოებამ მდგრადი და ინკლუზიური განვითარების მაღალ მიზნებს მიაღწიოს. პირველ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ციფრიზაციის პოლიტიკის განსხვავებული მოდელის მქონე ქვეყნებზე. იგი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ციფრიზაციის მეტად ეფექტიანი პოლიტიკის მოდელი და მისი განვითარების მიმართულებები. ცხრილ 1-ში მოცემულია საქართველოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობა. რეიტინგში ჩვენს ქვეყანას 68-ე ადგილი უჭირავს და მას სამხრეთ კავკასიის ორივე ქვეყანა (აზერბაიჯანი და სასომხეთი) უსწრებს.

*ცხრილი №1*

**ტალანტების კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსი 2020<sup>79</sup>**

| ტალანტების კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსი |          |                        |         |                    |             |            |            |
|---|----------|------------------------|---------|--------------------|-------------|------------|------------|
| ქვეყანა   | რეიტინგი | შესაძლებლო ბათა შექმნა | მოზიდვა | ზრდის შესაძლებლობა | შენარჩუნება | უნარები VT | უნარები GT |
| ავსტრალია   | 10       | 17                     | 7       | 9                  | 11          | 20         | 9          |
| გაერთიანებული სამეფო                              | 12       | 15                     | 12      | 5                  | 17          | 24         | 3          |
| ესტონეთი  | 24       | 24                     | 31      | 28                 | 31          | 29         | 10         |
| მალაიზია  | 26       | 26                     | 28      | 23                 | 34          | 15         | 33         |
| აზერბაიჯანი                                       | 45       | 52                     | 44      | 82                 | 35          | 23         | 74         |
| ყაზახეთი  | 54       | 62                     | 58      | 78                 | 39          | 62         | 39         |
| სასომხეთი   | 60       | 61                     | 59      | 100                | 64          | 49         | 47         |
| საქართველო  | 68       | 58                     | 69      | 103                | 68          | 68         | 54         |

როგორც ცხრილიდან ჩანს ავსტრალია, გაერთიანებული სამეფო და ესტონეთი ტალანტების კონკურენტუნარიანობის გლობალურ ინდექსის რეიტინგში მაღალ ადგილებზე იმყოფებიან. ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის ესტონეთმა შესძლო ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება ციფრიზაციის პროცესების განვითარებისა და ციფრული უნარების დამკვიდრებისთვის. ეს მიგვითითებს და ადასტურებს მათ მიერ არჩეული ციფრიზაციის პოლიტიკის მოდელის ეფექტიანობაზე. ესტონეთის **ციფრიზაციის ნაციონალურ - სტრატეგიული რეგულირების მოდელი** არ გულისხმობს ადამიანის უშუალო მონაწილეობას სისტემის ფუნქციონირებაში. კერძოდ, ესტონეთის X-road ინიციატივა მუშაობს ტექნიკური კატეგორიებით, რომლის მიზანია მონაცემთა გაცვლის სისტემის ავტომატიზაცია.

<sup>79</sup> Global Talent Competitiveness Index 2020. Countries. <https://www.insead.edu/sites/default/files/assets/dept/globalindices/docs/GTCI-2020-report.pdf>

ესტონეთის მთავრობის X-road (2001) ინიციატივა (რომელიც არის მნიშვნელოვანი რგოლი მასშტაბური პროექტის „ელექტრონული ესტონეთი“), წარმოადგენს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს შორის ციფრული ინფორმაციის გაცვლის სისტემების შექმნასა და შემდგომ გაუმჯობესებას. X-road ინფორმაციის ბირთვი საშუალებას იძლევა ტექნოლოგიურად ორგანიზებულ იქნას ციფრული მონაცემების გაცვლა მონაცემთა ბაზებს შორის უმოკლეს, რეალურ დროში. X-road არ იყენებს ბლოკჩეინს და ერთრანგიან ტექნოლოგიებს<sup>80</sup>, თუმცა, იგი მუშაობს მონაცემთა მიღება/გამოთვლის მსგავსი პრინციპებით. განსახილველი ინიციატივა პირდაპირ კავშირშია ციფრული ინფორმაციის გადაცემასთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. თავისი ტექნოლოგიური კომპონენტის მიხედვით, X-road-ი ქვეყნის მასშტაბით ციფრული პლატფორმაა, რომელიც მუშაობს მუდმივად განახლებულ მონაცემთა ბაზაზე წვდომის პრინციპებით. ნებისმიერ მოქალაქეს ან ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა დაუკავშირდეს X-road-ს იმისთვის, რომ მოითხოვოს უკვე ხელმისაწვდომი ინფორმაცია და ამ საშუალებით შეავსოს მონაცემთა ბაზა. 2017 წელს X-road-ი შეერწყა ფინეთის ციფრული ინფორმაციის გაცვლის სისტემას. სისტემების თავსებადობის წყალობით შესაძლებელი გახდა ამ ქვეყნებს შორის ციფრული ინფორმაციის გაცვლის პროცესების ავტომატიზება. საოცნებოა, რომ მსგავსი სისტემა გვექნება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან, მაგრამ ძალისხმევითა და ინიციატივების პირობებში ეს შესაძლებელია.

მეორე ცხრილში განხილულია საქართველოს კონკრეტული პოზიციების შეფასება, რაც ცხადია განსჯისა და დასკვნების გამოსატანად ძალზე კარგი მასალაა. სრულიად ნათელია, რომ ციფრიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია მეორე ცხრილის პოზიციების ძირეული ცვლილება და გაუმჯობესება [4].

**ცხრილი № 2**

**საქართველოს ძირითადი ინდიკატორები ტალანტების კონკურენტუნარიანობის გლობალურ ინდექსში 2020 წელს (პოზიციების შეფასების ქულები და მინიჭებული ადგილები)<sup>81</sup>**

|       | პოზიციები:  | ქულები | ადგილი |
|-------|---|--------|--------|
| 1.    | <b>შესაძლებლობათა შექმნა</b>                      | 49.87  | 58     |
| 1.1   | <b>ნორმატიული გარემო</b>                          | 62.19  | 71     |
| 1.1.1 | სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობა               | 60.37  | 41     |
| 1.1.2 | კანონის უზენაისობა                                | 60.35  | 50     |
| 1.1.3 | პოლიტიკური სტაბილურობა                            | 56.87  | 87     |
| 1.1.4 | მარეგულირებელი წესების ხარისხი                    | 73.94  | 29     |
| 1.1.5 | კორუფცია  | 59.46  | 36     |
| 1.2   | <b>საბაზრო გარემო</b>                             | 48.82  | 71     |
| 1.2.1 | კონკურენციის ინტენსიურობა                         | 58.9   | 93     |
| 1.2.2 | ბიზნესის კეთების სიმარტივე                        | 94.09  | 5      |
| 1.2.3 | კლასტერული განვითარება                            | 23.2   | 111    |
| 1.2.4 | სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები                       | 6.03   | 81     |
| 1.2.5 | ICT ინფრასტრუქტურა                                | 58.27  | 65     |
| 1.2.6 | ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობა                    | 52.43  | 76     |
| 1.3   | <b>ბიზნესის გარემო</b>                            | 38.6   | 89     |
| 1.3.1 | უმუშევრობა უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში | 49.01  | 113    |
| 1.3.2 | შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა                    | 31.18  | 88     |
| 1.3.3 | დასაქმებულისა და დამსაქმებლის თანამშრომლობა       | 33.38  | 86     |

<sup>80</sup> ერთრანგიანი, დეცენტრალიზებული ქსელი (ინგლ. *peer-to-peer, P2P*) როდესაც ქსელში უამრავი მანქანა და თითოეულს შეუძლია დაკავშირება სხვა დანარჩენებთან. ასეთ ქსელში ხშირად არ არის გამოცალკავებული სერვერები, ხოლო თითოეული კვანძი (peer) წარმოადგენს როგორც კლიენტს ასევე ასრულებს სერვერის ფუნქციას.

<sup>81</sup> Global Talent Competitiveness Index 2020. Georgia. <https://gtcistudy.com/the-gtci-index/#gtci-country-view>

|              |   |              |            |
|--------------|---|--------------|------------|
| 1.3.4        | პროფესიონალური მენეჯმენტი                                   | 48.12        | 68         |
| 1.3.5        | შრომის ანაზღაურებისა და მწარმოებლობის ურთიერთკავშირი        | 41.96        | 82         |
| 1.3.6        | ნარჩენების უტილიზაციის ტექნოლოგიები                         | 41.96        | 82         |
| 1.3.7        | ინვესტიციები განვითარებად ტექნოლოგიებში                     | 29.9         | 95         |
| <b>2</b>     | <b>მოზიდვა</b>  | <b>47.97</b> | <b>69</b>  |
| <b>2.1</b>   | <b>საგარეო დიალზა</b>                                       | <b>36.91</b> | <b>88</b>  |
| 2.1.1        | პუი-სა და ტექნოლოგიების გადმოცემა                           | 48.64        | 89         |
| 1.1.2        | უცხოური საკუთრების პრევალენსობა                             | 54.69        | 75         |
| 2.1.3        | მიგრანტების შემოსვლა  | 23.93        | 93         |
| 2.1.4        | უცხოელი სტუდენტები  | 20.31        | 35         |
| 2.1.5        | „ტვინების“ შემოსვლა   | 37.01        | 88         |
| <b>2.2</b>   | <b>შიგა დიალზა</b>  | <b>59.04</b> | <b>56</b>  |
| 2.2.1        | ტოლერანტობა უმცირესობათა მიმართ                             | 30           | 91         |
| 2.2.2        | ტოლერანტობა იმიგრანტების მიმართ                             | 57.53        | 69         |
| 2.2.3        | სოციალური მობილურობა  | 5744         | 65         |
| 2.2.4        | განათლება მიღებული ქალები                                   | 81.65        | 31         |
| 2.2.5        | გარღვევა გენდერულ განვითარებაში                             | 80           | 55         |
| 2.2.6        | ლიდერობის შესაძლებლობები ქალებისთვის                        | 47.58        | 61         |
| <b>3</b>     | <b>ზრდის შესაძლებლობა</b>                                   | <b>29.19</b> | <b>103</b> |
| <b>3.1</b>   | <b>ფორმალური განათლება</b>                                  | <b>17.95</b> | <b>82</b>  |
| 3.1.1        | პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა                  | 6.58         | 91         |
| 3.1.2        | უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა                    | 45.18        | 49         |
| 3.1.3        | უმაღლესი განათლების მიღების ხარჯები                         | 6.74         | 103        |
| 3.1.4        | <i>კითხვა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</i> | 31.23        | 59         |
| 3.1.5        | უნივერსიტეტების რეიტინგი                                    | 0            | 75         |
| <b>3.2</b>   | <b>სწავლა სიცოცხლის მანძილზე</b>                            | <b>23.95</b> | <b>126</b> |
| 3.2.1        | მენეჯმენტის სკოლების ხარისხი                                | 36.58        | 96         |
| 3.2.2        | ფირმებში ტრენინგების სიჭარბე                                | 9.37         | 93         |
| 3.2.3        | დასაქმებულთა პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა                  | 25.9         | 109        |
| <b>3.3</b>   | <b>ზრდის შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობა</b>                 | <b>45.68</b> | <b>70</b>  |
| 3.3.1        | უფლებამოსილების გადაცემის ხელმისაწვდომობა                   | 36.54        | 92         |
| 3.3.2        | პერსონალური უფლებები  | 80.01        | 54         |
| 3.3.3        | ვირტუალური სოციალური ქსელების გამოყენება;                   | 74.58        | 63         |
| 3.3.4        | ვირტუალური პროფესიონალური ქსელების გამოყენება               | 5.13         | 81         |
| 3.3.5        | თანამშრომლობა ორგანიზაციებში                                | 47.82        | 66         |
| <b>3.2.6</b> | <b>თანამშრომლობა ორგანიზაციებს შორის</b>                    | <b>29.99</b> | <b>90</b>  |
| <b>4</b>     | <b>შენარჩუნება</b>  | <b>46.7</b>  | <b>68</b>  |
| <b>4.1</b>   | <b>მდგრადობა</b>  | <b>27.73</b> | <b>105</b> |
| 4.1.1        | საპენსიო სისტემა  | 29.5         | 71         |
| 4.1.2        | სოციალური დაცვა   | 17.82        | 121        |
| 4.1.3        | „ტვინების“ გადინების შეკავება                               | 35.86        | 80         |
| <b>4.2</b>   | <b>ცხოვრების წესი</b>                                       | <b>65.67</b> | <b>43</b>  |
| 4.2.1        | გარემოსდაცვითი საქმიანობა                                   | 47.11        | 80         |
| 4.2.2        | პირადი უსაფრთხოება  | 55.57        | 65         |
| 4.2.3        | ექიმების რაოდენობა  | 76.28        | 3          |
| 4.2.4        | სანიტარია   | 83.72        | 80         |

|            |   |       |     |
|------------|---|-------|-----|
| <b>5</b>   | <b>ტექნიკური ცოდნის (VT-ს) უნარები</b>          | 43.02 | 68  |
| <b>5.1</b> | <b>საშუალო დონის უნარები</b>                    | 52.51 | 43  |
| 5.1.1      | საშუალო განათლების მქონე სამუშაო ძალა           | 78.97 | 13  |
| 5.1.2      | საშუალო განათლების მქონე მოსახლეობა             | 85.45 | 5   |
| 5.1.3      | ტექნიკოსები და უმცროსი სპეციალისტები            | 31.93 | 68  |
| 5.1.4      | შრომის მწარმოებლურობა თითოეულ დასაქმებულზე      | 13.68 | 78  |
| <b>5.2</b> | <b>დასაქმების შესაძლებლობა</b>                  | 33.53 | 113 |
| 5.2.1      | კვალიფიცირებული მუშაკის მონახვის სიადვილე       | 40.37 | 106 |
| 5.2.2      | განათლების სისტემის შესატყვისობა ეკონომიკისადმი | 31.33 | 100 |
| 5.2.3      | საშუალო განათლების შესაბამისი უნარები           | 25.62 | 114 |
| 5.2.4      | უმაღლესი განათლების შესაბამისი უნარები          | 36.81 | 114 |
| <b>6.</b>  | <b>გლობალური (GK) უნარები</b>                   | 29.93 | 54  |
| <b>6.1</b> | <b>მაღალი დონის უნარები</b>                     | 34.61 | 52  |
| 6.1.1      | სამუშაო ძალა უმაღლესი განათლებით                | 51.42 | 33  |
| 6.1.2      | უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობა            | 52.21 | 24  |
| 6.1.3      | პროფესიონალები                                  | 31.76 | 55  |
| 6.1.4      | მკვლევარები                                     | 16.13 | 44  |
| 6.1.5      | მაღალი თანამდებობის პირები და მენეჯერები;       | 33.44 | 42  |
| 6.1.6      | მეცნიერებსა და ინჟინრებზე ხელმისაწვდომობა       | 22.69 | 125 |
| <b>6.2</b> | <b>ნიჭიერთა გავლენა</b>                         | 25.26 | 56  |
| 6.2.1      | ინოვაციების შედეგიანობა                         | 33.98 | 59  |
| 6.2.2      | მაღალი ღირებულების ექსპორტი                     | 8.84  | 87  |
| 6.2.3      | სამეწარმეო საქმიანობის ახალი პროდუქტები         | 37.06 | 60  |
| 6.2.4      | ახალი ბიზნესის სიმჭიდროვე                       | 40.29 | 16  |
| 6.2.5      | სტატეები სამეცნიერო ჟურნალებში                  | 6.12  | 63  |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებობს მაღალკვალიფიციური და კოგნიტური აზროვნების მქონე სპეციალისტთა ჩამოყალიბების პოტენციალი. მნიშვნელოვანია, რომ პოტენციალის გამოყენება შევძლოთ ეროვნული ინტერესებისათვის და მათ საზღვრებში. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა წარიმართოს ახალი სპეციალობებისა და ციფრული უნარების პროპაგანდისა და საზოგადოებრივ ღირებულებებზე ზემოქმედების საფუძველზე. უაღრესად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სისტემისა და მასობრივი მედია საშუალებების გამოყენების გზით საქართველოს საზოგადოებამ მიიღოს ცოდნა უახლესი ციფრული უნარების შესახებ. საჯარო სექტორსა და ბიზნესს ამ პროცესებში წამყვანი როლი ენიჭება.

ახალი ციფრული უნარების, სპეციალობებისა და პროფესიების პოლიტიკური დისკურსის მიზანი არის მოქალაქეებისთვის არა მარტო განმარტებების მიცემა უახლესი ტექნოლოგიების შესწავლის აუცილებლობაზე არამედ მათი დარწმუნება მოქმედებისათვის საკუთარი თავისა და სახელმწიფოს ინტერესებში. მკვლევართა აზრით დარწმუნება და რწმენის ფორმირება სახელმწიფო პოლიტიკური დისკურსის მთავარი მახასიათებლებია.

პანდემიის შედეგები უპრეცედენტოდ მწვავე და ძნელად დასაძლევ სჩანს და ამდენად სწორედ ეხლა გვაქვს სამოქალაქო თვითშეგნებისა და ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობა. საქართველოს სახელმწიფოს წინაშე წარმოქმნილი პრობლემების დასაძლევად განსაკუთრებით საშიშია ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები, რომლებიც ნაციონალური

ინტერესების რეალიზაციის მიზნით საზოგადოებრივ ღირებულებათა ჯაჭვის საზღვრებში უნდა იქნეს მოქცეული.

### დასკვნები

პანდემიის მიმდინარეობის პრცესში მკაფიოდ გამოიკვეთა სახელმწიფოს როლის, აქტივობებისა და პასუხისმგებლობის ზრდის ტენდენცია. აშკარაა ისიც, რომ საზოგადოებამ (საქართველოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობა, რომლებსაც სჯერათ ან არ სჯერათ შეთქმულების თეორია) სახელმწიფოს მთავრობის მოწოდებებსა და გადაწყვეტილებებს დაეთანხმა და დაემორჩილა. ჩამოყალიბებული ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში დაიწყება (საჭიროც გახდება) სახელმწიფო ეკონომიკის (საჯარო სექტორის) პოზიციის გაფართოება. ამ პროცესს მოჰყვება დასაქმების საკითხისა და მინიმალური გარანტირებული შემოსავლის შექმნის, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებისა და სახელმწიფო IT ინფრასტრუქტურის აწყობის აუცილებლობა;

საქართველოს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე წარმოჩენილი ახალი მიზნების რეალიზების წარმატება დამოკიდებული იქნება:

- სახელმწიფო ბიუჯეტის (როგორც ცენტრალური აგრეთვე მუნიციპალური და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები) მდგრადობის უზრუნველყოფაზე;
- ბიუჯეტების სტაბილურ შევსებაზე საგადასახადო შემოსავლებით;
- დახმარებათა პაკეტის რაციონალურ განაწილებასა და მის შესრულებაზე უმკაცრესი კონტროლის დაწესებაზე საზოგადოებრივი სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვით.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში მოსალოდნელ ცვლილებებს თან დაერთვება ბიზნესის ახალი ტიპის ფრაგმენტაციური, დანაწილებითი მოდელის აღმოცენება. იგი დაკავშირებული იქნება e-მარკეტინგის, საქონლისა და მომსახურების ონლაინ გაყიდვების, ოფლაინ მუშაობის ორგანიზებისა და რობოტო-ტექნიკის სწრაფი დანერგვის პროცესებთან;

პოსტპანდემური პერიოდის ზრდისა და განვითარების პოლიტიკის წარმატება და ეფექტიანობა განპირობებული იქნება უახლესი ციფრული უნარების, სპეციალობებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი რესურსების აქტივობით. პანდემიის საბოლოო დამარცხება შეუძლებელია სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ინკლუზიურობის ხარისხის ზრდის გარეშე;

ბიზნესის ახალი სტრუქტურირებული მოდელების მხარდაჭერა ეკონომიკური პოლიტიკით უნდა განხორციელდეს და დასრულდეს მანამდე სანამ დამთავრდება საზღვარგარეთული დახმარების „ფული“;

საზღვარგარეთული დახმარების „ფული“-სთვის ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფებს შორის გამართული ბრძოლის პერიოდში ხელისუფლებამ (არჩევნებში რა ძალაც არ უნდა იმარჯვდეს) ნაციონალური ინტერესების რეალიზაციისათვის უნდა ჩამოაყალიბოს მტკიცე ვერტიკალი. ცხადია, რომ ასეთი ვითარება კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებასა და მისი აქტივობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ზღუდავს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ცაზე Space X-ის Starlink-ის თანამგზავრები გამოჩნდა. 5.25. 2020; <https://netgazeti.ge/news/446770/>
2. ეკონომიკური მაჩვენებლები - საქართველო და მეზობელი ქვეყნები. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანგარიში; <https://www.entrepreneur.com/article/350756>

3. EUROPEAN COMMISSION. COMMUNICATION FROM THE COMMISSION. A New Industrial Strategy for Europe. Brussels, 10.3.2020. COM(2020) 102 final;  
<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52020DC0102&from=EN>
4. Global Talent Competitiveness Index 2020. Georgia.  
<https://gtcistudy.com/the-gtci-index/#gtci-country-view>

*Irina Gogorishvili*

**THE MAIN CHALLENGES OF ECONOMIC POLICY  
 DURING AND AFTER THE COVID 19 PANDEMIC**

**Summary**

This paper examines the issues of the pandemic and post-pandemic period of COVID 19. An analysis of the economic transformation and the possibility of Georgia's economic policy to overcome the crisis. The main policies and decisions should be based on the processes of steady digitalization of the processes of restoration and implementation of new trends. The changes will affect business models, which implies the emergence of a new differentiated business cycle. The study is based on the use of web pages and decisions of the Georgian government. The study assesses the changes taking place in the Georgian economy.

**Keywords:** COVID 19 pandemic, Economic Policy of Georgia, new digit skills and specialties.

*მაია გოგორიშვილი*

**კომერციული ბანკების კორპორატიული სოციალური  
 პასუხისმგებლობის შეფასების საკითხისათვის**

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია საზღვარგარეთის პრაქტიკაში არასაფინანსო კომპანიებისა და ბანკების კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისათვის გამოყენებული სარეიტინგო (საინდექსო) მეთოდები, ასევე აკადემიურ ლიტერატურაში მოცემული ბანკების სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისადმი ზოგიერთი საინტერესო მიდგომა. ხაზგასმულია, რომ მიზანშეწონილია მრავალფაქტორიანი მოდელის გამოყენება შემაჯამებელი რეიტინგის გამოთვლით ყოველი ბანკისათვის, რომელმაც უნდა მოიცვას შემდეგი მაჩვენებლები: ბანკების მიერ რეგულირების წესებისა და ნორმების დაცვა, ეთიკური პრინციპების კოდექსი, არაფინანსური ანგარიშგება, პასუხისმგებლიანი ფინანსური პროდუქტები, სოციალური ქცევა.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური ინსტიტუტები, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ESG რისკების მართვა, სარეიტინგო (საინდექსო) მეთოდები.

**შესავალი**

გლობალური ფინანსური კრიზისიდან მიღებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილი ისაა, რომ ფინანსური მარეგულირებლის მიერ თითოეული ცალკეული ფინანსური ინსტიტუტის მდგრადობის უზრუნველყოფა არასაკმარისია. ეს თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ფინანსური სისტემის როგორც მთლიანის, მდგრადობას [კრუგმანი პოლ რ., ობსტფელდი მ., მელიტცი მარკ ჯ., 2017: 621]. საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფაქტორია, აუცილებელია სახელმწიფოს, ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების, მათი თანამშრომლებისა და მომხმარებლების მიერ სოციალური პასუხისმგებლობის დაცვა [კვარაცხელია რ., კიკალიშვილი ლ., 2020].

კლასიკური გაგებით, მენეჯერის ერთადერთი სოციალური პასუხისმგებლობა მოგების მაქსიმიზაციაა. ამ მიდგომის ყველაზე პირდაპირი პროპაგანდისტია ნობელის პრემიის

ლაურეატი ეკონომისტი მილტონ ფრიდმენი. აღნიშნულთან ერთად, სოციალური პასუხისმგებლობა ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ხედვას, შეხედულებას, რომლის თანახმადაც მენეჯერის სოციალური პასუხისმგებლობა სცილდება მოგების გამომუშავებას და მოიცავს საზოგადოების კეთილდღეობის დაცვასა და გაუმჯობესებას [რობინსი სტევენ პ., კოულტერი მ., 2019: 155].

\*\*\*

თანამედროვე მსოფლიოში ძნელად წარმოსადგენია ნორმალური რეპუტაციის კომპანია, რომელიც არ აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. სოციალური პასუხისმგებლობა ბიზნესის რეაქციაა საზოგადოების შეცვლილ მოთხოვნებზე. ანალიტიკოსების შეფასებით, სოციალურად ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან მზარდია „ზეწოლა“ ამ თვალსაზრისით სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ წარმატებული კომპანიები არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს დაცვით პრობლემებზეც ახდენენ ზეგავლენას [ლექვინიძე ი., 2014].

საქართველოში დღეისათვის შემუშავებულია კომერციული ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების თანმიმდევრული, თავსებადი და შედარებითი გამჟღავნების პრინციპები, რაც ემსახურება ფინანსური სექტორის მიერ ESG რისკების უკეთეს მართვასა და გამჭვირვალობის ზრდას. კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის ESG ანგარიშგებისა და ინფორმაციის გამჟღავნებაზე მოთხოვნებს აწესებს. ზემოაღნიშნული პრინციპების მიზანია, ბანკებს ამ მოთხოვნების შესრულებაში დაეხმაროს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი ანგარიშგების ძირითადი პრინციპები მიაწოდოს [nbg.gov.ge].

ამასთანავე მიგვაჩნია, რომ უაღრესად აქტუალურია კომპანიების, მათ შორის ბანკების სოციალური პასუხისმგებლობის შეფასების მეთოდიკის შემუშავება, რისთვისაც ბოლო ათწლეულების მანძილზე არა ერთი მცდელობა განხორციელდა.

დ. თურქერის ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა მიდგომის მიმოხილვა [Turker D., Measuring corporate social responsibility: A scale development study // Journal of Business ethics. 2009. 85/4. P. 411-427], რომელთა შორისაა:

- რეპუტაციული ინდექსების გამოთვლა და მონაცემთა ბაზის ფორმირება მიღებული შედეგებით. ბაზა KLD (the kinder, Lydenberg and Domini Database) ინდექსი Fortune Index, სოციალური ინვესტიციების კანადური ბაზა (CSID) მისი მაგალითებია;

- ერთ ან მრავალფაქტორიანი მოდელები;
- კონტენტანალიზი.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში არასაფინანსო კომპანიებისა და ბანკების კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისათვის ფართოდ გამოიყენება რეიტინგული (საინდექსო) მეთოდიკები. ცნობილია ისეთი უნივერსალური ინდექსები, როგორცაა: FTSE 4 Good, DJSI, NASDAQ Social Index.

Dow Jones Sustainability Index (DJSI) გამოითვლება 1999 წლიდან. მასში გაითვალისწინება კომპანიის საქმიანობის ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მხარეები. გაანგარიშებაში ჩართულია დარგის ლიდერი კომპანიები (best-in-class approach). ანალოგიურია ინდექსი FTSE4 Good (გაზეთი Financial Times, LSE-თან ერთად).

DJSI ოჯახის ინდექსები გამოითვლება როგორც ქულების შეწონილი ჯამი, ქულები კი ენიჭება ანკეტების კითხვებზე პასუხებით. წონათა მნიშვნელობა ყოველი კრიტერიუმისათვის დამოკიდებულია დარგზე, კრიტერიუმები გაერთიანებულია ბლოკებში:

- ბიზნესის ეკონომიკური განზომილება (კორპორატიული მართვის პრაქტიკა, რისკ-მენეჯმენტის სისტემა და კლიენტებთან ურთიერთობების მართვა, ქცევის კოდექსების არსებობა და შინაარსი, ბრენდისა და საწარმოო ჯაჭვის მართვა, საგადასახადო სტრატეგია, საკუთრების დაცვა);



○ სოციალური განზომილება: არასაფინანსო ანგარიშგება, პერსონალის მართვა და ადამიანის უფლებათა დაცვა, ადამიანისეული კაპიტალის განვითარება, ნიჭიერი თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება, ქველმოქმედება, შრომის ჰიგიენა, დაინტერესებულ პირთა ფართო წრესთან ურთიერთქმედება.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობს რეიტინგები, მინიჭებული MSGI და EIRIS-ის მიერ [https://www.msci.com/esg-indexes, http://www.eiris.org/asset-managers/products services/sustainability-ratings]. კრიტერიუმები დაყოფილია სამ ჯგუფად: გარემო (მნიშვნელობა 50%), სოციალური საქმიანობა (30%) და კორპორატიული მართვა (20%). DJSI-გან განსხვავებით შეფასების მეთოდიკა არ არის გახსნილი. ინდექსები უნივერსალურია და არ ითვალისწინებს საბანკო საქმიანობის სპეციფიკას.

საზღვარგარეთის აკადემიურ ლიტერატურაში გვხვდება რიგი პუბლიკაცია, სადაც მოცემულია ბანკების სოციალური პასუხისმგებლობის შეფასების მეთოდიკები.

ყურადღებას იმსახურებს იტალიელი ეკონომისტების ჯგუფის ნაშრომი, რომელშიც შემოთავაზებულია საკუთარი მრავალფაქტორიანი მოდელი [Birindelli Giuliana, Ferreti Paola, Intoni Mariantonietta, Ianuzzi Antonia. On the drivers of corporate social responsibility in banks: evidence from an ethical rating model//Journal of management & Governance. May 2015, Vol. 19. Issue 2. p. 303-340]. ის გვაგონებს ზემოთ აღნიშნულ საინდექსო მეთოდებს. მაგრამ იტალიელი მეცნიერების მიერ შემოთავაზებული ინდექსი უფრო მარტივია და გამოითვლება ღია ინფორმაციის საფუძველზე. მეთოდიკა მოიცავს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის 4 მიმართულებას და ამოწმებს ბანკის საქმიანობას 48 მაჩვენებლის მიხედვით (ყოველ მათგანს შეიძლება მიენიჭოს 0 ან 1 ქულა, რაც შეესაბამება პასუხებს - დიახ ან არა). გათვალისწინებულია საბანკო საქმიანობის სპეციფიკა: ცალკე ფასდება სპეციალური საბანკო პროდუქტების არსებობა, რომლებსაც აქვს სოციალური ეფექტი (მიკროდაკრედიტება, მიგრანტების მომსახურება, რესურსების მოძიება არაკომერციული ორგანიზაციებისთვის, საგანმანათლებლო კრედიტები, ინსტრუმენტები ახალგაზრდობის მხარდასაჭერად, ფინანსური ზიანების ასამაღლებელი პროექტები და ა.შ.).

ამგვარად, კრიზისისათვის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ძველი მოდელების ნაცვლად აიგება ახალი [გოგოხია მ., 2020: 106]. ბოლო წლების ფინანსურმა კრიზისებმა წინა პლანზე წამოწია ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების და მათ შორის, პირველ ყოვლისა ბანკების ქცევის ეთიკური პრინციპები, ვინაიდან მთელი მათი საქმიანობა არსებით გავლენას ახდენს საზოგადოებისა და გარემოს მდგომარეობაზე.

## დასკვნა

საზღვარგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით და ქართული რეალობის მხედველობაში მიღებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მრავალფაქტორიანი მოდელის გამოყენება შემაჯამებელი რეიტინგის გამოანგარიშებით ყოველი ბანკისათვის. მეთოდიკამ უნდა მოიცავს მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფები: ბანკების მიერ რეგულირების წესებისა და ნორმების დაცვა, ეთიკური პრინციპების კოდექსი, არაფინანსური ანგარიშგება.

ქართული კომერციული ბანკებისათვის სოციალური პასუხისმგებლობის მიხედვით მინიჭებული რეიტინგები, ფართო საზოგადოებას, მათ შორის ინვესტორებს შესაძლებლობას მისცემს განსაზღვრონ კონკრეტული ბანკის მისია, მისი განსხვავება და უპირატესობა სხვა ბანკებთან შედარებით, რაც საფუძველად დაედება გადაწყვეტილებას ბანკებთან პარტნიორული ურთიერთობების თაობაზე და გაზრდის ნდობას საბანკო სისტემისადმი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგოხია მ. 2020, საბანკო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე, „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. XII, №3.

2. კრუმანი პოლ რ., ობსტფელდი მ., მელიტცი მარკ ჯ., 2017. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, მეათე ინგლისური გამოცემის ავტორიზებული თარგმანი. თბილისი. თსუ-ის გამომცემლობა.

3. კვარაცხელია რ., კიკალიშვილი ლ., 2020. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა თანამედროვე საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობისათვის. „ეკონომიკა - XXI საუკუნე“, conferenceconomics.tsu.ge.

4. ლექცინიძე ი., ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში, 2014. Forbes.ge.

5. რობინსი სტეფენ პ., კოულტერი მ., 2019. მენეჯმენტი. მეთორმეტე ინგლისური გამოცემის ავტორიზებული თარგმანი. თბილისი. თსუ-ის გამომცემლობა.

6. www.nbg.gov.ge

*Maya Gogokhia*

## **CORPORATE SOCIAL OF COMMERCIAL BANKS FOR THE ISSUE OF LIABILITY ASSESSMENT Summary**

One of the important lessons learned from the global financial crisis is that ensuring the sustainability of a particular financial institution by the financial regulator is not enough, since it does not ensure the stability of the financial system as a whole. Adherence to the principle of social responsibility by the state, the national bank, commercial banks, their employees and consumers is important for the stability of the banking system. Otherwise, the crises of recent years have brought to the fore the ethical principles of behavior of monetary institutions, including, first of all, banks, since all their activities have a significant impact on the state of society and the environment.

Nowadays, it is difficult to find a good reputable company in the world that does not pay due attention to the issue of social responsibility, which is the response of business to the changing needs of society. Successful companies are interested in their own business, as well as they impact on the social, economic and environmental problems. ESG risk management in the financial sector of Georgia have to be raised to a higher level. In this regard, it is important to develop a methodology for assessing the social responsibility of banks.

The work discusses rating (index) methods that are used in the practice of foreign companies to assess the corporate social responsibility of non-financial companies and banks, also, some interesting approaches to assessing the social responsibility of banks which are given in the scientific literature. It is emphasized that it is advisable to use a multivariate model with the calculation of a consolidated rating for each bank, which should include the following indicators: compliance with rules and regulations by banks, code of ethics, non-financial reporting, responsible financial products, social behavior.

The ratings assigned to Georgian commercial banks on the basis of social responsibility will enable the general public, including investors, to define the mission of a particular bank, its differences and advantages over other banks. This will form the basis of the decision to partner with banks and increase confidence in the banking system.

**Key words:** *Financial institutions, CSR, ESG risk management, rating (indexation) methods.*

*ლია დვალისვილი*

### **ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და დაბინძურება საქართველოში**

**ანოტაცია.** ჰაერის დაბინძურება მსოფლიოს ერთ-ერთი მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემაა. ნაშრომში გაანალიზებულია, როგორ უკავშირდება ჰაერის მაღალი ხარისხი ცხოვრების მაღალ ხარისხს. მოყვანილია ჰაერის დაბინძურების შედეგად სიკვდილიანობით გამოწვეული ზარალისა და ცხოვრების ხარისხის გაუარესებით მიყენებული ზიანის ამსახველი მონაცემები. აღნიშნულია, რომ საქართველოში ატმოსფერული დაბინძურება საკმაოდ მაღალია, ხოლო კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებსაც კი ვერ უახლოვდება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ჰაერის ხარისხის ინდექსის მაჩვენებელზე. ხაზგასმულია ჰაერის

დაბინძურების სფეროში დანერგილი სიახლეების თაობაზე. მითითებულია როგორ გავხადოთ ქვეყანა უკეთესი, სუფთა და მწვანე.

**საკვანძო სიტყვები:** ჰაერის ხარისხის ინდექსი; ატმოსფერული ნაწილაკები; ჰაერის ხარისხის ინტერაქტიული პლატფორმა; ემისია; ავტომატური მონიტორინგის ქსელი; ინდიკატორული გაზომვა.

\*\*\*

დაბინძურებული ჰაერი არის მთავარი და ხშირად უხილავი მკვლელი, რომელსაც მსოფლიოში ყოველი მეცხრე გარდაცვალება უკავშირდება. მათ შორის ფილტვის კიბოთი სიკვდილიანობის 36%; ინსულტის 34%; გულის დაავადებების 27% და ფილტვის ქრონიკული დაავადებების 35% (9).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური განყოფილების მიერ შემუშავებული ჩარჩო-რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრულ 12 ძირითად მიმართულებას შორის, რომელიც გარემოსდაცვითი სტატისტიკის მთავარ სფეროებს ასახავს, ერთ-ერთ მიმართულებად ჰაერის ხარისხი განისაზღვრა.

ცხოვრების მაღალი ხარისხი დამოკიდებულია ჰაერის მაღალ ხარისხზე. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როცა მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, ტრანსპორტთან დაკავშირებული ემისიების ზრდასთან ერთად, პირდაპირ უკავშირდება ჰაერის ხარისხის გაუარესებას. თუმცა მხოლოდ ეს ორი ფაქტორი არ არის მიზეზი.

თანამედროვე მსოფლიოში წიაღისეული საწვავის წვას ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს ჰაერის დაბინძურებაში. წამყვანი დამნაშავეა მოძრაობაც, მაგრამ ქარხნები და ელექტროსადგურები გარკვეულწილად განაგრძობენ თავიანთი წვლილის შეტანას ამ საქმეში. ესენი არიან პასუხისმგებელი ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია ჰაერის ხარისხის ზრდა, რაც საგანგებო მდგომარეობის შემოღებით აიხსნება. მიმოსვლის საშუალებების მკაცრმა შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა ემისიების მოცულობაზე, შესაბამისად გამონაბოლქვზე, შედეგად ჰაერის ხარისხზე. ორმაგად შესამჩნევი გახდა ჰაერის გაჯანსაღება მსოფლიო მასშტაბით, დაბინძურებული ჰაერი ქვეყნიდან თითქმის გაქრა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სატრანსპორტო სექტორი არის გარემოს პირველი დამაბინძურებელი წყარო.

ზოგადად, ჰაერში მომწამვლელი ნივთიერების დონე აირების ტიპებით და წვრილი ნაწილაკების რაოდენობით განისაზღვრება. მრავალი ათეული წლის მანძილზე მეცნიერთა კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დაედგინათ რა ხდიდა ასე საშიშს ატმოსფერულ ნაწილაკებს მაშინ, როცა ცუდი ხარისხის ჰაერის ჩასუნთქვა ინტენსიურ ხასიათს იღებდა. მსოფლიო მასშტაბით სამი წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერებმა მიიღეს მონაწილეობა ამ კვლევაში. მათ მიერ ატმოსფერული ნაწილაკების სხვადასხვა ნიმუშების შეგროვება და მათი შემადგენლობის გაანალიზება სპექტომეტრული ტექნიკის გამოყენებით მოხდა შვეიცარიაში. მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ატმოსფერული ნაწილაკების მავნე ბუნება განპირობებულია მისი ჟანგვითი პოტენციალით, რაც განაპირობებს ანთებითი პროცესების განვითარებას ფილტვებში. კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქებში მცხოვრები ადამიანები უფრო დიდი სიმძაფრით განიცდიან წვრილი ნაწილაკების ზემოქმედებას, ვიდრე სოფლად მცხოვრებნი (8).

ჰაერის დაბინძურება გაცილებით ნაკლებად ჩანს, ვიდრე წყლის დაბინძურება. ბევრმა ადამიანმა ნაკლებად იცის იმ ჰაერის ხარისხის შესახებ, რომელსაც სუნთქავს და მის გავლენაზე საკუთარ ჯანმრთელობაზე.

ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების დონის გასაზომად საუკეთესო სტანდარტია ჰაერის ხარისხის ინდექსი - AQI. იგი გარე ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ საზომადაა მიჩნეული. AQI ემყარება ნაწილაკების (PM<sub>2.5</sub> და PM<sub>10</sub>), ოზონის (O<sub>3</sub>), აზოტის დიოქსიდის (NO<sub>2</sub>), გოგირდის დიოქსიდის (SO<sub>2</sub>) და ნახშირბადის მონოოქსიდის (CO) ემისიების გაზომვას. AQI-ს

მაღალი მაჩვენებლები გულისხმობს ჰაერის დაბინძურების მეტ დონეს. 100-ზე მეტი AQI ჯანმრთელობისთვის საშიშად ითვლება.

ჰაერის ხარისხის ყველაზე დიდი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, რეალურ დროში ჰაერის ხარისხის მონაცემთა შესადგენად შვეიცარიის ჰაერის ხარისხის ტექნოლოგიური კომპანია (IQAir) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)UN- Habitat გაერთიანდა. ჰაერის ხარისხის ინტერაქტიული პლატფორმა ამოქმედდა მსოფლიო ურბანული ფორუმის მეათე სესიაზე აბუ-დაბიში, 2020 წლის თებერვალში. ეს პლატფორმა საშუალებას აძლევს ინდივიდებს, შეაგროვონ მონაცემები. მიდგომა ორმაგი სარგებლითაა: ინდივიდუალური გაზომვების უფრო დიდი რაოდენობა და საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა ჰაერის ხარისხის შესახებ. მილიონობით მომხმარებლის მიერ პლატფორმაზე წვდომის შედეგად შეიძლება ჰაერის ხარისხის გაზომვები ადგილობრივი დაბინძურების დონის დასადგენად და პერსონალური სამედიცინო რეკომენდაციის მისაღებად პლატფორმის ან მობილური აპლიკაციის საშუალებით. პლატფორმა ამჟამად იღებს მონაცემებს 4000-ზე მეტი პროვაიდერისგან (მთავრობების ჩათვლით) და მას ჰყავს 15 მლნ-ზე მეტი მომხმარებელი (13).

ჰაერის დაბინძურება ევროპაში ერთ-ერთ დიდ გარემოსდაცვით პრობლემას წარმოადგენს. ევროპის ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის 95% განიცდის მტვრის შეწონილი ნაწილაკების PM<sub>2.5</sub> და მიწისპირა ოზონის მავნე ზემოქმედებას. ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტები თითქმის ოცი წლის წინ დადგინდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ „ევროპის ჰაერის ხარისხის სტანდარტი“ განისაზღვრა 35 ყველაზე გავრცელებული დამაბინძურებელი ნივთიერების მიხედვით და შესაბამისად დადგინდა მათი დასაშვები ნორმებიც.

აშშ-ში სუფთა ჰაერის ხარისხის სტანდარტი 1972 წლისათვის თავს უყრიდა ათ ყველაზე გავრცელებულ დამაბინძურებელ ნივთიერებას. 1990 წელს კანონში შეტანილი შესწორებების საფუძველზე ეს სტანდარტი 200 ნივთიერებას გაუტოლდა.

ევროკავშირის წევრი ნებისმიერი ქვეყნისთვის საერთო პრიორიტეტები და მოთხოვნები, რომელიც უკავშირდება ჰაერის დამაბინძურებელ ნივთიერებებს, განსაზღვრულია სხვადასხვა დირექტივით. ჰაერდაცვითი პოლიტიკის სფეროში არჩეული დირექტივები ემსახურება ჰაერის შეფასებას და მისი ხარისხის მართვას.

კანონმდებლობა და ფორმატი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია.

საქართველოში ჰაერის ხარისხი ევროკავშირის მიერ დაწესებულ ნორმებთან შეუსაბამოა. ჩვენს ქვეყანაში ატმოსფერული დაბინძურება საკმაოდ მაღალია, ხოლო კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებსაც ვერ უახლოვდება. ქვეყნის მასშტაბით ჰაერის ხარისხის სტანდარტები ეფუძნება მაქსიმალურად აღიარებულ მაჩვენებლებს და შეუძლებელია მისი პირდაპირ შედარება იმ სტანდარტებთან, რომელიც მიღებულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და EC-ის მიერ.

ევროკავშირის მიერ დადგენილი ჰაერის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით 15 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ეფექტიანობის აუდიტი ჩატარდა. ანგარიში ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების ინდივიდუალურ კვლევებს ეფუძნება. ერთობლივი ანგარიში ევროპის უმაღლესი აუდიტორული გაერთიანების (EUROSAL) ეგიდით მომზადდა.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ჰაერის დაბინძურების მთავარი მიზეზები სამშენებლო და სატრანსპორტო სექტორშია. ჰაერის დაბინძურების მთავარი, გამოკვეთილი წყარო კი არის ავტომობილების გამონაბოლქვი, ამავე დროს, მასთან დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალებების ხანდაზმული ასაკი, რადგან ქვეყნის ავტოპარკის 91% ათ წელზე მეტი ხნისაა და წვის ძრავა მოძველებული.

უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს კანონზე „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, რომელშიც უნდა ასახულიყო ჰაერის ხარისხის დაცვის სფეროში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ღონისძიება. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, გარემოს მდგომარეობის

ხარისხობრივი ნორმები განისაზღვრება 5 წელიწადში ერთხელ, დებულებით „გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

კანონპროექტის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვები ნორმები წოდებულია როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი სტანდარტი და წარმოდგება გარემოს ხარისხობრივი ნორმების (სტანდარტების) შემადგენელ ნაწილად. მას ამტკიცებს მთავრობა ტექნიკური რეგლამენტის – ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი სტანდარტის სახით. ამავე კანონპროექტით განსაზღვრულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენა ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით.

უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №383 დადგენილებით ტექნიკური რეგლამენტის – „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები“ – დამტკიცება, რომელიც ასახავს 2008/50/EC და 2004/107/EC დირექტივებით გათვალისწინებული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობებს.

საქართველოს და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება წარმოადგენს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების რისკის შემცირების მთავარ ინსტრუმენტს, ვინაიდან იგი საქართველოსგან 2023 წლის ბოლოსთვის ითხოვს ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის ექვს მთავარ დირექტივასთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის შესახებ.

ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი საფრთხეების გადასაჭრელად საქართველოს მთავრობა იყენებს მონიტორინგის სისტემას, რომელიც დაფუძნებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიღებული ინდიკატორული გაზომვის სტანდარტებზე. ჰაერის ხარისხის ახალი ავტომატური მონიტორინგის ქსელი შექმნილია საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ზესტაფონი, ხოლო ჰაერის ნიმუშების შედგენა ხდება კვარტალურად ქვეყნის 25 მუნიციპალიტეტში. ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურები გაზომვისთვის იყენებს მაღალტექნოლოგიურ ნაწილაკთა სენსორებს. სხვადასხვა სტაციონარული სადგურებიდან ავტომატური კავშირისა და ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ მონაცემები თავს იყრის ერთ სივრცეში, პორტალზე – „Air.gov.ge“.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან (EEA) მუშაობის შედეგად საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონაცემების ნახვა უკვე ევროპულ პორტალზეც უწყვეტ რეჟიმშია შესაძლებელი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოში ჰაერის ხარისხი საშუალოზე უკეთესია. უახლესი მონაცემები მიუთითებს, რომ ქვეყნის PM<sub>2.5</sub>-ის წლიური საშუალო კონცენტრაცია არის 22მკგ/მ<sup>3</sup>, რაც აღემატება რეკომენდირებულ მაქსიმუმს 10 მკგ/მ<sup>3</sup>-ს (10).

2020 წლის მონაცემების საფუძველზე საქართველოში ჰაერის ხარისხის ინდექსი (AQI) ზომიერი იყო, კერძოდ - 68, PM<sub>2.5</sub> -ის კონცენტრაცია კი 2-ჯერ მაღალი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებთან მიმართებაში.

საქართველოში ჰაერის ნაკლებად ხარისხიანობას დიდწილად განაპირობებს ცემენტის წარმოება, სამთო მრეწველობა, საკვების გადამამუშავება, მანქანების გამონაბოლქვი. არსებული მონაცემების თანახმად, თბილისში მუდმივად მაღალია ჰაერის დაბინძურება. თბილისის გარდა, ჰაერის დაბინძურების კუთხით საქართველოს მსხვილი ქალაქებიც გამოირჩევა. ამის ძირითადი მიზეზი, ავტოტრანსპორტისა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების გამონაბოლქვის გარდა, მათ ტერიტორიებზე ე.წ. „მშენებლობის ბუმი“, რომლის დროსაც ჰაერში დიდი რაოდენობით მტვერი გაიფრქვევა.

2020 წლის მონაცემების საფუძველზე საქართველოს ყველაზე სუფთა ქალაქად მიჩნეულია ქუთაისი (იმერეთი), მისი AQI – 56, ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად კი რუსთავი (ქვემო ქართლი), AQI –91 (9).

2020 წლის ქვეყნების AQI რეიტინგში საქართველოს გლობალურ დაბინძურებაში 106 ქვეყანას შორის 37-ე პოზიცია უკავია. მისი AQI-68. ამ ქვეყნების პირველი სამეულის ჰაერის ხარისხის ინდექსი (AQI) შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ბანგლადეში-162;
2. პაკისტანი- 153;
3. ინდოეთი- 141.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, თბილისი ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია მსოფლიოში, სადაც დაბინძურება ნორმაზე 2,9-ჯერ მეტია. მთლიანობაში, ჰაერის დაბინძურება წელიწადში საშუალოდ 3,741 გარდაცვლილ ადამიანთან ასოცირდება. შედარებისთვის: ვაშინგტონში (აშშ) დაბინძურება ნორმაზე 10 %-ით დაბალია; მადრიდში (ესპანეთი) უდრის ნორმას; რიგაში (ლატვია) ნორმას 70 %-ით აღემატება; ბრიუსელში (ბელგია) ის 80%-ით აღემატება ნორმას (9).

ის ფაქტი, რომ თბილისში დაბინძურება ნორმას თითქმის 300%-ით აჭარბებს, არ ნიშნავს რომ იგივე ვითარებაა მთელ საქართველოში. მაგალითად, აბასთუმანში ზღვარი ნორმაზე 50%-ით ნაკლებია და დაახლოებით იგივეა, რაც ბონში (გერმანია).

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ ელექტრონული მანქანების გამოყენების წახალისება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია, ავტობუსების „პარკის განახლება და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტექნიკაზე გადასვლა“, დედაქალაქის რეკრეაციული სივრცეების მდგრადი განვითარება და ა.შ.

გარემოს დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვა და მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა.

„მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობს თბილისის მერია, რომელმაც შეიმუშავა გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 და მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა 2017-2030.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ცალკე აღებული თითოეული ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სუფთა ჰაერის ხარისხის შესახებ დასახულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მასშტაბით ტყის რესურსების მარაგს, რადგან იგი უზრუნველყოფს მაღალი დონით ჰაერის ხარისხის შენარჩუნებას.

თანამედროვე მსოფლიოში არსებული კლიმატური ცვლილებების ფონზე კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში ტყის რესურსების მოვლის თვალსაზრისით. ბევრი რეგიონი ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა. ტყე არის საქართველოს სიმდიდრე და მას განსაკუთრებული მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

მიგვაჩნია, რომ ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები ხელს შეუწყობს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებასა და განვითარებას.

ჰაერის დაბინძურება დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის მომავალს. დღესდღეობით გარემოსთან დაკავშირებული თითოეული მოქმედება უმნიშვნელოვანესია. თითოეული გამოყენებული პროდუქტი წარმოადგენს ქვაკუთხედს, ქვეყანა გახდეს უკეთესი, სუფთა, მწვანე. მაგრამ თუ არ არსებობს კანონმდებლობა სახელმწიფო დონეზე, არანაირი რეალური პროგრესი არ იქნება.

მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული მრავალი სახის პოზიტიური ცვლილებისა, ატმოსფერული ჰაერის დაცვის კუთხით საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა. ქვეყნის კანონმდებლობა სათანადოდ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს, შედეგად, ვერ ხერხდება დაბინძურების მიზეზებისა და მისი შედეგების სიღრმისეული

ანალიზი და შესაბამისად ჰაერის დაბინძურების შემცირებისთვის ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

ევროკავშირის ფარგლებში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი უნდა შეფასდეს დაბინძურების დონეების მიხედვით. იმგვარი მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა: სტაციონარული გაზომვა, მოდელირება, ინდიკატორული გაზომვა ან მათი კომბინაცია. საქართველოში, დღეის მდგომარეობით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა მსგავს მიდგომას არ ეფუძნება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.greenalt.org>
2. <https://mepa.gov.ge>
3. <https://report.ge>
4. <https://matsne.gov.ge>
5. [www.ttimes.ge](http://www.ttimes.ge)
6. [www.air.gov.ge](http://www.air.gov.ge)
7. <https://www.tbilisi.gov.ge>
8. <https://www.Timesofindia.indiatimes.com>
9. <https://www.iqair.com/georgia>
10. <https://www.Iamat.org>
11. [www.geundp.org](http://www.geundp.org)
12. <https://www.aqich.org>
13. [www.unenvironment.org](http://www.unenvironment.org)

*Lia Dvalishvili*

### ATMOSPHERIC AIR QUALITY AND POLLUTION IN GEORGIA Summary

The polluted air is the main and very often an invisible killer with which every ninth death is connected.

The high quality of life depends on the high quality of air.

The best standart to measure pollutants in air is Air Quality Index- AQI.

Air quality in Georgia does not coin-side with the norms stated by EuroUnion.

Atmospheric pollution is very high in our country and the legislation is even far from EU standarts. It is important that as a result of cooperation with European Enviromental Agency (EEA) the air quality data of Georgia at European portage became possible constantly.

On the basic of 2020 data Air Quality index in Georgia was moderate AQI- 68, but PM<sub>2,5</sub> concentration was twice as much relative to the recommendation of World Health care Organizations.

As a whole the air pollution is associated with the death of yearly 3,741 people on average.

Air pollution puts the future of the country on agenda.

In spite of many positive changes at the last period the situation is not satisfactory in Georgia with respect to atmospheric air protection. The legislation does not properly answer the existing challenges. As a result we can't analyze deeply the causes and impacts of pollution and correspondingly, cannot plan and implement efficient measures to decrease air pollution.

## ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის პირობებში

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია ეკონომიკური განვითარების თავისებურებები. გამოუქმებელია ურთიერთდამოკიდებულება ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. დახასიათებულია საბაზრო ეკონომიკის განვითარების მოდელები. გაანალიზებულია საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები, გლობალიზაციის პირობებში. შეფასებულია გლობალიზაციის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში.

**საკვანძო სიტყვები:** ევროინტეგრაცია, ეკოლოგია, მდგრადი ეკონომიკა, გრადუალიზმი, კიბუცები, პანდემია.

### შესავალი

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნები ახალი დიდი გამოწვევების წინაშე დადგნენ. კონკურენციის მაღალი დონე, ტრანსნაციონალური კომპანიები, ეროვნული ეკონომიკის პრობლემები. მოსახლეობა იზრდება, ბუნებრივი რესურსები კი მცირდება, პანდემიამ მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო. პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის კიდევ უფრო რთული ამ გამოწვევების დაძლევა, ეროვნული ეკონომიკის აღორძინება და სტაბილურობის შენარჩუნება.

სტაბილურ ეკონომიკურ გარემოში ცხოვრება, ყველა ქვეყნის ადამიანის ოცნებაა, რადგან იგი უზრუნველყოფს წარმატების შესაძლებლობას და საზოგადოებას იცავს არასასურველი მოულოდნელობებისაგან. საზოგადოების უსაზღვრო და ზრდადი მოთხოვნილებების, შეზღუდული და კლებადი ბუნებრივი რესურსების, ასევე მოსახლეობის საკმაოდ სწრაფი ზრდის ფონზე, კაცობრიობა იძულებულია მუდმივად გაზარდოს საქონლისა და მომსახურების წარმოება. ამ პროცესმა სამეცნიერო ლიტერატურაში ეკონომიკური ზრდის სახელწოდება მიიღო. მასში იგულისხმება წლიდან წლამდე, თაობიდან თაობამდე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნის წარმოებრივი შესაძლებლობების მყარი გადიდება. ნამდვილ ეკონომიკურ ზრდას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც რაოდენობრივი ზრდა დაკავშირებულია შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასთან.

ზრდადი ეკონომიკა ხასიათდება წლიური პროდუქციის მატებით, რომლის გამოყენებაც შეიძლება არსებულ მოთხოვნილებათა უფრო უკეთ დაკმაყოფილებისათვის, ახალი სოციალური და ეკონომიკური პროგრამების განხორციელებისათვის, სიღარიბის დაძლევისათვის. ეკონომიკური ზრდის გაზომვა ხდება ორი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლის გამოყენებით: 1. დროის გარკვეულ მონაკვეთში რეალური მშპ-ის გადიდება და 2. ამავე დროში მოსახლეობის 1 სულზე რეალური მშპ-ის მატება, ეკონომიკური განვითარება შეიძლება განვიხილოთ როგორც კომპლექსური პროცესი, რომელიც იწვევს რადიკალურ ცვლილებებს: სოციალურ სტრუქტურაში, ადამიანთა ქცევებში, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, უთანასწორობის შემცირებას, დასაქმების ამაღლებას და ა.შ. სიდატაკის გასაზომად გამოიყენება მშპ-ის წლიური რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე, სიღარიბის გასაზომი ეს კრიტერიუმი საშუალო სიდიდეა, რომელიც მაღალშემოსავლიან და მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ჯგუფებს შორის უთანასწორობას ნიღბავს.

ეკონომიკური ზრდის ინდექსი სულაც არ არის პირდაპირი კავშირში ეკონომიკურ განვითარებასთან და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევისათვის. ამ პანდემიის პერიოდში ჩვენი ქვეყანა ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე გავიდა. მიუხედავად პანდემიისა, არ შეჩერებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სოფლის მეურნეობის სამუშაოები, მილიონამდე ტურისტის



შემოვიდა საქართველოში. ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი (რაც პოზიტიურია) მაგრამ ყველას მოგვეხსენება, რომ ყოველდღიურად იზრდება ფასები პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე (პური, რძის ნაწარმი, ზეთი, ხილი და ა.შ.). ადამიანებმა დაკარგეს სამსახური, გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რიცხვი, ღარიბები კიდევ უფრო გაღატაკდნენ. ქვეყანაში არის ინფლაცია. ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის რთული ურთიერთ-დამოკიდებულება არსებობს. ერთი მხრივ ეკონომიკური განვითარება, ზრდის ტემპზეა დამოკიდებული, მეორე მხრივ რაც უფრო მაღალია მოსახლეობის ცხოვრების დონე და რაც უფრო სრულყოფილია ეკონომიკის სტრუქტურა (ცალკეული დარგებისა და ქვედარგების თანაფარდობა), მით უფრო მეტია ეკონომიკური ზრდის სასურველი ტემპის შერჩევის შესაძლებლობა, როგორც ფ. პერუ აღნიშნავს "განვითარება – ეს არის მოსახლეობის ინტელექტუალური და სოციალური ცვლილებების კომბინაცია, რომელიც მას საშუალებას აძლევს კუმულაციურად და სტაბილურად გაზარდოს თავისი ერთობლივი რეალური პროდუქტი... განვითარება ერთ მთლიანში აერთიანებს და ხელს უწყობს ზრდას". ეკონომიკურ განვითარებაში იგულისხმება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ზრდის საფუძველზე, ამასთან ზრდა ავტომატურად არ გულისხმობს განვითარებას. სავსებით შესაძლებელია რომ მისი ნაყოფით საზოგადოების მხოლოდ შემდეგულმა ნაწილმა ისარგებლოს. ამ შემთხვევაში კი არა თუ გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, პირიქით გაღრმავდება უთანასწორობა შემოსავლების განაწილებაში. გაიზრდება უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის, თუმცა გაიზრდება მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით მშპ-ს სიდიდე. მიუხედავად მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფციისა, გლობალიზაციის პირობებში მეგაეკონომიკას არ ეთმობა ეკონომიკური ზრდა. "ნულოვანი ზრდის" მომხრეები თვლიან რომ წარმოების გადიდება თავისთავად არ წყვეტს სიღარიბის პრობლემას. მათი აზრით სიღარიბე (ე.ი. შემოსავლების უთანაბრობა) არის განაწილების პრობლემა და არა წარმოების პრობლემა. საჭიროა სამართლიანი განაწილება და არა პროდუქტის გამუდმებული გადიდება. მათი აზრით ეკონომიკური ზრდა იწვევს ადამიანურ ღირებულებათა გაუფასურებას. ეკონომიკური ზრდა ადამიანებს აძლევს ცხოვრების მეტ საშუალებას, მაგრამ არ აძლევს "უკეთეს ცხოვრებას". მსოფლიო სიმდიდრის 48% თავმოყრილია 100-მდე ადამიანის ხელში. მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი კიდევ უფრო ღარიბდებიან. სოციალური უთანასწორობა, საზოგადოებრივი დოვლათის არასწორი განაწილება, გადაუჭრელ პრობლემად რჩება გლობალური მსოფლიოსთვის.

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის საუკუნეში. გლობალიზაცია წარმოსდგება სიტყვისაგან "globa" (დედამიწა) და მაშასადამე წარმოდგენას საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში. გლობალიზაციის საერთო პლანეტარული ხასიათი აქვს, იგი ნიშნავს "ახალ მსოფლიო წესრიგს". მასში ჩართულია თითქმის მთელი მსოფლიო. გლობალიზაცია შლის საზღვრებს, აძლიერებს კონკურენციას შიდა ბაზრებზე, რაც იწვევს ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულაციის შესაძლებლობების შემცირებას და მსოფლიო მეურნეობის კონიუნქტურაზეა, ეროვნული ეკონომიკების დამოკიდებულების ზრდას, "ღია ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია გლობალიზაციის გვერდის ავლით. იგი შეუქცევადი პროცესია გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების განსაზოგადოება – ინტერნალიზაცია. კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, ინოვაციების, თანამედროვე მენეჯმენტის, მარკეტინგის, გამოცდილების სწრაფი გაცვლა მსოფლიო ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარება, გლობალიზაცია ნიშნავს ცხოვრების ჰეგემონიზაციას. ანტიგლობალისტები გლობალიზაციის

კოლონიზაციად მიიჩნევენ. ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების ექსპლუატაციად, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სისტემის მიერ. გლობალიზაციას ადარებენ დიდ წყლებში მოდრეიფე ვეშაპს რომელიც დაუნდობლად ნთქავს პატარა თევზებს. დღესდღეობით მსოფლიოს მოსახლეობამ 7 მილიარდს გადააჭარბა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობა 2025 წელს 8 მილიარდს მიაღწევს, ხოლო 2050 წელს 10 მილიარდს. მოსახლეობა იზრდება, ბუნებრივი რესურსები მცირდება. საუკუნეების მანძილზე ბუნებაზე ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ, მტაცებლურმა და მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ, ეკოლოგია სავალალო დონემდე მიიყვანა. მეცნიერთა აზრით ბუნებრივი წიაღისეული მარაგები უკვე "გამოცარიელებულია". სახეზე გვაქვს შეუქცევადი ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც გლობალური ხასიათისაა. ესენია: გლობალური დათბობა, ოზონის შრის შემცირება, გაუდაბნობა, ნიადაგის ეროზია, ბიომრავალფეროვნების შემცირება, ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ნარჩენების მართვა, სურსათის უსაფრთხოება, სიღარიბე, და ა.შ. ამ ჩამონათვალს მიემატა და სიის თავში მოექცა ისეთი გლობალური პრობლემა როგორცაა პანდემია, ამერიკელ მეცნიერთა აზრით დედამიწის გამტარუნარიანობა 10 მილიარდ ადამიანს გაუძლებს. ზოგიერთ მეცნიერთა აზრით კი ეს ლიმიტი უკვე ამოწურულია.

ტერმინი "მდგრადი ეკონომიკური განვითარება" პირველად გამოყენებული იქნა გაეროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის მიერ, რომელსაც ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი გ. ბრუნტლანდი ხელმძღვანელობდა. 1987 წელს გავრცელდა აღნიშნული კომისიის მოხსენება: "ჩვენი საერთო მომავალი", რომელშიც შემოთავაზებული იყო, მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. მისი არსი მდგომარეობდა იმაში რომ უნდა გაგრძელებულიყო ეკონომიკის უწყვეტი განვითარება და ახლანდელი თაობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მომავალი თაობებისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ამრიგად მდგრადი განვითარება გულისხმობს, ეკონომიკური განვითარების ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ისე რომ, უზრუნველყოფილი იყოს მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ახლანდელმა თაობამ არ უნდა იცხოვროს მომავალი თაობების ხარჯზე.

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებს. მდგრადი ეკონომიკა გულისხმობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ ხარჯვას, ეკონომიკის ეკოლოგიზაციას. მეცნიერთა აზრით კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში სულ 80 მილიარდზე მეტი ადამიანი დაიბადა. თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად 80-90 მილიონი კაცით მატულობს.

მოსახლეობის ზრდის ტემპების დაჩქარებაში დიდი როლი ითამაშა ისეთმა ფაქტორებმა როგორცაა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და მოსავლიანობის გაზრდა, სამედიცინო სფეროს განვითარება, (აცრების გამოგონება, პენიცილინი და ა.შ.) კოლონიალიზაციის დასრულება. 1800 წელს მოსახლეობა იყო - 1 მლნ; 1850წ. \_ 1.260 ათ; 1900წ. \_ 1.650 ათ.; 1950წ. \_ 2,530 ათ; 1990წ. \_ 5,290 ათ.; 2000წ. \_ 6,090 ათ.; ამჟამად კი 7 მილიარდს გადააჭარბა.

შობადობის დონე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კვლავაც მაღალია. ჩინეთის მოსახლეობამ მილიარდს გადააჭარბა. ინდოეთის მოსახლეობა დემოგრაფთა აზრით მალე ჩინეთის მოსახლეობას გადააჭარბებს. შობადობის ზრდის ტემპით ევროპა და ჩრდ. ამერიკა სადაც განვითარებული ეკონომიკა და ცხოვრების მაღალი დონეა, ძალიან ჩამორჩება აზიის აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. დემოგრაფთა აზრით თუ მოსახლეობის ზრდა ამ ტემპებით გაგრძელდა, პლანეტაზე 2200 წლისთვის შესაძლოა 20 მილიარდ კაცს მადწიოს. მოსახლეობის აღწარმოებას ტიპების ცვლის შედეგად დემოგრაფიული გადასვლის თეორია წარმოიქმნა. ამ თეორიის მიზანია შობადობა-სიკვდილობის პროცესისა და ბუნებრივი მატების ცვალებადობის ხასიათის დადგენა, მომავლის პროგნოზირება. დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნები განვითარებულ და

განვითარებად ქვეყნებში განსხვავებულია. განვითარებად ქვეყნებში, სადაც დემოგრაფიული აფეთქება შეინიშნება, სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით, შობადობის კოეფიციენტის შემცირებას ცდილობენ. მაგ. ჩინეთში "ერთი ბავშვის" პრინციპი და ერთბავშვიანი ოჯახების წახალისება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. განვითარებულ ქვეყნებში კი, სადაც დემოგრაფიული კრიზისია შობადობის კოეფიციენტის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებები ტარდება. მაგ., საფრანგეთში გარკვეული ღონისძიებების გატარების შემდეგი შობადობის მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა.

საქართველო, რომელიც XII საუკუნეში 8 მილიარდ მეტ ადამიანს შეადგენდა და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული, ამჟამად 4 მილიარდია (განახევრებულია). 1 მილიარდი ადამიანი გარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად ემიგრაციაშია წასული. მათი დიდი რაოდენობა ქალია, რომლებიც სამშობლოსა და შვილებს მოწყვეტილნი შრომობენ, წვალობენ და ასე ინახავენ ოჯახებს. საქართველო მომაკვდავი ერების სიაშია შეტანილი. "ტვინების გადინების" პროცესი კიდევ ერთი დიდი პრობლემაა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნები მთლიან რთულ და არახელსაყრელ სივრცეში აღმოჩნდნენ. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მეტად მძიმე პროცესი აღმოჩნდა. მათ წილად ხვდათ მოშლილი ეკონომიკა, დეფიციტური ბიუჯეტი, მოშლილი ინფრასტრუქტურა, მაღალი ინფლაცია, უმუშევრობის ზრდა და სხვა ნეგატიური მოვლენები, არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. სამანეთო ზონის მოშლის შემდეგ საქართველო იძულებული იყო შემოეღო ფულის ნიშნები-კუპონები, რომელმაც სწრაფი ტემპით იწყო გაუარესება და ქვეყანა ჰიპერინფლაციის წინაშე აღმოჩნდა. არსებული მდგომარეობიდან გამოსვლა ხელისუფლებამ საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღებით მოახერხა. 1995 წელს მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა – ლარი, რამაც, შეანელა ინფლაციური პროცესები. საქართველომ, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მეტად რთული გზა გაიარა. სამი ათეული წლის გასვლის მიუხედავად საქართველოს ეკონომიკა კვლავაც გარდამავალ ეკონომიკად იწოდება. ვერ მოხერხდა ქართული ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება. გარედან თავსმოხვეულმა "შოკურმა თერაპიამ" სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ნაჩქარევად ჩატარდა პრივატიზაციის პროცესი, (რომელსაც "პრივატიზაციასაც" უწოდებდნენ), მიწის რეფორმა და ა.შ.. დამოუკიდებლობის გზაზე, ჯერ კიდევ ახალფეხადგმული ქვეყანა, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვია. დაამხეს დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი ეროვნული მთავრობა, პირველი პრეზიდენტი პატრიოტი და მამულიშვილი ზვიად გამსახურდია. ქვეყანას ბნელბედობის ჟამი დაუდგა: უმუქობა, უგაზობა, პურის რიგები, მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობა, და რაც ყველაზე მთავარია დაკარგული ტერიტორიები; ოკუპაცია, რომელიც, დღემდე გრძელდება (ბორდელიზაციის სახით). სამოქალაქო ორი ქვეყნისთვის ზურგში დანის ჩარტყმის ტოლი ფასი იყო. როცა ქვეყანაში ომია, ვის სცალია ეკონომიკისთვის, რომელიც ეკონომიკურ განვითარებაზეა ლაპარაკი. ეკონომიკა არ არის არც ფიზიკა და არც ქიმია, იგი საზოგადოებრივი მეცნიერება და საზოგადოებრივი საქმიანობაა. ყველა ადამიანი "აკეთებს" ეკონომიკას, ბიზნესმენია თუ დიასახლისი, პასიურად თუ აქტიურად ყველა ჩართულია ეკონომიკურ პროცესებში. როკფელერი თავის ბიზნესს აკეთებდა, მაგრამ აინშტაინიც ყიდულობდა პურს და პიკასოც. გარდა იმისა, რომ ორივე გენიოსი იყო: ერთი მეცნიერი, მეორე ხელოვანი და შედეგები შექმნეს, ისინიც ჩართულნი იყვნენ ეკონომიკურ პროცესებში. ყველას სჭირდება საკვები, ტანსაცმელი, და ა.შ., homo economicus არის ყველა ადამიანი. ასკეტებისა და მეუღაბნოე ბერების გარდა. ამას ვწერთ იმიტომ, რომ სამწუხაროდ დემოკრატია "ქართულად" ცოტა სხვანაირად იქნა გაგებული. პოლიტიკური დესტაბილიზაცია პირდაპირ და დამლუპველად აისახება ეკონომიკაზე. ქვეყანა მუდმივად არჩევნების რეჟიმში ცხოვრობს. ერთი ხელისუფლების მიერ დაწყებულია რეფორმები, მომდევნო აღარ აგრძელებს და ახალს იწყებს. ამის ნათელი მაგალითია, განათლების სფერო. ყველა ახალი მინისტრი, იწყებს ახალ რეფორმას. არადა რეფორმა ნებისმიერ

სფეროში ხანგრძლივი პროცესია, და დროშია გაწერილი.

საბაზრო რეფორმების გატარების პრაქტიკაში შეიძლება გამოიყოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფცია: გრადუალიზმი (თანდათანობითი) და "შოკური თერაპია". გრადუალიზმი გულისხმობს რეფორმების გატარებას თანდათანობით, ნელ-ნელა და თანმიმდევრულად. საბაზრო გარდაქმნათა ძირითად მამოძრავებლად სახელმწიფოა მიჩნეული, რომელმაც თანდათან უნდა შეცვალოს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები საბაზრო ურთიერთობებით. გრადუალისტური პოლიტიკა განხორციელდა ჩინეთში. ეკონომიკის სწრაფი ზრდის (წელიწადი 10%) შედეგად ჩამორჩენილი ჩინეთი შევიდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ათეულში. ჩინური რეფორმის პრინციპი შეიძლება გამოიხატოს ერთი სიტყვით, როგორცაა – "პრაგმატიზმი", "შოკური თერაპიის" კონცეფცია შემუშავდა ჯეფრი საქსის მიერ და წარმატებით გამოცადა XX საუკუნის 80-იან წლებში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც მწვავე ინფლაციათა და ეკონომიკურ დაქვეითებას განიცდიდნენ. "შოკური თერაპია" ეყრდნობა მონეტარიზმის ცნებას. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ვარიანტს. ამ კონცეფციით საბაზრო ურთიერთობები ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე ეფექტური ფორმაა, რომელსაც თვითორგანიზების უნარი გააჩნია. სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა სტაბილური ფინანსური სისტემის შენარჩუნება, ამიტომ, ინფლაციასთან ბრძოლა ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. "შოკური თერაპია" დასავლეთის ეკონომიკური დოქტრინაა და იგი მიზნად ისახავს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში შემორჩენილ მბრძანებლური ეკონომიკის ნამსხვრევებზე, კაპიტალისტური წყობილების ჩამოყალიბებას. "შოკური თერაპია" თითქმის ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში გამოცადა. ზოგან წარმატებით, ზოგან – არა. ყველაზე უფრო სრულად და თანმიმდევრულად "შოკური თერაპია" გატარდა პოლონეთში (1990-1991წ.წ.) ლ. ბალცეროვიჩის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ჩეხეთში, ესტონეთში, "შოკური თერაპიის" მთავარი ამოცანაა – ინფლაციის დათრგუნვა.

მეცნიერთა დიდი ნაწილი საბაზრო ეკონომიკის ტიპიურ მოდელებად მიიჩნევს: ამერიკულს, იაპონურსა და შვედურს.

1. საბაზრო ეკონომიკის ამერიკული მოდელი ეყრდნობა თავისუფალ კონკურენციას და საბაზრო რეგულირებას, მისთვის დამახასიათებელია საკუთრების კერძო ფორმების გაბატონებული მდგომარეობა. ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს როლის შეზღუდვა, ორიენტირებულია თვითგადარჩენის პრინციპზე.

2. იაპონური მოდელისათვის დამახასიათებელი მართვის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც სახელმწიფო მომუშავეების ჭორაობას ხანგრძლივი დროით, პრაქტიკულად სამუდამოდ, დიდი ყურადღება ექცევა გამოცდილებას. ხელფასის ზრდის საფუძველია ნამსახურობა, (სამუშაო სტაჟი). სახელმწიფო წარმატებით იყენებს ეკონომიკურ ბერკეტებს. კარგად არსი განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი. (რასაც საქართველომ ვერ მიაღწია).

3. შვედური მოდელი ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს:

ა) კეთილდღეობის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა საზოგადოების ყველა წევრისთვის; ბ) სოციალური გარანტიების საიმედო სისტემისა და მექანიზმის შექმნა და რეალიზაცია; გ) შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება. აქ ბიუჯეტის თითქმის 50% სოციალურ სფეროშია გამოყენებული. შვედურ მოდელში მთავარია ადამიანური ფაქტორი. ამ მოდელის კონცეფცია შეიძლება ასე გამოიხატოს: "ეს არის დინამიკური ბაზრის შერწყმა სოციალური მიზნების მისაღწევად".

სოციალური საბაზრო ეკონომიკის გერმანული მოდელი ჩამოყალიბდა ვ. ოიკენის მიერ. მან წამოაყენა დებულება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი სისტემების ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთგავლენის შესახებ, ვ. ოიკენის თეორიამ დიდი აღიარება მოიპოვა. ამ მოდელში საბაზრო მექანიზმი ეყრდნობა კონკურენციის ყოვლისმომცველობას და ხელფასისა და სხვა პარამეტრების დაწესებაში სახელმწიფო ურთიერთობების უპირატესობას. სახელმწიფო ქმნის სოციალურ და

სამართლებრივ გარემოს ეკონომიკური ინიციატივებისათვის.

ამ მოდელში ბაზარი თვითმიზანი არაა, იგი განიხილება როგორც საშუალება, მთავარი ფიგურა კი ადამიანია, გერმანიამ ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო ნარჩენების მართვის სფეროში "მწარმოებლის განგრძობითი პასუხისმგებლობა". გერმანელი მოდელისთვის დამახასიათებელია სოციალური თანასწორობა, ინიციტივითა და თავისუფლება. გერმანელი მოდელი გამოიყენება ავსტრიაში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში.

ზოგადად შევხვით სხვა მოდელებსაც. სკანდინავიის მოდელი ხასიათდება აქტიური სოციალური პოლიტიკით. ამ მოდელის სოციალურ-დემოგრაფიული მოდელსაც უწოდებენ, ბიუჯეტიდან ნაწილდება ეროვნული სიმდიდრის 35-65%. ამ მოდელს იყენებს დანია, ფინეთი, ნორვეგია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პატარა ქვეყნები ბედნიერების ინდექსის რეიტინგებში ხშირად პირველ ადგილებს ინაწილებენ. ანგლოსაქსური მოდელი ითვალისწინებს სახელმწიფოს პასიურ პოლიტიკას, დასაქმების კუთხით, თუმცა მაღალი აქტივობით ხასიათდება სოციალურ მომსახურებაში კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა. ამ მოდელს იყენებს: კანადა, ინგლისი, ირლანდია, ხმელთაშუა ზღვის მოდელში სოციალური პოლიტიკა დიფერენცირებულია. ბიუჯეტის მეშვეობით ეროვნული სიმდიდრის 45-60% ნაწილდება, ამ მოდელს იყენებს: საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი.

ახლა აღვნიშნავთ დავობს საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობაზე (ჯ. კეინზის თეორიის წყალობით) სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე. "ველური კაპიტალიზმი", "კოგმური კაპიტალიზმი" წარსულს ჩაბარდა, ასევე ა. სმიტისეული "უჩინარი ხელის" პრინციპი. საბაზრო ეკონომიკის მხსნელის ჯ. კეინზის წყალობით, ასევე ფრიდმენტის მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით "ველური კაპიტალიზმი" "მოთვინიერდა" და გაზარდა. თანამედროვე ეკონომიკური მოდელები ძირითადად სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს იზიარებენ. სოციალურ საბაზრო ეკონომიკის დამაარსებლად ვალტერ ოიკენი ითვლება. მის წიგნში "ეკონომიკურ პოლიტიკის საფუძვლები" აღწერილია საბაზრო ეკონომიკის პირობები, რომელიც საჭირო იყო მაშინ გერმანიის განვითარებისათვის. "გერმანიის ეკონომიკური სასწაული", რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ 1948 წლიდან დაიწყო, დაკავშირებულია ლ. ერჰარდის სახელთან. ლ. ერჰარდის შეხედულებები ემთხვეოდა ვ. ოიკენის შეხედულებას.

საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია ამოდის იქედან, რომ ადამიანი ღებულობს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც სარგებლობის მომტანია მისთვის და მისი ახლობლებისთვის, საბაზრო ეკონომიკის დროს ე.წ. "ჯანმრთელი ეგოიზმი", ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობის გრძობასთან შერწყმით განიხილება, ამერიკელი მულტიმილიონერი და სიმდიდრის სიმბოლოდ აღიარებული ჯ. როკფელერი ამბობდა: "დაეხმარეთ ადამიანებს არა რაღაცის გამო და არც ფულისთვის, არამედ სუფთა გულით, სწორედ იმ ადამიანებს, რომლების დახმარებაც თავად გსურთ. სულაც არ არის აუცილებელი, ისინი თქვენი ან ვინმეს ნათესავები, ან ნაცნობები იყვნენ, მოგების 10% საქველმოქმედოდ გაიღეთ. ჯ. როკფელერი აშშ-ის ერთ-ერთი პირველი ფილანტროპი იყო. მან დაარსა როკველერების ფონდი და დიდ თანხებს გასცემდა სამედიცინო კვლევებისათვის, განათლებისათვის. სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლისთვის. მანვე დაარსა ჩიკაგოსა და როკფელერი უნივერსიტეტი.

ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით გამოიყენა თავისი ტურისტული პოტენციალი, ქვეყანას ყოველწლიურად 10 მილიონამდე ტურისტი სტუმრობდა. დიახ სტუმრობდა. ახლა კი პანდემიის გამო მსოფლიო ტურიზმი ჩამოიშალა. ჩამოიშალა მასზე მიბმული ბიზნესები (სარესტორნო, სასტუმრო, გასართობი და ა.შ.). ქვეყნის ეკონომიკა ვეღარ იქნება ტურიზმზე ჩამოკიდებული, წინა ხელისუფლების დროს სამწუხაროდ სოფლის მეურნეობა, არამომგებიან სფეროდ იყო გამოცხადებული. ძირითადი აქცენტები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ტურიზმზე კეთდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ორივე სფერო აუცილებელი

და მნიშვნელოვანია, მაგრამ სოფლის მეურნეობა, რომელიც გვაძლევს "პურს ჩვენი არსობისას" სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ სურსათის უსაფრთხოება, აგრარული სფეროს აღორძინება ჩვენი ქვეყნის გადარჩენისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აუცილებელია სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნა, ინვესტიციების მოზიდვა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა. შემოგვაქვს ყველაფერი, რისი წარმოებაც თვითონვე შეგვიძლია. ისტორიულად ხორბლისა და ღვინის ქვეყანა, თითქმის 95%-ით ხორბლის იმპორტზეა დამოკიდებული ჩვენი სასურსათო ბაზარი გაჯერებულია იმპორტული გენმოდირეცირებული პროდუქტებით (რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან საზიანოა და ბევრ სერიოზულ დაავადებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში), მაშინ როდესაც გაგვაჩნია ნაყოფიერი მიწები და შეგვიძლია ჩვენი სამყოფი ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტები მოვიყვანოთ და ექსპორტზეც გავიტანოთ. საქართველო ასევე მდიდარია ჰიდრორესურსებით. ბუნებრივი გატყინების მხრივ პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპაში. ქვეყანაში მოსაწესრიგებელია საირიგაციო სისტემა, სადრენაჟო სისტემა. ბევრ სოფელს არა აქვს წყალი და კილომეტრებიდან ეზიდებიან. მთავრობამ შეიმუშავა ეკონომიკური განვითარების 10 წლიანი სტრატეგია. რეგიონალური განვითარების პროგრამები, მასში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, აგრარული სფეროს განვითარება და სოფლის მეურნეობის აღორძინება. მიწის რესურსის ინვენტარიზაცია, პასპორტიზაცია, მექანიზაცია; ისრაელი ნათელი მაგალითია იმისა თუ, როგორ შეიძლება უდაბნო წალკოტად აქციო მათი კიბუცების მოდელი, რომლის წყალობითაც აღორძინეს სოფლის მეურნეობა, შეიძლება ჩვენთანაც დავენერგოთ. დიდი ხანია ჩვენი ეკონომისტები ამ თემას განიხილავენ და იყო მცდელობები მისი განხორციელებისა. ამ იდეას მხარს უჭერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. მან თვითონ იმოგზაურა ისრაელში და ნახა კიბუცების ფენომენი. საქართველო ძალიან მდიდარია ადამიანური კაპიტალით. იშვიათია პატარა ერი რომელსაც შეიძლება ამდენი გენიოსი ყავდეს (შ. რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, გ. ტაბიძე, ნ. ფიროსმანი და ა.შ.). მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქვეყანა ევროინტეგრაციის გზას დაადგა. საქართველო თავისი უძველესი ისტორიით, კულტურით, რელიგიით, ყოველთვის ევროპასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, მასთან გრძნობდა სულიერ ნათესაობას. ევროპა, ცივილიზაციის აკვანი, მისი ღირებულებები ყოველთვის თანხვედრაში იყო ჩვენს ღირებულებებთან. სულხან-საბა ორბელიანი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, ევროპის გზას დაადგა მოკავშირისა და თანამგრძნობის საძებნელად. საფრანგეთის ლევილის სათვისტომოც ჩვენი ევროპულ ოჯახთან მჭიდრო კავშირის მაჩვენებელია. დიდმა მამულიშვილმა, წმინდა კაცმა ექვთიმე თაყაიშვილმა სახელმწიფოს ეროვნული საგანძურის გადასარჩენად ევროპას შეაფარა თავი. წლების მანძილზე სიდატაკეში მცხოვრებმა თავდადებულად დაიცვა ეროვნული საგანძური და უკლებრივ დააუბრუნა თავის სამშობლოს. მეთერთმეტე არმიის შემოსლის შემდგომ პირველი დამოუკიდებელმა მთავრობამ და ინტელიგენციამ ასევე ევროპას შეაფარა თავი. ჩვენი მამულიშვილები ევროპაში მიდიოდნენ განათლების მისაღებად და შემდგომ საქართველოში დაბრუნებულები თავის ქვეყანას ახმარდნენ იქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. დიდმა ნიკო ნიკოლაძემ საფუძველი ჩაუყარა ფოთის პორტის მშენებლობას. ევროპიდან მრავალი ინოვაცია შემოიტანა და დანერგა საქართველოში. საქართველოში უძველესი დროიდან, განათლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამისი ნათელი მაგალითია ფაზისის ფილოსოფიისა და რიტორიკის უმაღლესი სკოლა კოლხეთში, ჯერ კიდევ IV საუკუნეში. გელათისა და იყალთოს აკადემიები XII საუკუნეში, სადაც ისწავლებოდა ართიმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, მუსიკა, საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორია, მედიცინა, იურისპრუდენცია, მეტყვეობა, ბერძნული და არაბული ენები.

საქართველოში ბიბლიოთეკების ისტორია სამონასტრო საქმიანობას უკავშირდება. ეკლესია-მონასტრების დაარსებისთანავე ქვეყანა წიგნთსაცავების შექმნაზე ზრუნავდა. მსოფლიოს 14 დამწერლობასთან ერთ-ერთი არის ქართული დამწერლობა. იოანე ზოსიმე ქართული ენას ღმერთების ენას უწოდებდა, წელს თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქად არის გამოცხადებული. სამწუხაროდ პანდემიის გამო, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა სათანადოდ ვერ აღნიშნა. უმნიშვნელოვანესია ის, რომ პირველი ქართული წიგნი ევროპაში დაიბეჭდა. 1629 წელს რომში სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო სტამბაში "პოლიგლოტში" დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი: "ქართულ-იტალიური ლექსიკონი", რომელიც შეიცავს 300 ქართული სიტყვას., წიგნის თავფურცელს აწერია, რომ იგი შეადგინა სტეფან, პოლინიმ, თეიმურაზ პირველის ელჩ ნიკიფორე ორბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) დახმარებით, რომელმაც ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი. წიგნი განკუთვნილი იყო საქართველოში წამოსული მისიონერი ბერებისათვის, იგი არაერთხელ გადაუბეჭდავთ და ერთი მათგანი დაცულია ვატიკანში. იმავე წელს რომში დაიბეჭდა მეორე ქართული წიგნი "ქართული ანბანი ლოცვებითურთ", 1643-1670 წლებში მისიონერმა ფრანცისკო მარიო მაჯიომ 2-ჯერ გამოსცა "ქართული ენის გრამატიკა". წიგნები აწყობილია მხედრული და ნუსხური შრიფტით.

როგორც იმ დროის მეცნიერები წერდნენ, ევროპაში ქართული წიგნის ბეჭდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ევროპული მისიონერები ძალიან დაინტერესებულნი ყოფილან ქართული კულტურით, რამაც ნიადაგი მოამზადა ქართული წიგნის საქართველოში დასაბეჭდად, 1708-1709 წლებში, როცა ვახტანგ მეექვსემ თბილისში პირველი ქართული სტამბა დაარსა, მის გასამართავად ბულგარეთიდან მოიწვია სახელგანთქმული ოსტატი მიხაილ იმტვანოვიჩი, წარმოშობით ქართველი ბულგარელი განმანათლებლის, სასულიერო მოღვაწისა და მესტამბე ანთიმოზ ივერიელის მოწაფე, სწორედ ანთიმოზ ივერიელმა გამოუგზავნა ვახტანგ მეფეს სტამბის გამართვისთვის საჭირო მასალა და ტექნიკა. შეიქმნა და ჩამოისხა პირველი ქართული შრიფტი და 1709 წელს ვახტანგისეული სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნები; სახარება-ოთხი და "დავითიანი", რომლებიც შავი საღებავებით ნუსხური შრიფტით იყო დაბეჭდილი, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები ტოლს არ უდებდა ევროპაში დაბეჭდილს. 1712 წელს თბილისში ვახტანგისეულ სტამბაში დაიბეჭდა შოთა რუსთაველის უკვდავი "ვეფხისტყაოსანი", ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს რაოდენ მჭიდრო ისტორიული, კულტურული, რელიგიური და მენტალური კავშირი იყო ოდიტგანვე საქართველოს და ევროპას შორის, საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო სწრაფვა ევროკავშირისკენ, მისი საგარეო პოლიტიკური კურსი არის ევროანტალისტიკური ინტეგრაცია, ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანება, რაც კონსტიტუციაშიც ჩაიწერა, ქვეყანა დიდი მონდომებით ასრულებს ევროკავშირის ყველა რეკომენდაციებს, დავალებებსა და მოთხოვნებს.

საქართველო აქტიურად იყო ჩართული სამშვიდო მისიებში. ავღანეთში ჩვენი 30 ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა. საქართველო როგორც პატარა ქვეყანა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი იყო ამ მისიებში, ამერიკამ უკვე დაასრულა ომი ავღანეთთან. ჩვენი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნდნენ, საქართველო კი ისევ აკაკუნებს ევროკავშირისა და ნატოს კარზე. "დააკაკუნე და გაგიღებენო". 2024 წელს ქვეყანა აპირებს ოფიციალური განაცხადის გაკეთებას ევროკავშირში გაწევრიანებისათვის, ცივილიზაციის აკვანი ევროპა, როგორც ადრე უწოდებდნენ და როგორც ახლა უწოდებენ "ბებერი ევროპა", რას გადაწყვეტს ჯერჯერობით უცნობია, საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველო არის შემდეგში საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, ესენია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო); ევროკომისია; ევრო პარლამენტი, მსოფლიო ბანკი; საერთაშორისო სავალუტო ფონდი; ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია; გაერთიანებული ერების განათლების; მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია; საერთაშორისო სავალუტო

ფონდი; ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი; ევროპის ცენტრალური ბანკი; ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი; აზიის განვითარების ბანკი; საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკი; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია; ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია; ევროპის სტატისტიკის სამსახური; ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა; ევროპის საბჭო.

ევროკავშირში ეტაპობრივად ბევრი პოსტკომუნისტური ქვეყანა გაწევრიანდა. 2004 წელს გაწევრიანდნენ: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, შლოვენია; 2007 წელი – ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო, 2013 წელს – ხორვატია; 11 ქვეყანა სულ. დიდი ალბათობით საქართველო იქნება მეთორმეტე პოსტკომუნისტური ქვეყანა, რომელიც ევროკავშირის წევრი გახდება. ქვეყანა დიდი ხანია ამ ბოლო დონის რეჟიმში ცხოვრობს. მსოფლიო იცვლება, პანდემიამ დააპაუზა, დაშოკა და შეაშფოთა მთელი მსოფლიო, ილუპებიან ადამიანები. დაწყებულია ეკონომიკური რეცესია. მსოფლიო უკვე 2 წელი ხდება რაც ცხოვრებას არა გლობალიზაციის სლოგანით: "ახალი მსოფლიო წესრიგი", არამედ "ახალი კორონა წესრიგით". ადამიანები დაიყვნენ აცრილებად და აუცრელებად (ანტივაქსერებად) კოვიდგადატანილებად და არაკოვიდგადატანილებად. გლობალიზაციის უდიდესი ბერკეტი გააჩნია მთელ მსოფლიოზე ზემოქმედებას. თავიდან იგი მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი შემოიფარგლებოდა, შემდგომში შემუშავდა გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს ეკონომიკაზე სოციალურ და პოლიტიკურ მაჩვენებლებს, აღნიშნულ ინდექსზე დაყრდნობით შესაძლებელია ქვეყნის გლობალიზების დონის დადგენა. გლობალიზაციის ერთერთი მაჩვენებელია ე.წ. გლობალიზაციის KOF ინდექსი (KOF Index of Globalization), რომელიც 2002 წელს შემუშავდა, 2006 წელს კი - ეს ინდექსი გერმანელი ეკონომისტის ა. დრეჰერის, ავსტრიელი ეკონომისტის ნ. გასტონის და ჰოლანდიელი ბიოლოგისა და ეკოლოგის პ. მარტენსის მიერ განახლდა და დეტალურად გაიწერა. ეს საყოველთაო ინდექსი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის სიდიდეს ზომავს. გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით ეკონომიკურ გლობალიზაციას ახასიათებს საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ინფორმაციის ნაკადებისა და ცვლილებებს შორ მანძილზე გატანა. პოლიტიკური გლობალიზაცია განისაზღვრება, როგორც სამთავრობო პოლიტიკების დიფუზია, სოციალური გლობალიზაცია – იდეების, ინფორმაციის, ადამიანური უსაფრთხოების განვითარება-გაფართოება, გლობალიზაციის განვითარებას ხელი შეუწყო მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა. (ციფრული ტექნოლოგიები, ინტერნეტი, საკომუნიკაციო საშუალებების სწრაფი ხელმისაწვდომობა). მსოფლიო "დავიწროვდა", ყველა ინფორმაცია თითქმის ერთ პატარა მონიტორშია მოქცეული. ინფორმაციულმა ნაკადების თითქმის წალეკა თანამედროვე ადამიანის ტვინი. ადამიანი უამრავ საჭირო და არასაჭირო ინფორმაციას. ტყუილსა და მართალს ბევრი ინფორმაციის ნაკადს ინფორდემია ეწოდება, არისტოტელემ ადამიანს სოციალური ცხოველი უწოდა. ადამიანს აქვს სოციალური ურთიერთობების მოთხოვნილება, სხვასთან კავშირის მოთხოვნილება ადამიანის შინაგან მოთხოვნილებას ეკუთვნოდეს რომელიმე ჯგუფს აფილაცია ეწოდება. თანამედროვე ადამიანი იმდენად მოექცა ტექნოლოგიების ტყვეობაში, რომ ტექნოკრატიული ცხოველს დაემსგავსა. პანდემიამ კი ჩაკეტა ქვეყნები, ადამიანები, მოაქცია იზოლაციაში, გათიშა ერთმანეთისაგან და დააწესა სოციალური დისტანცია. სოციალურ ადამიანს უვსებს სიცარიელეს, აძლევს კომუნიკაციის საშუალებას, უმყარებს საკუთარი თავის რწმენას და მის საყრდენს წარმოადგენს. ადამიანს ყველაზე მეტად მარტო დარჩენის ეშინია, საკუთარ თავში ჩახედვის ეშინია. არ იცის რას დაინახავს იქ, რას აღმოაჩენს. პანდემიამ ადამიანები აიძულა მარტონი დარჩენილიყვნენ. ეგზალიტირებული აჩქარებული და აჟიტირებული მსოფლიო დაეპაუზებინა, დაეფიქრებინა, ციცერონი ამბობს: "ყველაზე ბედნიერი ისაა, ვინც მლიანად საკუთარ თავზეა დამოკიდებული და საკუთარ თავში ეგულება ყველაფერი". ადამიანი ოღონდ მარტო არ დარჩეს საკუთარ თავთან და ათასგვარ საქმეს გამოიგონებს რომ სხვებს ეკონტაქტოს. უდიდესი ფილოსოფოსი არტურ შოპენჰუერი ამბობს: "სხვებთან



დაკავშირების უნარი მარტოობის, ესე იგი, საკუთარი თავის ატანის უუნარობაა, სწორედ შინაგანი სიცარიელე და საკუთარ თავის სიძულვილი მიერეკება ადამიანებს საზოგადოებისაკენ უცხოეთისაკენ, მოგზაურობებზე. მათ სულს არა აქვს სამოდრო ძალა, ამ ძალას ეძებენ გარეთ. ადამიანს სხვაგან ყოფნა კი არ სიამოვნებს, არამედ გაურბის თავის თავთან ყოფნის სიცარიელეს და სიმძიმეს, საკუთარი ცნობიერების ერთფეროვნებს", ადამიანები პანდემიამ დააფიქრა ცხოვრებისეულ ამაოებაზე, ეგზოსტენციულურ, ფილოსოფიურ და რელიგიურ საკითხებზე. ბევრის თავში გაჩნდა მარადიული კითხვები, რომლებიც აქამდე დავიწყებულნი ქონდათ: ვინა ვართ, რანი ვართ? რისთვის მოვედით? საით მივდივართ? ადამიანს არც მოსვლას ეკითხება ვინმე და არც წასვლას. "ადამიანს თავიდან ბეწვიც კი არ ჩამოვარდება უფლის ნების გარეშე". ტექნოლოგიურ მიღწევებით გაყოფილ ადამიანს თავი ყოვლისშემძლედ წარმოედგინა. ზოგიერთი გზებზე ადამიანთა ემიგრაციასაც აანონსებს. მაღალი ტექნოლოგიების საუკუნეში, ცოდნის საუკუნეში ადამიანები ერთი პაწაწინა თვალთ უხილავი ვირუსის წინაშე უძლურნი აღმოჩნდნენ. ბუნებასთან ომი, ჯერ არავის მოუგია, ადვილია გააჩანაგო ბუნება, გაჩეხო ტყეები, მოწამლო წყალი და ჰაერი, დაყარო ნარჩენები, გაანადგურო ფლორა და ფაუნა, ბიზნეს ინტერესებს შეწირო "დედამიწის ფილტვებად" წოდებული ემაზინის ტყეები, ყველგან და ყველაფერში ჩაყო ცხვირი. ბნელია გაუფრთხილდე ამ ყველაფერს, შეამცირო მოგება, შემოიჭირო ქამარი, ყოველწლიურად მილიარდამდე მოშიშშილე ადამიანებს გაუნაწილო მოხვეჭილი მილიარდები, განახორციელო ნულოვანი ეკონომიკური ზრდა, "ნულოვანი ნაგვის" კონცეფცია, (უნარჩენო საზოგადოება) გლობალიზაცია, რომელიც ერთ ოჯახად მიიჩნევს მსოფლიო საზოგადოებას (მისი სიჭრელის მიუხედავად) და აქვს პრეტენზია დაამყაროს "ახალი მსოფლიო წესრიგი" ჯერჯერობით ვერ მოუგვარებია ის რომ, ამ დიდ ოჯახში ზოგიერთი სოციალური ფენა ფუფუნებაში ცხოვრობს, ლაღად და უზრუნველად, მილიონობით ადამიანი კი შიმშილით იღუპება. ასტრონომიული თანხები იხარჯება შეიარაღებაზე. აფრიკის მოსახლეობის 40% წერა-კითხვის უცოდინარია. კაცობრიობა თითქოსდა სამოთხეს აშენებს დედამიწაზე. ადგენს ბედნიერი ერების რეიტინგებს. ბედნიერების საერთაშორისო ინდექსი მაჩვენებელი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანთა კეთილდღეობას, გარემოს მდგომარეობას ასახავს. იგი 2006 წელს ორგანიზაცია "ახალმა ეკონომიკურმა ფონდმა (New Economics Foundation - NEF) შეიმუშავა. ბედნიერების საერთაშორისო ინდექსის გამოსათვლელად 3 მაჩვენებელი გამოიყენება: 1. ადამიანების კმაყოფილება ცხოვრების დონით, 2. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და 3. ე.წ. "ეკოლოგიური ნაკვალევი" ეს ტერმინი პირველად 1992 წელს ყ. რიზომ გამოიყენა, ბედნიერება მეტად ფარდობითი ცნებაა, იგი ძალიან ბევრ ფაქტორებზეა დამოკიდებული. გლობალური მსოფლიო ხომ გადარეულია სტატისტიკაზე, დათვლაზე, რეიტინგებზე. მაგალითად, იაპონელისთვის ბედნიერება "ტყის ებაზნერი". არაბებისთვის მუსიკით გამოწვეული აღფრთოვანება. ინდოელი ამბობს – ბედნიერი ხარ მაშინ როცა ხარ, ის ვინც მართლა ხარ, ხორვატებისთვის – "არაფრის კეთების სიტყვებო". აქ გვახსენდება დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: "განა ჩვენზე ბედნიერი, არის კიდევ სადმე ერი?" ამ პანდემიის დროს რომელ ქვეყანას შეუძლია იყოს ბედნიერი. გლობალიზაციამ ბევრი პოზიტივი მოუტანა მსოფლიოს, მაგრამ ერთპოლუსიანმა მსოფლიომ, მსოფლიო ტურიზმმა მსოფლიოს პანდემიაც მოუტანა. ადრეც იყო ეპიდემიები, იღუპებოდნენ ადამიანები, მაგრამ ასეთი მასშტაბებით არც ერთი ეპიდემია არ გავრცელებულა. კეთილდღეობა ყველა ქვეყნისთვის და ყველა ადამიანისთვის არაა ხელმისაწვდომი, მაგრამ პანდემიამ მთელი მსოფლიო "დაასაჩუქრა". კარგი იქნებოდა კეთილდღეობაც ვირუსით რომ ვრცელდებოდა.

ამ გლობალურ მსოფლიოში ჩვენი პატარა ქვეყანა უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას: ოკუპაცია, მყიფე, გარდამავალი ეკონომიკა, პანდემია, შიდა და გარე გამოწვევები. ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის შენარჩუნება, პანდემიის დაძლევა, რომელმაც ჩვენი მცირერიცხოვანი მოსახლეობის ათასობით ადამიანი შეიწირა. ეკონომიკური ზრდის და მატერიალური კეთილდღეობის

ამაღლებს ყველაზე რეალური ინდიკატორი მაცივარია და ის ფასები, რომელიც სასურსათო მაღაზიებსა და აფთიაქებში ხვდებათ ადამიანებს. ჩვენმა მოსახლეობამ შეიძლება აიტანონ შიმშილი, სიღარიბე, უმუშევრობა, მაგრამ ეროვნული ცხოვრების შეურაცხყოფას ვერ აიტანენ. ევროპული ინტეგრაცია, გლობალიზაცია არ ნიშნავს ყველაფრის ბრმად მორჩილებას. ქვეყანას უნდა შეექმნას ისეთი ეკონომიკური მოდელი რომ ნაკლებად იყოს იმპორტზე დამოკიდებული. განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი, სოფლის მეურნეობა. შეინარჩუნოს თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და ეროვნულ ცნობიერებაზე დაყრდნობით გადადგას ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. "ყველაფერი მცირედიდან იწყება", ამბობდა ციცერონი.

აღნიშნული კონფერენცია ეძღვნება კორონა ვირუსით გარდაცვლილ ჩვენს შესანიშნავ კოლეგას პროფესორ ალფრედ კურატაშვილს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მაღლობა ბრწყინვალე მეცნიერსა და ბრწყინვალე ადამიანს პროფესორ რამაზ აბესაძეს ასეთი გულისხმიერებისთვის. პანდემია ალბათ უახლოეს მომავალში არ დაგვანებებს თავს, რაც მთელი მსოფლიოსთვის უდიდესი გამოწვევაა, მით უფრო ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის. "შეუცნობელია გზანი უფლისანი" და ბოლოს დავამთავრებთ უდიდესი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურიატის ნ. ბორის სიტყვებით "მეცნიერი კი არ ქმნის კანონებს, არამედ მხოლოდ იმას აღმოაჩენს, რაც უკვე ჩადებული იქნა ბუნებაში ღმერთის მიერ, ჩვენ ვერ მივუთითებთ ღმერთს, როგორ მართოს სამყარო".

## დასკვნა

გლობალიზაციის პირობებში მთელი მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. პატარა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია განვითარების კვალდაკვალ შეინარჩუნოს თავისი თვითმყოფადობა და ეროვნული ცნობიერება. დარჩეს ერთგული უკვდავი სიტყვებისა "ენა, მამული, სარწმუნოება".

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსების 70-ე წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.

2. თეთრაული ც., ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერებების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.

3. 20 ცნობილი მილიონერის საქმიანი რჩევები. ანთოლოგია, გამომცემლობა, პალიტრა L. 2014.

4. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი. 2014.

5. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ბ., ეკონომიკისი. გამომცემლობა "ეკონომიკა და სამართალი". თბილისი. 1992 წ.

**SOME ASPECTS OF ECONOMIC DEVELOPMENT  
IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION**

**Summary**

Permanent anthropogenic impacts on nature have exacerbated environmental problems. The global world has already realized the danger of depletion and depletion of natural resources, which could lead humanity to disaster. The world has developed the concept of sustainable development ("green economy", "blue economy") and the need to use natural resources rationally. Thus economic growth cannot be an end in itself. Georgia is a post-Soviet country with a small transition economy, but it has so many resources that it is less dependent on imports. To develop small and medium business, to revive the agrarian sphere and to develop a Georgian model of economic development.

*ხათუნა თოდუა*

**კორონავირუს COVID -19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე**

*ანოტაცია.* ახალმა კორონავირუსულმა პანდემიამ სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენა როგორც მთელი მსოფლიო, ისე საქართველო. საგრძნობლად გაუარესდა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები. პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკა მაღალი მოწყვლადობით ხასიათდება, რაც სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული. ჩვენი მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა სოციალური დახმარების პროგრამებისა და ბიზნესისთვის ვირუსით გამოწვეული კრიზისის დამანგრეველი შედეგების შესამსუბუქებელი ზომების გატარებას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კომპლექსური და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება.

*საკვანძო სიტყვები:* პანდემია, საქართველო, ეკონომიკური მაჩვენებლები.

\*\*\*

ახალმა კორონავირუსულმა პანდემიამ Covid-19, სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენა სამყარო. სახელმწიფოების მიერ პანდემიასთან ბრძოლისა და ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისათვის მიღებულ იქნა რადიკალური ზომები, როგორცაა საზღვრების ჩაკეტვა, ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა/აკრძალვა, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და სოციალური დისტანცირების უზრუნველსაყოფად ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარება. მეტიც: „Covid-19-ის კრიზისი მიაქანებს მსოფლიო ეკონომიკას რეცესიისაკენ უმუშევრობისა და სიღარიბის ისტორიულად დაბალი დონით“[OOH... 2020:22].

გაეროს მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი უკანასკნელი ანალიზით, Covid-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, რაც 2008-09 წლების გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე უარესი მაჩვენებელია, მიყენებული ზარალი კი სავარაუდოდ, ტრილიონი დოლარის ფარგლებში იქნება.

საქართველოში ამ ვერაგ ინფექციას დღეის მდგომარეობით 3 400-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, იზრდება დაავადებულთა რიცხვი, რომელმაც დღეისათვის 267 700-ს გადააჭარბა. აღნიშნულმა სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა. საქართველომ, ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიოს სახელმწიფოებმა, უნდა გადააჭრას მნიშვნელოვანი დილემა:

- ✓ იზრუნოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და უზრუნველყოს ვირუსისგან მისი დაცვა;
- ✓ არ დაუშვას ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლა.

ამის გათვალისწინებით, „მსოფლიოში Covid-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადასარჩენად. ამიტომ, ყველა

ის ნაბიჯი. რომელსაც მთავრობა დგამს, განპირობებულია უპირველესად ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიმართულეებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისა და ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით" [საქართველოს მთავრობა...2020:5].

ვირუსის შემდგომი გავრცელების პრევენციისა და მოსახლეობისათვის საფრთხის არიდების მიზნით შემოღებულ იქნა მკაცრი შეზღუდვები, მათ შორის, საყოველთაო კარანტინი, იძულებითი შინაიზოლაცია, რამაც იქონია დადებითი ეფექტი, ვინაიდან შეაჩერა ვირუსის გავრცელება, „რეცესიის პერიოდში სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება და კორონავირუსით გამოწვეული საყოველთაო იზოლაციის წყალობით უფრო მეტი ადამიანი გადარჩება, ვიდრე დაიღუპება" [Portes J., 2020]; თუმცა შეზღუდვებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები მკვეთრად გაუარესდა, ვალების ზრდის ტემპი დაჩქარდა, 2020 წლის 10 თვეში საშინაო სახელმწიფო ვალი 1,7 მილიარდი ლარით გაიზარდა, ხოლო საგარეო - 1,3 მილიარდი დოლარით. 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს სახელწმიფო ვალმა ქვეყნის მშპ-ს 58 %-ს მიაღწია. არის პროგნოზი, რომ მომდევნო ხუთწლიან პერიოდში სახეზე იქნება ეკონომიკის დაახლოებით 7 %-იანი კლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 11%-იან, ანუ 1 368 ლარის ოდენობის დანაკარგს უნდა ველოდოთ. პესიმისტური პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 2019 წლის დონეს მხოლოდ 2023 წელს დაუბრუნდება, ხოლო ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი თითქმის გაორმაგდება და 10,5%-ს შეადგენს.

მართალია, უმნიშვნელოვანესია ადამიანები დაცულ იქნან ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული საფრთხისაგან, მაგრამ, „თუ კორონავირუსით გამოწვეული საყოველთაო იზოლაციის შედეგად მშპ 6,4 %-ზე მეტით შემცირდება, მაშინ უფრო მეტ სასიცოცხლო წელს დაგვარგავთ, ვიდრე ვირუსთან ბრძოლით მოვიგებთ" [Whipple T., 2020]. ამიტომ, პანდემიის მასშტაბების განუწყვეტელი ზრდის პირობებში, აუცილებელია დაბალანსებული და გააზრებული ქმედებები, რათა დაწესებული რეგულაციებით მიყენებულმა ზიანმა ეკონომიკის შეუქცევადი უკუსვლა არ გამოიწვიოს.

უნდა ითქვას, რომ კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკა მაღალი მოწყვლადობით ხასიათდება, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში დარგობრივად ყველაზე დიდი წილი ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებზე მოდის, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადი აღმოჩნდნენ პანდემიის პირობებში - ესენია: საბითუმო და საცალო ვაჭრობა(13,9%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11,4%), მშენებლობა (8,3%), საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობები (6,1%) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ტურისტული ინდუსტრია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის 74 პროცენტს შეადგენს და წლებია, ეკონომიკური განვითარების ლოკომოტივის ფუნქციას ასრულებს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოში ვიზიტორების რაოდენობა 7,6 მილიონით, ანუ 81 %-ით შემცირდა, რაც სექტორისთვის 2,5 მილიარდი აშშ დოლარის დანაკარგია. ამით მნიშვნელოვან დარტყმას იღებს როგორც შრომითი ბაზარი, ისე ლარის კურსის სტაბილურობაც, ვინაიდან ტურიზმიდან შემოსული ფინანსური კაპიტალი ლარის კურსის გამყარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა.

ამასთან, ტურიზმის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ფულადი გადარიცხვების კლება, რაც „დაბალი შემოსავლების და მოწყვლად ქვეყნებში მოსახლეობის მამველი რგოლია და იმავე დროს უზრუნველყოფს ერთობ საჭირო საგადასახადო შემოსავლებს" [Чами Р., Сайх А., 2020:17], იწვევს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ზრდას: საქართველოში 2020 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 337.1 მლნ აშშ დოლარი (1.1 მლრდ ლარი) შეადგინა. სავალალოა, რომ 2020 წლის მეორე კვარტალში მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო წლიურად 97.3%-ით გაიზარდა, ხოლო მშპ-თან ფარდობა 3.9-დან - 9.4 %-მდე.

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც კორონავირუსის პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკის მაღალი მოწყვლადობა განაპირობა, შრომის ბაზრის სტრუქტურის სპეციფიკაა: დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა არაფორმალურ სექტორში თვითდასაქმებულთა რაოდენობას უტოლდება, ამასთან, უშუალოდ დაქირავებით დასაქმებულთა შორის მაღალია იმ დასაქმებულთა წილი, რომელთაც არასტაბილური სამსახური აქვთ, მუშაობენ. მაგალითად, მომსახურების სფეროში, ან სეზონურად არიან დასაქმებულნი და სხვ.. სწორედ ამიტომ, უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდაა ნავარაუდევია; ერთ-ერთი პროგნოზით, დაქირავებით დასაქმებულ მშრომელთა საერთო რაოდენობის 30%-ისთვის მაღალია სამსახურის დაკარგვის რისკი, ხოლო თვითდასაქმებულთა 83,5 %-ისთვის - შემოსავლების შემცირებისა. „ანტიპანდემიური შეზღუდვების განახლების შემთხვევაში, მთავრობის მხრიდან ანტიკრიზისული ღონისძიებების გაგრძელების გარეშე, უმუშევრობის დონემ 2021 წელს, შესაძლოა, 26,9 %-იან ნიშნულს მიაღწიოს" [კაკულია მ., 2020:34].

სამწუხაროა, რომ პანდემიის შედეგად სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა სოციალური დაცვის სისტემა, თუმცა ეს არ უნდა იყოს გასაკვირი იმ პირობებში, როცა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემებიც კი არ აღმოჩნდნენ მზად პანდემიურ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

მართალია, საქართველოში დროებით სამუშაოდაკარგულთა ყოველთვიური 200-ლარიანი დახმარება, ოფიციალური მონაცემებით, 343 694 პირმა მიიღო, ხოლო თვითდასაქმებულების ერთჯერადი 300-ლარიანი დახმარება - 171 801-მა; სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისთან გასამკლავებლად 3,5 მილიარდამდე ლარის მოძიება მოხდა საერთაშორისო ინსტიტუციებისგან და თუ საქართველოს ვირუსამდელ ეკონომიკასა და ბიუჯეტს გავითვალისწინებთ, უნდა ითქვას, რომ ეს მაქსიმუმი იყო, რის შემოთავაზებაც ხელისუფლებას შეეძლო, თუმცა, სამწუხაროდ, ანტიკრიზისული სახელმწიფო პროგრამები პანდემიის შედეგების განეიტრალებისთვის არასაკმარისი აღმოჩნდა, კრიზისი გრძელდება, ახალი ანტიპანდემიური შეზღუდვების შემოღებას შესაძლოა საქართველოს ეკონომიკამ ვეღარ გაუძლოს, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის გრძელვადიან ღონისძიებებს.

საჭიროა ახალი ეკონომიკური მოდელის შემუშავება მსოფლიოში შეცვლილი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კომპლექსური და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება, გაჩერებული ეკონომიკის ახალ, ინოვაციურ რელსებზე გადაყვანა, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია.

მწყობრი ეკონომიკური ხედვისა და მიდგომის ჩამოყალიბების შემთხვევაში ქვეყანა შეძლებს კრიზისის დაძლევის და ეკონომიკის სტაბილიზაციას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Covid-19 - ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020, გვ. 5.
2. კაკულია მ., კაპანაძე ნ., 2020, ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში, თბ., ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გვ. 34.
3. Portes J., 2020, Lockdown will not cost more lives than it saves. ხელმისაწვდომია: <https://www.aljazeera.com/opinions/2020/4/24/lockdown-will-not-cost-more-lives-than-it-saves>
4. Whipple T., 2020, Economic crash could cost more lives than coronavirus, The Times, Times Newspaper Limited. ხელმისაწვდომია: <https://www.thetimes.co.uk/article/economic-crash-could-cost-more-lives-than-coronavirus-studywarns-nxrn3bzbs>
5. Рамочная программа ООН для немедленных социально-экономических ответных мер на Covid-19, 2020, стр. 22
6. Чами Р., Сайех А., 2020, Спасательная помощь под угрозой, ежеквартальный журнал ММФ – „Финансы и развитие“, выпуск 57, № 2, стр. 17.

## THE EFFECT OF COVID -19 ON THE ECONOMY OF GEORGIA

### Summary

The coronavirus pandemic is affecting the global economy in an unprecedented way, and it is leading to a downturn, which is much deeper than that of any other economic crisis in the history of recent decades. It is not the easy task to estimate the depth and duration of the recession: for each country it will depend on specific economic situation, circumstances, strengths and vulnerabilities as well as on the development of pandemic. This includes also demographics, the level of healthcare development, the integration in global value chains, the level of dependence on tourism sector, etc.

Georgia reported its first case of Covid-19 on February 27, 2020 and its first deaths on April 6, 2020. The government reacted immediately - it banned direct flights from China in late January 2020 and imposed severe travel restrictions even within the country in March 2020. Universities as well as schools were closed on March 11, 2020, and furthermore, the country declared the state of emergency. The four bigger towns of Georgia – Tbilisi, Kutaisi, Rustavi and Batumi – were put under lockdown.

From the very early days of the pandemic, the Georgian Government directed its efforts not only aiming to save the health and lives of the people, but the national economy as well.

Therefore, all the steps taken by the government have been determined by the obligation assumed by the government to protect the health and lives of the population and the motivation to save the country's economy. Besides, in parallel to the prevention of the spread of the virus, the government of Georgia has provided citizens with social support while also ensuring the provision of support to business and the economy in order to alleviate the effects of the pandemic.

Still the Covid-19 crisis is profoundly affecting Georgia's economy, which suffers from weaknesses, making it vulnerable to shocks such as the pandemic one.

The macroeconomic impact of pandemic on Georgian economy is occurring through a mix of both external and internal factors. The internal ones are caused by lockdown restrictions, leading to the closure or disruption of business activities, diminished consumption and the impact on the real economy. The external factors include: international market prices, border closures and the pandemic effects in other countries, trade restrictions.

The virus caused almost entire suspension of tourism – the sector which had grown strongly in recent years, - and related activities (for example, retail and services), it is noticeable, that Georgia derives more than 30% of its GDP and 45% of its exports from tourism.

Besides, yet more importantly, lower remittance inflows and weaker demand for goods and services are weakening Georgia's economy. The crisis requires both immediate action supporting the economy, as well as medium-term strategies (such as increasing local production, for example) for bringing the economy back on a path of resilient growth. The government must also work hard with international partners to attract funding and investors, so as to ease the results of the crisis to the greatest possible degree.

*ნაზირა კაკულია  
ვალერი არლუთაშვილი*

### მდგრადი განვითარება, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური გამოწვევები

*ანოტაცია. მოცემულ კვლევაში გაანალიზებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები, კვლევის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვან კავშირშია გარემოსადმი მდგრადი პოლიტიკის არსებობასთან და ამავდროულად სახელმწიფოს ჩარევა აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანად დადებითი ეფექტებით ხასიათდება სამულოვადიან პერიოდში.*

*საკვანძო სიტყვები: „მწვანე ეკონომიკა“; მდგრადი განვითარება; GDP; ეკონომიკური განვითარება.*

## შესავალი

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკის გარემოსადმი მდგრად განვითარებას საკითხს. აღნიშნული საკითხი ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში რომელიც წევრ ქვეყნებს შესაბამისი პოლიტიკის გატარების ვალდებულებას აკისრებს. 2011 წლის გაეროს მწვანე ეკონომიკის ანგარიშის მიხედვით მწვანე ეკონომიკა უნდა იყოს რესურსების ეფექტიანი მომხმარებელი, გარემოში უშვებდეს მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად მცირე რაოდენობას.

ის, თუ როგორ უპასუხებს მომავალი თაობა გამოწვევებს, დიდწილად დამოკიდებულია ადამიანების ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ქცევაზე. ეკონომიკური ანალიზი გვთავაზობს წარმოდგენილად სასარგებლო ინსტრუმენტებს ადამიანის ქცევის შესწავლისა და შეცვლისთვის, განსაკუთრებით, რესურსების დეფიციტის პირობებში.

წლების განმავლობაში, მოსალოდნელ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ორი განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული მიდგომა წარმოიშვა. ესენია: ეკოლოგიური ეკონომიკა (Ecological Economics) და გარემოს ეკონომიკა (Environmental Economics).

ეკოლოგიური ეკონომიკა მეთოდოლოგიურად მრავალმხრივია, ხოლო გარემოს ეკონომიკა მყარად ეფუძნება ნეოკლასიკური ეკონომიკის სტანდარტულ პარადიგმას. მაშინ, როდესაც ნეოკლასიკური ეკონომიკა ხაზს უსვამს ადამიანის კეთილდღეობის მაქსიმიზაციას და ეკონომიკური წახალისების გამოყენებას, შეცვალოს ადამიანის დესტრუქციული ქცევა, ეკოლოგიური ეკონომიკა

მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ის ეკონომიკის სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება. მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას. მწვანე ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება. მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც იგი ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება.

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხარისხს აფასებენ შემდეგ 6 კრიტერიუმებზე დაყრდნობით:


1. განახლებადი ენერჯია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია);
2. მწვანე შენობები (ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მენეჯმენტი (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მენეჯმენტი (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

თუ თითოეული სახელმწიფო კეთილსინდისიერად მიმართავს თავის რესურსებს ამ მიზნების მისაღწევად, მსოფლიო ნამდვილად შეძლებს გაუმკლავდეს ეკონომიკურ-ეკოლოგიურ გამოწვევებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

ქვეყნის ეკონომიკის გარემოსადმი მდგრადი განვითარების გასაზომად დღესდღეისობით სხვადასხვა ინდიკატორები გამოიყენება თუმცა გლობალურ დონეზე, აღნიშნულ ინდიკატორების შეჯამებული სახით ასახავს ისეთი ინდექსები როგორცაა EPI (Environmental Performance index) GGEI (Global Green Economy Index).

GGE ინდექსი აფასებს ქვეყნის ეკონომიკის „სიმწვანის“ არსებულ მდგომარეობას და მის ხელშემწყობ ეკონომიკურ აქტივობას „სიმწვანეზე“ ორიენტაციის ხარისხს. აღნიშნული ინდექსი გარემოს დაბინძურების შეფასების პარამეტრად იყენებს EP ინდექსს. GGE ინდექსი 0-1 შკალაშია მოქცეული და რაც უფრო მაღალია მისი მნიშვნელობა მით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება ქვეყანა გარემოსადმი მდგრადობის თვალისაზრისით.

2020 წლის მდგომარეობით ინდექსის შეფასება მოხდა 130 ქვეყნისთვის. აღნიშნული ქვეყნებისგან შემდგარ მსოფლიო რუკაზე საქართველო 44-ე პოზიციაზე იმყოფება (დიაგრამა 1.). პირველი ათეული კი ძირითადად ცენტრალური და ჩრდილოევროპული ქვეყნებისგან შედგება.



**დიაგრამა 1. GGE ინდექსი 2020 წელს მსოფლიოს 130 ქვეყნისთვის (წითელი სვეტი აჩვენებს საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს)**

წყარო: Dual Citizen ([www.dualcitizeninc.com](http://www.dualcitizeninc.com))

მნიშვნელოვანია ის რომ იკვეთება არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით განვითარებული და განვითარებად ქვეყნებს შორის

მნიშვნელოვანი ყურადღება ბოლო პერიოდში ეთმობა გარემოს ღირებულების განსაზღვრის მეთოდებს.

1989 წლის 24 მარტს, ნავთობ-კორპორაციის, „ექსონ ვალდეზ“-ის ნავთობ-ტანკერი ალასკაში, პრინც უილიამ საუნდში, წყალქვეშა კლდეს შეეჯახა და დაახლოებით 11 მილიონი გალონი ნედლი ნავთობი დაღვარა, კორპორაციამ პასუხისმგებლობა აიღო გაჟონვის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ეს ვალდებულება შედეგობდა ორი ნაწილისგან: (1) ადგილის გაწმენდისა და მისი მაქსიმალურად აღდგენის სამუშაოების ღირებულებისა, და (2) ადგილობრივი ეკოლოგიისთვის მიყენებული ზარალის თანხებისგან. კორპორაციას, დასუფთავების სამუშაოები დაახლოებით \$2.1 მილიარდი დოლარი დაუჯდა და ასევე მეთევზეებისთვის მოუწია \$303 მილიონი დოლარის კომპენსაციის მიცემა, მათი საარსებო წყაროს დაზიანებისთვის. ეკოლოგიური ზიანის ანაზღაურებისთვის კი ექსონს დაეკისრა ვალდებულება, გადაეხადა \$900 მილიონი 10 წლის განმავლობაში. ამ საქმეზე სადამსჯელო ეტაპი დაიწყო 1994 წლის მაისში. 2004 წლის იანვარში, მრავალი გასაჩივრების შედეგად, ალასკის შტატის საოლქო სასამართლომ კორპორაციას მოსარჩელისთვის მიყენებული ზარალისთვის დააკისრა სანქცია \$4.5 მილიარდი დოლარის ოდენობით. მოგვიანებით, ეს თანხა თითქმის განახევრდა \$2.5 მილიარდამდე. 2008 წელს კი უზენაესმა სასამართლომ დაადგინა,



რომ სანქციის თანხის ოდენობა გადაჭარბებული იყო საზღვაო კანონის საფუძველზე და მეტიც, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო \$507 მილიონზე მეტი, რომელიც იმ დროისთვის უკვე გადახდილი იყო მიყენებული ზიანისთვის.

ცნობილმა ნორვეგიელმა ფილოსოფოსი, არნ ნაესი (1912 –2009), რომელმაც დაამკვიდრა ტერმინი „ღრმა ეკოლოგია“ ამტკიცებს, რომ გარემოს აქვს „შინაგანი“ ღირებულება, ღირებულება, რომელიც ადამიანის ინტერესებისგან დამოუკიდებელია. ამის საპირისპიროს წარმოადგენს „ინსტრუმენტული“ ღირებულება, რომლის მიხედვითაც, გარემოს ღირებულება გამომდინარეობს მისი სარგებლიანობიდან, დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილებები.

ნაესის კრიტიკა განიხილავს ორ საკითხს: (1) რა არის გარემოს შეფასების საფუძველი? და (2) როგორ ხდება მისთვის ღირებულების მინიჭება?

ეკონომიკური შეფასების ტექნიკა დღესდღეობით მოიცავს როგორც „გამოუყენებელი“, ასევე უფრო ტრადიციული, „გამოყენებადი“ ღირებულებების ფართო სპექტრის რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობებს. თუმცა, ღრმა ეკოლოგიის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანისთვის სხვა სახეობის ღირებულების განსაზღვრის უფლების მიცემა ზნეობრივ საფუძველს მოკლებულია, ისევე როგორც სხვა სახეობებს არ აქვთ ადამიანის ღირებულების დადგენის უფლება. უფრო მეტიც, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადამიანმა გარემოს რესურსები მხოლოდ გადარჩენისთვის საჭირო დოზით უნდა გამოიყენოს.

რაც შეეხება სტატისტიკურ კვლევებს, აქაც გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით. კერძოდ, ურთიერთკავშირი ყოველთვის არ გულისხმობს მიზეზ-შედეგობრიობას. მაგალითად, ის ფაქტი, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი მეტია ისეთ ქალაქებში, სადაც დაბინძურების მაჩვენებელი უფრო მაღალია, თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ გაზრდილი სიკვდილიანობა დაბინძურების უფრო მაღალმა დონემ გამოიწვია.

საინტერესო და არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში ამ კუთხით. როგორ ცდილობს მთავრობა გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებას, რა წესები, დადგენილებები, რეგულაციები და პროექტებია შემუშავებული.

სამინისტრო ინტენსიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ და განმახორციელებელ ორგანიზაციასთან, რომელთა მხარდაჭერითაც ამჟამად მიმდინარეობს 60-ზე მეტი პროექტი შემდეგი მიმართულებებით:

- ატმოსფერული ჰაერის დაცვა;
- წყლის რესურსების მართვა;
- მიწის რესურსების მართვა;
- ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები;
- ბიომრავალფეროვნების დაცვა;
- კლიმატის ცვლილება;
- ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები;
- ტყის რესურსების მართვა;
- დაცული ტერიტორიები;
- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება;
- გარემოსდაცვითი მმართველობა;
- მწვანე ეკონომიკა;
- ურთიერთგადამკვეთი საკითხები.

სამინისტროს ხანგრძლივი და წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება აქვს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებთან და ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF), ევროკავშირი (EU), ჩეხეთის მთავრობა, გერმანიის მთავრობა, მონრეალის ოქმის განმახორციელებელი მრავალმხრივი ფონდი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მსოფლიო ბანკი (WB), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გაეროს

განვითარების პროგრამა (UNDP), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA) და სხვა. საერთაშორისო საზოგადოების ხელშეწყობით და სამინისტროს კოორდინაციით ხორციელდება მთელი რიგი ინიციატივებისა, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის წინაშე არსებული გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევაში, მიზნად ისახავს ქვეყანაში დაბინძურების ხარისხის შემცირებას და გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვას საქართველოში.

## დასკვნა

მოცემულ კვლევაში გავანალიზეთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გარემოსადმი მდგრადობა. კვლევის ფარგლებში გაკეთებულ მნიშვნელოვან დასკვნებს წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკის განვითარების გარემოსადმი მდგრადობა განვითარებადი ქვეყნებისთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან განვითარებად ქვეყნებში ამ მიმართულებით შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა სრულფასოვნად ჩამოყალიბებული არაა. გარემოსადმი მდგრად განვითარებაზე ორიენტაცია მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევასთან ორი მიმართულებით. პირველ რიგში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის ფორმირებაში, მეორეს მხრივ კი მთავრობის დანახარჯები გარემოს დაცვაზე მნიშვნელოვნად დადებითი ეფექტებით ხასიათდება საშუალოვადიან პერიოდში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ÉcoRessources Consultants, “Evidence of the Socio-Economic Importance of Polar Bears for Canada,” for Environment Canada, 2011. Full report is accessible at [http://www.registrelep.gc.ca/document/default\\_e.cfm?documentID=2307](http://www.registrelep.gc.ca/document/default_e.cfm?documentID=2307);
2. Richardson, Leslie, & Loomis, John. Total economic valuation of endangered species: A summary and comparison of the United States and the rest of the world estimates. Conserving and Valuing Ecosystem Services and Biodiversity;
3. Economic, Institutional and Social Challenges, K. N. Ninan, ed., Earthscan, 2009.
4. „How do you define the 'green' economy?“ MNN - Mother Nature Network. 2009-01-09. Retrieved 2013-11-09;
5. UNEP, 2011, Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication, [www.unep.org/greeneconomy](http://www.unep.org/greeneconomy);
6. OECD Publication: “Green Growth and Developing Countries A Summary for Policy Makers”, 2012;
7. European Environment – State of the Environment and Outlook. EEA, Copenhagen, 2010;
8. About green economy (<http://www.eea.europa.eu/themes/economy/about-green-economy>) accessed 9 September 2011;
9. The Heritage Foundation ([www.heritage.org](http://www.heritage.org));
10. Dual Citizen ([www.dualcitizeninc.com](http://www.dualcitizeninc.com));
11. Yale University ([www.epi.envirocenter.yale.edu](http://www.epi.envirocenter.yale.edu));
12. Eurostat ([www.ec.europa.eu](http://www.ec.europa.eu));
13. Worldbank ([www.worldbank.org](http://www.worldbank.org));
14. United Nations Sustainable Development Goals ([www.sustainabledevelopment.un.org](http://www.sustainabledevelopment.un.org))

ASPECTS OF FORMATION OF “GREEN ECONOMY“ AND  
GOVERNMENT’S ROLE IN THIS PROCESS

Summary

“Green economy” is a new issue in the field of environmental governance. The Rio Conference in June 2012 reflected a trend that focuses on the economic system. Despite the fact that many actors, organizations and politicians hope that the formation of green economy is relatively easy to reach, there is no clear vision of what has to be done. United Nations Environmental Programmed (UNEP) report, states that a green economy leads to “improved human well-being and social equity, while significantly reducing environmental risks and ecological scarcities”.

The first goal of the research is to explain the characteristics of “Green Economy” and its relationship to several macro variables. To solve this problem, we need to measure “degree of greenness” and EP and GGE indices are employed for this purpose.

Another goal of the research is to evaluate government’s potential and existing impact on the “degree of greenness”.

გიორგი კრავეიშვილი

ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება როგორც XXI საუკუნის გამოწვევა:  
არსი და მეთოდოლოგია, პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი ანალიზი

**ანოტაცია:** სტატიის მიზანი არის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების აქტუალობასა და მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება; იმ ფაქტორების გამოვლენა რომლებიც განსაზღვრავენ თუ რამდენად ინკლუზიურად ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა; აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური განვითარების ინდექსის შემუშავება და აღნიშნული ქვეყნების შედარებითი ანალიზი. ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

**საკვანძო სიტყვები:** ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება, უთანასწორობა, სიღარიბე, პოსტსაბჭოთა ქვეყნები.

შესავალი


ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში. გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მე-8 სწორედ მდგრადი ინკლუზიური განვითარებაა, რომელმაც უნდა შექმნას ყველასათვის ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა. [United Nations, 2015: 16]. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიაში პირველად 2008 წელს გამოჩნდა. ის „სტრატეგია 2020“-ის სამი ძირითადი მიმართულებიდან პირველი იყო. (ეკოლოგიურად მდგრად ზრდასა და რეგიონალურ ინტეგრაციასთან ერთად). [Asia Development Bank, 2008: 11] ასევე „სტრატეგია 2030“ ის 4 ძირითადი მიმართულებიდან მე-2 სწორედ ინკლუზიურობაა. [Asia Development Bank, 2018: I]. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიხედვით ეკონომიკური ზრდა არ არის თვითმიზანი. მთავარი მიზანი მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის გაუმჯობესებაა. უთანასწორობის და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე მისი ზემოქმედების პრობლემის მოგვარება კი, მხოლოდ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის არის მნიშვნელოვანი. [Organisation for Economic Co-operation and Development, 2014: 8].

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. აზიის განვითარების ბანკი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას განიხილავს, როგორც ერთი

მხრივ ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნულ შესაძლებლობებთან საზოგადოების წევრების უფრო ფართო წვდომას, რათა მათ შესძლონ ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა და მისგან სარგებლის მიღება. [Asia Development Bank, 2008: 11]. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიხედვით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ორიენტირებულია ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებაზე და ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებლის უფრო სამართლიან და თანასწორ გადანაწილებაზე მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის [Organisation for Economic Co-operation and Development, 2014: 8]. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის განმარტებით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა არის ათწლეულების განმავლობაში მდგრადი წარმოების ზრდა, რომელიც ფართოდ მოიცავს მთლიან ეკონომიკას, საშუალებას აძლევს ქვეყნის სამუშაო ძალის დიდ ნაწილს, რომ იყოს დასაქმებული და ამით ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას. [World Economic Forum, 2015: 1].

როგორც ვხედავთ სხვადასხვა ორგანიზაციების განმარტებები იდენტური არ არის, თუმცა ყველა მათგანი აქცენტს აკეთებს ერთსა და იმავე ფაქტორებზე, როგორცაა სიღარიბის შემცირება და უთანასწორობის აღმოფხვრა. სურათ 1-ზე მოცემულია, თუ როგორ იცვლებოდა მსოფლიოს ყველაზე მაღალშემოსავლიანი 1%-ის და ყველაზე დაბალშემოსავლიანი 50%-ის ხვედრითი წილი 1980-2016 წწ. როგორც სურათიდან ვხედავთ შემოსავლების განაწილების უთანასწორობა ცალსახაა, ამასთან მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის 1%-ის ხვედრითი წილი უფრო მზარდია ვიდრე დაბალშემოსავლიანი 50%-ის.


**სურათი 1: მსოფლიოს მასშტაბით მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი 1%-ის და დაბალშემოსავლიანი 50%-ის ხვედრითი წილის დინამიკა მთლიან შემოსავლებში 1980-2016 წწ.**



წყარო: World inequality lab, “World inequality report 2018”, 2018, გვ.9

კიდევ ერთი მაგალითი შემოსავლების განაწილების უთანასწორობის მოცემულია სურათ 2-ზე. მოცემული მონაცემების მიხედვით 2016 წელს ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის TOP 10%-ზე ევროპაში მოდიოდა მთლიანი შემოსავლების 37%, ჩინეთში - 41%, სამხრეთ საჰარაში - 54%, ხოლო შუა აღმოსავლეთისთვის ანალოგიური მაჩვენებელი 61% იყო.

სურათი 2: შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის TOP 10% ის ხვედრითი წილი 2016 წ.



წყარო: World inequality lab, “World inequality report 2018”, 2018, გვ. 5

როგორც მოცემული მაჩვენებლებიდან ვხედავთ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული უთანასწორობა მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც კიდევ ერთხელ უფრო მეტ აქტუალობას სძენს ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას, რომელმაც აღნიშნული პრობლემის გადაჭრა უნდა უზრუნველყოს.

### ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების გაზომვის მეთოდოლოგია

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად განვიხილავთ აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებულ მეთოდოლოგიას.

აზიის განვითარების ბანკმა 2011 წელს ქვეყნის განვითარების ინკლუზიურობის გასაზომად ჩამოაყალიბა „ინკლუზიური ზრდის ინდიკატორების სტრუქტურა“ აღნიშნული სტრუქტურა მოიცავს 8 ჯგუფში გაერთიანებულ 35 ინდიკატორს. ეს 8 ჯგუფია: 1. სიღარიბე და უთანასწორობა; 2. ეკონომიკური ზრდა და დასაქმება; 3. საკვანძო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა; 4. განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა; 5. წვდომა ძირითად კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე; 6. გენდერული თანასწორობა და შესაძლებლობები; 7. სოციალური დაცვის სისტემა; 8. კარგი მმართველობა და ინსტიტუტები. [Asia Development Bank, 2011: 56]:

#### I. სიღარიბე და უთანასწორობა:

1. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი;
2. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლის შემოსავალი დღეში 2\$-ზე ნაკლებია;
3. მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი / მაღალი მოხმარების მქონე 20% -ის თანაფარდობა ყველაზე დაბალშემოსავლიან / დაბალი მოხმარების მქონე 20%-თან;
4. სკოლაში სწავლების საშუალო წელი;
5. 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ნორმაზე გამხდართა ხვედრითი წილი;
6. 5 წლამდე ბავშვებში სიკვდილიანობის დონე;

#### II. ეკონომიკური ზრდა და დასაქმება:

7. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით;
8. მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავლის / მოხმარების ზრდის მაჩვენებელი (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით);
9. დასაქმების დონე;
10. დასაქმების ელასტიკურობა მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში;
11. ყოველ 100 დაქირავებით დასაქმებულზე თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა;

**III. საკვანძო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა:**

12. მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის მოხმარება;
13. მყარი ზედაპირის მქონე გზების პროცენტული წილი;
14. ყოველ 100 ადამიანზე მობილური ტელეფონის აბონენტთა რიცხვი;
15. მეანაბრეთა რიცხვი ყოველ 1000 ზრდასრულ ადამიანზე;

**IV. განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა:**

16. სასკოლო ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა;
17. მოსწავლე-მასწავლებლების თანაფარდობა (დაწყებით სკოლაში);
18. დიფტერიით, ტეტანუსის ტოქსოიდით და პერტრუსით აცრილთა წილი 1 წლამდე ბავშვებში;

19. ექიმები, ექთნები და ბებიასკოლები მოსახლეობის ყოველ 10 000 სულზე;
20. განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებთან მიმართებაში;
21. ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებთან მიმართებაში;

22. ვ. წვდომა ძირითად კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე;
23. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელთაც წვდომა აქვთ ელექტროენერჯიაზე;
24. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც მყარ საწვავს იყენებენ საკვების მოსამზადებლად;
25. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებს იყენებენ;
26. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც გაუმჯობესებულ სანიტარულ სისტემას იყენებენ;
27. გენდერული თანასწორობა და შესაძლებლობები;
28. გენდერული თანასწორობა პირველად, მეორეულ და მესამეულ განათლებაში;
29. მშობიარობამდე გამოკვლევა (მინიმუმ ერთი ვიზიტი);
30. გენდერული თანასწორობა სამუშაო ძალაში;
31. სახელმწიფო პარლამენტში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროცენტული წილი;
32. სოციალური დაცვის სისტემა;
33. სოციალური დაცვა და შრომის რეიტინგი;
34. სოციალური უსაფრთხოების ხარჯების პროცენტული წილი სახელმწიფოს მთლიან ჯანდაცვით ხარჯებში;
35. სოციალური უსაფრთხოების და კეთილდღეობის ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებში;
36. კარგი მმართველობა და ინსტიტუტები;
37. ხმა და პასუხისმგებლობა;
38. ეფექტიანი მმართველობა;
39. კორუფციის აღქმის ინდექსი.

**V. წვდომა ძირითად კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე:**

22. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელთაც წვდომა აქვთ ელექტროენერჯიაზე;
23. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც მყარ საწვავს იყენებენ საკვების მოსამზადებლად;
24. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებს იყენებენ;
25. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც გაუმჯობესებულ სანიტარულ სისტემას იყენებენ;

**VI. გენდერული თანასწორობა და შესაძლებლობები:**

26. გენდერული თანასწორობა პირველად, მეორეულ და მესამეულ განათლებაში;
27. მშობიარობამდე გამოკვლევა (მინიმუმ ერთი ვიზიტი);
28. გენდერული თანასწორობა სამუშაო ძალაში;
29. სახელმწიფო პარლამენტში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროცენტული წილი;

**VII. სოციალური დაცვის სისტემა:**

30. სოციალური დაცვა და შრომის რეიტინგი;
31. სოციალური უსაფრთხოების ხარჯების პროცენტული წილი სახელმწიფოს მთლიან ჯანდაცვით ხარჯებში;
32. სოციალური უსაფრთხოების და კეთილდღეობის ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებში;

**VIII. კარგი მმართველობა და ინსტიტუტები:**

33. ხმა და პასუხისმგებლობა;
34. ეფექტიანი მმართველობა;
35. კორუფციის აღქმის ინდექსი.

კიდევ ერთი მეთოდოლოგია, არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებული 2017 წელს წარმოდგენილი ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ანგარიშში მოცემული ინკლუზიური განვითარების ინდექსი. აღნიშნული ინდექსი მოიცავს 3 ჯგუფში გაერთიანებულ 12 ინდიკატორს. [World Economic Forum, 2017: IX].

**I. ზრდა და განვითარება:**

1. მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე;
2. შრომის პროდუქტიულობა;
3. დასაქმება;
4. ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა;

**II. ინკლუზიურობა:**

5. საშუალო შემოსავალი;
6. ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით;
7. სიღარიბის მაჩვენებელი;
8. ჯინის ინდექსი მთლიანი სახსრების მიხედვით;

**III. თაობათაშორისი თანასწორობა და მდგრადობა:**

9. კორექტირებული წმინდა დანაზოგები;
10. ასაკობრივი დამოკიდებულება;
11. სახელმწიფო ვალი (მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული წილი);
12. ნახშირბადის ინტენსივობა (მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში).

მოცემული ინდიკატორებიდან ქვემოთ ჩვენ შევარჩევთ რამდენიმეს, რომლითაც მოვახდენთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებით რანჟირებას.

**პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური განვითარების ინდექსის მეთოდოლოგიის მიმოხილვა**

როგორც ვხედავთ ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების გასაზომად საერთაშორისო ორგანიზაციები ინდიკატორთა ფართო ნაკრებს გვთავაზობენ. აღნიშნული ინდიკატორების გათვალისწინებით, ასევე პირველ პარაგრაფში განხილული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის არსიდან გამომდინარე, გამოვყოფთ მიმართულებათა 4 ჯგუფს, რომლებიც მიგვაჩნია რომ მეტწილად აერთიანებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელ ყველა ფაქტორს. აღნიშნული ჯგუფებია:

- I. ცხოვრების დონე;
- II. უთანასწორობა;
- III. ყველასთვის სამართლიანი და თანასწორი მმართველობა;
- IV. სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი წარმართვა.

ცხოვრების დონე არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ამახვილებს ყურადღებას. აქედან გამომდინარე ჩვენს ინდექსში საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი ინდიკატორების არსებობა, როგორიცაა:

1. მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი 2010 წლის ფასებში);
2. დასაქმების დონე (%);
3. ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი).

მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა, ასევე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ინკლუზიურმა ეკონომიკურმა ზრდამ უნდა გადაწყვიტოს. აღნიშნული მიმართულების შესაფასებლად ჩვენ შემდეგ ინდიკატორებს გამოვიყენებთ:

4. ჯინის ინდექსი;
5. მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლების თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20%-ის შემოსავლებთან;
6. სიღარიბის მაჩვენებელი (%).

სამართლიან და ეფექტიან მმართველობას ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის. აუცილებელია, რომ მოსახლეობა აღიქვამდეს და რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია და ქვეყანაში ყველასთვის სამართლიანი და თანასწორი გარემო არის შექმნილი, რათა ყველას თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის. მოცემული მიმართულების შესაფასებლად გამოვიყენებთ შემდეგ ინდიკატორებს:

7. კორუფციის აღქმის ინდექსი;
8. ხმა და პასუხისმგებლობა;
9. ეფექტიანი მმართველობა.

ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმწიფო ფინანსების სწორი წარმართვა. მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკაში ჩასართავად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვეყანაში სათანადო განათლების დონის არსებობა და სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკა აღნიშნული მიმართულებით. სამართლიანი გარემოს შექმნისთვის მთავრობამ ასევე უნდა იზრუნოს მოსახლეობის დაუცველ ნაწილზე შესაბამისი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებით. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ასევე თაობათაშორისი თანასწორობა, რათა ერთი თაობისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღება არ მოხდეს მომავალი თაობების ხარჯზე სახელმწიფო ვალის აღების გზით. აქედან გამომდინარე აღნიშნული მიმართულებით ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინდიკატორებია:

10. მთავრობის ხარჯები განათლებაზე, როგორც მთავრობის მთლიანი ხარჯების წილი;

11. ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული წილი;

12. ცენტრალური მთავრობის ვალი (მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული წილი).

რა თქმა უნდა აღნიშნული ინდიკატორთა ნაკრები შეიძლება შეიცავდეს სხვა არაერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, თუმცა მიგვაჩნია, რომ მოცემული შემადგენლობა მეტწილად სრულად გადმოცემს ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების არსს და საშუალებას მოგვცემს შევადაროთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარება აღნიშნული მიმართულებით და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები.

იმისათვის, რომ მოცემული მაჩვენებლები ადვილად შესადარებელი და აღსაქმელი იყოს, ჩვენ მათ აგრეგირებას მოვახდენთ 10 ბალიანი სისტემით. სადაც 10 ქულა აღნიშნავს მაღალ ინკლუზიურ განვითარებას, ხოლო 1 ქულა დაბალ ინკლუზიურ ზრდაზე მიუთითებს. მონაცემთა აგრეგირებას მოვახდენთ შემდეგი ფორმულით:

$$I_i = 9 * \frac{(Y - Y_{MIN})}{(Y_{MAX} - Y_{MIN})} + 1$$

სადაც  $I_i$  არის აგრეგირებული ინკლუზიური განვითარების ინდექსი კონკრეტული ინდიკატორისთვის;  $Y$  - მაჩვენებლებში კონკრეტული ქვეყნის შედეგი;  $Y_{MIN}$  - მაჩვენებლების მინიმუმი;  $Y_{MAX}$  - მაჩვენებლების მაქსიმუმი.

იმ ინდიკატორებისთვის, რომლის მაღალი მნიშვნელობა აღნიშნავს ქვეყნის ცუდ შედეგს, მოცემული ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$I_i = -9 * \frac{(Y - Y_{MIN})}{(Y_{MAX} - Y_{MIN})} + 10$$

მიღებული შედეგებიდან გამოვიყვანთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური განვითარების ინდექსს, როგორც თითოეული ქვეყნისთვის, ასევე ქვეყნის ჯგუფებისთვის. გამოვიყოფთ 5 ჯგუფს: 1. ბალტიისპირეთი (ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია); 2. აღმოსავლეთ ევროპა (უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი); 3. სამხრეთ კავკასია (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი); 4. ცენტრალური აზია (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი; ყაზახეთი; თურქმენეთი) 5. რუსეთი.

როგორც ერთიანი, ასევე თითოეული ჯგუფისთვის არსებული ინდექსის მისაღებად გამოვიყენებთ შემდეგ ფორმულას:

$$I = \frac{\sum_{i=1}^t I_i}{t}$$



**პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური განვითარების ინდექსი**

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური განვითარების ინდექსს დავიანგარიშებთ 2019 წლისთვის (თუ რომელიმე მაჩვენებლის მონაცემი აღნიშნული წლისთვის არ არის ცნობილი, გამოვიყენებთ უახლოესი წლის ცნობილ მონაცემს).

**ცხრილი 1. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური განვითარების ინდექსის შემადგენელ ინდიკატორთა მაჩვენებლები**

| ქვეყანა / ინდიკატორი | 1        | 2    | 3    | 4*   | 5*  | 6    | 7  | 8     | 9     | 10** | 11*  | 12   |
|----------------------|----------|------|------|------|-----|------|----|-------|-------|------|------|------|
| ესტონეთი             | 20,856.0 | 60.7 | 69.2 | 30.3 | 4.7 | 0.5  | 74 | 1.21  | 1.17  | 12.8 | 6.7  | 9.6  |
| ლიეტუვა              | 18,609.7 | 58.1 | 66.7 | 35.7 | 6.5 | 1.3  | 60 | 1.02  | 1.04  | 11.8 | 6.6  | 35.3 |
| ლატვია               | 16,722.1 | 57.5 | 66.2 | 35.1 | 6.0 | 0.9  | 56 | 0.88  | 1.11  | 12.0 | 6.2  | 35.5 |
| ბელარუსი             | 6,678.5  | 61.0 | 66.0 | 25.2 | 3.5 | 0.0  | 45 | -1.40 | -0.18 | 12.3 | 5.6  | 38.4 |
| ყაზახეთი             | 11,518.4 | 65.5 | 65.0 | 27.8 | 3.9 | 0.2  | 34 | -1.21 | 0.12  | 11.4 | 2.9  | 18.5 |
| მოლდოვა              | 3,720.2  | 39.4 | 64.5 | 25.7 | 3.5 | 0.9  | 32 | -0.09 | -0.38 | 18.3 | 6.6  | 25.0 |
| უკრაინა              | 3,224.9  | 49.7 | 64.3 | 26.1 | 3.6 | 0.4  | 30 | 0.06  | -0.30 | 13.1 | 7.7  | 50.3 |
| რუსეთი               | 12,011.5 | 58.7 | 64.2 | 37.5 | 6.4 | 0.4  | 28 | -1.10 | 0.15  | 13.5 | 5.3  | 13.1 |
| ყირგიზეთი            | 1,116.4  | 54.9 | 65.8 | 27.7 | 3.8 | 10.9 | 30 | -0.46 | -0.68 | 15.7 | 6.5  | 54.1 |
| სომხეთი              | 4,732.1  | 43.0 | 67.1 | 34.4 | 5.3 | 9.4  | 42 | 0.05  | -0.07 | 10.4 | 10.0 | 49.9 |
| საქართველო           | 4,978.5  | 56.3 | 64.7 | 36.4 | 6.6 | 15.5 | 56 | 0.20  | 0.83  | 13.0 | 7.1  | 40.4 |
| უზბეკეთი             | 2,459.0  | 58.3 | 64.7 | N/A  | N/A | N/A  | 25 | -1.61 | -0.51 | 23.0 | 5.3  | N/A  |
| აზერბაიჯანი          | 5,880.0  | 63.3 | 63.6 | N/A  | N/A | N/A  | 30 | -1.49 | -0.14 | 7.0  | 3.5  | 17.7 |
| თურქმენეთი           | 7,647.9* | 55.7 | 62.1 | N/A  | N/A | N/A  | 19 | -2.13 | -1.16 | N/A  | 6.6  | 32.8 |
| ტაჯიკეთი             | 1,121.1  | 37.0 | 62.0 | N/A  | N/A | N/A  | 25 | -1.83 | -1.05 | N/A  | 7.2  | N/A  |

**შენიშვნა:** ნუმერაცია შეესაბამება მეორე პარაგრაფში მოცემულ ინდიკატორთა ნუმერაციას

\* 2018 წლის მონაცემები

\*\* 2017 წლის მონაცემები

N/A - მაჩვენებელი არ არსებობს

**წყარო:** The World Bank; World Health Organization; Transparency International; International Monetary Fund; Ministry of Finance of Georgia.

მოცემული მაჩვენებლების ბენჩმარკინგს თუ მოვახდენთ ზემოთ განხილული ფორმულით, მივიღებთ 10 ბალიანი სისტემით რანჟირებულ ინდექსებს თითოეული ქვეყნისთვის და ინდიკატორისთვის. მოცემული ინდექსების საშუალო მაჩვენებელი იქნება ჩვენს მიერ საძიებო პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური განვითარების ინდექსი. (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2. პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური განვითარების ინდექსი**

| ქვეყანა / ინდიკატორი | 1    | 2    | 3    | 4    | 5    | 6    | 7    | 8    | 9    | 10  | 11  | 12   | საშუალო ინდექსი |
|----------------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|-----|-----|------|-----------------|
| ესტონეთი             | 10.0 | 8.5  | 10.0 | 6.3  | 6.5  | 9.7  | 10.0 | 10.0 | 10.0 | 4.2 | 5.8 | 10.0 | <b>8.42</b>     |
| ლიეტუვა              | 9.0  | 7.7  | 6.9  | 2.3  | 1.5  | 9.2  | 7.7  | 9.5  | 9.5  | 3.7 | 5.6 | 4.8  | <b>6.45</b>     |
| ლატვია               | 8.1  | 7.5  | 6.3  | 2.8  | 2.7  | 9.5  | 7.1  | 9.1  | 9.7  | 3.8 | 5.1 | 4.8  | <b>6.37</b>     |
| ბელარუსი             | 3.5  | 8.6  | 6.0  | 10.0 | 10.0 | 10.0 | 5.3  | 3.0  | 4.8  | 4.0 | 4.4 | 4.2  | <b>6.14</b>     |
| ყაზახეთი             | 5.7  | 10.0 | 4.8  | 8.1  | 9.0  | 9.9  | 3.5  | 3.5  | 5.9  | 3.5 | 1.0 | 8.2  | <b>6.09</b>     |

|             |     |     |     |     |      |     |     |     |     |      |      |     |             |
|-------------|-----|-----|-----|-----|------|-----|-----|-----|-----|------|------|-----|-------------|
| მოლდოვა     | 2.2 | 1.7 | 4.1 | 9.6 | 10.0 | 9.5 | 3.1 | 6.5 | 4.0 | 7.4  | 5.7  | 6.9 | <b>5.89</b> |
| უკრაინა     | 2.0 | 5.0 | 3.9 | 9.3 | 9.6  | 9.8 | 2.8 | 6.9 | 4.3 | 4.4  | 7.1  | 1.8 | <b>5.57</b> |
| რუსეთი      | 6.0 | 7.8 | 3.8 | 1.0 | 1.8  | 9.8 | 2.5 | 3.8 | 6.0 | 4.6  | 4.0  | 9.3 | <b>5.04</b> |
| ყირგიზეთი   | 1.0 | 6.6 | 5.7 | 8.2 | 9.1  | 3.7 | 2.8 | 5.5 | 2.8 | 5.9  | 5.6  | 1.0 | <b>4.83</b> |
| სომხეთი     | 2.6 | 2.9 | 7.4 | 3.3 | 4.8  | 4.5 | 4.8 | 6.9 | 5.2 | 2.9  | 10.0 | 1.8 | <b>4.76</b> |
| საქართველო  | 2.8 | 7.1 | 4.4 | 1.8 | 1.0  | 1.0 | 7.1 | 7.3 | 8.7 | 4.4  | 6.3  | 3.8 | <b>4.62</b> |
| უზბეკეთი    | 1.6 | 7.7 | 4.4 | N/A | N/A  | N/A | 2.0 | 2.4 | 3.5 | 10.0 | 4.0  | N/A | <b>4.45</b> |
| აზერბაიჯანი | 3.2 | 9.3 | 3.0 | N/A | N/A  | N/A | 2.8 | 2.7 | 4.9 | 1.0  | 1.7  | 8.4 | <b>4.11</b> |
| თურქმენეთი  | 4.0 | 6.9 | 1.1 | N/A | N/A  | N/A | 1.0 | 1.0 | 1.0 | N/A  | 5.7  | 5.3 | <b>3.25</b> |
| ტაჯიკეთი    | 1.0 | 1.0 | 1.0 | N/A | N/A  | N/A | 2.0 | 1.8 | 1.4 | N/A  | 6.5  | N/A | <b>2.10</b> |

მოცემულ მონაცემებს თუ დავაჯგუფებთ რეგიონების მიხედვით გვექნება შემდეგი სურათი (იხ. ცხრილი 3):

**ცხრილი 3. ინკლუზიური განვითარების ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით**

| ქვეყნების ჯგუფი   | ქვეყნის ჯგუფის საშუალო ინდექსი |
|-------------------|--------------------------------|
| ბალტიისპირეთი     | 7.08                           |
| აღმოსავლეთ ევროპა | 5.87                           |
| რუსეთი            | 5.04                           |
| სამხრეთ კავკასია  | 4.50                           |
| ცენტრალური აზია   | 4.14                           |

როგორც ჩატარებული კვლევიდან ვხედავთ პოსტსაბჭოთა სივრცეში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კუთხით ყველაზე წარმატებული ბალტიისპირეთის ქვეყნებია. პირველ ადგილს იკავებს ესტონეთი, მეორეს ლიეტუვა, მესამეს კი ლატვია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღნიშნულ ქვეყნებში დაიწყო საკმაოდ სწრაფი და რადიკალური რეფორმების განხორციელება, რამაც დააჩქარა მათი გადასვლა მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და ხელი შეუწყო სამართლიანი და ყველასთვის თანასწორი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას. აღნიშნულ ქვეყნებში განხორციელებული არაერთი რეფორმა მოგვიანებით მისაბამი მაგალითი გახდა უკრაინისთვის და საქართველოსთვის, თუმცა როგორც ვხედავთ მათ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვთ და ისინი შესაბამისად მე-7 და მე-11 ადგილს იკავებენ რეიტინგში.

მეორე ადგილს ქვეყნების ჯგუფის მიხედვით იკავებს აღმოსავლეთ ევროპა. მიუხედავად იმისა რომ ამ ჯგუფში შემავალი ბელარუსი, რომელიც მე-4 ადგილს იკავებს, დემოკრატიული რეფორმებით დიდად არ გამოირჩევა, ის საკმაოდ წარმატებულია სიღარიბის დაბალი დონის და ქვეყანაში არსებული დაბალი უთანასწორობის გამო, რაც ხელს უწყობს, რომ ამ უკანასკნელის ეკონომიკური განვითარება, მიუხედავად მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის დაბალი მაჩვენებლისა, იყოს უფრო მეტად ინკლუზიური.

სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ჯგუფში შემავალი ქვეყნები შეიძლება ითქვას რომ ვერ გამოირჩევიან ვერც ეკონომიკური განვითარების მაღალი მაჩვენებლებით და ვერ იმ ფაქტორებით, რომლებიც არსებული ეკონომიკური სარგებლის სამართლიან გადანაწილებას უზრუნველყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში. აქედან გამომდინარე მათ ყველა მიმართულებით უფრო მეტი სამუშაო აქვთ. აღნიშნული შედეგების მიზეზები შეიძლება სხვადასხვა იყოს, დაწყებული არსებული სამხედრო კონფლიქტებით, ევროპისგან დაშორებით და ა.შ. მიუხედავად მიზეზებისა ფაქტი ერთია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ბალტიისპირეთის ქვეყნების ჯგუფი ყველაზე წარმატებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხრივ,

განსაკუთრებით კი ესტონეთი რომელიც უდავო ლიდერია ყველა მიმართულებით განსაკუთრებული მაღალი მაჩვენებლების გამო.

## დასკვნა

ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საზრუნავი არის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რისთვისაც საჭიროა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ისიც, რომ აღნიშნული ზრდა თანაბრად და სამართლიანად ნაწილდებოდეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე და მოიცავდეს ეკონომიკის არაერთ სექტორს, რაც წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარ არსს.

უთანასწორობა და სიღარიბე XXI საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასში შემავალ ქვეყნებს მძიმე მემკვიდრეობა ხვდათ წილად. ზოგმა შესძლო უკეთ გამკლავებოდა არსებულ გამოწვევებს, ზოგი კი დღესაც პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის გზაზე დგას.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინკლუზიურობა დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ ის ზოგადი შტრიხები, რომლებითაც ინკლუზიური ზრდა შეგვიძლია დავახასიათოთ:

- ინკლუზიური ზრდა გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც უნდა მოიცავდეს ეკონომიკაში შემავალი დარგების უმრავლესობას და გავრცელებული იყოს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე;

- ეკონომიკური ზრდის პროცესში მონაწილეობას უნდა იღებდეს მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი და ქვეყნის ყველა შრომისუნარიან მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ჩაერთოს ეკონომიკურ საქმიანობაში;

- ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებელი უნდა ნაწილდებოდეს მთელს მოსახლეობაზე სამართლიანად, თითოეული ადამიანის გაწეული შრომის და მისი შეტანილი წვლილის შესაბამისად;

- მსგავსმა ეკონომიკურმა განვითარებამ და ამ პროცესში მოსახლეობის ფართო ჩართულობამ უნდა მიგვიყვანოს სიღარიბისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული უთანაბრობის შემცირებამდე.

რათქმაუნდა აღნიშნული მიზნების მიღწევა ასევე ბევრ ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. ჩვენ გვინდა გამოვყოთ ის 3 ძირითადი ფაქტორი, რომლებიც მიგვაჩნია, რომ უფრო დიდწილად განსაზღვრავენ თუ რამდენად ეფექტიანად მოხდება ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების შესრულება:

1. **განათლებული საზოგადოების ფორმირება** - როგორც უკვე ვთქვით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ვერ მიიღწევა თუ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ჩაერთო ეკონომიკურ საქმიანობაში აქტიურად და მათმა ჩართულობამ ხელი არ შეუწყო სხვადასხვა სექტორების განვითარებას. თუმცა ეს უკანასკნელი უბრალოდ შეუძლებელი იქნება თუ ქვეყანაში მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, რათა თავისი წვლილი შეიტანონ ეკონომიკის განვითარებაში. ამისათვის კი აუცილებელია მაქსიმალური ყურადღება მიექცეს განათლების სისტემის სრულყოფას და განათლებული საზოგადოების ფორმირება იყოს სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტი.

2. **სამართლიანი გარემოს ფორმირება** - მეორე მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც ინკლუზიური ზრდისთვის აუცილებლად მიგვაჩნია არის თითოეული მოქალაქისთვის თანასწორი და სამართლიანი გარემოს ფორმირება. აქ საუბარი გვაქვს როგორც კორუფციის გამოვლენის მინიმუმამდე შემცირებაზე, ასევე ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო ინფორმაციის ქონისა თუ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობების არსებობაზე და ა.შ, რათა თითოეული პოტენციური მეწარმე გრძნობდეს,

რომ მას სხვასთან მიმართებაში თანაბარი შესაძლებლობა აქვს ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების თუ მისი წარმატებულად განხორციელების.

3. **სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები** - რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად უწყობდეს ხელს ბიზნეს სექტორს სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებით, რათა ერთობლივი ძალებით მოხდეს ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Asia Development Bank, “Framework of inclusive growth indicators”, 2011 - <https://www.adb.org/sites/default/files/publication/42976/ki2011-special-supplement.pdf> (15.03.2021)
2. Asia Development Bank, “Strategy 2020”, 2008 - <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/32121/strategy2020-print.pdf> (15.03.2021)
3. Asia Development Bank, “Strategy 2030”, 2018 - <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/435391/strategy-2030-main-document.pdf> (15.03.2021)
4. International Monetary Fund, Central government debt (% of GDP) - [https://www.imf.org/external/datamapper/CG\\_DEBT\\_GDP@GDD/CHN/FRA/DEU/ITA/JPN/GBR/USA](https://www.imf.org/external/datamapper/CG_DEBT_GDP@GDD/CHN/FRA/DEU/ITA/JPN/GBR/USA) (29.03.2021)
5. Ministry of Finance of Georgia, Central government debt (% of GDP) - <https://mof.ge/en/4409> (29.03.2021)
6. Organisation for Economic Co-operation and Development, “All on board Making inclusive growth happen”, 2014 - <https://www.oecd.org/inclusive-growth/All-on-Board-Making-Inclusive-Growth-Happen.pdf> (15.03.2021)
7. The World Bank, Central government debt (% of GDP) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/GC.DOD.TOTL.GD.ZS?downloadformat=excel> (29.03.2021)
8. The World Bank, Current health expenditure (% of GDP) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SH.XPD.CHEX.GD.ZS?downloadformat=excel> (29.03.2021)
9. The World Bank, Employment to population ratio, 15+, total (%) (modeled ILO estimate) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SL.EMP.TOTL.SP.ZS?downloadformat=excel> (29.03.2021)
10. The World Bank, GDP per capita (constant 2010 US\$) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/NY.GDP.PCAP.KD?downloadformat=excel> (29.03.2021)
11. The World Bank, Gini index (World Bank estimate) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.POV.GINI?downloadformat=excel> (29.03.2021)
12. The World Bank, Government Effectiveness - <http://info.worldbank.org/governance/wgi/Home/downloadFile?fileName=wgidataset.xlsx> (29.03.2021)
13. The World Bank, Government expenditure on education, total (% of government expenditure) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SE.XPD.TOTL.GB.ZS?downloadformat=excel> (29.03.2021)
14. The World Bank, Income share held by highest 20% - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.DST.05TH.20?downloadformat=excel> (29.03.2021)
15. The World Bank, Income share held by lowest 20% - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.DST.FRST.20?downloadformat=excel> (29.03.2021)
16. The World Bank, Poverty headcount ratio at \$3.20 a day (2011 PPP) (% of population) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.POV.LMIC?downloadformat=excel> (29.03.2021)
17. The World Bank, Voice and Accountability - <http://info.worldbank.org/governance/wgi/Home/downloadFile?fileName=wgidataset.xlsx> (29.03.2021)

18. Transparency International, Corruption Perceptions Index 2010 - [https://images.transparencycdn.org/images/CorruptionPerceptionsIndex2010\\_poster.pdf](https://images.transparencycdn.org/images/CorruptionPerceptionsIndex2010_poster.pdf) (29.03.2021)
19. Transparency International, Corruption Perceptions Index 2019 - [https://images.transparencycdn.org/images/2019\\_CPI\\_Report\\_EN\\_200331\\_141425.pdf](https://images.transparencycdn.org/images/2019_CPI_Report_EN_200331_141425.pdf) (29.03.2021)
20. United Nations, “The 2030 agenda for sustainable development”, 2015 - <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf> (15.03.2021)
21. World Economic Forum, “The inclusive growth and development report”, 2015 - [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_Forum\\_IncGrwth.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth.pdf) (15.03.2021)
22. World Economic Forum, “The inclusive growth and development report”, 2017 - [http://www3.weforum.org/docs/WEF\\_Forum\\_IncGrwth\\_2017.pdf](http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2017.pdf) (15.03.2021)
23. World Health Organization, Healthy life expectancy (HALE) at birth (years) - [https://apps.who.int/gho/athena/data/data.xls?target=GHO/WHOSIS\\_000002,WHOSIS\\_000007&format=xml&profile=excel-xtab&filter=COUNTRY:\\*&x-sideaxis=COUNTRY&x-topaxis=GHO;SEX;YEAR](https://apps.who.int/gho/athena/data/data.xls?target=GHO/WHOSIS_000002,WHOSIS_000007&format=xml&profile=excel-xtab&filter=COUNTRY:*&x-sideaxis=COUNTRY&x-topaxis=GHO;SEX;YEAR) (29.03.2021)
24. World inequality lab, “World inequality report 2018”, 2018 - <https://wir2018.wid.world/files/download/wir2018-summary-english.pdf> (15.03.2021)

*Giorgi Kraveishvili*

**INCLUSIVE ECONOMIC DEVELOPMENT AS A CHALLENGE OF THE XXI CENTURY:  
ESSENCE AND METHODOLOGY, COMPARATIVE ANALYSIS OF POST-SOVIET COUNTRIES  
Summary**

The main concern for any country is to ensure economic prosperity and a high standard of living for its people. It is therefore essential that the economic growth and development of a country be equally beneficial to every citizen of that country. Inequality is observed in the world today between different groups of the population, as well as a high rate of people living below the poverty line. To solve this problem, the need for inclusive economic development was on the agenda of world economic policy at the beginning of the XXI century. Inclusive economic development envisages economic growth that will benefit the wider population, reduce poverty, and eliminate inequalities between different segments of the population.

Several indicators are used to measure inclusive economic growth. Indicators assess economic growth rates, as well as poverty, inequality, and how fairly the benefits of economic growth are distributed to different groups of the population, and how well their standard of living improves.

The Baltic states occupy the leading positions in the comparison of post-Soviet countries. In the first place is Estonia, which is distinguished by a good rate of economic development as well as by the factors that ensure a fair distribution of this development among the population.

Many factors are required to achieve inclusive economic development. We especially want to highlight the need for a high level of education among the population. Because inclusive economic growth involves the involvement of a large proportion of citizens in economic activities, they must have the appropriate education and skills. On the other hand, it is important to create a fair environment in the country so that all people have equal opportunities. It is also important that the state actively promotes business development through the implementation of various support programs. These and other factors determine the eradication of poverty, the reduction of inequality, and the achievement of inclusive economic development.

*თავ ლაზარაშვილი  
რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე*

**სოციალური ინოვაციები: ეკონომიკური და სოციალური შინაარსი**

*ანოტაცია. სამეცნიერო ლიერატურაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურად საკითხად განიხილება სოციალური ინოვაციების სტატუსი, როგორც საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების დამოუკიდებელი მოვლენა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით სოციალური*

ინოვაციებისადმი ინტერესი, როგორც სამეცნიერო კვლევის ობიექტისადმი უკვე ბოლო 20 წელია რაც შეიმჩნევა და განპირობებულია როგორც საზოგადოებრივი სექტორის პრობლემათა გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებით. აგრეთვე, ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობების ტრანსფორმაციით, რომელიც გამოწვეულია მიზანსწრაფული ტექნოლოგიური განვითარებით, სოციალურ, კულტურულ, გარემოსდაცვით სფეროებში ცალკეული ეკონომიკური აგენტების ინტერესებისა და სტიმულირების ცვლილებით.

აღსანიშნავია, რომ ინოვაციები ზოგადად და კერძოდ, სოციალური ინოვაციები წარმოადგენენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განუყოფელ ნაწილს, რადგანაც გულისხმობენ მისი ყველა ფაქტორისა და შედეგის ხარისხობრივ ცვლილებას. ამასთან დაკავშირებით, ამ მოვლენის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი არის თეორიულ-მეთოდოლოგიური შეხედულებების განვითარება სოციალური ინოვაციების შინაარსობრივ საუბველზე.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციები, სოციალური ინოვაციები, საზოგადოება, სოციუმი

## შესავალი

ზოგადად, სოციალური ინოვაციების შინაარსობრივი საფუძვლის კვლევის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე:

- საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული ხერხების ძიებით;
- ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობების ცვლილებებით;
- სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ევოლუციონირებით. ერთი ტექნოლოგიური წყობის მეორეზე გადასვლით.

ჩვენი აზრით სოციალური ინოვაციები ესაა ხარისხობრივი ცვლილებების ერთობლიობა ადამიანური და სოციალური კაპიტალის ფორმირების, განვითარებისა და რეალიზაციის სფეროებში პირადი და საზოგადო კეთილდღეობის დონის გაზრდის მიზნით.

სოციალური ინოვაციების ხარისხობრივი განსაზღვრა განპირობებულია რიგი დამახასიათებელი თავისებურებებით: სტრატეგიული მიმართულებით; ინერტულობით, სინერგიით და რისკიანობით.

## სოციალური ინოვაციების სუბიექტური ფორმები და კლასიფიკაცია

სოციალური ინოვაციები წარმოადგენენ საკმაოდ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, რადგანაც წარმოიშვებიან სოციალური და ეკონომიკური სფეროს გადაკვეთისას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ-ინოვაციური პროცესის მონაწილეები შეიძლება განვიხილოთ პროექტის და ინსტიტუციონალური მიდგომის პოზიციიდან.

ერთი მხრივ, პროექტის მიდგომის თანახმად სოციალური ინოვაციების მონაწილეები შეიძლება იყვნენ:

- შემკვეთი, რომლის სახით შეიძლება გამოვიდნენ ხელისუფლებისა და მართვის მუნიციპალური ორგანოები, რომლებიც ასრულებენ საზოგადოების სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური პრობლემების გადაჭრის ამოცანას.

- ინვესტორი, რომლის სახით შეიძლება გამოვიდეს როგორც ხელისუფლების სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, ისე სხვადასხვა ფონდები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები და აგრეთვე ცალკეული ინდივიდები.

- მწარმოებელი, სოციალური ინოვაციების ინიციატორის წარმომადგენელი. ეს შეიძლება იყოს ბიზნესის წარმომადგენლები, ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების და ბიზნესის გაერთიანებები, ცალკეული ინდივიდები.

- მომხმარებლები, რომელთა სახით შეიძლება გამოვიდეს საზოგადოება მთლიანად და ადამიანი კერძოდ:

ინსტიტუციური მიდგომის პოზიციიდან სოციალური ინოვაციების მონაწილეებად გამოდიან საოჯახო მეურნეობები, ფირმები და სახელმწიფო. საოჯახო მეურნეობების როლი და ფუნქციები მიზანშეწონილია ორი მხრიდან განვიხილოთ: ერთი მხრივ ისინი გამოდიან ადამიანური კაპიტალის მატარებლის სახით, რომლებიც წარმოადგენენ სოციალური ინოვაციების შექმნის პოტენციურ საფუძველს; მეორე მხრივ - როგორც სოციალური ინოვაციების უშუალო მომხმარებელი [Ромашенко Т.Д., Кисова А.Е. 2020].

სოციალური ინოვაციების ფორმირება, გავრცელება და დანერგვა ადამიანის საარსებო საშუალებების სხვადასხვა სფეროებში იწვევს მათი ახალი სახეობისა და ფორმების წარმოშობას. ასე მაგალითად, სოციალურ ინოვაციებს დღესდღეობით ბევრი ეკონომისტი მიაკუთვნებს ჩარტერულ სკოლებს, სოციალურ კონტრაქტებს, მიკროფინანსირებას, სოციალურ მეწარმეობას და სხვა.

დღესდღეობით რადგან აღნიშნული მოვლენა ახალია ეკონომიკურ მეცნიერებაში, იგი სათანადოდ არ არის შესწავლილი და შესაბამისად სოციალური ინოვაციების ერთიანი კვალიფიკაციაც არ არსებობს. სოციალური ინოვაციების ტიპოლოგია ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით და გააჩნია მრავალკრიტერიული ხასიათი. ამასთან ტიპოლოგიის შერჩევა დამოკიდებულია ჩატარებული კვლევების მიზნებზე.

სოციალური ინოვაციების ძირითადი კლასიფიკაციის ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს: საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო; მასშტაბურობის დონე და ხარისხი; გამოხატულების ინსტიტუციური ფორმა; ურთიერთქმედების სუბიექტები.

საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ინოვაციები სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ-სულიერ სფეროებში.

დონისა და მასშტაბურობის ხარისხის მიხედვით სოციალური ინოვაციები იყოფა ნაწო, მიკრო, მაკრო და მეგადონის ინოვაციებად.

ინსტიტუციური ფორმის მიხედვით: სოციალური მეწარმეობა, სოციალური კოოპერაციები და არაკომერციული ორგანიზაციები.

სუბიექტების ურთიერთქმედების მიხედვით მიზანშეწონილია მათი დაყოფა 2 სახედ:

- ბიზნესსა და ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებს (სახელმწიფო სოციალური კერძო პარტნიორობა, საქველმოქმედო პროექტები) შორის ურთიერთქმედება;
- ურთიერთქმედება საწარმების, საოჯახო მეურნეობების და სახელმწიფოს შორის – სოციალური პარტნიორობა.

სოციალურ ინოვაციებს როგორც წესი განისაზღვრება ორი ძირითადი მნიშვნელობით: პირველ რიგში, სოციალური და კულტურული ხასიათის ინოვაციები ნებისმიერ სფეროში. მაგალითად ახალი ქცევითი მოდელები, ადამიანებს შორის ურთიერთობების დამყარების პრინციპების ცვლილება. ამ ინტერპრეტაციით სოციალური ინოვაციები უზრუნველყოფენ ღირებულებითი სისტემებისა და პრიორიტეტების, ნორმებისა და რეპრეზენტაციულ-ინტერპრეტაციული სქემების ევოლუციის გამოყენებას არა ტექნოლოგიური ან პროდუქციის მოდიფიკაციიდან, არამედ ურთიერთქმედების ფორმებიდან მოგების მისაღებად. მეორე მხრივ, ინოვაციები ე.ი. სოციალურ ურთიერთობებში, სოციალურ პოლიტიკაში, სოციალურ მომსახურებასა და სოციალურ-კულტურულ სერვისში, გავრცელება და ცვლილებების ინტერნაციონალიზაცია და აგრეთვე სოციალური მეწარმეობა, როგორც საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის სისტემა, როგორცაა: მაგ. მოსახლეობის ნაკლებად დაცული ფენების მხარდაჭერა [Ромашенко Т.Д., Кисова А.Е. 2020].

განმარტებების პირველი ჯგუფი შეიძლება პირობითად დავახასიათოდ, როგორც ფუნდამენტური, ძირითადი მიდგომა, მეორე კი, როგორც საბაზო მიდგომის დარგობრივი გამოყენება. შესაბამისად შეიძლება გამოვეყნოთ უფრო დეტალური ქვეტიპები თითოეული ჯგუფის განსაზღვრის შიგნით მეთოდოლოგიური, კონცეპტუალური დარგობრივი და ტექნოლოგიური მიდგომების ფარგლებში.

მეთოდოლოგიურად, სოციალური ინოვაციები ასახავს ცვლილებების ასპექტს, რომელიც დაკავშირებულია ახალი ფორმების ფორმირებასთან და საზოგადოებაში ადამიანებთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპების რესტრუქტურისაციასთან.

ვინაიდან ინოვაციები ასახავს ახლად შემოთავაზებულის (ახალი ტექნოლოგია, ახალი პროდუქტი ან მომსახურება და ა.შ.) დანერგვასა და ალგორითმიზაციას, ე.ი. სტანდარტიზაციასა და რეალიზაციას, მაშინ ეს პროცესები, როგორც წესი, გავლენას ახდენს მასობრივ კატეგორიებზე (მოსახლეობის ჯგუფები, საწარმოების ტიპები, საქმიანობის ტიპები და ა.შ.), ამ მხრივ, წარმოიქმნება მნიშვნელოვანი ჯგუფური პროცესები, ახალი თანასაზოგადოებების ფორმირება და ძველის დეფორმაცია, საბოლოოდ, გლობალურ ადამიანურ საზოგადოებაში, ადამიანთა ქცევის ცვლილება პლანეტარული ცნობიერებისა და მოქმედების დონეზე.

ზოგადად რობოტიზაცია იწვევს მშრომელთა მნიშვნელოვანი მასების განთავისუფლებას, რომლებიც გამოდიან შრომის ბაზარზე და იწყებენ შემოსავლების სხვა წყაროების ძებნას ანდა სოციუმი დაიწყებს მოსახლეობის ამ მასების ჩართვას სოციალურად მისაღებ სიცოცხლისუნარიან ფორმებში. ამისათვის ხდება სამუშაო კვირის შემცირება, ფორმირდება გაცემული შემწეობების მნიშვნელოვანი მოცულობა, იქმნება ინოვაციური ქმედებებისა და აოციაციების ფორმები, რომლებიც კავდებიან სოციალურად მისაღები საქმიანობით და ამასთან ერთად გამოდიან გლობალური მასობრივი რობოტიზირებული წარმოების პროდუქციის მომხმარებლად [Маргуляна Я. А. 2018].

ამგვარად, სოციალურ ინოვაციებად შეიძლება ჩავთვალოთ ადამიანის სიცოცხლის-უნარიანობის ახალი ფორმები მთლიანად საზოგადოებაში ანდა განსაზღვრული ქვესისტემის ჩარჩოებში (მაგ. სოციუმის ეკონომიკური ქვესისტემა). მაგ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა განიხილება, როგორც სოციალური ინოვაცია თავისი არსით, რადგანაც ასახავს ამოცანების ურთიერთგადაჭრის ახალ ფორმებს და ბიზნესისა და სახელმწიფოს ინტერესებს, საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფარგლებში.

მეთოდოლოგიური ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს სოციალურ ინოვაციებს მივაკუთვნოთ ახალი ურთიერთქმედება ინსტიტუტებს, საზოგადოების სუბიექტებსა და სტრუქტურებს შორის. მაგალითად რესურსების დაზოგვა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სოციალური ინოვაცია იმ შემთხვევაში, თუკი საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ მნიშვნელოვან შედეგს ლოკალური თანასაზოგადოებისათვის ანდა საზოგადოებისათვის მთლიანად ნაციონალურ და რეგიონულ დონეებზე.

ამ თვალსაზრისით, მიდგომების პირველი ჯგუფის ფარგლებში სოციალური ინოვაციის ინტერპრეტაციაში მთელი ისტორია ადამიანური საზოგადოებისა და განიხილება, როგორც ურთიერთობების ერთი ტიპისა მეორეთი თანამიმდევრული ცვლილება საზოგადოებაში. სოციალურ-ინოვაციური პროცესების დაჩქარება ინფორმაციულ საზოგადოებაში დაკავშირებულია სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროცესებთან.

ამგვარად, სოციალური ინოვაციები ასახავს: ა) საზოგადოების ევოლუციის განსაზღვრულ ეტაპს, როდესაც ესა თუ ის ინსტიტუტი (როგორც რეგულარულად განმეორებადი მოქმედებებისა და კავშირების ფორმა) დემონსტრირებს არასაკმარის ეფექტიანობას და საჭიროებს განახლებას; ბ) ჭარბი სოციალური ურთიერთობების ფართოდ ჩანაცვლება, სხვა ფორმებით, რომელთა უკმარისობა იწვევდა ეფექტიანობის შემცირებას.

კონცეპტუალურად ინოვაციები შეიძლება განსაზღვრულ იყოს როგორც ურთიერთ-კავშირის კონკრეტული ფორმები ადამიანებს შორის მოქმედ ინსტიტუტებს შორის. მაგ, კერძო ბიზნესს შორის. სოციალური ინოვაციის მაგალითად, რომელიც თეორიულ-კონცეპტუალურ დონეზეა განსაზღვრული შეიძლება გამოგვადგეს ტექნოლოგიური ინოვაციიდან გადასვლა ინოვაციური პროცესის მნიშვნელობით უფრო ფართო ცნებისაკენ. დღეისათვის კორპორატიული სასწავლო ცენტრის ანდა უნივერსიტეტის ფუნქციები ფართოვდება ცოდნის გაცვლის, გადაცემის ცენტრიდან და კორპორატიული კულტურის ფორმირებიდან, კომპენსაციური მენეჯმენტის ელემენტამდე (რადგანაც ცოდნის შექმნა გამოდის



თანამშრომლებისათვის მოტივაციის სახით) და კომპანიის ლოკალურ საზოგადოებასთან და ბიზნეს-პარტნიორებთან ურთიერთქმედების კომპონენტამდე, იმ შემთხვევაში, თუკი კორპორატიული უნივერსიტეტი შესაძლებლობას იძლევა შეთავაზოს საგანმანათლებლო და გაცნობითი პროგრამები როგორც მაცხოვრებლებს, ისე დაინტერესებულ პირებს, კომპანიის პარტნიორებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს, ადგილობრივ ხელისუფლებას და სხვა. ამ კუთხით სოციალური ინოვაცია ქსელური ურთიერთობების დამყარების კოოპერატიული მიდგომის სისტემურ განხორციელებას სასწავლო ქვედანაყოფის გამოყენებით, რომელიც მოიცავს ყველა მხარეს, რომელთა საქმიანობა პირდაპირ გავლენას ახდენს ორგანიზაციის პროცესებზე კომპანიის ცოდნის სისტემაში და კომპანიის შესახებ, რაც ხელს უწყობს ღირებულების შექმნის ჯაჭვის სტაბილიზაციას და გაძლიერებას [Маргуляна Я. А. 2018].

მოცემულ მიდგომაში შეიძლება დავეყრდნოთ ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო დონეზე, კერძოდ ოსლოს გზამკვლევს (ინოვაციური მონაცემების შეფროვებისა და ანალიზის რეკომენდაციები). ოსლოს სახელმძღვანელოში „ტექნოლოგიური ინოვაციის“ ტერმინზე უარის თქმა აიხსნება მომსახურების სფეროში პროცესუალური და პროდუქტიული ინოვაციების ჯგუფების გაფართოებით.

რადგანაც ინოვაციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სიახლე, მაშინ ინოვაციის ცნება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც პროცესი და შედეგი – ინოვაციის კლასიკური განსაზღვრება ეხება მიღებული ახალი წარმოდგენების დანერგვას. უმეტესობა დოკუმენტებში დღესდღეობით ინოვაციებზე საუბარი მიდის როგორც შედეგზე (მაგ. ოსლოს გზამკვლევი).

ინფორმაციული პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირობებში, სადაც მომსახურების სფეროს უკავია ეკონომიკური სისტემის 80-85%-მდე, ინოვაციის გადასვლა სოციალური მომსახურების სფეროში და სოციალურ-კულტურულ სერვისში წარმოადგენს ბუნებრივ პროცესს.

სოციალური ინოვაციების დარგობრივი გამოყენება მომსახურების სექტორში აისახება მომსახურების გაწევის ორგანიზაციის ცლილებაში, ეკონომიკური და მმართველობითი მიდგომისას მომსახურების საქმიანობის და კომპეტენციის, შინაარსის ფორმირებისას, რომელიც აუცილებელია სერვისებში ეფექტური მუშაობისათვის.

როგორც ავლნიშნეთ, საზღვარგარეთის ქვეყნებში 2000 წლების დასაწყისში ტერმინი „სოციალური ინოვაციების“ გამოყენება აქტიურად დაიწყო სოციალურ კონტექსტში სექტორთაშორისი ურთიერთქმედების ახალი პრაქტიკების აღწერისათვის, სოციალური პრობლემების უკეთესი გადაწყვეტისთვის და მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. სოციალური ინოვაციები ვითარდება ისეთ სფეროებში, როგორცაა: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებები, განათლება და სტრუქტურული უმუშევრობა, მოსახლეობის დაბერება, ახალგაზრდების დასაქმება, სიღარიბის დონის შემცირება და ცხოვრების დონის ამაღლება, გლობალიზაციისა და მიგრაციის პრობლემები, ეკოლოგია და კლიმატის ცვლილება, ტრანსპორტის საკითხები და მოსახლეობის მობილობა, ენერგომოხმარება და ა.შ.

სოციალურმა ინოვაციებმა შედარებით აქტიურად დაიწყეს განვითარება და მხარს უჭერდნენ 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, რომელსაც მოყვა სოციალურ სფეროზე დანახარჯების შემცირება. ევროკომისიის და ევროპული კომისიის ანალიტიკური ცენტრის დოკუმენტებში, სოციალური ინოვაციები განიხილება, როგორც რესურსების მობილიზების ძირითადი ინსტრუმენტი ევროპაში სოციალური გამოწვევების გადასაწყვეტად, როგორც ტექნოლოგიური ინოვაციების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ელემენტი და მეტი სოციალური შედეგების მიღწევის ინსტრუმენტი ნაკლები ძალისხმევით [Зырянов М. 2016].

მკვლევარებს შორის არ არის სოციალური ინოვაციების, ერთიანი თეორეტიკული განმარტება რაც მიგვანიშნებს მის უფრო მეტად მრავალ ასპექტურობაზე, ვიდრე მის თეორეტიკულ დამუშავებაზე.

სოციალური ინოვაციები ესაა ახალი გადაწყვეტილებები (პროდუქტები, მომსახურება ანდა პროცესები), რომლებიც პასუხობენ სოციალურ მოთხოვნილებებს უკეთესად, ვიდრე არსებული ვარიანტები და გულისხმობენ შესაძლებლობების გაუმჯობესებას და ურთიერთქმედებას მონაწილეთათვის და კეთილდღეობის მიმღებთათვის. სოციალური ინოვაციები – ესაა სოციალურ პრობლემათა გადჭრის გზებისა და გადაწყვეტის შესაძლებლობა, რომლებიც ადრე არაადეკვატურად წყდებოდა. ეს გადაწყვეტილებები აგრეთვე უნდა იყოს ფუნქციონალური (ეფექტური) და ორიენტირებული სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ კეთილდღეობის მიმღებთათვის და ყველა მონაწილისათვის.

სოციალური ინოვაციების ძირითად ელემენტებად გამოდის მათი სოციალური მიმართულება, სოციალური მიზნის მიღწევისადმი ორიენტაცია; მათი რელევანტურობა და ლეგიტიმურობა თანასაზოგადოებაში, ე.ი. ის მდგომარეობა, რომ ინოვაციური გადაწყვეტილებები პასუხობენ მცხოვრებთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, აგრეთვე სიახლე ადგილობრივი კონტექსტისათვის და ის, რომ სოციალური ინოვაციები ეფუძნებიან აქტიურ სექტორთაშორის ურთიერთქმედებას მონაწილეთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ევროკავშირში სოციალური ინოვაციის მაგალითებია: მაგ. ინოვაციები განათლების და უწყვეტი სწავლების სფეროში, რომელიც ეხება განათლებაში ბარიერების გადალახვას, სწავლების ახალი მეთოდებს; ინტერაქტიული სწავლებას, სასკოლო განათლებას, ინოვაციები მდგრადი განვითარების სფეროში და სიღარიბის შემცირებაში მიმართულია შემოსავლების მხარდაჭერისკენ, თვითდახმარებისკენ, შესაძლებლობების შექმნისკენ. დასაქმების სფეროში პროექტები გულისხმობენ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს უმუშევრობის შემცირებისათვის ახალგაზრდებს შორის და მოსახლეობის სხვა სუსტ ჯგუფებს შორის სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის. პროექტები სამედიცინო დახმარების სფეროში გულისხმობს, მაგ. სამედიცინო დახმარებას ონლაინ, კომპლექსურ დაქმნარებას, მოვლის ახალ მეთოდებს, მკურნალობის დამოუკიდებლად მართვას. სოციალური ინოვაციების მაგალითს ენერგომომარაგებაში წარმოადგენს გაერთიანებები ენერგეტიკულ სფეროში ლოკალური წარმოება და ენერჯის ეკონომიის სწავლება მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგ. ირლანდიაში ინოვაციური პროექტების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ცარიელი და საცხოვრებლად უვარგისი მუნიციპალური შენობების რემონტში უმუშევრების სწავლება და ჩართვა; იტალიაში – წუნიანი ტანსაცმლისა და ნაჭრების წარმოების განვითარებაში, სამკერვალოდ მიგრანტების მოზიდვა და სხვა.

მნიშვნელოვანია შეცხობთ თუ სოციალური ინოვაციების მხარდაჭერის რა მეთოდებს იყენებს ევროკავშირი.

ევროკავშირში სოციალური ინოვაციების განვითარებისათვის სამი ძირითადი ინსტრუმენტი გამოიყენება. პირველ რიგში ესაა სტრატეგია „ევროპა 2020“ და მისი ორი მიმართულება „ინოვაციური კავშირი“ და „ევროპული პოლიტიკა სიღარიბის წინააღმდეგ“. ორივე მიმართულება მოიცავს მასშტაბურ საქმიანობას და მთავრობის ორგანოებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს, ბიზნესსა და სოციალურ მეწარმეებს შორის თანამშრომლობის განვითარების დაფინანსებას ერთ ან რამოდენიმე ქვეყანაში.

მეორე მხრივ, ესაა (Social Business Initiative) რიგი ფინანსური და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც მიმართულია სოციალური მეწარმეობის განვითარებისადმი, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისადმი, კვლევებისადმი, სოციალური ინოვაციების შემუშავებისა და გავრცელებისადმი და მიკროფინანსირების განვითარებისადმი.

ფინანსური მხარდაჭერა გულისხმობს ფინანსირების შესაძლებლობას რეგიონული განვითარების ევროპული ფონდიდან (183 მლრდ ევრო 2014-2020 წლებში) და ევროპული სოციალური ფონდიდან (80 მლრდ ევრო 2014-2020 წლებში).

მესამე მიმართულება ესაა (Social Investment Package) ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ სოციალური ინვესტიციების გამოყენებისა და განვითარების კომპლექსური ზომების გამოყენება, სოციალური დაცვისათვის [Краснопольская И., Богословская Т.].

აღსანიშნავია, რომ სოციალურ სფეროში, მაგ. ტრანსპორტის, ჯანდაცვისა და ენერგომომარაგების სფეროებისგან განსხვავებით, სოციალური ინოვაციების წარმოებასა და გავრცელებაში ძირითადი როლი ეკუთვნის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც გვევლინებიან მოქალაქეების ინოვაციური სიახლეების გამტარებლებად. თუმცა ჯერ არ არის გასაგები სწორედ არაკომერციული ორგანიზაციების რა პირობები და მახასიათებლები განსაზღვრავენ ორგანიზაციის მონაწილეობას სოციალური ინოვაციების წარმოებასა და გავრცელებაში.

## დასკვნა

სოციალური ინოვაციები რეალიზდება ადამიანის საქმიანობის სფეროებში მისი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და კეთილდღეობის გაზრდის მიზნით. ამ თეზისების საფუძველზე სოციალური ინოვაციები წარმოადგენენ ხარსიხობრივი ცვლილების ერთობლიობის ადამიანური და სოციალური კაპიტალის ფორმირების, განვითარებისა და რეალიზაციის სფეროებში, პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონის გაზრდის მიზნით.

სოციალური ინოვაციები ხასიათდება ისეთი თვისებებით, როგორცაა სტრატეგიული მიმართულება, ინერტულობა, სინერგია, რისკიანობა.

სტრატეგიული მიმართულება განპირობებულია გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური ინოვაციების გამოვლენით სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის ძირეული ფაქტორის პოზიციის მხრიდან.

სოციალური ინოვაციების ინერტულობის ქვეშ იგულისხმება მისი სუბიექტების ნებისმიერი ქმედებები, რომლებიც მიმართულია სოციალური ინოვაციების განხორციელების შეჩერებისაკენ ან წინააღმდეგობისაკენ.

სოციალური ინოვაციების დანერგვას შეიძლება თან ახლდეს სინერგიის ეფექტის წარმოშობა სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთქმედების შედეგად.

სოციალურ ინოვაციებს ახასიათებთ რისკის მაღალი ხარისხი, რადგანაც მათი ფორმირება, გავრცელება და დანერგვა პრაქტიკაში დამოკიდებულია სოციალური კაპიტალის ხარისხზე სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში.

სოციალური ინოვაციების ანალიზისას გამოვლინდა, რომ:

- სოციალური მეწარმეობა - ესაა სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც მიმართულია სოციალური პრობლემების შემსუბუქებასა და გადაჭრაზე. სოციალური საწარმოების ძირითადი მიზანია - სოციალური პრობლემების გადაჭრა ინოვაციური მეთოდებით, ე.ი. სოციალური კეთილდღეობის შექმნა, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მეშვეობით;

- სოციალური საწარმო თავისი არსით და ფუნქციებით „არაკომერციული ორგანიზაციის“ ცნების იდენტურია. აღნიშნული კეტეგორია, გარდა ამისა მოიცავს ისეთ ტრადიციულ ორგანიზაციებს, როგორცაა არაკომერციული თეატრები, ჰოსპიტალები, სკოლები, სოციალური მომსახურების მწარმოებლები და სხვა;

- სოციალური კოოპერაციები წარმოადგენენ მოქალაქეების გაერთიანებებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევისაკენ.

- სოციალური პარტნიორობა - ესაა, ინსტიტუტებისა და მექანიზმების, საწარმოო პროცესის მონაწილეების ინტერესების შეთანხმების სისტემა: მომუშავეების, დამსაქმებლების და პროფკავშირების, რომლებიც დაფუძნებულია თანაბარ თანამშრომლობაზე.

უნდა ითქვას, რომ სოციალური ინოვაციების ტიპოლოგია ხასიათდება მრავალფეროვნებით, მრავალკრიტერიულობით და მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ასპექტებით, რადგანაც სოციალური ინოვაციების სახეების გამოყოფა საკვლევი ობიექტის შესახებ მიზნობრივი და დასრულებული წარმოდგენის ფორმირების საშუალებას გვაძლევს. აგრეთვე საშუალებას იძლევა გამოვლინდეს იქნას სოციალური ინოვაციების

განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაზრდის მიზნით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Голубева А.А., Соколова Е.В. Инновации в Общественном секторе: введение в проблему//Вестник Санкт-Петербургского университета. Менеджмент. – 2010. №4.
2. Зырянов М. Социальные инновации: разрешение инновационных конфликтов. 2016. <https://www.computerworld.ru/articles/Sotsialnye-innovatsii-tehnologii-kotorye-uluchshayut-zhizn>
3. Краснопольская И., Богословская Т. Социальные инновации: о чем говорит европейский опыт и что влияет на инновационность НКО в России? <https://www.hse.ru/science/news/250124865.html>
4. Маргуляна Я. А. Социальные инновации в управлении человеческими ресурсами. Монография. Санкт-Петербург 2018.
5. Ромашенко Т.Д., Кисова А.Е. Социальные инновации: содержание, субъектные формы и классификация. ж. Вестник Воронежского Государственного Университета. серия экономика и управление. №3, 2020.
6. Устинова К.А. Социальные инновации: эффекты от реализации и перспективы развития. ж. Вопросы инновационной экономики. т.2. 2020.

*Tea Lazarashvili*

*Rusudan Dalakishvili-Chichinadze*

### SOCIAL INNOVATIONS: ECONOMIC AND SOCIAL CONTENT

#### Summary

One of the most pressing issues in the scientific literature is the status of social innovation as an independent phenomenon of public and economic life. Some scholars believe that the interest in social innovation as a scientific research object has been observed for the last 20 years and is driven by the search for alternative ways of solving public sector problems. Also, the transformation of relations between economic agents, caused by purposeful technological development, changes in the interests and incentives of individual economic agents in the social, cultural, environmental spheres.

It should be noted that innovations in general and social innovations in particular are an integral part of socio-economic development, as they involve a qualitative change in all its factors and outcomes. In this regard, one of the main aspects of the study of this phenomenon is the development of theoretical-methodological views on the content basis of social innovation.

**Keywords:** *Innovations, Social Innovations, Society, Society*

*გელა ლოზაშვილი  
რუსუდან მდინარაძე  
ნანა მდინარაძე  
ეკატერინე სანიკიძე*

### კორონავირუსის გლობალური ტენდენციები და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია ახალი COVID-19 კორონავირუსის პანდემიის ძირითადი ასპექტები, რომელიც უკვე გახდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ეკონომიკისა და გლობალური ეკონომიკური რეგულირების ინსტიტუტების სიძლიერის გამოცდა. ამ თვალსაზრისით, შესწავლილია ეპიდემიის ეკონომიკის, ანუ, ე.წ. კორონავირუსის უარყოფითი მასშტაბები მსოფლიო ქვეყნებსა და საქართველოში, შემოთავაზებულია არსებული ნეგატიური ზემოქმედების შემცირების გზები და განსაზღვრულია როგორც გლობალური, ასევე საქართველოს ეკონომიკური ზრდის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური ასპექტები.

**საკვანძო სიტყვები:** კორონავირუსი, კორონავირუსი, გლობალური ტენდენციები, ეკონომიკური ზრდა, მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), ახალი მსოფლიო წესრიგი (NWO), პროგნოზი, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

## შესავალი

კორონავირუსის გლობალურმა ეკონომიკამ აჩვენა პანდემიის ყოვლისმომცველი გავლენა მსოფლიოზე, ცვლილებები წარმოების ფაქტორების მოძრაობაში, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ეკონომიკურ ზრდაში. პანდემია უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ გლობალურ მიწოდებასა და მოთხოვნაზე, არამედ გლობალურ ფინანსურ სისტემაზე, რომელიც წარმოჩინდა საკმაოდ მაღალი რისკებით, მრავალი ქვეყნის მნიშვნელოვანი სავალო ტვირთით და ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგებით, რომლის ნეგატიური ეკონომიკური ეფექტის შემცირების და შემდგომი განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია ადაპტაციური, აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის კონცეპტუალური სამოქმედო რაციონალური სტრატეგიული გეგმის შემუშავება ცალკეულ სახელმწიფოსა და რეგიონში არსებულ მდგომარეობათა გათვალისწინებით.

შეიძლება ითქვას, რომ პანდემია აჩქარებს გლობალური წარმოების გარდაქმნას უფრო მოკლე, რეგიონული და მდგრადი ღირებულების ჯაჭვის შექმნით. მან, ასევე აჩვენა ნაციონალიზმის საზღვრები, არსებული პრობლემების თავისთავად გადაჭრის გათვლით. ამასთან, მთავრობების გადამწყვეტი რეაგირება COVID-19-ის პანდემიაზე აჩქარებს ინდუსტრიული პოლიტიკის აღორძინებას და გულისხმობს პარადიგმების ცვლას, როდესაც არსებობს მოთხოვნა უფრო აქტიურ სახელმწიფოებზე განვითარების პრობლემების გადაჭრაში. აქ მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოებამ გამოიმუშაოს ამ ტენდენციების მიმართ საერთო მიდგომები, რათა დაჩქარდეს 2030 წლამდე მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევა, სადაც მნიშვნელოვანია ქვეყნების განვითარება ტრანსფორმაციული პროდუქტიული შესაძლებლობებით და საშუალებებით, მ.შ. ახალი, უფრო მდგრადი მრავალმხრივი კონსენსუსით, სტრუქტურული გარდაქმნებით, ეკონომიკური დივერსიფიკაციით და ინდუსტრიალიზაციით, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება გლობალურ ეკონომიკურ ლანდშაფტში არსებული პრობლემების გადაჭრისა და COVID-19 პანდემიის ახალი გამოწვევების ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით.

ცხადია, გლობალური ეკონომიკის გამოწვევები, საქართველოზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურად ჩართულ მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაზე პირდაპირ აისახება სხვადასხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლით, რომელთა გონივრული მართვა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა გაუმჯობესდეს ქვეყნის არსებული წინააღმდეგობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გაიზარდოს საყოველთაო კეთილდღეობა და მიღწეულ იქნეს ცხოვრების მაღალი დონე.

\*\*\*

კორონავირუსი 21-ე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, რომელმაც განაპირობა გლობალური მასშტაბის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები. მიუხედავად, იმისა რომ 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიო ბანკი, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები გამოსცემდნენ ყოველწლიურ ანგარიშებს სავარაუდო გლობალური ეპიდემიების შესახებ, რომელსაც შეიძლება და სერიოზული ნეგატიური შედეგები მოყოლოდა გლობალური ეკონომიკი-სათვის და, მიუხედავად თანამედროვე, ბოლო წლებში, სამედიცინო სფეროში მიღწეული დიდი პროგრესისა, მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა, მაინც გარკვეულწილად ვერ აღმოჩნდა მზად ეფექტურად გამკლავებოდა გლობალურ პანდემიას და მისგან გამოწვეულ მრავალმხრივ კრიზისებს.

მიმდინარე გლობალური პროცესების აქტუალურ დინამიურ პირობებში, საინფორმაციო რევოლუციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მძაფრი და სწრაფი განვითარებისას სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებში, საგრძნობლად დაჩქარდა და გაძლიერდა. ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამართლებრივი და საინფორმაციო ურთიერთდამოკიდებულების

ხარისხის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, როდესაც მნიშვნელოვანი გამოწვევა გახდა თვისობრივად ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, რომლის ფარგლებში ყველა ცივილიზაცია კარგავს იდენტობას და თავისუფლდება ნაციონალიზმის ე. წ. „ნარჩენებისგან“.

ახალი მსოფლიო წესრიგი (ინგლ. „New World Order“, შემოკლებით „NWO“) ცნობილია როგორც მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნების ძირეული ცვლილებისა და ძალთა ბალანსის გამომხატველი ახალი ეპოქა ე.წ. იდეალური შესაძლებლობა, მსოფლიო ხელისუფლების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რომელიც გლობალური პრობლემების (გლობალიზაცია, სიღარიბე და ჩამორჩენილობა, მშვიდობა და დემილიტარიზაცია, კვებითი, ბუნებრივი რესურსები, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ადამიანური პოტენციალის განვითარება და სხვ.) გადაჭრაში, დღესაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. [1]

ცნობილია, რომ გლობალიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია საერთაშორისო სისტემის სტრუქტურისა და მსოფლიო წესრიგის ძირეული ცვლილება, სადაც ყოველ ისტორიულ პერიოდში განსხვავებულია საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი, ძალთა გადანაწილებისა და ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმები. თუმცა, ამავე დროს, XX საუკუნის 80-90 წლების მიჯნაზე მსოფლიოში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა მთელი სიმწვავეით წამოჭრა საკითხი ახალი ვითარების შესახებ, მსოფლიო ცივილიზაციის გლობალიზაციიდან ნაციონალიზმისა და რეგიონალიზმისკენ მისწრაფების სახით ანუ წარმოჩინდა გლობალიზაციის ტენდენციების შესუსტება და ნაციონალიზმის და რეგიონალიზმის გაძლიერება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ძალთა ბალანსის დაცვა ეროვნული ინტერესების უზენაესობასა ანუ გლობალიზაციის შედეგს (პროდუქტს) და გლობალურ პროცესებს შორის, სადაც გაითვალისწინება ორივე მიმართულების პოზიტიური და გამოირიცხება ნეგატიური მხარეები [2].

2020 წელი ე.წ. ახალი კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიის გამო, როგორც გლობალური, ასევე საქართველოს ეკონომიკისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და უპრეცედენტო მასშტაბის გლობალური ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, რაც მთელ რიგ სფეროებში სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობების შემცირებაში გამოიხატა, სახელდობრ, დაწესებული შეზღუდვების ფონზე მკვეთრად შეფერხდა ეკონომიკური და ბიზნეს აქტივობა, გაუარესდა ერთობლივი მოთხოვნა, სამრეწველო და ტურიზმის სექტორები, დაირღვა მიწოდების ჯაჭვი და წარმოების პროცესი, სავაჭრო პარტნიორების მხრიდან შემცირებული მოთხოვნის გამო, ხოლო საწარმოების დახურვასთან ერთად დაეცა წარმოების მოცულობა და გაყიდვებიც, ამას დაემატა ნავთობის ფასების მკვეთრი ვარდნა, რის შედეგად შემცირდა ექსპორტი და ინვესტიციების მოცულობა, ასევე, მნიშვნელოვნად გაუარესდა როგორც სამომხმარებლო, ისე ბიზნეს განწყობები, რამაც ღრმა რეცესიამდე მიიყვანა როგორც განვითარებული, ასევე მზარდი და განვითარებადი ქვეყნები; თუმცა, წლის მეორე ნახევარში, შეზღუდვების ეტაპობრივ მოხსნასთან ერთად, ეკონომიკური აქტივობის მცირედი გაუმჯობესება შეიმჩნევა. საერთო ჯამში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) აპრილის პროგნოზის მიხედვით, გლობალური ეკონომიკა 2020 წელს 3.3 %-ით შემცირდა, ხოლო ვირუსის გავრცელების ტემპების შენელების შემდეგ, მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობის დასტაბილურება და 2021 წელს 6 %-იანი ზრდაა პროგნოზირებული (იხ. ცხრილი 1) [3].

მართალია, პანდემიის გამოცხადების ფონზე, მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოთა მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უმთავრესი ყურადღება სრულად გადატანილ იქნა ჯანდაცვისა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის პრობლემებზე, თუმცა პარალელურად გასათვალისწინებელია ამ პანდემიის გავლენა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები როგორც მსოფლიოს, ასევე, საქართველოს პოსტპანდემიურ და პოსტკრიზისულ განვითარებაზე. ვირუსის გავრცელების შეზღუდვა, მოწყვლადი მოსახლეობის დახმარება და ვაქცინებთან დაკავშირებული დაძლევა წარმოადგენს პოლიტიკის მთავარ გამოწვევებს და პრიორიტეტებს.

ცხადია, ყოველ დროში გლობალურ კრიზისს თავისი მახასიათებლები აქვს მ.შ. დღევანდელ კორონავირუსულ პანდემიას, სადაც მნიშვნელოვანია კრიზისის შემცირებისთანავე

რისკების დაბალანსება და გარკვეული დასკვნების გამოტანა, როგორც შესაბამისი ანტიკრიზისული მართვის, ასევე პოსტკრიზისული პერიოდის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის თვალსაზრისით, სადაც საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულობის ხელშეწყობამ უნდა უზრუნველყოს ყოვლისმომცველი, სამართლიანი და ინკლუზიური აქტიური, ეფექტიანი ქმედებები და ქვეყანამ განაგრძოს წინსვლა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისკენ. ამასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოში ხაზგასმულია, რომ „კრიზისის შემდგომი აღდგენა უნდა წარმართოს პრინციპით „აღვადგინოთ უკეთესად“. პანდემიამ გამოაშკარავა, რომ მსოფლიოს ტრადიციული ეკონომიკური მოდელები გამოფიტული და არამდგრადია, ხოლო განვითარების მწვანე გზა, შრომის მიმართ უფრო სამართლიანი დამოკიდებულება, საყოველთაო სოციალური დაცვა და პლანეტის უსაფრთხოებისთვის გარემოზე ზრუნვა თანამედროვეობის იმპერატივს წარმოადგენს“. [4, 5].

ცხრილი 1

მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, 2019-2022 წწ. [3]

| მაჩვენებლები   | რეალური მშპ,<br>წლიური ცვლილება, % |             |            |            |
|--|------------------------------------|-------------|------------|------------|
|  | 2019                               | 2020        | პროგნოზი   |            |
|  |                                    |             | 2021       | 2022       |
| 1  | 2                                  | 3           | 4          | 5          |
| <b>წარმოების მსოფლიო მოცულობა</b>  | <b>2.8</b>                         | <b>-3.3</b> | <b>6.0</b> | <b>4.4</b> |
| <b>განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები</b>   | <b>1.6</b>                         | <b>-4.7</b> | <b>5.1</b> | <b>3.6</b> |
| აშშ  | 2.2                                | -3.5        | 6.4        | 3.5        |
| ევრო-ს ზონა  | 1.3                                | -6.6        | 4.4        | 3.8        |
| გერმანია   | 0.6                                | -4.9        | 3.6        | 3.4        |
| საფრანგეთი   | 1.5                                | -8.2        | 5.8        | 4.2        |
| იტალია   | 0.3                                | -8.9        | 4.2        | 3.6        |
| ესპანეთი   | 2.0                                | -11.0       | 6.4        | 4.7        |
| იაპონია  | 0.3                                | -4.8        | 3.3        | 2.5        |
| გაერთიანებული სამეფო   | 1.4                                | -9.9        | 5.3        | 5.1        |
| კანადა   | 1.9                                | -5.4        | 5.0        | 4.7        |
| განვითარებული ეკონომიკის სხვა ქვეყნები   | 1.8                                | -2.1        | 4.4        | 3.4        |
| <b>საბაზრო ეკონომიკის ფორმირებადი და განვითარებადი ქვეყნები</b>  | <b>3.6</b>                         | <b>-2.2</b> | <b>6.7</b> | <b>5.0</b> |
| <b>საბაზრო ეკონომიკის ფორმირებადი და განვითარებადი აზიის ქვეყნები</b>  | <b>5.3</b>                         | <b>-1.0</b> | <b>8.6</b> | <b>6.0</b> |
| ჩინეთი   | 5.8                                | 2.3         | 8.4        | 5.6        |
| ინდოეთი  | 4.0                                | -8.0        | 12.5       | 6.9        |
| <b>სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის 5 სახელმწიფო - ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია, ფილიპინები და სინგაპური, (ACEAN-5)</b> | <b>4.8</b>                         | <b>-3.4</b> | <b>4.9</b> | <b>6.1</b> |
| <b>საბაზრო ეკონომიკის ფორმირებადი და განვითარებადი ევროპის ქვეყნები</b>  | <b>2.4</b>                         | <b>-2.0</b> | <b>4.4</b> | <b>3.9</b> |
| რუსეთი   | 2.0                                | -3.1        | 3.8        | 3.8        |
| <b>ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი</b>  | <b>0.2</b>                         | <b>-7.0</b> | <b>4.6</b> | <b>3.1</b> |
| ბრაზილია   | 1.4                                | -4.1        | 3.7        | 2.6        |
| მექსიკა  | -0.1                               | -8.2        | 5.0        | 3.0        |
| <b>ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია</b>   | <b>1.4</b>                         | <b>-2.9</b> | <b>3.7</b> | <b>3.8</b> |
| საუდის არაბეთი   | 0.3                                | -4.1        | 2.9        | 4.0        |
| <b>აფრიკის ქვეყნები საჭარადან აღმოსავლეთამდე</b>   | <b>3.2</b>                         | <b>-1.9</b> | <b>3.4</b> | <b>4.0</b> |
| ნიგერია  | 2.2                                | -1.8        | 2.5        | 2.3        |
| სამხრეთ აფრიკა   | 0.2                                | -7.0        | 3.1        | 2.0        |
| <b>მსოფლიო ზრდა ბაზრის გაცვლითი კურსის საფუძველზე</b>  | <b>2.4</b>                         | <b>-3.6</b> | <b>5.8</b> | <b>4.1</b> |
| <b>ევროკავშირი</b>   | <b>1.7</b>                         | <b>-6.1</b> | <b>4.4</b> | <b>3.9</b> |

| 1  | 2     | 3     | 4    | 5    |
|--|-------|-------|------|------|
| შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა                                   | 0.8   | -3.4  | 4.0  | 3.7  |
| განვითარებადი ბაზარი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის ეკონომიკები | 3.5   | -2.4  | 6.9  | 5.0  |
| განვითარებადი ქვეყნები დაბალი შემოსავლებით                           | 5.3   | 0.0   | 4.3  | 5.2  |
| ვაჭრობის მსოფლიო მოცულობა (საქონელი და მომსახურება)                  | 0.9   | -8.5  | 8.4  | 6.5  |
| <b>იმპორტი</b>   |       |       |      |      |
| განვითარებული ეკონომიკები  | 1.7   | -9.1  | 9.1  | 6.4  |
| დანარჩენი ბაზარი და განვითარებადი ეკონომიკები                        | -1.0  | -8.6  | 9.0  | 7.4  |
| <b>ექსპორტი</b>  |       |       |      |      |
| განვითარებული ეკონომიკები  | 1.3   | -9.5  | 7.9  | 6.4  |
| დანარჩენი ბაზარი და განვითარებადი ეკონომიკები                        | 0.5   | -5.7  | 7.6  | 6.0  |
| <b>საქონლის ფასები (აშშ დოლარი)</b>                                  |       |       |      |      |
| ნავთობი  | -10.2 | -32.7 | 41.7 | -6.3 |
| არასაწვავი (საქონლის მსოფლიო იმპორტის საშუალო წონებზე დაყრდნობით)    | 0.8   | 6.7   | 16.1 | -1.9 |
| <b>სამომხმარებლო ფასები</b>  |       |       |      |      |
| განვითარებული ეკონომიკები  | 1.4   | 0.7   | 1.6  | 1.7  |
| დანარჩენი ბაზარი და განვითარებადი ეკონომიკები                        | 5.1   | 5.1   | 4.9  | 4.4  |

ნიშანდობლივია, რომ დღემდე მსოფლიოში ახალი კორონავირუსის შემთხვევები კვლავ განაგრძობს ზრდას (იხ. ცხრილი 2), რომლის ტემპი ქვეყნების მიხედვით ცვალებადია სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებიდან გამომდინარე, რამაც თანამედროვე მსოფლიოზე ცალსახად უარყოფითი გავლენა მოახდინა და კაცობრიობა უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა, რადგან პანდემიამ ადამიანების დანაკარგთან ერთად უპრეცედენტო სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯები გამოიწვია. ცხადია, ასეთ პირობებში, COVID-19-თან გამკლავება ყველა ქვეყნის მთავრობის ძირითადი პრიორიტეტი გახდა, სადაც ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია დროული რეაგირება, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების კამპანიის გააქტიურება, დაინფიცირებული პირების ეფექტური იზოლირება, მკურნალობა და ინფექციის წყაროს საფუძვლიანი მოძიება, ოპერატიულად შექმნილი ვებ-პორტალის, ხელმისაწვდომი დისტანციური საჯარო სერვისების და მთლიანობაში, ჯანმრთელობის დაცვის სისტემების სრულყოფა და მათი ეფექტიანობის ამაღლება. ამასთან, მნიშვნელოვანია ვაქცინაციის და სხვა ეპიდსაწინააღმდეგო ზომების გაგრძელება მანამ, სანამ არ იქნება ვაქცინის პარალელურად გამოგონებული ეფექტური ანტივირუსული მედიკამენტი ვაქცინასთან ერთად, რითაც პანდემიის დამარცხების შესაძლებლობა გახდება, ანუ ვაქცინით და სხვა საშუალებებით უნდა მოხდეს პრევენცია და მედიკამენტით უმრავლესობის განკურნება.

COVID-19-ის საწინააღმდეგო უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინაციის დაწერვისა და ადმინისტრირების მიუხედავად, მოვლენების შეფასებიდან გამომდინარე, როგორც არსებული ვითარებიდან ირკვევა, პანდემია კიდევ დიდხანს იმოქმედებს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკაზე. ასეთ ვითარებაში ცხადია, ყველა აქტივობა მთლიანობაში მეტი სიცოცხლის გადარჩენასთან ერთად, ითვალისწინებს პანდემიით მნიშვნელოვნად დაზარალებული ქვეყნების ეკონომიკის გამოცოცხლებას, სწრაფ აღდგენასა და გაძლიერებას.

**ცხრილი 2**

**CIVID 19-ის სტატისტიკა მსოფლიოში ზოგიერთი სახელმწიფოს მიხედვით, 2021 წელი, 10 მაისი [6,7,8]**

| ქვეყნები      | მაჩვენებლები                    |                                 |                                |                                  |
|---------------|---------------------------------|---------------------------------|--------------------------------|----------------------------------|
|               | ინფიცირებული მოსახლეობასთან / % | განკურნებული ინფიცირებულები / % | გარდაცვლილი ინფიცირებულები / % | ვაქცინირებული მოსახლეობასთან / % |
| მსოფლიო, მ.შ. | 159 479 661 / 2.03              | 137 108 458 / 85.97             | 3 314 140 / 2.08               | 1 169 887 754 / 14.84            |
| ევროპა        | 45 630 946 / 6.08               | 41 118 388 / 90.11              | 1 037 083 / 2.27               | 182 231 581 / 24.29              |
| აზია          | 44 299 461 / 0.95               | 38 353 906 / 86.58              | 574 477 / 1.30                 | 214 983 549 / 4.59               |



|                            |                       |                        |                     |                      |
|----------------------------|-----------------------|------------------------|---------------------|----------------------|
| ჩრდილოეთ ამერიკა           | 38 861 865 / 6.50     | 30 919 469 / 79.56     | 871 685 / 2.24      | 186 591 601 / 31.23  |
| სამხრეთ ამერიკა            | 25 944 656 / 5.96     | 23 535 889 / 90.72     | 704 886 / 2.72      | 57 125 062 / 13.13   |
| აფრიკა                     | 4 678 265 / 0.34      | 4 212 716 / 90.05      | 124 792 / 2.67      | 14 509 207 / 1.06    |
| აესტრალია და ოკეანეთი      | 63 747 / 0.15         | 60 754 / 95.31         | 1 202 / 1.89        | 446 754 / 1.03       |
| <b>საქართველო</b>          | <b>322 468 / 8.08</b> | <b>302 428 / 94.10</b> | <b>4 305 / 1.34</b> | <b>62 477 / 1.57</b> |
| აშშ                        | 33 486 075 / 10.07    | 26 449 089 / 78.99     | 595 919 / 2.67      | 151 315 505 / 45.71  |
| კანადა                     | 1 290 670 / 3.42      | 1 185 714 / 91.87      | 24 655 / 1.91       | 14 411 049 / 38.18   |
| ბრაზილია                   | 1 626 071 / 0.76      | 1 072 229 / 65.94      | 65 556 / 4.03       | 35 253 389 / 16.59   |
| რუსეთი                     | 4 888 727 / 3.35      | 4 502 906 / 92.11      | 113 647 / 2.33      | 13 056 228 / 8.95    |
| ინდოეთი                    | 22 940 516 / 1.65     | 18 970 018 / 82.70     | 249 183 / 1.09      | 133 366 482 / 9.66   |
| დიდი ბრიტანეთი             | 4 437 217 / 6.54      | 4 250 699 / 95.80      | 127 609 / 2.88      | 35 371 669 / 53.07   |
| ესპანეთი                   | 3 581 392 / 7.66      | 3 274 808 / 91.44      | 78 895 / 2.20       | 13 091 681 / 27.89   |
| პოლონეთი                   | 2 835 083 / 7.50      | 2 576 034 / 90.86      | 70 034 / 2.47       | 10 185 393 / 26.82   |
| იტალია                     | 4 116 287 / 6.81      | 3 619 586 / 87.93      | 123 031 / 2.99      | 16 658 712 / 27.6    |
| ირანი                      | 2 673 219 / 3.18      | 2 127 192 / 79.57      | 75 261 / 2.82       | 1 231 652 / 1.47     |
| მექსიკა                    | 2 365 792 / 1.82      | 1 886 233 / 79.73      | 218 985 / 9.26      | 13 715 159 / 12.36   |
| თურქეთი                    | 5 044 936 / 5.93      | 4 743 871 / 94.03      | 43 311 / 0.86       | 14 545 524 / 17.74   |
| გერმანია                   | 3 532 096 / 4.20      | 3 175 600 / 89.91      | 85 420 / 2.42       | 23 492 053 / 32.37   |
| საფრანგეთი                 | 5 780 379 / 8.86      | 4 917 393 / 85.07      | 106 684 / 1.85      | 17 530 522 / 26.16   |
| საბერძნეთი                 | 363 904 / 3.50        | 323 458 / 88.89        | 11 089 / 3.05       | 2 450 349 / 23.61    |
| ისრაელი                    | 838 953 / 9.69        | 831 620 / 99.13        | 6 378 / 0.76        | 5 419 308 / 62.61    |
| იაპონია                    | 640 044 / 0.51        | 559 553 / 87.42        | 10 876 / 1.70       | 3 091 529 / 2.44     |
| სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა | 1 596 595 / 2.69      | 1 516 256 / 94.97      | 54 735 / 3.43       | 382 480 / 0.64       |
| ჩინეთი                     | 90 769 / 0.0063       | 85 835 / 94.57         | 4 636 / 5.11        | 324 307 000 / 22.53  |

ამასთან, გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ მომდევნო 3-5 წლის განმავლობაში პანდემიამ შეიძლება გამოიწვევს ისეთი პრობლემები, როგორცაა სპეკულაციური გარღვევები, ფასების, კომპანიების მომხმარებლებთან ურთიერთობის სახეების, მიწოდების ჯაჭვის, ბიზნეს მოდელების ცვლილებები, სავალო კრიზისი და IT ინფრასტრუქტურის ჩამოშლა. ამავდროულად, დაჩქარებულმა ციფრულმა განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს კიბერშეტევათა რაოდენობის, ხოლო სახლიდან რეგულარულმა დისტანციურმა მუშაობამ კი, – ჯანმრთელობის პრობლემების ზრდა. ასევე, საყურადღებოა კლიმატის ცვლილება და გარემოსთან დაკავშირებული სხვა გამოწვევები, რომლებიც უდიდეს საფრთხეს უქმნის გლობალურ სამყაროს და აბრკოლებს მთელი რიგი ქვეყნების შემდგომ განვითარებას.

მსოფლიოს მასშტაბით, განურჩევლად ქვეყნისა და სექტორისა, მიმდინარე კრიზისის პერიოდში ყველაზე ძლიერ დაზარალდა საკვები პროდუქტების მწარმოებელი, საბითუმო და საცალო რეალიზაციის მიმართულებები, კვების ობიექტები, ასევე, განთავსების საშუალებები, მრეწველობის, ტურიზმის, სამოგზაურო ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის სექტორი. კორონავირუსის გამო გაკოტრდა ათასობით კომპანია, სამსახურის გარეშე დარჩა მილიონობით ადამიანი, შემცირდა როგორც მსოფლიოს, ასევე ცალკეულ სახელმწიფოთა მშ. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 1 და 3).

2020 წელს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) წინასწარი მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა 6.2 %-ით შემცირდა. ეკონომიკური ვარდნა ყველაზე მეტად მომსახურების სფეროს შეეხო, რომლის წვლილი, არსებული შეფასებით, -5.8 % იყო. შედარებით ნაკლებად შემცირდა ინდუსტრიული დარგები (-0.6 პპ), ხოლო მცირედით გაიზარდა სოფლის მეურნეობა და დადებითმა წვლილმა 0.2 პპ შეადგინდა. ამასთან, საქსტატის წინასწარი შეფასებით, 2020 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11 347.7 მლნ \$ შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.8 %-ით ნაკლებია; ექსპორტი შემცირდა 12

%-ით და 3 342.1 მლნ აშშ \$ შეადგინა, ხოლო იმპორტი შემცირდა 15.9 %-ით და 8 005.6 მლნ აშშ \$-ით განისაზღვრა. აქედან გამომდინარე, საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2020 წელს 18 %-ით შემცირდა თანხაში (1 056 მლნ აშშ \$-ით) და 4 663.4 მლნ აშშ \$ შეადგინა, რომელთა გადაჭრის გარეშე ქვეყანა ვერ შეძლებს მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევას.

საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრი ვარდნის (მთლიან-ანი შემოდინება: -2.7 მლრდ აშშ \$ და წმინდა შემოდინება: -2.3 მლრდ აშშ \$) ფონზე, მომ-სახურების ბალანსის პროფიციტი არსებითად შემცირდა (-2.0 მლრდ აშშ \$) და მიმდინარე ან-გარიშის დეფიციტის გაუარესება განაპირობა. 2020 წელს, მიუხედავად კლებისა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) იყო. საქართველოში განხორციელებულმა პუი-მა 616 მლნ აშშ \$ შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 57 %-ით ნაკლებია. პუი-ის უდიდესი ნაწილი საფინანსო, სამთომოპოვებითი, დამამუშავებელი მრეწველობისა და უძრავი ქონების მიმარ-თულებით განხორციელდა, ხოლო წინა წელთან შედარებით, ინვესტიციები უმეტესად შემ-ცირებულია ენერჯეტიკის, სასტუმროები-რესტორნებისა და ტრანსპორტის დარგებში. [9, 10]

განსაკუთრებულად საყურადღებოა, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი, რომელმაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 20.3 მლრდ აშშ \$ (66.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2020 წლის მშპ-ის 127.7 %-ია. ხოლო, სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 9.7 მლრდ აშშ \$ (31.9 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 61.3 %-ია [კრიტიკულ ზღვარია მშპ-ის 60%], რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 7.4 მლრდ აშშ \$ (24.3 მლრდ ლარი და მშპ-ის 46.8 %), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 583.2 მლნ აშშ \$ (1.9 მლრდ ლარი და მშპ-ის 3.7 %), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები, შესაბამისად, 802.7 მლნ აშშ \$ (2.6 მლრდ ლარი და მშპ-ის 5.1 %) და 923.6 მლნ აშშ \$ (3.0 მლრდ ლარი და მშპ-ის 5.8 %). ამასთან, საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 4.4 მლრდ აშშ \$ (14.4 მლრდ ლარი და მშპ-ის 27.7 %), სხვა სექტორების საგარეო ვალმა - 4.6 მლრდ აშშ \$ (15.2 მლრდ ლარი და მშპ-ის 29.1 %) და კომპანიათაშორისო ვალმა - 3.2 მლრდ აშშ \$ (10.6 მლრდ ლარი და მშპ-ის 20.4 %).

**ცხრილი 3**

**საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები**

| მაჩვენებლები   | 2014   | 2015   | 2016   | 2017   | 2018   | 2019   | 2020   | წყარო                            |
|--|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|----------------------------------|
| 1  | 2      | 3      | 4      | 5      | 6      | 7      | 8      | 9                                |
| მოსახლეობა წლის ბოლოს, ათასი კაცი  | 3,722  | 3,729  | 3,726  | 3,730  | 3,723  | 3,717  | 3,729  | საქსტატი                         |
| უმუშევრობის დონე, %  | 23.0   | 21.9   | 21.7   | 21.6   | 19.2   | 17.6   | 18.5   | საქსტატი                         |
| წლიური ინფლაცია (დეკემბერი/დეკემბერთან), %                                     | 2.0    | 4.9    | 1.8    | 6.7    | 1.5    | 7.0    | 2.4    | საქსტატი                         |
| მშპ, მლრდ ლარი   | 31.1   | 33.9   | 35.8   | 40.8   | 44.6   | 49.3   | 49.4   | საქსტატი                         |
| მშპ, მლრდ აშშ დოლარი   | 17.6   | 14.9   | 15.1   | 16.2   | 17.6   | 17.5   | 15.9   | საქსტატი                         |
| მშპ რეალური ზრდა, %  | 4.4    | 3.0    | 2.9    | 4.8    | 4.8    | 5.0    | -6.2   | საქსტატი                         |
| მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი  | 4,739  | 4,013  | 4,062  | 4,359  | 4,722  | 4,69   | 4,275  | საქსტატი                         |
| მშპ ერთ სულზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, PPP (მიმდინარე საერთაშორისო \$) | 11,583 | 12,100 | 12,855 | 13,596 | 14,584 | 15,634 | 15,142 | საერთაშორისო სავალუტო ფონდი      |
| დანაზოგის დონე (ეროვნული დანაზოგი/მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალთან), %   | 14.3   | 13.8   | 17.2   | 18.7   | 20.6   | 19.1   | 13.4   | საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) |
| მიმდინარე ანგარიში/მშპ, %  | -10.1  | -11.8  | -12.5  | -8.0   | -6.8   | -5.5   | -12.4  | სებ                              |
| საგარეო სავაჭრო  | 96.8   | 98.8   | 96.8   | 104.0  | 111.8  | 118.2  | 93.7   | სებ                              |

|  |          |          |          |          |          |          |          |                    |
|--|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|--------------------|
| გახსნილობა (საქონლისა და მომსახურების ექსპორტი+საქონლისა და მომსახურების იმპორტი)/მშპ, % |          |          |          |          |          |          |          |                    |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ, %  | 10.4     | 11.6     | 10.9     | 12.2     | 7.4      | 7.5      | 3.9      | სებ                |
| საერთაშორისო რეზერვები, მლრდ აშშ \$  | 2.7      | 2.5      | 2.8      | 3.0      | 3.3      | 3.5      | 3.9      | სებ                |
| საერთაშორისო რეზერვები საქონლისა და მომსახურების იმპორტის თვეებით                        | 3.2      | 3.5      | 4.0      | 3.9      | 3.7      | 3.8      | 5.2      | სებ                |
| მთლიანი საგარეო ვალი/მშპ, %  | 79.3     | 102.4    | 105.3    | 106.6    | 101.3    | 106.6    | 127.7    | სებ                |
| მთავრობის საგარეო ვალი/მშპ, %  | 24.1     | 29.4     | 30.9     | 32.6     | 30.6     | 32.8     | 46.8     | სებ                |
| რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (საშუალო წლიური ცვლილება), %                             | 1.9      | -4.6     | 3.4      | -2.2     | 1.0      | -5.4     | -2.9     | სებ                |
| ფისკალური დეფიციტი/მშპ, %  | -2.6     | -2.3     | -2.7     | -3.0     | -2.1     | -2.1     | -9.3     | სებ                |
| კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები, მლრდ ლარი                                     | 13.0     | 16.0     | 18.9     | 22.3     | 26.6     | 31.9     | 38.2     | სებ                |
| კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდა, %                                       | 23.8     | 23.5     | 18.1     | 17.8     | 19.3     | 20.0     | 19.7     | სებ                |
| კომერციული ბანკების სესხების ზრდა, გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის გამორიცხვით, %     | 18.3     | 6.1      | 10.8     | 18.6     | 17.8     | 16.2     | 9.1      | სებ                |
| დეპოზიტები კომერციულ ბანკებში, მლრდ ლარი   | 11.6     | 14.3     | 17.0     | 19.8     | 23.0     | 26.2     | 34.6     | სებ                |
| დეპოზიტები კომერციულ ბანკებში, ზრდა, %   | 20.2     | 23.5     | 18.2     | 16.8     | 16.1     | 13.9     | 31.9     | სებ                |
| <b>1</b>   | <b>2</b> | <b>3</b> | <b>4</b> | <b>5</b> | <b>6</b> | <b>7</b> | <b>8</b> | <b>9</b>           |
| დეპოზიტების ზრდა კომერციულ ბანკებში, გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის გამორიცხვით, %   | 15.7     | 5.9      | 10.8     | 17.0     | 14.4     | 9.3      | 20.8     | სებ                |
| კომერციული ბანკების აქტივები/მშპ, %  | 66.2     | 74.2     | 84.1     | 84.9     | 89.0     | 95.8     | 115.1    | სებ                |
| დეპოზიტების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი), %   | 60.2     | 69.5     | 71.4     | 65.6     | 63.1     | 64.1     | 61.4     | სებ                |
| სესხების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი), %  | 60.8     | 64.6     | 65.4     | 57.1     | 57.1     | 55.4     | 55.7     | სებ                |
| მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, %  | 4.00     | 8.00     | 6.50     | 7.25     | 7.00     | 9.00     | 8.00     | სებ                |
| საპროცენტო განაკვეთი ლარით გაცემულ სესხებზე, %   | 17.5     | 19.4     | 18.2     | 16.8     | 15.7     | 15.4     | 14.4     | სებ                |
| საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე, %                                 | 10.5     | 10.3     | 8.7      | 7.9      | 7.6      | 6.3      | 6.9      | სებ                |
| S&P  | BB-      | BB-      | BB-      | BB-      | BB-      | BB       | BB       | სტანდარდ ენდ ფუარს |
| FITCH  | BB-      | BB-      | BB-      | BB-      | BB-      | BB       | BB       | ფიჩ რეიტინგს       |

|   |                   |                   |                   |                   |                   |                   |       |                              |
|---|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------|------------------------------|
| MOODY'S   | Ba3               | Ba3               | Ba3               | Ba2               | Ba2               | Ba2               | Ba2   | მუდის კორპორაცია             |
| SCOPE   | -                 | -                 | -                 | -                 | BB                | BB                | BB    | სარეიტინგო სააგენტო სქოლფი   |
| ადამიანის განვითარების ინდექსი (რეიტინგი/ქვეყანა)                 | 0.765<br>(76/188) | 0.771<br>(70/188) | 0.776<br>(71/189) | 0.780<br>(70/189) | 0.786<br>(70/189) | 0.812<br>(61/189) | -     | გაეროს განვითარების პროგრამა |
| გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რეიტინგი (ადგილი/ქვეყანა) | 4.22<br>(69/144)  | 4.22<br>(66/140)  | 4.32<br>(59/138)  | 4.28<br>(67/135)  | 60.9<br>(66/140)  | 60.6<br>(74/141)  | -     | მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი   |
| ბიზნესის კეთება (რეიტინგი/ქვეყანა)                                | 15/189            | 24/189            | 16/190            | 9/190             | 9/190             | 6/190             | 7/190 | მსოფლიო ბანკი                |

ამასთან, საქართველოს წმინდა საგარეო ვალი, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 12.2 მლრდ აშშ \$ (40.1 მლრდ ლარი) შეადგინს, რაც 2020 წლის მშპ-ის 77.0 %-ია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 5.8 მლრდ აშშ \$ (19.0 მლრდ ლარი) და მშპ-ის 36.5 %-ია. ასეთ პირობებშია, ცხადია, ლარის გაუფასურების რისკი ვალის ტვირთს კიდევ უფრო ამძიმებს. მთლიანი საგარეო ვალის 92.1 % დენომინირებულია უცხოური ვალუტით და შესაბამისად, გაცვლითი კურსის გაუფასურების შემთხვევაში ვალის ტვირთი უფრო მეტად გაიზრდება, ხოლო თავის მხრივ, საგარეო ვალის მომსახურების საპროცენტო ხარჯის ზრდა ამცირებს ბიუჯეტის განკარგვად შემოსავლებს. ასევე, საგარეო ვალის ზრდა მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყნის შესაძლებლობებს, ერთის მხრივ, გაზარდოს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება მომავალში და მეორეს მხრივ, კრიზისის გაგრძელების შემთხვევაში საფრთხე შეექმნას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან მაჩვენებლებს. [9, 10]

საქართველოსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, რომელმაც 2020 წელს 18.5 % შეადგინა, რაც 2019 წელთან შედარებით 0.9 პპ-ით მეტია და ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება [1\$=3.4-3.5 ლარი], რაც ძირითადად ახალი კორონავირუსის მორიგი ტალღის, პოლიტიკური არასტაბილურობის და თურქული ლირის გაუფასურებიდან წარმოქმნილი ნეგატიური მოლოდინებით იქნა განპირობებული. ასევე, ქვეყნის მთავარ გამოწვევად რჩება, ჯერ კიდევ დროში გახანგრძლივებული პანდემია და ვაქცინაციის ნელი პროცესი, ტურიზმის და სამოგზაურო ინდუსტრიის აღდგენის ნელი ტემპები, მაღალი რისკების შემცველი რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, პოლიტიკური დამაბულობა და დესტაბილიზაციის მოლოდინი 2021 წლის შემოდგომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამო და სხვა რისკები.

როგორც ცნობილია, ქვეყნის ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მდგრადი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის არსებობა, სტაბილური მაკროეკონომიკური, ფინანსური გარემოს და, სხვა პოზიტიური მდგომარეობების შენარჩუნება, რომლებიც საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს საკრედიტო და სხვადასხვა რეიტინგებში პოულობს ასახვას. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ 2017 წელს სარეიტინგო კომპანია Moody's-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba2-მდე გაზარდა. 2019 წელს, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ „Standard&Poor's“-მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგი „BB“ დონემდე აწია, სტაბილური პერსპექტივით. იმავე წელს, მეორე დიდმა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „Fitch Ratings“-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“-დან „BB“-მდე გაზარდა. 2020 წელს, COVID-19 პანდემიის მიერ ტურიზმზე და მასთან დაკავშირებულ ბიზნეს აქტივობებზე უარყოფითი ზეგავლენის, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების გამო ფისკალური ზეწოლისა და საგარეო რისკების ზრდის გამო, „Fitch Ratings“-მა ქვეყნის პერსპექტივა სტაბილურიდან უარყოფითამდე შეამცირა, თუმცა, რეიტინგი კვლავ „BB“ დონეზე დატოვა. რეიტინგის

შენარჩუნება გამოწვეულია იმ წარმატებებით, რაც საქართველომ მიმდინარე პანდემიისა და გლობალური გაურკვევლობის ფონზე, საგარეო რისკების ზრდის მიუხედავად, თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკით მიაღწია. ამასთან აღსანიშნავია, 2020 წლის გლობალური ჯანმრთელობის დაცვის ინდექსის (GHS) მიხედვით შეფასება, შემდეგი კრიტერიუმებით – პრევენცია, აღმოჩენა და აღრიცხვა, რეაგირების სისწრაფე, ჯანდაცვის სისტემა, საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობა, რისკიანი გარემო, სადაც საქართველოს მზაობა შეფასდა 52.0 ქულით (მაღალშემოსავლიანი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 51.9 უტოლდება) და 195 ქვეყანას შორის 42-ე ადგილს დაიკავა. ინდექსის მიხედვით, ბიოლოგიური საფრთხეების მიმართ ყველაზე მაღალი მზაობა მსოფლიოში აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და ჰოლანდიას აქვს, ხოლო რეგიონის ქვეყნებიდან თურქეთი 40-ე, სომხეთი – 44-ე, რუსეთი – 63-ე, აზერბაიჯანი – 117-ე ადგილს იკავებს. [9, 10, 11]

ცხადია, საერთაშორისო რეიტინგების მიერ საქართველოს საინვესტიციო გარემოს ასეთი შეფასება საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას კიდევ უფრო აძლიერებს.

უცხოური გამოცდილების გაზიარებით, მნიშვნელოვანია ახალი რეალიების გათვალისწინება და ჩვენი ქვეყნის ეფექტიანი ინტეგრაცია საერთაშორისო საზოგადოებაში, რათა უწინარეს ყოვლისა დაცულ იქნეს ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესები, თვით სახელმწიფოს/ხელისუფლების, ბიზნესის და საზოგადოების ეფექტური კოორდინირებული ჩართულობით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა [PPP (Public-Private-Partnership)] არის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და, მთლიანობაში, სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ჩამოყალიბდა სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ცალკეული კორპორაციების ხანგრძლივი ურთიერთქმედების შედეგად. როგორც, საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი განვითარება, სწორედ სახელმწიფო ორგანოებისა და ბიზნეს სექტორის ერთიან, აქტიურ, კოორდინირებულ და შეთანხმებულ თანამშრომლობას მოიცავს კონკრეტული მიზნის მისაღწევად და ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკის რაციონალურ და ოპტიმალურ მართვას, რათა დაძლეულ, ან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი კრიზისის უარყოფითი შედეგები, ხოლო თითოეული მათგანის მიერ გაწეული ძალისხმევა კი, მიმართული – მაქსიმალურად ეფექტიანი საბოლოო შედეგების მისაღებად [გ. ქეშელაშვილი გ., 2019: 43-45].

დღესდღეობით არსებული მრავალი გამოწვევის გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია გლობალური თანამშრომლობის კოორდინაცია განათლების, ციფრული ტექნოლოგიებისა და მწვანე ინფრასტრუქტურის ინვესტიციების პრიორიტეტების რაციონალური განსაზღვრის, მმართველობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, სადაც მნიშვნელოვანია მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკაში მაკროეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება, ბიზნესის სტაბილურობის ხელშეწყობა ღირებულებათა ჯაჭვის უწყვეტობის უზრუნველყოფით, ინვესტიციების მოზიდვა, როგორც პირდაპირი, ისე შუამავალი ინსტიტუტების მეშვეობით, ექსპორტის მაქსიმალური ხელშეწყობა, ჯანდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება და სხვ.

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ქვეყანას სჭირდება მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიზნობრივი სტრატეგია, სადაც უპირველეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესია ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორცაა: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, კონსტიტუციური მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ეროვნული ფასეულობებისა და ინტერესების მყარი სისიტემის შექმნა. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანამ ადექვატურად უპასუხოს XXI საუკუნეში კაცობრიობის წინაშე მდგარ გამოწვევებს კორონავირუსის უარყოფითი ზეგავლენის მასშტაბების გონივრული მართვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უსაფრთხოების მთელი რიგი საკითხების ეფექტიანად გადაწყვეტის თვალსაზრისით. აქ ნიშანდობლივია, საქართველომ, როგორც ღია ეკონომიკის

ქვეყანამ, სწრაფი და მაღალი ეკონომიკური ზრდისათვის რაციონალურად გამოიყენოს მნიშვნელოვან საერთაშორისო ინტეგრაციულ ურთიერთობებში საქონლისა და მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ჩართულობა და უზრუნველყოს ქვეყანა საკმარისი რესურსებით, რათა ხელი შეეწყოს სახელმწიფოს მდგრად განვითარებას და ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ადგილობრივი წარმოების, განსაკუთრებით იმპორტჩანაცვლებადი სფეროების განვითარება და საკრედიტო რესურსის მიზნობრიობის სწორად განსაზღვრა.

საქართველოს აქვს სრული შესაძლებლობა გადადგას სამრეწველო სექტორში სტრატეგიული ნაბიჯები, რათა ხელი შეეწყოს რესურსების გადანაცვლებას უფრო მაღალპროდუქტიული და დამატებითი ღირებულების მქონე დარგებისკენ. პირდაპირი უცხოური და კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვა საექსპორტო დარგებში საქართველოს დაეხმარება, ღირებულების ჯაჭვის მეტ კომპონენტში მიიღოს მონაწილეობა, გააფართოოს ექსპორტის სფერო და დადებითი გავლენა იქონიოს დასაქმებასა და შემოსავლებზე.

განსაკუთრებული და უმნიშვნელოვანესია ხელისუფლების ვალდებულება ქვეყნის როგორც კრიზისიდან გამოყვანაში, ისე პოსტკრიზისულ პერიოდში, რომელსაც ევალება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მშვიდობიანი, სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, რათა საქართველო გლობალური კრიზისების შედეგად წარმოქმნილ სირთულეებს და გამოწვევებს გაუმკლავდეს ისე, რომ შეინარჩუნოს თვითმყოფადობა და მიაღწიოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას.

## დასკვნა

ამრიგად, გამოწვევებით სავსე 2020 წელმა მკვეთრად შეცვალა სამყარო, COVID-19 პანდემია სრულიად უპრეცედენტო მოვლენა გახდა, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა გლობალური ეკონომიკის სტრუქტურაზე, ასობით მილიონი ადამიანის ცხოვრების წესზე და გამოიწვია კრიტიკული ცვლილებები, მულტიფაქტორული სისტემური კრიზისი ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში, რთული სისტემების მძლავრი და სინქრონული რეაქციები მსოფლიო მთავრობების მხრიდან.

გლობალური ტურბულენტობისა და ეკონომიკის კორონავირუსის, ეკონომიკური ვარდნის, რეცესიის და სტაგფლაციის პირობებში, ეკონომიკის რეალურ სექტორში რეალური საქონლის წარმოების შემცირების ფონზე, გლობალური ცივილიზაციის ეპოქაში რეალური სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული სამყაროს ხელახლა შექმნისას, დღეს მსოფლიო ეკონომიკას სჭირდება განვითარების ახალი, ტრადიციული ზნეობრივი პარადიგმა, გლობალური დირიჟიზმის ახალი ეფექტური მექანიზმების განსაზღვრისა და სახელმწიფოს მართვის მექანიზმების სრულყოფის გათვალისწინება. ამ თვალსაზრისით და საქართველოს ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი და მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი პრაქტიკული რეკომენდაციების და ღონისძიებების გათვალისწინება, მათი გონივრული მართვა და ეფექტიანი განხორციელება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. [https://ka.wikipedia.org/wiki/ახალი\\_მსოფლიო\\_წესრიგი\\_\(შეთქმულების\\_თეორია\)](https://ka.wikipedia.org/wiki/ახალი_მსოფლიო_წესრიგი_(შეთქმულების_თეორია))
2. <https://commerciant.ge/ge/post/axali-msoflio-wesrigi-rogor-aisaxeba-es-saqartveloze>
3. International Monetary Fund. 2021. World Economic Outlook: Managing Divergent Recoveries. Washington, DC, April. 192 p.
4. <https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/coronavirus.html>

5. <https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2020/covid-recovery-plan.html>
6. <https://www.worldometers.info/coronavirus/>
7. <https://www.sortiraparis.com/news/coronavirus/articles/240384-vaccine-in-the-world-as-of-datadatestodayfrlatest-the-percentage-of-people-vacci/lang/en>
8. <https://index.minfin.com.ua/reference/coronavirus/geography/>
9. <http://gbc.ge/index.php?m=home&newsid=113842&lang=geo>
10. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა სამინისტროს მასალები
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ეროვნული ბანკის მასალები
12. ქეშელაშვილი გ., 2019, ანტიკრიზისული მენეჯმენტი. თბილისი, 381 გვ.

*Gela Lobjanidze  
Ketevan Mdinardze  
Nana mdinaradze  
Ekaterine Sanikidze*

## **GLOBAL TRENDS IN CORONAECONOMY AND PROSPECTS FOR SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA**

### **Summary**

Challenging year in 2020 has dramatically changed the world, with the COVID-19 pandemic becoming a completely unprecedented event that has had a profound impact on the structure of the global economy, the lives of hundreds of millions of people and led to critical changes, multifactorial systemic crises and complex by governments.

Amid global turbulence and economic coronation, economic downturn, recession and stagflation, amid declining production of real goods in the real sector of the economy, the re-creation of the real socio-economic, socio-political and cultural world in the age of global civilization, today the new world economy needs development. Consider defining new effective mechanisms of global conduction and perfecting governance mechanisms. In this regard, and in order to ensure the development of the Georgian economy, it is expedient and important to take into account the relevant practical recommendations and measures of international organizations, their reasonable management and effective implementation.

*მედეა მელაშვილი  
ქეთევან ქველაძე  
ნუნუ ქისტაური*

### **უმუშევრობა და პანდემია**

**ანოტაცია.** ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ერთ-ერთ უმწვავეს გლობალურ პრობლემას - უმუშევრობას და მასზე კოვიდური პანდემიის გავლენას. განხილულია შრომის მსოფლიო ბაზარზე წარმოქმნილი ე.წ. პოსტკოვიდური ტენდენციები: ბევრი დარგის შემცირება ან გაქრობა; უმუშევრობის ზრდა; IT დარგის სფეროს სპეციალისტებზე განსაკუთრებული მოთხოვნა; განათლების, აგრეთვე ტურიზმსა და მომსახურების სფეროს უდიდეს ნაწილში, ვაჭრობაში უმეტესად On-line ფორმებზე გადასვლა.

სტატიაში აგრეთვე მოყვანილია აღნიშნულ დარგში არსებული მდგომარეობის მცირე ანალიზი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში და მსხვილ კომპანიებში. მითითებულია, რომ ბოლო დროს მსოფლიოში მწვავედ იჩინა თავი ე.წ. „ფარულმა უმუშევრობამ“, რაც სულ უფრო და უფრო იზრდება. გაანალიზებულია საქართველოში არსებული მდგომარეობის ამსახველი ციფრობრივი მასალა.

**საკვანძო სიტყვები:** უმუშევრობა, პანდემია, შრომის ბაზარი, ტენდენციები, დაზღვევა, On-line ფორმები, IT.

2020 წლის კორონავირუსის პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას, რომელიც უმოკლეს დროში სხვა რეალობაში აღმოჩნდა და შეეჯახა სრულიად ახალ, გაურკვეველ გამოწვევებს. ჯერ ერთი, პანდემიამ იძულებული გახადა მთელი მსოფლიო, კარანტინში გადასულიყო. გაჩერდა ყველაფერი, დაეცა ყველა ეკონომიკური მაჩვენებელი და მხოლოდ ერთი რამ გაიზარდა - უმუშევრობა. ბევრ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი კრიტიკულ ნიშნულს მიუახლოვდა.

შრომის მსოფლიო ბაზარზე წარმოიქმნა შემდეგი ე.წ. პოსტკოვიდური ტენდენციები:

- ბევრი დარგის შემცირება ან გაქრობა. ეს განსაკუთრებით შეეხო ტურიზმის აქტიურ ფორმებს, მომსახურების სფეროს უდიდეს ნაწილს, ვაჭრობას თითქმის მთლიანად. თუმცა ამ დარგებში წარმატებით ამოქმედდა On-line ფორმები - ეს არის კიდევ ერთი პოსტკოვიდური ტენდენცია. აღმოსავლური ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით ბიზნესის 81% უკვე გადაერთო საქმიანობის "მოშორებულ" ფორმებზე, მაშინ როცა კოვიდამდე ამისათვის მზადყოფნა მხოლოდ ოცდაორმა პროცენტმა გამოთქვა.

- უმუშევრობის ზრდა. მსოფლიო შრომის ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, პანდემიის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაახლოებით 500 მლნ ადამიანი უმუშევარი დარჩა, შემოსავლები შემცირდა 10%-ით. მსოფლიოში ყველაზე მსხვილ ეკონომიკაში - აშშ-ში უმუშევრობა შეეხო 16 მლნ ადამიანს, ევროკავშირში - 13 მლნ-ს. მაგალითად, ტურიზმის სფეროში 2020 წელს სამუშაო ადგილები 43%-ით შემცირდა (142.6 მლნ ადამიანი). ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ისინი არ ფლობენ On-line მუშაობისათვის საჭირო უნარებს, ამიტომ, საერთაშორისო კონსალტინგური კომპანიის McKinsey-ის მონაცემებით 2030 წლისათვის დაახლოებით 375 მლნ ადამიანი იძულებული იქნება შეიცვალოს პროფესია.

- ყველაზე მოთხოვნადი გახდა IT სფეროს სპეციალისტები, მარკეტოლოგები, კომუნიკაციის სფეროს მუშაკები, ბიზნესანალიტიკოსები, On-line განათლების სფეროს მუშაკები, მედიკოსები. კომპანიების 43% უკვე აღნიშნავს კვალიფიციური კადრების სიმცირეს, 22% ამ პრობლემასთან შეჯახებას უახლოეს მომავალში ელოდება.

- მსოფლიო ბანკის კვლევებით, 2020 წლის პირველ ნახევარში თითქმის ყველა ქვეყანა გადავიდა განათლების On-line ფორმაზე. ნათელი გახდა, რომ მსოფლიო განათლების სისტემა უკლებლივ აღმოჩნდა ამისთვის მოუმზადებელი - მასწავლებლებს არ გააჩნდათ შესაბამისი უნარები, მოსწავლეების რაღაც ნაწილს არ გააჩნდა წვდომა ინტერნეტთან და ა.შ.

დასაქმების კვლევის ინსტიტუტმა (LAB) 2020 წელს შეისწავლა სიტუაცია შრომის ბაზარზე სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიაში გამართლდა მათი ყველაზე ცუდი პროგნოზი და უმუშევართა ტალღა ნახევარ მილიონ ადამიანს გაუტოლდა, შემცირებულ სამუშაო დღეზე გადავიდა 650 ათასი ადამიანი. მთავრობამ გამოთქვა მზადყოფნა, სხვა ღონისძიებათა შორის ამ ადამიანებს შესთავაზოს ხელფასის 60%-იანი კომპენსაცია ბიუჯეტიდან,

მსგავსი სქემით ხელმძღვანელობდა საფრანგეთის მთავრობაც. 2020 წელს ბიუჯეტიდან იხდიდა ხელფასის 86%-ს. ამ პერიოდში ე.წ. "ტექნიკური უმუშევრობისათვის" დახმარება გაუწია 3.6 მლნ ადამიანს.

ავსტრიაში უფრო რთული მდგომარეობა ჩამოყალიბდა. 2020 წლის მარტში აქ უმუშევრობა რეკორდულ ნიშნულს 12.2%-ს (+4.7%), ანუ დაახლოებით 560 ათას ადამიანს გაუთანაბრდა, რაც გასული წლის მონაცემთან შედარებით 52.2%-ით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი, მთავრობის აზრით, ტურისტული სფეროს კრახს უკავშირდება. როგორც ცნობილია, ავსტრია ზამთრის ტურიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენს მსოფლიოში.

უმუშევრობის მაღალი დონე დაფიქსირდა ესპანეთში, სადაც ის 20%-ს გაუტოლდა.

ისრაელში სამუშაო ყოველმა მეოთხემ, ანუ დაახლოებით 1 მლნ ადამიანმა დაკარგა და უმუშევრობა 4%-დან 24%-მდე გაიზარდა. თუმცა, როგორც აღნიშნავს გამომცემლობა Globes, ამ ადამიანთა თითქმის 90% სამსახურიდან კი არ გაუშვეს, არამედ შვებულებაში. მარტის თვის მონაცემებით ქვეყანაში უმუშევრობის დახმარების მისაღებად დასაქმების სამსახურს 60 ათასმა ადამიანმა მიმართა და დღიურად ფიქსირდებოდა 10 ათასი განცხადება.



რეკორდი ამ მხრივ აშშ-ში დამყარდა. 2020 წლის მარტის დასაწყისში ერთ კვირაში განცხადება უმუშევრობის დახმარებაზე 3.3 მლნ ადამიანმა შეიტანა, ხოლო მარტის ბოლო კვირაში - 6.6 მლნ-მა.

ათეულობით მსხვილი კომპანია თავიანთ მუშაკებს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა, რადგანაც კადრების შემცირებას უწინასწარმეტყველებდა, მაგალითად, Walt Disney-მ 2020 წელს უკვე შეამცირა 28 ათასი ადამიანი, ნავთობგიგანტმა Royal Dutch Shell-მა - 9 ათასი, გერმანულმა Continental-მა - 30 ათასი ადამიანი. თუმცა ისინი ვერც შეედრებიან ავიაკომპანიებს. მხოლოდ ამერიკაში United-ის მონაცემებით ამ წელს უკვე 150 ათასი ადამიანი დარჩა უმუშევარი და კიდევ ბევრი დგას რიგში (ეს მხოლოდ მსხვილ ავიაკომპანიებში, მცირე და საშუალო ავიაკომპანიების სტატისტიკას არც არავინ აწარმოებს).

ბოლო დროს ძალიან მწვავედ იჩინა თავი "ფარულმა" უმუშევრობამ. გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ვეღარ მუშაობს, მაგრამ ოფიციალურად არც გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა ცდილობს რამენაირად არეგულიროს ეს პროცესი და უმუშევრობას "დროებითი" ხასიათი მისცეს, ანუ შეინარჩუნოს კადრები, რათა ისინი ნებისმიერ მომენტში დაუბრუნდნენ სამუშაოს. ეს ფენომენი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ახლა ასეთი ხალხის არმია ძალიან გაიზარდა. ნიშანდობლივია, რომ ისინი სტატისტიკას ამახინჯებენ: უმუშევართა მაჩვენებელში არ აღირიცხებიან, თუმცა ფაქტობრივად ამ მდგომარეობაში იმყოფებიან.

დასაქმებულთა ანუ ხელფასიანთა რიცხვის შემცირება, რა თქმა უნდა, იწვევს მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას. ადამიანები ნაკლებს ხარჯავენ, მოხმარება - ეკონომიკის მამოძრავებელი - ეცემა. სახელმწიფოს შემოსავლები ეცემა - მცირდება მოსახლეობის მიერ გადასახადების გადახდა, ხოლო ბიუჯეტიდან გასავლები იზრდება, თუნდაც უმუშევრობის გადასახადების, სხვა სოციალური ღონისძიებების სახით. ნიშანდობლივია, რომ რაც უფრო ხანგრძლივია აღნიშნული სიტუაცია, მით უფრო ძნელია ადამიანების სამსახურში დაბრუნება პროფესიული, კონკურენტუნარიანი ფორმით. შედეგად, აუცილებლად იზრდება სოციალური უთანაბრობა, იზრდება მდიდრებსა და ღარიბებს შორის სოციალური დაძაბულობის დონეც.

ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა ბოლო წლებში დიდ ეკონომიკურ პრობლემად იქცა, დღეისათვის კი ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც უმუშევრობა ნაკლებად აწუხებთ, მთავრობის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი მაჩვენებელი სამუშაო ადგილების ზრდაა. გამომდინარე იქიდან, რომ 2013-2019 წლებში საქართველოს ეკონომიკა მაღალი ტემპით არ იზრდებოდა, დასაქმებულთა რაოდენობა სულ 30,700-ით გაიზარდა.

დასაქმებულთა რაოდენობამ პიკს 2015 წელს მიაღწია - 1,7 მლნ. მას შემდეგ კი ყოველწლიურად მცირდებოდა. 2016-2019 წლებში იგი 43,600-ით შემცირდა. დასაქმებულთა რაოდენობა ორი ნაწილისგან შედგება: დაქირავებით დასაქმებული და თვითდასაქმებული (თვითდასაქმებულები მოიცავს სოფელში საკუთარ მეურნეობაში დასაქმებულებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს, ტაქსის მძღოლებს, რეპეტიტორებს, ბაზრობებზე და გარევაჭრობაში დასაქმებულებს და ა.შ.). 2019 წელს დაქირავებულების რიცხვი წინა წელთან შედარებით 11 ათასით შემცირდა, ხოლო თვითდასაქმებულებისა 7 ათასით გაიზარდა.

კორონავირუსი იმ უამრავი შესაძლო რყევის ერთი მაგალითია, რომელსაც დასაქმებულთა სრულიად დამოუკიდებელი მიზეზებით მათი სამუშაო პირობებისა და შემოსავლის, ისევე როგორც მთლიანად შრომის ბაზრის მოულოდნელად და უმართავად შეცვლა შეუძლია.

დღეისათვის კი ე.წ. პოსტკოვიდურ პერიოდში უმუშევრობის დაზღვევა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად მოგვევლინა. იგი, შრომის ბაზრის სხვა მექანიზმებთან ერთად, შრომით ურთიერთობებს არეგულირებს. იმ პირობებში, როცა ქვეყნის მოსახლეობის 88%-ს დანაზოგი არა აქვს, უმუშევრობის დაზღვევის ან შემწეობის გარეშე დასაქმებულები შემოსავლის დაკარგვის შემთხვევაში პირველადი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის

რისკის ქვეშ ექცევიან. ასეთ ვითარებაში უმუშევრობის დაზღვევას მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მინიმალური საარსებო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეუძლია.

**ცხრილი 1**

**უმუშევრობა საქართველოში (ათ. კაცი)**

| 2017  | 2018  | 2019  | 2020  |
|-------|-------|-------|-------|
| 354.5 | 309.0 | 276.9 | 307.8 |
| 21.6% | 19.2% | 17.6% | 20.4% |

უმუშევრობის დონე საქსტატის მიერ უმუშევრად ჩათვლილი მოსახლეობის სამუშაო ძალასთან ფარდობით გამოითვლება, ბოლო წლების განმავლობაში უმუშევრების რაოდენობა 124 ათასი კაცით შემცირდა, დასაქმება კი მხოლოდ 31 ათასით გაიზარდა. ამ ორ რიცხვს შორის სხვაობა – 73 ათასი ადამიანი სამუშაო ძალიდან გავიდა, ამიტომ ისინი აღარ ხვდებიან უმუშევრების სტატისტიკაში. სამუშაო ძალიდან გასვლა ნიშნავს, რომ არ მუშაობს, მაგრამ არც ეძებს სამსახურს. საქსტატის მონაცემებით, ასეთი ადამიანების რიცხვი საქართველოში 1.1 მლნ-ზე მეტია. მალე ძალაში შევა უმუშევრობის დათვლის ახალი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით, დღეს თვითდასაქმებულად ჩათვლილთა ნაწილი უმუშევრად ჩაითვლება, რაც უმუშევრობის დონეს საგრძნობლად გაზრდის. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ეკონომიკური კრიზისის გამო, დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 40 ათასით შემცირდა. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. რაც შეეხება გლობალურ ეკონომიკას, ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ ეკონომიკური ვარდნა 2021 წლის შუა პერიოდამდე გასტანს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ველოდოთ გაუმჯობესებას. **მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2020 წელს 5,2%-ით შემცირებული გლობალური მშპ 2021 წელს 4,2%-ით აღდგება.**

საქართველოს მთავრობას უდიდესი ძალისხმევის გაწევა მოუწევს ამ უმწვავესი კრიზისიდან გამოსასვლელად. მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება - ყველა მის ხელთ არსებული ბერკეტის ამოქმედებით იხსნას ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსისაგან.

მთლიანად ქვეყანამ პანდემიის გამო \$7 მილიარდზე მეტი ზარალი განიცადა. 3 ათასზე მეტი ბიზნესი დაიხურა. ფინანსთა სამინისტრო პროგნოზირებს, რომ 2020 წლის კლების შემდეგ, **2021 წლიდან ეკონომიკური აქტივობა ეტაპობრივად აღდგება და 4,3%-ს მიაღწევს.** თუმცა ჯერჯერობით ქვეყანაში შეზღუდვები გრძელდება, შესაბამისად, 2021 წელს ქვეყანას მწვავე ეკონომიკური პრობლემები ელის.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2021/mpr\\_2021q1\\_geo.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2021/mpr_2021q1_geo.pdf) მონეტარული პოლიტიკის ანგარიში თებერვალი 2021.
2. <https://emc.org.ge/ka/products/koronavirusi-da-droebiti-shemtseobis-autsilebloba> კორონავირუსი და დროებითი შემწეობის აუცილებლობა 31 მარტი 2020.
3. <https://forbes.ge/saqarthvelos-ekonomika-bolo-8-tselitsadshi/> საქართველოს ეკონომიკა ბოლო 8 წელიწადში 2020.
4. <https://forbes.ge/msophlio-ekonomika-2021-tsels-vin-moigebs-da-vin-tsaagebs/> მსოფლიო ეკონომიკა 2021 წელს: ვინ მოიგებს და ვინ წააგებს? 2021.
5. <https://businessfeed.ge/2020-is-ekonomikuri-shedegebi-ra-khdeba-ganvitharebul-2020-ის-ეკონომიკური-შედეგები-რა-ხდება-განვითარებულ-ქვეყნებში-2020> .
6. <https://www.newsgeorgia.ge> Пандемия и безработица: сколько граждан Грузии рассчитывают на пособие Вторник, 16 марта, 2021.
7. <https://finance.rambler.ru/other/43951429-pandemiya-uvolneniy-covid-19-plodit-bezrobotitsu-v-mire/> Пандемия увольнений: COVID-19 плодит безработицу в мире News.ru2 апреля 2020.

8. <https://www.finam.ru/analysis/newsitem/glavnye-posledstviya-pandemii-dlya-rynka-truda-bezrabotica-i-spros-na-novye-kompetencii-20201115-13000/> Главные последствия пандемии для рынка труда - безработица и спрос на новые компетенции.2020.

9. <https://www.bbc.com/russian/features-54462688> Коронавирус оставил миллионы людей без работы. Многие из них об этом еще не знают 2020.

10. <https://zen.yandex.ru/media/yuneman/posledstviia-pandemii-krizis-i-bezrabotica-5eb85192d86ce72cb4b1bd44> Последствия пандемии. Кризис и безработица 2020.

*Medea Melashvili  
Ketevan Kveladze  
Nunu Kistauri*

## UNEMPLOYMENT AND PANDEMIC Summary

The paper is devoted to one of the most pressing global problems in the economy - unemployment and the impact of the quantitative pandemic on it. The so-called Postcovid trends: many industries are shrinking or disappearing; Rising unemployment; Special requests for specialists in the field of IT; For the most part, education, as well as tourism and services, switch to on-line forms in trade.

The paper also provides a small analysis of the situation in this field in the world's leading countries and large companies. It is indicated that the so-called "Hidden unemployment" is growing more and more. Digital material reflecting the current situation in Georgia is analyzed.

*ონისე მირცხულავა*

### ქვეყანაში სამართლიანი და ეფექტური საგადასახადო სისტემის ფორმირების პრინციპები

**ანოტაცია.** სწორი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გატარება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საგადასახადო სისტემის მიერ გამოთქმული რესურსებით ფორმირდება ბიუჯეტი და ფუნქციონირებს სახელმწიფო, რასაც მოსდევს ქვეყნის განვითარება და ეკონომიკური წინსვლა. შესაბამისად სწორი პოლიტიკის შემუშავება, მისი კონტროლი და პრობლემათა ანალიზი მოგვცემს სრულყოფილი სისტემის შექმნის საშუალებას. ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისთვის სახელმწიფომ უნდა განხორციელოს ერთიანი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება, მასში წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი და შედეგების რეგულირება. მხოლოდ გამართული და მოქნილი საგადასახადო სისტემის ქონის შემთხვევაშია შესაძლებელი მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, ეკონომიკის ზრდა და მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

გადასახადების განსაზღვრა, მისი ოდენობის დადგენა და კონტროლი სამართლიანობისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით უძველესი დროიდან წამოადგენდა ცნობილ მოაზროვნეთა მსჯელობის საგანს. ყველა ქვეყნის პრეროგატივაა ისეთი მოქნილი და ეფექტური საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც ადვილად მოერგება XXI საუკუნეში სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოს.

**საკვანძო სიტყვები:** საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადების განსაზღვრა, ეკონომიკური გარემო.

\*\*\*

საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს ფუნქციონირების ეფექტიანობის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მიუთითებს სოციალური კონტრაქტების ქმედუნარიანობაზე სახელმწიფოსა და საგადასახადო სუბიექტებს შორის. ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო ადმინისტრირება წარმოადგენს სტაბილური ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან

პირობას მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან გეგმებში. ეს ქმნის მთლიანობაში ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდის ამოცანების გადაწყვეტის, მცირე და საშუალო მეწარმეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის რეალურ საფუძველს და განისაზღვრება სახელმწიფოს რიგი მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ამოცანები. ამავდროულად, გადასახადების გადამხდელების უფლებების დაცვის აუცილებელი პირობების შექმნა ხელს უწყობს ეროვნული, პრიორიტეტული ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევას.

გადასახადები ყოველთვის და ყველგან მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს მოიცავდა. გადასახადი საზოგადოების ყველა წევრმა უნდა გადაიხადოს, რადგან იგი სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისთვის მისი თითოეული წევრისთვის გაწეული მომსახურების ფასია. კაცობრიობის ისტორიაში არ მოპოვება გადასახადების გარეშე სახელმწიფოს არსებობის არცერთი ფაქტი. ამასთან ერთად, მსოფლიოში ჯერ არ შექმნილა სრულყოფილი და რეალური საგადასახადო სისტემა.

ნებისმიერ სიტუაციაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება საქონლის (მომსახურების) მყიდველებსა და გამყიდველებს გადასახადის გადახდას აკისრებს, საზოგადოება ბაზრის ეფექტიანობისგან მიღებული სარგებლის ნაწილს კარგავს. გადასახადები ძვირად უჯდებათ ბაზრის მონაწილეებს არა მარტო იმიტომ, რომ გადასახადებს გადააქვთ რესურსები ამ მონაწილეებისგან ხაზინაში, არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოების წევრთა სტიმულებს ცვლიან და ბაზრის ფუნქციონირების შედეგებს ამახინჯებენ. საქონლის (მომსახურების) გადასახადებით დაბეგვრა ამცირებს საქონლის როგორც მყიდველების, ისე გამყიდველების კეთილდღეობას. იგი მყიდველებს ნაკლები მოხმარებისკენ, ხოლო გამყიდველებს ნაკლები წარმოებისკენ უბიძგებს, ეს კი ბაზრის მოცულობის შემცირებას იწვევს.

ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ფინანსისტები და სხვა სფეროს სპეციალისტები იმ აზრის არიან, რომ საგადასახადო სისტემა სამართლიანი უნდა იყოს, მაგრამ არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რა არის სამართლიანობა და როგორ შევაფასოთ საგადასახადო სისტემის სამართლიანობა.

საგადასახადო კანონმდებლობა მუდმივ ცვალებადობას განიცდის. საგადასახადო სისტემის სრულყოფა განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი სახელმწიფოს ყოველდღიური ამოცანაა. თუმცა ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ საგადასახადო კუთხით ექსპერიმენტების ჩატარება თითქმის გამორიცხულია. ეს განპირობებულია იმით, რომ სუბიექტები, რომლებიც წარმოადგენენ გადასახადის გადამხდელებს არიან ფიზიკური ობიექტები და ავტომატურად კი არ ემორჩილებიან გარეშე ფაქტორებს, არამედ არიან ცოცხალი ადამიანები საკუთარი შეხედულებებითა და სურვილებით, რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვანაირად მოქმედებდნენ ერთი და იგივე ფისკალური პოლიტიკის პირობებში. ამიტომ არ არის არანაირი გარანტია იმისა, რომ განმეორებითი ექსპერიმენტის პირობებში, ყოველ ახალ ცდაზე, როგორც ინდივიდის, ასევე მათ მიერ შექმნილი ორგანიზაციის ქმედება იქნება ანალოგიური. ასევე შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ ცდის შედეგად მიღებული შედეგი განპირობებულია საგადასახადო ფაქტორებით და არა სხვა უამრავი ფაქტორით, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობისა და ორგანიზაციების ქმედებებზე თანამედროვე პირობებში.

კვლევები მოწმობს, რომ ერთადერთი ქმედება, რაც საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით შესაძლებელია გაკეთდეს, არის არა ექსპერიმენტების ჩატარება, არამედ გადასახადებთან დაკავშირებით სხვადასხვა კვლევებისა და შეხედულებების ანალიზი, ქვეყნების გამოცდილებების შესწავლა და არა მათი პირდაპირი კოპირება ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ ლოგიკური დასკვნების გაკეთება, საგადასახადო სისტემის აგების ძირითადი პრინციპების დანახვა, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასება, არსებული სიტუაციის გათვალისწინება, მომავალი გეგმის დასახვა და ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შემუშავება.

განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მდგომი სახელმწიფოსათვის ოპტიმალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება უდიდესი მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს. დღესდღეობით არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც მუდმივად არ დაობდნენ გადასახადების სახეების, სტრუქტურის, განაკვეთების და მთლიანად საგადასახადო პოლიტიკის თაობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საგადასახადო სისტემა უნდა ესადაგებოდეს ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. შესაბამისად საგადასახადო სისტემა მუდმივ ცვალებადობასა და სრულყოფას უნდა განიცდიდეს.

დემოკრატიული, ჰუმანური და პროგრესული საზოგადოების საგადასახადო სისტემის ზოგად პრინციპებს განსაზღვრავს კერძო საკუთრებაზე და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული საგადასახადო სისტემის არსებობა, რომლის დროსაც სახელმწიფოში განხორციელებულია ხელისუფლებათა დაყოფა, გადაწყვეტილებათა მიღება ხდება დეცენტრალიზებულად და არცერთ სოციალურ ძალას არ გააჩნია დანარჩენებზე ბატონობა, ხოლო საზოგადოების მიზანს წარმოადგენს პიროვნების განვითარება და ადამიანის უფლებების დაცვა.

ჰუმანური და პროგრესული საზოგადოების საგადასახადო სისტემის ეს ზოგადი პრინციპები, გადასახადით დაბეგვრის თვალსაზრისით უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ ძირითად მოთხოვნებს, როგორცაა: გადასახადების დასაბუთება, პიროვნების პრიორიტეტულობა და გადასახადის არადისკრიმინაციულობა, გაუპიროვნებულობა, ნეიტრალურობა და ეფექტიანობა, “ლეგიტიმურობა”, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა, გამჭვირვალობის დაცვა და თვითნებობის დაუშვებლობა. ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი პრინციპების დაცვა: გადასახადების სამართლიანი გადანაწილება, გადასახადების სიმარტივე, გარკვეულობა, გადასახადების აკრება ხელსაყრელ პერიოდში, გადასახადების ამოღების პროცედურა მინიმალური დანახარჯების პირობებში.

თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო სისტემის რაციონალური, ფუნდამენტალური პრინციპების ჩამოყალიბებას. თუ არ გვექნება ჩამოყალიბებული საგადასახადო სისტემა ეტალონის სახით, რომელიც დაეფუძნება სპეციალურად ჩამოყალიბებულ ფუნდამენტალურ მოთხოვნებს, შეუძლებელია დავადგინოთ რამდენად კარგია თუ ცუდი სახელმწიფოს მიერ გატარებული საგადასახადო პოლიტიკა. საგადასახადო სისტემის ცალკეული ასპექტის კრიტიკა (არ ახდენს წარმოების სტიმულირებას, არ ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ა.შ.) ხშირად არ არის დასაბუთებული და ასეთი ლოკალური მოთხოვნები შესაძლებელია წამოყენებული იქნას ფისკალური ურთიერთობების მონაწილე სხვადასხვა მხარეების მიერ უსასრულოდ.

საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო სიმძიმე) – არის განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს გადასახადების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და განისაზღვრება, როგორც საგადასახადო შემოსავლების საერთო ჯამის შეფარდება ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან. სხვა სიტყვებით – საგადასახადო ტვირთი ასახავს საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც ნაწილდება საბიუჯეტო მექანიზმის მეშვეობით. როგორც წესი, საგადასახადო შენატანების ყველაზე მაღალი დონით ხასიათდებიან ალკოჰოლიანი ნაწარმის (ღვინო-არაყი) მწარმოებელი საწარმოები, ვინაიდან ამ პროდუქციის ღირებულებაში მნიშვნელოვანი ნაწილი აქციზს უჭირავს. საგადასახადო შენატანების მაღალი დონეა ნავთობპროდუქტების მწარმოებელ საწარმოებშიც, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მცირეა.

საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე – ნებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა. ცალკეული ავტორების მიერ, როგორც სპეციალურ, ისე პუბლიცისტურ ლიტერატურაში ხშირად ქვეყნდება მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ, რაც დაბალია საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო დინამიურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა: რაც უფრო ნაკლებია გადასახადები მით მეტია ეკონომიკის ზრდის ტემპი. ამ მოსაზრების პრაქტიკული რეალიზაციის მაგალითებისა და დინამიკის გადამოწმება ერთობ რთულია, რამდენადაც

ეკონომიკის ზრდა სხვა ბევრ ფაქტორზეცაა დამოკიდებული, გარდა ამისა, ძლიერ დაბალი გადასახადების ქვეყნების გამოცდილება ფაქტორივად არ მოიპოვება, შესაბამისად, მსჯელობა მხოლოდ თეორიულ ასპექტშია შესაძლებელი, თუმცა უდავოა, რომ რაციონალური საგადასახადო სისტემა ეკონომიკის განვითარებაზე დადებითად მოქმედებს.

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული სამართლიანი და ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ფორმირებისას კერძოდ:

➤ ყველა გადასახადის გადამხდელი ვალდებულია განახორციელოს კანონით დადგენილი გადასახადის, როგორც სავალდებულო და უპირობო ფულადი შენატანის, ბიუჯეტში გადახდა;

➤ გადასახადების ადმინისტრირება უნდა იყოს მარტივი და ეფექტიანი;

➤ გადასახადები უნდა იყოს სამართლიანი (ერთნაირ დასაბეგრობაზე უნდა დაწესდეს თანასწორი გადასახადები);

➤ პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართალდარღვევისათვის უნდა იყოს ადეკვატური ჩადენილი სამართალდარღვევის.

**გადასახადების სახელმწიფო მართვა ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა.** ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ბიზნესგარემოს ფორმირება წარმოუდგენელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, ვინაიდან იგი განსაზღვრავს თამაშის წესებს და ამ ქვაკუთხედში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აღიარებულია საგადასახადო სისტემა, რომელიც წარმოადგენს გადასახადების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების, გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახადო ორგანოების, საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.

**ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გადასაწყვეტად აუცილებელია ფინანსური რესურსების მობილიზება,** რომელსაც მთავრობა ახორციელებს საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით. აღნიშნული პოლიტიკის რეალიზება ხორციელდება საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმის საფუძველზე და ემსახურება სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებას. იგი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

➤ **დაგეგმვა** - ქვეყნის ხელისუფლების მიერ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის - სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დამტკიცება, რომელიც მიიღება ყოველწლიურად და წარმოადგენს დეტალურ გეგმას ქვეყნის მიერ გასაწევი ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ;

➤ **საგადასახადო რეგულირება** - სახელმწიფოს მიერ გადასახადებით, როგორც მძლავრი სამართლებრივი მექანიზმით, ეკონომიკაზე ზემოქმედება და შესაბამის ბიზნესექტორში პროცესების შენელება ან სტიმულირება;


➤ **საგადასახადო კონტროლი** - სახელმწიფოს მიერ მეწარმეებიდან გადასახადების ამოღებისათვის აუცილებელია კონტროლის მექანიზმის არსებობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირების მეთოდების, იძულებითი ღონისძიებების გატარებასა და სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრაში.

სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ქვაკუთხედიანია. სწორედ მოწესრიგებულ და მიმზიდველ ბიზნესგარემოში დევს ის გასაღები, რომლითაც უნდა გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოხდეს ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაში სახელმწიფოს პოლიტიკა ყოველთვის იყო მწვავე დისკუსიის საკითხი, რომელსაც თავისი აქტუალობა არც თანამედროვე ეტაპზე დაუკარგავს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ქვეყნის ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მდგომარეობა ერთგვარი პოლემიკის საგნად გადაიქცა, რაც იმაზე მეტყველებს, თუ რა სერიოზულ როლს აკისრებს დღეს მეცნიერება სახელმწიფოს მიერ გადასახადების მართვას ეკონომიკის ფუნქციონირებაში. სახელმწიფოს როლის მნიშვნელობისათვის ხაზის გასმა, ვფიქრობთ, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს

სახელმწიფო ხარჯების პერმანენტული ზრდა ობიექტური რეალობაა და სასარგებლოა საერთო განვითარებისათვის. უფრო მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ საზოგადოებას ყოველთვის კონტროლის ქვეშ უნდა ჰქონდეს გადასახადების ოდენობა და აღნიშნული მოცულობის სარგებლობა.

გადასახადების სახელმწიფო მართვის პროცესში ფისკალურ ფუნქციასთან მიმართებაში დაბეგვრის ერთ-ერთი ამოსავალი და გადამწყვეტი პირობა უნდა იყოს გადასახადის გადამხდელთა მხრიდან არსებული საგადასახადო განაკვეთის გადახდისუნარიანობა და საგადასახადო ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ხარჯების მინიმიზება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების პროცესში გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდის შესაძლებლობის განსაზღვრა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზოგადად საგადასახადო განაკვეთის დაწესება, რაც დღის წესრიგში აყენებს ზღვრული საგადასახადო განაკვეთის მოცულობის განსაზღვრის მიზანშეწონილობის საკითხს.

საგადასახადო განაკვეთის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდეზე განხილული აქვს ცნობილ ამერიკელ ეკონომისტს არტურ ლაფერს, რომლის მიერ შექმნილი მოდელი ლიტერატურაში ლაფერის მრუდის სახელითაა ცნობილი (იხ. ნახაზი N1). მისი საგადასახადო კონცეფციის მიხედვით: საგადასახადო განაკვეთის გარკვეულ ზღვრამდე (30-35%) ზრდა იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, ხოლო მის ზემოთ გადიდება, კი, პირიქით, ამუხრუჭებს შემოსავლების გადიდებას და ეკონომიკურ პროგრესს. ამ კონცეფციის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი საგადასახადო ტვირთი ახშობს სამეწარმეო და საინვესტიციო აქტივობას, რის გამოც ეცემა წარმოების ზრდის ტემპები, ვიწროვდება საგადასახადო ბაზა და კლებულობს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა. მან დაადგინა, რომ საგადასახადო განაკვეთის 0% და 100% დონის პირობებში საგადასახადო შემოსავლები ნულის ტოლია და ასევე ნულის ტოლია გადასახადების გავლენა წარმოებაზე.



ნახაზი N1. ლაფერის ეფექტის მრუდი.

### დასკვნა

ბიზნესსექტორისათვის გადასახადის განაკვეთის ოპტიმალური მოცულობის, სწორი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბების პრობლემა საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალობაზე არა მარტო არ მოიხსნა და არ შემსუბუქდა, არამედ, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად გამწვავდა კიდევ. ეს დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცვლილებებთან, კაპიტალიზმის ტრანსფორმაციასთან, საბაზრო ეკონომიკის სოციალური მიმართულების განმტკიცებასთან, სახელმწიფოს ფუნქციების გართულება-გაფართოებასთან, ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებასთან და, შესაბამისად, სახელმწიფო ხარჯების ზრდის ტენდენციასთან. სახელმწიფო ხარჯების ზრდის შედეგების ანალიზმა,

დადებითი და უარყოფითი ასპექტების შედარებამ და შეფასებამ განაპირობა მნიშვნელოვანწილად იმ აზრის წინ წამოწევა, რომლის შესაბამისად სამეურნეო სუბიექტების შემოსავლის გაზრდილი გადასახადით დაბეგვრა უკარგავს მათ მეწარმეობრივ სტიმულს.

როგორც ვხედავთ, მეწარმეთა გადასახადებით დაბეგვრას გააჩნია საგადასახადო საზღვარი, რომელიც წარმოადგენს დაბეგვრის პირობით წერტილს, რომელიც ოპტიმალურია როგორც გადამხდელისათვის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. პირობითი წერტილის გადაწევა ამა თუ იმ მხრეს წარმოშობს ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაციას, რაც ვლინდება პოლიტიკურ კონფლიქტებში, ხელისუფლებისადმი გადამხდელთა დაუმორჩილებლობაში, გადასახადებისაგან მასობრივად თავის არიდებაში, ქვეყნიდან კაპიტალის გადინებაში, მოსახლეობის მიგრაციაში და სხვა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. მოსიაშვილი, მ. ჭელიძე, „ფინანსები“, - თბილისი, გამომცემლობა „დან“, 2016.
2. ზ.ლიპარტია - „ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია“, მონოგრაფია, - თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017. გვ-506
3. ზ.როგავა, „საგადასახადო სამართალი“, თბილისი, გამომცემლობა „იუსტიციის სამყარო“, 2018.
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2021
5. ეკონომიკის პრინციპები გრეგორი მენქიუ 2008
6. www.doingbusiness.org

*Onise Mirtskhulava*

## PRINCIPLES FOR THE FORMATION OF A FAIR AND EFFICIENT TAX SYSTEM IN THE COUNTRY

### Summary

The development, implementation and implementation of the correct tax policy is one of the main priorities of state policy. At the expense of the resources generated by the tax system, the budget is formed and the state functions, followed by the country's development and economic progress. Therefore, developing the right policy, monitoring it and analyzing problems will allow us to create a coherent system. To implement an effective economic policy, the state must formulate a unified tax policy, analyze the problems arising in it and adjust the results. Only with a well-functioning and orderly system is it possible to achieve sustainable economic development, economic growth and the solution of acute social problems.

The definition of taxes, their size and control over them in terms of fairness and efficiency have been the subject of controversy among famous thinkers since ancient times. It is the prerogative of every country to create a flexible and efficient tax system that easily adapts to the rapidly changing economic conditions of the twenty-first century.

*ზურაბ ნოზაძე*

### მდგრადი განვითარება და მისი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საკითხები

*ანოტაცია. სტატიაში განხილულია მდგრადი განვითარების ჩამოყალიბების არსი და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში და ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში. გაანალიზებულია მდგრადი განვითარების ძირითადი კომპონენტები როგორცაა: ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური. მოცემულია კონკრეტული წინადადებები მათუ გაუმჯობესებისათვის და ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ჩამოყალიბებულია მდგრად განვითარებაზე გადასვლის მთავარი პრინციპები. ყველაფერი ეს ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს უფრო მაღალ დონეზე განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე, აგრეთვე უსაფრთხოება.*



*საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, ეკონომიკური განვითარება, ეკოლოგიური განვითარება, სოციალური განვითარება, ცხოვრების დონე, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური ზრდა, კონცეფცია, პრინციპები, ბუნებათსარგებლობა.*

## შესავალი

თანამედროვე პირობებში კაცობრიობის მთავარი პრობლემა არის სამი უმთავრესი კრიზისის: ეკონომიკური, სასურსათო და ეკოლოგიური კრიზისის გადალახვა, ამ პრობლემის გადაჭრისათვის საერთაშორისო თანამეგობრობამ გაატარა მრავალი ღონისძიება. შეიმუშავა კონკრეტული კონვენციები, იურიდიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური დოკუმენტები, რომელთა გათვალისწინება და გაზიარება საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ ეს წამოჭრილი პრობლემა, რომ ამაზე დაყრდნობით ავამაღლოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე, გავაუმჯობესოთ ეკოლოგიური სიტუაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის მყარი საფუძველი შეიქმნას.

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა რიო-დეჟანეიროში 1992 წელს მიღებული იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები რაც ეხებოდა ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესების და მდგრადი განვითარების კონცეფციას. ეს დოკუმენტები წარმოადგენენ პროგრამას რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება მდგრადი განვითარება მისი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური თვასაზრისით.

XXI საუკუნის დღის წესრიგში დგას, რომ განვიხილოთ ვარიანტები და დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებები ნიადაგის, მდგრადობის, ჰაერის, წყლის, ტყის გაუმჯობესებისათვის და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მდგრადი განვითარების ნაციონალური სტრატეგიები, ის აუცილებლად უნდა მოხდეს მთავრობის, ფართო მასების და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის და ურთიერთშეთანხმების შედეგად. ეს ხელშეკრულება პასუხისმგებლობას აკისრებს ნაციონალურ მთავრობებს, მაგრამ მითითებულია, რომ მათ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქმიან წრეებთან, რეგიონალურ, ადგილობრივ ორგანოებთან, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობის ფართო მასებთან, მხოლოდ პარტნიორობა გლობალურ მასშტაბში მოგვცემს საშუალებას მდგრადი განვითარებისათვის.

მდგრადი განვითარების სტრატეგიის შექმნა წარმოადგენს, საგანგებოდ შრომატევად ამოცანას, რადგანაც ეს მოითხოვს ახალ მეცნიერულ მსოფლმხედველურ მიდგომას, ტრადიციული საერთო საკაცობრიო ფასეულობების, თვალსაზრისის კოორდინირებულ შეთანწყობას და სტერეოტიპურ აზროვნებას.

მდგრად განვითარებაზე გადასვლა მოითხოვს ეკოლოგიური სისტემის ისეთ დონეზე შენარჩუნებას, რომელიც საშუალებას მისცემს ახლანდელ და მომავალ თაობას სრულად დაიკმაყოფილოს ყველა სასიცოცხლო მოთხოვნილება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მდგრადი განვითარების მიღწევაზე გავლენას ახდენს ხანგრძლივი ადეკვატური ტენდენცია განვითარებისა. ბუნება-საზოგადოება-ადამიანი განსაკუთრებით აღსანიშნავია მდგრადი განვითარების დინამიური ხასიათი, რომ ის წარმოადგენს არა ჰარმონიულობის მდგრადობის შეუცვლელობას (მუდმივობას), არამედ პირველ რიგში ცვლილებების პროცესს, რომელშიც რესურსების ექსპლუატაციის მასშტაბები, კაპიტალდაბანდებათა მიმართულებები, ტექნიკური განვითარების ორიენტაცია და ინსტიტუციონური ცვლილებები ეთანხმებიან არსებულ და მომავალ მოთხოვნილებებს.

მდგრადი განვითარებისადმი ამჟამად არსებული მიდგომა გამომუშავდა რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, ის ეფუძნება განვითარების სფეროში მუშაობის გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა ამ ხნის მანძილზე.

ეკონომიკური ზრდის, პროგრესის პოტენციალი რომელიც ეფუძნება მდგრად განვითარებას გულისხმობს უფრო მეტად ხარისხობრივ სრულყოფას, ვიდრე ეკონომიკური ზრდაა, რომელიც ეფუძნება მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდას, ჭეშმარიტი ეკონომიკური პროგრესი არის მხოლოდ ისეთი პროგრესი, რომელიც ხორციელდება არა გარე სამყაროს ხარჯზე, არამედ, პირიქით, ეკონომიკური საქმიანობის შეთანხმებულების ხარჯზე და მთლიანად ადამიანთა ყოფაქცევაზე და საქმიანობაზე.

### **მდგრადი ეკონომიკური განვითარება**

მდგრადი ეკონომიკურ განვითარებას საფუძვლად უდევს ეკოლოგიურად დაბალანსებულ ეკონომიკაზე გადასვლა, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას მდგრადი განვითარების მშენებლობისათვის. მდგრადი განვითარება ტრადიციული ეკონომიკის საფუძველზე არ შეიძლება, რადგანაც მის საფუძველზე დევს შეუზღუდავის ზრდის კონცეფცია, ასეთი ეკონომიკის ძირითადი განსხვავება ეს არის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მშენებლობა სხვადასხვა დონეზე, მათ შორის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ურთიერთდამოკიდებულების შედეგად მიყენებული ზიანის გათვალისწინებით ტრადიციული ეკონომიკის საფუძველში დევს მომხმარებელთა ინტერესები, მათი გემოვნება, უპირატესობა, რომელთა რეალიზაცია წარმოადგენს დომინირებულ ფაქტორს განვითარებისათვის.

ეკოლოგიურად ბალანსირებული ეკონომიკა ადამიანს განიხილავს როგორც ერთ-ერთ მთავარ კომპონენტებს ეკოლოგიურ-ეკონომიკურ სისტემაში, მაგრამ გვთავაზობს, რომ ადამიანთა შეხედულებების, ინტერესების, მოთხოვნილებების განვითარება უნდა მოხდეს ბუნების ევოლუციასთან ერთად ბუნებრივი გარემოს შესაძლებლობების ფარგლებში.

ეკოლოგიურად ბალანსირებული ეკონომიკა ეფუძნება ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მისი ფუნქციონირება შესაძლებელია მოხდეს ეკოლოგიურად სუფთა, ენერგოდამზოგავი და მასალადამზოგავი ტექნოლოგიების საფუძველზე ნარჩენების მინიმუმისათვის გათვალისწინებით. ეკოლოგიურად ბალანსირებული ეკონომიკა ეყრდნობა ბუნებათსარგებლობის შემდეგი მექანიზმების განხორციელებას:

1. კომპენსირებული (რბილი) – ლიბერალურ ეკოლოგიურ ურთიერთობაში, კომპენსირებული მექანიზმი მიმართულია ნეგატიური ეკოლოგიური შემთხვევების აღმოსაფხვრელად და არა ეკოლოგიური დეფორმაციების წარმოშობის მიზეზებზე. შეესაბამება ეკონომიკის განვითარების ტექნოგენურ ტიპს.

2. მასტიმულირებელი მექანიზმი – ეკობალანსირებული წარმოების განვითარებისათვის და საქმიანობის სახეებისათვის (ენერგო და მასალადამზოგავი; ნარჩენების გადამუშავების დარგები).

3. მკაცრი მექანიზმი – გამოიყენებს ადმინისტრაციულ და საბზარო ინსტრუმენტებს.

მკაცრი საგადასახადო, საკრედიტო და საჯარიმო პოლიტიკის საშუალებით ახდენს განსაკუთრებული დარგების მიმართულებების განვითარებას, რომელიც ეკონომიკურად იყენებს ბუნებრივ რესურსებს.

### **მდგრადი ეკოლოგიური განვითარება**

მდგრადი განვითარების ეკოლოგიურ საფუძველში დევს მთელი ეკოსფეროს საერთოდ მდგრადი ფუნქციონირება იმ აუცილებელ დონეზე რაც საჭიროა კაცობრიობის მოთხოვნილებების რეალიზაციისათვის, რადგან ეკოსისტემის მთლიანობა დედამიწაზე დამოკიდებულია თვით სიცოცხლის შესძლებლობაზე, აქ მთავარ როლს თამაშობს თვითაღდგენის უნარის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ეკოსისტემის დასაშვები დატვირთვის აღრიცხვას, რადგანაც ეკოსისტემის ზენორმატიული დატვირთვისას ის კარგავს თავის შესაძლებლობას აღდგენისათვის და დაშლას განიცდის. ეკოლოგიურად მდგრადი განვითარება საშუალებას გვაძლევს სიცოცხლისუნარიანობის ორგანიზაციისათვის, რომლის დროსაც მავნე ნივთიერებების

გამოფრქვევა არ უნდა აღემატებოდეს ეკოსისტემის ასიმილაციურ უნარიანობას, შესაძლებლობას.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარების ჩარჩოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიომრავალფეროვნების და ბუნებრივი გარემოს (წყალი, ჰაერი, ნიადაგი, ტყე, მცენარეული და ცხოველთა სამყარო) კომპონენტების ხარისხის იმ დონეზე არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და დაცვას.

### მდგრადი სოციალური განვითარება

მდგრადი სოციალური განვითარების ძირითადი მიზანია კაცობრიობის სიცოცხლის დონისა და ხარისხის ამაღლება. განსაკუთრებული როლი ეკისრება სოციალური და კულტურული სტაბილურობის შენარჩუნებას, კერძოდ საომარი კონფლიქტების რიცხვის შემცირებას, აგრეთვე ადამიანთა შორის რესურსების სამართლიან განაწილებას, რომლებიც წარმოადგენენ კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას.

მდგრადი სოციალური განვითარების მთავარ მიზანს წარმოადგენს თანაბარუფლებიანი საზოგადოების შექმნა, სიღარიბის ლიკვიდაცია, უმუშევრობის შემცირება, პროდუქტიული დასაქმების გაფართოვება და სოციალურ ინტეგრაციაზე ზემოქმედება.

განსაკუთრებული როლი ეკისრება ადამიანის თავისუფალ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებში, რომელიც გავლენას ახდენს მისი სიცოცხლისუნარიანობის სფეროზე, რაც უკიდურესად საჭიროა დემოკრატიისათვის და სოციალური განვითარებისათვის.

ნაციონალურ დონეზე თითოეულ ადამიანს უფლება აქვს შესაბამისი წვდომა ქონდეს ინფორმაციაზე, რომელიც ეხება ბუნებრივ გარემოს, რაზეც განკარგვის უფლება აქვს სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის ინფორმაციაზე საშიში მასალების მოქმედებისა და წარმოშობის შესახებ და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად.

მდგრად განვითარებაზე გადასვლისათვის საჭირო არის, რომ ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური ფაქტორები იყვნენ ინტეგრირებულები და განხილულ იქნენ, როგორც ერთიანი პროცესი, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებისათვის, მშვიდობის დამყარებისათვის პლანეტაზე.

განვითარების მიზნობრივი პარამეტრების დადგენა წარმოადგენს საყრდენს საერთოდ ქვეყნის ინდიკატორული განვითარების დაგეგმვისათვის, აგრეთვე დარგის, რეგიონების და ეკონომიკის სუბიექტების აღმავლობისათვის და გამლიერებისათვის.

- აღნიშნული კონცეფციის რეალიზაცია ხელს შეუწყობს: ცხოვრების დონის ამაღლებას და კონკურენტუნარიანი და განვითარებული ქვეყნის სტატუსის მიღწევას;

- რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდას, რომელიც არის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი ეკონომიკური ზრდის;

- ქვეყნის მოსახლების ზრდას და შრომითი რესურსების ხარისხის გადიდებას;

- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას, ანთროპოგენური ზეგავლენის შემცირებას და „ისტორიული“ ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას;

- ქვეყნის რეგიონების განვითარების ამაღლებას;

- მდგრადი განვითარების ეგიდით სხვადასხვა სახის რეიტინგული საერთაშორისო ფორუმების ჩატარება და გამოცდილების გაზიარება;

- ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დანერგვა, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღმავლობას;

- ტერიტორიული განვითარება ტრანსრეგიონალური ეკოსისტემური მიდგომის საფუძველზე;

- ახალი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენება;

- მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარება;

- ენერგოეფექტიანობა და ენერგოდაზოგვა;
- მდგრადი განვითარების რეგიონალური პრობლემები;
- მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება;
- სიღარიბესთან ბრძოლა ეკოლოგიური და გენდერული ასპექტების გათვალისწინებით;
- მეცნიერებისა და განათლების შემდგომი განვითარება მდგრადი განვითარებისათვის;
- ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და დაცვა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ეკოლოგიური საშიშროების შემცირება და გაფრთხილება;
- გაუდაბნობასთან ბრძოლა;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- გამონახობის შემცირება, მათ შორის სასაბურთე გაზების და ოზონის ფენის დამრღვევი ნივთიერებების;
- ხარისხიანი სასმელი წყლების მოხმარებაზე ხელმისაწვდომობა;
- რადიაციული და ბიოქიმიური უსაფრთხოება;
- ნარჩენების მართვა.

კონცეპციის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური განვითარების ასპექტების ბალანსის მიღწევა, რომელიც არის საფუძველი ცხოვრების ხარისხის ამაღლების და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის ხანგრძლივი პერიოდისათვის პერსპექტივაში.

ამ მიზნების მიღწევისათვის აუცილებელია მდგრადი განვითარების სფეროში შემდეგი ამოცანების რეალიზაცია:

1. რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლების განუზრელი ზრდა;
2. მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა;
3. ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსის ზრდა;
4. საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმატებული რეალიზაციის უზრუნველყოფა.

მდგრადი განვითარების სფეროში მიღწევების მიზანსა და ამოცანას წარმოადგენს რესურსების ინტეგრაციის უზრუნველყოფა. განვითარების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენება.

მდგრად განვითარებაზე გადასვლის ძირითადი პრინციპები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

- მთელი საზოგადოების ჩართვა მდგრადი განვითარების მიღწევის პროცესში;
- მდგრადი განვითარებისათვის პოლიტიკური ბაზისის შექმნა;
- უწყებათაშორისო ინტეგრაცია, სახელმწიფო მმართველობის სისტემური მიდგომა, პროგნოზირების ეფექტიანობის ამაღლება, განვითარების ძირითადი მაჩვენებლების დაგეგმვა და რეგულირება;
- ეკონომიკური პროგრესის მიღწევა მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად ქვეყნის ეკონომიკაში, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;
- მეცნიერებისა და განათლების კონკურენტურობის უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება და ჯანსაღი საზოგადოების შექმნა;
- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე ზრუნვა თითოეული მოქალაქის მიერ;
- წარმოების და მოხმარების მდგრადი მოდელების დანერგვა;

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Дрейер О. К. „Экология и устойчивое развитие“. Москва. 2007.
2. Морозова В.Н., „Мировая Экологическая политика и международное экологическое сотрудничество“ Москва - 2013.
3. Дятлов С.А. „Основы концепции устойчивого развития“ Санкт-Петербург 2008.

4. Лосев А.В. Провадкин Г.Г. под ред. В. И. Жукова. „Социальная экология». Москва – 2008.
5. Кузнецов С. А. Кузнецов П. Г. Большаков Б.Е. „Система природа-общество-человек. устойчивое развитие». Москва – 2012.

*Zurab Nozadze*

## **SUSTAINABLE DEVELOPMENT AND ITS ECONOMIC, ECOLOGICAL AND SOCIAL ISSUES** **Summary**

In the article the Sustainable development and its economic, ecological and social issues are considered

*ქრისტინე ომაძე*

### **ქართული ვერცხლის, ორი აბაზის, გაცოცხლებული ისტორია**

**ანოტაცია.** საქართველოს მდიდარია თავის კულტურით და ისტორიით, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ნუმისმატიკურ ტრადიციებს და გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. ამ მხრივ, კვლევა ეძღვნება საქართველოს ცენტრალური ბანკის (საქართველოს სახელმწიფო ბანკის და საქართველოს ეროვნული ბანკის) მიერ მიმოქცევაში გაშვებულ მონეტას – ქართული ვერცხლის ორი აბაზის უნიკალურ ისტორიას და გაცოცხლებულ ისტორიას, რითაც ის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საქართველოს ძვირფასი ლითონის მონეტებს შორის და წარმოადგენს ამჟამად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უშუალოდ გამოშვებულ ერთადერთ ქართულ ვერცხლის მონეტას საქართველოს ცენტრალური ბანკის აწ უკვე საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოური ოკუპაციის პერიოდს).

საქართველოში თანამედროვე ცენტრალიზებული ფულადი ნიშნის მიმოქცევა/ მოწესრიგება დაკავშირებულია 1804 წელს ქ. თბილისში მოჭრილ ქართულ-რუსულ ორი აბაზის ვერცხლის მონეტასთან, რომელიც ნუმისმატიკურ წრეებში ამჟამად საკამოდ ძვირადღირებული და იშვიათი მონეტაა.

კვლევა ეძღვნება ამ მონეტის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი ასლის დამზადება-გამოშვებას, რომელიც იმეორებს ორიგინალის მონაცემებს და რაც მთავარია ამ ვერცხლის მონეტის ისტორიული ასლის გამოშვებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2004 წელს დაუშვა ერთადერთი პრეცედენტი თავის ისტორიაში – მისი სახელით ბაზარზე გაჩნდა პირველი და ერთადერთი ქართული ვერცხლის მონეტა – ასლი, ოფიციალური რესტრაიკი – ქართული ვერცხლის ორი აბაზი.

**საკვანძო სიტყვები:** ვერცხლის მონეტა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ორი აბაზი, რესტრაიკი.

საქართველოში ფულის მოჭრის და მიმოქცევის ტრადიცია საუკუნეებს ითვლის და არქეოლოგების მიერ ჩვენს ტერიტორიაზე პირველი ლითონის ფული ქ. წ. II – I ათასწლეულის სამარხებშია აღმოჩენილი. რაც შეეხება ძვირადღირებულ ლითონს (ოქრო და ვერცხლი) პირველი ქართული ვერცხლის მონეტა მოიჭრა კოლხეთის სამეფოში და ის ქ. წ. VI საუკუნით თარიღდება (წყარო: ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი 2000 წელი, ISBN – 99928-0-035-6).

სხვადასხვა კვლევით დგინდება, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული 1834 წლამდე ლითონის ფულის ემისია საქართველოს ტერიტორიაზე განუწყვეტლივ ხორციელდებოდა 1834 წლამდე.

ჩვენი კვლევა შეეხება ქართული ვერცხლის მონეტის მოჭრის ბოლო პერიოდს – 19 საუკუნეს და მისი ყველაზე იშვიათი ემისიის – 1804 წლის ქ.თბილისში გამოშვებულ ქართული წარწერის მქონე ორი აბაზისა და ამ მონეტის ფაქტიურად იდენტური ოფიციალური ასლის –

ქართული რესტრაიკის 2004 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ ისტორიული ასლის – ვერცხლის თბილურ ორაბაზიანს.

1800– 1801 წლებში ქართლ–კახეთის ანექსიის და რუსეთის გუბერნიად გამოცხადების შემდეგ საკმაოდ მწვავედ დადგა რეგიონის ეკონომიკური განვითარების საკითხში ფულად–საკრედიტო სისტემის მოწესრიგება. კავკასიაში გამუდმებული ომებისა და გართულებული ვითარების ფონზე რუსეთის იმპერიიდან ვერცხლის ფულით საქართველოს მომარაგება საკმაოდ რთული ამოცანა იყო და რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, 1804 წლის 15 სექტემბერს, თბილისში, ანექსირებულ და დაპყრობილ საქართველოში რუსული ადმინისტრაციის მიერ ყოფილი სამეფო აბანოს შენობაში საზეიმოდ გაიხსნა ზარაფხანა (მოსკოვისა და სანქტ–პეტერბურგის შემდეგ) და მოიჭრა მეფე ერეკლე II დროის ვერცხლის სინჯის შემცველი მიმსგავსებული პროპორციის მონეტა (სირმა–აბაზი), რომელიც ჩამორჩებოდა წონაში ქართულ ზუსტ ანალოგს, მაგრამ ვერცხლის უფრო მაღალი შემცველობა ჰქონდა, ვიდრე რუსეთის იმპერიაში აღიარებულ ჩერვონეცს. მეტიც, ამ მონეტის საყოველთაო აღიარებისა და გავრცობის მიზნით, იმპერიული რუსეთი კავკასიაში კიდევ ერთ უცნაურობას ახორციელებს – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აწ უკვე მყოფი საქართველოს ტერიტორიაზე, მის დედაქალაქში ნებას რთავს რომ მონეტის ორივე მხარეს (ავერსი და რევერსი) წარწერა იყოს ქართულად – „ტფილისი“ და ქართული ძველი მონეტის სახელსაც უტოვებს –ქართული აბაზი. უნდა ითქვას, რომ რუსეთის იმპერატორის სურვილი იყო და ეს აღსრულდა – თბილისში მოჭრილ ყველა ამ მონეტას (ორი აბაზი, აბაზი, ბისტი და სხვა) – „არაფერი რუსული მონეტაზე არ იყოს“ (წყარო: ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი 2000 წელი, ISBN – 99928-0-035-6).

უნდა ითქვას, რომ 1804 – 1834 წწ მოჭრილ ამ მონეტებს ნუმისმატიურ წრეებში განსაკუთრებული სახელწოდება აქვთ – „რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე 1, ნიკოლოზ 1 ვერცხლის მონეტები საქართველოსთვის“. მართლაც უნიკალური მოვლენაა, როდესაც დაპყრობილი დაპყრობილ ტერიტორიაზე ხსნის ზარაფხანას და მიმოქცევაში უშვებს დაპყრობილი სახელმწიფოს ენაზე ოფიციალურ დონეზე სახელმწიფოებრიობის ერთ–ერთ პირდაპირ ნიშანს – ფულის ერთეულს და ღიად აღიარებს ამ ფაქტს. ცხადია, ეს პოლიტიკური ჟესტი იყო, თუმცა ამით ქართულ ნუმისმატიკურ ისტორიას და სახელმწიფოებრიობის უნიკალურობას გაესვა ხაზი.

1804 – 1834 წწ მოჭრილ ქართულ ორაბაზიანს ეწერა ქართული მხედრული დამწერლობით „ქართული თეთრი“, რითაც დღესაც გრძელდება ტრადიცია და ქართული ხურდა ფული – „თეთრი“ ინარჩუნებს ამ სახელწოდებას.

პირველ მოჭრილ ორაბაზიანზე დამატებით დატანილი იყო ზარაფხანის იმდროინდელი მინცმაისტერის ანუ მთავარი ზარაფის რუსული ინიციალები – პ.ზ.–პეტრე ზაიცევი (1804 –1806 წწ) და ასო „უ“, რაც 400 ანუ ორი აბაზის ტოლ ვერცხლის მონეტას აღნიშნავდა.

ასეთი უნიკალურობა და უცნაურობა, როდესაც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე იჭრებოდა ორი ფული – რუსული ჩერვონეცი თავისი რუსული წარწერით და ქართული წარწერის და ქართულად გაფორმებული თეთრი (ორი აბაზი, აბაზი, ბისტი და სხვა), რომელიც მთელს კავკასიაში ვრცელდებოდა – საკმაოდ უცნაური და გამაოგნებელი მოვლენა იყო თვით იმპერიის მაღალჩინოსნებისთვის.

დეფაქტო გამოდიოდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა მონეტარულ დონეზე მაინც. მათ სცადეს 1823 წელს იმპერიის ტერიტორიაზე მხოლოდ რუსული მონეტის დაშვება და ქართული წარწერის ვერცხლის მონეტის ემისიის შეწყვეტა და თბილისის ზარაფხანის დახურვა, თუმცა რუსეთის იმპერატორმა უარი განაცხადა ზარაფხანის დახურვაზე, როდესაც გაიგო, რომ ის საკმაოდ მომგებიანი იყო. თუმცა სავარაუდოა, რომ ეს უფრო პოლიტიკური ნაბიჯი იყო და იმ მომენტში კავკასიაში რუსეთს აწყობდა დაეშვა იმპერიაში ასეთი დუალიზმი – ფაქტიურად რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ფულად–საკრედიტო სფეროში აღიარებდა რომ იმპერია ორი ქვეყნისგან შედგებოდა – რუსეთი და საქართველო.

ასეთი უნიკალური და უცნაური ქართული ფულად–საკრედიტო ავტონომია რუსეთის იმპერიაში დასრულდა 1834 წელს, როდესაც რუსეთის იმპერიამ დახურა თბილისის ზარაფხანა

და იმპერიის ტერიტორიაზე მხოლოდ რუსული და მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში მოჭრილი (ან მათი დაკვეთით დამზადებული) მონეტები დარჩა (წყარო: ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი 2000 წელი, ISBN – 99928-0-035-6).

2004 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1804 წლის გამოშვებული ქართულ-რუსული ვერცხლის ორი აბაზის 200 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოშვებულ იქნა ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უშუალოდ პირველი თანამედროვე ქართული ვერცხლის მონეტა - ისტორიული ასლი, რასაც ნუმისმატიურ ლიტერატურაში რესტრაიკი ეწოდება. რესტრაიკი – ძველი პერიოდის მონეტის იდენტური ახალი გამოშვების ორგანიზების პროცესია ოფიციალური ორგანოს მიერ. (წყარო: რესტრაიკის განმარტე – Restrike (coininvest.com)).

აღნიშნული საიუბილეო, 19 საუკუნის ორი აბაზის ზუსტი ასლი, საქართველოს ეროვნული ბანკის დამლით და ბეჭდით ამოტიფრული სულ 200 (ორასი) ცალი დამზადდა და სავარაუდოა, მისი გამოშვება პოლიტიკურ მიზანს ისახავდა – ვარდების რევოლუციის შემდეგ რუსეთთან დამთბარი ურთიერთობების გაღრმავება და საამისოდ რუსულ – ქართული ერთობლივი საიუბილეო მონეტის ემისია (ისტორიული ვერცხლის მონეტა, ასლი დამლით) (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ბიულეტენი-2007 წლის 10-17 დეკემბერი 30 (156) ნომერი –

[www.nbg.gov.ge/uploads/sabankobiuleteni/2007/n30156.pdf?fbclid=IwAR2OC0DssY6DfMC6YcnugT5D3zVM](http://www.nbg.gov.ge/uploads/sabankobiuleteni/2007/n30156.pdf?fbclid=IwAR2OC0DssY6DfMC6YcnugT5D3zVM)) 07MJVIZL-iAuzZvp3ddbYn6q\_q0GXvA).

კვლევის შედეგად და ბაზრის შესწავლის ფონზე დგინდება, რომ აღნიშნული მონეტა საკმაოდ იშვიათია და ქართულ ბაზარზე მისი ორიგინალის მხოლოდ ერთი ცალის მოძიება მოხერხდა. სამწუხაროდ, ამ მოვლენის არ გაშუქებამ და მონეტის შესახებ ინფორმაციის არ ცოდნამ (ინფორმაცია ღია სივრცეში არ იძებნება არც ეროვნული ბანკის, არც ფულის მუზეუმის საიტებზე) ამ უნიკალური მონეტის ისედაც მწირი ტირაჟის მეტი წილის გაქრობა მოყვა – ნაწილი სავარაუდოა ოფიციალურ ვიზიტებში 2004 წელს დარიგდა რუსეთში, ხოლო მისი ასლის და დამზადების წლის – 2004 წლის თარიღმა – ამ მონეტისადმი ინტერესი არ გამოიწვია და ტირაჟის მეტი წილი გადადნობილ იქნა, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოში ფულის მუზეუმიდან რეალიზებულ იქნა ისტორიული ასლის სახელით და მეტ წილად ანალოგიური ბედი ეწია.

ცოტა რამ უშუალოდ ამ 2004 წლის პირველი და ერთადერთი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ქართული ვერცხლის ისტორიული მონეტის, ასლის-რესტრაიკის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ოფიციალური წერილების შესაბამისად დგინდება, რომ ეროვნული ბანკის მიერ 1804 წლის ემისიის ქართულ-რუსული ორბაზიანი (40 კაპეიკი) ვერცხლის მონეტის დამზადება მოხდა 2004 წელს მცირე რაოდენობით (200 ცალი), რომელიც განკუთვნილი იყო ქართული ფულის პოპულარიზაციისთვის, როგორც ქართული ნუმისმატიკური მემკვიდრეობის ასლი, მსგავსი პრაქტიკა მიღებულია მსოფლიოში (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ოფიციალური წერილი, 2021 წლის 7 მაისი).

მონეტა ვერცხლისაა, ტექნიკური პარამეტრებით ზუსტად იმეორებს ორიგინალის მონაცემებს, დამლა კი არის მანიშნებელი, რომ მონეტა ასლია.

მონეტის რეალიზაცია 2004-2015 წლებში მიმდინარეობდა. მისი სარეალიზაციო ფასი შეადგენდა 48.14 ლარს. მონეტა განთავსებული იყო დამცავ კაპსულაში. მისი სახელწოდებაა - თბილური ორბაზი, გამომშვები/ემიტენტი – საქართველოს ეროვნული ბანკი, ემისიის მოცულობა-200 ცალი.

მონეტა ვერცხლისგანაა დამზადებული, ის ორბაზიანია, რაც 19 საუკუნის რუსულ ექვივალენტში 40 კაპეიკს უდრიდა, მისი წონა 6.23 გრამია, ზომა-25 მმ და ამ მონეტას 1804-1806 წწ თბილისის ზარაფხანის მინცმაისტერის -პეტრე ზაიცევის ინიციალები არის

ამოტიფრული.(წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ოფიციალური წერილი,2021 წლის 7 და 8 მაისი)

მონეტის სახელია–თბილური ორაბაზიანი (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ბიულეტენი–2007 წლის 10–17 დეკემბერი 30(156) ნომერი – [www.nbg.gov.ge/uploads/sabankobiuleteni/2007/n30156.pdf?fbclid=IwAR2OC0DssY6DfMC6YcnugT5D3zVM\)07MJVIZL-iAuzZvp3ddbbyN6q\\_q0GXvA](http://www.nbg.gov.ge/uploads/sabankobiuleteni/2007/n30156.pdf?fbclid=IwAR2OC0DssY6DfMC6YcnugT5D3zVM)07MJVIZL-iAuzZvp3ddbbyN6q_q0GXvA)).

მონეტის ავერსი – გვირგვინი, პალმისა და ზეთისხილის ტოტები, ქართული ზედწერილი“ტფილისი“.

მონეტის რევერსი – ქართული ზედწერილი – უ (400), ქართული თეთრი ჩყდ – (1804წ.) რუსული ზედწერილი – II.3. (პეტრე ზაიცევი, ტფილისის ზარაფხანის მინცმაისტერი, მთავარი ზარაფი)(წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ოფიციალური წერილი, 2021 წლის 7 მაისი).

კვლევის მიზანია, ქართული თანამედროვე ნუმიზმატიკის მოყვარულთათვის და საზოგადოებისათვის ამ ქართული მონეტის გაცნობა.

არსებულ მომენტში, დამოუკიდებობის აღდგენიდან დღემდე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული და/ან მისი დაკვეთით დამზადებული და აღიარებული ქართული ვერცხლის მონეტების სრული სია შემდეგი სახისაა:

1. 2004 წწ გამოშვებული 19 საუკუნის ორაბაზიანის ვერცხლის ისტორიული მონეტა, ეროვნული ბანკის დამლით და ვერცხლის სინჯით, მოჭრის რაოდენობა – 200 ცალი. ერთადერთი ვერცხლის მონეტა, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის გამოშვებული;

**ასევე, დაკვეთით დამზადებულია მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრალური ბანკების ზარაფხანებში პრუფის ტექნოლოგიით შემდეგი მონეტები: (წყარო:[www.moneymuseum.nbg.gov.ge](http://www.moneymuseum.nbg.gov.ge); [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);)**

2. 2000 წელს გამოშვებული ვერცხლის 10 ლარიანი ქრისტეშობა, მოჭრის რაოდენობა 1000 ცალი;

3. 2000 წელს გამოშვებული ვერცხლის 10 ლარიანი სახელმწიფოებრიობა, მოჭრის რაოდენობა 1000 ცალი;

4. 2006 წელს გამოშვებული დინამოს ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 6000 მდე;

5. 2006 წელს გამოშვებული ფიფას მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 50000 მდე;

6. 2006 წელს გამოშვებული ბაქო- თბილისი- ჯეიხანის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 5000 მდე;

7. 2008 წელს გამოშვებული პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მონეტა - მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;

8. 2009 წელს გამოშვებული ილორის წმინდა გიორგის ვერცხლის მონეტა - მოჭრის რაოდენობა 3000 მდე;

9. 2015 წლის ახალგაზრდული ფესტივალი თბილისი ვერცხლის მონეტა - მოჭრის რაოდენობა 3000 ცალი;

10. 2015 წლის ლარის 20 წლისთავის ვერცხლის მონეტა - მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;

11. 2017 წლის ქართული ვაზის ვერცხლის მონეტა-მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;

12. 2018 წლის თსუ ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;

13. 2018 წლის დამოუკიდებლობის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;

14. 2018 წლის ქართული წიგნის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;

15. 2019 წლის ქართული პარლამენტის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 2000 ცალი;

16. 2019 წლის ქართული მარკის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;

17. 2019 წლის რაგბის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 3000 ცალი;

18. 2019 წლის ბანკის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;



19. 2019 წლის ევროსაბჭოს ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;
20. 2020 წელი ერეკლე მეორეს ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი;
21. 2021 წლის ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის მონეტა- მოჭრის რაოდენობა 1500 ცალი.

სტრატეგიიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი უახლოეს მომავალში აპირებს გამოუშვას ქართული მეფეების და ქართული ბუნების ამსახველი სხვადასხვა ვერცხლის მონეტა (წყარო: თემები საკოლექციო დანიშნულების ლარის ბანკნოტების ან/და მონეტების გამოსაშვებად (2020წლის 1/02 მდგომარეობით)– [www.nbg.gov.ge/uploads/banknotes/2020/temebi.pdf](http://www.nbg.gov.ge/uploads/banknotes/2020/temebi.pdf)).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი 2000 წელი, ISBN – 99928-0-035-6
2. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ოფიციალური წერილი, 2021 წლის 7 მაისი
3. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ოფიციალური წერილი, 2021 წლის 8 მაისი
4. რესტრაიკის განმარტე – Restrike (coininvest.com)
5. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ბიულეტენი–2007 წლის 10–17 დეკემბერი 30(156) ნომერი – [www.nbg.gov.ge/uploads/sabankobiuleteni/2007/n30156.pdf?fbclid=IwAR2OC0DssY6DfMC6YcnugT5D3zVM\)07MJVIZL-iAuzZvp3ddbYn6q\\_q0GXvA](http://www.nbg.gov.ge/uploads/sabankobiuleteni/2007/n30156.pdf?fbclid=IwAR2OC0DssY6DfMC6YcnugT5D3zVM)07MJVIZL-iAuzZvp3ddbYn6q_q0GXvA)
6. თემები საკოლექციო დანიშნულების ლარის ბანკნოტების ან/და მონეტების გამოსაშვებად (2020წლის 1/02 მდგომარეობით)– [www.nbg.gov.ge/uploads/banknotes/2020/temebi.pdf](http://www.nbg.gov.ge/uploads/banknotes/2020/temebi.pdf)
7. [www.moneymuseum.nbg.gov.ge](http://www.moneymuseum.nbg.gov.ge)
8. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);

*Kristine Omadze*

### REVIVED HISTORY OF GEORGIAN SILVER TWO ABAZI COIN

#### Summary

Georgia is rich in its culture and history, where Georgian numismatic traditions and monetary policy have a special place. In this regard, the study is dedicated to the coin issued by the Central Bank of Georgia (State Bank of Georgia and the National Bank of Georgia) - the unique history and revived history of two Georgian silver Abazi, which occupies a special place among Georgian precious metal coins and is currently represented directly by the National Bank of Georgia. The only Georgian silver coin issued during the century-old history of the Central Bank of Georgia (if we do not take into account the period of Soviet occupation).

The circulation / regulation of the modern centralized banknote in Georgia is connected with the silver coin of two Georgian-Russian Abazi minted in Tbilisi in 1804, which is now quite expensive and rare in numismatic circles.

Research is dedicated to the production and issuance of a copy by the National Bank of Georgia on the occasion of the 200th anniversary of this coin, which duplicates the original data, and most importantly, the National Bank of Georgia set the only precedent in its history in 2004 Silver coin - copy, official restrrike - two Georgian silver Abazi.

**Keywords:** *Restrike, silver coin, two Abazi, The National Bank of Georgia*

## აუდიტორული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის საკითხები

**ანოტაცია.** აუდიტორული საქმიანობა ეს არის აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული სამუშაო, რომელიც აუდიტის საფუძველზე წარმოადგენს შესაბამის დასკვნას ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის, სამართლიანობისა და სისრულის შესახებ შესაბამისი მოსაზრებებით. ხოლო აუდიტორი და აუდიტორული ფირმა აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელ პირებს წარმოადგენენ, რომლებიც ვალდებული არიან დაიცვან პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code) და იქონიონ საკუთარი ხარისხის კონტროლის სისტემის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისი ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებისა (ISQC). სტატიაში წარმოდგენილია აუდიტორული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის როგორც ზოგადად თეორიული, ასევე ანალიზის საფუძველზე პრაქტიკაში არსებული მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების მიმართულებები.

**საკვანძო სიტყვები:** აუდიტი, შიდა კონტროლი, ხარისხის კონტროლი, მონიტორინგი

ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია ეფექტიანი შიდა აუდიტის არსებობას. გამოდინარე იქედან, რომ შიდა აუდიტი შიდა კონტროლის შემადგენელი ნაწილია, რომელიც დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობაა. იგი სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას<sup>82</sup>. სწორედ მისი ფუნქციიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფა და შესაბამისად მისი კონტროლი ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციისთვის.

საქართველოში მოქმედი „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიით“ განსაზღვრულია ხარისხის კონტროლის სამი ძირითადი ფორმა - შიდა შეფასება, გარე შეფასება და მიმდინარე ზედამხედველობა<sup>83</sup>, თითოეული მათგანისათვის კი განსაზღვრულია ჩატარების გზები, მიზნები, პროცესი, სანიმუშო ღონისძიებები, ორგანიზების საკითხები და სხვა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ განსაზღვრულია მეთოდები, თუ რა ფორმით შეუძლია შიდა აუდიტის სუბიექტს მოახდინოს შიდა აუდიტის სარგებლიანობისა და ეფექტიანობის ანალიზი.

ჩვენს მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის ეტაპზე (რომელშიც ჩართული იყო საბიუჯეტო სექტორის შიდა აუდიტის სუბიექტების მენეჯერები), გამოვლინდა, რომ დღესდღეობით პრაქტიკაში არსებობს ხარისხის კონტროლის საშუალებები, როგორცაა მაგალითად:

- ყოველი საბოლოო ანგარიშისა და რეკომენდაციის გადახედვა შიდა აუდიტის სუბიექტის ხელმძღვანელის მიერ;
- ინდივიდუალური აუდიტორული შემოწმების / დავალების მონიტორინგი, შიდა აუდიტის ობიექტის ჩართულობით კვლევა და მოსაზრებების წარმოდგენა ყოველი შემოწმების დასრულების შემდეგ;
- შიდა აუდიტის რისკების იდენტიფიცირება და თვითშეფასება, წლიური დაგეგმვის სრულყოფის მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ხარისხის გაუმჯობესების კუთხით ქვეყნის მასშტაბით გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები. რამდენიმე სამინისტროში

<sup>82</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მე-2 მუხლი, „ზ“ პუნქტი;

<sup>83</sup> „შიდა აუდიტის მეთოდოლოგია“, თბილისი, გვ. 61.

განხორციელდა ხარისხის გარე შეფასება, რომლის ფარგლებშიც შეფასდა შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ყველა ეტაპი. იგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა - დაფუძნება, აუდიტორული საქმიანობის მართვა, ინდივიდუალური აუდიტორული შემოწმების მიდგომები, ანგარიშება და რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი, დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები და სხვა. გამოვლენილი მიგნებების მიხედვით კი ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ხარისხის გარე შეფასება მიმდინარეობს მუნიციპალიტეტების დონეზე, რაც თავის მხრივ დადებით ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ.

მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, არსებობს მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა გადაჭრაც უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს შიდა აუდიტის განვითარებისათვის. კვლევის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ:

- დახვეწას, სრულყოფას და განახლებას საჭიროებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, რომლითაც ხელმძღვანელობენ შიდა აუდიტორები.

- კვლევაში მონაწილე აუდიტის სუბიექტების უმრავლესობას, ზემოთ აღნიშნული ხარისხის კონტროლის მექანიზმები არ აქვს დოკუმენტირებული და ერთიან სისტემაში მოქცეული, რაც თავის მხრივ ზრდის რისკს შიდა აუდიტორული საქმიანობის არაეფექტობის კუთხით;

- ვლინდება შემთხვევები, როდესაც შიდა აუდიტის სუბიექტის დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დგება, რადგან არ არსებობს შესაბამისი და ადეკვატური დაცვის ღონისძიებები;

- არ არსებობს შიდა აუდიტის კომიტეტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა შიდა აუდიტორთა დამოუკიდებლობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

- არ არის დანერგილი შიდა აუდიტორთა სავალდებულო სერტიფიცირება, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას მოახდენდა აუდიტორთა კვალიფიკაციაზე და შესაბამისად, ხარისხზე;

- მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის და გაუმჯობესების პროგრამა, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს შიდა აუდიტის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული პრობლემური საკითხების მოგვარება დამოკიდებულია, როგორც უშუალოდ შიდა აუდიტის სუბიექტებზე, ასევე, ჰარმონიზაციის ცენტრზე, რომელიც მაკოორდინირებელი ორგანოა საბიუჯეტო სექტორის შიდა აუდიტის სუბიექტების. შესაბამისად, იმისთვის, რომ შიდა კონტროლის მეთოდებისა და მეთოდების სრულყოფა მოხდეს, ვფიქრობთ, რომ შიდა აუდიტის ხარისხის შეფასების დანერგვის პარალელურად, უნდა შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს შიდა კონტროლის სისტემებთან დაკავშირებული მეთოდოლოგიები, წესები, სახელმძღვანელოები, რადგან მხოლოდ განვითარებასა და ხარისხზე ორიენტირებული შიდა აუდიტი ვერ იქნება გარანტი საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის. საჭიროა ზემოთ განხილული მთელი რიგი პრობლემების აღმოფხვრა, რათა საბიუჯეტო სახსრები იყოს მიზნობრივად, რაციონალურად, ეკონომიურად და პროდუქტიულად გამოყენებული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება<sup>84</sup>.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2017 წელს პირველად განახორციელა აუდიტის ხარისხის კონტროლის მონიტორინგი. აღნიშნული მონიტორინგის შედეგები მოცემულია სამსახურის 2017 წლის წლიურ ანგარიშში, რომელთაგან ძირითადი დარღვევები და ნაკლოვანებებია:

1. ფორმალური მიდგომა მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლის განხორციელებისადმი;

<sup>84</sup> „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის N233 ბრძანება, მე-2 მუხლი, პირველი პუნქტი, „ე“ ქვეპუნქტი;

2. მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლის განხორციელების ფაქტის ან დოკუმენტური მტკიცებულების არარსებობა;

3. აუდიტორულ ორგანიზაციაში მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის მოთხოვნათა დარღვევა, მათ შორის, აუდიტორული ორგანიზაციის თანამშრომელთა არასაკმარისი ინფორმირებულობა მუშაობის ხარისხის შიდა კონტროლის დადგენილი პროცედურების შესახებ და ახალი კლიენტის აყვანის ან უკვე არსებულ კლიენტთან თანამშრომლობის გაგრძელების საკითხის გადაჭრის მარეგულირებელი წესების პროცედურების შესრულების ფაქტის ან დოკუმენტური მტკიცებულების არარსებობა;

4. ფირმის დონეზე გამოვლენილ ძირითად ნაკლოვანებებს წარმოადგენდა, ასევე გარიგების შესრულების პოლიტიკისა და პროცედურების შეუსაბამობა სტანდარტებთან<sup>85</sup>, რომელიც ძირითადად ეხებოდა გარიგების მიმოხილვის ნაკლოვანებას, კონსულტაციების გავლის პოლიტიკის არაეფექტურობასა და სხვა მეთოდოლოგიურ ხარვეზებს.

„აუდიტორული საქმიანობა იმ მომსახურებათა რიგს მიეკუთვნება, რომლის ხარისხის გაკონტროლება და შეფასება არ შეუძლია არც ანგარიშგების მომხმარებელს და არც აუდიტორული მომსახურების უშუალო მომხმარებელს. აუდიტორული მომსახურების ასეთი ხასიათი ობიექტურად განაპირობებს კონტროლის გარკვეული ფორმების არსებობის აუცილებლობას, რაც აუდიტორული მომსახურების მისაღები ხარისხის პროფესიონალურად უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა<sup>86</sup>.

აუდიტორული მომსახურების ხარისხის სისტემამ უნდა უზრუნველყოს იმის გონივრული გარანტია, რომ აუდიტი სრულდება ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, ასევე, აუდიტორული ორგანიზაციის მიერ გაცემული დასკვნები და სხვა ანგარიშები შეესაბამება კონკრეტული ამოცანების პირობებს<sup>87</sup>.

დღეისათვის პრაქტიკაში ერთ-ერთ პრობლემურ თემად რჩება შიდა საფირმო სტანდარტების არასათანადო და არასრულყოფილი დამუშავება, რაც არსებით გავლენას ახდენს გაწული აუდიტორული მომსახურების ხარისხზე. არსებული მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზის მიზნით განვიხილეთ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის ხარისხის მონიტორინგის შედეგები, 2019 წლის მდგომარეობით, რომელთა შედეგები წარმოდგენილია დიაგრამებზე (იხ. დიაგრამა N1 და N2).


როგორც დიაგრამებზე ასახული მონაცემებით ჩანს, 1451 (88,31%) შემთხვევაში ფიქსირდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის ფაქტი, ხოლო გამოვლენილი ფაქტებიდან 93% მნიშვნელოვნად არსებითია, ხოლო 94%- სისტემური, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჯერ კიდევ გადასადგმელია.

<sup>85</sup> ლევან საბაური, „აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები“, თბილისი, 2018წ. გვ. 315;

<sup>86</sup> იქვე, გვ. 313;

<sup>87</sup> იქვე, გვ. 313;

## დიაგრამა N1



წყარო: [https://www.saras.gov.ge/Content/files/SARAS\\_AR\\_2019.pdf](https://www.saras.gov.ge/Content/files/SARAS_AR_2019.pdf)

## დიაგრამა N2



წყარო: [https://www.saras.gov.ge/Content/files/SARAS\\_AR\\_2019.pdf](https://www.saras.gov.ge/Content/files/SARAS_AR_2019.pdf)

მიგვაჩნია, რომ აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პირველი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი შიდა სტანდარტების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვაა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხარისხის დონის ამაღლებას. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკები, რათა მაქსიმალურად აუდიტორულ კომპანიაზე / აუდიტის სუბიექტზე მორგებული შიდა სტანდარტები დაინერგოს.

ვფიქრობთ, რომ ასევე უმნიშვნელოვანესია აუდიტის სუბიექტების მენეჯერების გადამზადება, განსაკუთრებით საჯარო სექტორში, რადგან, როგორც კვლევამ აჩვენა ამ მიმართულებით საჭიროა დამატებით ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას იქონიებს ხარისხის დონეზე.

რადგან სტატიაში აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, ასევე საინტერესო და მისაღებია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივა აუდიტორთა ფიცის წარმოთქმის პრაქტიკის დამკვიდრების შესახებ, რაც როგორც პროფესიის რეპუტაციას, ასევე აუდიტორებისა და აუდიტორული ფორმების პასუხმგებლობას აამაღლებს.

ჩვენი აზრით მიზანშეწონილი იქნება საქართველოში ფიცის მიმღებ ორგანოს წარმოადგენდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და არა პროფესიული ორგანიზაცია ან სხვა რომელიმე სამინისტრო და სასამართლო, როგორც ეს საერთშორისო პრაქტიკაშია დამკვიდრებული. ხოლო რაც შეეხება ფიცის სავარაუდო ტექსტს, ჩვენი აზრით უმჯობესია გათვალისწინებული იყოს, როგორც აუდიტის საერთშორისო სტანდარტებისა და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, ასევე პროფესიული და ეთიკური სტანდარტების მოთხოვნები, კანონიერებისა და კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის წლიური ანგარიში;
2. საქართველოს კანონი „ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ქუთაისი. 2016წ.
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 14 სექტემბრის N233 ბრძანება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“;
4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“. 2011 წ.
5. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს 1) იხ. [https://saras.gov.ge/Content/files/ISQC\\_1\\_2018.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/ISQC_1_2018.pdf)
6. ბერიძე თ, „საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტის ხარისხის კონტროლი“. ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა, 2017წ.
7. საბაური ლ.; „აუდიტორული ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები“, თბილისი, 2018წ.

*Dali Sologhashvili  
Tatia Udesiani*

### ISSUES OF QUALITY ASSURANCE AND CONTROL OF AUDIT ACTIVITIES

#### Summary

Audit activity is the work performed by an auditor or an audit firm on the basis of International Standards on Auditing, which is an audit finding that reflects the soundness, fairness and completeness of the financial statements. And, the auditor and the audit firm are the persons performing the audit activity, who are required to comply with the IESBA Code of Ethics for Professional Accountants and to have their own quality control system policies and procedures in line with International Standards on Quality Control (ISQC). The article presents both the general theoretical as well as the current situation in practice based on the analysis and quality improvement of auditing activities and directions for its improvement.

**Keywords:** *audit, internal control, quality control, monitoring.*

*ლალი სრესელი*

### სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობის როლი დასაქმების მაჩვენებელზე

*ანოტაცია. უმუშევრობის შემცირება და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტია.*

ბიზნესის განვითარება, რომელიც ახალ სამუშაო ადგილებს და სტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობას ქმნის, შეუძლებელია სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე და თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებულია ბიზნეს სექტორის განვითარების ხარისხზე, ვინაიდან სწორედ ბიზნესი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის ფუნქციებს.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბიზნესის როლის მნიშვნელობას სამუშაო ადგილების ზრდისა და შესაბამისად, დასაქმების თვალსაზრისით. სულ უფრო მკვეთრად იკვეთება სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის „მარეგულირებლის“ როლი.

**საკვანძო სიტყვები:** დასაქმება, უმუშევრობა, ბიზნესი მეწარმეობა, სახელმწიფო.

## შესავალი

უმუშევრობა - შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის დროებითი დაუსაქმებლობა - მოვლენა, რომელსაც აწყდება ნებისმიერი სახელმწიფო თუ საზოგადოება, დაკავშირებულია საწარმოო და შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენების პრინციპის დარღვევასთან. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხელისუფლებისთვის იგი იღებს გლობალურ საშიშ ხასიათს, უარყოფითად აისახება ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკურ თუ სოციალურ სფეროზე.

უმუშევრობის დონის შემცირება და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

უმუშევრობის პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა ბიზნესის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობაა, რაც ბიზნეს-გარემოს სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით მიიღწევა, ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა. ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებულია ბიზნეს სექტორის განვითარების ხარისხზე, ვინაიდან სწორედ ბიზნესი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის ფუნქციებს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ამიტომ, ბიზნესი ხდება საქართველოს ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ბიზნესი არის სამუშაოს ძირითადი ან მეორადი დასაქმების ფორმა.

\*\*\*

სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად მიიჩნევა.

შრომის ბაზარზე ბიზნესის როლის მნიშვნელობას ხაზს უსვამს USAID-ისა და IOM-ის (USAID & IOM, 2010) მიერ ჩატარებული კვლევაც, რომლის თანახმად, საქართველოში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა დიდწილად დამოკიდებულია ბიზნესის განვითარებაზე.

შრომის ბაზარზე დასაქმების ორ ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო და არასახელმწიფო (კერძო) სექტორი. საკუთრების ფორმების მიხედვით დასაქმებულთა განაწილება კი ცხადყოფს, რომ საქართველოში დასაქმების ზრდის ძირითადი წყარო კერძო სექტორია.

საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2018 წელს არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილი 82% (1 394,4 კაცი), ხოლო სახელმწიფო სექტორში 18% (299,8 კაცი) შეადგინა. 2019 წლის მონაცემებით (საქსტატი, 2019) სულ დასაქმებულია 1 690,2 ათასი კაცი. აქედან სახელმწიფო სექტორში - 299,7, ხოლო არასახელმწიფო სექტორში 1390,5 ათასი კაცი.

ბოლო წლების მონაცემები ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ასე გამოიყურება:

- 2016 წელი - 666,8 ათასი კაცი;
- 2017 წელი - 708,2 ათასი კაცი;
- 2018 წელი - 734,2 ათასი კაცი;
- 2019 წელი - 756,9 ათასი კაცი;
- 2020 წელი - 641,6 ათასი კაცი (საქსტატი, 2020).

აღსანიშნავია, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო წლებში, მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბიზნესის როლის მნიშვნელობას სამუშაო ადგილების ზრდისა და შესაბამისად, დასაქმების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანი მიმართულება მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაში - ეს არის სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისაკენ მიმართული ღონისძიებები, რამაც შეიძლება გაზარდოს მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე. ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და ახალი სამუშაო ადგილების მეტი რაოდენობით შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებით არის შესაძლებელი.

„ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რომელიც ძლიერი კერძო სექტორის წინაპირობაა. შესაბამისად, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაყრდნობით, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ერთი მხრივ, მიმართული იქნება კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისა და კერძო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისკენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კერძო სექტორის გაძლიერებასა და სამუშაო ადგილების გენერირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასურველი დონის მიღწევამდე, უზრუნველყოფს მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერას, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი. მთავრობა მიზნად ისახავს ისეთი მოდელის დანერგვას, რომლის პირობებშიც, ეკონომიკური ზრდის პარალელურად, მცირდება სიღარიბე და უმუშევრობა მოსახლეობაში. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოებისა და სამართლიანობის პრინციპებით. ... მთავრობის მიერ შემუშავებული 4-პუნქტიანი გეგმა მიმართულია ბიზნესის, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებლის, განვითარებაზე, ადამიანური რესურსების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე ქვეყნის განვითარებაში [ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 თბილისი 2016:11-12].

ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა ეფექტიანი გზაა დასაქმების დონის ასამაღლებლად. საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია: ფინანსების ხელმისაწვდომობა, ინფლაცია და არაადეკვატური განათლების მუშახელი. ამიტომ ქვეყნის მთავრობამ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა უნდა სცადონ ამ შეზღუდვების აღმოფხვრა, რათა მეწარმეობა, დასაქმების წყარო სწრაფად განვითარდეს [ბრეგვაძე თ., 2013:14].

სახელმწიფომ უნდა შექმნას მეწარმეობის ჩამოყალიბება-განვითარების ხელსაყრელი გარემო-პირობები. კერძოდ უზრუნველყოს ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილიზაცია, სიმშვიდე წესრიგი, დისციპლინა, თავად მეწარმის ფიზიკური უსაფრთხოება, ქონებისა და ტრანსპორტირებისას ტვირთის დაცვა.

სახელმწიფოს ევალება ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა ანუ ბაზრის პირობებში თამაშის ცივილიზებული წესების შემუშავება და დაცვა.



სახელმწიფოს ევალუა აკრეფილი გადასახადების ადექვატური ბიზნეს-გარემოს შეთავაზება მეწარმეთა ფენისა და მთლიანად საზოგადოებისათვის.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორულ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი სახელმწიფოს მიეკუთვნება. ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით სახელმწიფო ვალდებულია:

- შექმნას და შეინახოს ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის;
- ხელი შეუწყოს ახალი ინოვაციური დარგების შექმნას და განვითარებას;
- მხარი დაუჭიროს და განავითაროს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო საპროექტო სამუშაოები;
- შეისყიდოს კერძო კომპანიების საქონელი და მომსახურება;
- დაასტიმულიროს ინფორმაციის მოპოვება შენახვა და რეალიზაცია.

მთავარი მაინც სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობაში არის მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ზოგადი პირობების შექმნა, მათ შორის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განვითარება, რომლებზედაც არის დაფუძნებული მთელი ეკონომიკური სისტემის და მათ შორის ბიზნესის ფუნქციონირება და განვითარება.

ყოველწლიურად აშშ ფედერალური სახელმწიფოს, კონგრესის მიერ მტკიცდება 400-ზე მეტი ახალი კანონი თუ დებულება. საქართველოსთვის ამ მხრივ რეკორდული იყო 2005 წელი, როდესაც წლის ბოლოს დამტკიცდა 100-მდე კანონი. გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება გამოსცემს დამატებით ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ორიენტირებულია მეწარმეების სამეწარმეო ქცევის წესებზე.

სახელმწიფო და მეწარმე ერთმანეთთან ამყარებენ კავშირს მაშინ, როდესაც ოფიციალურად ხდება სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია. შემდგომ მთელი მისი საქმიანობის პერიოდში მეწარმე ანგარიშვალდებულია საგადასახადო, საბაჟო, სახანძრო სანიტარული თუ სხვა სახელმწიფო ხელმძღვანელობის ორგანოების წინაშე ამ ნორმებისა და ნორმატივების დაცვაზე, რომელიც მის მიერაა დაწესებული. თავის მხრივ, კომპანიები ვალდებული არიან თავიანთი მოგების ნაწილი უწილადონ სახელმწიფოს გადასახადების სახით. ამდენად მყარდება ორმხრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის. არსებული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში. სახელმწიფო იძლევა თავისუფალი ბიზნესის მყარ გარანტიებს, ხოლო ბიზნესი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულია გადასახადების ფორმით.

სახელმწიფო ზღუდავს ოლიგოპოლიური ფირმების გაერთიანებას, რადგან ისინი უარყოფითად მოქმედებენ კონკურენციაზე და ხელს უწყობენ ოლიგოპოლიური ფასების დაწესებას. ასევე სახელმწიფო იყენებს ყველა ღონეს რათა არ წარმოიშვას მონოპოლისტური კავშირები.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს რომ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც არსებობს უმსხვილესი საწარმოები და კორპორაციები, რომლებსაც მონოპოლიზებული აქვთ წარმოების მსხვილი სექტორები, მთლიანი პროდუქტის ძირითადი მასა იქმნება მცირე და საშუალო ბიზნესში. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, როგორცაა აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა, საწარმოთა უმეტესი ნაწილი ( 90% -ზე მეტი) განეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესს, სადაც თვითოეულში დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 500 კაცს. მათი მეშვეობით იწარმოება მთელი გამოშვებული პროდუქციის ნახევარზე მეტი, ხოლო მათში დასაქმებულია მთლიანად მომუშავეთა 75-80 %.

განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა.

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ბიზნესის აღნიშნული სექტორი უზრუნველყოფს ქვეყნისათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, რომელთა შორისაა:

- დასაქმება და თვითდასაქმება;

- წარმოებაში სამუშაო ძალის იმ რეზერვის ჩართვა, რომლებიც არ გამოიყენებიათ მსხვილ წარმოებაში მათი ტექნოლოგიური ან სხვა თავისებურებათა გამო (პენსიონერები, უნარშეზღუდულები, მოსწავლეები და ა.შ., რომელთაც აქვთ დასაქმების სურვილი).

მცირე ბიზნესის განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს მისადმი ყოველმხრივი და სტაბილური სახელმწიფო მხარდაჭერა. მცირე ბიზნესის სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერის ფორმებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- სუბვენციები, სუბსიდიები, დივიდენდები ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე

- საბიუჯეტო კრედიტები, სესხები;

- სახელმწიფო და მუნიციპალური გარანტიები.

საწარმოთა დასაფინანსებლად სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს ისეთი ფინანსური მექანიზმები, როგორცაა დოტაცია და სუბვენცია.

უსასყიდლოდ და დაუბრუნებლად ასიგნებებთან ერთად სახელმწიფომ ბიზნესს შეიძლება გამოუყოს სახსრები ანაზღაურების და დაბრუნების ფორმით – საბიუჯეტო კრედიტი. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფომ ბიუჯეტიდან შეიძლება გასცეს უპროცენტო სესხი დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

ბიზნესის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის, მნიშვნელოვანი პრობლემაა ინვესტიციების მოზიდვა. პრაქტიკა გვიჩვენებს რომ მეწარმეთა მიმართ ბანკები ყოველთვის არ იჩენენ სათანადო ყურადღებას. ისინი ძირითადად ორიენტირებულნი არიან მსხვილი კრედიტების გაცემაზე სტაბილურად მომუშავე საწარმოებისათვის. საწარმოები რომლებიც დასაქმებულნი არიან პროდუქციის გამოშვებით, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით (რეალური სექტორი) ძნელად სარგებლობენ საბანკო კრედიტით.

ასეთ ვითარებაში სახელმწიფო შეიმუშავებს ბიზნესისადმი მხარდაჭერის აქტიურ ფორმებს და მეთოდებს, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- ბიზნესის საბანკო კრედიტზე პროცენტის ნაწილობრივ სახელმწიფო კომპენსაცია. ასეთ შემთხვევაში ბანკები, როგორც წესი ზრდიან საპროცენტო განაკვეთებს, ამიტომ აღნიშნული მიდგომა პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება;

- წილობრივი საგარანტიო სახელმწიფო მხარდაჭერა ბიზნესის საბანკო კრედიტებზე. იგი უზრუნველყოფს საბანკო კრედიტის მიღებას იმ პირობით, რომ სახელმწიფო გარანტად უდგება ბიზნესს საბიუჯეტო რაღაც ნაწილში, ხოლო მის მეორე ნაწილზე თვით საწარმომ უნდა აიღოს სრული ვალდებულება. ბიზნესისადმი მხარდაჭერის ასეთი სქემა უზრუნველყოფს საბანკო კრედიტებზე დაბალრენტაბელური საწარმოების დაშვებას, რომელთა სფეროს წარმოადგენს წარმოება და მომსახურების მიწოდება.

ბიზნესისადმი სახელმწიფო გარანტიების გაცემა რეგულირდება გარკვეული წესების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს ქვეყანაში მოქმედი კანონებიდან.

ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა საგადასახადო კრედიტი. ასეთი კრედიტის გაცემის კანონიერი შესაძლებლობა უნდა იყოს განსაზღვრული მოცემული ქვეყნის საგადასახადო კოდექსში ან სხვა ნორმატიულ აქტებში.

ბიზნესის სახელმწიფო დაფინანსების ერთ-ერთი ფორმაა საგადასახადო არდადაგები. იგი ნიშნავს კანონით დადგენილ ვადას, რომლის განმავლობაშიც საწარმოების (ფირმების, კომპანიების) ესა თუ ის ჯგუფი თავისუფლდება იმ თუ იმ გადასახადის გადახდისაგან. ასეთი ფორმის გამოყენება ინერგება საქართველოშიც. საგადასახადო არდადაგები შეიძლება დაწესდეს ქვეყნის ცალკეული რეგიონების ბიზნეს-სუბიექტებისთვის მათთვის შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო.

ბიზნესის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აგრეთვე საგადასახადო შეღავათები (პრეფერენციები) იგი ნიშნავს გადასახადების გადახდისაგან იურიდიული და ფიზიკური პირების გარკვეული წრის მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებას. საგადასახადო შეღავათები გაიცემა ბიზნესზე მხარდასაჭერად ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის დროს.

სახელმწიფოს ფუნქციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიზნესისადმი ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნას, მისი განვითარებისადმი ხელის შეწყობას და უსაფრთხოების დაცვას. სახელმწიფოს ძლიერება დამოკიდებულია ბიზნესის წარმატებულ განვითარებაზე, ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას ბიზნესი გარე და შიგა რისკებისაგან, ხელი შეუწყოს მის მდგრად და სწრაფ განვითარებას. ბიზნესის დაცვაზე ორიენტირებულია ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, რომელთა ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ბიზნესის დაცვა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში ევროპული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე და საშუალო საწარმოები წარმატებით ფუნქციონირებენ და წამყვან მდგომარეობას იკავებენ კვლავწარმოებით სისტემაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემუშავებულია და ხორციელდება მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა.

მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარების და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდაჭერისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლის თებერვალში შეიქმნა ორი უწყება - მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო: წარმოადგენს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების ერთადერთ მაკოორდინირებელ სტრუქტურას საქართველოში. სააგენტოს ძირითადი მიზნებია: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დამწყები ბიზნესების მხარდაჭერა; თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრების მხარდაჭერა; საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა და ა.შ.

სააგენტოს მთავარი ფუნქციებია: ბიზნესის მხარდაჭერა DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში; სხვადასხვა სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, საექსპორტო და ადგილობრივ ბაზრებზე არსებული მოთხოვნისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მეწარმეთათვის მიწოდება; მეწარმეთათვის დახმარების გაწევა ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების კუთხით; მეწარმეთა დახმარება დონორებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობაში; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა სხვადასხვა სქემების გამოყენებით; საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის პროცესში დახმარება და ა.შ.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო: წარმოადგენს ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერ ძირითად უწყებას. სააგენტოს მთავარი მიზნებია: ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის და მისი განვითარების პროცესის კოორდინაცია; ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების, კვლევისა და განვითარების (R&D) სტიმულირება, მათი კომერციალიზაციის და გამოყენების ხელშეწყობა; ინოვაციური დამწყების (start-up) ფორმირების და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა; მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ. [საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020:10 – 12].

წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდას ბიზნესსექტორის მხარდაჭერა განაპირობებს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება, თავის მხრივ, ითვალისწინებს ბიზნესსაქმიანობის შესაბამისობას ევროკავშირის მოთხოვნებთან და ნორმებთან. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბიზნესსექტორის ინფორმირებულობას შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებთან და ასევე, ევროკავშირის სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით. ამასთან,

სახელმწიფო შეიმუშავებს ეფექტიან მექანიზმებს ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების შემცირებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით. ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა დამოკიდებულია სამეწარმეო უნარების განვითარება/ამაღლებაზე. აქედან გამომდინარე, სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება დამწყები და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების სამეწარმეო უნარების განვითარება იქნება [საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020: 32].

საქართველოს მთავრობის დოკუმენტში - ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის - პირველ თავში - სამთვრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ ნათქვამია: „საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა დაეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. მთავრობა დაძლევს უმუშევრობას და სიღარიბეს, უნარიან და მშრომელ მოქალაქეებს შეუქმნის სიმდიდრის და კეთილდღეობის პირობებს, რისთვისაც განავითარებს წვრილ და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, დაიცავს კერძო საკუთრებას და შრომით უფლებებს... „ ბაზარი გახდება კონკურენტუნარიანი, ხელი შეეწყობა თავისუფალ მეწარმეობას“ [ ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 .,9].

ბიზნესის განვითარებას, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას, ინვესტიციების მოზიდვასა და წარმოების ხელშეწყობას. მთავრობის მიერ შეიმუშავებული დასაქმების პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდება საკუთარი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძიება და საკუთარი ცოდნისა და უნარის რეალიზაცია; გაჩნდება დამატებითი შემოსავლები და გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა; შემცირდება მოსახლეობის მასობრივი გასვლა საზღვარგარეთ; შემცირდება სოციალური სიდუხჭირის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი; გაუმჯობესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები [ ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 .,11].

2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყეს ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება, რომელიც მიმართულია წარმოების შემდგომი განვითარებისა და წახალისებისაკენ.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარება და მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა, - ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის საშუალებით.

2014 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობა გამოვიდა ინიციატივით პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ დამატებოდა ახალი კომპონენტი, რომელიც მიმართული იქნებოდა საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარებაზე.

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მხარდაჭერილია 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც 8 412 ბენეფიციარი/მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

## დასკვნა

მცირე და საშუალო ბიზნესს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ნებისმიერ ქვეყანაში. იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებას, ბაზარს აწვდის ახალ საქონელს და მომსახურებას და აკმაყოფილებს მსხვილი საწარმოების მოთხოვნებს. მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ქვაკუთხედაა, მასზე მოდის კერძო სექტორის ნაწარმის თითქმის ნახევარი, მცირე ბიზნესში დასაქმებულია ქვეყნის კერძო სექტორის სამუშაო ძალის თითქმის ნახევარი და მასზე ახალი სამუშაო ადგილების 2/3 დან 3/4-მდე მოდის.

კონკურენტუნარიანი, განვითარებადი და ზრდის მუხტით აღჭურვილი ეკონომიკის ჩამოყალიბება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე გადის.

სახელმწიფო არის ერთადერთი ორგანო, რომელსაც თავისი პოლიტიკით შეუძლია ბიზნესის რეგულირება, როგორც მისი წახალისება, ასევე შეფერხება-შეზღუდვა.

მეორე მხრივ, ბიზნესს, რომლის ინტერესში შედის გარკვეული პოლიტიკის გატარება, შეუძლია ძლიერი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ხელისუფლების მიერ ბიზნესის სფეროში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მაღალგანვითარებული ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკა ცხადყოფს რომ სახელმწიფოს საკმაოდ ძლიერი გავლენა აქვს ბიზნესზე. მეწარმეობის მასშტაბური განვითარება განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის სულ უფრო მზარდ ტენდენციას. სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს ბიზნესისადმი ხელის შეწყობა და მისი განვითარებისათვის საჭირო სამართლებრივი, ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხია. ი. - ბიზნესის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო), თბილისი, 2011.
2. უშანგი სამადაშვილი. უ. - ბიზნესის საფუძვლები - გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2013.
3. შენგელია. თ. - ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები - გამომცემლობა „ახალი საქართველო“, 2008.
4. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა საქართველოში- აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოსეროვნული პლატფორმა.
5. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის (საბოლოო ვარიანტი) თბილისი, 2013.
6. საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) - მიერ 2010 წლის ივნის - ივლისში ჩატარებული კვლევის ანგარიში. თბილისი, 2010.
7. სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევის ანგარიში. თბილისი, 2012.
8. საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) -ის მიერ 2011 წელს თებერვალ-ივნისში ჩატარებული კვლევის ანგარიში. თბილისი, 2011.
9. [www.qartuli.ge/?lang=1&menuid=98&id=51](http://www.qartuli.ge/?lang=1&menuid=98&id=51)
10. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი) თბილისი, 2016, გვ.11-12.
11. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. ექსპერტი - თამარ ბრეგვაძე გვერდი 14, თბილისი, 2013.

12. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020. გვ. 32.

13. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის - პირველ თავში - სამთვრობო პროგრამა „ ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის. გვ. 11.

14. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020. გვ.32.

15. ა.შ. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის 2. 1, გვ. 10 – 12.

*Lali Sreseli*

## THE ROLE OF THE STATE-BUSINESS PARTNERSHIP IN THE EMPLOYMENT RATE

### Summary

Reducing unemployment and effectively employing the population is a priority of any state's economic policy.

Business development, which creates new jobs and a stable economic situation, is impossible without the support of the state, and in turn, the economic strength of the country depends on the quality of development of the business sector, as business is a tool through which the state performs its functions.

The number of employees in the business sector is characterized by a growing trend in recent years, which once again emphasizes the importance of the role of business in terms of job growth and, consequently, employment. The role of the state as a "regulator" of the economy is becoming more and more obvious.

**Keywords:** *Employment, Unemployment, Business, Entrepreneurship, State.*

*ნუნუ ქისტაური  
მედეა მელაშვილი  
ქეთევან ქველაძე*

### საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

**ანოტაცია.** ნაშრომი ეხება ისეთ საჭირობოროტო საკითხს, როგორცაა უცხოური ინვესტიციები; განხილულია ინვესტიციების როლი ზოგადად ეკონომიკის განვითარებაში, სხვადასხვა წამახალისებელი ფაქტორები უცხოური ინვესტიციების დასაინტერესებლად. სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელობა უდიდესია ნებისმიერი ქვეყნისათვის, რაც, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს პრეროგატივაა.

ნაშრომში მოყვანილია საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკის პრინციპები. კერძოდ, საკანონმდებლო პოლიტიკის ჩამოყალიბების და გატარების პრინციპები; მოყვანილია ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი აღნიშნულ სფეროში, შემდეგ კი დაწვრილებითაა განხილული საქართველოს კანონმდებლობა მოცემულ დარგში, დაწყებული დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1991) დღემდე; ასევე მითითებულია, რომ უცხოური ინვესტიციებთან სიფრთხილის გამოჩენა აუცილებელია, რადგან მას უკუუფექტებიც გააჩნია და ამასთან დაკავშირებით გარკვეული წინადადებებია შემოთავაზებული.

**საკვანძო სიტყვები:** ინვესტიციები, პოლიტიკა, კანონმდებლობა, საგადასახადო სისტემა, სტრატეგია.

\*\*\*

არც ერთ ქვეყანას, მიუხედავად მისი ზომისა და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონისა, უცხოური ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე არ შეუძლია არსებობა, ვინაიდან მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში რომელიმე ცალკე აღებულ ქვეყანაში

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველა მიმართულებით კვლევების განხორციელება შეუძლებელია.

ინვესტორები ეძებენ ისეთ ქვეყნებს, ისეთ პოტენციურ ბაზრებს, სადაც არის პოლიტიკური სტაბილურობა, სტაბილურია კანონმდებლობაც, სადაც კანონები არ იცვლება ყოველდღიურად, ქვეყნები, სადაც ადვილია ოპერირება, დაბალია კორუფციის დონე, გარემო არის ბიზნესისთვის მეგობრული, შიდა ბაზარი არის დიდი, სადაც მაღალია ექსპორტის შესაძლებლობები და უკუგება ინვესტიციიდან.

ინვესტიციების მოსაზიდად დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელი ინვესტორებისათვის სამართლებრივი გარანტიების მიცემას. უცხოური, განსაკუთრებით პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად უამრავ წამახალისებელ მოტივს იყენებენ. მათ შორისაა საგადასახადო შეღავათები და შეღავათიანი საიმპორტო ტარიფები, უცხოური პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების გამარტივებული წესები, შედარებითი ავტონომია მენეჯმენტისათვის. ეს ყოველივე სახელმწიფოს პრეროგატივაა. სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია მრავალი ფაქტორით, რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო აქტივობაზე. ამ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ასპექტებს, რომელთა გადაჭრის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა მეთოდები და ფორმები: სახელმწიფომ შეიძლება დააბანდოს კაპიტალი სოციალური ორიენტაციის მქონე პროექტებში, იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა პროდუქციის ან მომსახურების შემსყიდველი, ქონების მეწილე, ამ ბაზრის მმართველი ორგანო და სხვ.

საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკა შემდეგ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს: პრიორიტეტული მიმართულებებისა და „წერტილოვანი ინვესტირების“ შერჩევა; საინვესტიციო პროცესის მართვადობის ხარისხის ამაღლება დასაბუთების გაძლიერების საფუძველზე; შემუშავებული ზომების კომპლექსურობა და თანმიმდევრობა.

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება უნდა წარმოადგენდეს, ამის უზრუნველსაყოფად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ნაბიჯებს: ქვეყნის, მისი ცალკეული რეგიონისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საინვესტიციო შესაძლებლობის საინფორმაციო უზრუნველყოფა; პროექტების დაფინანსების, მიწების გამოყოფის და სხვა მოსახერხებელი სქემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა; პროტექციონისტული ტარიფები იმ საქონელზე, რომელსაც აწარმოებს უცხოელი ინვესტორი; საინვესტიციო პროექტისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება; საგადასახადო შეღავათები; საკანონმდებლო გარანტიები.

სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, მარეგულირებელ ზემოქმედებას ახდენს ინვესტიციებზე სახელმწიფოებრივი საინვესტიციო პროგრამების მეშვეობით, შემდეგ კი - სახელმწიფოებრივი ინვესტიციების პირდაპირი მართვის გზით. რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტია საგადასახადო სისტემა. სახელმწიფო გავლენას ახდენს საგადასახადო განაკვეთებსა და შეღავათების დიფერენცირების მქონე საგადასახადო სისტემის შემოღების გზით. ინვესტიციებზე მარეგულირებელ ზემოქმედებად პრაქტიკაში რჩება ფინანსური დახმარების გაწევა, რაც ცალკეული რეგიონების, დარგებისა და წარმოებების განვითარებისთვის დონაციების, სუბსიდიების თუ საბიუჯეტო სესხის გაცემის გზით ხდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგადასახადო სტიმულების სიჭარბემ შეიძლება უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს. მაგალითად, უცხო ქვეყნის ფირმას, რომელიც ახორციელებდა საინვესტიციო პროექტს ბრაზილიაში, ამაზონიის რეგიონში კანონმდებლობით ჰქონდა უფლება ამ პროექტში რეინვესტირების სახით ჩაედო იმ თანხის ნახევარი, რომელიც სახელმწიფო ხაზინაში უნდა შესულიყო გადასახადების სახით. ფირმამ ისარგებლა ამ ვითარებით და შემოსავალს იღებდა იმ ფულიდან, რომელიც სხვა შემთხვევაში ქვეყნის საკუთრება იქნებოდა.

მიახლოებითი გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ მარტო რეფორმადელი პერიოდის დონემდე ინვესტირების მოცულობის აღსადგენად, ინვესტიციების ვარდნის სიღრმის გათვალისწინებით, საჭიროა მისი ათჯერ გადიდება. ამ პრობლემის ანალიზის დროს ჩნდება ინვესტიციების საკმარისობის კრიტერიუმის საკითხიც. საშუალოვადიან პერსპექტივაში ასეთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს საინვესტიციო რესურსების ის მოცულობა, რომელიც მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლას უზრუნველყოფს. მაკროეკონომიკის თვალსაზრისით, ეს მოასწავებს მთლიანი წმინდა ინვესტიციების სიდიდის ისეთი სტაბილური დადებითი მნიშვნელობის მიღწევას, რომლებიც ძირითადი კაპიტალის განახლებისთვის საჭირო სახსრების მოცულობათა მატებას შეესაბამება.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც არეგულირებს უცხოურ ინვესტიციებს. ასეთებია: იტალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბელგია, ლუქსემბურგი. მაგალითად **იტალიაში**, უცხოური კაპიტალის დასაბანდებლად ისეთ დარგებში, როგორცაა ნაოსნობა, დაზღვევა, საბანკო საქმე, სათანადო სამინისტროების ნებართვა აუცილებლად საჭირო. **ფინეთში** აკრძალულია უცხოური ინვესტირება ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაციის ისეთ სფეროებში, როგორც არის სამთომომპოვებელი, ხის დამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, კავშირგაბმულობა, რკინიგზის ტრანსპორტი. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად **ესპანეთში**, უცხოური კაპიტალის დაბანდება ყველა დარგში ნებადართულია მხოლოდ პარიტეტულ საწყისებზე - ესპანეთის და კაპიტალის დამბანდებელი ქვეყნის თანაბარი წილით. ყველა შემთხვევაში ქვეყანა ამ პროცესზე ახორციელებს თავის კონტროლს. **დიდ ბრიტანეთში** ეს ხდება ინდივიდუალური ნებართვით, რასაც იძლევა ინგლისის ბანკი. **საფრანგეთში** ამისათვის საჭიროა სპეციალური დელკარაციის წარდგენა ეკონომიკისა და ფინანსების და ბიუჯეტის სამინისტროებში, რომლებიც წინაწარ იძლევიან ნებართვას დაბანდებებზე. **იაპონიაში**, სადაც ხორციელდება უცხოური ინვესტიციების სფეროში ლიბერალიზაცია, იაპონიის ბანკის მეშვეობით ფინანსთა სამინისტროში შეიტანება შეტყობინება ინვესტირებაზე და 30 დღეში უკვე იწყება ინვესტირება. ყველაზე ლიბერალური და ხელშემწყობი რეჟიმი ამ სფეროში აქვს **გერმანიას**, სადაც საჭირო არ არის სპეციალური ნებართვა შეტანასა და გატანაზე. იგი თავისუფალია და რაიმე შეზღუდვას არ ექვემდებარება. აღნიშნული ქვეყნების გამოცდილების გადმოტანა ურიგო არ იქნება ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში.

მსოფლიო ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური სისტემა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მიმართულია ინვესტიციათა ნაკადების ზრდისკენ. ცხადია ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებელია უპი-ების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება და შესაბამისი გარემოს შექმნა, რაც განსაზღვრავს ამ პროცესის ეფექტიანობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს, როგორც უშუალო ინვესტორის როლის შენარჩუნება სასიცოცხლოდ აუცილებელია ძირითადი წარმოებებისათვის, სოციალურ სფეროსა და დარგებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ეკონომიკაში შექმნილ პირობებში, საინვესტიციო სტრატეგია მთლიანობაში ორიენტირებულია სახელმწიფო ინვესტიციებიდან სიმძიმის ცენტრის გადატანაზე კერძო ინვესტორებისთვის სასურველ საინვესტიციო გარემოს შექმნისკენ. სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის ეს ორივე შემადგენელი ნაწილი (სახელმწიფოებრივი ინვესტირება და საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირება) პრიორიტეტული დარგებისა და წარმოებების მხარდაჭერას უნდა ემსახურებოდეს და ამ პოლიტიკას აწონილ-დაწონილი და სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

**ცხრილი 1**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (მლნ აშშ დოლარი)**

| წელი  | 2013   | 2014   | 2015   | 2016   | 2017   | 2018   | 2019   | 2020  |
|-------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|-------|
| სულ   | 1039.2 | 1837.0 | 1728.8 | 1652.6 | 1978.3 | 1306.3 | 1310.8 | 616.9 |
| I კვ  | 291.8  | 331.9  | 343.4  | 392.6  | 413.2  | 328.6  | 313.7  | 175.0 |
| II კვ | 224.1  | 217.6  | 493.2  | 452.4  | 395.7  | 406.1  | 236.6  | 241.3 |



|        |       |       |       |       |       |       |       |        |
|--------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|--------|
| III კვ | 271.6 | 749.5 | 531.1 | 507.4 | 634.8 | 365.4 | 396.0 | 303.3  |
| IV კვ  | 251.6 | 538.0 | 361.0 | 300.2 | 534.6 | 203.5 | 364.5 | -102.8 |

ჩვენს ქვეყანას აქვს რეალური პოტენციალი, მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები და ამ გზით ხელი შეუწყოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას, უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, 2020 წელს საქართველოში პუი-ს მაჩვენებელი 616.9 მლნ აშშ დოლარს უდრიდა. ეს 52.9%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამასთან, ინვესტორებს სჭირდებათ მყარი გარანტიები, რომ გრძელვადიანი ინვესტირება მოახდინონ ქვეყანაში და ეს გარანტიები თავის მხრივ მოიცავს: საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მოწესრიგებას, სახელმწიფო რეგულაციების შერბილებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებას და ფინანსური ბაზრების განვითარებას. საქართველო კარგ პოზიციებს ინარჩუნებს მსოფლიო რეიტინგებში, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდაზე ეს ფაქტორი ასახვას ვერ პოვებს, რადგან საერთაშორისო რეიტინგების ინდექსები და მათი გამოთვლის მეთოდოლოგია ხშირად იცვლება და ინვესტორებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ასეთ რეიტინგებს. საქართველოში დაფიქსირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უდიდეს გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე. დიდია იმ კომპანიების გავლენა, რომლებიც ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობითაა შექმნილი, რადგან უცხოური ინვესტიციით შექმნილი კომპანიები ბაზრის სერიოზული მოთამაშეები არიან და დიდწილად სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ძირითად ბირთვს. უცხოური ინვესტიციებისადმი ქვეყნის მზაობისა და მიმზიდველობის უზრუნველყოფა შესაძლებელი გახდება სტაბილური პროგნოზირებადი ეკონომიკური პოლიტიკით, ასევე საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრირებით და ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირებით.

მიუხედავად უკვე არსებული არაერთი სამართლებრივი დოკუმენტისა, ვფიქრობთ, ინვესტიციების ხელშეწყობის პირობების გაფართოებისა და მათი დაცვის გაძლიერების ღონისძიებების დამუშავებისას, საქართველოს კანონმდებლობა უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს.

**საქართველოში** დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე წელს დაიწყო საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის პროცესი. 1991 წლის 25 ივლისს უზენაესმა საბჭომ მიიღო პირველი კანონი “უცხოური ინვესტიციების შესახებ”. იმავე წლის 10 აგვისტოს - კანონი “საინვესტიციო საქმიანობის შესახებ”, რომელთა მიხედვით სამართლებრივ საფუძვლებზე რეგულირდებოდა როგორც ეროვნული, ისე უცხოური ინვესტიციები.

1994 წლის 21 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე უცხოელი ინვესტორებისათვის ბუნებრივი რესურსების დამუშავებისა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამეურნეო საქმიანობაზე კონცესიების გაცემის საერთო პრინციპებსა და წესს. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, საკონცესიო ხელშეკრულების დადება არ იწვევს ბუნებრივ რესურსებსა და სამეურნეო ობიექტებზე საკუთრების უფლების გადაცემას. კონცესიონერები შეიძლება იყვნენ უცხოეთის იურიდიული და ფიზიკური პირები, უცხოეთის სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

მოგვიანებით, 1995 წლის 30 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო უკვე მეორე კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“. თუმცა, მალევე, 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების“ შესახებ, რის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა წინა კანონები და რომლის მიღებამდე საქართველოში ორიენტაცია აღებული იყო უცხოელი ინვესტორებისათვის მკვეთრად გამოხატული უპირატესი ხელშეწყობისაკენ. ეს კანონი საქართველოს ტერიტორიაზე თანაბარ პირობებში აყენებს როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების მონაწილეობით

საინვესტიციო საქმიანობას და უზრუნველყოფს მათი დაცვის გარანტიებს. მისი მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი.

საინვესტიციო საქმიანობის და მათ შორის უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებით კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა 2006 წლის 30 ივნისს, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”. ამ კანონით დადგენილია სპეციალური ნორმები და ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წასახალისებლად. მოცემული კანონით, ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „აწარმოე საქართველოში“. მას უფლება აქვს, იყოს ინვესტორის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვა პირებთან ურთიერთობებში. დადებული ხელშეკრულებით „აწარმოე საქართველოში“ ეხმარება ინვესტორს საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის და ნებართვის აღებაში. იგი უფლებამოსილია, აღნიშნული საქმიანობა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ანაზღაურებად საწყისებზე განახორციელოს. „აწარმოე საქართველოსთან“ შეთანხმება არ ზღუდავს ინვესტორს, ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან უშუალოდ ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს.

საქართველოს კანონის „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“-ის ინვესტორს, რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (8 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია), უფლება აქვს, მთავრობისაგან მოითხოვოს თავის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება. რაც შეეხება იმ მეწარმეს, ვინც მაღალმთიან რეგიონში საქმიანობს, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების შემდეგ „მთის კანონის“ თანახმად საშემოსავლო გადასახადისგან 10 წლით თავისუფლდება და ამ საწარმოს საქმიანობით მიღებულ შემოსავალს სახელმწიფო არ დაუბეგრავს. ასევე მაღალმთიანი დასახლების საწარმო თავისუფლდება მოგების გადასახადისგან სტატუსის მინიჭებიდან 10 წლის მანძილზე. სტატუსის მინიჭების შემდეგ მაღალმთიანი დასახლების საწარმო 10 წლის მანძილზე არ გადაიხდის საკუთრებაში არსებული, ამავე ტერიტორიაზე მდებარე ქონების გადასახადს. აღნიშნული ღონისძიებები, ცხადია, გაააქტიურებს საინვესტიციო საქმიანობას მსგავს რეგიონებში.

აქვე უნდა ვახსენოთ იმის შესახებ, რომ უცხოელ ინვესტორს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს საქართველოს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმებით, მათ შორის, ისარგებლოს 900 მილიონიან ბაზარზე წვდომის შესაძლებლობით თავისუფლად, საბაჟო გადასახადების გარეშე. ესენია: ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ხდება ვაჭრობა; ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA WITH EU) 2014 წლის 27 ივნისიდან; საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობა 2000 წლიდან; იმპორტის კუთხით 2020 წლისათვის საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან – თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი და აშშ 203.3 მლნ, 139.9 მლნ, 131.6 მლნ, 100.6 მლნ და 81.6 მლნ აშშ დოლარით. შეღავათიანი რეჟიმი შემდეგი ქვეყნის ბაზრებზე: აშშ, კანადა, იაპონია, ნორვეგია, შვეიცარია; ორმხრივი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (FTA) 12 ქვეყანასთან, მათ შორის მეზობელ და დსთ-ს წევრ ქვეყნებთან. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ფისკალური რეფორმის მიმართულებით. 2005 წლის იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვით შემცირდა გადასახადების ოდენობა, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, ჩამოყალიბდა მყარი სამართლებრივი ბაზა ლეგალური ბიზნესის მხარდასაჭერად. არსებული 21 გადასახადიდან რაოდენობა შემცირდა 6-მდე. 2007 წლიდან ასევე მოხდა გადასახადების ლიბერალიზაცია და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ასევე უნდა აღინიშნოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების "სტრატეგია 2020" უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი: უცხოური კაპიტალის შემოდინება თავის მხრივ გააიანფერებს საკრედიტო რესურსს და გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, ქვეყანაში გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა; ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება ეკონომიკური დიპლომატიის ეფექტიანი განხორციელება, ანუ საქართველოს საინვესტიციო და ბიზნესგარემოს პოპულარიზაცია საზღვარგარეთ, რაც გაზრდის უცხოური ინვესტიციების, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შემოსვლას; ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასა და ქართული ექსპორტის ზრდას; შესაბამისი რეგორმებისა და რეგულაციების ცვლილებებით მოხდება ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობა, ბაზრის ლიბერალიზაცია და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონული ვაჭრობის განვითარებას, სატრანზიტო და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას; ენერჯის იმპორტის შემცირების და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების საშუალებით მოხდება ენერგეტიკული პროექტების ხელშეწყობა ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისებაზე აქცენტით.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ უცხოურ ინვესტიციებს ყოველთვის არ ახლავს გრძელვადიანი დადებითი ეფექტი, კერძოდ გამოვლინდა ის უარყოფითი მხარეები, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს უცხოური კაპიტალის უკონტროლო შემოდინებას ქვეყანაში, თუნდაც ინვესტიციების სახით, კერძოდ: გამოდევნოს შიგაინვესტიციები ბაზრიდან; გააძლიეროს მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია; ინვესტიციები თუ არ არის მიმართული საექსპორტო პროდუქტის წარმოებაზე, მაშინ ის აუარესებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.

საწყის ეტაპზე უპრიანია სახელმწიფოს მხრიდან შეიქმნას ან გამოიყოს რაიმე საზედამხედველო ორგანო, მოხდეს კადრების გადამზადება, რადგან გათვლების შედეგების ინტერპრეტაციისას, უპირველეს როლს თამაშობს კონსულტანტების გამოცდილება და კვალიფიკაცია.

სამუშაო ძალა საქართველოში არ არის კვალიფიციური. ეს ფაქტორი ნამდვილად შემაფერხებელია ინვესტორებისათვის, ამიტომ საქართველოს სჭირდება იმუშაოს განათლების ხარისხზე, რადგან საჭიროა უფრო ეფექტიანი, სწრაფად მომუშავე, პროფესიონალი სამუშაო ძალა.

ექსპერტების აზრით, კარგი იქნება თუ შევექმნით ინვესტორთა და მათი ეროვნულ ეკონომიკაში ჩართვის ერთიან მაკოორდინირებელ ცენტრს. ცენტრის დანიშნულება უნდა იყოს გრძელვადიანი ინვესტიციების მიზნობრივად გამოყენება, ერთიანი პრობლემის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება პრიორიტეტული მიმართულებები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://news.un.org/ru/story/2021/01/1395002> ЮНКТАД: в 2020 году объемы прямых иностранных инвестиций почти повсеместно резко упали, а в Казахстане и Беларуси – выросли.
2. [https://unctad.org/system/files/official-document/tir2020overview\\_ru.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/tir2020overview_ru.pdf) ДОКЛАД О ТЕХНОЛОГИЯХ И ИННОВАЦИЯХ за 2021 год Всколоть на волну технологий Инновации со справедливостью Женева, 2021.
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=15> საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ..
4. <https://openscience.ge/bitstream/1/383/1/samagistro%20rijvadze.pdf> პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, როგორც ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა 2019.
5. <https://yr-expert.com/zakon-ob-inostrannyh-investitsiyah/> Закон об иностранных инвестициях: содержание, нюансы и пояснения Екатерина Афанасьева Обновлено: 06.05.2019.
6. <https://moluch.ru/archive/116/31852/> Современные подходы к привлечению и регулированию иностранных инвестиций / Л. Л. Бияк, И. В. Кулик, М. А. Кулик. 2016.

7. <https://economy-ru.com/upravlenie-investitsiyami-knigi/122-sovershenstvovanie-upravleniya-18166.html> СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ УПРАВЛЕНИЯ ИНВЕСТИЦИЯМИ В ИННОВАЦИИ.

8. [https://studref.com/459949/ekonomika/sovershenstvovanie\\_upravleniya\\_investitsiyami\\_innovatsii](https://studref.com/459949/ekonomika/sovershenstvovanie_upravleniya_investitsiyami_innovatsii) СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ УПРАВЛЕНИЯ ИНВЕСТИЦИЯМИ В ИННОВАЦИИ.

9. <http://science.usue.ru/images/docs/itogi/fipasoi.pdf>. Инвестиционный налоговый кредит как инструмент инновационного развития А. А. Выборов АО «Зарубежнефть», г. Москва.

10. [https://knowledge.allbest.ru/management/2c0b65635a3bc68a4c53b88521306d37\\_0.html](https://knowledge.allbest.ru/management/2c0b65635a3bc68a4c53b88521306d37_0.html)

Государственное регулирование инновационной деятельности.

*Nunu Kistauri  
Medea Melashvili  
Ketevan Kveladze*

## **SOME ASPECTS OF LEGAL REGULATION OF INVESTMENT ACTIVITIES IN GEORGIA**

### **Summary**

The paper addresses a pressing issue such as foreign investment. The role of investments in the development of the economy in general, various incentives for attracting foreign investment. Therefore, the state investors are discussed. policy is of great importance for any country, which, of course, is the prerogative of the state.

The paper sets out the principles of the policy pursued by the state in the field of investment; In particular, the principles of formulation and implementation of legislative policy. The examples of some countries in this field are given, and then the Georgian legislation in this field is discussed in detail, from the declaration of independence (1991) until today.

It is also stated that caution should be exercised with foreign investments, as it also has side effects and, in this regard, some suggestions have been proposed.

*ფატი შენგელია*

### **კრიზისული სიტუაციის მართვა**

*ანოტაცია. კოვიდპანდემიამ მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, შესაბამისად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. აქტუალური გახდა კრიზისული სიტუაციის მართვა. სწორი მართვის შედეგად ნაკლები ზიანი მიაღწევა ქვეყნის ეკონომიკას, ნაკლებად დაზარალდება ბიზნესი. მიმდინარე ეტაპზე გამოიკვეთა ლიდერის როლი კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თვალსაჩინო გახდა როგორი მნიშვნელოვანია არსებული სიტუაციის კვალიფიციური ანალიზი, პრობლემის დროული აღმოჩენა და ძალების მობილიზება მის აღმოსაფხვრელად. მიმდინარე ეტაპზე მართვის სრულყოფას და ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.*

ჩვენი ქვეყანა კოვიდპანდემიამ მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. საჭირო გახდა შექმნილი სიტუაციის რეალურად შეფასება, სამოქმედო გეგმის შემუშავება და სწრაფი რეაგირება, რომელიც გარკვეულწილად შეარბილებს იმ ეკონომიკურ თუ სოციალურ ზიანს, რომელიც მიმდინარე ეტაპზე გარდაუვალია. აღნიშნულ პერიოდში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება სწორ მენეჯმენტს, განსაკუთრებული როლი ეკისრება გადაწყვეტილების მიმღები პირების კომპეტენტურობას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და გამოცდილებებს. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ არასახარბიელო მდგომარეობა კრიზისის მართვის კუთხით, რაც ჩვენს ყოველდღიურ ყოფაზე ძალიან მძიმედ აისახება.

„კრიზისის ჩვენ ვერ ვარჩევთ, მაგრამ მისი მართვა, ანტიკრიზისული სტრატეგია ჩვენს ხელშია. სწორედ ესაა გადაწყვეტი“.<sup>88</sup>

კრიზისი ზოგჯერ გარდატეხის შეტანის და განახლებული ძალებით მოქმედების შანსს იძლევა, ამიტომ კრიზისული სიტუაციის მართვა პროფესიონალებს უნდა მივანდოთ. მართვა უწყვეტი პროცესია, რომლის საფუძველს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა მომზადების, მიღების, შესრულების და კორექტირების პროცესი. მართვის უპირველესი ამოცანა რეალობის ზუსტი შეფასებაა. ძლიერი მენეჯერები სისტემატურად სიახლეების ძიების და მენეჯერული უნარების გაუმჯობესების მდგომარეობაში არიან. ეფექტური მენეჯმენტისთვის საჭიროა ბიზნეს ცნებების გააზრებისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ფლობა. თანამედროვე მენეჯერები ახდენენ მართვის მეცნიერების თეორიული ცოდნის და პრაქტიკის სინთეზს. მათი ამოცანაა ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შეფასების, პრიორიტეტების განსაზღვრის, პრობლემების გადაჭრის გზების ძიების და ორგანიზების უნარების გამოყენებით, შეიმუშაონ პრობლემის გადაჭრის ყველაზე მისაღები ვარიანტი. მენეჯერები აბსტრაქტულ-ლოგიკურ აზროვნებასა და კარგად გათვლილი რისკის ელემენტებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას იღებენ. არსებული სიტუაციის ანალიზი, რესურსების შეფასება და სწორი ტაქტიკის შემუშავება, ახალი რეალობის უმთავრესი გამოწვევაა. მენეჯერი გამოკვეთილი ლიდერის თვისებებით, კომპანიის კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ძლიერი მენეჯერი სიღრმისეულად ანალიზებს კონკრეტულ სიტუაციას, შემდეგ თანამშრომლების კომპეტენციის და დასახული მიზნის სირთულის შესაბამისად არჩევს მართვის სტილს და ცდილობს დაარწმუნოს და გააერთიანოს ადამიანები პრობლემის გადასაწყვეტად. ნებისმიერი გამოწვევა გადაილახება, თუ იქნება თანმიმდევრული კომუნიკაცია ბიზნესის პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან: მომხმარებლებთან, მიმწოდებლებთან, პარტნიორებთან, კრედიტორებთან თუ დებიტორებთან. ყველასთან, ვისაც შეუძლია კრიზისის გადაწყვეტაზე გავლენის მოხდენა. სასურველია გავეცნოთ იმ მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, რომელთა ეკონომიკა უფრო მოქნილი აღმოჩნდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ტრადიციული უცხოური კომპანიების მენეჯმენტი გულისხმობს რისკისა და სირთულის შემცირებას, რაც შეიძლება განხორციელდეს ოპერაციების საგულდაგულოდ მართვით და პროცესების განსაზღვრით. ისინი მაქსიმალურად ამცირებენ შემთხვევითობის ალბათობას, იმდენად ზუსტად აქვთ წინასწარ გათვლილი სამოქმედო გეგმა, მაგრამ გაუთვალისწინებელი სიტუაციის დროს, ისინი მზად არიან ცვლილებებისა და გარდაქმნებისთვის. იტალიაში თუ „ჩვეულებრივ“ დროს 800-900 ადამიანი იძენდა ონლაინ მომსახურებით საქონელს, კოვიდპანდემიის დროს 2,1 მილიონმა ადამიანმა მიიღო ელექტრონული კომერციული მომსახურებით სარგებლობის გადაწყვეტილება. ეს გვიჩვენებს, რომ იტალიელებმა გადალახეს ფსიქოლოგიური ბარიერები, რომელიც ადრე აბრკოლებდა მათ ონლაინ მომსახურებით სარგებლობისას. დროის მოთხოვნის შესაბამისად ისინი სწრაფად სწავლობენ, როგორ გამოიყენონ ციფრული საფულის ფუნქცია თავიანთ სმარტფონებზე და როგორ შეძლონ შტრიხკოდების სკანირება ჭკვიანი გადახდების გასაკეთებლად.

პაოლო გალოს და ჯუზეპე სტიგლიანოს მიერ, 50-ზე მეტი აღმასრულებელი დირექტორის გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ თანამედროვე ეტაპზე კრიზისის მართვის პროცესში ხელმძღვანელებზე მოთხოვნა უფრო გაიზარდა, ვიდრე ზოგადად მენეჯმენტზე.<sup>89</sup> პაოლო გალო ბოლო 30 წლის განმავლობაში იყო ჟენევის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ადამიანური რესურსების მთავარი ოფიცერი. მსოფლიო ბანკის მთავარი სასწავლო ოფიცერი ვაშინგტონში და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ადამიანური რესურსების დირექტორი ლონდონში. ჯუზეპე სტიგლიანო 15 წელია ემსახურება ინტერნეტ მარკეტინგის სერვისებს. მათი აზრით, ახლა არის დრო, როდესაც მენეჯერებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად და წარმოადგინონ ახალი ხედვა თავიანთი ბიზნესის

<sup>88</sup> <https://bpngeorgia.ge/>

<sup>89</sup> Paolo Gallo and Giuseppe Stigliano, Post-Pandemic Leadership: How Managing A Business Is Changing In Times Of Covid 19 <https://www.forbes.com/>, Mar 1, 2021

განსავითარებლად, რაც გარკვეულწილად უნდა განსხვავდებოდეს წინა ხედვისაგან. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ დავინახეთ მნიშვნელოვანი პარადიგმის ცვლა, რომელიც ხშირად განმარტებულია, როგორც „ციფრული გარდაქმნა“. ამან აიძულა ყველა კომპანია ცვლილებები შეეტანა სტრატეგიულ გეგმაში.

მართვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება წარმოების ხელმძღვანელებს - ლიდერებს, რომლებმაც იციან რა კომპანიის მიზნები, იყენებენ თავიანთ გავლენას სხვების აზრების და მოქმედებების ფორმირებისთვის. შემდგომში მათი მხარდაჭერით და თანამშრომლობით ისინი აღწევენ დასახულ მიზნებს. ლიდერების შემთხვევაში, ეს მიზნები იშვიათად არის პირადი, ის უფრო ზოგადია და დიდ სიკეთეს ემსახურება.

ლიდერს და მენეჯერს შორის არსებული განსხვავება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1. თუ მენეჯერი აყალიბებს წარმოების სტრუქტურას, განსაზღვრავს თანამშრომლების უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას, ლიდერი გვთავაზობს ახალ ორგანიზაციულ ხედვას და კომუნიკაციის მეშვეობით ახერხებს შთააგონოს და დარაზმოს თანამშრომლები მიზნის მისაღწევად;

2. მენეჯერი ფოკუსირებულია დაგეგმვასა და ორგანიზებაზე, პერსონალის დაკომპლექტებაზე, ხელმძღვანელობასა და კონტროლზე, ლიდერი კი ყურადღებას ამახვილებს ადამიანურ ურთიერთობებზე, გუნდურ მუშაობაზე, თანამშრომლების შთაგონებაზე, მოტივაციასა და დარწმუნებაზე.

3. მენეჯერი პასუხისმგებელია ორგანიზაციის წინაშე მისი თანამდებობრივი პიზიციის მიხედვით, ხოლო ლიდერი პასუხისმგებლობას გრძნობს თანამშრომლების წინაშე;

4. მენეჯერი იცავს ორგანიზაციის პოლიტიკას და მიჰყვება გაწერილ პროცედურებს, ხოლო ლიდერი ეყრდნობა საკუთარ ინტუიციას;

5. მენეჯმენტი მეცნიერებაა, ხოლო ლიდერობა ხელოვნება;

6. მენეჯერი განიხილავს ორგანიზაციის ტექნიკურ მხარეს და შინაარსს, ხოლო ლიდერი ორგანიზაციის ადამიანურ ასპექტს;

7. მენეჯერი აფასებს ადამიანებს მათი წარსული გამოცდილებით და არსებული მდგომარეობით, ხოლო ლიდერი იმ პოტენციალით, რომლის გაზომვა შეუძლებელია ანუ მომავალი პერსპექტივით;

8. მენეჯერი უფრო წერილობით კომუნიკაციას იყენებს, ხოლო ლიდერი ვერბალურს.

მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, კრიზისულ სიტუაციაში კომპანიის მართვის პროცესში მენეჯერი და ლიდერი ერთნაირად მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელთა კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული ორგანიზაციის მდგრადობა და ადამიანების მოტივაციის ამაღლება.

ყველა თანხმდება, რომ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები დამანგრეველად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე. კატასტროფულად იზრდება ფასები პირველადი მოხმარების საქონელზე, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. განსაკუთრებულ დარტყმას ეკონომიკური სექტორი განიცდის. პანდემიის შესაკავებლად ქვეყნების ჩაკეტვამ საერთაშორისო ტურიზმის გაჩერება გამოიწვია. საქართველო, როგორც ტურიზმზე დამოკიდებული ქვეყანა, მნიშვნელოვნად დაზარალდა. ამასთანავე სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მხრიდან ეკონომიკური აქტივობის შენელებამ, უარყოფითი გავლენა იქონია საქონლის ექსპორტზე. საქონლის იმპორტიც მნიშვნელოვნად შემცირდა, საგარეო და შიდა მოთხოვნის შემცირების გამო. 2020 წელს საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლების დანაკლისმა, საქონლით ვაჭრობის დეფიციტის გაუმჯობესება სრულად გადაფარა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მნიშვნელოვანი გაუარესება გამოიწვია.

საქართველოს ბანკის 2021 წლის მარტის თვის მიმოხილვის მიხედვით, წლიურმა ინფლაციამ 7,2 პროცენტი შეადგინა, ხოლო თებერვალთან შედარებით ფასები 4,2 პროცენტით გაიზარდა. ინფლაციის ზრდაზე გავლენა იქონია კომუნალურ გადასახადებზე საბიუჯეტო სუფსიდიის მოხსნამ. სურსათი წინა წლის მარტის თვესთან შედარებით 5,5 პროცენტით გაძვირდა, რითაც ინფლაციაში 1.6 პროცენტული პუნქტით წვლილი შეიტანა. აქედან მხოლოდ

0.5 პროცენტული პუნქტი მხესუმზირის ზეთის წვლილია, ხოლო შაქრის - 0,2 პროცენტული პუნქტი იყო. ადგილობრივ ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების ზრდა, გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდით. მსოფლიოში ნავთობზე მოთხოვნის ზრდამ, ფასების ზრდა გამოიწვია, რამაც ბენზინი და დიზელი გააძვირა, მათი კონტრიბუცია ინფლაციის ზრდაში ჯამურად 0,4 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 13,6 პროცენტით გაძვირდა (1.0 პროცენტული პუნქტი წვლილი ინფლაციაში), ხოლო სიგარეტის წვლილმა 0,4 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ამას გარდა, ლარის ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ, სხვა საქონლის გაძვირებაზე იმოქმედა. საბაზო ინფლაცია, რომელიც ენერგომატარებლების, თამბაქოს და სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეული სურსათის ფასებს გამორიცხავს, 6,6 პროცენტამდე გაიზარდა.<sup>90</sup>

კრიზისიდან გამოსვლის გეგმის შედგენისას, დროის მოთხოვნით ჩამოყალიბებული განვითარების სტრატეგია, ახალი ხედვა და გარკვეული უფლებამოსილების გადანაწილება თანამშრომლებზე, ხელს შეუწყობს კრიზისის დაძლევას. მნიშვნელოვანია პერსონალს ჰქონდეს მუდმივი წვდომა სწორ ინფორმაციაზე. ნებისმიერი გადაწყვეტილება მათთან მიმართებაში უნდა იყოს სამართლიანი და გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი.

კრიზისულ სიტუაციაში ხდება ინფორმაციის მოძრაობის პროცესის აჩქარება, სამოქმედო გეგმა იყოფა მცირე ნაბიჯებად. მოიცავს მოკლე მონაკვეთებს, შემუშავდება ცენტრალიზებულად და პირდაპირ შემსრულებელს ეგზავნება. მნიშვნელოვანი ფაქტორია დავალებას იღებდეს ყველა, თუნდაც ეს არ იყოს მოცემულ მომენტში კრიტიკულად მნიშვნელოვანი.<sup>91</sup>

კრიზისები განსხვავდება ერთმანეთისგან წარმოშობის მიზეზების, ფორმის და ბუნების მიხედვით, მაგრამ მათი გადაწყვეტის თანმიმდევრულობა თითქმის ერთნაირია. უპირველესი ამოცანა კრიზისულ პერიოდში კომპანიის გადარჩენაა, ამიტომ გადაწყვეტილების მიღება ხდება არსებული მდგომარეობის ფუნდამენტური შესწავლის, ახლებური ხედვის, მოცემული გარემოებების გათვალისწინებით შემუშავებულ სტრატეგიაზე დაყრდნობით.

უცხოელი ავტორები პრობლემის გადაწყვეტის შვიდ საფეხურს გვთავაზობენ<sup>92</sup>:

1. პრობლემის იდენტიფიცირება;

პირველ რიგში, ნათლად უნდა ჩამოვყალიბოთ პრობლემის არსი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული შეხედულება ამ პრობლემაზე. სასურველია მოვახდინოთ პრობლემის და ინტერესების გამიჯნვა.

2. გაითვალისწინეთ ყველას ინტერესები;

ეს არის ყველაზე რთული ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად უნდა გადავდგათ. ზოგჯერ საკუთარი ინტერესების უგულებელყოფა და გვერდზე გადადება გვიწევს კონკრეტული გადაწყვეტილების სასარგებლოდ. უნდა შევძლოთ განსხვავებული აზრის ყურადღებით მოსმენა და საჭიროების შემთხვევაში გაზიარება. საუკეთესო გამოსავალია თუ ყველას შეხედულება ემთხვევა, მაშინ ყველას ინტერესი დაკმაყოფილებულია.

3. ჩამოთვალეთ შესაძლო გადაწყვეტილებები (ვარიანტები);

ამ დროს ხდება მრავალი კრეატიული იდეების მოფიქრება და სხვადასხვა შესაძლო ვარიანტების ჩამოყალიბება.

4. შეაფასეთ პარამეტრები ;

პარამეტრის შეფასებისას კეთილსინდისიერად უნდა განვსაზღვროთ თითოეული ვარიანტის პლიუსები და მინუსები.

5. აირჩიეთ ვარიანტი ან ვარიანტები;

მოცემული ვარიანტებიდან უნდა შევარჩიოთ საუკეთესო, რომელიც მოცემული პარამეტრების გათვალისწინებით, ყველაზე უკეთესად შეძლებს არსებული პრობლემის აღმოფხვრას.

<sup>90</sup> <http://gbc.ge/>

<sup>91</sup> <https://bpngeorgia.ge/>

<sup>92</sup> <https://www.mediate.com/>

6. ხელშეკრულების გაფორმება;

ხელშეკრულების გაფორმება საუკეთესო გზაა ჩამოვყალიბოთ თითოეული მხარის უფლება-მოვალეობები და გავიაზროთ ყველა დეტალი.

7. შეთანხმება გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე.

დღევანდელ სწრაფად ცვალებად მსოფლიოში შეიძლება პირობები მოულოდნელად შეიცვალოს. ამიტომ ხელშეკრულების გაფორმების დროს ჩადებული უნდა იყოს შეთანხმებები, მოსალოდნელი გაუთვალისწინებელი გარემოებების შესახებ.

პრობლემის გადაჭრა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ გადაუჭრელობა უფრო დამაზიანებელია. პირველ რიგში, უნდა შეგვეძლოს შევანელოთ საწარმოო პროცესი, ან უკიდურეს შემთხვევაში გავაჩეროთ წარმოება. პრობლემა გზის მოსახვევს ჰგავს, რომელიც სიჩქარის შენელებას მოითხოვს. თუ სწორად მოვიქცევით, უსაფრთხოდ გავაგრძელებთ სვლას, ხოლო თუ ავჩქარდებით, შეიძლება ვერ ვაკონტროლოთ სიტუაცია და მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ.

პრობლემის გადაწყვეტის ზემოთ ჩამოთვლილი საფეხურები ერთნაირად ეფექტურია ნებისმიერი მასშტაბის საწარმოსთვის. პრობლემა რაც უფრო რთულია, მით უფრო აუცილებელია და მნიშვნელოვანი დისციპლინებული პროცესის გამოყენება, როგორც მე-20 საუკუნის ერთ-ერთმა გავლენიანმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა კარლ პროპერმა მჭევრმეტყველურად თქვა „მთელი ცხოვრება პრობლემების გადაჭრაა“<sup>93</sup>. უბრალოდ უნდა ვისწავლოთ კრიტიკული სიტუაციის სწორი, თანმიმდევრული მართვა. ეს პროცესი ხშირ შემთხვევაში მოითხოვს ფართომასშტაბიან ცვლილებებს, რომელიც, პირველ რიგში, შეეხება მენტალურ სფეროს. ეს არის ორგანიზაციის არსებობისა და მოღვაწეობის განსაკუთრებული ფორმა. მისი ძირითადი მახასიათებელი მუდმივი გაუმჯობესების პროცესია. ორგანიზაციის ეფექტურობის გაზრდისთვის, საჭიროა ურთიერთდაკავშირებული პროცესების ერთიანი სისტემის შექმნა და მართვა. ამერიკელი მეცნიერის ედუარდ დემინგის აზრით, „გაუმჯობესების შესაძლებლობები იმალება პრობლემებში, ხოლო თუ თქვენ ვერ აღმოაჩინებთ პრობლემებს, დარწმუნებული იყავით, ისინი თვითონვე გიპოვნენ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიდერები პრობლემების საუკეთესო გადამჭრელები არიან. ამიტომ ორგანიზაციამ უნდა აღზარდოს ჭეშმარიტი ლიდერები, რომლებიც არ იქნებიან დაკავებული მხოლოდ თანამშრომლებზე მითითებების გაცემით, არამედ რეალურ დახმარებას გაუწევენ მათ სამუშაოს შესრულებისას. ლიდერები უნდა ისწრაფოდნენ ორგანიზაციაში ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც ყველა დაინტერესებული იქნება საკუთარი შრომის შედეგით, დასახული მიზნის მისაღწევად. ლიდერებს უნდა ჰქონდეს მოთმინების უნარი, შეეძლოთ მოვლენების ფართო სპექტრით დანახვა, არსებული პრობლემის არსის მთლიანობაში განხილვა, გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული შესწავლა და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა. საბოლოო ჯამში, ყველა პრობლემა ერთმანეთს ჰგავს, ოღონდ სხვადასხვაგვარად არის შეფუთული. ლიდერმა პრობლემა უნდა განიხილოს არა როგორც კომპანიის განადგურების საშიშროება, არამედ როგორც კომპანიის სტრატეგიის, უწყვეტი განვითარების მანამდე უხილავი შესაძლებლობები. ასე, რომ ეფექტური ლიდერები პრობლემას უყურებენ, როგორც ახალ შესაძლებლობას კომპანიის განვითარების გზაზე. ლიდერი თუ ამ სიბრძნეს არ ფლობს, ის სწორხაზოვნად განიხილავს პრობლემას და ბლოკავს შესაძლებლობებს. სწრაფი და ეფექტური რეაგირებით შესაძლებელია მომხმარებლების ნდობის მოპოვება. ისინი ეტაპობრივად უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში ცვლილებებთან დაკავშირებით. გლენ ლოპისი გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის ოთხ საუკეთესო გზას:

1. გამჭვირვალე კომუნიკაცია;

პრობლემის გადაჭრა მოითხოვს გამჭვირვალე კომუნიკაციას, როდესაც ყველას შეუძლია თავისუფლად გამოხატოს მისი ინტერესი და შეხედულება. კომუნიკაცია ფუნდამენტური აუცილებლობაა, პრობლემის გადაწყვეტის პროცესში ჩართულ პირებს შორის. თუ ვინმე თავს იკავებს მისი აზრის დაფიქსირებისგან იმის შიშით, რომ მისი შეხედულება საფრთხეს შეუქმნის

<sup>93</sup> <https://www.forbes.com/>



მის სამსახურებრივ მდგომარეობას, ამ დროს დიდია ლიდერის როლი, რომელიც ხელს შეუწყობს ღია დიალოგს ადამიანებს შორის. ადამიანები ლიდერის ხელშეწყობით, თავს გრძნობენ დაცულად და უსაფრთხო გარემოში. ისინი უფრო გახსნილები ხდებიან. აფიქსირებენ თავიანთ კონკრეტულ წინადადებებს პრობლემის გადაწყვეტისათვის. მას შემდეგ, რაც ლიდერი მოუსმენს ყველას და გაითვალისწინებს მათ თვალსაზრისს, მას თავის გუნდთან ერთად შეუძლია მიიღოს სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი გადაწყვეტილება. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ადამიანები ზოგჯერ არ არიან გულახდილები. ამ დროს ლიდერი საკუთარ ინტუიციას უნდა დაეყრდნოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

2. დაანგრეთ ბარიერები ქვედანაყოფებს შორის;

კომპანიაში გუნდების და დეპარტამენტების იზოლირებულად მუშაობა, როგორც წარმატებულად არ უნდა იყოს, საჭიროებს მენტალურ ცვლილებას, გამჭვირვალე კომუნიკაციას შეუძლია ბარიერების დანგრევა და ჯანსაღი ორგანიზაციული გარემოს ჩამოყალიბება,

დეპარტამენტებს შორის უფრო მჭიდრო და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებით გამოიკვეთება საერთო ინტერესები და მოხდება ძირითადი პრობლემის გადასაწყვეტად გაერთიანება. თუ თითოეული თანამშრომლისთვის გასაგები იქნება მისი ადგილი და როლი საერთო საქმეში, მაშინ იზრდება მოტივაცია და პრობლემის გადაჭრა ერთობლივი ძალებით უფრო იოლდება. საბოლოო ჯამში, კომპანია უფრო ძლიერი ხდება.

3 ნიჭიერი (გონებაგახსნილი) ადამიანები;

შეზღუდული ბარიერების ნგრევა და გამჭვირვალე კომუნიკაციის დამკვიდრება საჭიროებს ნიჭიერ, თავის თავში დარწმუნებულ ადამიანებს, რომლებიც აცნობიერებენ, რომ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია ძალთა გაერთიანების გარეშე. ურთიერთთანამშრომლობა აძლიერებს ორგანიზაციას, ხდის მას უფრო მოქნილს, ეფექტურს და კონკურენტუნარიანს. გონებაგახსნილი ადამიანები რისკს განიხილავენ, როგორც მათ საუკეთესო მეგობარს. ისინი მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემებს ღირსეულად უმკლავდებიან და განაგრძობენ განვითარებას და ინოვაციების დანერგვას.

4. მყარი ფუნდამენტური სტრატეგია;

სტრატეგიის გარეშე, ცვლილებები მხოლოდ ჩანაცვლებაა და არა ევოლუცია. ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად, პირველ რიგში, უნდა შემუშავდეს მყარი სტრატეგია. ეფექტური ლიდერები, პრობლემის გადაწყვეტილების პროცესში, თავს კომფორტულად გრძნობენ, რადგან ზუსტად იციან, როგორ შეარჩიონ საჭირო ადამიანები, შეაფასონ არსებული რესურსები და განსაზღვრონ ბიუჯეტი, რომელიც საჭიროა პრობლემის დასაძლევად. ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაქსიმალურად იყენებენ თითოეულ შესაძლებლობას. სტრატეგიის შემუშავებისას ეფექტური ლიდერი, ყველა შესაძლებლობის გათვალისწინებით, ადგენს რეალურ სამოქმედო გეგმას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვმართოთ პრობლემა ისე, რომ საბოლოოდ მოვახდინოთ მისი გადაჭრა. სტრატეგიის შემუშავებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მოულოდნელი სიტუაციის მართვა. მყარ სტრატეგიის მზად უნდა იყოს ადამიანური რესურსები, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სტრატეგიის მდგრადობა.

ამრიგად, კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის უმთავრესი პირობა სწორად შემუშავებული სტრატეგია და მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსია, რომელსაც მართავს მაღალი რანგის მენეჯერი, ლიდერის თვისებებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Charles Conn , Robert McLean ,Bulletproof Problem Solving: The One Skill That Changes Everything,Wiley, 2019
2. W. Edwards Deming, The New Economics for Industry, Government, Education - Third Edition,The MIT press, Cambridge, Massachusetts, London, England, 2018
3. W. Edwards Deming, Out of the Crisis, Massachusetts Inst. Technology, Center of Advanced Engineering Study, 1986
4. Glenn Llopis, The 4 Most Effective Ways Leaders Solve Problems,

5. Paolo Gallo and Giuseppe Stigliano, Post-Pandemic Leadership: How Managing A Business Is Changing In Times Of Covid-19  
 6. <https://www.thebalancecareers.com/>  
 7. <https://www.forbes.com/>  
 8. <https://bpngeorgia.ge/>  
 9. <https://www.coursehero.com/>  
 10. <https://www.powtoon.com/>  
 11. <https://www.managementstudyguide.com/>

*Fati Shengelia*

**THE CRITICAL SITUATION MANAGEMENT**  
**Summary**

Critical situations are part of everyday operations. The term critical management situation stems from the underlying principle that critical situations occur across the organization at multiple - levels every day. Abnormal process operation can be just costly due opportunity cost. The problem solving process is a detailed, team oriented approach to solving critical problems in the production process. The goals of this process are to find the root cause of a problem, develop containment actions to protect customers and take corrective action to prevent similar problems in the future.

Steps to Critical Thinking As It Relates To Problem Solving: Identify the Problem. The first task is to determine if a problem exists; Analyze the problem, look at it from different angles; Brainstorm and come up with a several possible solutions;. Decide which solution fits the situation best and Take action.

Crises vary in their cause, form, and nature, but the consistency of their resolution is almost the same. The first task is to save the company in a time of crisis, therefore, the decision is made on the basis of a fundamental study of the current situation;

Leaders are the best problem solvers, therefore, the organization should train true leaders who will not only be busy giving instructions to employees, but also provide real help in getting their job done. The leader should consider the problem not as a threat to the destruction of the company, but as previously unseen opportunities for the continuous development of the company strategy.

Thus, the key to overcoming crisis characteristics is a well-designed strategy and highly qualified, competitive human resources, which are managed by the qualities of a high-ranking manager leader.

*ქეთევან შენგელია*

**სახელმწიფოს როლი ეკონომიკის ანტიკრიზისულ მართვაში პანდემიის პირობებში**

**ანოტაცია.** ხელისუფლების როლი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში პანდემიის პირობებში უმნიშვნელოვანესია. მას აქვს ძირითადი ვალდებულებები: შეუნარჩუნოს საზოგადოებას მშვიდობა, ნორმალური ცხოვრების და მუშაობის პირობები, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, წარმოების და ექსპორტის ზრდას.

სწორ ანტიკრიზისულ მართვას შეუძლია პრობლემების შერბილება, როგორც მესაკუთრეთა, ისე პერსონალის, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისობაში მოყვანა და ეკონომიკის წონასწორობის შენარჩუნება გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ეკონომიკური ზრდის საფუძველი ტექნოლოგიურ პროგრესში მდგომარეობს, რომელსაც უნდა ასტიმულირებდეს სახელმწიფო და მსხვილი ბიზნესი, საზოგადოების ფართო ფენების მხარდაჭერით. ტექნოლოგიური განვითარებისათვის საჭიროა დიდი ოდენობით კაპიტალი, რაც მსხვილ კორპორაციებს და მონოპოლიებს გააჩნიათ. თავისუფალი ბაზრის პირობებში კი ტექნოლოგიური პროგრესი არაეფექტიანი იქნება სახელმწიფო რეგულირების გარეშე. უნდა განვითარდეს კვლევები უნივერსიტეტებში და მათ ამისათვის დაფინანსება სჭირდებათ. სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები უნდა გახდეს: კანონის უზენაესობა, წესრიგის დამყარება, დემოკრატიის განვითარება და საკუთრების უფლებების დაცვა.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი პრიორიტეტი უნდა იქნეს: Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაცია, აღდგენა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

საშუალოვადიან პერიოდში მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს: ქვეყნის რეგიონული და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობა; შიდა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილგანწყობის შენარჩუნება და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კრიზისულ სიტუაციაში მკაფიოდ უნდა იყოს განაწილებული უფლებამოსილებანი. საზოგადოებრივი ინტერესები უნდა გახდეს პრიორიტეტული კერძო ინტერესებთან შედარებით. მაქსიმალურად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები, რათა მიღწეულ იქნას შიდა გარემოს სტაბილიზაცია. მცირე უსამართლობამ შეიძლება სოციალური აფეთქება გამოიწვიოს. საზოგადოება უნდა ენდობოდეს სამთავრობო ღონისძიებებს და მუდმივად გრძნობდეს მის მხარდაჭერას. წინააღმდეგ შემთხვევაში რყევები გარდაუვალი გახდება.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფოს როლი, ეკონომიკური კრიზისი, ანტიკრიზისული მართვა, უმუშევრობა, სოციალური პრობლემები.

\*\*\*

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაჯანსაღებისათვის მნიშვნელოვანია ხელისუფლება, ბიზნესი და საზოგადოება ერთობლივად ახდენდნენ კრიზისული სიტუაციების კოორდინირებას, ეფექტიანი შედეგების მისაღებად. კრიზისი საფრთხეს უქმნის ეკონომიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობას. ამიტომ ხელისუფლების როლი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანაში უმნიშვნელოვანესია. მას აქვს ძირითადი ვალდებულებები: შეუნარჩუნოს საზოგადოებას მშვიდობა, ნორმალური ცხოვრების და მუშაობის პირობები, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, წარმოების და ექსპორტის ზრდას.

სწორ ანტიკრიზისულ მართვას შეუძლია პრობლემების შერბილება, როგორც მესაკუთრეთა, ისე პერსონალის, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისობაში მოყვანა და ეკონომიკის წონასწორობის შენარჩუნება გრძელვადიანი პერიოდისათვის. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილგანწყობის შენარჩუნება და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. კრიზისულ სიტუაციაში მკაფიოდ უნდა იყოს განაწილებული უფლებამოსილებანი. საზოგადოებრივი ინტერესები უნდა გახდეს პრიორიტეტული კერძო ინტერესებთან შედარებით. მაქსიმალურად შენარჩუნდეს სამუშაო ადგილები, რათა მიღწეულ იქნას შიდა გარემოს სტაბილიზაცია. მცირე უსამართლობამ შეიძლება სოციალური აფეთქება გამოიწვიოს. საზოგადოება უნდა ენდობოდეს სამთავრობო ღონისძიებებს და მუდმივად გრძნობდეს მის მხარდაჭერას. წინააღმდეგ შემთხვევაში რყევები გარდაუვალი გახდება.

მენეჯმენტის მეცნიერების უძლიერესი წარმომადგენლები ჯ. მეიო და ფ. როტლისბერგელი სამართლიანად ასაბუთებდნენ ანტიკრიზისულ მართვაში ადამიანურ ურთიერთობათა უპირატესობას. მნიშვნელოვანია საზოგადოების თითოეული წევრის სწორი და ეფექტიანი ინფორმირება, არსებული პრობლემების შესახებ, რაშიც დიდი როლი ეკისრებათ პროფესიონალებს.

თანამედროვე პანდემიამ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში გამოიწვია ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური კრიზისი. პრობლემებია საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაში, გართულებულია კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და დაქვეითებულია გადამხდელუნარიანობა. საფინანსო დისბალანსი უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, რის გამოც 2020 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა არის ნეგატიური 5%. დარღვეულია ფინანსური და ეკონომიკური წონასწორობა. ეროვნული ვალუტა სულ უფრო მეტად განიცდის დევალვაციას. ეროვნული ბანკი ხარჯავს რეზერვების მნიშვნელოვან რაოდენობას, თუმცა შედეგი უმნიშვნელოა. კრედიტორებს უჭირთ სესხის დაფარვა, რაც ასევე უარყოფითად აისახება კომერციული ბანკების ფუნქციონირებაზე.

იზრდება სახელმწიფო საგარეო ვალი და მისმა მოცულობამ 6 მლრდ 143 მლნ შეადგინა 2020 წლის მონაცემებით<sup>94</sup>. ჩვენი გადამხდელუნარიანობა ძირითადად დამოკიდებული იყო საგარეო გადმორიცხვებზე და ტურიზმის სექტორზე, რაც იმთავითვე არასწორი მიდგომა გახლდათ. ტურიზმმა კოლფისი განიცადა პანდემიის გამო, არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოში. გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა შემოსავლები, რაც უარყოფითი მულტიპლიკატორის ეფექტით აისახა ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაზე. მთავრობის მიერ დაანონსებული იმპორტის ჩანაცვლების და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის პოლიტიკა, საკმაოდ დაგვიანებული აღმოჩნდა.

ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას მიყვავართ სოციალურ კრიზისამდე. მწვავედება სიტუაცია საზოგადოებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის. საზოგადოება კარგავს ნდობას მთავრობის მიმართ, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს მართვის პროცესებს. სახელმწიფოს შეუძლია უფრო აქტიურად გამოიყენოს ისეთი ბერკეტები, როგორცაა ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი, პროგრესული გადასახადი და დივიდენდები. საგადასახადო სისტემა ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია რესურსების მობილიზებისთვის, რათა გაიზარდოს სოციალური პაკეტები. როგორც პრემიერ მინისტრმა გიორგი გახარია აღნიშნა, სოციალური დახმარების პაკეტები 721 ათასმა მოქალაქემ მიიღო, თუმცა ბევრი დარჩა ამ დახმარების მიღმა. უნდა გავიმყაროთ პოზიციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ასევე ადგილობრივ მსხვილ ბიზნესთან.

მწვავედება ორგანიზაციული ურთიერთობები. იწყება კონფლიქტები და უწესრიგობა, რასაც მოხერხებულად იყენებენ ოპოზიციური ძალები. იზრდება უპასუხისმგებლობა და რთულდება სისტემის კონტროლი. სახელმწიფოს როლი ამ მიმართულებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. უნდა აღიკვეთოს ჯანდაცვის სექტორში ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ბიზნესის „პრივილეგიები“ სახელმწიფოს მფარველობაზე. ეკონომიკურ კრიზისთან გასამკლავებლად საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოგვიყვეს 3,5 მილიარდი ლარის ექვივალენტი დოლარში, რომლის განაწილება და განკარგვა არ არის გამჭვირვალე პროცესი. შეიმჩნევა ინტერესთა ლობირება, რითაც სარგებლობს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი „ბიზნესი“. ასევე არ არსებობს გამჭვირვალე ინფორმაცია აგვისტოს ომის შემდეგ შემოსული 4 მილიარდი დოლარის განაწილების შესახებ. საზოგადოებამ ზუსტად უნდა იცოდეს, რა მიზნებით და როგორი პრიორიტეტულობით ხდება განაწილება, ეს კი, სამწუხაროდ, ბუნდოვანია. უნდა გამოირიცხოს ლობირება და ნეპოტიზმი (თუმცა საქართველოში ეს როგორ მოხდება გაურკვეველია).

ეს ყოველივე გადადის ფსიქოლოგიურ კრიზისში. საზოგადოებას მუდმივად უხდება სტრესულ და პანიკურ გარემოში ყოფნა, რასაც ერთვის სოციალური დაუცველობის, გაურკვეველობის შიში.

ანტიკრიზისულ გეგმაში სწორად არის დასახული მცირე მეურნეობათა დაფინანსების ვექტორი, რაც სოციალურ მიდგომას წარმოადგენს. თუმცა აქაც გარკვეული ბუნდოვანებაა. ანტიკრიზისული გეგმის სოციალური ნაწილი ეთმობა უმუშევრობის პრობლემას. გაურკვეველია, როგორ გარდაიქმნება შრომითი ბაზარი კორონავირუსის კრიზისის ფონზე. სამწუხაროდ, დღეისთვის მხოლოდ საარსებო შემწეობის სისტემა გვაქვს. თუმცა უმუშევრობის შემწეობაზე გადასვლა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და არსებული ბიუჯეტის პირობებში, თითქმის შეუძლებელი ხდება. მითუმეტეს, დღეისთვის არ ხდება არაფორმალურ სექტორში ჩართულ ადამიანთა აღრიცხვა, რის გამოც ძალიან ხშირად ეს ადამიანები სოციალური უსაფრთხოების სისტემის მიღმა რჩებიან. გართულებულია ბიუროკრატიული პროცედურებიც. რეალურად არ არსებობს ზუსტი მონაცემები შემოსავლის გარეშე დარჩენილი ადამიანების შესახებ, რის გამოც მათი მყისიერი დახმარება გართულებულია.

ასე რომ, ჩვენს ქვეყანას რადიკალური რეფორმები სჭირდება, განსაკუთრებით უმუშევრობის და სიღარიბის შემცირების კუთხით. მართალია, მრავალი პოზიტიური რეფორმა

<sup>94</sup> <https://mof.ge/images/File/2020>

განხორციელდა, მაგრამ პრობლემები ისევ რჩება. მთავრობის მიზანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ისევ მიუღწეველი რჩება.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპის თანახმად, კერძო სექტორი გვევლინება ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად. ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის თავისუფალ განვითარებას და კეთილდღეობას. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, ეფექტიანობასთან ერთად, უზრუნველყოფს სოციალური უსაფრთხოების გარანტიებს, რაც გულისხმობს ხელმისაწვდომ განათლებას, ჯანდაცვას, საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობის უზრუნველყოფას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის სოციალური ორიენტირებულობის ხარისხს, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამომხმარებლო კალათის შემადგენლობაზე, საშუალო ხელფასის და საარსებო მინიმუმის თანაფარდობაზე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული მოსახლეობის რაოდენობაზე, სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების წილზე მთლიან შიდა პროდუქტში, შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხზე და სხვა. მათ გაუთვალისწინებლობას უარყოფითი მულტიპლიკაციური ეფექტი მოაქვს ეკონომიკის განვითარებისათვის და ხელს უშლის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ეკოლოგიური და სასურსათო პრობლემები, გარკვეული თვალსაზრისით, არყვევენ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. რთული ხდება ეკონომიკური წონასწორობის დაცვა, რაც კიდევ უფრო გაამწვავა თანამედროვე პანდემიამ.

კაცობრიობის განვითარებამ მიაღწია გარკვეულ ზღვარს, სამეურნეო საქმიანობით გამოწვეულმა ბუნების დეგრადაციამ, მსოფლიოს უთანაბრო განვითარების გაღრმავებამ მოგვიტანა, ალბათ, დღევანდელი პანდემია, რასაც შეიძლება კაცობრიობისათვის შეუქცევადი შედეგები მოჰყვეს. ჩვენ შევქმენით დამახინჯებული სამყარო, დავაბინძურეთ იგი როგორც სულიერად, ასევე ეკოლოგიურად.

საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად, დიდი როლი ეკისრება მოცემულ სიტუაციაში რეგიონულ განვითარებას, რისთვისაც საჭირო ხდება კონკრეტული რეგიონების შედარებითი უპირატესობების დადგენა და პრიორიტეტების სწორად განაწილება.

ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020-ის მიხედვით, მიზნად იყო დასახული შემდეგი მაჩვენებლების მიღწევა:<sup>95</sup> მშპ ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური 13 000 ლარი, დღეისთვის გვაქვს 13 239 ლარი; მშპ ერთ სულ მოსახლეზე მუდმივ ფასებში 9 200 ლარი, დღეისთვის გვაქვს იგივე, რაც ნიშნავს, რომ ინფლაციამ გაზარდა ეს მაჩვენებელი, მუდმივ ფასებში კი მაჩვენებელი უცვლელია თითქმის. ჯინის კოეფიციენტი 0,35-მდე უნდა შემცირებულიყო, გვაქვს 0,41; ინფლაცია 3,0 ფარგლებში უნდა ყოფილიყო, გვაქვს 5,2%; უმუშევრობა 12%-ზე ნაკლები იყო დაგეგმილი, გვაქვს 17,6%; ექსპორტის წილი მშპ-ში 65%-მდე უნდა გაზრდილიყო; მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილის შემცირება მშპ-ში 6% -მდე იყო დაგეგმილი, გვაქვს 9,1%-ზე მეტი; სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-თან 40%-ზე უნდა ჩამოსულიყო, თუმცა გვაქვს 59,9%.

ეს პრობლემები სხვა მიზეზებთან ერთად კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა შექმნა ძირითადად და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეს.

2020 წლის ბიუჯეტის მხოლოდ საგადასახადო შემოსავლები შემცირდა 1.3 მლრდ ლარით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში დამატებითმა საჭიროებებმა 1.6 მლრდ ლარს მიაღწია. საერთო ჯამში, 2020 წლის ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 9.1%-მდე გაიზარდა.

მთავრობის მიერ განხორციელდა საერთაშორისო დახმარების სწრაფი მობილიზება 1.7 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით. ეს რესურსები მიმართული იყო შემცირებული საბიუჯეტო შემოსავლების და ანტიკრიზისული ხარჯების დასაფინანსებლად, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ვალის მშპ-სთან მიმართებით ზრდა 59.9%-მდე. ეს კრიტიკული ნიშნულია. მთავრობა ცდილობს ვალის მაჩვენებელი მომდევნო წლებში არ აღემატებოდეს 40%-ს.

<sup>95</sup> <https://napr.gov.ge/source>

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2021 წლისთვის საქართველოს ეკონომიკა დაუბრუნდება პოზიტიურ დინამიკას და ზრდა იქნება 4.3%. ამისათვის საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი პრიორიტეტი იქნება: Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაცია; აღდგენა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

საშუალოვადიან პერიოდში მთავარ პრიორიტეტად დარჩება: ქვეყნის რეგიონული და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობა; შიდა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა.

2020 წელს, მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 330 943 ერთეული შეადგინა, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობამ - 146 619. რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი რეგისტრირებული ოჯახი თბილისში დაფიქსირდა და 63.1 ათასი შეადგინა, მიმღებთა რაოდენობა კი 32.7 ათასით განისაზღვრა. სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა საერთო რიცხოვნობამ 174 612 შეადგინა, საიდანაც 35.0 პროცენტს ქალები შეადგენენ, ხოლო 65.0 პროცენტს - მამაკაცები. სოციალური პაკეტის მიმღებთაგან 72.5 პროცენტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ, 12.6 პროცენტს - მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრები, 8.9 პროცენტს - ომის მონაწილეები, 5.7 პროცენტს - სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები, ხოლო 0.3 პროცენტს - სხვა სახის სოციალური პაკეტის მიმღები პირები.<sup>96</sup>

პანდემიისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, სარეიტინგო კომპანია Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“ დონეზე უცვლელი დატოვა.<sup>97</sup>

ცნობილია, რომ 2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში „Fitch“-მა შეამცირა სომხეთის საკრედიტო რეიტინგი, ხოლო სლოვაკეთის, ბელარუსისა და ლატვიის შემთხვევაში, შეამცირა რეიტინგის პერსპექტივა. სარეიტინგო კომპანიის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს 4.3 პროცენტით, ხოლო 2022 წელს 5.8 პროცენტით გაიზრდება. ეკონომიკის აღდგენა და მთავრობის მიერ გაცხადებული ვალდებულება, უზრუნველყოს 2024 წლისთვის მშპ-ის 3.0%-ზე ნაკლები დეფიციტის მიღწევა, ხელს შეუწყობს საშუალოვადიან პერიოდში ვალის დონის შემცირებას.

პროგნოზი დამაიმედებელია, მაგრამ მისი მიღწევა მხოლოდ სამთავრობო ძალისხმევით გართულდება. აუცილებელია მსხვილი ბიზნესის აქტიური ჩართვა აღნიშნულ პროცესებში. მითუმეტეს საქართველოს ჰყავდა ცნობილი მეცენატები, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ ხელმოკლე ოჯახთა დასახმარებლად. სარაჯიშვილების, ზუბალაშვილების და სხვების ქველმოქმედება მაგალითი უნდა იყოს თანამედროვე ბიზნესმენებისათვის. მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოჩენა სწორედ ახლა არის საჭირო.

ზუბალაშვილთა სხვადასხვა თაობამ თავისი საქმიანობით დაგვანახა ნიჭიერება, ენერჯიულობა და სასარგებლო ქმედებები. ქველმოქმედი ძმების ხელშეწყობით მრავალმა ადამიანმა მიიღო განათლება. მათ შორის იყვნენ: ალექსანდრე ჯანელიძე, სარგის კაკაბაძე, ალექსანდრე ფაღავა, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ლეო ქიაჩელი და სხვები.

ასევე დიდი მეცენატი იყო დავით სარაჯიშვილი. მისი თანამემამულენი ამტკიცებდნენ, რომ სიმდიდრე მისი მსახური იყო და არა ბატონი. მან პირველმა კავკასიაში დაიწყო საკონიაკე სპირტის ფრანგული ტექნოლოგიით გამოხდა და მუხის კასრებში დამველება. იგი კონიაკის წარმოების პიონერი და ფუძემდებელი იყო. დავითის ხელშეწყობით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება საზღვარგარეთ: დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, პროფესორები სოლომონ ჩოლოყაშვილი, მიხეილ შალამბერიძე, სარგის კაკაბაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ილია ყიფშიძე, შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე). ფულად დახმარებას უწევდა აკაკი შანიძეს, დავით კასრაძეს, თედო სახოკიას, გერონტი ქიქოძეს და სხვებს. დავით სარაჯიშვილს კარგად ესმოდა, რომ განათლებული ადამიანები აშენებენ განვითარებულ საზოგადოებას. დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო

<sup>96</sup> <https://www.geostat.ge/media/36401>

<sup>97</sup> <http://gov.ge/index.php>

უნივერსიტეტის მშენებლობაში. მისი ოცნება იყო სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ცხოვრების პატიოსანი წესი და ის ღირებულებები, რომლებსაც ამკვიდრებდა დიდი ილია და ყველა მათი თანამოაზრენი.

დიდია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი. მან ჭუჭყიანი, წუმპე-ტალახიანი ფოთი გადააქცია უმშვენიერეს ქალაქად, მან აამოძრავა ფოთის სიცოცხლის ძარღვი. თუმცა რანი ვართ ქართველები, ძალიან კარგად ჩანს მისი წერილიდან, რომელიც მან დაწერა 1913 წლის მარტში გაზეთ „იმერეთში“: „პასუხისგებაში ვარ მიცემული. ამ გასაჭირში მშველელი არსად ჩანს, თორემ დამწიხვლელი, უთვალავია. ყოველ ჭინჭრაქას, ყოველ ლაწირაკს და ქვემძრომს შეუძლია მავნოს, თვალდახელშეუა სიცრუის თქმითაც...“. მას ბრალად დასდეს ქრთამის აღება, რომელიც არც კი გაუფიქრებია. სასამართლოზე იგი გაამართლეს, თუმცა გული კი ძალიან ატკინეს.

მეცენატები ქველმოქმედებას აგრძელებენ... სწორედ ასე გადავრჩებით. სახელმწიფოს და ბიზნესის ერთობლივი ძალისხმევით, საზოგადოების მხარდაჭერით იქნება შესაძლებელი იმ პრობლემების დაძლევა, რაც დაგროვდა ამ ხნის განმავლობაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. პაპავა ვ. „საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები“. თბილისი, „ინტელექტი“, 2015
2. სილაგაძე ა. „ეკონომიკური დოქტრინები“. თბილისი, „ინოვაცია“, 2012
3. ქ. შენგელია, „ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში“, ჟურნ. ეკონომიკა, №6, 2017
4. ქ. შენგელია, „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ძირითადი ტენდენციები საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2018
5. Galbraith J.K. Economics in the Century Ahead. “The Future of Economics.” Oxford, Blackwell, 1992
6. Porter M. Competitive Advantages of Nations. “Harvard Business Review”, 1990, v 2
7. Stiglitz J. The Price Inequality. “W.W. Norton & Company”, New York-London, 2012
8. <http://gov.ge/index.php>. გადამოწმებულია 20/02/2021

*Ketevan Shengelia*

## **THE ROLE OF THE STATE IN THE ANTI-CRISIS MANAGEMENT OF THE ECONOMY IN A PANDEMIC**

### **Summary**

The government's role in pulling the country out of the crisis is critical. It has the main responsibilities in: maintaining peace in society, normal living and working conditions; fostering business growth, attracting investment, increasing productivity and exports.

Proper anti-crisis management can mitigate challenges by aligning the interests of both owners and employees, the public and the state, and by sustaining the long-term balance of the economy..

The source of economic development is technological progress, which should be stimulated by the state and big business with the support of broad sections of society. Technological advancement requires massive amounts of capital owned by large corporations and monopolies. Even in a free market environment, without state regulation, technological progress would be counterproductive. Research in universities should be developed and support is required for this. The fundamental values of the State should be: the rule of law, the establishment of order; the development of democracy and the protection of property rights.

The short-term goal of the Georgian government's economic policy should be: to minimize the losses caused by the Covid-19 pandemic; to recover and ensure rapid economic growth.

In the medium term, the ultimate objectives should be: enhancing regional and international competitiveness; facilitating truly sustainable production and exports; promoting domestic and foreign investment.

It is vital to maintain the goodwill of the society and to satisfy their needs. The powers should be clearly dispersed in a crisis situation. Public interests must be granted preference over private interests. Minor injustices will lead to a socioeconomic explosion unless jobs are preserved as much as possible in order to achieve the stability of the internal climate. The public should trust and continually feel the support of government initiatives. Otherwise, fluctuations will become inevitable.

**საქართველოს დამოუკიდებლობის ოცდაათი წელი, დაგროვილი პრობლემები და ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ბერკეტი**

*„ვინც სამშობლოში დაბრუნებას აღარ ელოდა, მიწა გაჰქონდა, მიწა თბილი, მიწა მარადი...  
შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან და მიწავ ჩემო, ამიტომაც დაპატარავდი...“*

**ანოტაცია.** ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სიტუაციის, კერძოდ, ისტორიულად კუთვნილი და საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების ოკუპირების; მოსახლეობის რიცხოვნების კლების; სახელმწიფო (განსაკუთრებით საგარეო) ვალის ზრდისა და სახელმწიფო ქონების მიტაცება-განიავეების ისტორიული რეალობების ხაზგასმა-კონსტატაციის ფონზე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირების, არსებულ სიტუაციასთან მაქსიმალურად მისადაგებული გზების ძიება.

ტრადიციულად შეზღუდული, ხოლო პანდემიის-(COVID-19) პირობებში კრიტიკულ ზღვარზე მყოფი ქვეყნის საბიუჯეტო პოტენციალის გათვალისწინებით, ეკონომიკის სტიმულირების ქმედით ბერკეტად არა საბიუჯეტო სუბსიდირება, არამედ მეწარმე სუბიექტთა საწარმოო დანახარჯების ოპტიმიზება-შემცირებაზე ორიენტირებული მიდგომების გააქტიურების გზით, გათვალისწინებული პროდუქციაზე გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნის, საწარმოო პროცესების მასტიმულირებელ ფაქტორად გამოყენებაა მიჩნეული.

აღნიშნული მოსაზრებების რეალიზებისათვის ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე ორიენტირებული, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესატან შესწორებათა პროექტი და მათი ამოქმედების შედეგად, სავარაუდო საბიუჯეტო დანაკარგების გარკვეული კომპენსირების უზრუნველყოფი რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** სამომხმარებლო ბაზრის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირება; სამეწარმეო ხარჯების ოპტიმიზება; სასოფლო-სამეურნეო და ენერგეტიკული სფერო(ებ)ის დაბეგვრა.

**შესავალი**

რაოდენ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა დადებითი შეფასებები, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნისათვის მინიჭებული სარეიტინგო პარამეტრების პროგრესირებადი ტენდენციები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობით თუ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) სრულფასოვანი ამოქმედების შედეგად გაზრდილი ეკონომიკური შესაძლებლობები, აბსოლუტურად ცხადია, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) შემდგომი ოცდაათწლიანი ისტორიული პერიოდი, გარკვეული ობიექტური კანონზომიერებების, დაშვებული შეცდომების, მავანთა დანაშაულებრივი ქმედებებსა თუ სხვა მიზეზების ზემოქმედებით, უმძიმესი შედეგების მომტანი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის.

საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების სიმძიმეს ადასტურებს: ისტორიულად კუთვნილი და საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების ოკუპირების უმძიმესი რეალობის; მოსახლეობის რიცხოვნების კლების; სახელმწიფო ქონების (ყოფილი საბჭოთა საქართველოს ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სახით არსებული) პრაქტიკულად



შეფასების გარეშე გამარცხვა-განიავებისა და სახელმწიფო (განსაკუთრებით საგარეო) ვალის ზრდის უმძიმესი ტენდენციები.

\*\*\*

ჩვიდმეტი წლის ასაკში ამ ქვეყნიდან წასული, ყოველ მუჭა ქართულ მიწაზე მოფიქრალი, ზემოაღნიშნული სიტყვების ავტორის სამშობლოში მწელია ახსნა მოუძებნო ფაქტს, რომლის პირობებშიც ქვეყნის არცერთი სამთავრობო დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე არ ფიქსირდებოდა სრულფასოვანი მონაცემები თუნდაც დროებით, მაგრამ დაკარგული (მათ შორის მცოცავი ოკუპაციის შედეგად) ტერიტორიების (ქართული მიწის) თაობაზე.

საქმე ისაა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი **დღეს** (ხაზგასმა ჩვენია-დ.ჭ.) 8,7 ათასი კვ. კმ-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 12,5 პროცენტს შეადგენს“ (სტილი დაცულია).


ამავე წყარო, საქართველოს კიდევ ერთი განუყოფელი ნაწილის - ისტორიული სამაჩაბლოს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ცხინვალის რეგიონის) ტერიტორიის შესახებ გვამცნობს: „ფართობი 3,8 ათასი კმ (საქართველოს ტერიტორიის 5,4 **ცენტრი**)“ (სტილი დაცულია, ყველა ლოგიკით სიტყვა «ცენტრი»-ს ნაცვლად იგულისხმება «პროცენტი»).

საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ზემოაღნიშნული ფრაზები, მართალია, უცვლელად იმეორებს «საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა»-ის სახელწოდებით, 1981 წელს, ნუმერაციის გარეშე გამოცემული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საქართველოსადმი მიძღვნილი სპეციალური ტომის მონაცემებს, თუმცა სრულიად ობიექტურად ბადებს შეკითხვას, რა იგულისხმება და რით აიხსნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობის შესახებ ტექსტში სიტყვის «დღეს» ჩამატება.

აღნიშნულის პარალელურად, თუ მხედველობაში მივიღებთ ცხინვალის რეგიონის ფართობის თაობაზე, როგორც საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნულ, ისე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალურ ვებგვერდებზე (<https://smr.gov.ge/ge/page/14/regionis-shesaxeb>) განთავსებულ ინფორმაციაში ერთი და იგივე შეცდომის, კერძოდ, სიტყვის «პროცენტი»-ს ნაცვლად სიტყვის «ცენტრი»-ს არსებობას, ქვეყნის ამ უმძიმესი პრობლემისადმი გაუმართლებლად ზერელე დამოკიდებულება, მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს. თუმცა წარმოდგენილი ფაქტების სიმძიმეს და საგანგაშო ხასიათს, ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის -12,5 (8,7 აფხაზეთი + 3,8 ცხინვალის რეგიონი) ათასი კმ-ის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირების ის უმძიმესი რეალობა განაპირობებს, რომლის არსებობაც საქართველოს ყველას მოქალაქისათვის არა ზემოაღნიშნული ზერელე, არამედ ეპოქალური მნიშვნელობის, შეგუებას არ დაქვემდებარებულ ტრაგედიად უნდა მიიჩნეოდეს.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ მეტად მტკივნეულ ფაქტს, კიდევ უფრო ამძიმებს ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნების კლების უკანასკნელი წლების გამოკვეთილი ტენდენციები (იხ. დიაგრამა №1).

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები



როგორც დიაგრამა №1-დან ირკვევა, 1989 წლიდან 2014 წლამდე, საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით მოსახლეობა რიცხოვნება „1 729,6 (5 443,4 – 3 713,8) ათასი კაცით, ანუ თითქმის ერთი მესამედით, (31,8%-ით) არის შემცირებული“.

აღნიშნულს განსაკუთრებულ სიმწვავეს მატებს ამავე 25 წლიან ისტორიულ (1989 წლიდან 2014 წლამდე) მონაკვეთში, ქვეყნის ტიტულარული ერის, ეთნიკური ქართველების 756,4 (3 981,0 – 3 224,6) ათასი კაცით, ანუ 19,0 პროცენტით შემცირების მეტად საგანგაშო ფაქტის არსებობა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მოსახლეობის რიცხოვნების კლების პრობლემატიკას კიდევ უფრო ამწვავეს ამავე პერიოდში გამოკვეთილი და ქვეყნის ეკონომიკისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანი, სხვადასხვა რანგისა და თაობების ხელისუფალთა არაკომპეტენტური, ხშირად კი დანაშაულებრივი ქმედებების იმგვარი მძიმე შედეგების არსებობა

*\* რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ წლების წინ დაწყებული ე.წ. მცოცავი ოკუპაციის შედეგად, საცხებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სადღეისოდ ოკუპირებულია ქვეყნის ტერიტორიის ზემოაღნიშნულ ოფიციალურ მონაცემებში დაფიქსირებულზე ბევრად დიდი ის ნაწილი, რომლის თაობაზე მონაცემები არც ერთ ოფიციალურ წყაროში არ იძებნება.*

როგორსაც მიეკუთვნება საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად საქართველოს საკუთრებაში მოქცეული, ყოფილი საბჭოთა საქართველოს ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სახით არსებული, მეტად ღირებული ქონების მიტაცება-განიავების ისტორიული წარსული.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ქვეყნის საკუთრებად არსებული, მაღალი საწარმოო, სამომხმარებლო თუ ისტორიული ღირებულების მატერიალური აქტივების მიტაცება-განიავების ფაქტების სადღეისო პრობლემატიკასთან დაკავშირება, ეკონომისტთა გარკვეული ნაწილის მიერ შესაძლებელია ნაკლებად აქტუალურ საკითხად იქნეს მიჩნეული. მიუხედავად ამისა, არაპროფესიონალიზმის, არასწორი პოლიტიკური ორიენტაციისა და კორუფციული რისკების ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი ზემოქმედების სამომავლო პრევენციისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს პარლამენტის, 2001 წლის 16 თებერვლის 725 დადგენილებით რადიფიცირებული დოკუმენტის: «შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო საგარეო ვალისა და აქტივებთან მიმართებაში სამართალმემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგების შესახებ» უმძიმეს შედეგებზე.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული «შეთანხმების» მე-4 მუხლის შესაბამისად, ქართულმა მხარემ, იმ დროისათვის (2001 წელი) დაგროვილი სახელმწიფო საგარეო ვალის რესტრუქტურირებისათვის აუცილებელი, კრედიტორთა «პარიზის კლუბი»-სადმი რუსეთის ფედერაციის თანხმობის ნაცვლად, ოკუპანტის სასარგებლოდ დათმო „საბჭოთა კავშირის

აქტივებსა და სახელმწიფო საგარეო ვალთან მიმართებაში სამართალმემკვიდრეობის შესახებ 1991 წლის 4 დეკემბრის ხელშეკრულების“, („Договор о правопреемстве в отношении внешнего государственного долга и активов Союза ССР“ Договор составлен 4 декабря 1991 г.), პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ყველა ლოგიკით დაგროვილ ვალზე ბევრად მაღალი ღირებულების იმ ქონებიდან კუთვნილი წილი, რომელსაც განეკუთვნებოდა: ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მის საზღვრებს გარეთ არსებული მოძრავი და უძრავი ქონება, სავალუტო და ოქროს რეზერვები და ფონდები, საბჭოთა კავშირის მიერ მის საზღვრებს გარეთ განხორციელებული ინვესტიციები და საბჭოთა კავშირის მიმართ არსებული სხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ნებისმიერი უცხოელი დებიტორის ყველა ფინანსური ვალდებულება.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვის თვალსაზრისით, სრულიად გაუმართლებელი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების პარალელურად, თუ მხედველობაში მივიღებთ ქვეყანაში განხორციელებული ე.წ. ვაუჩერული პრივატიზების შედეგად სახელმწიფო ქონების დანაშაულებრივი გზით მითვისების ისტორიულ რეალობას, საქართველოს ეკონომიკის უმძიმესი მდგომარეობა გარკვეულწილად ლოგიკურ მოვლენადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ტერიტორიული და დემოგრაფიული პრობლემების მქონე ქვეყნის ქონების დანაშაულებრივი გზით მითვისება-განიავების ზემოაღნიშნული ფაქტების ფონზე, მნელია რაიმე მოვლენის პრობლემად მიჩნევა. თუმცა ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებზე მსჯელობისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ საქართველოს სახელმწიფო ვალის, ქვეყნის ფინანსური სისტემის მდგრადობისათვის საგანგაშო ოდენობით არსებობისა და პერმანენტული ზრდის უმძიმეს ტენდენციებს.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტისათვის საქართველოს სახელმწიფო ვალი პრაქტიკულად არ ფიქსირდებოდა. სახელმწიფო ვალის შესახებ ნორმატიული, (საკანონმდებლო) აქტით დადასტურებული ოფიციალური ინფორმაცია, ეროვნულ ვალუტაში (ლარი) შედგენილ საქართველოს პირველი წლიური ბიუჯეტის, კერძოდ, „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ტექსტში ფიქსირდება.

სამწუხაროდ, 1996 წლის შემდგომ, საქართველოს IV-X მოწვევის პარლამენტების მიერ ყოველწლიურად მიღებული ბიუჯეტის შესახებ, საქართველოს კანონებით განსაზღვრული სახელმწიფო ვალის ზღვრული პარამეტრები, პერმანენტული ზრდის არასასურველი ტენდენციით ხასიათდება (იხ. დანართი №1).

სიტუაციას არსებითად ვერ ცვლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, 2019 წლიდან ამოქმედებული, ეროვნულ ანგარიშთა ახალი (SNA-2008) სისტემით გადაანგარიშებული საქართველოს 2010-2019 წლების მთლიანი შიდა პროდუქტის, ძველი (SNA-1993) სისტემით გაანგარიშებულზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მაჩვენებლები და აღნიშნული «მანიპულირების» შედეგად, საქართველოს სახელმწიფო ვალის (განსაკუთრებით საგარეო) ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის, ასევე გაუმჯობესებული პარამეტრები (იხ. დანართი №1).

სახელმწიფო (განსაკუთრებით საგარეო) ვალის სტრუქტურისა და ოდენობის თვალსაზრისით, ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას მნიშვნელოვნად ამძიმებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოს: “საგარეო ვალის სტატისტიკა“-ის („External Debt Statistics, Guide for Compilers and Users“. International Monetary Fund. Washington, 2013) შესაბამისად, გაანგარიშებული საქართველოს „მთლიანი საგარეო ვალის“ ზრდის საშიში ტენდენციები (იხ. დანართი №2).

საქმე ისაა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის „საგარეო ვალის სტატისტიკა“-ის ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში დაფიქსირებული მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით გაანგარიშებული საქართველოს „მთლიანი საგარეო ვალი“-ს ოდენობა, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნად

აღმატება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებში, „სახელმწიფო საგარეო ვალი“-ს სახელწოდებით დაფიქსირებულ (იხ. დანართი №1) მაჩვენებლებს, მათი ყოველწლიური ოდენობები ასევე აღმატება მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი რედაქციით გამოცემული: „საგარეო ვალის მდგრადობის უზრუნველყოფის სისტემა“-ის (“Joint World Bank-IMF Debt Sustainability Framework for Low-Income Countries. March 19, 2019) სახელწოდების დოკუმენტით, დაბალი შემოსავლების ქვეყნებისათვის დადგენილ სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობის ზღვრულ მაჩვენებლებს (იხ. დანართი №2).

საქმე ისაა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტით დაბალი შემოსავლების ქვეყნებისათვის საგარეო ვალის, მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის 55%-ზე, ხოლო ექსპორტთან თანაფარდობის 240%-ზე მაღალი მაჩვენებელი, რისკის სახიფათო დონედ არის მიჩნეული. აქედან გამომდინარე, საქართველოს „მთლიანი საგარეო ვალი“-ს მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის 76,4%-108,8 პროცენტულ, ხოლო ექსპორტთან თანაფარდობის 190,0%-240,2 პროცენტულ დიაპაზონში მოხვედრილი პარამეტრები (რომლებიც მნიშვნელოვნად აღმატება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონების თანმდევ: „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები“-ს დოკუმენტებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს, იხ. დანართი №2), ქვეყანის საგარეო ვალის ოდენობის თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე მიგვანიშნებენ.

აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში, ამავე წლის 24 ივნისს შეტანილი შესწორების შედეგად, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული მაკროეკონომიკური პარამეტრების მნიშვნელოვანი გაუარესების ფაქტის, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციის არსებობით (ჩვენს შემთხვევაში კორონა ვირუსით გამოწვეული) გამართლება-არგუმენტირება.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და რიგი სხვა გარემოებების ზემოქმედებით საქართველოს ეკონომიკაში სადღეისოდ შექმნილი უმძიმესი სიტუაციის დამლევა, მეტად შეზღუდული, ხოლო პანდემიის (COVID-19) შედეგად კრიტიკულ ზღვარზე მყოფი ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, უკიდურესად რთულ და აქედან გამომდინარე, კომპლექსური მსჯელობის (არა მხოლოდ უცხოელ ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული მოსაზრებების) საგნად უნდა იქნეს მიჩნეული.

უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მეტად შეზღუდული ფინანსური პოტენციალი, პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის ეკონომიკის სრულფასოვანი სტიმულირებისათვის მსოფლიოში აპრობირებული ისეთი მიდგომების გამოყენებას, როგორცაა მიეკუთვნება:

- 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი ზემოქმედების დამლევისათვის, აშშ-ის მთავრობისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ, „რაოდენობრივი შემსუბუქების, „Quantitative easing“ სახელწოდებით ცნობილი მიზნობრივი პროგრამის ამოქმედება;

- კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში განხორციელებული „ჩაკეტვა-ლოკდაუნ(ებ)ის“ შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირებული სამომხმარებლო ბაზრის გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტიმულირებისათვის, მრავალი ქვეყნის მთავრობ(ებ)ის მიერ მოსახლეობის პირდაპირი საბიუჯეტო სუბსიდირება;

- გადასახადების მნიშვნელოვანი შემცირების გზით მეწარმე სუბიექტთა ფინანსური შესაძლებლობების სტიმულირება და სხვა.

ზემოაღნიშნული მიდგომებით საქართველოს ეკონომიკის სტიმულირებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების არ არსებობის პირობებში შექმნილი სიტუაციის დაძლევისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აქცენტები კონცენტრირებული იქნეს სამეწარმეო ხარჯების შემცირებით გაიფხულ პროდუქციაზე, გადახისუნარიანი მოთხოვნის ზრდის პროვოცირებასა და აღნიშნულის ხარჯზე ქვეყანის სამომხმარებლო ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობ მიმართულებებზე.

ამდენად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მეწარმე სუბიექტთა არაპროფილური ხარჯების გამომწვევ და აქედან გამომდინარე, წარმოებული პროდუქციის თუ გაწეული მომსახურების თვითღირებულების ზრდასთან დაკავშირებულ, ბოლომდე გაუაზრებელ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა მინიმიზება-ლიკვიდაციის საკითხებზე.

ლიბერალური სამეწარმეო გარემოს ფორმირებისა და მეწარმე სუბიექტებისათვის დაწესებული თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ გაუმართლებელი ფინანსური ვალდებულებების აღმოფხვრის ზემოაღნიშნული მიდგომის აქტუალობას ადასტურებს, ერთი შეხედვით ნაკლებად მნიშვნელოვანი, იმ მრავლისმეტყველი ფაქტის არსებობა, რომელიც უკავშირდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე-ს საქმიანობის დღევანდელ პრაქტიკას.

როგორც ცნობილია, საქართველოში სამეწარმეო სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა ხშირი ცვლილებებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, პროგნოზირებადი სამეწარმეო გარემოს ფორმირებისა და რიგი სხვა ფაქტორების (თუნდაც ახალი საკანონმდებლო ნორმის არ ცოდნით გამოწვეული სამართალდარღვევ(ებ)ის თავიდან ასცილების აქტუალობის) გათვალისწინებით, საკანონმდებლო სიახლეთა შესახებ მეწარმეთა დროულ ინფორმირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამდენად, სრულიად ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ საქმიანობის იმგვარი მიმართულები, როგორსაც მიეკუთვნება:

«-გ) მეწარმე სუბიექტებისათვის ფინანსური, ტექნიკური და საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერის მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

-ე) პოტენციური ინვესტორი პირებისა და ორგანიზაციების საინვესტიციო პრეზენტაციებით და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებით უზრუნველყოფა;“

მეწარმე სუბიექტთა სწავლება-კონსულტირების (მათ შორის საკანონმდებლო საკითხებში) პროცესის ქვეყნის ბიუჯეტიდან დაფინანსების ზემოაღნიშნული პრაქტიკის ფონზე, სრულიად აბსურდულ და, აქედან გამომდინარე, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დაქვემდებარებულ საკითხად უნდა მივიჩნიოთ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „საკანონმდებლო მაცნე“-ს საქმიანობის ის სადღეისო «წესი», რომლის პირობებშიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უწყება, სრულყოფილი ნორმატიული ბაზის გაცნობის მსურველ მეწარმე სუბიექტებს, საკუთარ ვებგვერდზე (<https://matsne.gov.ge/>) განთავსებული ინფორმაციით ამცნობს:

“თქვენ უყურებთ დოკუმენტის პირველად სახეს დოკუმენტის კონსოლიდირებული ვარიანტის ნახვა ფასიანია, აუცილებელია სისტემაში შესვლა და საჭიროების შემთხვევაში დათვალიერების უფლების ყიდვა, ...“

ზემოაღნიშნული მიდგომის ანალოგიურ, კერძოდ, სამეწარმეო ხარჯების მინიმიზებისა და ამდენად, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება მოითხოვს, ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის ღრმად დეფიციტური ხასიათის, სასურსათო უსაფრთხოების არსებული დონისა და კორონავირუსთან ბრძოლის პროცესში, მკვეთრად დამძიმებული სოციალური გარემოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ისეთი ღონისძიებები, როგორსაც განეკუთვნება, ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საწარმოო დანახარჯების შემცირება.

რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი შესწორებების შედეგად, დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლების მეტად შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი, რომელიც სადღეისოდ ვრცელდება საქართველოში წარმოებული მხოლოდ პირველადი სახით (სამრეწველო გადამუშავებამდე) მიწოდებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, ასევე გავრცელებული იქნეს ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების შედეგად მიღებული ნაწარმის-პროდუქციის (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა) მიწოდებაც.

ზემოაღნიშნული მიდგომის რეალიზებისათვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ და „ფ“ ქვეპუნქტები, გაერთიანებული უნდა იქნეს ქვემოთ მოყვანილი რედაქციის ერთ ქვეპუნქტად.

კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, ასევე გათავისუფლებულია:

„უ) საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ამ პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების შედეგად მთლიანად მიღებული საქონლის (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 22 ჯგუფში მითითებული ალკოჰოლური სასმელების) მიწოდება.“

ხოლო ამავე ნაწილის «ფ» ქვეპუნქტი ამოღებული უნდა იქნეს დოკუმენტის ტექსტიდან.

უკანასკნელი წლების ტრადიციად ქვეული ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების საბიუჯეტო სუბსიდირების ნაცვლოდ, მათი წარმოების ხარჯების შემცირებით, კორექტირებულზე სავარაუდოდ გაზრდილი რეალიზაციის გზით, საწარმოო პროცესების სტიმულირების ზემოაღნიშნული მიდგომების რეალიზებისათვის, ჩვენი აზრით, სათანადო კორექტირებას საჭიროებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 173-ე მუხლის „რ“ ქვეპუნქტის ის დებულებები, რომელთა თანახმადაც ჩათვლის უფლების გარეშე დამატებული ღირებულების გადახდისაგან თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების, აგროქიმიკატებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ იმპორტი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტიმულირებაზე ორიენტირებული აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის არსებობა, ერთი შეხედვით, მხოლოდ დადებითი შეფასებას იმსახურებს, თუმცა მისი სიღრმისეული ანალიზი მის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს ცხადყოფს.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული ნორმის „ . . . პირობებში მეწარმე სუბიექტები, რომლებსაც გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობა თვითონ განახორციელონ პესტიციდების, აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, სათესი და სარგავი მასალების იმპორტი, აღნიშნულ საქონელს დამატებული ღირებულების გადასახადის გადაუხდელად, ანუ მნიშვნელოვნად დაბალ ფასებში იღებენ, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები (ძირითადად გლეხური მეურნეობები), რომლებსაც არ გააჩნიათ შესაძლებლობა თვითონ განახორციელონ მათთვის საჭირო ზემოაღნიშნული საქონლის იმპორტი, ამ საქონელს დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრილი სახით მოიხმარენ.“

შექმნილი სიტუაციით განპირობებული არაკონკურენტული სამეწარმეო გარემოს, როგორც სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარების ხელშემშლელი ფაქტორის დამღვეისა და ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების ოპტიმიზებით, მათი წარმოების პროცესის სტიმულირებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მიღებული იქნეს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული საქონლის როგორც იმპორტის, ისე ქვეყნის შიგნით მიწოდების, დამატებული ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

რისთვისაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის პირველ ნაწილს „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იქნეს შემდეგი რედაქციით:

“1. დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია:

„დ) ამ კოდექსის 173-ე მუხლის „ა“-„ო“ და „რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება.“

შემოთავაზებული საკანონმდებლო ნორმის ამოქმედების შედეგად მოსალოდნელი საბიუჯეტო დანაკარგების გარკვეული კომპენსირებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მიღებული იქნეს გადაწყვეტილება ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერჯის ექსპორტის მეტად შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის კორექტირების თაობაზე.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ელექტროენერჯის ექსპორტის დამატებული ღირებულების გადასახადისაგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლების უადრესად შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის, კერძოდ, ექსპორტირებული ელექტროენერჯის წარმოების პროცესში გადახდილი დღგ-ს ქვეყნის ბიუჯეტიდან უკან დაბრუნებით გამოწვეული სარგებლის ძირითად ბენეფიციარებად, ელექტროენერჯის ექსპორტიორების შეზღუდული წრის პარალელურად, ძირითადად არარეზიდენტი მომხმარებლები გვევლინებიან. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ელექტროენერჯის ექსპორტის დაბეგვრის არსებული რეჟიმი ჩანაცვლებული იქნეს, ქვეყნის ბიუჯეტისათვის ნაკლებად მტკივნეული, ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისაგან განთავისუფლების საგადასახადო რეჟიმით.

ზემოაღნიშნულის პარალელურად ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების პროცესის სტიმულირებისათვის, ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მუშაობა დაიწყოს, ერთის მხრივ, სამეწარმეო გარემოს გაუარესების დატვირთვის არმქონე საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის, ხოლო, მეორეს მხრივ, ქვეყანაში არსებული გადახდისუნარიანი მოთხოვნის რეალურად არშემცირების არსის მატარებელ ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა მიეკუთვნება, სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდი“-ს შემოსავლების წყაროდ გამოყენებული („სააქციო საზოგადოებების „საქართველოს რკინიგზის“, „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აქციების 100%-ზე გასანაწილებელი მოგების“) თანხების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებად ტრანსფორმირება და ანალოგიური ხასიათის სხვა გადაწყვეტილებები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა., თბილისი, 1981 გვ. 310., 335
2. „საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები“ ტომი I საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისი 2003 წ. [HTTP://CENSUS.GE/GE/2002-RESULTS/](http://census.ge/ge/2002-RESULTS/) გვ.110
3. „მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები“. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) [http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf) გვ.4
4. „საგარეო სექტორის სტატისტიკა მეთოდოლოგიური განმარტებები“ <https://www.nbg.gov.ge/index.p0hp?m=34> გვ.6
5. -JOINT WORLD BANK-IMF DEBT SUSTAINABILITY FRAMEWORK FOR LOW-INCOME COUNTRIES. MARCH 19, 2019“ [HTTPS://WWW.IMF.ORG/EXTERNAL/PUBS/FT/DSA/LIC.HTM](https://www.imf.org/external/pubs/ft/dsa/lic.htm)
6. გიორგაშვილი პ., ჭელიძე დ. „საგადასახადო კანონმდებლობა როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორი“ ჟურნალი ბიზნეს-ინჟინერინგი 2013 #2 გვ. 205
7. ხუციშვილი ა., ჭელიძე ლ., ჭელიძე დ. „საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა და მართვის თავისებურებები“ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სამეცნიერო ნაშრომების კრებული #1, თბილისი. 2019 გვ. 32
8. დათო კრაწაშვილი – ლექსები <https://burusi.wordpress.com/2009/05/23/david-kratsashvili-4/>
9. საქართველოს მთავრობა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. აფხაზეთი [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=213](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=213) (ბოლო ნახვა 09.04.21.)

10. საქართველოს მთავრობა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქი [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=214](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=214) (ბოლო ნახვა 09.04.21.)

11. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. რეგიონის შესახებ. <https://smr.gov.ge/ge/page/14/regionis-shesaxe> (ბოლო ნახვა 09.04.21.)

12. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო [https://www.mof.ge/saxelmwifo\\_biujeti\\_wlebis\\_mixedvit](https://www.mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit)

13. საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/ka/single-categories/113/sakartvelos-mtliani-shida-produkti>

15. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167887?publication=0> (ბოლო ნახვა 09.04.21.)

16. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილება „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის-აწარმოე საქართველოში დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის ბრძანება #1-1/217

17. „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო საგარეო ვალისა და აქტივებთან მიმართებაში სამართალმემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგების შესახებ“ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 16 თებერვლის N 725 დადგენილებით

18. «Соглашение между Российской Федерацией и Республикой Грузия об урегулировании во-просов правопреемства в отношении внешнего государственного долга и активов бывшего Союза ССР» <http://docs.cntd.ru/document/901793582>

19. რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის 1991 წლის 4 დეკემბრის ხელშეკრულება. „საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგარეო ვალთან და აქტივებთან მიმართებაში სამართალმემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგების შესახებ“ (არაოფიციალური წინამდებარე სტატიის ავტორისეული თარგმანი)

20. Договор о правопреемстве в отношении внешнего государственного долга и активов Сою-за ССР“ Договор составлен 4 декабря 1991 г. в г. Москве на русском языке. <http://docs.cntd.ru/document/901777444>

*David Chelidze*

### **THIRTY YEARS OF GEORGIA'S INDEPENDENCE, ACCUMULATED PROBLEMS AND STIMULATING THE SOLVENT DEMAND OF THE COUNTRY'S CONSUMER MARKET AS ONE OF THE LEVERS OF ECONOMIC GROWTH**

#### **Summary**

The article is aimed at highlighting/asserting historical realities of occupation of historically owned and internationally recognized territories; decreasing number of population; increasing national (especially foreign) debt, and embezzlement/misuse of national assets, and looking for the ways of overcoming thses issues.

Traditionally limited, and in the conditions of a pandemic- (COVID-19) budget potential of the verge of collapse, the lever for effective economic stimulation is not budget subsidies, but the use of increased demand for products on the basis of cost-cutting approaches by activating approaches to optimize production costs of entrepreneurs, stimulating the production process.

In order to realize these considerations, this work presents the draft amendments to the Tax Code of Georgia, aimed at reducing the cost of agricultural products produced in Georgia, and recommendations for ensuring some compensation for the estimated budget losses as a result of their implementation.



საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და სახელმწიფო ვალის დინამიკა (მლნ. ლარი)

| სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები   | 1996<br>IV    | 1997<br>IV | 1998<br>IV | 1999<br>IV/V | 2000<br>V | 2001<br>V | 2002<br>V | 2003<br>V | 2004**<br>*V/VI | 2005<br>VI | 2006<br>VI | 2007<br>VI | 2008<br>VI/VII | 2009<br>VII |
|---|---------------|------------|------------|--------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------------|------------|------------|------------|----------------|-------------|
| მშპმიმდინარე ფასებში  | 3868,5*       | 4554,9     | 5022,1     | 5668,7       | 6043,1    | 6674,0    | 7456,0    | 8564,1    | 9824,3          | 11620,9    | 13789,9    | 16993,8    | 19074,9        | 17986,0     |
| ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით (SNA 1993) გაანგარიშ. მშპ-ს ზრდის ტემპი 1996=100 | 100,0         | 117,7      | 129,8      | 146,5        | 156,2     | 172,5     | 192,7     | 221,4     | 253,9           | 300,4      | 356,5      | 439,32     | 493,1          | 464,9       |
| ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით (SNA 2008) გაანგარიშ. მშპ-ს ზრდის ტემპი 2010=100 | -             | -          | -          | -            | -         | -         | -         | -         | -               | -          | -          | -          | -              | -           |
| სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობა  | 116,6<br>**** | 200,0      | 177,0      | 4983,0       | 5292,0    | 5430,0    | 5657,0    | 5569,4    | 5755,5          | 5890,0     | 5181,9     | 4511,6     | 4493,1         | 6256,8      |
| ზრდის ტემპი, 1996=100   | 100,0         | 171,5      | 151,8      | 4273,6       | 4538,6    | 4656,9    | 4851,6    | 4776,5    | 4936,1          | 5051,5     | 4444,2     | 3869,3     | 3853,4         | 5366,0      |
| შეფარდება (SNA 1993) სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან                                   | 3,0           | 4,4        | 3,5        | 87,9         | 87,6      | 81,4      | 75,9      | 65,0      | 58,6            | 50,7       | 37,6       | 26,5       | 23,6           | 34,8        |
| შეფარდება (SNA 2008) სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან                                   | -             | -          | -          | -            | -         | -         | -         | -         | -               | -          | -          | -          | -              | -           |
| სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული ოდენობა  | -             | 97,6       | 90,0       | 1173,0       | 1340,0    | 1450,0    | 1557,0    | 1614,0    | 1600,0          | 1640,0     | 1640,0     | 1490,0     | 1458,9         | 1422,9      |
| ზრდის ტემპი, 1997=100   | -             | 100,0      | 92,2       | 1201,8       | 1372,9    | 1485,6    | 1595,3    | 1653,7    | 1639,3          | 1680,3     | 1680,3     | 1526,6     | 1494,8         | 457,9       |
| შეფარდება (SNA 1993) სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან                                   | -             | 2,1        | 1,8        | 20,7         | 22,2      | 21,7      | 20,9      | 18,8      | 16,3            | 14,1       | 11,9       | 8,8        | 7,6            | 7,9         |
| შეფარდება (SNA 2008) სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან                                   | -             | -          | -          | -            | -         | -         | -         | -         | -               | -          | -          | -          | -              | -           |
| სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული ოდენობა  | -             | 102,4      | 87,0       | 3810,0       | 3952,0    | 3980,0    | 4100,0    | 3955,4    | 4155,5          | 4250,0     | 3541,9     | 3021,6     | 3034,2         | 4833,9      |
| ზრდის ტემპი 1997=100  | -             | 100,0      | -15,0      | 3720,7       | 859,4     | 3886,7    | 4003,9    | 3862,7    | 4058,1          | 4150,4     | 3458,9     | 2950,8     | 2963,1         | 4720,6      |
| შეფარდება (SNA 1993) სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან                                   | -             | 2,2        | 1,7        | 67,2         | 65,4      | 59,6      | 55,0      | 46,2      | 42,3            | 36,6       | 25,7       | 17,8       | 15,9           | 26,9        |
| შეფარდება (SNA 2008) სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან                                   | -             | -          | -          | -            | -         | -         | -         | -         | -               | -          | -          | -          | -              | -           |

| სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები   | 2010 VII      | 2011 VII       | 2012 VII/VIII  | 2013 VIII     | 2014 VIII      | 2015 VIII      | 2016 VIII/IX   | 2017 IX        | 2018 IX        | 2019 IX        | 2020 IX        | 2021 X         |
|---|---------------|----------------|----------------|---------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| მშპმინდინარე ფასებში  | 0743,4*       | 4344,0         | 26167,3        | 6847,4        | 9150,5         | 31755,6        | 34028,5        | 37846,6        | 41100,0        | -              | -              | -              |
|   | 21821,6**     | 25478,7        | 27227,3        | 28593,0       | 31124,1        | 33935,0        | 35836,0        | 40761,7        | 44599,3        | 49252,7        | -              | -              |
| <i>ეროვნულანგარიშთა 1993 წლის სისტემით (SNA 1993) გაანგარიშებული მშპ-ს ზრდის ტემპი 1996=100</i> | 536,2         | 629,3          | 676,4          | 694,0         | 753,5          | 820,9          | 879,6          | 978,3          | 1062,4         | -              | -              | -              |
| <i>ეროვნულანგარიშთა 2008 წლის სისტემით (SNA 2008) გაანგარიშებული მშპ-ს ზრდის ტემპი 2010=100</i> | 100,0         | 116,8          | 124,8          | 131,0         | 142,6          | 155,5          | 164,2          | 186,8          | 204,4          | 225,7          | -              | -              |
| <b>სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობა</b>   | <b>8809,1</b> | <b>10670,5</b> | <b>10039,5</b> | <b>9578,1</b> | <b>10410,1</b> | <b>11808,6</b> | <b>14575,5</b> | <b>15909,4</b> | <b>17931,4</b> | <b>19787,2</b> | <b>23434,9</b> | <b>33680,1</b> |
| <i>ზრდის ტემპი, 1996=100</i>  | 7555,0        | 9151,4         | 8610,2         | 8214,5        | 8928,0         | 10127,4        | 12500,4        | 13644,4        | 15378,6        | 16970,1        | 20098,5        | 28885,2        |
| <i>შეფარდება (SNA 1993) წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</i>                                 | 42,5          | 43,8           | 38,4           | 35,7          | 35,7           | 37,2           | 42,8           | 42,0           | 43,6           | -              | -              | -              |
| <i>შეფარდება (SNA 2008) წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</i>                                 | 40,4          | 41,9           | 36,9           | 33,5          | 33,4           | 34,8           | 40,7           | 39,0           | 40,2           | 40,2           | -              | -              |
| <b>სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული ოდენობა</b>   | <b>1747,9</b> | <b>1911,9</b>  | <b>1922,5</b>  | <b>2025,9</b> | <b>2584,2</b>  | <b>3117,7</b>  | <b>2997,7</b>  | <b>3562,7</b>  | <b>3905,0</b>  | <b>4400,0</b>  | <b>5466,8</b>  | <b>5945,8</b>  |
| <i>ზრდის ტემპი, 1997=100</i>  | 1790,9        | 1958,9         | 1969,8         | 2075,7        | 2647,7         | 3194,4         | 3071,4         | 3650,3         | 4101,0         | 4508,2         | 5601,2         | 6092,0         |
| <i>შეფარდება (SNA 1993) წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</i>                                 | 8,4           |                |                |               |                |                |                |                |                |                | -              | -              |
| <i>შეფარდება (SNA 2008) წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</i>                                 |               | 7,8            | 7,3            | 7,5           | 8,9            | 9,8            | 8,8            | 9,4            | 9,5            | -              | -              | -              |
|   | 8,0           |                |                |               |                |                |                |                |                |                | -              | -              |
|   |               | 7,5            | 7,1            | 7,1           | 8,3            | 9,2            | 8,4            | 8,7            | 8,8            | 8,9            |                |                |
| <b>სახელმწიფო საგარეო ვალის ზღვრული ოდენობა</b>   | <b>7061,2</b> | <b>8758,6</b>  | <b>8117,0</b>  | <b>7552,2</b> | <b>7825,9</b>  | <b>8690,9</b>  | <b>11577,7</b> | <b>12346,7</b> | <b>14026,4</b> | <b>15387,2</b> | <b>17968,1</b> | <b>27734,4</b> |
| <i>ზრდის ტემპი 1997=100</i>   | 6895,7        | 8553,3         | 7926,8         | 7375,2        | 7642,5         | 8487,2         | 11306,3        |                | 13697,7        | 15026,6        | 17547,0        | 27084,4        |
|   |               |                |                |               |                |                |                | 12057,3        |                |                |                |                |
| <i>შეფარდება (SNA 1993) წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</i>                                 | 34,0          | 36,0           | 31,0           | 28,1          | 26,8           | 27,4           | 34,0           | 32,6           | 34,1           | -              | -              | -              |
| <i>შეფარდება (SNA 2008) წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</i>                                 | 32,4          | 34,4           | 29,8           | 26,4          | 25,1           | 25,6           | 32,3           | 30,3           | 31,4           | 31,2           | -              | -              |

I. ცხრილი შედგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს –სტატისტიკის დეპარტამენტის, საქართველოს ეროვნული ბაჟის მონაცემებსა ([http://www. Statistics.ge](http://www.Statistics.ge), [http://www.nbg.gov.ge/NBG New Geo/Publications/Buletin/](http://www.nbg.gov.ge/NBG>NewGeo/Publications/Buletin/)) და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ შესაბამისი წლების კანონების მიღების დღისათვის (გარდა 2020 წლის მონაცემისა) ამ კანონებში დაფიქსირებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

\* მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშებული ანგარიშთა ეროვნული სისტემის 1993 წლის მეთოდოლოგიის (SNA-1993) საფუძველზე.

\*\* მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშებული ანგარიშთა ეროვნული სისტემის 2008 წლის მეთოდოლოგიის (SNA-2008) საფუძველზე.

\*\*\* საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის ინტერნეტ პროგრამა “საკანონმდებლო მაცნე“-ში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)) არ არსებობს გამოცხადებული მონაცემები შეტანილია პირად არქივში არსებული საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს 2004 წლის 11 მაისის №47-I ს კანონიდან.

\*\*\*\* “საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 8 თებერვლის კანონში ცალსახად არ ფიქსირდება სახელმწიფო (მათ შორის საგარეო და საშინაო) ვალის ზღვრული მოცულობა. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემი აღებულია აღნიშნული კანონის მე-6 მუხლში არსებულ ფორმულირებაზე, კერძოდ: -“განისაზღვროს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დასაფარავად მსოფლიო ბანკიდან მიღებული სესხის გამოყენების ზღვრული ოდენობა 116.607 ათასი ლარის ოდენობით.” დაყრდნობით.

მთლიანი სახელმწიფო ვალის ოდენობისა და მისი მდგრადობის ზღვრული მაჩვენებლების დინამიკა

| სახ. ვალის მდგრადობის ზღვრული პარამეტრები                                  |     |     |     | საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონების თანმდევი დოკუმენტის „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები“-ს მაჩვენებლები |          |          |          |          |          |          |          |          |          |                         |           |  |
|--|-----|-----|-----|---|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|----------|-------------------------|-----------|--|
|  | სუს | საშ | ძლ  | 2010 ფაქ  | 2011 ფაქ | 2012 ფაქ | 2013 ფაქ | 2014 ფაქ | 2015 ფაქ | 2016 ფაქ | 2017 ფაქ | 2018 ფაქ | 2019 ფაქ | 2020 მოს                | 2021 პროგ |  |
| მთავრობის (სახელ) ვალი პროც-ად მშპ-თან *                                   | 35  | 55  | 70  | 42,4  | 36,5     | 34,8     | 34,7     | 35,4     | 39,2     | 42,4     | 39,4     | 38,9     | 40,4     | 59,9                    | 60,1      |  |
| მთავრობის (სახ) საგარეო ვალი პროც-ად მშპ-თან *                             | 30  | 40  | 55  | 33,6  | 28,8     | 27,6     | 27,2     | 26,6     | 32,4     | 35,1     | 32,4     | 31,6     | 32,0     | 47,7                    | 48,9      |  |
| მთავრობის(სახელ) საგარეო ვალი პროც-ად ექსპ-თან*                            | 140 | 180 | 240 | 96,8  | 80,3     | 72,1     | 58,3     | 58,6     | 69,7     | 72,4     | 67,4     | 59,2     | 57,5     | 124,1                   | 126,5     |  |
| მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდ. ფასებში(მლნ. ლარი) **                          |     |     |     | 21821,6   | 25478,7  | 27227,3  | 28593,0  | 31124,1  | 33935,0  | 35836,0  | 40761,7  | 44599,3  | 49252,7  | -                       | -         |  |
| მთლიანი საგარეო ვალი შესაბამის. წლის 31 დეკემბრის მდგომარ. (მლნ. დოლ.) *** |     |     |     | 10243,8   | 11722,9  | 13419,9  | 13438,5  | 13994,4  | 15319,1  | 15946,0  | 17331,5  | 17840,9  | 18632,5  | 30.09.20-ის მდგ 19665,0 | -         |  |
| გაცვლითი კურსი დოლარი/ლარი****   |     |     |     | 1,7   | -        | 1,7      | 1,7      | 1,7      | 1,8      | 2,4      | 2,5      | 2,5      | 2,66     | 2,9841                  | 3,3137    |  |
| მთლიანი საგარ ვალი (მლნ. ლარი)   |     |     |     | 17414,5   | -        | 22813,8  | 22845,5  | 23790,5  | 27574,4  | 38387,8  | 43328,8  | 44602,3  | 49562,5  | 58682,3                 | -         |  |
| ექსპორტი (მლნ. ლარი)*****  |     |     |     | 7250,0  | 8822,9   | 9983,4   | 11992,4  | 12522,3  | 13990,9  | 14735,6  | 18972,2  | 22545,1  | 26898,7  | 17891,0                 | 20686,5   |  |
| სახ. ვალის მდგრადობის ზღვრ.პარამეტრები                                     |     |     |     | საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული საქართველოს „მთლიანი საგარეო ვალი“-ს მაჩვენებლები                               |          |          |          |          |          |          |          |          |          |                         |           |  |
|  | სუს | საშ | ძლ  | 2010 ფაქ  | 2011 ფაქ | 2012 ფაქ | 2013 ფაქ | 2014 ფაქ | 2015 ფაქ | 2016 ფაქ | 2017 ფაქ | 2018 ფაქ | 2019 ფაქ | 2020                    | 2021      |  |
| მთლიანი სახ. ვალი პროც-ად მშპ-თან  | 35  | 55  | 70  | -   | -        | -        | -        | -        | -        | -        | -        | -        | -        | -                       | -         |  |
| მთლიანი საგ. ვალი პროც-ად მშპ-თან  | 30  | 40  | 55  | 79,8  | -        | 83,8     | 79,9     | 76,4     | 81,3     | 107,1    | 106,3    | 100,0    | 101,6    | -                       | -         |  |
| მთლ. საგ. ვალი პროც-ად ექსპ-თან  | 140 | 180 | 240 | 240,2   | -        | 228,5    | 190,41   | 190,0    | 197,1    | 260,5    | 228,4    | 197,8    | 184,3    | 328,0                   | -         |  |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი.  
 \* „მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი დოკუმენტით, „საგარეო ვალის მდგრადობის უზრუნველყოფი სისტემა“ (“Joint World Bank-IMF Debt Sustainability Framework for Low-Income Countries. March 19, 2019) ითვალისწინებს საგარეო ვალის მომსახურების პროცენტულ შეზღუდვას ბიუჯეტის შემოსავლებთან და არა საგარეო ვალს პროცენტულ თანაფარდობას ბიუჯეტის შემოსავლებთან როგორც ეს ფიქსირდება „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები“ დოკუმენტში.  
 \*\* მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში (მლნ.ლარი) გაანგარიშებული ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის(შ 2008) სისტემით  
 \* \* \* მთლიანი საგარეო ვალის შესახებ მონაცემები აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებიდან: საგარეო ვალი ( -5) იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის ოდენობა ფიქსირდება მხოლოდ აშშ დოლარში, აღნიშნული მაჩვენებლის ეროვნულ ვალუტაში დასაფიქსირებლად, გამოყენებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი წლების კანონებში (გარდა 2011 წლისა, რადგან «საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონში ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის შესახებ მონაცემი არ იქმნებოდა) დაფიქსირებული ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის მონაცემები.  
 მთლიანი სახელმწიფო (საგარეო და საშინაო) ვალის ოდენობა საქართველოს ეროვნული ბანკის ზემოაღნიშნულ მონაცემებში არ ფიქსირდება.  
 \* \* \* \* ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის შესახებ მონაცემები აღებულია „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ შესაბამისი წლების კანონების მიღების დღისათვის (და არა შეტანილ შესწორებებში) ამ კანონებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით.  
 \* \* \* \* \* ექსპორტის შესახებ მონაცემების აღებულია შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანმდევი „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები“-ს სახელწოდების მქონე დოკუმენტის ტექსტიდან.  
 . Joint World Bank-IMF Debt Sustainability Framework for Low-Income Countries. <https://www.imf.org/en/About/Factsheets/Sheets/2016/08/01/16/39/Debt-Sustainability-Framework-for-Low-Income-Countries>

**„ახალი კორონავირუსის“ (COVID-19) ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მისი მოსალოდნელი შედეგები**

**ანოტაცია.** ახალი კორონავირუსი (COVID-19) ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად იქცა თანამედროვე მსოფლიოში. მილიონობით დაკარგული სამუშაო ადგილი, გაზრდილი სიღარიბე, გარკვეული ტიპის ბარიერები სამედიცინო სერვისების მიღებისას, დაკეტილი სკოლები, გაჩერებული ეკონომიკა და ა.შ. წარმოადგენს იმ არასრულ სიას, რაც პანდემიამ მოიტანა, რაც მძიმე ტვირთად აწვება ნებისმიერ სახელმწიფოს, განსაკუთრებით გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. თუ რა გავლენა ექნება პანდემიას მსოფლიო ეკონომიკაზე, რომლის შემადგენელ ნაწილადაც საქართველოს ეკონომიკა უნდა მივიჩნიოთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება მისი გავრცელების ტემპები. ამავდროულად მნიშვნელოვანია, თუ რა ვადებში იქნება შექმნილი ახალი ვაქცინა და მთავრობის სურვილზე სწრაფად და ეფექტიანად აღადგინოს პანდემიის შედეგად დაზარალებული ეკონომიკა. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებული არის სწორედ პანდემიის შედეგად დაზარალებული საქართველოს ეკონომიკის ცალკეული სექტორები, დასახულია მათი გადაჭრის გზები და შემუშავებული გარკვეული ტიპის რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** COVID-19, საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური პროცესები, სექტორული ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობები.

**შესავალი**

ახალი კორონა ვირუსი (COVID-19) თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად არის ქცეული, რადგან მან დიდი გავლენა მოახდინა მოსახლეობის არა მარტო ჯანმრთელობაზე, არამედ მათ კეთილდღეობაზეც. 2019 წლისთვის ჩინეთის პროვინცია უჰანში გაჩენილი ვირუსი, სულ რამდენიმე თვეში მსოფლიო პანდემიად იქცა. მსოფლიო ეკონომიკაზე COVID-19-ის ნეგატიური ეფექტი ახლა უკვე შეუქცევად მოცემულობად უნდა აღვიქვათ. მილიონობით დაკარგული სამუშაო ადგილი, შემოსავლების შემცირება და სიღარიბე წარმოადგენს იმ არასრულ სიას, რაც პანდემიის შედეგებად უნდა განვიხილოთ. თუ რა ზეგავლენას მოახდენს პანდემია მსოფლიო ეკონომიკაზე, დიდწილად დამოკიდებულია ვირუსის გავრცელების ტემპებზე, ასევე ვაქცინის შექმნის ვადებსა და სახელმწიფოს უნარზე, კონკრეტულ ვითარებაში ეფექტიანად მოქმედების უნარზე. მოცემულ სიტუაციაში კონკრეტული პროგნოზების გაკეთება საკმაოდ რთულია, რადგან არსებული სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება. ასეთ ვითარებაში საკმაოდ რთულდება კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებაც.

თითოეულ სახელმწიფოს პანდემიის მართვის საუკთარი ისტორია გააჩნია. ზოგიერთმა მათგანმა, განსაკუთრებით კი განვითარებულმა ქვეყნებმა, არსებულ სიმწიფეებს თავი გარკვეულწილად გაართვა, ხოლო უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები, მძლავრი ეკონომიკური სიმწიფეების წინაშე აღმოჩნდა. გარდა ჯანდაცვის სისტემის წნეხისა, პანდემიამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზე. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი განსხვავებული ინტენსივობით გრძნობს ნეგატიურ ეფექტებს, ხოლო სხვადასხვა ქვეყანაში არსებული უარყოფითი გავლენა განსხვავებული ინტენსივობით ხასიათდება, რადგან აღნიშნული ქვეყნები ხასიათდება სპეციფიკური ფაქტორებით და თავისებურებებით.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები, ეკონომიკაზე პანდემიით გამოწვეულ ზეგავლენას სხვადასხვაგვარად აფასებს. მაგალითად, აზიის განვითარების ბანკი მის მიერვე გავრცელებულ ანგარიშში, განიხილავს პანდემიის შედეგების სამ სცენარს: საუკეთესო, საშუალო და უარესი სცენარი, რომლის კვლევის თანახმად, პანდემია \$77 მლრდ აშშ დოლარიდან (მშპ-ს 0,08%) \$347 მლრდ აშშ დოლარამდე (მშპ-ს 0,4%)

ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას (ADB, 2020 გვ.9). გაეროს კვლევის თანახმად, მსოფლიოში ეკონომიკის ზრდა -2,5%-ს მიაღწევს, ხოლო ზარალი კი ტრილიონ დოლარს მიაღწევს (UN, 2020: გვ. 1). უფრო უარესი სცენარის მიხედვით, აღნიშნული მონაცემი შეიძლება გაორმაგდეს. შედარებით დიდი ზიანი შეიძლება მიაღვეს ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს, რადგან მოსალოდნელია ასეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპების მინიმუმ 1%-იანი შემცირება (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი: გვ 2). მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის მიყენებას ელოდებიან განვითარებადი ქვეყნებისთვის.

ახალი კორონავირუსის მიმართ საქართველოს ეკონომიკა მაღალი მოწყვლადობით ხასიათდება. ყოველივე ეს გამოწვეული არის სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორებით. უპირველეს ყოვლისა, გამოსაყოფია მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა, სადაც ფაქტობრივად ყველაზე მეტად დაზარალდა ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორცაა: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, მშენებლობის სექტორი. რაც შეეხება ტურისტულ სექტორს. მისმა გაჩერებამ ორმაგი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, რადგან აღნიშნული სექტორის გაჩერებით მნიშვნელოვნად დაზარალდა შრომის ბაზარი, ხოლო ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის თვალსაზრისით, ტურიზმიდან მიღებული ფინანსური კაპიტალი, ფულადი გზავნილები, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად, ლარის გამყარების წინაპირობას ქმნიდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები შეიქმნა შრომის ბაზრის სტრუქტურასთან დაკავშირებით, სადაც დაქირავებით დასაქმებულთა შორის მაღალია ე.წ. „პრეკარიულ“ და არასტაბილურ სამსახურებში დასაქმებულთა წილი, როგორცაა მომსახურების სფერო, ატიპიური დასაქმებები, სეზონური დასაქმება თუ სხვა. ასეთ პირობებში, უნდა ვივარაუდოთ უმუშევრობის გაზრდა, სადაც დაქირავებით დასაქმებულ მშრომელთა საერთო რაოდენობის 30%, სამსახურის დაკარგვის მაღალი რისკის წინაშე დგას, ხოლო თვითდასაქმებულთა 83,5%-ს მოუწევს შემოსავლების ვარდნასა და შემცირებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან გამკლავება (ISET 2020: გვ.3).

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, საქართველოსთვის იქმნება დადებითი ეფექტი, რაც გამოიხატება იმ ფაქტში, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მოელის ევროპის საზღვრების სიახლოვით, მიწოდების ჯაჭვის შექმნას. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, ახალი გლობალური წესრიგით, ეკონომიკური სარგებლის მიღების თვალსაზრისით.

### **„ახალი კორონა ვირუსის“ (COVID-19)-ის სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე**

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ახალი კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ ფაქტს წინ უსწრებდა 2020 წლის 30 იანვარს ჯანმოს მიერ კორონავირუსის გლობალურ საფრთხედ გამოცხადება. ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო, რომელიც გამოწვეული იყო კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამის მასიური გავრცელებით. 21 იანვარს ჩინეთმა დაადასტურა, რომ კორონავირუსი გადამდებია, რის გამოც ქვეყნის ორ ქალაქში სრული კარანტინი გამოცხადდა.

საქართველოს ხელისუფლება ჰქონდა მომზადების საკმარისი დრო. მთავრობის პირველი ნაბიჯები მიმართული იყო მოზომილი გაფრთხილებები, ხოლო ჩინეთში სიტუაციის დამძიმებასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო საქართველოს მოქალაქეების ევაკუაცია მაღალი რისკის ქვეყნებიდან. მარტში ვირუსის შეკავების პრევენციის მიზნით, მთავრობის ქმედებები კიდევ უფრო სტრუქტურირებული გახდა, რაც გამოიხატებოდა საზღვრების კონტროლის გამკაცრებით. უკვე მარტის შუა რიცხვებიდან უწყებათაშორისი საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე დაიწყო შეზღუდვების შემოღება, რაც გამოიხატებოდა კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული ღონისძიებების გადადებით. აგრეთვე, გაიცა რეკომენდაცია დისტანაციურ მუშაობაზე გადასვლის შესახებ. აპრილის შუა რიცხვებიდან კი,

გარკვეული გამონაკლისების გარდა, შეწყდა თითქმის ყველა ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის დაწესდა შეზღუდვები საქალქათაშორისო მოძრაობაზე, ავტომობილებით გადაადგილებაზე, გამოცხადდა კომენდატის საათი.

ეკონომიკის სრული იზოლაციით ქვეყნის სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 24 აპრილს წარდგენილ იქნა ეკონომიკის ამოქმედების 6-ეტაპიანი გეგმა, რომელთა შორის ინტერვალი 2 კვირას შეადგენდა. თუმცა, ეპიდვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნული ვადები დაჩქარდა. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, ხელისუფლების მხრიდან წარმოდგენილ იქნა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობის და ბიზნესის დახმარებას. აღნიშნული გეგმა ძირითადად სოციალურ ხასიათს ატარებდა, რათა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში შემცირებულიყო ნეგატიური ზეგავლენა. რიგითი მოქალაქისთვის უნდა გამოეყოთ კომუნალური მომსახურების თანადაფინანსების მექანიზმი, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის, 6 თვის განმავლობაში 200 ლარის მიზნობრივ სოციალურ დახმარებას იმ ადამიანებისთვის, ვინც კორონავირუსის პანდემიის გამო დაკარგა სამუშაო ან უხელფასო შვებულებაში გაუშვეს (დაახლოებით 350,000 ადამიანი მიიღებს ამ დახმარებას). ერთჯერადი დახმარება გაიცემა ბავშვიან ოჯახებზე (200 ლარი თითო ბავშვზე), ხოლო ბიზნეს სუბიექტებისთვის საგადასახადო ვალდებულებების გადავადება, კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით, საპროცენტო განაკვეთის გადახდის გადავადება სამი თვის ვადით (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის).

გარდა ამისა, დამსაქმებლები მიიღებენ სუბსიდიას, თუ შეინარჩუნებენ სამუშაო ადგილს. კერძოდ, 6 თვის განმავლობაში 750 ლარამდე დარიცხული ხელფასი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. თვითდასაქმებულები ან არაფორმალურ სექტორში დასაქმებული მოსახლეობა, ერთჯერადად მიიღებს 300 ლარის დასაქმებას. 600 ლარს მიიღებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ამავე კატეგორიის მქონე ბავშვები.

ანტიკრიზისული ბიუჯეტის დიდი ნაწილი (დაახლოებით 2 მლრდ. დოლარი) საერთაშორისო დონორების მხრიდან იქნა მოპოვებული, რომელიც ძირითადად გრანტებისა და საკრედიტო სქემებისგან შედგება. აღნიშნული დახმარების დიდი ნაწილი ევროკავშირზე მოდის, რომელიც 3 პაკეტად განხორციელდა. პირველი პაკეტით საქართველომ მიიღო გადაუდებელი სამედიცინო მარაგები, დაუცველი ჯგუფებისვის დახმარება და ფინანსური დახმარება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის. **მეორე პაკეტი**, რომელიც მოიცავდა 183 მლნ. ევროს, ძირითადად განკუთვნილი იყო სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების მხარდასაჭერად. **მესამე პაკეტით** გათვალისწინებული იყო პანდემიასთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება, საერთო ჯამში 150 მლნ. ევროს ოდენობის კრედიტი, საკმაოდ მიმზიდველი ხელსაყრელი პირობებით.

ევროკავშირის ფინანსური დახმარების გარდა, მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები გაიღეს ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (200 მლნ. აშშ დოლარი ბიუჯეტის მხარდასაჭერად); ევროპის საინვესტიციო ბანკი (200 მლნ. ევრო ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის და ფისკალური საჭიროებისთვის); მსოფლიო ბანკი (80 მლნ. აშშ დოლარი ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესაბამისად პანდემიის ეფექტების შესამცირებლად); საფრანგეთის განვითარების სააგენტო (70 მლნ. ევრო ენერგოსექტორისთვის და 50 მლნ. ევრო სოციალური რეფორმირებისთვის).

საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ მყიფე და მგრძობიარეა ნებისმიერი კრიზისის მიმართ. აღნიშნული მის სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ, რადგან იგი დიდი დოზით არის დამოკიდებული ტურიზმზე, ვაჭრობაზე, ინვესტიციებსა თუ ფულად გზავნილებზე. მოთხოვნის კლება, უმუშევრობის გაზრდილი დონე, ინფლაციური პროცესები, შემოსავლის კლება ტურიზმიდან და ფულადი გზავნილებიდან - ყველაფერი ეს ის ეკონომიკური ეფექტებია, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობა ყოველდღიურად გრძნობს.

შესაბამისი იყო ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზები. პირველადი პროგნოზების გამოქვეყნება აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მარტის დასაწყისიდან დაიწყეს. აღნიშნული პროგნოზი საკმაოდ ოპტიმისტური იყო, თუმცა ვირუსის გავრცელების პარალელურად, პროგნოზი საკმაოდ გაუარესდა. ყველაზე დიდი დარტყმა მოელოდა ექსპორტს და ტურიზმს. გარდა ამისა, განვითარებად ქვეყნებში რეცესიური პროცესი უფრო ღრმა და ნეგატიური იქნებოდა, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება აღნიშნული ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისი, რადგანაც ეს პანდემიის ხანგძლივობასა და მის მართვაზე არის დამოკიდებული.

COVID-19-ით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი უნდა განვიხილოთ მოთხოვნისა და მიწოდების შოკების ერთობლიობით. მაკროეკონომიკურ თეორიაში ცნობილია, რომ მთლიანი მოთხოვნის შემცირება იწვევს ფასების შემცირებას. თუმცა, ამ ეფექტს პროდუქტიულობის შოკი და სახელმწიფო შეზღუდვების შედეგად გაზრდილი ხარჯები აერთიანებს.

მას შემდეგ, რაც გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და მთავრობის გადაწყვეტილებით ეტაპობრივად აღდგა ეკონომიკის ფუნქციონირება, დაწესდა გარკვეული ტიპის რეგულაციები. ყოველივე ეს ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით იყო განპირობებული. ყოველივე ეს პროდუქციის წარმოების ხარჯებს აძვირებდა. ასეთი ტიპის ხარჯები ყველაზე მტკინველად მომსახურების სექტორს შეეხო. ხარჯების ზრდა კი ფასებზე აისახა.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესი პანდემიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, თუმცა პანდემიის პირობებში მისი პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა, რაც მისი რეკორდული გაუფასურებით აღინიშნა. ეროვნულმა ბანკმა აღნიშნულ პროცესს სავალუტო რეზერვების გაყიდვის რამდენიმე ტალღით უპასუხა, რათა შეესუსტებინა დეველვაციის პროცესი. 2020 წლის ივლისის ბოლოს 1 აშშ დოლარის ღირებულება 3,0719 ლარი შეადგინა, რაც საქართველოსთვის, როგორც იმპორტდამოკიდებული ქვეყნისთვის ინფლაციური ზეწოლის და სოციალური მდგომარეობის გაუარესების მიმღე ფონს ქმნიდა. ამის საპასუხოდ, ხელისუფლებამ გარკვეულ საკვებ პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების პროგრამის ამოქმედებით უპასუხა, რომლის მიზანს გარკვეული ტიპის პროდუქციაზე ფასების სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენდა. პანდემიის პირობებში, ნავთობის ფასების მკვეთრმა დაცემამ, ფასების ზრდის და ინფლაციის განაკვეთზე დადებითი ეფექტი შეუნარჩუნა, რამაც ოდნავ დააბალანსა სხვა ნეგატიური შოკები.

2020 წლის ივლისში წლიური ინფლაციის დონე 5,7%-მდე გაიზარდა. მასზე გავლენა იქონია ფასების ზრდამ. შემდეგ სასაქონლო ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (11,5% ზრდა), ალოკოპოლური სასმელები და თამბაქო (9,0%), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (3,2%), საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი (2,8%), ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა (9,8%), ჯანმრთელობის დაცვა (7,2%), ტრანსპორტი (-9,3%), კავშირგაბმულობა (0,5%), დასვენება, გართობა და კულტურა (-1,2%), განათლება (3,2%), სასტუმროები, კაფეები, რესტორნები (7,4%) და სხვადასხვა საქონელი და მომსახურება (10,9%) **(საქსტატი, 2020:3)**.

აღნიშნული ფაქტორების გამო ინფლაციური პროცესების შემცირების ტენდენცია შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. სექტემბერში ინფლაციამ 3,8%-მდე დაიკლო, ხოლო საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, ივნისიდან მთლიან ინფლაციას აჭარბებს, თუმცა მასაც კლების ტენდენცია აქვს და ის სექტემბერში 4.7%-მდე შემცირდა **(საქართველოს ეროვნული ბანკი, ნოემბერი 2020:19)**. საბაზო ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი მთლიან ინფლაციასთან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლის კურსის გაუფასურებით და პანდემიის გამო, ფირმების საოპერაციო ხარჯების ზრდით გამოწვეულ პროდუქტების გაძვირებას უკავშირდება.

გაზაფხულზე, პანდემიის დაწყებისას, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა. პანდემიის პირველი ტალღის გადავლის პარალელურად, ნავთობის ფასებმა აღდგენა დაიწყო, თუმცა წლიურად ნავთობი მაინც მნიშვნელოვნად გაიაფებულია. საქართველოში საწვავი აპრილიდან წლიური ინფლაციის შემცირების მიმართულებით

მოქმედებს. მართალია, სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, საწვავი გაძვირდა, წლიურ გამოხატულებაში ბენზინის, დიზელის და გაზის საწვავის გაიაფების გავლენამ მთლიანი ინფლაციის შემცირებაში ჯამში 0.9 პროცენტული პუნქტის ტოლი წვლილი შეიტანა.

მიმდინარე პროგნოზებს თან დიდი გაურკვევლობა ახლავს. ეკონომიკური ვითარების გაუარესებამ, შესაძლოა, დამატებითი ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე. ვირუსის მეორე ტალღის გავრცელების შედეგად შემოღებული გამკაცრებულ ზომები ეკონომიკურ აქტივობას შეკვეცს, რაც იქნება წინაპირობა იმისა, რომ ინფლაციის კუთხით გამოიწვევს დადმავალ ზეწოლას. იგი მხოლოდ დაბალანსდება გამკაცრებული რეგულაციების შედეგად გაზრდილი დანახარჯების ეფექტით. მიუხედავად ამისა, ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესების შედეგად, ინფლაციური პროცესებს ზრდის პერსპექტივა გააჩნია, რაც შეიძლება გახდეს ექსპორტიდან შემოსავლების და ფულადი გზავნილების შემცირების მიზეზი, რაც უარყოფითად აისახება ლარის გაცვლით კურსზე, რაც გააჩენს ფასების ზრდის მოლოდინს.

ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მონეტარული პოლიტიკის ფრთხილი და ზომიერი რეაგირების პოლიტიკა, რათა აცილებულ იქნას კეთილდღეობის ის დანაკარგები, რაც მკვეთრ ცვლილებას მოჰყვება ხოლმე. არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მკაცრი პოლიტიკის ფაზიდან გამოსვლა ეტაპობრივად უნდა გაგრძელდეს. ამასთან, შესაძლოა საშუალოვადიან პერიოდში ნეიტრალურ დონეზე დაბლა ნიშნულზე შენარჩუნდეს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ნეიტრალური საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ეკონომიკის პოტენციურ ზრდაზე. ეს უკანასკნელი კი დიდი ალბათობით საპროგნოზო დონესთან შემცირდება, რაც ნეიტრალურ განაკვეთს დადმავალი მიმართულებით ცვლილებისკენ მიანიშნებს. ამავდროულად გასათვალისწინებელია საგადასახდლო ბალანსის კიდევ უფრო გაუარესების მოლოდინი, რამაც, პირიქით, ნეიტრალურ განაკვეთზე აღმავალი ზეწოლა მოახდინოს. საბოლოო ჯამში, მონეტარული პოლიტიკის რეაგირება დამოკიდებული იქნება ამ ორი ურთიერთდამოკიდებული ფაქტორების ერთობლიობაზე.

COVID-19-მა ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმის ინდუსტრიას მიაყენა, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით. დღესდღეობით საკმაოდ რთულია იმის შეფასება, თუ რა გავლენას მოახდენს პანდემია საერთაშორისო ტურიზმზე, თუმცა, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის შეფასებით, 2020 წელს ტურისტული შემოსავლების დაახლოებით 1-3%-იანი შემცირება არის ნავარაუდები, მაშინ, როდესაც წინასწარი პროგნოზით ვიზიტორების რაოდენობა 3-4%-ით უნდა გაზრდილიყო (**ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2020: გვ. 9**).

ბოლო ათწლეულია საქართველოსთვის ტურისტული შემოსულობები ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს, ხოლო აღნიშნული სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში საშუალოდ 9-11%-ის ფარგლებში მერყეობს. 2019 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა 9 მლნ.-იან ნიშნულს, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, +7,8%-იან ზრდას ნიშნავს, ხოლო მთლიანი დანახარჯების მოცულობამ დაახლოებით 2,1 მლნ. ლარი შეადგინა (**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2019:6, 26**). ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეგვიძლია ადვილად ვივარაუდოთ, თუ რა დარტყმას მიიღებს ტურიზმის ინდუსტრია და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკა, რადგან არსებობს ვარაუდი, რომ, შესაძლოა, პანდემიამ სეზონური ხასიათი მიიღოს და, მასთან ერთად, მოგვიწიოს თანაცხოვრება. თუ დავუშვებთ, რომ მიმდინარე წელს ტურისტული სეზონი ჩავარდა, ზარალი მინიმუმ 2 მლრდ ლარს გაუტოლდება, რადგან საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის მეორე კვარტალში საქართველოში დაახლოებით 2 მლნ. ტურისტი სტუმრობდა, რომელთა საშუალო დანახარჯმა 890 ლარი შეადგინა (**ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2020: 6**).

ასეთ რთულ პირობებში ტურიზმის სფეროს ირგვლის რამდენიმე ტიპის გამოწვევა უნდა დავასახელოთ. **პირველი**, რა ზიანს მიიღებს ტურისტული სეზონი მოკლევადიან პერიოდში, რამდენად შეინარჩუნებს სამუშაო ადგილებს და როგორი იქნება სახელმწიფოს როლი მისი



დახმარების პროცესში. მეორე, როგორ მოახდენს ტურისტული სექტორი ახალ რეალობასთან ადაპტირებას და რამდენად შეძლებს ტურიზმის ინდუსტრია განახლებას უახლოეს მომავალში.

ტურისტების შემცირება მკვეთრად ნეგატიურად აისახება სარესტორნო ბიზნესზე. მასზე გავლენას მოახდენს, არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვების დაწესება, როგორცაა დისტანციის დაცვა. ეკონომიკური გავლენის შესაფასებლად საკმარისია აღნიშნოს ისეთი მონაცემები, როგორცაა დასაქმება ტურისტულ ბიზნესში, სადაც 2019 წლის მონაცემებით დაახლოებით 49 ათასი ადამიანია დასაქმებული, ხოლო ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროში 199,4 ათასი ადამიანი.

ტურიზმის ინდუსტრიის დახმარებისთვის, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული და მისთვის სპეციფიკური დახმარების პროგრამა შეიმუშავა. მარტში სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილ იქნა 100 მლნ. ლარი. 24 აპრილს გამოქვეყნებული ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, გაორმაგდა დღგ-ს დაბრუნების მექანიზმი, ხოლო ტურისტული კომპანიები გათავისუფლდნენ ქონების და საშემოსავლო გადასახადისგან 1 ნოემბრამდე. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენდა მცირე და საშუალო ტიპის სასტუმროებში საკარანტინე სივრცეების მოწყობა, რაც მათ აძლევდათ დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, იმ ფაქტს ვერ გავუქვევით, რომ დღეს ტურისტული კომპანიების დიდი ნაწილი გაკოტრდება, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკარგავს დამატებითი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს.

გარდამავალი პერიოდის ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რომელიც უნდა განვიხილოთ ვალუტის სიმყარის ერთ-ერთ წინაპირობად. აღნიშნული მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული, მათ შორის უნდა გამოვყოთ ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი, ფინანსური ლიბერალიზაციის დონე, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, წარმოების ფასები, საკანონმდებლო გარემო, საგადასახდელო სისტემის გამჭვირვალობა და ა.შ.

ბოლო რამდენიმე წელია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა კლების ტენდენციით ხასიათდება (გამონაკლისს წარმოადგენს 2017 წელი, როდესაც მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა). სწორედ აღნიშნულ წელს, ბოლო ათი წლის განმავლობაში დაფიქსირდა რეკორდული მაჩვენებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, განხორციელდა, რა 1978,3 მლნ. დოლარის ინვესტიცია. ბოლო რამდენიმე წელია, საკმაოდ გამძაფრდა კონკურენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. მასზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას. ამავდროულად, მკვეთრად არის შემცირებული მასზე ხელმისაწვდომობა, რასაც ცხადყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, სადაც აღნიშნულია მისი 30-40%-იანი კლების ვარაუდი (UNSTAD. 2020: 2).

2020 წლის პირველ სამი კვარტალის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მაჩვენებელმა 719 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 25%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 37%-ით 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთავარ ინვესტორ ქვეყნებად კვლავ რჩება გაერთიანებული სამეფოები, ნიდერლანდები, თურქეთი და აშშ. 2020 წლის პირველი სამი კვარტალის მონაცემებით, მნიშვნელოვნად დაეცა კაპიტალის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. შედეგად, ინვესტიციების სტრუქტურამ შემდეგი სახე მიიღო (იხ. ცხრილი). მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა ტურიზმის სექტორში.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით (ათასი აშშ. დოლარი)**  
[\[https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi\]](https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi)

|                         | 2019 წელი |           |            | 2020 წელი |           |           |
|-------------------------|-----------|-----------|------------|-----------|-----------|-----------|
|                         | I კვ.     | II კვ.    | III კვ.    | I კვ.     | II კვ.    | III კვ.   |
| სულ                     | 313,695.5 | 236,571.3 | 396,035.5  | 174,695.8 | 241,634.7 | 302,620.3 |
| მათ შორის               |           |           |            |           |           |           |
| სააქციო<br>კაპიტალი     | 106,502.1 | 151,698.4 | 262,796.2  | 25,402.9  | 125,312.1 | 97,358.0  |
| რეინვესტიცია            | 123,329.0 | 88,499.0  | 239,021.1  | 133,776.9 | 144,653.5 | 133,597.0 |
| სავალო<br>ვალდებულებები | 83,864.4  | -3,626.1  | -105,781.8 | 15,515.9  | -28,331.0 | 71,665.3  |

პანდემიამ სერიოზული უარყოფითი ეფექტი მოახდინა საგარეო ვაჭრობის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შეზღუდვები არ დაუწესებიათ საერთაშორისო ვაჭრობაზე, ის პრობლემები, რაც ამ ქვეყნებში წარმოიშვა, „დომინოს ეფექტით“ გადაეცემა მათ მთავარ სავაჭრო პარტნიორებზე, რაც გამოიხატება აგრეგირებული მოთხოვნის შემცირების თვალსაზრისით. ყოველივე ამას ნათლად ადასტურებს ვაჭრობის შემცირების მზარდი დინამიკა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის უარყოფითი დინამიკის ნიშნები ჯერ კიდევ თებერვლიდან იღებს სათავეს. სწორედ ამ პერიოდიდან აღინიშნება მნიშვნელოვანი კლება ექსპორტის თვალსაზრისით, როდესაც იანვარ ივლისში საქართველოს ეკონომიკამ ექსპორტის 18,5%-იანი და იმპორტის 17,9%-იანი კლება განიცადა (**ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2020: 7**). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ირკვევა, რომ საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობას პანდემიის უარყოფითი ეფექტის ნიშნები 2020 წლის თებერვლიდან დაეტყო. აღნიშნული პროცესი ივნისამდე გაგრძელდა. თუმცა, გარკვეული დადებითი ეფექტი შეიშნებოდა ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის თვალსაზრისით. 2020 წლის პირველ ექვს თვეში ექსპორტი ბულგარეთში, შვეიცარიასა და ესპანეთში გაიზარდა, შესაბამისად, 13,7%, 33,3%, და 25,1%-ით. ექსპორტის შესამჩნევი კლება მოხდა სომხეთში, უკრაინაში, აშშ-ში, რუსეთსა და აზერბაიჯანში

ცალკე უნდა აღინიშნოს რუსეთის ბაზარი. 2020 წელს აღნიშნულ ქვეყანაში სავალუტო კრიზისი დაიწყო, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ნავთობის ბაზარზე ფასების ვარდნით. რუბლის მკვეთრმა გაუფასურებამ ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ლარის გაცვლით კურსზე, რადგან ბოლო წლებში საქართველოს ექსპორტში რუსეთის წილი მნიშვნელოვნად იზრდებოდა, რისი დასტურიც არის 2020 წლის მთლიანი ექსპორტის 13,2%. რუსული რუბლის კურსის ვარდნა განსაკუთრებით აისახება ისეთ სფეროებზე, რომლის ექსპორტშიც რუსეთის წილი განსაკუთრებით მაღალია. პირველ რიგში, ეს შეეხო ღვინის ექსპორტს

### დასკვნა რეკომენდაციები

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ქვეყნის ეკონომიკა ლიბერალიზაციის შედარებით მაღალ საფეხურზე გადადის, რაც საქართველოსთვის სასარგებლო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რაც ხელს შეუწყობს ქართული ექსპორტისთვის ბაზრების დივერსიფიკაციის გაზრდას. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ინვესტორთა ნდობის გაზრდას.

საქართველოს წარმატება ვირუსის შეკავების საქმეში, რამდენიმე ფაქტორით უნდა აიხსნას. ხელისუფლების მიერ შემოღებული ე.წ. „ლოქდაუნი“ ძალიან ჰგავს სხვა ქვეყნებში ხელისუფლების მიერ ვირუსის შეკავების თვალსაზრისით განხორციელებულ ქმედებებს. თუცა, აქ უნდა გამოვყოთ რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი. საქართველომ ამ ზომების მიღება სხვა ქვეყნებთან შედარებით ადრე დაიწყო. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა

სამედიცინო პერსონალმა, რათა დროულად დაედგინათ და იზოლირება მოეხდინათ კონკრეტული „კლასტერების“ ყველა კონრაქტი.

დღეს საკმაოდ რთულია იმის პროგნოზირება თუ რა გავლენას მოახდენს ეპიდემიური სურათი ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე. ამავდროულად, საკმაოდ რთული იქნება ეკონომიკის თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენა, რადგან ლოკდაუნიდან გამოსვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური საქმიანობა ჩვეულ რიტმში აღდგება, რადგან შოკის ნეგატიური ასპექტების უმრავლესობა რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ დაიძლევა. ამავდროულად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ეფექტიანად გადანაწილდება საერთაშორისო დახმარების შედეგად მიღებული დახმარება. აქამდე მიღებული ზომები ეკონომიკური და სოციალური შოკების დაძლევისკენ იყო მიმართული.

არსებული მონაცემებით COVID-19-მა საკმაოდ მძიმე ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. ეს ეფექტი რამდენიმე ფაქტორზე არის დამოკიდებული. კერძოდ, მთავრობის მიერ ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრების უნარზე. დღესდღეობით, ხელისუფლება მიმდინარე გამოწვევებს გარკვეულწილად უმკლავდება, მართავს რა სამედიცინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს. თუმცა, გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტების შეფასებისთვის შედარებით შეზღუდული ფინანსური რესურსი რჩება.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, საკმაოდ რთულია სტიმულირების პაკეტების ინიცირება, შეზღუდვების დაწესება და ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ამ ნაბიჯების ეკონომიკური ფასის განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კრიზისის ე.წ. შეღავათების შეთავაზებას არ ქონდეს ისეთი ხასიათი, როგორც მაგალითად, საბანკო „შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს, რომელიც მექანიკურად გაქცევს ამ რეჟიმში და მისი დატოვებისთვის გიწევს აქტივობის განხორციელება და არა მასში ჩართვისთვის. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოს მოქალაქეთა ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს კრიზისის ვადები, ასევე სახელმწიფოების მხრიდან მასზე გამკლავების უნარი. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, მათ შორის საქართველო, დიდად იქნება დამოკიდებული საერთაშორისო დახმარების მასშტაბებზე, რომლის მობილიზებასაც ეს ქვეყნები შეძლებენ. კიდევ უფრო დიდი როლი მიენიჭება ელექტრონული მმართველობის რეფორმის დაჩქარებას და მათზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს კერძო ინვესტიციებმა, ანუ თუ რამდენად შეძლებს ადგილობრივი ბიზნესი თვითორგანიზებას, ახალი ტიპის სერვისისა თუ მომსახურების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამოწვევებს მეტწილად უპასუხებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) - „პანდემიის მიმოხილვა - ეკონომიკური ზეგავლენა და შედეგები საქართველოში“ თბ. 2020 გვ. 2,26
2. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) – COVID-19: ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის თბ. 2020 გვ. 2,9
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) - სამუშაო ძალის გამოკვლევა, თბ. 2018
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) - ინფლაცია საქართველოში ივლისი თბ. 2020. გვ. 3
5. ISET (International School of Economics at TSU Policy Institute) – COVID-19-ის სოციალური ეფექტი - უნივერსალური დახმარების შემოღების საფუძველი თბ. 2020 წ. გვ.3. ხელმ. [https://drive.google.com/file/d/1O\\_6b3eglhQXSeTzoTlX8G90tRjh87E\\_/view](https://drive.google.com/file/d/1O_6b3eglhQXSeTzoTlX8G90tRjh87E_/view)
6. საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) - მონეტარულ პოლიტიკის ანგარიში, ნოემბერი 2020, გვ. 19; ხელმისაწვდომია [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q4\\_geo\\_241120.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q4_geo_241120.pdf)

7. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - წლიური ანგარიში: „საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2019“ გვ. 26
8. UNSTAD “World Investment Report 2020. International Production Beyond the Pandemic.” pg. 2 <https://unctad.org/en/pages/PublicationWebflyer.aspx?publicationid=2769>
9. Asia Development Bank (ADB) - The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia 6 March, 2020 pg. 9, ხელმისაწვდომია: <https://www.adb.org/sites/default/files/publication/571536/adb-brief-128-economic-impact-covid19-developing-asia.pdf>
10. United Nation (UN) – “The Coronavirus shock: a story of another global crisis foretold and what policymakers should be doing about it” 9 March, 2020 pg.1, ხელმისაწვდომია: [https://unctad.org/system/files/official-document/gds\\_tdr2019\\_update\\_coronavirus.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/gds_tdr2019_update_coronavirus.pdf)
11. International Monetary Fund (IMF) – World Economic Outlook, April 2020: The Great Lockdown. გვ. 1, 23 ; ხელმისაწვდომია: <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020#Introduction>
12. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

*George Kharshiladze*

## **THE IMPACT OF THE NEW CORONAVIRUS (COVID-19) ON THE GEORGIAN ECONOMY AND ITS EXPECTED RESULTS**

### **Summary**

The new coronavirus (COVID-19) has become one of the most serious challenges in the modern world. It has already had a serious impact on the socio-economic situation of the population. Millions of lost jobs, increased poverty, certain types of barriers to accessing medical services, closed schools, stalled economy, and so on. Is an incomplete list brought about by the pandemic, which places a heavy burden on any country, especially countries in transition economies, including Georgia. The impact of the pandemic on the world economy, of which the Georgian economy should be a part, depends on the rate of its spread. At the same time, it is important to know when the new vaccine will be created and the government's desire to restore the pandemic-affected economy quickly and effectively. This article analyzes the individual sectors of the Georgian economy affected by the pandemic, outlines the ways to solve them and develops certain types of recommendations.

*მერაბ ჯულაყიძე*

### **ინფორმაციის ეკონომიკა**

***ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია საბაზრო მოდელებში ასიმეტრიული ინფორმაციის არსებობის დროს წარმოშობილი რამდენიმე საკითხი, რომელსაც შეუძლია იდეალურ ინფორმირებულობის მდგომარეობასთან შედარებით, ბაზარი არაეფექტური გახადოს. გონივრულად შედგენილი კონტრაქტების მეშვეობით დაკარგული მოგების დაბრუნება არის შესაძლებელი. კერძოდ, კონტრაქტი შეიძლება გაფართოვდეს დამატებითი პუნქტებით, რომლის შესრულება არათანაბარი ინფორმირებულობით გამოწვეული დანაკარგების კომპენსირებას მოახდენს.*

***საკვანძო სიტყვები:** ინფორმაცია, ინფორმაციის ეკონომიკა, ასიმეტრიული ინფორმაცია, კომპლექსური ხელშეკრულება, ხელშეკრულების ღირებულება.*

\* \* \*

ინფორმაცია ფასეულ ეკონომიკურ რესურს წარმოადგენს. ინდივიდს, ვინც იცის სად იყიდოს მაღალი ხარისხის პროდუქტი იაფად, შეუძლია მეტად გაზარდოს საკუთარი შემოსავალი, ვიდრე მას, ვინც ეს არ იცის. ფერმერს, რომელსაც აქვს მეტი ინფორმაცია ამინდის

პროგნოზზე, შეუძლია თავიდან აიცილოს ან შეამციროს სტიქიით გამოწვეული ზარალი, ასევე გარემოს დაცვის რეგულირება სამთავრობო დონეზე უფრო ეფექტიანი იქნება, თუ იგი მეცნიერულ ცოდნაზე იქნება დამყარებული. ინფორმაციის მნიშვნელობის შესახებ ეს დაკვირვებები დიდი ხანია აღიარებულია, მაგრამ ინფორმაციის მოპოვების ფორმალური ეკონომიკური მოდელირება და მისი შედეგები რესურსის ლოკალიზებისთვის სრულიად ახალია.

ინფორმაციის განმარტება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული: **პირველი**, სხვადასხვა მოქმედებიდან მისაღები ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაოდენობა არ არის კარგად განსაზღვრული, ხოლო ხელმისაწვდომი ინფორმაცია არ არის ერთგვაროვანი მისი მომხმარებლისათვის. ეკონომიკური ინფორმაციის ბევრი სხვადასხვა ფორმა არსებობს, მათ დასახასიათებლად ფასისა და რაოდენობის მაჩვენებლებს ვერ გამოვიყენებთ. ეკონომისტებმა, რომელთაც სურთ ინფორმაციის შესწავლა, კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის საინფორმაციო გარემო (ინფორმაციული სიმრავლე) უნდა განსაზღვრონ და შემდეგ დაადგინონ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ეს გარემო ინდივიდუალური ქმედებებით. ამის გამოა, რომ არსებობს კონკრეტული სიტუაციური მოდელების სიმრავლე, რომელთა შორის კავშირი მცირეა; ინფორმაციის შესწავლისას **მეორე** სირთულე თავად ინფორმაციის ზოგიერთ ტექნიკურ თვისებას ეხება. ინფორმაციის უმრავლესობა დროში გამძლეა და გამოყენების შემდეგაც ინარჩუნებს ღირებულებას. თუ სწრაფი კვების ობიექტში შემენილ საკვებს მხოლოდ ერთჯერ მოვიხმართ, სპეციფიკური გაყიდვების ცოდნით სარგებლობს არა მხოლოდ ის პირი, ვინც იგი აღმოაჩინა, არამედ ნებისმიერი მისი მეგობარი სოციალურ ქსელში, რომელსაც ეს ინფორმაცია გაუზიარა. მეგობრებს შეუძლიათ სარგებელი ნახონ ინფორმაციის მიღებიდან, როცა მათ მის მისაღებად დანახარჯი არ გაუწევიათ. ასე, ამ შემთხვევაში ინფორმაციას გააჩნია წმინდა „საზოგადოებრივი პროდუქტის“ თვისება. ინფორმაციას ახასიათებს **არაკონკურენტუნარიანობა**, რადგან სხვებს მისი გამოყენება ნულოვანი დანახარჯით შეუძლიათ და ასევე, **არაექსკლუზიურობა**, რადგან არც ერთ ინდივიდს არ შეუძლია აუკრძალოს სხვებს ინფორმაციის გამოყენება. ამის კლასიკური მაგალითი არის პრეისტორიულ ეპოქაში ბორბალის გამოგონება, სხვებს შეეძლოთ მისი გამოყენება აღმოჩენის ღირებულების შემცირების გარეშე, ვინც ნახავდა ბორბალს, შეეძლო მისი კოპირება. ინფორმაციის ეს ტექნიკური მახასიათებლები გულისხმობს, რომ საბაზრო მექანიზმები შესაძლოა ხშირად არასრულყოფილად მოქმედებდეს ინფორმაციით უზრუნველყოფასა და რესურსების განაწილებაში. მიწოდების და მოთხოვნის სტანდარტული მოდელები ასეთი მოქმედებების განსაზღვრაში შესაძლოა შედარებით შეზღუდული გამოყენების იყოს. მოდელების განვითარების პირობებში მათი საშუალებით საინფორმაციო გარემოს თვისებები უნდა გამოვლინდეს.

ინფორმაციის ნაკლებობა გადაწყვეტილების მიმღებისათვის პრობლემას წარმოადგენს, რომელიც გაურკვევლობასაც მოიცავს. სრულყოფილი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში ინდივიდი ვერ გათვლის კონკრეტული მოქმედების ზუსტ შედეგს. უკეთეს ინფორმაციას შეუძლია შეამციროს ეს გაურკვევლობა და მიგვიყვანოს უკეთეს გადაწყვეტილებამდე, რომელიც გაზრდილ საგებლიანობას უზრუნველყოფს.

ახალი ინფორმაცია ინდივიდებს შესაძლებლობას აძლევს უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ გაურკვეველ სიტუაციაში. მოქნილობა ნიშნავს გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებას, სანამ ინფორმაცია არ გახდება ხელმისაწვდომი. მოქნილობა ზოგჯერ დანახარჯებს მოითხოვს, რის გამოც გადაწყვეტილების მიღება შეიძლება გართულდეს. მაგალითად, პირი გეგმავს დაისვენოს კანარის კუნძულებზე, სურს ჰქონდეს იქ ამინდის შესახებ ინფორმაცია. მოგზაური, რომელსაც შესაძლებლობა აქვს ბოლო წუთამდე არ მიიღოს გადაწყვეტილება, დაელოდება საბოლოო ამინდის პროგნოზს და შემდეგ გადაწყვეტს წავიდეს თუ არა. მაგრამ ლოდინი შეიძლება ძვირი დაუჯდეს (გაფრენის წინ ავიაბილეთი ძვირდება). ამიტომ არჩევანი რთული გასაკეთებელია. ცხადია, გადაწყვეტილების მიღების გადადების არჩევანი ღირებულება, მაგრამ საკითხავია აჭარბებს თუ არა იგი არჩევანის გაჭიანურებით გამოწვეულ დანახარჯებს.

ფინანსური ოფციონები მყიდველს აძლევს უფლებას, მაგრამ არა ვალდებულებას, აწარმოოს ფინანსური ტრანზაქცია განსაზღვრული პირობებით და წინასწარ განსაზღვრულ დროს. უცხოური ვალუტის ოპციონმა შესაძლოა მყიდველი უზრუნველყოს უფლებით, რომ სამი თვის მანძილზე შეიძინოს ევროები თითოეული \$1,1 ფასად. ყველა ასეთ ოფციონს გააჩნია ღირებულება, რადგან ისინი საშუალებას აძლევს მფლობელს დათანხმდეს, ან უარი თქვას განსაზღვრულ ტრანზაქციაზე, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ახალი ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი ოფციონის ვადის ამოწურვამდე. ასეთი მოქნილობა ხელსაყრელია მრავალფეროვანი საინფორმაციო სტრატეგიებისათვის.

ინფორმაცია ინდივიდებს საშუალებას აძლევს გაურკვეველ სიტუაციებში მიიღონ უკეთესი გადაწყვეტილებები. ინფორმაცია კი ყველზე ღირებულია მაშინ, როცა ინდივიდებს მანევრირების საშუალება აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ოფციონების ჩართვა მრავალი სახის ეკონომიკურ ტრანზაქციაში ხორციელდება. მაგალითად, პროდუქტის შექმნა, რომელსაც „ფულის უკან დაბრუნების“ გარანტია აქვს, მყიდველს არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს მთლიანად შეცვალოს ტრანზაქცია, თუ იგი პროდუქტით კმაყოფილი არ დარჩება. ასე, ბევრი იპოთეკური სესხი სახლის მფლობელს არჩევანს აძლევს, რომ გადაიხადოს სესხი ჯარიმის გარეშე, თუ პირობები შეიცვალა. ყოველი ასეთი არჩევანი თავისთავად ღირებულია. მანქანის მყიდველი არ საჭიროებს დააბრუნოს თავის შენაძენი, თუ მანქანა გამართულად მუშაობს და სახლის მფლობელს არ ჭირდება გირაოს გადახდა, თუ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება. ამგვარად, ერთი, მყიდველის ოფციონის ჩართვას ტრანზაქციაში მხოლოდ მყიდველისათვის შეუძლია გაზარდოს ტრანზაქციის ღირებულება. კონტრაქტებს ასეთი არჩევანით მოსალოდნელია ჰქონდეს უფრო მაღალი ფასები. **მეორე მხრივ**, ტრანზაქციებს გამყიდველის ოფციონით (მაგალითად სახლის გამოსყიდვის უფლება საწყის ფასად) ექნება უფრო დაბალი ფასები. ფასების სხვადასხვაობის შესწავლა წარმოადგენს ოფციონის ღირებულების განსაზღვრის ერთ-ერთ გზას.

ინფორმაციის შექმნის პროცესის თანამდევნი სირთულეა ის, რომ ინფორმაციის დონე, რომელსაც ინდივიდი ყიდულობს, დამოკიდებულია საინფორმაციო მესიჯების ერთეულის ფასზე. პროდუქტის უმრავლესობის საბაზრო ფასისგან განსხვავებით, ინდივიდებისათვის ინფორმაციის **მოპოვების დანახარჯები განსხვავდება**. ზოგიერთი ინდივიდი შეიძლება ფლობდეს ინფორმაციის შექმნისათვის საჭირო უნარებს (გაიაროს ტრენინგი), სხვა შეიძლება არ ფლობდეს ასეთ უნარებს. ზოგს შეიძლება ჰქონდეს სხვა სახის გამოცდილება, რომელსაც მოაქვს ღირებული ინფორმაცია. მაგალითად, გამყიდველს მეტი ეცოდინება მისი პროდუქტის ნაკლოვანებების შესახებ, ვიდრე მყიდველს, რადგან გამყიდველმა კარგად იცის, როგორ მზადდება პროდუქტი და სად შეიძლება წარმოიქმნას პრობლემები. ასევე მყიდველს, რომელიც ხშირად ყიდულობს აღნიშნულ პროდუქტს, მის შესახებ მეტი ეცოდინება, ვიდრე მყიდველს, რომელიც პირველად შეიძენს მას. **და ბოლოს**, ზოგიერთმა ფიზიკურმა პირმა შეიძლება ინვესტიცია ჩადოს რომელიმე ტიპის საინფორმაციო მომსახურებაში (მაგალითად, საბროკერო ფირმების ქსელში კომპიუტერის ჩართვა), რაც ქმნის დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შედარებით დაბალ ზღვრულ ღირებულებას. ყველა ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ინფორმაციის დონე განსხვავებულია საბაზრო ტრანზაქციებში მონაწილე პირებისათვის. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის მოპოვების დანახარჯები შეიძლება იყოს დაბალი. მაგალითად, ადამიანების უმეტესობას შეუძლია შეაფასოს ბოსტნეულის ხარისხი ერთი შეხედვით, მაგრამ, როცა საინფორმაციო დანახარჯები არის მაღალი და ცვალებადი ფიზიკური პირებისთვის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი მოიძიებენ სხვადასხვა ინფორმაციას ხელსაყრელ ფასად.

**ინფორმაციის ასიმეტრიულობა.** აქამდე ჩვენ გამოვდიოდით იმ წინაპირობიდან, რომ ბაზრის მონაწილენი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სრულიად ინფორმირებული არიან სიკეთის და წარმოების ფაქტორების ხარისხის თაობაზე. თუმცა სინამდვილეში ეს ასე არაა. საქონლის ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიღება ძვირი ღირს, ამიტომ უფრო ხშირად გამყიდველებმა ბევრად მეტი იციან სიკეთის მახასიათებლების შესახებ, ვიდრე მყიდველებმა. საბაზრო ინფორმაციის ასიმეტრიულობის შესახებ სიტუაცია რეალურ ცხოვრებაში ყველგან

გვხვდება. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც ხარისხის განუსაზღვრელობასთანაა დაკავშირებული.

დავუშვათ, არის რაიმე საქონელი. საკუთარი გამოცდილებიდან მყიდველმა იცის, რომ მოცემული საქონელი შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. თუმცა გარეგნობის მიხედვით შეუძლებელია საქონლის ხარისხის განსაზღვრა.

მყიდველი თანახმაა გადაიხადოს 3 ლარი კარგ საქონელში და 1.5 ლარი ცუდ საქონელში. თავის მხრივ, გამყიდველი კარგ საქონელს ჰყიდის 2.4 ლარად, ცუდს - 1.2 ლარად.

თუ საქონლის ხარისხის საკითხი შეიძლებოდა დადგენილიყო, მაშინ 2 ბაზარი წარმოიქმნებოდა: პირველზე გაიყიდებოდა კარგი საქონელი 2.4 ლარიდან 3.0 ლარამდე ფასით, ხოლო მეორე ბაზარზე - ცუდი საქონელი 1.2 ლარიდან 1.5 ლარამდე. მაგრამ საქონელი განურჩეველია. ამიტომ ასეთ შემთხვევაში საქონლის ფასი წესდება 1.5-3.0 ლარის ინტერვალში.

თუ ფასი დაეცემა 2.4 ლარის ქვემოთ, მაშინ კარგი საქონელი გაქრება ბაზრიდან. მაშინ ფასი დგინდება 1.2-1.5 ლარის ფარგლებში. ამრიგად, ჩამოყალიბდა ეკონომიკის არაეფექტური მდგომარეობა: არსებობს მყიდველები და გამყიდველები, რომლებსაც სურთ იყიდონ და გაყიდონ კარგი საქონელი 2.4-დან 3.0 ლარამდე ფასად. მაგრამ გარიგება არ შეიძლება განხორციელდეს. ეს ბაზრის ჩავარდნის ნათელი მაგალითია, რომელიც საქონლის ხარისხის შესახებ მყიდველთა დეზინფორმაციაა.

რომ ფლობდე სრულ და ზუსტ ინფორმაციას ხშირად საჭიროა მონაცემთა შეგროვების და დამუშავებისათვის დიდი დანახარჯების გაწევა, მეორე მხარის მიერ კონტრაქტის პირობების შესრულების კონტროლი. გარკვეული პოზიტიური როლი ამ სფეროში შეიძლება ითამაშოს მომხმარებელთა დაცვის საზოგადოებამ, დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ, მოსახლეობის ფართო ინფორმირებულობამ, სპეციალურმა ლიტერატურამ. მიუხედავად ამისა, ეს ხშირად არასაკმარისი აღმოჩნდება. ძირითადი ზრუნვა, ზემოქმედების არასასურველი გარე ეფექტების აღმოსაფხვრელად, თავის თავზე უნდა აიღოს სახელმწიფომ. პირველ რიგში ეს ეხება კანონშემოქმედებით საქმიანობას, მოტყუების ფაქტების სამართლებრივ დევნას, შრომითი ურთიერთობების და იურიდიული დავების დარეგულირებას.

**კომპლექსური ხელშეკრულება.** შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრანზაქციებისათვის გამოიყენება მარტივი ხელშეკრულება: ფირმები ყიდულობენ მომხმარებლებისაგან შუალედური მოხმარების პროდუქტს ფიქსირებულ ფასად და ასევე, ფიქსირებულ ფასად ყიდიან თავიანთ პროდუქტს. რეალურად ტრანზაქციები გაცილებით რთული კონტრაქტების პირობებში ხდება. ფიქსირებული ფასის გარდა, იგი მოიცავს აქციებს, ბონუსებს. ძვირადღირებული მოწყობილობების გამოყენების პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს დამატებითი საფასურის გადახდით. სადაზღვევო პოლისი შეიძლება მოიცავდეს დაზღვეულის პასუხისმგებლობას და მომხმარებელს აკისრებდეს გარკვეულ დანახარჯებს თანადაფინანსების სახით. ზოგიერთი ნივთი აუქციონზე გამოცხადებული ფასის ნაცვლად სარეზერვო ფასით ან სხვა რთული საფასო სტრუქტურით შეიძლება იყიდებოდეს. ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემის მოსაგვარებლად შეიძლება კომპლექსური ხელშეკრულების დადება.

გარიგებებმა შეიძლება გამოიწვიოს გაურკვეველობა. გაურკვეველობა არ გამოიწვევს არაეფექტიანობას, თუ ტრანზაქციის ორივე მხარეს აქვს ერთი და იგივე შეზღუდული ინფორმაცია მომავლის შესახებ. მაგრამ მას შეუძლია არაეფექტიანობის გამოწვევა თუ ერთ მხარეს აქვს უკეთესი ინფორმაცია. უკეთესი ინფორმაციის მქონე მხარეზე ამბობენ, რომ მას აქვს კერძო ინფორმაცია ან ასიმეტრიული ინფორმაცია. ასიმეტრიული ინფორმაციის მრავალი წყარო არსებობს. ზოგიერთ ხელშემკვრელ მხარეს ხშირად აქვს „შიდა ინფორმაცია“ თავისი ფირმის შესახებ, რაზეც ხელი არ მიუწვდება მეორე მხარეს. განვიხილოთ ჯანმრთელობის დაზღვევის მაგალითი. მომხმარებელს, რომელიც ირჩევს დაზღვევას, აქვს კერძო ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის და მთელი ოჯახის სამედიცინო ისტორიის შესახებ, რაც სადაზღვევო კომპანიას არ გააჩნია. ჯანმრთელი მომხმარებელი თავს არ შეიწუხებს შეიძინოს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, გაუარესებული ჯანმრთელობის მქონე მომხმარებელს მეტი სტიმული

ექნება შეიძინოს პოლისი, რათა მოსალოდნელი სამედიცინო ხარჯები მზღვეველს დააკისროს. სამედიცინო გამოკვლევა სადაზღვევო კომპანიას დაეხმარება გაიგოს მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუმცა გამოკვლევა დანახარჯებთან არის დაკავშირებული და გამოკვლევამაც შეიძლება არ მოგვცეს სრული ინფორმაცია, რადგან მომხმარებელი არ მოისურვებს თავისი და თავისი ოჯახის ჯანმრთელობის ისტორიის, ან გენეტიკური დავადებების შესახებ მოუყვეს ექიმს, თუ მზღვეველი მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სადაზღვევო შენატანის ოდენობას გაუზრდის. მომხმარებელს, ასევე, აქვს ზუსტი ინფორმაცია საკუთარი ცხოვრების სტილის შესახებ, რაც გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე და შესაბამისად სამედიცინო დანახარჯებზე. მაგალითად, ჯანსაღი კვება, თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარებაზე უარის თქმა. მზღვეველს შეიძლება ერჩიოს სადაზღვევო შენატანის დადგენა გარკვეული პირობით, დაზღვეულის ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, მაგრამ მისი ყოველდღიური მონიტორინგი ძალიან ძვირი ჯდება. მომხმარებლისგან არ უნდა ველოდოთ ისეთი ინფორმაციის მიღებას, რომელიც მზღვეველის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს სადაზღვევო შენატანის გასაზრდელად ან ასანაზღაურებელი თანხის შესამცირებლად.

**არასასურველი შერჩევა** საბაზრო პროცესია, რომელიც ნეგატიურ შედეგებს იწვევს. ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში სადაზღვევო კომპანიის მომხმარებლები შეიძლება იყვნენ კარგი ჯანმრთელობის და სუსტი ჯანმრთელობის მქონე მომხმარებლები, შესაბამისად, დაბალი და მაღალი რისკის მატარებელი მომხმარებლები. სადაზღვევო კომპანიებმა არ იციან მომხმარებელთა ჯანმრთელობის სტატუსი, თუმცა ცდილობენ მის დადგენას. ამიტომ ისინი, სადაზღვევო პრემიის გაზრდით, რისკის მინიმიზებას ახდენენ. გაზრდილი სადაზღვევო პრემია აიძულებს დაბალი რისკის მქონე მომხმარებლებს უარი თქვან ასეთ პირობებზე და შეაჩერონ სადაზღვევო ხელშეკრულებები. შედეგად, სადაზღვევო კომპანიასთან ურთიერთობის მსურველები მხოლოდ მაღალი რისკის მქონე მომხმარებლები იქნებიან. ამ პირობებში სადაზღვევო კომპანია კვლავ ცდილობს რისკის მინიმიზირებას. ეს პროცესი სპირალურ ხასიათს იღებს და სადაზღვევო კომპანიას აღარ დარჩება დაბალი რისკის მატარებელი მომხმარებლები. სადაზღვევო პრემია ისე გადიდდება, რომ მაღალი რისკის მომხმარებლებიც ვერ შეძლებენ სადაზღვევო პოლისის შექმნას. მოვლენები ამ სცენარით რომ არ განვითარდეს, სადაზღვევო კომპანიებს იცავთ სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის პროგრამები. დამსაქმებლებს ევალებათ დასაქმებულები დააზღვიონ, რაც სადაზღვევო კომპანიებს ეხმარება შეინარჩუნოს ბალანსი დაბალი და მაღალი რისკის მქონე მომხმარებლებს შორის.

ასიმეტრიული ინფორმაციის სხვა წყაროა ინდივიდის მიერ გაწეული **მომსახურების ყიდვა**. მყიდველს შეიძლება ყოველთვის არ ქონდეს საშუალება მონიტორინგი გაუწიოს ინდივიდს, ხოლო ამ ინდივიდს შეიძლება უკეთესი წარმოდგენა ჰქონდეს იმაზე, რასაც მისგან მოითხოვენ, სწორედ ამიტომ იქნა იგი დაქირავებული. მაგალითად, სამზარეულოს ონკანის შესაკეთებლად გამოძახებულ ხელოსანს სახლის პატრონზე უკეთ ეცოდინება შესასრულებელი სამუშაოს სირთულე.

ასიმეტრიულმა ინფორმაციამ შეიძლება **არაეფექტიანობა** გამოიწვიოს. სადაზღვევო კომპანიებმა შეიძლება შემოგვთავაზონ ნაკლები სადაზღვევო თანხა და მეტი შენატანი, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებოდათ პოტენციური კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების საშუალება და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის მოთხოვნის უფლება. მომხმარებლები, რომლებიც ნაკლებ სამედიცინო დანახარჯებს მოელიან, ვიდრე სადაზღვევო შენატანია, გამოეთიშებიან ბაზარს და ბაზარზე დარჩებიან მხოლოდ ჯანმრთელობის რისკის მქონე მომხმარებლები. ონკანის შემთხვევაში, ხელოსანს შეუძლია გაზარდოს გადასახდელი თანხა, სხვა მუშა მდგომარეობაში მყოფი ნაწილის შეცვლის მომიზეზებით ან სამუშაო დროის გაზრდით, ვიდრე რეალურად არის საჭირო (რესურსების გაფლანგვა).

**ხელშეკრულების ღირებულება**. ზოგიერთი არაეფექტიანობის თავიდან ასაცილებლად ხელშეკრულებაში პირობების დამატება გამოიყენება. სადაზღვევო კომპანიას შეუძლია შესთავაზოს დაბალი სადაზღვევო შენატანი იმ მომხმარებელს, ვინც ჯანმრთელობის



შემოწმებას გაივლის ან თანხმობას განაცხადებს მოსალოდნელი სამედიცინო დანახარჯების თანადაფინანსებაზე. დაბალრისკიან მომხმარებლებს მეტი სტიმული ექნებათ გაიარონ სამედიცინო შემოწმება და თავის თავზე აიღონ სამედიცინო დანახარჯების ნაწილი. სახლის მფლობელს შეუძლია გააფორმოს მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ონკანების გამართული მუშაობა ფიქსირებული გადასახადის პირობებში და არა ცალკეული გამოძახებით დაზიანებული ნაწილის შესაკეთებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებას შეუძლია აღმოფხვრას ასიმეტრიული ინფორმაციით გამოწვეული არაეფექტიანობა, მას იშვიათად ძალუმს ყველა ტიპის არაეფექტიანობის ერთდროული მოგვარება. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში მომხმარებელთა მიერ ჯანმრთელობის შემოწმებას სჭირდება გარკვეული რეალური რესურსები. დაბალი რისკის მქონე მომხმარებელს სამედიცინო დანახარჯების ნაწილის თავის თავზე აღების მოთხოვნა ნიშნავს, რომ იგი სრულად დაზღვეული არ არის, რაც სოციალური დანაკარგია იმ გაგებით, რომ რისკისადმი ნეიტრალურად განწყობილი სადაზღვევო კომპანია იქნება უფრო ეფექტური რისკის მატარებელი, ვიდრე რისკის მოწინააღმდეგე მომხმარებელი. ხელშეკრულება, რომელშიც ფიქსირებული გადასახადია დადგენილი, ძნელად იქნება გამართულად ფუნქციონირებადი. მაგალითად, სახლის მეპატრონის ნაკლები ყურადღება შეიძლება გამოიწვიოს მოხმარების პროცესში, რადგან ნებისმიერი დაზიანება ხელოსნის გასაკეთებელი იქნება. ამან ასევე შეიძლება გამოიწვიოს ხელოსნის გულგრილობა, იგი შეეცდება მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე არ გამოვიდეს მწყობრიდან აღჭურვილობა.

ამრიგად, გაურკვეველ სიტუაციებში ქვევის მოდელირების ყველაზე გავრცელებული გზა იმის დაშვებაა, რომ ინდივიდები საკუთარი ქვევების მოსალოდნელი სარგებლიანობის მაქსიმიზაციას ცდილობენ. რისკის მოყვარული ინდივიდები თავს დაიზღვევენ გაურკვეველობისაგან, თუ სადაზღვევო პრემია აქტუარული გათვლების მიხედვით სამართლიანი არ არის. ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, მეტი გადაიხადონ რისკის თავიდან ასაცილებლად. ინფორმაცია ყველაზე ღირებული მაშინაა, როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინდივიდს მანევრირების საშუალება აქვს. უფრო რთული კონტრაქტები, ვიდრე პროდუქტის ერთეულზე ფიქსირებული ფასია, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხარეების არათანაბარი ინფორმირებულობის შემთხვევაში. ასეთი კონტრაქტების არსებობის დროს განხილული უნდა იქნეს მხარეთა ინფორმირებულობა კონტრაქტზე ხელის მოწერამდე და იმ პირობებში, როცა კონტრაქტის მოქმედების პროცესზე თვალყურის მიდევნება შეუძლებელია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Stigler G. J. 1961. "The Economics of information"
2. Shavell S. 1979. "On Moral Hazard and Insurance," *Quarterly Journal of Economics*(November 1979): 541-62
3. Pratt W. 1964. "Risk Aversion in the small and in the large," *Econometrics* (January/April 1964):122-36

*Merab Julakidze*

### THE ECONOMICS OF INFORMATION

#### Summary

The article discusses the main topics concerning the information asymmetry in contact with economics. Information asymmetry deals with the study of decision in transactions where one party has more or better information than the other. This asymmetry creates an imbalance of power in transactions, which can sometimes cause the transactions to go away, a kind of market failure in the worst case. Examples of this problem are adverse selection, moral hazard, monopolies of knowledge, and finally, these can lead inefficiencies. Carefully designed contracts may reduce such problems by providing incentives to reveal one's information and take appropriate actions.

### შიდა ტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში COVID-19 პანდემიის ფონზე

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია შიდა ტურიზმში გამოვლენილი ტენდენციები COVID-19 პანდემიამდე და იმ მოლოდინების სტატისტიკური ანალიზი, რომლებსაც უნდა ველოდოთ პოსტპანდემიის პერიოდში. მოლოდინები გაანალიზებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რომლისთვისაც მომზადდა სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტი. შეირჩა კვლევის დიზაინი და განისაზღვრა ჩატარების ვადები. კვლევისათვის გამოყენებულ იქნა Goodle Drive-ისა და სოციალური ქსელების პლატფორმა.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ვიზიტორი, ლოკაცია, მიმზიდველობა, პანდემია.

### შესავალი


2020 წელმა მთელი სამყარო ურთულესი გამოწვევების წინაშე დააყენა. ცოტა ხნის წინ ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ასე შეიცვლებოდა მსოფლიოს ცხოვრების წესი და რიტმი. პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პარამეტრებიც. მონაცემთა პლატფორმის statista.com-ის თანახმად, ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი იმ სექტორთაგანია, რომელზეც ყველაზე დიდი გავლენა იქონია COVID-19-მა როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით. (აბესაძე ო. 2020. 51) განვითარების აქტიურ ფაზაში მყოფი ტურიზმი, გადავიდა განუსაზღვრელობის ეტაპზე და ყველა მასთან დაკავშირებული საქმიანობა რეალურად მიძინების სტადიაზე აღმოჩნდა. ამიტომ, მეტ-ნაკლებად ყველა ტურისტულ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა ტურიზმის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები. ვირუსის გავრცელების პირველი ტალღის შემდეგ საერთაშორისო ტურიზმი თითქმის პარალიზებული აღმოჩნდა, ხოლო შიდა ტურიზმმა დაიწყო გამოცოცხლება და მესამე კვარტალში საკმაოდ გაიზარდა მისი სტატისტიკური მახასიათებლები. მაგრამ შემოდგომაზე, მეორე ტალღის გამო ვირუსის გავრცელების მასშტაბების გაზრდამ შიდა ტურიზმიც მიძინების ფაზაში გადაიყვანა. ლოკდაუნებისა და მკაცრი რეგულაციების პირობებში შემცირდა ვირუსის გავრცელების მასშტაბები, შეზღუდვების ეტაპობრივმა გაუქმებამ გააჩინა შიდა ტურიზმის გამოცოცხლების მოლოდინები. მაგრამ ამჟამად ქვეყანა, ისევე როგორც მთელი მსოფლიო, ვირუსის გავრცელების მესამე ტალღის მოლოდინშია. ეპიდემიოლოგიური ვითარება უარესდება, აქედან გამომდინარე აქტიური ტურისტული ქმედებების არეალი ჯერ-ჯერობით შეზღუდულია. რადგანაც ყველაზე აქტიური პერიოდი ტურიზმისათვის მაინც ზაფხულია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაავადების გავრცელების პიკის ტალღა გადავლილი იქნება და მასობრივი ვაქცინაციის წარმატებით განხორციელების შემდეგ, ჩაწყნარებული ეპიდვითარების ფონზე შიდა ტურიზმი მოიკრებს ძალას და დაიწყება მისი აღმავლობის პროცესი. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურისტული ბაზრისათვის მნიშვნელოვანია მაღალხარისხიანი ტურისტული პროდუქტების შექმნა და მსოფლიო ტურისტული ბაზრებიდან მოსახერხებელი, უსაფრთხო დერეფნისა და ხელმისაწვდომი საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა (აბესაძე ნ., 2020.28).

2020 წელი მსოფლიო ისტორიაში შევა, როგორც ტურიზმის ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადასვლის წელი (ქინქლაძე რ., აბესაძე ნ., აბესაძე ო., 2020. 349).

\*\*\*

ფაქტია, რომ პანდემიამდე დინამიკაში შიდა ტურიზმი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ქვეყანაში 2017 წლიდან დაფიქსირდა საშუალო თვიური ვიზიტების რიცხვის ზრდის ტენდენცია. მარტო 2019 წელს წინა წელთან შედარებით 8%-ით გაიზარდა შიდა ვიზიტების რიცხვი. თუმცა ისიც ფაქტია, რომ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით მაჩვენებლის 3%-იანი კლება დაფიქსირდა.

დიაგრამა 1




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ტურიზმის დროს განსაკუთრებით აქტიური იყო 31-50 წლის ასაკის მოსახლეობა. რომელთა წილი შიდა ვიზიტორებს შორის 36,7% შეადგენდა. აქტიურობის მიხედვით აღსანიშნავია აგრეთვე 51-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა.

შიდა ტურიზმის დროს ვიზიტორები მოგზაურობდნენ ძირითადად მოკლევადიანი პერიოდით, რადგან მათ მიერ გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობა 1,97 შეადგენს. როგორც მონაცემების ანალიზიდან გამოვლინდა, გატარებული ღამეების საშუალო რიცხვი 2016 წელთან შედარებით შემცირებულია. თუმცა, 2017 წლიდან მისი რიცხვი მაინც გაიზარდა და თითქმის 2-ს მიუახლოვდა. ყველაზე მეტი ღამისთევა დაფიქსირდა თბილისში – 3.4, შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1.9 და ქვემო ქართლში – 1.8. ყველაზე ნაკლები კი შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთშია – 0.8.

საინტერესოა რომელი რეგიონები იყო მიმზიდველი საქართველოს მოქალაქეებისათვის 2019 წელს. როგორც მოსალოდნელი იყო, დინამიკაში გამოკვეთილი ტენდენციები ისევ შენარჩუნდა და ყველაზე მონახულებად რეგიონებად დასახელდა: თბილისი, აჭარა, იმერეთი, კახეთი, სამეგრელო-ზემო-სვანეთი და ა.შ.

დიაგრამა 2



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორი იქნება მოლოდინები, როდის მოხდება ტურიზმის აქამდე მიღწეული ზრდის ტემპების ისევ შენარჩუნება და უფრო მეტიც, გაზრდა, ძნელი სათქმელია. ისიც ცხადია, პანდემიის შემდეგ ტურიზმის აღმავლობისათვის უნდა მოხდეს ტურიზმის სექტორის ადაპტირება ახალ რეალობასთან. სიტუაციის მონიტორინგისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ გამოგვევლინა პოსტპანდემიურ საქართველოში ტურიზმის განვითარების მოთხოვნადი ტურისტული პროდუქტები. Google Drive-ის პლატფორმის გამოყენებით ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, რომლის შედეგების მიხედვითაც გავანალიზეთ საქართველოს მოქალაქეების დამოკიდებულება შიდა ტურიზმის განვითარების შესახებ.

საქართველოში 12 ათასზე მეტი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია. არის სამკურნალო მიმართულების 2 400-ზე მეტი მინერალური წყალი, ქვეყანაში 103 კურორტია. მნიშვნელოვანი პოტენციალია ღვინის ტურიზმის კუთხით. მაგალითად კახეთში, უამრავი საოჯახო მარანი და შატო არსებობს, რომელიც ტურისტს სრულფასოვან შეთავაზებას უკეთებს და ტურებიც ძალიან საინტერესოა: ვიზიტორებს შეუძლიათ ღვინის დაგემოვნება, ქვევრში ღვინის დაწურვის პროცესში მონაწილეობის მიღება და ა.შ. ასევე, ძალიან დიდია სათავგადასავლო ტურისტული პოტენციალი, განსაკუთრებით მთიან რეგიონში. ზაფხულის სეზონზე ძალიან აქტუალურია ტრადიციულად ზღვის ტურები - აჭარის რეგიონი, უნდა გამოიყოს აგრეთვე თუშეთის, ხევსურეთის, სვანეთის ტურები.<sup>98</sup>

**როგორი იყო კვლევის მეთოდოლოგია?** კვლევისათვის აუცილებელი იყო კვლევის შედეგად მიღებული მასალის დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზისათვის ტურიზმის სფეროში სტატისტიკური დაკვირვების ინსტრუმენტარის მომზადება. პირველ ეტაპზე შეირჩა კვლევის დიზაინი და განისაზღვრა ჩატარების ვადები. ოპტიმალურად ჩაითვალა კვლევის ჩატარება სოციალური ქსელების პლატფორმის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 308 რესპონდენტმა.

რესპონდენტებიდან მიღებული პასუხებისას სრულად იქნა დაცული კონფიდენციალობის პირობა და ისინი გამოყენებულ იქნა მხოლოდ ანალიტიკური მიზნებისთვის. კვლევა ჩატარდა სამი თვის განმავლობაში (ივნისი, ივლისი, აგვისტო) და მოიცავდა საქართველოს 15 წლისა და უფროსი ასაკის იმ მოსახლეობას, რომლებმაც აღნიშნული პერიოდში განმავლობაში განახორციელეს ვიზიტი მუნიციპალიტეტებს შორის. კვლევის დიზაინი ითვალისწინებდა ანკეტის შედგენას, რომელიც განისაზღვრა 15 კითხვით.


კვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხულთა 69,9 % აღმოჩნდა ქალი და შესაბამისად 30,1% მამაკაცი. 45%-მა შეადგინა 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფი. 26,1% – 15-24 წლის იყო, ხოლო 45 – 64 წლის ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა 26,5 %; გაცილებით ნაკლები იყო 65 და ზევით ასაკის რესპონდენტთა წილი (2,5%), გამოკითხულთა 5% იყო სტუდენტი, 58,8% – დაქირავებული მომუშავე, 29,2% – თვითდასაქმებული, 2,5% – უმუშევარი, ხოლო 2,0% – დიასახლისი.

როგორც კვლევამ აჩვენა, მიმდინარე წელს, რესპონდენტთა 60,5% ჰქონდა შიდა ტურიზმის ისტორია. მათი დიდი ნაწილი (52%) მოგზაურობდა მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად, მარტო კი – 14%, ხოლო ოჯახის წევრებთან ერთად გამოკითხულთა 11%. პანდემიის გამოცხადებამდე, მოგზაურობისას ძირითად მიზანს წარმოადგენდა ნათესავებისა და ახლობლების მონახულება. შემდეგ კი დასვენება, გართობა და რეკრეაცია.

როგორია შიდა ტურიზმის მიმართ მოლოდინები? რესპონდენტთა 45% ფიქრობს, რომ პანდემიის შემდეგ აუცილებლად გაემგზავრება სამოგზაუროდ, 29%-ს ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ხოლო უარი მოგზაურობაზე განაცხადა რესპონდენტთა 12%-მა.


<sup>98</sup> <https://www.ambebi.ge/article/130245-sakartvelos-ulamazesi-adgilebi-romlis-naxva-15-20-larad-shegziliat/>

რესპონდენტების განაწილება მოგზაურობის სურვილის მიხედვით<sup>99</sup>



ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით შეიცვალა მოსახლეობის განწყობა შიდა ტურიზმის მიმართ და რესპონდენტთა თითქმის 60%-თვის გამგზავრების მიზანი იყო დასვენება, გართობა და რეკრეაცია, ხოლო, 14%-თვის კი ნათესავებისა და ახლობლების მონახულება, 16%-თვის მკურნალობა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, 10%-თვის პროფესიული საქმიანობა. გამოკითხულთა უმრავლესობა (53%) უპირატესობას ანიჭებს სასტუმროს, როგორც განთავსების ყველაზე პოპულარულ საშუალებას, 8% – ჰოსტელს, 10% – სასტუმრო სახლს, 21% – ახლობლის სახლს.

რესპონდენტების განაწილება განთავსების საშუალებების გამოყენების მიხედვით



რესპონდენტთა 38%-მა მოგზაურობისას დახარჯა 500 ლარამდე, 22%-მა კი 1000 ლარამდე. საინტერესო სურათი გამოვლინდა მოგზაურობისას თანმხლები პირების ანალიზისას. როგორც მონაცემებიდან ირკვევა, ასაკის მომატებასთან ერთად იზრდება ნათესავებთან და ახლობლებთან ერთად მოგზაურობის სურვილის მქონე რესპონდენტების რაოდენობა, ხოლო ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების შემთხვევაში კი მაღალია მეგობრებთან ერთად მოგზაურობის სურვილის მქონეთა წილის მაჩვენებლები.

რესპონდენტების განაწილება ასაკობრივი ჯგუფებისა და მოგზაურობისას თანმხლები პირების მიხედვით

| ასაკობრივი ჯგუფები | თანამშრომლებთან/კოლეგებთან ერთად | მარტო | მეგობრებთან ერთად | ოჯახის წევრებთან/ნათესავებთან ერთად |
|--------------------|----------------------------------|-------|-------------------|-------------------------------------|
| 18-25              | 9,1%                             | 15,5% | 46,4%             | 29,1%                               |
| 26-35              | 11,4%                            | 13,3% | 41%               | 34,3%                               |
| 36-45              | 16,1%                            | 12,9% | 38,7%             | 32,3%                               |
| 46-55              | 15,4%                            | 0%    | 16,7%             | 66,7%                               |


<sup>99</sup> აქ და ტექსტში შემდგომ მოტანილი დიაგრამები აგებულია და ცხრილები შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

|             |     |    |     |     |
|-------------|-----|----|-----|-----|
| 56-65       | 17% | 0% | 14% | 69% |
| 65-ზე ზევით | 0%  | 0% | 3%  | 97% |

შეკითხვაზე ხვალ, რომ მოგიწიოთ გამგზავრება რომელ ლოკაციას აირჩევდით სამოგზაუროდ, რესპონდენტთა 20%-მა უპასუხა რომ გაემგზავრებოდა სვანეთში, უშგულში; მარტვილის კანიონის სანახავად – 14%, აბუდელაურის ფერად ტბებს მოინახულებდა –12%, დამბაშის კანიონის სანახავად – 11%, ბახმაროში – 18%, ფასანაურში – 8%, გომის მთაზე – 5%, დამბაშის კანიონის სანახავად – 3%, ყაზბეგი – 8%, ბაკურიანი – 9% და ა.შ.


დიაგრამა 5

რესპონდენტების განაწილება მიმზიდველი ტურისტული ლოკაციების მიხედვით



საინტერესო შედეგები მივიღეთ ტურისტული პროდუქტების პრიორიტეტულობის შედეგების ანალიზისას. რესპონდენტთა 37% თვლის, რომ ყველაზე მეტად მიმზიდველია მთის ტურიზმი. 22% მიიჩნევს, რომ საქართველოში პრიორიტეტული უნდა იყოს სათავგადასავლო ტურიზმი. 17% უპირატესობას ანიჭებს ეკო და აგრო ტურიზმს. დაცულ ტერიტორიების მონახულების ტურისტული პაკეტი მოსწონს და აინტერესებს 8%-ს, მთის ტურიზმი კი რესპონდენტთა 37%-ს, ღვინის ტური მოსწონს 11%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თაობას ყველაზე მეტად სწორედ სათავგადასავლო ტურიზმი ხიბლავს.

დიაგრამა 6



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩანარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

შეკითხვაზე, თუ რამდენი ლარის დახარჯვას აპირებენ საქართველოს მოქალაქეები მოგზაურობისას, მოსალოდნელი ხარჯების მოდალური მნიშვნელობა აღმოჩნდა 501-1000 ლარი.

### დასკვნა

კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ შეიძლება დავასკვნათ:

- პადემიის გამოცხადებამდე, სახეზე იყო შიდა ტურიზმის მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია;

- პანდემიის პერიოდში პირველ ეტაპზე გამოცოცხლებული იყო შიდა ტურიზმი, ფართოდ გავრცელების მასშტაბის პირობებში კი გადავიდა მიძინების ეტაპზე;
- ტურისტებს შორის ჭარბობს 31-50 წლის, ხოლო რესპონდენტებს შორის 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა;
- რესპონდენტთა 60,5% ჰქონდა ქვეყანაში მოგზაურობის ისტორია და ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (52%) მოგზაურობდა მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად; მაღალია ოჯახის წევრებთან ერთად და მარტო მოგზაურობის მაჩვენებლებიც;
- საქართველოს რეზიდენტები მოგზაურობისას განთავსების საშუალებებიდან უპირატესობას ანიჭებენ სასტუმროებსა და სასტუმრო სახლებს, მაღალია აგრეთვე ახლობლების ბინით სარგებლობის მაჩვენებელი;
- რესპონდენტთა დიდი ნაწილისათვის გამგზავრების მიზანი ნათესავებისა და ახლობლების მონახულება იყო, თუმცა პანდემიის დასრულების შემდეგ პირველ ადგილზე გადაინაცვლა დასვენებამ, გართობამ და რეკრეაციამ;
- რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი აპირებს, რომ მოგზაურობისას დახარჯოს 501-1000-ლარამდე;
- შიდა ტურიზმის დროს სასურველ ლოკაციებად დასახელდა: უშგული, მარტვილისა და ოკაცეს კანიონი, აბუდელაურის ფერადი ტბები, ბახმარო, გომის მთა, დაშბაშის კანიონი, ყაზბეგი, სიღნაღი და ა. შ.;
- რესპონდენტებს ყველაზე მეტად იზიდავს მთის, სათავგადასავლო ტურიზმი, ეკო და აგრო ტურიზმი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ნ., მინდორაშვილი მ., ფარესაშვილი ნ., 2018. უცხოელი ვიზიტორების ტურისტული ხარჯები საქართველოში. მონოგრაფია, 35-37.
2. აბესაძე ნ., 2020. ტურიზმის მოლოდინების სტატისტიკა საქართველოში პოსტპანდემიის პერიოდში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. თსუ გამომცემლობა, გვ. 28.
3. აბესაძე ო., 2020, ტურიზმის პოსტპანდემიური მოლოდინები და განვითარების ტენდენციები. ჟურნალი „ეკონომიკა“. № 10-12, გვ.51.
4. გელდნერი ჩ. რ., ბრენტ რითჩი ჯ. რ., ტურიზმი. მეთორმეტე გამოცემა. 2012.
5. ქინქლაძე რ., აბესაძე ო., აბესაძე ნ., ევროკავშირიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების სტატისტიკური კვლევა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები შრომების კრებული, გვ. 349, 2020.
6. ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა. პრეზენტაცია.
7. Abesadze N., Kinkladze R., Paresashvili N., (2019), Increasing Trends of Tourist Flows from the European Countries to Georgia. Scientific Conference on Economics and Entrepreneurship Proceedings. Riga, 4-11.

*Ana Abesadze*

### DOMESTIC TOURISM DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA AGAINST THE BACKGROUND OF THE COVID-19 PANDEMIC

#### Summary

The year 2020 has presented the whole world with the most difficult challenges. Until recently, no one could have imagined that this would change the way of life and rhythm of the world. The pandemic has significantly changed the economic development parameters of the countries as well. According to the data platform [statista.com](https://www.statista.com), the tourism sector is one of the sectors most affected by COVID-19 in terms of both demand and supply. Tourism, which is in an active phase of development, has moved to the stage of uncertainty and all related activities have actually reached the stage of dormancy. Therefore, the basic statistical characteristics of tourism have changed significantly in more or less all tourist countries, including Georgia.

After the first wave of the virus spread, international tourism was almost paralyzed, while domestic tourism began to revive and its statistical characteristics increased considerably in the third quarter. But in the fall, the increase in the spread of the virus due to the second wave also pushed domestic tourism into the target phase. Under the conditions of lockdowns and strict regulations, the spread of the virus has decreased, the gradual lifting of restrictions has raised expectations for the revival of domestic tourism. But now the country, like the rest of the world, is waiting for the third wave of the virus to spread. The epidemiological situation is deteriorating, hence the area of active tourism activities is still limited. Since the most active period for tourism is still summer, we should hope that the peak wave of the disease will pass and after the successful implementation of mass vaccination, against the background of a calming epidemic, domestic tourism will gather strength and begin the process of its rise. What are the expectations, when will the growth rates of tourism achieved so far be maintained again and, moreover, increase, it is difficult to say. It is also clear that for the tourism boom after the pandemic, the tourism sector must adapt to the new reality. In order to monitor the situation, we considered it necessary to identify the tourism products required for the development of tourism in post-pandemic Georgia. Using the Google Drive platform, we conducted a survey, according to the results of which we analyzed the attitudes of Georgian citizens towards the development of domestic tourism.

A statistical observation tool was prepared. At the first stage, the research design was selected and the deadlines were set. It was considered optimal to conduct the survey using a social networking platform. 308 respondents participated in the study.

After analyzing the research results, we can conclude: Prior to the announcement of the Pandemic, there was a growing trend of domestic tourism; In the first phase of the pandemic, domestic tourism was revived, and in terms of its widespread scale, it moved to the dormant phase; The prevailing population is 31-50 years old among tourists and 25-44 years old among the respondents; 60.5% of respondents had a history of traveling in the country and the highest proportion (52%) traveled with friends and relatives; High rates with family and travel alone; Georgian residents prefer hotels and guesthouses over their travel facilities, as well as the rate of using their relatives' apartments; For the majority of respondents, the purpose of the trip was to visit relatives and friends, although after the end of the pandemic, leisure, fun and recreation moved to the first place. Most of the respondents are going to spend 501-1000 GEL while traveling. Preferred locations for domestic tourism were: Ushguli, Martvili and Okatse canyons, Abudelaure colored lakes, Bakhmaro, Gomi mountain, Dashbashi canyon, Kazbegi, Signaghi and others. Respondents are most attracted to mountain, adventure tourism, eco and agro tourism.

*ნინო აბესაძე*

### სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში პოსტპანდემიის პერიოდში

**ანოტაცია.** Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში მსოფლიოში ეპიდემიოლოგიური ვითარება კვლავ რთულია და ქვეყნების უმრავლესობა კორონა ვირუსის გავრცელების მესამე ტალღის რეალური საფრთხის წინაშეა. ტურიზმის აღორძინების მოლოდინები, რომლებიც პანდემიიდან ერთი წლის შემდეგ გაჩნდა, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ისევ ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზამ ჩაანაცვლა და ტურიზმიც კვლავ მიძინების სტადიაზე აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, ტურიზმის აღორძინების მოლოდინები არსებობს და ეს შეიძლება იყოს მრავალმხრივი. მის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ სამკურნალო/გამაჯანსაღებელი ტურიზმი, რომლის განსავითარებლად საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. სტატიაში განხილულია სამედიცინო/გამაჯანსაღებელი ტურიზმის ძირითადი კატალიზატორები და მათი ტურისტულ პროდუქტად შეფუთვის შესაძლებლობები. მნიშვნელოვანი იქნება ტურიზმის ინდუსტრიის ციფრული ტრანსფორმაციის ხარისხის ამაღლება და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების გაზრდა საქართველოს სამედიცინო ტურისტული მიმზიდველობის, ტურისტული პოტენციალის გაზრდისა და იმიჯის ამაღლებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, მიმზიდველობა, რესურსი, პოპულარიზაცია, ციფრული ტრანსფორმაცია.




## შესავალი

ტურიზმის სექტორი ჯერ კიდევ Covid-19-ით გამოწვეული პანდემიით მიღებულ შოკურ მდგომარეობაშია, რომელმაც განვითარების აქტიურ ფაზაში მყოფი ტურიზმი, გადაიყვანა განუსაზღვრელობის ეტაპზე და ყველა მასთან დაკავშირებული საქმიანობა კი მიძინების სტადიაზე. პანდემიასთან ბრძოლის ერთი წლის შემდეგ, თითქოს გაჩნდა პოზიტიური მოლოდინები. პანდემიური პერიოდისათვის შემოღებული რეგულაციები ეტაპობრივად მოიხსნა და პოსტპანდემიური პერიოდისათვის აუცილებელი წესებისა და რეგულაციების დაცვის პირობით, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმი 2021 წლის თებერვლიდან პოზიტიური ცვლილებების მოლოდინის რეჟიმში გადავიდა. მაგრამ 2021 წლის აპრილში, როდესაც ქვეყანა ვირუსის გავრცელების მესამე ტალღის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ტურიზმი ისევ არაპროგნოზირებად, ეკონომიკურად განუსაზღვრელ ჩარჩოებში მოექცა.

ეპიდემიოლოგიური ვითარება კვლავ რთულია და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვირუსის გავრცელების მესამე ტალღა მძვინვარებს. Worldometer-ის მონაცემებით მსოფლიო მასშტაბით კორონავირუსის დადასტურებულ შემთხვევათა საერთო რაოდენობა აპრილის დასაწყისისათვის 133 მლნ-ს აჭარბებს (133897 159). გარდაცვლილთა რაოდენობა კი - 2,904,673-ს შეადგენს. Covid 19-ის გავრცელების კუთხით აღსანიშნავია აშშ - 31,640,843, ბრაზილია - 13,197,031, ინდოეთი - 12,942,335<sup>100</sup>.

ქვემოთ მოტანილი დიაგრამა აჩვენებს ქვეყნების განაწილებას შემთხვევების წილის მიხედვით.



წყარო: Worldometer

<https://www.worldometers.info/coronavirus/worldwide-graphs/#case-distribution>

ბუნებრივია, მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიცვალა ტურიზმის ტენდენციები და ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები.

რადგან საქართველო ტურისტულ ქვეყანას წარმოადგენდა და იმედია, მომავალში ისევ ასეთად დარჩება, მნიშვნელოვანია იმ მოლოდინების განსაზღვრა და გაანალიზება, რომელსაც უნდა ველოდოთ Covid-19 პანდემიის დასრულების შემდეგ, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმის პირობებში. ალბათ, უდავოა, რომ საქართველოს ტურიზმის განვითარების სტატისტიკური შეფასების მიზნით, მაჩვენებლეთა გაანგარიშების, ანალიზისა და საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი გახდება ორი პერიოდი: 2020 წლამდე ტურიზმის რაოდენობრივი მახასიათებლები და პანდემიის შემდგომი პერიოდის სტატისტიკური მაჩვენებლები. 2020 წლამდე მიღწეული ტურიზმის ინდიკატორების სწრაფი ზრდის ტემპები, მშპ-ში ტურიზმის წილის სისტემატური ზრდის ტენდენცია, ვიზიტებისა და ვიზიტორების რიცხვის ზრდის მაღალი ტემპები, ტურიზმის გეოგრაფიული სტრუქტურის მრავალფეროვნება, საქართველოს ტურისტული პოტენციალის მნიშვნელოვანი გაზრდისა და შესაბამისად მიმზიდველობის საოცრად მზარდი ტემპები და ა. შ. აისახა ტურიზმის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემაზე, გლობალური ინდექსებისა და მისი სუბინდექსების მნიშვნელობებზე. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო გაეროს რეკომენდაციების დანერგვის

<sup>100</sup> <https://www.worldometers.info/coronavirus/#countries>

პირობებში ტურიზმის სრულყოფილი ინფორმაციული ბაზის ფორმირებას. ეს ეხება როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმს. 2021 წლიდან იგეგმებოდა შიდა ტურიზმის აღრიცხვის სრულყოფის ახალი მიმართულებების-მობილური ოპერატორების გამოყენებით ტურისტულ ლოკაციებზე ვიზიტორების რაოდენობის განსაზღვრა, თუმცა ცნობილი მიზეზების გამო გადაიწია და იმედია, ტურიზმის კვლევების აღდგენასთან ერთად, ისიც აქტიურად იქნება გამოყენებული.

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ რომელმაც შეცვალა ცხოვრების რიტმი, ადამიანთა და ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული და სხვ. ურთიერთობები, მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ეს გამოწვევევი სხვადასხვა ქვეყნისათვის განსხვავებულია, თუმცა საერთო რაც ტურიზმს უკავშირდება ისაა, რომ მისი აღდგენა-აღორძინება საერთო რეგულაციების, წესების მკაცრად დაცვისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობებში უნდა განხორციელდეს. მართალია 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ქვეყანაში სტაბილურდებოდა, მაგრამ მას "მწვანე ქვეყნის" სტატუსამდე არ მიუღწევია. ე.წ. შუქნიშნის პრინციპის მიხედვით არსებობს მწვანე, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი ზონები. აქ გაითვალისწინება რამდენიმე მაჩვენებელი - ინციდენტობა ანუ ახალი შემთხვევების რაოდენობა 100 000 მოსახლეზე ყოველდღიურად და შემდეგ მისი საშუალო მაჩვენებელი, რომელიც ითვლება 7-დან 14 დღის განმავლობაში; სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1 მლნ მოსახლეზე; დადებითობის მაჩვენებელი. საერთაშორისო პრაქტიკით, თუ დადებითობის მაჩვენებელი 5%-ზე დაბლა ფიქსირდება, ითვლება, რომ ეპიდსიტუაციას დადებითი დინამიკა გააჩნია. (2021 წლის მარტის თვეში საქართველოში ზღვარი 4% აღინიშნა). ასევე, მნიშვნელოვანია საწოლფონდის დატვირთვის მაჩვენებელი; რეანიმაციებში და სასუნთქ აპარატებზე მყოფ ადამიანთა რაოდენობა და სხვ.. ყველა ამ მაჩვენებლით ეპიდსიტუაცია საქართველოში დღეს უარესდება.

**Covid-19 დადასტურებული შემთხვევები საქართველოში (08.04.2021)**

| დაფიქსირებული შემთხვევა | ახალი შემთხვევა | გარდაცლილთა რიცხვი | გამოჯანმრთელებულთა რიცხვი |
|-------------------------|-----------------|--------------------|---------------------------|
| 286 406                 | +761            | 3849               | 276084                    |

წყარო: Worldometer  
<https://www.worldometers.info/coronavirus/worldwide-graphs/#case-distribution>

როგორც ცნობილია, 1 თებერვლიდან რეგულარული ავიამიმოსვლა აღდგა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, უცხო ქვეყნების ვიზიტორები ნებისმიერი ტიპის კოვიდვაქცინის სრული კურსის ჩატარების (რაც ორ სრულ დოზას გულისხმობს) დამადასტურებელი საბუთის საზღვარზე წარდგენის შემთხვევაში, საქართველოში უპირობოდ შემოსვლას შეძლებენ. მიუხედავად იმისა რომელი დასახელების ვაქცინა ექნება გაკეთებული.

ტურიზმის აღორძინების მოლოდინები შეიძლება იყოს მრავალმხრივი. მის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ სამკურნალო ტურიზმი, რომელიც ისე როგორც არასდროს შეიძლება გახდეს მოთხოვნადი Covid-19-ით გამოწვეული შემდგომი მასიური გართულებების ფონზე.

მეზობელ და ევროპის ქვეყნებს დიდი გამოცდილება აქვთ სამედიცინო ტურიზმის განვითარებაში. მაგალითად, თურქეთს, ისრაელს, გერმანიას, აზერბაიჯანს, ირანს, უკრაინას, ლატვიას და სხვ.

ამ ეტაპზე რეგიონში სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით პირველია თურქეთი, სადაც პაციენტების უმრავლესობა მიდის. თუმცა, ეს ბაზარი სწრაფად ცვალებადია<sup>101</sup>. თურქეთში, რომელიც რეგიონში სამედიცინო ტურიზმის კუთხით ყველაზე წარმატებულია,

<sup>101</sup> <https://www.bpn.ge/article/15972-ratom-ar-vitardeba-samedicino-turizmi-sakartveloshi/>

აეროპორტებთან ახლოს უზარმაზარი სამედიცინო ცენტრები იხსნება, სადაც პაციენტთა 30-40% სწორედ უცხოელები არიან. მნიშვნელოვანია, რომ ამაზე გლობალური ფაქტორები მკვეთრად მოქმედებს. სამედიცინო ტურიზმით, როგორც ყოველთვის, გერმანია სტაბილურად მაღალი მოთხოვნით გამოირჩეოდა. მაგრამ საგულისხმოა, რომ თურქეთი უცხოელ პაციენტებს ეკონომიკურად სთავაზობს. სწორედ ამან განაპირობა, სამედიცინო ტურისტული ნაკადების სწრაფი ზრდა. საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე პაციენტებში გერმანია უფრო მოთხოვნადი გახდა. საქართველო მულტიპროფილურად საინტერესო ვერ იქნება, მაგრამ შეიძლება ვიწრო მიმართულებით გახდეს საინტერესო, თუნდაც რეგიონალური მასშტაბით. მან ვიზიტორებს უნდა შესთავაზოს ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომელიც საინტერესო იქნება მომსახურების მაღალი ხარისხითა და მომხიბვლელი ფასებით. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ, გერმანია, სადაც საყოველთაო დაზღვევა მოქმედებს. თუმცა, ზოგიერთ სამედიცინო მომსახურებას დაზღვევა არ ფარავს. მაგალითად, ესთეტიურ მედიცინას, სტომატოლოგიას და სხვ.. ასეთ შემთხვევაში გერმანიის მოქალაქე ამ სერვისის მისაღებად სხვა ქვეყანაში მიდის. მაგალითად, ჩეხეთში, სადაც მისთვის სასურველ სამედიცინო სერვისს ნახევარ ფასად მიიღებს<sup>102</sup>. თანაც, საშუალება აქვს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ტურისტული ტურიც შეუთავსოს.

ლატვიას აქვს ის ნიშა, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო პაციენტების ნაკადების სისტემატურ ზრდას, რომელთა შორის იზრდება საქართველოს რეზიდენტების პროცენტული წილის მაჩვენებელიც. მომსახურების სპეციფიური მიმართულებები, ევროპის და სხვა ქვეყნებთან შედარებით მომხიბვლელი ფასები, კვლევის ულტრათანამედროვე მეთოდები მაგალითად, ჰელიუმის გამოყენებით კვლევების ჩატარება ლატვიაში საქართველოდან ტურისტული ნაკადების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. იგივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანში სიმსივნის საწინააღმდეგო ახალი მეთოდის დანერგვის, ისრაელის, თურქეთის, გერმანიის მრავალპროფილიანი ულტრათანამედროვე მეთოდებით სამედიცინო მომსახურების მისაღებად ტურისტული ნაკადების სწრაფ ზრდის ტენდენციაზე. სამედიცინო ტურიზმი ბევრ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს<sup>103</sup>.

დღეს, აზერბაიჯანი თამამად იკავებს მოწინავე პოზიციებს „Wellness Holiday“ კატეგორიაში, სადაც ლიდერ პოზიციებზეა ისრაელი, გერმანია, სლოვენია და შვეიცარია. საქართველო ლიდერობს კატეგორიაში: გასტრონომია და აგროტურიზმი<sup>104</sup>. გაიხსნა თანამედროვე სამედიცინო და ჯანმრთელობის ცენტრები ბაქოში, ნაფტალანში, ნახიჩევანის და ქვეყნის სხვა რეგიონებში. აზერბაიჯანი მსოფლიოში ცნობილია ისეთი რესურსებით, როგორცაა: სამკურნალო ტალახები, მინერალური წყლები და ნაფტალანის ზეთი. გავრცელებული ინფორმაციით ნაფტალანის ზეთს 70-ზე მეტი დაავადების განკურნება შეუძლია. აზერბაიჯანი ვიზიტორებს იზიდავს ნახიჩევანის ჰალოთერაპიით, რომელიც ჩასულ ვიზიტორებს სთავაზობს ჯადოსნურ მარილიან გამოქვაბულს - დუზდაგს. აზერბაიჯანის მიმზიდველობის საიდუმლოს 350-ზე მეტი ტალახის ვულკანი წარმოადგენს. ამიტომაც სულ მზარდია აზერბაიჯანით დაინტერესების სტატისტიკა.

საქართველოში ტურიზმის ეს მიმართულება თანდათანობით ვითარდება. აქ ვლინდება სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა. პერმანენტული კვლევები ტურისტული ბაზრის ამ სეგმენტზე, ამ კონკრეტული მიმართულებით - სამედიცინო ტურიზმის ძირითადი მახასიათებლების, სამედიცინო ტურისტული პოტენციალისა და ამ მიმართულებით ტურისტული ნაკადების მოლოდინების განსაზღვრისათვის კომპლექსური ანალიზის საშუალებას მოგვცემს, რაც საქართველოში ტურიზმის სწორი პოლიტიკის შემუშავების აუცილებელი ინდიკატორი გახდება. შესაბამისად შესაძლებელი იქნება სამედიცინო

<sup>102</sup>

<sup>103</sup> [https://germaniashimkurnaloba.blogspot.com/2013/05/google-google\\_8477.html](https://germaniashimkurnaloba.blogspot.com/2013/05/google-google_8477.html)

<sup>104</sup> <https://www.advantour.com/azerbaijan/tourism/medical-tourism.htm>

ტურიზმის როლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის.

საქართველოში არის იმის პოტენციალი, რომ გახდეს სამედიცინო/გამაჯანსაღებელი ტურიზმით მიმზიდველი ქვეყანა. სხვადასხვა კვლევების შედეგების სათანადო შეფასებების, ციფრული ტრანსფორმაციების ბაზაზე პოპულარიზაციის გაზრდის საფუძველზე შესაძლებელია ტურისტულ ნაკადებისათვის ისეთი მომსახურების შეთავაზება, როგორცაა: ესთეტიური მედიცინის, პლასტიკური ქირურგიის, დენტალური მედიცინის, ბალნეოლოგიური და სხვა სახის მომსახურება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში 2400-მდე სახეობის ბუნებრივი წყლის წყაროები არსებობს. ტურიზმის თვალსაზრისით მათი ცნობადობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. გოგირდის წყლები, საირმის, წყალტუბოს, ახტალას და სხვ. გამაჯანსაღებელი პროცედურები, ასევე ბორჯომის, ნაბეღლავის, ლიკანის, სნოს, მუხურის „ლუგელას“ (რომელიც თავის ბუნებრივი შემადგენლობით უნიკალურია) და სხვ. ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული მაღალხარისხიანი ტურისტული პაკეტების მრავალფეროვნება სწორი მიდგომისა და შეფასებების შედეგად საქართველოს სამედიცინო ტურიზმის აღმავლობის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება გახდეს. ცხადია, ეს პროცესი არ იქნება მარტივი. მნიშვნელოვანია, რომ როგორც საერთაშორისო, ისე შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით მაღალხარისხიანი ტურისტული პროდუქტების შექმნის პარალელურად, მოხდეს ტურისტულ ბაზარზე მოსახერხებელი, უსაფრთხო ტურისტული ნაკადების მიმოსვლის უზრუნველყოფა პოსტპანდემიისთვის აუცილებელი რეგულაციების სრული დაცვით.

სამედიცინო ტურიზმის სექტორში დომინირებს გამაჯანსაღებელი ტურიზმი და სპა ტურიზმი (ბაზრის 41%). საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ გახდეს გამაჯანსაღებელი ტურიზმის ქვეყანა. ამისათვის, ქვეყნის უნიკალური თვისებების ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე მათი ფართო პოპულარიზაცია, ბორჯომის, საირმის, წყალტუბოსა და სხვა მსგავსი სარეკრეაციო კურორტების თანამედროვე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. არანაკლები მნიშვნელობა აქვს გამაჯანსაღებელი კურორტების, მსგავსად სხვა ტურისტული ლოკაციების ასახვას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საპრომოციო მასალებში, ეს იქნება ვიდეო კლიპები, ბროშურები და ა.შ. დღეს, შეიძლება ითქვას, უცხოეთში არის ინტერესი საქართველოში სამკურნალო ტურიზმის მიმართულებით, განსაკუთრებული დაინტერესება ვლინდება მეზობელი ქვეყნებიდან, როგორცაა აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი. პოსტპანდემიის პერიოდში მიზანშეწონილი იქნება თემატური შეხვედრები როგორც ონლაინ ფორმატში, ისე საერთაშორისო გამოფენების ფარგლებში, დაინტერესებულ ტუროპერატორებთან, ვინც ამ მიმართულებით მუშაობს. ტურიზმის გამოცოცხლებისა და ხელახალი აღორძინების პერიოდში დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოში პრეს და ინფოტურების გამართვას. ეს საშუალებას მისცემს სტუმრებს გაეცნონ სამედიცინო ტურიზმის პრიორიტეტებს და ხელმისაწვდომი გახადონ დანარჩენი სამყაროსთვის. სამედიცინო ტურიზმი შეიძლება გულისხმობდეს: პრევენციას, რეაბილიტაციას, მკურნალობას. აქედან გამომდინარე, თითოეულ სეგმენტს უზრუნველყოფს სპეციალიზებული სამედიცინო ცენტრები. შესაბამისად, ტურიზმის პოპულარიზაციათან ერთად მოხდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მათი ცნობადობისა და იმიჯის კიდევ უფრო ამაღლება. ეს ეხება თუნდაც, წყალტუბოს სამკურნალო წყალს, რომელიც დიდი ხანია გახდა ჯანსაღი ცხოვრების სიმბოლო და რომელსაც, როგორც ბუნების უნიკალურ საჩუქარს, "უკვდავების წყაროს" უწოდებენ. საირმეს, თავისი 4 სხვადასხვა სამკურნალო თვისების და 1 თერმული წყაროს პოპულარიზაციით, რომლითაც მრავალი დაავადების განკურნებაა შესაძლებელი. ბახმაროს, უნიკალური კლიმატური ჰარმონიით, რაც მიიღწევა მთისა და ზღვის შერეული ჰავით თავისი პროფილაქტიკური და პულმონოლოგიური პროფილით. აბასთუმანს, ფტიზიატრიული პროფილითა და ართროლოგიური დაავადებანის სამკურნალოდ, ახტალას, თავისი სამკურნალო ტალახებით ძვალ-სახსროვან, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიურ, დერმატოლოგიურ, უროლოგიურ და სხვა

დაავადებებისათვის. შემადგენლობით უნიკალური წყალ ლუგელას, რომელიც ქლორიდულ-კალციუმთან მინარევს წარმოადგენს, ანტიალერგიული, ანტიბაქტერიული, ანტირაქიტული, ანტიანთებითი თვისებებით და ა. შ.

საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარების მოტივები სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი უნიკალური ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარეობს, რასაც თან უნდა ახლდეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან შედარებით ანალოგიური სერვისის მიღების დაბალი ღირებულება, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები, მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარება, საკუთარ ქვეყანაში საჭირო სერვისის არ არსებობა და აშ.

## დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყველანაირი წინაპირობა არსებობს, რომ სამედიცინო ტურიზმი ტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდეს. საქართველოს უნიკალური ბუნებრივი რესურსები ქმნის იმ ნიშას, რაც უზრუნველყოს ვიზიტორებისათვის სამედიცინო-გამაჯანსაღებელი კუთხით ქვეყნის მიმზიდველობის ზრდის პერსპექტივები. ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული მაღალხარისხიანი ტურისტული პაკეტების მრავალფეროვნება სწორი მიდგომისა და შეფასებების შედეგად საქართველოს სამედიცინო ტურიზმის აღმავლობის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება გახდეს. მნიშვნელოვანია, რომ როგორც საერთაშორისო, ისე შიდა მოთხოვნის სტიმულირების მიზნით მაღალხარისხიანი ტურისტული პროდუქტების შექმნის პარალელურად, მოხდეს ტურისტულ ბაზარზე მოსახერხებელი, უსაფრთხო ტურისტული ნაკადების მიმოსვლის უზრუნველყოფა პოსტპანდემიისთვის აუცილებელი რეგულაციების სრული დაცვით. მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსა ტურიზმის ინდუსტრიის ციფრული ტრანსფორმაციის ხარისხის ამაღლება და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების გაზრდა საქართველოს სამედიცინო ტურისტული მიმზიდველობის, ტურისტული პოტენციალის გაზრდისა და იმიჯის ამაღლებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Kramer, Andrew E. (4 December 2006). „Bathing in Black Gold for Health and Profit in Azerbaijan“. *The New York Times*. . Retrieved July 22, 2019,
2. Orujova, Nigar. Azerbaijan strives to become medical tourism destination. Retrieved Mart 22, 2021, AZERNEWS. <https://www.azernews.az/business/91430.html>
3. Holodny, Elena. Taking a bath in warm crude oil is a popular spa treatment in some parts of the world. Retrieved Mart 22, 2021, Business Insider. <https://www.businessinsider.com/crude-oil-baths-in-azerbaijan-2015-7>
4. Kramer, Andrew E. (4 December 2006). „Bathing in Black Gold for Health and Profit in Azerbaijan“. *The New York Times*. Retrieved Mart 22, 2021, [https://www.nytimes.com/2006/12/04/world/asia/04azerbaijan.html?\\_r=0](https://www.nytimes.com/2006/12/04/world/asia/04azerbaijan.html?_r=0)
5. <http://www.akhtala.ge/>
6. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D>
7. <https://georgiantravelguide.com/ka/bakhmaro>
8. [https://abastumania.wordpress.com/?p=23&preview\\_id=23](https://abastumania.wordpress.com/?p=23&preview_id=23)
9. <http://www.sairme.com.ge/>
10. <https://tskaltuboresort.ge/>
11. <https://georgiantravelguide.com/ka/>
12. <https://archive.gov.ge/ge/quiz/sakartvelos-kurortebi-1>
13. <https://www.ghn.ge/news/181287>
14. <http://medica-turkey.com/>
15. <https://www.howtogermany.com/pages/medical-tourism.html>

## **PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF MEDICAL TOURISM IN GEORGIA DURING THE POST-PANDEMIC PERIOD**

### **Summary**

The tourism sector is still in a state of shock caused by the Covid-19 pandemic, which has taken tourism, which is in an active phase of development, into a state of uncertainty and all related activities into a dormant stage. The epidemiological situation is still difficult and the world is waiting for the third wave of the virus. Because of this, tourism trends and key statistical characteristics have changed significantly around the world.

After a year of fighting the pandemic, positive expectations seemed to have emerged. Regulations introduced for the pandemic period were phased out and, subject to compliance with the rules and regulations necessary for the post-pandemic period, both international and domestic tourism went into a state of anticipation of positive changes from February 2021. But in April 2021, when the country was facing the third wave of the virus spread, tourism again fell into an unpredictable, economically indefinite framework.

Because Georgia has been a tourism country and will hopefully remain so in the future, it is important to identify and analyze the expectations we should expect after the end of the Covid-19 pandemic in both international and domestic tourism. There is no doubt that two periods will become important for the development of tourism in Georgia, for the purpose of statistical evaluation, calculation, analysis and international comparison of indicators: quantitative characteristics of tourism until 2020 and statistics for the post-pandemic period.

. Rapid growth rates of tourism indicators reached by 2020, the trend of systematic growth of tourism share in GDP, high growth rates of visits and number of visitors, diversity of geographical structure of tourism, a significant increase in Georgia's tourism potential and consequently surprisingly growing On the values of indexes and its subindexes. All this has contributed to the formation of a comprehensive tourism information base in the context of the implementation of UN recommendations.

Georgia has the potential to become an attractive country for medical / health tourism. Based on proper evaluations of the results of various studies, increasing the popularity on the basis of digital transformations, it is possible to offer services to tourist flows, such as aesthetic medicine, plastic surgery, dental medicine, balneological and other services.

It should be noted that there are about 2400 species of natural water sources in Georgia. Their level of awareness in terms of tourism is still low. Sulfur waters, Sairme, Tskaltubo, Akhtala etc. Recovery procedures, Borjomi, Nabeghlavi, Likani, Sno, Mukhuri, Lugela "(which is unique in its natural composition), etc. The diversity of high-quality tourism packages based on the use of natural resources can become one of the preconditions for the growth of medical tourism in Georgia as a result of the right approach and evaluations. Obviously, this process will not be easy. It is important that in order to stimulate both international and domestic demand, in parallel with the creation of high-quality tourism products, convenient, safe tourist flows in the tourism market are ensured in full compliance with the regulations necessary for the post-pandemic.

In conclusion, it can be said that there are all preconditions in Georgia for medical tourism to be a priority area of tourism. Georgia's unique natural resources create a niche that will provide visitors with the prospect of increasing the country's attractiveness from a medical point of view. The diversity of high-quality tourism packages based on the use of natural resources can become one of the preconditions for the growth of medical tourism in Georgia as a result of the right approach and evaluations. It is important that in order to stimulate both international and domestic demand, in parallel with the creation of high-quality tourism products, convenient, safe tourist flows in the tourism market are ensured in full compliance with the regulations necessary for the post-pandemic. It will be important to improve the quality of the digital transformation of the Georgian tourism industry and increase the opportunities for the use of digital technologies in increasing Georgia's medical tourism attractiveness, tourism potential and image.

**საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი და ბინების გაყიდვები 2020-2021წწ.**

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია პანდემიის პირობებში თბილისა და საქართველოში საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის მონაცემები 2021 წელში და გაანალიზებულია ბინების გაყიდვების მაჩვენებლები 2020-2021 წლებში.

**საკვანძო სიტყვები:** უძრავი ქონება, საცხოვრებელი ფართი, ფასები, უძრავი ქონების ბაზარი.

**შესავალი**

საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი (RPPI) ასახავს საქართველოში საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების დინამიკას. ქონების ფასების ინდექსები გამოიყენება ქვეყნების ცენტრალური ბანკებისა და პოლიტიკის გამტარებელი სხვა ინსტიტუტების მიერ, აგრეთვე ანალიტიკოსების, მკვლევარებისა და სხვა მომხმარებლების მიერ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. RPPI გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის: 1. უძრავი ქონების ბაზრის განვითარებისა და რისკების შესაფასებლად; 2. საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრებსა და ფინანსურ სტაბილურობას შორის კავშირების დასადგენად და მათ შესაფასებლად.

RPPI-ის გასაანგარიშებლად საჭირო მიკრო მონაცემების მისაღებად საქსტატი ახდენს მონაცემთა შეგროვებას გასაყიდი საცხოვრებელი უძრავი ქონების შესახებ შესაბამისი სარეკლამო ვებ-გვერდებიდან. მონაცემები მიიღება ვებ-გვერდებიდან ინფორმაციის ავტომატური ჩამოტვირთვის (ე.წ. web scraping) გამოყენებით, როგორც ბინებისთვის, ისე კერძო სახლებისთვის. მიღებული მონაცემები შეიცავს ინფორმაციას იმ საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი ბინების, კერძო სახლების, 5 საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასებისა და მახასიათებლების (ფართი, ოთახების რაოდენობა, სართული, მდგომარეობა, აივანი, ავტოფარეხი, ცენტრალური გათბობა და ა.შ.) შესახებ, რომელთა გაყიდვის შესახებ განცხადებები გამოქვეყნებული იყო საანგარიშო პერიოდში. მონაცემების შეგროვება ხდება ყოველი თვის ბოლოს. RPPI გაიანგარიშება ყოველკვარტალურად, იმ უძრავი ქონების მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გასაყიდად იყო წარმოდგენილი საანგარიშო კვარტალის განმავლობაში.

2021 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი (RPPI) 2.0%-ით გაიზარდა, ხოლო ინდექსის წლიურმა ზრდამ 13.6% შეადგინა. 2020 წლის საშუალოსთან შედარებით ინდექსის ცვლილებამ 9.4% შეადგინა.

RPPI-ის დაფარვა შემოიფარგლება ქ. თბილისით და მოიცავს მხოლოდ ახალი საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარს, როგორც მრავალსართულიანი სახლების (ბინების), ისე კერძო სახლების სეგმენტებს.

ქვეთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია უძრავი ქონების ფასების პროცენტული ცვლილება წინა კვარტალთან, წინა წლის შესაბამის კვარტალთან და 2020 წლის საშუალოსთან შედარებით.

**ცხრილი 1**


| ინდექსი             | 2020 წლის საშუალოსთან შედარებით, % | წინა კვარტალთან შედარებით, % | წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, % |
|---------------------|------------------------------------|------------------------------|---|
| <b>მთლიანი RPPI</b> | <b>9.4</b>                         | <b>2.0</b>                   | <b>13.6</b>                                 |
| ბინები              | 8.2                                | 1.8                          | 12.0  |
| კერძო სახლები       | 12.8                               | 2.6                          | 18.3  |

2021 წლის პირველ კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით ფასების ზრდა დაფიქსირდა საცხოვრებელი ბინების სეგმენტში (1.8%). ფასები გაიზარდა ასევე კერძო სახლების სეგმენტშიც (2.6%)

2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით აღსანიშნავია ფასების ზრდა კერძო სახლების სეგმენტში (18.3%). რაც შეეხება ბინების ფასებს, საშუალოდ მომატებულია 12.0%-ით.


ცხრილი 1 და 2 შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

### ცხრილი 2



თბილისში დასრულებული საცხოვრებლის სეგმენტში 1 კვ. მეტრის მედიანური ღირებულება, თბილისის უბნების მიხედვით სხვადასხვაა. იხ. ცხრილი 3.

### ცხრილი 3



ცხრილი 3 შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1 კვ. მეტრის ფასი ყველაზე მაღალია მთაწმინდაზე, ვაკესა და საბურთალოზე, ხოლო ყველაზე დაბალია სამგორში. რაც შეეხება კერძო სახლების სეგმენტს, აქ ყველაზე მაღალი ფასია - ვაკეში, მთაწმინდასა და დიდუბეში, ხოლო ყველაზე დაბალი სამგორში და გლდანში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის და მთლიანად საქართველოში უძრავი ქონების გაყიდვებს დიდი პრობლემა შეუქმნა პანდემიამ. საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე



მოთხოვნა გაიზარდა 2020 წლის იანვარ-თებერვალში. 2020 წლის იანვარსა (+0.9% წ/წ) და თებერვალში (+7.7% წ/წ) ზრდის შემდეგ წინა წლის დაბალი ბაზის გამო, ბინების გაყიდვები მკვეთრად შემცირდა მარტში (-7.7% წ/წ). აღსანიშნავია, რომ გაყიდვები განაგრძობდა ზრდას მარტის პირველ ნახევარში, მაგრამ მკვეთრად შემცირდა მეორე ნახევარში - 37.6%-იანი კლება მარტის მეორე ნახევარში, პირველ ნახევართან შედარებით. 2020 წლის მარტში გარეუბანში გაყიდვები კვლავ ჭარბობდა, შეადგენდა რა გაყიდვების ნახევარს.

გაყიდვების მიხედვით ტოპ-5 უბნიდან 4 გარეუბნის (გლდანი, სამგორი, ისანი, დიდი დილომი) წილი ჯამური გაყიდვების 49.9%-ს შეადგენდა. ეს განპირობებული იყო, როგორც წინა წლის დაბალი ბაზით, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემულ იპოთეკურ სესხებზე რეკორდულად დაბალი საპროცენტო განაკვეთებით. თუმცა, მარტში მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა Covid-19-ის გამო. აღსანიშნავია, რომ ბინების გაყიდვები კვლავ იზრდებოდა 2020 წლის მარტის პირველ ნახევარში, სანამ საგანგებო მდგომარეობა ძალაში შევიდოდა.

2020 წლის იანვარ-თებერვალში, უცხოურ ვალუტაში რეკორდულად დაბალი საპროცენტო განაკვეთების წყალობით მკვეთრად გაიზარდა იპოთეკების გაცემა. უცხოურ ვალუტაში გაცემულ იპოთეკურ სესხებზე საშუალო შეწონილმა განაკვეთმა 1კვ. 2020-ში 4.2% შეადგინა, მაშინ როცა 1კვ. 2019-ში 6.7%-ს შეადგენდა.

თუმცა, მას შემდეგ რაც Covid-19-მა მოლოდინები გააუარესა, 2020 წლის მარტში იპოთეკური სესხების გაცემა მკვეთრად შემცირდა 134 მლნ ლარამდე (-45.5% წ/წ გაცვლით კურსის ეფექტის გამორიცხვით).

ბინების გაყიდვები გაიზარდა 2020 წლის იანვარსა (+0.9% წ/წ) და თებერვალში (+7.7% წ/წ), თუმცა მარტში შემცირდა (-7.7% წ/წ). აღსანიშნავია, რომ მარტის პირველ ნახევარში გაყიდვები იზრდებოდა, თუმცა საგანგებო მდგომარეობის შემდეგ მკვეთრად შემცირდა - 37.6%-იანი კლება მარტის მეორე ნახევარში, პირველ ნახევართან შედარებით.

2020 წლის მარტში ფასები თებერვალთან შედარებით გაიზარდა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, რაც ეკონომიკური ფაქტორების იგნორირებაა. ახალი ბინების ფასი აშშ დოლარში გაიზარდა 1.0%-ით თვე/თვესთან, ხოლო ლარში 3.8%-ით თ/თ.

დეველოპერები და კერძო ინვესტორები არ ჩქარობენ ფასების დრამატულ ცვლილებებს და ნელა ადაპტირდებიან ახალ რეალობასთან, რამეთუ 2020 წლის მარტში Area.ge-ზე განთავსებული განცხადებების მხოლოდ 1%-ის შემთხვევაში შეიცვალა ფასები.

ახალი ბინების ფასი აშშ დოლარში გაიზარდა 1.0%-ით თ/თ, ხოლო ლარში 3.8%-ით თ/თ 2020 წლის მარტში. თუმცა, 2019 წლის მარტთან შედარებით ფასები მაინც შემცირებულია 5.4%-ით. 2020 წლის მარტში ძველი ბინების ფასი აშშ დოლარში გაიზარდა 1.9%-ით თ/თ, ხოლო ლარში 6.0%-ით თ/თ. ფასების ცვალებადობა უფრო მაღალი იყო ცენტრალურ უბნებში, ხოლო გარეუბნებში შედარებით სტაბილური. საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასები გაიზარდა შემდეგ უბნებში: ვაკე 1,102 აშშ დოლარამდე (+14% წ/წ), მთაწმინდა 1,040 აშშ დოლარამდე (+9% წ/წ), დიდუბე 793 აშშ დოლარამდე (+8% წ/წ), გლდანი 537 აშშ დოლარამდე (+7% წ/წ), დიდი დილომი 530 აშშ დოლარამდე (+5% წ/წ).

ახალი ბინების სეგმენტში ყველაზე გაყიდვადია საშუალო ზომის ბინები (51-80 მ<sup>2</sup>), რომელთა წილმა 1კვ. 20-ში მთლიანი გაყიდვების 51% შეადგინა, მაშინ როცა 1კვ. 18-ში ეს მაჩვენებელი 47% იყო. ძველი ბინების კატეგორიაში ასევე ყველაზე გაყიდვადია საშუალო ზომის ბინები (51- 80 მ<sup>2</sup>). აღსანიშნავია, რომ ბინებზე მოთხოვნა ზომების მიხედვით უმნიშვნელოდ იცვლება - პატარა ბინებზე (18-50 მ<sup>2</sup>) მოთხოვნა ნელ-ნელა მცირდება. დაბალფასიანი სეგმენტი კვლავ ყველაზე მოთხოვნადია – დასტური იმისა, რომ უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნას დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობა განაპირობებს. გაყიდვების 53% დაბალფასიან სეგმენტში დაფიქსირდა, მაშინ როცა პრემიუმ სეგმენტში გაყიდვებმა ჯამური გაყიდვების 12% შეადგინა 1კვ20-ში. მოთხოვნა საშუალო ზომის ბინებზე (51-80 მ<sup>2</sup>) თბილისის ყველა უბანში მაღალია, გარდა ცენტრალური უბნებისა, (ვაკე, საბურთალო, მთაწმინდა) სადაც მოთხოვნა უფრო დიდი ზომის ბინებზეა (81-120 მ<sup>2</sup>). პატარა ბინები (18-50 მ<sup>2</sup>) ძირითადად გარეუბნებში იყიდება.

2020 წლის ივნისიდან, როდესაც მოიხსნა შეზღუდვები და სახელმწიფომ მისცა სამშენებლო კომპანიებს შეღავათები, რაც გულისხმობს იმას რომ იპოთეკურ სესხებზე 4 % იხდიდა სახელმწიფო ხოლო 4 % მომხმარებელი ბინების გაყიდვები გაიზარდა.

2021 წელს გაყიდული საცხოვრებელი უძრავი ქონების რაოდენობა სულ უფრო უახლოვდება 2019 წლის ნიშნულს. ამის შესახებ აღნიშნულია CUSHMAN & WAKEFIELD-ის თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვაში.

2020 წლის მეორე კვარტალში გაყიდვების დიდი ვარდნის მიუხედავად, თბილისის საცხოვრებელ ბაზარზე უძრავი ქონების გაყიდვები დაუბრუნდა 2019 წლის ნიშნულს. 2020 წლის სექტემბერსა და ნოემბერში გაყიდული სახლების/ბინების რაოდენობამ გადააჭარბა 2019 წლის იმავე თვეების მონაცემებს.

2021 წლის იანვარსა და თებერვალში თბილისში ყველაზე მეტი საცხოვრებელი უძრავი ქონება გაიყიდა საბურთალოსა და ვაკეში. ორივე უბნის პროცენტული წილი მთლიან გატიდვებში ცალ-ცალკე 14.8%-14.8%-ია. გაყიდვების მაჩვენებლით მესამე ადგილს იჭერს გლდანის. ამ უბნის გაყიდვების მაჩვენებელი დედაქალაქის ბინების მთლიან რეალიზაციაში 13.3%-ია. შემდეგ პოზიციებს ინაწილებენ სამგორი 11.8%-ული წილით და ისანი 11.7%-ით.

2021 წლის პირველი ორი თვის ტრანზაქციები მეტნაკლებად მიჰყვება ზოგადად არსებულ ტრენდს. მიუხედავად იანვრში ტრანზაქციების 14%-იანი კლებისა, 2021 წლის თებერვლის გაყიდვებმა 2019 წლის იმავე თვის მონაცემებს 5%-ით გადააჭარბა.

თბილისის უძრავი ქონების ბაზარი 4%-ით შემცირდა. ძველ პროექტებში კი ტრანზაქციების რაოდენობა 7%-ით შემცირდა და 864 ერთეული შეადგინა. ახალაშენებული ბინების ბაზრის ზომა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1%-ით შემცირდა და 87 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება ძველი ბინების ბაზრის ზომას, მაჩვენებელი 10%-ით, 36 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა. ახალაშენებული ბინების ეკონომ სეგმენტი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, უმნიშვნელოდ, 2%-ით გაიზარდა. რაც შეეხება მედიუმ და პრემიუმ სეგმენტებს, ტრანზაქციების რიცხვი 11%-ითა და 35%-ით, დაეცა 2020 წლის თებერვლის მაჩვენებელთან შედარებით.

2021 წლის თებერვალში, თბილისში ახალაშენებულ პროექტებში 1,869 ტრანზაქცია დარეგისტრირდა, რაც 2%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. აღნიშნული შესაძლოა დაკავშირებული იყოს ქალაქის მასშტაბით რამდენიმე მშენებარე საცხოვრებელი ობიექტის დასრულებასთან, რაც ჯამში დაახლოებით 200 ერთეულ ბინას მოიცავს.

იმედია პანდემია მალე გადაივლის და ქვეყნის ეკონომიკა დაუბრუნდება ჩვეულ რიტმს და შესაბამისად ბინათმშენებლობა უფრო სწრაფი ტემპებით განვითარდება და გაყიდვებიც გაიზარდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქარველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
2. თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა - GALT & TAGGART Research 4 მაისი, 2020.
3. დედაქალაქის უძრავი ქონების ბაზარი აქტიურდება - report.ge

*George Bregvadze*

### RESIDENTIAL REAL ESTATE PRICE INDEX AND FLAT SALES 2020-2021 Summary

The paper discusses pandemic real estate price index data for 2021 in Tbilisi and Georgia and analyzes apartment sales for 2020-2021.

## ციფრული ტექნოლოგიების გავლენა მომხმარებელზე ტურისტული პროდუქტის შექმნისას

**ანოტაცია.** ბოლო 30 წლის განმავლობაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. სხვადასხვა ნიშის ბაზრების გაფართოებას მოჰყვა საზღვრების შესუსტება ტურიზმსა და სოციალური ცხოვრების სხვა სფეროებს შორისაც. ტურიზმის ინდუსტრიისთვის აუცილებელია სოციალურ მედიაში საინტერესო შინაარსის შექმნა მოგზაურობის ყველა ეტაპზე. ნაშრომის მიზანი იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევით ხაზი გაესვა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევების მნიშვნელობაზე და სოციალური მედიის როლზე ტურიზმის ინდუსტრიაში.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური მედია, ტურიზმი, მობილური კომუნიკაციები.

### შესავალი

კომპიუტერიზირებული ტექნოლოგიები, საშუალებას აძლევს ინდივიდებს, კომპანიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთავრობებსა და სხვა ორგანიზაციებს, ვირტუალურ საზოგადოებებსა და ქსელებში ნახონ, შექმნან და გაუზიარონ ინფორმაცია, იდეები, კარიერული ინტერესები ერთმანეთს. ტექნოლოგიების გავლენამ შეცვალა ადამიანის საქმიანობის შესრულების, მატერიალური და არამატერიალური რესურსების მობილიზების, ბიზნესის შესაძლებლობების შექმნისა და ათვისების გზა. ინტერნეტის ფართო გავრცელებამ და სწრაფმა ტექნოლოგიურმა ევოლუციამ მსოფლიოს ყველა ინდუსტრიაში რევოლუცია მოახდინა, განსაკუთრებით კი ტურიზმში. დღესდღეობით ტურიზმის პლატფორმა სულ უფრო და უფრო ფართოვდება ინტერნეტში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ტურიზმი ინფორმაციაზე დაფუძნებული ინდუსტრიაა. მოგზაურები აგროვებენ ბევრ ინფორმაციას ტურისტულ პროდუქტთან და მოგზაურობის მახასიათებლებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, შერჩეული დანიშნულების ადგილის შესახებ სათანადო ინფორმაციას შეუძლია გააუმჯობესოს მოგზაურთა ნდობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაეხმაროს მათ მიიღონ საუკეთესო გადაწყვეტილება და ამავდროულად გაზარდონ მოგზაურობის ხარისხი. ჩემი ნაშრომის მიზანი იყო მომხმარებლის ქცევის გამოკვლევა ტურიზმის სოციალური მედიის სახეობებთან მიმართებაში, რადგან სოციალურმა მედიამ ფუნდამენტურად შეცვალა ტურიზმის ინდუსტრია და გავლენა მოახდინა ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორის ყველა ასპექტზე, დაწყებული მოგზაურობის კვლევით, მოგზაურობის შეკვეთით და ონლაინ მიმოხილვებით. ტექნოლოგიურმა მიღწევებმა აიძულა საზოგადოებები გამოიყენონ სოციალური მედია, რომელიც გთავაზობს ვებსაიტებსა და ონლაინ აპლიკაციებს, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ სოციალური მედიის სხვადასხვა მახასიათებლებით, როგორცაა კომუნიკაცია, გაზიარება, თანამშრომლობა, გამოქვეყნება და მრავალი სხვა. სოციალური მედია მოიცავს სოციალური ქსელების, მომხმარებელთა მიმოხილვის, სხვადასხვა შინაარსის საიტებს, ინტერნეტ ფორუმებს და ა.შ. სოციალური მედია გაჩნდა, როგორც ახალი გზა, რომლითაც ხალხი ერთმანეთს სოციალურად უკავშირდება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით, როგორცაა მობილურსა და ინტერნეტზე დაფუძნებული ტექნოლოგიები. ეს რეალურად უფრო მეტია, ვიდრე კომუნიკაციის ახალი გზა. ეს არის მთელი ონლაინ გარემო, რომელიც აგებულია მონაწილეთა ურთიერთობასა და ინტეგრირებაზე. სტატიის ამოცანას წარმოადგენდა გამოკვლევა ტურიზმის ხელშეწყობითა და სოციალური მედიის არხებით მომხმარებელთან ურთიერთობის საუკეთესო პრაქტიკაზე ფოკუსირებით, რა როლს თამაშობს სოციალური მედია ტურიზმის მრავალ ასპექტში, განსაკუთრებით ინფორმაციის ძიებისა და გადაწყვეტილების მიღების კუთხით. ბევრ ქვეყანაში სოციალური მედია განიხილება, როგორც ტურიზმის ინდუსტრიის პოპულარიზაციის

მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი და ამიტომ ვფიქრობ, სოციალური მედიის მნიშვნელობა და მისი გავლენა უნდა გაითვალისწინოს ტურიზმის სფეროში არსებულმა ნებისმიერმა სექტორმა.

### სოციალური მედია

დღეს ტერმინი "სოციალური მედია" ფართოდ გამოიყენება. იგი პირველად 2004 წელს გამოიყენეს, როდესაც LinkedIn-მა შექმნა სოციალური ქსელის ონლაინ ქსელური პროგრამა. სოციალური მედია საშუალებას აძლევს ინტერნეტ მომხმარებლებს შექმნან ვირტუალური სამოგზაურო საზოგადოებები (VTC), რაც ტურისტებს უმარტივებს ინფორმაციის მიღებას, კავშირის შენარჩუნებას, ურთიერთობების განვითარებას და საბოლოოდ მოგზაურობისადმი დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებას. ინტერნეტის გამოგონების მცდელობები დაიწყო 1960-70-იანი წლებიდან, როდესაც სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციები ცდილობდნენ კომპიუტერების დაკავშირებისთვის გზების პოვნას. გარკვეული გაგებით, ეს შეიძლება ჩაითვალოს სოციალური მედიის დასაწყისადაც. თუმცა, მხოლოდ 1990-იანი წლებიდან გახდა პერსონალური კომპიუტერების მოხმარება ჩვეულებრივი, რამაც სოციალური მედიის გაჩენის საფუძველი შექმნა. გარდა ამისა, 1990-იან წლებში ბლოგინგის და ფორუმის სისტემის გაჩენამ ხელი შეუწყო ონლაინ სოციალური ქსელების ეპოქის ჩამოყალიბებას. იდეა იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო შესულიყო ინტერნეტში, დაეწერა იმაზე, რასაც ფიქრობდა, გრძობდა და აკეთებდა, და რომ ამ პოსტების წაკითხვა ყველა მსურველს შეეძლო ნებისმიერ დროს და ამავდროულად მათზე პასუხის გაცემა, დაეხმარა ხალხს ინტერნეტის სრული მნიშვნელობის გაგებაში.

პირველი ორი სოციალური მედია პლატფორმა იყო 'Six Degrees' და 'Friendster', ორივე მათგანი აღარ არსებობს დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ მათ გავლენა მოახდინეს სოციალური მედიის პოპულარიზაციაში. ამას მოყვა სხვა მედიების აღმოცენება. სოციალური მედიის ისტორია შედარებით მოკლეა დროის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ ხდის მას ნაკლებ საინტერესოს ან გავლენიანს. დღეს სოციალური მედია არის განუყოფელი ნაწილი იმისა, თუ როგორ უკავშირდებიან ადამიანები მეგობრებსა და ოჯახის წევრებს. საერთო ჯამში, მთელ მსოფლიოში 2,62 მილიარდი სოციალური მედიის მომხმარებელია და სავარაუდოდ, 2021 წლისთვის ეს რიცხვი 3 მილიარდს გადააჭარბებს.

როგორც თანამედროვე მკვლევარი მეთიუ ჯ. აღნიშნავს, ზოგადად, დღევანდელ ბაზარზე მხოლოდ რამდენიმე კომპანია დომინირებს, როგორცაა Facebook, Twitter და ა.შ. (Matthew 2015:16) მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სოციალური მედიის ისტორიას, ეს შეიცვლება. სოციალური მედიის ისტორიის ცვლილებასთან ერთად, ახალი კომპანიები გაჩნდება და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ძველი გაქრება ან სხვა კომპანიაში გაერთიანდება, გარდაიქმნება [9, 16].

ინფორმაციის მიწოდებისა და კონტროლის ძალა ორგანიზაციებიდან გადავიდა მომხმარებლებზე და გაჩნდა ახალი ტიპის ტურიზმის კულტურა - ფიზიკური მოგზაურობის, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის კომბინაციით. სოციალური ქსელები მუშაობენ როგორც სრულყოფილი პლატფორმა პირადი გამოცდილების გასაზიარებლად, რომელსაც თან ახლავს ფოტო და ვიდეო მტკიცებულებები, რაც ავთენტურობისა და სანდოობის განცდას ანიჭებს და მომხმარებელიც ამ შინაარსის სტილს საკმაოდ სწრაფად აღიქვამს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოციალური მედიის გარემო ძალიან შეიცვალა. ყველა იყენებს სოციალურ მედიას გარკვეული მიზნებისთვის, მედიიდან დაწყებული მსხვილი კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებით. სოციალური მედია გახდა სასურველი მეთოდი მასების სამართავად და მათთან ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

ეფექტური სოციალური მედიის პლატფორმა შეიძლება გახდეს ძლიერი საშუალება ინფორმაციის გავრცელებისათვის მათთვის, ვისაც სჭირდება მისი მოხმარება. მნიშვნელოვანი ფაქტორია მომხმარებლების დიდი ბაზის შექმნა შეტყობინების გასააქტიურებლად და გასავრცელებლად. ეს აუცილებელია, რადგან გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას და აწვდის

მომხმარებლებს შეთავაზებულ მომსახურებებს. რაც შეეხება ტურიზმთან მიმართებაში, სოციალურ მედიასა და ტურიზმის ინდუსტრიას შორის ურთიერთობა რადიკალურად ცვლის მოგზაურთა და ტურისტთა მიერ ტურიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის ძებნის და მიწოდების გზას, რომელიც ხაზს უსვამს სოციალური ქსელის როლს დასვენების ბიზნესის პოპულარიზაციაში. სოციალური მედია ტურისტის გადაწყვეტილების მიღების გავლენიანი ნაწილია. ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ტურისტების დამოკიდებულების ანალიზისთვის და ამას ადასტურებს გაზრდილი შესყიდვები და რეკომენდაციები სხვა მომხმარებლებისთვის. ტურიზმში წარმატებული მომსახურებაზე დაფუძნებული ბრენდის შექმნა ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი უნდა იყოს უნიკალური ღირებულების შეთავაზება, რომელიც ემყარება მომხმარებლის გამოცდილებას. ტურისტებმა უნდა იცოდნენ საიმედო წყაროების საშუალებით, როგორი იქნება მათი მოგზაურობა, რათა შეამცირონ გაურკვევლობა და შექმნან გარკვეული მოლოდინები იმის შესახებ, თუ რას აპირებენ დანიშნულების ადგილზე. თანამედროვე ტურისტებს უფრო მეტი ნდობა აქვთ სხვა მოგზაურთა მოსაზრებების მიმართ, ვიდრე სოციალური მარკეტერების. ინდივიდებმა, კომპანიებმა და ცნობილმა პირებმა გამოიყენეს თავიანთი გავლენა სოციალური ქსელების გაზრდაში, როგორც სარეკლამო იარაღი.

სოციალური მედია ცვლის ტურიზმის კულტურას. იგი კონცენტრირებულია მოგზაურებზე, რომლებიც იყენებენ სოციალურ მედიას და ახალი სიტყვა "flashpacker" შეარქვეს იმ ზურგჩანთებით მოსიარულეებს, რომელიც დიდწილად ეყრდნობიან სოციალურ მედიას მოგზაურობის დაწყებამდე, მოგზაურობის დროს და მის შემდეგაც. როგორც ამერსდორფერი და მისი თანაავტორები წერენ, სოციალური მედიის გამოყენებამ ხელი შეუწყო ახალი ტურიზმის კულტურის ჩამოყალიბებას და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ფიზიკური მოგზაურობის უწყვეტ დაახლოებას [Amersdorffer, Bauhuber]Jens, Oellrich, 2012:175]. ტურიზმის გარემო სამუდამოდ შეიცვლება სოციალური ქსელის გავლენით მედიის მოხმარებაზე და ტურიზმის წარმოდგენებზე.

სოციალური მედიის გამოყენებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ტურიზმის შესახებ ცოდნის ზრდას. ცოდნის შექმნის შესაძლებლობისა და ონლაინ ქსელური პლატფორმების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, ონლაინ ქსელი დადებითად უწყობს ხელს ინფორმაციის გაზიარებას, ცოდნის შექმნას და იდეების წარმოქმნის შესაძლებლობებს.

ტურიზმის სოციალურ ტრანსფორმაციაზე არაერთმა გავლენიანმა მოაზროვნემ ისაუბრა. უმეტესობა კვლევებისა ფოკუსირებულია სოციალური მედიის გავლენაზე მოგზაურობასთან მიმართებაში. მკვლევარები სხვადასხვა კვლევებში მოგზაურობის დაგეგმვის პროცესის განსხვავებულ ეტაპებს აკვირდებიან და მოგზაურთა ქცევას სოციალურ მედიასთან მიმართებაში. როგორც გრეცელი და ხიანგი თანხმდებიან, სოციალურ მედიას მზარდი როლი აქვს, განსაკუთრებით ინფორმაციის შეგროვებაში, ალტერნატივების შეფასებაში, არასასიამოვნო ადგილების თავიდან აცილებასა და შეძენის წინ იდეების მიწოდებაში [Gretzel, Xiang, 2010:179].

და დღევანდელ რეალობაში, მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსი, როგორცაა მომხმარებელთა მიმოხილვა, სამოგზაურო დღიურები და ა.შ., ინფორმაციის ძირითადი წყარო გახდა მოგზაურთათვის. ელექტრონული ზეპირი სიტყვა, ე.წ. word-of-mouth (WOM) გვთავაზობს არაკომერციულ, ავთენტურ და გამოცდილ დეტალურ ინფორმაციას მიმართულებებისა და ოპერატორების შესახებ, რომლებიც ზოგადად უფრო და უფრო საიმედოდ ითვლება, რადგან მათ არ მართავს რომელიმე კონკრეტული კომპანია. ამიტომ, მოგზაურები ამოწმებენ გამოხმაურებებს და კითხულობენ სხვა ადამიანების გამოცდილებას დანიშნულების ადგილის, სასტუმროს და ა.შ. არჩევის დაწყებამდე, შემდეგ კი თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ მოგზაურობის დროს და მას შემდეგაც კი რაც სახლში ბრუნდებიან. კერძოდ, მობილური ტექნოლოგიების განვითარების წყალობით, მოგზაურთა შორის ურთიერთქმედება იზრდება მოგზაურობის დროს. ეს საშუალებას აძლევს მოგზაურებს, გამოაქვეყნონ მაგალითად, Facebook-ის საშუალებით სურათები და ვიდეოები, თუ რას აკეთებენ, რეალურ დროში ესაუბრონ მეგობრებს იმ გამოცდილების შესახებ რასაც კონკრეტულ მომენტში იღებენ და ეს ყველაფერი ხდება სოციალური ქსელების ან სხვა მობილური

აპლიკაციების დახმარებით (მაგალითად, WhatsApp). მოგზაურთა ჩვევების შეცვლა ასევე ეხება ტურისტულ კომპანიებთან ურთიერთობას [Buhalis, Foerste, 2014: 175-185].

ზოგიერთი ავტორი ასევე საუბრობს სოციალური მედიის უარყოფით მხარეებზე. მაგალითად, დევიედი და მისი თანაავტორები აღნიშნავენ რომ ინდუსტრია და ბიზნესი დრო და დრო კარგავს კონტროლს იმასთან დაკავშირებით, რაც მათ შესახებ ინტერნეტში იწერება. ინდუსტრიას ისეთი შედეგები მოჰყვება, რომ თუ სწორად არ იქნა მართული, მაგალითად, ბლოგებს არა მხოლოდ დადებითი გავლენა არამედ უარყოფითიც აქვთ. იგივეს აღნიშნავენ ჰედე და კელეტი [Hede, Kellett: 2012 239-250], როცა ხაზს უსვამენ, რომ სოციალური მედია შეიძლება იყოს ძლიერი წყარო, რომელზე ზემოქმედებას ახდენს უკმაყოფილო მომხმარებლების ნეგატიური შეფასებაც. ამიტომ, ტურიზმის ინდუსტრია დღეს დგას საფრთხის წინაშე, რომ თუ სოციალური მედია სწორად არ იმუშავებს, მას შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ დადებითი გავლენა, არამედ უარყოფითი შედეგებიც.

კოვიდ 19 პანდემიის დადგომისთანავე, სოციალური მედია სწრაფად გახდა გადამწყვეტი კომუნიკაციის ინსტრუმენტი ინფორმაციის შექმნისთვის, გავრცელებისა და მოხმარებისთვის. გამოვლენილია, რომ სოციალური მედიის გამოყენება იზრდება ბუნებრივი კატასტროფებისა და სხვა კრიზისების პირობებში. სამეცნიერო საზოგადოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გაგებას, თუ როგორ მუშაობს სოციალური მედია, ჩვენი შესაძლებლობების გასაზრდელად და უფრო მდგრადი საზოგადოების შესაქმნელად. 2020 წლის გლობალური პანდემიის დროს სოციალური მედია გახდა მოკავშირე, მაგრამ ასევე პოტენციური საფრთხე. 2020 წლის პირველ თვეებში, კორონავირუსის დაავადების (COVID-19) შესახებ ინფორმაცია და ახალი ამბები სწრაფად გამოქვეყნდა და გავრცელდა სოციალურ მედიასა და სოციალურ ქსელებში. მიუხედავად იმისა, რომ ინფოდემიოლოგიის დარგი შეისწავლიდა ინფორმაციის სახეებს ინტერნეტში და სოციალურ მედიაში მინიმუმ 18 წლის განმავლობაში, კოვიდ 19 პანდემია მოიხსენიება, როგორც პირველი სოციალური მედიის ინფოდემია (infodemic). ამასთან, არსებობს შეზღუდული მტკიცებულებები იმის შესახებ, გაავრცელა თუ არა სოციალური მედიის ინფოდემიამ პანიკა და გავლენა მოახდინა სოციალური მედიის მომხმარებლების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

ამრიგად, სოციალური მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სარეკლამო საქმიანობის, პროდუქტის დისტრიბუციის, კომუნიკაციის, მენეჯმენტისა და კვლევისთვის. ტურისტულმა კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ მარკეტინგის სტრატეგიები სხვადასხვა სამიზნე ბაზრებისკენ მიმართული. უფრო მეტიც, უნდა გაითვალისწინონ ონლაინ გამოქვეყნებული უარყოფითი მომხმარებლების უკუკავშირი შესყიდვების გავლენაზე და მოსალოდნელი საფრთხეების შექმნაზე. სოციალურ მედია არ არის მხოლოდ განსაკუთრებული პოპულარიზაციისა და კომუნიკაციისთვის, ეს უკვე დამოუკიდებელი სადისტრიბუციო გზაა მოგზაურობის დაგეგმვისათვის. თუ სოციალური მედიის, როგორც საკომუნიკაციო ინსტრუმენტის სწორად გამოყენება მოხდა, შეიძლება მომხმარებელთა გავლენა მოახდინოს ერთგულებაზე, ელექტრონულ ზეპირსიტყვიერებაზე, შესაბამისად, კორპორაციულ გაყიდვებზე და შემოსავლებზე. სოციალური მედია ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რადგან მისი საშუალებები წარმოადგენს საზოგადოების ბაზრის, ინფორმაციის მოპოვებისა და მომხმარებლებთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის დამყარების დროულ, საინტერესო, ინტერაქტიულ, მიზანმიმართულ და დაბალფასიან გზებს.

#### **ციფრული ტექნოლოგიები, მობილური კომუნიკაციები და აპლიკაციები ტურიზმში**

ტურიზმმა, როგორც მომსახურების ინდუსტრიამ, აღმოაჩინა ინფორმაციის გავლენა ტურისტულ გამოცდილებებზე. ტურიზმის ინდუსტრია ყოველთვის მოიცავდა ახალი ტექნოლოგიების ზრდას, მაგალითად, კომპიუტერული დაჯავშნის სისტემებს (CRS), გლობალურ განაწილების სისტემებს (GDS) და ინტერნეტს. ინდუსტრიის დინამიური სტრუქტურა საშუალებას აძლევს როგორც მწარმოებლებს, ისე მომხმარებლებს, დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება მოვლენებზე. "გამოცდილება" და "ღირებულება" ორი განსაკუთრებული კონცეფციაა თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიისთვის. გადაწყვეტილების მიღების კვლევის

თანახმად, ყიდვის პროცესი ხუთი ეტაპისგან შედგება: საჭიროების ამოცნობა, ინფორმაციის ძებნა, ალტერნატივების შეფასება, შესყიდვის გადაწყვეტილება და შეძენის შემდგომი ქცევა.

მოგზაურობის დაგეგმვა იწყება საჭიროების ამოცნობით, რაც შეიძლება წარმოიშვას შიდა და გარე სტიმულებით. ამიტომ, წინა გამოცდილება მომხმარებელს უბიძგებს კონკრეტული პროდუქტისკენ, რომლისთვისაც მან იცის, რომ დააკმაყოფილებს ამ სპეციფიკურ მოთხოვნილებას. უფრო მეტიც, სხვა ადამიანების წინადადებებმა, რეკლამებმა ან სხვა მარკეტინგულმა სტიმულმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის იდენტიფიცირებაში, თუ რომელი საქმიანობა შეიძლება აკმაყოფილებდეს ამ საჭიროებას.

მათი საჭიროებების გაცნობის შემდეგ, ადამიანები ცდილობენ მოიძიონ ინფორმაცია საქონლისა და მომსახურების შესახებ, რომელსაც შეუძლია მათი საჭიროების დაკმაყოფილება. მომხმარებლები, როგორც წესი, იყენებენ როგორც პირად, ისე არაპერსონალურ წყაროებს, რომ საფუძვლიანი ინფორმაცია მიიღონ პირადი ინფორმაცია მოდის პირისპირ, (WOM) რომელსაც ავრცელებს ოჯახის, მეგობრების, მეზობლების, კოლეგების და ა.შ. წყაროები.

ონლაინ ინფორმაციის შეგროვება შესაძლებელია იმ მომხმარებლებისგან, რომლებიც აქვეყნებენ და აზიარებენ საკუთარ გამოცდილებას უშალოდ თავიანთ სოციალურ მედიაში, ან უბრალოდ სხვა ადამიანების პროფილებიდან, (მეგობრები, ბლოგერები) კორპორაციული ვებსაიტებიდან, ბლოგებიდან ან სოციალური მედიის გვერდებიდან. აგრეთვე, ონლაინ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ფირმების მიერ მათი კორპორატიული ვებსაიტების, ბლოგების, სოციალური მედიის გვერდებზე. მაგალითად, TripAdvisor-ზე გამოქვეყნებული ონლაინ რეკლამები, პასუხები და კონტენტი, მოგზაურობის ბლოგზე განთავსებული შეტყობინებები ან სხვადასხვა სახის შინაარსი (ტექსტური, ვიზუალური), რომელსაც კომპანიები აქვეყნებენ ონლაინ არხებზე. სოციალური მედიის გავრცელებასთან ერთად, ფირმებს ასევე შეუძლიათ მომხმარებლებთან კომუნიკაცია უშუალოდ მათ სოციალურ მედიაში არსებული პირადი პროფილებით. მაგალითად, ფეისბუქის მომხმარებლები, რომლებსაც ბრენდის გვერდი "მოსწონთ", მიიღებენ უშუალოდ სპეციალურ ინფორმაციის შემცველ პოსტებს, რაც, თავის მხრივ, მათი მეგობრების ქსელთან შეიძლება გაზიარდეს (რჩეული შეტყობინებები). ამ შემთხვევაში, ფირმის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, შეუძლია მომხმარებლების ჩართვა, რომლებსაც უჩნდებათ სურვილი მისი გაზიარების, და ეს უკვე შეიძლება იქცეს მეგობრების პირად ინფორმაციად, რადგან მათ პირად გვერდზე აისახება ეს ქმედება. ამასთან ერთად, სოციალური მედია გვთავაზობს რეკლამის საშუალებას სხვადასხვა სამიზნე ბაზრებისთვის. და ბოლოს, ონლაინ ინფორმაცია შეიძლება მოვიდეს ასოციაციების, ტურისტული კლუბებისა და ტურისტული მეგობრების მესამე მხარის ორგანიზაციიდან, რომლებიც გვთავაზობენ ოფიციალურ რეიტინგებს, სასტუმროს ინფორმაციას, დანიშნულების ადგილსა და ატრაქციის აღწერას და ა.შ. [e.g., Forbes Travel Guide, American Automobile Association-AAA, Lonely Planet, etc.].

სხვადასხვა ალტერნატივის შეფასების შემდეგ, მომხმარებელი გადაწყვეტს შეიძინოს ან არ შეიძინოს გარკვეული პროდუქტი. ზოგჯერ შესყიდვის მიზნებზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვა ფაქტორებმა, რაც კომპანიის მიერ კონტროლირებადი არ არის: სხვების დამოკიდებულებამ და სიტუაციურმა მოულოდნელობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ყიდვის საბოლოო გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, ოჯახის სხვა წევრების საქციელმა შეიძლება გავლენა იქონიოს შვებულების შესახებ გადაწყვეტილებაზე ან მოულოდნელმა ხარჯმა შეიძლება გავლენა იქონიოს იმ წელს დასვენების გადაწყვეტილებაზე, ან უბრალოდ დანიშნულების ადგილის შერჩევაზე. ასევე, რეალური შესყიდვის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რისკი შეიძლება შენარჩუნდეს, რადგან მომხმარებელი ზოგადად ჯავშნის ან ყიდულობს მომსახურებას რეალურ შვებულების პერიოდთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გარკვეული დროა შეკვეთის / შესყიდვის მოქმედებასა და რეალურ მოხმარებას შორის, შესყიდვის შემდგომი ქცევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან მომხმარებელს შეუძლია სცადოს ისეთი ელემენტების მოძებნა, რომლითაც შეძლებენ დარწმუნდნენ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

სამოგზაურო მომსახურების ამ მახასიათებლის გათვალისწინებით, ყიდვის შემდგომი ქცევა შეიძლება დაიყოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და მოხმარების შემდეგ ქცევებად [Kotler, Armstrong, 2010:26]. ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ინფორმაციის სხვა წყაროების გავლენამ ან სიტუაციურმა ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ეტაპზე, შეაჩერონ მომხმარებელთა ქცევის პროცესი ჯავშნის გაუქმებამდე ფაქტობრივი მოხმარების წინ, ან თუნდაც საერთოდ არ გამოცხადდნენ. სამომხმარებლო შესყიდვის პროცესის დასრულების შემდეგ დგება მოხმარების შემდგომი ეტაპი, რომელშიც ხდება მომსახურების ხარისხის შეფასება. კერძოდ, მომხმარებლები ადარებენ მოლოდინებსა და აღქმებს, როგორც პროგრესულ პროცესს, დაწყებული დაჯავშნის პროცესის პირველი ეტაპიდან და მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს აღქმულ მომსახურების ხარისხს, გადახდილ ფასს, პირად ფაქტორებს და სიტუაციურ ფაქტორებს. კოტლერი და არმსტრონგი ხაზს უსვამენ, რომ კმაყოფილებისა და უკმაყოფილების შეფასების საფუძველზე, მომხმარებელს შეუძლია გაავრცელოს პოზიტიური ან უარყოფითი ინფორმაცია და გადაწყვიტოს, გახდეს თუ არა ერთგული. შემეცნებითი დისონანსის შემთხვევაში, რაც მოდის ყიდვის შემდგომი კონფლიქტით გამოწვეულ უტყუარობაზე, მომხმარებელს შეეძლება შეწყვიტოს პროდუქტის ყიდვა ან გამოთქვას უკმაყოფილება და მიიღოს ზომები, რათა შეამციროს დისონანსი.

ამრიგად, იქიდან გამომდინარე რა გავლენაც აქვს სოციალურ მედიას ტურიზმზე და ზოგადად ტურისტულ პროდუქტებზე, ის არის აგრეთვე ციფრული მარკეტინგის ეფექტური ხელსაწყო. ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ ზემოთ განხილული ხუთივე ეტაპი და გადაწყვეტილების მიღებისას თუ როგორ იქცევა მოგზაური თითოეულ ეტაპზე.

საქართველოში სოციალურმა მედიამ განვითარება ე.წ. ჩათების საშუალებით დაიწყო. ამას მოყვა ფორუმების პოპულარიზება, სადაც უკვე ადამიანები თავიანთ მოსაზრებებს ღიად წერდნენ და მისი წაკითხვა სხვებისთვისაც შესაძლებელი იყო, ეს უკვე საშუალებას აძლევდა მომხმარებლებს ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება. როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც ეტაპობრივად მოხდა სხვადასხვა სოციალური მედიების განვითარება. ამასთან ერთად კი სოციალური მედიამარკეტინგიც უწყვეტად ვითარდება და მნიშვნელოვანი ფაქტორია კომპანიების მხრიდან შესაბამისი არჩევანის გაკეთება. შესაბამისად, სოციალური მედია იძლევა რეკლამის საშუალებას, ამიტომ აქტიური სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე ორგანიზაციებმა კარგად უნდა შეისწავლონ მიზობრივი ბაზარი.

დღევანდელ დღეს, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედიით სარგებლობა არჩევანი კი არა არამედ გარკვეულ წილად ვალდებულებაცაა. ის საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მუდმივად ჩართული იყვნენ სიახლეებში, თან შესაძლებლობა აქვთ ნებისმიერ დროს გამოიყენონ სოციალური მედიის ესა თუ ის საშუალება. დღევანდელ სამყაროში არსებობს ისეთი ონლაინ პლატფორმები, რომელთა გარეშეც ფაქტობრივად შეუძლებელია მოგზაურობის დაგეგმვა. ტექნოლოგიების განვითარება უშუალოდ აძლევს მომხმარებელს საშუალებას, თვითონ დაგეგმონ მოგზაურობა. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება არა მხოლოდ მოგზაურობას ხდის მოსახერხებელს, არამედ მნიშვნელოვანი როლი აქვს ტურისტული ბიზნესის განვითარებაშიც. ციფრული ტექნოლოგიების საფუძველზე განვითარებული მოვლენები აფართოვებს ახალი სამყაროს საზღვრებს უნიკალური მახასიათებლებით და დინამიკით. ასეთ გარემოში კომპანიის გადარჩენის შესაძლებლობა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და მოლოდინების დაკმაყოფილება დამოკიდებულია ციფრული სამყაროს წესების გაგებაზე და შესაბამისად მოქმედებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპანიებმა, რომლებმაც იცინ, რა გავლენას ახდენს სწრაფად განვითარებადი სოციალური მედიის ქსელები და მობილური ხელსაწყოები მომხმარებელთა ცხოვრების წესზე, მოხმარების ჩვევებსა და მომხმარებელთა ქცევაზე, ასევე უნდა იცოდნენ, რომ მათ პერიოდულად სჭირდებათ სტრატეგიების გადახედვა, რომ ფეხი აუწყონ სამყაროს ასეთ განვითარებას.



ტექნოლოგიურმა განვითარებამ ინოვაციები მოიტანა ტურიზმის ინდუსტრიაში, ისევე როგორც ეს ყველა სხვა ინდუსტრიაში ხდება. მობილური კომუნიკაცია სულ უფრო ხშირად ხდება ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. ტურიზმის ინდუსტრიაზე, ისევე როგორც ყველა სხვა ინდუსტრიაზე, გავლენას ახდენს თანამედროვე მობილური კომუნიკაციის მიღწევები. დღევანდელ მსოფლიოში ავიაკომპანიები, ტურისტული სააგენტოები, ტუროპერატორები და მასპინძლობის ბიზნესები ავითარებენ მობილურ აპლიკაციებს და ახალ ბიზნეს პროცესებს, რომლებიც მობილური ტექნოლოგიებით სარგებლობენ. მობილური პერსონალური საკომუნიკაციო მოწყობილობების პოპულარობამ ტურიზმის ინდუსტრიაში რეაგირება მოახდინა პროგრამებისა და სერვისების სახით, ტრადიციული ტურიზმის სერვისების მობილურ დომენში გადასატანად. ყველა ამ განვითარებამ გამოიწვია ტურიზმის სფეროში კომპიუტერების ნაცვლად მობილური საკომუნიკაციო მოწყობილობების ფართო გამოყენება.

არსებობს სხვადასხვა ტიპის მობილური აპლიკაცია სმარტფონებისთვის, პლანშეტებისთვის, ასევე განსხვავდება Android და Ios სისტემისთვის შექმნილი აპლიკაციები. მობილურ აპლიკაციას ასევე დიდი წვლილი შეაქვს კომპანიის იმიჯის ზრდაში, ახალი მომხმარებლების მოზიდვასა თუ პროდუქციის რეალიზებაში. ეს არის უახლესი ტექნოლოგია რომელიც მაქსიმალურად კომფორტულს ხდის ინფორმაციის მიღებას და პროდუქტითა თუ მომსახურებით სარგებლობას. აპლიკაციის ერთ-ერთი მიზანი მისი კომერციულობაა, რისი საშუალებითაც რეალიზაციის მაჩვენებელი მატულობს, ასევე ზრდის მომხმარებელთა რაოდენობას, რადგან ზოგიერთი მომხმარებლისთვის შექმნის მოხერხებულობა არის პრიორიტეტი. ამასთან ერთად მობილური აპლიკაციები საშუალებას გვაძლევს შევავროვოთ მომხმარებლის მონაცემები, გარკვეული სერვისებით სარგებლობისათვის სისტემა სთხოვს მომხმარებელს პირადი მონაცემების შეყვანას, რაც შემდგომ ანალიტიკისთვის და შემდგომში პერსონალური შეთავაზებების გასაკეთებლად გამოიყენება.

ამჟამად მობილური კომუნიკაცია არის კონცეფცია, რომელიც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ტურისტებისა და ტურისტული ბიზნესისთვის. მობილური აპლიკაციების საშუალებით, დღევანდელ ტურისტებს საშუალება აქვთ დააკმაყოფილონ ის საჭიროებები, რაც ადრე საჭირო იყო ტურისტული სააგენტოების, გიდის ან ბეჭდური სახელმძღვანელოების ან რუქებისგან. მობილური მოწყობილობების გამოყენებით მათ შეუძლიათ შეუკვეთონ და დაჯავშნონ სასტუმროები, შეიძინონ ბილეთები ღონისძიებებისთვის და ჩაატარონ პრაქტიკულად მართვადი ტურები სხვადასხვა მიმართულებით, აგრეთვე მრავალი ტურისტული მომსახურება, რომლებიც ტრადიციულად ითხოვს ადამიანთა ურთიერთობებს. ეს მოსახერხებელია ტურისტული ბიზნესისთვის, რადგან უფრო დაბალ ფასად და, საბოლოოდ, ორივე მხარისთვის უფრო ხარისხიანი შეიძლება აღმოჩნდეს თანამშრომლობა.


მობილურმა კომუნიკაციებმა შექმნა სოციალური მედიის კონტექსტში ახალი და უნიკალური ტრანსფორმაციის დინამიკა და სტიმული. დღევანდელ მსოფლიოში, ტურიზმის ბიზნესის მდგრადობა მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და მოლოდინების დაკმაყოფილებით დამოკიდებულია მობილური კომუნიკაციებისადმი ადაპტაციით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიზნესი, რომელიც ვერ მოერგება პროცესებით და სტრატეგიებით ახალ სამყაროს, მომავალში უფრო დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდება. ამ ტექნოლოგიების საშუალებით შექმნილი ახალი ვირტუალური გარემო აღარ ითვლება რეალური სამყაროს უბრალო სიმულაციად, არამედ ხდება რეალურ სამყაროში ურთიერთქმედების ალტერნატიული ადგილი [Sezgin, 2016:14]. ბიზნესი, რომელსაც სურს ადგილი დაიკავოს ამ ახალ სამყაროში, მუდმივად უნდა აკონტროლებდეს და ადაპტირდეს მობილური კომუნიკაციების სფეროში განვითარებული მოვლენების და ინოვაციების კვალდაკვალ. ამიტომ, მობილური კომუნიკაციების ღირებულების ჯაჭვის ყველა მონაწილემ უკეთ უნდა გაიგოს მათი როლები და პოზიციები.

## კვლევის შედეგები

TripAdvisor არის მსოფლიოს უდიდესი სამოგზაურო პლატფორმა, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს მასაჩუსეტსის შტატში. TripAdvisor-ის ბრენდული საიტები და ფორუმები ოპერირებენ, როგორც ონლაინ სამოგზაურო სახელმძღვანელოები, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობენ მოგზაურობასთან დაკავშირებული შინაარსის უფასო მიმოხილვას. 2000 წელს დაარსებული TripAdvisor გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამოგზაურო და განთავსების საშუალებების ვებგვერდი შეერთებულ შტატებში. 2018 წელს ვებგვერდზე უკვე არსებობდა დაახლოებით 730 მილიონი მომხმარებლის მიმოხილვა და მოსაზრება, რომელიც მოიცავდა რვა მილიონზე მეტ რესტორნების, სასტუმროების, გაქირავებისა და ტურისტული ატრაქციების ჩამონათვალს. გლობალური ინტერნეტ მომხმარებლების მზარდი რაოდენობისა და მრავალფეროვნების გამო, რომლებიც ინტერნეტით მიმოხილვებს აქვეყნებენ, ახლა ბევრი თანამედროვე მოგზაური იყენებს TripAdvisor-ს რომ შეარჩიოს დასასვენებლად საცხოვრებელი და მიიღოს მოგზაურობასთან დაკავშირებული რჩევები. TripAdvisor-მა ჩაატარა რაოდენობრივი ონლაინ გამოკითხვა 2019 წლის გაზაფხულზე, 18 წელზე ზემოთ 2025 მომხმარებელზე. კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა მომხმარებელთა მხრიდან მობილურის გამოყენება სამოგზაურო იდეებისა და ინსპირაციების მისაღებად. გამოკითხულთა 36.5%-მა თქვა, რომ ისინი იყენებდნენ სოციალური მედიის ვებსაიტებს მოგზაურობის ინსპირაციისთვის ან იდეებისთვის. სოციალური მედიის გარდა რა გზებს იყენებენ მოგზაურები ინფორმაციის მოსაპოვებლად ნაჩვენებია დიაგრამა I-ზე.

დიაგრამა I

### მობილური ტელეფონის გამოყენება დასვენების ინსპირაციისთვის აშშ-ში 2019 წლის გაზაფხულის მონაცემებით




წყარო: <https://www.statista.com/topics/3443/tripadvisor/>

ბუნებრივია ქართველი მოგზაურებიც იყენებენ სხვადასხვა ონლაინ საშუალებებს მოგზაურობის დაგეგმვისას და ინფორმაციის მიღებისთვის. ფეისბუქზე არსებობს პოპულარული ჯგუფი სახელით - „მოგზაურთა კლუბი“, რომელიც 170.000-მდე მომხმარებელს აერთიანებს. ეს ჯგუფი წარმოადგენს იაფად მოგზაურობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარების საშუალებას. მე შევეცადე ჩამეტარებინა TripAdvisor-ის მსგავსად, მცირე მასშტაბის ონლაინ კვლევა. გამოყენებული იყო პოპულაციაზე დაფუძნებული კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომა (Population-based/Census-based). რაოდენობრივი კვლევის მიხედვით უნდა გამეგო ქართველი ტურისტები რა გზებით იძიებენ ინფორმაციას

მოგზაურობის დაგეგმვისას მობილურის საშუალებით. და ასევე შეუძენიათ თუ არა რაიმე ტურისტული პროდუქტი სოციალური მედიის რომელიმე პლატფორმის გამოყენებით. ონლაინ კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხუთასმა ადამიანმა, რომელთა ასაკი იყო 18 წელს ზემოთ. გამოკითხვის შედეგებით გამოვლინდა, რომ 20.8% იყენებს სოციალურ მედიას მოგზაურობის ინსპირაციისთვის ან იდეებისთვის. ასევე საინტერესო იყო, უცხოელი ტურისტების მსგავსად სხვა რა საშუალებებს იყენებენ ქართველი მოგზაურები მათთვის სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად, რაც ნაჩვენებია დიაგრამაზე II .

დიაგრამა II


**მოგზაურთა კლუბის წევრების მიერ მობილური ტელეფონის გამოყენება დასვენების დასაგეგმად**



არსებული დიაგრამების საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ არანაკლები ქართველი მოგზაური იყენებს სოციალურ მედიას მოგზაურობის დასაგეგმად უცხოელ ტურისტებთან შედარებით. ასევე, როგორც ქართველი ისე უცხოელი ტურისტები ენდობიან ბლოგერებს თითქმის ერთნაირი პროცენტული მაჩვენებლით (7.2% და 8.2%). რაც შეეხება ზოგადი სამიუბო სისტემის გამოყენებას, ამაზე არჩევანს ქართველი და უცხოელი ტურისტების უმრავლესობა აკეთებს (69% და 48.6%).

რაც შეეხება კითხვაზე პასუხს, გამოუყენებიათ თუ არა სოციალური მედიის რომელიმე პლატფორმა ტურისტული პროდუქტის შესაძენად კითხვას დაეთანხმა 47.4%, რაც ნაჩვენებია დიაგრამაში III. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური მედიის გამოყენება ტურისტული პროდუქტების პოპულარიზებისათვის და კლიენტთა მოსაზიდად.

სოციალური მედია პლატფორმის გამოყენება ტურისტული პროდუქტის შესაძენად მოგზაურთა კლუბის წევრების მიერ



მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვლევა არ არის მასშტაბური, ის იძლევა ზოგად წარმოდგენას როგორც სოციალური მედიის მნიშვნელობაზე ქართველი ტურისტებისთვის, ამავედროულად კომპანიებისთვის თვალსაჩინოს ხდის, რატომ უნდა მიაქციონ ყურადღება სოციალური მედიის პლატფორმებს. ჩემი მიზანი იყო გამოძევა სოციალური მედიის როლი და მნიშვნელობა ტურიზმის სფეროში. ვინაიდან დღევანდელ დღეს, ტურისტული ბიზნესი ფაქტობრივად მთლიანად გაციფრულებულია, ციფრული მარკეტინგის დანერგვამ კი ქართულ კომპანიებში ბევრი სარგებელი შეიძლება მოიტანოს. ეს იმოქმედებს კომპანიების განვითარებაზე, მისცემს შესაძლებლობას ადვილად მოაგვარონ წარმოქმნილი პრობლემები, გამოიკვლიონ მომხმარებელთა ქცევა, აკონტროლონ და გაანალიზონ მომხმარებელთა რაოდენობა, მოიპოვენ ინფორმაცია კონკურენტებზე, და შექმნან ბრენდის იმიჯი, რომელიც თავისთავად მოიზიდავს კლიენტებს. იმისათვის რომ საქართველოში ტურიზმის განვითარების ტემპი შენარჩუნდეს, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირება და მსოფლიოში არსებულ გამოწვევებისთვის ფეხის აწყობა.

დასკვნა

დასასრულს, რომ შევაჯამოთ, ინტერნეტისა და სხვა ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გლობალური ეკონომიკის ახალ ეპოქას წარმოშობს. სოციალური მედია განაგრძობს ზრდას და სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის მრავალ სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტზე. სოციალური მედია ფუნდამენტურად ცვლის მოგზაურთა და ტურისტთა მხრიდან ძებნის, მოძიების და ნდობის გზებს, აგრეთვე უდიდეს ინფორმაციას გვაწვდის ტურიზმის მომწოდებლებისა და ტურისტული მიმართულებების შესახებ. სოციალური მედია უზრუნველყოფს ახალი გზების შექმნას ტურიზმის ორგანიზაციებისთვის, რათა განახორციელონ თავიანთი ბიზნეს მოდელები და ოპერაციები. როგორც არაერთი კვლევიდან ჩანს, ტურისტები იყენებენ სოციალურ მედიას სულ მცირე, ინფორმაციის მოსაპოვებლად და ეს უნდა გაითვალისწინონ ტურისტულ სექტორში მოღვაწე პირებმა და ტურისტულმა დაწესებულებებმა, ისარგებლონ სოციალური მედიის დადებითი მხარეებით და შექმნან შესაბამისი იმიჯი. სოციალური მედია არ არის მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებისთვის, არამედ შეიძლება გავლენა იქონიოს ტურისტების მოლოდინებზე და გადაწყვეტილებებზე. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს ონლაინ ტურიზმის დომენისთვის სამიუბო სისტემის საშუალებით მოგზაურობის დაგეგმვის კონტექსტში. ჩემი ჩატარებული კვლევიდან ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური მედიის გამოყენება ტურიზმის სექტორში. ამიტომაც, ტურიზმის ინდუსტრიის დაინტერესებულმა მხარეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სოციალური მედიის გავლენას მათი

ინფორმაციის საიმედოობისა და მომსახურების გასაუმჯობესებლად. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ტურიზმის სფეროში მოღვაწე პირებისთვის ან ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უკვე იყენებენ ან გეგმავენ სოციალური მედიის ინტეგრირებას თავიანთ სექტორში. შემდგომი კვლევებით სიღრმისეულად უნდა მოხდეს სოციალური მედიის სხვადასხვა მოდელების შესწავლა და გადაწყვეტილების მიღების თეორიების გამოვლენა მოგზაურობის უკეთესი გამოცდილების მისაღებად. ეს ნაშრომი იყო მცდელობა, ხაზი გამესვა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევების მნიშვნელობაზე, სოციალური მედიის გავლენაზე ტურიზმის სფეროში და როგორ შეიძლება მისი გამოყენება აუდიტორიასთან უკეთესი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Alic A. Pestek A. Sadinlija A. 2017, Use of Social Media Influencers in Tourism, International Scientific Conference- TRADE PERSPECTIVES 2017, November, 177-189.
2. Amersdorffer D, BauhuberJens F, Oellrich, 2012, The economic and cultural aspects of the social web implications for the tourism industry, "Journal Of Vacation Marketing", Vol 18, №3, pp. 175-184.
3. Buhalis D, Foerste MK, 2014, SoCoMo marketing for travel and tourism. "Information and communication technologies in tourism." Springer International Publishing, pp. 175–185.
4. Dwivedi, M., Shibu, T.P. and Venkatesh, U. 2007, Social software practices on the internet: Implications for the hotel industry, "International Journal of Contemporary Hospitality Management", Vol 19, №5, pp.415-426.
5. Gretzel U, Xiang Z, 2010, Role of Social Media in Online Travel Information Search, "Tourism Management", Vol 31, №2, pp 179-188.
6. Hede, A. -M., & Kellett, P. 2012. Building online brand communities: Exploring the benefits, challenges and risks in the Australian event sector. "Journal of Vacation Marketing", Vol 18 №3, 239–250.
7. Kotler P, Armstrong G, 2010, Principles of marketing, "Pearson Education" Australia, pp. 26-28.
8. Ly B, Ly R, 2020, Effect of Social Media in Tourism (Case in Cambodia). „Journal of Tourism & Hospitality“, Vol 9, p. 424.
9. Matthew J. 2015, The Complete History of Social Media: A Timeline of the Invention of Online Networking", History Cooperative, June, 16.
10. Meladze M. Piranashvili M. 2019, Social Media Impacts on Georgian Tourism Business, European Scientific Journal, 6.
11. Minazzi R. 2015, Social Media Marketing in Tourism and Hospitality, Switzerland, Springer International Publishing pp. 127-135.
12. Munar, A. M., & Jacobsen, J. K. S. 2013, Trust and involvement in tourism social media and web-based travel information sources. Scandinavian Journal of Hospitality and Tourism, Vol 13 №1.
13. Narangajavana Y. Fiol L. Tena M. Artola R. García J. 2017, The influence of social media in creating expectations. An empirical study for a tourist destination, Annals of Tourism Research, Vol 65, pp. 60-70.
14. Sezgin E. 2016, e-Consumers in the Era of New Tourism, Singapore, Springer International Publishing, pp.14-15.
15. Sue,V. M., & Ritter, L. A., 2007 Conducting online surveys, USA, "Sage Publications", Inc. pp. 25-37.
16. Statista Inc. TripAdvisor - Statistics & Facts, <https://www.statista.com/topics/3443/tripadvisor/>, <https://www.statista.com/> (11.12.20).
17. Statista Inc. Mobile phone services used to plan leisure travel in the U.S. as of spring 2019, <https://www.statista.com/statistics/185454/technology-used-to-plan-leisure-travel-in-the-us-2011/>, <https://www.statista.com/> (11.12.20).
18. Thevenot G. 2007, Blogging as a Social Media, "SAGE Journals", Vol 7 № 3-4, pp. 287-289.
19. Zeng B. Gerritsen R. 2014, What do we know about social media in tourism? "Tourism Management Perspectives", Vol 10, pp. 27–36.

**IMPACT OF DIGITAL TECHNOLOGIES ON CONSUMERS  
WHEN PURCHASING A TRAVEL PRODUCT**

**Summary**

Computer-mediated technologies allow individuals, companies, NGOs, governments, and other organizations to view, create, and share information, ideas, career interests in virtual communities and networks. For the tourism industry it is essential to create interesting content on social media at all stages of the journey. Social networking is one of the fastest growing sectors. The aim of the paper was to highlight the role of social media in the tourism industry, to reveal how social networks affect tourism, and how tourists benefit from using social networks while traveling. The research should have revealed which search engine Georgian tourists use to get information throughout their travel and whether they usually use social media platforms to buy a tourism product. With using qualitative and quantitative (population-based) methods, the results of the study showed that travelers in Georgia actively use social media for ideas and inspiration, at the same time to buy tourism products. The results of the study will be interesting for individuals or organizations working in the field of tourism, who already use or plan to integrate social media into their sector. The use of the Internet and other information and communication technologies is ushering in a new era of global economy. Social media continues to grow and has an increasing impact on many social and economic aspects of the tourism and hospitality industry. Social media fundamentally changes the ways of search, finding and trust by travelers and tourists, as well as gives us the greatest information about tourism providers and tourist destinations. Social media offers new ways for tourism organizations to implement their business models and operations. Numerous studies show that tourists use social media to get information at least, and this should be taken into account by individuals working in the tourism sector to take advantage of the positive aspects of social media and create an appropriate image. Social media is not just about disseminating information, it can also influence tourists' expectations and decisions. It is an important component of an online tourism domain in the context of travel planning through a search engine. My research shows how essential the use of social media is in the tourism sector. Therefore, stakeholders in the tourism industry should pay attention to the impact of social media to improve the reliability of their information and services.

*ლინა დათუნაშვილი*

**სასურსათო უსაფრთხოება და საქართველოს სოფლის მეურნეობა**

*ანოტაცია. ნაშრომში გაშუქებულია ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“ და მისი წარმოშობის ისტორია. განხილულია იმ ძირითადი მიმართულებების მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასურსათო უსაფრთხოება. ნაჩვენებია რიგი მიზეზის გავლენა მასზე. მიმოხილულია 2016-2019 წლებში საქართველოს ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის - სოფლის მეურნეობის რეალური მდგომარეობა და მისი როლი სასურსათო უსაფრთხოების შერბილებაში. ნაჩვენებია ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების ნათესი ფართობისა და პროდუქციის, ასევე მეცხოველეობის ცალკეულ ქვედარგებში წარმოებული პროდუქციის შემცირების გამო დარგის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და სასურსათო უსაფრთხოების დაბალი დონე. უმეტესი სახეობის სურსათზე მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დაბალი კოეფიციენტი და მისი შემცირების ტენდენცია.*

\*\*\*

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ქრონოლოგიურად თუ გავყვებით, ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“ პირველად გასული საუკუნის 70-იან წლებში შემოვიდა ხმარებაში. დღეისათვის ამ ტერმინის განმარტების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. სასურსათო უსაფრთხოების პირველი განმარტება 1974 წელს მსოფლიო სასურსათო სამიტზე იქნა

შემუშავებული და ასე იყო ფორმულირებული: „სასურსათო უსაფრთხოება მიღწეულია მაშინ, როდესაც მუდმივად არსებობს საბაზისო სურსათის საკმარისი ხელმისაწვდომობა, რაც უწყვეტ მოხმარებას უზრუნველყოფს და წარმოებისა და ფასების დაბალანსებას უწყობს ხელს“. მსოფლიო სასურსათო სამიტმა 1996 წელს ცვლილებები შეიტანა არსებულ განმარტებაში, რომელმაც მიიღო ასეთი სახე: „სასურსათო უსაფრთხოება დაცულია მაშინ, როდესაც ჯანსაღი და სრულფასოვანი სურსათი ყველასთვის საკმარისი და ხელმისაწვდომია არა მარტო ფიზიკურად, არამედ ეკონომიკურადაც. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა აკმაყოფილებდეს დიეტურ საჭიროებებს და ასევე ქმნიდეს შესაძლებლობას, რომ საზოგადოებამ უპირატესობა მიანიჭოს იმ საკვებს, რომელიც ხელს უწყობს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესს“. მოყვანილი ორივე განმარტება ხაზს უსვამს იმას, თუ როდის არის სასურსათო უსაფრთხოება დაცული და მიღწეული. დღეისათვის სასურსათო უსაფრთხოებას ასე განმარტავს გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO): „სასურსათო უსაფრთხოება არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე“.

სასურსათო უსაფრთხოება FAO-ს განმარტებით უნდა აკმაყოფილებდეს ისეთი ძირითადი მიმართულების მოთხოვნებს, როგორც არის: სურსათზე ხელმისაწვდომობა, სურსათზე როგორც ეკონომიკური, ისე ფიზიკური წვდომა, სურსათის მოხმარება და სურსათის მოხმარების სტიმულირება. ვნახოთ როდის არის თითოეული ამ მიმართულების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. 1. საკვებზე ხელმისაწვდომობა მიღწეული იქნება მაშინ, თუ ადგილობრივი წარმოების ან იმპორტის მეშვეობით ქვეყანაში იქნება ყველასთვის საკმარისი რაოდენობით ჯანსაღი და სრულფასოვანი სურსათი; 2. სურსათზე როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური წვდომა მიღწეული იქნება მაშინ, როდესაც ადამიანებს ექნებათ ისეთი საკვების შეძენისა და მიღების შესაძლებლობა, რომელიც აკმაყოფილებს დაბალანსებული კვების მოთხოვნებს; 3. სურსათის მოხმარება ზომავს ადამიანის მიერ მიღებულ საკვებში როგორია ენერგეტიკული და საკვები ნივთიერებების დონე, რამდენად ჯანსაღია საკვები, როგორ მზადდება და რამდენად მრავალფეროვანია იგი; 4. სურსათის მოხმარების სტიმულირება ამოწმებს დანარჩენი სამი მიმართულების სტაბილურობას დროთა განმავლობაში, რადგან ადამიანს დღეს შეიძლება ჰქონდეს საკმარისი საკვები, მაგრამ სტაბილური წვდომა არ ჰქონდეს საკვებზე. თუ დაცულია ყველა ეს მოთხოვნა, მაშინ სასურსათო უსაფრთხოება გარანტირებულია, თუ არა და საზოგადოების თითოეული წევრი ან მთლიანად ქვეყანა შეიძლება სასურსათო რისკის წინაშე დადგეს.

გაუარესებული კლიმატური პირობები, კლიმატის გლობალური ცვლილება - დათბობა და მისი თანმდევი შედეგები: გვალვა, წყალდიდობები და სხვა, პოლიტიკური არასტაბილურობა და რიგი ეკონომიკური ფაქტორი, როგორცაა სურსათზე ფასების ზრდა და უმუშევრობა ნეგატიურად აისახება სასურსათო უსაფრთხოებაზე.

გლობალური დათბობისგან გამოწვეული გვალვის შედეგად მნიშვნელოვანად ნადგურდება ერთწლიანი კულტურების (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ბრინჯი და სხვა) ნათესები, რაც იწვევს ამ კულტურების მოსავლიანობის და შესაბამისად მოსავლის შემცირებას. აღნიშნული მოვლენა რისკის ქვეშ აყენებს სასურსათო უსაფრთხოებას.

სურსათზე ფასების ზრდა გარკვეულ ცვლილებას იწვევს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. განვითარებულ ქვეყნებში სურსათის გაძვირება იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის და ხარისხის დაქვეითებას; - განვითარებადი ქვეყნებში მოსახლეობის ფართო ფენების ყოველდღიური კვების პროდუქტების დეფიციტს და ხელმიუწვდომლობას. აღნიშნულ შედეგად მოჰყვება მასშტაბური სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური რყევები, რაც სხვადასხვა სახით ვლინდება. მაგ., 2007-2008 წლებში მსოფლიოში სურსათზე ფასები გაიზარდა, რაც რიგმა მიზეზმა განაპირობა. ესენია: სტრატეგიული სასურსათო რეზერვის შემცირება, ენერგორესურსებსა და მინერალურ სასუქებზე ფასების ზრდა, ზოგიერთი აგრარული ქვეყნის მიერ მონოკულტურების ფართოდ დანერგვის მცდელობა

და სხვა, რასაც დაემატა 2010 წლის გვალვის შედეგად მარცვლელი კულტურების მოუსავლიანი პერიოდი. სურსათზე ფასების ზრდას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ შეამცირა ან აკრძალა ძირითადი მარცვლელი კულტურების ექსპორტი.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, განხილულმა მიზეზებმა გამოიწვია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში რიგი უწესრიგობა, რევოლუცია და სამოქალაქო ომი, რომელიც „არაბული გაზაფხული“-ს სახელით არის ცნობილი. ამ ვითარების გამო ევროპის ქვეყნებს ლტოლვილების არნახული რაოდენობა მიაწყდა, რომლებსაც თავშესაფარი და სამუშაო სჭირდებოდათ და რამაც მნიშვნელოვნად გაამწვავა ამ ქვეყნებში უმუშევრობის პრობლემა.

აღნიშნული მიზეზები, ყველა ერთად ან თითოეული ცალ-ცალკე, უარყოფითად მოქმედებს სასურსათო უსაფრთხოებაზე.

ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის - სოფლის მეურნეობის განვითარება, რომლის მთავარი ამოცანაა სამედიცინო ნორმით გათვალისწინებული ხარისხიანი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სრულფასოვანი საკვები პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა, ხოლო მეორის - სოციალური მნიშვნელობის ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ობიექტურად მოითხოვს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ქვეყნის მთლიანი აგროსამრეწველო კომპლექსის მდგრად განვითარებას, რაც პირდაპირ უკავშირდება ამ დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებას - მემცენარეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ასევე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

ამ პრობლემის განსახორციელებლად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სატყეო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, სოფლად ეკონომიკის განვითარება და სხვა, რომელთა რეალიზაციაში მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერა აგრარული პოლიტიკისადმი, რომელთა ძირითადი მიზანი, ზემოთ აღნიშნულთან ერთად უნდა იყოს: აგრარული სფეროს განვითარება, სოფლად მცხოვრები ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მათი ხელმისაწვდომი სურსათით უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის წახალისება, რაც უნდა განახორციელონ სოფლად მცხოვრებმა ფერმერებმა, რომელთაც ძირითადი ადგილი და როლი უკავიათ სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარებაში.

ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის დახმარება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად ხორციელდება. მაგ., განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას ახდენენ არა უშუალოდ წარმოებაში, არამედ ფინანსური დახმარება გარემოსდაცვითი და საინოვაციო ღონისძიებების დაფინანსებაში გამოიხატება. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა სხვადასხვა მომსახურების გაწევა, ამიტომ ამ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურისა და გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებას. სახელმწიფო აფინანსებს დარგის განვითარებისთვის აუცილებელ კვლევებს და კველვით დაწესებულებებში დასაქმებულ მეცნიერებს. მთელი ეს პროცესი მართვიდან დაწყებული, წარმოებით დამთავრებული, ცოდნაზე დამყარებული მეცნიერული კვლევების საფუძველზე ხორციელდება.

დღეისათვის მსოფლიოს ქვეყნების მოსახლეობა დგას სურსათის უკამრისობის პირისპირ, რომლის მიზიზები გლობალურია და გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შეზღუდულობისა და სუფთა წყლის რესურსების შემცირების, კლიმატის ცვლილებების, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის, ფინანსური არამდგრადობის და სხვა პრობლემების გამო. აღნიშნული მიზეზების შერბილების მიზნით აუცილებელია სურსათის იმპორტისაგან ამ ქვეყნების დამოკიდებულების შემცირება და მსოფლიო სასურსათო ბაზარზე მათი ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცება.



მაშინ, როდესაც მსოფლიოში დაახლოებით ერთ მილიარდამდე ადამიანი შიმშილობს, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება, რისი მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას დარგის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიცაზია წარმოადგენს. მათ ეფექტურ გამოყენებაზე დამოკიდებულია მრავალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს და ფერმერული მეურნეობის ხარისხიანი ფუნქციონირება და სასურსათო პროდუქციის რაოდენობის ზრდა. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების რეალიზაცია დღეისათვის კიდევ უფრო აუცილებელია, რათა არსებული სასურსათო პრობლემების შერბილება ინოვაციური მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობის მეშვეობით შევძლოთ.

ბოლო წლებში სურსათის უკმარისობის გამომწვევ ჩვენ მიერ განხილულ მიზეზებს დაემატა ღორისა და ქათმის გრიპი, ხოლო 2020 წლის დასაწყისში კორონავირუსის ეპიდემია, რომელმაც მსოფლიოს უმრავლესი ქვეყანა მოიცვა და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სოფლის მეურნეობა მაღალი რისკის მქონე დარგია, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. მიმდინარე პერიოდში ამ სფეროში ძირითად რისკს გლობალურად წარმოადგენს დარგში წარმოებულ პროდუქციაზე საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვა, რაც შემოიღო ზოგიერთი ქვეყნის მთავრობამ კორონავირუსის პანდემიის გამო და რომელმაც გამოიწვია საგარეო და საშინაო ბაზარზე ლოგისტიკის ჯაჭვის ჩამოშლა, ასევე სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის მობილურობის შეზღუდვა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულ საკარანტინო ზომებზე.

კოვიდპანდემიის გავრცელების შესამცირებლად ბოლო პერიოდში რიგი ქვეყნის მთავრობების მიერ საზღვრების ჩაკეტვამ ხელი შეუწყო მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესის შესუსტებას და დეგლობალიზაციის პროცესის გააქტიურებას. ამ ფაქტთან დაკავშირებით აკადემიკოსი ვლ. პაპავა აღნიშნავს, რომ სწორედ დეგლობალიზაციის პირობებშია ახლებურად გასააზრებელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა, განსაკუთრებით კი სასურსათო უსაფრთხოება, რომლის სიმწვავეს ხაზს უსვამს თუნდაც რუსეთის გადაწყვეტილება, შეეჩერებინა ხორბლის ექსპორტი, რაც საერთაშორისო ბაზრებზე მასზე ფასების ზრდას გამოიწვევს, ასევე სხვა ქვეყნების მხრიდანაც სასურსათო პროდუქტების ექსპორტის შემცირება მიიმედ აისახება იმ ქვეყნებზე, რომლებიც დამოკიდებული არიან ამ პროდუქტების იმპორტზე. მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველოც.

საქართველოს სოფლის მეურნეობა გლობალურად მსოფლიო აგრარული სფეროს შემადგენელი ნაწილია, რომლის განვითარების დონეზე დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ვნახოთ, რა შესაძლებლობები გააჩნია ამ მიმართულებით აღნიშნულ სექტორს საქართველოში.

ქვეყნის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული სოფლის მეურნეობის სტატისტიკური პუბლიკაციის მიხედვით, 2006-2015 წლების გამოკვლევების შერჩევის ბაზის ძირითად წყაროს წარმოადგენდა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. 2016 წლიდან გამოკვლევების შერჩევის ბაზა განახლდა და დაეფუძნა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერას, ამასთან გამოკვლევების შერჩევის ზომა 5 ათასიდან 12 ათას მეურნეობამდე გაიზარდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა. ამ ცვლილებებით 2016 წლიდან მონაცემები შესადარი არ იყო წინა წლების მონაცემებთან, რის გამოც განხორციელდა 2014-2015 წლების მონაცემების გადაანგარიშება. ამიტომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა მოიცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის ბოლო ოთხი წლის მასალის ანალიზს - 2016-2019 წლებს.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა 28,0 ათასი კაცით (1577,1-დან 1539,1-მდე) შემცირდა. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 5-7 პროცენტი, საქართველოში ამ დარგში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 40%. სოფლის მოსახლეობის რაოდენობის

შემცირება, სხვა მიზეზებთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავების რაოდენობრივ მაჩვენებელზე. საანგარიშო პერიოდში 37,8 ათასი ჰა-ით შემცირდა ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი, მათ შორის (ათასი ჰა) : ხორბლის - 6,5; სიმინდის - 20,8; ლობიოს - 0,5; მზესუმზირის - 1,1; კარტოფილის - 3,8; ბოსტნეულის - 2,8; ბალჩეულის - 0,3 და მრავალწლიანი ბალახების - 2,0.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობის შემცირება უარყოფითად აისახა ამ კულტურების წარმოებაზე. მნიშვნელოვნად იკლო აღნიშნული კულტურების წარმოებამ (ათასი ტ): ხორბლის - 26,0; სიმინდის - 36,6; მზესუმზირის - 0,6; კარტოფილის - 54,3; მრავალწლიანი ბალახების - 3,5; გაიზარდა ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების წარმოება შესაბამისად 19,4 და 7,1 ათასი ტ-ით, რაც გამოიწვია კომბოსტოს - 9,5; პომიდვრის - 8,5; კიტრის - 11,7; ჭარხლის - 1,9 და საზამთროს წარმოების გადიდება 7,6 ათასი ტ-ით.

2016-2019 წლებში მრავალწლოვანი კულტურებიდან ხილის (თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი) წარმოება 42,0 ათასი ტ-ით შემცირდა. ასევე შემცირება დაფიქსირდა (ათასი ტ-ით) ჩაისა - 1,0 და ციტრუსის - 1,5 - წარმოებაში. გაიზარდა სუბტროპიკული ხილის წარმოება 4,5 ათასი ტ-ით და ყურძნის - 134,6 ათასი ტ-ით.

საანალიზო პერიოდში შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა (ათასი სულით) - 93,2; ცხვრის - 34,0; თხის - 10,9; ხოლო ზრდა დაფიქსირდა ღორის - 19,2; ფრინველის 1228,6 (ათასი ფრთა) და ფუტკრის ოჯახის რაოდენობაში - 52,0 (ათასი სკა).

მემცენარეობის კულტურების ნათესი ფართობისა და წარმოების, ასევე მეცხოველეობის ზოგიერთი ქვედარგის: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის რაოდენობის შემცირებამ ნეგატიური გავლენა იქონია დარგის რიგ ეკონომიკურ მაჩვენებელზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ იკლო: მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის ხვედრითმა წილმა 8,3%-დან 7,2%-მდე; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლების წილმა შინამეურნეობების ფულად შემოსავალში 6,4%-დან 5,5%-მდე; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებულმა საშუალო თვიურმა შემოსავალმა ერთ შინამეურნეობაზე 63,0 ლარიდან 60,0 ლარამდე და გამოყენებული ყველა სახის მინერალური სასუქის რაოდენობამ 57,7 ათასი ტ-დან 42,5 ათას ტ-მდე.

აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა სასრუსათო პროდუქტების საშუალო წლიური ფასები (ლ/კგ): ძროხის, ღორისა და ქათმის ხორცზე შესაბამისად 4,16; 2,01 და 0,72. იმერულ ყველზე - 1,92; ბრინჯზე - 1,07; მკარონზე - 0,44 და სხვა. შემცირდა ხორბლის, სიმინდისა და კარტოფილის ადგილობრივი წარმოება და ექსპორტი, შესაბამისად გაიზარდა ამ კულტურების იმპორტი. ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულისა და ყურძნის, ასევე მეცხოველეობის ცალკეული ქვედარგის ადგილობრივი პროდუქციის წარმოებაში.

ხორბლის ადგილობრივი წარმოების დაბალმა დონემ განაპირობა მასზე მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის დაბალი მაჩვენებელი, რომელმაც საანალიზო პერიოდში 19%-დან 15%-მდე იკლო. სიმინდზე ადგილობრივი წარმოების მაღალი ხვედრითი წილის გამო მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2016 წელს 79%-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს 70%-მდე შემცირდა. კარტოფილით ქვეყნის მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ადგილობრივი წარმოების მაღალი ხვედრითი წილის გამო აღნიშნულ პერიოდში ტოლი იყო 92 და 93 პროცენტის, ბოსტნეულით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ამავე პერიოდში 64%-დან 62%-მდე შემცირდა.

მეცხოველეობაში მაღალი იყო ცხვრის და თხის ხორცზე მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც საანალიზო პერიოდში 100-დან 158 პროცენტამდე გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი ასევე მაღალი იყო რძეზე და რძის პროდუქტებზე და კვერცხზე, რომლებმაც შესაბამისად 82-81 და 100-96 პროცენტი შეადგინა. 2016-2019 წლებში მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ქვეყანაში მთლიანად წარმოებულ ხორცზე დაბალი იყო და 48-47 პროცენტი შეადგინა. მათ შორის ღორის ხორცზე 42

და 44 პროცენტი, ფრინველის ხორცზე 35 და 31 პროცენტი, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე აღნიშნულმა მაჩვენებელმა 79 და 74 პროცენტი შეადგინა.

მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ საანალიზო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის უმეტეს ქვედარგებში შემცირდა პროდუქციის წარმოება, რამაც განაპირობა მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის არა მარტო დაბალი კოეფიციენტი, არამედ დაფიქსირდა ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია, რაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს.

ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეიმჩნევა რიგი ნეგატიური ტენდენცია, ასევე რისკფაქტორები, რომლებიც გლობალურად მოქმედებს დარგის რეალურ მდგომარეობაზე და მის შემდგომ განვითარებაზე.

აგრარულ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს სასურსათო პროდუქტების უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად სჭირდებათ ცოდნა, განათლება და გამოცდილება, ანუ დარგს ესაჭიროება პროფესიონალი კადრები. შეინიშნება ის ფაქტი, რომ სტუდენტები, რომლებიც ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებელს სოფლის მეურნეობის განხრით, ნაკლებად ცდილობენ იმუშაონ ამ სფეროში თავიანთი სპეციალობით, ამიტომ სოფლად კვალიფიციური კადრების დეფიციტია. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს სხვადასხვა სახის სოციალურ დახმარებას და ცდილობენ გაეცნენ მძიმე ფიზიკურ შრომას, რაც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თოხითა და ბარით დამუშავებასთან, რადგან ამ ფართობების უმეტესობის დამუშავება მექანიზაციის საშუალებებით ვერ ხერხდება რელიეფური პირობებისა და ფართობის სიმცირის გამო. აღნიშნულის გამო ახალგაზრდები ან მიდიან სოფლიდან ქალაქში, ან სვამენ ალკოჰოლურ სასმელს, ხოლო სოფლად ძირითადად დასაქმებული არიან ხანში შესული ადამიანები.

ამ სფეროში ერთ-ერთ სუსტ ადგილს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაზიდვისა და შენახვის მიმართულებით არსებული ინფრასტრუქტურა, ასევე ერთ რაიონში განთავსებული ერთი საწარმოო პროფილის მქონე სხვადასხვა მეურნეობებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის დაბალი დონე. ასეთი ინტეგრაციის მიზანია ძვირად ღირებული საწარმოო საშუალებების ერთად შეძენის შესაძლებლობა, რაც ცალკეულ საწარმოს ან მეურნეობას ნაკლებად შეუძლია განახორციელოს.

საქართველო საკვები პროდუქტების წმინდა იმპორტიორია, ამიტომ მიწოდების ჯაჭვში გაჩენილი ყველა შეფერხება ზრდის სურსათის ფასებს, რასაც ემატება ლარის გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში.

ნაშრომში მოყვანილი ფაქტები და განხილული მიზეზები მნიშვნელოვნად აფერხებს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას, ამიტომ ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების შერბილებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაუმჯობესდეს:

- სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში ქალი ფერმერებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა მათი ინტერესების გათვალისწინებით.

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის ბიზნესის დასაწყებად გრძელვადიან იაფ კრედიტზე ხელმისაწვდომობა;

- მიწათმოქმედებაში დასაქმებულ მეწარმეთა რისკის დაზღვევის მექანიზმი;

- სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქტების შესყიდვის სისტემა და მასში ადგილობრივი მცირე და საშუალო მეწარმეებისა და ფერმერების მონაწილეობის წახალისება და ხელშეწყობა;

- ამ სფეროში დასაქმებულ მეწარმეთა ბიზნესისა და კაპიტალის დაცვის საკანონმდებლო ბაზა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დათუნაშვილი ლ. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ XI. თბილისი, 2018.
2. დათუნაშვილი ლ. ბიოტექნოლოგიები ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ- ერთი ფაქტორი. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ინტერნეტ-კონფერენცია. თბილისი, 2018.
3. დათუნაშვილი ლ. ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს სოფლის მეურნეობაში (მემცენარეობა). თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ XII. თბილისი, 2020.
4. <http://www.bride.org.ge>>პროექტები food-security
5. <http://www.report.ge>>economics>sasursato-usaftrthoebis...
6. <http://www.iset-pi-ge>>iset.economist-blog>entry>sa...
7. <https://www.gfsis.org>>blog>view
8. <http://www.parliament.ge>>media>axali-ambebi>beg...
9. [history.wikireading.ru](http://history.wikireading.ru)>399348
10. [fishretail.ru](http://fishretail.ru)>новости>...vsadnik-posleduet-bi-za...

*Lina Datunashvili*

### FOOD SECURITY AND AGRICULTURE OF GEORGIA

#### Summary

The paper covers the term - the history of the origin of food security and its different variants, two of which were developed by the World Food Summit in 1974 and 1994, and the third variant by the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). The requirements of the main areas that must be met by the FAO as defined by food security are discussed. The impact of a number of factors on food security is shown, such as: deteriorating climate conditions and global warming, political instability, rising food prices, unemployment, etc. Covers the real situation of one of the main sectors of the Georgian national economy in 2016-2019 - agriculture and its role in mitigating food security. The deterioration of the economic indicators of the field and the low level of food security are shown due to the reduction of the sown area and production of annual and perennial crops, as well as the production of products in certain livestock sub-sectors. The low self-sufficiency rate of the population on most types of food and the tendency to reduce it.

The implementation of the measures presented in the conclusion in the direction of further development of agriculture will contribute to the mitigation of food security in Georgia.

*ნუგ ზარ თოდუა  
კატერინე უროტაძე*

### სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე

**ანოტაცია.** სტატიაში შესწავლილია სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების როლი თანამედროვე ტურისტულ ბიზნესში. სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების ძირითად დეტერმინანტებად ნაშრომში მიჩნეულია ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა, ინტერაქტიულობა, პერსონალიზაცია და უსაფრთხოება. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე დადგენილია მომხმარებლების მიერ საქართველოს დესტინაციების მიერ შემოთავაზებული სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების დონეების შეფასებები. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ ინფორმაციულობის, ხელმისაწვდომობის, ინტერაქტიულობის, პერსონალიზაციისა და უსაფრთხოების გავლენას სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმაზე, აგრეთვე სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმის გავლენას მომხმარებლების სამოგზაურო განზრახვაზე.

**საკვანძო სიტყვები:** სმარტ ტურისტული ტექნოლოგიები, მყიდველობითი განზრახვა, მარკეტინგული კვლევა, საქართველოს ტურისტული ბაზარი.

## პრობლემის აქტუალობა

21-ე საუკუნეში ახალი ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება ძირეულად ცვლის სამყაროს. 4.0 ინდუსტრიის მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის მრავალ დარგზე, მათ შორის ტურიზმზე [Stankov and Gretzel, 2020]. 4.0 ინდუსტრიის გავლენით 4.0 ტურიზმის კონცეფცია ითვალისწინებს ანალოგიურ ტექნოლოგიურ გარდაქმნებს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში, რასაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სარგებელი მოაქვს [Buhalis ... 2019]. 4.0 ტურიზმით გათვალისწინებული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა ქმნის ახალ სივრცეს, რომელშიც ფიზიკური და ვირტუალური ობიექტები ერთმანეთს ფარავენ [Flavián at al., 2019]. შესაბამისად, ტრადიციული ტურისტული ინდუსტრია შედის სმარტ ტურიზმის ეპოქაში [Neuhofner, 2012].

ზოგადად, სმარტი, როგორც ახალი კონცეფცია, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით, მოიცავს პრაქტიკულ მოწყობილობებს, როგორცაა, მაგალითად, სმარტფონები, სმარტ ტელევიზორები, სმარტ ავტომობილები და სხვა. სიტყვა „სმარტი“ აღნიშნავს გონიერს, ეკოლოგიურს, მდგრადს, ინტეგრირებულს და ყველგან მყოფს [Um and Chung, 2019]. სმარტ ტურიზმი კი ესაა საყოველთაო საინფორმაციო სერვისი, რომელსაც ტურისტები ღებულობენ მოგზაურობის პროცესში [Li ... 2017]. სმარტ ტურიზმი განისაზღვრება, როგორც ტურისტული მომსახურების ყველა დონეზე ეკოლოგიურად სუფთა, ეთიკური და მაღალხარისხიანი სერვისების ერთობლიობა. შესაბამისად, სმარტ ტურისტული ტექნოლოგიები მიეკუთვნება ინფორმაციული ტექნოლოგიების ნებისმიერ ფორმას, რომლებსაც ტურისტები იყენებენ ინფორმაციის მოძიების, ტრანსაქციების, კომუნიკაციებისა და კონტენტის შექმნისათვის [Yoo ... 2017].

ასეთი ტენდენციების გათვალისწინებით, მრავალმა ტურისტულმა კომპანიამ თავის მარკეტინგულ საქმიანობაში დანერგა სმარტ ტექნოლოგიები, რათა მომხმარებლებისათვის უფრო სასიამოვნო სამოგზაურო შთაბეჭდილებები შეექმნა. დღეისათვის ტურისტების უმეტესობა იყენებს სმარტ ტექნოლოგიებს, როგორცაა: ადგილობრივი რესტორნებისა და დესტინაციების ვებსაიტების გაცნობა, ტურისტული აპლიკაციების გამოყენება, სმარტფონების მეშვეობით გადახდა და სხვა. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ტურისტების მიერ სმარტ ტექნოლოგიების გამოყენება უახლოეს მომავალში უფრო მრავალფეროვანი გახდება და მათ შეეძლებათ, რომ თავიანთი მოგზაურობები ნებისმიერ დროსა და ადგილას დაგეგმონ [Wang, 2018; Jeong and Shin, 2019].

სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიას მიეკუთვნება როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური აპლიკაციები, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ ტურისტების გამოცდილება და შექმნან დამატებითი ღირებულება [Neuhofner ... 2015]. სმარტ ტურისტული ტექნოლოგია მოიცავს როგორც ჭკვიანურ მოწყობილობებს, ასევე სოციალურ პლატფორმებს, დიდ მონაცემებს, ხელოვნურ ინტელექტს და ა.შ., რომლებიც განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბოლო ხანებში [Pai ... 2020]. მკვლევარები გამოყოფენ სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის სხვადასხვა მახასიათებლებს, რომელთა განზოგადების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა, ინტერაქტიულობა, პერსონალიზაცია და უსაფრთხოება.

ინფორმაციულობა წარმოადგენს ტურისტული დესტინაციების მიერ სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიით მოწოდებული ინფორმაციის ხარისხის, სანდოობისა და სიზუსტის ერთობლიობას [Huang ... 2017]. ხელმისაწვდომობა წარმოადგენს საზომს, რომლითაც ტურისტებს შეუძლიათ ადვილად მიიღონ და გამოიყენონ დესტინაციების მიერ სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის მეშვეობით შემოთავაზებული ინფორმაცია [Huang ... 2017]. მომხმარებლები დესტინაციების შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას მოიძიებენ იმ შემთხვევაში, როცა სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის მისაწვდომობის დონე მაღალია. ინტერაქტიულობა უზრუნველყოფს სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის გამოყენებისას მომხმარებლებთან უკუკავშირს და აქტიურ კომუნიკაციებს [Tan ... 2018]. პერსონალიზაცია ხელს უწყობს მომხმარებლებს, მოგზაურობის დაგეგმვისას სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის სხვადასხვა

ტიპის საშუალებით მიიღონ კონკრეტული ინფორმაცია თავიანთი მოთხოვნილებების გათვალისწინებით [No and Kim, 2015; Jeong and Shin, 2019]. უსაფრთხოება განისაზღვრება როგორც სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის გამოყენების დროს მომხმარებელთა პირადი ინფორმაციის შენახულობა. ამიტომ მრავალი მკვლევარი მას სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის მნიშვნელოვან ატრიბუტად მიიჩნევს [No and Kim, 2015; Huang ... 2017].

სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის სფეროში მრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად, ჯერ კიდევ ნაკლებია შრომები, რომლებიც COVID-19 პანდემიის გათვალისწინებით სმარტ ტურიზმის განვითარებას ეხება. არადა, აშკარაა, რომ COVID-19 პანდემია საგრძნობლად აფართოებს სმარტ ტურიზმის ტექნოლოგიების გამოყენებას [Gretzel ... 2020]. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ რეალობაში, ტურიზმის სფეროში მომხმარებელთა ქცევის შესწავლისათვის ჩატარებულია გარკვეული კვლევები [Apil ... 2009; Todua and Jashi, 2016a; Todua and Jashi, 2016b; Todua, 2017a; Todua, 2017b; Todua, 2018; Todua, 2019a; Todua, 2019b; Urotadze, 2019a; Urotadze, 2019b; Urotadze, 2019c; Urotadze, 2020; Todua, 2020; Seturi and Urotadze, 2020], მაგრამ სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის გამოყენების თავისებურებები ჯერ კიდევ შესწავლილი არაა. ამ ხარვეზის შევსებისათვის 2021 წლის თებერვალ-მარტში ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა. ლიტერატურული მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: ჰიპოთეზიანი ტურისტული ტექნოლოგიებთან ასოცირებული ინფორმაციულობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა აღქმაზე;

H2: ჰიპოთეზიანი ტურისტული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა აღქმაზე;

H3: ჰიპოთეზიანი ტურისტულ ტექნოლოგიებთან ასოცირებული ინტერაქტიულობა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა აღქმაზე;


H4: ჰიპოთეზიანი ტურისტულ ტექნოლოგიებთან ასოცირებული პერსონალიზაცია დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა აღქმაზე;

H5: ჰიპოთეზიანი ტურისტულ ტექნოლოგიებთან ასოცირებული უსაფრთხოება დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა აღქმაზე;

H6: ჰიპოთეზიანი ტურისტული ტექნოლოგიების აღქმა დადებით გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ მოგზაურობის შესახებ განზრახვაზე.

ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების საფუძველზე შეიძლება შევიმუშავოთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომლის სტრუქტურა ნაჩვენებია ნახაზ 1-ში.


ნახ. 1. კვლევის კონცეპტუალური მოდელი



**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევა განხორციელდა მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურირებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტა მოიცავდა ინფორმაციას რესპონდენტის თანხმობისა და კონფიდენციალობის შესახებ, აგრეთვე კვლევის განმარტებებს და შევსების ინსტრუქციებს. ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული ინტერვიუს მეთოდით. კვლევაში გამოვიყენეთ თვით-ადმინისტრირებადი გამოკითხვის მეთოდი, რათა თავიდან აგვეცილებინა ინტერვიუების სუბიექტურობით გამოწვეული შეცდომები. შერჩევის ფორმირება მოხდა სააღბათო მეთოდის საფუძველზე. კვლევის არეს წარმოადგენდა ქალაქი თბილისი. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოიკითხა 18 წელზე მეტი ასაკის 620 რესპონდენტი (მათ შორის მამაკაცი იყო 237, ქალი - 383). მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. ცვლადებს შორის კავშირურთიერთობის დასადგენად გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზის მეთოდი [Malhotra, 2010].

**კვლევის შედეგები.** კვლევამ გამოავლინა საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის ინფორმაციულობის, ხელმისაწვდომობის, ინტერაქტიულობის, პერსონალიზაციისა და უსაფრთხოების დონეები, რომლებიც რესპონდენტებმა შეაფასეს ხუთბალიანი სკალის გამოყენებით, კერძოდ, 1-დან 5-მდე მნიშვნელობების ზრდადობის მიხედვით (იხ. ნახ. 2). როგორც ანალიზი გვიჩვენებს, რესპონდენტები, ძირითადად, საშუალო დონეზე აფასებენ სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის მახასიათებლებს.

**ნახ. 2. საქართველოს ტურისტული დესტინაციების მიერ შემოთავაზებული სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების დეტერმინანტების შეფასების დონეები**



ჩვენთვის საინტერესო ჰიპოთეზების შემოწმებისათვის გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი. წინამდებარე ნაშრომში რეგრესიული ანალიზის მეშვეობით დავადგინეთ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი. მოცემულ კვლევაში დამოუკიდებელ ცვლადებს წარმოადგენს: ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა, ინტერაქტიულობა, პერსონალიზაცია და უსაფრთხოება, ხოლო დამოკიდებულ ცვლადებს - სმარტ ტექნოლოგიების აღქმა და მოგზაურობის შესახებ განზრახვა. პირველ რიგში დავადგინეთ, დამოუკიდებელი ცვლადები - ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა,

ინტერაქტიულობა, პერსონალიზაცია და უსაფრთხოება როგორ გავლენას ახდენენ მომხმარებლების მიერ სმარტ ტექნოლოგიების აღქმაზე (იხ. ცხრილი 1). შედეგები გვიჩვენებს, რომ ზემოთ მოცემული ცვლადებისათვის  $P < 0.005$ , შესაბამისად, ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა, ინტერაქტიულობა, პერსონალიზაცია და უსაფრთხოება სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია.

**ცხრილი 1**

**ინფორმაციულობის, ხელმისაწვდომობის, ინტერაქტიულობის, პერსონალიზაციისა და უსაფრთხოების სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმაზე გავლენის რეგრესიული ანალიზი**

|                 |           | კვადრატების<br>ჯამი | DF  | საშუალო<br>კვადრატი | F       | P     |
|-----------------|-----------|---------------------|-----|---------------------|---------|-------|
| ინფორმაციულობა  | რეგრესია  | 3451.21             | 1   | 3218.12             | 321.602 | 0.000 |
|                 | ცდომილება | 4172.44             | 618 | 9.92                |         |       |
|                 | ჯამი      | 7623.65             | 619 |                     |         |       |
| ხელმისაწვდომობა | რეგრესია  | 2391.26             | 1   | 3217.14             | 372.503 | 0.001 |
|                 | ცდომილება | 4282.43             | 618 | 9.84                |         |       |
|                 | ჯამი      | 6673.69             | 619 |                     |         |       |
| ინტერაქტიულობა  | რეგრესია  | 2589.21             | 1   | 3428.19             | 321.302 | 0.000 |
|                 | ცდომილება | 4185.42             | 618 | 8.89                |         |       |
|                 | ჯამი      | 6774.63             | 619 |                     |         |       |
| პერსონალიზაცია  | რეგრესია  | 3112.21             | 1   | 4113.18             | 971.401 | 0.000 |
|                 | ცდომილება | 4267.41             | 618 | 6.81                |         |       |
|                 | ჯამი      | 7379.62             | 619 |                     |         |       |
| უსაფრთხოება     | რეგრესია  | 3651.69             | 1   | 2919.17             | 573.405 | 0.000 |
|                 | ცდომილება | 4267.47             | 618 | 9.71                |         |       |
|                 | ჯამი      | 7919.16             | 619 |                     |         |       |

წყარო: ავტორები

რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მოქმედებს სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმა მომხმარებელთა მიერ მოგზაურობის განზრახვაზე (იხ. ცხრილი 2). შედეგები ცხადყოფს, რომ სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებლებში მოგზაურობის განზრახვაში.

**ცხრილი 2**

**სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმის ტურისტების სამოგზაურო განზრახვაზე გავლენის რეგრესიული ანალიზი**

|  |           | კვადრატების<br>ჯამი | DF  | საშუალო<br>კვადრატი | F       | P     |
|--|-----------|---------------------|-----|---------------------|---------|-------|
| სმარტ ტურისტული<br>ტექნოლოგიების აღქმა | რეგრესია  | 3053.49             | 1   | 3129.72             | 382.507 | 0.002 |
|  | ცდომილება | 4365.42             | 618 | 9.73                |         |       |
|  | ჯამი      | 7418.91             | 619 |                     |         |       |

წყარო: ავტორები

**დასკვნები**

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქართველი მომხმარებლები დადებითად აღიქვამენ ტურისტული კომპანიების მიერ შემოთავაზებული სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის მახასიათებლებს, თუმცა, მათ საშუალო დონეზე აფასებენ. ამასთან, სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის მახასიათებლების გავლენა ქართველი მომხმარებლების აღქმაზე და ტურისტული მოგზაურობის განზრახვაზე საკმაოდ მაღალია. სტატისტიკური ანალიზი, კი



ცხადყოფს, კვლევაში გამოყენებული მოდელის სანდოობას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის მახასიათებლები არის რელევანტური ტურიზმის ინდუსტრიისათვის. ამიტომ, კვლევის შედეგებს აქვს თეორიული მნიშვნელობა ტურიზმის სფეროში სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის გამოყენების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ტურიზმის სფეროში დასაქმებულ მენეჯერებს, გაიფართოონ თავიანთი წარმოდგენა სმარტ ტურისტულ ტექნოლოგიის მახასიათებლების შესახებ და აქტიურად გამოიყენონ ისინი თავიანთ მომხმარებლებთან კომუნიკაციისათვის.

**მადლობა.** ავტორები მადლობას უხდებიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგული კვლევის ცენტრს მარკეტინგული კვლევის ჩატარებაში გაწეული მხარდაჭერისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Apil, A. R., Kaynak, E., and Todua, N. (2009). Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. In *Proceedings of the 18th World Business Congress „Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns*, International Management Development Association, pp. 531-539.
2. Buhalis, D., Harwood, T., Bogicevic, V., Viglia, G., Beldona, S., and Hofacker, C. (2019). Technological disruptions in services: lessons from tourism and hospitality. *Journal of Service Management*, 30 (4), 484-506.
3. Flavián, C., Ibáñez-Sánchez, S., and Orús, C. (2019). The impact of virtual, augmented and mixed reality technologies on the customer experience. *Journal of Business Research*, 100, 547-560.
4. Gretzel, U., Fuchs, M., Baggio, R., Hoepken, W., Law, R., Neidhardt, J., and Xiang, Z. (2020). e-Tourism beyond COVID-19: a call for transformative research. *Information Technology & Tourism*, 22 (3), 187-203.
5. Gretzel, U., Werthner, H., Koo, C., and Lamsfus, C. (2015). Conceptual foundations for understanding smart tourism ecosystems. *Computers in Human Behavior*, 50, 558-563.
6. Huang, C. D., Goo, J., Nam, K., and Yoo, C. W. (2017). Smart tourism technologies in travel planning: The role of exploration and exploitation. *Information & Management*, 54 (6), 757-770.
7. Jeong, M., and Shin, H. H. (2020). Tourists' experiences with smart tourism technology at smart destinations and their behavior intentions. *Journal of Travel Research*, 59 (8), 1464-1477.
8. Lee, H., Lee, J., Chung, N., and Koo, C. (2018). Tourists' happiness: are there smart tourism technology effects? *Asia Pacific Journal of Tourism Research*, 23 (5), 486-501.
9. Li, Y., Hu, C., Huang, C., and Duan, L. (2017). The concept of smart tourism in the context of tourism information services. *Tourism Management*, 58, 293-300.
10. Malhotra, N. (2010). *Marketing research: An applied orientation*. 6th ed., Upper Saddle River, N.J.; London: Pearson Education.
11. Neuhofer, B., Buhalis, D., and Ladkin, A. (2012). Conceptualising technology enhanced destination experiences. *Journal of Destination Marketing & Management*, 1 (1-2), 36-46.
12. Neuhofer, B., Buhalis, D., and Ladkin, A. (2015). Smart technologies for personalized experiences: a case study in the hospitality domain. *Electronic Markets*, 25 (3), 243-254.
13. No, E., and Kim, J. K. (2015). Comparing the attributes of online tourism information sources. *Computers in human behaviour*, 50, 564-575.
14. Pai, C. K., Liu, Y., Kang, S., and Dai, A. (2020). The role of perceived smart tourism technology experience for tourist satisfaction, happiness and revisit intention. *Sustainability*, 12 (16), 6592.
15. Seturi, M., and Urotadze, E. (2020). Some opinions about sustainable development and tourism (case of Georgia). In *Proceedings of the 5th International Scientific and Practical Conference „Strategic imperatives of modern management“*, Kyiv National Economic University named after Vadym Hetman, pp. 286-289.
16. Stankov, U., and Gretzel, U. (2020). Tourism 4.0 technologies and tourist experiences: a human-centered design perspective. *Information Technology & Tourism*, 22 (3), 477-488.
17. Tan, G. W. H., Lee, V. H., Hew, J. J., Ooi, K. B., and Wong, L. W. (2018). The interactive mobile social media advertising: an imminent approach to advertise tourism products and services? *Telematics and Informatics*, 35 (8), 2270-2288.

- 18.Todua, N. (2017a). The Role of Social Media Marketing in Tourism. In *Proceedings of the 6th International Scientific-Practical Conference „Tourism: Economics and Business“*, Batumi, pp. 91-95.
- 19.Todua, N. (2017 b). Social Media Marketing for Promoting Tourism Industry in Georgia. In *Proceedings of the 22nd International Conference on Corporate and Marketing Communications: Challenges of Marketing Communications in a Globalized World*, University of Zaragoza (Spain), pp. 168-171.
- 20.Todua, N. (2018). Impact of Social Media Marketing on Consumer Behavior in the Georgian Tourism Industry. *International Academy Journal Web of Scholar*, 3(5/23), 11-16.
- 21.Todua, N. (2019 a). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization and Business*, 7, 39-48.
- 22.Todua, N. (2019 b). The impact of destinations image on tourists buying behaviour. In *Proceedings of the 4th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“*, Tbilisi, pp. 144-150.
- 23.Todua, N. (2020). Service Quality Evaluation provided by Georgian Tourism Destinations. In *Proceedings of the 5th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“*, Tbilisi, pp. 196-203.
- 24.Todua, N., and Jashi, Ch. (2016a). Main Aspects of Service Quality in the Hotel Industry of Georgia. In *Proceedings of the 4th International Conference on Contemporary Marketing Issues*, Heraklion (Greece), pp. 431-435.
- 25.Todua, N., and Jashi, Ch. (2016b). Conceptual and Practical Aspects of Peace Marketing in Tourism (Georgian Case). In *Peace Marketing* (chapter XXVII), Bucharest: Editura universitara, pp. 346-356.
- 26.Um, T., and Chung, N. (2019). Does smart tourism technology matter? Lessons from three smart tourism cities in South Korea. *Asia Pacific Journal of Tourism Research*, 26 (4), 396-414.
- 27.Urotadze, E. (2019 b). The influence of social media marketing on consumer satisfaction in tourism industry. In *Proceedings of the 4th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“*, Tbilisi, pp. 390-396.
- 28.Urotadze, E. (2019 c). Impact of social media on buying decision of tourism service consumers. In *Proceedings of the International Scientific Conference „Business Strategy: Futurological Challenges“*, Kyiv National Economic University named after Vadym Hetman, pp. 52-58.
- 29.Urotadze, E. (2019a). The influence of social media marketing on consumer satisfaction in tourism industry. In *Proceedings of the 4th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“*, Tbilisi, pp. 390-396.
- 30.Urotadze, E. (2020). The role of social media marketing in attitude towards Georgian consumers to travel agencies. In *Proceedings of the 7th Business Systems Laboratory International Symposium „Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era“*, University of Alicante (Spain), pp. 236-241.
- 31.Wang, D., Li, X. R., and Li, Y. (2013). China's "smart tourism destination" initiative: A taste of the service-dominant logic. *Journal of Destination Marketing & Management*, 2 (2), 59-61.
- 32.Wang, W. (2019). The influence of perceived technological congruence of smartphone application and air travel experience on consumers' attitudes toward price change and adoption. *Journal of Hospitality and Tourism Technology*, 10 (2): 122–135.
- 33.Yoo, C. W., Goo, J., Huang, C. D., Nam, K., and Woo, M. (2017). Improving travel decision support satisfaction with smart tourism technologies: A framework of tourist elaboration likelihood and self-efficacy. *Technological Forecasting and Social Change*, 123: 330-341.

**Nugzar Todua**  
**Ekaterine Urotadze**

უმაღლესი განათლების ეკონომიკური ფუნქცია უმაღლესი განათლების სისტემაში მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის უნარების საზოგადოებრივ საქონლად და ეროვნულ სიმდიდრედ გადაქცევაში გამოიხატება. ეკონომიკური ფუნქცია ვლინდება პრაქტიკაში კვალიფიციური კადრების მიერ მათი მომზადების დონისა და ხარისხის შესაბამისად. საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალი ეს არის საზოგადოების საწარმოო ძალა, რომელიც ფლობს უმაღლესი განათლების სისტემის მიერ მოწოდებულ ცოდნას.

უმაღლესი განათლების ეკონომიკური ფუნქციის ანალიზი გვამძევს საფუძველს უმაღლესი განათლების ინსტიტუტი განვსაზღვროთ როგორც:

- საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალის - სამუშაო ძალის - განახლების ფაქტორი (ფიზიკურ და გონებრივ უნართა ერთობლიობა, რომლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები ყალიბდება განათლების სისტემაში) - ეს არის განათლების მთავარი ეკონომიკური დანიშნულება;

- დაგროვილი პოტენციალი (განათლების დონე და განათლებულ ადამიანთა რაოდენობა), რაც ქმნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველს, შრომის მწარმოებლურობის ზრდის შესაძლებლობებს მეცნიერების საწარმოო ძალად გარდაქმნის გზით, რაც საბოლოო ჯამში, ზრდის ეროვნულ შემოსავალს.

- სისტემა, რომელიც ზრდის ადამიანთა ეკონომიკურ ცოდნასა და ეკონომიკურ კულტურას, ხელს უწყობს საწარმოო ურთიერთობების სრულყოფას უფრო ღრმა ცოდნით და ამის საფუძველზე ეკონომიკური კანონების მოთხოვნებთან მათი ინტერესების შესაბამისობას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების მეცნიერულ ორგანიზაციას და მართვას თვით წარმოების და წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფის გზით. საბაზრო ურთიერთობების ყველა სუბიექტის ეკონომიკური განათლება არის ერთადერთი სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული და ეფექტური გზა საზოგადოების დაბალანსებული და სოციალურად ორიენტირებული განვითარების უზრუნველსაყოფად.

- ბაზა, რომელიც ქმნის პირობებს საზოგადოებაში ინტერესთა ჰარმონიზაციისათვის გონიერების საფუძველზე (ძალადობისა და ცრურწმენების გარეშე). ჭეშმარიტი თავისუფლება არის თითოეულის მიერ საზოგადოებაში თავისი ადგილის, როლის, დანიშნულებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერების აუცილებლობა.

- განსაკუთრებული ფორმის შრომის პროცესი, რომლის საფუძველზეც იხვეწება სამუშაო ძალის ყველა ხარისხობრივი მახასიათებელი, თვისებები, რომელიც აყალიბებს ადამიანს პიროვნებად, მთელი რიგი მახასიათებლები, რაც განასხვავებს მას მატერიალური წარმოების სხვა პროცესებისგან, სადაც იქმნება მატერიალური სიმდიდრე.

- განათლება, საბოლოო ჯამში, სამუშაო ძალის აღწარმოების გზით, უზრუნველყოფს მთლიანობაში საზოგადოების აღწარმოებას, რაც, თავის მხრივ, ავითარებს საწარმოო ურთიერთობებსა და საწარმოო ძალებს ნებისმიერ სფეროში, მით უფრო სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში [аг-pecypc, zaochnik.com].

ამრიგად, საგანმანათლებლო საქმიანობა ქმნის იმ ცოდნას, ინფორმაციას, უნარ-ჩვევებს, რომელსაც ითვისებენ ადამიანები სწავლის პროცესში და შემდგომ ავლენენ თავიანთ საქმიანობაში. აღნიშნული შედეგი არ მიიღწევა მყისიერად. ეს მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდს და აისახება გარკვეულ მიღწევებში, როგორცაა შრომის ნაყოფიერების ზრდა, პირადი შემოსავლების ზრდა, სამოქალაქო ვალდებულებების შესრულება, კოჰაბიტაციის წესების დაცვა და სხვ. საზოგადოებისათვის, მთლიანობაში, ეს გამოიხატება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების გაუმჯობესებით. უმაღლესი განათლების უნარი მომავალში გამოვლინდეს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოების შემოსავლების ზრდის სახით, გვამძევს საფუძველს განათლებაზე გაწეული დანახარჯები განვიხილოთ როგორც ინვესტიცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი არ არის მხოლოდ მომუშავეს მიერ პროფესიული ვალდებულებების შესრულების შედეგი. ამიტომ უმაღლესი განათლების ეკონომიკური ღირებულება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებით. წარმოებაში დასაქმებულთა საგანმანათლებლო და კვალიფიციური პოტენციალის ამაღლება გამოიხატება როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი შემოსავლების ზრდით. შესაბამისად, განათლებას აქვს პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი.

უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა არის ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რამდენადაც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ უამრავ კითხვას, რომელიც სხვადასხვა წყაროებში საკმაოდ ბუნდოვანია და მოითხოვს

გადახედვას. პრობლემის შინაარსი მოიცავს კითხვებს, რომელიც აზუსტებს განათლებაზე გაწეული დანახარჯების (ეკონომიკური და სოციალური) ბუნებას; განათლებაზე გაწეული დანახარჯების ოდენობას; უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდებს საზოგადოებისთვის და პიროვნებისთვის; არ არსებობს ერთიანი მიდგომა ეკონომისტებს შორის განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისადმი. უთანხმოებაა კითხვაზე - განათლებაზე გაწეული დანახარჯები მოხმარებაა თუ ინვესტიცია?

ადამიანური კაპიტალის თეორიის ავტორები განათლებაზე გაწეულ დანახარჯებს განმარტავენ როგორც ინვესტიციას ან მოხმარებას, გამომდინარე იქიდან რა მნიშვნელობას მიანიჭებენ ტერმინს „ეფექტი“. მოხმარების მნიშვნელობით განიხილავენ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე ან სტუდენტი კმაყოფილებას იღებს მოცემულ მომენტში, ხოლო როგორც ინვესტიცია განიხილება მაშინ, როდესაც მოსწავლე ან სტუდენტი განათლებისგან სარგებელს მიიღებს მომავალი დროისათვის, რაც გამოიხატება მათი შრომის მწარმოებლურობის ზრდით.

განათლების პროცესი - პროდუქტიული პროცესია, რის შედეგაც ხდება ცოდნის შეთვისება, შენახვა და შევსება. ამრიგად, განათლებასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა იქნეს განხილული როგორც პროდუქტიული კაპიტალდაბანდება იმ პირობით, რომ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა თავისი შინაარსით და მოცულობით პასუხობს საზოგადოებრივი წარმოების ობიექტურ მოთხოვნებს.

უმაღლესი განათლების მოგების ნორმის გამოთვლას დასავლელი ეკონომისტები ახორციელებენ ანაზღაურების ნამატისა და განათლებაზე გაწეული დანახარჯების ურთიერთშედარებით. ამერიკელი სტატისტიკოსები აქვეყნებენ მონაცემებს მოსახლეობის საგანმანათლებლო ცენზის და შემოსავლების შესახებ, რაც დაედო საფუძვლად უმაღლესი განათლების მოგების ნორმის გამოთვლას. უმაღლეს განათლებაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმი არის წესი: დააბანდე განათლებაში მანამ, სანამ განათლებიდან მიღებული მოგების ნორმა აღემატება ალტერნატიული კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ნორმას (როგორც წესი, აქ გაითვალისწინება სასესხო სარგებლის ნორმა).

მაკროეკონომიკურ დონეზე უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა ხორციელდება სამი გზით:

პირველი მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დგინდება განათლების დონის განვითარების ზოგად მაჩვენებელსა და ეკონომიკის განვითარების დინამიკის მახასიათებელ მაჩვენებელს შორის კორელაციური კავშირი. ამერიკელმა სწავლულმა ე. კონმა გამოავლინა ძლიერი კორელაციური კავშირი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ ეროვნულ შემოსავალსა და განათლებაზე გაწეულ დანახარჯებს შორის, რომელიც განხორციელდა 17 ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის მაგალითზე. [Jozef Szablowski, 2005]

განათლების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის დადგენის მეორე და მესამე მეთოდი უკავშირდება ტ.შულცისა და ე.დენისონის სახელებს.

დენისონი განათლების ეკონომიკურ დანიშნულებას ხედავს სხვა ფაქტორებთან მის ურთიერთკავშირში, პირველ რიგში, ცოცხალი შრომის ხარისხობრივ მაჩვენებლებში. განათლება აუმჯობესებს შრომის ეფექტიანობას შემდეგი გარემოებების გამო:

- განათლებული სამუშაო ძალა უკეთ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს ნაკლებად განათლებულ მომუშავესთან შედარებით;
- უმაღლესი განათლება ხელს უწყობს შრომის ინოვაციური მეთოდების უკეთ შეცნობას;
- აუმჯობესებს შრომის ბაზარზე ორიენტაციას. ოპტიმალურად ხდება შესაფერისი პროფესიის შერჩევა;
- ინდუსტრიალიზაცია და ავტომატიზაცია იმგვარად ცვლის შრომის ბაზრის პროფესიულ სტრუქტურას, რომ მასში დასაქმებულთა სულ უფრო დიდი რაოდენობა საჭიროებს განათლების უმაღლეს დონეს.

დენისონის მეთოდის მიხედვით განათლების წვლილი აშშ-ს ეროვნულ შემოსავალში სხვადასხვა წლების მიხედვით გამოიხატება შემდეგნაირად: 1909-1929 წლებისათვის - 12%,



1929-1956 წლებისათვის - 23%, 1960-1980 წლებისათვის - 19%. ანალოგიური მეთოდის გამოყენება სხვა ქვეყნებისათვის ეროვნული შემოსავლის ზრდას განათლების ხარჯზე 1950-1962 წლებისათვის გამოხატავს შემდეგნაირად: ბელგიაში - 14 %, დანიაში - 4 %, საფრანგეთში - 6 %, გერმანიაში - 2 %, ჰოლანდიაში, იტალიასა და ნორვეგიაში - 7 % [Денисон Э.. 1974].

განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება დახასიათდეს ისეთი კრიტერიუმებით, როგორცაა: ნაყოფიერება, შედეგიანობა და ეკონომიურობა. ნაყოფიერება და ეკონომიურობა ახასიათებს ეფექტიანობის ეკონომიკურ ასპექტს, ანუ დანახარჯების სიდიდისა და მიღებული „პროდუქტის“ თანაფარდობას. შედეგიანობა ავლენს ეფექტიანობის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტს, ანუ განათლების სფეროს საქმიანობის შედეგების შესაბამისობას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებთან. გარდა ამისა, ეფექტიანობა შეიძლება განხილულ იქნას შიდა და გარე ასპექტების თვალსაზრისით. შიდა, ანუ საწარმოო, ეფექტიანობა ეს არის მისი შიდა მიზნები და ამოცანები, რომელიც გამოხატავს საგანმანათლებლო მომსახურების წარმოების ნაყოფიერებას და შედეგიანობას. გარე ეფექტიანობა არის საზომი, რითიც ფასდება თუ როგორ შეესაბამება საგანმანათლებლო სფეროს და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გამოძეული შედეგები საზოგადოების მიზნებსა და მოთხოვნებს. ზოგადად, განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა - არის სახელმწიფოს ეკონომიკური სარგებელი, რომელიც მიიღება ამ სფეროში განხორციელებული ინვესტიციით. ის ხასიათდება, ერთის მხრივ, ეროვნული შემოსავლით, რომელიც მიიღება სამუშაო ძალის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებით და მეორეს მხრივ, განათლებაზე გაწეული დანახარჯებით.

უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი ახასიათებს ეროვნული შემოსავლის ზრდის თანაფარდობას განათლებაზე გაწეული დანახარჯების ერთეულზე. უმაღლესი განათლების ეკონომიკურ ეფექტიანობას სიღრმისეულად და სრულად ახასიათებს დანახარჯების რენტაბელურობა. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა და რენტაბელურობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია, რაც უფრო მაღალია ეფექტიანობა, მით უფრო მაღალია რენტაბელურობა.

უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება ასევე შეფასდეს დანახარჯების გამოსყიდვის მაჩვენებლით, რომელიც განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის საპირისპიროა. ეს სიდიდე გვიჩვენებს დროს, რომლის განმავლობაშიც ხდება განათლებაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურება.

ეს მაჩვენებლები შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს განათლების სფეროში განხორციელებული გრძელვადიანი ინვესტიციების ეფექტიანობა. უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის ცალკეული მაჩვენებლის ანალიზისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას დარგის სპეციფიკა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სწავლის პროცესში განხორციელებული ინვესტიციიდან უკუგება მიიღება სწავლის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმების შემდეგ.

უმაღლესი განათლების, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სოციალური ორგანიზაციის, ეფექტიანობა განიხილება ორ სიბრტყეზე - საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებასთან მიმართებაში. აშკარაა მათი ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია მათი ცალ-ცალკე შესწავლა, როგორც დამოუკიდებელი, ერთიანი სისტემის შემადგენელი ცალკეული ელემენტი, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული მახასიათებელი ნიშნები.

უმაღლესი განათლების ეფექტიანობის საზოგადოებრივი განზომილება განისაზღვრება, პირველ რიგში, იმით, რომ იგი გარკვეულწილად განცალკევებულია სახელმწიფოსგან, ანუ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. განათლება შეიძლება განვიხილოთ როგორც გამაერთიანებელი ფაქტორი.

უმაღლესი განათლების ეფექტიანობა სახელმწიფოს თვალსაზრისით, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს საზოგადოების დემოკრატიულობის დონის გათვალისწინებით, რაც არის მოქალაქეთა დამოუკიდებლობის ხარისხის მაჩვენებელი. რაც გულისხმობს დამოუკიდებელი, გააზრებული მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობებს, მათ შორის ძალაუფლების

სხვადასხვა ხარისხის მქონე სტრუქტურების ფორმირებას. ამიტომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და ასევე, სოციალური გარემო საზოგადოებაში, მთლიანობაში, მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული დამოუკიდებელი, განვითარებული პიროვნების ფორმირებაზე.

უმაღლესი განათლების ეფექტიანობა პიროვნებასთან მიმართებაში განიხილება თანამედროვე სამყაროში პიროვნების ცხოვრების პირობებთან ადაპტაციის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია და საინტერესო ადამიანის ცხოვრების და საქმიანობის დაკავშირება გარემომცველ სამყაროსთან. დროის სულ მოკლე პერიოდის განმავლობაში ადამიანის გარე გარემოსთან კომუნიკაციის ფორმები არსებითად შეიცვალა. თუ ადრე ადამიანი ურთიერთობას ამყარებდა ადამიანთა შეზღუდულ რაოდენობასთან, ახლა საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით, შესაძლებელია მთელ მსოფლიოდან „ზღვა“ ინფორმაციის მიღება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანზე, რამდენადაც ეს ინფორმაცია არის არა მხოლოდ მრავალმხრივი, არამედ, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი და ურთიერთსაპირისპირო, რაც არსებითად ართულებს პიროვნების დამოუკიდებელ თვითორიენტაციას. შესაბამისად, იმისათვის, რომ მრავალფეროვანი გავლენების გარემოში შეინარჩუნო თვითმყოფადობა, აუცილებელია ადამიანი იყოს საკმაოდ განვითარებული და განსწავლული. თავისუფალი კომუნიკაცია დღევანდელ ცვალებად სამყაროში სხვა არაფერია თუ არა საგანმანათლებლო გარემოს ეფექტიანობის საზომი.

მსოფლიოს უმაღლესი განათლების ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოიყენებენ სპეციალურ მაჩვენებელს - უმაღლესი განათლების უკუგების ნორმას. ის იქნა შემუშავებული მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და ადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა შემოსავლებსა და საშუალო განათლების მქონე პირთა შემოსავლებს შორის სხვაობის თანაფარდობას უმაღლესი განათლების დანახარჯების ოდენობასთან. ეს გვიჩვენებს ადამიანის მიერ განათლებაში განხორციელებული ინვესტიციების გამოსყიდვის დონეს, მსგავსად იმისა, თუ როგორ ხსნის მოგების ნორმა კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ხარისხს. რაც უფრო მეტია უკუგების ნორმის მაჩვენებელი, მით უფრო ეფექტიანია უმაღლესი განათლებაში ინვესტირება.

ამრიგად, უმაღლესი განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა ფასდება როგორც ადამიანის და საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებელი. დადგენილია სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის განათლების დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულება. განვითარებულ ქვეყნებში უმაღლესი განათლების არსებობა განსაზღვრავს მომუშავეს შემოსავლების დონეს და სოციალურ სტატუსს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განსაზღვრავს მომავალი ცხოვრების გზას, ეკონომიკურ კეთილდღეობას, უნივერსიტეტში წარმატებული სწავლა ნიშნავს შემდგომ სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობას - ეს არის სწავლის უმთავრესი მოტივაცია. ზოგადად, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი გამოიმუშავებს 1,5 – 2-ჯერ მეტს, ვიდრე საშუალო განათლების მქონე პირი. ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Виды функций и структура современной системы образования // эл-ресурс, <https://zaochnik.com/spravochnik/pedagogika/obrazovatel'naja-sistema-rossii/sovremennaja-sistema-obrazovaniya/>
2. Бехманн Готтхард Б.// Современное общество: общество риска, информационное общество, общество знаний / Готтхард Бехманн ; [пер. с нем. А.Ю. Антоновского, Г.В. Гороховой, ]. — М. : Логос, 2010
3. Денисон Э., Исследование роста Соединенных Штатов в 1929 – 1969 - М.: Прогресс 1974;
4. Основы социальной работы / Под ред. П.Д.Павленка. - М.: ИНФРА- М, 2007. -395 с. [http://www.studmed.ru/view/pavlenok-pd-osnovy-socialnoy-raboty\\_05586ab4895.html](http://www.studmed.ru/view/pavlenok-pd-osnovy-socialnoy-raboty_05586ab4895.html)
5. Уметов Т.Э. // Функции образования и их роль в современном обществе, <http://arch.kyrlibnet.kg/uploads/UAUMETOV2012-2.pdf>

*Ketevan Mdinardze  
Nana Mdinardze*

## **MECHANISM FOR ASSESSING THE ECONOMIC AND SOCIAL EFFECTIVENESS OF HIGHER EDUCATION**

### **Summary**

The article describes the socio-economic functions of education and the mechanisms for improving their implementation, describes ways to assess the socio-economic effectiveness of higher education.

There are many criteria for assessing the socio-economic effectiveness of higher education. The most important of them is the growth of the material well-being of society. The level of income and social status of the employee is determined by the level of education.

**Keywords:** *Education system, Higher education, Socio-economic functions of higher education.*

*ნინო სარდლიშვილი  
ნინო საჩალელი*

### **ტურიზმში დასაქმებული ადამიანები და მათი მართვის თავისებურებები**

**ანოტაცია.** ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის დონე დიდ -წილად არის დამოკიდებული შრომით კაპიტალზე, სწორედ პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსი ქმნის იმ გარემოს რომელშიც ტურისტი თავს კომფორტულად გრძნობს, აქედან გამომდინარე აუცილებელია ამ სფეროში დასაქმებული პროფესიონალი კადრების შრომის დაფასება, წახალისება, შრომითი პირობების გაუმჯობესებაზე, შრომითი უფლებების დაცვაზე ზრუნვა. მაქსიმალური ეფექტის მისაღებად კი მათ კარიერულ განვითარებაში ხელშეწყობა.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი, ადამიანური რესურსები, დასაქმება ტურიზმში

თანამედროვე ადამიანი აქტიურად მოგზაურობს, ისვენებს და იკვლევს მისთვის უცხო და საინტერესო ადგილებს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი ბევრი ქვეყნისთვის შემოსავლის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ასეთი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება საქართველო. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად იქცა. ეს სექტორი მშპ-ს დაახლოებით 11%-ს ქმნის (ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის).

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რიცხვი სისტემატურად იზრდებოდა. სექტორში დასაქმებულთა მაჩვენებელი ქვეყანაში არსებულ დასაქმებულთა 27%-ს შეადგენდა, იყო მოლოდინი რომ მშპ-ს მაჩვენებელი 2028 წლისთვის 10,5%-მდე გაიზრდებოდა [კვინტრამე, 2020].

ბოლო პერიოდის მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკის ყველა სექტორზე, ერთ-ერთი სექტორი რომელიც საგრძნობლად დაზარალდა, როგორც მთელს მსოფლიოში ისე საქართველოში სწორედ რომ ტურიზმის სექტორი იყო. ტურიზმის სექტორის ასეთი მგრძობელობა მიმდინარე მოვლენების მიმართ განპირობებულია იმით რომ თავისი არსით ტურიზმი არა არის ერთი კონკრეტული, იზოლირებული სექტორი, ის რამდენიმე სხვადასხვა სექტორის ერთობლიობაა, ამასთანავე ყველა ის სექტორი სრულად არის დამოკიდებული საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, აქტიურობაზე, კომუნიკაციაზე. ეს არის უშუალოდ ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, სარესტორნო სექტორი. ტურიზმში უამრავი დასაქმებული ან/და თვითდასაქმებული ადამიანია, ბაზარზე ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესი ოპერირებს წარმატებით, განსაკუთრებით საქართველოს მსგავსი ქვეყნის შემთხვევაში. ქართულ რეალობაში ეს არის სფერო სადაც

ასეულობით იურიდიული და ფიზიკური პირები ოპერირებენ. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ბოლო წლების განმავლობაში სწორედ ეს სფერო მიიჩნევა წამყვან და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ, სწორედ ამიტომ ჩვენი ეკონომიკისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ის დარტყმა რომელიც ტურიზმის სექტორს მიაღდა პანდემიის პირობებში.

ქვეყნის ეკონომიკისთვის ტურიზმის მნიშვნელობა აშკარაა, სწორედ ამიტომ მას შემდეგ რაც ეპიდ ვითარება დასტაბილურდება, უნდა მოხდეს ამ სექტორის სწორი განვითარება. ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია ადამიანურ კაპიტალზე, სფეროში დასაქმებულ ადამიანებზე და მათი მუშაობის ხარისხზე. ტურიზმში მომუშავე ყველა ადამიანის მუშაობის ოპტიმალური ხარისხის მისაღწევად და შენარჩუნებისათვის საჭიროა ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყველა თანამშრომლის ეფექტურ მუშაობაზე. მნიშვნელოვანია ამ სფეროს როგორც მოქმედ ისე მომავალ თანამშრომელთა სწორი სწავლება. ჯერ კიდევ 1982 წელს კელი აღნიშნავს რომ „იმ ადამიანებს, რომლებიც გვთავაზობენ განათლებას და ტრენინგს ტურიზმის სფეროში აქვთ ვალდებულება ყავდეთ მომზადებული ადამიანები, საჭირო დროს და საჭირო ადგილას შესაბამისი ცოდნით და უნარებით“. ეს აზრი დღესდღეობითაც აქტუალურია. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, მსოფლიო მოგზაურობის და ტურიზმი საბჭოს (WTTC), ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD), ახორციელებს სხვადასხვა კვლევებს და აანალიზებს სექტორს. სწორედ ამ ორგანიზაციებმა გამოიტანეს საბოლოო დასკვნა იმის შესახებ, რომ ტურიზმი არის მომსახურების სფერო რომელიც გავრცელებულია სხვადასხვა ქვესექტორების ფარგლებში.

საქართველოში ბოლო წლებში ტურიზმის აქტუალობა საგრძნობლად გაიზარდა რამაც გამოიწვია, ის რომ ამ სფეროში გაჩნდა ბევრი სამუშაო ადგილი და დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდა. ძალიან ბევრი ადამიანი საკუთარ სოფელსა თუ ქალაქს დაუბრუნდა, რადგან მიხვდნენ, რომ ტურიზმი მათთვის კარგი შემოსავლის წყარო იქნებოდა მათ რეგიონში და მათ არ მოუწევდათ დედაქალაქში ჩასვლა სამუშაოს მაძიებლად. დღეს უამრავი მაგალითი არსებობს თუ როგორ შეძლო ბევრმა ადამიანმა საკუთარი საცხოვრებელი გარემო შემოსავლის წყაროდ ექცია სფერო, რომელსაც საზღვრები არ აქვს.

2020 წლის პანდემიამდე მსოფლიოს მასშტაბით ყოველი ახლად შექმნილი 4 სამუშაო ადგილიდან ერთი ტურიზმზე მოდიოდა, შრომის ბაზარზე არსებული სამუშაო ადგილების 10,60% (334 მილიონი) იყო შექმნილი ტურიზმში, ხოლო ტურიზმის წილი გლობალურ მთლიან პროდუქტში შეადგენდა 10.4%-ს (9.2 ტრილიონი აშშ დოლარი), ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხა კი შეადგენდა 1,70 ტრილიონ დოლარს, რაც არის მთლიანი ექსპორტის 6.8%, ხოლო გლობალური მომსახურების ექსპორტის 27.4%.

ტურიზმს ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში გააჩნია 5 ფუნქცია: 1. საწარმოო ფუნქცია - ტურიზმის დარგში მომუშავე საწარმოები აწარმოებენ ახალ პროდუქტებს და ხელს უწყობენ ღირებულებათა დაგროვებას; 2. მოსახლეობის დასაქმების ფუნქცია - ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს; 3. შემოსავლის შექმნის ფუნქცია - სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად ტურიზმი ქმნის შემოსავლებსაც; 4. შერბილების ფუნქცია - ტურიზმი სტრუქტურული თვალსაზრისით ხელს უწყობს სუსტი რეგიონების განვითარებას, ასეთი რეგიონებისთვის ტურიზმი მოსახლეობისთვის წარმოადგენს შემოსავლების დამატებით წყაროს და 5. საგადასახადო ნიველირების ფუნქცია - მოცემულ ბალანსში ქვეყნის გარეთ გამსვლელი ტურისტების გასავლები უპირისპირდება შემოსავლებს, რომლებიც მიიღება უცხოელი ტურისტების მიერ მოხმარებული საქონლისა და მომსახურებისგან [Herman].

საჭიროა დაიგეგმოს ღონისძიებები რომლებიც დაეხმარება ეკონომიკის ამ სექტორს დაუბრუნდეს თავის ნიშნულს და კვლავ გახდეს უამრავი ადამიანის დასაქმების და ეკონომიკური დოვლათის შექმნის საფუძველი. ტურიზმის სექტორში ღირსშესანიშნაობების, ტურისტული ობიექტების, ტრადიციების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ხალხი, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობს. მაღალკვალიფიციური კადრები ქმნიან სწორედ იმ გარემოს

რომელიც უჩენს ტურისტს კმაყოფილების გრძნობას და სურვილს კვლავ ეწვიოს უკვე ერთხელ ნანახ ადგილებს. პროფესიული ტრენინგები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანური რესურსების მართვის პროცესში. უკვე ადამიანური რესურსების მართვის სისტემის დაგეგმვისას აუცილებელია კარგი გეგმის შედგენა იმის შესახებ, თუ რა უნარების ცოდნა და გაძლიერება არის აუცილებელი კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული ადამიანებისათვის. კომპანიებმა, რომლებიც ტურიზმით არიან დაკავებულნი, აუცილებლად უნდა დაგეგმონ ტრენინგების ჩატარება თანამშრომლებისათვის, რათა მათ შეძლონ მუდმივად შეიძინონ ახალი უნარები და ცოდნა, ამით კი კომპანიის მენეჯმენტი გაზრდის პროდუქტიულობას და კონკურენტუნარიანობას [Herman].

2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 71,574 ადამიანი შეადგინა, რაც 4,353 ადამიანით (6.5%) მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით; 2018 წლის 1 სექტემბერს 2017 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 14.1%-ით, ხოლო სრულ განაკვეთზე დასაქმებულები - 6.2%-ით.

#### **დასაქმების კრიტერიუმები ტურიზმის სექტორში:**

1. განათლება;
2. პირადი მოტივაცია;
3. ასაკი;
4. კარგი წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
5. რეკომენდაცია;
6. სხვა (სქესი, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა) [Giannikis S. 2013].

მოზიდვა - პერსონალის მოზიდვისათვის აუცილებელია დავეყრდნოთ იმ პოზიტიურ მახასიათებლებს რომელიც გააჩნია მასპინძლობის ინდუსტრიას, ეს მახასიათებლებია:

1. სტაბილური სამუშაო;
2. სამუშაოს მრავალფეროვნება;
3. პერსონალური კრეატიულობის გამოყენების შესაძლებლობა;
4. გუნდური გარემო;
5. სასიამოვნო სამუშაო ატმოსფერო [არღუთაშვილი].

როდესაც ვლინდება, რომ განათლება დასაქმების მთავარი კრიტერიუმია, აქვე აქტუალური ხდება ანაზღაურება. ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანია შრომის ეფექტიანი გამოყენება, რომელიც შეუძლებელია შესაბამისი შრომის მოტივაციის თანამედროვე და პროგრესული ფორმების გამოყენების გარეშე. დასაქმებულთა მოტივაციისათვის მნიშვნელოვანია ეფექტიანი შრომის ანაზღაურების სისტემის შემუშავება. უმეტეს შემთხვევაში დასაქმებულები ყურადღებას აქცევენ შრომის ანაზღაურების მთლიან პაკეტს, ასევე ანაზღაურების შესაბამისობას შესასრულებელ სამუშაოსთან. მნიშვნელოვანია, რომ მენეჯერებმა მიაწოდონ ინფორმაცია დასაქმებულებს ანაზღაურების პაკეტებთან დაკავშირებით, ასევე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორცაა კვება, ფასდაკლებები მოგზაურობაზე, პრემიები, ბონუსები და ა. შ. დასაქმებულები ცდილობენ რომ მათი ანაზღაურების პაკეტი იყოს რაც შეიძლება მაღალი, დამსაქმებლები ცდილობენ, რომ აღნიშნული პაკეტი იყოს ნორმირებული. აღნიშნულს გააჩნია გარკვეული მიზეზები, დამსაქმებლები რომლებიც ცდილობენ, რომ დასაქმებულებს შესთავაზონ დაბალი ანაზღაურება, როგორც წესი ახდენენ შედარებით დაბალი კვალიფიკაციის თანამშრომლების მოზიდვას ორგანიზაციაში. მაღალი კვალიფიკაციის თანამშრომლები ყოველთვის ცდილობენ, რომ მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება. დამსაქმებლები, რომლებიც ისწრაფვიან ხელფასების მინიმიზაციისკენ, საბოლოო ანგარიშით კარგავენ მაღალი კვალიფიკაციის თანამშრომლებს, ამ შემთხვევაში არსებობს გარკვეული საშიშროება ორგანიზაციიდან მაღალი კვალიფიკაციის კადრების გადინების. დაბალი კვალიფიკაციის კადრები ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე ახდენენ გარკვეულ გავლენას, რაც აისახება ერთი მხრივ ორგანიზაციაში არსებული სერვისების ხარისხზე და მეორე მხრივ ორგანიზაციის ეკონომიკურ სარგებელზე.

აქედან გამომდინარე ოპტიმალური შრომის ანაზღაურების სისტემა გვამღევს საშუალებას, რომ მოვიზიდოთ მაღალი კვალიფიკაციის თანამშრომლები, რაც საბოლოო ჯამში აისახება ორგანიზაციის წარმატებულ საქმიანობაზე [არლუთაშვილი].

რაც შეეხება პერსონალის განვითარების პოლიტიკას ტურიზმის სფეროში, წინა წლებთან შედარებით ვითარდება, შეინიშნება წინსვლა. მენეჯერები გამუდმებით ცდილობენ პერსონალის უნარების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანონ. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანური რესურსების მართვის მაღალ სტანდარტებზე და მომსახურებაზე არის ტურისტების რაოდენობა დამოკიდებული და შესაბამისად საქართველოს ეკონომიკაში დიდი წვლილის შეტანა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება აღნიშნულ საკითხს, პერსონალის შერჩევის და განვითარების პოლიტიკას საქართველოში დიდი ადგილი უნდა დაეთმოს. ყოველწლიურად ტურისტების რეკორდული რაოდენობაც მოწმობს, რომ ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკა ნელ-ნელა მაგრამ მაინც ვითარდება [ლალიძე, 2019].

ტურიზმი, როგორც სამუშაო სივრცე, თავისი ბუნებით მიმზიდველია ახალგაზრდა, გამოცდილების არ მქონე, მაგრამ ენერგიული და მოტივირებული კადრებისთვის. სწორედ ამიტომ ტურიზმის სექტორში ბევრია მოტივირებული მაგრამ არასაკმარისად პროფესიონალი კადრები. სწორედ ასეთი კადრების პროფესიონალიზმის გაზრდაზე უნდა კეთდებოდეს აქცენტი. ჩვენ უკვე ავლნიშნეთ რომ თავისი ბუნებით ტურიზმი სხვადასხვა ქვე-სექტორების ერთობლიობაა, თითოეულმა ამ სფერომ უნდა იზრუნოს თავისი კადრების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, ტრენინგების, გადამზადების პროგრამების შემუშავებაზე, სემინარების, სასწავლო შეხვედრების სისტემატურ ჩატარებაზე. ამ მხრივ კარგ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს გიდების ასოციაცია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი გიდების გაზრდას. თვის მხრივ არსებობს რესტორატორთა, სომელიეთა და მსგავსი ასოციაციები, ასეთი ორგანიზაციები რამდენიმე ფუნქციას ასრულებენ, ისინი არამხოლოდ საკუთარი სფეროს პოპულარიზაციით არიან დაკავებული, ისინი სისტემატურად უნდა ზრუნავდნენ და ზრუნავენ კიდევ თავიანთი დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, პროფესიულ ზრდაზე, ასეთი ასოციაციების შეხვედრებზე ხდება ცოდნის, გამოცდილების გაზიარება, საჭირო და საინტერესო კავშირების გაბმა. მსოფლიოში და მათ შორის საქართველოც დღევანდელ რეალობაში დიდი გამოწვევის წინაშე დგას, მოხდა პრიორიტეტების ნებით თუ უნებლიეთ გადახედვა, ზოგიერთი სფერო მიზეზთა და მიზეზთა გამო ნაკლებ პრიორიტეტული აღმოჩნდა, ერთ-ერთი ასეთია ტურიზმიც, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ სფეროს და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა მომავალზე ფიქრი უნდა შეწყდეს. უნდა სფეროში მყოფი სუბიექტების ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდეს და სისტემატური ხასიათით ჩატარდეს ღონისძიებები რომლებიც მიმართული იქნება ტურიზმის სექტორში დასაქმებულ ადამიანთა ზრდასა და განვითარებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არლუთაშვილი ვ. ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/economist\\_faculty/vako.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/vako.pdf)
2. ლომიძე ა. 2019. ტურიზმის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი მიდგომები. <http://openscience.ge/bitstream/1/771/1/lomidze%20anuki.pdf>
3. ლალიძე ს, 2019. ლალიძე. საკადრო პოლიტიკა და პერსონალის მართვის თავისებურებები ტურიზმში. <http://openscience.ge/bitstream/1/769/1/laghidze%20salome.pdf>
4. სფერო, რომელსაც საზღვრები არ აქვს. <https://to.edu.ge/turizmis-spero-romelsac-sazgvrebi-ar-aqvs/>
5. ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა. ტურიზმის ეროვნული

ადმინისტრაცია.<http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=26c121ff-bdee-4295-a5e7-c00b18c7abe1>

6. Covid 19- ეკონომიკური შედეგები მსოფლიოს და საქართველოსთვის. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.

7. კვინტრაძე ნ. 2020. Contribution of tourism to the economy of Georgia and other countries of the world. <https://forbes.ge/contribution-of-tourism-to-the-economy-of-georgia-and-other-countries-of-the-world/>

8. Herman S. Management of human resources in tourism. <http://www.efos.unios.hr/repec/osi/journal/PDF/InterdisciplinaryManagementResearchXI/IMR11a16.pdf>

9. Economic Impact Reports. <https://wtcc.org/Research/Economic-Impact>

10.COVID-19 and employment in the tourism sector: Impact and response in Asia and the Pacific [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---asia/---ro-bangkok/documents/briefingnote/wcms\\_742664.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---asia/---ro-bangkok/documents/briefingnote/wcms_742664.pdf)

11.Giannikis S. 2013. Human Resource Management in Tourism and Hospitality Industry: Recruitment Policy. <https://core.ac.uk/download/pdf/236119895.pdf>

12.Visualizing the Countries Most Reliant on Tourism. <https://www.visualcapitalist.com/countries-reliant-tourism/>

*Nino Sardlishvili*

*Nino Sachaleli*

## **PEOPLE EMPLOYED IN TOURISM AND THE PECULIARITIES OF THEIR MANAGEMENT Summary**

The level of quality of tourism products and services depends on a labor capital. The professional and highly qualified human resources create the environment in which the tourist feels comfortable, therefore it is necessary to appreciate, encourage, improve working conditions, protect labor rights. In order to get the maximum effect it is necessary to promote their career development and support them to achieve their goals.

With its nature tourism is a combination of different sub-sectors, each of these areas should take care of raising the professionalism of its staff, with developing various training programs, seminars, systematic conduct of training meetings. A good example in this case is the Georgian Guides Association, which helps to increase the number of highly qualified, professional guides in the country. There are also the associations of restaurateurs, sommelier and others, such organizations perform several functions, they are not only engaged in popularizing their field, they should systematically take care and even are already taking care of professional development of the specialists in their fields, it is necessary to organize meetings of such associations to share knowledge, experience, and create interesting networks, now also they can together create to plans for the future, how to restart tourism together. The whole world, including Georgia, is facing a great challenge in today's reality, priorities have been revised willingly or unwillingly, some areas have become less priority due to goals and reasons, one of them is tourism. As the prognosis of the future shows, tourism will be back to its development level in 2024, so until 2024 people who were employed in tourism, have to find their jobs in other fields and maybe in several years, they will have an opportunity to return to their favorite tourism industry.

*ორმა ტყემალაძე*

### **დასაქმების დარგობრივ-რეგიონული სტრუქტურის თავისებურებანი საქართველოში**

*ანოტაცია.* ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში. შესწავლილია რეგიონული განვითარების დისბალანსისგან გამოწვეული თანმდევი პრობლემები. დასაბუთებულია დაბალ-პროდუქტიული დარგებიდან მაღალპროდუქტიულში სამუშაო ძალის მობილობის ზრდის აუცილებლობა. აღნიშნული საკითხები გამოკვლეულია ადგილობრივი და უცხოელი

მეცნიერების ნაშრომების, საერთაშორისო ორგანიზაციების მიმოხილვებისა და ანგარიშების შესწავლის, სხვადასხვა სტატისტიკური მასალის გაანალიზების საფუძველზე.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის ბაზარი, ეფექტიანი დასაქმება, დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა, დასაქმების რეგიონული სტრუქტურა.

## შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად აქტუალურია, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და სხვა ძირითად მაკროეკონომიკურ მიზნებთან ერთად განსწავლვრელია მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის შეფასებისათვის, მისი ეფექტიანობის მიღწევა ჯერ კიდევ ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. დასაქმება განსწავლვრავს სხვა თანმდევ სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენებს, მაგრამ, მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდით ან შემცირებით ვერ ვიღებთ საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რომ დავადგინოთ რამდენად ეფექტიანია გატარებული ღონისძიებები ამ სფეროში. ამიტომ მოსახლეობის დასაქმების შეფასება ხორციელდება ხარისხობრივ და რაოდენობრივ ჭრილში ერთდროულად. საქართველოში სტატისტიკური მასალის ბაზას წარმოადგენს სტატისტიკის ეროვნული სამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მეთოდოლოგია დაფუძნებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემოთავაზებულ სახელმძღვანელოს. 2019 წლიდან ამუშავდა მეთოდოლოგია, რომელიც შსო-ს მიერ იქნა შემოთავაზებული და ოფიციალურად ძალაში 2018 წელს შევიდა. შედეგად, ცვლილებები განხორციელდა თვიდასაქმებულთა გადაკვალიფიცირების კუთხით და ასევე დაემატა სამუშაო ძალის დამატებითი ინდიკატორები. ფაქტმა დღის წესრიგში დააყენა ისტორიული მწკრივების გადაანგარიშება, შედეგად 2010 წლიდან გამოქვეყნებული მონაცემები შეიცვალა სხვადასხვა მიმართულებით. გამომდინარე აქედან, ჩვენს ნაშრომში მოტანილი სტატისტიკური ინფორმაცია 2010 წლამდე დაეფუძნება 2013 წლამდე მოქმედ მეთოდოლოგიას, ხოლო 2010 წლიდან დღემდე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შრომის სტატისტიკოსთა მე-19 და მე-20 საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული სტანდარტებს.

\*\*\*

როგორც ზემოთ ითქვა, დასაქმება მრავალმხრივი კატეგორიაა და მისი ეფექტიანობის გაზომვა შეუძლებელია ერთი რომელიმე მაჩვენებლით, ამიტომ ხშირად იყენებენ მაჩვენებლების სისტემას, რომლისგანაც ერთ-ერთი მაჩვენებელია მომუშავეთა განაწილება პროფესიების, კვალიფიკაციების, დარგების და სექტორების მიხედვით. მისი საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ ამა თუ იმ პროფესიაზე მოთხოვნის ცვლილების შესახებ. თუ ეკონომიკაში მცირდება კვალიფიციური კადრების გამოყენების შემთხვევები, ეს ნიშანია რომ დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა ირაციონალურია. ასევე, როგორც დარგობრივი, ისე რეგიონული სტრუქტურის ანალიზი გარკვეულ წარმოადგენას გვიქმნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ, წარმოადგენს სიგნალს ინვესტორებისათვის და დასაქმების პოლიტიკის შემუშავებლებისათვის.

ზოგადად, ამ მიმართულებით შრომის ბაზრის კვლევისათვის შემუშავებულია სხვადასხვა მაჩვენებლები. ერთ-ერთი ასეთია დასაქმების საბაზო ინდექსი, რომელიც წარმოადგენს გვიქმნის ქვეყნის შრომითი რესურსების ეფექტიან გადაანაწილებაზე პროდუქტიულობის ნიშნის მიხედვით. იგი გამოითვლება როგორც საექსპორტო ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან. საბაზო დასაქმებას ქმნიან წარმოების საბაზო სექტორის მუშაკები, ხოლო მომსახურეს - ქალაქის ეკონომიკის სხვა დარგებში მომუშავეები. საექსპორტო სექტორში დასაქმებულთა დიდი რიცხვი გვიჩვენებს სამუშაო ძალის ეფექტიან გადაანაწილებას, გამომდინარე იქედან, რომ საექსპორტო პროდუქციის



მწარმოებელი ფირმები ორიენტირებულნი არიან მაღალხარისხიან პრიდუქციაზე, რაც შესაბამისად მოითხოვს მაღალკვალიფიკაციას. ეს უკანასკნელი კი ავტომატურად გულისხმობს შრომის ანაზღაურების ნორმალურ და დასაქმებულთა ცხოვრების მაღალ დონეს.

შრომის სტატისტიკის ბიუროს მიერ შემოთავაზებულია დასაქმების დიფუზიის ინდექსი BLS' diffusion index, რომელსაც ეკონომისტები იყენებენ იმის დასადგენად, თუ რამდენად ფართოდ არის განაწილებული სამუშაო ადგილების მოგება და ზარალი მრეწველობაში. საწარმოო სექტორში დასაქმების ინდექსი ერთ-ერთი დიფუზიური ინდექსია, რომლის საფუძველზეც ISM (მიწოდების მართვის ინსტიტუტი) ითვლის შესყიდვების მენეჯერთა ინდექსს საწარმოო სექტორში. ასევე გამოითვლება დასაქმების ინდექსი არასაწარმოო სფეროში, რომელიც ასახავს მომსახურების სფეროს საწარმოებში დასაქმების ვითარების ცვლილებას. მის გამოსათვლელად მონაცემები გროვდება მომსახურების სფეროს 17 დარგის მენეჯერების გამოკითხვით და როგორც წინა შემთხვევაში, მონაცემების გადამუშავებით გარდაიქმნება დიფუზიური ინდექსად. მისი წონა PMI-ის გაანგარიშებაში 25%-ს შეადგენს.

საქართველოს შრომის ბაზრის დეტალური სექტორული ანალიზით ირკვევა, რომ მთლიანად ეკონომიკაში დასაქმების დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანი როლი სოფლის მეურნეობას უკავია, ზემოაღნიშნულ პერიოდში იგი სამუშაოდ მთლიანი დასაქმების 48,8% შეადგენდა. 2012 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში (ძველი სტანდარტებით) იგი მუდმივად კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა, ჯამურად 3,3 პროცენტული პუნქტით შემცირდა. 2017 წლიდან 2019 წლამდე ტენდენცია გაგრძელდა, სამი წლის განმავლობაში შემცირებამ (ახალი სტანდარტებით) 3,4 პროცენტული პუნქტი შეადგინა. სოფლის მეურნეობის გარდა, დასაქმების ორნიშნა წილით ხასიათდება ვაჭრობა (2017 წელი -13,8%; 2018 წელი - 14,5%; 2019წელი -15,4%; 2020 წელი -15,4%), განათლება (შესაბამისად, 12,0%; 11,7%; 11,7%; 11,4%) და მრეწველობა (შესაბამისად, 11,2%;11,9%;11,3%;11,4%).

ბიზნეს სექტორში, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით, საკვლევ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად ზრდადია აბსოლიტურ გამოხატულებაში. მაგალითად, 2019 წელს აღნიშნულ სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ 756.9 ათასი ადამიანი შეადგინა (ცალკე გამოიყოფა 2020 წლის შემდგომი პანდემიური პერიოდი, ამიტომ შედარებისთვის შედარებით დასტაბილურებული 2019 წელია აღებული), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.1%-ით მეტია. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში კერძო სექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. ბიზნეს სექტორში დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის სექტორი გამოირჩევა, სადაც 2020 წელს 176 261 ადამიანია დასაქმებული (27,1%). შემდეგ ადგილზეა მრეწველობა 122 599 დასაქმებულით (18,8%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 71 542 (11%), მშენებლობა - 61 659 (9,5%), ტრანსპორტირება და დასაწყობება - 52 329 (8%). დარგობრივი სტრუქტურა დასაქმებულთა აშკარა არაეფექტიან განაწილებაზე მიუთითებს, არსებობს აბსოლიტური შეუსაბამობა შრომის მწარმოებლურობასა და კონკურენციულ სფეროებში დასაქმებულთა ნაკადების გადანაწილებას შორის.

ბიზნეს სექტორში 2009 წლიდან სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა აბსოლიტური რაოდენობა იზრდებოდა და 2019 წელს 12 753-ს მიაღწია (1,7%), 2020 წელს კი წინა წელთან შედარებით 1357 ადამიანით შემცირდა (1,8%), რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და გვიმტკიცებს იმ ჰიპოთეზას, რომ აქ შექმნილი სამუშაო ადგილები ძირითადად თვითდასაქმების ხარჯზე მოდის. სოფლის მეურნეობის სექტორის გარდა დასაქმების ერთნიშნა ციფრით ხასიათდება ხელოვნება და გართობა -1,6%, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები - 2,8%, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები - 3,1%, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 3,4%, განათლება - 3,4%, ინფორმაცია და კომუნიკაცია - 3,6%, ტრანსპორტირება და დასაწყობება - 8%, მშენებლობა - 9,5%. ბლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდებოდა ხელოვნება, გართობა,

დასვენების სექტორში ასევე ინფორმაცია-კომუნიკაციის დარგში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში დასაქმებულთა წილი. განათლების სექტორი 2016 წლიდან მოყოლებული კლების ტენდენციით ხასიათდება. ბიზნეს სექტორში დასაქმების თითქმის 32%-ს კმნის საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ვაჭრობისგან განსხვავებული ტენდენციები ვლინდება ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების რიგით მეორე მსხვილ შემქმნელ დარგში - მრეწველობაში, სადაც 2010 წლამდე მისი წილი 25-26%-ის ფარგლებში მერყეობს, 2011 წელს ჩანს 2,4%-იანი კლება, შემდგომ წლებში კი შენარჩუნებული ერთ პროცენტის კლება.

**ცხრილი #1. ბიზნეს-სექტორში დასაქმებულები  
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, %**

| ბიზნეს-სექტორში დასაქმებულები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, % |     |                                    |            |            |   |                               |   |                           |   |  |  |           |   |                                 |                        |
|--|-----|------------------------------------|------------|------------|---|-------------------------------|---|---------------------------|---|--|--|-----------|---|---------------------------------|------------------------|
| წელი   | სულ | მათ შორის:                         |            |            |   |                               |   |                           |   |  |  |           |   |                                 |                        |
|  |     | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | მრეწველობა | მშენებლობა | საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | ტრანსპორტირება და დასაწყობება | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | ინფორმაცია და კომუნიკაცია | უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | ადმინისტრაციული და დახმარე მომსახურების საქმიანობები | განათლება | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | ხელოვნება, გართობა და დასვენება | სხვა სახის მომსახურება |
|  | 1   | 2                                  | 3          | 4          | 5   | 6                             | 7   | 8                         | 9   | 10   | 11   | 12        | 13  | 14                              | 15                     |
| 2009   | 100 | 1,6                                | 25,2       | 11,2       | 17,2  | 10,6                          | 3,5   | 4,2                       | 2,5   | 2,7  | 2,4  | 3,4       | 13,8  | 1,1                             | 0,7                    |
| 2010   | 100 | 1,6                                | 25,2       | 10,2       | 17,0  | 10,1                          | 4,0   | 4,2                       | 2,5   | 2,5  | 2,9  | 3,7       | 14,2  | 1,1                             | 0,8                    |
| 2011   | 100 | 1,3                                | 22,8       | 13,0       | 21,3  | 7,9                           | 4,8   | 3,8                       | 3,2   | 3,9  | 3,0  | 3,3       | 9,5   | 1,7                             | 0,8                    |
| 2012   | 100 | 1,5                                | 22,1       | 13,1       | 21,3  | 8,0                           | 5,2   | 3,9                       | 2,6   | 4,0  | 3,2  | 3,2       | 9,2   | 1,9                             | 0,8                    |
| 2013   | 100 | 1,9                                | 21,1       | 12,0       | 21,8  | 8,11                          | 5,5   | 3,5                       | 2,7   | 3,5  | 3,5  | 3,5       | 10,3  | 1,8                             | 0,8                    |
| 2014   | 100 | 1,9                                | 19,5       | 11,7       | 23,4  | 7,8                           | 5,3   | 3,2                       | 2,7   | 4,0  | 4,1  | 3,6       | 9,8   | 2,0                             | 1,1                    |
| 2015   | 100 | 2,0                                | 19,7       | 11,3       | 24,9  | 7,8                           | 5,4   | 3,1                       | 2,6   | 3,7  | 3,2  | 3,5       | 9,8   | 2,1                             | 1,0                    |
| 2016   | 100 | 1,9                                | 18,9       | 11,3       | 25,5  | 7,9                           | 5,6   | 3,0                       | 2,6   | 3,6  | 3,5  | 3,3       | 9,8   | 2,2                             | 1,1                    |
| 2017   | 100 | 1,8                                | 18,5       | 24,9       | 26,0  | 8,0                           | 6,0   | 3,0                       | 2,5   | 3,5  | 3,6  | 3,2       | 9,8   | 2,4                             | 1,1                    |
| 2018   | 100 | 1,7                                | 17,9       | 23,7       | 26,8  | 7,9                           | 6,2   | 3,1                       | 2,5   | 3,6  | 3,6  | 3,1       | 9,9   | 2,5                             | 1,1                    |
| 2019   | 100 | 1,7                                | 17,1       | 9,2        | 27,7  | 8,0                           | 6,4   | 3,3                       | 2,5   | 3,6  | 3,7  | 3,1       | 9,9   | 2,5                             | 1,1                    |
| 2020   | 100 | 1,8                                | 18,8       | 9,5        | 27,1  | 8,0                           | 4,9   | 3,6                       | 2,8   | 3,4  | 3,1  | 3,4       | 11,0  | 1,6                             | 1,1                    |

წყარო: geostat.ge ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე (შრომის სტატისტიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული სტანდარტების მიხედვით დაანგარიშებული აბსოლუტური მაჩვენებლების საფუძველზე)

პანდემიურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა იქონია შრომის ბაზარზე, გამოსავალი დისტანციურ მუშაობაზე გადასვლით მოიძებნა. თუმცა საქართველოს შრომის ბაზრის

სტრუქტურის დაკვირვებიდან გამომდინარე ნათელი გახდა, რომ უმუშევრობის ზრდა გარდაუვალი იქნებოდა და ასეც მოხდა. კოვიდ-19-ის პანდემიისგან დაზარალებული უფრო მეტად ბიზნეს სექტორი აღმოჩნდა, აქ ჯამურად სამუშაო ადგილების დანაკარგმა 106 018 შეადგენა. უმუშევრობა ყველაზე მეტად შეეხო საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორს, შემდეგ ადგილზეა განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები ტრანსპორტირება და დასაწყობება, ხელოვნება, გართობა, დასვენება და ა.შ. სამუშაო ადგილების შენარჩუნება მეტ-ნაკლებად გახდა შესაძლებელი განათლების სექტორში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში, ინფორმაცია-კომუნიკაციის და სოფლის მეურნეობის სექტორებში.

კრიზისმა არსებითი გავლენა მოახდინა დასაქმების რეგიონულ სტრუქტურაზეც, რომელსაც მანამდეც ახასიათებდა დისბალანსი. აჭარის რეგიონი თბილისთან ერთად 2009-2010 წლისათვის მოწინავე პოზიციებს იჭერდა უმუშევრობის დონის მიხედვით, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა კახეთი. მომდევნო წლებიდან აღნიშნულ რეგიონებში ინვესტიციების მოცულობის ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და დასაქმების დონის საგრძნობი ზრდა აღინიშნა. როზენ-რობაკის (Rosen-Roback, 1979, 1982) ადგილობრივ შრომის ბაზრებზე წონასწორობის მოდელის მიხედვით მუშაკები მიილტვიან მაღალმწარმოებლური ტერიტორიებისკენ, რამდენადაც ის იწვევს მოთხოვნის ზრდას ფირმების მხრიდან, ფირმები ზრდიან ხელფასებს, რომ მოიზიდონ ახალი მუშაკები სხვა ტერიტორიებიდან, შედეგად ამ ტერიტორიაზე დასაქმება იზრდება. რაც ნამდვილად დადასტურდა ეროვნულ შრომის ბაზარზე. თუმცა, კოვიდ-19-ის პანდემიამ აღნიშნული დადებითი ტენდენცია კვლავ შეაფერხა. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე თბილისის, ქვემო ქართლის და აჭარის გარდა ყველა რეგიონში შემცირდა, დასაქმების დონე შესაბამის რეგიონებში არ გაზრდილა, პირიქით.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, საქართველოს შრომის ბაზრის როგორც დარგობრივი, ისე რეგიონული სტრუქტურა ჯერ კიდევ ირაციონალურია. ახასიათებს შიდა შრომითი მიგრაციის მაღალი ტემპი, რაც ქმნის დეპრესიული რეგიონების მომრავლების საშიშროებას, ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების შეფერხების საფრთხეს. სოფლის მეურნეობის სექტორში, სადაც პროდუქტიულობა ტრადიციულად ყველაზე დაბალია, დასაქმებულთა დიდი წილი არაეფექტიანი დასაქმების პრობლემაზე მიგვანიშნებს. რაც სამომავლოდ თუ არ გაზრდის, უკიდურეს შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს სიღარიბის მასშტაბების შემცირებას. კოვიდ-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო გაამწვავა არსებული გამოწვევები და რეალური ეკონომიკის წახალისების და მხარდაჭერის ღონისძიებების აუცილებლობაზე მიუთითა პოლიტიკის შემქმნელებს. გამომდინარე იქედან, რომ კრიზისის დაწყებიდან რამდენიმე თვეში უმუშევრობის დონის ზრდა და დასაქმების დონის შემცირება იმ რეგიონებში გამოიწვია, სადაც მაღალი იყო ტურიზმის და მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა, ხოლო რეალური სექტორის დიდი წილით წარმოდგენილი რეგიონები უმუშევრების მკვეთრი ზრდით არ დაზარალებულან.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze R. Globalization and the economic problems of the pandemic. „Ekonomisti“ №2
2. Diakonidze, A., Natsvlishvili, V. (2020). Labor and Social Security during the New Coronavirus Pandemic. Open Society Fund (In Georgian).
3. Kakulia, N., Lazarashvili, T. (2019). Institutional transformation and its challenges in Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, *The collection of The 4th International Scientific-Practical Conference Materials*, 173-178 (In Georgian).
4. Georgian Labor Market Survey. (2020). Tbilisi: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (In Georgian).

5. Enterprise Demand Survey on Skills. (2019). Tbilisi: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia (In Georgian).
6. Law of Georgia N6819-SR "On Employment Promotion", 2020 years, 14 Juile (In Georgian).
7. Report on the measures taken by the Government of Georgia against COVID-19. (2020) (In Georgian).
8. Resolution of the Government of Georgia N662 "On Approval of the National Strategy of Labor and Employment Policy of Georgia for 2019-2023". (2019) (In Georgian).
9. Data of the National Statistics Office of Georgia - <https://www.geostat.ge/ka> (In Georgian).

*Irma Tkemaladze*

**PECULIARITIES OF THE SECTORAL-REGIONAL STRUCTURE OF EMPLOYMENT  
IN GEORGIA  
Summary**

The sectoral and regional structure of the Georgian labor market is still irrational. Characterized by high rates of internal labor migration, which creates the danger of multiplication of depressed regions, the threat of hindering the inclusive economic development of the country. In the agricultural sector, where productivity is traditionally the lowest, a large proportion of employees point to the problem of inefficient employment. The Covid-19 pandemic has exacerbated existing challenges and pointed to policy makers in need of real economic incentives and support measures.

*Keywords:* labor market, effective employment, sectoral structure of employment, regional structure of employment.

*თენგიზ ქვთარაძე*

**საკვებწარმოების თანამედროვე ეკონომიკური პრობლემები  
საქართველოს მეცხვარეობაში**

*ანოტაცია.* ნაშრომში პირველადაა შესწავლილი მეცხვარეობის საკვებწარმოების თანამედროვე მდგომარეობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლამ, კასპიისპირეთში 200 ათასი ჰექტარი ზამთრის საძოვრების დაკარგვამ გამოიწვია მეცხვარეობის დარგის დიდი დაქვეითება, რამაც გამოიწვია მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია. მეცხვარეობის დარგის აღდგენისა და განვითარების თვალსაზრისით, აუცილებელია, პირველ რიგში, საზამთრო საძოვრების გამოყოფა და მოვლა-პატრონობა.

სტატიაში წამოყენებულია წინადადება, რომ ჩრდილო კავკასიის მეცხვარეობასთან ერთად, შეიქმნას ერთობლივი ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ზაფხულობით გამოიყენებდა ჩვენს საზაფხულო საძოვრებს, ზამთარში კი ჩვენი მეცხვარეები ისარგებლებდნენ ყიზლარის ზამთრის საძოვრებითა და ინფრასტრუქტურით.

*საკვანძო სიტყვები:* მეცხვარეობის საკვები ბაზა, საზაფხულო, გარდამავალი და ალპური საძოვრები, სენაჟი და სილოსი.

\* \* \*

საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლამ, მიწების მასობრივმა პრივატიზებამ, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლამ, კასპიისპირეთში 200 ათასი ჰექტარი საზამთრო საძოვრების დაკარგვამ გამოიწვია მეცხვარეობის დარგის დიდი დაქვეითება, დაირღვა მთასა და ბარს შორის ეკონომიკური კავშირები. ამან გამოიწვია მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა დღეისათვის საგრძნობლად შემცირებულია და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 108,8 ათას კაცს არ აღემატება, რაც საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2,5 პროცენტს შეადგენს.

მთიან რეგიონებში მიგრაციის უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრის მნიშვნელოვან პირობად მიგვაჩნია ტრადიციული მეცხვარეობის განვითარება. ამჟამად მთის სოფლებში მოსახლეობის დამაგრების ძირითად გზად მიჩნეულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლით მოსახლეობის დასაქმება. ეს სამუშაო ძალზე შრომატევადია. ადგილზე ერთ ძროხას საკვებად ერთ წელწადში სჭირდება 5700 კილოგრამი თივა. მთაში როცა თიბენ, იქვე აბულულებენ, ზამთრის პერიოდში კი გაყინულ თოვლზე ჩამოაქვთ დაცურებით. ერთ კაცს შეუძლია ერთი დღის განმავლობაში მთიდან დაცურებით მხოლოდ ერთი თივის (200 კგ) ჩამოტანა. ე.ი. მთლიანად თივის ჩამოტანას ერთი თვე სჭირდება, თივის დამზადება კი 2-3 თვეს გრძელდება და ხელით სრულდება. მოსახლეობას ურჩევნია მთელი წლის განმავლობაში თავიანთთვისა და ოჯახისთვის საჭირო პროდუქცია და ნივთები დაბლიდან აზიდონ ზურგით ან ცხენით მაღლა მთაში, ვიდრე ხელით მთიდან ჩამოათრიონ თივა, თან ელოდნენ თოვლის მოსვლას და პირუტყვის უსაკვებოდ დარჩენის საშიშროებას. ამიტომაც, მოსახლეობა ადგილზე ბევრი პირუტყვის ყოლას ერიდება. ვაჟა ფშაველას ცნობით, ხევსურ ოჯახს თუ ორი-სამი ძროხა და 20 თხა-ცხვარი მოეპოვება. ხევსური მდიდარია. ხევსურეთის ადგილობრივი პირობები მეცხვარეობის განვითარების მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. სამეურნეო ბაზებზე ოჯახს შეეძლო 100-150-მდე ცხვარი გამოეზამთრებინა. მეცხვარეობის დარგის აღდგენისა და განვითარების თვალსაზრისით, აუცილებელია, პირველ რიგში, საზამთრო სამოვრების გამოყოფა და მოვლა-პატრონობა. ამ საქმეში საჭიროა სახელმწიფო წესრიგის დამყარება. [5].

საქართველოს მთიან რაიონებში საზაფხულო სამოვრების საერთო ფართობი 1686,3 ათას ჰექტარს შეადგენს. აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო და გარდამავალი სამოვრების საერთო ფართობი 427,4 ჰექტარია. აქედან, სამხრეთ მთიანეთის საზაფხულო სამოვრებით მოსარგებლე აღმოსავლეთის დაბლობის რაიონები 201,4 ათას ჰექტარს იყენებენ, მათ შორის დედოფლისწყაროს რაიონი – 36,7, სიღნაღის – 52,0, საგარეჯოს – 26,0, გარდაბნის – 43,8, თეთრიწყაროს – 11,7, მარნეულის – 22,3 და ბოლნისის – 8,9 ათას ჰექტარს. როგორც ხედავთ, ზამთრის სამოვრები 3-3,5 -ჯერ ნაკლებია ზაფხულის სამოვრებზე. ამასთან ერთად, ზამთრის სამოვრები შედარებით დაბალ მოსავლიანია და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება.

ზამთრის სამოვრების პირუტყვით გადატვირთვა და მისი არარაციონალურად გამოყენების შედეგად, ბალახის მოსავლიანობა ძალზე დაბალია. ბალახის საფარი წლითიწლობით უარესდება და სამოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი ხდება. საზაფხულო სამოვრების მესამედი და საზამთრო სამოვრების მეხუთედი ეროზირებულია, დიდი ნაწილი კი დაფარულია შხამიანი და სარეველა ბალახებით. ზოგიერთი საზაფხულო სამოვრის მასივი დიდი კავკასიონის ქედზე არ გამოიყენება მისასვლელი გზების არქონის გამო. სამოვრების არარაციონალურმა გამოყენებამ განაპირობა ბუნებრივი სამოვრებისა და სათიბების დაბალი პროდუქტიულობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას.

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების მრავალწლიანმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მარტო მრავალწლიანი ბალახების, განსაკუთრებით კი პარკოსნების შეთესვა ჰექტარ ფართობზე თივის მოსავლიანობას 25-30%-ით, საკვები ერთეულების გამოსავლიანობას შესაბამისად 30-35%-ით, ხოლო პროტეინს - 50%-ით ადიდებს, იმ მდებარეობებთან შედარებით, რომელზეც ბალახის თესვას არ აწარმოებენ. სათანადო მასალების შესწავლით ირკვევა, რომ 1 ჰა ზამთრის სამოვრებზე შემოდგომით  $N_{60}P_{90}$  შეტანით 67,2 ცენტნერი მწვანე მასა მიიღეს, ხოლო  $N_{30}P_{90}$  შეტანით 51,6 ცენტნერი, ნაცვლად არსებული 30 ცენტნერისა. ცხვრის სადგომებში დაგროვილი 15 ტონა ნაკვლის ჰექტარზე შეტანით სამოვრების საშუალო მოსავლიანობა (ხუთი წლის საშუალო მონაცემებით) 62-170%-ით იზრდება.

ბუნებრივ სამოვრებზე სარეველა ბალახების მოსასპობად წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა ქიმიური საშუალებები. კერძოდ, ფერდიციდებით ჩატარებულ ცდებში

გამოყენებულ ბუტილი ეთერის პრეპარატის ორმაგი შესხურება ჰექტარზე ნარის რაოდენობას 86,5-დან 94%-მდე, დანარჩენ სარეველა ბალახებს კი 90%-მდე ამცირებს.

ცდებით დადგენილია, რომ დაჭობებული სამოვრების დაშრობა და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება 100-200%-ით ადიდებს ბალახნარის მოსავალს, მორწყვა 100-150%-ით, ბუჩქნარისაგან გაწმენდა 30-60%-ით, სარეველებისაგან გაწმენდა კი 15-20%-ით. პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა იმდენად საკვები ერთეულების დონით არ განისაზღვრება, რამდენადაც მონელებადი პროტეინის ოდენობით. პროტეინის ნაკლებობა კვების რაციონში როგორც ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე, ისე ერთ სულ პირუტყვზე გაანგარიშებით საკვების გადახარჯვას იწვევს. ეს კი, თავის მხრივ, პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის და წარმოების ეფექტურობას ამცირებს.

მეცხვარეობის იმ ორგანიზაციული ფორმის პირობებში, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ, ცხვრის წლიურ მოხმარებულ საკვების სტრუქტურაში სამოვრული საკვები 71,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო დამატებითი საკვები 25,2 პროცენტს. ამიტომაც მეცხვარეობის ინფრასტრუქტურაში სამოვრების გამოყენების საკითხი დიდად მნიშვნელოვანია. ძველად არსებობდა სამოვრების გამოყენების გონივრული ინფრასტრუქტურული სისტემები. ამჟამად, მათი სრული აღდგენა ძალზე ძნელია, რადგან მათ შესახებ მთხრობელი ცოტა ვინმე დარჩა, ხოლო წერილობითაც, ცოტა რამ მოგვეპოვება. ამიტომ, მათი გამოვლინების სიმძნელის მიუხედავად, რაღაც უნდა ვიღონოთ. მართალია, რამდენადმე დახმარებას გაგვიწევდა სამოვრების საიჯარო საარქივო მასალები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ძველად წარმოებული გამოკვლევები, მაგრამ ეს მასალები ჩვენთვის სადღეისოდ მიუწვდენელია. ძველად არსებული სამოვრების გამოყენების სისტემებზე გავლენა უნდა მოეხდინა მეცხვარეობის მეურნეობების სიდიდეს. მსხვილი ფარების მიერ სამოვრების გამოყენების ინფრასტრუქტურული სისტემები შედარებით მეტი რაციონალური შინაარსით ხასიათდება. მაგრამ მცირე ფერმერულ მეურნეობას, მსხვილ მეურნეობებთან შედარებით, სამოვრების გამოყენების საქმეში უპირატესობა გააჩნია, მეტი მოქნილობა და სამოვრების მეტი გამოყენების უნარი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამოვრების გამოყენების სისტემების ჩამოყალიბებაზე მეცხვარეობის გამოცდილებასა და უნარიან ხელმძღვანელობასაც უნდა ჰქონოდა გავლენა.

ცნობილია, რომ ჩვენი საზამთრო სამოვრები წარმოადგენს ნახევარ უდაბნოებს, ნახევრად ველისა და ველის მცენარეულ დაჯგუფებებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა სამოვარი მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ოთხი სახის სამოვრული მარაგით: შემოდგომით ძირითადად შემოდგომის ერთწლიანების სახით, ზამთარში – ზაფხულის ვეგეტაციით ეგრეთწოდებული ხორაგი, მათ შორის აზინდა მლაშობურებით, ადრე გაზაფხულზე – უროსა და ველის მცენარეულობით. მცენარეულის აღნიშნულ მარაგს ჩვენი გონიერი მეცხვარე შესაბამისად იყენებდა და საზამთრო სამოვრების გამოყენების სისტემაც იმაში მდგომარეობდა, რომ მას ერთი და იგივე ადგილი გამოეყენებინა სეზონური მცენარეული მარაგის მიხედვით:

1) შემოდგომაზე – საშემოდგომო ერთწლიანების სიმწვანეს ცხვარი წიწვნიდა, ხოლო ზამთრის ხორაგს პირს არ დააკარებდა; 2) ზამთარში – ხორაგი – მათ შორის ყინვებით დავარგებული აზინდა – მლაშობურები უკვე დიდი კვებითი ღირებულებით გამოირჩეოდა; 3) ადრე გაზაფხულზე – ეფემერებისა და ეფემეროიტების სიმწვანე; 4) ბოლოს, ურო და ველის მცენარეული.

სამოვრების სიუხვისა და მაღალი მოსავლიანობის მიუხედავად, საზამთრო სამოვრების გამოყენება მტკიცედ იყო განსაზღვრული 150 დღით. მთიდან ჩამოსულ ცხვარს დეკემბრამდე საზამთრო სამოვარს არ აკარებდნენ. ჯერ ნაწვერალებს მოატარებდნენ, მერე ვენახებსა და ბაღებს, შემდეგ სოფლის სანახიროებს და მხოლოდ ნოემბრის ბოლოს საზამთრო სამოვრებზე ჩააყენებდნენ. ასევე, საზამთრო სამოვრებიდან აპრილში გამოჰყავდათ. ჯერ ახლო-მახლო გარდამავალ სამოვრებზე აიყვანდნენ: ელდერ-სამუხიდან –

შირაქსა და ივრის თავებზე, დონლუზდარიდან – იოლმულანლოს სოფლის სამოვრებზე, კარადუზიდან – უდაბნოზე, სარვანიდან – იალლუჯაზე და ა.შ. ამის შემდეგ ცხვარს მთისაკენ წაიყვანდნენ და თრიალეთის გარდამავალ სამოვრებზე შეაჩერებდნენ. ბოლოს, ივნისის პირველ რიცხვებში მთაში – ჯავახეთ-მესხეთში – ავიდოდნენ. მაგრამ მეცხვარეები მთაში ერთბაშად არ შედიოდნენ და ცხვარს ჯერ საბაროებში ამყოფებდნენ, როდესაც მთა მზად გახდებოდა ცხვრის მისაღებად – თოვლი ჩამოდნებოდა, ბალახი საკმაოდ წამოიწევდა, ჰაერი გათბებოდა, მხოლოდ მაშინ ცხვარს მთის სამოვრებზე სუბალპურ და ალპურ ზონაში აიყვანდნენ, ხოლო ბატკანს დედებისაგან ასხლეტდნენ და მაღალ ალპურ ზონაში საბატკნეში მოათავსებდნენ, მთაში ცხვარს სექტემბრის ბოლომდე ამყოფებდნენ.

ახლა მთის სამოვრების გამოყენების შესახებ. ბარში თუ სამოვრების გამოყენება მათი სეზონური მცენარეულის მარაგით ისაზღვრებოდა, მთაში სამოვრების გამოყენება სამოვარზე მცენარეულის გამოვება აღდგენის საფუძველზე ხდებოდა, რაც სამოვრის რამდენიმე ნაკვეთად გამოყოფით იწყებოდა. ამიტომ სამოვრების გამოყენება წარმოებდა, მართალია, მცირე რაოდენობის ნაკვეთებში, მაგრამ მაინც ნაკვეთმორიგეობის საფუძველზე მათი გამოვება აღდგენის მორიგეობითი შემოვლით ორმოცი-სამოცი დღის შუალედებით ანუ ზაფხულის მანძილზე 2-3 როტაციით. საბატკნეს იგივე წესით იყენებდნენ.

მთის სამოვრების გონივრულად გამოყენების მიზნით. მეცხვარე მწყემსები ცდილობდნენ ჰქონოდათ ცხვრისათვის სამი სახის სამოვარი: 1) საბარო – მთაში ასვლის პირველი პერიოდის მოკლევადიანი მოხმარების სამოვარი, ვიდრე მთის მუდმივი მოხმარების სამოვარი თოვლიანობის, სიცივისა და უბალახობის გამო ჯერ მისადგომი არ იყო. აქვე ჩამოჰყავდათ ბატკანი გაპარსვის შემდეგ. მეცხვარეები ხშირად საბაროებად მორიგეობის საფუძველზე მოსახლეობის სავარგულებს იყენებდნენ; 2) ძირითადი – სუბალპებსა და ალპურ ზონაში გაადგილებული სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული სამოვრები. ამ სამოვრებს მეცხვარე იყენებდა ივნისს-სექტემბრის ვადებში. ამ სამოვრებზე, სადგომის ახლოს, გამოყოფილი ჰქონდათ აგრეთვე ეგრეთწოდებული სამი ყორული, რომელსაც მეცხვარე სადამოვრით მოკლე ვადით იყენებდა ცხვრის ყველაზე ძვირფასი სულადობისათვის; 3) საბატკნე – ესეც იჯარით აღებული მაღალალპური სამოვარია, რომელსაც მხოლოდ ბატკნისათვის იყენებდნენ მისი დედისაგან ასხლეტის შემდეგ, ვიდრე პარსვამდე, დაახლოებით 60-70 დღეს.

ძველად ძირითადი სამოვრები იჯარით ხანგრძლივად იყო მიმაგრებული მომხმარებლებზე, ამიტომ მომხმარებელი უვლიდა სამოვრებს, ცდილობდა შეენახა სამოვრის კეთილბალახის შემადგენლობა. მოსახლეობა ზრუნავდა სამოვრების წყლით მომარაგებაზე გამოჰყავდა რუებით წყალი, აკეთებდა გუბებს, იცავდა წყაროებს, წმენდდა ჭაობებს და სხვა. ბინაზე აკეთებდა ქვიტკირის ბაკებს, ქოხებს, რაც, როგორც ვხედავთ, სადღეისოდ ჩვენთვის დიდი განძია. ერთი სიტყვით, მოიჯარე მომხმარებელი ყოველი საშუალებით ცდილობდა კარგად შეენახა და ზომიერად გამოეყენებინა მასზე გაპიროვნებული სამოვარი, რადგან იცოდა, რომ სამოვრის გადატვირთვა და მტაცებლური გამოყენება მალე გამოაცლიდა მას არსებობის საშუალებას.

ამჟამად სამოვრების გამოყენება უარესობისაკენ შეიცვალა გარდამავალი სამოვრების, ნაწვერალეების ბად-ვენახების, სოფლის სანახიროებისა და სხვა სამოვრული სავარგულების გამოთიშვის შემდეგ ძირითადი სამოვრების გამოყენება ძალზე გაძნელდა. სამოვრები ძალზე გადაიტვირთა. სამოვრების განაწილება ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობის სამოვრების მრავალნაკვეთიანობა აღმოჩნდა დაშორებული ასი, ორასი კილომეტრით და მეტი მანძილით ერთიმეორისაგან. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის არბოშკის კოლმეურნეობას საზაფხულო სამოვარი ემაგრებოდა ნიალაზე (ასპინძია რაიონი), შავნაბადა-თავკვეთილასთან (ბორჯომის რაიონი), ხევსურეთსა და ჯავის რაიონში და სხვა. სამოვრების უმრავლესობა განაწილებული იყო ზონალობის გათვალისწინების გარეშე. დღეს ჩვენ არ ვიცით საქართველოს მეცხვარეობის მიერ სამოვრების გამოყენების მდგომარეობა. კერძოდ, ცხვრის ფარებს მიმაგრებული აქვთ თუ

არა საბატკნე ადგილები, საბარო ან გარდამავალი სამოვრები. პრივატიზებული მიწებიდან, განსაკუთრებით უცხოელებზე გაყიდული მიწების გამო, მეცხვარეები იძულებული არიან ცხვარი შუალედური სამოვრების გარეშე ბარიდან პირდაპირ მთაში აიყვანონ და მთიდან ყოველგვარი შუალედური სამოვრების გარეშე პირდაპირ საზამთრო სამოვრებზე ჩააყენონ. ყველა ეს გარემოება ძალზე ვნებს მეცხვარეობას, იწვევს მიმაგრებული სამოვრების გაუმჯობესებისადმი მომხმარებლის უყურადღებობას. იგი აღარ ზრუნავს სამოვრების მოვლაზე, წყლით მომარაგებაზე, მით უმეტეს სამოვრების გაუმჯობესებაზე და სამოვრების მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწევა. ასეთ პირობებში ძნელია პირუტყვის სამოვრების გაუმჯობესების გზების განხორციელება. ახალ ვითარებაში, როგორც დავინახეთ, გამოუსადეგარია ძველად არსებული სამოვრების გამოყენების ინფრასტრუქტურული სისტემები. ამიტომ საჩქაროდ უნდა დამუშავდეს და დაინერგოს სამოვრების გაუმჯობესების ახალი რაციონალური ინფრასტრუქტურული პროექტები.

საქართველოდან ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებზე ყიზლარის ზამთრის სამოვრების დიდი ოდენობით გადაცემამ გამოწვია ამ რესპუბლიკებში მეცხვარეობის დარგის დიდი განვითარება და ზაფხულის სამოვრების მწვავე უკმარისობა. გახშირდა მათ მიერ ჩვენი მთის სოფლების სამოვრების ათვისების მცდელობა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შემოსავლების მიღების მიზნით, ჩრდილო კავკასიელებზე თავისუფალი ზაფხულის სამოვრების გაქირავება. მაგალითად, ყაზბეგის რაიონის თრუსოს ხეობაში საზაფხულო სამოვრებზე იალაღობდა 55000 სული ცხვარი. დღეს ეს სამოვრები თავისუფალია.

სახალხო სამეურნეო დიპლომატიის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა ჩეჩნებისა და თუში მეცხვარეების ისტორიული ურთიერთანამშრომლობა. თუშები და ჩეჩნები არამც თუ სარგებლობდნენ ერთიმეორის სამოვრებით, არამედ ამხანაგობასაც კი ქმნიდნენ და ერთად ყიზლარის ზამთრის სამოვრებისაკენ მიუყვებოდნენ გზას. ზაფხულში თუშეთის საზაფხულო სამოვრებზე თუშები მწყემსავდნენ ჩეჩნების ცხვარს, ცხვრის მოვლაში გასამრჯელოდ ცხვარს წველიდნენ და მატყლს პარასავდნენ. საკუთრივ თუშებს ყონაღობა (მეგობრობა) ჰქონდათ ჩეჩნებთან, ლეკებთან, დიდოელებთან, აზერბაიჯანლებთან, რომლებსგანაც ზამთრის სამოვრებს ქირაობდნენ. ამან განაპირობა ისიც, რომ თუშები ვაჟებს, ენის სწავლების მიზნით, ხშირად ერთი წლითაც კი აბარებდნენ თავის აზერბაიჯანელ ყონაღებს. ადრე თითქმის ყველა თუშურ ოჯახში იყო ერთი აზერბაიჯანული ენის მცოდნე, მეენე, რომელიც მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს აგვარებდა.

## დასკვნა

მეცხვარეობა მომგებიანი დარგია, საჭიროა მისი ინფრასტრუქტურის განვითარება-სრულყოფა, მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩრდილო კავკასიის მეცხვარეობასთან ერთად შეიქმნას ერთობლივი ფერმერული მეცხვარეობა, რომელიც ზაფხულობით გამოიყენებდა ჩვენს საზაფხულო სამოვრებს, ზამთარში კი ჩვენი მეცხვარეები გამოიყენებდნენ ყიზლარის ზამთრის სამოვრებსა და ინფრასტრუქტურას.

აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო სამოვრების უმეტეს ნაწილზე, ახლო წარსულში, დიდი უწყლობა აღინიშნებოდა, ეს გარემოება ძალზე მძიმე პირობებს უქმნიდა ამ სამოვრებზე დაზამთრებულ ცხვარსა და საერთოდ მეცხოველეობას. მით უმეტეს, დოლის პერიოდში. ასეთივე წყლის უკმარისობა აღინიშნება ზაფხულის მთის სამოვრებზეც. ზაფხულის მეორე ნახევარში შრება წყლები და გვალვიანობა მყარდება კავკასიონის უმეტეს მაღალმთიან სამოვრებზე.

ამიტომ იყო, რომ მეცხვარეობის განვითარების პრობლემათა შორის, თავის დროზე, რესპუბლიკაში ბუნებრივი სამოვრების გაწყლოვანების საკითხმა ჯეროვანი ყურადღება მიიქცია. აღმოსავლეთ საქართველოში საზამთრო სამოვრების გაწყლოვანება 1955 წელს



დაიწყო და ძირითადად 1965 წელს დამთავრდა. ამ დიდ ღონისძიებას ატარებდა და გაწყოლოვანების ფართო ქსელს ექსპლოატაციას უწევდა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამოვრების გაწყოლოვანების საექსპლოატაციო სამმართველოს კოლექტივი.

რესპუბლიკის შიგნით მოეწყო საზამთრო სამოვრების გაწყოლოვანების ხუთი სისტემა: იალღუჯის, უდაბნოს, ჩათმის, ყარღო-ნატბეურა-ტარიბანისა და პატარა შირაქი-ელღარის გაწყოლოვანების სისტემა.

საზამთრო სამოვრების გაწყოლოვანების ხუთი სისტემის ფარღლებში აშენდა ხუთი მაღალწნევიანი წყალსატუმბი სადღური. ეს სადღურები საზამთრო სადღურებს აწვდიდნენ წამში 85,2 ლიტრს ანუ საათში 306,4 კუბურ მეტრ წყალს. გარდა ამისა, საზამთრო სამოვრების წყლით მომარაგების მიზნით, მოწყობილი იყო წყლის თვითღინების წყალსადენები, რომლებიც საზამთრო სამოვრებს აწვდიდა წამში 15,4 ლიტრს, ანუ საათში 55,6 კუბურ მეტრ წყალს. ე.ი. რესპუბლიკის შიგნით საზამთრო სამოვრების გაწყოლოვანებისათვის წყლის საერთო დებეტი შეადგენდა წამში 100 ლიტრს, ანუ საათში 362 კუბურ მეტრს. ამ წყლით 682865 მეტრის წყალსადენის ქსელის საშუალებით გაწყოლოვანდა 197995 ჰექტარი საზამთრო სამოვრები.

რესპუბლიკის შიგნით საზამთრო სამოვრებზე წყლის განაწილების რეღულირების მიზნით, მოწყობილი იყო სამარაგო წყლის 4700 კუბური მეტრი ტეღადობის 21 დიდი რეზერღუარი. გაწყოლოვანების ყველა სისტემის ფარღლებში მოწყობილი იყო 196 წყალსასმური პუნქტი, 196 მცირე (10 კუბური მეტრის ტეღადობის თითო) წყლის გამანაწილებელი რეზერღუარი, პირუტყვის 196 წყალსასმური ნავით, შესაბამისი წყალსადენის მოწყობილობით. ამიტომ, სამარაგო წყლისა და გამანაწილებელი წყალსატეღების საერთო ტეღადობა რესპუბლიკის შიგნით საზამთრო სამოვრებზე 6660 კუბურ მეტრს შეადგენდა. გარდა აღნიშნულისა, საზამთრო სამოვრების გაწყოლოვანების სისტემაში აიგო პირუტყვის გასაბანი 89 აბაზანა, 69 სათბობ სადღეზინფექციო მოწყობილობა, 28 საღარაჯო სახლი 10944 კუბური მეტრის საცხოვრებელი მოცულობით, 48 ცხენის 24 თავლა და ა.შ.

ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი საზამთრო სამოვრების გაწყოლოვანების სისტემა, მოუღლელობის გამო, გამოსულია მწყობრიდან, მეცხვარეობა დიდ ზარალს განიცდის. სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში, აგარარული რეღორმების გატარების პირობებში, დაუყოვნებლივ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ზამთრის სამოვრების გაწყოლოვანების, ამ ძვირღასი წამოწყების, დროულად აღდგენა-ფუნქციონირებას.

მეცხოველეობის საკღების დამზადებას და შენახვას ყოველთვის თან ახლავს საკღები მასის ხარისხოზრივი და რაოდენოზრივი დანაკარღები. მაგრამ, დღეისათვის საკღების დამზადებისა და შენახვის არსებული თანამედროვე ტეღნოლოგიები უკვე ამ დანაკარღების აღმოღზვისაკენ არის მიმართული. ერთ-ერთი ამ კატეგორიის ტეღნოლოგიას მიეკუთვნება „შეფუთული სენაჟის“ წარმოების ტეღნოლოგიაც. ამ ტეღნოლოგიის დროს საერთო დანაკარღების რაოდენობა შეადგენს 10%-ს, მაშინ როდესაც სხვა ტეღნოლოგიებით საკღების დამზადების და შენახვის დროს დანაკარღების რაოდენობა 30-50%-ია. „შეფუთული სენაჟის“ დამზადების დროს აღარ არის საჭირო ორმოები, ტრანშეები, თივის ფარდღულები, საკღები კულტურების დამატებითი ფართობები, იზოგება საწვავი, სასოფლო-სამეურნეო ტეღნიკური საშუალებები, ადამიანური რესურსები.

სამწუხაროდ, ჩვენს მეცხვარეობაში იღნორირებული იყო და არის სენაჟისა და სილოსის დამზადება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორები და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მიდგომები საქართველოში. თბილისი „მეცნიერება“, 2004
2. ბელელაური გ. მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივა დავით გარეჯში. რეცენზ. ელექტრ. სამეცნ. ჟურნალი, 2010, № 25
3. ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე. „მერიდიანი“, თბილისი, 2006
4. ვაჟა-ფშაველა ხევსურები, თხზ. სრული კრებული ტ. ვხ თბილისი, 1964.
5. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა. „მეცნიერება“ 1982
6. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. „მეცნიერება“, თბილისი, 2003
7. საქართველოს კანონი (საქართველოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ) საქართველოს საკანონმდებლო მაცნე № 42, 2005
8. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. „მეცნიერება“, თბილისი, 2003
9. ქუმსიშვილი ვ. მომთაბარე მეცხვარეობის ტექნოლოგია ინტენსიფიკაციის საფუძველზე „განათლება“, თბილისი, 1983
10. ქუმსიშვილი ვ. მატყლმცოდნეობა. „ცოდნა“. თბილისი, 1961
11. ქათამაძე დ. ცოტაძე მ. მეცხვარის ცნობარი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974
12. ყამარაული ს. საქართველოს სსრ მეცხვარეობის ინტენსიფიკაციის საკითხები. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979
13. წიკლაური ქ. მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალმთიანეთში. თბილისი, 2002
14. ჯანიაშვილი ი. მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974

*Temgiz Kavtaradze*

### **FOOD PROCESSING MODERN ECONOMIC PROBLEMS IN GEORGIAN OX BREEDING**

#### **Summary**

In Georgia ox breeding is quite well developed. This field in republic economy has important place. Its development level is conditioned by specific natural in Georgia – ox winter and spring pasture; Georgian ox is giving special taste of meat, high quality carpet wool and cheese and it is famous outside of our republic.

Demolition of social farming, massive land privatization, disruption of social agricultural infrastructure, lost in Caspian region of 200 ha winter pastures, has caused ox breeding field huge decrease, was violated between mountain and lowland economic links. Which caused by migration from mountain villages.

Ox breeding is profitable field, which is necessary for development of infrastructure, approaching to world standards and improving competitiveness. By this viewpoint we expediently believe with North Caucasus has to be make joint ox breeding farms, we would be use our spring pastures and our shepherds will be use Kizlar winter pastures and infrastructure.

Livestock food processing and keeping always has food mass quality and quantitative losses. But today food keeping and processing modern technologies now can reduce food processing its keeping losses. One of this category technology belongs to “Packaging senage” processing technology. In this technology quantity of total losses is 10%, when the other technologies food processing and its keeping losses quantity is 30-35%. During processing of “Packaging senage” is not necessary to do holes, tranches, hay sheds, additional food cultures area, fuel economy, agricultural technical facilities, human resources.

Unfortunately, in our ox breeding was and are ignored processing of senage and silo.

ლიანა ქართველიშვილი  
ლაშა ქურდაშვილი  
მარიამ ხეცურიანი  
ბონდო ფანჩვიძე

## გარემოს პირობების გათვალისწინება ტურისტულ ინდუსტრიაში

**ანოტაცია.** საქართველოს ტურიზმის სექტორს უდიდესი პოტენციალი აქვს. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით აქტუალური ხდება რეგიონული ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება. რეგიონული ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა განისაზღვროს ქვეყნის მარკეტინგული სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც ვლინდება ამა თუ იმ სფეროს საბაზრო შესაძლებლობები.

ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედება, მისი გავლენა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, ტურიზმის მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების კვლევების გაღრმავების აუცილებლობას განაპირობებს, რომელიც საშუალებას იძლევა კომპლექსურად გადაწყდეს ადგილობრივი მოსახლეობის გადარჩენის, ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები. მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს ისეთი წინააღმდეგობების აღმოფხვრას, როგორცაა ბუნებრივი გარემოპირობების დაცვისა და ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნების შეუთანხმებლობა.

ტურიზმის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს კლიმატი, რომელიც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით მოგზაურობისა და დასვენების თვალსაზრისით. ტურისტული რესურსების ანალოგიურად, კლიმატიც განიცდის ცვლილებას. აქედან გამომდინარე, უცნობია, თუ რამდენად იქნება ხელსაყრელი ტურიზმის ინდუსტრიისათვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგები. მამასადამე, კლიმატი ადამიანების კონტროლს არ დაექვემდებარება, ამიტომ ტურიზმის ინდუსტრია თავად უნდა მოერგოს დედამიწაზე მიმდინარე პროცესების შედეგად წარმოქმნილ ჰავის თავისებურებებს.

\*\*\*

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და მაღალშემოსავლიანი სექტორია. ტურიზმის ინდუსტრია ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების ზრდას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას, გარემოს დაცვას, ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაციას და კულტურათა დაახლოებას. შესაბამისად, ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია.

გარე სამყაროს გავლენა ყველაზე ერთნაირი არაა, ამიტომ გარემო პირობების ტურიზმზე ზემოქმედების განხილვისას, მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ გარემოს ზემოქმედების ყველაზე არსებითი ფაქტორი და გამოვიძიოთ მათზე ზემოქმედების ეფექტიანი ხერხები. ეკონომიკა და ტურიზმი მჭიდროდ ურთიერთზემოქმედებენ ერთმანეთზე. ამასთან, ტურიზმი ურთიერთკავშირშია ისეთ საზოგადოებრივ სისტემებთან, როგორცაა ეკონომიკა, ეკოლოგია, სოციალური გარემო, პოლიტიკა, ტექნოლოგია და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე ტურიზმის სფეროში ძალზედ მაღალი კონკურენციაა, საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივა საკმაოდ ოპტიმისტურია. ტურისტული ბაზრისა და მასთან დაკავშირებული დარგების ფუნქციონირებას მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი აქვს, რომელზედაც მოქმედებს მრავალი ფაქტორი. ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების პირველადი ფაქტორებია ბუნებრივ-კლიმატური, ხოლო მეორადი ფაქტორებია ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური და სხვა.

მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ (მმო) ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები ტურიზმის მხარდასაჭერად. იგი უზრუნველყოფს მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციაში (მტო) შემავალ ქვეყნებს ადრეული გაფრთხილებებით ბუნებრივი კატასტროფების, მცინვარების უკან დახვევის, წყლის რესურსების და კლიმატის ცვლილების შესახებ. მტო მჭიდროდ თანამშრომლობს მმო-სთან. კლიმატისა და ექსტრემალური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პროგნოზები, რასაც იძლევა ეროვნული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელ პირობებში, ვინაიდან კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე თავი იჩინა რეგიონულმა კლიმატურმა ვარიაციებმა.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის ბიზნესში, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასებისას, როგორც ეკოლოგიური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, გარემოს და კლიმატის ზემოქმედების სრულფასოვანი შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარება უშუალოდაა დამოკიდებული მოცემული რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ტოპოგრაფიაზე, მცენარეულ საფარზე, ამინდსა და კლიმატზე. ამინდი და კლიმატი არის ის ორი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ადგილის ბიოკლიმატურ რესურსებს განსაზღვრავს. ამიტომ ამ რესურსების გამოკვლევას, რომელიც აუცილებელია საკურორტო-ტურისტული დარგის ორგანიზაციისა და განვითარებისათვის, ბევრ ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა.

კლიმატი ახდენს ტურიზმზე, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ გავლენას. ტურიზმის სექტორში კლიმატი ძირითადია ტურისტებისათვის. არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს და მათ ცვლილებას შეუძლია გავლენა იქონიოს ტურისტულ ნაკადზე ან ტურისტული საქმიანობის სეზონურ მონაცვლეობაზე. ტურიზმის სეზონურობა და ცვლილებები სამომხმარებლო სექტორში, რაც განპირობებულია კლიმატური ვარიაციებით, ზეგავლენას ახდენს ტურიზმის მონათესავე სექტორებზეც. ტურიზმის სფეროში სეზონურობის შესწავლა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გავლენის ხარისხი ტურისტული პროდუქტის ფორმირებაზე, გამოვლინდეს ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს სეზონურობას ტურიზმში, შემუშავდეს ღონისძიებების სისტემა სეზონურობის არათანაბრობის შესამცირებლად.

ტურიზმის ობიექტი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ტურისტული დაწესებულება, ტურისტული მომსახურების ორგანიზაცია და ტურისტული რეგიონი. მოგზაურობისას ტურისტს აქვს უფლება ისარგებლოს მომსახურეობის კომპლექსით, რომელიც მას მიეწოდება კონკრეტულ ადგილას ან რეგიონში. თავის მხრივ, მიმზიდველი პირობების გამო, ეს ადგილები ტურიზმის ცენტრს წარმოადგენს.

ტურისტი მოგზაურობისას ირჩევს ტურისტულ მარშრუტს, რომლის დროსაც ერთმანეთს ადარებს, როგორც ტურისტული ადგილის ბუნებრივ პირობებს, ისე მომსახურეობის დონეს. პროდუქტი, რომელსაც უკვეთავს ან ყიდულობს ტურისტი, შედგება მომსახურებისაგან, რომელსაც სთავაზობენ ტურისტს კონკრეტულ ტურისტულ რეგიონში. ტურისტულ რეგიონს უნდა გააჩნდეს ტურისტული ცენტრი, სადაც შექმნილი იქნება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ტურისტების განთავსებისა და დასვენების მიზნით.

ტურისტულ ინდუსტრიაში მიღებულია ტურისტული რეგიონის განსაზღვრის რამდენიმე საკითხი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული შემდეგი საკითხების განსაზღვრასთან: როგორ შეიძლება განისაზღვროს ტერიტორია, რომელსაც ტურისტი ირჩევს სამოგზაუროდ, რომელიც აირჩევა სხვადასხვა საბაზრო სექტორების მიერ.

მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (მტო-ს) მიერ განისაზღვრება ტურისტული რეგიონი, რომელსაც გააჩნია მომსახურეობის ფართო ქსელი. თავის მხრივ, ტურისტული რეგიონისათვის მომსახურეობის ქსელი საჭიროა დასვენებისა და გაჯანსაღების ორგანიზაციისათვის. აქედან გამომდინარე, ტურისტული რეგიონი არის ადგილი, რომელსაც გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამავდროულად შეიძლია ტურისტების მომსახურება.

ამრიგად, ტურისტული რეგიონი არის მოგზაურობის მიზანი და ტურისტული პროდუქტი. გარდა ამისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ განმარტების გამომდინარეობა

მომხმარებლის ინტერესებიდან. ამასთან ერთად, გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს გეოგრაფიული ტერიტორია, რომელმაც სარგებლობა უნდა მოუტანოს ტურისტს. უმეტეს შემთხვევაში ასეთი ტერიტორიების შერჩევა არღვევს პოლიტიკურ საზღვრებს.

ტურისტული რეგიონის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს დამსვენებლის ინტერესები, რომლის დროსაც გამოიყოფა ოთხი ძირითადი პარამეტრი: ადგილი, ლანდშაფტი, საცხოვრებელი და ექსკურსიები.

რეგიონული ტურიზმი შედგება ორი ძირითადი ასპექტისაგან: გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური. გეოგრაფიული ასპექტი ასახავს რეკრეაციული რესურსების ტერიტორიულ განაწილებას, მოცემულ ტერიტორიაზე ტურისტების მიზიდვის საშუალებას, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი აჩვენებს ტერიტორიის რეკრეაციული რესურსების ათვისებას, რომელიც განაპირობებს მოცემული რეგიონის ადგილს ტურისტულ ბაზარზე. პირველი მიდგომა წარმოადგენს ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს, ხოლო მეორე წარმოადგენს მოცემული რეგიონის ტურისტული საქმიანობის შედეგს. აქედან გამომდინარე, ტურისტული რეგიონი ფასდება, როგორც დასვენების ორგანიზატორების, ასევე ადგილობრივი ან ჩამოსული დამსვენებლის მიერ.

რეგიონის, როგორც ცალკეული ერთეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება დიდი ხნის მანძილზე. რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა დარგების და მათი ბაზრების, აგრეთვე მოსახლეობისა და გარე სამყაროს ურთიერთმოქმედება.

ტურისტული პროექტების განხორციელებას ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც კეთილგანწყობილია ტურიზმის მიმართ. რეგიონული ტურიზმი წარმოადგენს მეურნეობის განვითარების წინაპირობას, რომელიც შემდეგი ძირითადი მიმართულების მიხედვით ხასიათდება:

- 1) ტურისტული მარშრუტები და მისი სტრუქტურა;
- 2) ტურიზმის თავისებურებანი კონკრეტულ რეგიონში;
- 3) ტურიზმის სახეები და ფორმები;
- 4) ტურისტული პოლიტიკის სპეციფიკა და ტურისტული ორგანიზაციების დამოკიდებულება;
- 5) ტურიზმის ეკონომიკური როლი რეგიონის სამეურნეო სტრუქტურაში;
- 6) მოცემულ რეგიონში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები.

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტიულ მიმართულებას ტურიზმი და სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტურიზმს, როგორც მომსახურეობის სფეროს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების დადებით მხარეებს წარმოადგენს ეკონომიკის ზრდა, უმუშევრობის დონის შემცირება, ისტორიულ-კულტურული პოპულარიზაცია. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტურიზმს, ხოლო ტურიზმის განვითარების წინაპირობას ტურისტული რესურსების პოტენციალი წარმოადგენს.

საქართველოს მიმართ ინტერესი უძველესი დროიდან არსებობდა, ვინაიდან რესურსული პოტენციალის მნიშვნელობის მხრივ იგი ერთ-ერთ გამორჩეულ ქვეყანას წარმოადგენს. მას საკურორტო საქმიანობით დიდი პოტენციალი გააჩნია თავისი გეოგრაფიული, კლიმატური, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამო.

ტურიზმის განვითარებისათვის დიდ როლს ასრულებს რაიონის გეოგრაფიული მდებარეობა. უნდა აღინიშნოს ზღვასთან, მთისა და ტყის მასივებთან სიახლოვე და სანაპირო ზოლის თავისებურებები. რეგიონში ტურისტული რესურსების არსებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის, ხოლო რეგიონული ტურიზმის განვითარებაზე გავლენას ახდენს ეკონომიკური და სოციალური ფაქტორი.

ტურისტული რესურსები სამი მახასიათებლით ხასიათდება:

1. ტურიზმის სექტორისათვის ტურისტული რესურსები განიხილება ეკონომიკური ღირებულების მქონე მატერიალურ ობიექტებად;

2. ტურისტული რესურსებით, გარდა ტურისტებისა, სარგებლობს სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მოსახლეობა, რომელის ადგილობრივ რესურსებს იყენებს;

3. ტურისტული რესურსები არამდგრადი ხასიათისაა. შესაბამისად, ტურისტული ზეწოლის გამო მათი ცვლილება და ნგრევა გარდაუვალია.

რეგიონული ტურიზმის განვითარება დამოკიდებულია ტერიტორიის სიდიდეზე, ბუნებრივ პირობებზე და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორზე. რეგიონული ტურიზმის განვითარებით კი მთლიანად ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხარისხი იზრდება.

რეგიონული ტურიზმი წარმოადგენს რთულ ორგანიზებულ სისტემას თავისი სტრუქტურითა და შინაარსით, რომელიც შემდეგი ელემენტებისაგან ფორმირდება: რეკრეაციული რესურსები, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიური და პირადი უსაფრთხოება და ა.შ. ამ ელემენტების ერთობლიობა ტურისტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება.

ტურისტული რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავება რეგიონული ტურიზმის განვითარების აქტუალური პრობლემაა, რომლის გადაჭრის გზას წარმოადგენს ტერმინოლოგიური აპარატის არსებობა, რომელიც ასახავს ტურისტული რესურსების არსსა და ხასიათს.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კლიმატური რესურსები. 2008 წელს მმო-ს და მტო-ს მიერ პირველად იქნა მიღებული რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ამ ორგანიზაციებში შემავალ ქვეყნებში აუცილებელია შეფასდეს სხვადასხვა ტურისტული რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი და დამუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები. საქართველო, როგორც ორივე ორგანიზაციის წევრი, აუცილებლად მიიჩნევს, რომ ხელახლა უნდა შეფასდეს ქვეყნის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი. საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატური პირობები ქმნის ტურიზმის განვითარების უზარმაზარ პოტენციალს. თუმცა, საქართველოში კლიმატური პოტენციალის განსაზღვრა ტურიზმის სტანდარტების შესაბამისად, ისევე, როგორც ეს არის მიღებული განვითარებულ ქვეყნებში, ჯერ-ჯერობით ვერ განხორციელდა. ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოში პოტენციური ტურისტების მოზიდვაზე.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად გამოიყენებოდა კლიმატური ინდექსები. არსებობს 200-ზე მეტი კლიმატური ინდექსი. ტურიზმის კლიმატური ინდექსი იყოფა სამ კატეგორიად. ელემენტარული კლიმატური ინდექსები წარმოადგენს რამდენიმე მეტეოროლოგიური პარამეტრის მნიშვნელობათა სინთეზს, მაგრამ იგი არ შეიცავს ბიმეტეოროლოგიურ ინფორმაციას და ამდენად, ნაკლებად მისაღებია ტურისტულ ინდუსტრიაში რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად.


ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად პირველად საქართველოს პირობებში გამოყენებული იქნა ტურიზმის კლიმატური ინდექსი (Tourism Climatic Index – TCI), რომელიც განისაზღვრება სხვადასხვა მეტეოროლოგიური ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, ფარდობითი სინოტივე, მზის ნათების საშუალო ხანგრძლივობა) შეხამების საფუძველზე. ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მიზნით აუცილებელია ტურისტული რესურსების პოტენციალის დადგენა სეზონების და თვეების მიხედვით. TCI-ის საშუალებით კი მხოლოდ წლიური მნიშვნელობები გამოითვლება. ამავ დროს ამ ინდექსში კომპლექსურად არ არის ჩართული თერმოფიზიოლოგიური კომპონენტი, რომელიც აუცილებელია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად. ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მიზნით აუცილებელია ტურისტული რესურსების პოტენციალის დადგენა სეზონების და თვეების მიხედვით. ამავ დროს ამ ინდექსში კომპლექსურად არ არის ჩართული თერმოფიზიოლოგიური კომპონენტი, რომელიც აუცილებელია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესაფასებლად. ამიტომ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შესაფასებლად, გამოყენებულ იქნა ტურიზმის კლიმატური ინდექსი TCI,

რომელიც მიღებულია მმო-ს მიერ. ინდექსი შეიცავს შვიდი პარამეტრის კომბინაციას, სამი არის დამოუკიდებელი, ხოლო ორი კი წარმოადგენს ბიოკლიმატურ კომბინაციას.

$$TCI = 8 \cdot C_{ld} + 2 \cdot C_{la} + 4 \cdot R + 4 \cdot S + 2 \cdot W$$

საკვლევი პარამეტრების შედარება მოხდა ორი 30-წლიანი პერიოდისთვის, I (1956–1985 წლები) და II (1986–2015 წლები) სტიუდენტის კრიტერიუმის მიხედვით, როდესაც  $\alpha \leq 0.15$ . განსაზღვრულია TCI ინდექსის და მისი შემადგენელი პარამეტრების ცვლილებათა კანონზომიერებანი საქართველოს 12 ტურისტული დანიშნულების ადგილისთვის რეგიონების მიხედვით. მონაცემთა ანალიზისას გამოყენებული იქნა მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები. TCI ინდექსის თვიური მნიშვნელობები 1956-2015 წლებში მესტიაში იცვლება 34-დან (კატეგორია „არახელსაყრელი“, იანვარი) 95-მდე (კატეგორია „იდეალური“, სექტემბერი-ოქტომბერი). TCI-ის საშუალო თვიური მნიშვნელობები დაკვირვების მთელ პერიოდში შეიცვალა 56.2-დან (კატეგორია „სასიამოვნო“, იანვარი) 83.5-მდე (კატეგორია „შესანიშნავი“, აგვისტო).

**ნახაზი I - TCI ინდექსის საშუალო თვიური მნიშვნელობები დაკვირვების სამ პერიოდში, მესტიაში**



მესტიაში TCI ინდექსის საშუალო თვიური მნიშვნელობების ტრენდს დაკვირვებათა მთელი პერიოდისათვის ზოგადად აქვს უარყოფითი ტენდენცია. TCI-ის მნიშვნელობების ნიშნადი წრფივი უარყოფითი ტრენდი დაიკვირვება იანვარში, ივლისში, აგვისტოში, დეკემბერში, წლის ცივ და თბილ პერიოდში და აგრეთვე მთელი წლის მანძილზე. საშუალო თვიური და სეზონური მნიშვნელობების შესამჩნევი შემცირება მეორე პერიოდში პირველთან შედარებით აღინიშნა იანვარში, ივლისსა და აგვისტოში, ცივ და თბილ პერიოდსა და მთლიანად წლის მანძილზე.


1956–2015 წლებში, TCI ინდექსის მნიშვნელობის უდიდესი განმეორებადობა აღინიშნა კატეგორიით „შესანიშნავი“ (29.3%), უმცირესი კი კატეგორიით „არახელსაყრელი“ (0.1%). მესტიაში ხელსაყრელი ბიოკლიმატური პირობებია დაკვირვების სამივე პერიოდში. მეორე პერიოდში (1986–2015 წლები) პირველთან (1956–1985 წლები) შედარებით მესტიაში კლიმატის ცვლილებამ განაპირობა ტურიზმის კლიმატური ინდექსის (TCI-ის) კატეგორიების ცვლილება. TCI-ის კატეგორია „სასიამოვნოს“ განმეორებადობა გაიზარდა 21.7%-დან 30.0%-მდე (შესაბამისად 79 დღიდან 110 დღემდე წელიწადში). კატეგორია „კარგი“ შემცირდა 29.3%-დან 19.7 %-მდე (108 და 72 დღე წელიწადში), კატეგორია „ძალიან კარგი“ გაიზარდა 13.9% -დან 19.2%-მდე (51 და 70 დღე წელიწადში). კატეგორია „შესანიშნავი“ შემცირდა 30.3 %-დან 28.3 %-მდე (111 და 103 დღე წელიწადში).

ტურისტულ ბიზნესზე კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების დადგენის მიზნით, განსაზღვრულ იქნა TCI ინდექსის საშუალო თვიური, საშუალო წლიური და საშუალო სეზონური მნიშვნელობები სამი ოცდაათ წლიანი

პერიოდისთვის: საბაზისო პერიოდი (1986-2015 წლები), პირველი საპროგნოზო პერიოდი (2041-2070 წლები) და მეორე საპროგნოზო პერიოდი (2071-2100 წლები).

კლიმატის ცვლილების შედეგად მესტიამი მოსალოდნელია TCI კატეგორიების უმნიშვნელო ცვლილება. პირველ საპროგნოზო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით მარტში, მაისსა და ოქტომბერში, ასევე თბილ პერიოდში და მთლიანად წელიწადში კატეგორიის გაუმჯობესებაა ერთი საფეხურით (მწვანე უჯრები). ერთი საფეხურით გაუარესებაა ივლისსა და აგვისტოში (იასამნისფერი უჯრები). მეორე საპროგნოზო პერიოდში, კატეგორიის ერთი საფეხურით გაუმჯობესებაა მარტში, მაისსა და ოქტომბერში, ასევე მთლიანად წელიწადში, ერთი საფეხურით გაუარესება კი ივნის-აგვისტოში. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილება ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მესტიის ტურისტულ პოტენციალზე.

**ნახაზი II -TCI -ის საშუალოთვიური, საშუალოწლიური და სეზონური მნიშვნელობები მესტიამი (1986-2015, 2041-2070 და 2071-2100 წლები)**



დადგინდა, რომ საქართველოში კლიმატის მოსალოდნელი ცვლილება ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მისი ტურიზმის ბიოკლიმატურ რესურსებზე (TCI-ზე). შესაძლებელია მხოლოდ გამოიწვიოს TCI-ის კატეგორიის ცვლილება ერთი საფეხურით ზრდის ან შემცირების მიმართულებით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბიოკლიმატური პირობები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და მომავალშიც არ უნდა ველოდოთ მათ არსებით ცვლილებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება კლიმატის ცვლილების ფონზე, ლ. ქართველიშვილი, ა. ამირანაშვილი, ლ. მეგრელიძე, ლ. ქურდაშვილი, Tbilisi – 2019
2. Amiranashvili A., Amiranashvili V., Kartvelishvili L., Nodia Kh., Khurodze T. Influence of Air Effective Temperature and Geomagnetic Storms on the Population of Tbilisi City. Trans. of the Institute of Hydrometeorology, vol. 115, ISSN 1512-0902, Tbilisi, 18 – 19 November, 2008a, pp. 434–437, (in Russian)
3. Amiranashvili A., Chargazia Kh., Matzarakis A., Kartvelishvili L. Tourism Climate Index in the Coastal and Mountain Locality of Adjara, Georgia. International Scientific Conference “Sustainable Mountain Regions: Make Them Work”. Proceedings, Borovets, Bulgaria, ISBN 978-954-411-220-2, 14-16 May, 2015c, pp. 238-244, <http://geography.bg/MountainRegions Sofia2015>



*Liana Kartvelishvili  
Lasha Kurdashvili  
Mariam Khetsuriani  
Bondo Panchvidze*

## THE SIGNIFICANCE OF NATURAL ENVIRONMENT IN TOURISM INDUSTRY

### Summary

Georgia's tourism sector has a great potential. In last period, the development of regional tourism industry has become especially topical. For the development of regional tourism it is necessary to define the marketing strategy of the country, through which the market opportunities of this or that field are revealed.

The economic impact of tourism, its impact on the principles of sustainable development in the social and natural environment, necessitates the deepening of studies on the state of tourism and development perspectives, which allows to solve complex problems related to the survival of the local population, protection of natural resources and cultural heritage. Sustainable tourism helps to eliminate obstacles such as disagreement over the goals of protecting the natural environment and ensuring the development of the local population's economy.

Climate is a very important factor for travelers all around the world and because of that, it has a powerful impact on tourism development. However, due to climate changes, it's unknown if tourism will be still useful in a few years.

In conclusion, It is beyond human possibilities to control climate, so they should control tourism instead. Tourism should adjust to active processes on earth, like climate.

*ქეთევან ქველაძე  
მედეა მელაშვილი  
ნუნუ ქისტაური*

### გასტრონომიული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში (უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით)

**ანოტაცია.** წელიწადზე მეტია საქართველოს ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკების მსგავსად, მედიცინის მძევლად იქცა, რის გამოც ქვეყნის ეკონომიკური დარგები ლოკდაუნში აღმოჩნდა. ამ დარგებს შორისაა ტურიზმის დარგი, რომელმაც პანდემიის გამოჩენის პირველივე დღიდან ყველაზე დიდი დარტყმა განიცადა. ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას, როგორცაა ტურიზმის დარგის პანდემიით გამოწვეული პრობლემების დაძლევისა და მართვის მექანიზმების შემუშავება, სადაც ყველაზე სწორ გზად მიიჩნევა შიდა ტურიზმის ამოქმედება და უსაფრთხო ტურისტული ზონების შექმნა, ამის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა იქნება გასტრონომიული თვალსაზრისით რეგიონების აქტიური კვლევა და ერთ-ერთი მთავარი ტურისტული პრიორიტეტი კი - გასტრონომიული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ნაშრომში შესწავლილია ქვეყანაში გასტრონომიული ტურიზმის განვითარების ზოგადი ეკონომიკური ასპექტები და პერსპექტივები უცხოური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე მათი გადაჭრის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** გასტრონომია, გასტრონომიული ტურიზმი, ბრენდი, გასტრო ტურპროდუქტი, ფერმერი, შიდა ტურიზმი.

\*\*\*

გასტრონომია, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი, დღეს აქტიურად გამოიყენება არა მარტო ტურისტულ ბიზნესში, არამედ წარმოადგენს „შთაბეჭდილებათა ეკონომიკის“ მნიშვნელოვან ნაწილს. გასტრონომია - ეს არის კულტურის დარგი, რომელიც დღეს არა მარტო პოპულარულია, არამედ მოგების მიღების წყაროს როლსაც ასრულებს. გასტრონომიას ტურისტულ და ფინანსურ ნაკადებზე მოქმედ წონად ფაქტორს უწოდებენ. გასტრონომიული ტურიზმი დღეისათვის წარმოადგენს კვლევების საკმაოდ

პერსპექტიულ ობიექტს. გასტრონომიული ტურიზმი არის როგორც ეკონომიკური, ისე მწარმოებლური საქმიანობის სფერო - დარგი, სადაც ნათლად გამოვლინდება გლობალიზაციის თანამედროვე პროგრესის სპეციფიკურობა და მასშტაბურობა, რაც უდიდეს გავლენას ახდენს პოლიტიკაზე ტურიზმის სფეროში და ზოგადად ეკონომიკაზე.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, გასტრონომიული ტურიზმი ბოლო წლებში იკავებს მე-3 ადგილს მოგზაურობების მთავარ მოტივატორთა შორის.

მისი არსი წარმოდგენილია მოგზაურობებით, რომლებიც მიზნად ისახავს ტურისტებისთვის საკვების, სასმელების და აგრეთვე კერძების გაცნობას. უნდა აღინიშნოს, რომ გასტრონომია მოიცავს ე.წ. ნედლეულს (კვების პროდუქტი, სასმელი), ხოლო კულინარია ეხება ამ ნედლეულის დამუშავების ან საკვების მომზადების მეთოდების, ტექნოლოგიების გარკვეულ სისტემას, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კარგად ფუნქციონირებადი ტექნოლოგიური პროცესები, მოწყობილობები და რეცეპტები. ამრიგად, გასტრონომია უფრო ფართო კონცეფციაა.

გასტრონომიული ტურიზმის საფუძველს წარმოადგენს გასტრონომიული ბრენდები, რომელთა შექმნის პროცესში პირველ ადგილზე დგას პროდუქტის ხარისხი, პერსონალის სწავლების დონე და ფანტაზიის უნარი. მისი ფორმირება კი ხდება პროფესიონალების მიერ - რესტორატორები, შეფ-მზარეულები, გასტროენტუზიასტები, შემდეგ კი - ბიზნესი. ბრენდის სიძლიერის სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს ინოვაციებმა, არსებული პროდუქციის ხარისხის კიდევ უფრო სრულყოფამ. მაგ., დღეს ტრენდული ინოვაცია გახდა მოლეკულური სამზარეულო, ასევე ტკბილი და ცხარე პროდუქტების შეხამება.

UNWTO (United Nations World Tourism Organization)-ს კულინარიული ტურიზმის ანგარიშის თანახმად, ზოგადად გამოკითხულთა 88,2% თვლის, რომ გასტრონომია არის დესტინაციის ბრენდის შექმნის ძირითადი ელემენტი; 67% თვლის, რომ მათ ქვეყანას გააჩნია საკუთარი გასტრონომიული ბრენდი; 32%-ს სჯერა, რომ მათ ქვეყანას აღნიშნული მიმართულების განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

გასტრონომიული ტურისტული პოტენციალის განვითარების ერთ-ერთი პუნქტია კონგრესების, გამოფენების, ფუდფესტივალების, კულინარიული დღესასწაულების და სხვ. ღონისძიებების ორგანიზება. გასტრომოგზაურთათვის ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა კულინარიულ მასტერკლასებში მონაწილეობა.

დღეს ერთ-ერთი გლობალური ტენდენციაა გასტრონომიული ტურიზმის მზარდი ბაზარი, ამასთან, ეს ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე დინამიურია ტურიზმის სფეროში. გასტრონომიული ტურიზმის სწრაფი განვითარება ხორციელდება მომხმარებელთა უპირატესობის მინიჭების სისტემის მუდმივი ცვლილების ხარჯზე. ბარსელონას ერთ-ერთმა მკვლევართა ცენტრმა (Barcelona Field Studies Centre) აღნიშნა რამდენიმე მსოფლიო ტენდენცია: პირველი - „მოსახლეობის დაბერებამ“ და ცხოვრების წესის ცვლილებამ გამოიწვია საზოგადოებრივი კვების ობიექტების პოპულარობის ზრდა; მეორე - მსოფლიოში ადგილი აქვს „მაკდონალიზაციის“ პროცესზე უარის თქმას; მესამე - გაიზარდა კულინარიული არხებისა და პროგრამების რაოდენობა ტელევიზიაში. სწორედ ეს იპყრობს ტურისტების ყურადღებას ტურების დაგეგმვისა და განხორციელებისას. გასტრონომიული ტურიზმის ყველაზე განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ამ სახეობის განსავითარებლად პირობები ნებისმიერ ქვეყანას აქვს. გასტრონომიულ ტურიზმს არ აქვს სეზონური ხასიათი და, ასევე, გასტრონომიული ტური შეიძლება ნებისმიერი ტურისტული მარშრუტის შემადგენელი ნაწილი გახდეს. აგროტურისტული მომსახურების მთავარი მომხმარებლები ძირითადად ინდივიდუალური ვიზიტორები ან მათი მცირე ჯგუფები და ტუროპერატორების მიერ ორგანიზებული ჯგუფები არიან. ფერმერების ბაზარზე წარმოჩენა და ჩართვა ტურისტულ შეთავაზებებში - „ვიზიტი ფერმერებთან“ - ძირითადად შემომყვანი ტუროპერატორების 90%-ის მიერაა ინიცირებული და მათი ტურპაკეტის შემადგენელი ნაწილია. მათ შორის არიან ღვინის და გასტრონომიულ ტურებზე ორიენტირებული ტურისტული სააგენტოებიც, რომელთა შეთავაზებები ძირითადად ფერმერული მეურნეობებით და სოფლის ლანდშაფტებით შემოიფარგლება. აგროტურისტული მეურნეობების მიერ ბაზარზე ნაკლებად არის წარმოდგენილი სრულად “შეფუთული”

აგროტურისტული პაკეტები. მეწარმეებს არ აქვთ გამიჯნული ტურისტული და არატურისტული გზით გაყიდული შემოსავლები. მათ შემოსავალს, გარდა ტურისტული მომსახურებებისა, აგრეთვე წარმოადგენს პროდუქტების რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე.

გასტროპროდუქტების იწარმოება სამრეწველო და კუსტარული ფორმით. პირველ შემთხვევაში ტურისტები მოინახულებენ მეღვინეობის, ყველის წარმოების, საკონდიტრო, ხილის გადამამუშავებელ, ლუდის მწარმოებელ საწარმოებს, სადაც იწარმოება ალკოჰოლი, ყველი, წვენი, შოკოლადი, ნაყინი, კანფეტები, ანუ ყველაზე პოპულარული „სასუსნავი“ ტკბილეული და სასმელები. ტურისტი ამ საწარმოში არა მარტო ხედავს როგორ იწარმოება მისთვის საყვარელი პროდუქტი, არამედ აგემოვნებს კიდევ. ზოგ საწარმოში მასტერკლასებთან და დეგუსტაციასთან ერთად ტურისტს შეუძლია უშუალო მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროცესში - დაფასოება, მორთვა და სხვ.

ზოგიერთ საწარმოს გააჩნია აგრეთვე თავიანთი პროდუქტის (ბრენდის) მუზეუმი, სადაც წარმოჩენილია მისი შექმნისა და განვითარების გზა: ძველებური მანქანა-დანადგარები, დოკუმენტაცია, პროდუქციის პირველი ნიმუშები, აჩვენებენ პროდუქტის შექმნის ისტორიული გზის ამსახველ ფილმებს და სხვ.

კუსტარული მეთოდი მოიცავს წვრილსერიულ წარმოებას. როგორც წესი, მსგავს წარმოებას ეწევიან კერძო მეწარმეები - ფერმერები. აგროინდუსტრიული კომპლექსის სისტემაში კვების მრეწველობა მჭიდროდაა გადახლართული სოფლის მეურნეობასთან, როგორც ნედლეულის წყაროსთან, თუმცა ბოლო წლებში ფერმერები არა მარტივად ნედლეულით ამარაგებენ კვების მრეწველობას, არამედ თვითონაც აწარმოებენ საკუთარ პროდუქციას საკუთარ მცირე საწარმოებში. აქ ნათლად ჩანს გასტრონომიული და აგროტურიზმის მჭიდრო კავშირი.

ხშირად გამოყოფენ სოფლის ტურიზმის ბრიტანულ, გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ მოდელებს. გასტრონომიული ტურიზმისათვის ყველაზე ახლოა ფრანგული და იტალიური მოდელები, რომლებიც ითვალისწინებენ ფერმერის სახლში ცხოვრებას, სუფთა ჰაერზე საქმიანობას - პიკნიკები, თევზაობა, ასევე ფერმერების მეურნეობაში სხვადასხვა ფიზიკური სახის „დახმარებას“: პურის გამოცხობა, ძროხის მოწველა, პროდუქტების წარმოება, ყურძნის დაკრეფა, დაწურვა და სხვა მრავალი. საფრანგეთისა და იტალიის გამოცდილებას თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ პოპულარობით სარგებლობს ის პროდუქტები, რომლებიც წარმოებულია მკაცრად ტექნოლოგიური რეგულაციების მიხედვით, ზუსტად გარკვეული ნედლეულით. მაგ., საფრანგეთის კანონმდებლობაში არსებობს ტერმინი „აპელასიონ“, რაც ნიშნავს წარმოებული პროდუქციისადმი მკაცრი მოთხოვნების, წესების სისტემას, რომელიც აერთიანებს როგორც იურიდიულ ასპექტებს (ნამდვილობას, სავაჭრო მარკას, სასაქონლო ნიშანს), ასევე მარკეტინგს (ბრენდს) და ხარისხის ასპექტებს. მომხმარებელი იმდენად ენდობა ბრენდს, რომ შეიძენს რა AOC (Appellation d'Origine Contrôlée)-ს კატეგორიის პროდუქტს, არ ფიქრობს მის გემოზე, ხარისხზე, ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე, ის ამაში უბრალოდ დარწმუნებულია. ნათელი მაგალითია მსოფლიოში ცნობილი ყველი - „როკფორი“, რომელიც იწარმოება მხოლოდ ფრანგულ ისტორიულ პროვინცია - რუერგში, სადაც მეცხვარეობის განვითარება ათწლეულებს ითვლის. ყველი ცხვრის რძით კეთდება, შემდგომ კი „მწიფდება“ რუერგში არსებულ მღვიმეებში, სადაც იგი სპეციალური ობით იფარება, რაც მას უნიკალურობას სძენს. იტალიის კანონმდებლობაში ასეთი კატეგორიის პროდუქტებს მიაკუთვნებენ „დომინირების კონტროლს და გარანტიას“ - DOCG (Denominazione di Origine Controllata e Garantita - "წარმოშობის კონტროლირებადი და გარანტირებული დასახელება"), რომელიც მოიცავს პროდუქტის გარანტირებულ გეოგრაფიულ და ტექნოლოგიურ თავისებურებებს. DOCG-ი მიზნად ისახავს იყოს DOC-ის (Denominazione di origine controllata - "წარმოშობის კონტროლირებადი აღნიშვნა") უმაღლესი კლასიფიკაცია იტალიაში. მაგ., თითოეული ღვინის მწარმოებლის ყველა DOCG ნიშნიან ღვინოს, ბოთლებში ჩამოსხმამდე, ამოწმებს და დეგუსტაციას უკეთებს მთავრობის მიერ ლიცენზირებულ ექსპერტთა კომიტეტი. დამტკიცების შემდეგ ღვინის ხარისხი "გარანტირებულია" სახურავზე ან კორპზე დანომრილი

სამთავრობო ნიშნით შემდგომი მანიპულირების თავიდან ასაცილებლად. DOCG ნიშნიანი ღვინის შემოწმების წესები, ჩვეულებრივ, მოითხოვს უფრო მკაცრი ხარისხის კონტროლს.

გასტრონომია ტურიზმის ახალ ტენდენციებთან ერთად მოიცავს ყველა ტრადიციულ ღირებულებას, ამა თუ იმ პროდუქტის ბრენდად გადაქცევას, რითაც ტურისტი შეიცნობს ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ადამიანების მენტალიტეტს. ჩვენთან რეგიონული გასტრონომიული ბრენდი შეიძლება გახდეს: რაჭის ლორი, მესხეთის აპოხტი, ბაქმაზი, სვანური თაშმიჯაბი, აფხაზური აბისტა და აშვჩაპანი, ქართლის მთიანეთის ხავიწი, აჭარული ბორანო, მეგრული აჯიკა და სულგუნი, თუშეთის ყველი, ტყემალი, სხვადასხვა მეღვინეების ღვინო და ა.შ..

გასტრონომიული ტურიზმის სხვადასხვა სახეობიდან ბევრ ქვეყანაში გავრცელებულია ე. წ. „სარესტორნე ტურები“, რა დროსაც ტურისტები ეწვევიან ცნობილ რესტორნებს, რომლებიც გამოირჩევა მომსახურების მაღალი დონით, ექსკლუზიური სამზარეულოთი. განსაკუთრებით პოპულარულია „მიშლენის“ ვარსკვლავის მფლობელი რესტორნები. ბოლო დროს დიდი ინტერესით სარგებლობს Slow -Food - ე. წ. „ნელი კვების“ მიმდინარეობა ადრე არსებული Fast-Food - „სწრაფი კვების“ (რაც ახლაც პოპულარულია) კონცეფციის მაგივრად. ამ მიმდინარეობის ძირითად მიზანს წარმოადგენს - სასიამოვნო კვება სასიამოვნო გარემოში. დღეს მსოფლიოს 150 ქვეყანა იზიარებს მოცემულ კონცეფციას.

COVID-19 ვირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე მეღვინეობის დარგზეც. საერთაშორისო ბაზრებზე შემცირებულმა ექსპორტმა და შიდა ბაზარზე ტურისტული სეზონის ჩავარდნამ, დარგი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ქვეყანაში არსებული რთული ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოში არ შეფერხებულა ღვინის ექსპორტისთვის საჭირო ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცედურები, ქართული ღვინის საერთაშორისო სტრატეგიულ ბაზრებზე მარკეტინგული აქტივობები დისტანციური და ონლაინ ფორმატებით ჩანაცვლდა, ორგანიზებულად ჩატარდა რთველი და გაგრძელდა ღვინის ხარისხის მონიტორინგის ღონისძიებები. მიუხედავად ყველა გამოწვევისა, საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი მევენახეობა-მეღვინეობის სექტორში 2020 წელს [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020.:2].

COVID-19 პანდემიის პირობებში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, რთველი 2020-ის შეუფერხებლად ჩატარება და ყურძნის ჭარბი მოსავლის დაბინავება იყო. ამასთან, სახელმწიფოს მთავარი ამოცანა, ღვინის ინდუსტრიის ბოლო წლების სტაბილური განვითარების დადებითი დინამიკის შენარჩუნება იყო. არსებული გამოწვევების ფონზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რთველი 2020-ის სუბსიდირება განხორციელდა. სუბსიდიის მიღებას დაექვემდებარა ის ღვინის კომპანია, რომელმაც მევენახისგან შეისყიდა და გადაამუშავა კახეთის რეგიონში მოწეული, არანაკლებ 1000 ტონა რქაწითელის ან კახური მწვანის ჯიშის ყურძენი. ამასთან, შესყიდულ 1 კგ ყურძენში ყურძნის ჩამბარებელს გადაუხადა არანაკლებ 0,80 ლარი. 1

კვ ყურძნის შესყიდვისას, ღვინის კომპანიებზე გაიცა სუბსიდია: 1 კვ რქაწითელზე და 1 კვ კახურ მწვანეზე - 0,30 ლარი. ამით, ათასობით მევენახეს 1 კვ რქაწითელის 80 თეთრად რეალიზაციის შესაძლებლობა მიეცა. რომ არა სახელმწიფო სუბსიდია, ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე, ფერმერებს 1 კვ რქაწითელის გაყიდვა 50 თეთრად მოუწევდათ, რაც თვითღირებულების ხარჯებსაც ვერ დაფარავდა. ამასთან ერთად, სახელმწიფო საწარმოებმა მევენახეებისგან ჭარბი ყურძენი შეისყიდა, რომელზეც კერძო სექტორის მხრიდან არ იყო მოთხოვნა. რომ არა ეს მხარდაჭერა, 10 ათასმდე მევენახე ვერ შეძლებდა 94 ათასმდე ტონა ყურძნის რეალიზაციას. სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგად, შესაძლებელი გახდა ბოლო 30 წლის განმავლობაში რეკორდული, 284 ათას ტონამდე ყურძნის მოსავლის სრულად დაბინავება. ღვინის საწარმოებს ყურძენი 25 ათასმდე მევენახე ჩააბარა. მათ შემოსავლების სახით, 310 მლნ ლარზე მეტი მიიღეს. ყურძნის გადამამუშავების პროცესში 300-მე მეტი დიდი, მცირე და საშუალო მარანი იყო ჩართული [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020, :3]. წარმატებით ჩატადა რთველი 2020 რაჭა-ლეჩხუმშიც. რთველი 2020-ის ფარგლებში გადამამუშავდა: 175 ათასი ტონა რქაწითელი, 80 ათასი ტონა საფერავი, 5 ათასი ტონა კახური მწვანე, 2400 ტონა ალექსანდროული და მუჯურეთული, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020, :3].

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, რთველის პერიოდში, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ კახეთის რეგიონში მცხოვრები სტუდენტები ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დაასაქმა.

უნდა აღინიშნოს „მცირე მარნების დახმარების პროგრამა“, რომლის ფარგლებში, პანდემიის შედეგად დაზარალებული ათეულობით მცირე მარნის წარმოებული ღვინის 1500-მდე ბოთლის ტრანსპორტირება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელდა. აღნიშნული აქტივობების შედეგად, ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ტენდენცია სტრატეგიულ ბაზრებზე (აშშ, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი) შენარჩუნებულია. 2020 წელს ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე 42 დეგუსტაცია/სემინარი გაიმართა, როგორც ონლაინ, ისე პირდაპირ ფორმატში. 2020 წლის ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: მონაკოელი სომელიეების ვიზიტი იანვრის მეორე ნახევარში, საქართველოს მონაკოს სომელიეთა ასოციაციის წევრები ეწვივნენ. ჯგუფის შემადგენლობაში მონაკოს საუკეთესო რესტორნების შეფ-სომელიეები შედიოდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის. მონაკოს ღვინის ბაზარზე ვიზიტის ფარგლებში სომელიეები ქართულ ღვინოს ქართლსა და კახეთში 10-მდე ღვინის მარანში გაეცნენ. 10-12 თებერვალს, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „VinExpo Paris“ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ. მსგავს გამოფენებზე ქართული ღვინის წარდგენა უმნიშვნელოვანესია ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიებისა და ბაზრების დივერსიფიკაციისთვის [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020, :4].

ქართული ღვინის საერთაშორისო სტრატეგიულ ბაზრებზე საექსპორტო პოტენციალის გასაძლიერებლად, მსოფლიო პანდემიის ფონზე მარკეტინგული აქტივობები დისტანციურ ფორმატში, ონლაინ-დეგუსტაციებისა და სხვადასხვა ონლაინპლატფორმების გამოყენებით გაგრძელდა. გააქტიურდა რეკლამები ღვინის ონლაინ-საცალო გაყიდვების რეიტინგულ ვებგვერდებსა და აპლიკაციებზე, ტელევიზიებზე და რადიოეთერებში, შეიქმნა ქართული ღვინის საპრომოციო გვერდები სხვადასხვა სოციალურ მედიაში და ა.შ.

„Vinexpo New York 2020“ 2-3 მარტს ნიუ-იორკში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „Vinexpo New York“ ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მსოფლიოს ყველაზე დიდ ღვინის ბაზარზე, საკუთარი პროდუქციის წარდგენის შესაძლებლობა საქართველოდან 12 კომპანიას მიეცა, რაც ახალი სავაჭრო პარტნიორების მოზიდვისა და ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „მარქ ენერჯის“ ორგანიზებით, ღვინის პროფესიონალების, ღვინის ბიზნესისა და მედიის

წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაცია გამართა [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020, :5].

2020 წლის ივლისში გაიმართა ქვევრის ღვინის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი. კონკურსის მიზანი საუკეთესო ქვევრის ღვინოების წარდგენა, ქვევრის ღვინის წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა იყო. გამარჯვებული ღვინოები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ონლაინ-დეგუსტაციებზე გაიგზავნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეღვინეობის დარგში პანდემიით გამოწვეული სირთულეების ფონზე. კონკურსი „ასოციაცია ქართული ღვინოს“ ორგანიზებით და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა. კონკურსზე 460 ღვინის ნიმუში იყო წარმოდგენილი, რაც 3-ჯერ აღემატება პირველ კონკურსზე წარდგენილი ღვინოების რაოდენობას. ეს მეღვინეების მხრიდან კონკურსისადმი დიდი ინტერესზე მიუთითებს [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020, :.6].

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი (ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, რომელიც ეფუძნება გაცემულ საექსპორტო სერტიფიკატებს), 2020 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში 92,4 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, რაც 2019 წლის რაოდენობაზე 1%-ით ნაკლებია. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 216,5 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2019 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით ნაკლებია. ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: პოლონეთი - 27% (5 226 366 ბოთლი), აშშ - 34% (911 931 ბოთლი) და დიდი ბრიტანეთი - 154% (428 796 ბოთლი). კორონავირუსის მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე, კლებაა ჩინეთის ბაზარზე, სადაც ექსპორტირებულია 4 605 768 ბოთლი (კლება 35%). ზრდა აღსანიშნავია, ასევე, შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა - 4% (10 660 884 ბოთლი), ბელარუსი - 32% (3 677 769 ბოთლი), ლატვია - 7% (1 598 455 ბოთლი), გერმანია - 4% (697 697 ბოთლი), კანადა 16% (188 286 ბოთლი), აზერბაიჯანი - 32% (1 831 64 ბოთლი), საფრანგეთი - 22% (183 164 ბოთლი), სამხრეთ კორეა - 353% (89 394 ბოთლი) და ა.შ. 2019 წელს სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 376-მა კომპანიამ განახორციელა. ამასთან, ექსპორტირებული იყო 32,7 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 4%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 66 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (კლება 3%). ექსპორტირებულია 428 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის კლებამ 31% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 1,2 მლნ აშშ დოლარს აღწევს (კლება 31%). დაცული ადგილწარმოშობის ღვინოებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ – 18676195 ბოთლი, შემდეგ მოდის: „წინანდალი“ – 4 458 503 ბოთლი, „მუკუზანი“ – 4 140 627 ბოთლი, „ახაშენი“ – 1 344 052 ბოთლი, „ხვანჭკარა“ – 987 530 ბოთლი, „ტვიში“ – 254 736 ბოთლი, „ყვარელი“ – 120 318 ბოთლი, „ნაფარეული“ – 100 695 ბოთლი და ა.შ. მთლიანად ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 336 მლნ აშშ დოლარი, რაც 5%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020, :7].

2020 წელს, საქართველოში რეგისტრირებულ დაცულ გეოგრაფიულ ადგილწარმოშობის დასახელებებს ოთხი ღვინო დაემატა: „სალხინოს ოჯალეში“, „ახმეტა“, „წარაფი“ და „ახოები“. აღნიშნული ფაქტი ქართული ღვინის მრავალფეროვნებასა და უნიკალურობაზე მიუთითებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაციის, ცნობადობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის კუთხით. ამ ეტაპზე, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“ ადგილწარმოშობის დასახელების 24 ღვინოა დარეგისტრირებული: „ქინძმარაული“, „მანავი“, „კახეთი“, „ნაფარეული“, „თელიანი“, „მუკუზანი“, „წინანდალი“, „ახაშენი“, „გურჯაანი“, „ხვანჭკარა“, „ატენი“, „სვირი“, „ვაზისუბანი“, „კარდენახი“, „ტიბაანი“, „ტვიში“, „ყვარელი“, „კოტეხი“, „ხაშმის საფერავი“, „ბოლნისი“, „სალხინოს ოჯალეში“, „ახმეტა“, „წარაფი“ და „ახოები“. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, ადგილწარმოშობის

დასახელებების ნუსხაში ახალი ღვინოების დამატების მიმართულებით მუშობას 2021 წელსაც აგრძელებს [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020, :8].

აშშ-ში 11 ნოემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს ორგანიზებით, „ქართული ღვინის ფორუმი“ მესამედ, ამჯერად ონლაინ ფორმატში გაიმართა. ვებინარზე ქართული ღვინის ისტორიის, გენეტიკისა და ტრადიციების პარალელურად, მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს მეღვინეობის ინდუსტრიაში არსებული მდგომარეობა, დარგის წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მისი პოტენციალი და პერსპექტივები, ასევე, ქართული ღვინის მარკეტინგული სტრატეგია ამერიკის შეერთებულ შტატებში, მსოფლიო პანდემიამდე და პანდემიის პირობებში.

ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ბოლო 5 წელია ექსპორტი სტაბილურად მზარდია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, აშშ-ში ქართული ღვინის წარდგენა, პანდემიის პირობებშიც სხვადასხვა ფორმატში, მთელი წლის განმავლობაში ტარდებოდა. შედეგად, 2020 წლის 10 თვეში, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 804 ათასი ბოთლი ღვინო, რაც 33%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს [ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020].

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი ქვეყანაა. პანდემიის პირობებშიც ამ ქვეყანაში ქართული ღვინის ექსპორტი მზარდია. 2020 წლის 10 თვის მონაცემებით, საქართველოდან ბრიტანეთში ექსპორტირებულია 160 644 ბოთლი ღვინო, რაც 50%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს [ქართული ღვინო, 04.11.20].

სახელმწიფოს როლი მეღვინეობის განვითარებისა და ღვინის ექსპორტზე გასვლის კუთხით, ძალიან დიდია. პანდემიის პირობებში განსაკუთრებული დახმარება ნამდვილად სჭირდება მცირე და საშუალო ბიზნესს. რთველის დროს სუბსიდირება ძირითადად მიიღეს დიდმა მეღვინეობებმა. საშუალო და მცირე მეწარმეები ნებისმიერი სახის დახმარებას უფრო საჭიროებდნენ, ვიდრე დიდი კომპანიები, არადა ბოლო წლებში ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ბაზარზე მცირე და საშუალო კომპანიების გამოჩენასთან.

პანდემიის პირობებში ყველაზე დიდი ეკონომიკური დარტყმა ტურიზმის სფეროს მიადგა. ამიტომ, ტურიზმის სფეროში დასაქმებულებს მაქსიმალურად უნდა გაუხანგრძლივდეთ საგადასახდო შეღავათები, რათა გადასახადებისთვის განკუთვნილი თანხა ბიზნესის, ხელფასების, თანამშრომლების შესანარჩუნებლად გამოიყენონ.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ტურიზმის და მთლიანად ტურისტული სექტორის გადასარჩენად, აქცენტი უნდა გაკეთდეს შიდა ტურიზმზე.

ახელმწიფომ უფრო მეტი უნდა გააკეთოს ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და მცირე მარნების ხელშეწყობისათვის.

უმალეს და პროფესიულ სასწავლებლებში უნდა მომზადდეს ტურიზმის დარგის და ღვინის წარმოების პროფესიონალი კადრები. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ქვეყნის სპეციალისტების მომზადება და მეღვინეობის დარგის სათანადოდ აღჭურვა.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. [https://ka.wikipedia.org/wiki/ქართული\\_ღვინო](https://ka.wikipedia.org/wiki/ქართული_ღვინო), რედ: 19:05, 29 აპრილი 2021
  2. <https://eap-csf.ge/wp-content/uploads/2021/03/EAPტურიზმის-კვლევა-და-პოლიტიკის-დოკუმენტი.pdf> გვ.12
  3. <https://ipress.ge/new/qarthuli-ghvinis-rigith-mesame-phorumi-onlain-phormatshigaimartha/> ქართული ღვინის რიგით მესამე ფორუმი, 12 ნოემბერი, 2020
  4. <http://georgianwine.gov.ge/Ge/Files/Download/14170>, ღვინის ეროვნული სააგენტო, ანგარიში 2020 წელი, გვ.2-11
  5. <http://georgianwine.gov.ge/Ge/News/33746>, ქართული ღვინო, 04.11.20
  6. <http://vinoge.com/degustacia/pandemia-qarTuli-Rvinis-turizmis-winaaRmdeg>
- პანდემია ქართული ღვინის ტურიზმის წინააღმდეგ, 2020 - 10

**PROBLEMS OF THE GEORGIAN WINE AND TOURISM MARKET  
IN THE CONDITIONS OF THE COVID 19 PANDEMIC**

**Summary**

Wine is one of the important factors for the development of tourism. Georgia has the opportunity to develop and turn wine tourism into a significant source of income. The place of wine in tourism is determined by the resources and opportunities available in the country.

The coronavirus pandemic has had a negative impact on the tourism sector, which in previous years was a leading sector of the Georgian economy. The COVID-19 pandemic also had a significant impact on the wine industry. Reduced exports to international markets and the downturn in the domestic tourist season have posed new challenges for the industry. Despite the difficult epidemiological situation in the country, the LEPL National Wine Agency has not delayed the technical and technological procedures required for wine exports, marketing activities in the strategic international markets of Georgian wine have been replaced by remote and online formats. , Promotional pages of Georgian wine were created in various social media, etc. Vintage was organized and wine quality monitoring activities were continued.

The role of the state in the development of winemaking and wine exports is very large. Small and medium-sized businesses really need special help during a pandemic.

The biggest economic blow during the pandemic hit the tourism sector. Therefore, employees in the field of tourism should extend the tax benefits as much as possible in order to use the money allocated for taxes to maintain business, salaries, employees.

It should be noted that in order to save wine tourism and the tourism sector as a whole, the focus should be on domestic tourism.

The state should do more to promote Georgian wine and promote small wineries.

Professional staff in the field of tourism and wine production should be trained in higher and vocational schools. It is also important to train pitcher specialists and properly equip the wine industry.

*ცირა ცეცხლაძე*

**აჭარა, მნიშვნელოვანი ტურისტული რეგიონი  
რეკრიაციული ტურიზმის მიმართულებით**

*ანოტაცია. ჩვენს მიერ დამუშავებულ სამეცნიერო ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღებაა დათმობილი იმის მტკიცებაზე, თუ რატომაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ტურიზმის, კერძოდ კი, რეკრიაციული ტურიზმის მიმართულება პრიორიტეტული. არის საკვანძო საკითხები განხილული რეკრიაციული დანიშნულების ადგილისა თუ მათი გამოყენების თავისებურებებზე. ასევე ანალიზი არგუმენტირება დასკვნის სახით, თუ რატომ შეიძლება გახდეს რეკრიაციული ტურიზმი უფრო აქტიური სამომავლო პერსპექტივაში პანდემიის დაძლევის შემდგომ.*

**შესავალი**

საქართველო არის ქვეყანა, რომლისთვისაც ტურიზმის ბიზნესი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს. ეკონომიკური მაჩვენებლები, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და პირდაპირი მნიშვნელობით საარსებო პირობების, ყოველდღიურობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, ვინაიდან ტურიზმია სწორედ ის მსხვილი მომსახურების ინდუსტრიული კომპლექსი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული.

ტურიზმის განვითარების მთავარი ბერკეტი კი მზა ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებაა, რომლითაც გამოირჩევა ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი, ყველა გეოგრაფიული ზონა. ის კლიმატური თავისებურებები, რომლითაც საქართველო გამოირჩევა, იძლევა სხვადასხვა საკურორტო ინდუსტრიის განვითარების საშუალებას. აქვე არ უნდა

გამოგვრჩეს მხედველობიდან იმ მინერალური წყლების სიმრავლე, რომლებიც ბალნეოლოგიური კურორტების განვითარების საუკეთესო საშუალებაა თავისი უნიკალური ღირებულებებით.

\*\*\*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტულ ღირებულებებზე სადაო არაა ის ფაქტი, რომ მას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსული ტურიზმის არაერთი მიმართულებით განვითარების პოტენციალი. ზოგადად, ტურიზმის განვითარების დადებითი ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც თავის შედეგებს, როგორც ვთქვით, ეკონომიკურ თუ სოციალურ მახასიათებლებში ავლენს, განსაკუთრებულად ღირებული ადგილობრივი მოსახლეობისთვისაა. რაც შეეხება იმას, თუ რომელი ტურისტული მიმართულებებია აქტუალური და რა გვადლევს ამის თქმის საშუალებას, ჩვენი აზრით, განხილვის თემად, პირველ რიგში, რეკრეაციული რესურსების დიდი პოტენციალი უნდა მივიჩნიოთ.

ბოლო, განსაკუთრებით სამი ათეული წლის განმავლობაში, ტურიზმის განვითარება რეგიონისთვის წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტს. აჭარამ, როგორც ტურისტულმა რეგიონმა, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი გადადგა, როგორც საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე თავისი ადგილის დასაკავებლად, ასევე შიდა ტურისტულ ბაზარზე სტრატეგიულმა მოთამაშემ. ამიტომ, არაერთი მრავალფეროვანი ტურისტული რეკრეაციული მარშრუტების წარმოებით, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო და არის რეგიონი, მიუხედავად ბოლო ერთი წლის გლობალური შემაფერხებელი ფაქტორის, პანდემიის კოვიდ-19 ვირუსის გავრცელებისა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება გვადლევს შესაძლებლობას, ტურისტულ ბაზარზე შევიდეთ სხვადასხვა ინოვაციური მარშრუტებით, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას, ჩვენი აზრით, გამოიწვევს შემდეგი ფაქტორები:

1. ის, რომ აჭარას გააჩნია ის მთავარი ტურისტულ-რეკრეაციული ღირებულება, რაც მთა და ზღვის რესურსის გამოყენების შესაძლებლობაა ერთდროულად;

2. რეგიონში არსებობს რეკრეაციული მიმართულებით ფუნქციური დანიშნულების კუთხით სამივე მიმართულებით გამოსაყენებელი რესურსები:

- სამკურნალო;
- სპორტულ გამაჯანსაღებელი;
- კულტურულ-შემეცნებითი.

ეს მიმართულებები, ვფიქრობთ, განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ პერიოდში, სამომავლო პერსპექტივაში მზარდი და მოთხოვნადი გახდება. პანდემიამ, როგორც ზოგადად, მსოფლიოს მოსახლეობას მიაყენა როგორც ფიზიკურ-მორალური, ასევე ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები, რომელთა გამოკვლევა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და მედიცინას არა აქვს დასკვნა, თუ კოვიდგადატანილ პაციენტებში, რომლებსაც ვირუსმა დაუზიანა ფილტვები, სასუნთქი გზები და კიდევ ამოუცნობია შედეგები, რომლებიც შეიძლება გამოავლინოს სამომავლოდ. ეს გვადლევს ძირითადად ჩვენი დასკვნის გაკეთების მთავარ შესაძლებლობებს, რომ რეკრეაციული ტურიზმი და რეკრეაციული რესურსების მოთხოვნილება განსაკუთრებულად გაიზრდება პანდემიის დაძლევის შემდეგ, ვინაიდან სამკურნალო, სარეაბილიტაციო თუ გამაჯანსაღებელი საჭიროებები აუცილებელი მოთხოვნადი და საჭირო გახდება მომხმარებელთა უმრავლესობისათვის. ასევე აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ პანდემიის შემდგომ პერიოდში, ნებისმიერი ვიზიტორისთვის პრიორიტეტი გახდება რეკრეაციული ტურიზმი, ვინაიდან ესაა სწორედ ის ტურისტული მიმართულება, რომელიც მათ დაეხმარებათ პანდემიით გამოწვეული ფიზიკური, მორალური და გონებრივი სტრესის დაძლევაში.

3. აჭარას გააჩნია ისეთი ღირებული საკუროტო ტურისტულ რეკრეაციული დანიშნულების ადგილები, როგორცაა: ბეშუმე, ქობულეთი, მახინჯაური და თავად ბათუმი, ზემომთიანა აჭარა და დაცული ბუნებრივი ტერიტორიები. ესაა იმ არასრული რეკრეაციული

ღირებულებების ჩამონათვალი, რომლითაც შეგვიძლია სტრატეგიული ტურისტული მარშრუტების შეთავაზება, რეკრეაციული ტურიზმის მომხმარებლებისათვის.

4. ასევე აღსანიშნავია, რომ აჭარის რეგიონისათვის მისი ფლორა და ფაუნა წარმოადგენს რეკრეაციული ტურიზმისათვის მორგებული ტურისტული მიმართულების, ეკოლოგიური ტურიზმის, განვითარების კარგ საშუალებას.

5. რეკრეაციული ტურიზმის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მაღალმთიანი რეგიონებისათვის, რესურსების მრავალფეროვნება როგორც სამკურნალო, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-შემეცნებითი მიმართულებით, გამოირჩევა თითქმის ყველა ადმინისტრაციული ერთეული: ქედა, შუახევი, ხულო თუ ქობულეთი.

მაღალმთიანი რეგიონების პრობლემები, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სახით კლასიფიცირდება, გამოიხატება უმუშევრობის კრიტიკულ შედეგებში. შემოსავლების სიმცირე, დასაქმების პრობლემები, ბაზრის არარსებობა ადგილობრივი წარმოების პროდუქტისათვის, უკიდურესად სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობა, რომლის თვითმიზანი გახდა სოფლების დატოვება და თავის გადარჩენისათვის დიდი ქალაქებისაკენ მოძრაობა, ესაა სწორედ კიდევ ერთი უდიდესი პრობლემის, სოფლების დაბერების, დაცარიელების, სამწუხაროდ, განადგურების ნიშანი.

რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს იმ არასრული პრობლემების ჩამონათვალს, რომელთა გადაწყვეტასა და დაძლევაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ ტურიზმმა შეასრულა და ეს ძალიან კარგად ჩანს, პანდემიის დადგომამდე, სხვადასხვა სტატისტიკურ მაჩვენებლებში.

დღეისათვის მსოფლიო გლობალური პრობლემის კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, მისი გავლენა საქართველოს მთავარ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ასეთია: მშპ - ერთ სულ მოსახლეზე 2020 წლის მაჩვენებლებით, კვარტლების მიხედვით ჩანს, თუ რამდენად დიდი დარტყმა იყო და არის პანდემიის პროცესები ეკონომიკის განვითარებისათვის.

### მშპ - ერთ სულ მოსახლეზე

| წლები                          | 2017 | 2018 | 2019 | 1-2020 | 2-2020 | 3-2020 | 4-2020 | 2020 |
|--------------------------------|------|------|------|--------|--------|--------|--------|------|
| მშპ-ს რეალური ზრდა პროცენტებში | 4.8  | 4.8  | 5.0  | 2.3    | -13.2  | -5.6   | -6.8   | 6.2  |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2021

რაც შეეხება უმუშევრობის დონე 18,5 %, ხოლო ინფლაციის დონე 7,2 %. ეს მაჩვენებლები მიგვანიშნებს, თუ რამდენად დიდი და გლობალური პრობლემის წინაშე ვდგავართ და რამდენად მნიშვნელოვანია სწორი სტრატეგიის შემუშავება, ეკონომიკურ დარგთა ერთიანი კომპლექსური განვითარების სტრატეგიის მიდგომით და რაც, მეტად მნიშვნელოვანია. ტურიზმის ბიზნესის პირდაპირი მნიშვნელობით გადაწყობა და მორგება პანდემიის რეგულაციებზე.

ამჟამად საქართველოში ყალიბდება მოსახლეობის გაჯანსაღების კომპლექსური სისტემა, რომელმაც უნდა მოიცვას:

- ✓ ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, იმ სახსრების გამოყენებით, რომელიც მიმართული იქნება სამრეწველო წარმოების ეკოლო- გიზაციისაკენ;

- ✓ მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლება შრომის ანაზღაურების ამაღლების ხარჯზე და პენსიონერებისა და ბევრი სხვა, ნაკლებად უზრუნვეყოფილი, ჯგუფების სოციალური უზრუნველყოფა;


- ✓ ჯანდაცვის სისტემის სრულყოფა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, გამოვლენილი დაავადებების წინააღმდეგ;

✓ საკურორტო-გამაჯანსაღებელი, ტურისტული და სპორტული ორგანიზაციების სოციალური გარანტიებისა და სოციალური დაცვის ერთიან სისტემაში ჩართვა;

✓ რეგიონული სტრუქტურების გაძლიერება, ჯანდაცვის განვითარების და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება, ტურიზმის ეგიდით.

სოციალური გაგებით შეიძლება აღმოვაჩინოთ პირდაპირი კავშირი მოსახლეობასა და მათი ჯანმრთელობის შენარჩუნების პირობებს შორის. როგორც ვხედავთ, აქ აუცილებლად გავდივართ ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე, როგორც საქ- მიანობის განსაკუთრებულ სფეროზე, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ჯანმრთე- ლობის დაცვასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას.

საწყის ეტაპზე შეიძლება არც კი არსებობდეს პირდაპირი კავშირი ტურიზმის განვითარებასა და ახალი ადგილების ათვისებას შორის. თუმცა, თუ დავეყრდნობით ადამიანთა კანონიერ უფლებას დასვენებასა და ფასიან შვებულებაზე, მიგრანტები წარმოადგენენ ქვეყნის დემოგრაფიული ფონდის მუდმივ შემავსებელ ბლოკს. ნახაზი 1 (დემოგრაფიული...2021).



**ნახაზი 1. მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021

მოსახლეობის კეთილდღეობის საერთო დონის ამაღლება, მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილის შევსება სხვა ქვეყნის მიგრანტებით და სხვა ფაქტორებით, მოსახლეობის ტურიზმში მზარდი ჩართულობის მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ტურიზმის პოტენციურ მონაწილეებად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის შედარებით უზრუნველყოფილი ფენა, ე.წ. „საშუალო ფენა“. საქართველოში საშუალო ფენის ფორმირების პოტენციური ბაზა დიდია, მაგრამ მთავარ დამაბრკოლებელ ფაქ- ტორს წარმოადგენს მოსახლეობის არც ისე მაღალი შემოსავალი, ეკონომიკური დარ- გებისა და რეგიონების კრიზისი. საქართველოში საშუალო კლასის ფორმირებისა და ტურისტული მომსახურების გამოყენების სფეროების გაფართოებისთვის ტურიზმი მეტად შესაფერის სფეროს წარმოადგენს. ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ტენდენციაა ტურისტების რიცხვის ზრდაც (ხანდაზმული ადამიანების ხარჯზე პანდემიამდე).



## დასკვანა

ამრიგად, მოვერგოთ პანდემიის რეგულაციებს და თან ვმართოთ ქვეყანაში არსებული სხვა სოციალურ-ეკონომიკური თუ დემოგრაფიული პრობლემები, მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, სახელმწიფოს მიერ მარეგულირებელი პოლიტიკისა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით.

ამ კუთხით სწორედ ტურიზმი და კერძოდ, რეკრეაციული ტურიზმი ჩვენი რეგიონის განვითარების, მოსახლეობის კრიზისიდან გამოყვანის, მნიშვნელოვანი საშუალებაა. ჩვენი რესურსული პოტენციალი კარგი შესაძლებლობაა, შემდეგი დადებითი ტენდენციების მისაღებად:

- ერთი მხრივ, ტურიზმის ბიზნესი დაუბრუნდეს თავის დანიშნულებას დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები, სასურველი ხარისხიანი მომსახურებით შესაბამისი ფასით;

- მეორე, რეკრეაციული ტურიზმი კარგი შესაძლებლობა იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მთელი რიგი დაგროვილი პრობლემების გადალახვაში, როგორებიცაა: დასაქმება, სამუშაო ადგილების გაჩენა, შემოსავალი, მსყიდველობითი უნარიანობა, ბაზარი ადგილობრივი წარმოების პროდუქტისათვის. ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ჩართულობის შესაძლებლობა, ვიზიტორების მიღება -მასპინძლობის პროცესში;

- მესამე, ის, რომ რეკრეაციული ტურიზმი რესურსების მრავალფეროვნების ხარჯზე იქნება, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ტურისტული მიმართულება, სხვა მიმართულებებთან ერთად, ისე დაიბრუნოს თავისი ადგილი აჭარამ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე, აუცილებელი რეგულაციების დაცვითა და უსაფრთხო ტურისტული გარემოს შექმნით, ისევე მივიღოთ უცხოელი ვიზიტორები და დავიბრუნოთ ჩვენი ადგილი, როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია, თავისი ღირებულებებით, პანდემიის შემდგომ ეტაპზე სახელმწიფოს ხელშეწყობითა და კერძო ბიზნესის წარმომადგენლების ერთობლივი მოქმედებით, მოსახლეობის მაღალი ჩართულობით მიაღწევს იმ საჭირო განვითარების ტენდენციას, რომელიც რეგიონს მისცემს საშუალებას, გადალახოს პანდემიით გამოწვეული პრობლემები და დაძლიოს პანდემიის შემდგომი კრიზისი, რაც აისახება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ, სავალუტო-ფინანსურ, სოციალურ, დემოგრაფიულ, მოსახლეობის ფასიქოლოგიურ და ცნობიერების მაჩვენებლებზე.

ცნობიერება, ფსიქოლოგიური და ფიზიკური გადაღლილობა, ამას დამატებული ჯანმრთელობის პრობლემები მოსახლეობასთან საჭიროებს კომპლექსური მუშაობის ჩატარებას, რომ დაუბრუნდეთ ნდობა ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიისადმი, გაუჩნდეთ სურვილი ჩაერთონ პროცესში, თავისუფალი დროის გატარების, დასვენებისა და სულიერი ძალების აღდგენის აუცილებელ საშუალებად მიიჩნიონ რეკრეაციული ტურიზმის სხვადასხვა მიმართულება, მათი საჭიროების შესაბამისად (სამკურნალო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი თუ კულტურულ-შემმეცნებითი).

მნიშვნელოვნად საკვანძო საკითხია ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით ზღვისპირა რეგიონის და ასევე მთიანი საკურორტო დანიშნულების ადგილების, მოამზადონ ქვეცნობიერად, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია ვიზიტორების (შიდა თუ გარე) გაზრდას, მათი სოციალურ-ეკონომიკური, ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებაში. ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ კერძო სექტორთან მოსახლეობის აქტიური ჩართულობის კუთხით, მოახდინოს მთელი რიგი ხელშემწყობი ღონისძიებების, ახალი მიდგომებით გაჯერებული ინოვაციური ტურისტული პროდუქტებითა და ინოვაციური მომსახურების სერვისების მიწოდებით ახალი პროექტების დანერგვას შეუწყოს ხელი.

ჩვენის აზრით კი, ხელშემწყობი ღონისძიებები თავის თავში უნდა მოიცავდეს, როგორც ფინანსური, ისე სხვა მარეგულირებელი გარემო ფაქტორების მორგებას ტურიზმის ბიზნესზე (სამართლებრივი, სოციულური, ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური). თამამად შეგვიძლიათ ვთქვათ, რომ „ახალი" ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის შექმნის კვალდაკვალ

რეკრეაციული ტურიზმის პრიორიტეტულობის განსაზღვრით მივალწევთ იმას, რომ ჩვენი რეკრეაციული პოტენციალი, რესურსების სახით, არის სავიზიტო ბარათი იმისა, რომ ისევე იქნება „დიდი ტურიზმი“, რომელზედაც დავყვრდნობით როგორც ერთ-ერთ მომგებიან და მაღალრენტაბელურ დარგზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მიქაშავიძე. ვ: სალექციო კურსი „ საქართველოს რეკრეაციული რესურსები" ტურიზმის ფაკულტეტი 2018
2. გოგელია.მ, ცეცხლაძე ც. „თანამედროვე დემოგრაფიული ტენდენციების გავლენა ტურიზმზე. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა" 2021
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები 2021
4. აჭარის კურორტებისა და ტურიზმის დეპარტამენტის კვლევები და მასალები 2018-2020

*Tsira Tsetskhladze*

### ADJARA AS AN IMPORTANT DESTINATION FOR RECREATIONAL TOURISM

#### Summary

In the article Adjara As An Important Destination For Recreational Tourism is discussed the recreational opportunities for tourism development in Georgia, mainly in Adjara Autonomous Republic. Both tourist and recreational resources and values are underlined that enables Adjara Autonomous Republic to be considered as one of the largest recreational regions in the country..

The article focuses on the analysis of the necessary motivating factors that will be an incentive in Adjara, especially in the long run, for the development of recreational tourism in various forms, after the pandemic. Activating the demand for curing, sports-recreational and cultural-cognitive tourism destinations from the recreationists is an important future task to overcome the pandemic.

Adapting to pandemic regulations and tackling other socio-economic or demographic problems in the country requires a series of complex measures through joint efforts by state regulatory policy and the private sector.

It is in this direction that some of the main findings of the tourism and recreational tourism in particular, are considered in the given article, as an important tool for the development of the region and subduing the crisis.

*მამუკა ხუსკივაძე*

### ტურიზმის ეკოლოგიაზე ზეგავლენის შეფასება ეკონომეტრიკული მოდელირების მეთოდით საქართველოში

*ანოტაცია. სტატიაში განხორციელებულია საქართველოში ტურიზმის ეკოლოგიაზე ზეგავლენის შეფასება ეკონომეტრიკული მოდელირების მეთოდით.*

#### შესავალი

არაერთი წელია ტურიზმი გახდა საქართველოს ეკონომიკის განუყოფელი და ერთ-ერთი ძირითადი მამომრავებელი დარგი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში (ცხადია, იგულისხმება პანდემიამდელი პერიოდი) მნიშვნელოვნად იზრდებოდა ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობა და სტაბილური იყო მთლიან სამამულო პროდუქტში ტურიზმის წილი. ტურიზმის სწრაფი ზრდა გახდა ჩვენი ქვეყნისათვის როგორც შესაძლებლობა, ისე გამოწვევა. შესაძლებლობა იმდენად, რამდენადაც მოხდა ახალი სამუშაო ადგილების გენერირება, გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები, ხელი შეეწყო მომიჯნავე დარგების

განვითარებას მულტიპლიკატორის ეფექტის მეშვეობით, გაუმჯობესდა დარგის საინვესტიციო მიმზიდველობა, მისი კონკურენტუნარიანობა და ა.შ. რაც შეეხება გამოწვევებს, ის შეიძლება განხილული იქნეს სხვადასხვა ასპექტებში, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტურიზმის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პროცესებზე ზეგავლენის შეფასების პრობლემის მიმართ ინტერესის გაზრდა, რაც ითხოვს შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფას და სპეციალური სტატისტიკური მონაცემების ბაზის შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში ყველაზე მეტად შესწავლილია ტურიზმის ეკონომიკური ზეგავლენის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ხოლო ყველაზე ნაკლებად ტურიზმის ეკოლოგიაზე ზემოქმედება, მაშინ როცა ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი არის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და დანიშნულების ადგილების ეკოლოგიური მდგომარეობა.

### **ტურიზმის ეკოლოგიაზე ზეგავლენის თეორიული ასპექტები**

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ტურისტულად წამყვან ქვეყანაში ტურიზმის განვითარების რეტროსპექტული ანალიზი ცხადყოფს, რომ საწყის სტადიებზე უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკონომიკური მიზნების რეალიზაციას და შესაბამისად, ტურიზმის ეკონომიკურ ზეგავლენას. თანამედროვე ეტაპზე, კი, სულ უფრო აქტუალური ხდება გარემოზე ტურიზმის ზეგავლენის საკითხები. ეს, არცაა გასაკვირი, ვინაიდან, ერთი მხრივ, ტურიზმის არის დარგი, რომელიც ფუნქციონირების პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა სახის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს. ხოლო მეორე მხრივ, ის საგრძნობლად არის დამოკიდებული ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და შესაბამისად, ამა თუ იმ ტურისტული დანიშნულების ადგილის ატრაქტიულობას დიდწილად განსაზღვრავს იქ არსებული ეკოლოგიური სიტუაცია. უფრო მეტიც, გარემოს დეგრადაციამ შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს მთლიანად ტურისტული სექტორის სიცოცხლისუნარიანობა.

ტურიზმისა და ეკოლოგიის ურთიერთქმედების საკითხებისადმი მიძღვნილ კვლევებში გვხვდება ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები, რომელთა მისედვით ტურიზმის განვითარებამ რომელიმე დანიშნულების ადგილის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზეგავლენა. საზოგადოდ, ტურიზმის გარემოზე ზემოქმედების ხარისხს და მასშტაბებს არსებითად განსაზღვრავს ტურიზმის სახეები.

გარემოზე ტურიზმის ზეგავლენის შესახებ გავრცელებული მოსაზრებები შეიძლება პირობითად დავყოთ ორ მიმართულებად:

- ტურიზმის განვითარება უარყოფითად აისახება ბუნებრივი რესურსების მდგომარეობაზე, ტურისტული ნაკადები ხელს უწყობენ დანიშნულების ადგილებში ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებას;

- ტურიზმის განვითარება თავდაპირველად უარყოფითად ზემოქმედებს ეკოლოგიაზე, თუმცა შემდგომ ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება რეგიონების დაცვისა და მიმზიდველობის გასაუმჯობესებლად, ხელს უწყობენ ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებას (5).

ცხადია, იმის მიხედვით თუ რომელი მიმართულება იქნება დომინირებადი, მივიღებთ შესაბამის ეფექტს და ტურიზმის ეკოლოგიაზე ზეგავლენის საბოლოო შედეგს: უპირატესად დადებითს თუ უპირატესად უარყოფითს.

ტურიზმისა და ეკოლოგიის ჰარმონიული თანაარსებობა ირღვევა და ყალიბდება კონტრადიქტორული ურთიერთობები, როდესაც ტურისტული ნაკადები იმდენად იზრდება, რომ მკვეთრად აღემატება დანიშნულების ადგილების გამტარუნარიანობის ოპტიმალურ მაჩვენებლებს. ეს, ცხადია, ზრდის დანიშნულების ადგილებში გარემოზე უარყოფით ანთროპოგენურ ზემოქმედებას და იწვევს ტურისტული რესურსების მოხმარების ამალვებას. ჩვენი ეს შეხედულება ზუსტად ემთხვევა გლობალური განვითარების კვლევითი ცენტრის (The Global Development Research Center) დასკვნას, რომლის მიხედვითაც ნეგატიური ეფექტები

დგება მაშინ, როდესაც ტურისტული ნაკადები აღემატება ტურისტული დანიშნულების ადგილებისათვის დაშვებულ საზღვრებს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ გარემოს თვითაღვნიშნას და თვითრეგულაციების უნარების მეშვეობით შეუძლია სპეციალური შემზღვეველი მექანიზმების გამოყენებისა და აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების გარეშე ტურისტთა გარკვეული რაოდენობის მიღება დაზიანების გარეშე, ხოლო როგორც კი ტურისტთა ნაკადები გადააჭარბებს ზემოთ აღნიშნულ გამტარუნარიანობის ოპტიმალურ მაჩვენებელს, იქმნება გარემოს დეგრადაციისა და იქ არსებული ეკოსისტემების რღვევის საფრთხეები.

სპეციალურ ლიტერატურაში ტურიზმისა და ეკოლოგიის ურთიერთქმედების კონცეპტუალური საკითხების შესწავლისას გამოყოფილია ნეგატიური ურთიერთქმედების რამდენიმე კატეგორია:

-წყლის რესურსებზე ზემოქმედება, მათი ინტენსიური გამოყენება და დაზინძურება;

მიწის რესურსების ეროზია და დეგრადაცია;

-ჰაერის დაზინძურება;

-ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც მოიცავს ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ტყეების გაჩეხვას, სხვა სახის მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას და ა.შ.

### ეკოლოგიაზე ტურიზმის ზეგავლენის მოდელირება

გარემოზე ტურიზმის ზეგავლენა შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლებით. ჩვენს მიერ რაოდენობრივი შეფასების მიზნით გამოყენებულია ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი (Environmental Performance Index-EPI), რომელიც შემუშავდა იელის უნივერსიტეტის, კოლუმბიის უნივერსიტეტის და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ. ის ინტეგრალური მაჩვენებელია და განისაზღვრება გარემოზე დატვირთვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მაჩვენებლებისა და ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტიანობის მიხედვით. მისი გაიანგარიშება ხდება 32 მაჩვენებლის საფუძველზე, რომლებიც 11 კატეგორიაშია გაერთიანებული. გამოთვლილი ინდექსების მიხედვით ხორციელდება ქვეყნების პოზიციების განსაზღვრა რანჟირების სხვადასხვა კატეგორიაში შედეგიანობის მიხედვით, რომლებიც თავმოყრილია ორ ჯგუფში: ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობა და ეკოლოგიური მდგომარეობა.

საქართველოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ტურიზმის დარგის ზეგავლენის შესაფასებლად გამოყენებულია მრავლობითი წრფივი რეგრესიული მოდელი. მოდელირებისათვის აუცილებელი სტატისტიკური ინფორმაცია აღებულია ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის ოფიციალური ვებ-გვერდიდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებიდან. მოდელში როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ცვლადები მოიცავს 2010-2019 წლების პერიოდს. ვგულისხმობთ, რომ გარე ცვლადების ეკოლოგიაზე ზეგავლენას და მის შეფასებას აქვს დროითი ლაგი.

საქართველოს როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ტურიზმის ზეგავლენის ფუნქციას, ჩვენს მიერ ეკონომიკური თეორიის მიხედვით შერჩეული ამხსნელი ფაქტორების პირობებში, ექნება შემდეგი სახე:

$$EPI = f(X_1, X_2, X_3, X_4, X_5, X_6)$$

სადაც,

EPI-არის საქართველოში ეკოლოგიური ეფექტიანობის ამსახველი მაჩვენებელი;

X<sub>1</sub> - ქვეყანაში ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა;

X<sub>2</sub> - მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე;

X<sub>3</sub> - მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი;

X<sub>4</sub> - ტყის საფარის ფართობი;

X<sub>5</sub> -სათბური აირების ემისიის ამსახველი პარამეტრი;

$X_6$  - დანახარჯები გარემოსდაცვით ღონისძიებებზე.

საქართველოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ტურიზმის ზეგავლენის რეგრესიულ მოდელს აქვს ლოგარითმული ფორმა:

$$\ln EPI = \alpha_0 + \alpha_1 \ln X_1 + \alpha_2 \ln X_2 + \alpha_3 \ln X_3 + \alpha_4 \ln X_4 + \alpha_5 \ln X_5 + \alpha_6 \ln X_6 + \varepsilon$$

მოდელის ვერიფიკაციის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ეკოლოგიური ეფექტიანობის მაჩვენებელზე როგორც შედეგობრივ ცვლადზე ამხსნელი ცვლადების ზეგავლენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტები უდრის შესაბამისად 0,726 და 0, 704, ხოლო  $F=80,621$ . როგორც მოსალოდნელი იყო მოდელში მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, ჩამოსული ტურისტების რაოდენობა, ბიუჯეტის დანახარჯები გარემოსდაცვით ღონისძიებებზე და ტყის ფართობი არის დადებითი ნიშნით ანუ ისინი ახდენენ დადებით ზეგავლენას ეკოლოგიური ეფექტიანობის მაჩვენებელზე, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე და სათბური აირების ემისია უარყოფით ზემოქმედებას, ვინაიდან აქვთ უარყოფითი ნიშანი.

### დასკვნა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მეთოდურ რეკომენდაციებში ტურიზმის ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე დაგეგმვის კონტექსტში ცალსახადაა აღნიშნული ტურიზმის განვითარების სამი ძირითადი მიზეზი, რომელთაგან ერთ-ერთია ეკოლოგიური მიზეზი. ამ ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ მიჩნეულია, რომ ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას. ასევე, გარკვეულ სამეცნიერო ნაშრომებშიც გაკეთებულია დასკვნები ეკოლოგიაზე ტურიზმის დადებითი ზემოქმედების შესახებ. თუმცა, არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებებიც, რომელთა მიხედვით ტურიზმი ახდენს უარყოფით ზეგავლენას დანიშნულების ადგილების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. მაშასადამე, თანამედროვე პირობებში არსებობს არაერთგვაროვანი პოზიციები ტურიზმისა და ეკოლოგიის ურთიერთქმედების შედეგების შესახებ.

ნაშრომში, საქართველოს მაგალითზე, ემპირიული ანალიზის მეშვეობით განხორციელებულია ტურიზმის ეკოლოგიაზე ზეგავლენის შეფასება შერჩეული ამხსნელი ცვლადების საფუძველზე. ეს ცვლადები შერჩეულია ეკონომიკური თეორიის დებულებების შესაბამისად, რაც მიუთითებს იმაზე, რომ თეორიული თვალსაზრისით გამოყენებული ეკონომეტრიკული მოდელი ადეკვატურია. მიღებულმა შედეგებმა საქართველოს მაგალითზე დაადასტურა, რომ ტურიზმის განვითარება ახდენს გასაშუალებულ პოზიტიურ ზეგავლენას გარემოს დაცვაზე, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებაზე ძირითადად ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდისა და გარემოსდაცვითი დაფინანსების (ეკოლოგიური დანახარჯების) გაფართოების მეშვეობით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Блудов К.А Анализ влияния туристской отрасли на экологию регионов. Екатеринбург : Издательство Уральского университета, 2017
- 2.Петрасов И. В. Концепция устойчивого развития применительно к мировому туризму [Электронный ресурс] // GeoPublisher: URL: <http://geopub.narod.ru/student/petrasov/3/3.html> (дата обращения 25.01.2017)
- 3.Рейтинг стран по индексу экологической эффективности. <http://epi.envirocenter.yale.edu/>
- 4.Шебзухова. М.В. Математические и инструментальные методы моделирования туристско-рекреационной деятельности. <http://diss.rsl.ru/diss/06/0284/060284023.pdf>

5. Трегуб И.В., Маргри Ш. Эконометрические методы в решении задач управления развитием туризма во Франции // В книге: Управление развитием крупномасштабных систем MLSD'2019 Материалы двенадцатой международной конференции Научное электронное издание. Под общей ред. С.Н. Васильева, А.Д. Цвиркуна. 2019. С. 1273-1276

6. Environmental Impacts of Tourism [Электронный ресурс] // The Global Development Research Center: URL: <https://www.gdrc.org/uem/eco-tour/envi/one.html> (дата обращения 25.01.2017)

7. EPI 2019 Report [Электронный ресурс] // Environmental Performance Index: URL: <http://epi.yale.edu/reports/2016-report>

8. Tourism Statistics [Электронный ресурс] // World Tourism Organization UNWTO eLIBRARY: URL: <http://www.e-unwto.org/toc/unwtotfb/current> (дата обращения 26.01.2017)

9. Travel & Tourism Direct Contribution to GDP [Электронный ресурс] // knoema: URL: <https://knoema.com/atlas/topics/Tourism/Travel-and-Tourism-DirectContribution-to-GDP/Direct-Contribution-to-GDP-percent-share?origin=knoema.ru> (дата обращения 26.01.2017)

10. World DataBank, World Developed Indicators [Электронный ресурс] // World Bank Group: URL: <http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=2&series=AG.LND.ARBL.ZS&country=>

*Mamuka Khuskivadze*

## THE ESTIMATION OF THE IMPACT OF THE TOURISM ON THE ECOLOGY IN GEORGIA BY THE METHOD OF ECONOMETRIC MODELLING

### Summary

In the article the impact of the tourism on the ecology in Georgia is estimated by the method of econometric modelling.

*ქეთევან ჭანიძე  
გულად თხილაიშვილი*

### ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების პერსპექტივები საქართველოში

*ანოტაცია:* სტატიაში განხილულია ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების მნიშვნელობა საქართველოსთვის. წარმოდგენილია და დახასიათებულია მსოფლიოში არსებული ენერჯის განახლებადი წყაროები, მოყვანილია სხვა ქვეყნების გამოცდილება, მსგავსი ტიპის წყაროების გამოყენების მიმართულებით. განხილულია საქართველოში არსებული ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების პერსპექტივები და წინ გადადგმული ნაბიჯები.

*საკვანძო სიტყვები:* განახლებადი ენერჯია, ეკოლოგია, ელექტროენერჯია.

### შესავალი

ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მსოფლიოსთვის. მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური განვითარება განაპირობებს მზარდ მოთხოვნას ენერჯეტიკული რესურსების საშუალებებზე. ამოწურვადი ენერჯის გამოყენების კვალდაკვალ, კაცობრიობა სულ უფრო მეტად ცდილობს ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოძიებას, მათ ათვისებას და გამოყენებას. განახლებადი ენერჯის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ იგი ამოწურავია, განსხვავებით წიაღისეული რესურსებისაგან და მისი მოპოვება-გამოყენება შესაძლოა გახდეს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველი, გარემოს დაბინძურების გარეშე. ენერჯის განახლებადი წყაროები სხვადასხვა სახისაა, თითოეულ მათგანს მისთვის დამახასიათებელი თვისებები და გამოყენების თავისებურება გააჩნია.

განახლებადი ენერჯია არის ენერჯია, რომლის მუდმივად გამოყენება და შევსება შესაძლებელია, როგორც წესი, ბუნებრივი რეგენერაციული წყაროებიდან ან ბუნებრივი

გარემოსდაცვითი პროცესებიდან, როგორცაა: ქარი, მზე და ბიოსაწვავი. მას ხშირად უპირისპირდება არაგანახლებადი წყაროები, როგორცაა: ნახშირი და წიაღისეულის საწვავი, რომელთა წარმოებას უფრო დიდი დრო სჭირდება. განახლებადი ენერჯია იყენებს ენერჯის ნაკადებს, რომლებიც ივსება იმავე ტემპით, რა ტემპითაც გამოიყენება. პირველადი ენერჯის დაახლოებით 13% განახლებადი ენერჯის წყაროზე მოდის, უმეტესობა მოდის ტრადიციულ ბიომასაზე, როგორცაა ხის დაწვა. ჰიდროენერჯეტიკა, ასევე, ერთ-ერთი უმსხვილესი წყაროა, რომელიც უზრუნველყოფს 2-3%-ს, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორცაა: გეოთერმული, ქარის, მზისა და ზღვის ენერჯია, ერთად წარმოქმნის მსოფლიო ენერჯის მთლიანი მოთხოვნის 1%-ზე ნაკლებს, მაგრამ ფაქტია, რომ სწრაფად ფართოვდება.

ენერჯის განახლებადი წყაროები სხვადასხვა სახისაა, მათგან ყველაზე პოპულარულია **მზის ენერჯია (Solar energy)**. მზის ენერჯის გამოყენება შეიძლება ორგვარად, ერთი მხრივ, ის შეიძლება გარდაქმნათ სითბოდ, ხოლო, მეორე მხრივ, პირდაპირ ელექტროენერჯად. მზის ენერჯის სითბურ ენერჯიად გარდასაქმნელად გამოიყენება თერმული კოლექტორები. მზის თერმული კოლექტორი არის მზის კოლექტორი, რომელიც შექმნილია სითბოს შესაგროვებლად მზის შუქის შთანთქმით. ეს ტერმინი გამოიყენება მზის ცხელი წყლის პანელებზე, მაგრამ ის, ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო რთული დანადგარების აღსანიშნავად, როგორცაა: მზის ღარი და მზის კომპები ან უფრო მარტივი დანადგარები. უფრო რთული კოლექტორები ჩვეულებრივ გამოიყენება მზის ელექტროსადგურებში, სადაც მზის სითბო გამოიყენება წყლის გაცხელებით ელექტროენერჯის წარმოსაქმნელად, ორთქლის წარმოებისთვის, რომელიც ელექტრო გენერატორთან დაკავშირებულ ტურბინებს მართავს. ჩვეულებრივ, უფრო მარტივი კოლექტორები გამოიყენება საცხოვრებელი და კომერციული შენობების დამატებითი ოთახის გათბობისთვის. კოლექტორი არის მოწყობილობა მზის გამოსხივების ენერჯის უფრო გამოსაყენებელ ან შესანახ ფორმად გადაქცევისთვის. ცხადია, დედამიწის ზედაპირზე მოხვედრილი მზის ენერჯია დამოკიდებულია ამინდის პირობებზე, ასევე ზედაპირის ადგილმდებარეობასა და ორიენტაციაზე, მაგრამ საერთო ჯამში, იგი სუფთა ცის ქვეშ საშუალოდ დაახლოებით 1000 ვატს შეადგენს კვადრატულ მეტრზე, ზედაპირზე მზის სხივების პირდაპირ პერპენდიკულარული დაცემისას. მეორე მხრივ, მზის ენერჯია შეიძლება პირდაპირ ელექტროენერჯად გარდაქმნათ. ასეთია მაგალითად, ფოტოელექტრონული (PV)<sup>105</sup> სისტემები, რომლებიც სინათლეს ელექტროენერჯად აქცევენ. უმარტივესი ფოტოელექტრონული სისტემები გვხვდება პატარა კალკულატორებში, რომელსაც ყოველდღე ვიყენებთ. უფრო რთული მზის ენერჯის სისტემები, უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენს ელექტროენერჯის მეტ ნაწილს უზრუნველყოფს. PV წარმოადგენს ენერჯის ინტენსიური ცხოვრების დონის შენარჩუნების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ საშუალებას. იგი არის ეფექტური, ხელს არ უწყობს გლობალური დათბობის პროცესის კიდევ უფრო გაღვივებას და, რაც მთავარია, არის ეკოლოგიურად სუფთა.

ჩატარებული კვლევების თანახმად: „ყოველ საათში დედამიწაზე იმდენი მზის ენერჯია აღწევს, რაც ერთი წლის მანძილზე მთელი მსოფლიოს ენერჯეტიკული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არის საკმარისი. მზის ენერჯის გამოყენება ყველაზე მეტად გავრცელებულია გერმანიაში, ქვეყნის ენერჯის 22 % განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიიღება, საიდანაც მეოთხედი მზის ენერჯიაა“ (მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ. 2013:12). მზის ენერჯია გამოიყენება: ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიაში, სადაც მდებარეობს მსოფლიოში უდიდესი თბოელექტროსადგური, აფრიკაში, თუმცა მოსახლეობის სიღარიბის გამო მზის ენერჯის გამოყენება აქ არ არის დიდად გავრცელებული,

მიუხედავად იმისა, რომ აფრიკა დედამიწაზე ყველაზე მზიანი ადგილია და მზის ენერჯის ათვისების უდიდესი შესაძლებლობა აქვს. მზის თბური სადგურების განვითარება მსოფლიოში 2019 წლის მონაცემებით ასე გამოიყურება:

**Top 10 countries by added solar PV capacity in 2019:** China: 30,100 MW (26.2%); United States: 13,300 MW (11.6%); India: 9,900 MW (8.6%); Japan: 7,000 MW (6.1%); Vietnam: 4,800 MW (4.2%);

<sup>105</sup> Photovoltaics -მეცნიერება "მზის ელემენტების" შესახებ და ის მზისგან განახლებადი ენერჯის მიღებას ეძღვნება.

Spain: 4,400 MW (3.8%); Germany: 3,900 MW (3.4%); Australia: 3,700 MW (3.2%); Ukraine: 3,500 MW (3.0%); South Korea: 3,100 MW (2.7%); All others: 31,200 MW (27.2%).

**Top 10 countries by cumulative solar PV capacity in 2019<sup>106</sup>:** China: 204,700 MW (32.6%); United States: 75,900 MW (12.1%); Japan: 63,000 MW (10.0%); Germany: 49,200 MW (7.8%); India: 42,800 MW (6.8%); Italy: 20,800 MW (3.3%); Australia: 14,600 MW (2.3%); United Kingdom: 13,300 MW (2.1%); South Korea: 11,200 MW (1.8%).

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ჩვენს ქვეყანას გაზის ენერჯის გამოყენების საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს, უფრო უკეთესი ვიდრე გერმანიას ან დიდ ბრიტანეთს. მთავარი პრობლემა რაშიც მდგომარეობს არის ის, რომ ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის სტრატეგია არაა მიმართული ენერჯის გენერაციის ხელშეწყობისაკენ. მოსახლეობაში ცნობადობა დაბალია მსგავსი ტიპის სისტემების არსებობასა და გამოყენებაზე. მუდმივი არასტაბილურობის განცდის პირობებში, რთულია გრძელვადიანი გათვლების გაკეთება და თანხის დაბანდება რაღაც ახალში, რაც მომავალში დიდ სარგებელს მოიტანს.

საქართველოში ცოტაა ისეთი ადამიანები ან კომპანიები, ვისაც განახლებადი ენერჯები აინტერესებს. მზის ენერჯის გამოყენების მაგალითებია: დავით გარეჯის მონასტერი, 250 ვტ. სადგური უკანა ფშავში, 45 ვტ. სადგური ახმეტის რაიონში, 50 ვტ. სადგური თუშეთში. ჩამოთვლილი მაგალითები მიუთითებს, რომ მზის ენერჯის ათვისებას ჩვენს ქვეყანაში ფრაგმენტული ხასიათი აქვს და ქვეყნის დიდი პოტენციალი მზის ენერჯის ათვისების მიმართულებით გამოუყენებელია. სახელმწიფო ამ შემთხვევაში ჯერჯერობით მხოლოდ პასიური როლით შემოიფარგლება. „საქართველომ 2014 წელს ასოცირების ხელშეკრულებით თავის თავზე აიღო ევროკავშირის ენერჯეტიკული კანონმდებლობის მესამე პაკეტთან ჰარმონიზაციის ვალდებულება, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი და გადამცემი სისტემების ოპერატორების შექმნას, საცალო დონეზე ყველა მომხმარებლისათვის ბაზრის გახსნას, ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმის შემუშავებას“ (დევიძე მ, 2017:15). ენერჯის განახლებადი წყაროების შესახებ ვალდებულებების დირექტივის 2009/28/EC<sup>107</sup> მიხედვით დადგენილია ის პირობები, რომელიც ქვეყანამ უნდა დანერგოს და განახორციელოს, მოთხოვნების მცირე ნაწილი შესრულებულია. ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე 2019 წლიდან უკვე განხორციელდა. მაგალითად, კანონი „ენერჯეტიკეტირების შესახებ“ და კანონი „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“. ჩატარებული სამუშაოები მცირეა და არაა საკმარისი იმისთვის, რომ მზის ენერჯიამ ქვეყნის ენერჯეტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს. ჩვენი აზრით, განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიის წარმოება მზის ენერჯის გამოყენების ღირებულებაზე. მოსახლეობას უნდა მიეწოდოს დამაჯერებელი ინფორმაცია, თუ რატომ არის მზის პანელები და გამაცხელებლები ღირებული ტექნოლოგიები და რამხელა სარგებლის და ეკონომიის მოტანა შეუძლია მათ, როგორც საოჯახო მეურნეობებისთვის, ისე კერძო კომპანიებისთვის.

ენერჯის განახლებადი წყაროების მეორე სახეა **ქარის ენერჯია (Wind energy)**. მისი მიღება და გამოყენება დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლოს, თუმცა მისი გამოყენების ადრეული ფაქტები ჩვ.წ.აღ.მდე 500-900 წლისათვის სპარსეთში გვხვდება. „ქარის ენერჯის გამოყენების ადრეული ფორმები ნაოსნობას უკავშირდება, მეზღვაურები ქარის ენერჯიას სწრაფი გადაადგილებისთვის იყენებდნენ, მისი მეშვეობით განსაზღვრავდნენ მარშრუტებსაც“ (მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., 2013:18). თავდაპირველად, მას გამოიყენებდნენ წყლის ამოტუმბვისთვის ზღვებიდან და ოკეანეებიდან, ამოტუმბულ წყალს ძირითადად სარწყავად იყენებდნენ, მოგვიანებით, ქარის ენერჯის გამოყენების სტადია გახლდათ ქარის წისქვილები. დღეისათვის ქარის ენერჯის მიღება ხდება ქარის ტურბინების საშუალებით. მისი მუშაობის მექანიზმი ჰგავს წისქვილისას, როდესაც ქარის სიჩქარე მაღალია, ტურბინების გადაადგილების შედეგად წარმოიშობა ელექტროენერჯია. რაც უფრო მაღალია ქარის სიჩქარე, მით უფრო მეტი

<sup>106</sup> [https://en.wikipedia.org/wiki/Solar\\_power\\_by\\_country](https://en.wikipedia.org/wiki/Solar_power_by_country)

<sup>107</sup> <https://www.energy-community.org/legal/acquis.html>



ელექტროენერჯია წარმოიშობა, სწორედ ამიტომ ქარის ტურბინები გვხვდება მაღალმთიან რაიონებში ან ისეთ ადგილებში სადაც მუდმივი ნიაგია. უახლესი კვლევების შედეგად, მსოფლიოში ქარის სიმძლავრეების გამოყენებით ლიდერობს ჩინეთი, შემდეგ მოდის ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ინდოეთი ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, ბრაზილია, კანადა და იტალია.<sup>108</sup> ქარის ენერჯის დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია შემდეგი: ენერჯის განახლებადი წყაროს გამოყენება არ აბინძურებს გარემოს, ამალღებს ენერჯო უსაფრთხოების დონეს, აქვს დაბალი ტარიფი. მზის ენერჯის გამოყენებისგან განსხვავებით, მას აქვს ასევე უარყოფითი მხარეები. მაგალითად, სჭირდება დიდი ფართობი, შეიძლება გაანადგუროს გადამფრენი ფრინველები, აქვს ვიზრაცია და მაღალი ხმა. მისთვის დამახასიათებელია ენერჯის მიღების სეზონურობა, ქარის ენერჯის მიღება შეიძლება შეჩერდეს ქარის შეწყვეტისთანავე, ამიტომ პარალელურად საჭიროა ენერჯის ალტერნატიული წყაროს არსებობა. ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა საკმაოდ ძვირი ჯდება, ამის გამო საქართველოში მისი აგების, ამუშავების და გამოყენებას შესაბამისი გათვლები და დასაბუთება სჭირდება. ექსპერტთა შეფასებით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ამ ეტაპზე არ იძლება იმის საშუალებას, რომ ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა მასიურად განხორციელდეს. ქარის ენერჯის წარმატებით გამოყენების კარგი პოტენციალი აქვს იმერეთს, ქვემო ქართლს, ასევე ზამთრის კურორტებს. ქარის ენერჯის საშუალო წლიური რაოდენობა 4 მლდრ. კვტ.სთ.მდეა შეფასებული.<sup>109</sup>

**ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა ქარის ეფექტური ელექტროსადგურების პერსპექტიული მშენებლობის რამდენიმე მოედანი<sup>110</sup>**

| ადგილმდებარეობა | სიმძლავრე (მგვტ) | წლიური გამოიმუშავება (მლნ.კვტ/საათი) |
|-----------------|------------------|--------------------------------------|
| ფოთი            | 50               | 110                                  |
| ჭოროხი          | 50               | 120                                  |
| ქუთაისი         | 100              | 200                                  |
| მთა-საბუეთი I   | 150              | 450                                  |
| მთა-საბუეთი II  | 600              | 2000                                 |
| გორი-კასპი      | 200              | 500                                  |
| ქარავანი        | 200              | 500                                  |
| სამგორი         | 50               | 130                                  |
| რუსთავი         | 50               | 150                                  |
| <b>ჯამი</b>     | <b>1450</b>      | <b>4160</b>                          |

განახლებადი ენერჯის წყაროა გეოთერმული ენერჯია (Geothermal Energy). დედამიწაზე ინახება დიდი რაოდენობით. ენერჯია, რომელიც ჩნდება მინერალების დაშლის შედეგად. ბევრი მათგანი რადიოაქტიური ხასიათისაა და სითბოს დიდი რაოდენობით გაჩენას იწვევს. ეს სითბო თავისუფლდება და დედამიწაზე გაჩენილი ბზარებიდან გარეთ გამოდის. გამოიყოფა თერმული სავენტრილაციო საშუალებები, რომლებიც გამოყოფს ცხელ ორთქლს და მდუღარე წყალს. მსგავსი ტიპის ხვრელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სწორედ ელექტროენერჯის განახლებადი წყაროებით წარმოებისათვის. დედამიწიდან მომდინარე ცხელი წყაროებით შენდებოდა აბანოები. მაგალითად, ძვ. რომში ასეთი აბანოები იმპერატორების განტვირთვის ერთ-ერთი საშუალება იყო. მსგავსი აბანოები ამჟინებულია საქართველოშიც. საქართველოში გეოთერმული წყლების პროგნოზული მაჩვენებელი 250 მლნ. კუბ.მ.-ია. დღეისათვის ცნობილია დაახლოებით 250-მდე ბუნებრივი და გაბურღული გამოსავლები, რომელშიც წყლის ტემპერატურა 30-110°C-ის ფარგლებში მერყეობს. გეოთერმული საბადოების 80 %-ზე მეტი განლაგებულია დასავლეთ საქართველოში.

<sup>108</sup> <https://www.power-technology.com/>

<sup>109</sup> საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო - [http://energy.gov.ge/investor.php?id\\_pages=17&lang=geo](http://energy.gov.ge/investor.php?id_pages=17&lang=geo)

<sup>110</sup> საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო - [http://energy.gov.ge/investor.php?id\\_pages=17&lang=geo](http://energy.gov.ge/investor.php?id_pages=17&lang=geo)

**გეოთერმული ქვეყნების ათეული 2019 წლის მონაცემებით ასე გამოიყურება:**

1. შვედეთი - 3,676 მეგავატი
2. ინდონეზია - 2,133 მეგავატი
3. ფილიპინები - 1,918 მეგავატი
4. თურქეთი - 1,526 მეგავატი
5. ახალი ზელანდია - 1,005 მეგავატი
6. მექსიკა - 962,7 მეგავატი
7. იტალია - 944 მეგავატი
8. კენია - 861 მეგავატი
9. ისლანდია - 755 მეგავატი
10. იაპონია - 601 მეგავატი<sup>111</sup>

მსოფლიოში ენერჯის დაახლოებით 10 % გეოთერმული ენერჯისაგან მიიღება. გარდა სამკურნალო აბანოების მოწყობისა, გეოთერმული ენერჯია გამოიყენება გათბობისა და ელექტროენერჯის მიღებისათვის.

განახლებადი ენერჯის ერთ-ერთი წყაროა **ბიომასის ენერჯია (Biomass Energy)**. ბიომასას მიეკუთვნება ცოცხალი ორგანიზმების, ცხოველებისა და მცენარეებისგან მიღებული ენერჯია. მცენარეებში შენახული ენერჯია იშლება ფოტოსინთეზის დროს. ბიომასის მცენარეებს შეუძლიათ დიდი რაოდენობით ნედლეულის დაშლა. ნედლეულად გამოდგება დამპალი მცენარეების, ნათესების, ბოსტნეულის, ხის ნაწილების ნარჩენები. ორგანული ნივთიერებების დაშლის შედეგად მიიღება ბიოგაზი, რომელიც გამოიყენება საწვავად. მსგავსი ტიპის გაზი კარგად გამოიყოფა დაჭაობებულ ადგილებში. ასეთი ორგანული ნივთიერებები ნაგავსაყრელებზეც წარმოიშობა. ბიოგაზის გამოყენების ადრეული ფაქტი გვხვდება გერმანიაში. ბიოგაზი სპეციალურ მოწყობილობებში, ბიორეაქტორებში გადამუშავების შედეგად მიიღება. გამოიყენება ელექტროენერჯის მისაღებად, გათბობის სისტემებში და ტრანსპორტის საწვავად. „ბიომასა უკვე უზრუნველყოფს მსოფლიოს პირველადი ენერჯის მოხმარების 14%-ს. აღსანიშნავია, რომ ბიომასის ენერჯია განსაკუთრებით გავრცელებულია განვითარებად ქვეყნებში, ბიომასა წარმოადგენს ამერიკის ენერჯომოხმარების 4%-ს. ინდუსტრიულად განვითარებად ქვეყნებს შორის, ბიოგაზის წარმოების და გამოყენების მხრივ დანიას უჭირავს წამყვანი ადგილი, სადაც ქვეყნის მთლიან ენერჯო ბალანსში ბიოგაზს 18% უკავია“ (მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., 2013:21). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წამყვანი ავტომწარმოებლები, მაგალითად „volvo“ და „scania“ აწარმოებენ ბიოგაზის საწვავზე მომუშავე ავტობუსებს. მსგავსი ტიპის ავტობუსები გვხვდება შვეიცარიაშიც. საქართველოში ბიომასის ენერჯის გამოყენების კუთხით პირველი ნაბიჯები გადაიდგა 2013 წელს. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ<sup>112</sup> გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში (UNDP) და გლობალურმა გარემოსდაცვითმა ფონდმა, საქართველოში ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობის მიზნით (GEF), შეიმუშავეს ოთხწლიანი პროექტი. შემუშავდა საქართველოს პირველი ეროვნული სტრატეგია, სამუშაო გეგმა და დაფუძნდა ბიომასის მწარმოებელთა ეროვნული ასოციაცია. გაიხსნა ბიომასის მცირე საწარმოები თბილისში, მანავსა და ახმეტაში. ბიომასის გამოყენების მიმართულებით აღსანიშნავია, ასევე, „ტყის ახალი კოდექსის“ მიღების შემდეგ მიმდინარე სატყეო რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ხე-ტყის დამზადების ახალი პრაქტიკის დანერგვას ალტერნატიული ბიომასის საშუალებით. სხვა სიტყვებით, ტყეში დაგროვილი ბიოლოგიური ნარჩენებისგან შესაძლებელია შემის ალტერნატიული პროდუქტის შექმნა და მოსახლეობისთვის შეთავაზება.

განახლებადი ენერჯის კიდევ ერთი წყაროა **ტალღების ენერჯია (Wave Energy)**, რომელიც ოკეანეზე დაფუძნებული განახლებადი ენერჯის წყაროა. ტალღების ენერჯია გამოიყენება ელექტროენერჯის საწარმოებლად. ტალღების ელექტროსადგურები, ჰიდროელექტრო-სადგურების მსგავსად მუშაობს, თუმცა ასეთი ელექტროსადგურების აშენება ტექნოლოგიურად

<sup>111</sup> <https://www.thinkgeoenergy.com/the-top-10-geothermal-countries-2019-based-on-installed-generation-capacity-mwe/>

<sup>112</sup> ახლანდელი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მკირადღირებულია. ტალღების ენერგია სინამდვილეში მზის ენერგიის კონცენტრირებული ფორმაა, იგი წარმოიქმნება ოკეანეების ზედაპირზე ქარის მოქმედების შედეგად, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც განახლებადი ენერგიის წყარო. ტალღის ენერგიის დადებითი მხარეებია: უხვი და განახლებადი ენერგიის რესურსი, არ აზინძურებს გარემოს, ამცირებს დამოკიდებულებას საწვავზე, ტალღის ენერგია პროგნოზირებადია რამდენიმე დღით ადრე, ტალღის ენერგია იცავს სანაპირო ზოლს ეროზიისაგან, არ ქმნის ბარიერებს და სირთულეებს თევზებისა და წყლის ცხოველების მიგრირებაში. ტალღის ენერგიის უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია: ტალღების ინტერვალური ხასიათის გამო წარმოიქმნება წყვეტილი ენერგია, ელექტროენერგიის განაწილების მაღალი ხარჯები, ტალღის ენერგიის გარდამქმნელი მოწყობილობები დამოკიდებულია ადგილზე, სადაც ტალღების სიმძლავრე მუდმივია. „ტალღების მოქცევით ენერგიის წარმოების კარგი პოტენციალი აქვთ საფრანგეთს, ინგლისს, კანადას და რუსეთს. რადგანაც ენერგიის მიღების აღნიშნული საშუალება ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა, მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ორი კომერციული ელექტროსადგური, ერთი განთავსებულია საფრანგეთში, ხოლო მეორე კანადაში, ასევე ერთი ექსპერიმენტული სადგური მოქმედებს რუსეთში“ (მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., 2013:11). აღსანიშნავია, რომ საქართველოში შავი ზღვის სანაპირო ზოლში, აჭარაში, ე.წ. ადლიის დასახლებულ ტერიტორიაზე, ზღვის მიქცევა-მოქცევა ქმნის სანაპირო ზოლის ეროზიას, ადგილი აქვს ტერიტორიის მიტაცებას ზღვის მხრიდან. ასეთ ვითარებაში, მიუხედავად სიძვირისა, შესაძლებელია ღირდეს ტალღის ელექტროსადგურების აგება, რომელიც, ერთი მხრივ, დაიცავს სანაპირო ზოლს, მეორე მხრივ, გამოიმუშავებს ელექტროენერგიას. გარდა ამისა, საინტერესო იქნება სპეციალისტების მოსაზრება, კომბინირებული განახლებადი სადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც, ერთი მხრივ, შეიძლება იძლეოდეს ზღვის ელექტროენერგიის გამოყენების საშუალებას, მეორე მხრივ, ქარის ან მზის ენერგიის გამოყენებას, თუ, რა თქმა უნდა, ტექნიკურად მოხერხდება სანაპირო ზოლის კრიტიკულ წერტილებში განთავსდეს სპეციალური პლატფორმები, რომლის ზედა ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ქარის ტურბინების განსათავსებლად ან მზის ელემენტების გასათავსებლად, ხოლო პლატფორმის ქვედა ნაწილი წარმოადგენდეს ტალღის ენერგიის მიღების ტექნიკურ კონსტრუქციას, რომელიც ცხადია, ტალღის ჩამხშობის ფუნქციასაც შეასრულებს და დაიცავს სანაპირო ზოლს. ბუნებრივია, მსგავსი კომპლექსური პროექტები, ალტერნატიული ენერგიის არამხოლოდ გამოყენების, არამედ ურთიერთ შევსების, ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან არიდების საშუალებას იძლევა. ამიტომ მიუხედავად სიძვირისა, ვფიქრობ, ღირს დაფიქრება და სარგებლების კომპლექსის შეპირისპირება პროექტის ღირებულებასთან.

**დასკვნის** სახით შეიძლება ითქვას, რომ ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების პერსპექტივები საქართველოში საკმაოდ დიდია. ჩვენს ქვეყანაში არსებული წყაროების მაქსიმალურად ათვისების შემთხვევაში, მოსახლეობას საშუალება ექნება უფრო ნაკლები ხარჯებით მოიხმაროს, ან სრულად უარი თქვას არაგანახლებადი წყაროების მოხმარებაზე, გაიზრდება ენერგოდამოუკიდებლობის პროცენტი, გაუმჯობესდება ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა, გამოიკვეთება მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობა (Gagnidze I, Papachashvili N, Papachashvili T, 2018: 247). ჩამოთვლილი სიკეთეების ასათვისებლად, განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია: მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების წახალისება, ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომობილების დანერგვის წახალისება, ჰიდროელექტროენერგიის (ქარის, მზის) წარმოების მხარდაჭერა. გარდა ამისა, აუცილებელია შესწავლილ იქნას ენერგიის განახლებადი წყაროების განთავსების ადგილები, კომპლექსური ურთიერთშეთავსებადი სადგურების აგების შესაძლებლობა, მაღალმთიანი და დასახლებული პუნქტებისგან მოშორებით, მოსახლეობისა და სხვა ობიექტების მსგავსი სადგურებით აღჭურვის ხელშემწყობი პროექტების სტიმულირება, მოსახლეობის ინფორმირება და კერძო საცხოვრებელი სახლების მინისადგურებით აღჭურვის ხელშეწყობა, მათი სუბსიდირების პროექტების განხორციელებით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მუხიგულიშვილი გ., კვარაცხელია თ., 2013, ენერჯის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა. თბილისი, გვ. 12
2. დევიძე მ., მზის ენერგეტიკა საქართველოში: პრობლემები, გამოწვევები და საჭირო ღონისძიებები. თბილისი, გვ. 15
3. საქართველოს კანონი - განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ. 2019
4. განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა. 2019
5. საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში. 2017
6. Gagnidze I., Papachashvili N., Papachashvili T., 2018, „Possibilities of Improvement of Green Economy Policymaking”. Conference „Cocreating Responsible Futures in the Digital Age: Exploring new paths towards economic, social and environmental Sustainability” p. 247
7. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო-  
[http://energy.gov.ge/investor.php?id\\_pages=17&lang=geo](http://energy.gov.ge/investor.php?id_pages=17&lang=geo)
8. Energy Community Secretariat. Energy Transition Tracker. 2021
9. Power Technology. <https://www.power-technology.com/>
10. Power Technology. thinkgeoenergy research 2020.

*Ketevan Tchanidze  
Guladi Tkhliaishvili*

### PROSPECTS OF USE OF THE RENEWABLE ENERGY RESOURCES IN GEORGIA

#### Summary

The use of renewable energy resources has great importance in the modern world. Population growth and technological development are leading to growth in demand for energy resources. Renewable energy can be continuously used and replenished from natural regenerative or natural environmental processes: wind, sun, and biofuels. It is often confronted with non-renewable sources, such as coal and fossil fuels, which take longer to produce. Renewable energy uses energy flows, which are filled with the same tempo, that was used. About 13% of primary energy derives from renewable energy sources, most come from traditional biomass such as wood burning. Hydropower is also one of the largest sources, providing 2-3%, while modern technologies such as geothermal, wind, solar and marine energy all together generate less than 1% of total world energy demand, but the fact is that it is growing rapidly.

Renewable energy sources derive in many forms, out of all the most popular is Solar Energy. Solar energy can be used in two ways, first - it can be converted into heat, and second – can be converted directly into electricity.

The second form of renewable energy source is **Wind Energy**. Its adoption and usage began at the end of the 19th century, although the earliest evidence of its use is found in Persia between 500-900 BC. Nowadays, wind energy is received by the wind turbines, its working mechanism is analogous to a mill, when the wind speeds up, electricity is generated by the movement of the turbines. When the wind speed is higher, more electricity is generated, that's why wind turbines are found in highland areas or in places where there is a constant breeze. According to recent studies, China is the world leader in the use of wind power.

The other source of renewable energy is **Geothermal Energy**, the Earth stores a huge amount of energy that arises from the dissolution of minerals. Many of them are radioactive in nature and emit large amounts of heat. Such heat is released from the cracks of the earth. That's why is used the thermal ventilation facilities, which emit hot steam and boiling water. A similar type of hole can be used for the production of renewable electricity sources.

One of the sources of renewable energy is **Biomass Energy**. Biomass is the energy derived from living organisms, animals and plants. The energy stored in plants is dissolution during photosynthesis. Thus, biomass plants can decompose large amounts of raw materials, as raw materials can be used as a waste of rotten plants, crops, vegetables and wood. As a result of the decomposition of organic matter, is obtained biogas, which is used as fuel, a similar type of gas is well extracted from swampy areas. Such organic substances are also produced in landfills.

Another source of renewable energy remains **Wave Energy**, which is an ocean-based renewable energy source. The wave energy is used to generate electricity, wave power plants work like hydropower plants, although to build such power plants is technologically expensive. Wave energy is actually a concentrated form of solar energy, which is generated by the action of wind on the surface of the oceans, thus, it is used as a source of renewable energy.

The prospects for the use of renewable energy sources in Georgia are quite large. In case of maximum consumption of the water resources which are available in our country the population will be able to consume at a lower cost, or completely refuse to consume non-renewable sources. As a result, energy independence will increase and the ecological condition of the country will be improved.

**Keywords:** *Renewable Energy, Ecology, Electricity;*

**მსოფლიო დავალიანების პრობლემა და სავალო კრიზისის საფრთხეები**

*ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია ბოლო 50 წლის მანძილზე არსებული სავალო კრიზისების წარმოშობის საფუძველი და შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები სამომავლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. საგარეო სახელმწიფო ვალის პრობლემის აქტუალობა გაიზარდა იქედან გამომდინარე, რომ ის პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს ეკონომიკის უსაფრთხოებასთან. საქართველოს თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებისას გასათვალისწინებელია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესების ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენა. მითუმეტეს, რომ ბოლო წლებში საგარეო ვალის პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო და თანაც ზრდის ტემპიც დაჩქარებულია.*

*საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ვალი, გლობალიზაცია, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, სავალო ტალღა.*

**შესავალი**

მსოფლიოში 2020 წელს განვითარებულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია გლობალურ ეკონომიკაში. რამაც დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა არა მხოლოდ მესამე სამყარო, არამედ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებიც. სტატიის აქტუალობა განპირობებულია ვალის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის როლით, როგორც ქვეყნის კეთილდღეობის, ასევე მისი შენარჩუნების საკითხში. სახელმწიფო ვალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ სისტემაში. ვალის ფორმირება, მომსახურება და დაფარვა ახდენს დიდ გავლენას სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობაზე, ფულადი ნაკადების მოძრაობაზე, საინვესტიციო კლიმატზე, საერთაშორისო თანამშრომლობის წარმოშობასა და შემგომ განვითარებაზე სახელმწიფოებს შორის. ერთი შეხედვით, სახელმწიფო ვალი შეიძლება შეეფასოს, როგორც ფუჭი, მძიმე ვალდებულება, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც პროდუქტიული და სასარგებლო, ასევე შეიძლება ჩავთვალოთ რომ, ის შეიძლება იყოს არც სასარგებლო და არც მავნე, უბრალოდ უვნებელი. პანდემიით გამოწვეულმა სირთულეებმა უკეთ წარმოაჩინა თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროულად მობილიზებულ დამატებით რესურსს, ეს იქნება შიდა თუ გარე წყაროებიდან მიღებული, რადგან კრიტიკულ მომენტში მნიშვნელოვანია არსებულ სირთულეებთან გამკლავება და არა სამომავლო გართულებებზე ზრუნვა. დღევანდელ რეალობაში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საგარეო ვალის ზრდის გავლენამ. თუკი ის არ არის მდგრადი, მან შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა რისკის ქვეშ დააყენოს, მისმა მომსახურებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჭარბვალიანობა და თანმდევი ნეგატიური შედეგები.

\*\*\*

ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარე პანდემიამ გამოიწვია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დანაზოგებზე. მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას მოუწია ვალის ზრდა და რეზერვების შემცირება. კვლევების მიხედვით, განვითარებადი საბაზრო ეკონომიკების ერთ მესამედს შეზღუდული, ან საერთოდ არ აქვს ფისკალური სივრცე განგრძობადი კრიზისის გასამკლავებლად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მომდევნო წლებში გლობალური მოთხოვნის აღდგენის პერსპექტივებს. შესაბამისად, მომდევნო წლების განმავლობაში მოსალოდნელია, რომ მთელმა მსოფლიომ ფისკალური კონსოლიდაციის გზას მიმართოს ბუფერებისა და ფისკალური სივრცის აღდგენისათვის. კონსოლიდაცია კი დამატებითი მუხრუჭს წარმოქმნის ეკონომიკური ზრდისათვის, რაც საკმაოდ დიდი

შემაფერხებელი ფაქტორია მსოფლიო ეკონომიკის პანდემიამდელი მდგომარეობის დროის მოკლე პერიოდში აღდგენისათვის. 2019 წლის ბოლოს მსოფლიოში გამოჩენილმა ახალი ტიპის კორონავირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ ტენდენციებზე და მათ შორის საქართველოზეც. მთელს მსოფლიოში მოხდა მიმდინარე და საშუალოვადიანი პროგნოზების გადახედვა. პანდემიის პირველი ნიშნებიდან მოყოლებული, მაღალი გაურკვევლობიდან გამომდინარე, მრავალჯერ შეიცვალა ეკონომიკური პროგნოზები მთელს მსოფლიოში. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა არ არის ერთგვაროვანი. მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც გლობალიზაციისა და მომსახურების დარგების წილი მაღალია, უფრო მაღალი ეკონომიკური კლებაა მოსალოდნელი, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. სსფ-ის განახლებული პროგნოზით მოწინავე ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი - 5.8%, ხოლო განვითარებადი ქვეყნების - 3.3% მოსალოდნელი [ფინანსთა სამინისტრო, მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი, 1,8].

სახელმწიფო ვალზე და მის მომსახურებაზე საუბარი დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე დროულად მიგვაჩნია. სახელმწიფო ვალის ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე ზემოქმედების შესწავლა და კვლევა დაეხმარება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს სწორი ღონისძიებები დაგეგმონ სავალო კრიზისის თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ დავალიანების ზრდის ტემპი მზარდი იყო ბოლო კრიზისის შემდგომ პერიოდიდან, 2020 წელს განვითარებულმა მოვლენებმა გაცილებით უფრო დააჩქარა საფრთხის მოახლოება, რაც დაკავშირებულია ვალის სწრაფ ტემპთან, ამასთანავე მნიშვნელოვანია, იმ დამაბრკოლებელი ფაქტორების გათვალისწინება, რაც დაკავშირებულია ეკონომიკური ზრდის შენელებასთან, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ქვეყნის შემოსავლების შემცირებით, შედეგად უმუშევრობის და სოციალური ფონის გაუარესებით. ამიტომ მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილების საფუძველზე მოხდეს დროული რეაგირება იმ შესაძლო შედეგებზე, რაც დღის წესრიგში შეიძლება დადგეს მომდევნო წლების განმავლობაში. პანდემიამ რა თქმა უნდა შეცვალა პრიორიტეტები, რაც ასევე გასათვალისწინებელია, როდესაც ვსაუბრობთ უეცრად გაუარესებულ რეალობაზე.

გლობალიზაციის პროცესი, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში მკვეთრად აისახა კომერციულ და ფინანსურ პროცესებზე. ამ პროცესში, კაპიტალის გლობალიზაციამ უზიბა განვითარებად ქვეყნებს, რომლებმაც ზრდას მიაღწიეს უცხოური კაპიტალით, კონკურენციის წახალისებისკენ (მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთებით, დაბალი გაცვლითი კურსებით და დაბალი საგადასახადო განაკვეთებით). განვითარებად ქვეყნებს შორის საგადასახადო კონკურენციის მატებამ განაპირობა საგადასახადო განაკვეთების შემცირება. ამ ქვეყნებში გაზრდილი სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების არაადეკვატურმა საგადასახადო შემოსავლებმა, დღის წესრიგში დააყენა ახალი სესხების აღება. მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა სესხზე გაზარდა სესხის მომსახურების ხარჯი. ამრიგად, საგარეო სესხის აღების პროცესმა, რომლითაც განვითარებადმა ქვეყნებმა დაიწყეს განვითარების დაფინანსება, განიცადა სტრუქტურული ცვლილება. ამ პროცესში მიღებულ იქნა ძველი დავალიანების დახურვის მეთოდი ახალი დავალიანებით [Theoretical Aspects of Public Debt, II chapter, 20].

განვითარებადი ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნდათ დეფიციტის შესავსებად საკუთარი რესურსი, განიცადეს მძიმე კრიზისი მათი არასტაბილური ბაზრის სტრუქტურის გამო. მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებამდე არსებული კრიზისებიც განპირობებული იყო საგადასახადო ბალანსით, გლობალიზაციის პროცესში, კრიზისების ხასიათი შეიცვალა და გახდა საგარეო ვალის კრიზისი და ფინანსური ბაზრის კრიზისი (1982 მექსიკა, 1992–1993 ERM, 1994 მექსიკა, 1997 წ. აზია, 1998 რუსეთი, 1999 ბრაზილია, 2000–2001 თურქეთი და არგენტინა). ამრიგად, გლობალურ ეკონომიკაში ფინანსური გარიგების მოცულობა მხოლოდ 15.3-ჯერ აღემატებოდა 90-იანი წლების ნომინალურ მშპ-ს, მაშინ როდესაც 2000-იან წლებში ის 73,5-ჯერ დიდი იყო. აქციებმა, ობლიგაციებმა და სავალუტო გარიგებებმა თითქმის გააორმაგა მთლიანი ნომინალური მშპ მთელს მსოფლიოში.

მსოფლიო სავალო კრიზისებმა, რომელიც დაიწყო 1982 წელს მექსიკის მიერ მორატორიუმის გამოცხადებით და გავრცელდა დომინოს ეფექტით, აიძულა კრედიტორები შეეჩერებინათ სესხების გაცემა. ამრიგად, განვითარებად ქვეყნებს, რომელთა საგარეო დავალიანების ტვირთი კიდევ უფრო დამძიმდა, იძულებულნი იყვნენ დათანხმებულიყვნენ სსფ-ს მიერ შეთავაზებულ სტაბილიზაციის პოლიტიკას, ახალი სესხების მიღების ან დავალიანების გადავადების მიზნით. ამ პროცესს მოჰყვა უთანასწორობა შემოსავლის განაწილებაში, უმუშევრობა, ინფლაცია და სიღარიბე. თავის მხრივ, განვითარებულ ქვეყნებს 70-იანი წლებიდან მოგების განაკვეთების ვარდნის გამო კაპიტალის დაგროვების პრობლემები შეექმნათ. განვითარებულმა ქვეყნებმა დაიწყეს ახალი ბაზრების მოძიება ექსპორტის ზრდისთვის. რათა მათ მოეხდინათ ჭარბი პროდუქციის რეალიზაცია, საჭირო იყო საზოგადოების მოთხოვნა, ამისათვის აუცილებელი გახდა საზოგადოების ჩვევების ცვლილება. არამატერიალურმა ცნებებმა, როგორცაა კულტურული ფასეულობები, ტრადიციები, რწმენა და სხვა, მოიპოვა როგორც ეკონომიკის საფუძველის მნიშვნელობა. განვითარებული ქვეყნები შეგნებულად იყენებენ ამ ძალის ინსტრუმენტებს და სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებენ თავიანთი კულტურა და ეკონომიკური სტრუქტურა ჰქონდეთ. ამ გზით შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები გარდაიქმნებიან სამომხმარებლო საზოგადოებად და, ამის გამო ისინი განუწყვეტლივ ვალში არიან როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორთან [WB, Global Waves of Debt, 2020].

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ვალის დაგროვება მსოფლიო მასშტაბით გამოიხატა 4 ტალღად, რომლებმაც ძლიერი დარტყმა მიაყენა გლობალურ ეკონომიკას. პირველი სამი დასრულდა ფინანსური კრიზისით, სავალო კრიზისი 1980 წელს ლათინურ ამერიკაში, აზიის ფინანსური კრიზისი 90-იანების ბოლოს, მსოფლიო ფინანსური კრიზისი 2007 – 2009 წლებში. მეოთხე სავალო ტალღა დაიწყო 2010 წელს და გაგრძელდა 2018 წლამდე, როცა ვალმა 55 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. რაც მას ხდის ყველაზე ფართო და სწრაფად მზარდად. მიუხედავად იმისა, რომ სავალო ფინანსირება ხელს უწყობს განვითარების აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ისეთი როგორცაა ინფრასტრუქტურა, მიმდინარე სავალო ტალღა უფრო რისკიან ფორმებს იღებს. კვლევები აჩვენებს, რომ სახელმწიფო და კერძო ვალის ერთდროული ზრდა ხშირ შემთხვევაში აისახება ფინანსურ კრიზისში. რაც საბოლოოდ გამოიხატება შემცირებულ შემოსავალში და ინვესტიციებში. ბოლო ფინანსური კრიზისის შემდეგ განსაკუთრებით გაუარესებულია მდგომარეობა განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში: 75%-ის ბიუჯეტი დეფიციტით ხასიათდება, საგარეო ვალი, რომელიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებულია გაზრდილია, ხოლო დეფიციტი 4-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე ეს იყო 2007 წლამდე. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ აღნიშნულმა ფაქტორებმა შესაძლოა პროვოცირება გაუწიოს ფინანსური კრიზისის წარმოქმნას, რაც არაერთხელ მომხდარა წარსულში. ბოლო სავალო ტალღის შემდეგ, რომელიც იყო 2010 წელს, მსოფლიო ვალი გაიზარდა რეკორდულ მაჩვენებლამდე მშპ-ს 230%-მდე 2018 წელს. ვალის ზრდა განსაკუთრებით სწრაფი იყო განვითარებად ქვეყნებში. 2010 წლის შემდეგ ის გაიზარდა 54%-ით 170%-მდე (2018). 2000 – 2010 წწ-ში მკვეთრი ვარდნის შემდეგ ვალის გაიზარდა დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში 67%-მდე [WB-IMF, Debt Sustainability Framework for Low-Income Countries, 2021].

ბოლო ტალღამდე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებმა გადაიტანეს ვალის 3 ტალღა. პირველი მოიცავს 1970-1980 წლებს, როცა სავალო კრიზისმა მოიცვა ძირითადად ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები, ასევე დაბალ შემოსავლიანი ქვეყნები, ძირითადად აფრიკის სახელმწიფოები. დაბალპროცენტთანაა განაკვეთებმა სესხებზე და სწრაფად მზარდმა სინდიცირებული სესხების ბაზარმა ხელი შეუწყო აღნიშნული ქვეყნების მიერ მსხვილი კრედიტების აღებას. პირველი ტალღა დასრულდა რიგი კრიზისებით 80-იანების დასაწყისში. პირველი ტალღის ბოლოს განხორციელდა სესხების ჩამოწერა და რესტრუქტურისაციები, რაც დასრულდა „ბრედის გეგმით“ 80-იანი წლების ბოლოს ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის, რაც გულისხმობდა სავალო ტვირთის შემსუბუქებას სინდიცირებული სესხების ობლიგაციებით ჩანაცვლების გზით, რომელიც უზრუნველყოფილი იყო აშშ-ს სახაზინო ფასიანი ქაღალდებით. დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის სავალო ტვირთი განსაკუთრებით შემსუბუქდა 1990-



იანი წლების შუაში და 2000-იანების დასაწყისში, როცა მიღებულ იქნა ინიციატივები „განსაკუთრებით ღარიბი ქვეყნების შესახებ“ და „ვალის ტვირთის შემსუბუქების შესახებ“ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ.

მეორე ტალღა გაგრძელდა 1990-იანი წლებიდან 2000 წლების დასაწყისამდე, რამდენადაც ფინანსური და კაპიტალის ბაზრების ლიბერალიზაციამ საშუალება მისცა ბანკებს და კორპორაციებს აღმოსავლეთ აზიაში და წყნაროკეანეთში, ასევე ევროპასა და ცენტრალურ აზიაში აეღოთ მსხვილი სესხები უცხოურ ვალუტაში. ეს დასრულდა კრიზისების სერიით 1997 – 2001 წლებში.

მესამე ტალღა გამოწვეული იყო კერძო სექტორის ვალდებულების ზრდით ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ევროკავშირის მეგა-ბანკებიდან რეგულაციების შემსუბუქების გზით. ის დასრულდა, როცა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა შეაფერხა საბანკო ფინანსირება 2007 – 2009 წლებში.

ისტორიულ ტალღებში ბევრია როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება.

სამივე ტალღა დაიწყო დაბალი საპროცენტო განაკვეთების პერიოდში, მათ ხშირად ხელს უწყობდა ფინანსური ინოვაციები და ფინანსური ბაზრების ცვლილებები, რაც ხელს უწყობდა ვალის ზრდას. სამივე ტალღა დასრულდა ფინანსური კრიზისებით და დაემთხვა გლობალურ რეცესიებს (1982, 1991 და 2009) ან კრიზისებს (1998, 2001). როგორც წესი, კრიზისები შესაბამისად იწვევდა შოკებს, რასაც თავის მხრივ მოყვებოდა კაპიტალის შემოდინების შეჩერება და ღრმა რეცესიები. ფინანსურ კრიზისებს რა თქმა უნდა მოყვებოდა რეფორმები. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობა მიმართავს ინფლაციის ტარგეტირებას, გაცვლითი კურსის მოქნილობას, საგადასახადო წესრიგს, ფინანსური სექტორის ზედამხედველობას კრიზისის შემდეგ.

პირველ სამ ტალღას შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებები. ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც გამოიყენებოდა სესხების აღებისას, ვითარდებოდა ახალი ინსტრუმენტის ან ფინანსური სუბიექტის გამოჩენისას. მსესხებელთა ქცევა საერთაშორისო ბაზარზე შეიცვალა: კერძო სექტორზე მოდის მზარდი ვალის ძირითადი წილი პირველი სამი ტალღის შემთხვევაში. ეკონომიკური კრიზისის სიმძიმე განსხვავებული იყო რეგიონის მიხედვით. ზიანი განსაკუთრებით მძიმე და ხანგრძლივი იყო პირველი ტალღის პერიოდში, როცა ვალის დაგროვება ხდებოდა მთავრობების მიერ. ამავდროულად, ბევრ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში პოლიტიკის გაუმჯობესებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გლობალური ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენის შემცირებაში, რამაც მესამე ტალღის დასრულება გამოიწვია.

ვალის დაგროვების უახლესი ტალღა 2010 წელს დაიწყო და ბოლო 50 წლის განმავლობაში ის გახდა ვალის ყველაზე სწრაფი და მასშტაბური ზრდა განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში. ვალის ზრდის საშუალო წლიური ზრდა აღნიშნულ ქვეყნებში 7%-ით მეტი იყო მშპ-თან მიმართებაში, ვიდრე წინა სამი ტალღის შემთხვევაში. ამასთანავე, როცა წინა ტალღები ატარებდნენ რეგიონალურ ხასიათს, მეოთხე ტალღა უფრო მასშტაბური იყო: მთლიანი ვალი გაიზარდა განვითარებადი ქვეყნების 80%-ში, და გაიზარდა არა ნაკლებ მშპ-ის 20%-სა ან ქვეყნების 1/3-ში. ვალის დაგროვების მიმდინარე ტალღას ბევრი მსგავსება აქვს წინამორბედებთან. გლობალური საპროცენტო განაკვეთები ძალიან დაბალი იყო ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში, ინვესტორების შემოსავლიანობის ძიებამ კი ხელმისაწვდომი გახდა რესურსი განვითარებადი ბაზრისთვის. ფინანსურ ბაზრებზე მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა კვლავ გაიზარდა ვალის მოცულობა, მ.შ. რეგიონალური ბანკების ზრდის, ადგილობრივ ვალუტაში ობლიგაციებზე ინტერესის ზრდის, არასაბანკო სექტორის განვითარების ხარჯზე [WB, Global Waves of Debt, 2020].

გლობალური ვალი 1970 წლიდან იზრდებოდა და 2018 წელს მშპ-ს 230 პროცენტს მიაღწია. განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ვალი განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში და მაქსიმუმს მიაღწია 2018 წელს, როცა მშპ-ს დაახლოებით 170% გახდა.

მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გამოყოფა: რა არის ვალის აღების სარგებელი? რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ვალის აღება?

სარგებელი დამოკიდებულია, თუ რამდენად პროდუქტიულად ხდება ვალის გამოყენება, ეკონომიკის და ფინანსური ბაზრის განვითარების დონეზე. განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მიერ დამატებითი სესხის აღება შეიძლება გამართლებული იყოს იმის გამო, რომ მათ სჭირდებათ ინვესტიცია ისეთ პროექტებში, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდას, როგორცაა ინფრასტრუქტურა, ჯანმრთელობა, განათლება და სოციალური პროექტები. სუსტი ზრდის პერიოდში შეიძლება ასევე იყოს მიზანშეწონილი სესხის აღება, რათა განხორციელდეს ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა საქმიანობის სტიმულირების მიზნით. ვალის აღების სარგებელზე საუბრისას მნიშვნელოვანია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ, თუ რამდენად ხდება გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობა, რამდენად მიიღწევა მოკლევადიანი მაკროეკონომიკური რყევების სტაბილიზაცია, ხორციელდება თუ არა უსაფრთხო აქტივების მიწოდება. გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობა - მთავრობის ინვესტიციებს ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში შეუძლია შექმნას მნიშვნელოვანი საფუძველი უფრო ძლიერი ზრდისთვის. მსგავსი ინვესტიციები აქტუალური გახდა მშპ-ს პოტენციური ზრდის შემდგომი შენელების გათვალისწინებით, რომელსაც ეკონომიკა შეინარჩუნებს სრული დასაქმების და წარმადობის პირობებში - მომდევნო ათწლეულის განმავლობაში. კერძოდ, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში მოსალოდენელია მშპ-ს ზრდის 0.5 პუნქტიანი შენელება, რაც შეადგენს 4.3% ზრდას 2018 – 2027 წლებში, რაც ბევრად ჩამოუვარდება საშუალო წლიურ მაჩვენებელს 6,7 პროცენტს 2002 – 2007 წლებში. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მრავალ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები დიდ ინვესტიციებს საჭიროებენ მდგრადი განვითარების მისაღწევად. 2015 წლიდან 2030 წლამდე ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ინვესტიციის მთლიანი მოცულობა შეადგენს 1,5 – 2,7 ტრლ დოლარს წელიწადში, რაც ექვივალენტურია წლიური მშპ-ს 4,5–8,2%-ის, რაც დამოკიდებულია ამ ინვესტიციის ეფექტურობაზე, პოლიტიკის რეფორმებზე და მისი მიღწევის ამბიციის ხარისხზე. ინფრასტრუქტურაში ინვესტიციამ შეიძლება დიდი როლი ითამაშოს ზრდაში, თუ მას შეუძლია დააკავშიროს იზოლირებული საზოგადოებები ბაზართან, ის საშუალებას აძლევს კომპანიებს გაზარდოს რეალიზაციის მასშტაბები, ბაზრის გაფართოების ხარჯზე, ან ზრდის კონკურენტულ ზეწოლას [Calderón and Servén 2010; Égert, Kozluk and Sutherland 2009]. მოკლევადიანი მაკროეკონომიკური რყევების სტაბილიზაცია - დროებითი ვალის დაგროვებამ ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოკლევადიანი ეკონომიკური კრიზისის შემცირებაში. ვალის აღების პროცესი რეცესიის პერიოდში, მთავრობის მიერ ხარჯების დაფინანსება ან გადასახადების შემცირება, შეიძლება გახდეს სტიმული მოთხოვნისა და აქტივობის მხარდასაჭერად. ფისკალური ეფექტი განსხვავებულია ეკონომიკის ციკლიდან გამომდინარე, დამოკიდებულია ქვეყნის სტრუქტურულ თავისებურებებზე, გამოყენებულ ფისკალურ ინსტრუმენტებზე. უსაფრთხო აქტივების მიწოდება - სუვერენული სესხი შედარებით უსაფრთხო აქტივს წარმოადგენს ინვესტორებისთვის, როგორც კერძო სესხის ალტერნატივა. როდესაც რისკი იზრდება, უსაფრთხო აქტივებზე მოთხოვნა იზრდება, ხოლო კერძო მსესხებლების სესხის აღების შეზღუდვები მკაცრდება. ამ გარემოებებში, სახელმწიფოს მიერ გაცემულმა სესხებმა კერძო შინამეურნეობებისა და კორპორაციების დახმარების დაფინანსების მიზნით, შეიძლება შეამციროს დაფინანსების შეზღუდვები.

სესხის ხარჯები - სახელმწიფო ვალის ღირებულება, ესაა მომსახურებაზე გაწეული ხარჯები - კრედიტორებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომელიც შეიძლება შედარდეს სესხით დაფინანსებული ხარჯების მოგების მაჩვენებელთან, რათა უმარტივესად წარმოვიდგინოთ, ღირს თუ არა მსგავსი დაფინანსება. მსხვილი ვალდებულებების აღების საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი არგუმენტს, რომელიც ხშირად გადაწონის უპირატესობებს, წარმოადგენს რისკი იმისა, რომ პროლონგაციის ხარჯებმა - შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს ფინანსური სტრესის პერიოდი და შესაძლოა ფინანსური კრიზისიც კი გამოიწვიოს. დავალიანებამ ასევე შეიძლება შეზღუდოს ფისკალური სტიმულის შესაძლო მასშტაბი და ეფექტურობა. და ბოლოს, დიდმა დავალიანებამ შეიძლება შეაჩეროს ზრდა გრძელვადიან პერსპექტივაში, შეასუსტოს ინვესტიციების მოზიდვა პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

ვალის მდგრადობის გაუარესება - ფინანსური კრიზისები, როგორც წესი იწვევს დიდ ეკონომიკურ ჩავარდნებს. ხშირ შემთხვევაში, მას უფრო მძიმე შედეგები აქვს. მაგალითად, რეცესიის საშუალო ხანგრძლივობა რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ კრიზისთან გრძელდება 6 კვარტალი, 2 კვარტალით უფრო მეტ ხანს, ვიდრე სხვა შემთხვევაში. ასევე, როგორც წესი, წარმოების მოცულობა განსაკუთრებით ეცემა.

საქართველოს საგარეო ვალი ძირითადად უცხოური ვალუტითაა დენომინირებული და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად მოწყვლადია გაცვლითი კურსის რისკის მიმართ. ეს რისკი თვალსაჩინო გახდა პანდემიის პერიოდში, როდესაც გაუარესებულ საგარეო მდგომარეობას ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ ლარიზაციის პროცესი გრძელდება, რაც ფინანსური სტაბილურობის რისკებს შეამცირებს. ამასთან გასათვალისწინებელია საქართველოს რისკის პრემიის ზრდაც, რაც უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების საპროცენტო განაკვეთზე იქონიებს ზეგავლენას და რეფინანსირების რისკისა და საგარეო ვალის ტვირთის ზრდას გამოიწვევს. თუმცა მთლიან საგარეო ვალში მოკლევადიანი ვალის დაბალი წილის გამო ეს რისკი დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთლიანი ვალის მაჩვენებელი სხვა მზარდ ეკონომიკებთან შედარებით გამოკვეთილად მაღალი არაა, 2020 წელს მოსალოდნელია სახელმწიფო საგარეო ვალის მნიშვნელოვნად, 6,2 მლნ ლარით ზრდა, საიდანაც ძირითადი ნაწილი COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიით არის განპირობებული და პანდემიის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროგრამის ფარგლებში იქნება გამოყენებული. მთლიანობაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით, 2020 წლის ბოლოსთვის საქართველოს საგარეო ვალი მშპ-ის 136%-ს მიაღწევს და შემდგომ პერიოდებში ეტაპობრივად დაიწყებს შემცირებას. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებების წილი თითქმის ყველა ტიპის მსესხებლისთვის შერჩეულ შესადარის ქვეყნებთან მიმართებით ერთერთი ყველაზე მაღალია, რაც ვალუტის კურსის გაუფასურების შედეგად საგარეო ვალის ტვირთის მნიშვნელოვან ზრდაში აისახება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საგარეო ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან კონცესიური პირობებითაა ნასესხები, რაც ამ ტიპის სესხებზე საბაზროსთან შედარებით მომსახურების დაბალ ტვირთს გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი ბოლო წლების განმავლობაში უმჯობესდებოდა, COVID-19 პანდემიის პირობებში იგი გაუარესდა და შესადარი ქვეყნების ფონზე, კვლავ მაღალი რჩება. დსთ-ს და მზარდი ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მაღალია საპროცენტო გადასახადების თანაფარდობა საექსპორტო შემოსავლებთან, რაც საგარეო მოწყვლადობას წარმოადგენს. ასევე, საქართველოში საგარეო ვალის ვალუტების მიხედვით შედგენილობა ნაკლებად სახარბიელოა, რაც ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში ვალის მომსახურების მყისიერი გამძვირების რისკს ზრდის. თუმცა, შესადარ ქვეყნებთან მიმართებით, საგარეო ვალის ვადიანობის ხელსაყრელი სტრუქტურა ფინანსური პირობების გამკაცრების შემთხვევაში რეფინანსირების დაბალ რისკზე მიუთითებს [ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2020 წელი, 26-27].

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებით, დამატებითი ფინანსები საქართველოს დაეხმარა საგადასახადო ბალანსის საჭიროებების დაკმაყოფილებაში, რაც გამოწვეულია COVID-19 შოკიდან [IMF, Middle East and Central Asia Dept, Georgia VII review, 12/2020].

პროგნოზირებულია, რომ მთლიანი საგარეო ვალი სტაბილურად შემცირდება და მიაღწევს 2025 წლისთვის მშპ-ს 90 %-ს, თუმცა ის დაუცველი დარჩება საგარეო შოკისგან, განსაკუთრებით ლარის გაუფასურებისგან. საქართველოს ვალი მდგრადია, მაგრამ სახელმწიფო ვალის ბოლო ზრდის გათვალისწინებით, მოითხოვს ვალის მდგრადობის ანალიზის ფარგლებში შესწავლას. მთლიანი საგარეო სესხის მომსახურების მოცულობა კვლავ მაღალია საშუალოვადიან პერიოდში, მაგრამ სსფ-ს სესხის მომსახურება, მართვადია, თუნდაც სტრეს ტესტების პირობებში [IMF, Middle East and Central Asia Dept, Georgia IV review, 05/2020].

## დასკვნა

დღეისათვის სახელმწიფო ვალის წარმოშობა/ზრდა, მისი ტვირთის სიმძიმის მიუხედავად, გარდაუვალია. თუ შემოსავლის და დასაქმების დონე მეტ-ნაკლებად პროპორციულად იზრდება სახელმწიფო ვალთან მიმართებაში, ტვირთი შესაძლოა იყოს ასატანი და არ იწვევდეს შეშფოთებას. ვალის პროცენტული მაჩვენებელი მაინც ვერ განსაზღვრავს ვალის ტვირთს. სესხის ტვირთის ძირითადი განმსაზღვრელია: ვალის მომსახურების წლიური მოცულობა, სახელმწიფო ვალის გამოხატულება ეკონომიკაში, საგადასახადო სისტემის სახე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა სახელმწიფო ვალის სარგებლის შესახებ, შეიძლება ის იქცეს ცალკეული ქვეყნისთვის სასარგებლო ინსტრუმენტად, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი იქნება, რაც უპირველეს ყოვლისა ქვეყნის სწორი პოლიტიკით მიიღწევა. მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილების გაზიარება და მისადაგება კონკრეტული ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვალის დაგროვება არ იქნება სასიკეთო, თუ ის არ იქნება მიმართული წარმოების მოცულობის გაფართოებაზე, არ იქნება მდგრადი (დაფარვის ვადის, ვალუტის და კრედიტორების მიხედვით) ეკონომიკური და ფინანსური ბაზრების რყევებისადმი. ეს შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფო ვალის გონივრული მართვით, არამედ ფინანსური სისტემის საიმედო რეგულირებით და მეთვალყურეობით, აგრეთვე საიმედო კორპორატიული მმართველობით. მნიშვნელოვანია საგარეო შოკებზე ეფექტური რეაგირება. კერძო დავალიანება შესაძლებელია სწრაფად გარდაიქმნას სახელმწიფო ვალად ფინანსური კრიზისის დროს. ამიტომ მყისიერ რეაგირებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური აქტივობის გრძელვადიანი შენელება.

ვალის შესახებ ლიტერატურა სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს: ვალის დაფარვის საფასური შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს ფინანსური სტრესის პერიოდში და გამოიწვიოს ძვირადღირებული კრიზისები; მაღალმა დავალიანებამ შეიძლება შეზღუდოს მთავრობების შესაძლებლობები უზრუნველყონ ფისკალური სტიმულირება კრიზისის დროს; მაღალი ვალი აისახება ინვესტიციებსა და გრძელვადიან ზრდაზე.

სესხის დაგროვების გლობალური და ეროვნული გამოცდილების ანალიზი იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის:

მნიშვნელოვანია ვალი აკურატულად იქნეს აღებული. ვალის აღება, თუ ის ეფექტურად არის დაბანდებული და წარმოდგენს მდგრადს, გამართლებულია. ვალის ზრდის ფართომასშტაბიანი ტალღები ხშირ შემთხვევაში ემთხვევა გლობალურ ზრდას, ადაპტირებული მონეტარული პოლიტიკის და ფინანსური ბაზრის განვითარების ფონზე.

მნიშვნელოვანია ვალის ეფექტური გამოყენება. შენელებული გლობალური ზრდისა და დაბალი საპროცენტო განაკვეთების კომბინაცია ხდის სახელმწიფო ვალის დაგროვებას მიმზიდველად. მნიშვნელოვანია, რომ სესხი გამოყენებულ იქნას პროდუქტიული მიზნებისთვის, პოტენციური ზრდის დასაჩქარებლად.

მნიშვნელოვანია სესხის მდგრადი შემადგენლობის შენარჩუნება. სესხის სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული, მოკლევადიანი ან არარეზიდენტი დავალიანებისგან, ქვეყნებს უფრო დაუცველს ხდის საბაზრო განწყობების ცვლილებების, ვალუტის გაუფასურების, გლობალური საპროცენტო განაკვეთების რყევების მიმართ. კრიზისი გარდაუვალია, როდესაც მოკლევადიანი საგარეო ვალის წილი უფრო მაღალი იყო. პირველმა და მეორე ტალღებმა აჩვენა, რომ როცა ვალის სტრუქტურაში უცხოური ვალუტით გაცემული სესხის წილი მაღალი იყო, ვალუტის გაუფასურებამ გამოიწვია როგორც ვალის მომსახურების ხარჯების, ასევე ვალის კოფიციენტების ზრდა.

ფინანსური სექტორის რეგულირება და ზედამხედველობა. არაადეკვატურ მარეგულირებელ და საზედამხედველო რეჟიმებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ზედმეტად

სარისკო სესხის აღებას და ვალის დაგროვებას. ეს მოხდა აზიის ფინანსური კრიზისის დროს მეორე ტალღის პერიოდში. და პირიქით, მყარ მარეგულირებელ სისტემას შეუძლია შეარბილოს რისკის აღების სტიმული, რაც დაკავშირებულია ფინანსური სისტემის უსაფრთხოებასთან.

მნიშვნელოვანია სიფრთხილე გარე შოკებთან. კრიზისი ჩვეულებრივ ვითარდება მაშინ, როდესაც საგარეო შოკი მოიცავს ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი შიდა არასტაბილურობა, მათ შორის საგარეო და მოკლევადიან დავალიანებაზე დამოკიდებულება ფიქსირებულ გაცვლით კურსთან და რეზერვების დაბალ დონესთან მიმართებაში. ქვეყნები, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი საერთაშორისო რეზერვის დონე, მნიშვნელოვნად უფრო გამძლეები არიან გარე შოკების მიმართ. გარდა საგარეო შოკისა, შიდა პოლიტიკური შოკები ხელს უწყობს კრიზისებს, ეკონომიკის პოლიტიკის გაურკვევლობის გაზრდისა და ინვესტორების განწყობის შესუსტების შედეგად [D.Bordo,..., Foreign currency debt, 11/2009].

კერძო დავალიანება შეიძლება სწრაფად გადაიქცეს მთავრობის დავალიანებად. კერძო სექტორის დიდმა ზარალმა, მათ შორის ბანკის გადახდისუნარიანობის საფრთხის შემცველმა ზარალმა და პირობითი ვალდებულებების მატერიალიზებამ, რომელთაც სახელმწიფო საწარმოებიც განიცდის, შეიძლება გამოიწვიოს მთავრობების მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება. ეს მოხდა EAP-ის რეგიონში მეორე ტალღში, და ECA-ში მესამე ტალღაში, მთავრობებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ბანკებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მხარდაჭერის უზრუნველყოფამ შეიძლება საბანკო სისტემა გადაარჩინოს კრახს, ამან შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო ვალის მკვეთრი ზრდა [WB, The Role of Exchange Rate Regimes, Fiscal Rules and Institutions, 08/2019].

მნიშვნელოვანია შეიქმნას ზარალის აღიარების და სესხის რესტრუქტურირების ეფექტური მექანიზმები. ვალის დროულად აღიარების და რესტრუქტურირების მექანიზმების არსებობამ შესაძლოა გააუმჯობესოს კრიზისიდან გამოსვლის პერსპექტივები, განსაკუთრებით სახელმწიფო ვალის კრიზისის შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია, რომ მთავრობებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანონ პოლიტიკაში, არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე. მთავრობამ უნდა შექმნას მექანიზმები და ინსტიტუტები, რომლებიც დაეხმარება მათ ბალანსის შენარჩუნებაში სესხის სარგებელსა და ხარჯებს შორის, რაც დაკავშირებულია დამატებითი ვალის აღებასთან. ეს მოიცავს სესხის საიმედო მართვას, მაღალი სესხის გამჭვირვალობას და ვალდებულებების მონიტორინგს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიტიკა ძირითადად მსესხებლებზე ვრცელდება, კრედიტორებმა ასევე უნდა გაატარონ ზომები, რომ შეამცირონ სესხის გადაჭარბებული დაგროვების რისკები. გონივრული სესხის მენეჯმენტი უპირატესობას ანიჭებს სესხის აღებას ისეთი პირობებით, რომლებიც ინარჩუნებს მაკროეკონომიკურ და ფინანსურ მდგრადობას - სასურველია გრძელვადიანი, ფიქსირებულ (და ხელსაყრელ) საპროცენტო განაკვეთში და ადგილობრივ ვალუტაში ვალის შემადგენლობა, რომელიც ნაკლებად მგრძობიარეა ბაზრის რყევებზე. ამცირებს იმის ალბათობას, რომ ბაზრის განწყობა მკვეთრად იმოქმედებს სესხის მდგრადობაზე. კარგად განვითარებულ და ლიკვიდურ საშინაო ობლიგაციების ბაზარს შეუძლია შეამციროს უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისა და დახმარების საჭიროება [IMF, A Framework for Developing Secondary Markets for Government Securities, 07/2008].

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი, ფინანსთა სამინისტრო, 2020 წ, 1-8.
2. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2020 წელი, 26-27  
[https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability\\_2020\\_geo.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/finstability/2020/finstability_2020_geo.pdf)
3. Theoretical Aspects of Public Debts, II chapter, 20.
4. <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2020/05/05/Georgia-Sixth-Review-Under-the-Extended-Arrangement-and-Requests-for-a-Waiver-of-49394>.
5. <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2020/12/18/Georgia-Seventh-Review-Under-the-Extended-Fund-Facility-Arrangement-and-Request-for-49973>.

6. <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2020/09/what-is-debt-sustainability-basics.htm>, what is debt sustainability ? Dalia Hakura.
7. Joint World Bank-IMF Debt Sustainability Framework for Low-Income Countries, March 17, 2021; <https://www.imf.org/en/About/Factsheets/Sheets/2016/08/01/16/39/Debt-Sustainability-Framework-for-Low-Income-Countries>).
8. Global Waves of Debt, World Bank Group, 2020.
9. IMF, A Framework for Developing Secondary Markets for Government Securities, 07/2008.
10. Michael D. Bordo Christopher M. Meissner David Stuckler , FOREIGN CURRENCY DEBT, FINANCIAL CRISES AND ECONOMIC GROWTH: A LONG RUN VIEW, 11/2009, 8-12.
11. The Role of Exchange Rate Regimes, Fiscal Rules and Institutions, world bank group, 08/2019.
12. Calderón and Servén 2010; Égert, Kozluk and Sutherland 2009.

*Sophio Beridze*

## THE PROBLEM OF GLOBAL DEBT AND THE DANGERS OF THE DEBT CRISIS

### Summary

The state debt plays an important role in macro-economic system of any country. Debt formation, service and coverage makes important impact at state finance situation, cash flow, investment climate, the origin of international cooperation and further development between states. In today's reality special attention is paid to influence of increasing foreign debt. If it is not sustainable it can jeopardize economic well-being of the country, its services can cause over-indebtedness and subsequent negative consequences. The economic crisis which is caused because of recent pandemic made important influence at savings. Almost every country of the world had to increase the debt and decrease the reserves. According to researches one third part of developing market economy has limited fiscal space or does not have it at all to deal with the crisis which importantly reduces the prospects for recovery of global demand in the coming years. Therefore, it is expected that the whole world will address to the way of fiscal consolidation for restoration of buffers and fiscal space. The consolidation is an additional brake for economic growth, which is quiet big hindering factor for recovery of world economy to the level of pre-pandemic conditions in brief period of time. We consider it timely to talk about state debt and its service coming out from the preset reality. Studying and researching the influence of state debt on economic stability will support the economic policy makers/actors to plan proper measures for prevention of debt crisis. Despite the fact that the debt growth speed was growing since post-crisis period, the events occurring in 2020 has accelerated the danger which is connected to fast speed of debt, besides, it is important to foresee those hindering factors which are connected to slow-down of economic growth which to its part is caused by decrease of incomes of state and consequently unemployment and worsening the social background. Hence, it is important based on existing experience to respond timely those possible consequence which can be in agenda during the following years. The pandemic has certainly changed the priorities which must be foreseen while talking about immediately worsened reality. The global debt since 1970 was growing and in 2018 it reached 230 percentage of gross domestic product. The debt especially rapidly increased in the countries of developing economy and it achieved its maximum in 2018 when Gross domestic product was 170 percentage.

At present the origin/growth of state debt despite the severity of its burden is inevitable. If the level of incomes and employment more or less proportionally increases to state debt, burden can be borne and it does not cause concern any more. The percentage rating of debt really cannot determine the debt burden. The basic factor of debt burden is: annual volume of debt service, expression of state debt in economy, type of tax system.

As a conclusion, we can say that despite of divergences of opinions about benefits of state debt, it can be useful tool for certain countries which can be guaranty for country stability, which first of all is achieved through correct country policy. It is important to share existing experience and compare it to macro-economic parameters of a certain country.

The experience shows that collecting debt cannot be useful if it is not used for broadening the production volume and it is not sustainable (according to coverage period, currency and creditors) to fluctuation of economic and financial markets. It can be achieved not only through reasonable management of state debt but reliable regulation and monitoring of financial system as well as reliable corporate management. It is important to respond properly foreign shocks. The private debt can easily form into state debt during financial crisis. Therefore, fast responds have huge importance in order to prevent long-term slowdown of economic activity.

## Covid-19, როგორც არსებული გლობალური საფრთხე

**ანოტაცია:** Covid-19 (კორონალური ვირუსი) საკმაოდ რთული გამოწვევა და ძლიერი საფრთხე აღმოჩნდა არა მხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვის სისტემისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისათვისაც. 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში ვუჰანში გაჩენილი ვირუსი რამდენიმე თვეში პანდემიად იქცა და მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ეფექტი შეუქცევადი გახდა. ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენების შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანებში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს გლობალურ ეკონომიკაზე.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, რისკები, ინვესტიციები, უმუშევრობა.

### შესავალი

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ბევრი ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელშიც გაანალიზებულია ის ნეგატიური ზემოქმედება გლობალურ ეკონომიკაზე, რომელიც COVID-19 ვირუსის პანდემიითა გამოწვეული. მით უფრო, რომ ეს რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისათვისაც. თავდაპირველი შოკის შემდგომ უფრო აქტიურად დაიწყო პანდემიის შედეგად გამოწვეული რეცესიის შედეგების გაანალიზება. ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესები მსოფლიო ეკონომიკაზე, გეოპოლიტიკაზე, სოციალურ ურთიერთობებზე, უმუშევრობის მაჩვენებელზე. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინები განსხვავებულია, ძირითადად მთავარ ეკონომიკურ დარტყმებს მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღინიშნებოდა, შემდეგ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებზეც აისახება. სწორედ აღნიშნული საკითხების გაანალიზებას შევეცდებით მოცემულ სტატიაში.

### კორონავირუსის გავლენა და ძირითადი გამოწვევები

კორონავირუსის პანდემია და მის ალსაკვეთად განხორციელებული საკარანტინო ზომები დრამატული და შოკისმომგვრელი აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისათვის, რის შედეგადაც იგი ღრმა რეცესიაში აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკის ანალიზით, 2020 წლის პლანეტის ეკონომიკა 5,2% -ით შემცირდა. ეს ყველაზე ღრმა შემცირებაა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და 1870 წლის შემდეგ ქვეყნების უდიდეს ნაწილში ყველაზე მასშტაბური კლებაა ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის რაოდენობისა. ამის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ მსოფლიო ბანკის 2020 წლის ივნისის მოხსენებაში აღინიშნებოდა.

ძლიერი შოკის ფონზე, რომელიც გავლენას ახდენს შიდა მიწოდებასა და მოთხოვნაზე, ვაჭრობასა და ფინანსებზე, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობა გასულ წელს 7%-ით შემცირდა. განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში 2,5%-ით, ეს არის პირველი ყოვლისმომცველი რეცესია ამ ჯგუფის ეკონომიკებში სულ მცირე სამოცი წლის განმავლობაში. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 3,6%-ით შემცირდა - და ეს მილიონობით ადამიანს უკიდურეს სიღარიბეში ჩააგდებს.

ყველაზე მეტად დაზარალებულნი ის ქვეყნები, სადაც პანდემიამ განსაკუთრებულად რთული ვითარება გამოიწვია მისი გავრცელებიდან გამომდინარე, ამის შედეგად კი, შემოღებულ იქნა საკმაოდ მკაცრი რეგულაციები. საუბარია იმ ქვეყნებზე, რომლებიც

მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული მსოფლიო ვაჭრობაზე, ტურიზმზე, საქონლის ექსპორტზე და საგარეო დაფინანსებაზე. მიუხედავად იმისა, რომ შოკის სიდიდე განსხვავდება რეგიონიდან რეგიონში, ყველა განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს აქვთ საკუთარი სისუსტეები, რაც კიდევ უფრო მძაფრდება გარე შოკებით. უფრო მეტიც, სასკოლო სწავლებისა და პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის დარღვევამ, შესაძლოა, ხანგრძლივი ნეგატიური გავლენა მოახდინოს ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე [Gelashvili M., 2017: 4].

მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო ექსპერტების პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ პანდემიის შედეგად გამოწვეული რეცესია დამლეული იქნება, რომ უარყოფითი გლობალური ზემოქმედებები შესუსტდება მიმდინარე წლის მეორე ნახევარში და ფინანსური ბაზრების მოშლა დიდხანს არ გაგრძელდება. მათი აზრით 2021 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა აღდგება და 4.2%-ს მიაღწევს - ხოლო მოწინავე ეკონომიკაში ეს იქნება 3.9%, ხოლო განვითარებადი ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა დაჩქარდება 4.6% -მდე. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პერსპექტივა ძალზე გაურკვეველი და ბუნდოვანია არსებული უარყოფითი რისკების ფონზე, მათ შორის გაფართოებული პანდემია, რაც მის მესამე ტალღას უკავშირდება და ახალი შტამები, რომელთა გავრცელების შესახებ სულ უფრო მძიმე ინფორმაციას ვღებულობთ, მნელია ვენდოთ აღნიშნულ პროგნოზებს. თუ მოვლენები პესიმისტური სცენარის შესაბამისად განვითარდება, მაშინ ექსპერტთა გარკვეული ნაწილი კვლავ მსოფლიო ეკონომიკის შემცირების ტენდენციაზე საუბრობს [Gourinchas P., 2020: 6].

გასულ წელს აშშ-ს ეკონომიკა 6.1%-ით შემცირდა, ევროზონაში 9%-ზე მეტად, ეს ყველაფერი ეპიდემიის შედეგია, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ბიზნესის საქმიანობაზე. შემცირებულია იაპონიის ეკონომიკაც, ქვეყანაში განხორციელებული პროფილაქტიკური ზომების შედეგად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა 6,1%-ით.

“COVID-19“ პანდემიით გამოწვეული რეცესია მრავალი თვალსაზრისით უნიკალურია და, სავარაუდოდ, ყველაზე ღრმაა. მსოფლიო ბანკის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შემსწავლელი დეპარტამენტის დირექტორის შეფასებით, მიმდინარე მოვლენებმა უკვე გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პროგნოზის უპრეცედენტო ქვევითი გადასინჯვა, რაც უპრეცედენტოა სისწრაფისა და სიმკვეთრის თვალსაზრისით. „წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა ჩვენ ჯერ კიდევ უნდა გადავხედოთ ჩვენი ეკონომიკური ზრდის პროგნოზების შემდგომ დადმასვლას, რაც გულისხმობს, რომ შესაძლოა პოლიტიკოსები მზად იყვნენ, რომ მიიღონ დამატებითი ზომები ბიზნესის საქმიანობის სტიმულირებისთვის“ - აღნიშნა აიჰან ქოსემ. მსოფლიო ბანკის ანგარიშში „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები“, განხილული და გაანალიზებულია ამ ისტორიული ეკონომიკური შოკის ძირითადი ასპექტები. რამდენად ღრმა იქნება COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესია, როგორია ეკონომიკური ზრდის შესაძლო სცენარები: ეკონომიკური ზრდის ტემპის მოკლევადიანი პროგნოზები ხასიათდება უჩვეულოდ მაღალი გაურკვევლობით და შესაბამისად განიხილება ალტერნატიული სცენარები [შენგელია თ., 2020: 5].

- რამდენად ამაფრებს არაფორმალური ეკონომიკის არსებობა პანდემიის გავლენას? პანდემიას, სავარაუდოდ, უფრო მავნე ზეგავლენა ექნება დიდი არაფორმალური ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯანდაცვასა და ეკონომიკაზე. ყველაზე მძიმედ ეს შედეგები აისახება ღარიბი ქვეყნების ხალხებსა და ეკონომიკაზე.

- გაურკვეველია მაკროეკონომიკური შედეგები ცალკეულ რეგიონზე: თითოეულ რეგიონს აქვს საკუთარი სისუსტეები, რაც მას დაუცველს ხდის პანდემიისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისებისგან;

- მნიშვნელოვანია გლობალური ხასიათის საწარმო-სარეალიზაციო ჯაჭვში როგორი იქნება პანდემიის შოკისმომგვრელი გავლენა სავაჭრო, საწარმოო და ფინანსურ ბაზრებზე;

- პანდემიის ზემოქმედებით გამოწვეულმა ღრმა რეცესიამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გრძელვადიანი ინვესტიციების მკვეთრი შემცირება, ადამიანური კაპიტალის ამოწურვა უმუშევრობის შედეგად, ხელი შეუშალოს გლობალურ სავაჭრო და მიწოდების კავშირებს;



• ნავთობის დაბალი ფასები, რომლებიც დადგენილია მოთხოვნის უპრეცედენტო შემცირებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შეამსუბუქებს პანდემიის შედეგებს, მაგრამ გარკვეულწილად შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკის აღდგენას.

პანდემიამ ხაზი გაუსვა ჯანდაცვისა და ეკონომიკური პოლიტიკის რეაგირების აუცილებლობას, მათ შორის გლობალურ თანამშრომლობას მისი გავლენის შესამსუბუქებლად. დაუცველი მოსახლეობის დასაცავად და ქვეყნების შესაძლებლობის განმტკიცების მიზნით, მომავალში მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად და მათთან გამკლავებაში მეტად მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნების თანადგომა და მათი ძალისხმევა კრიზისული სიტუაციების განეიტრალების საკითხში. განვითარებადი ეკონომიკები განსაკუთრებით მოწყვლადია და მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება, არაფორმალური ეკონომიკის მოგვარება და შეზღუდული სოციალური უსაფრთხოების ქსელები, რეფორმების განხორციელება არსებული კრიზისის შემდეგ ძლიერი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

### პანდემიის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე

განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ საკმარისი საბიუჯეტო შესაძლებლობები და შეუძლიათ დაფინანსების მოზიდვა მისაღები პირობებით, შეიძლება განიხილონ დამატებითი სტიმულირების ზომების დანერგვა, თუ პანდემიის შედეგები შენარჩუნდება. ამ ზომების მიღება ფისკალური სისტემის გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია შიდა რესურსების მობილიზება, ხარჯვის ეფექტურობის გაზრდა და გამჭვირვალობა ფისკალურ და სასესხო გარემოში. მთავრობის ყველა ფინანსური ვალდებულების, კვაზი – სესხის ინსტრუმენტებისა და ინვესტიციების გამჭვირვალობა არის ერთ – ერთი ძირითადი პირობა მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისთვის.

რეგიონების მიხედვით პანდემიის შედეგად გამოწვეული შედეგებია:

✓ **აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანე** – რეგიონში ეკონომიკური ზრდა 2020 წელს 0,5%-მდე შემცირდა, რაც 1967 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი დონეა, რაც ასახავს პანდემიასთან დაკავშირებულ შოკებს;

✓ **ევროპა და შუა აზია** – პროგნოზით, რეგიონის ეკონომიკა 4,7%-ით შემცირდა და რეცესია თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო;

✓ **ლათინური ამერიკა და კარიბები** – პანდემიის შოკისმომგვრელმა გავლენამ გამოიწვია რეგიონში ეკონომიკური აქტივობის ღრმა შემცირება, 2020 წელს - 7,2%-ით;

✓ **შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა** – შუა აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში ეკონომიკური აქტივობა 4,2%-ით შემცირდა, რაც გამოწვეულია პანდემიითა და ნავთობის ბაზრებზე ვითარებით;

✓ **აზია** – ეკონომიკური აქტივობა რეგიონში 2,7%-ით შემცირდა 2020 წელს, რადგან პანდემიის შედეგად მოხმარების შემცირებისა და მომსახურების სექტორის მუშაობის შეზღუდვის ზომები, სამომავლო რისკები და გაურკვეველობა აიძულებს კერძო ინვესტიციებს შეამცირონ აქტივობა;

✓ **აფრიკა** – 2020 წელს რეგიონში ეკონომიკური აქტივობის 2,8%-იანი შემცირებაა, რაც აქამდე არსებული ყველაზე მკვეთრი შემცირებაა.

რა თქმა უნდა შესაძლებელია გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს ჩვენი დროის გამოწვევებისა და მსოფლიოს ქვეყნების მთავრობების ქმედებების რელევანტურიდან გამომდინარე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, თებერვალში, ჩინეთის ეკონომიკის საქმიანობაში ნელი ზრდა შეიმჩნეოდა. ბლუმბერგის თანახმად, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, თებერვლის ბოლოს - მარტის დასაწყისში ჩინეთის ეკონომიკა მუშაობდა ნორმალური დონის 65% და 75%-ით. ეკონომიკამ შეძლო წარმოების ზოგიერთი დანაკარგის ანაზღაურება. COVID-19-ის გლობალური ეკონომიკური ზემოქმედება ნამდვილად მეტია ვიდრე SARS-ის 2002 – 2003 წლების ეპიდემია (ისიც ჩინეთში დაიწყო). ეს, პირველ რიგში,

იმითაა გამოწვეული, რომ ჩინეთის ეკონომიკის წილი მთელ მსოფლიო ეკონომიკაში ახლა 20%-ია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2003 წლის მაჩვენებელს [Baldwin R., 2020: 10].

მეორე, ჩინეთის ეკონომიკა ახლა უფრო მჭიდრო კავშირშია მსოფლიოს სხვა ეკონომიკებთან, ვიდრე ეს იყო 10 ან 20 წლის წინ. მრავალი ქვეყნისთვის ჩინეთი დღეს არის:

- ✓ მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარი;
- ✓ ტურიზმის წყარო;
- ✓ შუალედური საქონლის მიმწოდებელი.

წლების განმავლობაში, საერთაშორისო ბიზნესის არეალი სულ უფრო დაქუცმაცდა და გავრცელდა მთელ მსოფლიოში, ჩინეთი კი გახდა მსოფლიოს "ქარხანა". მაგალითად, სამომხმარებლო ელექტრონიკის უდიდესი ნაწილი (მობილური ტელეფონები, ლეპტოპები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა) დამზადებულია ჩინეთში, ისევე როგორც ავტომობილების ნაწილები, ნედლეული გარკვეული წამლებისთვის და ა. შ..

იმის გამო, რომ ჩინეთში წარმოება მნიშვნელოვნად შენელდა ვირუსის აფეთქების გამო, ბევრი საქონელი მიუწვდომელია სხვადასხვა ქვეყნის მეწარმეებისთვის და ბიზნესი იძულებულია გააგრძელოს საქმიანობა საკუთარ რესურსებზე დაყრდნობით. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ამ საქონლის მომარაგების ნაკლებობა, მით უფრო სავარაუდოა, რომ თაროები ცარიელი იქნება და ყოველივე ეს გამოიწვევს სავარაუდოდ ფასების ზრდას, რასაც მომხმარებლები იგრძნობენ თავიანთ ჯიბეებზე. იგი ასევე შეაჩერებს წარმოებას ქარხნებში, რომლებიც იყენებდნენ შუალედურ საქონელს ჩინეთიდან. შეჯამების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ღირებულების ჯაჭვი, რომელშიც ჩინეთი გადამწყვეტ როლს ასრულებს, მკვეთრად ირღვევა COVID-19-ის აფეთქების გამო და მოსალოდნელია უარყოფითი ეკონომიკური შედეგები მთელ მსოფლიოში, რაც დღეისათვის უკვე სახეზეა.

გარდა ამისა, კორონავირუსით გამოწვეულმა საერთაშორისო ვაჭრობის დარღვევამ, სავაჭრო დაძაბულობის დამანგრეველმა შედეგებმა და ჩინეთმა, შეიძლება აიძულოს საერთაშორისო ბიზნესი დივერსიფიკაცია გაუწიოს წარმოებას მრავალ ქვეყანაში, ისეთებში როგორცაა ტაილანდი, მალაიზია და ვიეტნამი. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ეფექტები მხოლოდ დროთა განმავლობაში გამოჩნდება.

განვითარებადი ქვეყნები, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კვლავ განიცდიან ვირუსის ეპიდემიის ყველაზე უარყოფით შედეგებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების უმეტესობა ძლიერ არის დამოკიდებული ჩინეთზე და ასევე ფიზიკურად განიცდის გავრცელებული პანდემიის რისკს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვირუსის გავრცელების მაღალი რისკი, სხვა საკითხებთან ერთად, უკავშირდება მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდას და ნაკლებად განვითარებულ სამედიცინო მომსახურებას, ვიდრე დასავლეთის ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საავადმყოფოების საწოლებისა და ექიმების საშუალო რაოდენობა 1000 ადამიანზე, შესაბამისად, 0.7 და 1.5-ია, ევროკავშირის 5.6 და 3.6-ის შედარებით [OECD, 2020:14].

გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებულია ნედლეულის ექსპორტზე, როგორცაა ბრაზილია (რკინის მადანი, ზეთი, სოიო), რუსეთი (ნავთობი და გაზი) ან ჩილე (სპილენძი), განიცდიან ძირითადი საექსპორტო პროდუქციის შემოსავლის შემცირებას, ფასები უმეტეს საქონელზე ვირუსის აფეთქების შემდეგ მნიშვნელოვნად დაეცა.

ზეწოლის ქვეშ არიან განვითარებადი ქვეყნების ვალუტებიც, რადგან ინვესტორები ამცირებენ თავიანთ საინვესტიციო პორტფელის რისკს მსოფლიოში ნეგატიური განწყობილების გამო და, შესაბამისად, გარკვეულწილად ამცირებენ მათი წილის რაოდენობას განვითარებად ქვეყნებზე. ვალუტის დევალვაცია სერიოზული პრობლემაა, რადგან იმპორტირებული პროდუქტები მნიშვნელოვნად ძვირდება (სავაჭრო პირობების გაუარესების გამო). ასევე მნიშვნელოვნად რთულდება სავალუტო სესხის მომსახურება, რაც პრობლემაა, მაგალითად, არგენტინის, თურქეთის, უკრაინისთვის, არაფერს ვამბობთ ჩვენ ქვეყანაზე, სადაც ეს პრობლემები მეტად მწვავედ დგას ეროვნული ვალუტის მკვეთრი ვარდნის პირობებში. მსოფლიო ექსპერტების ვარაუდით მოსალოდნელია, რომ განვითარებადი ქვეყნების ვალუტა

და სასაქონლო ფასები მოძრაობა გააგრძელებს მომდევნო პერიოდშიც, რაც რა თქმა უნდა COVID-19-ის საერთო უარყოფითი განწყობის შედეგია [Shengelia T., 2020:7].

ჩინეთში დაწყებულმა ეპიდემიამ ძალზედ სერიოზული სირთულეები შეუქმნა სამყაროს ყველა ქვეყანას, სადაც COVID-19 მძიმე შედეგებით განვითარდა და იმათაც, სადაც დაავადებულთა რაოდენობა შედარებით მცირეა. აქ მთავარი გავლენა არის ჩინეთის ეკონომიკური შოკი. მაგალითად, ვირუსის დაუცველობა და შიში აიძულებს ხალხს გადადონ არდადეგები და მოერიდონ ადგილებს, სადაც დიდი რაოდენობით ხალხი იკრიბება. ბიზნესი აუქმებს ღონისძიებებს, უკრძალავს თანამშრომლებს მოგზაურობას. ამიტომ ვირუსით ყველაზე მეტად დაზარალდა ტურიზმი და მასთან დაკავშირებული სექტორები: ტრანსპორტი, ავიამგზავრობა და სტუმართმოყვარეობა.

საკმაოდ სერიოზული გამოწვევა ფინანსური არასტაბილურობა. ეს, პირველ რიგში, ეხება ქვეყნებს, სადაც კორპორატიული სესხის დონე სწრაფად იზრდებოდა (მაგალითად, შეერთებული შტატები) ან რომლებიც უკვე დაუცველები იყვნენ (მაგალითად, იტალია). თუ ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები სერიოზულად გააუარესებენ საკრედიტო პორტფელის ხარისხს, არსებობს საშიშროება, რომ COVID-19 კრიზისმა შეიძლება ფინანსური კრიზისის გამოწვევაც კი გამოიწვიოს. ეს არ არის რისკის სცენარის ნაწილი და მისი თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ ცენტრალური ბანკები და მთავრობები მიიღებენ საჭირო, პროაქტიულ, მტკიცე პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს გადაწყვეტილებები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეიცავდეს მიზნობრივ ფინანსურ ზომებს, მაგალითად, გრძელვადიანი რეფინანსირება ქვეყნების ცენტრალური (ეროვნული) ბანკების მიერ.

### დასკვნა

ამრიგად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ეკონომიკა უკვე რეცესიაშია, ვინაიდან კორონავირუსის პანდემიის გავლენა ეკონომიკურ საქმიანობას სულ უფრო ზღუდავს და ნეგატიურ გავლენას ახდენს. ეჭვი აღარ არსებობს, რომ პანდემიის წინააღმდეგ მხოლოდ გლობალური, გაფართოებული ბრძოლა გამოიღებს შედეგს. ამას ადასტურებენ ექსპერტთა უმრავლესობა, რომლებიც თანხმდებიან, რომ სიტუაცია შეიძლება სწრაფად კონტროლდებოდეს და ვირუსის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე იქნება მნიშვნელოვანი, მაგრამ ხანმოკლე, SARS ვირუსის ანალოგიით, რომელიც 2003 წელს მოხდა. მეორე კვარტალში ეკონომიკური ზრდა დასტაბილურდება, თუ ამ სცენარს საბაზისოდ მივიღებთ, როგორც ამას ანალიტიკოსების უმეტესობა აკეთებს, გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე იქნება ნეგატიური, მაგრამ შეზღუდული. ამასთან, ეკონომიკურ პროგნოზში მთავარი საკითხი რჩება კვლავ რეცესიის სიღრმე და ხანგრძლივობა, რომელიც 2021 წელს მნიშვნელოვნად უნდა შენელდეს. აქ მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სფეროს აქტიური დახმარება და ეპიდემიის წინააღმდეგ საყოველთაო ვაქცინაციით ბრძოლა, რაც მისცემს საშუალებას ქვეყნებს შეამცირონ რეგულაციები და ბიზნესმა შეძლოს მთელი რესურსული პოტენციალის გამოყენება.

ამჟამინდელი კრიზისი საკმაოდ ღრმა კვალს დატოვებს და დიდ გლობალურ პრობლემებს გამოიწვევს, ამიტომ ნომერ პირველი გამოწვევაა ჯანმრთელობის გლობალური და მეტად რთული ეკონომიკური მდგომარეობის გადალახვა. ამის შემდეგ, მსოფლიო საზოგადოებამ უნდა გააერთიანოს ძალისხმევა, რომ მოძებნოს ეკონომიკის მაქსიმალურად სწრაფად და მდგრადი აღორძინების გზები, რათა ხელი შეუშალოს სიღარიბისა და უმუშევრობის შემდგომ ზრდას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Gelashvili M., 2017. „Innovative Human Capital and its development characteristics“, SSU IV international-practical conference, collections. Tbilisi „Homeland“.
2. შენგელია თ., გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი № 1, 2020.

3. შენგელია თ., კორონავირუსის მსოფლიო გეოგრაფია და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები. III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები.“ თბ., 2020.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი (2020), წლიური ანგარიში, ISSN 1512-1739.
6. Shengelia T., 2020. The post-coronavirus economy of the world and Georgia. // Economic and Business № 12.
7. OECD (2020), Employment rate by age group (indicator). doi: 10.1787/084f32c7-en (Accessed on 23 October 2020).
8. Carlsson-Szlezak, Philipp, Reeves, M., & Swartz, P. (2020, March 27). Understanding the Economic Shock of Coronavirus. Harvard Business Review. [hbr.org](https://hbr.org)
9. Baldwin, R. (2020, March 13). Keeping the lights on: Economic medicine for a medical shock. VoxEU.Org
10. Gourinchas, P.-O. (2020). Flattening the pandemic and recession curves. Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever.
11. Baker, S. R., Bloom, N., Davis, S. J., & Terry, S. J. (2020). COVID-Induced Economic Uncertainty (Working Paper No. 26983; Working Paper Series). National Bureau of Economic Research. <https://doi.org/10.3386/w26983>
12. Coibion, O., Gorodnichenko, Y., & Weber, M. (2020b). The Cost of the Covid-19 Crisis: Lock-downs, Macroeconomic Expectations, and Consumer Spending (Working Paper No. 27141; Working Paper Series). National Bureau of Economic Research.

*Madona Gelashvili*

## COVID-19, AS AN EXISTING GLOBAL DANGER

### Summary

Covid-19 (corona virus) has turned to be a rather complicated challenge and serious danger not only for the world health care system, but for the global economics as well. A virus originated in Wuhan in November-December of 2019, just in some months, transformed into the pandemics with a focal negative impact on the world economics which is irreversible. Definitely, it is very difficult to make a forecast on the economic impacts caused by the pandemic process and epidemic states existing in different countries from the viewpoint of the global economics.

In connection with the issue being under consideration, too many works have already been published; they were analyzing the negative impact caused by the COVID-19 virus pandemics on the global economics. On top of all, it seems to be a very complicated challenge and serious danger not only for the world health care system, but for the global economics as well. After the initial shock, researchers started analyzing of results of the recession resulted by the pandemics more actively. However, there is no exact information on the extent of impact of these processes on the global economics, geopolitics, social relations, and unemployment rate. Researches and reports conducted by international organizations give an inhomogeneous assessment of the pandemics' impact on the global economics.

Despite of the fact that expectations are different, generally, huge economic effects will be suffered by the countries where there had been the highest indicator of spreading of COVID-19 registered, followed by the countries with the economics much depended upon tourism, export of petroleum products and other goods, and finally the negative impact will be reflected on the economics of their partner-countries. These are the key issues which will be analyzed in the present article.

Accordingly, it may be mentioned definitely, that the world economics has already been in recession as an impact of the coronavirus pandemics restricts the economic activity and has a negative effect on it. There is no doubt that only global and wide-spread struggle against the pandemics will have a result. It is confirmed by majority of experts that situation may be controlled rapidly and influence of the virus on the global economics will be essential, but short-termed, as it used to be in case of the SARS virus appeared in 2003. In the second quarter, economic rise will be stabilized if we receive this scenario as a base like majority of analysts, an impact on the global economic will be negative, but limited. In addition to it, a key issue remained in the economic forecast is a depth and duration of recession which should be slowed significantly in 2021. Here, active assistance to the health care sector and a struggle using epidemiological global vaccina-

tion is an issue of great importance that will give a possibility to the states to facilitate regulations and to enable business to apply the whole potential of its resources.

*Ната Давлашеридзе  
Шота Тваури*

## ЭКОНОМИЧЕСКОЕ ПРОТИВОСТОЯНИЕ США И КИТАЯ В УСЛОВИЯХ ПОСТПАНДЕМИЙНОЙ ГЛОБАЛИЗАЦИИ

***Аннотация.** В работе приведены наиболее значимые исследовательские материалы, отражающие экономическую обстановку в мире условиях постпандемийной глобализации на примере взаимоотношений США и Китая. Выделены несколько авторитетных трендов, проанализированы их ключевые концепции и выводы. Такой информационный поток представляет большой интерес для других стран, в том числе для Грузии.*

***Ключевые слова:** глобализация, пандемия, криптовалюта*

### Введение

В марте 2021 г. США и Китай впервые провели переговоры после победы Джо Байдена на выборах. Они проходили на фоне попыток стабилизировать мировую экономику после пандемического кризиса. Поскольку ожидается медленное ее восстановление в 2021 году, очень много зависит от этих двух стран. Необходимы драйверы роста и в данном случае ими является Китай, потому что он переходит на новую модель развития и при этом продолжает вкладывать довольно большие деньги в инфраструктурные инициативы, которые в дальнейшем приносят мультиплицирующий эффект. Для США важнее сдерживать Китай, чем поддерживать его развитие, поэтому договоренности между двумя этими странами являются решающими. В данной работе приведены некоторые наиболее актуальные исследовательские материалы, которые сопровождали этот процесс, в частности, выделены несколько наиболее *значимых трендов*, а также их ключевые концепции и выводы, в разработке которых принимали участие Нобелевские лауреаты США по экономике, ученые аналитики и ведущие аналитические центры.

\* \* \*

Несомненный интерес, в этой связи, представляет аналитическое исследование **Мэттью С. Эри, Томаса Стрейнца «Эффект Пекина: китайский 'цифровой шелковый путь' как транснациональное управление данными»<sup>113</sup>**. Авторы утверждают, что лидер транснационального управления данными будет править миром.

Анализ экономических, геополитических и военных аспектов соревнования сверхдержав не успевает адаптироваться к изменениям, происходящим в мире. И потому аналитики либо по-прежнему ориентируются на устаревшие индикаторы ВВП, либо в погоне за хайпом (hype) переключаются на индикаторы, типа лидерства в области искусственного интеллекта (ИИ-АИ).

А тем временем Китай, когда-то привнесший в мировую цивилизацию четыре великих изобретения — порох, производство бумаги, печать и компас, — снова близок к тому, чтобы подтвердить лидерство в области глобальных инноваций и с их помощью выиграть соревнование сверхдержав. Магистральной линией глобальных инноваций Китай выбрал не ИИ и не квантовые компьютеры, а транснациональное управление данными, воплощаемое глобальным проектом *«Цифровой шелковый путь»*.

Суть проекта — поставлять цифровую инфраструктуру на развивающиеся рынки.

Цель проекта — превращение Китая в сверхдержаву №1 путем экспорта в принимающие государства «не только своих технологий, но и своих ценностей и системы управления».

Это и есть «цифровой авторитаризм в мировом масштабе».

Правительства стран с развивающейся экономикой, привлекая Китай для создания национальной цифровой инфраструктуры, подражают китайскому подходу к управлению данными в стремлении к «суверенитету данных» и китайским методам цифрового развития. «Цифровой шелковый путь» Китая — масштабная попытка создать физические компоненты цифровой инфраструктуры (например,

<sup>113</sup> Matthew S. Erie, Thomas Streinz. The Beijing Effect: China's 'Digital Silk Road' as Transnational Data Governance. Apr 2021, [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=3810256](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3810256)

оптоволоконные кабели, антенны и центры обработки данных) для повышения функциональной совместимости цифровых экосистем, — материализует в развивающихся странах «эффект Пекина».

Подобно «эффекту Калифорнии»<sup>114</sup> и «эффекту Брюсселя»<sup>115</sup>, КПК с помощью китайских технологических компаний породила «эффект Пекина». Этот эффект через пару десятков лет сделает китайские ценности и методы в области управления данными стандартом де-факто для 80% человечества.

Компания **Booz Allen Hamilton Holding Corporation** опубликовала отчет «**5G Geotechnological Competition in the Digital Age**» о влиянии ключевых технологий на геополитическую конкуренцию<sup>116</sup>. Booz Allen является головной компанией американской консалтинговой фирмы по вопросам управления и информационных технологий.

Отчет лаконичен, информативен и посвящен важнейшей теме 2020-х, вынесенной в его заголовок. Логика авторов отчета конкретна:

- Начиная с 1950-х, все более важным фактором геополитической конкуренции становится соревнование стран в области информационных технологий (ИТ).
- Вплоть до 2010-х, пройдя через пять этапов ИТ гонки (от мейнфреймов до мобильного компьютеринга), её безусловным лидером были США.
- Начиная с 2010-х начался новый этап — этап 5G, Интернета вещей (IoT- Internet of Things) и искусственного интеллекта. Кто станет лидером пока вопрос, сегодня это США и Китай.
- *Гонка технологий 5G* — важнейшая практическая часть ИТ гонки в 2020-х. От того, кто выигрывает гонку 5G, будет зависеть многое.

Чтобы показать хороший результат, страна должна выполнить следующие требования:

Employ: Использовать 5G технологии для усиления инструментов национальной власти


Adopt: Стимулировать внедрения технологий 5G в правительстве, бизнесе и потребителями

Deploy: Развертывать технологии 5G как в государственной, так и в частной инфраструктуре

Develop: Развивать и поддерживать отечественные отрасли 5G — оборудование, программное обеспечение и цифровые услуги

Enable: Обеспечивать рост и поддержание национальной технологической промышленной базы.


Итог показан в приведенном ниже инфографике.



<sup>114</sup> Эффект Калифорнии – это смещение потребительских, экологических и других нормативных требований в сторону политических юрисдикций с более строгими нормативными стандартами. Название произошло от распространения некоторых передовых экологических нормативных стандартов, которые первоначально были приняты в американском штате Калифорния и в конечном итоге приняты в других штатах. [https://ru.xcv.wiki/wiki/California\\_effect](https://ru.xcv.wiki/wiki/California_effect)

<sup>115</sup> Эффект Брюсселя – это процесс односторонней регулирующей глобализации, вызванной де-факто (но не обязательно де-юре) Евросоюзом, экстернализирующим свои законы за пределами своих границ через рыночные механизмы. Благодаря эффекту Брюсселя регулируемые субъекты, особенно корпорации в конечном итоге соблюдают законы ЕС даже за его пределами. [https://ru.xcv.wiki/wiki/Brussels\\_effect](https://ru.xcv.wiki/wiki/Brussels_effect)

<sup>116</sup> 2021 GLOBAL BENCHMARKS AND INSIGHTS FOR THE U.S. [https://www.boozallen.com/content/dam/boozallen\\_site/ccg/pdf/publications/5g-policy-paper.pdf](https://www.boozallen.com/content/dam/boozallen_site/ccg/pdf/publications/5g-policy-paper.pdf)



Один из наиболее авторитетных в вопросах внешней политики США американский журнал **Foreign Affair** опубликовал в апрельском номере 2021 г. статью: «**Техноавторитаризм Китая стал глобальным**». **Вашингтону нужно предложить альтернативу**.<sup>117</sup>

Формула глобального техноавторитаризма Китая проста и эффективна:

- Хотите эффективно повышать благосостояние, безопасность и стабильность — соглашайтесь с социальным контролем.
- Тотальная слежка — важнейший элемент социального контроля.
- Внедряйте в своей стране китайские технологии слежки путем подключения к китайским технологическим экосистемам.

Специальный выпуск *Foreign Affairs* формулирует данную формулу так: «Слежка — это факт жизни китайских граждан и, все чаще, тех, кто живет в странах, принявших китайские технологии слежки, от Эквадора до Кыргызстана. Что еще более тревожно, эта экосистема китайских технологий несет в себе набор ценностей, лежащих в основе китайского государства, — форму авторитаризма 21-го века, сочетающую в себе социальный контроль и эффективность». Никогда ранее в истории Китай не был альтернативным Западу источником позитивных образцов для мира — политических, технологических, моральных или интеллектуальных.

Сейчас же проект «Цифрового шелкового пути» становится таким образцом.

Если США (а никто больше и не способен здесь потягаться с Китаем) не предложит альтернативный образец, образец Китая просто автоматом будет воспринят 80% населения мира (от Южной Америки до России).

А чтобы создать такой альтернативный образец, США должны реформировать свои собственные методы наблюдения, защитить конфиденциальность и безопасность граждан и, работая с союзниками, установить глобальные стандарты в области технологий с соблюдением прав человека.

Аналитики отвергают позицию, согласно которой противостояние США и Китая в области технологических экосистем — это борьба добра со злом, ибо для большей части остального мира это борьба двух зол.

- Правительство США также практикует массовое наблюдение.
- Крупные технологические компании США приняли бизнес-модель, основанную на наблюдении, используя данные людей в обмен на их бесплатное обслуживание.
- Разведывательная коалиция Five Eyes (США, Австралия, Канада, Новая Зеландия и Великобритания) воюет с шифрованием, оказывая давление на компании, чтобы они предоставили правительствам черный доступ ко всем цифровым коммуникациям. В этой мрачной глобальной гонке за цифровое дно больше всех проигрывают обычные пользователи технологий во всем мире.

<sup>117</sup> Apr 2021. China's Techno-Authoritarianism Has Gone Global. Washington Needs to Offer an Alternative [https://www.foreignaffairs.com/articles/china/2021-04-08/chinas-techno-authoritarianism-has-gone-global?utm\\_source=twitter\\_posts&utm\\_medium=social&utm\\_campaign=tw\\_daily\\_soc](https://www.foreignaffairs.com/articles/china/2021-04-08/chinas-techno-authoritarianism-has-gone-global?utm_source=twitter_posts&utm_medium=social&utm_campaign=tw_daily_soc)

Это ни есть альтернатива вторжению китайского техно-авторитаризма, это примерно такое же зло (ну может не такое дно, как у Китая, но и никак не добро), поэтому США трудно будет остановить распространение китайского техно-авторитаризма по миру.

Частная американская организация в сфере международных связей **Council on Foreign Relations** (CFR), которая является наиболее мощной частной организацией по влиянию на внешнюю политику Соединённых Штатов, опубликовала отчет «*China's Belt and Road: Implications for the United States*» (March 2021) («Один пояс и один путь Китая: последствия для США»), в котором отмечает, что в трех индустриях Китай уже опередил США и еще в трех может повторить<sup>118</sup>.

Дискуссии и споры, насколько велика глобальная угроза Китая, остались в 2020, в 2021 эта угроза осознана и признана не только экспертами и политиками, но и сообществом. Февральский опрос Pew Research Center показал беспрецедентный результат — для 89% американцев Китай больше не партнер, а лишь враг и главный конкурент. А процент считающих китайскую угрозу самой главной для США, вырос с 2018 года от 32% до 48%. Так в чем заключается опасность для США? На этот вопрос в деталях и с цифрами отвечает отчет CFR.

В трех важнейших отраслях, основанных на критических технологиях, Китай уже обогнал США: платежные платформы, технологии связи 5-го поколения (5G) и высокоскоростные железные дороги.

В трех других важнейших отраслях, работающих на критических технологиях, Китай планирует опередить США в ближайшие 10 лет: производство солнечной и ветровой энергии, системы передачи сверхвысокого напряжения и производство интегральных микросхем.

При этом, чтобы наиболее полно осознать мощь Китая, следует смотреть не на чистый, типа 5G, а на *инфраструктурный хайтек*, например, высокоскоростные железные дороги, в которых сплав технологий, производства, логистики и менеджмента как нигде сложен. Статистика здесь такова:

- Китай, вошедший в TOP10 стран по протяженности скоростных ЖД в 2003, в 2007 будто включает турбо-ускоритель и за 2 года просто сметает всех конкурентов, занимая уже в 2009 1-е место в мире.

- А потом Китай уходит в такой отрыв, что ежегодно обгоняет по темпам строительства новых скоростных ЖД уже не отдельные страны, а весь остальной мир.

В итоге средняя скорость движения китайских ЖД в 1993 была 19 миль в час, а сейчас — 220 миль в час. Подобное Китай может повторить и в других инфраструктурных областях.

Один из ведущих американских поставщиков финансовой информации для профессиональных участников финансовых рынков **Bloomberg** пишет о вероятных последствиях внедрения цифрового юаня в Китае: действия китайских властей привели к обвалу на рынке криптовалют - «*Biden Team Eyes Potential Threat From China's Digital Yuan*» («Команда Байдена видит потенциальную угрозу от цифрового юаня Китая»)<sup>119</sup>.

В мае 2021 г. на международных торгах курс биткоина резко обвалился почти на 14,5% — до \$38,7 тыс., об этом свидетельствуют данные портала CoinMarketCap. Вслед за биткоином традиционно стали снижаться и курсы других цифровых активов. Так, например, в начале торгов котировки эфириума (Ethereum) падали на 19% (до \$2,84 тыс.), а рипла (Ripple) — на 15% (до \$1,37). При этом общая стоимость всех криптовалют опускалась более чем на \$300 млрд. и достигала \$1,81 трлн. Причина падения заключалась в том, что Народный банк Китая объявил о запрете для финансовых учреждений и компаний оказывать услуги, связанные с криптовалютными операциями, а также использовать цифровые активы в качестве средства платежа. «В последнее время цены на криптовалюты колеблются крайне резко. Возобновились спекуляции, что серьезно подрывает безопасность активов населения и нарушает экономический и финансовый порядок», — говорится в сообщении китайского центробанка в мессенджере WeChat. Как отмечают эксперты, запрет на операции с криптовалютами в Китае спровоцировал панику среди инвесторов. В результате участники рынка стали активно выводить деньги из цифровых активов, что и привело к падению стоимости биткоина и его аналогов. Сегодня в КНР сосредоточены основные майнинговые мощности по выпуску биткоина. На этом фоне любые ограничения со стороны одной из крупнейших экономик мира остро воспринимаются рынком.

Между тем продолжение запретительной политики может быть мотивировано не только желанием китайского руководства оградить людей от криптовалютных рисков, но и стратегическими целями финансовых властей страны, попыткой *расчислить нишу для своего цифрового юаня*, первые

<sup>118</sup> March 2021. <https://www.cfr.org/report/chinas-belt-and-road-implications-for-the-united-states/>

<sup>119</sup> Apr 2021. Biden Team Eyes Potential Threat From China's Digital Yuan/ <https://www.bloomberg.com/news/articles/2021-04-11/biden-team-eyes-potential-threat-from-china-s-digital-yuan-plans>



испытания которого начались в Китае ещё в 2020 году. Тогда в экспериментальном режиме электронную валюту ввели в оборот власти городов Шэньчжэнь и Сучжоу. В феврале 2021 года в стране прошла третья фаза эксперимента. Около 50 тыс. жителей Пекина с помощью лотереи получили по 200 цифровых юаней (около \$31) в виртуальных конвертах. В течение недели во время празднования Нового года по лунному календарю его участники совершили почти 140 тыс. покупок в общей сложности на \$3 млн. Ввести новую форму расчётов в широкий оборот планируется уже к началу зимних Олимпийских игр — 2022 г. в Пекине. При этом власти КНР намерены предоставить доступ к цифровым юаням не только гражданам страны, но и иностранцам.

Казначейство США, Госдеп, Пентагон и СНБ сейчас со всем своим экспертным сообществом нобелевских лауреатов пытаются разобраться в последствиях введения цифрового юаня для американской экономической, да и политической системы, при этом вопрос выпуска собственной национальной цифровой валюты США пока лишь изучают.

Очевидно, что в результате появления цифрового юаня властям США придется забыть о возможности наложения финансовых санкций в одностороннем порядке, это также серьезно подорвет доминирующее положение доллара в мировой финансовой системе и его долю в международных расчетах.

### **Заключение**

Изложенные материалы позволяют сделать вывод о том, что мир вступил в период турбулентности, усиленной последствиями пандемии, который потребует от всех стран, в том числе от Грузии, внимательного анализа и тонкой доработки собственной политики и принимаемых экономических мер.

### **Используемые источники**

1. Matthew S. Erie, Thomas Streinz. The Beijing Effect: China's 'Digital Silk Road' as Transnational Data Governance. Apr 2021, [https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=3810256](https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3810256)
2. Apr 2021. China's Techno-Authoritarianism Has Gone Global. Washington Needs to Offer an Alternative [https://www.foreignaffairs.com/articles/china/2021-04-08/chinas-techno-authoritarianism-has-gone-global?utm\\_source=twitter\\_posts&utm\\_medium=social&utm\\_campaign=tw\\_daily\\_soc](https://www.foreignaffairs.com/articles/china/2021-04-08/chinas-techno-authoritarianism-has-gone-global?utm_source=twitter_posts&utm_medium=social&utm_campaign=tw_daily_soc)
3. March 2021. <https://www.cfr.org/report/chinas-belt-and-road-implications-for-the-united-states/>
4. Apr 2021. Biden Team Eyes Potential Threat From China's Digital Yuan/ <https://www.bloomberg.com/news/articles/2021-04-11/biden-team-eyes-potential-threat-from-china-s-digital-yuan-plans>

*Nata Davlasheridze  
Shota Tvauri*

## **ECONOMIC CONFRONTATION BETWEEN THE UNITED STATES AND CHINA IN POST-PANDEMIC GLOBALIZATION**

### **Summary**

The paper presents the most significant research materials reflecting the economic situation in the world in the context of post-pandemic globalization on the example of the relationship between the United States and China. Several authoritative trends were highlighted, their key concepts and conclusions were analyzed. Such an information flow is of great interest to other countries, including Georgia.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, როგორც ქვეყნის  
ეკონომიკური განვითარების ინდიკატორი

*ანოტაცია.* საგადასახდელი ბალანსი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის, შესწავლის და პროგნოზირების ერთ-ერთი მძლავრი იარაღი და მნიშვნელოვანი ინდიკატორია როგორც საგარეო ეკონომიკური, ისე ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების სწორად განსაზღვრისათვის. საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევების სათანადო პასუხები, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების როგორც აღრიცხვის და რეგისტრაციის, ისე ინფორმაციის დამუშავების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ სახელმწიფოებრივ ინტერესებს და პასუხობდეს არსებული პრობლემების გადაჭრის რეალურ გზებს

*საკვანძო სიტყვები:* საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, საგადასახდელი ბალანსი, მიმდინარე ანგარიში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

\*\*\*

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მოიცავს მრავალფეროვანი და მასშტაბური ოპერაციების საკმაოდ დიდ ინფორმაციას, რაც ართულებს სტატისტიკის ამოცანას - სწორად განსაზღვროს მათი ასახვა რეალურ ანგარიშებში, რათა მიღწეულ იქნას მაკროეკონომიკური სტატისტიკის ერთიანობა და შესადარისობა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. აღნიშნული ურთიერთობების დეტალურ შესწავლას ემსახურება ეროვნულ ანგარიშთა სისტემის „საგარეო სექტორის ანგარიშები“ და საგარეო სექტორის სტატისტიკა საგადასახდელი ბალანსის, საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის, საერთაშორისო რეზერვებისა და საგარეო ვალის სტატისტიკის სახით.

საგადასახდელი ბალანსი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის, შესწავლის და პროგნოზირების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. ის ასევე არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი ანალიტიკოსებისა და პოლიტიკოსების ხელში, რათა სწორად განსაზღვრონ ქვეყნის, არა მარტო საგარეო ეკონომიკური, არამედ მთლიანი ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები.

თანამედროვე ინტერპრეტაციით „საგადასახდელი ბალანსი არის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელშიც აისახება ყველა ოპერაცია მოცემული ქვეყნის ეკონომიკასა და დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებს შორის დროის გარკვეულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) [ასლამაზიშვილი, ა),2020,116]. ის არის „დანარჩენ სამყაროსთან“ განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების კრებსითი ბალანსი, რომელიც გამოიყენება შიგა ეკონომიკური პროცესების მართვისა და საერთაშორისო დონეზე ქვეყნების შედარებითი დახასიათებისათვის. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ქვეყნებს შორის მრავალმხრივი სასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობები და მსოფლიო მეურნეობაში ჩართულობის მაღალი ხარისხი ძლიერი, სტაბილური ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბების წინაპირობაა.

ქვეყნის საერთაშორისო დონეზე აღიარებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ინტეგრაციის მიზნით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენი ქვეყანა აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში. ამის პარალელურად საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა დაიწყო საგარეო სექტორის სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, რომლის საფუძველზეც 1995 წელს (1994 წლის მონაცემებზე დაყრდნობით) შემუშავდა პირველი საგადასახდელი ბალანსი. თავდაპირველად საგადასახდელი ბალანსის წარმოება დაევალა სტატისტიკის დეპარტამენტს, ხოლო 2007 წლიდან დღემდე მის შედგენაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეროვნულ ბანკს დაეკისრა [საქართველოს ეროვნული ბანკი]. საგადასახდელი

ბალანსის დანიშნულებაა ეროვნული ეკონომიკის რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებთან განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების რაოდენობრივი ასახვა, რომლის შედეგად დგინდება გარკვეული საგარეო ეკონომიკური წონასწოება მოცემულ ქვეყანასა და დანარჩენ სამყაროს შორის. თეორიულად ადვილი წარმოსადგენია, რომ ქვეყანას ჰქონდეს იდეალურად გაწონასწორებული საგადასახდელო ბალანსი, მაგრამ რეალურ სინამდვილეში ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ფონზე ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. დღეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ოპერაციები იმდენად მრავალგვარი, ინტენსიური და გლობალურია, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ აქვს იდეალურად გაწონასწორებული ბალანსი. გამომდინარე აქედან, ქვეყნები ისწრაფვიან არა წონასწორობისაკენ, არამედ უპირატესობის მოპოვებისაკენ ამ სფეროში. შესაბამისად, არიან ქვეყნები დადებითი საგადასახდელო ბალანსით და არიან ქვეყნები, რომლებიც ამას ვერ აღწევენ და უარყოფითი ბალანსი აქვთ [ასლამაზიშვილი ნ., მაკროეკონომიკური სტატისტიკა, 2021, გვ. 160]. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით 2019 წელს 192 ქვეყნის მიერ გამოქვეყნებული საგადასახდელო ბალანსის მიხედვით 135 ქვეყანის (ანუ 70%-ზე მეტის) ბალანსი უარყოფითი იყო და მთლიანი დეფიციტი ჯამურად 1,1 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, აქედან ათ უმსხვილეს ქვეყანაზე მოდიოდა 844.6 მლრდ აშშ დოლარის დეფიციტი, რომლის 75,1% (ანუ 634,3 მლრდ აშშ დოლარი) აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს დეფიციტს შეადგენდა.

ეროვნული ბანკის მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს საგადასახდელო ბალანსი მეტ-ნაკლებად ყოველთვის დეფიციტური იყო, მაგრამ ქვეყანაში პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა არა მარტო გაზარდა მისი უარყოფითი სალდო, არამედ მისი სტრუქტურული მაჩვენებლებიც გააუარესა. მიმდინარე ანგარიშის (რომელიც საქონლის, მომსახურების, პირველადი შემოსავლებისა და მეორადი შემოსავლების საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერებს შორის სხვაობას ასახავს) დეფიციტმა 2020 წლის ბოლოს - 1.965 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2-ჯერ გადააჭარბა. შედეგად გაიზარდა რეზიდენტების უცხოური ვალდებულებები და ქვეყნის წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობა გაუარესდა. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტმა, როგორც მნიშვნელოვანმა განზოგადებულმა ინდიკატორმა, მშპ-ის 12.3% შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2,4-ჯერ აღემატება.

2019-2020 წელში საგადასახდელო ბალანსზე ყველაზე დიდი დარტყმა და მისი სტრუქტურის გაუარესება ტურიზმის შემოსავლების 2, 7 მლრდ აშშ დოლარით კლებამ განაპირობა. 2019 წელთან შედარებით იმპორტის მოცულობა 13, 7%-ით, ხოლო ექსპორტი- 12,1%-ით შემცირდა; იმპორტის მოცულობის შემცირების შედეგად საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო - 3 736.44 მლნ. აშშ დოლარიდან - 3139.26 მლნ აშშ. დოლარამდე ანუ 12%-ით შემცირდა. შემომავალი ნაკადების მოცულობა ნაწილობრივ იმპორტის შემცირებამ დააბალანსა, მან გავლენა მოახდინა მიმდინარე ანგარიშის სალდოზე და სადასახდელო ბალანსის დეფიციტი შეამცირა.

**ცხრილი 1**

**საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურული კომპონენტების დინამიკა 2017-2020 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)**

|                            | 2017       | 2018       | 2019      | 2020        |
|----------------------------|------------|------------|-----------|-------------|
| მიმდინარე ანგარიში         | - 1 305.99 | - 1 191.69 | - 960.45  | -1 965. 01  |
| საქონელი და მომსახურება    | -1 784.88  | -1 871.98  | -1 560.59 | -3 009 . 35 |
| მ. შ საქონელის ექსპორტი    | 3569.92    | 4406.50    | 4944.27   | 4349.50     |
| საქონლის იმპორტი           | 7379.12    | 8522.28    | 8680.71   | 7488.76     |
| პირველადი შემოსავლების     | -794.19    | -683.49    | -774.84   | -764.0      |
| მეორადი შემოსავლები        | 1 273.0    | 1 363.78   | 360.21    | 1 808.96    |
| მიმდინარე ანგარიში/მშპ (%) | -8.0       | -6.8       | -5.1      | 12.3        |

**წყარო:** შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით.

გლობალური ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საანალიზო ინდიკატორია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევების ერთ-ერთ პრიორიტეტად იკვეთება ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა. მის რაოდენობასა და ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და შემდგომი განვითარება. არანაკლებ მნიშვნელოვანია სტატისტიკის როლი აღნიშნული პროცესების მართვასა და რეგულირებაში.

სწორედ საერთაშორისო სტანდარტების<sup>120</sup> მიხედვით პუი-ის შესახებ მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაცია ხდება ეკონომიკური ანალიზის ჩატარების, მისი ფინანსური ეფექტიანობის შეფასებისა და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

ოფიციალური სტატისტიკიდან ჩანს, რომ 2013 - 2018 წლებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ცვალებადი დინამიკით ხასიათდებოდა, მაგრამ ტენდენცია ძირითადად მაინც მზარდი იყო (იხ. ცხრილი 1). 2019 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო მისი თანდათანობით კლება და 2020 წელში 2013 წელთან შედარებით იგი 1,7-ჯერ, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2,1-ჯერ შემცირდა (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 2**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა  
2013-2020 წლები (მლნ. აშშ დოლარი)**

| წელი   | 2013    | 2014    | 2015    | 2016   | 2017    | 2018    | 2019    | 2020 <sup>121</sup> |
|--------|---------|---------|---------|--------|---------|---------|---------|---------------------|
| სულ    | 1 039.2 | 1 837.0 | 1 728.8 | 1652.6 | 1 978.3 | 1 306.3 | 1 310.8 | 616.9               |
| I კვ   | 291.8   | 331.9   | 343.4   | 392.6  | 413.2   | 328.6   | 313.7   | 175.0               |
| II კვ  | 224.1   | 217.6   | 493.2   | 452.4  | 395.7   | 406.1   | 236.6   | 241.3               |
| III კვ | 271.6   | 749.5   | 531.1   | 507.4  | 634.8   | 365.4   | 396.0   | 303.3               |
| IV კვ  | 251.6   | 538.0   | 361.0   | 300.2  | 534.6   | 203.5   | 364.5   | -102.8              |

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

რაც შეეხება 2020 წელში განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ინვესტორი ქვეყნების ჭრილში, დივერსიფიკაციის დონე საკმაოდ დაბალია. სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილი მთლიან მოცულობაში შეადგენს 95.3%-ს, საიდანაც გაერთიანებულ სამეფოზე მოდის განხორციელებული ინვესტიციების - 49.9% (307.8 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდებზე - 27,9% (172.1 მლნ. აშშ დოლარი) და თურქეთზე - 17.5% (108.1 მლნ.აშშ დოლარი) (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 3**

**საქართველოს ინვესტორი ქვეყნები 2020 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)**

| ქვეყანა              | ინვესტიცია      |                  |
|----------------------|-----------------|------------------|
|                      | მლნ. აშშ.დოლარი | ხვედრითი წილი, % |
| გაერთიანებული სამეფო | 307.8           | 49.9             |
| ნიდერლანდი           | 172,1           | 27,9             |
| თურქეთი              | 108.1           | 17.5             |
| აშშ                  | 93,3            | 15.1             |
| მალტა                | 27.6            | 4.5              |
| ლუქსენბურგი          | 26.5            | 4.3              |
| რუსეთი               | 25.5            | 4.1              |

<sup>121</sup> წინასწარი მონაცემები


|           |              |              |
|-----------|--------------|--------------|
| გერმანია  | 23.7         | 3.8          |
| დანია     | 22.0         | 3.6          |
| ერაყი     | 17.6         | 2.8          |
| სლოვაკეთი | 16.2         | 2.6          |
| უკრაინა   | 11.8         | 1.9          |
| სულ       | <b>616.8</b> | <b>100.0</b> |

წყარო : <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ეკონომიკის სექტორებისა და რეგიონების მიხედვით: საფინანსო სექტორზე მოდის - 64,9 %, სამთომომპოვებით მრეწველობაზე -16.5 %, უძრავ ქონებაზე -11.6%, დანარჩენ სექტორებზე - 7.0%. პირდაპირ უცხოური ინვესტიციების 78,6% მოდის მხოლოდ სამ რეგიონზე, აქედან: ქ. თბილისზე - 44,2%, აჭარის რეგიონზე - 21%, ქვემო ქართლზე -13,4%, დანარჩენ რეგიონებზე - 21.4%.

პირდაპირ უცხოური ინვესტიციების მოცულობის, სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლების გაანგარიშება ეფუძნება სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ პირველად ინფორმაციას. ამ მიზნით სტატისტიკის ეროვნული სამსახური ატარებს გამოკვლევებს „საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“ (ყველა რეგიონის მიხედვით შერჩეულ 2000-მდე სამეწარმეო სუბიექტში, შერჩეულ საწარმოთა განახლება ხდება ყოველკვარტალურად), ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის ნაწილში: კომერციული ბანკებიდან, სადაზღვევო კონპანიებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან აგროვებს საჭირო ინფორმაციას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო პრივატიზაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მოიპოვებს. მაკოორდინებელ როლს ამ საქმიანობაში ასრულებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თსუ, 2017, 154]. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, ასეთია:

დიაგრამა 1



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა  
კომპონენტების მიხედვით 2017-2020 წლებში

|                  | 2017            |       | 2018            |       | 2019           |       | 2021           |       |
|------------------|-----------------|-------|-----------------|-------|----------------|-------|----------------|-------|
|                  | მლნ. აშშ დოლარი | %     | მლნ.აშშ. დოლარი | %     | მლნ აშშ დოლარი | %     | მლნ აშშ დოლარი | %     |
| სულ მ.შ          | 1978,3          | 100.0 | 1306.0          | 100.0 | 1310.7         | 100.0 | 616.8          | 100.0 |
| სააქციო კაპიტალი | 1107,6          | 55.9  | 840.2           | 64,3  | 691.4          | 52.7  | 9.03           | 1.5   |
| რეინვესტიცია     | 615.5           | 31.2  | 434.0           | 33.2  | 634.5          | 48.4  | 560.7          | 90.9  |
| სავალო ვალდ-ბი   | 254.2           | 12.8  | 32.1            | 2.5   | -15.1          | -1.15 | 47.1           | 7.6   |

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-u>

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელში რეინვესტიციის აბსოლუტური მაჩვენებელი, ანუ პირველადი ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის ხელმეორედ დაბანდების მოცულობა 2019 წელთან შედარებით 691.4 მლნ აშშ დოლარიდან 560.7 აშშ დოლარამდე შემცირდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მზარდი დინამიკით ხასიათდება მისი ხვედრითი წილი. ერთი წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი 48.4%-დან 90,9%-მდე გაიზარდა, რაც უთუოდ საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს უკავშირდება, რომელიც ითვალისწინებს რეინვესტიციის შემთხვევაში კომპანიის დაბეგვრას არა მოგების მიღებისთანავე, არამედ გულისხმობს რეინვესტიციის შემთხვევაში კომპანიის გათავისუფლებას მოგების გადასახადისაგან, რაც ასევე მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი 4) საზოგადოების ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩნდება ახალ-ახალი გამოწვევები, რომლებიც მოითხოვენ სათანადო შესწავლას და ანალიზს. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა უკავშირდება კოვიდ-19-ს, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო, მიუხედავად მისი არაეკონომიკური წარმომავლობისა, გამოიწვია ფინანსური, საბანკო და სავალუტო კრიზისები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური რყევები, რომლის მსგავსი არ ახსოვს მსოფლიოს. პანდემიის მასშტაბმა და ინფექციის გავრცელების სწრაფმა ტემპმა განაპირობა ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმის შეცვლა და არნახული ზიანის მიყენება მსოფლიო ეკონომიკისთვის ეკონომიკური ზრდის ტემპის მნიშვნელოვანი შემცირებით. ეს პროცესი გაცილებით მტკივნეული აღმოჩნდა განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეკონომიკური შედეგები უკვე სახეზეა. ვირუსის შემცირების მიზნით დაწესებულმა სახელმწიფო რეგულაციებმა ერთის მხრივ დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ მეორე მხრივ გამოიწვია მსხვილი ქალაქების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სრული იზოლაცია, მოსახლეობის სოცალური დისტანცირება, მთელი რიგი საქმიანობების და წარმოებების შეჩერება, რასაც თან მოჰყვა ეკონომიკის მასშტაბური შემცირება. კრიზისით გამოწვეული ნეგატიური ტენდენციები ადეკვატურად აისახა ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ასპექტში. შესაბამისად გაიზარდა საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი, მკვეთრად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, გაიზარდა ფასები და გაუფასურდა ეროვნული ვალუტა. საქართველოსათვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის სტატუსის მქონე ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნა, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინებასთან ერთად ხელს შეუწყობს მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, რეალური ეკონომიკური სექტორის გაძლიერებას, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ევროპულ სივრცეში ინტეგრირების წინაპირობას. სტატისტიკის როლი კი აღნიშნული პროცესების მართვაში სრულყოფილი, დროული, ხარისხიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფორმაციის წარმოება და გავრცელებაა. სრულფასოვანი და მრავლისმომცველი ინფორმაცია რეალური, ღრმა და შინაარსიანი ანალიზის გაკეთების საშუალებას იძლევა.

არსებული პრობლემებისა და გამოწვევების საფუძლიანი შესწავლა თავის მხრივ ცალსახად განაპირობებს კონკრეტული წინადადებების შემუშავების საფუძველზე ეფექტური ღონისძიებების გატარებას, რაც სამწუხაროდ, რეალურად იშვიათად ხდება ჩვენი ქვეყნის როგორც აღრიცხვის და რეგისტრაციის, ისე ინფორმაციის დამუშავების დროს. პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ სახელმწიფოებრივ ინტერესებს და პასუხობდეს არსებული პრობლემების გადაჭრის რეალურ გზებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი ნ., საერთაშორისო ბიზნეს სტატისტიკა, ლექციების კურსი, თბ. 2020.
2. ასლამაზიშვილი ნ., საგადასახდელო ბალანსის არსებითი ანალიზის აუცილებლობის საკითხისათვის, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #6, 2018, გვ. 136.  
(<https://www.eugb.ge/uploads/journal/gb-N6.pdf>).
3. ასლამაზიშვილი ნ., გელაშვილი ს., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2018.
4. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <https://www.geostat.ge/media/31095/angarishi-2019.pdf>
5. (საქართველოს ეროვნული ბანკი, კვლევები და გამოცემები, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=353>
6. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-2, ლექციების მოკლე კურსი, თსუ, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა, 2017.

*Naira Virsaladze  
Malvina Kipiani*

### STATISTICS OF FOREIGN ECONOMIC RELATIONS AS AN INDICATOR OF THE COUNTRY'S ECONOMIC DEVELOPMENT

#### Summary

In the modern stage of globalization, economic relations between countries include a large amount of information on diverse and large-scale operations, which is an important indicator in the hands of analysts and politicians to correctly determine the development priorities of the country, not only foreign economic but also the whole economy. The balance of payments is one of the main and important national accounts, the purpose of which is to quantify the economic transactions carried out by residents of the national economy with non-residents, thus establishing a certain external economic balance between a given country and the rest of the world. Promoting local or foreign investment is one of the priorities of the challenges facing the Georgian economy. The economic growth and further development of the country greatly depends on its quantity and quality. No less important is the role of statistics in the management and regulation of these processes. For Georgia, as a country with the status of a developing economy, it is especially important to create a stable investment environment, which along with the inflow of foreign investment will help to create more jobs, strengthen the real economic sector, the country's economic development and European integration. The role of statistics in the management of these processes is to produce and extend complete, timely, qualified information in line with international standards. Complete and comprehensive information allows to do real, in-depth and meaningful analysis. An in-depth study of the existing problems and challenges, in turn, clearly leads to effective measures based on the development of specific proposals, which, unfortunately, actually rarely happens during the registration of our country, as well as in the processing of information. The process should be based only on state interests and respond to real ways of solving existing problems.

## პანდემიის გავლენა გლობალური მომარაგების ჯაჭვებზე

**ანოტაცია.** კოვიდ ვირუსის გაჩენამ ჩინეთში, რომელიც გლობალური მასშტაბით წარმოების და დისტრიბუციის ერთ-ერთი მთავარ ჰაბად გვევლინება, დიდი გავლენა მოახდინა მზა და ნახევარფაბრიკატი პროდუქციის მიწოდებაზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, რომლებიც ლოჯისტიკურად არიან დაკავშირებული ჩინეთთან.

შედეგად, მსოფლიოში მეწარმეები განიცდიან ზრდად პოლიტიკურ და კონკურენტულ ზეწოლას იმ მიმართულებით, რომ გაზარდონ თავიანთი შიდა წარმოება და დასაქმება საკუთარ ქვეყნებში, შეამცირონ ან თუნდაც სულ აღმოფხვრან დამოკიდებულება რისკის შემცველ წყაროებზე და გადახედონ მათ გამოყენებას ეფექტიანი წარმოების სტრატეგიებში.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, ლოჯისტიკა, შეზღუდვა, მომარაგება, წარმოება.

### შესავალი

გლობალური მომარაგების ჯაჭვები ყოველთვის დაუცველი იყო იმ რისკებისაგან, რომლებიც ასოცირებულია ისეთ არაპროგნოზირებად და გრძელვადიან მოვლენებთან, როგორცაა: ბუნებრივი კატასტროფები, სავაჭრო ომები, პანდემიები, საშინაო პოლიტიკური არასტაბილურობა და ა.შ. კორონავირუსის პანდემიამ ჩაშალა გლობალური საქმიანობა ეკონომიკის ყველა სექტორსა და ინდუსტრიაში. დარღვევები ძირითადად განპირობებულია იმ შეზღუდვებით, რომლებიც ქვეყნებმა მიიღეს და განახორციელეს პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში: წარმოების შეჩერება, ხალხისა და საქონლის გადაადგილების შეზღუდვა, საზღვრების ჩაკეტვა, ლოჯისტიკური შეზღუდვები, აგრეთვე სავაჭრო და ბიზნესსაქმიანობის შენელება.

კოვიდ-19 პანდემია, რომელიც ჩინეთის ქალაქ უჰანში დაიწყო, პირველად ოფიციალურად აღირიცხა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩინეთის ოფისში 2019 წლის 31 დეკემბერს. 2021 წლის 16 იანვრის მონაცემებით, 92.5 მილიონზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან 2.2 მილიონზე მეტი გარდაცვალებით დასრულდა. ვირუსის გაჩენამ ჩინეთში, რომელიც გლობალური მასშტაბით წარმოების და დისტრიბუციის ერთ-ერთ მთავარ ჰაბად გვევლინება, დიდი გავლენა მოახდინა მზა და ნახევარფაბრიკატი პროდუქციის მიწოდებაზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, რომლებიც ვაჭრობით არიან დაკავშირებული ჩინეთთან. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი გახდა, რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 2,3 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის ექსპორტს ახორციელებს. ჩინეთი მთლიანი გლობალური ექსპორტის 16%-ს ფლობს, ხოლო ერთობლივად მსოფლიოს სამი უდიდესი ექსპორტიორი - ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია - მთლიანი გლობალური ექსპორტის თითქმის 30%-ს აკონტროლებს. ჩინეთზე ასევე მოდის გლობალური შუალედური პროდუქტის თითქმის 20%. ეს გავლენას ახდენს უცხოელ მწარმოებლებზე, რომელთა ქვეყნის შემოსავლები პირდაპირ ან ირიბად დამოკიდებულია ჩინეთზე. მაგალითად, 2018–დან 2019 წლამდე ინდოეთის მთლიანი იმპორტირებული აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტების 65%-ზე მეტი იყო ჩინეთიდან შემოსული. ამიტომ პანდემიის შედეგად ინდოეთის ფარმაცევტული პროდუქტების მომარაგება, წარმოება და დისტრიბუცია მნიშვნელოვან შეფერხებებს განიცდის.

გლობალური მასშტაბით, ისეთი კრიტიკული საგნების მიწოდება, როგორცაა: პირადი დამცავი საშუალებები, რიგი სამედიცინო პროდუქტები და აღჭურვილობა, მრავალ ქვეყანაში შეიზღუდა, მიუხედავად მსოფლიოში მათზე მოთხოვნილების ზრდისა და ამ საქონლის ექსპორტის შემცირებისა. შეზღუდვების განხორციელების გამო სატრანსპორტო სექტორი, რომელზეც დიდწილად არის დამოკიდებული გლობალური მიწოდების ჯაჭვების გამართულად ფუნქციონირება, ნაწილობრივ პარალიზებულია, რამაც უარყოფითად



იმოქმედა გლობალურ ბიზნესსა და სამრეწველო საქმიანობაზე. პანდემიამ ასევე გავლენა მოახდინა ტრანსპორტირების ინდუსტრიაზე, რომელიც შეფასებულია 12 ტრილიონ დოლარად და გლობალური სავაჭრო საქმიანობის დაახლოებით 90%-ს შეადგენს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეფასებით, 2020 წლის ბოლოსთვის გლობალური ვაჭრობის მოცულობა საგრძნობლად შემცირდა. მიწოდების ჯაჭვების წყვეტებმა გავლენა იქონია სხვა სექტორებზეც, მათ შორის წარმოებაზე, საცალო ვაჭრობაზე, მშენებლობაზე და ა.შ.

პანდემიამ ასევე გამოავლინა საკვები პროდუქტების მიწოდების მსოფლიო ჯაჭვების დაუცველობის პრობლემა. მსოფლიო სურსათის პროგრამის თანახმად, პანდემიამ შიმშილის რისკის ქვეშ 272 მილიონი ადამიანი დააყენა, როდესაც მანამდე ეს ციფრი 135 მილიონს შეადგენდა. უარყოფითი ფინანსური შედეგები დაფიქსირდა სავაჭრო და მიწოდების ჯაჭვებისათვის. საზღვაო ტრანსპორტირების ეკონომიკისა და ლოჯისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, კონტეინერების გამტარუნარიანობის ინდექსი, რომელიც ზომავს იმ ადამიანებისა და საქონლის ნაკადების რაოდენობას, რომლებიც ყოველდღიურად გადიან გადაზიდვის პორტებში, მხოლოდ 2020 წლის იანვრიდან მაისამდე, 113,3–დან, 107,7–მდე ანუ 9,5%-ით შემცირდა. ამასთანავე, საერთაშორისო საჰაერო მოგზაურობის ასოციაციამაც დააფიქსირა, რომ სამრეწველო მასშტაბით გადაზიდული საჰაერო ტვირთის ტონა-კილომეტრი 2020 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში 15,3%-ით შემცირდა.

\*\*\*

გაეროს შეფასებით, გლობალური მოთხოვნის მკვეთრი შემცირების და მიწოდების გლობალური ქსელის რღვევის ფონზე მსოფლიო ვაჭრობა 2020 წელს თითქმის 15%-ით შემცირდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2020 წელს კოვიდ-19-ის გამო მოხდა გლობალური მშპ-ს შემცირება 5,2%-ით. ეს ნიშნავს იმას, რომ გლობალური შემოსავლების რაოდენობა, რომელიც წარმოებისა და მოხმარების დასაფინანსებლად იყო გათვალისწინებული, ასევე შემცირდება 5,2%-ით. გლობალური მყიდველობითი უნარის დაცემა ნიშნავს საქონელზე მოთხოვნის შემცირებას და მიწოდების ქსელების კომპანიების საქმიანობის შეკვეცას.

პანდემიამ გამოიწვია სამუშაო ადგილების შემცირება. მოხდა შემოსავლებისა და ბიზნესსაქმიანობის შემცირება. ამის შედეგად, შიდა მეურნეობების მოთხოვნა პროდუქციაზე დაეცა, რაც გავლენას ახდენს მიწოდების ქსელის კომპანიების მუშაობაზე.

მრავალი ქვეყანა ანალიზებს და განიხილავს მათი მიწოდების ჯაჭვების სტრატეგიებს, ხოლო ტრანსნაციონალური კომპანიები რესტრუქტურისაციას უწევენ მათთვის აუტოსორსინგის მეშვეობით შიდა ოპერაციებისათვის აუცილებელი საშუალებების მიწოდებას, რათა შეარბილონ შეზღუდვებით გამოწვეული გარე შეფერხებების რისკები. განვითარებული ქვეყნების მთავრობებმა გაზარდეს ბიზნესის დახმარება, რათა ისინი უფრო ყურადღებით მოეკიდნენ პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მრეწველობის მდგრადობას გლობალური მიწოდების და ღირებულების მატების ჯაჭვების დარღვევების პირობებში.

მაგალითად, საფრანგეთის მთავრობამ ევროკავშირის მთავრობებს სთხოვა გადახედონ აუცილებელი ნივთების მომარაგების ჯაჭვებს. იაპონიის მთავრობამ 2,2 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო აზიის სხვა ქვეყნებში მოქმედი იაპონური ფირმების იაპონიაში „გადასახლების“ სტიმულირებისთვის. შეერთებულ შტატების კონგრესში შეიტანეს კანონპროექტი, რომლის შედეგებითაც ისარგებლებენ ის კომპანიები, რომლებიც გადაწყვეტენ თავიანთი საწარმოო ბაზის ჩინეთიდან გადმოტანას. ასევე, ინდოეთი იკვლევს მწარმოებლების ჩინეთიდან მოზიდვის გზებს კორპორატიული გადასახადების შემცირებით, სხვა წახალისებებთან ერთად.

მეორეს მხრივ, კოვიდ-19-ის გლობალურმა გავლენამ ასევე გამოიწვია დამცავი პოლიტიკის დროებითი დაწესება გარკვეულ საქონელსა და მომსახურებაზე, შიდა მოხმარების დასაკმაყოფილებლად გლობალური მოთხოვნის სანაცვლოდ. მაგალითად,

ექსპორტიორ ქვეყნებში ისეთი აუცილებელი საგნების, როგორცაა: წამლები, დამცავი საშუალებები და ვენტილატორები, შესაძლო უკმარისობის გამო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ დაუშვა ექსპორტის დროებითი შეზღუდვები.

ბოლო პერიოდში ასევე შეინიშნებოდა შეზღუდვები ზოგიერთი საკვები პროდუქტებისა და სამრეწველო მასალების გლობალური მომარაგების მხრივ, რადგან ქვეყნები ცდილობენ ამ საქონლის კონსერვაციას საკუთარი მოხმარებისთვის. ამ საექსპორტო შეზღუდვებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს განვითარებად ბაზრებსა და განვითარებად ქვეყნებზე, რადგან იმპორტიორ ქვეყნებს შეიძლება არ ჰქონდეთ ამ საგნების საკმარისი წარმოების შესაძლებლობა. აღნიშნულის საპასუხოდ, ქვეყნები მიმართავენ წარმოების უფრო მაღალ ვერტიკალურ ინტეგრაციას და რეგიონულ ან საშინაო დივერსიფიკაციას, პანდემიის ფართომასშტაბიანი დარტყმების გასაწესებლად.

ყოველდღიურად იზრდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს კოვიდ-19 პანდემია მომარაგების ჯაჭვებზე და არღვევს წარმოების ოპერაციებს მსოფლიოში. ყველაზე დაუცველია კომპანიები, რომლებიც დამოკიდებული არიან ჩინეთის ქარხნებიდან სათადარიგო ნაწილებისა და მასალების მოწოდებაზე. ამგვარმა ზეწოლამ მომარაგების ჯაჭვების ხარჯების შესამცირებლად, კომპანიებს გაუჩინეს მოტივაცია ისეთი სტრატეგიების განხორციელებისაკენ, როგორცაა: ყაირათიანი წარმოება, ოფშორული მომსახურება და აუტოსორსინგი. მაგრამ ხარჯების შემცირების ასეთი ზომები ნიშნავს, რომ მომარაგების ჯაჭვების დარღვევის შემთხვევაში, წარმოება სწრაფად შეჩერდება ნაწილების უკმარისობის გამო. გლობალური კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია სრული ინფორმაცია იმ კომპანიების ადგილმდებარეობის შესახებ, რომლებიც მათი პირდაპირი მიმწოდებელია. ეს დიდი რისკის ქვეშ აყენებს მათი მიწოდების ქსელს, აზიაში მიმდინარე მოვლენების გამო.

პანდემიის შემცირებისთანავე, სამყარო საოცრად სხვაგვარად გამოიყურება. მიწოდების შოკს, რომელიც ჩინეთში დაიწყო თებერვალში და მოთხოვნის შოკს, მოჰყვა ის, რომ გლობალურმა ეკონომიკამ ყველგან შეაჩერა დაუცველი მხარეების მქონე საწარმოო სტრატეგიების და ფირმების მიწოდების ჯაჭვების გამოყენება. დროებითი სავაჭრო შეზღუდვები და წამლის, კრიტიკული სამედიცინო მასალების და სხვა პროდუქტების დეფიციტი, ხაზს უსვამდა მათ სისუსტეებს. ამ მოვლენებმა, აშშ-ჩინეთის სავაჭრო ომთან ერთად, განაპირობა ეკონომიკური ნაციონალიზმის ზრდა. ამ ყველაფრის შედეგად, მსოფლიოში მწარმოებლები ზრდად პოლიტიკურ და კონკურენტულ ზეწოლას განიცდიან იმ მიმართულებით, რომ გაზარდონ თავიანთი შიდა წარმოება და დასაქმება საკუთარ ქვეყნებში, შეამცირონ ან თუნდაც სულ აღმოფხვრან დამოკიდებულება რისკის შემცველ წყაროებზე და გადახედონ მათ გამოყენებას ეფექტიანი წარმოების სტრატეგიებში.

ზოგიერთ მეწარმეს უკვე მოუწია ჩინეთის გარეთ მდებარე საკუთარ ქარხნებში წარმოების შეზღუდვა და მათი სია დღითიდღე მატულობს. მაგალითად, Fiat Chrysler Automobiles NV-მა 14 თებერვალს გამოაცხადა, რომ იგი დროებით აჩერებს სერბეთის საავტომობილო ქარხანაში წარმოებას, რადგან მას არ შეუძლია მიიღოს ნაწილები ჩინეთიდან. ანალოგიურად, ჰიუნდაიმ გადაწყვიტა შეაჩეროს საწარმოო ხაზები სამხრეთ კორეაში არსებულ მის ქარხნებში, ჩინეთში კორონავირუსის აფეთქების შედეგად ნაწილებით მომარაგების შეფერხების გამო.

პრობლემებია ასევე მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაშიც. 2020 წლის 17 თებერვალს, Apple-მა განაცხადა, რომ მისი კვარტალური შემოსავალი მოსალოდნელზე უფრო დაბალი იქნებოდა, რადგანაც შეიზღუდა აიფონების გლობალური მიწოდება და ჩინეთის ბაზარზე დაეცა მასზე მოთხოვნილება. ეპიდემიამ, როგორც აღნიშნული იყო უარყოფითი გავლენა მოახდინა გადაზიდვებზე. როტერდამის ნავსადგურის აღმასრულებელი დირექტორის აღარდ კასტელენის ინფორმაციით ჩინეთის პორტებიდან ტვირთი იდგა 20%-ით შემცირდა. საფრანგეთის პორტ ლე ჰავრში ორ თვეში ასეთმა კლებამ შეიძლება 30%-ს მიაღწიოს.

კორონავირუსის გავლენა გლობალური მასშტაბის ოპერაციებში ისე მრავალმხრივია, რომ რთული ხდება მათი მოდელირება და შეფასება. დაზარალებული რეგიონები მრავალი მომარაგების ქსელის ცენტრშია. პრობლემები იმატებს მარაგის გამოფიტვის (ან

უმოქმედობის) გამო და კომპანიები შიშობენ, რომ ისინი დროულად ვერ შეასრულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს თავიანთ კლიენტებთან.

უახლოეს პერიოდში, ჩინეთიდან მომარაგების ღირებულება შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს, რაც ზეგანაკვეთური და გადატვირთვის სატრანსპორტო დანახარჯებითაა გამოწვეული. ამიტომ, კომპანიებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნება მომარაგების ალტერნატიული სცენარების იდენტიფიცირებას და შეფასებას.

## დასკვნა

1. კომპანიებმა უნდა განათავსონ მომარაგების ჯაჭვების ხილვადობის ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეზღუდვების ხილვადობას პირველ, მეორე და მესამე დონის მომწოდებლებში. ეს საშუალებას მისცემს გლობალურ მწარმოებლებს მიიღონ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საიდან და რა პირობებში მოდის კომპონენტები მათი სააწყოზო ერთეულებისთვის (სუბ-ასსემბლიეს). აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო დაძაბულობამ, უკვე აამაღლა ფასებისადმი (ლანდელ ცოსტ) ყურადღება, განსაკუთრებით იმ კომპანიებში, რომელთა მომარაგების ჯაჭვები სრულად ან ნაწილობრივ არის აუთსორსირებული. შესაბამისი ახალი სავაჭრო პროგრამები, ხელს შეუწყობენ გამძლეობის სტრატეგიის შესაბამისობას იმპორტ/ექსპორტის საკითხებთან;

2. ეპიდემიის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სავარაუდოა რომ მიწოდების ჯაჭვების კონკურენტული ლიდერი, ოპერაციების უფრო სრულყოფილ პროაქტიულ მოდელირებაზე გადავა. კომპანიებმა უფრო ღრმად და სისტემურად უნდა გაანალიზონ თავიანთი მიწოდების ჯაჭვები. კოვიდ-19-ის აფეთქებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გრძელვადიანი მომარაგების ჯაჭვების რეფიგურაცია მეტი მდგრადობის შესაქმნელად, რაც უკვე მიმდინარეობს, რადგან ზოგიერთი ამერიკული კომპანია აზიის ოპერაციული მოდელების დივერსიფიკაციას ახდენს, სავაჭრო პოლიტიკის შეცვლის მოწოდების საპასუხოდ;

3. ყაირათიანი საწარმოების და დაბალი ღირებულების გლობალური მიწოდების ჯაჭვები, რომლებიც დომინირებდნენ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, აღარ დარჩება იგივე. იაფი შრომის ქვეყნებში ოფშორული წარმოება, რომელიც ერთ დროს მომგებიანი იყო ფასის, ეფექტურობის და სისწრაფის გამო, დაუცველი აღმოჩნდა მიწოდებისა და მოთხოვნის იმ უკიდურესი შოკისაგან, რომელსაც პანდემიის მსგავსი მოვლენები იწვევს;

4. ადგილობრივი მომწოდებლების არსებობის მთავარი სარგებელი არის ის, რომ ისინი შეიძლება იყვნენ უფრო საიმედო, რეაგირებადი და თვალსაჩინო. ადგილობრივ მომწოდებლებთან არა მხოლოდ ინდივიდუალური ურთიერთობების განვითარება და რეგულარულად მისვლა ხდება შესაძლებელი, არამედ თანამშრომლობისთვის ხელმისაწვდომია მარტივი ინსტრუმენტების გამოყენება, რაც ამცირებს მთლიან რისკს. კომპანიებს შეუძლიათ მომარაგების უფრო მოკლე ჯაჭვების სიმულაცია და განსაზღვრა იმისა, თუ სად შეიძლება შემცირდეს მიწოდებული გაფართოებული გლობალური ჯაჭვების რისკიანობა ლოკალიზაციის გაზრდის გზით.;

5. კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც ადგილობრივ მომწოდებლებზე გადასვლის სასარგებლოდ შეიძლება მუშაობდეს, არის ის, რომ შრომის ფასის მიხედვით უპირატესობა, რომელსაც კომპანიები ადრე ისეთი ქვეყნებში პოულობდნენ, როგორცაა ჩინეთი, გაუარესდა. ორგანიზაციების უმრავლესობა ცდილობს გაზარდოს საკუთარი მიმწოდებლების რაოდენობა, პოტენციურად შეამციროს მათზე ზედმეტი დამოკიდებულება, აღმოაჩინონ მიმწოდებლები თავიანთ საქმიანობასთან ახლოს. ეს არის მცდელობა პანდემიასთან და გლობალურ ვაჭრობასთან დაკავშირებული რისკის შემცირებისა და მიწოდების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Olson, D. (2014). Supply Chain Risk Management: Tools for Analysis (2nd ed.). Harvard Business Publishing
2. How Coronavirus Could Impact the Global Supply Chain by Mid-March. (28.02.2020). Harvard Business Review. <https://hbr.org/2020/02/how-coronavirus-could-impact-the-global-supply-chain-by-mid-march>
3. PricewaterhouseCoopers. (2020). COVID-19: Operations and supply chain disruption. PwC. <https://www.pwc.com/us/en/library/covid-19/supply-chain.html>
4. Who coronavirus disease (covid-19) dashboard. <https://covid-19.who.int/> (02/02/2021)

*Nino Kvariaia*

### IMPACT OF THE PANDEMIC ON GLOBAL SUPPLY CHAINS

#### Summary

The coronavirus pandemic has disrupted global operations in all sectors and industries of the economy. The challenges are mainly caused by the constraints that countries have adopted and implemented globally as part of their strategy to combat the spread of the pandemic: Suspension of production, restriction of movement of people and goods, closure of borders, logistical restrictions, as well as slowdown in trade and business activities as a result of measures taken to block COVID-19.

The emergence of the virus in China, which is one of the major hubs of production and distribution globally, has had a major impact on the supply of finished and semi-finished products for many countries around the world that are logistically linked to China. Over the past decade and a half, China has become the world's largest exporter, exporting about \$ 2.3 trillion worth of goods annually (according to the WEF).

The United Nations (UN) estimates that the world trade would have declined by almost 15% in 2020 amid a sharp decline in global demand and disruptions in the global supply chain.

As a result of all this, entrepreneurs around the world are under increasing political and competitive pressure to increase their domestic production and employment in their own countries, reduce or even eliminate dependence on risky sources, and reconsider their use in effective manufacturing strategies. Once information on the epidemic is received, it is likely that the competitive leader in supply chain will move to more complete proactive modeling of operations. Companies need to analyze their supply chains more deeply and systematically.

The main benefit of having local suppliers is that they can be more reliable, responsive and visible. It is not only possible to develop individual relationships with local suppliers and visit regularly, but also to use simple tools available for collaboration. This also reduces the overall risk. Companies can simulate shorter supply chains and determine where the risk of extended global supply chains can be reduced by increasing localization.

*ვასილ ხიზანიშვილი*

### ომისშემდგომი იტალიის რეკონსტრუქციის პერიოდი (1945-55 წწ.)

#### საგარეო პოლიტიკის პრიზმაში

*ანოტაცია.* ომისშემდგომი იტალია აღმოჩნდა უაღრესად რთული შიდა და გარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე, რომელთა წარმატებით გადაწყვეტას უნდა უზრუნველყო ქვეყნის შთამბეჭდავი შედეგები ახლო მომავალში.

*საკვანძო სიტყვები:* რეკონსტრუქცია, აშშ-ის დახმარება („მარშალის გეგმა“), ევროპული ინტეგრაცია, იტალიის ეკონომიკური სასწაული.

#### შესავალი

ე.წ. La Ricostruzione (რეკონსტრუქცია) წარმოადგენს იტალიის ისტორიის მონაკვეთს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებიდან

(27.12.1947) 50-იანი წლების ბოლომდე, რაც წინ უსწრებდა 60-70-იანი წლების იტალიის ეკონომიკურ სასწაულს (il miracolo economico italiano). შესაბამისად, ის განეკუთვნება იტალიის პირველი რესპუბლიკის არსებობის (La Prima Repubblica Italiana 1948-1994) პერიოდს. ეს დრო (ე.ი. რეკონსტრუქციის ხანა) აღინიშნება, როგორც ომის დროს დაკარგული ნივთების (არტეფაქტების) რეკონსტრუქციისთვის შესრულებული სამოქალაქო და სამრეწველო სამუშაოებით, ისე, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ე.წ. „მარშალის გეგმის“ (ინგლ. Marshall-Plan) ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო, მეორე მხრივ, იტალიაში სამრეწველო პოლიტიკის სფეროში ხელშეწყობის მიზნით, „ინდუსტრიული რეკონსტრუქციის ინსტიტუტის“ (იტალ. IRI) საქმიანობით [1][2]. „რეკონსტრუქციის“ უდიდეს პოლიტიკურ სიმბოლოდ მიჩნეულია ალსიდე დე გასპერი (Alcide De Gasperi), რომელიც, იმ წლებში რამდენჯერმე იყო იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე (Il Presidente del Consiglio dei ministri della Repubblica Italiana) [3].

\*\*\*

იტალია, რომელმაც ამოწურა პროტექციონიზმისა და ფაშისტურ-ავტარკიული იზოლაციონიზმის გამოცდილება, რა დროსაც სახელმწიფო ინტერვენციების წონა ძლიერ საგრძნობი იყო საკრედიტო ინსტიტუტებსა და ინდუსტრიის მართვაში, ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროებდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არჩევანს [4].

ომის შემდეგ ქვეყანა აღმოჩნდა იმგვარი ეკონომიკური და სტრუქტურული მდგომარეობის წინაშე, რომელიც მოითხოვდა გადაუდებელ გადაწყვეტას. სწრაფად იყო მოსაგვარებელი ინდუსტრიული წარმოების ობიექტების აღდგენა; აგრეთვე, - ომით გამოწვეული ინფლაცია, ანგარიშსწორებათა სისტემის საგადასახდელი ოპერაციების (payment transactions) სუსტი მხარეები, დეფიციტი და ვალუტის სიმცირე. ყოველივე ამას, თან ერთვოდა უმუშევრობის პრობლემაც. ამ უკანასკნელმა გააჩინა ომის შემდეგად დაზარალებული სოფლის მეურნეობის სექტორის აღორძინების აუცილებლობა (Ibidem, p. 324.). ტრანსპორტის არაეფექტურობა და ელექტროენერჯის არასაკმარისი წარმოება, ითხოვდა გადაუდებელ გადაწყვეტას გრძელვადიან პერსპექტივაში [5].

უიმედო (და საშიში) ეკონომიკური პერსპექტივის მქონე ქვეყანაში, მთავრობის ძალებს ესმოდათ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები და პრიორიტეტები, რომელიც ამერიკული დახმარების დაპირებებით იყო წახალისებული, საჭიროებდა გადამწყვეტ და აქტიურ ზომებს, რათა უზრუნველყოფილიყო ყველაფრის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობდა დასაქმების ზრდას, და (პირველ რიგში) გამოყენებული იქნებოდა ჩრდილოეთის ინდუსტრიული დარგის აღსადგენად და მისი ადაპტაციისთვის ახალი ბაზრების საჭიროებებთან.

რეკონსტრუქციის პრობლემამ მყისიერად იჩინა თავი [6]. იტალიის ხელისუფლების ფაქტობრივი ავტონომიის გარიჟრაჟზე, რასაც ადგილი ჰქონდა 1944 წლის აგვისტოდან, აშშ-მა ქვეყანას გამოუყო მნიშვნელოვანი დახმარების თანხა დოლარებში, რაც უნდა გამოყენებულიყო წარმოების რეკონსტრუქციისა და ინდუსტრიული სექტორის რეაქტივაციისთვის საჭირო ნედლეულისა და მასალების შესასყიდად [7]. ამასთან დაკავშირებით მომზადდა ერთიანი ანგარიში კატასტროფულად დაქვეითებული სამრეწველო დარგის, არსებული არაეფექტური სისტემისა და პარალიზებული სატრანსპორტო საშუალებების, უკმარი ელექტროენერჯის, ნედლეულის დეფიციტის, ფასების მონეტარული უწყესრიგობის საკითხებზე. შემუშავდა გადაუდებელი პირველადი დახმარების გეგმა და ნედლეულთან დაკავშირებული სექტორული (დარგობრივი) გეგმები, რაც ითვალისწინებდა ნახევარფაბრიკატების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვანახშირის მიწოდებას, ჩრდილოეთის მრეწველობის სწრაფი გამოცოცხლებისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის მიზნით (Ibidem, p.96).

1945 წლის 21 ივნისს, მოკავშირეთა ოფიციალური წარმომადგენლები ფრთხილი ოპტიმიზმით შეხვდნენ ომის შემდგომი იტალიის მთავრობის შექმნას. იგი შედგებოდა ჩრდილოეთ იტალიის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის (CLNAI) გამოჩენილი წევრებისგან, მათ შორის იყო პრემიერ მინისტრი ფერუჩო პარი (Ferruccio Parri), წინააღმდეგობის გმირი და მოქმედების პარტიის (Il Partito d'Azione (PdA)) ლიდერი. მინისტრთა

კაბინეტში საკვანძო პოსტებს იკავებდნენ კომუნისტები და სოციალისტები, და პარის პოლიტიკური შესაძლებლობები, საუკეთესო შემთხვევაში, გაურკვეველი იყო. არ მუშაობდნენ ჩრდილოეთის ქარხნები და სამხრეთიდან წამოსული ინფლაციური ძალები, ახლად განთავისუფლებულ მხარეებში შეჭრით იმუქრებოდნენ. პარი წარმოადგენდა კომპრომისს, მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორის და მას არ გააჩნდა პოლიტიკური ბაზა და პირადი დინამიზმი, რითაც შეძლებდა საკუთარი ნების თავს მოხვევას ისეთ პოლიტიკურ ფიგურებზე, როგორებიც იყვნენ ნენი (Nenni), ტოლიატი (Togliatti) და დე გასპერი (De Gasperi). მთელი მისი თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში, ეკონომიკური პრობლემები მძიმე წყლულად აჩნდა ქვეყანას და თავად პარი გახდა ამ ყველაფრის უსუსური მოწმე და მნახველი, რადგან, ომისდროინდელი ერთობა პარტიზანულ მტრობა-ქიშპობაში გადაიზარდა და დეგრადირდა (მდგომარეობა რჩებოდა კვლავ დამაბული და ფეთქებადი. შეიარაღებული პარტიზანები დათარეშობდნენ ქვეყნის პერიფერიებში და ანგარიშს უსწორებდნენ ფაშისტებსა და პირად მტრებს).

ამას ერთვოდა ისიც, რომ შეერთებული შტატები აქტიურ როლს არ თამაშობდა, ომის შემდგომი აღდგენის საწყის ეტაპზე იტალიაში [8].

1945 წლის დეკემბრიდან 1946 წლის მარტამდე არსებული მოკლე პერიოდი მოწმე გახდა წყება ინიციატივებისა, რომელმაც, ერთად მოიტანა ახალი ეტაპი ომისშემდგომი დროის იტალიურ-ამერიკულ ურთიერთობებში, რაც აღინიშნა ალსიდე დე გასპერისა და აშშ-ს შორის კოლაბორაციის დასაწყისით. მისი აღმოცენების მომენტში, ეს ურთიერთობა უფრო მეტად მიზანშეწონილობისა და ურთიერთდამოკიდებულების მოვალეობა იყო, ვიდრე ღრმად (ურთიერთ)გაზიარებული რწმენები, ან (ურთიერთ) ნდობა. ამერიკელი ოფიციალური პირები აღფრთოვანებული დარჩნენ ახალი მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) კომპეტენციებით ფინანსურ, კომერციულ და პოლიტიკურ პრობლემებთან დამოკიდებულებაში. იტალიის მთავრობა აგრეთვე ინიცირებდა აშშ-სთვის საინტერესო სხვადასხვა თემებს, მათ შორის ფაშისტური სამრეწველო სექტორის ბედთან დაკავშირებულ და აშშ-ს მსხვილი კორპორაციების მიერ გადაუწყვეტელი საინვესტიციო პროექტების საკითხებს. თავად დე გასპერი, თავის წინამორბედზე უკეთ იყო მომზადებული იმ პარტიათაშორისი კონფლიქტების მოსაგვარებლად, რამაც გააწამა წინა კოალიცია.

რომში, საელჩოს დახმარებით, სახელმწიფო დეპარტამენტმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა იტალიის ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებთან. ამავე პერიოდში ასევე გაჩნდა გაეროს მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაციის (UNRRA) დახმარების მთავარი პროგრამა, რაც ზოგიერთისთვის, აშშ-ს მიერ ინსპირირებული რეფორმიზმის უკანასკნელ იმედად იქნა მიჩნეული.

1946 წლის პირველ თვეებში, თუმცა მოკლე დროით, ფრთხილი ოპტიმიზმის ახალ ატმოსფეროში, ამერიკის მთავრობაში თანდათანობით მიყუჩდა და გაქრა კონფლიქტები.

პარის გადადგომამ, გარკვეულწილად, ასევე შეასუსტა პოლიტიკური დამაბულობა და პარტიებმა ყურადღება გადაიტანეს მომავალ ადგილობრივ და ეროვნულ არჩევნებზე. ისინი, აგრეთვე, განაგრძობდნენ უპირატესობის მინიჭებას, ეკონომიკური პოლიტიკის მკაფიო გადაწყვეტილებების მანევრებსა და კომპრომისებზე. ეს შიდა გამოუვალი მდგომარეობა გრძელდებოდა თვეების განმავლობაში (Ibidem, pp. 58-75).

ისტორიკოსი ჯონ ლუის გადისი (John Lewis Gaddis) ამტკიცებდა, რომ „... 1946 წლის თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში, გარე და შიდა ტენდენციების კონვერგენციამ გამოიწვია შეერთებული შტატების პოლიტიკის ფუნდამენტური რეორიენტაცია საბჭოთა კავშირის მიმართ“. ამგვარად, ეს ხანმოკლე პერიოდი ამერიკის პოლიტიკაში აღინიშნა შემობრუნების წერტილად, შესაბამისი კომპრომისის მიღწევის იმედების დასასრულად, ომისდროინდელ მოკავშირეთა შორის. გადისი წარმოადგენს შთამბეჭდავ მტკიცებულებებს. 1945 წლის დეკემბერში, მოსკოვში, ბირნესის (James Francis Byrnes) შემრიგებლური მიდგომის შემდეგ, სახელმწიფო მდივანი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს თეთრი სახლის შტაბის უფროსმა, ადმირალმა უილიამ ლეისმა (William Leahy) და რესპუბლიკელთა ლიდერმა, არტურ ვანდენბერგმა (Arthur Vandenberg). პრეზიდენტმა საყვედური გამოუცხადა ბირნესს, ხოლო

სახელმწიფო მდივნის შემდგომი განცხადებები, სსრკ-ის წინააღმდეგ ახალი პოლიტიკის წარმოების ტენდენციებზე მიანიშნებდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული აზრის გამოკითხვამ აჩვენა, მზარდი უნდობლობა რუსეთის (სსრკ) მიმართ, ხოლო კრიზისმა ირანში და საბჭოთა ჯაშუშურმა სკანდალმა კანადაში, გააძლიერა ანტიკომუნისტური კონსენსუსის განვითარება (Ibidem, pp. 76-87).

ადრეული ომისშემდგომი პერიოდისგან განსხვავებით, როცა ამერიკის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლებს სრული რღვევა ემუქრებოდა, 1946 წლის ნოემბრის არჩევნები იტალიასა და შეერთებულ შტატებში, აღინიშნა ტენდენციების დაახლოებით.

საშინაო პოლიტიკურმა უკმაყოფილებამ იფეთქა 1946 წლის 5 ნოემბერს, რამაც რესპუბლიკურ პარტიას (the Republican Party) აშშ-ში (საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი ცვლილების შედეგად) უდიდესი გამარჯვება მოუტანა. ეკონომიკურმა სიძნელებმა და პოლიტიკურმა პარალიზმა, იმავე წლის 10 ნოემბერს იტალიაში, მემამრჯვენე და მემარცხენე ფრთის ძალთა მხრიდან, გამოიწვია ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის (La Democrazia Cristiana (DC)) დრამატული მარცხი. არჩევნებმა დე გასპერი უფრო დაუცველი დატოვა, ვიდრე ოდესმე, რასაც თან ერთვის ის გარემოება, რომ შეერთებულ შტატებში თანმხლებმა, იმავდროულმა პოლიტიკურმა ცვლილებამ, ექვი აღძრა იტალიისთვის და სხვა უცხო ქვეყნებისათვის UNRRA-ს შემდგომი დახმარების (post-UNRRA aid) შეუძლებლობის შესახებ. მართლაც, ვაშინგტონში, რესპუბლიკური კონგრესის გამოჩენამ, სერიოზული გამოწვევა შვა ჰალიანის ინიციატივებთან (the Hullian initiatives) დაკავშირებით, რომელსაც ატლანტიკური ქარტიის დღეებიდან (the Atlantic Charter) აქლერებდნენ (და, შესაბამისად, ერთგულებდნენ კიდევ) დემოკრატიების ადმინისტრაციები.

ამგვარად, ნოემბრის არჩევნებსა და მეოთხმოცე მოწვევის კონგრესს შორის დროის მონაკვეთი, იყო ღრმა გაურკვევლობის პერიოდი. ყველა მხრიდან ზეწოლა დე გასპერის ემუქრებოდა დამხობით და ზრდიდა საერთო პოლიტიკური ქაოსის გამოწვევის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა ვერ შეძლო რეაგირება დე გასპერის სასწრაფო დახმარების მოწოდებაზე, მისმა სავალალო მდგომარეობამ ხელი შეუწყო მზარდ კონსენსუსს დეპარტამენტში, რაც ეფუძნებოდა „ევროპულ საქმეთა სამმართველოს“ (ინგლ. EUR) და ჰენრი ტასკას (Henry Tasca) დიდი ხნის მოსაზრებას, რომ კომუნისტური სუბვერსია წარმოადგენდა ეკონომიკური აღორძინების მთავარ საფრთხეს. პირველად, EUR- ის პროფესიონალები (EUR professionals) და ჰალიანის ეკონომისტები (Hullian economists) შეუერთდნენ საერთო გამობმარებას იტალიის კრიზისზე (Ibidem, pp. 105-117).

ამერიკის საგარეო პოლიტიკა ევროპასთან მიმართებაში, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა 1947 წლის დასაწყისში. მარტში, მოსკოვში, გერმანიის ბედის გადასაწყვეტად შეიკრიბება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო. აპრილში, ჟენევაში, ტარიფებთან (სატარიფო პოლიტიკასთან) დაკავშირებულმა გასამართმა კონფერენციამ უნდა განსაზღვროს მომავალი საერთაშორისო სავაჭრო წესრიგი. იმავდროულად, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს აღმოფხვრას ხარვეზის მქონე საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი (the gaping balance-of-payments deficits) დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და იტალიასთან. ამ შემფოთების ფონზე, ინგლისელები იუწყებინ, უახლოეს ხანში, მათი მოსალოდნელი გასვლის თაობაზე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთიდან.

ვაშინგტონის ოფიციალური პირები ასევე გადააწყდნენ პრობლემას სახლშიც, ვინაიდან კაპიტოლიუმში (კონგრესში) მხარდაჭერის გარეშე, ტრუმენის ადმინისტრაცია მცირედის იმედად რჩებოდა საკუთარი ევროპული პოზიციის გადასაჩენად. ამდენად, დიდი ბრიტანეთის განცხადება იყო, როგორც ახალი შემფოთების გაჩენის საბაზი, ისე შესაძლებლობით სარგებლობა.

ცნობილი თხუთმეტი კვირის განმავლობაში, რამაც კულმინაციას ჰარვარდში წარმოთქმული მარშალის სიტყვით (იხ. ვ.ხ. << „მარშალის გეგმა“ და მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები აშშ-დასავლეთ ევროპისთვის >>, ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, N3, 2020, გვ.36-37) მიაღწია, მთავრობამ დაიწყო სისტემური კამპანიის წარმართვა, ევროპისთვის

დამატებითი დახმარების მიღების თაობაზე. იმავე ხანებში, ბიუროკრატის მაღალ წრეებში გაჩნდა გარკვეული მონახაზები, რაც შემდეგში, როგორც აღმოჩნდა, გაცილებით გვიან, ის იქცა ევროპის ეკონომიკური აღდგენის გეგმად (ERP. July, 1947).

აღსიდე და გასპერი თვალყურს ადევნებდა ამ მოვლენებს. აშკარა იყო, რომ ვაშინგტონში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ ამ ცვლილებების ფორმა და მათი შესაძლო შედეგები ბუნდოვანი ჩანდა. 1947 წლის აპრილის ბოლოს, და გასპერი იძულებული გახდა თვალი გაესწორებინა მძვინვარე პოლიტიკური შტორმისთვის (Ibidem, pp. 118-136).

ოკუპაციისა და ადრეული ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში, ამერიკის მცდელობებს, ხელი შეეწყო და წარემართა იტალიის ეკონომიკური აღდგენა, ხელს უშლიდა ბიუროკრატიული და იდეოლოგიური უთანხმოება საგარეო პოლიტიკის მსაზღვრელ ელიტაში. ეს კონფლიქტები ქმნიდა ურთიერთსაწინააღმდეგო სტრატეგიებს იტალიის მიმართ; უფრო მეტიც, აყალიბებდა პოლიტიკას, რომელსაც არ გააჩნდა საკმარისი ფინანსური ბერკეტები აშშ-ს გავლენის მდგრადი და ეფექტური ფორმირებისთვის. ეს, არსებითად ამერიკული პრობლემები, არ გამქრალა 1948 წლის გაზაფხულზე. კონგრესმა აიძულა სახელმწიფო დეპარტამენტი, უარი ეთქვა თავისი იდეის (გეგმის), ERP-ის კონტროლზე, ეკონომიკური კოოპერაციის ადმინისტრაციის (the Economic Cooperation Administration) ახალ, სპეციალურად შექმნილ სააგენტოზე. ამ არსებული (და განგრძობადი) სირთულეების მიუხედავად, 1948 წლის შუაში, ამერიკის პრეზიდენტმა (the American executive) მიაღწია უმაგალითო შიდა თანხმობას, დაფუძნებულს, ანტიკომუნისმისა და მასიური უცხოური დახმარების ორმაგ პრინციპზე. ადრეული დღეების The New Deal-მა და Hullian idealism-მა ადგილი დაუთმო აშშ-ს შესაძლებლობებისა და ევროპული საჭიროებების უფრო ფხიზელ შეფასებას. ამავდროულად, ტრუმენის ადმინისტრაციის მიერ დაუცხრომელი საზოგადოებრივი კამპანიის წყალობით, აშშ-ს კონგრესმა და ხალხმა დაამტკიცა წარმოდგენილი და არაჩვეულებრივი, ევროპის ეკონომიკური აღორძინების ფინანსური ვალდებულება. 1948-49 წლები, საგარეო პოლიტიკის ორპარტიული დიდი შუადღით (ანუ, ზეპარტიულობის გაფურჩქვნით) აღინიშნა.

აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების თვალსაზრისით, რაც ხმელთაშუა ზღვის აუზის ჩართვის მიზნით, ახლად იქნა განსზღვრული, ამერიკის იტალიურმა პოლიტიკამ უმნიშვნელოვანესი წარმატება მოიპოვა (Ibidem, pp. 159-168).

უნდა აღინიშნოს, რომ „ცივი ომის“ პოლიტიკურ სისტემას გააჩნდა ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა. იტალიის საგარეო პოლიტიკა აღარ იყო ავანტურისტული. და გასპერის მოუწია მიეღო 1947 წლის პარიზის მკაცრი ხელშეკრულების (The Paris treaty) პირობები, რის საფუძველზეც იტალია უარს ამბობდა ყველა აფრიკულ კოლონიაზე და საფრანგეთს გადასცემდა ალპების (Alpine) ზოგიერთ ტერიტორიას, ხოლო საბერძნეთს - დოდეკანის კუნძულებს (Dodecanese islands). მხოლოდ ამის შემდეგ, იტალია შეუერთდა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (the North Atlantic Treaty Organization (NATO)) და გახდა ჩრდილოური ალიანსის რესპექტაბელური წევრი. არსებითად, აშშ უზრუნველყოფდა იტალიის პოლიტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. იტალია, ასევე, შეუერთდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ თანამეგობრობას (the European Coal and Steel Community, 1952 წელი) და 1957 წელს გახდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (the European Economic Community EEC; მოგვიანებით - ევროპის კავშირი/the European Union) ერთ-ერთი დამფუძნებელი.

პარიზის ხელშეკრულებამ გადაუწყვეტელი დატოვა ყველაზე რთული და ძნელი ტერიტორიული საკითხი, რაც შეეხებოდა ტრიესტს (Trieste). 1945 წელს, იუგოსლავიის არმიამ ქალაქი და მისი შემოგარენი მოსწყვიტა გერმანელებს (რომელიც დასახლებული იყო როგორც იტალიელებისგან, ისე სლოვენელთაგან) და მასზე პრეტენზია განაცხადა იუგოსლავიამ (და ეს რეგიონი შემოიერთა). რის შემდეგაც, მყისიერად იწყო მასშტაბური წმენდა, რა დროსაც ათასობით იტალიელი იქნა მოკლული, ხოლო შემდეგ, ღრმა ხარობებში ჩაყრილი. პარიზის ხელშეკრულებამ რეგიონი გაყო ორ ზონად: პირველს წარმოადგენდა, მათ შორის უპირატესად იტალიურენოვანი ქალაქი ტრიესტი, მართული დასავლელი მოკავშირეების მიერ, ხოლო მეორეს - იუგოსლავია. გაყოფილი რეგიონი გახდა ცივი ომის დამაბულობის ცენტრი. 1954



წელს, ქალაქი ტრიესტი და მისი ვიწრო სანაპირო ზოლის ჩრდილოეთ ნაწილი პირდაპირ შევიდა იტალიის მართვა-გამგეობაში, მაშინ როდესაც რეგიონის დანარჩენი ნაწილი გადაეცა იუგოსლავიას [9].

ფაშისტების დაშლის შემდეგ, იტალია დიდად იყო პოლიტიკურად დამოკიდებული და გაყოფილი დემოკრატიის სურვილსა და სამხრეთიდან მონარქიის აღდგენის მისწრაფებებს შორის. უკვე 1944 წელს, აშშ-ის მულტილატერალიზმის ფილოსოფიის გათვალისწინებით, იტალიაში, ეკონომიკური კუთხით გაუქმდა პროტექციონიზმი. ეს ნიშნავდა, რომ უცხოელი მომწოდებლები მეტად აღარ განიცდიდნენ ზარალს (და აღარ იქნებოდნენ დაუცველნი) იტალიის სახელმწიფოს მხრიდან. გასული საუკუნის 50-იანი წლებში, საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო გააქტიურდა, როდესაც ომით მიღებული უდიდესი ზარალი აღმოიფხვრა და შესაძლებელი გახდა მშენებლობის წლებზე გადასვლა. ამასთან, 1955 წელს იტალიის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად აღიარება და 1957 წელს მისი, როგორც ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის/საზოგადოების (die Europäische Wirtschaftsgemeinschaft (EWG)/la Communauté économique européenne (CEE) /the European Economic Community (EEC) / la Comunidad Económica Europea (CEE) /La Comunità economica europea (CEE)) ექვსი დამფუძნებელი სახელმწიფოდან ერთ-ერთის როლი იყო, აგრეთვე, გადამწყვეტი, შემდგომი იტალიური ეკონომიკური სასაწყაულის (il miracolo economico italiano) მიღწევის საქმეში.

ხელმომწერი ქვეყნების მხრიდან, EWG-ის ამოცანების სახით ხელშეკრულების პრეამბულასა და მე-2 მუხლში განისაზღვრა „ევროპელი ხალხის უფრო მჭიდრო კავშირის საფუძვლების შექმნა“ და „საერთო ბაზრის ფორმირებისა და ეკონომიკური პოლიტიკის თანდათანობითი დაახლოების გზით, ... წვერი სახელმწიფოების ეკონომიკური ცხოვრების ჰარმონიული განვითარებისა და სახელმწიფოთაშორისი მჭიდრო ურთიერთობების ხელშეწყობა, თანამეგობრობაში გაერთიანებულ ქვეყნების ფარგლებში“. უმაღლეს მიზანს წარმოადგენდა (დასავლეთ) ევროპის ქვეყნების მჭიდრო პოლიტიკური გაერთიანება; ამ მიზნის მიღწევა უნდა მომხდარიყო უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირის მეშვეობით, საერთო ბაზრის შექმნის გზით [10].

დასავლეთ ევროპასთან ამგვარმა კავშირმა და აღმოსავლეთ ბლოკის კომუნისტური ქვეყნების იდეოლოგიისგან დისტანცირებამ, 1953 წელს, ENI- ს (Ente Nazionale Idrocarburi) დაარსებამ, კონკრეტული ცვლილებები მოიტანა, რადგან ეს სახელმწიფო საზოგადოება (კომპანია) იყო მეთანის საბადოების მთავარი მომხმარებელი, ხოლო მისმა დამაარსებელმა ენრიკო მატეიმ (Enrico Mattei) მნიშვნელოვანი კონტრაქტები გააფორმა ლიბიასთან და ირანთან ნავთობის მომარაგების თაობაზე. [11.] შესაბამისად, ქვეყანა სულ უფრო გააქტიურდა ნავთობის დაზვერვისა და მოპოვება-გადამუშავების (ინჟინერიის) მიმართულებით ახლო აღმოსავლეთში (ecce,[9]). ასევე იყო ძალიან სასარგებლო, ნახშირწყალბადის აღმოჩენები ვალ პადანაში (Val Padana), რამაც ფორმირებადი ინდუსტრიის სტიმულირება მოახდინა.

IRI (Istituto per la Ricostruzione Industriale), რომელიც დაფუძნდა 1933 წელს, ზრუნავდა ფოლადის თანამედროვე ინდუსტრიის განხორციელებაზე. გარდა ამისა, სახელმწიფომ უზრუნველყო ფინანსური მხარდაჭერა ფულადი სესხებით და, უპირველეს ყოვლისა, მარშალის გეგმის მომსახურებიდან (1.6 მილიარდი აშშ დოლარი) [12] იტალიის ინფრასტრუქტურის აღდგენისა და მოდერნიზებისთვის.

მშენებლობის ამ წლებში, ეს დამოკიდებული იყო იაფ მუშახელზე, რომელიც ძირითადად სამხრეთიდან მოდიოდა და ახდენდა სამუშაო ძალის გაჯერებას. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ 1950-იანი წლების ბოლოს მეორე (წარმოება) და მესამე სექტორებში (მომსახურება) დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ხარჯზე.

სამომავლო წარმოების დაგეგმვისა და მოთხოვნის დაკმაყოფილების გათვალისწინებით, ასევე არსებობდა ინოვაციები ეკონომიკის განვითარებაში, რასაც განაპირობებდა (და ასტიმულირებდა) მზარდი მოთხოვნა იტალიურ პროდუქციაზე ქვეყნის შიგნით და გარეთ. ამ პროგრესს ხელს უწყობდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები.

## დასკვნა

იტალიის რესპუბლიკა, მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა ეკონომიკურ წარმატებას. აშშ-ის თავდაპირველი მხარდაჭერა, განსაკუთრებით სასურსათო საქონლით, ნავთობითა, და მარშალის გეგმით (Marshall Plan), ქვეყანას ეხმარებოდა მრეწველობის ძირითადი დარგების (მათ შორის, ფოლადის წარმოების) აღდგენაში.

დასავლეთის სამყაროს ეკონომიკასთან ჰარმონიზაციის შესაბამისად, ეინაუდი (Einaudi, presidente della Repubblica Italiana.), მენიჩელასთან (Menichella, governatore della Banca d'Italia.), სარაჩენოსა (Saraceno, un economista e accademico italiano.) და სიგლიენტისთან (Siglienti, presidente dell'IMI.) თანამშრომლობით, შეუდგა პროგრამების შემუშავება-განხორციელებას, რათა საუკეთესო ფორმით მოეხდინათ ამერიკელების მიერ მათთვის გამოყოფილი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება წარმოების, ინვესტიციებისა და ექსპორტის აღორძინებისთვის.

1948 წლის 28 ივნისს ხელმოწერილ ბილატერალურ პროტოკოლში იტალიის მთავრობამ აიღო როგორც სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების, ისე ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის, ქმედითი გაცვლითი კურსის დადგენისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების ვალდებულება. ლირას ფონდი (Il Fondo – Lire), რომელიც გამოიყენებოდა პროდუქტიულობის განვითარებისათვის სასარგებლო პროექტების დასაფინანსებლად, ითვალისწინებდა პერიოდულ შეთანხმებებს შეერთებული შტატების მთავრობასთან.

მთავრობამ უარი თქვა ფაშისტების დროს არსებულ კონტროლსა და ავტარკიის მცდელობაზე და ყველა პარტიისა და პროფესიული კავშირების მიერ მოწონებული იქნა 1945-1947 წლების „რეკონსტრუქციის“ პროგრამა. სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე აღდგა 1948 წლისთვის, ხოლო 1950-53 წლების კორეის ომმა (the Korean War), წარმოების ზრდისთვის უზრუნველყო დამატებითი სტიმული. იტალია სრულად ინტეგრირდა ევროპულ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში, რითაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ სასწაულს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Copia archiviata, su [faregliitaliani.it](http://faregliitaliani.it). URL consultato il 5 settembre 2017 (archiviato dall'url originale il 2 settembre 2017)
2. <https://immaginidellarepubblica.it/la-ricostruzione-e-il-boom-economico/>
3. MONTANELLI, Indro. L'ITALIA DEL MIRACOLO. (14 LUGLIO 1948-19 AGOSTO 1954). [DI] INDRO MONTANELLI, MARIO CERVI, 1987)
4. M. Colonna, L'economia italiana nei secoli XVIII – XX, in F. Assante - M. Colonna – G. Di Taranto – G. Lo Giudice, Storia dell'economia mondiale (secc. XVIII – XX), Monduzzi, Bologna, 1995, cit., pp. 314 – 316
5. A. Graziani, Introduzione a L'economia italiana dal 1945 a oggi, Il Mulino, Bologna, 1979, p.17; P. Saraceno, Intervista sulla ricostruzione, di L. Villari in “La questione meridionale nella ricostruzione post bellica. 1943 – 1950”, collana SVIMEZ, Giuffrè, Milano, 1980, p. 3
6. Per i temi della ricostruzione in Italia si vedano: G. Lombardo, L'Istituto Mobiliare Italiano, cit
7. P. Saraceno, Intervista sulla ricostruzione, cit., pp. 17 – 20
8. John Lamberton Harper, America and the Reconstruction of Italy, 1945–1948, PP. 37-57
9. [www.britannica.com](http://www.britannica.com) ; Italy - Italy since 1945 | Britannica
10. Mechthild Weißer, Europäische Wirtschaftsgemeinschaft, Microsoft R Encarta R 2006 [CD]. Microsoft Corporation 2005
11. Wolfgang Altgeld et al (Hrsg.), Kleine italienische Geschichte, Stuttgart 2002, S. 448
12. Wikipedia, Art. “Marshallplan”, <http://de.wikipedia.org/wiki/Marshallplan> (02.06.2007)

THE PERIOD OF POST-WAR ITALIAN RECONSTRUCTION (1945-55)  
IN THE PRISM OF FOREIGN POLICY

Summary

The period preceding the Italian Economic Miracle is a phase of reconstruction, marked both by civil and industrial work done to reconstruct artefacts lost during the war, and, on the one hand, with a financial support of the so-called „Marshall Plan“ from the United States, and on the other hand, through the activities of the "Institute for Industrial Reconstruction" (Italian: IRI), for the purpose of promotion industrial policy in Italy.

The rejection of the monarchy, the abolition of protectionist policy through previous forms of fascist control and autarchic attempts, and the distancing from the Eastern Bloc were the positive factors that greatly determined a vector of Italy's further social-economic and political development, with what has been laid a solid foundation for the future of the country.

ლალი ხიზანიძე

ბლოკრეინ ტექნოლოგიებისა და სმარტ კონტრაქტების ეფექტიანი გამოყენების  
შესაძლებლობები საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში

*ანოტაცია.* თანამედროვე ეტაპზე ბლოკრეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების სისტემების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულად იზრდება ინტერესი სმარტ კონტრაქტის,<sup>122</sup> როგორც აღნიშნული ტექნოლოგიის ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტის მიმართ. სწორედ სმარტ კონტრაქტის მეშვეობით ბიზნესს შეუძლია მიიღოს ის სიკეთეები, რაც შედეგად მოჰყვება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას.

სმარტ კონტრაქტზე საუბარი აქტუალური გახდა ინტერნეტ სივრცეში ბლოკრეინისა და კრიპტოვალუტის გამოჩენის შემდეგ, ბლოკრეინი და სმარტ კონტრაქტი განიხილება, როგორც მონაცემთა შენახვის სამართლებრივად აღიარებული მეთოდი, იმ პირობით, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ არსებულ წესებთან და კანონებთან. ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ხორციელდება ბლოკრეინ სისტემაში განიმარტება, როგორც იურიდიული ძალის მქონე. თუკი მხარეებმა აირჩიეს ბლოკრეინი საკუთარ მონაცემთა შენახვის ადგილად, მაშინ ასეთი წყაროდან მიღებული მონაცემი მიიჩნევა იურიდიულად ვარგისად. არ შეიძლება ხელშეკრულება მოკლებულ იქნას იურიდიულ ძალას ან იძულებით აღსრულებას იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას გამოყენებულ იქნა ელექტრონული ხელმოწერა და პირობები მოცემულია სმარტ კონტრაქტის ფორმით.

ბლოკრეინ სისტემაში ელექტრონული ხელმოწერა აღიარებულია კანონმდებლობით. ხელმოწერა და ხელშეკრულება, რომელიც დაცულია ბლოკრეინ ტექნოლოგიით ითვლება ელექტრონულად.

*საკვანძო სიტყვები:* ბლოკრეინ პლატფორმა, სმარტ კონტრაქტი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სტანდარტები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ციფრული კომუნიკაციები.

შესავალი

საერთაშორისო ბიზნესის დონეზე მიმდინარეობს სმარტ კონტრაქტის ირგვლივ ჰარმონიზაციისა და საერთო სტანდარტების, ნორმების და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების სტანდარტიზაცია ბლოკრეინ ტექნოლოგიების ეგიდით. საერთაშორისო ორგანიზაციის International Organization for Standardization ხელმძღვანელობით შექმნილია საერთაშორისო

<sup>122</sup> ტერმინი smart contract ქართულად ჭკვიან ხელშეკრულებას ნიშნავს, ამდენად გამოყენებული იქნება საერთაშორისო ტერმინი ქართული შრიფტით - სმარტ კონტრაქტი.

ტექნიკური კომიტეტი - ISO/TC307: «Blockchain and distributed ledger technologies»,<sup>123</sup> რომელიც მუშაობს კონკრეტულ სტანდარტებზე, კონკრეტულ რეესტრებში, მათ შორის სმარტ კონტრაქტზე. კომიტეტის წინაშე დგას ამოცანა, შეძლებს თუ არა სმარტ კონტრაქტმა გაამარტივოს ან შეცვალოს სამართლებრივი მექანიზმები.

სმარტ კონტრაქტის წარმატება და საქმიანი ურთიერთობების მოწესრიგების ეფექტურობა მეტწილად დამოკიდებულია ტექნიკური და სამართლებრივი პროგრესის სინქრონულ განვითარებაზე. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და თანამდევნი საკანონმდებლო მხარდაჭერა მისცემს მუხტს სმარტ კონტრაქტის მასშტაბურ და უფრო ფართო გამოყენების შესაძლებლობას.

თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია სმარტ კონტრაქტი გამოყენებულ იქნას არა მარტო სავაჭრო და საფინანსო, არამედ ისეთი სოციალური შინაარსის გარიგებებში, როგორცაა მემკვიდრეობით, შრომით და სადაზღვევო ურთიერთობებში.

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლიდან ძალაშია საქართველოს კანონი „ციფრული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“, სასურველია, დამატებით მიღებულ იქნას ისეთი საკანონმდებლო აქტი, როგორცაა კანონი „ციფრული ეკონომიკის შესახებ“, რომლის ფარგლებში მოხდება სმარტ კონტრაქტის გავრცელებისა და ფუნქციონირების, ბიზნეს გარიგების ავტომატურად დადებისა და შესრულების ან/და სხვა იურიდიული მნიშვნელობის საკითხების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება.

ყველაზე ცნობადი ტექნოლოგია სმარტ კონტრაქტისა არის - ბლოკჩეინი.

ბლოკჩეინი - ეს არის მონაცემთა ბაზა, რომელიც იმართება ავტონომიურად, ერთიანი ცენტრის გარეშე. ინფორმაცია ახლდება და ინახება ერთდროულად სხვადასხვა მოწყობილობებში. გარდა იმისა, რომ ბლოკჩეინი არის მონაცემთა უსაფრთხო შენახვის საშუალება, ის ასევე აწვდის სმარტ კონტრაქტს საკვანძო ინფორმაციას. ბლოკჩეინის მეშვეობით შესაძლებელია გადავჭრათ გარიგების - მხარეთა შორის ნდობის საკითხი - ერთგვაროვანი დოკუმენტის არსებობა რამდენიმე პირის ხელში უზრუნველყოფს მონაცემთა უცვლელობას და გამორიცხავს ტექნიკურ თავდასხმებს.<sup>124</sup>

არსებული ბლოკჩეინ პლატფორმები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, სისტემის მართვისა და მონაწილეთა შესაძლებლობების მიხედვით, შეიძლება დავეყოს საჯარო და კერძო ბლოკჩეინებად (ბლოკჩეინ კონსორციუმებად). მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ უნდა გამოვიყენოთ თუ არა ბლოკჩეინ სისტემა, დამოკიდებულია თითოეული პროექტის სახეობაზე. მაგალითად, მისი გამოყენება აუცილებელია, სადაც არსებობს საქმიან გარიგებებში მონაწილეთა შორის უნდობლობის აღმოფხვრის აუცილებლობა და იქ, სადაც შეუძლებელია ცენტრალიზებული პლატფორმის გამოყენება.

სმარტ კონტრაქტი არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ვალდებულების შესრულებას, რომელსაც აქვს ორი ფუნქცია:

1. სმარტ კონტრაქტი უპირობოდ სრულდება;

2. თვალყურს ადევნებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას (ან დარღვევას), რომელზეც მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ.

სმარტ კონტრაქტის მთავარი ღირებულებაა, ვალდებულება გახადოს თვითშესრულებადი და მინიმუმამდე დაიყვანოს მხარეთა ნებაზე დამოკიდებული სარისკო მოვლენები და განტვირთოს საქმიანი ურთიერთობები კონტრაგენტთა განწყობისგან და დაუტოვოს მათ მცირე შანსი ვალდებულების შეუსრულებლობისა, ამასთან არ დამალონ მნიშვნელოვანი ფაქტები და არ გაუშვან შესრულების ვადები.

მხარეთა ნების ამგვარი შეზღუდვა ბიზნესს აძლევს სტაბილური და საიმედო შემოსავლის მიღების, დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების მართვის, საქონელბრუნვის

<sup>123</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [www.iso.org/committee/6266604.html](http://www.iso.org/committee/6266604.html)

<sup>124</sup> იხ. "8 ways blockchain can be an environmental game-changer", Celine Herweijer, Jahda Swanborough, Lead, Environment Initiatives, World Economic Forum. [www.weforum.org](http://www.weforum.org)

წინასწარი პროგნოზისა და გარიგებასთან დაკავშირებული კომერციული და ფინანსური დავების შემცირების შესაძლებლობას.

სმარტ კონტრაქტი წარმოადგენს მატერიალური (ქაღალდის) ხელშეკრულების ანალოგს, იმ განსხვავებით, რომ ის ციფრულია და წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც ინახება ბლოკჩეინ სისტემაში. უფრო კონკრეტულად, ჰკვიანი ხელშეკრულება არის პროგრამული უზრუნველყოფის მოდელი, რომელიც ადგენს საქმიანი გარიგების პირობების თაობაზე მოლაპარაკებების წესებს, ავტომატურად ადასტურებს შესრულებას და აღასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს.

**სმარტ კონტრაქტის უპირატესობები:**

➤ ქაღალდის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, სმარტ კონტრაქტი ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობებით, კერძოდ:

➤ საქმიან ურთიერთობებში მესამე პირთა ჩარევის შეზღუდვა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მიუხედავად, კლასიკური გაგებით ხელშეკრულება, როგორც ორ პირს შორის გარიგება არ წარმოადგენს ავტონომიურ მოვლენას, მის შესრულებაში, უმრავლეს შემთხვევებში, ერევა მესამე პირი, რომელიც ახდენს გარიგების პირობათა ფორმირებას (ადვოკატი), დაადასტურებს ხელშეკრულების პირობებს (ნოტარიუსი), ან/ და ახორციელებს საშუამავლო ფუნქციებს (კომერციული ბანკი, სახელმწიფო დაწესებულება ან სხვა სახის შუამავალი). მთელ რიგ სავაჭრო ურთიერთობებში ბიზნესი დამოკიდებულია შუამავლების აქტივობაზე, რაც ზრდის საქონლის ღირებულებას, ფინანსური ვალდებულების შესრულებას.

➤ სმარტ კონტრაქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა გაათავისუფლოს სამოქალაქო ბრუნვა მესამე პირთა ჩარევისაგან და მონაწილეებს მისცეს საშუალება უშუალოდ დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები ერთმანეთთან.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, „ჰკვიანი“ კონტრაქტს, შეუძლია განახორციელოს იგივე ქმედებები, რაც მესამე პირებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში. გააზიაროს სახელშეკრულებო პირობები, დაადასტუროს შეთანხმების ფაქტები და უზრუნველყოს ფინანსური გარიგების შესრულების შემოწმება, მესამე პირის გარეშე. მარტივად, რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია სმარტ კონტრაქტის მეშვეობით შევქმნათ ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და აღსრულების ელექტრონული პროგრამა.

მეორე, სმარტ კონტრაქტის უპირატესობად უნდა ჩავთვალოთ კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, სახელშეკრულებო შეთანხმების განმუხტვა მესამე პირთა ხელმისაწვდომობისგან, რაც განაპირობებს, როგორც გარიგების ღირებულების, ასევე მხარეთა შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ გარიგებებში და იქ, სადაც ხელშეკრულების საგანია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი. მაგალითად, ფრენჩაიზინგის სახელშეკრულებო სისტემაში.

მესამე, სმარტ კონტრაქტი იძლევა შეთანხმებული პირობების უცვლელობის გარანტიას, ვინაიდან სმარტ კონტრაქტის საფუძველია პროგრამული კოდი, გარიგების პირობათა ორმაგად განმარტება დაუშვებელია, შედეგად, აზრს კარგავს მხარეთა დავა გარიგების ბუნდოვან პირობათა შესახებ. როგორც წესი, ბლოკჩეინ სისტემებში სმარტ კონტრაქტი გაფრთხილების სახით მითითებულია „შეუძლებელია პირობათა შეცვლა“ და შესაბამისი ჩანაწერების ცვლილების შესაძლებლობა.

მეოთხე, გარიგების შესრულებაზე კონტროლი ოფისიდან გაუსვლელოდ. სმარტ კონტრაქტი ათავისუფლებს გარიგების მხარეებს ვალდებულების შესრულების პროცესზე ტექნიკური ზედამხედველობისგან. ელექტრონული გარიგების დადების პირობებში, მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანური ფაქტორის ჩარევის შესაძლებლობა.

მეხუთე, პროგრამული ხელშეკრულების მეშვეობით შესაძლებელია გარიგების ბათილობის აღბათობის შემცირება ან/და გაქარწყლება. ხელშეკრულების ბათილობის გავრცელებული საფუძველია გარიგების მხარის ასაკობრივი შეუსაბამობა ან/და მენტალური ნაკლი, შეცდომა გარიგების საგანში. სმარტ კონტრაქტის პროგრამული სახით არსებობა მძიმე ტვირთად აწვება მომხმარებელს. ამას ემატება ისიც, რომ მესამე პირის მონაწილეობით დადებული გარიგება,

ყოველთვის ვერ ხდება გარანტი იმისა, რომ ხელშეკრულება შესრულდება და მოვალე პირი თავს არ აარიდებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

სმარტ კონტრაქტის წარმატებით დანერგვა შესაძლებელია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების სივრცეში. ინტელექტუალური საქმიანობის უმრავლესი შედეგები თავისი ბუნებით ციფრულია, გაზომვადია და მასთან ურთიერთობა სმარტ კონტრაქტს შეუძლია დამოუკიდებლად. სმარტ კონტრაქტის მეშვეობით შესაძლებელია გამარტივდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ბრუნვაუნარიანობა. შესაძლებელია ავტომატიზირებულ იქნას ლიცენზიის გადახდები და სხვა შემოსავლები, რომელიც უნდა გადახდილი იქნას უფლების მფლობელის პირის მიმართ. მაგალითად, სალიცენზო გადასახდელების (პაუშალური, როიალტის და სხვა შემოსავლები) გადარიცხვა ლიცენზიის გაყიდვის შემდეგ.

ყველაზე თვალსაჩინო და ეფექტური სივრცე, სადაც სრულყოფილად ხდება სმარტ კონტრაქტის დანერგვა და გამოყენება არის საბანკო სექტორი. ღია სააპლიკაციო ფორმით თანამშრომლობა კლიენტებთან, ბანკებს აძლევს შესაძლებლობას დანერგოს სმარტ კონტრაქტი კლიენტებთან, ბანკთან დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. ზოგადად, სმარტ კონტრაქტის მიზანია, შეამციროს გარიგების დადებასთან დაკავშირებული ხარჯები. გადამხდელმა შესაძლებელია სმარტ კონტრაქტის მეშვეობით გასცეს მომსახურებაზე ბრძანება მისი კუთვნილი ანგარიშიდან თანხების ჩამოჭრისა და გადარიცხვის შესახებ. სმარტ კონტრაქტის მეშვეობით ხორციელდება ბანკისათვის ბრძანებების გაგზავნის, მიღებისა და დამუშავების წესი, რომლის საფუძველზე ბანკი ახდენს კლიენტის ანგარიშებიდან თანხის ჩამოჭრასა და გადარიცხვას. ბანკები სმარტ კონტრაქტის მეშვეობით, ახორციელებენ კლიენტის ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამირების ენის არჩევა დამოკიდებულია, თუ სმარტ კონტრაქტის შესაქმნელად რომელ ტექნოლოგიას გამოვიყენებთ. პროექტები, რომელიც ტექნოლოგიურად განაწილებულ რეესტრებს შორის იქმნება, ითხოვს იმ ენის გამოყენებას, რომელიც თავსებადია კონკრეტული ბლოკჩეინ პლატფორმისთვის.

სმარტ კონტრაქტის ინტეგრაცია გარიგების ფორმით შესაძლებელია შემდეგი სახით:

1, მთლიანად პროგრამირების ენაზე, როდესაც გარიგება შედგენილია მთლიანად პროგრამული კოდის ენაზე, ბუნებრივი ენის ანალოგის გარეშე;

2. დუბლირებულია - როგორც ალტერნატიული საშუალება, ალგორითმს შეუძლია ხელშეკრულების დუბლირება ბუნებრივ ენაზე. პროგრამა შედგენილია პროგრამული კოდის ენაზე და აქვს ბუნებრივი ენის ანალოგი;

3. შერეული მოდელი - გარიგება შედგენილია ბუნებრივ ენაზე, თუმცა მისი ნაწილი პირობების მოცემულია პროგრამული კოდებით. ხელშეკრულება შედგენილია ბუნებრივ ენაზე, ამასთან პროგრამის ნაწილი დაფიქსირებულია პროგრამული კოდის სახით.

თანამედროვე ეტაპზე ყველაზე გავრცელებულია შერეული მოდელი, როდესაც ხელშეკრულების ნაწილი შედგენილია ბუნებრივ ენაზე, ხოლო ნაწილი მოცემულია სმარტ კონტრაქტის სახით. მაგალითად, ალგორითმის ნაწილში მხარეები აფიქსირებენ ფასის გადახდის წესს და გადახდის საშუალებებს. დანარჩენი ნაწილი, მათ შორის დავის გადაჭრის წესი, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები, საქონლის აღწერილობა, ფორს- მაჟორული პირობები და სხვ.

საერთაშორისო დონეზე ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, იკვეთება განსხვავებული მიდგომები. მაგალითად, ევროკავშირში გავრცელებულია უპირატესად ტექნოლოგიური განვითარების იდეა, რომლის თანახმად მიიჩნევენ, რომ არ უნდა მოხდეს სმარტ კონტრაქტისა და ბლოკჩეინის რეგულირება ევროკავშირის არცერთ დონეზე. ნაჩქარევმა სამართლებრივმა რეგულირებამ და ამ ფორმით ჩარევამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს ტექნოლოგიების განვითარებას.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის უპირატესობის იდეას, აღიარებს დიდი ბრიტანეთი. სმარტ კონტრაქტთან დაკავშირებული საკითხები მკაფიოდ და ნათლად გადმოცემულია მთავრობასთან არსებული ექსპერტთა

ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიშში - „Government Office for Science report“<sup>125</sup>, რომლის თანახმად: სმარტ კონტრაქტი - ეს არის სახელშეკრულებო პირობები, რომელიც გადმოცემულია პროგრამულ ენაზე.

ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, სადაც სმარტ კონტრაქტი არის აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობის ობიექტი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ შტატში დამოუკიდებლად მიმდინარეობს მუშაობა სმარტ კონტრაქტის დანერგვისა და სამართლებრივი რეგულირების მიმართულებით.

## დასკვნა

ბლოკჩეინი და სმარტ კონტრაქტი განიხილება, როგორც მონაცემთა შენახვის იურიდიულად აღიარებული მეთოდი, იმ პირობით, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ არსებულ წესებთან და კანონებთან. ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ხორციელდება ბლოკჩეინ სისტემაში, განიმარტება, როგორც იურიდიული ძალის მქონე. თუკი მხარეებმა აირჩიეს ბლოკჩეინი საკუთარ მონაცემთა შენახვის ადგილად, მაშინ ასეთი წყაროდან მიღებული მონაცემი მიიჩნევა იურიდიულად ვარგისად: არ შეიძლება ხელშეკრულება მოკლებულ იქნეს იურიდიულ ძალას ან იძულებით აღსრულებას იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას გამოყენებულ იქნა ელექტრონული ხელმოწერა და პირობები მოცემულია სმარტ კონტრაქტის ფორმით.

სმარტ კონტრაქტის მთავარი ღირებულებაა, ვალდებულება გახადოს თვით შესრულებადი და მინიმუმამდე დაიყვანოს მხარეთა ნებაზე დამოკიდებული სარისკო მოვლენები და განტვირთოს საქმიანი ურთიერთობები კონტრაგენტთა განწყობისგან და დაუტოვოს მათ მცირე შანსი ვალდებულების შეუსრულებლობისა, არ დამალონ მნიშვნელოვანი ფაქტები და არ გაუშვან შესრულების ვადები.

მხარეთა ნების ამგვარი შეზღუდვა ბიზნესს აძლევს სტაბილური და საიმედო შემოსავლის მიღების, დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების მართვის, საქონელბრუნვის წინასწარი პროგნოზისა და ბიზნეს გარიგებასთან დაკავშირებული დავების შემცირების შესაძლებლობას.

სმარტ კონტრაქტი წარმოადგენს მატერიალური (ქაღალდის) ხელშეკრულების ანალოგს, იმ განსხვავებით, რომ ის ციფრულია და წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც ინახება ბლოკჩეინ სისტემაში. უფრო კონკრეტულად, ჰკვიანი ხელშეკრულება არის პროგრამული უზრუნველყოფის მოდელი, რომელიც ადგენს საქმიანი გარიგების პირობების თაობაზე მოლაპარაკებების წესებს, ავტომატურად ადასტურებს შესრულებას და ადასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს.

სმარტ კონტრაქტის წარმატებით დანერგვა შესაძლებელია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების სივრცეში. ინტელექტუალური საქმიანობის უმრავლესი შედეგები თავისი ბუნებით ციფრულია, გაზომვადია და მასთან ურთიერთობა სმარტ კონტრაქტს შეუძლია დამოუკიდებლად. ამასთან ერთად ყველაზე თვალსაჩინო და ეფექტური სივრცე სადაც, სრულყოფილად ხდება სმარტ კონტრაქტის დანერგვა და გამოყენება, არის საბანკო სექტორი. ღია სააპლიკაციო ფორმით თანამშრომლობა კლიენტებთან, ბანკებს აძლევს შესაძლებლობას, დანერგოს სმარტ კონტრაქტი კლიენტებთან, ბანკთან დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. ზოგადად, სმარტ კონტრაქტის მიზანია, შეამციროს გარიგების დადებასთან დაკავშირებული ხარჯები. სმარტ კონტრაქტის მეშვეობით ხორციელდება ბანკისათვის ბრძანებების გაგზავნის, მიღებისა და დამუშავების წესი, რომლის საფუძველზე ბანკი ახდენს კლიენტის ანგარიშებიდან თანხის ჩამოჭრასა და გადარიცხვას. ბანკები სმარტ კონტრაქტის მეშვეობით ახორციელებენ კლიენტის ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

<sup>125</sup> იხ. [www.gov.uk/government/organisations/council-for-science-and-technology](http://www.gov.uk/government/organisations/council-for-science-and-technology)

საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს სმარტ კონტრაქტის ირგვლივ ჰარმონიზაციისა და საერთო სტანდარტების, ნორმების და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების სტანდარტიზაცია ბლოკჩეინ ტექნოლოგიების ეგიდით. საერთაშორისო ორგანიზაციის International Organization for Standardization ხელმძღვანელობით შექმნილია საერთაშორისო ტექნიკური კომიტეტი - ISO/TC307: «Blockchain and distributed ledger technologie<sup>126</sup>, რომელიც მუშაობს კონკრეტულ სტანდარტებზე, კონკრეტულ რეესტრებში, მათ შორის სმარტ კონტრაქტზე. კომიტეტის წინაშე დგას ამოცანა, შეძლებს თუ არა სმარტ კონტრაქტი გაამარტივოს ან შეცვალოს საერთაშორისო ბიზნეს კომუნიკაციებში სამართლებრივი მექანიზმები.

სმარტ კონტრაქტისა და ბლოკჩეინ პლატფორმის წარმატება და საქმიანი ურთიერთობების მოწესრიგების ეფექტიანობა, უმეტესწილად დამოკიდებულია ტექნოლოგიური და სამართლებრივი პროგრესის სინქრონულ განვითარებებზე. ტექნოლოგიების განვითარება და თანამდევნი საკანონმდებლო მხარდაჭერა მისცემს მუხტს სმარტ კონტრაქტს მასშტაბური და უფრო ფართო გამოყენების შესაძლებლობებს საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. [www.gov.uk/government/organisations/council-for-science-and-technology](http://www.gov.uk/government/organisations/council-for-science-and-technology)
2. [www.weforum.org](http://www.weforum.org), ways blockchain can be an environmental game-changer”, Celine Herweijer, Jahda Swanborough, Lead, Environment Initiatives, World Economic Forum
3. [www.iso.org/committee/6266604.html](http://www.iso.org/committee/6266604.html)
4. ლ. ხიხაძე, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების განვითარების მომავალი გლობალურ ბიზნესში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, გვ., 523-529, თბ., 6 ნოემბერი 2020

*Lali Khikhadze*

### **OPPORTUNITIES FOR EFFECTIVE USE OF BLOCKCHAIN TECHNOLOGIES AND SMART CONTRACTS IN THE DEVELOPMENT OF INTERNATIONAL BUSINESS**

#### **Summary**

With the development of blockchain technologies and digital communication systems, there is a growing interest in smart contracts as the most effective tool in this technology. It is through a smart contract that a business can receive the benefits that result from the development of Internet technologies.

The modern stage of international business practically completely depends on the information space. Along with the development of blockchain technologies and digital communications systems, especially increasing the interest to smart contract, as the most effective instrument of this technology. Through smart contract, businesses can get the benefits as a result of the development of digital technologies. The research aims is to analyze the benefits of its use in the development of modern world global business.

The successful implementation of the Smart Contract is possible in the field of international trade and intellectual property. Most of the results of intellectual activity are by nature digital, measurable and can be communicated independently by a smart contract. In addition, the most visible and effective space where the smart contract is fully implemented and used is the banking sector.

The success of the Smart Contract and Blockchain Platform and the effectiveness of business relationship management depend to a large extent on the synchronous development of technological and legal progress. The development of technology and the accompanying legislative support will enable the smart contract to be used on a larger scale in the development of international business.

<sup>126</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [www.iso.org/committee/6266604.html](http://www.iso.org/committee/6266604.html)



**ეთიკური და ზნეობრივი პრინციპები საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციების მართვის განმსაზღვრელი ფაქტორი**

**ანოტაცია.** საერთაშორისო ბიზნესში ეთიკა ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ქცევის პრინციპებს ეფუძნება, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ბიზნესსუბიექტების რელიგიურ, ფილოსოფიურ და კულტურულ ფასეულობებთან, ეროვნულ ტრადიციებთან და თანამედროვე შეხედულებებთან.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ეთიკური და ზნეობრივი ქცევის მაღალი სტანდარტები მოითხოვს, რომ საერთაშორისო კომპანიამ კეთილსინდისიერება, პატიოსნება და მიუკერძოებლობა უნდა გამოიჩინოს ყველა ბიზნესპარტნიორთან, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობები გააჩნია.

საერთაშორისო ბიზნესში ეთიკა ესაა ცოდნის სისტემა, უნივერსალური ეთიკური ნორმებისა და ზნეობრივი პრინციპების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზე უნდა იხელმძღვანელონ ბიზნესსუბიექტებმა საქმიანი ურთიერთობისას. ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვა ეხმარება საერთაშორისო კომპანიებს წარმატების მიღწევაში საერთაშორისო ბაზარსა და ბიზნეს წრეებში, რაც აძლიერებს ბიზნესსუბიექტების კონკურენტუნარიანობასა და სიცოცხლისუნარიანობას, გრძელვადიანი საქმიანი თანამშრომლობის პერიოდში.

საერთაშორისო ბიზნესში ეთიკური და ზნეობრივი პრინციპები არეგულირებს ბიზნესკომუნიკაციის პროცესში მონაწილე სუბიექტების ქცევებს, ამცირებს მათ შორის უთანხმოებებსა და კონფლიქტებს, მკაფიოდ განსაზღვრავს თითოეული ბიზნესსუბიექტის პოზიციასა და აქტივობას.

**საკვანძო სიტყვები:** ეთიკური და ზნეობრივი პრინციპები, საერთაშორისო ბიზნესი, ბიზნეს კომუნიკაციები, კონკურენტები, ბიზნესპარტნიორები, მომხმარებლები, საბაზო და რეციპიენტი ქვეყნები.

**შესავალი**

საერთაშორისო ბიზნესის ეთიკის სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია და მის შემადგენლობაში შედის - კომპანიის გარე და შიდა პოლიტიკის განხორციელების ეთიკური პრინციპები, შრომის მორალი, საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის, რეკლამირებისა და გასაღების ეთიკური ნორმები, ზნეობრივი კლიმატი კომპანიაში (საბაზო ქვეყანაში) და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში (რეციპიენტი ქვეყანაში), ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების ეთიკური პრინციპები, დამოკიდებულება სახელმწიფო სტრუქტურებისადმი, ინვესტორების, აქციონერების, კონკურენტების, ბიზნესპარტნიორების, პერსონალისა და მომხმარებლების მიმართ.

საერთაშორისო ბიზნესის ეთიკაში, ისევე, როგორც, ზოგადად ეთიკაში ყოველთვის წინ წამოიწევა მთავარი პრობლემა - ეთიკური პრინციპების, ნორმების, ჭეშმარიტების კრიტერიუმების განსაზღვრა და დადგენა, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე. სწორედ ამ პრობლემების ახსნა შესაძლებელია უნივერსალიზმისა და რელატივიზმის ასპექტში განხილვითა და ანალიზით.

უნივერსალიზმი - როგორც ტერმინი ფართოდ გავრცელებულია და ყველაზე განზოგადებული ფორმით ის მოიცავს იმ საერთო ეთიკურ და ზნეობრივ წესებს, რომელიც მოიცავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანას. უნივერსალიზმის დამცველები ეთანხმებიან, რომ მიუხედავად თავიანთი ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური წარმოშობისა, ყველამ უნდა დაიცვას მორალური კანონები და ეთიკური პრინციპები, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არსებობს ქცევის ისეთი წესები და ნორმები, რომელიც მიღებულია ნებისმიერი კულტურისათვის. მაგალითად, მსოფლიოში ყველა ქვეყანას აქვს კანონები, რომელიც კრძალავს მექრთამეობას, ქურდობას, ბიზნესის კეთების კონტექსტში გაყალბებასა და ფალსიფიკაციას. ამასთან, უნივერსალიზმის პრინციპი არ არის სტატიკური, ის ვითარდება საზოგადოების

განვითარების კვალობაზე და უნივერსალიზმის საერთო სტრატეგია გამომდინარეობს იმ პრინციპებიდან, რომ აქტიურად განვითაროს ეთიკური ქცევების ის ნორმები, რომელიც ემსახურება კაცობრიობის პროგრესს. კერძოდ, ბიზნესის ეთიკის ტრანსნაციონალური თუ გლობალური კოდექსი, რომელიც გასათვალისწინებელია ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ბიზნესკომუნიკაციის მართვის პროცესში, სწორედ უნივერსალიზმის პრინციპების გამოხატულებაა, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი კულტურისათვის უნივერსალიზმის შემდეგი პრინციპებია გასათვალისწინებელი: მაგალითად, ადამიანის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, სხვისი ქონების მიმართ ზიანის მიყენების დაუშვებლობა, დისკრიმინაციისა და აპარტიდის აღმოფხვრა და სხვა ზოგადეთიკური პრინციპები. თანამედროვე ეტაპზე უნივერსალიზმის მიმდევრებმა განავითარეს სიტყვის თავისუფლების, არადისკრიმინაციული მოპყრობის, ადამიანის უფლებები, პროდუქციის უსაფრთხოება, გარემოს დაცვის საკითხები, უკანონო გადასახადების მინიმუმადე შემცირება და სხვა [1. გვ.,159].

რელატივიზმი უნივერსალიზმის ალტერნატივაა, მის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ეთიკური ქცევა ნებისმიერ ქვეყანაში განისაზღვრება ამ ქვეყნის კულტურით, წესებითა და ბიზნეს გამოცდილებით. ამ დამოკიდებულებას ასახავს გამოთქმა: რომში იქცევია ისე, როგორც რომაელები იქცევიათ", რაც ხშირად გამართლებულია, თუ საერთაშორისო კომპანიის მენეჯერები მოიქცევიან სხვა კულტურის საპირისპიროდ, ეს ნიშნავს იმას, რომ პატივს არ სცემენ მასპინძელ (რეციპიენტ) ქვეყანას. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ იმ ქვეყნის კულტურა და ეთიკური ნორმები, სადაც ისინი წარმართავენ საკუთარ [1. გვ.,161].

უნივერსალიზმისა და რელატივიზმის შესახებ შეხედულებები წარმოაჩენს იმას, რომ თუ როგორია ქვეყნების აზრთა სხვადასხვაობა, როგორ იყენებენ ისინი ბიზნესში ეთიკურ პრინციპებს. აღნიშნული პრობლემის კვლევა გვიჩვენებს, რომ ეთიკურ საკითხებთან მიმართებით სხვადასხვა ქვეყანაში უამრავი განსხვავებული მიდგომა არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ამერიკელი მენეჯერი უფრო მეტად იზიარებს ადამიანური ურთიერთობის პრიმატს ბიზნესის ეთიკურ ნორმებში, ვიდრე მათი ავსტრალიელი და გერმანელი პარტნიორები, რადგანაც გერმანელი და ავსტრალიელი მენეჯერები უფრო აქტიურად ერეოდნენ ადგილობრივი კომპანიების ეთიკურ პროცესებში, რაც დაკავშირებულია მათ კულტურულ ფასეულობებთან. ამერიკელები განუსაზღვრელად ინდივიდუალისტები არიან და მათი ინდივიდუალობა არის მათი ეთიკური ფასეულობების სათავე. გერმანელი და ავსტრალიელები უფრო მეტად იზიარებენ საზოგადოებრივ ორენტაციას. ფაქტობრივად, ამ ქვეყნებში ბიზნესის ეთიკა განისაზღვრება, როგორც დამოკიდებულება ბიზნესსა და ადგილობრივ გარემოს შორის. ეროვნული განსხვავებების ზეგავლენა ეთიკური ნორმების დაცვაზე საკმაოდ დიდია და ამის გამო რთულია ბიზნესის ეთიკური მიდგომები მოკლე დროში შეიცვალოს. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში ბოლო პერიოდში გატარებული სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების მიუხედავად, ამ ქვეყნის ბიზნეს ეთიკის მიმართ დამოკიდებულება მაინც პრობლემატურია და მაინც იგივე დარჩა. განსაკუთრებით, პრობლემები შესაძლოა შეიქმნას ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ესწრაფვიან კონკურენციული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესს და გარდამავალი, ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნებს წარმოადგენენ.

საერთაშორისო ბიზნესში ეთიკური ნორმები კომპანიის მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ეთიკის ნორმების დაცვით საერთაშორისო კომპანია საბაზო ქვეყანაში და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფები (ფილიალები, შვილობილი და ქალიშვილი კომპანიები) რეციპიენტ ქვეყანაში თავისი არსებობისათვის მთავარ საყრდენს პოულობს - ბიზნესპარტნიორების, კონკურენტების, მომხმარებლებისა და მთლიანად საზოგადოების სახით, ხოლო გლობალურ დონეზე ბიზნესკომუნიკაციები ბიზნესის ეთიკური კოდექსის პრინციპების დაცვით ხორციელდება, რადგანაც ეთიკური ნორმების დაცვისა და ნდობის ფაქტორის გარეშე არცერთ კომპანიას არ შეუძლია ფუნქციონირება, ამიტომ „კარგი ეთიკა ყოველთვის კარგი ბიზნესია“ . ეთიკური და ზნეობრივი პრინციპების დაცვით უმჯობესდება

ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატი და მომსახურების კულტურა საზოგადოებაში, მომხმარებელთა ინტერესები, საერთაშორისო კომპანიების იმიჯი და რეპუტაცია.

თანამედროვე ეტაპზე მცირდება ბარიერები და წინააღმდეგობები საერთაშორისო ბიზნესში, მაგრამ იზრდება ბიზნესკომუნიკაციის მასშტაბები, რასაც თან ახლავს ეთიკური და ზნეობრივი ქცევის სირთულეები კულტურათა განსხვავებების ფონზე, ამასთან ეთიკის პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია მძაფრი კონკურენციისა და საზოგადოების სწრაფი ტრანსფორმაციის პირობებში.

საერთაშორისო ბიზნესკომუნიკაციის პროცესში ზემოთ აღნიშნული პრობლემების საფუძველზე, ზოგჯერ აღმოცენდება ბიზნესსუბიექტთა შორის უთანხმოება, ინტერესების, აზროვნების, ეთიკური და ზნეობრივი პრინციპების კონფლიქტი, ამასთან ერთად, მიღებულ ბიზნეს გადაწყვეტილებებს გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია კომპანიის სამომავლო განვითარებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზნესის ეთიკის კოდექსი შემდეგ ზოგად ეთიკურ და ზნეობრივი პრინციპების დაცვას ეფუძნება: კერძოდ, სხვისი საკუთრების ხელშეუხებლობა, ექსპროპრიაციის დაუშვებლობა, ადამიანის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნება და სხვა. კონკრეტულ სიტუაციაში ამ პრინციპების გაუთვალისწინებლობა ბიზნესაქტივობის მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგანაც დიდი მოგების მოპოვების სურვილი, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და უპირატესობის მიღწევა, ზოგჯერ ეთიკური პრინციპების დარღვევის საფუძველია.

**საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციებში ადგილი აქვს ეთიკური ნორმებისა და ზნეობრივი ქცევის პრინციპების დარღვევას და ვლინდება შემდეგი პრობლემები:**

- მომხმარებლის მაქსიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ნაცვლად, არასათანადო კომუნიკაციით კლიენტების მოტყუების მეშვეობით, შემოსავლების გაზრდა;
- უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის წარმოებასა და ამ პროდუქციის ფუნქციების შესახებ, არასწორი ინფორმაციის გავრცელება;
- მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ფასების მაქსიმალური მომატება ან დემპინგური ფასების გამოყენება;
- კონკურენტების დისკრიმინაცია და არასამართლიანი კონკურენციული მეთოდების გამოყენება, სახელმწიფო მოხელეების მოსყიდვა (ლობირება) და ამის ხარჯზე ტენდერებში გამარჯვება, მომგებიანი, მსხვილი სახელმწიფო შეკვეთების მოპოვება;
- ბიზნესპარტნიორების, მომხმარებლების, შუამავლების მოტყუება, შეკვეთების, სახელშეკრულებო ვალდებულებების არადროული და არაზუსტი შესრულება;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ფორსმაჟორული სიტუაციის არასწორი აღწერა და არაზუსტი ინფორმაციის მიწოდება ;
- კომპანიის საიდუმლოებით (კონფიდენციალური ინფორმაციით) ვაჭრობა და კონკურენტებისაგან მაღალკვალიფიციური კადრების გადმოხირება;
- ეკოლოგიური დაზიანებების შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელება და საფრთხის შემცველი მოძველებულ ტექნოლოგიების გამოყენება;
- სარეკლამო, პიარ-ტექნოლოგიებში ცნობიერებით, ფსიქიკით მანიპულაციის ტექნოლოგიებისა და ფსევდოექსპერტების გამოყენება.

## დასკვნა

ზემოთაღნიშნული ანალიზისა და შეფასების გათვალისწინებით, საერთაშორისო ბიზნესკომუნიკაციების მართვის პროცესში, წარმოიშობა მრავალი ეთიკური და ზნეობრივი პრობლემები - უპირატესად კონკურენტებთან, ბიზნესპარტნიორებთან, ინვესტორებთან, მომხმარებლებთან მიმართებაში.

საქმიანი ურთიერთობა და დამოკიდებულება კონკურენტების მიმართ მნიშვნელოვანია, რადგანაც კონკურენტი ბიზნეს ურთიერთობების მთავარი მამოძრავებელი ძალა და ბიზნესში წარმატებების მიღწევის საწინდარია. მათთან ურთიერთობისას აუცილებლად საჭიროა,

უშუალო კონკურენტების იდენტიფიკაცია, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რათა შესაძლებელი გახდეს მათთან საქმიანი ურთიერთობების დაგეგმვის სტრატეგია და ტაქტიკა, შემუშავდეს მოქმედების მეთოდები და ხერხები, განისაზღვროს მათგან დაცვის წესები და პირობები, ზნეობრივი პრინციპების დარღვევის შემთხვევაში, შეუძლებელია ძლიერ პარტნიორებთან თანამშრომლობა და ამით მაქსიმალურად შემცირდება კომპანიის კონკურენტუნარიანობა და რეიტინგი. არაჯანსაღი კონკურენცია იმ ბიზნესსუბიექტის ქმედებაა, რომელიც კანონს და ეთიკურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, რაც მიზნად ისახავს ბიზნეს პროცესში არამართებულად უპირატესობის მოპოვებას, კონკურენტის დაჩაგვრასა და მათთვის ზარალის მიყენებას.

კონკურენტებთან საქმიანი ურთიერთობისას არ უნდა ისარგებლოს კომპანიამ მონოპოლიური მდგომარეობით, არ უნდა გამოიყენოს სახელმწიფო მმართველების მფარველობა (ლობირება), ამასთან დაუშვებელია ბიზნეს სუბიექტებთან კონკურენტის წინააღმდეგ მიმართულ ფასების შესახებ გარიგებებში მონაწილეობა, დაუშვებელია კონკურენტის სახელის გატეხვა, მისი რეპუტაციისათვის შემლახველი ინფორმაციის გავრცელება, კონფიდენციალური ინფორმაციის მოპარვა და მისი თანამშრომლების მოსყიდვა. არაეთიკური ხერხების გამოყენება ყოველთვის ხელს უშლის ბიზნესის პროცესში ბიზნესსუბიექტებისათვის თანაბარი პირობების შენარჩუნებას, ეს კი, თავის მხრივ, მოქმედებს გამოშვებული საქონლის ხარისხზე, მისი თვითღირებულების მომატებასა და ფასების ზრდაზე. საერთაშორისო კომპანიები კი, დაინტერესებული არიან საქონლის, მომსახურების მრავალფეროვნებაში, ინოვაციებსა და საზოგადოების კეთილდღეობაში. ამის მიღწევა მხოლოდ ჯანსაღი, თანაბარი კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი. ვერც ერთი კომპანია ვერ განვითარდება ჯანსაღი კონკურენციის გარეშე, რადგან სწორედ კონკურენტი გვაჩვენებს სუსტ ადგილებს, განვითარების მიმართულებებსა და კომპანიის შესაძლებლობებს. ამიტომ ეთიკური პრინციპების დაცვა და ზნეობრივი ქცევის წესების უზრუნველყოფა კონკურენტთა მიმართ თითოეული ბიზნესსუბიექტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საერთაშორისო ბიზნესკომუნიკაციის მართვის პროცესში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ბიზნესსუბიექტების ეთიკურ დამოკიდებულებას ბიზნეს პარტნიორების მიმართ. პარტნიორებთან ეთიკური და ზნეობრივი ნორმებით თანამშრომლობა ნებისმიერი კომპანიის წარმატების საწინდარია. ამასთან ერთად, ნდობა პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობის მოწესრიგების მთავარი ფაქტორია. ნდობის მოპოვება მხოლოდ ეთიკური ნორმების დაცვითაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ, რაც მეტი ბიზნესს გამოცდილება აქვს პარტნიორს, რაც მეტად გლობალურია მისი ბიზნესსაქმიანობა, მით მეტად მნიშვნელოვანია მისთვის ნდობის ფაქტორი, ახალბედა ბიზნესმენები უფრო დიდ მნიშვნელობას ბევრი ფულის, რაც შეიძლება სწრაფად მოპოვებას ანიჭებენ, ხოლო ნდობის მოპოვება მხოლოდ საქმიანი ურთიერთობების ხანგრძლივი თანამშრომლობის საფუძველზე, ბიზნესპარტნიორების ურთიერთდახმარებითა და სირთულეების ერთად გადალახვითაა შესაძლებელი.

#### **ბიზნესპარტნიორობის ეთიკური და ზნეობრივი პრინციპები:**

- ბიზნესპარტნიორის თავისუფალი არჩევანი და თანასწორობა;
- პასუხისმგებლობა და ორმხრივი კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

- საქმიანი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა და ორმხრივი სარგებლიანობა;
- პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების დროული და ზუსტი შესრულება;

იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი არ ასრულებს თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს, არაკეთილსინდისიერ პარტნიორთან ბრძოლის საუკეთესო ფორმად მიიჩნევა, მის საქციელზე ბიზნესს წრეებში ინფორმაციის გაჟღერება და საქმიან ურთიერთობათა შეწყვეტა. ბიზნესპარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობები უნდა იყოს თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი და ორივე მხარისათვის სარგებლის მომტანი.

საერთაშორისო ბიზნესკომუნიკაციის პროცესში უდიდეს როლს მოხმარებლებთან საქმიანი ურთიერთობა თამაშობს. თანამედროვე ეტაპზე მმაფრი გლობალური კონკურენციის პირობებში, უპირველეს ყოვლისა, დეტალურადაა მოხმარებელთა მოთხოვნები, ინტერესები

და მოლოდინები გასათვალისწინებელი. საერთაშორისო კომპანია მუდმივად უნდა ატარებდეს მომხმარებელთა აზრებისა და მოთხოვნების მონიტორინგს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მომხმარებელთა მიერ გამოთქმულ ზნეობრივ შეფასებებზე, საქონლითა და მომსახურებით დაკმაყოფილების დონეზე.

გლობალური მძაფრი კონკურენციის პირობებში, უპირატესად მომხმარებელმა უნდა შეიგრძნოს, რომ ის მნიშვნელოვანი ფიგურაა, ლიდერი და დომინანტია, მას ყოველთვის ელიან და უხარიათ მასთან ურთიერთობა. მომხმარებლისადმი თავაზიანი კომუნიკაცია არ უნდა იყოს მოსაბეზრებელი, მლიქვნელური, დაუშვებელია უყურადღებობის, სიცივის დემონსტრირება და მისი ინტერესების იგნორირება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომხმარებელთა პრეტენზიებს, უკმაყოფილებას, რადგან მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინება პროდუქციის ხარისხისა და სერვისების გაუმჯობესების შესაძლებლობას ზრდის. მომხმარებელთა პრეტენზიები და ხარვეზები დაუყოვნებლივ უნდა შესწორდეს. ეს აღიქმება, როგორც კომპანიის ბიზნესკულტურის, მომხმარებლისადმი პატივისცემისა და ეთიკური პრინციპების გაუმჯობესების მაჩვენებელი.

მომხმარებელი თავს დაცულად უნდა გრძნობდეს, დაუშვებელია რელიგიური, რასობრივი, ეროვნული, ზნეობრივი სტანდარტების მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზების გამოთქმა, უცხოელ მომხმარებელთან ხელისუფლების, სხვა ადამიანთა ქცევების განსჯა და კრიტიკა. საქმიანი ურთიერთობა მომხმარებელთან უნდა იყოს თანამშრომლობაზე და გრძელვადიან ურთიერთობებზე ორიენტირებული. ამისათვის მომხმარებელს სრული და ზუსტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს კომპანიამ მისი საქმიანობის, გამოშვებული პროდუქციისა და სერვისების, ხარისხისა და ეკოლოგიური სისუფთავის შესახებ.

ზნეობრივი პრინციპები და ეთიკური ნორმები საერთაშორისო ბიზნესში ბიზნესსუბიექტების დინამიური განვითარების ყველაზე იაფი და ეფექტური საშუალებაა, რაც უზრუნველყოფს ბიზნესკომუნიკაციის მართვის პროცესში პრობლემების მინიმუმად შემცირებას, საქმიანი ურთიერთობის პროცესში ბიზნესპარტნიორებთან, კონკურენტებთან, მომხმარებელთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას, შესაბამისი ეთიკური ნორმებისა და ზნეობრივი ქცევის წესების ადექვატურ გამოყენებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თ.შენგელია, საერთაშორისო მენეჯმენტი, გვ., 159, 161, თბ., 2018
2. ლ. ხიხაძე, კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემები და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები გლობალურ ბიზნესში. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი, ახალი ეკონომისტი, თბ., N4, 2018, E-print.tsu.ge
3. I.khikhadze, Cross-cultural challenges and characteristics of business Communication in globalization conditions, World Economy and International Economic Relations, International Scientific Collection International Scientific Collection, Kyiev-Tbilisi-Chisinau, 2019
4. I.khikhadze, MODERN TRENDS OF THE DEVELOPMENT OF ECONOMIC AND CULTURAL GLOBALISM”, international journal Ecoforum, Vol.8, Issue 1, January 2019

*Lali Khikhadze*

### **ETHICAL AND MORAL PRINCIPLES ARE THE DEFINING FACTOR IN THE MANAGEMENT OF INTERNATIONAL BUSINESS COMMUNICATION Summary**

At the present stage, barriers and contradictions in international business are decreasing, but the scale of business communication is increasing, accompanied by the difficulties of ethical and moral behavior in the face of cultural differences, with ethics problems being particularly acute in the face of fierce competition and rapid society transformation.

Ethics in international business is a system of knowledge, a set of universal ethical norms and moral principles, on the basis of which business entities should be guided in business relations. Adherence to moral

and ethical norms helps international companies succeed in the international market and business circles, which enhances the competitiveness and viability of business entities during long-term business cooperation.

Ethical and moral principles in international business regulate the behaviors of the entities involved in the business communication process, reduce disagreements and conflicts between them and clearly define the position and activities of each business entity.

Ethical norms in international business are an important means of achieving the company's goals. By adhering to ethical norms, the international company in the base country and their structural subdivisions (branches, subsidiaries and subsidiaries) in the recipient country finds its mainstay - business partners, competitors, customers and society as a whole. And at the global level, business communications are conducted in accordance with the principles of the Code of Ethics of Business, because no company can function without the factor of ethics and trust, so "good ethics is always good business." Adherence to ethical and ethical principles improves the moral-psychological climate and culture of service in society, the interests of consumers, the image and reputation of international companies.

Moral principles and ethical norms are the cheapest and most effective means of dynamic development of business entities in international business, which ensures the minimum reduction of problems in the process of managing business communication. Improving communication with business partners, competitors, customers in the process of business relations, adequate application of relevant ethical norms and rules of moral conduct.

**„მკვლელი ვირუსი“-თ გამოწვეული ადამიანთა დანაკარგი საქართველოში**

**ანოტაცია.** უკვე წელიწადზე მეტია რაც პანდემიის პირობებში გვიხდება ცხოვრება. ჩვენი დღევანდელი ყოფა მრავალი პრობლემითა დამძიმებული, რომელთა შორისაცაა ადამიანთა დანაკარგი. ნაშრომში ამ პრობლემას ეხება. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია საქართველოში ერთი წლის განმავლობაში კორონავირუსული ინფექციის ორი ტალღის პირობებში ინფიცირებით გამოწვეული ადამიანთა დანაკარგი და მისი გავლენა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე. პანდემიის პირველი ტალღა საქართველომ ადამიანთა ნაკლები დანაკარგით გაიარა, მეორე ტალღის დროს კი აღინიშნებოდა ნამატი სიკვდილიანობის მაჩვენებელი წინა სამ წელთან შედარებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელთან შედარებით გარდაცვალების უფრო მაღლი მაჩვენებლები დაფიქსირდა 2012, 2014, 2015 და 2016 წლებში. მაშინ როცა არავითარი პანდემია არ არსებობდა.

**საკვანძო სიტყვები:** ნამატი სიკვდილიანობის მაჩვენებელი, სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელი.

**შესავალი**

ჩვენ ვცხოვრობთ ცვალებად, დინამიურ, სულ უფრო რთულ სამყაროში, რომლის გაგება და მიღებაა საჭირო და ამას ვახერხებდით კიდეც. მაგრამ 2020 წელი სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. ის მოიცვა XXI საუკუნის მესამე ზოონოზურმა კორონავირუსულმა აფეთქებამ და ჯანმრთელობის გლობალური პრობლემა წარმოშვა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) 2020 წლის 11 მარტს ახალი კორონა ვირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა. დღესაც პანდემიის პირობებში გვიწევს ცხოვრება. ვირუსით გამოწვეული საბოლოო შედეგების პროგნოზი ჯერ კიდევ შეუძლებელია.

ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში არსებობს ინფექციების გავრცელების შემთხვევები, რომლებმაც მილიონობით მეტი ადამიანი შეიწირა ვიდრე ომმა. ისტორიკოსი ფუკიდიდი წერდა ეპიდემიებზე ძველ საბერძნეთში ჩვ. წელ.აღ. II საუკუნეში. VI საუკუნეში იუსტიანეს დროს ევროპაში გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია. VII საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემია აღინიშნა იტალიაში, ინგლისსა და ირლანდიაში, მაგ. ირლანდიაში გადარჩა მთელი მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედი. ევროპისათვის ყველაზე მძიმე იყო შავი ჭირის ეპიდემია 1348-1353 წწ., რომელიც ცნობილია „შავი სიკვდილისა“ და „დიდი პესტიციდიის“ სახელით. შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული იყო ყვავილი და კეთრი (მხოლოდ საფრანგეთში არსებობდა 2 ათასამდე ლეპროზოლია). XV საუკუნის ბოლოსა და XVI ს. დასაწყისში მძვინვარებდა სიფილისი. მე-18 საუკუნის ბოლოსათვის ეპიდემიების გავრცელება შემცირდა და პრაქტიკულად ნულამდე დავიდა. მაგრამ მე-19 ს. ევროპაში გავრცელდა ქოლერა, მაგ. მე-19 ს. 40-იან წლებში ინგლისში გარდაიცვალა დაახლოებით 50 ათასი კაცი [Урланис 2007: 272-276]. საარქივო ცნობების მიხედვით საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიები მე-19 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1803 –1807 წწ., 1811 – 1812 წწ., 1838 – 1843 წწ. დაფიქსირდა. ისტორიული ცნობებით მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ხოლო იმერეთის სამეფოში მცხოვრებთა თითქმის ნახევარი შეიწირა. 1918 წლიდან, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ძლიერ პანდემიად ითვლება „ესპანკა“. დედამიწის მოსახლეობის 30%-ზე მეტი ამ ვირუსით დაავადდა, 100 მილიონზე მეტი შემთხვევა კი ლეტალურად დასრულდა. 1957 წლის თებერვალში აღმოსავლეთ აზიაში ახალი ტიპის ვირუსი გავრცელდა (H2N2), რამაც პანდემია წარმოქმნა. აზიურმა გრიპმა მსოფლიო მასშტაბით 1,1 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 2009 წელს, პანდემიად გამოცხადდა ე.წ. ღორის გრიპის (H1N1) ვირუსი, რომელიც 2010 წლის აგვისტოში დასრულდა. მთელ მსოფლიოში ვირუსმა 575 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

2014 წელს მთელ მსოფლიოში პანდემიის ახალი საშიშროება ემბოლას ვირუსი – ყველაზე ლეტალური ეპიდემია წარმოიქმნა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ებოლას ვირუსის მოკვდაობა 90%-ს აღწევს [გომელაური. ნ. 2020]. ახალი კორონავირუსული ინფექცია ჯერ კიდევ არ დასრულებულა, თუმცა რიგ ქვეყნებში, მათ შორისაა საქართველო, დაიწყო ვაქცინაცია, რაც, იმედია, ხელს შეუწყობს მის შეჩერებას. პანდემიით გამოწვეული ადამიანთა დანაკარგი საბოლოო სახით ჯერჯერობით უცნობია, თუმცა მასმედიის საშუალებებით მას უკვე შეერთქვა „სასიკვდილო ვირუსი“, „მკვლელი ვირუსი“. ერთ-ერთ მორიგ საინფორმაციო ბრიფინგზე საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ მედიას მოუწოდა: „მინდა ძალიან გთხოვოთ პრესას და მედიას. ხშირად გაისმის მედია საშუალებებით ეს სასიკვდილო ვირუსი, ეს მკვლელი ვირუსი და ასე და ასე ... რა თქმა უნდა ყოველი ადამიანის გარდაცვალება ტრაგედიაა, მაგრამ როდესაც სიკვდილიანობას ვაძარებთ, ყოველთვის ვაძარებთ სხვა ინფექციებს. ამ ახალი კორონავირუსის შემთხვევაში სიკვდილიანობა ბევრად დაბალია ჯერადობით, ვიდრე ეს იყო SARS - ის ინფექციის დროს, რომლის დროსაც გვექონდა 9 – 10%. ბევრად დაბალია, ვიდრე MERS - ის კორონავირუსის დროს, როცა იყო 35%, ბევრად დაბალია, ვიდრე იყო ებოლას და სხვა ინფექციების დროს. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, ნუ ვიხმართ ამ სიტყვას [24.02.2020, <https://bit.ly/3beOESg>].

პანდემიასთან ერთ წელზე მეტი თანაცხოვრების შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ ადამიანთა დანაკარგზე, რაც მეტად მტკივნეული თემაა. ყოველი საზოგადოებისთვის ღირებულია მისი თითოეული წევრის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს დაავადებათა პრევენცია და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების საზიანო ზემოქმედებისაგან დაცვა. თუმცა მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევა საკმარისი არ არის. სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის ერთობივი ძალისხმევით განისაზღვრება ქვეყნის მოსახლეობის სიჯანსაღე. ნაშრომში გადმოცემულია, რამდენად მოახერხა საქართველომ სახელმწიფოსა და თითოეული ჩვენთაგანის ძალისხმევით ნაკლები ადამიანური დანაკარგებით „გამოდრომა“.

\*\*\*

მედიასაშუალებები ახალი კორონავირუსის შესახებ ინფორმაციამ მოიკვა. მუდმივდ ხდებოდა დაინფიცირებულთა და გარდაცვლილთა სტატისტიკის განახლება, ინფიცირებულთა და გარდაცვლილთა მძიმე კადრების ჩვენება. ვრცელდებოდა ინფორმაცია ვირუსის გავრცელების რისკების შესახებ, ინფიცირების თავიდან აცილების გზებსა და რეკომენდაციებზე, დაინფიცირების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და ა.შ. ვირუსის ამოუცნობი ხასიათი და არაპროგნოზირებადი მომავალი, ფიზიკური დისტანცირება და კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური რისკები ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზე ძლიერ გავლენას ახდენდა. ადამიანებს უხდებოდათ ცხოვრება დაავადების მუდმივი რისკისა და შიშის ქვეშ.

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა კორონავირუსის შეზღუდვებისა და სირთულეების მიუხედავად, 2020 წლის ოქტომბერში ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა: კორონავირუსის პერიოდში მოსახლეობის თვითმოვლითი ქცევის, განწყობების, დაავადების რისკების აღქმის და სხვა საკითხებზე. გამოკვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა 9/10-ის აზრით საქართველოში კორონა ვირუსის საფრთხე სერიოზულია. მათ შორის 35,8%-ს საფრთხეს ძალიან სერიოზულად აღიქვამს. ხოლო 9,5% მიიჩნევს, რომ საფრთხე არ არის სერიოზული.

საქართველომ ახალი კორონავირუსის ორი ტალღა გადაიტანა. 30 სექტემბრის მდგომარეობით ლეტალურად დასრულდა 39 შემთხვევა. ლეტალობის მაჩვენებელი ამ პერიოდში შეადგენდა 0,5%-ს. როცა ხდება ვირუსის შეფასება, როგორც: „მკვლელი ვირუსი“, აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად დიდია მისი გავლენა სიკვდილიანობის მაჩვენებელზე. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, კორონავირუსული დაავადების სწრაფი გავრცელება და მასთან დაკავშირებული გარდაცვალების შემთხვევები სიკვდილიანობის



მაჩვენებელს რამდენად ზრდის. ე.ი. გვაქვს თუ არა ნამატი სიკვდილიანობის მაჩვენებელი - სიკვდილიანობა პოპულაციაში, რომელიც აღემატება სიკვდილიანობის მოსალოდნელ მაჩვენებელს.

ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში 26 თებერვალს დაფიქსირდა, ხოლო პირველი გარდაცვალების შემთხვევა 4 აპრილს. საქართველოში იანვრიდან მოყოლობელი აგვისტოს ჩათვლით გარდაიცვალა 30 537 ადამიანი. ეს მაჩვენებელი 1 246-ით ჩამორჩება 2019 წლის და 644-ით 2018 წლის იგივე მაჩვენებელს. მოცემულ პერიოდში ყველა მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების კლებამ შეადგინა 30%, ხოლო პირველი დადასტურებული შემთხვევიდან აგვისტოს ჩათვლით 18%. პანდემიის პირველი ტალღის განმავლობაში საქართველოში შენარჩუნებული იყო სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებელი. თუ თვეების მიხედვით განვიხილავთ ყველაზე დაბალი იყო სექტემბერში - 0,58% და ყველაზე მაღალი ივნისში, რომლის მაჩვენებელიც თითქმის 2,8-ჯერ აღემატებოდა სექტემბრისას.

**ცხრილი 1**

**COVID-19 სიკვდილიანობის მაჩვენებელი თვეების მიხედვით (%).**

| აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი |
|--------|-------|--------|--------|---------|------------|
| 1,11   | 1,53  | 1,62   | 1,46   | 1,28    | 0,58       |

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC).

ერთ მილიონ მოსახლეობაზე სიკვდილიანობის მიხედვით საქართველო 48-ე ადგილზე იყო. პირველ ხუთეულში კი იყვნენ: ბელგია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ, იტალია. ამ პერიოდში მომატებული სიკვდილიანობა უკვე აღინიშნა: ბელგიაში, საფრანგეთში, შვედეთში, ესპანეთში, იტალიაში, ინგლისსა და ნიდერლანდებში [<https://www.statista.com>].

საქართველოში საზოგადოებამ პირველი შოკი თითქოს გადაიარა, რომ სექტემბრიდან იწყება კორონავირუსული ინფექციის გავრცელების მეორე ტალღა, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა.

სექტემბრის თვიდან მკვეთრად იმატა კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევებმა, რასაც მოჰყვა ლეტალური შემთხვევების ზრდა. თუ სექტემბერში გარდაცვლილი იყო 39 ადამიანი, ოქტომბრის თვეში გარდაცვლილთა რიცხვი 6,8- ჯერ გაიზარდა, ნოემბერში კი წინა თვესთან შედარებით 3,5-ჯერ გაიზარდა. კორონავირუსული ინფექციით გარდაცვალების პიკი იყო დეკემბრის თვეში, როცა გარდაცვალების მაჩვენებელი ოთხნიშნა ციფრი გახდა და გარდაცვალების 1238 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა.

**ცხრილი 2**

**COVID-19 - ით გარდაცვლილთა რაოდენობა მეორე ტალღის დროს(%)**

|                               | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|-------------------------------|------------|-----------|----------|-----------|
| გარდაცვალების ახალი შემთხვევა | 20         | 268       | 960      | 1238      |
| სულ გარდაცვლილთა რიცხვი       | 39         | 307       | 1267     | 2505      |

წყარო: <https://civil.ge/ka/archives/355353>

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კოვიდით დაავადებულებში ლეტალურად დასრულდა 2 528 შემთხვევა ანუ ლეტალობის მაჩვენებელმა 1,1% შეადგინა. 2020 წლის პირველი ათი თვის გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა 2019 წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით 0,6%-ით ნაკლები იყო, თუმცა წლის ბოლოს (31 დეკემბრის მონაცემით) ეს მაჩვენებელი უკვე 5%-ით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს. ნამატი სიკვდილიანობის მაჩვენებელმა შეადგინა 2 405 კაცი. 2020 წლის ყველა მიზეზით გარდაცვლილ პირთა საერთო რაოდენობა აღემატება არა მხოლოდ წინა წლის, არამედ 2018 და 2017 წლების გარდაცვლილთა საერთო რაოდენობას, მაგრამ 3,4% - ით ჩამორჩება 2016 წლის გარდაცვლილთა საერთო რაოდენობას. უნდა ვაღიაროთ, რომ „მკვლელი ვირუსული“ პანდემიის პერიოდში, როგორც მას მასმედიაში მოიხსენიებდნენ ხოლმე, 1697 კაცით ნაკლები გარდაიცვალა, ვიდრე 2016 წელს, როცა არანაირი ვირუსული პანდემია არ იყო. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელთან

შედარებით გარდაცვალების უფრო მაღლი მაჩვენებლები ფიქსირდებოდა 2012 (49 347), 2014 (49 087) და 2015 (49 121) წლებში.

**ცხრილი 3**

**ყველა მიზეზით გარდაცვალებული პირთა რაოდენობა 2016-2020 წლებში**

|                        | წლები  |        |        |        |        |
|------------------------|--------|--------|--------|--------|--------|
|                        | 2016   | 2017   | 2018   | 2019   | 2020   |
| გარდაცვლილთა რაოდენობა | 50 771 | 47 822 | 46 524 | 46 669 | 49 074 |

წყარო: geostat.ge

დეკემბრის პიკის შემდეგ დაიწყო გარდაცვალების შემთხვევების კლება, სიკვდილიანობის მაჩვენებელი 11,6% - დან შემცირდა 8,2% - მდე. 2021 წლის იანვრის თვეში კოვიდით გარდაცვლილთა რაოდენობამ 673 კაცი შეადგინა. თებერვალში კი გარდაცვალების მაჩვენებელი თითქმის ორჯერ შემცირდა. სამწუხაროდ, პანდემია დღესაც გრძელდება და გარდაცვალების შემთხვევები კვლავაც გვაქვს.

ინფექციონისტები ვარაუდობდნენ და მოსახლეობას აფრთხილებდნენ რომ კორონავირუსული ინფექცია განსაკუთრებით მძიმე იქნებოდა ხანდაზმულთათვის. ისინი რისკ ჯგუფად ითვლებოდნენ. თუმცა 70 წლამდე ასაკის ინფიცირებულთა გარდაცვალების მაჩვენებელი 13% - ით აღემატება 70-79 წლის გარდაცვალებულთა მაჩვენებელს და 16% - ით 79 წელს გადაცილებულთა გარდაცვალების მაჩვენებელს.

**ცხრილი 4**

**COVID-19 - ით გარდაცვლილთა რაოდენობა ასაკის მიხედვით (%)**

|                                   | გარდაცვლილთა ასაკი |            |            |
|-----------------------------------|--------------------|------------|------------|
|                                   | 70 წლამდე          | 70-79 წელი | 79-ზე მეტი |
| გარდაცვლილთა პროცენტული რაოდენობა | 43                 | 30         | 27         |

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDC).

სქესის მიხედვით გარდაცვლილთა ანალიზმა აჩვენა, რომ კოვიდით გარდაცვლილ მამაკაცთა მაჩვენებელი 10,8% - ით აღემატება ქალებისას. გარდაცვლილთა შორის მამაკაცია 55,4% და ქალი 44,6%.

სამწუხაროდ, კოვიდით ინფიცირების მაჩვენებელმა ბოლო პერიოდში, მას შემდეგ რაც შეზღუდვები მოიხსნა, კვლავ მოიმატა. ინფექციონისტები მესამე ტალღზე ალაპარაკდნენ. მესამე ტალღა და შეზღუდვები რეალობად იქცა სხვადასხვა ქვეყანაში. რამდენად „გამოვძვრებით“ მესამე ტალღიდან დამოკიდებულია თითოეული ჩვენთაგანის ქცევაზე. უმთავრესია გავუფრთხილდეთ საკუთარ და გარშემომყოფთა ჯანმრთელობას.

**დასკვნა**

ჩვენი ქვეყანა უკვე წელიწადზე მეტია რაც კორონავირუსული პანდემიის პირობებში ცხოვრობს. ამ ვირუსს „მკვლელი ვირუსი“ შეარქვეს. მაგრამ რეალურად რამდენად „მკვლელი“ იქნება ეს დამოკიდებულია თითოეული ჩვენთაგანის ქცევაზე. ამაზე მოწმობს ქვეყანაში გადატანილი პანდემიის ორი ტალღა. პირველი ტალღის დროს ადამიანები ბევრად უფრო მობილიზებულები ვიყავით, უკეთ ვიცავდით რეკომენდაციებს და ქვეყანამ „მკვლელი ვირუსით“ მხოლოდ 39 ადამიანი დაკარგა. მერე თითქოს გავუთამამდით მას, აღარ გავითვალისწინეთ ეპიდემიოლოგების გაფრთხილებები მოსალოდნელი მეორე ტალღის შესახებ, ნაკლები ყურადღება დავუთმეთ რეკომენდაციების დაცვას და შედეგად მივიღეთ მეორე ტალღა, რომელიც საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. მეორე ტალღის პირობებში კოვიდინფექციით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი იმდენად მაღლი იყო, რომ ნამატი სიკვდილიანობა დაფიქსირდა. 2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საერთო სიკვდილიანობის მაჩვენებელი 5%-ით აღემატებოდა წინა წლის იგივე მაჩვენებელს და 4,4%-ით 2017, 2018 და 2019 წლების საერთო სიკვდილიანობის მაჩვენებელთა საშუალოს. ხოლო 3,4%-ით

ნაკლებია 2016 წლის სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელს (50 771). სამწუხაროდ პანდემია დამარცხებული არ არის და ყოველდღიურად ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა სიცოცხლე ეწირება ამ „მკვლელ ვირუსს“. ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა მომავლად ერთა სიაშია. პანდემია კი კიდევ უფრო აუარესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ა. 24.02.2020, <https://bit.ly/3beOESg>
2. გომელაური ნ. საქართველო მესამე ეპიდემიოლოგიური გადასვლის პერიოდში. აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია "თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები და გადაჭრის გზები". ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 17-18 ოქტომბერი, 2020. გვ. 172-177.
3. ერთი წელი COVID-19-ან ერთდ. მე-5-ე გადახედვა. 2021. <https://mail.google.com/mail/u/0/#inbox?projector=1>
4. COVID-19 საქართველოში. დაავადებათ კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ანგარიში. მე-4 გადახედვა. 2020 . <https://mail.google.com/mail/u/0/#inbox?projector=1>
5. Урланис Б. Ц. (2007). Рост населения земного шара. Народонаселение. Исследования, публицистика. М.: Наука, С. 19-308
6. <https://www.trt.net.tr/georgian/covid19>
7. საქსტატი [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. <https://civil.ge/ka/archives/355353>

*Lela Menabdishvili*

## DEATHS CAUSED BY THE “KILLER VIRUS” IN GEORGIA

### Summary

It is known that in the history of mankind there have been outbreaks of infections that have claimed the lives of millions more people than wars. At the beginning of last year, a new Coronavirus pandemic hit the world, which has already been dubbed the “killer virus”. When evaluating a virus as a “killer virus”, it is important to consider how much it affects the mortality rate. That is, whether we have an excess mortality rate. Georgia has experienced two waves of pandemics.

The first outbreak was relatively painless and with less loss of life. During the months of January to August 2020, 30,537 people died. This figure is 1,246 points behind the same figure for 2019 and 644 - for 2018. The decrease the mortality rate from all causes during the period was 30%, and from the first confirmed case - 18% including August. That is, during the first wave of the pandemic, a low mortality rate was maintained in Georgia.

As for the second wave, the number of infected people and, as a result, the death rate increased significantly. If the total number of deaths in the first ten months of 2020 was 0.6% less than the same figure in 2019, then at the end of the year (as of December 31) this figure was already 5% higher than the previous year. The excess mortality rate was 2,405. The total number of deaths from all causes in 2020 exceeds not only the total number of deaths in the previous year, but also in 2018 and 2017, and also is behind by 3% the total number of deaths in 2016.

We have to admit that during the "killer viral" pandemic, as it was referred to in the media, 1697 fewer people died than in 2016, when there was no viral pandemic. However, it should be noted that higher mortality rates were observed in 2012 (49,347), 2014 (49,087) and 2015 (49,121) years compared to 2020.

Infectious disease experts have suggested and warned the population that Coronavirus infection would be particularly severe for the elderly age group. They were considered a risk group. However, the mortality rate of infected people under the age of 70 is 13% higher than that of those aged 70-79, and 16% higher than that of those over the age of 79. The analysis of mortality rate by sex groups showed that the death rate of males died by Coronavirus was 10.8% higher than that of females. The mortality rate among men was 55.4%, and among women-44.6%.

**Keywords:** *excess mortality rate, overall mortality rate.*

## პირველი ქორწინების საშუალო ასაკის ძირითადი ტენდენციები

**ანოტაცია.** ნაშრომი ეყრდნობა სტატისტიკურ მონაცემებს ქორწინების საშუალო ასაკის შესახებ. ქორწინების საშუალო ასაკის ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად განხილულია სხვადასხვა ქვეყნების მაჩვენებლები და შედარებულია საქართველოს მონაცემებს. მრავალ ქვეყანაში ფიქსირდება პირველი ქორწინების ასაკის ზრდა.

**საკვანძო სიტყვები:** ქორწინების საშუალო ასაკი, ქორწინების ასაკის ზდის ტენდენცია.

### შესავალი

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინდუსტრიულ ქვეყნებში ოჯახმა განიცადა ღრმა ცვლილებები. დრო იცვლება, სტერეოტიპები გადაიხედება. ფართოვდება ქცევის არჩევანი. ქორწინება სამართლებრივი აქტია და ის თავისთავად გულისხმობს დარეგისტრირებას. თუმცა ამგვარი გაგებაც იცვლება. ქორწინება სულაც არ გულისხმობს პარტნიორთა შორის მეტ-ნაკლებად მუდმივი კავშირის სანქცირებას. პარტნიორთა თანაცხოვრება შესაძლებელია ქორწინების გარეშეც. მშობიარობა ყოველთვის არ ხდება ქორწინებაში. იზრდება განქორწინებების რიცხვი. ამასთან, ადრეული ქორწინებები ლიდერია განქორწინებაში.

საქორწინო ქცევის მოდერნიზაცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. ამჯერად ყურადღებას ევროპის ქვეყნებზე გავამახვილებთ. ბოლო დემოგრაფიული მონაცემების თანახმად ევროკავშირის 27 ქვეყანაში ქორწინებათა რაოდენობა 1000 კაცზე შემცირდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ხოლო განქორწინების რიცხვი გაიზარდა. ასევე დაფიქსირდა იმ ბავშვთა წილის ზრდა, რომლებიც დაუქორწინებელ წყვილებში არიან დაბადებულნი [<https://ec.europa.eu/eurostat/>].

საქორწინო ქცევის მოდერნიზაციის შესახებ სხვადასხვა მაჩვენებლებით შეიძლება მსჯელობა, მაგრამ თუ ყურადღებას გავამახვილებთ ქორწინების საერთო მაჩვენებელზე დავინახავთ რომ აღმოსავლეთ ევროპა უკვე დაეწია დასავლეთს. მრავალი ათწლეულის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპაში განქორწინების მაჩვენებელი არ განსხვავდებოდა დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპული დონისაგან, ხოლო ქორწინების ასაკი, დასავლეთ ქვეყნებისაგან განსხვავებით დაბალი რჩება. რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნების ქორწინების ასაკს აქ ის ორივე სქესის წარმომადგენლებში მაღალია [ივანოვი.ს.<http://www.demoscope.ru/>].

ქორწინების საშუალო ასაკი დამოკიდებულია ქვეყანაზე, მის კულტურაზე, რელიგიურ აღმსარებლობაზე, ღირებულებებზე, ტრადიციაზე და სხვ. ის შეიძლება განსხვავებული იყოს მამაკაცებისთვის და ქალებისთვის. ბოლო დრომდე ბევრ ქვეყანაში ქალების ქორწინების ასაკი უფრო დაბალი იყო, ვიდრე მამაკაცების. მაგრამ გენდერული თანასწორობის გამო ის ბევრგან მამაკაცების ასაკამდე გაიზარდა. ქორწინების გადავადება ძირითადად ხდება იმ ქვეყნებში სადაც ახალგაზრდები სარგებლობენ უმაღლესი სოციალური სტატუსით, უკეთესი განათლების სისტემით, დასაქმებით. სოციალური ღირებულებების ცვლილებამ, პირადი ინტერესების წინ წამოწევამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქორწინების ასაკის ზრდას. კარგი განათლება, კარიერის აწყობა, პირადი დამოუკიდებლობა დიდ როლს თამაშობს ქორწინების გადავადებაში. შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ თანაცხოვრების ინსტიტუტზე. მთელ რიგ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება პარტნიორთა თანაცხოვრება. ხანგრძლივი თანაცხოვრება კი ქორწინების გადავადებას უწყობს ხელს, რადგან წყვილს არ სჭირდება ქორწინების ვალდებულება, სანამ ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს. სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ თანამცხოვრები პარტნიორების მხოლოდ 10% რჩება ერთად ბოლომდე. მეორე მხრივ, შეუძლებელია არ აღინიშნოს რელიგიისა და ტრადიციების როლი ადრეულ ქორწინებაში. ასეთ ქვეყნებში გვიანი ქორწინება შეიძლება წყველადაც კი ჩაითვალოს.

ქორწინების საშუალო ასაკის ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად განვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნების მაგალითი და შევადაროთ საქართველოს. ქორწინებათა რიცხვი ბულგარეთში სტაბილურად იკლებს. ამასთანავე შეინიშნება სტაბილური ტენდენცია ქორწინების საშუალო ასაკის გაზრდისა, როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში. 2000 წელს მამაკაცების ქორწინების საშუალო ასაკი იყო 30,0 წელი, ხოლო 2014 წელს 32,7 წელს მიაღწია. ქალებისთვის კი იგივე მაჩვენებელი შესაბამისად 26,4 და 29,4 წელია. თუ 2000 წელს დასაოჯახებელი იყო 20-29 წლის ახალგაზრდების 64,6%, 2011 წელს 82,2% გახდა, ანუ გაიზარდა 17,6%-ით. პირველი ქორწინების მიხედვით მდგომარეობა ასეთია, მამაკაცების პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 2000 წელს 28,1 წელი იყო, 2014 წლისთვის კი 2,5 წლით გაიზარდა და 30,6 წელი შეადგინა. ქალებისთვის ზრდა კიდევ უფრო დიდია - 2,8 წელი. 2000 წელს ქალების პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 24,7 წელი იყო, 2014 წელს კი 27,5 წელი შეადგინა. მომდევნო წლებში საქორწინო ასაკის ზრდა კვლავ გრძელდება. 2017 წელს მამაკაცთა და ქალების პირველი ქორწინების საშუალო ასაკი შესაბამისად 31,4 და 28,4 წელია. 2018 წელს კი 31,7 და 28,7 წელი. ანუ წინა წელთან შედარებით პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 0,3 წლით გაიზარდა როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში. 2018 წელს პირველი სამოქალაქო ქორწინება ქალების 87,0%-მა და მამაკაცების 86,2%-მა დაარეგისტრირა [<https://ec.europa.eu/Eurostat/>].

ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში ბელორუსიაშიც იცვლება ქორწინების ასაკობრივი მოდელი - ოჯახის შექმნისა და შვილების გაჩენის საკითხს ახალგაზრდები ხშირად გადაავადებენ უფრო ზრდასრული ასაკისთვის. რესპუბლიკა ხასიათდება ერთ-ერთი ყველაზე მაღლი ქორწინების მაჩვენებლით ევროპაში, ამასთან, პირველი ქორწინების დადგომისთანავე ქალთა საშუალო ასაკის ზრდით. თუ 2000 წელს ქალი პირველად დაქორწინდა 22,8 წლის ასაკში, მამაკაცი 25,0 წლის, 2014 წელს პირველად დაქორწინებული ქალების საშუალო ასაკი 25,3 წელი შეადგინა, ხოლო მამაკაცებში 27,4 წელი [<https://www.belta.by/>].

საქართველოში პირველი ქორწინების საშუალო ასაკს თუ შევადარებთ ბულგარეთისა და ბელორუსიის იგივე მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ 2000 წელს მამაკაცების შემთხვევაში საქართველოს მაჩვენებელი აღემატებოდა ჩვენ მიერ განხილული ორივე ქვეყნის მაჩვენებელს და შეადგენდა 28,4 წელს. ხოლო 2014 წლის იგივე მაჩვენებელი აღემატება ბელორუსიისას, მაგრამ ჩამორჩება ბულგარეთისას. ქალთა პირველი ქორწინების ასაკი 2000 წელს საქართველოში 24,7 წლის ტოლია, ხოლო 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი 26,6 წელს აღწევს. პირველი ქორწინების ასაკის ზრდა შედარებული სამივე ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა ზრდა ყველაზე მაღლია ბულგარეთში და ყველაზე დაბალი საქართველოში.

**ცხრილი 1**

**პირველი ქორწინების ასაკის ზრდა ბულგარეთში, ბელორუსიასა და საქართველოში**

|            | 2000 წელი |      | 2014 წელი |      | ზრდა 14 წელში |      |
|------------|-----------|------|-----------|------|---------------|------|
|            | მამაკაცი  | ქალი | მამაკაცი  | ქალი | მამაკაცი      | ქალი |
| ბულგარეთი  | 28,1      | 24,7 | 30,6      | 27,5 | 2,5           | 2,8  |
| ბელორუსია  | 25,0      | 22,8 | 27,4      | 25,3 | 2,4           | 2,5  |
| საქართველო | 28,4      | 24,7 | 30,0      | 26,6 | 1,6           | 1,9  |

ევროპის ქვეყნების მაგალითზე თუ დავახასიათებთ პირველი ქორწინების საშუალო ასაკს, ამგვარი სურათი დადგება: ქორწინება ყველაზე ადრეულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც პატარძალი 22-26 წლისაა, ხოლო საქმრო 24-27-ის. ცენტრალური ევროპის უმეტეს ქვეყნებში ქალები 27, ხოლო მამაკაცები 30 წლის ასაკში ქორწინდებიან. რაც შეეხება ჩრდილო, სამხრეთ და დასავლეთ ევროპას, აქ ყველაზე მაღლია პირველი ქორწინების საშუალო ასაკი. ამ მონაცემის მაღლი მაჩვენებლით ლიდერობს შვედეთი.

## პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ევროპის ქვეყნებში 2017 წელი

| ქვეყანა               | კაცი | ქალი | საშუალო |
|-----------------------|------|------|---------|
| შვედეთი               | 35,8 | 33,3 | 34,6    |
| ისლანდია              | 34,6 | 32,7 | 33,7    |
| ესპანეთი              | 34,5 | 32,3 | 33,4    |
| დანია                 | 34,4 | 31,9 | 33,2    |
| ნორვეგია              | 34,4 | 31,6 | 33      |
| იტალია                | 34,2 | 31,3 | 32,8    |
| ირლანდია              | 33,2 | 31,6 | 32,4    |
| გერმანია              | 33,4 | 30,9 | 32,2    |
| ლუქსემბურგი           | 33   | 30,9 | 32      |
| საფრანგეთი            | 33   | 30,8 | 31,9    |
| ფინეთი                | 32,9 | 30,6 | 31,8    |
| ნიდერლანდები          | 33   | 30,4 | 31,7    |
| გაერთიანებული სამეფო  | 33,1 | 30   | 31,6    |
| საბერძნეთი            | 33   | 29,9 | 31,5    |
| შვეიცარია             | 32,5 | 30,1 | 31,3    |
| ავსტრია               | 32,2 | 29,8 | 31      |
| სლოვენია              | 32,2 | 29,7 | 31      |
| ბელგია                | 32   | 29,6 | 30,8    |
| უნგრეთი               | 32,1 | 29,3 | 30,7    |
| მონტენეგრო            | 32,7 | 28,6 | 30,7    |
| პორტუგალია            | 31,5 | 29,8 | 30,7    |
| მალტა                 | 31,6 | 29,2 | 30,4    |
| ესტონეთი              | 31,6 | 29   | 30,3    |
| ჩეხეთი                | 31,4 | 28,7 | 30      |
| კვიპროსი              | 30,9 | 29   | 30      |
| სერბეთი               | 31   | 28,1 | 29,6    |
| სლოვაკეთი             | 30,8 | 28,1 | 29,5    |
| ხორვატია              | 30,6 | 28,1 | 29,4    |
| ლატვია                | 30,6 | 28,2 | 29,4    |
| ბულგარეთი             | 30,3 | 26,9 | 28,6    |
| საქართველო            | 30,1 | 26,9 | 28,5    |
| ლიეტუა                | 29,7 | 27,3 | 28,5    |
| რუმინეთი              | 30,2 | 26,7 | 28,5    |
| ბოსნია და ჰერცეგოვინა | 29,6 | 26,4 | 28      |
| პოლონეთი              | 29,1 | 26,7 | 27,9    |
| ალბანეთი              | 30,5 | 24,9 | 27,5    |
| სომხეთი               | 29,1 | 25,8 | 27,5    |
| მაკედონია             | 28,6 | 25,8 | 27,2    |
| რუსეთი                | 27,4 | 24,9 | 26,2    |
| ბელორუსია             | 27,1 | 25   | 26      |
| უკრაინა               | 27   | 25   | 26      |
| თურქეთი               | 27,4 | 24,3 | 25,9    |
| აზერბაიჯანი           | 27,7 | 23,7 | 25,7    |
| მოლდოვა               | 26   | 24   | 25      |

წყარო: <https://www.worldatlas.com/articles/the-nations-of-europe-by-the-average-age-at-first-marriage.html>

საქართველოში რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკმა ბოლო ათი წლის განმავლობაში სტაბილური ზრდა აჩვენა. ქალების ქორწინების საშუალო ასაკი 2009 წელს 25,6 წელს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს 29,7-ს. კაცების შემთხვევაში ანალოგიური ზრდა ნაკლებად იყო გამოხატული. მათი ქორწინების საშუალო ასაკმა შესაბამისად 30,2 და 32,6 წელი შეადგინა. რაც შეეხება პირველი ქორწინების საშუალო ასაკს, ამ პერიოდში ქალების ასაკის ზრდა 2,4-ჯერ მეტად მოხდა ვიდრე მამაკაცებისა. შესაბამისად, თუ 2009 წელს ქალთა პირველი ქორწინების ასაკი შეადგენდა 25,2 წელს, 2019 წლისთვის 28,1 წელი გახდა, ხოლო მამაკაცებთან 2009 წელს იყო 28,8 წელი, 2019 კი 30,7 წელი. 2020 წელში პირველი ქორწინების ასაკი ისეთივე დარჩა როგორც იყო წინა წელს, მაგრამ ქორწინების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 1,4-ჯერ შემცირდა. რაც გამოიწვია პანდემიურ პირობებში ცხოვრებამ.

პირველი ქორწინების ასაკი მამაკაცების შემთხვევაში 1995 წლიდან მოყოლებული გასული წლის ჩათვლით ყოველწლიური ზრდით არ ხასიათდება, ქალებისაგან განსხვავებით. 25 წლის შუალედში (1995-2020) მამაკაცთა პირველი ქორწინების ასაკი 3,7 წლით გაიზარდა, ქალების კი 4,7 წლით. 20 წლის შუალედში (2000-2020) მამაკაცებში 2,3 წლით, ქალებში 3,4 - ით. ხოლო ბოლო ათიწლის შუალედში (2010-2020) შესაბამისად მამაკაცთა 1,2-ით და ქალითა 2,3-ით. სავარაუდოა, რომ ქორწინების ასაკის მატების ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება.

ყველა მოვლენას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მათ შორისაა პირველი ქორწინების საშუალო ასაკის ზრდა. ოჯახის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ბავშვის გაჩენა და აღზრდაა. გადავადებული, გვიანი ქორწინებები ამ მხრივ გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ჯერ ერთი, ქორწინების ასაკი თუ არ ემთხვევა რეპროდუქციულ ასაკს მაშინ ასეთ ქორწინებაში ბავშვები ვერ დაიბადებიან. მეორე, ასეთი ოჯახები ძირითადად მცირეშვილიანები არიან, რადგან, ასაკიდან გამომდინარე, უმეტესად ორ ბავშვს აჩენენ.

ქორწინების ასაკის შესახებ სტატისტიკური მასალა არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას, საკითხის სიღრმისეული კვლევისათვის საჭიროა სოციოლოგიური კვლევა, რომელიც კონკრეტულად დაგვანახებს იმ მიზეზებს რაც იწვევს პირველი ქორწინების ასაკის ზრდას. გამოვიყენებთ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2013 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის ზოგიერთ შედეგს. რესპონდენტების თითქმის 3/5-ის აზრით გვიანი ქორწინების ძირითადი მიზეზი არის სასურველი პარტნიორის შერჩევა. ეს მიზეზი ორივე სქესის რესპონდენტებმა დაასახელეს, თუმცა ქალები უფრო მეტად ამახვილებენ მასზე ყურადღებას. მამაკაცების უმეტესობა კი ასახელებს ფინანსურ მდგომარეობას (63%), სამუშაოს (60,2%).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სქესთა არათანაბარი განაწილება პრობლემებს ქმნის საქორწინო ბაზარზე. საქართველოში 30 წლამდე ასაკში მამაკაცების რიცხვი აღემატება ქალებისას, თუმცა 30 წლის და უფროს ასაკში ქალების რაოდენობა ჭარბობს მამაკაცებს. მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაღალი ემიგრაცია. ტრადიციულად მაღალია მობილობა მამაკაცებს შორის. თუ 2009 წელს ემიგრანტი იყო 41 ათასი ქალი და 57 ათასი კაცი 2019 წლისთვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა და შესაბამისად შეადგინა 46 ათასი ქალი და 59 ათასი კაცი. ემიგრანტების 56% 2019 წელს მამაკაცი იყო. მათი უმეტესობა ემიგრაციაში მიდის 20-39 წლის ასაკში. რაც მამაკაცების დეფიციტს ქმნის საქორწინო ბაზარზე.

გვიანი ქორწინების დადებით მხარეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ადრეული ქორწინებები ლიდერია განქორწინებაში, რადგან ისინი ძირითადად ემოციებზეა აგებული. ასაკის მატებასთან ერთად ადამიანი იძენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სწავლობს საკუთარი ემოციების მართვას, მისი ქცევები უფრო გონივრული და პასუხისმგებლური ხდება, უმკლავდება საკუთარ კომპლექსებს და ოჯახურ ცხოვრებას უფრო რაციონალურად ეკიდება.

## დასკვნა

სოციალურ ღირებულებათა ცვლილებებმა გამოძახილი ჰპოვა ქორწინებაში. შემცირდა ქორწინებათა რიცხვი და გაიზარდა ქორწინების ასაკი. ქორწინების გადავადება ძირითადად

ხდება იმ ქვეყნებში სადაც ახალგაზრდები სარგებლობენ უმაღლესი სოციალური სტატუსით, უკეთესი განათლების სისტემით, დასაქმებით. სოციალურ ღირებულებებში ცვლილებამ, პირადი ინტერესების წინ წამოწევამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქორწინების ასაკის ზრდას. კარგი განათლება, კარიერის აწყობა, პირადი დამოუკიდებლობა დიდ როლს თამაშობს ქორწინების გადავადებაში. გენდერული თანასწორობის გამო ქალთა ქორწინების ასაკი ბევრგან მამაკაცების ასაკამდე გაიზარდა. საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელსაც ისეთი მწვავე დემოგრაფიული პრობლემები აქვს, როგორცაა მოსახლეობის დაბერება, ემიგრაციის მაღლი დონე, შობადობის შემცირება და ა.შ. ასეთ შემთხვევაში პირველი ქორწინება გვიან ასაკში ქვეყნისთვის წამგებიანია, რადგან ასეთი ოჯახები მაქსიმუმ ორ ბავშვზე მეტს არ აჩენენ. ორი ბავშვი კი მარტივი აღწარმოებისთვისაც არაა საკმარისი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ივანოვი ს. ფ. ქორწინებისა და ნაყოფიერების ტიპები განვითარებულ ქვეყნებში. [http://www.demoscope.ru/weekly/knigi/konfer/konfer\\_09.html](http://www.demoscope.ru/weekly/knigi/konfer/konfer_09.html)
2. ქორწინების მაჩვენებელი ბელორუსიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღლია ევროპაში <https://www.belta.by/society/view/koeffitsient-brachnosti-v-belarusi-odin-iz-samyx-vysokix-v-evrope-2803-2015>
3. ქორწინება, განქორწინება და დაბადება ბულგარეთში XXI საუკუნის დასაწყისში <https://ec.europa.eu/Eurostat/statistics-explained/index.php?title=Archive:Marriage>
4. ქალი და კაცი საქართველოში. 2020. <https://www.geostat.ge/ka/single-categories/115/genderuli-statistika>
5. [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Marriage\\_and\\_divorce\\_statistics](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Marriage_and_divorce_statistics)
6. <https://www.worldatlas.com/articles/the-nations-of-europe-by-the-average-age-at-first-marriage.html>
7. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>

*Nana Menabdishvili*

### THE MAIN TRENDS IN MEDIAN AGE AT FIRST MARRIAGE Summary

Modernization of wedding behavior is common in many countries around the world. This is manifested by such indicators as: a decrease in the number of marriages, an increase in the number of divorces, an increase in the number of cohabiting partners and, consequently, an increase in the share of children born in unmarried couples, increase in the median age at first marriage, and etc. The median age of marriage depends on the country, its culture, religion, values, traditions, and etc. Until recently, the marriage age of women in many countries was lower than that of man. But because of gender equality it has grown to the age of men in many places.

The average age at first marriage in European countries is as follows: the earliest marriages are observed in Eastern European countries, where the bride's age ranges between 22 and 26 years while the groom's ranges between 24 and 27 years. In most Central European countries, women get married at the age of 27 and men at the age of 30. As for Northern, Southern and Western Europe, the average age at first marriage is highest here. Sweden leads with a high rate of this data.

The median age of registered marriages in Georgia has shown a steady increase over the last ten years. The average age of marriage for women was 25.6 in 2009 and 29.7 in 2019. In the case of men, the same growth was less pronounced. The **median** age of their marriage was 30.2 and 32.6 years, respectively. As for the median age of first marriage, the age increase of women during this period was 2.4 times higher than that of men. Accordingly, if in 2009 the age of women at first marriage was 25.2, by 2019 it has become 28.1 years. While this figure in men was 28.8 years in 2009 and 30.7 years in 2019. This trend is likely to continue.

According to the results of a sociological survey, 3/5 of the respondents believe that the main reason for late marriage is the choice of the desired partner. This reason was named by respondents of both sexes,



although women pay more attention on this. The majority of men name their financial situation (63%), job (60.2%).

The unequal distribution of the sexes creates problems on the wedding market. In Georgia, the number of men under the age of 30 exceeds the number of women, although the number of women over the age of 30 and older exceeds that of men. The high emigration of men plays an important role in this. Most of them emigrate at the age of 20-39, that creates a shortage of men at the wedding market.

**Keywords:** median age of marriage, the trend toward increasing the marriage age.

ნინო სარდლიაშვილი

## ორსული, მცირეწლოვანი შვილის დედა და სამუშაო სივრცე

**ანოტაცია.** ქალი თანამედროვე საზოგადოების სრულფასოვანი წევრია. ის ცდილობს მაქსიმალურად იყოს რეალიზებული, განვითარდეს, იყოს დამოუკიდებელი, აქტიურად აწვითარებდეს თავის კარიერას. ამ ყველაფრის პარალელურად ის ასევე ცდილობს იყოს კარგი დედა, სწორედ იმისთვის რომ ქალმა შეძლოს თავისი ცხოვრების ამ ორი მიმართულების დაბალანსება და თანაბრად განვითარება, დემოკრატიული სამყარო მივიდა პოზიტიური დისკრიმინაციის იდეამდე, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო დონეზე ქალისთვის იქმნება სპეციალური პირობები რათა მან კარიერულ განვითარებაზე უარის თქმის გარეშე შეძლოს შვილის გაჩენა და გაზრდა. სტატიაში განხილულია დეკრეტული შვებულების არსი და საქართველოში ამ მიმართულებით დღეს არსებული მდგომარეობა.

თანამედროვე ქალი ორსულობის და ბავშვის გაზრდის პარალელურად აქტიურად მოღვაწეობს საკუთარი კარიერის აწყობისთვის. სულ უფრო და უფრო მეტი ქალი განსაზღვრავს თუ ცხოვრების რა ეტაპზე რა უფრო პრიორიტეტულია მისთვის კარიერული განვითარება თუ ოჯახის, შვილის ყოლა. მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც თანდათან უფრო და უფრო მეტი ქალი თავს იკავებ შვილის ყოლისგან, მანამ სანამ ფინანსურ დამოუკიდებლობას არ მიაღწევს. უფრო და უფრო მეტი ქალი სამომავლოდ წევს როგორც პირველი ისე შემდგომი შვილის გაჩენას, იმისთვის რომ მეტი დრო დაუთმოს კარიერულ განვითარებას და მეტ რესურს ხარჯავს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ბოლო ათწლეულების განმავლობაში უფრო და უფრო მეტი ქალი თავისი კარიერული განვითარებისთვის გააზრებულად თავს იკავებს მშობიარობისგან. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ბოლო წლების განმავლობაში მშობიარეთა ასაკი სტაბილურად იზრდება, 2020 წლის მონაცემებით მშობიარეთა საშუალო ასაკი 28-ზე მეტია<sup>127</sup>.

თანამედროვე სამყაროში ქალი საზოგადოების სრულფასოვანი და ისეთივე მნიშვნელოვანი წევრია როგორც მამაკაცი, სახელმწიფოები ხვდებიან თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის რომ ქალი ჩართული იყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამავდროულად დაკავებული იყოს ოჯახის და შვილების მოვლით. სწორედ ამიტომ არის სხვადასხვა სახის შეღავათები და ხელშეწყობის პროგრამები. ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდა ოჯახის და მომავალი დედის ხელშეწყობის ეს არის ე. წ. შვებულება ბავშვის გაჩენის გამო ანუ დეკრეტული შვებულება. დეკრეტული შვებულება ეს არის დასაქმებულისთვის კანონით მინიჭებული უფლება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ბავშვის გაჩენის ან აყვანის შემთხვევაში დასაქმებულმა ისარგებლოს როგორც ანაზღაურებადი ისე არაანაზღაურებადი შვებულებით. სხვადასხვა ქვეყანაში ეს უფლება სხვადასხვა მოცულობითაა ხელმისაწვდომი<sup>128</sup>.

ევროპის ქვეყნებში პირველად საუბარი დეკრეტულ შვებულებაზე, იმაზე რომ ორსულ ქალს და მცირეწლოვანი შვილის მშობელს გარკვეული დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება

<sup>127</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba>

<sup>128</sup> <http://dictionary.css.ge/content/maternal-leave>

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან დაიწყო. პირველად მსგავსი შვებულების საჭიროება ქალის ჯანმრთელობის დაცვის და რეპროდუქციული ფუნქციის არგუმენტით იყო განპირობებული<sup>129</sup>. საბოლოოდ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცირედი ცვლილებებით მაგრამ დეკრეტული შვებულება ყველა კანონმდებლობის ნაწილი გახდა. ესტონეთის დასაქმების შესახებ კანონის შესაბამისად ქალს აქვს უფლება ისარგებლოს დეკრეტული შვებულებით 140 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ კანონის თანახმად დედას აქვს უფლება ისარგებლოს შვებულებით 126 კალენდარული დღის ოდენობით, საერთო ჯამში ბავშვის გაჩენის გამო ქალი სარგებლობს შვებულებით 266 კალენდარული დღით, დაახლოებით 9 თვემდე. ამის გარდა ესტონეთის კანონმდებლობა იცავს ორსული და მცირეწლოვანი შვილის დედის უფლებებს და ართულებს მისი სამსახურიდან გაშვების პროცედურებს, ავალდებულებს დამსაქმებელს გადაუხადოს კომპენსაცია<sup>130</sup>.

დეკრეტული შვებულების ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი აქვს შვედეთს, ამ ქვეყანაში მოახდინა არა მხოლოდ ქალის როგორც დედის უფლებების დაცვა, მან აგრეთვე არ დაივიწყა რომ მამაკაციც ისეთივე მშობელია და ისეთივე უფლებები და ვალდებულებები აქვს როგორც დედას და რომ მისი მონაწილეობა აგრეთვე აუცილებელია შვილის აღზრდაში, სწორედ ამიტომ შვედეთის შემთხვევაში დედის დეკრეტული შვებულება ჩანაცვლებულია მშობლის დეკრეტული შვებულებით, საშვებულებო ანაზღაურების გაზრდით წახალისებულია მამის მიერ დეკრეტული შვებულების გამოყენების პროცესი, დღესდღეობით შვედეთში საერთო ჯამში მშობელი დეკრეტში შეიძლება იყოს 16 თვე<sup>131</sup>. ყველა გატარებული რეფორმის შედეგად დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დეკრეტული შვებულება რამდენიმე სხვადასხვა შვებულების ერთობლიობაა. პირველი ესაა სავალდებულო დედის შვებულება ბავშვის გაჩენის გამო, მეორე დროებითი შვებულება ბავშვის დაბადების გამო მეორე მშობლისთვის, შემდეგ მოდის მშობლის შვებულება რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს მანამ, სანამ ბავშვი არ გახდება 18 თვის, აქედან ანაზღაურებადია 240 დღე. ამ შვებულებაში 90 დღე განსაზღვრულია მხოლოდ დედისთვის და 90 მხოლოდ მამისთვის, დარჩენილ დღეებს სურვილისამებრ ირჩევს ერთ-ერთი მშობელი, სავალდებულო 90 დღის გადაცემა ერთ მშობელს მეორე მშობლისთვის არ შეუძლია. ძალზედ საინტერესოა ის ფაქტი რომ შვებულებაში მშობელი შესაძლოა იყოს როგორც სრული დღე ასევე ნახევარი, ანუ დროის გარკვეული ნაწილი იმუშაოს და ნაწილი ბავშვის აღზრდას დაუთმოს. შვედეთის კანონმდებლობას აქვს ორმაგი მიზანი, ერთი მხრივ ის ეხმარება ოჯახებს, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის განვითარებას ქვეყანაში<sup>132</sup>.

საქართველომ თავის თავზე აიღო ვალდებულება თანხვედრაში მოეყვანა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა ევროკავშირის რეგულაციებთან და ამ მიზნით განეხორციელებინა მთელი რიგი მოქმედებები. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით რა თქმა უნდა ორსულთა და მცირეწლოვანი შვილის დედას იცავს, თუმცა საკითხავი არის ის თუ რამდენად ადეკვატური და მისაღებია ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რამდენად რეალური და საკმარისია<sup>133</sup>.

საქართველოში დეკრეტული შვებულებით სარგებლობის წესები გაწერილია საქართველოს ორგანულ კანონში, შრომის კოდექსში. აღნიშნული კანონის თანახმად ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა შემოიფარგლება 126 კალენდარული დღით, ამის გარდა ბავშვის მოვლის გამო მშობელს შეუძლია აიღოს 57 დღიანი ანაზღაურებადი შვებულება, უნდა აღინიშნოს რომ ბავშვის მოვლის გამო დეკრეტული შვებულების აღება შეუძლია ბავშვის ორივე მშობელს. საერთო ჯამში ბავშვის გაჩენის და შემდგომი მოვლისთვის დეკრეტული შვებულების აღება საშუალოდ 2 წელი შეიძლება მიეცეს დასაქმებულ ქალს, თუმცა

<sup>129</sup> გოგოლაძე ხ. 2019: გვ 47

<sup>130</sup> გოგოლაძე ხ. 2019: გვ.50

<sup>131</sup> გოგოლაძე ხ. 2019: გვ.52

<sup>132</sup> გოგოლაძე ხ. 2019: გვ. 53

<sup>133</sup> პატარაია ბ. 2016: გვ 3

აქედან ანაზღაურებადი ნაწილი 183 კალენდარულ დღეს არ აღემატება<sup>134</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ დეკრეტული შვებულება ნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არ აღემატება 1000 ლარს. დამსაქმებლის მიერ დამატებით დასაქმებულის დეკრეტული შვებულების ანაზღაურება მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული<sup>135</sup>. დასაქმებულს აგრეთვე შეუძლია ყოველწლიურად დამატებით ისარგებლოს 12 კვირამდე არაანაზღაურებადი შვებულებით<sup>136</sup>. საქართველოს შემთხვევაში დიდია განსხვავება საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულთა შორის. საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების დეკრეტული შვებულება ნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაშინ როცა კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანი უმეტეს შემთხვევაში იღებს სახელმწიფო დახმარებას 1000 ლარის ოდენობით და ინარჩუნებს სამუშაო ადგილს დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის დროს. სამწუხაროდ დღევანდელი ქართველი დამსაქმებლების აბსოლუტური უმრავლესობა თავს იკავებს დეკრეტული შვებულების ანაზღაურებისგან, გამონაკლისი შესაძლოა იყოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი შპს-ები, ესეც არა ყოველთვის.

საქართველოს კანონმდებლობა, ქვეყანაში მოქმედი რეგულაციები რა თქმა უნდა იცავს როგორც ორსული ისე მცირეწლოვანი შვილის მშობლის უფლებებს, თუმცა ის წესები და რეგულაციები რომლებიც ამ ეტაპისთვის ქვეყანაში მოქმედებს არაა საკმარისი და ამ მიმართულებით დასახვეწი და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზედ ბევრია<sup>137</sup>. სხვადასხვა პირობებში არიან საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული ორსულები და მცირეწლოვანი ბავშვების მშობლები. საჯარო სამსახური ფინანსურად უფრო მიმზიდველია, ამასთანავე მცირეწლოვანი შვილის მშობელი სარგებლობს დამატებით ერთ საათიანი შესვენებით. მაშინ როდესაც კერძო სექტორში დასაქმებული იღებს მხოლოდ ერთჯერად დახმარებას და მაქსიმუმ ინარჩუნებს სამუშაო ადგილს, ამასთანავე აღსანიშნია ისიც, რომ განსხვავდება დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა საჯარო და კერძო სექტორებში, თუ საჯაროში ეს არის ანაზღაურებადი 6 თვე, კერძო სექტორში ეს ვადა შემოიფარგლება 4 თვით და ამ 4 თვესაც ყველა არ ანაზღაურებს. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით ახალგაზრდა წყვილები თავს იკავებენ შვილების გაჩენისგან და ცდილობენ ჯერ კარიერის აწყობაზე კონცენტრირდნენ და უკვე ფინანსური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ იზრუნონ ბავშვებზე.

მსოფლიოში და საქართველოშიც პანდემიის გამო არსებულმა გამოწვევებმა ყველა სექტორი აიძულა მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოემდებნა გამოსავალი, ადაპტირებულიყო და მორგებოდა რეალობას. კომპანიათა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა სრულად ან ნაწილობრივ გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე. ყველა ახალი გამოწვევა რეალურად ახალი შესაძლებლობებიცაა, დამსაქმებლებმა მკაფიოდ დაინახეს რომ არის მთელი რიგი თანამშრომლების, რომელთა ოფისში ფიქსირებული საათებით გაჩერება სულაც არაა საჭირო მათზე დაკისრებული საქმის ხარისხიანად შესასრულებლად. არსებულმა რეალობამ შეიძლება ითქვას რომ ახალი პერსპექტივები წარმოშვეს ორსულთათვის და მცირეწლოვანი შვილების მომვლელი მშობლებისთვის. დღევანდელი რეალობა თვალსაჩინო მაგალითია იმის, რომ კომპანია სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად მუშაობის პირობებშიც შეიძლება ეფექტიანად ოპერირებდეს ბაზარზე. სახელმწიფომ, შესაბამისმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა დაინახონ და გამოიყენონ ის პოტენციალი, რომელიც ამ პანდემიის პირობებში წარმოიქმნა.

თანამედროვე სამყაროში სადაც ტექნოლოგია სულ ვითარდება და ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება ქალებს არ აქვთ ფუფუნება რამდენიმე თვით და მითუმეტეს წლით მოსწყდნენ სამუშაო პროცესს და დრო დაუთმონ შვილების აღზრდას, სწორედ ამიტომ თანამედროვე ქალი იძულებულია დააბაღანოს და პარალელურ რეჟიმში იზრუნოს როგორც ბავშვებზე, ასევე კარიერის განვითარებაზე. ყოველივე ეს მისგან ორმაგ ძალისხმევას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ენერგიას მოითხოვს. იმისთვის რომ ქალს არ უწევდეს არჩევანის გაკეთება

<sup>134</sup> შრომის კოდექსი, მუხლი 37

<sup>135</sup> შრომის კოდექსი, მუხლი 39

<sup>136</sup> შრომის კოდექსი, მუხლი 40

<sup>137</sup> პატარაია ბ. 2016, გვ. 7

ოჯახსა და კარიერას შორის უნდა იყოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა როგორც სახელწიფოს, ისე დამსაქმებლის მხრიდან. შესაძლოა უშუალოდ ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების გაზრდის, ან ანაზღაურების თანხის გაზრდის გარდა მუშობა დაიწყოს იმ მიმართულებითაც, რომ მცირეწლოვანი შვილის მშობელს ჰქონდეს საშუალება იმუშაოს სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად და შეძლოს როგორც საქმის ხარისხიანად კეთება, ისე შვილებისთვის ყურადღების მიქცევა.

თანამედროვე ქალისთვის ერთ ერთი უმთავრესი გამოწვევა სამსახურსა და ოჯახს შორის ბალანსის დაცვაა. საჭიროა დრო, ენერჯია და ყურადღება გაანაწილოს ისე რომ არ დაზარალდეს მათი ცხოვრების არც ერთი ნაწილი. სწორედ ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია რომ სახელმწიფომ, დამსაქმებელმა, პროფესიულმა გაერთიანებებმა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთობლივად მუდმივ რეჟიმში იმუშაოს იმისთვის, რომ სამუშაო პირობები ოპტიმალური იყოს როგორც დამსაქმებლისთვის, ისე დასაქმებულისთვის. დღეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ქალს უწევს არჩევანის გაკეთება და პრიორიტეტების განსაზღვრა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულ დაცვის მექანიზმებს რა თქმა უნდა ქმნის, თუმცა ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ყველაფერი საკმარისი ნამდვილად არ არის. დღეს ქვეყანაში მოქმედი შრომითი კანონმდებლობა ნაკლებადაა მორგებული დასაქმებულებზე, აგრეთვე სხვაობაა საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ ადამიანთა უფლებების კუთხითაც და ეს განსხვავება ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სწორედ ორსულთა და მცირეწლოვანთა მშობლების შემთხვევაშია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/319/dabadeba>
2. <http://dictionary.css.ge/content/maternal-leave>
3. გოგოლაძე ხ. 2019: დეკრეტული შვებულების საკანონმდებლო რეგულირების შესაბამისობა ევროდირექტივასთან და სამართლებრივი დაახლოების პერსპექტივა
4. შრომის კოდექსი: საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი. 2010 წ. თბილისი
5. პატარაია ბ. 2016: ორსული, ახალ ნამშობიარები და მეძუძურე ქალების და მშობლების უფლებათა დაცვა - საქართველოს დავიწყებული ვალდებულება. ფონდი დია საზოგადოება-საქართველო. პატარაია ბაბუცა. 2016წ. ოქტომბერი, თბილისი.

*Nino Sardlishvili*

### MATERNITY AND WORKSPACE Summary

A Woman is a rightful member of modern society. She tries to be maximally realized, to develop, to be independent, to develop her career. In parallel with all this, she also tries to be a good mother. Modern woman can balance and develop these two directions of her life equally. To help modern woman the democratic world has come up with the idea of positive discrimination, according to which special conditions are created for a woman at the legislative level so that she can have and raise a child without refusing career development. The article discusses the essence of maternity leave and the current situation in Georgia in this regard.

## კონფერენციის მონაწილეები

1. **აბესაძე რამაზ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
2. **აბესაძე ანა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი
3. **აბესაძე ნინო** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
4. **აბრალავა ანზორ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
5. **აბრალავა გრიგოლ** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
6. **ALIRZAYEV EMIN ALI** – PhD in Economics (Baku, Azerbaijan)
7. **ანუშიძე ანა** – კავკასიის უნივერსიტეტის, სახელმწიფო მართვის სკოლის, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი
8. **არღუთაშვილი ვალერი** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
9. **არჩვაძე იოსებ** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
10. **ასლანიშვილი დავით** – ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი
11. **აჩუაშვილი ნუნუ** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
12. **ბეგდარაშვილი თამარი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
13. **ბედიანაშვილი გივი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი
14. **ბერიშვილი ხათუნა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
15. **ბერიძე სოფიო** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
16. **ბერულავა გიორგი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
17. **ბესტაევა სალომე** - გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
18. **ბიბილაშვილი ლია** – ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
19. **ბიბილაშვილი ნანა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
20. **БОРОДКИНА ОЛЬГА** – доктор социологических наук, профессор факультета социологии Санкт-Петербургского государственного университета (Россия)
21. **ბრეგვაძე გიორგი** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
22. **ბურდული ვახტანგ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
23. **გამსახურდია თამაზ** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
24. **გელაშვილი მადონა** – ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
25. **გელაშვილი სიმონ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
26. **გვარამაძე ანა** – გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
27. **გოგორიშვილი ირინა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
28. **გოგობია მიაა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
29. **გომელაური ნინო** – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი
30. **გორგაძე ნინო** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

31. **გრიგოლაია ნინო** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
32. **ГРУЩИНСКАЯ НАТАЛИЯ НИКОЛАЕВНА** – Доктор экономических наук, доцент, заведующая кафедрой публичного управления и администрирования Учебно-научного института непрерывного образования Национального авиационного университета (Киев, Украина)
33. **გუბელაძე დავით** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი
34. **დავლაშვილი ნატა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
35. **დათუნაშვილი ლინა** – ეკონომიკის დოქტორი, დოცენტი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
36. **დალაქიშვილი-ჭიჭინაძე რუსუდან** – ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
37. **დვალაშვილი ლია** – თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
38. **ებრაღიძე მარიამ** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრი
39. **ვეშაპელი გივი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი
40. **ვირსალაძე ნაირა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
41. **ZELINSKA MARYNA** – PhD in Political Sciences, Associated Professor of Department of Public Administration, Donetsk State University of Management (Mariupol, Ukraine)
42. **ZMYTROYCH KATERYNA** – Master's Degree student, educational programme "Public Management and Administration", Donetsk State University of Management (Mariupol, Ukraine)
43. **ზუბიაშვილი მარიამ** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
44. **თაფლაძე თამარ** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
45. **თეთრაული ციციხო** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
46. **თვაური შოთა** – ეკონომიკის მაგისტრი
47. **თოდუა ნუგზარ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
48. **თოდუა ხათუნა** – ეკონომიკის დოქტორი
49. **თოთლაძე ლია** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
50. **თხილაშვილი გულად** – ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი
51. **ირემაშვილი გიორგი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
52. **კაკულია ეთერი** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
53. **კაკულია ნაზირა** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
54. **კბილაშვილი დავით** – გამოყენებით მეცნიერებათა ჰანცეს უნივერსიტეტის MBA (გრონიგენი, ჰოლანდია), კემბრიჯის ანგლია რასკინის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის MA (დიდი ბრიტანეთი), Global Risk Intelligence-ის კვლევითი კონსულტანტი
55. **კვარაცხელია მურმან** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
56. **კვარაცხელია რუსუდან** – ეკონომიკის დოქტორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის პროფესორი
57. **კვიციანიშვილი ლევან** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
58. **კილაძე თამარ** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
59. **კიწმარიშვილი ქეთევან** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
60. **კობლიანიძე თამარ** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

61. **კოზმანაშვილი ლია** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
62. **კრავიშვილი გიორგი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
63. **ლაზარაშვილი თეა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
64. **ლიპარტია ზურაბ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
65. **ლობჯანიძე გელა** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
66. **ლომინაშვილი-ფრუიძე მედეა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
67. **მაგრაქველიძე დალი** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
68. **მალანია ელისაბედ** – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
69. **მამულაძე ნინო** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
70. **მდინარაძე ნანა** - მედიცინის დოქტორი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
71. **მდინარაძე ქეთევან** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
72. **მელაშვილი მედეა** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
73. **მენაბდიშვილი ლელა** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
74. **მენაბდიშვილი ნანა** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი
75. **მინდორაშვილი მარინე** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
76. **მირცხულავა ონისე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
77. **მიქატაძე ცირა** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
78. **МИХАЛЬЧЕНКО АЛЕКСЕЙ** – Кандидат экономических наук, директор Учебно-научного института непрерывного образования Национального авиационного университета (Киев, Украина)
79. **მღვდელაძე ნინო** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
80. **ნოზაძე ზურაბ** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
81. **ომაძე ქრისტინე** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, სს „საქართველოს ბანკის“ სოლო ლაუნჯის მენეჯერი
82. **ოსაძე ლალი** – ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
83. **პავლიაშვილი სოლომონ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
84. **პაიჭაძე ნუგზარ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
85. **პაპავა ვლადიმერ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
86. **როსტიაშვილი თამარ** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
87. **სანიკიძე ეკატერინე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
88. **სარდლიშვილი ნინო** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

89. **საჩალელი ნინო** – გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
90. **SYVOLAP LARYSA** – Doctor of Economics, Professor of Department of HR Management and Business Economics, the Faculty of Economics, Donetsk State University of Management (Mariupol, Ukraine)
91. **СОЛИДОР НАТАЛЬЯ АРКАДЬЕВНА** – Кандидат технических наук, PhD, доцент кафедры инноватики и управления, ГВУЗ «Приазовский государственный технический университет» (г. Мариуполь, Украина)
92. **სოლოღაშვილი დალი** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
93. **სოსანიძე მავა** – ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
94. **სოსელია მაია** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
95. **სრესელი ლალი** – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი
96. **СТАРШИНОВА АЛЕВТИНА** – доктор социологических наук, профессор департамента политологии и социологии Уральского федерального университета (Россия)
97. **სულაბერიძე ავთანდილ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
98. **სულაბერიძე ვლადიმერ** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.
99. **სურმანიძე იამზე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
100. **ტყემალაძე ირმა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
101. **უდესიანი თათია** – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი, სსიპ შემოსავლების სამსახური, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთვარი აუდიტორი
102. **უროტაძე ეკატერინე** – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
103. **ფანჩვიძე ზონდო** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტი
104. **ფესტენიძე თეიმურაზ** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
105. **ფოღიაშვილი დავით** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი
106. **ფოფხაძე გვანცა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
107. **ქავთარაძე თენგიზ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
108. **ქართველიშვილი ლიანა** – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, გარემოს ეროვნული სააგენტოს განყოფილების უფროსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
109. **ქვარაია ნინო** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის პროგრამის დოქტორანტი
110. **ქვარაია ირაკლი** – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
111. **ქველაძე ქეთევან** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
112. **ქისტაური ნუნუ** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
113. **ქიქოძე ნუნუ** – საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
114. **ქუთათელაძე ქეთევან** – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
115. **ქურდაშვილი ლაშა** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, სასწავლო უნივერსიტეტ „მილენიუმი“-ს პროფესორი
116. **ყიფიანი მალვინა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
117. **შაქარაშვილი დავით** – ეკონომიკის მაგისტრი, ექსპერტი
118. **შენგელია თეიმურაზ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



119. **შენგელია ქეთევან** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
120. **შენგელია ფატი** – ეკონომიკის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
121. **შერაზადიშვილი ბესიკ** – საჯარო მმართველობის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
122. **CHECHEL ANNA** – Doctor of Economics, Associated Professor, Head of the Department of Public Administration and Management, Donetsk State University of Management (Mariupol, Ukraine)
123. **ჩიქობავა მალხაზ** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
124. **ჩიქოვანი ელენე** – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
125. **ცაცკიალაშვილი ციცი** – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
126. **ცეცხლაძე სოფიო** – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
127. **ცეცხლაძე ცირა** – ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
128. **ცუცქირიძე მარინე** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
129. **წერეთელი ზურაბ** – ეკონომიკის მაგისტრი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მეცნიერი თანამშრომელი
130. **ჭამიაშვილინინო** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
131. **ჭანიძე ქეთევან** – ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასისტენტი
132. **ჭელიძე დავით** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
133. **ხარშილაძე გიორგი** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
134. **ხატიაშვილი სესე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი
